ვინსენტ ვან გოგი

წერილები

თარგმნა
ლამარა კიკილაშვილმა

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ჰოლანდიელი მხატვრის ვინსენტ ვან გოგის წერილები დიდი ხანია თითქმის ისევე აინტერესებთ, როგორც მისი მხატვრობა. ეს წერილები ხსნის და განმარტავს მის საკვირველ ფერწერას, სიტყვასიტყვით მოგვითხრობს, როგორ იქმნებოდა ვან გოგის თითოეული შედევრი, გვაცნობს მის აზრებს მხატვრობაზე, ლიტერატურაზე და მუსიკაზეც კი. გარდა ამისა, ეს არის სულიერი ცხოვრების სურათი უალრესად საინტერესო პიროვნებისა და შემოქმედისა, რომელსაც ხელოვნება და ცხოვრება არასოდეს გაუთიშავს ერთმანეთისგან, ორივე სასწაულად მიაჩნდა და თავისი სურათებით სწორედ ამ სასწაულის ჩვენება უნდოდა სხვებისთვის.

ვინსენტი წერილებს, ძირითადად, უმცროს ძმას — თეოს სწერდა, ვისი ნიჭიერი თუ მორალური მხარდაჭერითაც შეძლო თავისი საოცარი ხილვები ტილოებზე გადაეტანა და შეექმნა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ადამიანთა მანუგეშებელი სურათები. თეოსთან მინაწერი წერილები მოიცავს ვინსენტის ცხოვრებისა და შემოქმედების ორივე პერიოდს — ჰოლანდიურსა და ფრანგულს. ამ წერილებს ავსებს და სიღრმეს მატებს მხატვრებთან — ანტონ ვან რაპარდთან, ემილ ბერნართან, პოლ გოგენთან, პოლ სინიაკთან, იოზეფ იაკობ ისააკსონთან, მხატვრობის კრიტიკოსთან — ალბერ ორიესთან, უმცროს დასთან — ვილემინასთან და თეოს ცოლთან — იოჰანა ვან გოგ ბონგერთან მინაწერი წერილები.

ეს წერილები მსოფლიოს ყველა კულტურული ხალხის ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. ქართულად ჯერ ჟურნალმა „საბჭოთა სულოვნებამ“ დაბეჭდა ფრაგმენტები ფრანგული პერიოდის წერილებიდან,. შემდეგ ალმანახმა „საუნჯემ“ — ჰოლანდიური პერიოდის წერილებიდან, 1981 წელს კი გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა წერილების ერთი ნაწილი. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია მოსკოვისა და ლენინგრადის გამომცემლობა „ისკუსტვოს“ მიერ ვან გოგის წერილების 1966 წელს გამოცემული წიგნიდან, რომელიც, თავის მხრივ, მხატვრის დაბადების ასი წლისთავისათვის ამსტერდამში მომზადებულ მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის ოთხტომეულს ემყარება.

ვან გოგის წერილები

„– თუ მეტყვი, ისეთებიც ხომ არიან, ვინც ხელოვნება საკუთარ სიცოცხლეს მჭიდროდ ამას გიპასუხებ: მართალი გითხრა, არა მგონია, მე ასეთ კაცს ვგავდე–შეიქი."

თეოსადმი მიწერილი წერილიდან

ვინსენტ ვან გოგის (1853–1890) ცხოვრება და შემოქმედება ღრმისთვის ისე ძირფესვიანადაა შესწავლილი, რომ თითქმის შეუძლებელია, ახალი რამ ითქვას იმ უამრავი და უამრავი ნარკვევის, კრიტიკული სტატიის, ესეს, მონოგრაფიის, რომანის, კინოფილმისა და სატელევიზიო დადგმის შემდეგ, რომლებშიც მხატვრის ცხოვრების სინამდვილე თუ მითი დაწერილებით არის დახარისხებული, განხილული და გადმოცემული.

რასაკვირველია, ყველა ავტორი ერთნაირი კეთილსინდისიერებით, ერთნაირი პასუხისმგებლობით რიდი ეკიდებოდა ამ მართლაც და მაცდუნებელ თემას. ზოგიერთი თითქმის ამსურდულ სიტუაციებსაც კი გეთაკაზობდა მხატვრის ისედაც აწუწილი ცხოვრების წარმოსადგენად. ამაღე დროს, გულუბრყვილობა იქნებოდა, გეეფიქრა, თითქოს ჩვენს საუკუნეში მხატვრისადმი, ანდა, საერთოდ, მხატვრობისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეცვლილიყოს. კარგი იქნება, თუ გაიხსენებთ გერმანელი მწერლის პენრიხ ბიოლის სიტყვებს: „ფილმებს ხელოვნებაზე, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ირღვევენ, ვინც ვან გოგის სურათისათვის ერთ ქისა თამბაქოს არ გაიმეტებდა; ისინი ვან გოგს ნახევარ ქისას მისცემდნენ და თან მწარედ ინანებდნენ, ეს რა ექნით, კარგად რომ შეევაჭრებოდით, ერთ მწიკვ თამბაქოსაც დაგვჯერდებოდაო". რასაკვირველია, ყველა კინობელეტრისტზე ამ სიტყვების გაერცელება არ შეიძლება და უსამართლობაც იქნებოდა, ყველასათვის ასეთი რამ დაგეწამებინა, მაგრამ ისიც უნდა ვალიარო, რომ ცნობილი მწერლის სიტყვებში მწარე სიმართლე გამოსჭვივის.

ვან გოგის ნახატები დღეს მსოფლიოს სახელგანთქმული მუზეუმებისა თუ კერძო კოლექციების მშვენებაა, ამიტომ ახლა წარმოუდგენელად გეეჩვენება, ტალანტის ასეთი აშკარა ბრწყინვალება შეუმჩნეველი რომ იყო მისი თანამედროვეებისათვის. თუმცა, ამ თვალსაზრისით, ვან გოგი არც პირველია და, ალბათ, არც უკანასკნელი...

მხატვრის სიცოცხლეში ერთადერთი ნახატი გაიყიდა („წითელი ენახი") და მის შემოქმედებაზე ერთადერთი სერიოზული სტატია გამოქვეყნდა (ალბერ ორიე – „მარტოსულნი. ვინსენტ ვან გოგი", 1890 წ.), რომელმაც სიმარტოვისგან განაწამები, უკიდურესობამდე მისული მხატვარი ააღელვა და გულიც აუწევილა, თუმცა ამან სრულიადაც არ შეუშალა ხელი, ძმისთვის მიწერილ წერილში აორიენა და საკუთარი თავის მისამართით რამდენიმე ირონიული ფრაზა გაერია.

ნამდვილად იყო ასეთი დრო და ეს არც კინორეჟისორებს არ მოუგონიათ. ეს „ტანჯული ადამიანი" წუალებით მიიკვლევდა გზას ხალხში, რომელიც მას ბრბოსაეით ექცეოდა. „მე შეუბრალებლად მიმიყვანდნენ თეითმკვლელობამდეო", – სწერდა ძმას თეითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე. ხალხი კი ვან გოგისთვის უმშვენიერეს და განუმეორებელ სახეთა და ხასიათთა ერთობა იყო. ამიტომაც გულგრილობის, უსამსობის, თითქმის პირუტყვული გაუგებრობებისგან მიყენებული დარტყმები საზარელი ჭრილობებიეით აჩნდებოდა მის სულს.

დღეს ჩვენ ცრემლსა გვგერის მხატვრის ზოგიერთი წერილი, ჩვენი გული სავსეა მისდამი თანაგრძნობით, ამაღე დროს, არ გვშორდება რაღაც გაურკვეველი, ჟრუ სეედა, რომელიც წერილების კითხვის დამთავრების შემდეგ დიდი ხნით ეუფლება ჩვენს არსებას. მხატვრის გასაოცარი მწერლური უნარის გამო გეეჩვენება, თითქოს ყველაფერი, ახ, ახლახან მოშხდარიყოს, თითქოს შეგვეძლო, მხატვრისთვის დახმარება გაგვეწია, ყოველ შემთხვევაში, თანაგრძნობა მაინც გამოგეეთქვა და ვერ კი შეეძელით... ეს ალეგიკური, სრულიად გაუმართლებელი დანაშაულის გრძნობა (ჩვენ ხომ მტკიცე ალიბი გვაქვს – ყველაფერი ეს თითქმის საუკუნის წინ მოხდა) ჭიასავით ღრღნის ჩვენს ფიქრს...

წერილების უმრაელესობა ძმისადმი – თეოდორ ვან გოგისადმია (1857-1891) მიწერილი. დანარჩენი ადრესატები იყვნენ: უმცროსი და – ვილემინა ვან გოგი, ინგლისელი მხატვარი ლიენზი, ფრანგი მხატვრები: პოლ გოგენი, ემილ ბერნარი, პოლ სინიაკი, თეოს ცოლი – იოჰანა ვან გოგ-ბონგერი, ჰოლანდიელი მხატვრები: ანტონ ვან რაპარდი და იოზეფ ისაკსონი, ფრანგი მხატვრობის კრიტიკოსი ალბერ ორიე.

ძმას, შეიძლება ითქვას, წერილს კი არ სწერდა – ყოველდღიურ ანგარიშს აბარებდა დაწერილებით უყვებოდა ყველაფერზე, რითაც ცხოვრობდა, რასაც ხედავდა, რაზედაც ოცნებობდა, ამით ძმას თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების თანამონაწილედ ხდიდა. „მე უშენოდ არაფერი შემიძლია", – სწერს ერთ ბარათში ძმას: – „ჯერჯერობით, ვერ ეიტყვი, ჩემი ხურათები იმ სიკეთედ ღირდეს, რასაც შენ მიწევ, მაგრამ, როგორც კი ჭეშმარიტად კარგ სურათებს დაეზატავ, დღესავით ნათელი გახდება, რომ ჩემზე მცირე წელილი არ მიგიძღვის და ყველაფერი ჩვენ ორივემ ერთად შეექმენით".

პირველი გრძნობა, რომელიც ამ ერთად შეკრული წერილების კითხვის დროს გაგეიჩნდება, არის გაოცება ვან გოგის შემოქმედებითი ენერგიით, ყოველ სტრიქონში ძალუმად რომ ჩქეფს. ეს არ არის წერილები ჩეეულებრივი გაგებით, ეს არის სულის მდგომარეობის ბიულეტენი! რა აქტიურად უნდა ცხოვრობდე, რომ შეგეძლოს, თუნდაც ერთი ასეთი წერილის დაწერა! ეს, ალბათ, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მთელი არსებით განიცდი სიცოცხლეს. „შენს დაწერილ წიგნში, შენს ხატიელში, შენს დახატულ სურათში სიცოცხლე რომ იგრძნოს ეინმემ, სიცოცხლე შენში უნდა იყოს".

ეს არის დიდი მწერლის მიერ დაწერილი წიგნი. ტყეილად კი არ ალნიშნავენ მის „ორეანოვანებას" (იგულისხმება მხატვრობა და მწერლობა). მას აქვს სიტყვის უზადო გრძნობა და ხშარტი მეტაფორული აზროვნების უნარი. მისი მეტყველება მკაფიოა და ისეთივე ცხადი, როგორც ნახატი. ახ, თუნდაც, რას ამბობს ინგლისელ მწერლებსა და მხატვრებზე: მე ისინი მიყვარს, რადგან „ორშაბათის დილასავით ხალმიანები არიან"...

მას უყვარდა მწერლობა ისეედე, როგორც მხატვრობა. მწერლობაც მისთვის ორგანული სტიქია იყო. ეს ერთხელ კიდევ გეახსენებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მწერლობასა და ხელოენებას შორის მხოლოდ პირობითად თუ შეგეიძლია, გაეაელოთ ზღვარი. ეს ორი ოყეანე თავიანთ სილრმეებში ენებიანი მიჯნურებივით ჩახვეულა და სასიცოცხლო ძალას გადასცემს ერთიმეორეს.

გოგენმა თქვა ვან გოგზე: „დიდე, გონკურები, ბიბლია ტეინს უწეაედნენ ამ ჰოლანდიელს". და, ახ, ეს ჰოლანდიელი ფიქრობდა, რომ ხელოენებასა და ლიტერატურას შორის არსებობდა დიადი ნათესაობა: „შექსპირს აქვს რაღაც რემბრანდტისა, მიშლეს – კორეჯოსი, ეიქტორ ჰიუგოს – დელაკრუასი, საბარებას – რემბრანდტისა, რემბრანდტს კიდევ – საბარებისა". საყურადღებოა მისი ასეთი ფრაზაც: „კაეშირს ჩვენს ფერსა და რიხარდ ვაგნერის მუსიკას შორის მაშინეე ვგრძნობდი".

„ლუთერის ბიოგრაფია თუ წაგიკითხავს? – სწერს ვან გოგი ბერნარს, – კრანახი, დიურერი, ჰოლბაინი იქიდან მოდიან". მართლაც, კრანახიც, დიურერიც, ჰოლბაინიც თუ სხვა მრაეალი ნამდეილი მხატვარი შეუძლებელია, წარმოშობილიყო ინტელექტუალური ბიძ-

გების გარეშე. თვითონ ვან გოგის შემოქმედებაც იმის დამადასტურებელია, რასაც არაერთხელ აღნიშნავს თავის წერილებში. ის დაუმცხრალი, გაშმაგებული წიკრუკილი, „სიხარბე“ (ვან გოგის სიტყვაა) ლიტერატურის წაკითხვის კი არა — შეწოვის, შესისხლხორცების, შეთვისების, გათავისების, — ლაპარაკობს ამ შემოქმედის ერთ-ერთ თავისებურებაზე, რომ მას უსათუოდ სჭირდებოდა ლიტერატურული (საერთოდ, ინტელექტუალური!) ბიძგები, რომლებიც მის ცხოველმყოფელ ფანტაზიას კონკრეტული ხელოვნების სახით აყალიბებდა.

ორიენსადმი მიწერილ სამადლობელ წერილში ვან გოგი მონტიჩელისა და ბოკაჩოს მსგავსებას აღნიშნავს. იგივე ორიე გოგენს თელილა ფერწერაში სიმბოლიზმის მამამთავრად, რომელსაც სიმბოლისტური ლიტერატურის პრინციპები მხატვრობაში გადმოაქონდა (ალბერ ორიე — „სიმბოლიზმი მხატვრობაში. პოლ გოგენი“. 1891 წ.).

„წიგნი, ხელოვნება და სინამდვილე ჩემთვის ერთი და იგივეა“, — ამბობდა მხატვარი. ის განუწყვეტლივ კითხულობდა წიგნებს, თვით სულით აუადმყოფთა ლაზარეთშიც. სწორედ სულით აუადმყოფთა ლაზარეთში „ღვთის წყალობად მიაჩნია“, რომ შექსპირის წიგნს კითხულობს.

როგორც ცნობილია, მხატვრის შემოქმედება იყოფა ჰოლანდიურ და ფრანგულ პერიოდებად. ამ ორ პერიოდს შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ შეიძლება ვიფიქროთ, ჰოლანდიური პერიოდის ნახატები ერთ მხატვარს ეკუთვნის, ფრანგულისა კი — მეორეს. იგივე შეიძლება ეთქვათ ვან გოგის წერილებზეც. ისინიც თითქოს ორი სხვადასხვა ადამიანის მიერაა დაწერილი, იმდენად განსხვავებულია ინტერესთა სფერო, გატაცებები, იმდენად შეცვლილია ცხოვრებისადმი დამოკიდებულება. საერთოდ, მხატვრის ბიოგრაფია დრამატული მეტამორფოზების ციკლური თანამიმდევრობაა: ერთი პიროვნების წიაღიდან იბადება მეორე, სრულიად განსხვავებული პიროვნება, რომელიც, ამავე დროს, აგრძელებს პირველის დაწყებულ საქმეს.

. ჰოლანდიური პერიოდის წერილებში ასახული ცხოვრება მხატვრისა გაცილებით მძლავარეა და შფოთიანი. ბობოქარია მხატვრის ჭაბუკური გატაცებანი, ზოგჯერ ოჯახური განხეთქილების მიზეზად რომ ქცეულა ახალგაზრდა ეინსენტი ცხოვრობს „ხარბად“, ახალგანთავისუფლებული პატიმრის თავდავიწყებით. ყველაფერი ერთბაშად უნდა, მაგრამ ჯერჯერობით არ იცის, ნამდვილად რა სჭირდება. ჯერ ადრეა იქამდე, რომ ცხოვრების ეკლებით დაჭხვლეტილი იტყვის: „ცხოვრებისათვის საჭიროა, ცხოვრობდეო“. სიმართლესთან ახლოს ეიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ჯერჯერობით კი არ ცხოვრობს, არამედ ცხოვრების ირგვლივ ტრიალებს და შიგ კი ვერ შეუღწევია, მის კედლებს ეხეთქება (ერთ-ერთ წერილში აქეს ასეთი ფრაზა: „... კირით შეფეთქილი ყრუ კედელი“).

ჰოლანდიური პერიოდი, ეს არის ძიებათა და გატაცებათა მტკივნეული, მაგრამ, მეორე პერიოდთან შედარებით, მაინც ბედნიერი ხანა მისი ცხოვრებისა — „გაბაუხულის ღელვანი“! მართალია, სიმარტოეის გაყინული ხელების შეხებას ახლაც გრძნობს, მაგრამ ჯერ კიდევ არ უბილავს მისი ნამდვილი სახე.

1872 წელს ჰაგის სამხატვრო სალონის უმცროსი ნოქარი ეინსენტ ვან გოგი პირველ წერილს მისწერს თავის უმცროს ძმას — თეოს. ეს არის ამ შესანიშნავი წიგნის პირველი სტრიქონები, ამავე დროს, ის პირველი იღუმალი სხივი, რომელიც მალე მათი მეგობრობის შემკვრელ თოკად უნდა იქცეს.

1873 წელს ეინსენტი ფირმის ლონდონის ფილიალში გადაიყვანეს. მხატვრის ნოქრად მუშაობის გამო ერთ-ერთი მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, ვან გოგმა სურათებით ვაჭრობა კი არა, სურათებზე ფიქრი ისწავლაო. სწორედ ლონდონში იჩენს თავს მისი დაუმცხრალი ინტერესი რელიგიისადმი. შეიძლება, ეს ოჯახის გაელენთაც აიხსნას, მაგრამ ჭაბუკის გატაცება ისეთი მღელვარეა, რომ სოფლის მღვდლის თავდაჭერილი ოჯახისათვის ნამდვილად მოულოდნელი და შეუფერებელია.

1876 წელს ეან გოგი სამუდამოდ ანებებს თავს ფირმას. იწყება ცხოერებაში ადგილის ძიება. მხატვარი შეპყრობილია მძაფრი სურვილით, რამე სარგებლობა მოუტანოს ეინმეს. აქედან კი უკვე ერთი ნაბიჯია ჯერ მასწავლებლობის, შემდეგ კი სახარების მქადაგებლობის იდეამდე. ამ დროს მისთვის ყველაზე სასატიო ცნება მისიონერობაა. ის სიცოცხლის ბოლომდე მისიონერად დარჩა, თავისი მხატერობით სიკეთის მქადაგებელი იყო ბოლომდე.

1877 წელს ეან გოგი გადაწყვეტს, შეიდეს ამსტერდამის ღეთისმეტყველების ფაკულტეტზე. მისთვის ჩეეული გატაცებით დაიწყო კიდეც ამისთვის მზადება, მაგრამ პრაქტიკული სარგებლობის მოტანის წადილმა გადასძლია. შედის მისიონერთა სკოლაში ბრიუსელის მახლობლად. სამი თვე გაუძლო მასწავლებელთა მომაბეზრებელ ჩიჩინს. მერე დაკრა ფეხი და წავიდა ბორინაჟში მისიონერად. მის ახლობლებს ეჩვენებათ, რომ ის ეერაფერს ბოლომდე გულს ეერ უდებს. საქმე ის არის, რომ მისი პიროვნება უფრო სწრაფად იზრდება, ეიდრე მისი ცოდნა. ამიტომაც რომელიმე კონკრეტული საგნისადმი თუ მოელენისადმი ინტერესი მას სწრაფად უნელდება. ამასთანავე, არც იმის დაეიწყება შეიძლება, რომ მას ჰქონდა საგნის ათვისების გასაოცარი უნარი, ამიტომაც მხატერის არეულ-დარეული, ხანმოკლე ცხოერების მიუხედავად, სრულებითაც არ არის საკვირველი ის დიდი განათლება, მისი წერილებიდან რომ გამოსჭეიეის.

1879 წელს ეამში იღებს სახარების მქადაგებლის ადგილს. რამდენიმე თვის მერე იმ ადგილიდან ათავისუფლებენ. ათავისუფლებენ კურიოზული მიზეზით: მოყვასის გადამეტებული სიყვარულისთვის და არა მარტო მოყვასის, ღმერთის თითქმის სიშმაგემდე მისული სიყვარულისთვისაც. რასაკვირველია, ორთოდოქსული ეკლესიისთვის ასეთი ენება თავხედობის სინონიმად უნდა ქცეულიყო და ასე მოხდა კიდეც. აუკრძალეს ის, რასაც მთელი არსებით მიელტვოდა – მისიონერობა და სახარების მქადაგებლობა, თუმცა ამას სრული გაუგებრობისა და სიძულვილის მეტი არაფერი მოუტანია მისთვის; სიძულვილი – უმწიკვლო სამსახურისა და სათნოების ხანაცელოდ.

მისიონერობაზე ის თითქმის ყრმობიდანვე ოცნებობდა. მისიეე სიტყვით რომ ეთქვათ, ეწადა, სინათლე მიეტანა ბნელში მყოფისთვის. „მაშ, ეის სჭირდება ეს ნათელი ყველაზე მეტად?.. მათ, ვისაც ბნელში, დედაშიწის შავ წიაღში უხდება შრომა – მაგალითად, მალაროელებს". ბორინაჟში – სამხრეთ ბელგიის ქვანახშირის მოპოეების ცენტრში – უკითხაედა ის მალაროელებს ბიბლიას და არა მარტო ბიბლიას უკითხაედა, მათ უკიდეგანო გაჭირეებასაც იზიარებდა, ბაეშეებს უელიდა, ავადმყოფის სასთუმალთან იჯდა („ყველაზე უკეთესად სიყვარულის არსს მაშინ მიხედები, როცა სნეულის საწოლთან ზიხარ"). ეგონა, რომ ეიღაცას ეხმარებოდა. სწორედ ამ პერიოდში იქცა ის, როგორც თვითონ თქეა, „სხეა ადამიანად".

1881 წელს მიემგზავრება ჰაագაში და სწაელას იწყებს ცნობილ მხატვარ ანტონ მაუეესთან. მის წერილებში მაუეეს სახელი ბეერჯერ გამოჩნდება.

ჰაագაში, უიღბლო სიყვარულისგან გონებააბნეული (მისთვის ჩეეული გაბელებით უყვარდა თავისი ნათესავი ქვრივი, რომელიც ემალებოდა, გაურბოდა, თითქოს ეშინოდა კიდეც მისი), ცოლად ირთავს კრისტინას (სინს), ქუჩის ქალს, რომელიც, ყველა ბედნიერებასთან ერთად, ორსულადაც იყო. მხატვარს ეჩვენება, რომ ასე ნაჩქარევად და ხელოვნურად შეკოწიწებული ოჯახი მისთვის მშვიდ ნაპყრუდელად იქცევა. სურს, ნორმალურ ადამიანურ ცხოერებას დაუბრუნოს ქალი, რომელიც ჰგონია, რომ უყვარს, უფრო სწორად – თავს აჯერებს, მიყვარსო. მის მიერე შექმნილი ეს იძულებითი მდგომარეობა ეხმარება, დაიეიწყოს, ანდა, უკეთეს შემთხეევაში, არ იფიქროს თავის ნამდეილ სიყვარულზე, რადგან ფიქრიც კი ენით აუწერელ ტკიეილს აყენებს. ბარათები, სადაც მისი და კრისტინას ერთად ცხოერებაა მოთხრობილი, დიკენსის საკადრისი კალმითაა დაწერილი. ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ეინსენტის ეს თავისთავად კეთილშობილური გან-

ზრახვა – წუმპედან ამოეყვანა ადამიანი – მარკვით დამთავრდა კრისტინამ თვითონ უარყო მისი გრძნობა, რომელსაც, გულახდილად რომ ეთქვათ, ქველმოქმედების იერი უფრო ჰქონდა, ვიდრე სიყვარულისა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნათესავებმა და ნაცნობებმა ეინსენტს ზურგი შეაქციეს. მისი საქციელი ამ საზოგადოებაში მიღებული ყველა ეთიკური ნორმის ფეხქვეშ გათელვა იყო. ამაზე დროს, მხატვრის ასეთი უცნაური დაჟორწინება ყველამ ერთგვარ გამოწვევადაც მიიღო. ეინსენტი კლავე მარტოდმარტო დარჩა. თეოსაც კი ცხრა თვის განმავლობაში არ სწერდა წერილს...

სიჭაბუკის გულუბრყვილო გატაცებანი დამთავრდა.

ამ დროს ის ხშირად ახსენებს იესო ქრისტეს, გამუდმებით თვალწინ უდგას მისი სახე, ოღონდ არა მისტიკური საფარველით შენიღბული სახე ღმერთკაცისა, არამედ სახე ტანჯული ადამიანისა, რომელსაც, მისი თქმით, „უფრო ძლიერ უყვარდა ეს ქვეყანა, ვიდრე ჰგონიათ". მხატვარი თავის თავსაც „ტანჯულ ადამიანს" უწოდებდა.

ხვამდა თუ არა მას ბოლომდე ღმერთი? თუ მოვლენებს ცოტათი გადავასწრებთ და ფრანგული პერიოდის წერილების მიხედვით ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ მისმა რწმენამ აშკარად დაკარგა ადრინდელი მგზნებარება. მაშ, რაზე უნდა მიგვანიშნებდეს ეს ფრაზა: „ეიქტორ პიუგო ამბობს, ღმერთი მოციმციმე შუქურაა, ხან ინთება, ხან კი ქრებაო. ჩვენთვის ახლა უთუოდ ის მომენტია, როცა შუქურა ჩაქრა". ხარჯოდ, ამ პერიოდში ღმერთზე ძალიან ცოტას ლაპარაკობს. რამდენჯერმე ახსენებს ქრისტეს. ეს სახე მას ბოლომდე ალელვებს რალაც იდუმალი მსგავსების გამო. „ქრისტე ხარის ერთადერთი ფილოსოფოსი... ეისაც მთავარ ჭეშმარიტებად, არსებობის აუცილებელ პირობად და გამართლებად მარადისობა სიცოცხლისა, უსასრულობა დროისა და არარსებობა სიკეთილისა, თაყვანწირვა და სულის ნათესაობა მიაჩნია". ამ დროს ქრისტესადმი მისი დამოკიდებულება, შეგეიძლია, ეთქვათ, ლიტერატურულია ანდა, ზოგიერთ შემთხვევაში – ფილოსოფიური. ქრისტეს სახე მას იზიდავდა იდეისადმი შეურყეველი ერთგულებისა და ცხოველმყოფელური ქმედების უნარის გამო. ამასთანავე, ქრისტეც მისთვის, ალბერ ორიეს გამოთქმა რომ ეიზმაროთ, „მარტოსულია"! ვან გოგი ქრისტეს გეთსიმანიის ბაღში ხატავს. იგი სეედიანია, დალლილი, დაეჭვებულიც კი...

ფრანგულ პერიოდში ეინსენტ ვან გოგი რელიგიას, როგორც, საერთოდ, ყველაფერს, პრაქტიკოსის თვალით უყურებდა, რამდენად შეიძლებოდა, გამოეყენებინა ის მთავარი მოწოდების – მხატვრობის – სრულყოფისათვის.

1886 წლის 26 თებერვალს ვან გოგი ანტვერპენიდან პარიზში გადადის. აქ ძმის წყალობით, რომელიც ჯონ რევალდის დახასიათებით, „იყო მორცხვი, გულწათხრობილი ადამიანი, ერთ-ერთი მცირედთაგანი, ეისაც გაარნია ხაკმაო ჭკუა, რათა გაიგოს დროის ახალი ტენდენციები, ალმაჩინოს ახალი თუ აქამდე შეუმჩნეველი ტალანტები და თავისი ალმოჩენები გააგებინოს ყველას, ეისაც კი შეხედება", – ეცნობა ახალ მხატვრობას, იმპრესიონიზმს, და იწყება კიდეც ახალი პერიოდი მის ცხოვრებაში – ფრანგული პერიოდი, რომელიც რამდენიმე მშრალი თარიღის მიხედვით ასე გამოიყურება:

1888 წ. 21 თებერვალს ჩადის არლში.

1889 წ. მაისიდან 1890 წ. მაისამდე სენ-რემის სულით ავადმყოფთა ლაზარეთშია.

1890 წ. იანვარში ქვეყნდება პირველი რეცენზია მის შემოქმედებაზე. აეტორია ალბერ ორიე.

1890 წ. 14 თებერვალს „ოცთა ჯგუფის" გამოფენიდან გაიყიდა მისი „წითელი ვენახი".

1890 წ. 21 მაისს ჩადის ოვერში.

1890 წ. 27 იელისს რევოლვერით სასიკვდილოდ დაიჭრის თავის.

1890 წ. 29 იელისს კვდება მის სიკვდილს ესწრება თეო, რომელიც ექიმმა გაშვემ გამოიძახა. ეინსენტმა ძმას, როგორც კი დაინახა, უთხრა: „ნუ იტირებ, ასე ყველასთვის უკეთესი იქნება".

გოგენი წერდა: „მან მუცელში ტყვია დაიხალა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა, ლოგინში იყო წამომჯდარი და ჩიბუხს ეწეოდა. გარდაიცვალა სრულიად სალი გონებით, გამსჭვალული თავისი ხელოვნების სიყვარულით და ისე, რომ არაფერი სიძულვილი არ გაუჩენია".

ვან გოგის საფლარელმა მწერალმა დოდემ თქვა: „სიძულვილი სუსტთა გულისწყრომაა".

მართლაც, სალი და ნათელი გონებით მოკვდა სიკვდილის წინ თამამად შეეძლო, გაემეორებინა ძმისადმი ადრე მიწერილი ფრაზა: „ახლა უფრო ღრმად მწამს და მიყვარს, ვიდრე უწინ".

დასაფლავებულია ოვერის სასაფლაოზე.

1891 წ. 26 იანვარს ჰოლანდიაში გარდაიცვალა თეოდორ ვან გოგიც — თეო.

1914 წელს თეო გადმოასვენეს ოვერში და დაასაფლავეს ძმის გვერდით.

ფრანგული პერიოდი იწყება იმპრესიონისტებისა და იაპონელი მხატვრების ნახატების აღმოჩენით. მართლაც, ჰოლანდიელი მხატვრისათვის ეს იყო სრულიად ახალი, ზღაპრული სამყარო. ჯონ რევალდი წერს: „ვან გოგი შეპყრობილი იყო იმ მორწმუნის გზნებითა და მორჩილებით, ხასწაულის მოწმე რომ გამხდარა". ეს ახალი ხელოვნება, რომელიც მოულოდნელად შეეფეთა ცხოვრების გზაზე, მისთვის ნამდვილად ხასწაული იყო და ამ ხასწაულმა ერთბაშად და მთლიანად დაიპყრო მისი გული და გონება.

„ანტვერპენში არ ვიცოდი, იმპრესიონისტები ვინ იყვნენ. ახლა გავიცანი და, თუმც მათ რიგებს არ ეკუთვნი, აღტაცებული ვარ ზოგიერთი სურათით", — სწერს ლივენზს. თავისი დიდი ნიჭის წყალობით, იმ უცებ ოთხებებს ყველაფერ იმ ხაუკეთესოს, რაც კი იმპრესიონიზმს გააჩნია არ ეშინია გაელენებისა, რადგან თამამია და, ამასთანავე, სწამს საკუთარი შესაძლებლობებისა. იმპრესიონიზმის სკოლაში იხ პასიური და მორჩილი შეგირდი არ გახლავთ. აღტაცებასთან ერთად, საკმაოდ მწვავე კრიტიკულ შენიშვნებსაც გამოთქვამს. შეიძლება, დაეჭვითებით ითქვას, არაფერს, არც ერთ მხატვრულ სკოლას, არც ერთ მიმდინარეობას არ მოუხდენია მასზე ისეთი დიდი გავლენა, როგორც იმპრესიონიზმმა მოახდინა. იხ თუმცა შემდეგაც რამდენჯერმე გაიმეორებს, იმპრესიონისტთა რიგებს არ ეკუთვნოო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ჰოლანდიელი ფრანგული იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი და მისი მშვენება გახდა.

ამავე დროს, ვან გოგი უალრესად არის გატაცებული იაპონური მხატვრობით, აკვირდება, სწავლობს, ბაძავს, თამამად იყენებს მის მოტივებს. იმპრესიონისტებს „ფრანგ იაპონელებს" უწოდებს.

არლში ახალი ჩასულია, რომ წერს: „მე ეგრძნობ თავს, როგორც იაპონიაში". აი, სამხრეთ საფრანგეთის ამ პატარა ქალაქში, ამ პატარა „იაპონიაში", ფერთა რაგორი ზეიმია დანთებული: „ქარის ერთ ძლიერ მოქროლვას ცა გადაეწმინდა და ის მზიარულად დანათოლა წეიმით დასველებულ წითელ სახურავებს. სწორედ პროცესიის დაბრუნებას მიეუსწარით. მთელი საათი გაგრძელდა კაპიუშონიანე თეთრი, ლურჯი, რუხი მომწანიებლების, რიდეჩამოფარებული ქალიშვილების მსელელობა. შემდეგ მოლიოდნენ ოქროსყვაელებიანი ვარდისფერი ბაირაღები, ეკრაფგადაკილებული დიდი ხის წმინდანები, რომლებიც ორ-ორ კაცს მოჰქონდა მხრებზე გადებული. ქამუნარის წმინდანი ქალები, კერპებიეით შეფერადებული, დიდი თაიგულებით ხელში; შესამოსლები, ბარძიმები, მწვანე ხაეერდის გაეალაკები, თეთრი აბრეშუმის ჩარჩოიანი ჯვარცმები; ყოველივე ამას ქარი არხეედა კელაპტრებისა და მზის სინათლეზე, ფსალმუნების, ლიტანიებისა და მთელი ძალით მოგუგუნე ზარების ხმაში", — გერონტი ქიქოძის მიერ ქართულად თარგმნილი ამ სტრიქონების ავტორი ალფონს დოდეა, ამ კუთხის, პროვანსის შვილი. ეს პასაჟიც გულუხეი ფერმწერის მიერაა გადმოცემული. უნებურად მახსენდება ვან გოგის ერთი ფრაზა არლიდან გამოგზავნილი წერილიდან: „... თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი, ვარდისფერით გაწყობილი მწვანე ან, თუნდაც, ყვითლით გაწყობილი ცისფერი სამოსი"...

მართალია, ერთ-ერთ წერილში ეინსენტი ძმას სწერს: „საშინელი მზიარულება, დიდე რომ ამცენს გეესაუბრება, მე აქ, საერთოდ, არ მინახავსო“, მაგრამ არ უნდა დაგვაეიწყდეს, რომ მისთვის ამ ლროს მხიარულება, გართობა აღარ არსებობს – პროვანსში ცხოვრების ლრო არის მხატვრის სრული მარტოობის ხანა ეს სიმარტოვე, რომელიც მას ადრე უმკაცრეს სასჯელად მიაჩნდა („სიმარტოვე... ციხესაეითაა“), ახლა ოეიოთნ აირჩია. ადრისდელი, მშფოთვარე გატაცებების ნატამალიც არ ჩანს, სიჭაბუკის ენებები დამცხრალია რაც უფრო მეტი კაშკაშა ფერი ჩნდება მის პალიტრაზე, რაც უფრო მზიური, ალტერნებული ხდება მისი ფერწერა, მით უფრო უფერულდება მხატვრის პირადი ცხოვრება სიყვარულის ადგილი, რომელსაც ასეთი სახელისწერო მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის და რომელსაც პოეტის მგზნებარებით გამოხატავდა, ახლა ირონიამ და სარკაზმმა დაიკავა იტყვის: „საროსკიპოში შეეიხედავ ზოგჯერ, უცოლო კაცი ვარ“. ახლა ის სულ სხვა ადამიანია. იშეიათად, რომ ადამიანმა საკუთარი თაეი ასე გარდაქმნას. ახლა მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ფერები არსებობს, ფერები კი ახეთი ლეთაებრიეი გულუხვობითაა გადმოლერილი ამ „ახალ იაპონიაში“. ამ ლროს ის იაპონელ მხატვართა გრაეიურების მსგავს ნახატებზე ოცნებობს. არლის პეიზაჟს იაპონელი მხატვრის თვალით უყურებს: „... თოვლიანი პეიზაჟები – თეთრი მწვერეალებით, უკანა პლანზე თოლეიით ელეარე ზეცა რომ მოჩანს, იაპონელ მხატვართა ზამთრის პეიზაჟებს მომაგონებს“. დაბეჯითებით შეგეიძლია ეთქვათ, რომ ამ შემთხვეევაში აშკარად პოკუსაის ნახატს გულისხმობს. პოკუსაი მისი ერთ-ერთი ყველაზე ძეირფასი მასწაელებელია: „... პარიზში ერთი ლეც რომ მოვხვედებოდე, უსათუოდ ბინგთან შეეიელიდი პოკუსაის და დიადი ეპოქის სხეა მხატვართა ნახატების სანახავად“, – სწერს ძმას.

„დიადი ეპოქა“ ტოკუგაეას ეპოქაა (1603-1668), რომელსაც ალორძინდა უკიიოეს კულტურა („უკიიოე“ – თანამედროეე, მოდური), განთქმული ხელოენების მრაეალი დიდებული ძეგლით, მათ შორის, უპირველეს ყოელისა, უნდა მოეიხსენიოთ სახელგანთქმული „კაბუკის“ თეატრი, პოეტებიდან კი მარტო ბასიოს დასახელებაც კმარა ამაეე კულტურის მშეენებაა სამი დიდი მხატვარი: უტამარო (1753-1806), პიროშიგე (1797-1858) და პოკუსაი (1760-1849).

პოკუსაის საფლაეის ლოდზე აწერია: „შესანიშნაეი მხატვარი, პატიოსანი ადამიანი“. ეს მართლა შესანიშნაეი მხატვარიც ორ ენას ფლობდა ხატეასთან ერთად ლექსებსაც და მოთხრობებსაც წერდა, კარგად იცოდა ჩინური და იაპონური კლასიკური ლიტერატურა.

პოკუსაი 89 წლისა მოკედა სიკედილის წინ მხატვარს უთქეამს: „თუ კიდეე ათ, თუნდაც ხუთ წელს მაწუქებდნენ, მე, ბოლოს და ბოლოს, დიდი მხატვარი გაეხდებოდი“. ეან გოგმა კი სიკედილის წინ ერთი წელი ინატრა, ოღონდ ბუნებით თაემდაბალმა (ორიეს სწერდა: „დამერწმუნეთ, რომელიც მე შეეასრულე ან მოშაეალში შეეასრულებ, მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოეან რომლად რჩება“) ისიც დაუმატა, ერთი წელი იმიტომ ეინატრე, ჩემი თაეი, საერთოდ, მხატერად რომ ჩამეთეალათ“ – „ერთი წელიც და ალბათ, ჩემს თაეს მხატერად ჩაეთელენ“. როცა ამ სიტყეებს ამბობს, თითქმის ყველა ხატკეთესო ნაწარმოები უკეე შექმნილი აქეს...

ეან გოგის გარდატეალებიდან დიდი ხნის მერე შესანიშნაეი იაპონელი მწერლის აკუტაგაეა რიუნოსკეს მოთხრობაში „იდიოტის ცხოერება“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უბრწყინეალესი ლიტერატურული ნაწარმოებია, გაიელეებს დიდი პოლანდიელი მხატერის სახე „მოჭრილი ყურითა და კბილებში გაჩრილი გრძელი ჩიბუხით“. იაპონელ მწერალს, ეტყობა, ლრმად შეუსწაელია ეან გოგის შემოქმედება, ლრმად და ზუსტად გაუგია მისი მთაეარი მიდრეკილება. აი, რას ამბობს იხ თაეის გმირზე, რომელიც წიგნის მალაზიის ეიტრინასთან დგას და ათეალიერებს ეან გოგის სურათებს: „... უეცრად მიხვდა, რა არის ფერწერა. რასაკეირეელია, ეს სურათები რეპროდუქციები იყო, მაგრამ რეპროდუქციაშიც შეიგრძნო ბუნების სინორჩე“.

მხატვარს ხომ ტილოზე სწორედ ბუნების სინორჩის გადმოტანა ეწადა სურათს კი არ ქმნიდა, არამედ, მისი სიტყვით რომ ვთქვათ: „დასრულებული სახით პოულობდა ბუნებაში“. მისი აზრით, მხატვარს ბუნების წიაღში მზამზარეულად არსებული სურათი ისევე უნდა მოპოვებინა, როგორც მალარიელს – ნახშირი. მისთვის მხატვარი ისეთივე მშრომელი იყო, როგორც მალარიელი. საერთოდ, შრომა ვან გოგისთვის ნიჭის სინონიმია. შრომისუნარიანობას „მეორე სიჭაბუკს“ უწოდებს. ამაყად აცხადებს: „მე მუშა ვარ!“ ამავე დროს, ვან გოგისთვის მიუღებელია „ზუსტად ნატურის შესატყვისი კოლორიტი ან ნახატი“, რადგან იცის, რომ ეს „მნახველს... ეერასოდეს აალელებს“. ის ეძებს პოეზიას, რომელიც სჯერა, „ყოველ ნაბიჯზეა, თან დაგეყვება, იგი ჩვენს ირგვლივ ყველგანაა, მაგრამ ეს, რომ მისი ქალაღდზე გადატანა ბევრად ძნელია, ვიდრე ტკბობა ამ პოეზიით“. დღედაღამ ჯიუტად, პაგიოგრაფიული წმინდანის სიკერპით ებრძვის ამ სიძნელეს, თავისი ცხოვრების აზრად გაუხდია ნახატის პოეზიად ქცევა, ცდილობს, პოეზიის ყოველგვარი გამოვლინება იმწამსვე ჩაიხატოს, დაიჭიროს, დაატყვევოს, რათა სხვისთვისაც ხელმისაწვდომი გახადოს ეს ადამიანური არსებობისთვის ასე აუცილებელი რამ. ნამდვილი მხატვარი ნამდვილი პოეტიცაა, სიტყვაც ისევე უჭრის, როგორც ნახატი, ფერი. წერილებს, ჩვეულებისამებრ, ჩანახატებს ურთავს ხოლმე. მაგრამ იმავე წერილებში სიტყვებითაც აქვს შექმნილი ბუნების მეტყველი სურათები, სიტყვებითა აქვს გადმოცემული „ბუნების სინორჩე“ – „... იისფერი მიწა, უკანა პლანზე – კედელი, წერწეტა ალვები და ძალიან ლურჯი ცა“

ის სიმარტოვეში ქმნიდა. ფრანგული პერიოდი გარესამყაროსაგან მისი თითქმის სრული იზოლაციის ხანაა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ეს სიმარტოვე, სიმარტოვის ციხის პატიმრობა მან თვითონ აირჩია, რადგან ყველაფერი, არსებითად, შემოქმედებას დაუკავშირა, შესწირა, ანაცვალა, მისთვის შემოქმედება არსებობის აზრად იქცა. საკვირველი, თითქმის არაადამიანური სიმკაცრითა აქვს დაგეგმილი მთელი ცხოვრება. ითვლის ყოველ წუთს, წამსაც კი, რომ უქმად არ დაკარგოს. მის ყოფას ახლა პირობითად თუ შეიძლება, ცხოვრება ვუწოდოთ, სინამდვილეში ეს არის სურათის დასამთავრებლად საჭირო დრო, მეტი არაფერი! სულით აკვდმყოფთა ლაზარეთშიაც კი განაგრძობს დასახული გეგმის შესრულებას. მშვიდად და გულგრილად ლაპარაკობს გადატანილ ან მოსალოდნელ შტევებზე, თუმცა ყოველ ასეთ შტევას მისი სიცოცხლის უზარმაზარი ნაწილი მიაქვს.

„ოთახი, სადაც წვიმიან დღეებს ვატარებთ ხოლმე, მესამე კლასის მგზავრებისთვის განკუთვნილ დარბაზს მოგაგონებს რომელიღაც მიყრუებული სადგურისას – მით უმეტეს, რომ აქ ისეთი დარბაისელი გიჟებიც არიან, რომლებიც ქუდებს არ იხდიან, სულ სათვალეს უკეთიათ, ხელჯოხებს, სამგზავრო მოსასხამებს არ იშორებენ. გეგონება, სადმე ზღვისპირა კურორტზე იყვნენ. თანაც თავი ისე უჭირავთ, ვითომდა მართლაც მგზავრები ვართო“. რა ტიტანური სიმშვიდითაა დაწერილი ეს სტრიქონები, თითქოს თვითონაც ამ „მიყრუებული სადგურის“ ბინადარი არ იყოს! და, აი, ამ „მიყრუებულ სადგურში“ იმაზე ფიქრობს, „ადრინდელზე უკეთესი მუშაობა უნდა ვისწავლოო“. ესეც მისი ნათქვამია: „მე დღემდე ვიმედოვნებ, რომ მარტო ჩემი თავისთვის არ ვმუშაობ“ და „მინდა, ჩემი სურათებით სანუგეშო სიტყვა ვუთხრა ადამიანებს“. სულის როგორი სიმტკიცეა საჭირო, ვან გოგის მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა ეს სიტყვები რომ თქვას!

ამავე დროს, იძულებითი თუ ნებით არჩეული სიმარტოვე მანიც მძლავრობდა. ნელნელა აცლიდა იმ საყრდენებს, რომელთა მეშვეობითაც ჯერ კიდევ უძალიანდებოდა სამშინელ ავადმყოფობას. ქვეყანა მისთვის თანდათანობით ცარიელდებოდა, ეს იყო ყველაზე შემაძრწუნებელი და დამთრგუნველი რამ – ცარიელი სამყარო, ცარიელი ბუნება, ცარიელი საგნები... ქვეყანა უადამიანოდ! სხვანაირად რომ ვთქვათ, – საგნების გასაოცარი, ტრანსცენდენტური „სიმარტოვე“. ეს საგნები ზღვის ნაპირზე გამორიყული ხომალდის ნამსხვრევებივით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებენ, აღძრავენ გამოუვალი სიმარტოვის განცდას...

ცარიელი კაფე... ცარიელი ოთახი... ცარიელი ნაცები... სავსოლი... სკამი... წაღები...

პაილეგერი ამბობდა: „ეან გოგის „წაღები" გამორჩეულია ათასი მისი მსგავსისგან. იგი ერთადერთადაა ქცეული და ყოფიერების შესახებ გეელაპარაკება". ამ არაადამიანური ყოფიერების გაყინულ ზედაპირზე საკუთარი ხელით ყურმოჭრილი მხატვრის ხახე ირეკლება...

ადრე, სიჭაბუკეში ეან გოგი წერდა: „მეგობრობა, ძმობა, სიყვარული – აი, უზენაესი ძალა, აი, ყოველისშემძლე ჯადო-თილისმა, რომელიც საყრობილის კარს გაგიღებს ვინც ამას მოკლებულია, მკედრად ჩაითვლება".

„მიყვარს და ამით ბედნიერი ვარ" – ეს 1881 წელსაა დაწერილი და, შეიძლება ითქვას, უმაღლესი აკორდია მისი დრამატიზმით სავსე გატაცებებისა. მერე და მერე კი მისი ცხოვრებიდან სიყვარული უკეალოდ ქრება ფრანგული პერიოდის ყველაზე უფრო მძაფრი ამბავი პოლ გოგენთან მეგობრობაა, რომელიც ასევე სრული მარცხით დასრულდა. ეან გოგმა გოგენზე თქვა: „იგი დიდი მხატვარი და ჩინებული მეგობარია". გოგენი თავის წიგნში „უწინ და შემდგომ" იტყვის: „ეან გოგისგან მეც ვარ დავალებული". ნუ იფიქრებთ, თითქოს გოგენი ამ სიტყვებში შემოქმედებითს გაელენას გულისხმობდეს. თურმე იმიტომ ყოფილა ეან გოგისგან დავალებული, რომ უკიდურესი გაჭირვების დროს თავი დაიმშვიდოს, ჩემზე უბედური ადამიანებიც არსებობენო. მაგრამ ამ სიტყვების ცინიკური საფარველი მაინც ვერ ფარავს ნამდვილ ადამიანურ წუხილს, გულგრილობის ეკლებიდან რომ იჭერიტება ბოლოს და ბოლოს, ესეც გოგენის ნათქვამია: „ის ჩემდამი უდიდეს სინაზეს იჩენდაო".

ამგვარად, გაქრა სიყვარული, გაქრა მეგობრობაც... დარჩა ძმობა, რომელიც მისთვის იქცა მეგობრობაზე და, საერთოდ, ყველაფერზე მაღალ, სულთა აბსოლუტური სინქრონულობის, სულთა სიმბიოზის გამომხატველ ცნებად. თუკი მას პირად ცხოვრებაში მცირედი ილბალი მაინც ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო უმცროსი ძმის, თეოს, დიდი სიყვარული, რომელმაც ათქმევინა მხატვარს: „მე ხომ უშენოდ არაფერი შემიძლიაო". წერილების ეს წიგნიც, ისევე, როგორც ყველა მნიშვნელოვანი წიგნი, გვასწავლის, რომ ადამიანს ყველაფერზე მეტად სჭირდება სიყვარული, თანაგრძნობა, რწმენა ადამიანი სასწაულმოქმედია, როდესაც მისი სწამთ.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მხატვარს სამშობლოს ელ-მინდერების დანახვა მოენატრა. ეს სულდა თითქოსდა მისგან მოულოდნელი იყო, მას ხომ აქამდე ერთი სიტყვაც არ დასცდენია ჰოლანდიაზე. თუ არ ეცდები, მხოლოდ ერთხელ ახსენა ჰოლანდიელი მწერალი მულტატული, როცა ფრანგი მწერლების ნაწარმოებებით სულს ითქვამდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ, ამასთანავე, სამშობლოს ეს მონატრება სრულიადაც არ არის მოულოდნელი. მის არსებაში ნოსტალგიამ თითქმის მაშინვე მოიკიდა ფეხი, როცა იაპონელებისა და მონტიჩელის ნაცელად რემბრანდტზე დაიწყო ფიქრი. რემბრანდტი კი მისთვის იყო „ოდნავ შეხსნილი კარი ზეადამიანურ უსაზრულობაში". სამშობლოს ეს ბოლო მონატრება ძალზე მტკივნეული იყო. „ერწმუნდები – ჩრდილოეთში დაბრუნება ჩემთვის უთუოდ საჭიროაო", – ამბობდა ყოველი ადამიანი, რაც უნდა შორს იყოს გადახვეწილი სამშობლოდან, უხილავი ფესვით არის დაკავშირებული მასთან. ეს ფესვი ერთხელ მაინც აგტკივდება და გაგახსენებს თავს, თუნდაც სამარის პირას ეკი მას, ეისაც ეს ფესვი არასოდეს წამოსტკივებია... სხვათა შორის, გოგენის უკანასკნელი სურათი, რომელიც მან ტროპიკებში დახატა, იყო თოლში ჩაფლული ბრეტანული ხოფელი.

რაც უნდა მძიმე იყოს ამის თქმა, მაინც ეან გოგის თვითმკელელობა მისი ხანმოკლე ცხოვრების ლოგიკურ დასასრულად მოჩანს. მხატვარს ნებისყოფამ კი არ უმტყუნა, არამედ სწორედ საკმაო ნებისყოფა აღმოაჩნდა იმისთვის, რომ თვითონ გადაეწყვიტა საკუთარი ყოფნა-არყოფნის პრობლემა. ერთმა იაპონელმა თქვა აკუტაგავას თვითმკელელო-

ბასთან დაკავშირებით: „შესაძლოა, რომ აკუტაგაეა სრულებითაც არ უარყოფდა ადამიანურ ცხოვრებას და ცხოვრებას, საერთოდ. მან მხოლოდ დაკარგა იმედი, რომ თეითონ შეძლებდა ცხოვრებას შემდგომში“. ეს სიტყვები შეიძლებოდა ეან გოგის მისამართითაც გაგეემეორებინა.

ერთ-ერთ წერილში მხატვარი კითხულობდა: „არის სიკედილი დასასრული? იქნებ შემდგომად სიკედილისა მაინც არის კიდევ რამე?“ თეითონაც ხომ „არსებობის აუცილებელ პირობად და გამართლებად მარადისობა სიცოცხლისა, უსასრულობა დროისა და არარსებობა სიკედილისა“ ალიარა!

ამ წიგნის ყველა სტრიქონი მხურვალე გულისა და ნათელი გონების ნაყოფია. წერილების ამ კრებულიდან მეტად საინტერესო პიროვნება გეესაუბრება, პიროვნება, რომლის მნიშვნელობაც გაცილებით დიდია, ეიდრე მის მიერ შექმნილი მხატვრობა, რადგან ეან გოგი იყო არა მარტო დიდი მხატვარი, არამედ მხატვრობისთვის, ხელოვნებისთვის, საერთოდ, ადამიანური ნათელი იდეისთვის წამებული შემოქმედი.

თამაზ ჭილაძე

ჰოლანდიური პერიოდი

თეოდორ ვან გოგს

პაპას

აგვისტო, 1872 – მაისი, 1873

ვინსენტ ვილემ ვან გოგი დაიბადა 1853 წლის 30 მარტს გრუნტ ზუნდერტში (ჩრდილო ბრაბანტი) პასტორ თეოდორ ვან გოგის (1822-1885) ოჯახში.

მომავალი მხატვრის სეტიალი და ტანჯვა-წამებით სავსე ცხოვრება 1869 წლის 30 ივლისს დაიწყო, როცა თექვსმეტი წლის ვინსენტი ჰააგის სამხატვრო სალონის (პარიზის ფირმის — გუპილი და კ° -ს ფილიალის) უმცროს გამყიდველად მოაწყვეს. თეოს, უმცროს ძმას, რომელიც ჯერ დედა-მამასთან ცხოვრობდა და სკოლაში სწავლობდა, 1872 წლის პირველ წერილებს აქედან სწერდა.

ვინსენტის, მოგვიანებით კი თეოს (თეოდორ ვან გოგ უმცროსის, 1857-1891) განწესება ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობაში ოჯახმა მიძეების: ჰენდრიკ ვინსენტის (ძია პეინის), ფირმა გუპილი და კ° -ს კომპანიონის — ვინსენტის (ძია სენტის ან, როგორც ზოგჯერ წერილებში იხსენიება, ძია ს-ს) და კორნელის მარინიუსის (წერილებში ხშირად კ.მ.-დ მოხსენიებული ძია კორის) გაელენით გადაწყვიტა. სამივე ბიძა სურათებით და ესტამპებით ვაჭრობდა.

2. *13 დეკემბერი, 1872.* მამამ ძალზე კარგი ამბავი შემატყობინა. სულითა და გულით გისურვებ ბედნიერებას. ეიცი, სიხარული ბევრი მოგელის: ეს ხომ, მართლაც, კარგი საქმეა.[1] შენს ცხოვრებაში მრავალი რამ შეიცვლება.

მიხარია, ერთ დარგსა და ერთ საქმეს რომ ვემსახურებით, ახლა ერთმანეთს ხშირად უნდა ეწეროთ ხოლმე. იმედი მაქვს, ეიდრე წახვიდოდე, უთუოდ გნახავ: ჩვენ ჯერ კიდევ ბევრ რამეზე მოვითათბირებთ.

ჩემი აზრით, ბრიუსელი სასიამოვნო ქალაქია, მაგრამ პირველად გეუცხოვება. ჩახვალ თუ არა, მაინც მომწერე. კარგად იყავი. ვჩქარობდი და ორიოდე სიტყვა მოგწერე, მაგრამ ხომ უნდა მალე მეთქვა, ამ ამბავმა რა ძალიან გამახარა. გისურვებ ბედნიერებას.

5. *17 მარტი, 1873.* ლონდონში რომ მიეშგზაერები, რა თქმა უნდა, გაიგებდი. თანაც, ეტყობა, მალე წაეალ. იმედი მაქვს, მანამდე ერთმანეთს კიდევ ვნახავთ... ლონდონში სხვაგვარი ცხოვრება ველის: საქირაოებ ოთახში მარტო ვიცხოვრებ, მაშასადამე, ბევრ რამეზე, რაზედაც

---

[1] გადაწყდა, რომ თეოსაც სურათებით ვაჭრობისთვის მოეკიდა ხელი. ახალი წლიდან იგი ბრიუსელში, გუპილის ფირმაში დაიწყებდა სამსახურს, ამ ფირმის მეთაური ადრე ძია პეინი იყო, იმჟამად კი – ბატონი შმიდტი.

ახლა ფიქრიც არ მიწეეს, ზრუნეა თეითთოს მომეხდება. შესთეის, ცხადია, გასაგებია – ლოსდოხის გაცნობა ძალიან მინდა, აქაურობის მიტოეება კი მენანება. როცა ჩემი გამგზაერება უკეე გადაწყდა, მაშინდა მიეხედი, პააგა როგორ მყეარებია, თუმცა, ახლა ეეღარას ეიზამ. ამიტომაც, ეს ამბაეი არ მინდა, გულთან მიეიტანო. ეს გამგზაერება ჩემს ინგლისურს ხომ მაინც არგებს: ინგლისური კარგად მესმის, ლაპარაკით კი, როგორც მსურს, ისე ეერ ელაპარაკობ...

აღდგომის შემდეგ ორი კეირა ამსტერდამში გაეატარე, – იმ გამოფენის სანახაეად, რომელსაც იქიდან ეენაში გზაენიან. საინტერესო გამოფენაა. ნეტაე ეიცოდე, რა შთაბეჭდილებას მოახდენენ პოლანდიელები ეენაში. ინგლისელი მხატერები მაინტერესებს: ჩეენ ხომ ამ მხატერებს ნაკლებად ეიცნობთ, რადგან მათი სურათები თითქმის მუდამ ინგლისში რჩება.

ლონდონი

ივნისი, 1873 – მაისი, 1875

1873 წლის მაისში ვინსენტი ჰააგიდან ფირმის ლონდონის ფილიალში გადაიყვანეს. მან პირველად ლონდონში იცრძნო სიყვარული და გულიც პირველად იქ გაუტყდა (სასლის პატრონის ქალიშვილი, რომელიც ვინსენტს შეუყვარდა, დანიშნული ყოფილიყო). გულდაძიებულმა შეეგულება შინ გაატარა (1874 წლის ივლისში), ამის შემდეგ კარჩაკეტილ ცხოერებას შეუდგა და ავადმყოფურად დაინტერესდა რელიგიით, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის სოფლის მქადაგის ოჯახში აღმოჩნდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ძია სენტმა 1874 წლის ოქტომბერში ვინსენტის პარიზში გადაყვანა მოახერხა. 1875 წლის იანვრიდან მაისის შუა რიცხვებამდე კი იგი ისევ ლონდონშია.

13. *იანვარი, 1874.* შენმა წერილმა გამაგებინა, რომ ხელოენება სულითა და გულით გიყეარს. ძალზე კარგია, ჩემო ბიჭუნა. მიხარია, რომ მოგწონს მილე, ჟაკი, შრაიერი, ლამბინე, ფრანს ჰალსი და ა.შ. მაუეე ტყუილად როდი ამბობს, რომ „ეს ნამდეილი მხატერობაა“. დიახ, მილეს „საღამოს ლოცეა“ ჯეშმარიტი მხატერობაა, ეს სიმდიდრეა, პოეზიაა. როგორ ენატრობ ხელოენებაზე შენთან საუბარს! კიდეე კარგი, რომ შეგეიძლია, ყოეელიეე ამის შესახებ ხშირად მიწეროთ ერთიმეორეს. ეძიე მხოლოდ მშეენიერი, ეძიე, რაც კი შეგიძლია: უმეტესობა მშეენიერებას ძნელად თუ ჰპოეებს.

დაგისახელებ ზოგიერთ მხატეარს, ეისაც განსაკუთრებით ეაფასებ: შეფერი, დელაროში, პებერი, ჰამონი, ლეისი, ტისო, ლაჟი, ბოუტონი, მილესი, ტეის მარისი, დე გრუ, დე ბრაკელერ-უმცროსი, მილე, ჟიულ ბრეტონი, ფეიენ-პერენი, ექენ ფეიენი, ბრიონი, იუნდტი, გეორგ საალი, ისრაელსი, ანკერი, კსაუსი, ეოტიე, ჭურდანი, კონტ-კალი, როპიუსენი, მეისონიე, მადრაცო, ზიემი, ბუდენი, ჟერომი, ფრომანტენი, დეკანი, ბონინგტონი, დიაზი, ტ. რუსო, ტროიონი, დიუპრე, კორო, პოლ გიუე, ჟაკი, ოტო ეებერი, დობინი, ბერნიე, ემილ ბრეტონი, შენიუ, სეზარ დე კოკი, მადმუაზელ კოლარი, ბოდმერი, კუკუკი, სხელფჰოუტი, ეეისენბრუხი და ბოლოს (რიგით და არა მნიშენელობით) – მარისი და მაუეე. ამ სიას

კიდევ უსასრულოდ გავაგრძელებდი – ამათ მოხუცებს მივაყოლებდი. თანამედროვე საუკეთესო მხატვართაგანაც, ეიცი, ბევრი გამოშრენებოდა.

ცადე, ხშირად ისეირნე, როგორც ადრე გჩვეოდა ხოლმე. ბუნება გიყვარდეს – ხელოვნების სიღრმეთა წვდომას ყველაზე უკეთ ასე ისწავლი. მხატვრებს ბუნების კარგად ესმით, უყვართ იგი და გვასწავლიან, რა როგორ უნდა დაეინახოთ; ისეთი მხატვრებიც არიან, სულ კარგი სურათები რომ აქვთ. მათ, უბრალოდ, ცუდად ხატვა არ შეუძლიათ, ისევე, როგორც არიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებმაც რაც უნდა აკეთონ, კარგად გამოსდით. მე აქ კარგად ვარ: მშვენიერი ბინა მაქვს და სიამოვნებით ვეცნობი ლონდონს, ინგლისელთა ცხოვრების წესს, თვით ინგლისელებს. ამას გარდა, ჩემ ხელთაა ბუნება და ხელოვნება, პოეზია. აბა, მეტი რა ეისურვო? მაგრამ პოლანდია არ მაეიწყდება, განსაკუთრებით კი – პააგა და ბრაბანტი.

21. *10 აგვისტო, 1874.* „თქვენ ხორცთაებრ სჯით, ხოლო მე არაეის ვსჯი". „ვინ უცოდველ არს თქვენთაგანი, პირველად მან დაუტევენ ქვაი მაგას ზედა".

შენს აზრებს მტკიცედ უნდა იცავდე, მაგრამ თუ ეჭვი გეპარება, იმის აზრებს შეადარე, ეინც გაბედა, ასე ეთქვა: „მე ვარ ჭეშმარიტებაი", შეადარე და შეამოწმე. ან არადა, სხვა პუმანური ადამიანის, ეთქვათ, მიშლეს აზრები გაიხსენე: „კაცი, ხორციელად ბიწიერი, შესაძლოა, იყოს სულით უბიწო". შენ გინახავს არი შეფერის „მარგარიტა შადრევანთან". ამ „აგრერიგად შეყვარებულ ქალიშვილზე" უმწიკვლოს ხომ ვეღარაეის წარმოიდგენ?

„ლეისი მიმბაძველი კი არ არის, იმაეე სულისკვეთებით მუშაობს", – სწორი დასკვნაა და ამ დასკვნამ მეც გამაოცა. იგიეე ითქმის ტისოს ზოგიერთ სურათზედაც – „გასეირნება თოვლზე" ანდა „ქალაქის მიწაყრილზე გასეირნება", „მარგარიტა ეკლესიაში" და ა.შ.

ჩემი გამოგზაენილი ფულით იყიდე ალფონს კარის „გასეირნება ჩემს ბაღში", უთუოდ იყიდე, მინდა, ეს წიგნი წაიკითხო. მე და ა.[1] ყოველ საღამოს დავსეირნობთ. შემოდგომა უკვე დგება და ამის გამო ბუნებას უფრო ინტიმური და სერიოზული იერი აქვს.

26. *8 მაისი, 1875.* აეადმყოფი[2] როგორ არის? მამა ამბობდა, აეად არისო, მაგრამ თუ ასე აეად იყო, არ ეიცოდი. ეცადე, მალე მიპასუხო.

პო, ჩემო კარგო, კ. მ. და ბატონი თერსტეხი აქ იყვნენ; წინა კვირას გაბრუნდნენ უკან. ეფიქრობ, „კრისტალ-პალასსა" და სხვა ამდაგვარ ადგილებში ასე ბეჯითად არ უნდა ეელოთ. ეს მათი საქმე სულ არ იყო, ხომ შეეძლოთ, ერთხელ ჩემთანაც მოსულიყვნენ, დაეხედათ, როგორ ეცხოვრობ. იმედი მაქვს (თანაც მჯერა), რომ ისეთი სულაც არა ვარ, როგორიც ბევრს ერთი შეხედვით ეეჩვენები. მადროვეთ და ენახათ. რამდენიმე წელი რომ გაეა, შენზედაც, ალბათ, ამას იტყვიან – ყოველ შემთხვევაში, თუ რაც ახლა ხარ, ის იქნები – ჩემი ძმა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხელს მაგრად გართმევ. მომიკითხე აეადმყოფი.

„თუ გინდა, რომ კაცობრიობას ემსახურო, მისთვის იცოცხლო, შენი თაეისთვის უნდა მოკვდე. რელიგიური იდეის მჭონე ხალხისათვის, გარდა ამ იდეისა, სხვა სამშობლო არ არსებობს. ადამიანი ქვეყნად იმის-

[1] ანა, ეინსენტის და

[2] ეინსენტის და თეოს დისშვილი -- ანეტ პანებეკი, რომელიც მალე გარდაცვალა

იეის კი არ მოდის, ბედნიერებაში დალიოს დღენი, სხეაია შორის, არც იმისთეის, პატიოსნად რომ განელოს სიცოცხლე. ადამიანი ქეეყნად მოდის, რათა სასოგადოებას დიადი რამ შესძინოს და სულით ამაღლდეს, რათა თაეი დააღწიოს იმ უხამს ყოფას, მის მოძმეთ რომ ხედომიათ წილად"[1].

პარიზი
მაისი, 1875 – მარტი, 1876

1875 წლის მაისის შუა რიცხვებში ეინსენტი კლაე პარიზში გადაიყვანეს, თუმც არ უნდოდა იქ დაბრუნება. სამხატერო სალონში სამსახური თანდათანობით უფრო შეზიზღდა. 1876 წლის 1 აპრილს კი ფირმა გუპილი და კ° სამუდამოდ მიატოვა.


27. ***31 მაისი, 1875.*** გუშინ კოროს გამოფენა ეინახულე, კერძოდ, მისი „გეთსიმანიის ბაღი" ენახე. რა კარგია, ეს სურათი რომ დაუხატაეს. მარჯენიე, მწუხრის ლურჯი ცის ფონზე, ზეთისხილის რამდენიმე ხე მრუმედ მოჩანს. უკანა პლანზე ბუჩქნარით მოსილი ბორცეები და ორი-სამი სუროიანი დიდი ხეა; ხეებს თაეს ადგას საღამოს ეარსკელაეი. სალონში კოროს სამი ლამაზი სურათია. მათ შორის ყეელაზე ლამაზის მიხედეით შექმნილია გრაეიურაც. ალბათ, „ილუსტრასიონში" ან „მონდე ილუსტრეში" დაიბეჭდება. ეს „შეშისმჭრელი ქალებია", რომელიც კოროს სიეედილამდე ცოტა ხნით ადრე დაუხატაეს. რა თქმა უნდა, ეიყაეი ლუერშიც, ლუქსემბურგის მუზეუმშიც. ლუერში არის რეისდალის დიდებული სურათები: „ბუჩქი", „მზის სხიეი", „საგუბარი". მინდა, ლუერში როდისმე ნახო რემბრანდტის პატარა ნამუშეერები – „მოწაფეები ემაუსში" და ერთმანეთის ჯუფთი ორი „ფილოსოფოსი".

29. ***29 ივნისი, 1875.*** აქ მილეს ნახატების გამოფენა-გაყიდეა მოეწყო; გწერდი თუ არა, აღარ მახსოეს. ოტელ დრუოს* დარბაზში რომ შეედიოდი, სადაც ეს ნახატები გამოეფინათ, დაახლოებით ასეთი გრძნობა დამეუფლა: „წარიხადენ ხამლნი ფერხთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა სდგა, ქეეყანა წმინდა არს".

30. ***6 ეელისი, 1875.*** ოთახი მონმარტრზე ეიქირაეე. ეფიქრობ, უნდა მოგეწონოს. პატარაა, მაგრამ პირდაპირ სუროთი და უსურეაზით გადაბურულ ბაღში გადის. აი, რომელი გრაეიურები მიკიდია: რეისდალი. „ბუჩქი". კელაე რეისდალი. „ტილოს სამთეთრებლოები". რემბრანდტი. „ბიბლიის კითხეა" (საღამო, ძეელი პოლანდიური სახლის დიდი ოთახი. მაგიდაზე სანთელი ანთია. ჩეილის აკეანთან ყმაწეილი დედა ბიბლიას კითხულობს, დედაბერი ზის და უსმენს.). ამის შემხედეს გაგახსენდება: „ამინ, გეტყეით თქეენ: სადაცა იყუნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათეის, მუნ ვარ მე შორის მათსა". ეს არის ჩინებული ძეელებური გრაეიურა სპილენძზე, „ბუჩქის" ზომისა. ფილიპ დე შამპენი. „მანდილოსნის პორტრეტი". კორო. „საღამო". ისეე კორო. ისეე „საღამო". ბოდმერი. „ფონტენბლო". ბონინგტონი. „გზა". ტროიონი. „დილა". ქიულ

[1] ე. რენანი.

დიუპრე. „საღამო“. მარისი. „მრეცხაეი ქალი“. ისეე მარისი. „მოსაოელა“. მილე. „დღის საათები“ (ოთხი ხეზე ნახატი გრაეიურა). ეან დერ მაატენი. „დასაწყლაეება ყანაში“. დობინი. „განთიადი“ (ყიეის მამალი). შარლე. „სტუმართმოყეარეობა“ (ფიჭეებით გარშემორტყმული ფერმა, ზამთარი, თოელი. კართან დგანან გლეხი და ჯარისკაცი.). ედ. ფრერი. „მკერაეი ქალები“. ისეე ედ. ფრერი. „მეკასრე“.


GOUPIL & Cie
Éditeurs Imprimeurs
ESTAMPES FRANÇAISES & ÉTRANGÈRES
Tailleurs Anciens
Rue Chaptal, 9. PARIS.
Succursales à la Haye, Londres, Berlin, New York
Paris le 31 Mai 18[illegible]

33. *13 აგვისტო, 1875.* ჩემი სურათების სიაში (რომელიც ჩემს ოთახში კიდია) გამომრჩა: ნ. მაასი. „შობა უფლისა“. ჯამონი. „პირქუში ზამთარი რომ ეიყო“. ფრანსე. „უკანასკნელი თბილი დღეები“. რიუიპერეზი. „ქრისტეს მიბაძეა“. ბოსბოომი. „ეიგალობოთ ფსალმუნი“.

38. *17 სექტემბერი, 1875.* ბუნების გრძნობა, გრძნობა მისი სილამაზისა — თუნდაც ფაქიზი, სულ სხეა რამ არის, ეიდრე გრძნობა რელიგიური; თუმც, ჩემი აზრით, მათ შორის მტკიცე კაეშირია. ბუნებას გრძნობს თითქმის ყეელა, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებ; მაგრამ ძალზე ცოტანი გრძნობენ, რომ „სულ არს ღმერთი და თაყეანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყეანის-ცემაჲ“.

42. *11 ოქტომბერი, 1875.* მადლობელი ეარ წერილისთეის, დილით რომ მიეიღე. ამჯერად ისეთ წერილს მოგწერ, იშეიათად რომ მომიწერია. სხეა სიტყეით რომ ეთქეა, დაწერილებით შეგატყობინებ, როგორ ეცხოერობ. როგორც იცი, მონმარტრზე დაესახლდი, აქეე ცხოერობს ახალგაზრდა, თერამეტი წლის ინგლისელი, ფირმის მოსამსახურე, ლონდონელი სურათებით მოეაჭრის ეაჟი. მერე, ალბათ, მამის კომპანიონი გახდება. აქამდე ოჯახს არასოდეს მოსცილებია და პირეელ ხანებში საოცრად ბრიყეულად იქცეოდა: მაგალითად, დილას, სადილად და საღამოს 4-6 სუს პურს შეჭამდა (სხეათა შორის, პური აქ იაფია) და ორიოდ გირეანქა ეაშლს, მსხალს და ა.შ. დააყოლებდა. მაგრამ მაინც ჯოხიეით არის გამომხმარი, მსხეილი, წითელი ტუჩები აქეს, ჩარიკრიკებული მაგარი კბილები, ელეარე თეალები, დიდი, მუდამ გაწითლებული, გაფშეკილი ყურები, წმინდად გადაკრეჭილი თაეი (თმა შაეი აქეს) და ა.შ. და ა.შ. გარწმუნებ, სულ სხეა ქმნილებაა, ეიდრე ფილიპ დე შამპენის „მანდილოსანი“.

ამ ქმაწეილზე ყეელანი ბეერს იცინოდნენ, წარმოიდგინე, პირეელად — მეც. მერე კი თანდათან უკეთესად ეეპყრობოდი და ახლა კიდეც მიხა-

რია, საღამოებს რომ მასთან ეატარებ. ბაეშვიეით სუფთა გული აქეს და ყოსაღადაც მუშაობს ფირმაში. ყოველ საღამოს შინ ერთად ებრუნდებით, ჩემს ოთახში დაენაყრდებით და მერე ხმამაღლა ეკითხულობთ უმეტესად ბიბლიას. თაეიდან ბოლომდე ეაბირებთ წაკითხვას. დილით, ჩეეულებრიე, ხუთიდან ექვს საათამდე შემოდის და მაღეიძებს ხოლმე; ეისაუზმებთ და, დაახლოებით, რეა საათისთეის სამსახურში მიეეშურებით. ამ ბოლო დროს ჭამას უკლო, გრაეიურების შეგროეება დაიწყო და მეც ეეხმარები.

გუშინ ლუქსემბურგის მუზეუმში ერთად წაეედით; იმ სურათებს ეაჩეენებდი, მე რომ ყეელაზე მეტად მომწონს. დამერწმუნე, გამოუცდელთ ბეერი ისეთი რამ იციან, რაიც მცოდნეთაც არ უწყიან...

სამსახურში, რაც მომხედება, ყეელაფერს ეაკეთებ: ასეთია ეს ჩეენი საქმე, ჩემო ბიჭუნა. ოღონდ ძალ-ღონის დაუზოგაეად მაკეთებინა ყეელაფერი! შეასრულე ჩემი რჩეეა? გადაყარე რენანის, მიშლეს და სხეათა წიგნები? ეფიქრობ, სიმშეიდეს ასე უფრო მოიპოეებ. იმ გეერდს, მიშლე რომ ფილიპ დე შამპენის ქალის პორტრეტზე ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, არ დაიეიწყებ; არც რენანი დაიეიწყო; მაგრამ მაინც მოიშორე ეს ყეელაფერი. „თაფლი ჰპოო, ჭამე კმა საყოფელი, რათა არა განსძღე, გასთხიო“, – იგაეში ასეა ნათქეამი.

43. *14 ოქტომბერი, 1875.* ერთ-ორ სიტყეას კიდეე მოგწერ, რათა თაეიც გაეიმხნეო და შენც გაგამხნეო. გირჩიე, წიგნები გადაგეყარა და ამ რჩეეას კელაე გიმეორებ; უსათუოდ გადაყარე და მშეიდად იქნები. მაგრამ იცოდე, შეზღუდული და გაუბედაეი ამის შემდეგაც ნუ გახდები, რაც კარგადაა დაწერილი, წაიკითხე; უნდა იკითხო – კითხეა დიდი ნუგეშია ცხოერებაში. „დაე, მხოლოდ ჭეშმარიტი, მხოლოდ უმწიკეელო, მხოლოდ უბიწო ეუფლებოდეს ზრახეათა თქეენთა. მხოლოდ სიწმინდეს, მხოლოდ სიყეარულს, სიკეთესა და სათნოებას ეეუთენოდეს ფიქრნი თქეენნი“. ესწრაფე ნათელს, ეძიებდე თაეისუფლებას, ცხოერების ჭაობს განერიდე, მეტისმეტად ნუ ჩაეფლობი. რომ იცოდე, როგორ მინდა შენი აქ ყოფნა – ლუერს და ლუქსემბურგს ერთხელ მაინც გაჩეენებდი; როცა იქნება, ეგრძნობ, შენც ჩამოხეალ ამ ქალაქში. მახსოეს, ერთხელ მამამ მომწერა: „არ დაგაეიწყდეს იკაროსი, მზესთან აფრენა რომ მოინდომა, გაფრინდა, მაგრამ ძალიან მალე ფრთებმა უმტყუნა და ზღეის ტალღებზე დაენარცხაო“. ბეერჯერ იგრძნობ – არც შენ და არც მე ჯერ ისეთები კიდეე არა ეართ, როგორებიც გეინდა, რომ ეიყოთ, რის იმედიც გეაქეს, ეიქნებითო. ბეერი გეაკლია, ეიდრე ისეთნი გაეხდებოდეთ, მამა რომ არის, ანდა სხეები. საამისოდ ჯერ არ გეყოფნის არც სიმტკიცე, არც სიწმინდე, არც უბრალოება: უბრალო და გულმართალი ასე უცებ ეერ გახდები.

მაინც ბოლომდე უნდა გაეუძლოთ, ესე იგი, პირეელყოელისა, საჭიროა, მოთმინება მოეიკრიბოთ: ეისაც სწამს, ის არ ჩქარობს. თანაც, ჩეენსა და იკაროსს შორის განსხეაეებაა: მან მოინდომა მზესთან აფრენა, ჩეენ კი გესურს, გაეხდეთ ქრისტიანები. ეფიქრობ, ძლიერი აგებულება ხელს არაფერში შეგეიშლიდა; ამიტომ კეებაზე უნდა იზრუნო; როცა გშია ან, უფრო სწორად, მადაზე ხარ, კარგად ჭამე. დამერწმუნე, ასე მეც ხშირად მოქცეულეარ, მეტადრე – უწინ. განსაკუთრებით ამას გირჩეე – პურს მიეძალე, ჩემო ბიჭუნა. „პური სიცოცხლის საფუძეელია“, – იტყეიან ხოლმე ინგლისელები (თუმცა თეითონ ხორცი უყეართ და მეტისმეტად ბეერსაც ჭამენ). წერილი მალე გამომიგზაენე და ამჯერად საყოველდღეო ამბებიც მომწერე.

49. *13 დეკემბერი, 1875.* ,,აინე და ულანდი, ჩემი არ იყოს, ეხედავ, რომ შენც აღმოაჩინე. მაგრამ ფრთხილად, ჩემო ბიჭუნა. ლექსები ფრიად სახიფათოა: ილუზია მალე ქრება და ნუ მიენდობი... მათი წიგნები, უეჭველია, ხელში მერეც ჩაგივარდება, პოდა, ეაშინ სხვაგვარი გრძნობით წაიკითხავ, უფრო მშვიდად და დაწყნარებით.

50. *10 იანვარი, 1876.* ჩვენი შეხვედრის შემდეგ ჯერ არაფერი მომიწერია: ამასობაში აქ ისეთი ამბავი მოხდა, რაც არცთუ ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის. ბატონ ბუსოს ისევ რომ შეეხედი, შეეკითხე, სასურველი იქნება თქვენთვის, თუ მომავალ წელს ისევ ფირმაში ვიმუშაებ, ჩემი დარჩენის წინააღმდეგ სერიოზული მიზეზი ხომ არაფერი გექნებათ-მეთქი? თურმე ამაოდ არ მიკითხავს. ბუსომ სიტყვაზე დამიჭირა და განმიცხადა, შეგიძლია, შენს უფროსებს ყველაფერზე, რაც სამსახურში შეისწავლე, მადლობა უთხრა და პირველი აპრილიდან მიბრძანდეო.

ვაშლი თუ მომწიფდა, ნიავიც იოლად ჩამოაგდებს; ახლაც სწორედ ასე მოხდა: ვერაფერს ვიტყვი – მართლაც, ხშირად ვაკვირდები ისეთ რამეს, რაც, გარკვეული თვალსაზრისით, სწორი არ იყო. პოდა, ასე, ჩემო ბიჭუნა, ჯერჯერობით კიდევ არ ვიცი, როგორ მოვიქცე; მაგრამ მხნეობას ნუ დაკარგავთ, იმედსაც ნუ გადაიწყვეტთ. სიკეთე პქონ და ეს წერილი ბატონ თერსტეხს წააკითხე – მან ყველაფერი უნდა იცოდეს; მაგრამ, ალბათ, ემჯობინება, თუ ამჯერად სხვებს არას ეტყვი – ისე მოიქცი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

55. *19 თებერვალი, 1876.* ამ დღეებში ელიოტის მშვენიერი წიგნი წავიკითხე, სამი მოთხრობა: „სცენები კლერიკალური ცხოვრებიდან". განსაკუთრებით ბოლო მოთხრობამ ამაღელვა. „ჯენეტის სინანული" – ასეთია ამ მოთხრობის სათაური. ეს არის ერთი ქალაქელი მღვდლის ამბავი, რომელიც ღარიბთა უბანში ცხოვრობდა. კაბინეტიდან ბოსტნები ჩანდა. ამ ბოსტნებში კომბოსტო იდგა. ჩანდა წითელი სახურავები და საკვამურები უბადრუკი სახლებისა. საღილად თითქმის მოუხარშავ ცხერის ხორცსა და უხვირო კარტოფილს ჭამდა. ოცდათოთხმეტი წლისაც არ იყო, როცა მოკვდა. ძალიან დიდხანს ავადმყოფობდა. ერთი ქალი პატრონობდა, რომელიც მანამდე ლოთობდა, მაგრამ მისი დარიგების, მისი დახმარების წყალობით თავს ძლია და სულის სიმშვიდე მოიპოვა. საფლავზე წაუკითხეს თავი საღმრთო წერილიდან, სადაც ნათქვამია: „მე ვარ აღდგომაი და ცხორებაი, რომელსა პრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხონდესეე".

58. *28 მარტი, 1876.* კიდევ ორიოდ სიტყვას მოგწერ. პარიზიდან წერილს, ალბათ, უკვე აღარ გამოეგზავნი, როგორც ეტყობა, პარასკევს საღამოს აქედან წავალ; ეს იმიტომ, რომ შაბათ დილას, თანაც შობას, უკვე შინ ვიყო. გუშინ მიშელის ექვსიოდე სურათი ვნახე. რა იქნებოდა, შენც ჩემთან ერთად ყოფილიყავი! სურათებზე წისქვილისკენ მიმავალი ქვიშიანი გზები მოჩანს, ვიღაც კაცი უკაცრიელი გზით შინ ბრუნდება; ყველაფერ ამას თავს დასცქერის ნაცრისფერი ცა. ყოველივე უბრალო და ლამაზია. ასე მგონია, მოწავეები ემაუსში ბუნებას სწორედ ისე ხედავდნენ, როგორც მიშელი: მუდამ ისინი მაგონდებიან, როცა მი'შელის სურათებს ვუცქერი.

ჟიულ დიუპრეს სურათიც ვნახე, დიდი სურათი. მთელ სიერცეზე,

სადამდეც კი თვალი მისწვდება, მოჩანს შაეი, ჭაობიანი სიადაგი. უკანა პლანზე მდინარეა, წინ კი ტბორი. ტბორთან დგას სამი ცხენი. ტბორშიც და მდინარეშიც ირეკლება თეთრი და ლეგა ღრუბლების მწკრიეი, რომელსაც მზე მოპფარებია. პორიზონტი მეწამული და რუხ-წითელია, ცა კი – ძალზე ნაზი-ცისფერი. ეს სურათები დიურან-რიუელთან* ენახე. აქ თითო ფრანკად კაცი იყიდის ოცდაოთხ ცალამდე მილეს, ამდენსავე მიშელის და დიუპრეს, კოროს, სხვათა და სხვათა ბევრ გრაეიურას, რაც საოცრად მაცდუნებელია. ეერ მოეითმინე და მილეს „საღამოს ლოცეის“ სამი უკანასკნელი გრაეიურა მაინც ეიყიდე. მერე ერთ-ერთი, რა თქმა უნდა, შენ უნდა მოგცე.

59. *4 აპრილი, 1876.* დილით, პარიზიდან წამოსელის წინ, რამსგეიტელი მასწაელებლის წერილი მიეიღე. იგი ერთი თეით იქ ჩასელას მთაეაზობს (უხელფასოდ); ერთ თეეში ნახაეს, გამოეადგები თუ არა. შეგიძლია, წარმოიდგინო, რა კმაყოფილი ეარ, რაღაც რომ ეიშოეე. ჭამა-სმა და ბინა მაინც ხომ უფასო მექნება. მე და მამა გუშინ ბრიუსელში წაეედით; ძია პეინი ცუდ დღეში დაგეხედა. მატარებელში მე და მამამ სურათებზე კიდეე დიდხანს ეილაპარაკეთ, კერძოდ, რემბრანდტის სურათებზე, ლუერში რომ არის; განსაკუთრებით ბურგომისტრ სიკსის პორტრეტზე. უფრო მეტი კი – ისეე მიშელზე ეისაუბრეთ. მამას მიშელზე რაიმე წიგნს ეერ ეუშოეით? თუ შესაძლებლობა მოგეცემა, გაიხსენე. მიხარია, გამგზაერებამდე შენცა და ლ-საც კიდეე რომ გნახაეთ. რამსგეიტი, როგორც იცი, საკურორტო ადგილია; ერთ წიგნში წერია, 12 000 კაცი ცხოერობსო. ეს არის და ეს, მეტი მასზე არა ეიცი რა.

რამსგეიტი და აილვორტი

აპრილი, 1876 – დეკემბერი, 1876

ფირმა გუპილსა და კ°-სთან განხეთქილების შემდეგ ვან გოგის ცხოურებაში ძიებისა და ხეტიალის ხანგრძლივი პერიოდი დაიწყო. ის ხომ მუდამ ისწრაფოდა, ადამიანებისათეის ერგო რაიმე. ჯერ შეეცადა, მასწაელებელი გამხდარიყო; ხოლო შემდეგ, რელიგიური საკითხებით ავადმყოფური დაინტერესების ზეგაელენით, მქადაგებლობა მოისურეა. 1876 წლის აპრილში, მშობლების თანხმობით, რამსგეიტში — ინგლისში, მისტერ სტოკსის კერძო სკოლაში მასწაელებლად და აღმზრდელად მოეწყო. ივნისში სკოლა აილვორტში გადაეიდა და ვინსენტიც გაჰყვა. თაეისუფალ დროს ლონდონისა და უელინის სანახაედად დადიოდა, სადაც მაშინ მისი და — ანა — ცხოვრობდა. პირველი ივლისიდან ვინსენტმა მეთოდისტთა პასტორ მისტერ ჯონზის სკოლაში მქადაგებლის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა.

61. *17 აპრილი, 1876.* გუშინ, დღის პირეელ საათზე, მშეიდობიანად ჩამოეედი. ერთ-ერთი პირეელი შთაბეჭდილება ამ არცთუ ისე დიდი სოლის ფანჯარა იყო, რომელიც ზღეისკენ იყურება. ინტერნატში ოცდაოთხი ბიჭუნაა – ათი-თოთხმეტი წლისანი არიან. მისტერ სტოკსი ორიოდე დღით ქალაქიდან სადღაც წასულა და ამიტომ ჯერ არ მინახაეს; ამბობენ, ამ საღამოს დაბრუნდებაო. მასწაელებლის თანაშემწე ერთი სხეაც არის – ახალგაზრდაა, ჩეიდმეტი წლისა.

სანაპიროზე უმეტესად ყვითელი ქვით აშენებული სახლები დგას, ისევე როგორც ჰაგაში, სასაულაანზე, მაგრამ უფრო მაღლებია და პატარ-პატარა ბაღებიც აქვს კედრებითა და მუქი ფერის მარადმწვანე, სასიამოვნო ბუჩქების რიგით. არის, აგრეთვე, ათასნაირი გემებით საესე, ქვისჯებირიანი საესადგური. ამ ჯებირებზე სეირნობაც შეიძლება. გუშინ მზე არ დაგეისახაეს.

მოგეიანებით სკიერებს გაეხსნი – ეს-ეს არის, მომიტანეს, – და ოთახში ჩემს ზოგიერთ გრაეიურას ჩამოეკიდებ. არადაეგებია და გაკეთილების ჩატარება ჯერ არ შიწყეს. მოუთმენლად ეელოდები მისტერ სტოკსის სახეას და გაცნობას. დროა, ბიჭები სასეირნოდ გაეიყეანო. ნახეამდის.

64. *1 მაისი, 1876.* მაშ, მეკითხები, ბიჭებს რა უნდა ასწაელოო? პირეელ რიგში – ფრანგული ენის საწყისები – ზოგიერთს ხომ გერმანული დაუწყია; ამას გარდა, სხეა ათასი საქმე მექნება, მაგალითად: არითმეტიკა უნდა ეასწაელო, გაკეთილები შეეუმოწმო, კარნახი ეაწერინო და ა.შ. ჯერჯერობით სულ არ მიჭირს – გაკეთილების ჩატარება ძნელი როდია; იმის მიღწეა უფრო ძნელი საქმე იქნება, ბიჭებმა გაკეთილები მოამზადონ.

დღეს შენი დაბადების დღეა. შორიდან ხელს გართმეე, სულითა და გულით გისურეებ წარმატებებს, ყოეელგეარ სიკეთეს. რა თქმა უნდა, გაკეთილების შემდეგ ისეე ბიჭებს უნდა მიეხედო; ამიტომ საკმაოდ მოუცლელი ეარ. მერე კი უფრო მეტი საქმე გამომიჩნდება.

წინა შაბათს, საღამოთი, ექსეი ბიჭი ეაბასაეე; ეს საკუთარი სურეილით უფრო გაეაკეთე, ეიდრე იმიტომ, რომ მეეალებოდა – საჭირო იყო, დროზე მოგეესწრო ყეელაფერი. ეცდილობ, ბიჭები კითხეასაც შეეაჩეიო; მათთეის ბეერი რამ წამოეიღე – „ერცელი, ერცელი ქეეყნიერება“ და სხეა ამგეარი.

66. *12 მაისი, 1876.* როგორ ესწრაფეის დიდი ქალაქების მდაბიო ხალხი რელიგიას! თითოეულ ფაბრიკასა თუ სახელოსნოში იშეიათად შეხედები მუშას, სუფთა, ლამაზი, საინტერესო სიჭაბუკე რომ პქონდეს! ქალაქური ცხოერება ადამიანს „სისხამი დილის ნამს“ ართმეეს, მაგრამ მაინც არ შეუძლია, დათრგუნოს მასში „ძეელი, ძეელი ამბის“ მოთხოენილება: გული მუდამ გულადეე რჩება. თაეის ერთ წიგნში ელიოტი ფაბრიკის მუშათა, სხეათა და სხეათა ცხოერებას აღწერს, პატარა თემად რომ გაერთიანდნენ და ლანტერნ-იარდის ერთ სამლოცეელოში ღეთისმსახურებას ეწეოდნენ; იგი ამბობს: „ეს არისო ნამდეილი ღეთის სასუფეელი დედამიწაზე, არც მეტი და არც ნაკლები“. ათასობით ადამიანი ქადაგების მოსასმენად რომ გაეშურება, როგორღაც გულზე მოსახეედრია.

67. *31 მაისი, 1876.* მოგწერე, ახლახან შტორმი რომ ენახე? ზღეას მოყეითალო ფერი ედო, განსაკუთრებით – სანაპიროსთან; პორიზონტს ზემოთ სინათლის ზოლი დაკიდულიყო, უფრო ზემოთ უშეელებელი, მრუმე, ბნელი ღრუბლები ჩანდა. კარგად ეხედაედი, ღრუბლებიდან რომ წეიმა სეეტ-სეეტად ეშეებოდა. კლდეების თეთრი ბილიკიდან ქარი ზღეაში მტეერს მიხეეტდა, ფრიალოებზე ამოსული აყეავებული კუნელისა და ჟაბოს ბუჩქებს მიწისკენ ხრიდა. მარჯენე მწეანე ჯეჯილებია, შორს კი – ქალაქი – სამრეკლოებით, წისქეილებით, ფიქალის სახურაეებით, გოტიკური სტილის სახლებითა და ნაესადგურით, რომელსაც ზღეაში შეჭრილი ორი ჯებირი იცაეს. სწორედ ისეთი ქალაქია, ხშირად ალბრეხტ დიურერის

გრაეიურებზე რომ გეინახაეს. კეირას ზღეისკენ გაეიარე. ირგელიე ყეელაფერს მრუმე უკრი დასდებოდა, პორიზონტი კი სათდებოდა. ჯერ ადრე იყო, მაგრამ ტოროლა უკეე გალღობდა, სანაპირო ბაღებშიც ბულბულები სტეენდნენ. შორს შუქურა ანაიებდა, მოჩანდა მოდარაჯე გემის სინათლეები და ა.შ.

იმაეე ღამეს ჩემი ფანჯრიდან სახურაეებს და ღამის ცაზე ასეეტილი თელების მუქ კენწეროებს გაეცქეროდი. სახურაეებს თაეს ეარსკელაეი დასდგომოდა, ერთადერთი, მაგრამ დიდი, მშეენიერი და ალერსიანი. ეფიქრობდი ჩეენიანებზე, ჩემს აწ უკეე გარდასულ წლებზე, ჩეენს სახლზე და ასეთი გრძნობა მეუფლებოდა: „ნუ დამანებებ, რომ შეეიქნე უღირსი შეილი, რომლისაც მშობელს ერცხეინება; მაღირსე შენი ლოცეა-კურთხეეა დედაჩემის გულისათეის და არა იმიტომ, რომ მე იგი დაეიმსახურე. სიყეარული ხარ, მაშ, აღაესე შენით ყოეელი. თუ არა შენი ლოცეა-კურთხეეა, ჩეენ ეერასდროს და ეერაფერს აღეასრულებთ“.

წერილს ეურთაე პატარა ნახატს – ხედს იმ ფანჯრიდან, ბიჭები რომ მათ სანახაეად ჩამოსულ მშობლებს გასცქერიან, როცა ისინი ისეე ეაგზალში ბრუნდებიან. ბეერი ამ ხედს სამუდამოდ დაიმახსოერებს. ამ კეირაში უნდა გენახა, წეიმიან დღეს, განსაკუთრებით – შებინდებისას, ფარნებს რომ ანთებენ და მისი შუქი სელ ქეაფენილზე ირეკლება! ასეთ ამინდში მისტერ სტოკსი ძალიან ხშირად უგუნებოდ არის და როცა ბიჭები, მისი აზრით, მეტისმეტად ხმაურობენ, საღამოობით არც პურს აჭმეენ, არც ჩაის ასმეენ. ნეტაე გაჩეენა, ფანჯრიდან როგორ იყურებიან! სასმელ-საჭმელი – აი, მათი სიხარული. მხოლოდ ეს არის, ყოეელდღიურ ცხოერებას რომ ატანინებთ. ნეტაე გაჩეენა, როცა ისინი ეიწრო დერეფნით სელ კიბეზე სასადილოში ამოდიან! აქ კი მზე და მყუდროებაა.

საინტერესოა ის ოთახიც, სადაც ბიჭები ხელ-პირს იბანენ. იატაკი დამპალია. ექსი ტაშტი დგას, ჩამტერეული ფანჯრებიდან ტაშტებს სუსტი შუქი ეცემა. ესეც საკმაოდ ნაღელიანი სანახაეია. მაგრამ აქ ზამთარს სიამოენებით გაეატარებ, რათა ჩაეწედე აქაურ ცხოერებას. ბიჭებმა ნახატი ოდნაე ქონით დაალაქეეს, აპატიე.

69. *17 ოქტომბერი, 1876.* წინა ორშაბათს რამსგეიტიდან ლონდონს წაეედი. ფეხით ეიარე – გასეირნებაც ამას ჰქეია! უღეთოდ ცხელოდა. კენტერბერამდე სულ ასეთი სიცხე იყო. კენტერბერს რომ მიეაღწიე, უკეე საღამო ახლოედებოდა. დაღამებამდე კიდეე ეიარე, მერე პაწია მდინარესთან თელებისა და დიდი წიფლების წარაფს წაეაწყდი და შეეისეენე. დილით, ოთხის ნახეეარზე, როგორც კი ინათა და ფრინეელებმა გალობა იწყეს, გზას გაეუდექი. ამ დროს კარგია სიარული. შუადღისას ჩეტემამდე მიეაღწიე; შორს, დაბალი, ნაწილობრიე დატბორილი მდელოების და აქა-იქ გაფანტული თელების იქით, მოჩანდა ტემზა, ხოლო ტემზაზე – მრაეალი გემი; აქ, ჩემი აზრით, სულ ღრუბლიანი ამინდია. ამის შემდეგ ფორანი შემხედა. მეფორნემ ერთი მილი მატარა, მაგრამ მერე სამიკიტნოში შეუხეია. ეიფიქრე, გეიან გამოეა-მეთქი, და გზა განეაგრძე. საღამოს ლონდონის ნაცნობ გარეუბნებს მიეაღწიე და უსასრულო ქუჩებს ქალაქში შეეყეეი. იქ ორ დღეს დაერჩი. ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მიწეედა სირბილი ეიღაც-ეიღაცების სანახაეად. მათ შორის ერთი პასტორის ნახეა მჭირდებოდა, რომელსაც წერილი გაეუგზაენე. გიგზაენი თარგმანს, რათა იცოდე, რომ ამ წერილს, აი, ასეთი განცდით ეიწყებ: „მამაო ჩეენო, ღირსი ცოდეილი ეარ“, და „მამაო ჩეენო, შემიწყალე“.

თუ რაიმე თანამდებობას ეიშოვი, ეს, ალბათ, მღედელსა და მქადაგებელს შუა იქნება, ლონდონის გარეუბნის მუშა ხალხში რომ უნდა იღუწოდეს. ჯერჯერობით ნურავის ეტყვი. მისტერ სტოკსი ბეერს ეერაფერს გადამიხდის – ალბათ, მხოლოდ ჭამა-სმა, ბინა და ცოტაოდენი თავისუფალი დრო მექნება კერძო გაკეთილებისათვის. ხოლო, თუკი თავისუფალი დროც არ დამრჩება, ბეერი-ბეერი, 20 გირვანქა გადამიხადონ წელიწადში.

თუმც, გავაგრძელოთ ჩვენი ამბავი. პირველი ღამე მისტერ რეიდთან გავათიე, მეორე დღეს კი მისტერ გლედუელთან ვიყავი, სადაც ძალზე ალერსიანად მომექცნენ. საღამოს მისტერ გლედუელმა ძილი ნებისა რომ მისურვა, გადამეხვია, რაც ძალიან მესიამოვნა. მოხარული ვიქნებოდი, თუ მომავალში შესაძლებლობა მომეცემოდა, ხანდახან მაინც მისი შვილისთვის მეგობრული სამსახური გამეწია. უელინში საღამოსვე მინდოდა წასვლა, მაგრამ ძალით დამტოვეს – კოკისპირული წვიმა მოვიდა. თუმცა, დილის ოთხ საათზე გადავიღო და მეც მაშინვე უელინისკენ გავემართე. ჯერ ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე გავისეირნე – დაახლოებით, ათი მილი გავიარე (ერთი მილი ოცი წუთის საფასია). დღის ხუთ საათზე ჩვენს დასთან ვიყავი და გავიხარე მისი დანახვით – კარგადაა. მისი ოთახი შენც ძალიან მოგეწონება. კედლებზე „წითელი პარასკევი", „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში", „მწუხარე ქალი" და სხვა სურათები უკიდია; სურათებს, ნაცვლად ჩარჩოებისა, სურო აქვს ირგელიე შემოვლებული. ჩემო ბიჭუნა, მღედელთან მისაწერ ჩემს წერილს რომ წაიკითხავ, იქნებ ჩემზე ასე იფიქრო: „არც ისეთი ცუდი კაცი ყოფილაო", და, ეგონებ, მართლაც ასე არის.

70. ***5 ივლისი.*** ალბათ, ისეთი დროც დადგება, როცა მწარე სინანულით გაიხსენებ „ქვაბთა ხორცისათა ქვეყანისა ეგვიპტისა" და გარდასულ კეთილდღეობას, მაგალითად – დიდ შემოსავალს, საზოგადოებაში უკეთეს ადგილს. წინასწარ ვიცი, ასე იქნება. ისიც კარგია, თუ იმ ჭერქვეშ, სადაც ჩემგან არჩეული გზით შეველ ხოლმე, „პური იქნება მაძღრისად", თორემ ფული რომ არ იქნება, ეს უკვე ვიცი. მაგრამ, ამის მიუხედავად, წინ აშკარად ვხედავ სინათლეს და თუ იგი დროდადრო ქრება, ჩემი ბრალია. მაინტერესებს, ჩემი ახალი საქმიანობა წარმატებით მიდის თუ არა, მივაღწიე თუ არა რამეს და ის ექვსი წელიწადი, გუპილისა და კ°-ს სახლში რომ გავატარე – ნაცვლად ჩემი მოწოდებისთვის მზადებისა, ხომ არ მექცევა სამუდამო ლოდად შებრკოლებისა? თუმც, ვიცი, რომ უკან დახვევა უკვე აღარ შემიძლია, თუნდ ეს ჩემი „მე"-ს რაიმე ნაწილს სურდეს კიდეც (მომავალში. ახლა ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია).

ამ დღეებში ასე მგონია, ქვეყნად მხოლოდ ორი ხელობა არსებობს-მეთქი – ხელობა მასწავლებლის და ხელობა მღედლის, და, საერთოდ, ყველაფერი, რაც კი ამას უკავშირდება: მისიონერობა, ლონდონში მქადაგებლური მოღვაწეობა და ა.შ. ჩემი აზრით, მქადაგებლობა ამ ქალაქში თავისებური საქმიანობაა: საჭიროა, მუშებსა და ღარიბებს შორის ხშირად იყო, ბიბლია გააერცელო, ხოლო როცა გამოცდილებას დააგროვებ, უნდა ამ ხალხს ესაუბრო, გამოძებნო უმუშევარი უცხოელები, გაჭირვებულნი, შეეცადო, დაეხმარო და ა.შ. წინა კვირას რამდენჯერმე ვიყავი ლონდონში. მსურდა, გამეგო – ასეთ საქმეს ვიშოვი თუ ეერა-მეთქი. ენები ვიცი, ღარიბ ხალხში, უცხოელებში მიტრიალია – განსა-

კუთრებით პარიზსა და ლონდონში, – თავადაც ხომ უცხოელი ვარ; ამიტომ, იქნებ მქადაგებლად ვიყარგებდი, ოდესმე კი ამ საქმისთვის უფრო მეტადაც გამოვდგებოდი. მაგრამ მითხრეს, რომ მქადაგებელი ოცდათხი წლისა მაინც უნდა იყოს. მე კი ახლა ოცდასამის ვარ. მისტერ სტოკსმა გარკვევით მითხრა, ხელფასს ვერ მოგცემ, ვინაიდან ჯამა-სმისა და ბინის ფასად ამ ადგილზე ყველა მოვაო. მართალიც არის.

ხელსაყრელია ჩემთვის ასეთი პირობები? საეჭვოა. ალბათ, მალე გარკვევა ყველაფერი. თუმც, იგიცის გაეიმეორებ: ჩემო ბიჭუნა, ამ ორიოდ თვემ ისე მტკიცედ დამაკავშირა იმ ცხოვრებასთან, მასწავლებლობასა და მქადაგებლობას შუა რომ არის მოქცეული; იმ სიხარულთან, იმ ეკლებთან, ასეთ ცხოვრებას თან რომ ახლავს და მეც მწარედ დაეუჩხელეტიევარ, – უკან დახევა აღარ ძალმიძს. მაშ, წინ გავწიოთ! დამიჯერე: თუმც ახლაც ათასნაირი სიძნელე მელობება და ეიცი, მომავალში უარესი ამბები მელის, ეგონებ, სულ სხვა სტიქიაში ვარ, ეიდრე უფალ გუპილისა და კ°-ს ფირმა იყო.

გამომიგზავნი იმ პატარა გრავიურას – „ქრისტეს ნუგეშისმცემელსა და ნაცვალმგებელს", – რომელსაც დამპირდი? მომწერე, როგორც დროს იპოვი; მაგრამ წერილი შინ გაგზავნე, რადგან მალე მისამართი შეიცვლება და ყველაზე ადრე იგი ჩვენებს ეცოდინებათ.

წინა კვირას პემპტონ-კორტში ვიყავი, რათა დიდებული ბაღები მენახა – წაბლისა და ცაცხვის გრძელი ხეივნები, ყვავებისა და ჭილყვავების უამრავი ბუდეები, სასახლე და სურათები. აქ, სხვათა შორის, პოლბაინის ბევრი ლამაზი პორტრეტია, არის რემბრანდტის მშვენიერი პორტრეტები (ორი პორტრეტი – ცოლისა და რაბინისა), ამავე დროს, იტალიელთა – ბელინის და ტიციანის – საუცხოო პორტრეტები, ერთი სურათი ლეონარდო და ვინჩისა, მანტენიას სურათები, ს.რეისდალის ერთი მშვენიერი ნამუშევარი, კვიპის ნატურმორტი „ხილი" და სხვა. როგორ მინდოდა, რომ შენც ჩემთან ყოფილიყავი, – რა კარგი იყო, კველაე სურათებს რომ ეუცქეროდი! უნებურად თვალწინ ის ხალხი წარმომიდგა, პემპტონ კორტში კარლოს I-ის და მისი მეუღლის დროს რომ ცხოვრობდა. „გმადლობ, უფალო, დედოფლად რომ გამაჩინე, მაგრამ უბედურ დედოფლად", – სწორედ კარლოსის მეუღლეს უთქვამს. ბოსიუემ მის საფლავზე გულითადი სიტყვა წარმოთქვა. გაქვს ბოსიუეს „საფლავზე წარმოთქმული სიტყვები"? იქ შეიძლება ამ სიტყვის ნახვაც (არსებობს ძალზე იაფფასიანი გამოცემა – ორმოცდაათი სანტიმი ღირს). ეფიქრობდი ლორდ და ლედი რასელებზედაც. ამ სასახლეში, ალბათ, ისინიც ხშირად ყოფილან. „ცოლქმრულ სიყვარულში" გიზო აღწერს მათ ცხოვრებას. თუ იშოვი, წაიკითხე.

71. *8 ივლისი, 1876.* ნუ იტანჯები შენი ასეთი, – როგორც თვითონვე იწერები, – „ფუფუნებით" ცხოვრების გამო; საკუთარ გზას მშვიდად მიჰყევი. შენ ჩემზე უფრო ალალი ხარ, ალბათ, მიზანსაც ჩემზე უფრო იოლად და სწრაფად მიაღწევ. არ გეგონოს, თითქოს დიდად თავისუფალი კაცი ვიყო; მეც ათასი ბორკილი მადევს, დამამცირებელი, მძიმე ბორკილი, და მომავალში კიდევ უფრო დამძიმდება. მაგრამ ის, რაც „ნუგეშისმცემელ ქრისტეზეა" წარწერილი: „იგი მოვიდა თავისუფლების მაცნედ ტყვეთა და შებორკილთა", – დღესაც ისევ სარწმუნოა.

შენთან ერთი სათხოვარი მაქვს: პაპაშა კათეხიზისის მასწავლებელ პილესთან დავდიოდი, რომელიც მაშინ ბაქვინსტრაატზე ცხოვრობდა.

დიდი ძალ-ღონე შემალია და, თუმც მუდამ არ ეიმჩნეედი, მისი სიტყეები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლმე. სულითა და გულით მინდა, ორიოდ სიტყეა კიდევ ეუთხრა და, როგორც შეეძლებ, ვასიამოვნო. მოძებნე იგი, თუ მისამართი გაიგო და თავისუფალი დრო იპოეო. უთხარი, რომ მასწაელებლობა დაიწყო და, ეინ იცის, იქნებ მომავალში ეკლესიასთან დაკაეშირებული თასამდებობაც მიიღოს-თქო. თავმდაბალი ადამიანია. ეფიქრობ, ცხოერებაში დიდი ბრძოლა აქეს გადატანილი. მასთან მისულს უსებურად მიფიქრია: აი, ეს კაცი, როცა იქნება, სულის სიმშეიდეს პპოეებს-შეთქი. ეს ნახატი გადაეცი, წერილს რომ ეურთაე. როგორ მინდა, მაუეცთან თუნდაც ერთხელ შემახედა – ყეელაფერს, რაც კი იმ საღამოს მასთან გინახაეს და რასაც აღწერ, ცხადად ეხედაე, თითქოს ახლა ჩემ თვალწინ იყოს.

73. *18 აგვისტო, 1876.* გუშინ გლედსტოუნთან ეიყაე, რომელიც რამდენიმე დღით შინ დაბრუნდა. მის ოჯახს სამწუხარო ამბაე შეემთხეა – გლედსტოუნის და, სიცოცხლით საესე, შაეთეალა და შაეგერემანი ჩეიდმეტი წლის ქალიშეილი, ბლეკჰეტში ცხენიდან ჩამოვარდა; როცა ხელში აიყეანეს, უგონოდ იყო. ხუთი საათის შემდეგ კი გარდაიცვალა, ისე რომ, გონზე აღარ მოსულა. როგორც კი მითხრეს ეს ამბაე და ისიც გაეიგე, გლედსტოუნი შინ არისო, მყისეე წაეედი. გზას თერთმეტ საათზე გაეუდექი, ლიუიშემამდე დიდხანს ვიარე – ლონდონის ერთი ბოლოდან მეორეში გაეედი და ხუთ საათზე მასთან ეიყაე. დასაწყებიდან, ის იყო, დაბრუნდნენ. ეს იყო, მართლაც, სახლი მწუხარებისა და, კარგია, რომ შეედი. შემრცხეა, შეეცბუნდი უბედურების დანახეაზე, გულს მოკრძალებული თანაგრძნობით რომ გეიესებს ხოლმე. „ნეტარ იყენენ მგლოეიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ. ნეტარ იყენენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. ნეტარ იყენენ მშეიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდენ. გიხაროდენ და მხიარულ იყეენით, რამეთუ სასყიდელი თქენი ფრიად არს ცათა შინა".

მე და პარი გეიან საღამომდე ვსაუბრობდით. ბეერ რაშეზე ეილაპარაკეთ – სასუფეელზე, ბიბლიაზე. ვსაუბრობდით და ეაგზლის ბაქანზე მიმოედიოდით. უკანასკნელი წამები კი, ეიდრე ერთმანეთს დაეშორდებოდით, ალბათ, არასდროს დაგეაიწყდება. ჩეენ ერთმანეთს კარგად ეიცნობთ, მისი ტეირთი საეთარ ტეირთად მიმიჩნეია, მისი სიცოცხლე ჩემს სიცოცხლედ დამისახავს; იქაურებს, ეისაც ის იცნობს, მეც კარგად ეიცნობ; ოჯახის ამბაეშიც ღრმად იმიტომ ჩაეიხედე, რომ ძალიან მიეარს ეს ოჯახი, მისი ამბაეი დაეწერილებით გამანდეს და გარდა ამისა, პარისა და მის ახლობელთა განწყობასა და ცხოერების წესს უკეე კარგად ეგრძნობ. აი, ასე მიმოედიოდით ამ უფერულ დედამიწაზე, თუმც განცდები უფერული არა გექონია. მაგრამ ეაი, რომ მსგაესი წამები სწრაფად ქრება და ჩეენც მალე დაეშორდით ერთმანეთს. მატარებლიდან ლამაზი ხედი იშლებოდა. ეხედაედი წყედიადში გახეეულ ლონდონს, შორს შაად ალანდულ წმ.პაელეს ტაძარსა და სხეა ეკლესიებს. რიჩმონდამდე მიეედი და მერე ტემზას აილეორტისკენ ფეხით გაეყეე. მშეენიერი გასეირნება გამოეიდა: მარცხნიე პარკები – უზარმაზარი ალეის ხეებით, მუხებით, თელებით; მარჯენიე – მდინარე, რომლის წყალშიც კელაე ეს ხეები ირეკლებოდა. საღამო იყო მშეენიერი, დღესასწაულის მსგაესი საღამო. თერთმეტის თხუთმეტ წუთზე უკეე შინ ეიყაე.

75. *3 ოქტომბერი, 1876.* წინა კეირაში, სწორედ შაბათს, მთელი ლონდონი მოეიარე. ერთი ადგილის შესახებ იყო ლაპარაკი, რომელიც იქნებ

ჩემიეის გამოდგეს: სანაპირო ქალაქებში, ეთქვათ, პულსა და ლიეერ-პულში, მღედლებს რამდენიმე უცხო ენაზე მოლაპარაკე თანაშემწენი სჭირდებათო, სნეულებთან რომ იელიან და მეზღეაურებს და უცხოელებს ქადაგებებს წაუკითხაენ. ასეთ ადგილზე თურმე ხელფასსაც იძლეიან.

იმ დღეს აქედან ადრე გაეედი – ოთხი საათი იქნებოდა. თელების ბნელ ხეივნებში მშეენიერი ღამე იდგა: გზა იყო სეელი, პარესაც წეიმით გაჟღენთილი, ნაცრისფერი, სეელი პაერი ჩამოსწოლოდა. შორს კი ქუხდა. გათენებისას უკეე პაიდ-პარეს მიეაღწიე; იქ ფოთოლცეენა დაწყებულიყო, კედლებზე კი უსურეაზი წითლად ღეიოდა, ირგელიე ხშირი ნისლი იდგა. შეიდ საათზე კენსინგტონში მიეედი და იმ ეკლესიაში შეეისეენე, სადაც წინათ კეირაობით ძალზე ხშირად დაედიოდი. ლონდონში ათას ეინმესთან ეიყავი. ბატონ გუპილის და კ°-ს მაღაზიაშიც შეეიარე და იტერსონის მოტანილ სურათებს თვალი შეეაელე – კელაე სიამოენებიი შეეცქეროდი პოლანდიის ქალაქებსა და მდელოებს.

79. წინა კეირას, თეო, შენმა ძმამ ღეთის სახლში პირეელად იქადაგა – იქ, სადაც წერია: „მოეედით და განგისეენოთ თქეენ". ქადაგება გადაეწერე, ახლა წერილთან ერთად გიგზაენი. დაე, ამ პირეელს სხეაც ბეერი მოპეეეს. შემოდგომის ნათელი დღე იდგა და მეც ტემზას რიჩმონდამდე ფეხით გაეყეევი. საუცხოო გასეირნება გამოეიდა. ტემზაში ეეება, ყეითეელი ფოთლებით დამძიმებული წაბლები და ღია ლურჯი ზეცა მოჩანდა, ხოლო ხეების კენწეროებში – ბორცეებზე განლაგებული რიჩმონდის ნაწილი: წითელსახურაეიანი სახლები, ფარდებჩამოფარებული ფანჯრებითა და მწვანე ბაღებით; სახლებს ზემოთ შემართული ნაცრისფერი შპილი, ხოლო ქეემოთ – ნაცრისფერიეე დიდი ხიდი, თაესა და ბოლოში აღმართული მაღალი ალეებით, ხიდზე მიმაეალ ადამიანთა პაწია, შაეი ფიგურებით. კათედრაზე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ბნელი, მიწისქეშა აკლდამიდან დღის სინათლეზე გამოეედი. თაებრუ მეხეეეა, როცა ეფიქრობ, რომ ამიერიდან სადაც წაეალ – სახარებას ეიქადაგებ. ეს რომ შეძლო, სახარებას გულით უნდა ატარებდე, თითქოს შენს გულში თეით ქრისტეს მიერ ჩანერგილიყოს. ცხოერებას შენ საკმაოდ იცნობ და კარგად იცი, რა მარტოა საცოდაეი მქადაგებელი, მარტოდმარტო თითქმის მთელი ქეეყნის წინაშე. მაგრამ ღმერთი – აი, ეინ გეაძლეეს საკუთარი თაეისა და ძალის რწმენას. „რამეთუ არა ეარ მარტოჲ არა დამიტეეა მე მარტოჲ მამამან".

წარელიან წლები, მაგრამ ის, ეისი
რწმენაც მაქეს გულში, ჩემთან იქნება
და კლდე, რომელზეც სახლი აღემართე,
ეიცი, არასდროს ჩამოიშლება.

რომ იცოდე, ჩემო ბიჭუნა, შობას როგორ ეელოდები! ანდა რარიგ მენატრებით! მეჩეენება, რომ ორიოდ თეეში უცნაურად გაეიზარდე და შეეიცეალე.

83. *31 დეკემბერი, 1876.* ორიოდ დღის წინ ძია ეინსენტთან ბატონი ბრაატი[1] ჩამოეიდა – დორდრეხტელი; როცა ჩემზე საუბრობდნენ, ძია

[1] წიგნით ვაჭრობის ფირმის – ბლიუსე და ეან ბრაამის უფროსი დორდრეხტში.

ეინსენტმა ბატონს ბრ-ს უთხრა, თუ დასჭირდება, იქნებ შენთან სამსახური მოუსახოო. ბ-ნ ბრაატს მიაჩნია, რომ სამსახურს მიშოეის. მითხრა, როცა შემოიელი, შეეთანხმდებითო. სწორედ ამიტომ გუშინ მასთან დილაადრიან გაეეშურე: ეიფიქრე, ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშეება არ იქნება, ის მაინც გაეიგო, რას მპირდებიან, შეეიელი-მეთქი. შეეთანხმდით, რომ ახალი წლიდან ერთ კეირას მასთან ეიმუშაეებ, ხოლო მერე მოეითათბირებთ, მომაეალში როგორ მოეიქცეთ.

უამრაეი მიზეზის გამო უსაზღეროდ მინდა პოლანდიაში დაბრუნება და დედ-მამასთან, შენთან, ყეელა ჩეენიანთან ახლოს ყოფნა. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, იქ ხელფასიც მეტი მექნება, ეიდრე მისტერ ჯონზი მაძლეეს. ეალდებული ეარ, ამაზე დაეფიქრდე, პირეელ რიგში იმის გამო, რომ დრო გადის და ადამიანს წლებთან ერთად მოთხოვნილებაც ემატება. სხეა დანარჩენი არ მაფიქრებს. მამა ისეთი მრაეალმხრიეი, ყოელის-მომცეელი ჭკუა-გონების პატრონია, არ შეიძლება, სულ ცოტა რამ მეც არ გამომყეეს. ერთი სიტყეით, ჩემი ცხოერება მხოლოდ იმ მხრიე შეიცელება, რომ ბიჭებს კი არ ეასწაელი, წიგნის მაღაზიაში ეიმუშაეებ. რარიგ ხშირად გედმობია ერთად ყოფნა! რა ძნელია, ეადმყოფობის თუ გაჭირეების ჟამს შენიანის გეერდით რომ არ ხარ, – ჩეენ ეს, შენ რომ ეად იყაეი, მწარედ ეიგრძენით, – რა მძიმეა იმის შეგნება, რომ ფული არ გაქეს და ამის გამო ახლობელი ადამიანის გეერდით ყოფნა არ შეგიძლია, როცა მას უჭირს!..

დორდრეხტი

იანვარი, 1877 – აპრილი, 1877

1877 წლის დასაწყისში ვან გოგი დორდრეხტში, ბატონ ბრაატთან, ფირმა ბლიუსე და ვან ბრაამის წიგნის მაღაზიაში მუშაობდა გამყიდველად. მაგრამ „ღეთისა და სახარების სამსახურზე“ ფიქრი მაინც არ შორდებოდა, ამიტომ გადაწყვიტა, ამსტერდამის უნივერსიტეტში შესულიყო ღეთისმეტყველების ფაკულტეტზე.

85. კეირას, დილით, აქაურ ფრანგულ ეკლესიაში შეეიარე – სადღესასწაულო იერი აქეს ამ ეკლესიას, რაღაც მომხიბლაეი, შთამაგონებელი ძალით მოქმედებს. ქადაგებისთეის შერჩეულ ტექსტში ნათქეამი იყო: „იმას, რასაც ფლობ, უნდა იცადე, რათა არ წარგტაცონ გეირგეინი შენი“. დასრულებით კი ასე დასრულდა: „უკეთუ დაგიეწყო შენ, იერუსალემ, დაიეიწყენ მარჯუენეცა ჩემი“. ეკლესიიდან გამოსელის შემდეგ კაშხალზე მარტომ გაეისეირნე, წისქეილებსაც ჩაეუარე. რომ იცოდე, რა კარგი იყო! საძოერებს თაეზე კრიალა ცა დასდგომოდა და არხის წყლებში ირეკლებოდა.

სხეა ქეეყნებშიც შეეხეედრიეარ მსგაეს პეიზაჟებს. მაგალითად, საფრანგეთში, დიეპის ახლოს მინახაეს მწეანე ბალახით შემოსილი, დახრამული კლდოეანი ნაპირი; ზღეა, ცა და ნაესადგური – თითქოს დობინის ტილოებიდან გადმოხატული; ყაეისფერი ბადეები, იალქნები; უბადრუკი სახლები და სახლებს შორის მიმოფანტული პატარ-პატარა რესტორანები – თეთრი ფარდებით, ხოლო ფანჯრებზე ნაძეის ტოტებით; თეთრცხენიანი ფორნები და გრძელი, ლურჯი, წითელფუნჯიანი ოთხთეალები;

ლურჯხალათიანი მეფორნეები, წეერმოშეებული მეიეეზეები, გაქონილი ტანსაცმელი რომ აცეიათ; ნახი, ფერმკრთალი ფრანგი ქალები, შაეი, უძირო თეალები რომ აქეო, შაეი ქეედა კაბები შეენით და თაეზე თეთრი ჩაჩები ახურაეთ; ან, მაგალითად, ლონდონის ქუჩები, საწეიმარი, ფარნების შუქით განათებული – როგორც იმ ღამეს, ძველისძეელი ეკლესიის კარიბჭესთან რომ გაეატარე, როცა ზაფხულში რამსგეიტიდან ქალაქისკენ მიედიოდი. დიახ, არის სხეა ქეეყნებშიც რაღაც ამგეარი. მაგრამ როცა წინა კეირას კაშხალზე მარტო ეხეტიალობდი, უნებურად ამას ეფიქრობდი: „რა კარგია, რარიგ კარგი ჩეენი მიწა პოლანდიისა!“ გული ისეთი გრძნობით ამეესო, მეგონა, ღმერთს ეუერთდებოდი. თეალწინ ცოცხლად წარმოიდგა ჩეენი ბაეშეობის სურათები: გამახსენდა, თებერელის ბოლოს მაშასთან ერთად რეისბერგენში სასეირნოდ რომ წაეიდოდით, შაე ხნულებსა და ჯეჯილებზე გადამხობილი ლურჯი ცისკენ თეთრ ღრუბლებს შორის აჭრილ ტოროლებს ყურს ეუგდებდით, ძირს კი მოკირწყლული, წიფლებჩარიგებული გზა მიდიოდა. იერუსალიმ! იერუსალიმ! ან – ზუნდერტ, ზუნდერტ! ეინ იცის, თეო, იქნებ ამ საფხულს ზღეის ნაპირზე ისეე ერთად ეისეირნოთ. ოღონდ მუდამ გულითადი მეგობრები უნდა ეიყოთ, გეწამდეს ღმერთი, მტკიცედ გეწამდეს, გეწამდეს იგი, ეისაც ძალუძს, უფრო მეტი მოგეანიჭოს, ეიდრე ეითხოეთ და ეიდრე გეწყურია.

სულითა და გულით გილოცაე დღეეანდელ დღეს[1]: ახლა ორის ნახეარია, ესე იგი, რეა თებერეალი უკეე დადგა. ღმერთმა კელაე დიდხანს გეიცოცხლოს მამა.

86. *26 თებერეალი, 1877.* გიგზაენი „პუგენოტების“ ფოტოსურათს, შენს ოთახში ჩამოკიდე. ალბათ, გახსოეს ის ამბაეი, ბართლომეს ღამის წინადღეს ერთ ყმაწეილ კაცს საცოლე რომ აიძულებდა, მკლაეზე თეთრი ლენტი – კათოლიკობის ნიშანი – შეება, რადგან იცოდა, მეორე დღეს რა მოხდებოდა. მაგრამ ყმაწეილი არ დათანხმდა: თაეისი რწმენა და მოეალეობა საცოლეს არჩია... დღეს უამრაეი საქმე მქონდა – ათასი წერილმანი, მაგრამ ამის გაკეთება მეეალებოდა. მოეალეობის გრძნობა თუ არ გაქეს, საკუთარ ზრახეებს ოდნაეადაც ეერ უერთგულებ; ყოეელიეე მოეალეობის შეგნებითაა მხოლოდ ნაკურთხი; იგი ყეელაფერს აერთიანებს და მრაეალი წერილმანისგან რაღაც უფრო დიდს შექმნის ხოლმე.

88. 16 მარტი, 1877. რა მძიმეა ბრაბანტელი გლეხის ცხოერება – თუნდაც არსენთა,[2] ან ამდენი ძალა ეინ მისცათ? ანდა რა არის ამ უბედური ქალების ყოფა, რა ანუგეშებთ? ის ხომ არა, რასაც მხატეარი „Light of the word“-ში* ამბობს? ეერ აგიწერ, ბიბლიის სწაელა რარიგ მწყურია! ყოეელდღიურად ეკითხულობ, მაგრამ სულ ზეპირად მინდა, ეიცოდე; მინდა, ცხოერებას ამ სტრიქონების შუქზე ეხედაედე: „სანთელ არს ფერხთა ჩემთა შჯული შენი და ნათელი ალაგთა ჩემთა“. მწამს და ესასოებ, ჩემი ცხოერება შეიცელება, ჩემი ნაღელი ქრისტეს მიმართ განქარდება – ჩემი სურეილი აღსრულდება. მაგრამ დროდადრო ეს რა საოცარ მარტოობას ეიგრძნობ ხოლმე, რა მოწყენას! – განსაკუთრებით, ეკლესიას ანდა მღედლის სახლს როცა ჩაეუელი.

---

[1] ეინსენტის და თეოს მამის დაბადების დღე.

[2] პასტორის სახლში მომუშაეე გლეხები ზუნდერტში.

89. *22 მარტი, 1877.* როგორც მახსოვს, ჩვენს ოჯახში -- მარიამაც რომ ქრისტიანულ ოჯახში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, -- ღვთისმეტყველების მქადაგებელი თაობიდან თაობაში მუდამ ერია. მაშ, ხმა ღვთისა ჩვენს შორისაც უნდა ისმოდეს და ჩვენს მომდევნო თაობებშიც. ხომ შეიძლება, ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრმა იგრძნოს, რომ მოწოდებით ღვთის მსახურია? ხომ შეიძლება, გულით უნდოდეს, რომ ამ საქმეს შესწიროს თავი? ხომ შეიძლება, განაცხადოს ეს განზრახვა და თავისი მიზნის მისაღწევად გზა გამონახოს?

მხოლოდ ის მინდა, ღმერთს მხოლოდ იმას ევედრები, რომ ჩემზედაც გარდმოაღინოს სული ჩემი მამის და პაპისა, რათა გაეხდე ქრისტიანი და ქრისტეს მსახური, ცხოვრება ჩემი თანდათან მეტად დაემსგავსოს იმათ ცხოვრებას, ვინც მე ზემოთ მოვიხსენიე; ძველი ღვინო კარგია და რაზედაც აქ ელაპარაკობ, იმის გარდა, არაფერი მსურს. ბიჭო თვო, ძმაო ჩემო საყვარელო, ძალიან მინდა, ასე იყოს, მაგრამ მიზანს როგორ მივაღწევ? მალე მაინც მოთავდებოდეს ის დიდი შრომა, ურომლისოდაც სახარებისა და ქრისტეს მსახური ვერ გაეხდები!

94. *30 აპრილი, 1877.* იმედი მაქვს, მალე გნახავ: ამსტერდამში რომ გაეემგზავრები, რამდენიმე დღეს პარაგაში უნდა დაერჩე, ოღონდ ამას სურაევის ეტყვი, ვინაიდან პარაგაში უფრო იმიტომ მინდა დარჩენა, რომ ცოტა ხანს შენთან ვიყო. მომავალ ოთხშაბათს ეტენში მივდივარ, რამდენიმე დღეს იქ ვიქნები, მერე კი შრომას უნდა შევუდგე...

სხვათა შორის, ამ დღეებში ძია სტრიკერის ჯიბის კატეხიზმოს გადავხედე, ერთხელ კიდევ გავიხსენე ქრისტეს მთელი თავგადასავალი და ტექსტებიც ამოვიწერე; თან რემბრანდტის, სხვათა და სხვათა სურათები მახსენდებოდა. ვიცი, ის, რაც ქრისტიანად, ქრისტეს მსახურად გახდომის სურვილმა ამარჩევინა, სანანებლად არ გამიხდება. ამას ხელს უწყობს ჩემი წარსული: ისეთი ქალაქების გაცნობის შემდეგ, როგორიცაა ლონდონი, პარიზი, ისეთ ადგილებში ცხოვრების შემდეგ, როგორიცაა რამსგეიტის და აილეორტის სასწავლებლები, განსაკუთრებით მიგიზიდავს საღმრთო წიგნების ბევრი ადგილი, მაგალითად, „საქმე მოციქულთა“.

ახალი აზრების დასაბამი შეიძლება გახდეს ისეთი ხალხის ცხოვრებაც და ისეთი ხალხის ნაწარმოებთა სიყვარულიც, როგორებიც არიან ჟიულ ბრეტონი, მილე, ჟაკი, რემბრანდტი თუ ბოსბოომი. რაოდენი მსგავსებაა ჩვენი მამის და ამ ხალხის ცხოვრებასა და საქმეებს შორის, მაგრამ რასაც მამა აკეთებს, კიდევ უფრო მაღლა ვაყენებ.

ამსტერდამი

მაისი, 1877 – ივლისი, 1878

ვინსენტის ახალ წამოწყებაში მთელი ოჯახი მონაწილეობდა: მშობლები ნივთიერად ეხმარებოდნენ, ძია იანმა (იან ვან გოგი, ამსტერდამის საზღაო ნავსაშენის დირექტორი) ბინა მისცა, ძია სტრიკერს (ვინსენტის უფროსი დეიდის ქმარს, მღვდელს) თვალყური უნდა ედევნებინა, როგორ სწავლობდა. მოსამზადებელი მეცადინეობა ორ წელიწადს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ვინსენტმა ერთ წელზე მეტს ვერ გაუძლო. პრაქტი-

კული საქმიანობის წყურვილმა და კიდევ იმან, რომ უნივერსიტეტის თეოლოგიაზე სულ მალე გული აუცრუვდა, აიძულა, სწავლისთვის თავი დაენებებინა.

98. ***30 მაისი, 1877.*** შენს წერილში ერთმა ფრაზამ განმაცვიფრა: „ნეტავ ყველაფერს მომაშორა, ყველაფრის მიზეზი მხოლოდ მე ვარ, ჩემგან ცუდის მეტს, ალბათ, ვერაფერს გაიხსენებენ, საკუთარი თავიცა და დანარჩენებიც ამ დღეში მხოლოდ მე ჩავყარეო“. ამ სიტყვებმა ასე იმიტომ გამაოცა, რომ მეც სწორედ ამას განვიცდი – არც მეტს, არც ნაკლებს. როცა წარსულს ვიხსენებ ხოლმე ან მომავალზე დაფიქრდები, როცა ვიფიქრებ გადაულახავ სიძნელეებზე, იმ დიდსა და მძიმე შრომაზე, გულს რომ ვერ ეუდებ და რაზედაც მე, უფრო სწორად, „ის“, რაც ჩემში უარესია, სიამოვნებით იტყოდა უარს, როცა ვიხსენებ ძალიან ბევრ ადამიანს, ამჟამად რომ თვალს არ მაშორებს, ვიცი, თუკი ვერაფერს გავხდი, ისინი უთუოდ გამიგებენ და წერილმან ყველდრებას არ დამიწყებენ; მაგრამ რაკი სიკეთესა და პატიოსან, სამართლიან საქმეებში ნაკადნი არიან, მათი ერთი გამოხედვაც კი ამას მეტყვის: „გეხმარებოდით, ლამპრობას გიწვედით; რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. შენ კი იშრომე ძალის და ღონის დაუზოგავად? სად არის ჩვენი შრომის ნაყოფი, სამაგიეროს რით გვიხდიო?“ ვოდა, როცა ყოველივე ამაზე და კიდევ ბევრ, ძალზე ბევრ რამეზე ვფიქრობ ხოლმე, რასაც ახლა ვერ ჩამოგითვლი – მრავალზე მრავალ სიძნელეზე, საზრუნავზე, რაც ასაკის მომატებით სრულიადაც არ კლებულობს; სატანჯველზე, იმედების გაცრუებაზე, დამარცხების შიშზე, თითქმის სირცხვილზედაც კი, – არც ჩემთვისაა ეს გრძნობა უცხო – მეც მინდა, რომ განეშორდე ყველაფერს!

მაგრამ მაინც წინ მიედიეარ, ოღონდ ფრთხილად და იმ იმედით, რომ ყველა ხიფათს ავიცილებ და ვიპოვი პასუხს საყვედურისას, რომელიც მელის; მიედიეარ რწმენით, რომ სიძნელეთა მიუხედავად, სასურველ მიზანს მაინც მივაღწევ, ხოლო თუკი ღმერთმა ინება, იმათ თვალშიც გავმართლდები, ვინც მიყვარს, და იმათ თვალშიც, ვინც ჩემს შემდეგ უნდა მოვიდეს.

101. ***12 ივნისი, 1877.*** ყოველი დღე დატვირთული მაქვს, ისე რომ დრო სწრაფად გარბის. დღეები მოკლე მეჩვენება, მაშინაც კი, როცა არცთუ ბევრი საქმე მაქვს: წინსელა მწყურია, საღმრთო წერილის საფუძვლიანად, ძირფესვიანად შესწავლა მინდა; გარდა ამისა, მსურს, გავიგო ათასი რამ, მაგალითად, ის, რაც კრომველზე გადაგიწერე: „ყოველდღე თითო სტრიქონი მაინც“. თუკი ყოველდღე ვწერ და ვიკითხავ, თუ ჯიუტად ვიშრომებ და ვიმეცადინებ, უსათუოდ მივაღწევ რამეს...

ამ დილას ხუთს რომ თხუთმეტიოდე წუთი აკლდა, საშინლად გაავდრდა; ცოტა ხნის შემდეგ აბ თაესხმაში ნავსაშენის ჭიშკარს მუშათა პირველი ნაკადი მოაწყდა. აედექი და ეზოში გავედი, რამდენიმე რეეულიც წავიღე, ფანჩატურში დავჯექი და კითხვა დავიწყე, თან ნავსაშენს და დოკებს გავყურებდი. ალვის ხეები და ანწლის ბუჩქები შმაგი ქარისგან იღუნებოდა. გემბანებს და გემხარიხებს წვიმა შოლტაედა. კანჯოები და პატარა გემი წინ და უკან დაწრიალებდნენ; შორს კი, სოფელთან, ვის ყურის საპირისპიროდ, ყავისფერი, ძალზე სწრაფად მომავალი იალქნები, ბეიტენკანტის სახლები, ხეები, ხოლო უფრო ნათელ ლაქებად – ეკლესიები დავინახე. განუწყვეტლივ ქუხდა, ელავდა, ცა რვისდალის სურათს

ჰგაედა, დაბლა კი, წყალთან, თოლიები დასავარდობდნენ. ეს იყო, მართლაც, დიდებული სანახაობა, სამდეილი შეება გუშინდელი სულშემხუთავი სიცხის შემდეგ.

აბა, ახლა კი დროა, ისევ შრომას შევუდგე: დღეს გაკეთილი არა მაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ხვალ დილას მაქვს ორი საათი ერთმანეთის მიყოლებით. ბევრი რამ უნდა მოვამზადო. ძველი აღთქმის ისტორია სამუელის ჩათვლით ვისწავლე, ამ საღამოს „მეფეთა წიგნს“ შევუდგები, რომ მოვათავებ, ცოტა რამ უკვე მეცოდინება. წერილს რომ გწერ, უნებურად ზოგჯერ ცოტას ეხატავ კიდეც – აი, ისეთ ჩანახატებს, ამას წინათ რომ გამოგიგზავნე; ამ დილასაც ილია დაეხატე უდაბნოში, ჭეშა-ქუხილის დროს; წინა პლანზე რამდენიმე ეკლიანი ბუჩქი მოჩანს; ერთი სიტყვით, განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ზოგჯერ ყოველივე ეს ისე ცოცხლად წარმომიდგება, მჯერა, ჭეშმარიტი აღმაფრენით შეეძლებდი მეთქი ამაზე ლაპარაკს. ღმერთმა ოდესმე მომცეს ამის შესაძლებლობა.

104. *3 აგვისტო, 1877.* მაშ, მაუეესთან იყავი და დროც მშვენიერად გაატარე? ხატავდი რამეს? ერთხელ, მანამ, ვიდრე ლონდონში სულ პირველად წავიდოდი, ვეისენბრუხის სახელოსნოში მეც ვიყავი; ვეისენბრუხის ეტიუდები, სურათები და თავად იგიც ცხადად მახსოვს. როცა წერილს კიდევ მომწერ, გუშინ რომ უნდა გახსნილიყო, იმ გამოფენის ამბავი მიამბე. რამდენ სიუჟეტს იპოვიდნენ მხატვრები ამ ნაესაშენში!.. სულ იმას ვეცდილობ, საქმეში ჩაება, განსაკუთრებით ლათინურსა და ბერძნულს ესწავლობ. უკვე მრავალი თარგმანი მაქვს და ზოგი ფრაზა სკოლის წლებს მაგონებს. მაგალითად: „რომელ გამოჩენილ ფილოსოფოსს მიუსაჯეს ათენელებმა სიკვდილი? ღირსეულ ბრძენს – სოკრატეს. ჩვენი ცხოვრება მოგზაურობაა: მრავალი დიდი განსაცდელი და ხიფათი უნდა გამოვიაროთ. ოდისევსის ხასიათი და ვაზის ლერწები“.

112. *30 ოქტომბერი, 1877.* დღედაღამ ვშრომობ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ მახსოვს – გამოცდები როგორ უნდა ჩავაბარო; ყველაფერს მენდვსს ვეკითხები – მეც მასავით ემეცადინეობ, რადგან მასავით სიამოვნებით მოვიქცეოდი. ოთხმოცწლიანი ომის ისტორია კარგია და შესანიშნავი: ვინც ასეთ ბრძოლას შეეწირა, კარგად მოიქცა. ცხოვრება ხომ, მართლაც, ბრძოლაა, უნდა გავემაგრდეთ, უნდა ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ მხნედ, გული არ უნდა გავიტეხოთ, მიზანი უნდა დავისახოთ და მოვიფიქროთ – ამ მიზნისკენ რა გზით გავწიოთ. რაც შორს მიდიხარ, ცხოვრება უფრო ძნელი ხდება. სწორად უთქვამთ:

ნუთუ სავალი სულ აღმართია?
მხოლოდ აღმართი, მეგობარო.
განა რამდენ ხანს ვიქნებით გზაში?
გათენებიდან დაღამებამდე.

მაგრამ გულს ძალა დაბრკოლებებთან ჭიდილში უნდა მოემატოს. გულს ცხოვრებასთან ჭიდილი სრულქმნის (გრიგალში იზრდები), ცხადია, თუ ეცდილობთ, შეგერჩეს გული – დასაბამი ყოველგვარი სიწმინდისა, მადლის, სიკეთის, – რათა სინდისი სუფთა გექონდეს ღმერთისა და კაცის წინაშე.

114. *25 ნოემბერი, 1877.* ისტორიის შესწავლა სასარგებლოა, იგი უდიდეს სიხარულს მგვრის. ბედნიერი ვარ, ცოტა რამ მაინც რომ გაეიგე ამ

ამბებისა. ახლა ძია კორს გამოვართვი დიკენსის „ინგლისის ისტორია ბავშვებისათვის“. არ ვიცი, უკვე გწერდი თუ არა, – ამ წიგნს ბაჯაღლო ოქროს ფასი აქვს; პასტინგსის ბრძოლის აღწერა, სხვათა შორის, აქ წაიკითხე. ეფიქრობ, თუკი რამდენიმე წიგნს, როგორიცაა მოტლი, დიკენსი, გრუსონის „ჯვაროსნული ლაშქრობები“, ყურადღებით წაიკითხავ, ისტორიაზე უთუოდ სწორი წარმოდგენა შეგექმნება.

117. *9 იანვარი, 1878.* დღეს კ.მ.-მ მკითხა, შენი აზრით, ლამაზია ჟერომის „ფრინაო“? ვუპასუხე, რომ ბევრად მომწონს მილესა და ისრაელსის მახინჯი ქალი ან ედ ფრერის დედაბერი. კაცმა რომ თქვას, რა ბედენაა თუნდაც ფრინას ლამაზი სხეული? ფიზიკური სილამაზე ნადირსაც კი აქვს, იქნებ ნადირი ადამიანზე ლამაზიც იყოს, მაგრამ სული, კაცში რომ სახლობს და ისრაელსი, მილე ანდა ფრერი ხატავენ, ნადირს არა აქვს. განა სიცოცხლე იმიტომ არ მოგვენიჭა, რომ სულიერად მდიდარნი ვიყოთ, თუნდ გარეგნობა არ გვეეარგოდეს?! მე, ჩემდათაედ, ჟერომის სურათი ნაკლებად მომწონს – სული არ უდგას, ზეშთაგონების ნიშანწყალი არ ეტყობა: ნაჯაფი ხელები ჩემს თვალში უფრო ლამაზია, ნაჯაფი ხელები მირჩევნია ამ სურათზე დახატულ ხელებს.

უფრო დიდი განსხვავებაა ასეთ ლამაზ ქალიშვილსა და ისეთ ხალხს შორის, როგორიცაა პარკერი, თომა კემპიელი ანდა მეისონიეს ნაწარმოებთა გმირები: მათი ერთდროული სიყვარული ისევე არ შეიძლება, როგორც ორი ბატონის სამსახური. როცა კ.მ. შემეკითხა, ნუთუ შენში არავითარ გრძნობას არ იწვევს ლამაზი ქალის ან ქალიშვილის შეხედვაო, ვუპასუხე, უფრო დიდ გრძნობას გამოიწვევედა და მერჩიენა კიდეც, საქმე მქონოდა მახინჯ, ბებერ, ანდა ღარიბ, ერთი სიტყვით, ყოელად უბედურ დედაკაცთან, თუკი სული და ჭკუა-გონება მას ცხოერების ჭირვარამსა და სიმწარეში ექნებოდა-მეთქი მოპოვებული.

121. *3 აპრილი, 1878.* ადრე რომ ებჯობდით, კელავ იმაზე ეფიქრობდი და უნებურად ეს სიტყვები გამახსენდა: „დღეს ისეთიენი ვართ, როგორნიც გუშინ ვიყავით“. რაც იმას არ ნიშნავს, რომ ერთ ადგილზე უნდა შეეჩერდეთ და განვითარებისა გეეშინოდეს. პირიქით, ეს საჭიროა. მაგრამ რათა ამ სიტყვების ერთგული დარჩე, არ უნდა შედრკე და თუ რაიმეს ნდობითა და პატიოსანი თვალით შეხედე, ეს ნდობა და პატიოსნება ბოლომდე უნდა შეინარჩუნო. ვინც თქვა, „დღეს ისეთიენი ვართ, როგორნიც გუშინ ვიყავითო“, პატიოსანი ხალხი იყო, რასაც აშკარად ადასტურებს კონსტიტუცია*, მათ რომ შექმნეს, და რომელიც კარგია ყველა დროისათვის; რომელზედაც ამბობენ, რომ დაწერილია „ღვთიური ცეცხლით“ და „მგზნებარე ხელით“. რა თქმა უნდა, კარგია, იყო პატიოსანი კაცი და ცდილობდე, გახდე უფრო პატიოსანი, მაგრამ სწორია, ვისაც სჯერა, რომ, ამას გარდა, საჭიროა, იყო „კაცი ზეშთაგონებული, შინაგანი ცხოერების მქონე“.

რომ ვიცოდე, მეც ასეთი კაცი ვარ, ჩემს გზაზე მტკიცედ და მშვიდად ვიელიდი, დარწმუნებული ვიქნებოდი, მიზანს უთუოდ მივაღწევ-მეთქი. ერთი კაცი აჩემებულ დღეს ეკლესიაში დადიოდა და კითხულობდა: იქნებ ჩემმა გულმოდგინებამ შემაცდინა? იქნებ მცდარ გზას დავადექი, ცუდად დავიწყე? რა იქნება, გავთავისუფლდე უცნობლობისგან, დაერწმუნდე, რომ, ბოლოს და ბოლოს, გავიმარჯვებ და წარმატებას მოვიპოვებო?! და, აი, ერთხელ პასუხად მოესმა: რას იზამდი, ეს რომ გჯეროდეს? ისე მოიქეც, თითქოს გჯერა, რომ ასე იქნება, და იცოდე, არ

შერცხვებიო. წაიდა კაცი თავისი გზით, მაგრამ თან უკვე რწმენა ახლდა; დაუბრუნდა თავის საქმეს, აღარ ეჭვიობდა, არაუერზე ჭოჭმანობდა.

რაღას ნიშნავს, იყო „კაცი ზეშთაგონებული, შინაგანი ცხოერების მქონე"? იქნებ შეიძლება, ეს უნარი განვიეითაროთ ისტორიის და ყველა დროის მოღვაწეთა გაცნობის გზით – ბიბლიური ისტორიიდან რევოლუციის ისტორიამდე, „ოდისეადან" – დიკენსის და მიშლეს წიგნებამდე? ხომ არ უნდა ამოეკრიფოთ ზოგიერთი რამ ისეთი ხალხის შემოქმედებიდან, როგორიცაა რემბრანდტი? ანდა იქნებ ბრეტონის „სარეველაზე", მილეს „დღის საათებმა", დე გრუს ან ბრიოსნის „ლოცვამ სადილის წინ", დე გრუს (ან კონსიანსის) „ახალწეულმა", დიუპრეს „დიდმა მუხებმა" და მი'შელის წისქვილებმა, ქეიშიანმა დაბლობებმა შეგეშატოს რამე?

ჩვენ კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა არის თითოეული ჩვენგანის მოვალეობა, როგორ უნდა მივაღწიოთ ცხოერებაში სიკეთეს, და დავასკვენით, რომ ჯერჯერობით ერთი მიზანი უნდა გვქონდეს – რამე საქმე, რამე ისეთი პროფესია გამოვნახოთ, რასაც მთლიანად შევწირავდით ჩვენს ცხოერებას. ეგონებ, ორიეეს ერთი აზრი გვაქვს სხვა საკითხზედაც, კერძოდ, მთავარი ყოველ საქმეში მიზანია და გამარჯვება – მოპოვებული მთელი სიცოცხლის მძიმე შრომით – იოლად ნაშოვნ წარმატებაზე ძვირფასია. ვისც პატიოსნად, პირნათლად ცხოერობს, ვისაც ნამდვილი სიძნელე და ხელისშოცარება გამოუცდია, მაგრამ ქედი არ მოუხრია, მეტად ფასობს, ვიდრე ის, ვისაც იღბალი აქვს და წარმატებისთვის მუდამ იოლად მიუღწევია.

მაშ, ის ვინ არის, ვისაც ყველაზე ცხადად ვამჩნევთ ამაღლებული ცხოერების ნიშანს? ვინა და, ის, ვისაც ეხება ეს სიტყვები: „მაშვრალნო, მწუხარეა ცხოერება თქვენი, იტანჯებით და ნეტარ ხართ, მაშვრალნო", ვინც „ბრძოლის, შრომის და სიმტკიცის" ბეჭედს ატარებს. თუკი ცდილობ, ასეთი იყო, ეს სიკეთეა. მაშ, ჩვენი გზით და ღვთის შეწევნით წინ გავწიოთ. მე კი უნდა მღვდელი გავხდე, ნამდვილი მღვდელი, სწორი, კარგი, სასარგებლო რჩევის მიცემა რომ შეუძლია. ამიტომ იქნებ კარგიც არის, საფუძვლიანი მომზადებისთვის შედარებით დიდი დრო რომ მაქვს: მოვასწრებ, რწმენა განვიმტკიცო, ვიდრე ამ რწმენის საქადაგებლად მიმიწვევდნენ...

თუ შევეცდებით, უბიწოდ ვიცხოეროთ, თვით უმძიმესი მწუხარების ჟამს, გარდაუვალი სიმწარის და ტკივილის ჟამსაც კარგად ვიქნებით; ალბათ, მძიმე შეცდომებსაც თავს ვერ დავაღწევთ, უხვიეროდაც მოვიქცევით, მაგრამ გვეჯობს, ისევ მხურვალე გული გვქონდეს, – თუნდ ამის გამო ზოგჯერ შეცდომაც ჩავიდინოთ, – ვიდრე გონებაშეზღუდულნი და მეტისმეტად ფრთხილნი ვიყოთ. უნდა გვეყვარდეს, რაც შეიძლება, მეტად გვეყვარდეს, რამეთუ ძალა ჭეშმარიტი – სიყვარულშია. ვისაც უყვარს, ის ბევრსაც ქმნის, ბევრი რამ ძალუძს; სიყვარულით რაც კეთდება, კარგად კეთდება. თუ რომელიმე ნაწარმოები ოდესმე გულზე მოგხვედრია, მაგალითად, მიშლეს „მერცხლები", „ტოროლა", „ბულბული", „შემოდგომის იმედები", „აქ ვიღაც მანდილოსანს ეხედა", „მე მიყვარდა ეს უცნაური ქალაქი" და სხვა, – ეს იმიტომ, რომ ავტორს შიგ სული ჩაუქსოვია, უწყინარი, წმინდა გულით უმუშავია და არაფრის შელამაზებას არა ცდილა.

ჯობს, კაცმა ცოტა ილაპარაკოს, მაგრამ სიტყვები აზრიანი შეარჩიოს, ვიდრე ფუჭად და გრძლად მეტყველებდეს. ფუჭი ლაპარაკი რამდენა-

დაც იოლია, იმდენადვე უსარგებლოა. ყაცს ერთგული სიყვარულით ის უნდა უყვარდეს, რაც ღირსია სიყვარულისა, თავისი გრძნობა უმნიშვნელოს, არაფრის მაქნისს, უღირსს არას შეალიოს და ძალაცა და გამჭრიახობაც თანდათანობით შეემატება. რაც უფრო ადრე დაეუფლები არჩეულ საქმეს, პროფესიას, რაც ადრე შეიძენ ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოქმედების უნარს, რაც უფრო მტკიცედ დაიცავ კანონებს, მით ურყევსა და მტკიცე ხასიათს გამოიმუშავებ. ამასთან ერთად, ყოველმხრივ უნდა შეეცადო, გონება შეზღუდულ კაცად არ იქცე.

ბრძენია, ვინც ასე იქცევა, რადგან სიცოცხლე მოკლეა და სწრაფწარმავალი. ვინც ერთ ადგილზე ფეხს მოიკიდებს და რომელიმე პროფესიას დაეუფლება ისე, როგორც საჭიროა, სხვა რამესაც შეისწავლის, ბევრ სხვა რამეზედაც შეექმნება წარმოდგენა. კარგია და სასარგებლო ხალხში ყოფნა, ადამიანებთან ურთიერთობა, ზოგჯერ სულაც მოვალენი ვართ, ასე მოვიქცეთ; მაგრამ ქვეყნად, კაცთა შორის ყველაზე უფრო გულდაჯერებით მაინც ის არის, ვისაც წყნარად, განმარტოებით ურჩევნია თავისი საქმის კეთება და მეგობრების პატარა წრით კმაყოფილდება.

საზრუნავიც რომ არა გექონდეს რა, გზას დაბრკოლება არ გიღობავდეს, თვითდაჯერებული ნუ იქნები: არ შეიძლება, ყველაფერს იოლად მოეკიდო. უგანათლებულეს წრეებში რომ ეტრიალებოდეთ, საუკეთესო ხალხში რომ ვიყოთ, საუკეთესო პირობებში, რაღაც თვითმყოფადი, რაღაც რობინზონ კრუზოსებური, ბუნებრივი მაინც უნდა შევინარჩუნოთ, რამეთუ სხვაგვარად საკუთარ თავშივე დავკარგავთ დასაყრდენს. შეინარჩუნე მგზნებარე სული, ეცადე, იგი ვერაფერმა გაგინელოს! ვინც სიღარიბე თავის ხვედრად მიიჩნია და შეიყვარა, აუწონავ საუნჯეს ფლობს, გული მისი სინდისის ხმას კარს არ დაუხშობს, ხოლო ხმა იგი შინაგანი — ღვთის ბოძებული საუკეთესო საჩუქარია: ვინც ყურს მიაპყრობს და ემორჩილება, ბოლოს და ბოლოს, მისი სახით მეგობარს პოვებს და არასდროს მარტო არ არის. ბედნიერია, ვისაც ღმერთი სწვამს — თუნდაც ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიაროს, ბოლოს მაინც ყველა სიძნელეს გადალახავს.

რა გარემოშიც უნდა მოხვედე, იმაზე კარგი არაფერია, თუ მუდამ ღმერთზე იფიქრებ და შეეცდები, მის შესახებ ბევრი გაიგო. ამას მიაღწევ, ბიბლიას და სხვა წიგნებს თუ ხშირად იკითხავ. კარგია, თუ გწამს, რომ ქვეყანაზე ყველაფერი მშვენიერია, უკეთესი, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვიძლია, რამეთუ ეს, მართლაც, ასეა; კარგია, დარჩე წესიერი, მოკრძალებული, გულკეთილი — თუნდაც მალვა მოგიწიოს ამ სიკეთისა, რადგან ხშირად ასე მოქცევა საჭირო ხდება; კარგია, თუკი გეცოდინება — ფილოსოფოსთა და ბრძენთათვის ამა ქვეყნისა რაიც, საერთოდ, დაფარულია, უპოვართა და უბრალოთათვის, ქალებისა და ბავშვებისთვის, დაბადებითვე გასაგებია. იმაზე კარგს რას შეიცნობს კაცის გონება, რაიც ღმერთმა თითოეული ჩვენთაგანის სულს მიანიჭა — ჩვენ ხომ ეცოცხლობთ, იმედი გვაქვს, გეწამს და გვიყვარს, თუ, რა თქმა უნდა, სული ჩვენი უკეთურად არ არის შერყვნილი.

ადამიანს ბევრი რამ სურს — უსასრულობას ესწრაფვის და საკვირველების ხილვა სწადია. მართალიც არის, სწორედ იქცევა, როცა მცირედს არ სჯერდება და მოსვენებას ვერ პოულობს, ვიდრე სურვილს არ შეისრულებს. ეს არის კრედო, რაც ყველა კარგ ადამიანს გამოუთქვამს საკუთარი შემოქმედებით — ყველას, ვინც სხვებზე ღრმად ფიქრობდა,

კიდევ უფრო ამაღლებულს ესწრაფოდა, მეტს შრომობდა და მეტი უყვარდა, ვინც ცხოვრების ზღვას უკიდურეს ფსკერამდე ჩასწვდა. ამ სიღრმეებს ჩვენც უნდა ჩაეწვდეთ, თუკი გვსურს, რამე მოვეხელთოთ, და თუ ზოგჯერ მთელი ღამე ეიმუშაეთ, ეერაფერი კი ეერ დაეჭირეთ, გეიჯობს, არ შეედრკეთ და დილით ისევ ბადე გაეშალოთ.

მოდი, მშვიდად გაეწიოთ წინ, დაე, ყოველი ჩვენგანი თავის გზაზე მუდამ სინათლეს ესწრაფოდეს: „განეადიდოთ გული ჩვენი“, რაკი ეიცით, რომ ისეთები ვართ, როგორებიც სხვები არიან, ხოლო სხვები – ისეთივენი – როგორებიც ჩვენ, და რომ კაცი თავს კარგად გრძნობს თავისსავე მსგავსთა შორის, სწამს, იმედი აქვს, ყველაფერს იტანს და სულ იმის ცდაშია, არ დაიღუპოს. ხოლო შენს ნაკლს, მოდი, გულთან ნუ მიიტან, ეინაიდან თვით უნაკლოსაც გააჩნია ერთი ნაკლი, ის, რომ იგი უნაკლოა. თუ ეინმეს პგონია, სრულ სიბრძნეს მისწვდა, კარგი იქნება, თუ ხელახლა გასულელდება. დღეს ისეთივენი ვართ, როგორნიც გუშინ ეიყავით, კერძოდ, პატიოსნები, მაგრამ ისეთნი, ცხოვრების ცეცხლში წრთობა რომ ელით, რათა ამ ცეცხლმა შინაგანად გაგეამაგროს, მტკიცედ ვდგეთ და არ განგეშორდეს, რაიც ღვთის მადლით დაბადებითვე მოგვენიჭა.

ეტენი და ბრიუსელი

ივლისი, 1878 – ნოემბერი, 1878

ვინსენტს სურდა, თავისი ძალ-ღონის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა, რაც შეიძლება, მალე ჰქონოდა. ამ სურვილმა ბრიუსელის მახლობლად, ლაკენის სამისიონერო სკოლაში მიიყვანა, რომელიც პასტორ დე იონგეს მიერ იყო დაარსებული და მასწავლებელი გოგმა ხელმძღვანელობდა. მაგრამ სამი თვის გამოსაცდელი ვადის შემდეგ (1878 წლის 15 აგვისტოდან 15 ნოემბრამდე) იძულებული გახდა, სკოლიდან წასულიყო, რადგან, როგორც თანამოწაფენი იგონებდნენ, ამ ხნის მანძილზე სათანადო მორჩილება ვერ გამოჩინა; ამის შემდეგ საკუთარი პასუხისმგებლობით, საკუთარი რისკით საშრეთ ბელგიის ქვანახშირის მოპოვების ცენტრში – ბორინაჟში – წავიდა სახარების საქადაგებლად.

123. ***22 ივლისი, 1878.*** ცხადია, მამა უკვე მოგწერდა: წინა კვირას აილეორტელ წმიდა დ-რ ჯონზთან ერთად, რომელიც აქ ერთი კვირა კიდევ დარჩა, ბრიუსელში გაეემგზავრეთ. ბრიუსელიდან შინ მით უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილებით დაებრუნდით, რომ, ჩვენი აზრით, მომავალში მე იქ შეეძლებ, თანამდებობა და სამოღვაწეო ასპარეზი გამოვნახო. ამას იქ უფრო მალე მიეაღწევ, უფრო იაფიც დამიჯდება, ეიდრე ჩვენთან, პოლანდიაში. ამგვარად, ასე გადაეწყვიტეთ – ბელგიას გეერდი არ აეუაროთ და იქ ძებნა მანამდე განეაგრძოთ, ეიდრე რამეს გამოვნახავდეთ.

ეიყავით ფლამანდიურ სასულიერო სასწავლებელში, სადაც სწავლება სამწლიანია, მაშინ, როცა პოლანდიაში – შენც კარგად იცი, – ექვს წელს მაინც უნდა მესწავლა. მქადაგებლის წოდებისა და ადგილისთვის იქ სასწავლებლის დამთავრებასაც არ მოითხოვენ. მოითხოვენ მხოლოდ იმას, რომ გულითადი, გასაგები, გულშიჩამწვდომი ქადაგება-მოძღვრების კითხვა მოახერხო, უპირატესად, არა გრძელი და მეცნიერული, არა-

შეხ მოკლე, სათელი და ყველასათვის მისაწვდომი ქადაგება-მოძღვრებისა. ამის გამო ღვთისმეტყველების ღრმა ცოდნას და ძველ ენებში განსწავლულობას უფრო ნაკლები ყურადღებით ეკიდებიან (თუმც ეს ცოდნა კარგ რეკომენდაციად მიაჩნიათ), პრაქტიკული შრომის უნარს და ნამდვილ რწმენას ანგარიშს უფრო მეტად უწევენ. თუმც ჩვენ აქამდეც ბევრი გვაკლია; ჯერ ერთი, ხალხთან სერიოზულად, გრძნობითა და გაუჭირვებლად, გაუჭიანურებლად საუბრის უნარს ასე უცებ ვერ შეიძენ; ამას მიაღწევ მხოლოდ ხანგრძლივი პრაქტიკის შემდეგ. და მეორეც – ის, რის თქმაც გსურს, გააზრებული, მიზანსწრაფული უნდა იყოს, მსმენელებში მათივ იმედის, სიყვარულის, ოცნებათა აცხადების წადილს უნდა აღვიძებდეს; ის, რის თქმაც გინდა, ამ სურვილით უნდა იყოს სულჩადგმული. თუ გსურს, რომ იქ წარმატება მოიპოვო, ხალხისთვის უნდა ქადაგებდე. ამ ბატონებმა მოითხოვეს, სამი თვით ბრიუსელში ჩაესულიყავი, რათა კარგად გაეცნობოდით ერთიმეორეს, მაგრამ, ხომ იცი, ასე ხანგრძლივად იქ დარჩენა კელავ ძალიან ძვირი დაჯდება, ჩვენ კი ამას, რაც შეიძლება, უნდა ვერიდოთ. ამიტომაც ჯერ აქ, ეტენში წაივიმუშავებ, ცოტას კიდევ მოვემზადები; აქედანაც მოვახერხებ, მეხელიენში პასტორ პიტერსენს ვეწვიო ხოლმე, ბრიუსელში კი პასტორ დე იონგეს, ასე ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ. ეს კი მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ბრიუსელში რამეს გადაწყვეტენ.

126. ***15 ნოემბერი, 1878.*** გიგზავნი ხსენებულ ჩანახატს – „შახტისკენ". იმ უამრავ საგანთაგან, რასაც მე აქ ყოველდღე ვხედავ, ხან რის ჩახატვა მომინდება, ხან კიდევ რის. იქნებ ეცადო, რა გამომივა? მაგრამ ეს ხომ საქმეს მომაცდენს. უმჯობესია, ხატვაზე, საერთოდ, არ ვიფიქრო. შინ რომ მოვედი, მაშინვე უნაყოფო ლელეზე ქადაგებას ჩავუჯექი, ლუკა XIII, 6-9. პატარა ნახატი – „შახტისკენ" – არაფრითაა საყურადღებო, უნებურად ჩაეიხატე, რადგან შახტებში მომუშავეთ აქ ხშირად ვხედავ, ეს კი სულ სხვა მოდგმის ხალხია. პატარა სახლი ნაპირთან დგას, კაცმა რომ თქვას, ეს შახტისზედა ნაგებობაზე მიშენებული პაწაწინა სამიკიტნოა; შესვენებაზე, სადილობისას, სამიკიტნოში მუშები შედიან, რათა ცოტა შეჭამონ და თითო ლუდი დააყოლონ.

ერთ დროს ინგლისშიც შევეცადე, ქვანახშირის მაღაროებში მქადაგებლის ადგილი მეშოვა, მაგრამ მაშინ ჩემი თხოვნა ყურად არ იღეს; მითხრეს, ასეთ თანამდებობას არ მოგცემენ, თუ ოცდახუთის მაინც არ ხარო. შენ კარგად იცი, სახარების, და არა მხოლოდ სახარების, არამედ მთელი საღმრთო წერილის ერთ-ერთი მთავარი ჭეშმარიტება შემდეგია – „და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია". ბნელის დათრგუნვით ნათელისაკენ. მაშ, ვინ უფრო გრძნობს, ვის სჭირდება ეს ნათელი ყველაზე მეტად? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათ, ვისაც ბნელში, დედამიწის შავ წიაღში უხდებათ შრომა – მაგალითად, მაღაროელებს, – სახარება იტაცებთ, სწამთ და სჯერათ მისი. მაშ ასე, ბელგიის სამხრეთით – ენოში, მონსის მახლობლად, საფრანგეთის საზღვრამდე და მის გადაღმაც არის მხარე, ბორინაჟს რომ უწოდებენ; მისი თავისებური მოსახლეობა შედგება ქვანახშირის ურიცხვ შახტებში მომუშავე მაღაროელთაგან; სხვათა შორის, ერთ პატარა გეოგრაფიულ ცნობარში, აი, მათზე რა წავიკითხე: „ბორინაჟელები (მონსის დასავლეთით მდებარე მხარის – ბორინაჟის მცხოვრებლები) მარტოოდენ ქვანახშირის მოპოვებაზე მუშაობენ. გასაოცარ სანახაობას წარმოადგენს ეს 300 მ-ის

სილრმის შიწისქვეშა მაღაროები, სადაც ყოველ ცისმარე დღეს ეშვება ხოლმე ჩვენი სიმპათიისა და პატივისცემის ღირსი მშრომელი მოსახლეობა. მაღაროელი ბორინაჟისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული ტიპის ადამიანია: მისთვის დღის სინათლე არ არსებობს – მისი სხივებით კვირა დღეს თუ შეუძლია, სული გაითბოს. ლამპის მბჟუტავ სინათლეზე წელში მოხრილი, ზოგჯერ დაწოლილიც, იგი ეიწრო სანგრეებში შრომობს, რათა დედამიწის წიაღს ნახშირი წაართვას, რაც ჩვენთვის ღიდად სასარგებლოა. სამუშაოზე მას ათასი ხიფათი ელის, მაგრამ ბელგიელ მაღაროელს ერთი კარგი თვისება აქვს: მიჩვეულია ასეთ ცხოვრებას და როდესაც შახტში ეშვება, სადაც სიბნელეს მარტოოდენ საკუთარ ქუდზე მიმაგრებული პაწაწინა ნათურა უნათებს, თავს ღმერთს მიანდობს, ღმერთი კი ხედავს მის დიდ ჯაფას და იფარავს მასაცა და მის ცოლ-შვილსაც".

მაშასადამე, ბორინაჟი ლესინის სამხრეთით მდებარეობს, ქვეისსამტეხლოებთან. იქ რომ მქადაგებლად წაესულიყავი, ძალიან კარგი იქნებოდა. ის სამი თვე, ბატონმა დე იონგემ და პასტორმა პიტერსენმა საგანგებოდ რომ დამითქვეს, თითქმის გაქრა. წვინდა პაულემ, ქადაგების დაწყებამდე, სამოციქულოდ წასვლამდე და წარმართთა შორის ნამდვილი ღვაწლის გაწევამდე სამი წელი არაბეთში გაატარა. მეც რომ მქონოდა შესაძლებლობა, ასეთ ადგილზე სამ წელიწადს ჩემთვის მშვიდად მემუშავა, მთელი ეს დრო სწავლასა და დაკვირვებაში გამეღია, რა თქმა უნდა, როცა იქიდან დავბრუნდებოდი, ალბათ, რაიმე მნიშვნელოვანს, რის მოსმენაც ეღირებოდა, მეც ვიტყოდი. ამას დიდი მორიდებით ვლაპარაკობ, მაგრამ მჯერა ჩემი ნათქვამის. თუ ღმერთი ინებებს და მანამდე მაცოცხლებს, ალბათ, ასე, ოცდაათი წლის ასაკში სათანადო მომზადება და გამოცდილება უკვე მექნება, ოსტატობასაც შევიძენ და ამ საქმისთვის შესაფერიც და მომწიფებულიც მეტად ვიქნები, ვიდრე ამჟამად. ჩვენ ამაზე ვილაპარაკეთ, მაგრამ კიდევ გიმეორებ. ბორინაჟში საკმაოდ ბევრი პატარ-პატარა პროტესტანტული საზოგადოებაა და, ცხადია, სკოლაც. ჩემთვის რომ იქ რამე პატარა ადგილი მოეცათ? – მე და შენ რომ ვოცნებობდით, აი, ისე მემუშავა, ღარიბებისთვის სახარება მექადაგა, ესე იგი, მათთვის, ვისაც იგი სჭირდება, ვისთვისაც ის განსაკუთრებით ძვირფასია, – და თავისუფალ დროს მემეცადინა!

ალბათ, სენ-ჟილში იქნებოდი. ის მხარე ერთხელ მეც მოვიარე, ძველი კარიბჭე ვინახულე. სწორედ იქ, სადაც მონ სენ-ჟანის გზა იწყება, არის კიდევ ერთი ბორცვი – ალსემბერგი. იქიდან მთელი ქალაქი მოჩანს. მარჯვნივ სენ-ჟილის სასაფლაოა – კედრებსა და სუროში ჩაფლული. ცოტას რომ გაიარე, ფორში მიხვალ. თვალწარმტაცი ადგილია. ბორცვების კალთებზე ძველისძველი სახლები დგას; ეს სახლები დიუნებს შორის მიმობნეულ ქოხებს წააგავს, ბოსბოომი რომ ასე ხშირად და კარგად ხატავდა. იქ შეიძლება, ათასნაირ საქმიანობას დააკვირდეს ადამიანი: თევზასა და კარტოფილის ამოღებას, თალგამის რეცხვას; თან ყველაფერი, თუნდაც ფიჩხის მოგროვება, ძალზე ლამაზი დასახატია და ბევრი რამით მონმარტრს მაგონებს. იქ არის ძველი, სუროთი და უსურვაზით შებურვილი სახლები და ლამაზი დუქნები; შენობებს შორის, რომელიც თვალში მომხვდა, მდოგვის ფაბრიკის მეპატრონის – ვერკისტენის სახლს გაეიხსენებ. ადგილ-მამული ამ კაცისა ნამდვილი ტეის მარისისებური სურათია. აქა-იქ მოჩანს ქვის სამტეხლოები, საითკენაც ჩაქცეული, ღრმა-

ნაკეალეედაჩნეული გზები მიდის. ამ გზებზე პატარა, წითელპომპონიანი თეირი ცხენები და ლურჯხალათიანი მეფორნეები შემოგხედებიან. მწყემსებიც არიან, ცხვარს რომ მწყემსაენ, შაეკაბიან ქალებსაც ნახაე, თეთრი ჩაჩები რომ ახურაეთ და დე გრუს ქალებს მოგაგონებენ.

ზოგი ადგილი – მადლობა ღმერთს, ამდაგვარი ადგილები ყველგან შეგხვედება! – განსაკუთრებით გაგრძნობინებს, რომ თითქოს შინ ხარ; უცნაური, დიდი ხნის ნაცნობი, რაღაც სამშობლოს მონატრებასავით გრძნობა გიჩნდება; მწარეა და ნაღველიანი ეს შეგრძნება, მაგრამ თითქოს შინაგანად გამხნეებს და ძალას გმატებს, ეერ გაიგებ, როგორ და რატომ, ენერგიით აგაესებს და შრომის წყურეილს გაგიორკეცებს. იმ დღეს უფრო შორს წაეედი, ფორს გაეცდი და ძეელი, სუროთი შებურული ეკლესიისკენ მიმაეალ გზაზე გადაეუხეიე. იქ მრაეალი ცაცხეი დამხვდა – კიდეე უფრო ერთმანეთში გადახლართული, უფრო, ასე ეთქვათ, გოტიკური ფორმის ცაცხეები, ეიდრე ჩეენ ერთხელ პარკში ენახეთ. სასაფლაოზე მიმაეალი, ჩამოქცეული გზის მხარეს კი დაღრეცილი ხეები და ფესეები ჩანდა, არანაკლებ უცნაური, ეიდრე ალბრეხტ დიურერმა ამოკეეთა გრაეიურაზე, რომელსაც „რაინდი, სიკედილი და სატანა“ უწოდა.

გინახაეს როდისმე კარლო დოლჩის სურათი – „გეთსიმანიის ბაღი“, უფრო სწორად, ფოტოგრაფია ამ სურათისა? მე ახლა ენახე – რაღაც არის მასში რემბრანდტის. შენ, რა თქმა უნდა, კარგად იცი რემბრანდტის სურათის დიდი, უხეში გრაეიურა იმაეე თემაზე, „ბიბლიის კითხეის“ ჯუფთი რომ არის – აკეანი და ორი ქალი. როცა მითხარი, ამ სიუეტზე ძია კოროს სურათი ენახეო, მეც გამახსენდა. მე იგი ენახე გამოფენაზე, რომელიც მხატერის სიკედილის შემდეგ მალე მოეწყო, და უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ო, რამდენი მშეენიერი ნაწარმოები შეუქმნია ხელოეანის ხელს! ეისაც არაფერი დაეიწყებია, რაც უნახაეს, საფიქრალიც არ დაელეეა და მარტოობას ეერასდროს იგრძნობს.

ნახეამდის, თეო! შორიდან მაგრად გართმეე ხელს, სულით და გულით გისურეებ სიკეთეს და შრომაში წარმატებას. დაე, ცხოერებაში ბეერი რამ გენახოს, რაც არასდროს დაგაეიწყდება. ასეთი რამ გეამდიდრებს და მაშინაც კი, როცა გეგონია, სულ ცოტა რამ გაგეაჩნიაო, მდიდრები ეართ. თუ როგორმე მაუეესთან შეიარო, ჩემი სალამი გადაეცი. გჯეროდეს, რომ ძეელებურად შენი მოსიყეარულე ძმა ეარ.

ეინსენტი

წერილის გამოგზაენა რამდენიმე დღით დაეაგეიანე. 15-მა ნოემბერმა გაიარა – ესე იგი, ის სამი თეე მიიწურა. პასტორ დე იონგესა და მასწაელებელ ბოკმას ეესაუბრე. სწაელის ისეთი პირობები, მკეიდრ ფლამანდიელთ რომ ეძლეეათ, არ მექნება. შეგიძლია, გაკეეთილებს დაესწროო – პა და პა, უფასოდ; მეტ პრიეილეგიებს ეერ მომცემენ. ესე იგი, აქ დასარჩენად ბეერად მეტი ფულია საჭირო, ეიდრე, ალბათ, მე მექნება – მე ხომ ფული სულ არა მაქეს. ამიტომაც პირდაპირ ბორინაჟში გაეემგზაერები. ოღონდ თაეი დაეაღწიო და დიდ ქალაქში იოლად აღარ დაებრუნდები.

ბორინაჟი

ნოემბერი, 1878 – ოქტომბერი, 1880

1878 წლის ბოლო თეეები ეინსენტმა პატარა სოფელ პატიურაჟში გაატარა — მაღარიულებს ბიბლიას უკითხაედა და ავადმყოფებთან დადიოდა. 1879 წლის იანეარში, როგორც იქნა, ეამში მქადაგებლის ადგი-

ლი ძისცეს. იქ საკუთარი თვალით ნახა მაღარიულთა შეშხარაი სიცარიელე, შრომის ძსიმე პირობები, მასტერში მოძმდარი უბედური შეშხვეულების, ეპიდემიებისა და გაფიცვების მიზეზ გახდა. დარწმუნდა, რომ სახარების ქადაგება ადამიანს ბევრს არაფერს შეელოდა, და სიტყვიდან საქმეზე გადავიდა — დაჭრილებსა და ავადმყოფებს უნაწილებდა, რაც გააჩნდა: ფულს, ტანსაცმელს, საკუთარი საწოლიც სხვას ძისცა; მასტერის დირექციას ედავებოდა, მუშებს ეჭიმაგებოდა. ამ საქციელით უმაღლესი ეკლესიის უფროსობამ 1879 წლის იელისში ვინსენტი მქადაგებლის თანამდებობიდან დაითხოვა. მის ცხოვრებაში უმძიმესი დღეები დადგა: ვინსენტი ბორინაჟში უმუშევრად, უფულოდ, უმეგობროდ და უმერად დარჩა. ოჯახს წაეწყება, რადგან მუქთახორა უწოდეს, ეჩხუბა ძმასაც, ორივე მხარის შერიგებას რომ შეეცადა. 1879 წლის ოქტომბერში, მძაფრი სულიერი კრიზისის დროს, მიმოწერა თეოთანაც შეწყვიტა და ცხრა თვის შემდეგ — 1880 წლის იელისშია შეატყობინა თავისი ამბავი. ბორინაჟში ხეტიალმა ვინსენტი სულ „სხვა კაცად" აქცია. მოუნდა, მხატვარი გამხდარიყო და ეს სურვილი თანდათანობით გაუძლიერდა. ბევრს ხატავდა, ხატავდა ნატურას, ილებდა ასლებს, მაგრამ ამ პერიოდის ნამუშევრების უმეტესობა დაიკარგა.

127. **26 დეკემბერი, 1878.** შენთვის უთუოდ გასაგებია — ბორინაჟში ადამიანი სურათის მსგავსს ეერაფერს ნახავს; აქ ისიც კი არ იციან, სურათი რა არის. ამიტომ, ცხადია, რაც ბრიუსელიდან წამოვედი, ხელოვნებასთან რომ საერთო პქონოდა, ისეთი არა მინახავს რა. მაგრამ ეს მხარე მაინც ძალზე ლამაზია, თავისებური. თითქოს, — როგორ ვთქვა, — ლაპარაკობს ყველაფერი, ყველაფერს თავისი ხასიათი აქვს, სურათოვანია, კოლორიტული. შობის წინ რომ ჩამობურული დღეები იყო, თოვლი მოვიდა. პეიზაჟი ბრეიგელ უფროსის, სხვათა და სხვათა — შუა საუკუნეების დროინდელ მხატვართა ნამუშევრებს დაემსგავსა, მათ ნამუშევრებს, ვისაც შეეძლო, აგრერიგად დამაჯერებლად გადმოეცა წითლის და მწვანის, შავის და თეთრის თავისებური ეფექტები. აქ ყოველწუთს რასაც ხედავ, ტეის მარისის ან, ვთქვათ, ალბრეხტ დიურერის სურათებს გახსენებს. შეგხვდება ღარტაფი — ეკლიანი ბუჩქნარითა და დაღრეცილი, უცნაური ფესვებიც მქონე ბებერი ხეებით გადაბურული — და თვალწინ ალბრეხტ დიურერის გრავიურის — „რაინდისა და სიკვდილის" — გზა დაგიდგება.

ამ დღეებში კარგი იყო საღამოს ბინდში ქათქათა თოელზე შახტებიდან მობრუნებული მუშების ყურება. დედამიწის წიაღიდან დღის სინათლეზე დაბრუნებულნი ისეთი შავები ჩანან ხოლმე, ბუხრის მწმენდავები გეგონებიან. უმეტესად პაწაწინა სახლები აქვთ — უფრო სწორი იქნებოდა, თუ ეიტყოდი, ქოხები-მეთქი. ეს სახლები ტყეში, ბორცვების კალთებზე და ღარტაფებშია გაფანტული. აქა-იქ მოჩანს ხავსიანი სახურავები; საღამოობით პაწია ფანჯრებში ალერსიანად გამოკრთის სინათლე. ბაღები, მინდვრები, ნახნავები — ჩეენში, ბრაბანტში მუხნარი ან ბუჩქნარი რომ აელია ირგელიე და პოლანდიაში — შეკაფული ტირიფები, — აქ ეკლიანი, შავი სხლტეებით მოულობაეთ. თოელის ფონზე ეს ყოველიეე თეთრ ქაღალდზე გაბნეულ შრიფტს პგაეს — სახარების კაბადონები გაგახსენდება.

ქადაგება აქ უკეე რამდენჯერმე წაეიკითხე — საგანგებოდ რელიგიუ-

რი კრებებისთვის მოწყობილ დიდ შესრობაშიც და საუბრებზედაც, რომელიც აქ საღამოობით მუშათა ბინებში იმართება; უფრო სწორი იქნებოდა, თუ ამ საუბრებს ბიბლიის კითხვას ეუწოდებდი. სხვაზე რომ უკვე არა ვთქვათ რა, მე მათ ეუამბე მდოგვის მარცვლის, უნაყოფო ლელეისა და ბრმადშობილის იგავები. შობას კი, ცხადია, ბეთლემის ბაგასა და „ქვეყნად მშვიდობის მოფენაზე“ ვესაუბრე.

სულით და გულით მოხარული ვიქნებოდი, თუკი ღვთის ნებით აქაურობას შევრჩებოდი.

ირგვლივ ყველგან უზარმაზარი მილებია, ხოლო შახტების შესასვლელთან — ნახშირის მთები. გინახავს როდისმე ბოსბოომის დიდი ნახატი — „შაფონტენი“? ხასიათს აქაური პეიზაჟისას ეს ნახატი კარგად გადმოსცემს. ოღონდ აქ სულ ქვანახშირის შახტებია, ხოლო ესოს ჩრდილოეთში ქვას იღებენ, შაფონტეში კი — მადანს.

129. *აპრილი. 1879.* ამასწინანდელ საინტერესო ექსკურსიაზე უნდა გიამბო: ექვსი საათი შახტში გავატარე, თანაც ამ მხარის ერთ-ერთ უძველეს, ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო შახტში. „მარკასი“ ჰქვია. ცუდი სახელი აქვს, რადგან ბევრი შეუწირავს: ვინ ჩასვლისას დაღუპულა, ვინ — ამოსვლისას, მაღაროს გაზის აფეთქების, მიწისქვეშა წყლის მოდიდების თუ ძველი წოლხვრელების ჩამოქცევისას; ზოგიც დამხრჩვალა და ა.შ. აქაურობას თავ-პირი ჩამოსტირის, ერთი შეხედვით, მთელი მიდამო შემზარავი, თითქოს მკვდარი მოგეჩვენება.

მეშახტეები, უმეტესად, გამოფიტული, ფერმკრთალი ხალხია — ციება ღრღნის ამ საცოდაებს. დაუძლურებული, გაწამებული, ნაადრევად დაბერებული, გარუჯული სახეები აქვთ. ყველა ქალი, ჩვეულებრივ, გაცრეცილი და ჩამომჭკნარია. შახტის გარშემო საცოდაი ახალშენია — ჭვარტლისაგან გაშავებული რამდენიმე მკვდარი ხე დგას. ღობეები ეკლიანია, ირგვლივ წიდა და ნაკელი ყრია, ნარჩენი ქანის გროვებია აღმართული და ა.შ. მარისი აქ საუცხოო სურათს შექმნიდა. მერე როგორმე შევეცდები, ჩანახატი გამოგიგზავნო, რათა ყველაფერი წარმოიდგინო.

მეგზური კარგი მყავდა, მომთმენი და თავაზიანი. ოცდაცამეტი წელიწადია, შახტში მუშაობს. ცდილობდა, ყველაფერი დაწვრილებით აეხსნა და განემარტა. ამჯერად შეიდასი მეტრის სიღრმეზე ჩავედით და ამ მიწისქვეშა სამყაროს ყველაზე იდუმალ კუნჭულებში შეეიხედეთ. შახტის ჭაურიდან ყველაზე უფრო შორს მყოფ სანგრეებს (ადგილი, სადაც მეშახტე მუშაობს), აქ სამალაებს ეძახიან. შახტში ხუთი ჰორიზონტია, ზედა სამი დაცლილია და მიტოვებული — იქ უკვე აღარ მუშაობენ, რადგან ნახშირი აღარ არის. ვინმე რომ ცდილიყო, ამ სანგრეების ტილოზე ასახვას, გაუგონარი, არნახული რამ გამოვიდოდა.

აი, სანგრევი როგორია — გრძელსა და საკმაოდ ვიწრო შტრეკში მსხვილი ბოძებით გამაგრებული საკანთა მწკრივი წარმოიდგინე. ყოველ საკანში პატარა ნათურის სუსტ სინათლეზე ნახშირს ანგრევს ბრეზენტის უხეშკოსტიუმიანი, ჭუჭყიანი, ბუხრისმწმენდავივით შავი მეშახტე. ზოგიერთ სანგრეევში მას შეუძლია, ფეხზე იდგეს, ზოგში კი წევს. ეს ყოველივე მეტ-ნაკლებად ფიჭის ფოსოებს ან მიწისქვეშა საპყრობილის ბნელ დერეფნებს მოგაგონებს; ან ფეიქართა დაზგების მწკრივს ჰგავს, უფრო ზუსტად, პურის საცხობი ღუმლების რიგს, გლესის ოჯახში რომ გეინახავს, ანდა ნიშებს — აკლდამის ნიშებს.

თვით შტრეკები დიდ საკეამლე მილებს წააგავს, ბრაბანდტში გლე-

ხის სახლებს რომ აქვს, აი, ისეთებს. სოგიეროში ყოველი მხრიდან წყალი ჟონავს და მეშახტის ნათურის შუქი ისეთნაირად ირეკლება, როგორც სტალაქტიტურ გამოქვაბულში. ეფექტი რაღაც უცნაურია. მაღაროელთა ერთი ნაწილი სანგრეეში მუშაობს, საწილი კი პატარ-პატარა ეაგონეტებს მოსგრეული ნახშირით ტეირთავს. ეაგონეტებს რელსებზე ცხენის ტრამეაით დაადორებენ – უმთავრესად ამ საქმეს ბაეშვები აკეთებენ, ბიჭებიც და გოგონებიც. იქ, შეიდასი მეტრის სიღრმეზე, საჯინიბოც გაუმართათ – შეიდიოდე ბებერი ცხენი ეაგონეტებს დაათრევს და ნახშირს ეგრეთ წოდებული მაღაროს კარისკენ მიეზიდება, საიდანაც მაღლა ამოაქეთ. სხეა მუშები წოლხერელების აღდგენასა და გამაგრებაზე ან ახლების გაყეანაზე მუშაობენ; როგორც ხმელეთზე მეზღეური ზღეას მოინატრებს, თუმც იცის, რომ ზღეაში გასულს უამრაეი ხიფათი ელის, ისე მეშახტეს მიწაზე ყოფნას, ურჩევნია, მიწის ქეშ იყოს.

ეს სოფლები შიტოეებულ, დადუმებულ, ამოწყეტილ ნასოფლარებს პგავს, რადგან სიცოცხლე მიწის ქეშაა და არა ზემოთ. აქ შეიძლება, წლები იცხოერო, მაგრამ ეიდრე ძირს არ ყოფილხარ, ეიდრე შახტი არ გინახაეს, საქმის ჭეშმარიტ ეითარებას ეერ გაიგებ. მაღაროელები უკიდურესად გაუნათლებელი, უეიცი ხალხია, უმეტესობამ წერა-კითხეა არ იცის, მაგრამ თაეიანთ მძიმე საქმეში საზრიანნი და მარჯეენი არიან, მამაცნი და გულგახსნილნი; ტანმორჩილებს განიერი მხარ-ბეჭი აქეთ, ხოლო თეალები – ნაღელიანი, გან-გან ჩამჯდარი. გასაოცრად ბეერს შრომობენ, თითოეული ოქროს ხელის პატრონია. მეტისმეტად ნერეულნი – მე არ ეამბობ, სუსტნი-მეთქი – მგრძნობიარობით გამოირჩეიან. ინსტინქტური უნდობლობა და ღრმა სიძულეილი ყეელას მიმართ, ეინც ცდილობს, რომ ქედმაღლურად დაუწყოს ცქერა, მათ საერთოდ ახასიათებთ. მეშახტეებთან შენც მეშახტე უნდა იყო, თაეს ყოყოჩობის, ამპარტაენობის, დიდგულობის ნება არ მისცე; სხეანაირად ეერაფრით შეეთეისები და მათ ნდობას ეერ მოიპოეებ.

აღარ მახსოეს, თაეის დროზე გწერდი თუ არა ერთი აქაური მეშახტის ამბაეს, რომელიც გაზის აფეთქების დროს მძიმედ დაშაედა. მადლობა ღმერთს, თანდათანობით გამომჯობინდა, უკეე გარეთ გამოდის და რათა ცოტა გაიეარჯიშოს, საქმაოდ შორსაც მიდის ხოლმე სასეირნოდ. მართალია, ხელებში ღონე ჯერ არ მოსელია – ამ ხელებით მუშაობას კიდეე ეერ შეძლებს, მაგრამ გადარჩა. მას შემდეგ აქ ტიფიც იყო, აეთეისებიანი, აქაურად – „აეი“ ციებ-ცხელების შემთხეეებიც: ავადმყოფს რომ გააციებს, საზარელ, კოშმარულ სიზმრებს ხედაეს, სულ აბოდებს. სუსტი და საწოლს მიჯაჭეული, ამგეარად, აქ ისეე ბეერია: ღატაკნი და უღონონი ასე წეანან და ილეეიან. ერთ ოჯახში ციებამ ყეელა ჩააწეინა, მათ არაეინ, სულ არაეინ ეხმარება, ისე რომ, სნეულებს სნეულებმა უნდა მიხედონ. „სნეულს აქ ისეე სნეული უელის, – მითხრა ერთხელ დიასახლისმა, – რა გასაკეირია: ღარიბის მეგობარი ღარიბიაო“.

ამ ბოლო დროს რამე კარგი ხომ არ გინახაეს? მოუთმენლად ეელი შენს წერილს. ისრაელსი, მარისი, მაუეე ბოლო ხანებში, ალბათ, ბეერ რამეს გააკეთებდნენ. ორიოდ დღის წინ აქ ბაგაში კეიცი გაჩნდა – პატარა, საყეარელი არსება, და სულ მალე ფეხზე ყოჩაღად წამოდგა. აქაურ მუშებს ბეერი თხა პყაეთ: თიკნებს ყოეელ ოჯახში ნახაე, ასეეე – ბოცერებს.

130. *ივნისი, 1879.* ორიოდ დღის წინ ჩეენთან ღამის 11 საათზე საშინე-

ლი აედარი იყო. აქეე ახლოს არის აღგილი, საიდანაც შეიძლება, თითქმის მთელი ბორინაჟი დაინახო. მოჩანს მილები, ქანის გროეები, მაღაროელთა პაწაწინა ქოხები და მთელი დღის მანძილზე ჭიანჭეელებიეით მოფუსფუსე ადამიანთა პატარა, შაეი ფიგურები; უფრო შორს – მუქი ფიჭვნარი და ფიჭვნარის ფონზე მაღაროელთა თეთრი სახლები; კიდეე უფრო შორს – სამრეკლოები და ძეელი წისქეილი. უმეტესად ყეელაფერ ამას რაღაც ნისლის საბურეელიეით გადასწოლია, ხოლო ღრუბლების სწრაფი მსელელობა შუქ-ჩრდილის უცნაურ ეფექტს იწეეეს – რემბრანდტის, მიშელის, რეისდალის სურათები გაგახსენდება.

ამ აედრის დროს, როცა ელეა ერთი წამით გაანათებდა უკუნეთ ღამეს, განცეიფრდებოდი, ისეთ სურათს დაინახაედი. საოცარი ეფექტი იყო! აქედან თითქმის ორი ნაბიჯით დაშორებული, უკაცურ ეელზე მარტოდმარტო აღმართული „მარკასის“ ძეელი ნაგებობა იმ ღამეს ნამდეილ ნოეს კიდობანს მოგაგონებდა: წარღენის უკუნეთ სიბნელეში, კოკისპირულ წეიმაში, თქეშში, ალბათ, ნოეს კიდობანიც ისე მოჩანდა, როგორც ეს შახტი. იმ შთაბეჭდილებით ამ საღამოს, ბიბლიის კითხეისას, გემის დაღუპეის სურათი აღეწერე.

სულმოუთქმელად ეკითხულობ „ბიძია თომას ქოხს“. ჯერაც რამდენი მონობაა ქეეყანაზე! ამ მშეენიერ, საოცარ წიგნში ეს საჭირბოროტო და ძნელი საკითხი განსჯილია ისეთი სიბრძნით, სიყეარულით, ჩაგრულთა და უბედურთა ჭეშმარიტი კეთილდღეობის ისეთი წრფელი სურეილით და მათ მიმართ ისეთი მზრუნეელობით, უნებურად უბრუნდები და რამდენჯერაც წაიკითხაე, რაღაც ახალს მუდამ პოულობ.

არ ეიცი, სიტყეა „ხელოენება“ ამაზე უკეთ როგორ უნდა განისაზღეროს: „ხელოენება არის ადამიანი პლუს ბუნება“. ბუნება – ეს სინამდეილეა, ჭეშმარიტება, მაგრამ იმ გაგების, იმ მნიშენელობის, იმ ხასიათის სინამდეილე, რასაც მასში მხატეარი პოულობს, რასაც მხატეარი იძლეეა და რასაც გამოხსნის, გამოჩენჩაეს. ისრაელსის, მაუეეს და მარიასის სურათი უფრო მეტს ამბობს, თან უფრო ნათლად, ეიდრე ბუნება. იგიეე ითქმის წიგნებზედაც. კერძოდ, „ბიძია თომას ქოხში“ მხატერის მიერ ყეელაფერი ახალ შუქზეა ნაჩეენები; ამგეარად, რომანში, – მიუხედაეად იმისა, რომ მრაეალი წლის წინ დაიწერა, – ყეელაფერი ახალია. რა კარგად არის მოსაზრებული, რა ფაქიზი განცდებია! რა ოსტატურად ნაქეთები,. რა სიყეარულით, რა სიმართლით, სერიოზულად! თანაც როგორი უბრალოა, თაემდაბლური! ამაეე დროს კი – ჭეშმარიტად ამაღლებული, კეთილშობილური, დახეეწილი!

131. *5 აგვისტო. 1879.* ხშირად, ზოგჯერ შუაღამემდეც, ეზიეარ და ეხატაე, რათა ხსოენაში ყეელაფერი ღრმად ჩაეიბეჭდო, რათა აზრები, უნებურად რომ მებადება, როცა რამეს ეუყურებ ხოლმე, არ გამეფანტოს.

132. *15 ოქტომბერი, 1879.* აბა, ახლა კი ხუმრობას მოერჩეთ. გულწრფელ სიტყეას გეუბნები: თუ გეინდა, რომ ერთმანეთთან კარგად ეიყოთ, საჭიროა, შენცა და მეც უფრო მეტი გულახდილობა გამოეიჩინოთ. მე რომ მართლა დაეიჯერო, არაფრად არ ეევარგიეარ-მეთქი, მხოლოდ გაწუხებთ, მძიმე და ძნელი ასატანი ეარ შენთეისაც და იმათთეისაც, ეინც შინ დაეტოეე და თაეს მუდამ ზედმეტად ეგრძნობდე ან ეიცოდე, რომ მოგბეზრდი, ჯობდა, სულაც არ ეყოფილიყაე ქეეყანაზე; თუ იმაზე უნდა მეფიქრა, გზიდან როგორ ჩამოგცლოდით, რომ მგონებოდა, ყეელაფერი ასეა-მეთქი და არა სხეაგეარად, – მწარე ნაღეელი შემიპყრობდა,

სასოწარკვეთა მომერეოდა. ამაზე ფიქრი ჩემთვის მძიმე ასატანია, მაგრამ თუკი ვიფიქრებდი, რომ ჩემ გამოა ამდენი ჩხუბი და დაეიდარაბა, ეს კიდევ უფრო მძიმე და ძნელი იქნებოდა.

ეს რომ მართლაც ასე იყოს, მერჩივნა, ქვეყნად დიდხანს ყოფნა არ მღირსებოდა. მაგრამ როცა ასეთი ფიქრი ხანგრძლივად და ძლიერ მტანჯავს, იმასაც ეფიქრობ, – იქნებ ეს მხოლოდ გრძელი და მძიმე სიზმარია, იქნებ ოდესმე ვისწაელოთ და ყველაფერი უკეთესად დაეინახოთ, უკეთესად გაეიგოთ-მეთქი? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ასეა. ვინ იცის, იქნებ, უარესად კი არადა, უკეთესად წარიმართოს ყველაფერი? თუ ვიფიქრებთ, ყველაფერი უკეთესად იქნებაო, ბევრი ამას უსათუოდ ცრურწმენით და სისულელით ახსნის. დიახ, ზამთარში ზოგჯერ ისეთი სიცივეა, კაცი იტყვის: მეტისმეტად მკაცრი ყინვაა, ზაფხული თუნდა მობრუნებულა, თუნდა არა, ბოროტება სიკეთეზე ძლიერიაო. მაგრამ დღეს თუ ხვალ, – ჩვენი სურვილის მიუხედავად, – ყინვა გატყდება, ერთ მშვენიერ დღეს ქარი ჩადგება და თოვლის დნობაც დაიწყება. როცა ბუნების ისეთ მოვლენას, როგორიც, ვთქვათ, ამინდია, ჩვენს ყოფას და ჩვენს სულიერ განწყობილებას შევადარებ, – ამინდივით მერყეეს და ცვალებადს, – გულში იმედს გაეიელებ ხოლმე, შეიძლება ყველაფერი, მართლაც, უკეთ იყოს-მეთქი.

133. *ივლისი, 1880.* წერას ვიწყებ არცთუ ისე დიდი ხალისით, რადგან მრავალი მიზეზის გამო, კარგა ხანია, შენთვის აღარ მომიწერია. შენ ჩემთვის თითქოს უცხო გახდი, როგორც მე – შენთვის, თანაც იქნებ უფრო მეტად, ვიდრე შენ ფიქრობ; ალბათ, აჯობებს, წერილებიც აღარ მიეწეროთ ერთიმეორეს. ვალდებული ვარ, იძულებული, თორემ ახლაც არ მოგწერდი, შენ მაიძულე, დიახ, თავად შენ. ეტენში მითხრეს, ორმოცდაათი ფრანკი რომ გამომიგზავნე. ავიღე ეს ფული – რა თქმა უნდა, უგულოდ ავიღე. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ერთობ მწარე იყო, მაგრამ ჩიხში მოვექეცი, გზა და კვალი ამერია და სხვა გასაქანი აღარა მქონდა... გაიგებდი – კელაე ბორინაჟს დაეუბრუნდი. მამას უნდოდა, სადმე, ეტენის ახლომახლო ეყოფილიყავი, მაგრამ არ დათანხმდი, ეფიქრობ, სწორადაც მოვიქეცი. უნებურად ოჯახისთვის საეჭვო კაცად გადაეიქეცი, ამის შემდეგ, აბა, როგორ შეიძლება, ვინმეს კიდევ გამოვადგე? ამიტომ, ეფიქრობ, ყველაზე კარგი ის იქნება, ყველაზე ჭკვიანურს იმას ვიზამ, თუ შორს ვიქნები, თითქოს არც კი ვარსებობდე...

მაინცდამაინც დალაგებული კაცი არა ვარ, სამწუხაროდ, შემიძლია, უგუნურება ჩავიდინო, რასაც მერე მწარედ ვნანობ. საქმეშიც და ლაპარაკშიც მეტისმეტი აჩქარება მჩვევია და იქ, სადაც მოცდა, მოთმენა ჯობს, ხშირად ვერ ვითმენ. თუმც, ჩემი აზრით, ამდაგვარი შეცდომებისგან არც სხვა არის დაზღვეული. მაგრამ რაკი ეს ასეა, რა უნდა ექნა, თავი საშიშ და არაფრის მაქნის კაცად ჩავთვალო? არა მგონია. უბრალოდ, უნდა შევეცადო, ჩემი ენებები სასიკეთოდ გამოვიყენო. ერთ მაგალითს დაგისახელებ – წიგნი რაღაც საოცარი ძალით მიზიდავს, სულ სწაელა მინდა, სულ კითხვა მინდა, ისე მინდა, ადამიანს რომ მოშივდება ან მოსწყურდება. შენ შეგიძლია ამის გაგება. სხვა გარემოში, ხელოვნების ნიმუშების, სურათების გარემოში როცა ვიყავი, კარგად იცი, თუ როგორი გაშმაგებით მიყვარდა და მიტაცებდა ეს სურათები, ეს ხელოვნება. ამ სიყვარულს ახლაც არ ვნანობ და სამშობლოსგან მოშორებულს ჩემი ქვეყანა სწორედ იმიტომ მენატრება,*რომ სურათების ქვეყანაა.

იქნებ გახსოვს, რა კარგად ეიცოდი (და, შესაძლოა, ახლაც ეიცი), რას წარმოადგენს რემბრანდტი, მილე, ჟიულ დიუპრე, დელაკრუა, მილესი ან მ. მარისი. ახლა აღარ მაქვს ეს გარემო, დაე, ასე იყოს; მაგრამ არსებობს კიდევ რაღაც, რომელსაც სულს უწოდებენ და ამბობენ, რომ ის არ კვდება, მარად ცოცხლობს და მარად ეძიებს, მარად, მარად და კიდევ მარად. ესე იგი, სამშობლოს დარდი ვერ მომერია, ეიფიქრე, „ყველგანაა მამული და სამშობლო“-მეთქი. სასოწარკვეთას არ შეუპყრივარ, ჩემს ხელდრად ისევ ქმედითი სევდა მიეიჩნიე, თუკი მქონდა მოქმედების შესაძლებლობა. სხვა სიტყვით რომ ეთქვა – იმედიანი, მაძიებელი, მიზანსწრაფული სევდა ვარჩიე სევდას დუხჭირს, მძიმესა და უსაშველოს. ასე თუ ისე, საფუძვლიანად შეეისწავლე ის წიგნები, რაც ხელთ მქონდა, მაგალითად, ბიბლია, მიშლეს „საფრანგეთის რევოლუცია“, შარშან ზამთარს – შექსპირი, ზოგი რამ ეიქტორ პიუგოსი და დიკენსისა, ბიჩერ სტოუ; სულ ახლახან კი – ესქილე და ზოგი შედარებით დაბალი რანგის კლასიკოსი, დიდოსტატები, თუმც „მცირენი“. ხომ იცი, ეისაც მიიჩნევენ ასეთ „მცირე“ ოსტატებად – ბიდასა და ფაბრიციუსს!

მაგრამ ის, ეინც ამდაგვარი ამბებითაა გატაცებული, სხვებს ხანდახან არ სიამოვნებთ, შემარცხვენელად მიაჩნიათ. ისიც თაეისდა უნებურად, ასე თუ ისე, სცოდავს ხოლმე გარკვეული სოციალური ფორმების, ადამიანებისა და ჩვეულების მიმართ. დამერწმუნე, საწყენია, ზოგჯერ რომ ამას სხვანაირად გაიგებენ! მაგალითად, შენ კარგად იცი – ძალიან ხშირად დაუდევრად ჩაცმულს მხედაენ. ეაღიარებ, ეს ასეა, ისიც უნდა ეაღიარო – სასირცხვილოა, მაგრამ გაიგე, ამის მიზეზი უფულობა და გაჭირვებაა, საშინელი უგუნებობა. თუმც უხეირო ტანსაცმელი ხანდახან თითქოს კარგიც არის – იგი ხელს უწყობს განმარტოებას, ეს კი უთუოდ საჭიროა, თუ გინდა, რაც გიტაცებს, მას ოდნაე მაინც სერიოზულად მოეკიდო. მაგალითად, უაღრესად საჭიროა, ადამიანმა მედიცინა შეისწაელოს. იშვიათად მოიძებნება ისეთი ვინმე, ოდნაე მაინც არ უნდოდეს მისი შესწაელა ანდა იმის გაგება მაინც, თუ რა არის მედიცინა. მე კი ჯერ მისი არაფერი გამეგება. დიახ, გიტაცებს ეს ყოველივე, საესებით გიპყრობს და შენ ოცნებობ, აზროვნებ, ფიქრობ. აი, მალე ხუთი წელი შესრულდება, – ზუსტი ციფრის დასახელებას ახლა ვერ შეეძლებ, – უადგილოდ ვარ, აქეთ-იქით დაეეხეტები. ალბათ, მეტყვი: ამა და ამ დროის შემდეგ მოეშვი, ჩაქრი, დაიშრიტე, აღარაფერს აკეთებო. მერედა, ეს სიმართლეა? დიახ, ლუმპაპურს ხანდახან თავად ეშოულობდი, ხან მეგობრები მიწყალობებდნენ; როგორც შემეძლო, ისე ეცხოერობდი, ძლივ-ძლიობით გამქონდა თაეი, როგორც მომხვდებოდა, ისე ეიყაეი; სწორია, ბეერის ნდობა დაეკარგე, საეალალოა ჩემი დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა და მომაეალიც ამაზე კარგს არას მიქადის; სწორია, შემეძლო, თაეი სხეაგვარად მეჩვენებინა. უმეტესი დრო ლუმპაპურის შოვნაზე დაეკარგე; ისიც სწორია, რომ სწაელის საქმე ცუდად მიმდის, უნუგეშოდაც, მეტი მაკლია, ეიდრე მაქვს, ეიდრე გამაჩნია. მაგრამ განა ეს ყოველივე იმას ნიშნაეს, რომ მოეშვი და არას ეაკეთებ?

იქნებ მკითხო: რატომ იმ გზას არ გაყევი, რაზედაც სხვებმა დაგაყენეს – საუნიეერსიტეტო განათლება რად არ ისურვეო! გიპასუხებ – ეს მეტისმეტად ძვირი იყო და, სხეათა შორის, არც იმაზე უკეთესი, რაც მე თაეად ეიორჩიე. მაგრამ ახლა წინ უნდა წაეიდე: თუ არაფერს გაეაკეთებ, თუ არ ეისწაელი, თუ ძიებას არ შეეცდები, – დაღუპული ვარ! ასეთია ჩემი აზრი. წინ, წინ და სულ წინ – მთაეარი ეს არის.

„მაინც რაა, როგორია საბოლოოდ შენი მიზანი?“ – იკითხავ შენ. ეს მიზანი მომავალში გაირკვევა, თანდათანობით, მაგრამ მკაფიოდ გამოჩნდება: ჩანახატი ხომ ესკიზად და ესკიზი სურათად მხოლოდ მას შემდეგ გადაიქცევა, როცა უფრო სერიოზულ შრომას დაიწყებ, შენს თავდაპირველ, ჯერ ბუნდოვან, წამიერ და გაურკვეველ აზრს გააღრმავებ და დააზუსტებ.

სახარების მსახურთა საქმეც სწორედ ისეა, როგორც მხატვრების. დრომოჭმული აკადემიური სკოლა, ისე როგორც იქ, აქაც არის და ეს სკოლა ხშირად ისე დესპოტურია, უფრო საზიზღარს ეეღარაფერს წარმოიდგენ. ერთი სიტყვით, უიმედობა აქაც სუფევს, გულის გატეხა აქაც ასევე ბუნებრივია, აქაც ბევრია ცრურწმენისა და პირობითობის ჯაჭვანში მყოფი ადამიანი, რომელიც საქმეს მოთავეობს, ყველა ადგილი ხელთ უპყრია და ინტრიგების ქსელი გაუბამს, რათა თავის დაყენებულ ხალხს მხარი მისცეს, ხოლო სხვები ჩამოიშოროს. მათი ღმერთი, როგორც ღმერთი შექსპირის ლოთი ფალსტაფისა, „ეკლესიის უკუღმა პირია“. ამ ჭეშმარიტად ევანგელიკურ სუბიექტებს გარემოებათა უცნაური დამთხვევის გამო (ამას თავადვე გაიკვირვებდნენ, ადამიანური გრძნობები რომ მათთვის უცხო არ ყოფილიყო) სულიერი ამბების მიმართ ისეთივე პოზიცია უკავიათ, როგორც ზემონახსენებ ლოთს; ამიტომ იმედი არ უნდა გექონდეს, რომ ოდესმე მათი სიბრმაე ნათელმჭვრეტელობით შეიცვლება.

იმათთვის, ვინც არ ეთანხმება ყველაფერ ამას, აღშფოთებას გამოთქვამს და პროტესტს აცხადებს, საქმის ასეთ ვითარებას ცუდის მეტი არა მოაქვს-რა. მე კი პატივს ვცემ მხოლოდ ისეთ აკადემიკოსთ, მათ რომ არ ჰგვანან. ასეთები კი ცოტანი არიან, ბევრად ცოტანი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მე რომ ამჟამად უადგილოდ ვარ, წლების მანძილზე რომ ასე ვიყავი, ამის ერთი მიზეზთაგანი, უბრალოდ, ის არის, რომ საესებით სხვა აზრები მაქვს, ვიდრე, აი, ამ ბატონებს, რომლებიც ადგილს იმათ აძლევენ, ვინც ისე ფიქრობს და ისე აზროვნებს, როგორც ისინი. საქმე მარტო ჩემს ტანსაცმელს როდი ეხება, რის გამოც ასე ხშირად თვალთმაქცურად მსაყვედურობდნენ; დამიჯერე, ეს ბევრად უფრო სერიოზული საკითხია.

რატომ გწერ ახლა ყველაფერ ამას? იმიტომ არა, რომ ვიწუწუნო ანდა თავი გავიმართლო, თუმც, შესაძლოა, ასე თუ ისე, დამნაშავეც ვარ. უბრალოდ, აი, რა მინდა, გითხრა: შარშან ზაფხულს აქ რომ იყავი და ჩვენ ორნი მიტოვებულ მაღაროსთან – „ჯადოქართან“ – ვსეირნობდით, გამახსენე, ერთხელ ასე ძველ არხთან და რვისვეიკის წისქვილებთანაც ვსეირნობდითო. მაშინ ბევრ რამეს ერთნაირად ვფიქრობდითო, – მითხარი შენ, – მას შემდეგ კი გამოიცვალე, ახლა ისეთი აღარა ხარო. მაშ, იცოდე: მთლად ასე არ არის. შეიცვალა მარტოოდენ ჩემი ცხოვრება – მაშინ ასე არ მიჭირდა, არც მომავალი მეჩვენებოდა ასე დუხჭირი; რაც შეეხება ჩემს შინაგან მეს, აზროვნების და ხედვის მანერას, – არ შეცვლილა, იგივე დარჩა. და თუ ცვლილება მაინც მოხდა, მხოლოდ იმ მხრივ, რომ ჩემს აზროვნებას უფრო მეტი სიღრმე მიეცა, ახლა უფრო მწვამს და მიყვარს, ვიდრე უწინ.

მაგრამ სწორი არ იქნება, თუ აქედან დაასკვნი, რომ, მაგალითად, რემბრანდტი, მილე, დელაკრუა ან რომელიმე სხვა მხატვარი ახლა ნაკლებად აღმაფრთოვანებს. პირიქით! ოღონდ იცი, რას გეტყვი? ქვეყანაზე

ბეერი რამ არის, რაც უნდა გწამდეს, უნდა გიყვარდეს: შექსპირს აქვს თითქოს რაღაც რემბრანდტისა, მიშელეს – კორეჯოსი, ვიქტორ ჰიუგოს – დელაკრუასი, სახარებას კი – რემბრანდტისა ანდა რემბრანდტს – სახარებისა, – როგორც მოგწონს, ისე იფიქრე, ეს ერთი და იგივეა, იმ პირობით, რომ ეისაც ყურები გააჩნია, არ შეეცდება, დაამახინჯოს აზრი იმისა, რაც გაიგონა, და არ შეამცირებს მასშტაბებს შედარებისა, რომლის მიზანი შესადარებელ პიროვნებათა დაშსახურების დამცირება სულაც არ არის. ბენიანს აქვს რაღაც მარისის ანდა მილესი, ბიჩერ სტოუს კი – არი შეფერის. ამგვარად, თუკი შეგიძლია, მიუტევო სურათებით გატაცებულ ადამიანს, დამიჯერე, რომ წიგნების სიყვარული ისეთივე საღმრთო საქმეა, როგორც რემბრანდტის სიყვარული, მე ისიც კი მგონია, რომ ეს ორი ამბავი ერთმანეთს აესებს.

ძალიან მიყვარს ფაბრიციუსის მამაკაცის ერთი პორტრეტი, რომელიც პარლემის მუზეუმში ჩვენ ერთხელ დიდხანს ვათვალიერეთ. პოდა, მასზე ნაკლებ არ მიყვარს რიჩარდ კარტონიც დიკენსის წიგნიდან – იგი 1793 წლის პარიზსა და ლონდონზეა დაწერილი. შემეძლო, შენთვის ჩამომეთვალა გასაოცრად მიმზიდველი სახეები სხვა წიგნებიდანაც, რომელთა შორის უცნაური მსგავსებაა. და მე ეფიქრობ, რომ კენტი შექსპირის „მეფე ლირისა“ არანაკლებ კეთილშობილი, არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსონაჟია, ვიდრე თომას დე კეისერის ფიგურები, თუმც კენტი და მეფე ლირი, რა თქმა უნდა, გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ. მაგრამ წერილმანებს, მოდი, თავი დავანებოთ. ღმერთო, შექსპირი რა კარგია! ეისთან ნახავ, სად ნახავ ამდენ იდუმალებას! მისი სიტყვა და წერის მანერა მღელვარებისგან ათრთოლებულ ფუნჯს რით ჩამორჩება! თუმც კითხვასაც სწაელა უნდა, როგორც დანახვას, როგორც ცხოერებას.

მაშ, ნუ იფიქრებ, თითქოს რაიმეს უარეყოფდე – მიუხედავად იმისა, რომ ურწმუნო ვარ, ზოგი რამ მწამს; თუმც შეეიცვალე, მაინც ისეე ისეთი დაერჩი. ერთი რამ მტანჯავს: რის მაქნისი ვარ, თუ ეერაფერს ეემსახურე, თუ სასარგებლო ეერაფერი გავაკეთე? შეეძლებ კი მაშინ მოელენების არსის წედომას და ჩემი ცოდნის კიდეე უფრო გაღრმაეებას? ამაზე ფიქრი არ მასეენებს, თანაც ეგრძნობ, რომ გაჭირეების მუხრუჭი მიჭერს და გასაქანი არსაითა მაქეს – ბეერი რამ, რაიც უსათუოდ საჭიროა, მიუწედომელი რჩება ჩემთვის და ამიტომ ამა თუ იმ საქმიანობას მოწყეეტილი ვარ. ყოეელიეე ამის გამო უნებურად ნაღეელი გიპყრობს, გრძნობ, რომ გულში, ნაცელად მაღალი, სერიოზული გრძნობებისა, მეგობრობის და სიყვარულისა, სიცარიელე გამეფებულა; საშინელი სასოწარკეეთა გეუფლება, რომელიც შენს ზნეობრივ ძალას არარად აქცეეს, გეჩვენება, თითქოს ბედი გზას ულობაეს შენს უცნაურ, ინსტინქტურ სწრაფეას სიყვარულისკენ და ყეელაფერი შეგძულდება. აი, მაშინ კი გულში გაიელებ: „უფალო, ეიდრემდე, ეიდრემდეო!“ რა გაეწყობა! რაც შიგნით ხდება, არ შეიძლება, გარეთაც არ გამოაღწიოს. ადამიანს სულში ცეცხლი უგიზგიზებს, მაგრამ არაეის, არაეის არ სურს, მასთან გათბეს. გამელელები, საკეამურიდან ამოსული კეამლის გარდა, ეერას ამჩნეეენ და კელაე თაეის გზას მიუყეებიან.

რა უნდა ქნა? დაიმარხო სულში ეს ცეცხლი და მოთმინებით – თან საოცარი მოუთმენლობით – დაელოდო, იქნებ ეინმე მოეიდეს და ჩემს კერასთან ჩამოჯდეს? ეთქეათ, მოეიდა! დარჩენასაც მოისურეებს? დაე, ეისაც ღმერთისა სჯერა, დაელოდოს, როცა იქნება, ეინმე მოეა... რაც

თაეში მომდის, ყველაფერს გწერ, გადაკითხვასვედაც აღარ ეშიქრობ. მეტისმეტად გაეიხარებდი, თუ ეიგრძნობდი, რომ მთლად უსაქმურად არ მიგაჩნიეარ. ცხადია, არიან ჩეეულებრიეი უსაქმურები – უბრალოდ, მხოლოდ უსაქმურები, სხეა არაეერი. მაგრამ არიან საპირისპირო ხასიათის უსაქმურებიც, პირეელთაგას საესებით რომ განსხეაედებიან. ზოგიერთის უსაქმურობა სიზარმაცის, უნებისყოფობის, მისი მდაბალი ბუნების ბრალია; თუ გსურს, ჩამთვალე ასეთ უსაქმურად.

არიან სხეაგეარი უსაქმურებიც, უსაქმურები – უნებურად; მათ მოქმედების წყურეილი ახრჩობთ, არაფერს კი არ აკეთებენ, რადგან არა აქეთ მოქმედების შესაძლებლობა, თითქოს ეიღაცას ციხეში პყაეს გამომწყედეული; ის არა აქეთ, რის გარეშეც ნაყოფიერად ეერ იშრომებენ; ამ ყოფაში გარემოებათა საბედისწერო დამთხეევის გამო ჩაცეივნულან და ზოგჯერ ისიც არ იციან, რა შეუძლიათ, ინსტინქტურად კი, აი, რას გრძნობენ: „რაღაცაში მეც ეეარგიეარ, არსებობის უფლება მეც მაქეს! ეიცი, ძალმიძს, სხეაგეარი ეიყო! მაშ, მითხარით, რა შემიძლია – რა სარგებლობა, რის სამსახური! ეიცი, ჩემში რაღაც არის, მაგრამ რა, მითხარით, რა?“ ეს უსაქმურთა სულ სხეაგეარი სახეობაა; თუკი გინდა, შეგიძლია, ამათ რიცხესაც მიმათეალო.

გალიაში დამწყედეულ ფრინეელს გაზაფხულზე მშეენიერად ესმის, რომ რაღაც ხდება, რისთეისაც ის საჭიროა; მშეენიერად გრძნობს – რაღაც უნდა ქნას, მაგრამ ეერაფერს აკეთებს და ისიც არ იცის, კერძოდ, რა უნდა გააკეთოს. ჯერ ეერაფრის გახსენებას ეერ ახერხებს, შემდეგ თითქოს ბუნდოეანი წარმოდგენები გაუჩნდება და თაეისთეის ფიქრობს: სხეები ბუდეებს იკეთებენ, კეერცხებს დებენ, ბარტყებს ჩეეკნო. გალიის კედლებს მიაწყდება, მაგრამ გალიას რას დააკლებს! და ფრინეელი ტკეილისგან ჭკუაზე ცდება... რა არის ეს – ფანტაზია, გამონაგონი? არა მგონია. მაშინ იკითხავ: „ეიდრემდე, უფალო! ნუთუ დიდხანს გაგრძელდება ასეთი ყოფა? სამუდამოდ, საუკუნოდ ასე იქნება?“

იცი, ეს ციხე რას შეუძლია დაამსხერიოს? – ნებისმიერ გრძნობას – ღრმას და სერიოზულს, მეგობრობას, ძმობას, სიყეარულს. აი, ძალა უზენაესი, ყოელისშემძლე ჯადო-თილისმა, საპყრობილის კარს რომ გაგეიღებს. ის, ეინც ამას მოკლებულია, ცოცხალთა შორის არ ჩაითელება. ხოლო იქ, სადაც სიყეარულია, სიცოცხლე ხელახლა იკიდებს ფესეს.

134. *20 აგეისტო, 1880.* ჩაეიხატე მეშახტეები – მზიდაეი კაცები და ქალები, განთიადისას ღობის გასწერიე დათოელილ ბილიკს შახტისკენ რომ მიუყეებიან: ეს ბინდბუნდში მოფარფატე გაურკეეეული ლანდებია. უკან, ცის ფონზე, ამწესა და შახტისზედა ნაგებობათა უშეელებელ კონტურებს ეხედათ. რათა კარგად წარმოიდგინო ყოველივე, ჩანახატს გიგზაენი; მაგრამ მესმის, ჩემთეის რარიგ საჭიროც არის, ფიგურის ხატეას ისეთ ოსტატთაგან ეეუფლებოდე, როგორიცაა მილე, ბრეტონი, ბრიონი ან ბოუტონი, სხეანი და სხეანი. რას იტყეი ამ ჩანახატზე? მოგწონს იდეა?

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბინგემის ჯ. ბრეტონის ნამუშეართა ერთ ფოტოზე თაეთაეის მკრეფაეი ქალები არიან – მრუმე სილუეტები ცისა და წითელი დაისის ფონზე. აი, თეალწინ რა უნდა მქონდეს, აი, როგორ სურათებს უნდა ეუყურებდე. ეიცი, უთუოდ გაგიხარდება, უსაქმურად რომ არა ეარ და, ასე თუ ისე, მნიშენელოეან რამეს ეაკეთებ. სწორედ ამიტომ გადაეწყეიტე, მომეწერა. თანაც იქნებ ამ ამბაემა მე და

შენ შორის სიყვარული და გულითადობა აღადგინოს, იქნებ ერთმანეთს კელავე გამოვადგეთ! ძალიან მინდა, ეს სიუჟეტი კიდევ უფრო უკეთ დაეხატო. აქ უიგურები 10 სანტიმეტრის სიმაღლისაა. მის ჯუფთ ნახატზე სამუშაოდან თაეიანთი სახლებისკენ მიმავალი მეშახტეებია დახატული, მაგრამ ისეთი კარგი ეერ არის; სინათლით გარსშემოელებულ მრუმე სილუეტთა ეფექტები უნდა გადმომეცა ზოლად და ზოლად აფერადებულ დაისის ფონზე და მეტისმეტად გამიძნელდა.

თუ, რა თქმა უნდა, უარს არ იტყვი, შემდეგი ფოსტით „მინდერად შრომა" ისევე უკან გამომიგზავნე. ბატონ თერსტეხს ორიოდე სიტყვა მიეწერე, ბარგის „ნახშირით საეარჯიშოებს" ხომ ეერ მათხოეებთ დროებით-მეთქი – შიშეელი მოდელის ეტიუდებს, ალბათ, იცი, რასაც ეგულისხმობ. არ ეიცი, მათხოეებს? თუ უარს მეტყვის, ერთ-ორ სიტყვას ეერ შემაწეე? ახლა ეს ჩემთეის პირდაპირ მისწრება იქნებოდა. იქნებ იმდენი სიკეთე გასწიოს, თუ სულ არა, ორიოდე ფურცელი მაინც გამოგზავნოს.

135. *7 ხეკტემბერი, 1880.* უკეე გწერდი, რომ მილეს „მინდერად შრომის" ათი ფურცლიდან ჩანახატები გადმოეიღე (დაახლოებით ბარგის „ხატეის კურსის" ფურცლის ზომისა), ერთი კი უკეე დაეამთაერე. უფრო მეტსაც გაეაკეთებდი, მაგრამ ჯერ ბარგის „ნახშირით საეარჯიშოები" დაეიწყე, ბატონმა თერსტეხმა ასეთი დიდი თაეაზიანობა რომ გამოიჩინა და გამომიგზავნა. სამოცი ფურცელი უკეე მზად მაქეს. გარდა ამისა, შენ რომ ოფორტი გამომიგზავნე, იმის მიხედეით „სალამოს ლოცეა" უკეე დაეამთაერე. ნეტაი შენთეის ყეელაფერი მაჩეენებინა და შენი აზრი მომასმენინა. იგიეე ითქმის ზოგიერთ სხეა ნახატზედაც, მაგალითად, სეპიით რომ ტ. რუსოს „ფურნე ლანდში" გადმოეიხატე, იმ დიდ ნახატზე. ორი პატარა აკეარელი დაეხატე და ეს ნახატი მხოლოდ მაშინღა გამომიეიდა.

როგორც გწერდი, რეისდალის „ბუჩქიც" მინდა გადმოეიხატო – ხომ იცი, რომ სტილითა და განწყობილებით ეს ორი სურათი ერთმანეთს ჰგაეს. ჩანახატებზე ძალიან დიდხანს ემუშაობდი, წინსელა თითქოს არ მეტყობოდა, მაგრამ ბოლო დროს, მგონი, კარგად წაეიდა საქმე; იმედი მაქეს, კიდევ უფრო უკეთ იქნება ყეელაფერი, უმთაერესად კი იმის გამო, შენ და ბატონმა თერსტეხმა რომ ასეთი კარგი ნიმუშები გამომიგზავნეთ: დასაწყისში რაიმე კარგი სურათების ასლების ხატეა, ეფიქრობ, უფრო ხასარგებლოა, ეიდრე ასეთი საფუძეელი რომ არა გაქეს და ისე მუშაობ. თუმცა, მაინც ეერ მოეითმინე და სამუშაოდ მიმაეალი მეშახტეები, აგრეთეე, ის ჩანახატი, რომელიც შენ გამოგიგზავნე, დიდად დაეხატე; ფიგურების განლაგება შეეცვალე ოდნაე, სხეა არაფერი.

იმედი მაქეს, ბარგის ორი დანარჩენი სერიის ასლებს რომ გადმოეიხატაე, უკეე შეეძლებ, რომელიმე მეშახტე ან მზიდაი ქალი ასე თუ ისე კარგად დაეხატო, თუკი საკმაოდ თაეისებური ხასიათის მოდელს ეიშოეი; ასეთები კი აქ საკმაოდ ბეერნი არიან. ბოსბოომის ლითოგრაფია – „გომურში", – ჩემი აზრით, მშეენიერია. ჩემს ფიქრს კარგად მიხეედრილხარ, რაკი შენი კოლექციისთეის პებერის „ციება" შეგიძენია. თუ მიშელის ოფორტების წიგნი ისეე შენთან არის, როდისმე ისიც უნდა მათხოეო, თუმც, საჩქარო სულ არ არის – ახლა საკმაო სამუშაო მაქეს. მაგრამ ჩემთეის საჭიროა, ეს პეიზაეები ხელახლა ენახო, რადგან ამჟამად სულ სხეა თეალით ეუყურებ ყეელაფერს, ეიდრე მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ ეხატაედი.

136. *24 ხექტემბერი, 1880.* საუსებით სწორია, რაც ბარბიზონზე გიფიქრია. რამდენიმე სიტყვას მოგწერ და დარწმუნდები, რომ მეც სწორედ იგივეს ვფიქრობ. ბარბიზონში არ ვყოფილვარ, მაგრამ მერე რა, – სამაგიეროდ, გასულ ზამთარს კურიერი ვინახულე. ფეხით ვიარე, უმთავრესად – პა-დე-კალეში. თვიო სრუტესთან არ ვყოფილვარ, ამ სახელწოდების დეპარტამენტი თუ პროვინცია მოვიარე. გზას იმ იმედით გავუდექი, სამუშაოს ეი'შოეი-მეთქი – სულ ერთი იყო, რას ეიშოეიდი. ერთი სიტყვით, ალალბედზე გაეემგზავრე – მეც ვერ ვიტყოდი, რისთვის და რატომ მივდიოდი. გულში კი ვთქვი: კურიერი უნდა ვნახო-მეთქი. ჯიბეში ათი ფრანკი მქონდა, ეს იყო და ეს. გზის დასაწყისში მატარებელში ჩავჯექი და ამის გამო ფული მალე შემომელია. მერე კი თითქმის მთელი კვირა გზაში დავყავი და მეტისმეტად გამიჭირდა.

კურიერი და ქიულ ბრეტონის სახელოსნო მაინც ვნახე – თუმცა, შიგნით არ შევსულვარ. გარედან კი ცოტა არ იყოს, არ მომწონა: ახალი აგურის შენობაა, მეთოდისტურ ყაიდაზე გამართული, თითქოს არასტუმართმოყვარული, რაღაც ციეი და უსიამოვნო. ალბათ, შიგ რომ შევსულიყავი, გარედან რომ ასეთი იყო, იმას აღარც გავიხსენებდი. ალბათ, კი არა, მართლა ასე იქნებოდა, მაგრამ შიგ შეხედვა ვერ მოვახერხე. ვინაობის თქმა ვერ გავბედე; რომ მეთქვა, ალბათ, შემიშვებდნენ. კურიერში ქიულ ბრეტონის ან სხვა მხატვრების კვალს დაეძებდი, მაგრამ თითქმის ვერაფერი აღმოვაჩინე. ერთ ფოტოგრაფთან მხოლოდ ბრეტონის პორტრეტი ვნახე, ხოლო ძველი ეკლესიის ბნელ კუთხეში ტიციანის „საფლავად დადების“ ასლი შევნიშნე. ბინდბუნდში იგი ძალზე ლამაზი მომეჩვენა, ელფერიც თითქოს ოსტატურად შეერჩიათ; მართლა ბრეტონის ნახელავი იყო თუ არა, ამას ვერ ვიტყვი – ხელმოწერა ვერ ვიპოვე.

იქ კვალიც არ ჩანს ახლანდელი მხატვრებისა. მარტოოდენ ერთი კაფეა, „ხელოვნებათა კაფე“ ჰქვია, ისიც ახალი, აგურით ნაგები, სიმყუდროეეს მოკლებული, ისიც ციეი და უსიამოვნო. კაფეს ამშვენებს ფრესკების თუ რაღაც კედლის მხატვრობის მსგავსი. დახატულია ეპიზოდები სახელოვანი რაინდის – დონ კიხოტის ცხოვრებიდან. ჩვენში დარჩეს და, ამ მხატვრობაში ვერაფერია სანუგეშო – საშუალო ნამუშევრებია, ვისია, არ ვიცი. კურიერის ლანდშაფტი კი მაინც ვნახე – თიეის ზვინები, ყაეისფერი ნახნავები, მთლად ყაეისფერი მერგელიანი ნიადაგი; ხოლო იქ, სადაც მერგელი მოჩანს, მოთეთრო ლაქები შეიმჩნევა, რაც ჩვენებურ, მოშაეო ნიადაგს მიჩვეულ კაცს, ცოტა არ იყოს, უცნაური მოეჩვენება.

საფრანგეთის ცა ბევრად ნაზი და გამჭვირვალე მომეჩვენა, ვიდრე ჰვარტლიანი, ბურუსიანი, დაბალი ცა ბორინაჟისა. გარდა ამისა, ვნახე ისეთი ფერმები და ფარდულები, – მადლობა და დიდება ღმერთს! – ჩალის ხავსმოდებული სახურავები ჯერაც კიდევ რომ შემორჩენია; ყვავების გუნდებიც ბევრჯერ შემხვედა, დობინისა და მილეს სურათებზე ხშირად რომ გვინახავს. თუმცა, პირველად მბარაევების, შეშის მჭრელების, ფორნებზე მომუშავე მოჯამაგირე გლეხების ძალზე თვალში მოსახვედრი ფიგურები უნდა მეხსენებინა, აგრეთვე, თეთრჩაჩიანი ქალის სილუეტი. ქვანახშირის დამუშავება, ანუ შახტი, აქაც არის. მე ვუყურებდი, საღამოს ბინდში მაღაროდან დღის ცელა როგორ ამოდიოდა, მაგრამ მათ შორის მამაკაცურად ჩაცმული ქალი არ ერია, – რაც ბორინაჟში ხშირად მინახავს, – კაცები იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ, ქვანახშირის

მტერით გაშაებულსი, დაღლილი და უბედური სახებით, დახეული სა-
შუშაო ტანისამოსით, ერთს ჯარისკაცის ძველისძველი ფარაჯაც ეცვა.

ამ დამქანცველმა მოგზაურობამ თუმც საესებით ბოლო მომიღო – ცუდად იყო ჩემი საქმე, დაღლილობისგან ეიქცეოდი, სისხლიანი, დაჟ-ელეფილი ფეხებით დაებრუნდი, – მაინც არ ენანობ, ეინაიდან საინტერე-სო ბეერი რამ ენახე; თანაც სასტიკი გაჭირეება უკეე სხეა თეალით ხედეას გეასწაელის. ფუთაში მქონდა ნახატები. გზაში ზოგან ამ ნახა-ტებს პურის ნატეხზე გაეცელიდი ხოლმე და ლუქმას ასე ეშოულობდი. მაგრამ როცა ის ათი ფრანკი შემომელია, უკანასკნელი ღამეების გარეთ გათეეა მომიწია. ერთი ღამე ძეელ, მიტოეებულ ფორანში ეათიე, გათენე-ბისას ერთიანად რომ შეთრთეილულიყო, – ,ბა, ეს რა თაეშესაფარი იქნებოდა! მეორე ღამე – ფიჩხის გროვაზე; მესამე ღამეს – ამას კიდეე არა უშაედა, – თიეის ნაკლულ ზეინში ეიწეკი, სადაც ოდნაე კომფორ-ტული თაეშესაფრის მოწყობა შეეძელი, თუმც ცრიდა და ეხ ამბაეი გუნებას საკმაოდ მიფუჭებდა.

მაგრამ სწორედ ამ უკიდურესი გაჭირეების ჟამს ეიგრძენი, რომ ენერ-გია მიბრუნდებოდა, და გაეიფიქრე: „რაც უნდა მოხდეს, ისეე ფეხზე წამოედგები, ისეე ფანქარს აეიღებ ხელში, უკიდურესმა სასოწარკეეთამ ხელიდან რომ გამაგდებინა, ისეე ხატეას დაეიწყებ-მეთქი!“ მას შემდეგ თითქოს ყეელაფერი შეიცეალა: ძეელებურად სწორ გზას ეადგაეარ, ფან-ქარი, ასე თუ ისე, მემორჩილება და თანდათანობით უკეთ ეხატაე. მანამ-დე კი მეტისმეტად ხანგრძლეიე და აუტანელი სიღარიბისგან ისე ეიყაეი გატანჯული, ეეღარაფერს ეაკეთებდი. იქ ფეიქართა დაბებიც ენახე. ფეი-ქრები და მეშახტეები სხეა ჯურის ხალხია – სხეა მუშებისა და ხელოს-ნებისგან განსხეაებული. ამ ხალხის მიმართ უდიდესი სიმპათიით ეარ განწყობილი და ბედნიერი ეიქნებოდი, თუკი ოდესმე ამ ჯერ უცნობ ანდა თითქმის უცნობ ტიპებს ისეთნაირად დაეხატაედი, ყეელას გაეცნო.

მეშახტე ქეესკელის, უფსკრულის კაცია, ფეიქარი კი – მეოცნებე, ჩაფიქრებული, მთეარეულსა ჰგაეს. აი, უკეე ორი წელია, მათ შორის ეცხოერობ, თითქოს მათი ხასიათი შეეიცანი, უკიდურეს შემთხეეაში, მეშახტეთა ხასიათი. გულს ხედება, დღითი დღე მეტად მაძრწუნებს ამ საცოდაე, ამ უჩინარ მაშერალთა ხეედრი, ხეედრი, ასე ეთქეათ, უკანას-კნელთა და ყეელაზე მოძულებულთა იმათ შორის, ეისაც წინასწარ შექ-მნილი აზრით ჩაგონებული ფანტაზია მცდარად ხატაეს, როგორც საში-ნელ ბოროტმოქმედთა, აეაზაკთა და ყაჩაღთა მოდგმას. აეაზაკი, ლოთი, ყაჩაღი მათ შორისაც მოინახებაა, ისეე როგორც ყეელგან, მაგრამ მათი ბუნებაა ეს არ არის.

ბუნდოენად მწერ, ალბათ, როდისმე საჭირო იქნება, პარიზში ანდა სადმე, პარიზის მიდამოებში გადმოხეიდე – თუ მოხერხდება და თუ ისურეებო. ცხადია, პარიზში, ბარბიზონში ან სადმე სხეაგან გადმოსახ-ლება ჩემი დიდი და სანუკეარი სურეილია. მაგრამ როგორ? მე ხომ გროშსაც ეერ ეშოულობ. მართალია, შეუპოერად ეშრომობ, მაგრამ კი-დეე დიდი დროა საჭირო, ეიდრე თაეს იმის ნებას მიეცემდე, რომ პარიზ-ში გადმოსელა და სხეა ასეთები გულში გაეიელო. მართლაც, ისე რომ იმუშაო, როგორც ჯერ არს, საჭიროა, თეეში სულ ცოტა, ასი ფრანკი მაინც გქონდეს. რა თქმა უნდა, შეიძლება, ამაზე ცოტაც იმყოფინო, მაგრამ უთუოდ გაგიჭირდება, „სიღარიბე ტალანტს ზღუდაესო“, – ასე უთქეამს პალიციის ძეელად და ამ ნათქეამში სიმართლის ნაწილი უთუ-

ოდ არის, ხოლო მისთვის, ვინც ამ სიტყვების აზრი იცის, აქ სადაც არაფერია.

ჯერ არ ვიცი, გადმოსელას როგორ მოვახერხებ. მიყვობს, დაერჩე და ვიმუშაო, თავდაუზოგავად ვიმუშაო. გარდა ამისა, აქ ცხოვრებაც იაფი ჯდება. იმ პატარა ოთახში კი, რომელიც ახლა მიკაია, დიდხანს ვერ გაეძლებ. ისედაც ვიწრო ოთახია, თანაც ორი საწოლი დგას – ჩემთვისა და ბავშვებისათვის. ახლა ბარგის ფურცლებს ვიხატავ და ვერ ავიწერ, როგორ ვწვალობ, რადგან ფურცლები საკმაოდ დიდი ზომისაა. არ მინდა, ხალხი შევაიწროო – თავიანთი საქმეები აქვთ, თავიანთი მეურნეობა, მეორე ოთახზედაც უკვე მითხრეს, თუნდაც მეტი გადაგვიხადო, ვერ მოგცემთ, რადგან დიასახლისს სამრეცხაოდ სჭირდებაო. სარეცხი კი მეშახტის ოჯახში ყოველდღეა. ერთი სიტყვით, მუშის პატარა სახლს თუ ვიქირავებ, კარგი იქნება. ასეთი სახლი თვეში საშუალოდ, ალბათ, ცხრა ფრანკი დაჯდება.

თუმც დღე არ არის, რამე ახალი დაბრკოლება არ გამომიჩნდეს, და ვიცი, მომავალშიც იგივე მელის, ვერ გეტყვი, რარიგ ბედნიერი ვარ, რაც ისევ ხატვას შევუდექი. ხატვა უკვე დიდი ხანია, მიზიდავდა, მაგრამ თითქმის შეუძლებელ და მიუწვდომელ საქმედ მიმაჩნდა. ახლა კი, თუმცა, კარგად მესმის საკუთარი სისუსტეც და ისიც, რომ ხელი ბევრი მიზეზით შებორკილი მაქვს, მაინც სიმშვიდე და წინანდელი ენერგია თანდათანობით დამიბრუნდა.

რაც შეეხება პარიზში გადმოსელას, საქმე ასეა: თუ შემთხვევით რომელიმე პატიოსან და საყურადღებო მხატვარს გაეცნობ, ისე, რომ თანაც დაეუახლოვდე, ეს დიდად გამომადგება. მაგრამ ასე, ალალბედზე პარიზში წასვლა კვლავ კურიერში გამგზავრების გამეორება იქნებოდა, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით – იქაც იმის იმედი მქონდა, ვინმე მხატვარს შევხვდები-მეთქი, მაგრამ ვერ შევხვდი.

მთავარია, ხატვა ვისწავლო, ფანქარს, ნახშირს, ფუნჯს დავეუფლო. ამას რომ მივაღწევ, კარგი სურათების ხატვას შევძლებ; სად დავხატავ კი, სულ ერთია: ბორინაჟიც ისევე კარგი დასახატია, როგორც ძველი ვენეცია, არაბეთი, ბრეტანი და ნორმანდია, პიკარდია ან ბრი. ხოლო თუ ცუდად ვიმუშავებ, ისევ ჩემი ბრალი იქნება. ცხადია, ბედი თუ გამიღიმებს, ბარბიზონში უფრო ადვილად დავიმეგობრებ ვინმე ჩემზე გამოცდილ მხატვარს, ვიდრე სხვაგან. იგი ჩემთვის – არ ვაჭარბებ, – ცით მოვლენილი ანგელოზი იქნებოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ბრიუსელი

ოქტომბერი, 1880 – აპრილი, 1881

ვინსენტმა საბოლოოდ გადაწყვიტა, მხატვარი გამხდარიყო, და იმ იმედით, რომ მასწავლებელს იშოვიდა, ბრიუსელში გაემგზავრა. 1880–81 წლის ზამთარში ახალგაზრდა პოლანდიელ მხატვარ ანტონ ვან რაპარდთან მუშაობდა, რომელიც თეოს რჩევით გაიცნო.

137. *15 ოქტომბერი, 1880.* როგორც ხედავ, წერილს ბრიუსელიდან გწერ: ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, თუ დროებით ადგილ-სამყოფელს გამო-

ეიცელიდი. მიზეზიც საკმაოდ ბევრი მქონდა. ეს, ჯერ ერთი, აუცილებლად საჭირო იყო, ვინაიდან ბაღია ოთახი, სადაც ეცხოვრობდი – შარშან რომ ნახე, – ისეთი ეიწროა, ისე ცუდადაა განათებული, ხატვა სრულიად არ შეიძლება...

ბრიუსელში ჩამოვედი, ბატონ შმიდტთან მივედი და ჩემს გადმოსვლაზე ველაპარაკე, უფრო სწორად, შევეკითხე, მისი მეშვეობით ვინმე მხატვართან დაკავშირებას ხომ ვერ შევძლებდი, რათა რომელიმე სერიოზულ სახელოსნოში სწავლა განმეგრძო. ეგრძნობ, მჭირდება, კარგ სურათებს ეუყურებდე და ეაკვირდებოდე, მხატვრები როგორ მუშაობენ. ეს მიმახვედრებს, რა მაკლია, და რა გზით შეიძლება ხარვეზი შევივსო.

კარგი სურათები, ნახატები და ა.შ. დიდი ხანია, აღარ მინახავს და ბრიუსელში თვალი რომ შევავლე, ჩემი, ასე ვთქვათ, სულიერი მდგომარეობა გაუმჯობესდა; საკუთარი ხელით რამის კეთების გაორკეცებული სურვილი ვიგრძენი; თვითონ რომ ვხატო კი, უნდა ვისწავლო... თუმც, საჭიროა, გასაყიდად გამოსადეგი სურათების ხატვა ვისწავლო, თანაც მალე, და ცოტაოდენი ფულის შოვნა ახლავე შევძლო. როცა ფანქარს, აკვარელს, ოფორტს დაეუფლები, შემიძლია, მეშახტეთა და ფეიქართა მხარეში დავბრუნდე – ნატურაზე რომ კიდევ უფრო საფუძვლიანად ვიმუშაო, ვიდრე უწინ. მანამდე კი საჭიროა დაოსტატება. ჯერჯერობით ამით ვამთავრებ. იმედი მაქვს, დამეთანხმები, რომ სწორია, რაც მოგწერე.

138. *1 ნოემბერი.* მუდმივ სამუშაოს რომ ვიშოვიდე – მით უკეთესი, თუმც, ამაზე ფიქრს როგორ გაებედავ – საამისოდ, ალბათ, ბევრი სწავლაა საჭირო... ვიყავი ბატონ ვან რაპარდთანაც. ამჟამად იგი ტრაენსტიერის ქუჩაზე ცხოვრობს, 6 ა-ში. ვისაუბრეთ. სასიამოვნო კაცი გამოდგა. გარდა ორიოდ კალმით ნახატი მცირე ზომის პეიზაჟისა, მისი, საერთოდ, არაფერი მქონდა ნანახი. მდიდრულად ცხოვრობს. აბა, რა ვიცი, შეიძლება ასეთ კაცთან ჩემი ყოფნა და მუშაობა? კიდევ შეეუვალი. შთაბეჭდილება ისეთი დამრჩა, რომ ცხოვრებას სერიოზული თვალით უყურებს.

ჩემო კარგო, კემში რომ თუნდაც კიდევ ერთ თვეს ვყოფილიყავი, გაჭირვებისგან უთუოდ ავად გავხდებოდი. დამიჯერე, ფუფუნებით აქაც არ ეცხოვრობ: ჩემი საჭმელი, უმთავრესად, ხმელი პური და კარტოფილია, ანდა წაბლი, რომელიც აქ ყოველ კუთხეში იყიდება. მაგრამ ოდნავ უკეთესი ოთახი რომ მქონოდა და ზოგჯერ თავისთვის ნება მიმეცა, რესტორანში მესადილა, უთუოდ ყველაფერს გაეუძლებდი. ბორინაჟში კი იმ ორ წელიწადს გამიჭირდა. აქ სამოც ფრანკზე ცოტა მეტიც მეხარჯება, მაგრამ რას იზამ. სახატავ მასალებს, ნიმუშებს ასლების გადასაღებად – ფული სჭირდება, უამისოდ არაფერი გამომიეა, ახლანდელ ხარჯებს ვერ ამოვიგებ და ვერაფერს მივაღწევ.

140. *ივნვარი, 1881.* თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ მოდელს ვხატავ – მოხუც მებარგულს თუ ვინმე მუშას. პოზირებაზე ერთი ბიჭუნაც დავიყოლიე. მომავალ კვირას შეიძლება, ერთმა ან ორმა ჯარისკაცმაც შემომიაროს. ახლა გუნება გამომიკეთდა და ამიტომ სულ სხვაგვარნი, გაცილებით უკეთესნი მეჩვენებიან შენცა და სხვებიც. ერთი პეიზაჟი კიდევ დავხატე – ადგილი, სადაც მხოლოდ მანანის ბუჩქებია; პეიზაჟი ხომ კარგა ხანია, არ დამიხატავს.

პეიზაჟები ძალიან მიყვარს, მაგრამ ათჯერ მირჩევნია ის ჟანრული ეტიუდები, ასეთი დიდი ოსტატობით და გასაოცარი სიმართლით რომ

გეიხატაუდნეს გაეარნი, დომიე, ანრი მოსიე, დე ლემიუდი, პერრი პილი, ტ. შულერი, ედ. მორენი, გ. დორე (გაიხსენე მისი „ლონდონში“), ა. ლანსონი, დე გრუ, ფელისიენ როფსი და სხვ. სულაც არ ეფიქრობ, იმ სიმაღლეებს მიეაღწევ-შეთქი, რასაც იმათ მიაღწიეს, მაგრამ იმედი მაინცა მაქვს, რომ თუ მუშების და ა.შ. ხატეას განეაგრძობ, ჟურნალების ანდა წიგნების ილუსტრირებას ოდესმე შეეძლებ. მთაეარია, უფრო მეტი მოდელების – მათ შორის, ქალების – დაქირაეება მოეახერხო; მაშინ უფრო წარმატებით წაეიწევ წინ – მე ამას ეგრძნობ და ეიცი კიდეც. ასე, ალბათ, პორტრეტების ხატეასაც ეისწაელი, მაგრამ, ცხადია, იმ პირობით, თუ დაძაბულად ეიმუშაებ – „არც ერთი დღე ხაზის გარეშე“, – გაეარნიც ხომ ამას ამბობს.

142. ***2 აპრილი, 1881.*** მამისგან შეეიტყეე, თურმე უკეე დიდი ხანია, ჩემს უკითხაედ ფულს მიგზაენიდი, რითაც ძალიან დამეხმარე – თაეი ამან გამატანინა. გულითადი მადლობა უნდა გადაგიხადო. იცოდე, სანანებლად არ გაგიხდება: ასე ხელობას შეეისწაელი და თუმც, ცხადია, ეერ გაემდიდრდები, წელს მოეიმაგრებ, შეკეეთებს მიეიღებ და ამგეარად, თეეში ას ფრანკს მაინც ეიშოეი – იმ მინიმუმს, ურომლისოდაც არსებობა არ შეიძლება. უფრო იაფად, ეიდრე ეტენში, ეგონებ, ზაფხულს სხეაგან ეერსად გაეატარებ – იქ დასახატაეი ბეერი რამ არის. თუ ჩემი აზრი მოგეწონება, შეგიძლია, მამას მისწერო; რაც შეეხება ჩაცმასა და ასეთ ამბებს, მზად ეარ, ჩეენებს ყეელაფერი დაეუჯერო – ხომ შეიძლება, იქ ამ ზაფხულს კ.მ.-ს კელაე შეეხედე.

როგორც ეიცი, ჩემი ჩასელის წინააღმდეგი მაინცდამაინც არაეინ არის. შინ თუ გარეთ კი ჩემს შესახებ ათასგეარი სჯა-ბაასი მუდამ იქნება, ხან ამას იტყეიან, ხან კი იმას – სულ ერთმანეთის საწინააღმდეგოს.

ამის გამო საყეედურს არაეის ეეუბნები; მხატერის საქციელს, ცხადია, ბეერი ეერ გაიგებს. ეინც დასახატაედ კარგ ადგილებს ან ტიპებს ეძებს და სად არ დაძერება, – წერილმანი ხალხი ეჭეით უყურებს, პგონიათ, რომ ამ ადამიანს გულში რაღაც ცუდი უდეეს ანდა ეინ იცის, რა სისაძაგლე განუზრახაეს. თუმც, რა თქმა უნდა, ასეთი რამ მას აზრად არ მოსდის.

გლეხი რომ ხედაეს, მთელი საათი ბებერი ხის წინ როგორ ეზიეარ და მისი ტანის დახატეას ეცდილობ, ფიქრობს, ჭკუაზე შეშლილაო, და, ცხადია, დამცინის. ახალგაზრდა მანდილოსანი პირს რომ იბრუნებს, მუშასა და მის დაკერებულ, გაქონილ, გაპოხილ, ჭუჭყიან სამოსს არ შეეხედოო, რა თქმა უნდა, ეერ გაიგებს, ბორინაჟში ანდა პეისტში რისთეის მიედიეარ ან შახტის სანგრეეში რას დაეეძებ. მასაც, ცხადია, გიჟი ეგონიეარ. მაგრამ ჩემთეის სულ ერთია, ისინი ჩემზე რას იფიქრებენ, თუკი შენ, ბატონი თერსტეხი, კ.მ., მამა და სხეანი – ჩემი ახლობელნი ჩემს სიგიჟეს არ დაიჯერებთ, ტყუილუბრალოდ არ გამკიცხაეთ და ასე იტყეით: „შენი საქმე ამას მოითხოეს, გეესმის, ასე რატომ იქცეეი, სხეა რა გზა გაქეს“. მაშ, ეიმეორებ: მნიშენელოეანი მიზეზები, ეტენში ან პააგაში რომ არ წაეიდე, ამჯერად არ მაქეს – თუნდაც ზოგმა ქარაფშუტამ ან რომელიმე მანდილოსანმა გამკიცხოს კიდეც.

1881 წლის ზაფხული და შემოდგომა ვინსენტმა ეტენში, მშობლებთან და ახლობლებთან გაატარა. ისევე მეცხოველეობით დაკავებულ ნათესავზე მუშაობას, მაგრამ ახალმა, კლავე უცხოლო სიყვარულმა — ამჯერად თავისი დეიდაშვილი, ახალგაზრდა ქერივი კეი ვოსი შეუყვარდა — კალაპოტიდან საკმაო ხნით ამოაგდო რაკი ამას წაეწყუბა — ვინსენტის გონზე მოყვანას რომ შეეცადა, — ეტენში დარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა და 1881 წლის დეკემბრის ბოლოს ჰააგაში გაემგზავრა. ეტენში ვინსენტმა 50 ნახატი შექმნა (მამის პორტრეტი, მთესველის ფიგურის ჩანახატები, ყანრული სცენები, პეიზაჟები). წლის ბოლოს პირველად იქნა სცადა შუთის საღებავებით მუშაობაც (ნატურმორტი — „კათხა ლუდი“, დეკემბერი 1881 წ.)

144*. *1 მაისი, 1881.* აი, უკვე რამდენიმე დღეა, აქა ვარ; გარეთ კარგია, მაგრამ ყოველდღე გარეთ ყოფნას და მუშაობას ამინდის გამო ვერ ვახერხებ... მოხარული ვარ, ყველაფერი რომ ასე მოგვარდა - შემიძლია, აქ ვიყო და ერთხანს მშვიდად ვიმუშაო; იმედია, რაც შეიძლება, ბევრ ეტიუდს გავაკეთებ: ეტიუდები ის თესლია, რითაც შემდეგ სურათები უნდა შეიქმნას. მომწერე ხოლმე და თუ შეძლებ, ყველაფერი გამაგებინე, რამაც შენზე შთაბეჭდილება მოახდინა; ხოლო თუკი ყური მოკრა, სადმე მხატვრის ადგილიაო, ნუ დამიეწყება.

148. ნატურის ხატვისას მეტისმეტი ყურადღება წერილმანებისთვის რომ მიმექცია, მთავარი კი არ შემემჩნია, არ ივარგებდა. ჩემი ბოლო ნახატები კი ძალიან ხშირად ასეთი იყო. ამიტომაც გადავწყვიტე, კვლავ ბარგის მეთოდს მივბრუნებოდი (იგი მსხვილი ხაზებით და მასებით ხატავს, ფაქიზად ნაგრძნობი, სადა კონტურებით). გარეთ ხატვა ჯერჯერობით მივატოვე. როცა ისევ დავუბრუნდები, საგნებს უკვე ადრინდელზე უკეთესად დავინახავ. როგორ მინდა, ის უნარი, მე რომ თანდათან უკვე ვიძენ, ყველას ჰქონდეს – წიგნის სწრაფად და იოლად კითხვა და ძლიერი შთაბეჭდილების შენარჩუნება ყველას შეეძლოს. წიგნის კითხვისას, ისევე როგორც სურათების ყურებისას, დაეჭვება არ შეიძლება, არც ორჭოფობა: შენი თავისა უნდა გჯეროდეს და რაც კარგია, უნდა თქვა, რომ კარგიაო.




ახლა ჩემს წიგნებს თანდათანობით ვაწესრიგებ; რადგან მუდამ მეტისმეტად ბევრს ვკითხულობდი, სისტემატურ მუშაობას უკვე თავს ვე-

ღარ დაეასებებ თანამედროვე მწერლობაზე, რა თქმა უნდა, წარმოდგენა უნდა მქონდეს. ხანდახან ვნახობ, ისტორია, განსაკუთრებით, თანამედროვე ისტორია ცუდად რომ ეიცი. სინანული და ხელის ჩაქნევა მაინც არ ღირს. მთავარია, წინ იარო და ეცადო, შენი გაიტანო.

150. თუმც წერილი სულ ახლახან გამოგიგზავნე, სათქმელი მაინც კიდევ დამრჩა. კერძოდ, აი, რა: ჩემი სახატი – ტექნიკის მხრივაც და, საერთოდაც, შეიცვალა; გარდა ამისა, მაუვესთან საუბრის შემდეგ ისევ მოდელზე მუშაობას დაუბრუნდი. საბედნიეროდ, ერთი-ორი ადამიანი პოზირებაზე დაეითანხმე, მაგალითად, მუშა პიტ კაუფმანი. ბარგის „ნახშირით საუარჯიშოებს" გულმოდგინედ რომ ჩაეუჯექი და შეეისწავლე, ასლებიც რომ უამრავი გადაეიღე, უკეთ მიეხვედი, ფიგურის ხატვა რომგორ უნდა. ეისწავლე გაზომვა, დანახვა, უმთავრესი ხაზების ძებნა. ის, რაც ადრე შეუძლებლად მეჩვენებოდა, მადლობა უფალს, თანდათანობით შესაძლო ხდება.

გლეხი, ბარი რომ უჭირავს ხელში, ერთი სიტყვით, მბარაეი, ხუთჯერ დაეხატე (ყველა ნახატზე ამ ფიგურის დგომაცა და მოძრაობაც ერთმანეთისგან განსხვაედება), ორჯერ მთესველი, ხოლო ორჯერ ქალიშვილი ცოცხით ხელში. ამის შემდეგ თეთრჩაჩიანი ქალი დაეხატე, კარტოფილს რომ ფცქვნის, მწყემსიც – კომბალზე ჩამოყრდნობილი, ბოლოს, ბუხრის წინ ჩამომჯდარი ბებერი და სნეული გლეხი, თაეი რომ ხელებში ჩაურგაეს და იდაყვებიო მუხლებს ეყრდნობა. ცხადია, ამას არ ეიკმარებ – მეწინაეენი, რაკი ხიდზე გადაიელიან, უკან მთელი ფარა მიყვება. განუწყვეტლიე უნდა ეხატო მბარაეები, მხვნელ-მთესველნი, კაცები თუ დედაკაცები. ყველაფერს უნდა ეაქეირდებოდე, უნდა ეხატაედე, რაც კი სოფელს უკაეშირდება – ბევრი ძველი თუ თანამედროვე მხატერის მსგავსად. ახლა საქმე უკვე ისე აღარ არის, უწინ რომ იყო – ნატურის წინაშე უსუსური აღარა ვარ.



152. თაედაპირველად ნატურას არ სურს, დაგემორჩილოს, მაგრამ თუ საქმეს სერიოზულად მოეკიდები, ეს ეერ დაგაბნეეს. პირიქით, მხოლოდ საბრძოლეელად წაგაქეზებს. არსებითად ბუნებას და ნამდეილ მხატეარს ერთმანეთისგან ეერ გათიშაე. ცხადია, ბუნება ხელშეუეალია, მაგრამ როგორმე უნდა შეძლო და ხელი ჩასჭიდო, თანაც მტკიცედ, მაგრად ჩასჭიდო. როცა ასე შეებმები და მოერეევი, მორჩილი და დამყოლი ხდება. ეერ ეიტყეი, ეს უკეე შეძელი-მეთქი – ასე, ალბათ, ყველაზე ნაკლებ მე ეიფიქრებ, – მაგრამ საქმე წინსელის გზაზეა. ნატურასთან ორთაბრძოლა ხანდახან იმას მომაგონებს, რასაც შეკსპირი „ჭირ-

ეულის მორჯულებას“ (ესე იგი, სიჯიუტით რომ გაიტან შესსას) უწოდებს. ბევრ საკითხში, – ხატეაში კი განსაკუთრებით, – მიმაჩნია, რომ სჯობს, ზედმეტი გამოწურო, ვიდრე გამოუწურაი დატოვო რამე.

რაც დრო გადის, უფრო ერწმუნდები ფიგურების ხატეა კარგი საქმეა, პეიზაჟზე მუშაობაშიც გეხმარება. თუ ტირიფს ხატაე როგორც ცოცხალს, ცოცხალ არსებას, – ბოლოს და ბოლოს, ეს ასეც არის, – გარემო უკეე თაეისთაეად დაიხატება; ოღონდ მთელი ყურადღება ამ ხეზე უნდა გაამახეილო და არ დათმო, – უნდა ეომო, ეიდრე სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყობოდეს.

153. *3 სექტემბერი. 1881.* ერთი რამ მაქეს შენთეის სათქმელი და უნდა გითხრა, თუმც, შესაძლოა, უკეე იცი ყეელაფერი და ამ ამბაეს ახალი არც ეთქმის: ამ საფხულს კ. შემიყეარდა. როცა ეუთხარი, მიპასუხა, ჩემს წარსულ და მომაეალ ცხოერებას ერთმანეთისგან ეერ გაეთიშაე და ამის გამო შენს თანაგრძნობას ეერ შეეძლებო. ეერ გადაეწყეიტე, რა უნდა მექნა – შეერიგებოდი მის ასეთ პასუხს – „არა, არა, არასოდესო“, – თუ საკითხი ამოწურულად არ ჩამეთეალა, ძალა მომეკრიბა და მოთმინებით დაელოდებოდი ხეალინდელ დღეს. მეორე გზა აეირჩიე და დღემდე არ ენანობ, თუმც კელაე ეს მესმის: „არა და არა, არასოდესო“. ცხადია, მას შემდეგ ბევრი „წერილმანი საწუხარი კაცთა ყოფისა“ გადაეიტანე, რაც წიგნში რომ აგეეწერა, ერთი-ორ კაცს გაართობდა, მაგრამ როცა შენს თაეზე გამოსცდი, სასიამოენო აღარ არის.

ასეა თუ ისე, ახლაც ძალზე კმაყოფილი ეარ იმის გამო, რომ ეიფიქრე, პრინციპი – „არ ძალგიძს“ – ეისაც მოსწონს, ისეე იმას მოსწონდეს-მეთქი, თაეად კი მხნეობა მოეკრიბე. ერთ-ერთი მიზეზი, დღემდე რომ შენთეის ამის შესახებ არაფერი ჭმიწერია, ჩემი ერთობ გაურკეეელი მდგომარეობა და წონასწორობას მოკლებული ყოფა იყო. რა უნდა მეთქეა, ლაპარაკი მეძნელებოდა. ჯერჯერობით ბეერს ემუშაობ: რაც კ-ს შეეხედი, ხატეის საქმე უკეთ მიდის, ბეერად უკეთ...

205. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ შემთხვევით შენს გარდერობში ჩემი შესაფერი პიჯაკი და ორი შარვალი აღმოჩნდებოდა, ისეთი, შენ რომ აღარ იცვამ. როცა ჩემთვის რამეს ვყიდულობ, სულ იმას ვცდილობ, ყველაფერი, რაც შეიძლება, პრაქტიკული შევარჩიო, ისეთი, რომ, შინ ქნება თუ დიუნებში, სამუშაოდ გამომადგეს. ამის გამო, საგარეო კოსტიუმი მთლად დამეგლიჯა. ოდნავადაც არ მრცხვენია, როცა სადმე სამუშაოდ მიედივარ და უბრალოდ მაცვია, მაგრამ ჩემი დიდკაცური კოსტიუმი რომ გაქუცულია, ამისი კი მერიდება. თუმც, სამუშაო ტანსაცმელი უსუფთაოდ სულაც არა მაქვს. ეს იმიტომ, რომ მყავს სინი, რომელიც უელის ჩემს ტანსაცმელს, აკერებს და აწესრიგებს. წერილის ბოლოს კელაე ეიმეორებ: არ მისდა, ჩვენმა ოჯახმა ჩემი და სინის ურთიერთობას ის დაარქვას, რაც არასგზით არ დაერქმევა – კერძოდ, ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მარტოოდენ სასიყვარულო ისტორიაა, ასეთი რამ მეტისმეტად გამამწარებდა და ჩვენიანებს კიდეე უფრო დამაშორებდა.

210. *კვირა დღე.* გუშინ საღამოს სინქა ბაეშვი გააჩინა. მშობიარობა მძიმე აქონდა. მადლობა ღმერთს, თვითონაც გადარჩა და მისი საოცრად საყვარელი პატარა ბიჭიც.

212. *6 ივლისი, 1882.* ჩვენი დედ-მამა ის ხალხი არ არის, მე რომ გამიგებს. ელაპარაკე რამდენიც გინდა – თუნდ შეცდომები უხსენე ჩემი, თუნდ ღირსებები, მაინც არასდროს დაფიქრდებიან, ვინ ვარ და რა ვარ. მაშ, ახლა რა ექნა, როგორ მოვიქცე? ჩემი გეგმა, რომელსაც, ალბათ, შენც მოიწონებ, ასეთია: იმედი მაქვს, მოვახერხებ მომაყალ თვეშიც 10 ანდა, უმჯობესია, 15 ფრანკი გადავინახო. აი, მაშინ – ოღონდ უფრო ადრე არა, – მშობლებს მივწერ, რაღაც უნდა გაცნობოთ-მეთქი. მამაჩემს ვთხოვ, ჩემი ხარჯით ერთხელ კიდევ ჩამოვიდეს და რამდენიმე დღეს ჩემთან დარჩეს. რომ მოვა, ისეთ რამეს ვაჩვენებ, რასაც არ ელის: სინსა და ბიჭს, სუფთა ბინას, სახელოსნოს, ჩემს ნამუშევრებს, იმ სურათებს, ახლა რომ ვხატავ; მეც, იმედია, იმ დროისთვის უკვე საკმაოდ მოემჯობინებები. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ბევრად უფრო ღრმა და სასურველ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვიდრე ლაპარაკი ან წერილები. ორიოდე სიტყვით ვერამბობ, მე და სინმა, როცა იგი ფეხმძიმედ იყო, რა ზამთარი გადავიტანეთ, შენც როგორი ერთგულებით გვეხმარებოდი, თუმც, შედარებით გვიან გაიგე სინის ამბავი... რაც შეეხება მამაჩემის პოზიციას ქორწინებასთან დაკავშირებით, ეფიქრობ, „ცოლად შეირთეო“, ასე მეტყვის...

აი, რა მსურს, ერთხელ კიდევ განგიმარტო: რაც ჩემსა და სინს შორის მოხდა, ცხადია და არა სიზმარი, სინამდვილეა, რეალობაა. ჩამოდი და ნახე შედეგი: ნაღვლიანი და ნირწამხდარი როდი დაგხვდები; რასაც შეხედავ, ყველაფერი გაგახარებს, თუ არადა, მოწონებით ხომ მოგეწონება; ნახავ ახალ სახელოსნოს და კიდევ უფრო ახალ, მაგრამ უკვე კარგად გაჩაღებულ მეურნეობას... დიახ, ჩემი სახელოსნო მისტიკური, იდუმალი რამ არ გეგონოს. იგი ფესვებით ცხოვრების სიღრმეს უკავშირდება. აქვანიც დგას, ბავშვის საჯდომი ფიცარიც არის. ერთ ფურცელზე არაფერია შეჩერებული, ყველაფერი მოქმედებისკენ მომიწოდებს, სამოქმედოდ მაგულიანებს... მაგრამ განა როცა ჩამოხვალ და გაცოცხლებულ, ამოძრავებულ ბინას ნახავ, ამასთანავე, გეცოდინება, რომ ეს შენი წყალობითაა, უფრო მეტი ქმაყოფილება არ უნდა იგრძნო, ჩემო ბიჭუნა, ვიდრე, ვთქვათ და, უცოლოდ გენახე, მარტოხელა, დღენიადაგ კაფეში მჯდარი? შენ იცი, რომ ჩემი ცხოვრება იოლი არ იყო, ხშირად უკიდურესად მიჭირდა კიდეც, ახლა კი, შენი დახმარებით, სიჭაბუკე მიბრუნდება, ჩემს ჭეშმარიტ „მეს“ გასაქანი და გზა ეძლევა...

არ ფიქრო, თავი სრულქმნილი ვინმე მეგონოს ანდა ფიქრობდე, თითქოს არაფერ შუაში ვიყო, ძალიან ბევრს რომ აუტანელ ადამიანად მიეჩვნიეარ. ხშირად გულფიცხი, ამაზრზენი ვარ, მელანქოლიით ხალხს თავს ვაბეზრებ, ძალას ვატან, უნდათ თუ არა, თანაგრძნობა გამოწვიონ, და როცა ვინმე არ თანამიგრძნობს, გულგრილი და უკმეხი ვხდები, – ამით ხშირად ცეცხლზე ნაეთს ვასხამ. საზოგადოებაში ყოფნა არ მიყვარს, ხშირად მიმძიმს, მიძნელდება ხალხში ტრიალი, ხოლო მათთან ლაპარაკი – მით უმეტეს. მაგრამ იცი, რით აიხსნება ეს ყველაფერი? ნერვულობით: ფიზიკურადაც, სულიერადაც მეტისმეტად მგრძნობიარე ვარ. ნერვული იმ წლებში გავხდი, როცა, მართლაც, ცუდად ვცხოვრობდი. რომელ ექიმსაც უნდა უთხრა, ხელად მიხვდება, რომ ეს სწორედ ასე

უნდა მომხდარიყო. გარეთ, ქუჩაში, სიცივეში გატარებული ღამეები, ულუმაპუროდ დარჩენის შიში, სამუშაოს უქონლობით გამოწვეული დაძაბულობა, ოჯახთან და მეგობრებთან უთანხმოება – აი, რით არის გამოწვეული – თუ მთლად არა, სანახევროდ მაინც ჩემი მძიმე ხასიათი. ამის გამოა, ხანდახან რომ აუტანელ გუსებაზე ვარ, სული მიწუხს და ვიტანჯები. იმედი მაქვს, არც შენ, არც სხვა, ვისც ამაზე დაფიქრდება, მკაცრად არ განმსჯის, აუტანელ კაცად არ ჩამთელის. ეცდილობ, ჩემს თავს შევებრძოლო, ხასიათის გამოცელა კი ძალზე ძნელია, მაგრამ კარგი თვისებები განა არა მაქვს? მაშ, იქნებ ესეც გაიხსენოთ!

213. *ბუთმაბათი.* გვიანია. სახელოსნოში სიწყნარე და სიმშვიდეა, გარეთ კი წვიმს, ქარი უბერავს; ამის გამო თითქოს ბინაში კიდევ უფრო მეტი სიჩუმე დამკვიდრებულა. ნეტავი, ძმაო, ამ სიმშვიდის ჭამს ჩემთან გამყოფა! რამდენ რამეს გაჩვენებდი! ეფიქრობ, კარგი სახელოსნო მაქვს: უბრალო შპალერი – რაღაც მორუხო-ყავისფერი, ზედმიწევნით მოხეხილი იატაკი, ფანჯრებზე მარმაში, ირგელივ – სისუფთავე, კედლებზე, ცხადია, – ეტიუდები, სახელოსნოს ოთხსავ მხარეს თითო მოლბერტი, შუაში კი სამუშაოდ – შეუღებავი ხის ტაგიდა. სახელოსნოს მოდგმული აქვს პატარა წალო: სახატავ დაფებს, საქაღალდეებს, ყუთებს, ჯოხებს და ა.შ. აქ ვინახავ, გრაფიურებიც სულ აქა მაქვს შენახული; ერთ კუთხეში კარადა მიდგას, სადაც ქოთნები, ბოთლები და ჩემი წიგნები მილაგია. ამ ოთახს უკან სამყოფია: დგას მაგიდა, ნავთქურა და რამდენიმე ტაბურეტი, ხოლო კუთხეში, ფანჯარასთან – ჩემი ნახატებით შენთვის უკვე კარგად ცნობილ ეზოსა და მდელოებს რომ გადაჰყურებს, – დიასახლისის დიდი, მოწნული საქარძელი, მის გვერდით კი – პაწაწინა რკინის აკვანი, მწვანე საბნით.

ამ აკვანს რომ შევხედავ ხოლმე, გულს თითქოს ძგერა ემატება: საყვარელი ქალის გვერდით როცა ზიხარ, ხოლო იქვე აკვანი გიდგას, რაღაც დიდი, ძლიერი განცდა გეუფლება. ადგილი, სადაც ეს ქალი იწვა და მეც იქვე გვერდით ვუჯექი, საავადმყოფო იყო მხოლოდ, სხვა არაფერი, მაგრამ სუფევდა შობის ღამის, ბაგის და ჩვილის პოეზია, პოეზია, რომელიც ძველ პოლანდიელებს, მილესა და ბრეტონს უგრძნიათ – ნათელი იგი ბნელსა შინა, ვარსკვლავი იგი მოციმციმე ღამესა შინა. აი, აკვანთან რემბრანდტის დიდი გრაფიურა რატომ დაკიდე – ორი ქალი აკვანს რომ უზის, ერთი მათგანი სანთლის შუქზე ბიბლიას კითხულობს და ეს შუქი ბინდბუნდში ჩაძირული ოთახის მუქ ჩრდილებს შორის მკვეთრად მოჩანს. ისევ და ისევ მამაზე ვფიქრობ. ნუთუ იგი აკვნის წინაშეც გულგრილობას გამოიჩენს და კვლავ რამეში შემედავება? აკვანი ხომ, მოგეხსენება, უბრალო რამ აღარ არის, აქ ხუმრობა არ შეიძლება. როგორიც უნდა ყოფილიყო მისი წარსული, მე ვიცნობ მხოლოდ ერთადერთ სინს – იმას, რომელიც ამ ზამთარს ვსახე, იმას, ხელზე ხელს რომ მიჭერდა, როცა ჩვენ ორნი საავადმყოფოში თვალცრემლიანნი დაეცქეროდით პატარა ბიჭს, ვისთვისაც მთელ ზამთარს ასე ვიწვალეთ.

215. პარასკევს ლვიდენის სამშობიარო დაწესებულებამ შემატყობინა, სინს შეუძლია, შაბათს უკვე შინ დაბრუნდესო; ამიტომ დღეს ლვიდენისკენ გავეშურე და ორივენი შინ წამოვედით; ამჟამად იგი უკვე აქ არის – სხვენაკეგზეა; ჯერ რიგზეა ყველაფერი – სინიც და ბიჭუნაც კარგად

არიან, საბედნიეროდ, კრისტინას რძე არ აკლია, ამიტომ ბაეშეიც წესარადაა... მე კი ჩემ გეერდით ქალისა და ბაეშეების ყოფნა სრულიად არ მეუცხოება; პირიქით, მგონია, ჩემს სტიქიაში მოეხვედი-მეთქი, თითქოს უკეე დიდი ხანია, ეროად ეცხოერობთ. იმის კეთება, სისუსტის გამო რაც სინს ჯერ კიდეე არ შეუძლია, – ეთქეათ, საწოლის გასწორება ან სხეა ათასი წერილმანი საქმე, – ჩემთეის უცხო სულ არ არის: ასეთი რამ ძალზე ხშირად მიკეთებია ჩემთეისაც და სნეულთათეისაც. სხეათა შორის, ხატეას და ფერწერას ეს ამბები ხელს არ უშლის – ძეელი პოლანდიური სურათები და ნახატები ამას კარგად ადასტურებს. ოჯახური კერისა და სახელოსნოს შეთაესება მხატეარს არაფერს დაუშაეებს, განსაკუთრებით, ფიგურაზე მომუშაეეს. გაეიხსენებ თუნდაც ოსტადეს სახელოსნოს ინტერიერებს – ქალმით ნახატ პატარა სურათებს. ამ სურათებზე, ალბათ, სწორედ თაეისი ბინის კუთხე-კუნჭულებს იხატაედა; ეს სურათები ადასტურებს, რომ ოსტადეს სახელოსნო ნაკლებად ჰგაედა აღმოსაელური იარაღით, ლარნაკებით, ლამაზი სპარსული ხალიჩებით და ა.შ. დამშეენებულ სახელოსნოებს.

ახლა კი ისეე ორი სიტყეა ხელოენებაზე: ზოგჯერ სურეილი მომიელის ხოლმე, კელავ ფერწერას მოეკიდო ხელი. სახელოსნო ახლა ფართო მაქეს, განათებაც უკეთესია, მშეენიერი კარადა მიდგას, სადაც საღებაეებს შეეინახაე, რათა ჭუჭყსა და უწესრიგობას მოეარიდო. აკეარელით მუშაობა უკეე დაეიწყე. როგორც კი სინი მომჯობინდება, სერიოზულად შეუდგება პოზირებას; დამიჯერე, საკმაოდ კარგი ფიგურა აქეს. პოზირება რომ შეუძლია და მოდელადაც გამოდგება, ამას თაეადაც დაადასტურებ „მწუხარების“ და ერთი-ორი ნახატის მიხედეით, რომლებიც უკეე შენთანაა. შიშეელი ნატურის რამდენიმე ეტიუდიც მაქეს, ჯერჯერობით რომ არ გინახაეს. როგორც კი სინი მომჯობინდება, შიშეელ ნატურას ისეე უნდა მიეუბრუნდე, რადგან მასზე მუშაობა ბეერს იძლეეა.

216. ***სამშაბათი დილა.*** ახლა ბატონ თერსტეხის ეიზიტზე უნდა გიამბო. დღეს დილით იგი ჩემთან იყო და სინი და ბაეშეები დაინახა. როგორ მინდოდა, დიმილით მაინც შეეხედა ახალგაზრდა დედისათეის, რომელმაც სულ ორი კეირის წინ იმშობიარა, მაგრამ თერსტეხს, როგორც ჩანს, ესეც გაუძნელდა. ძეირფასო თეო, ალბათ, შეძლებ, წარმოიდგინო, რა ტონითაც მელაპარაკა. „რა ამბაეია? ეს ქალი ეინ არის ან ეს ბაეშეები ეისიაო?“ „აზრად როგორ მოგიეიდა ასეთი ქალის გადაკიდება? ყეელა ბედნიერებასთან, ბაეშეებიც რომ პყოლიაო?“ „ეს ხომ ისეეე სასაცილოა, ახლა რომ ქალაქში საკუთარი ეტლით დაიწყო სიარულიო?“ შეეკპასუხე, რა თქმა უნდა, ეს სულ სხეადასხეა ამბაეია, ამას რატომ ამბობთ-მეთქი. „ალბათ, გაგიედი! აშკარაა, არათუ ფიზიკურად, სულიერადაც ეერა ხარ კარგად, ეს ყოეელიეე სწორედ ამის შედეგიაო!“ ეუპასუხე, სულ ახლახან რწმუნება მიეიღე თქეენზე უფრო კომპეტენტური პირებისგან – სააეადმყოფოს ექიმებისგან: როგორც ჩემი ორგანიზმის, ისე გონებრიე შესაძლებლობათა ყოეელმხრიემა შემოწმებამ დაადასტურა, რომ საესებით ჯანმრთელი ეარ, არაფერი მაწუხებს-მეთქი. მაშინ თერსტეხი ხან რას მიედო, ხან კიდეე რას – მამას გადასწედა, წარმოიდგინე, პრინსენსაგელი ბიძაც მიხსენა! ამ საქმეს ასე არ დაეტოეებ! ყეელას ყეელაფერს შეეატყობინებ! ყეელას მიეწერო!

ძეირფასო თეო, სინის გულისთეის მოეითმინე, ჩემთეისაც ასე აჯობებდა. ჩემი აზრით, მეტისმეტად კადნიერ კითხეებს იძლეოდა, მაგრამ

მოკლედ, თავდაჭერილად ეპასუხობდი. იქნებ ერთობ რბილიც იყო ეს პასუხები, მაგრამ ვარჩიე, გაცხარებას ისევ სირბილე გამომეჩინა. თანდათანობით ოდნავ დაცხრა. შეეკითხე, სასაციღო არ იქნება, ჩემმა მშობლებმა ჯერ რომ თქვენი რისხვით სავსე წერილი მიიღონ, შერე კი ჩემი თავაზიანი მოპატიჟება – ჩემს ანგარიშზე ჩამოდით და შინ შეწვიეთ, რათა ისევ ამ საქმეზე მოვითათბიროთ, გელით-მეთქი. ჩემმა სათქვამმა, ცოტა არ იყოს, იმოქმედა. შემომხედა და შემეკითხა: „წერილის მიწერას აპირებო?“ ამას კითხვა რად უნდა-მეთქი, – ვუპასუხე, – ცხადია, მიწერ. მაგრამ, ხომ იცით, საჭიროა, შესაფერი დრო გამოინახოს – ჩვენები ხომ გადაბარგდნენ,[1] ათასი საქმე აქეთ; გარდა ამისა, უმნიშვნელო მღელვარებამ იქნებ ეს ქალი ისე ავად გახადოს, რომ ეელარც მორჩეს. ახლა მისი აღელვება, შეშინება, ნერვების აშლა პირდაპირ მკვლელობა იქნება-მეთქი“. „ო, ნუთუ მართლა! მაშ, აღარაფერს აღარ მიეწერო“. ამის შემდეგ კელავ ისეთი ლაპარაკი წამოიწყო, გეგონებოდა, თავის დახრჩობას ვაპირებდი, მას კი ჩემი შველა უნდოდა. ვუპასუხე, თქვენი კეთილი ზრახვებისა საკსებით მჯერა და ამიტომ რაც მითხარით, არ მწყენია, თუმც ასეთი ლაპარაკი, რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს, ამის ატანა ჩემთვის ერთობ ძნელია-მეთქი. ბოლოს გადაჭრით ვაგრძნობინე – ლაპარაკის გაგრძელება აღარ მსურდა. პოდა, წავიდა.

მე კი მაშინვე წერილის წერას შევუდექი. თერსტეხს ეუთხარი, თეოს ყველაფერი მიეწერე-მეთქი. ამ ამბავმა იგი ოდნავ დააშშვიდა. ეცადე, მისი ყურადღება ნახატებისთვის მიმექცია, მან კი მხოლოდ მიმოიხედა და ასე მითხრა: „ეს ყველაფერი ძველიაო“. ახლებიც იყო, მაგრამ, ეტყობა, ეერ შეამჩნია. თუმც, ახლების უმეტესობა შენთანაა, ხოლო ზოგი კ.მ.სთან და ა.შ. თერსტეხს ძალიან ეჩქარებოდა და მხოლოდ ერთი რამ დაიჯერა – მე გიჟი ვარ და ყველაფერი, რასაც ეხატავ, უვარგისია.

გეკითხები, შეიძლება, ელაპარაკო ადამიანს, როცა იგი ასე იქცევა? ან რა აზრი აქვს ასეთ ლაპარაკს? სწორედ ამისა შეშინოდა – ჩემს ყველაზე ინტიმურსა და პირად საქმეში ასეთი ბოროტი, ქედმაღლური, უბოდიშო, კადნიერი ჩარევისა; ასეთი რამ უკლებლივ ყველას გააცოფებდა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ თავი ძალიან შევიკავე, ბატონ თერსტეხზე საშინლად ვარ გაჯავრებული და აღარც მინდა მასთან რაიმე მაკავშირებდეს, ლაპარაკიც აღარ მინდა, ვიდრე ასე ჟანდარმობის გუნებაზეა. როგორც გითხარი, წავიდა და მეც მაშინვე წერილის წერას შევუდექი. არ დაგიმალავ, სინისა და მისი ბიჭისთვის, აგრეთვე, ჩემთვის, სასურველია, მსგავსი სცენები აღარასოდეს განმეორდეს. ამ ქალის ასე აღელვება იგივეა, რომ დამბლა დასცე. დავიღალე ერთი და იმავეს გამეორებით. უამისოდაც ძალზე სუსტი და მგრძნობიარეა. ამ ექვსი კვირის მანძილზე მაინც ყოველ წერილმანს შეუძლია, რძე გაუშროს ან უარესი რამ დამართოს.

ჩემი აზრით, თერსტეხის ასეთ უადგილო და უდროო ჩარევას ჩვენთვის საკმაოდ დიდი ზიანის მოყენება შეუძლია; როგორც შინ, ისე პრინსენსაგში (პრინსენსაგი კი ამ ამბავთან სულ არაფერ შუაშია), შესაძლოა, ამან ათასი უსიამოვნება გამოიწვიოს. იქნებ თერსტეხი შეეაჩეროთ? შინაურებთან თითქოს მოვრიგდი, ერთმანეთში ახლა კარგად ვართ, თუმც, ვინ იცის, იქნებ თერსტეხმა ყველაფერი ისევ არიოს! როგორც კი

[1] პასტორი ვან გოგი ეინდჰოვენის მახლობლად, სოფელ ნიუენენში გადაიყვანეს და ამიტომ სექტემბერში ოკახიც იქ გადაბარგდა.



შეეძლებ, ჩემიანებს თვითონვე მიეწერ, მაგრამ განა სინდისიერი საქციელია თერსტეხის მხრივ ამოდენა ალიაქოთის ატეხა და ამოდენა დაეიდარაბა? მერე ვის გამო? ერთი საბრალო, საცოდავი ქალის გამო, რომელმაც სულ ორი კვირის წინ იმშობიარა. ასე მხოლოდ უსინდისო მოიქცევა. მაგრამ, ცხადია, თერსტეხს ამდენი არ გაეგება. მან მხოლოდ ერთი სიმღერა იცის ფული და ფული. როგორც ეტყობა, ფული მისი ერთადერთი სალოცავია. ჩემი აზრით კი, საჭიროა, ქალებს, ბავშვებს, საერთოდ, სუსტებს, კარგად მოეექცე, პატივი ეცე. ასეც ვაკეთებ. გულს ხედება, გულზე მეჯიდება მათი ამბავი. გარდა ამისა, დილას თერსტეხმა რამდენიმე შეურაცხმყოფელი შენიშვნაც მომცა – თითქოს ამ ქალს ვაუბედურებ და ა.შ. ეუპასუხე, ჯერჯერობით უფლება არ გაქვთ, ასეთი რამ თქვათ. გთხოვთ, მსგავსი რამ მეტად აღარ წამოგცდეთ-მეთქი. სინს ეუყვარვარ, მეც მიყვარს იგი, ორივე იმას ვიმყოფინებთ, რაც მარტოს უნდა დამეხარჯა. მომჯირნედ ვიცხოვრებთ. ეს ყველაფერი კარგად იცი, ამის შესახებ უკვე მოგწერე, – თერსტეხზე უფრო კარგად იცი, მაგრამ სინს კი ცუდად იცნობ; ამიტომაც ვერ მიხვდები, ჩვენ ერთმანეთს როგორ ვაფასებთ და ერთად ყოფნა ორივესთვის რარიგ კარგი და სასურველია.

მიჭირს, საქმაოდ დამაჯერებლად განგიმარტო, რომ მომავალში ჩემს ცხოვრებას კრისტინასთან ქორწინება წარმართავს-მეთქი. ასეა, ძმაო, ამაზეა მთელი ჩემი მომავალი აგებული. ცხადია, უიღბლო სიყვარულისგან მიყუნებული ტკივილისა და იმედების დაკარგვის შემდეგ ადამიანი შეიძლება გამოკეთდეს, კვლავ ფეხზე დადგეს – ეს ეხება როგორც სულიერ მდგომარეობას, ასევე მის საქმიანობას, – შეიძლება! მაგრამ იცოდე, მხოლოდ ერთხელ. ასეთი რამ თუ უსასრულოდ განმეორდა, ვინც უნდა იყოს, ფეხზე დადგომას ვეღარ შეძლებს. ამჟამად მეც გამოვცოცხლდი, უფრო სწორად, ახლა ვიწყებ როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ განახლებას; ასეა სინიც. მაგრამ თუ ისევ, როგორც იტყვიან, თაეში ჩაგვცხეს, ჩვენთვის ეს იქნებ საბედისწერო დარტყმა გამოდგეს. მე და სინს გვესმის ერთმანეთისა და თუ ძალას დაგეატანენ, კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვა, – ერთად ცხოერების გასაქანს თუ არ მოგვცემენ, უკიდურეს შემთხვევაში, აბა, რას ვიზამთ, წაეალთ აქედან. თუ ასე მოხდა, დაღუპვის შანსი ათჯერ უფრო მეტი გვექნება, ვიდრე იმედი გადარჩენისა – ჩვენ არც ფული გვაქვს, არც ძალ-ღონე გაგვაჩნია, განშორებას კი ისევ სიკვდილი გვირჩევნია. დაუფიქრდი, რაც გითხარი, და თუ შეძლებ, შეეცადე, ისე მოიქცე, თერსტეხმა და დანარჩენებმა ხელი აღარ შეგვიშალონ.

მე ჯერ კიდევ ძალა არ შემწევს, ყველაფერს თვითონ გაეუმკლაედეთანდათან ეეცდები, ისევ საქმეს ჩაეულრმაედე, მაგრამ, მერწმუნე, ასეთ

სტუმრობას ეეღარ ავიტან. თერსტეხის და მისთა მაგვართა ნება რომ იყოს, სინს, რა თქმა უნდა, დამაშორებდნენ. მათ სწორედ ეს სურთ, ამიტომაც ძალადობისაც არ შერცხვებათ, შეეცდებიან, თავიანთი გაიტანონ. ჩემი და სინის ერთად ყოფნა მხოლოდ და მხოლოდ შენს ყოველთვიურ დახმარებას შეუძლია უსრუნველყოს, მაგრამ თუკი თერსტეხის აზრს გაიზიარებ, მაგ ფულზედაც უარს ეტყვი. არა, კრისტინას ამ გასაჭირში არ მიეტოვები – უიმისოდ დაღუპული ვარ; მაშ, ჩემი საქმეც დაიღუპება, დაიღუპება ყეელაფერი, რამეთუ წელში ეეღარასოდეს გაეიმართები, შენს ხარჯზე ყოფნას უკვე აღარ მოეისურვებ და პატიოსნად ეაღიარებ: „თეო, მე უკვე დაღუპული ვარ, მორჩა, გათავდა ყეელაფერი, დახმარებაც ეეღარაფერს მიშველის-მეთქი.“ მაგრამ თუ ამ ქალთან ეიცხოერებ, კელაეინდებურად მხნედ ეიქნები, ისევ გეტყვი: შენს ყოველთვიურ დახმარებას შეუძლია, მართლაც, კარგ მხატერად მაქციოს-მეთქი. სინთან ერთად მთელი დაძაბეით ეიმუშაევებ, ძალ-ღონეს არ დაეიშურებ, უიმისოდ კი ყეელაფერზე ხელს ავიღებ. ასეა საქმე. შენ იმის საბუთს ხშირად მაძლეედი, მეფიქრა ხოლმე – თეოს ჩემი უკეთ ესმის, გაცილებით უკეთ მეპყრობა, ეიდრე სხვები, დანარჩენებთან შედარებით ჩემდამი უსაზღეროდ კეთილი და კარგია-მეთქი. იმედია, ამჯერადაც ასე იქნება.

მე და შენ, თეო, ნამდეილი სიმპათია გვაკაეშირებს; ეფიქრობ, ამდენმა წუალებამაც ამაოდ არ უნდა ჩაგეიაროს. შენ ერთგულად მეხმარებოდი, მე კი ერთგულად განეაგრძობდი მუშაობას; ახლა კი, როცა მოეიკეთე, ეგრძნობ, ახალი ძალით ეიესები. აი, ხედავ? გრძნობა, რომელიც ჩვენ გეაკაეშირებს, ჩემი აზრით, თერსტეხის ღვარძლზე ბეერად უფრო ძლიერია და სერიოზული. ამიტომაც თერსტეხი და მისნი მსგავსნი ამის გაქარწყლებას ეერ შეძლებენ. მაგრამ თუ გეინდა, უთანხმოებას მოეერიდოთ და .შეიდობიანი ურთიერთობა შეეინარჩუნოთ, უნდა ეეცადოთ, ჩარეეის ნება არაეის მიეცეთ. ოღონდ, მოდი, ნუ გაბრაზდები, ამ ამბაემა აგრერიგად რომ ამირია ხასიათი. ჩემთეის და სინისთეის ეს იყო პირეელი მძიმე წუთი საეადმყოფოდან გამოსელის შემდეგ. მაგრამ თუკი მოგეემხრობი, შეეეცდებით, ასეთ ამბებს ყურადღება არ მიეაქციოთ, გული ტყუილად არაფერზე გაეიხეთქოთ. მალე მოგეწერე: საოცრად მინდა, შენი წერილი წაეიკითხო. წუხილსა და მღელეარებას აღარ ვაპირებ, რადგან როცა წყნარად ვარ, მომჯობინება სწრაფად მეტყობა. სხეა მხრივ ყეელაფერი კარგადაა: სინი და ბაეშეი ისე კარგები მეჩეენებიან, ისე წყნარად და მშეიდად არიან, გულს უხარია მათი ყურება. თუმც, აი, რა: საკმაო იყო, სინს თერსტეხის ლაპარაკისთეის ყური მოეკრა, რომ მაშინეე შემოდგომის ფოთოლიეით ჩამომჭკნარიყო; მეც ასეეე დამემართა.

ექიმს კიდეე ეელაპარაკე, წამლები მომცა და ძალ-ღონე უკეე მემატება, ციებ-ცხელებაც თავს მანებებს. თერსტეხის გამო ეშობლებს წერილი მალე უნდა გაეუგზაენო, თუმც, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, მოგეიანებით გამეგზაენა. როგორც კი შენგან ფული მომიეა, ესე იგი, დაახლოებით, ოცი რიცხეისთეის, ჩეენებს მიეწერ, მაგრამ მერჩიენა, მომეცადა, ეიდრე ისინი გადაეიდოდნენ და სინიც საბოლოოდ მოკეთდებოდა. ახლა კი მოცდა აჯობებდა, უსათუოდ აჯობებდა, მაგრამ რა ექნა, ეტყობა, თერსტეხი ამაჩქარებს. მამას გზის ფულს რომ გაეუგზაენი, ამით ჩემს კეთილ განწყობას და ყურადღებას დაეუდასტურებ, რაც, ალბათ, ჩეენებს აგრძნობინებს, თუ რაოდენ ეაფასებთ მათ.

ერთი სიტყეით, მალე მომწერე და თუ რაც მოხდა, ერთიმეორეს კიდეე

უფრო შეგვაქებარებს, თუ ამის შემდეგ ერთმანეთს უფრო კარგად გაეუგებთ, უფრო ეუსდობით – საცელად იმისა, რომ თერსტეხმა ან რომელიმე გარეშე პირმა დაგეაშოროს, – უსიამოვნებას, ამ დილით რომ გადაეიტანე, აღარ ეისანებ. თერსტეხი სხვებთან რაც უნდა კარგი იყოს (სიამოვნებით დაეიჯერებ, რომ ის გაცილებით უკეთესია, ეიდრე გეგონია), ჩემთეის მაინც ძალზე ძნელი ასატანია. თერსტეხის ნება რომ ყოფილიყო, დაღუპული და უბედური ადამიანი ეიქნებოდი. მჯერა, სინი რომ იხრჩობოდეს და ა.შ., შეუძლია, თვალი არც კი დაახამხამოს, ისე უცქიროს და თანაც თქვას – ციეილიზებულ საზოგადოებას მისი სიკედილი სიკეთესაც მოუტანსო. თუ მასთან ერთად მეც დაეიხრჩობი, აღარ ენაღელობ, რამეთუ იმ დღით, საავადმყოფოში, ჩეილის აკვანთან როცა ხელახლა შეეხედით ერთმანეთს, დაერწმუნდით, რომ ჩეენი სიცოცხლე ერთმანეთისგან განუყრელია.

გვეყოფა, ძმაო! კმარა ამდენი ტეინის ჭყლეტა. ჯობია, ისეე საქმეს მიეხედო, მოეკეთდე და ჩემთეის მშეიდად, წყნარად ეიცხოვრო. მე და სინს გეიყვარს ერთმანეთი, ჩვენ ერთმანეთს ერთგულების ფიცი მიეეცით. ხოლო ასეთ ამბებში კი, ჩემო თეო, ულამაზოა ეინმეს ჩარეევა, ეინაიდან ცხოვრებაში ამაზე წმინდა არა არის რა.

მე და სინს მხოლოდ ერთი რამ გეინდა – საქმე ცუდად არ შეტრიალდეს; ჩეენ ცხოვრება ისე მოგეწყურდა, შრომა ისე ძალიან გეინდა, არ შეიძლება, არ ეეცადოთ, გაჯირეება და უილაჯობა ავიცდინოთ. მაგრამ თუ ზოგი – განსაკუთრებით ეს შენ გეხება, – ჩეენ შესახებ თერსტეხის აზრს გაიზიარებს, ამას უკეე ეეღარ გაეუძლებთ და, შესაძლოა, ცუდად დამთავრდეს ყოველეიე. ხოლო თუკი ყეელაფერი რიგზე იქნება, ბრძოლას აქეე გავაგრძელებთ, ესე იგი, ეიმუშაეებთ. ერთი შეხედეით, ბრძოლის ეს ხერხი შეიძლება უღიმღამო და ჩეეულებრიეი მოგეჩეენოს, მაგრამ ასე სულაც არ არის – გააფთრებული შეტეეისა და შეუპოვარი თავდაცეისათეის საჭიროა სიმამაცე და ენერგია. მთელ ზამთარს ხომ გაეძელით, ღმერთის წყალობით ახლა ისეე წინ წაეიწეეთ. ეამბობ, „ღმერთის წყალობით-მეთქი“, რადგან მისი მადლობელი ეარ შენ გამოც და იმის გამოც, რაიც შენგან მიმიღია ან ახლა ეიღებ.

თერსტეხს დიდი ენერგია აქეს, თუმც, ეიმედოენებ, ამ ენერგიას ჩეენს დეენაზე ანდა რაიმე ამის მსგავსზე არ დახარჯავს. იქნებ იგი თეითონეე მიხედეს, უფლება არ მაქეს, თქვენს საქმეში ჩაეერიოო, იქნებ თეითონეე ჩამოგეშორდეს. აბა, ჩეენთან რა ესაქმება! კაცმა რომ თქვას, ჩემი ამბაეი სრულიად არ აინტერესებს; ამას მხოლოდ იმიტომ სჩადის, იმედი აქეს, ამით მამას და ძია ეინსენტს ასიამოვნებს, სამსახურს გაუწეეს. ხოლო ჩემს გრძნობებს დაუნდობლად ეპყრობა და აინუნშიაც არ აგდებს. ჩემს სახლში მოდის, უცქერის ქალს, რომელსაც ბაეშეი უკაეია, ისე უცქერის, საცოდაე ქალს შეაქრქოლებს, მერე მისთეის ერთ ალერსიან სიტყეასაც არ გაიმეტებს (ახალგაზრდა დედას, თუნდ არ იცნობდნენ, ალერსიან სიტყეას ეტყეიან) და მეკითხება: „ეინ არის ეს? მოდელია თუ ეინმე სხეაო?“ აბა, ეს რა ზრდილობაა ან რა კაცური საქციელია! არც მე ეარ მუდამ ზრდილობიანი, მაგრამ პატარა, უმწეო ქალს ანგარიშს უთუოდ გაეუწეედი. ნახატებზე, სახელოსნოზე და ა.შ. სიტყეასაც არ სძრაეს, ჩემს პრინსენსაგელ ბიძაზე კი გაუთაეებლად ლაპარაკობს, კაცზე, რომელიც სრულიად არ მაინტერესებს, ეისთანაც საერთო არაფერი მაქეს; ლაპარაკობს მამაჩემზე, რაკი ფიქრობს, რომ მე და მამა ეერ ეშეელდებით, თუმცა, ჩეენი ურთიერთობა დიდი ხანია, გამოსწორდა.

აბა, გეეყოფა, ჩემო ბიჭუნა. ოღონდ ძალიან მალე მომწერე. დამიჯერე, შენგან მიღებული გულთბილი წერილი ყოველგვარ აბზე და ა.შ. სწრაფად მიშველის. რაც შეეხება ჩემს ჯანმრთელობას, თერსტეხი ექიმი არ გახლავს და ჩემი ორგანიზმის არაფერი გაეგება; თუ ამის შესახებ რამის გაგება დამჭირდება, ჩემი ექიმი ყველაფერს მეტყვის, თერსტეხთან კი ამგვარი საკითხების გარკვევაზე ჯერჯერობით უარს ვამბობ. მაგრამ ერთი აშკარაა – თუკი ეინშეს ჩემი და სინის ენება ექნება განზრახული, აი, ასეთ სტუმრობაზე უკეთეს ხერხს ვერ მოიგონებს. ყოველმხრივ უნდა შეეცადო, ასეთი რამ არ განმეორდეს – უკეთეს რეცეპტს ჩემს თავს ეელარ გამოეუწერ. იმ ტონით, დილას თერსტეხმა რომ გამიბედა ლაპარაკი, არც ერთ ექიმს არასოდეს არა უთქვამს რა – რაღაც არანორმალურად მეჩვენებიო, აზროვნება, აბა, შენ სად შეგიძლიაო, გონებაზე ვერა ხარო. პო, არც ერთ ექიმს ეს არ უთქვამს არც წინათ და არც ამჟამად. რა თქმა უნდა, ნერვული ვარ, მაგრამ ეს ხომ მანკიერებად არ ჩაითვლება. პოდა, თერსტეხმა უფრო მძიმე შეურაცხყოფა მომაყენა, ვიდრე მამამ, როცა ჩემი საგიჟეთში მოთავსება მოინდომა. მე კი ამგვარ შეურაცხყოფას ვერ ავიტან. თუ თერსტეხი სულ მალე კიდევ უარესს იზამს, უთუოდ მრავალ მწუხარებას მოგვაყენებს. ვიმეორებ, საზოგადოებაში რაიმე ადგილზე ან უდარდელ ცხოვრებაზე არავითარ პრეტენზიას არ ვაცხადებ. ეკონომია უნდა გაეწიო და ყველაფერი, რაც სინს სჭირდება, ისე ვიყიდო; ხარჯებს, კრისტინას რომ უკავშირდება, მთლიანად ასე ამოვიგებ – დახმარების მომატებას არავინ გთხოვს. მე და სინს ასეთი ეკონომია არ შეგვაწუხებს, პირიქით, ყველაფერს სიხარულით გავაკეთებთ, რადგან გვიყვარს ერთმანეთი. ჩვენი გული ახლა უკვე ლხენით იესება – მას ახარებს გაჯანსაღების წინათგრძნობა, მე კი – ისევ თავაწყვეტილი შრომის წყურვილი.

სინი ძალზე საყვარელი პაწაწინა დედიკოა, – რა თქმა უნდა, მხოლოდ მის თვალში, ვინც კარგად იცნობს. მაგრამ როცა მე და თერსტეხი ელაპარაკობდით და მან ზოგ სიტყვას ყური მოჰკრა, ტკივილისაგან პირდაპირ სახე დაემანჭა. ალბათ, თერსტეხი არ ელოდა, რაც ჩემთან დახვდა, თორემ ასე არ იზამდა; თუმც მე მისი საქციელის არც გამართლება შემიძლია, არც პატიება. აბა, ნახეამდის, ჩემო ბიჭუნა. ერთხელ კიდევ გიმეორებ, სინი როცა მშვიდადაა, მაშინვე პაწია დედიკო ხდება, ისეთიევე ნაზი და წყნარი, ისეთიევე საყვარელი, ფვიენ-პერენის გრავიურაზე, ნახატზე თუ სურათზე რომ გვინახავს ხოლმე. მე ახლა ისევ ხატვა მწყურია, მინდა, სინმა პოზირება მალე შეძლოს, მინდა, მალე ორიენი კარგად ვიყოთ, სიწყნარე მინდა, სიმშვიდე მინდა; პირველ რიგში კი ისევ შენი თანაგრძნობა მჭირდება.

217. *თოხშაბათი.* მოდი, ჩემი სამოქალაქო ქორწინება გარკვეული ვადით გადავდოთ, ვთქვათ, მანამდე, ვიდრე სურათების გაყიდვას დავიწყებ. თვეში 150 ფრანკი რომ ვიშოვო, შენი მოშველება აღარ დამჭირდება. ამას შენ გარდა ვერავის ვეტყვი: ვიდრე ხატვაში იმდენად არ გავიწაფები, რომ არავის დახმარება აღარ დამჭირდეს, სამოქალაქო ქორწინება უნდა გადავდო. როგორც კი სურათების გაყიდვას დავიწყებ, თანდათან ნაკლებს გამომიგზავნი; ბოლოს, როცა შენი ფული არ დამჭირდება, ქორწინებაზე ლაპარაკი კვლავ შეგვეძლება. ერთადერთი სურვილი მაქვს – სინი და მისი ორი ბავშვი გადავარჩინო. არ მინდა, ისევ ავად გახდეს,

კელაე იმ საზიზღარ სიღარიბეში ჩაიღუპოს; ახლა ამისგან დახსნილია. რაკი ეიკისრე, ეს ამბაეი ბოლომდე უნდა მიეიყეანო. არ მინდა, თუნდაც ერთი წუთით თაეი ისეე მარტო ეგონოს. მინდა, იცოდეს, ყოეელ წუთს გრძნობდეს, რარიგ მიყეარს ისიცა და მისი ბაეშეებიც. სხეებს რაც უნდა არ მოეწონოთ ეს ამბაეი, შენ გამიგებ და ხელის შეშლას არ მოისურეებ. სინის ასეთ გამოცოცხლებას მარტოოდენ შენ გიმადლი: მე უმცირესი წელილი მიმიძღეის – იარაღი ეიყაეი მხოლოდ, სხეა არაფერი.

218. ძალიან მინდა, კარგად გაიგო, ხელოენებაზე რა აზრისა ეარ. ხელოენებაში სიმართლეს რომ მიაღწიო, ხანგრძლიეი და მძიმე შრომა დაგჭირდება. რასაც ეაღწეე, ანდა, რასაც მიზნად ეისახაე, ერთობ ძნელია, მაგრამ მაინც, არა მგონია, მეტისმეტად შორს ეუმიზნებდე. მინდა, ჩემი ნამუშეეარი ადამიანებს გულზე ხედებოდეს. „მწუხარება“, ალბათ, პატარა პეიზაჟებიც – „მეერდერფორტის ხეიანი“, „რეისეეიკის მდელოები“, „თეეზის გახმობა“ – მხოლოდ პირეელი, გაუბედაეი ნაბიჯებია. მაგრამ ამის მიუხედაეად, აქ არის რაღაც – ჩემი გულიდან მომდინარე. ეისურეებდი, ფიგურითაც და პეიზაჟითაც ჭეშმარიტი მწუხარება გამომეხატა და არა უბრალოდ, სეედიანი, სანტიმენტალური განწყობილება. ერთი სიტყეით, მინდა, იმდენად წინ წაეიწიო, ჩემს სურათებზე ასე ამბობდნენ: „ამის დამხატაეს ღრმა განცდები და ფაქიზი გული პქონიაო“, – მიუხედაეად ჩემი ასეთი „უხეშობისა“ ანდა ეინ იცის, იქნებ სწორედ ამის გამოც. რაკი ასე ელაპარაკობ, ყეელა იტყეის, პრეტენზიული ტონი აქეს. მაგრამ სწორედ ამის გამოა, ასე ძალ-ღონის დაუზოგაეად წინ რომ ეისწრაფეი.

უმეტესობის თეალში, აბა, რას წარმოეადგენ? ნული ეარ მხოლოდ, ახირებული, უსიამოენო ადამიანი, საზოგადოებაში რომ ეერც ახლა და ეერც მომაეალში ადგილს ეერ პოეებს, ერთი სიტყეით, არარაობა, არარათა შორის არარა. რა გაეწყობა, ეთქეათ, ასეა ყეელაფერი. მე მაინც მინდა, ჩემი შრომით ყეელას ეაჩეენო, რა აქეს გულში ამ ახირებულ ადამიანს, ამ არარას. აი, ჩემი პატიემოყერული მისწრაფება! მიუხედაეად ყეელაფრისა, ამ მისწრაფებას უფრო სიყეარული შთააგონებს, ეიდრე სიძულეილი, უფრო მშეიდი სიხარული, ეიდრე ჭინი.

რა უბედურიც უნდა ეიყო და რაც უნდა ხშირად ეიგრძნო, რომ ეს ასეა, ჩემში მუდამ ცოცხლობს ჩემი, ფაქიზი ჰარმონია, მშეიდი მუსიკა. უღარიბეს ქოხებსა და ჭუჭყში, ტალახში ნახატების და სურათების სიუეტებს შეეამჩნეე ხოლმე; ამიტომ მუდამ იქით ეისწრაფეი. რაც დრო გადის, სხეა ყეელაფერი თანდათანობით მეტად მშორდება და რაც უფრო მაეიწყდება, თეალი ჩემი მშეენიერებას მომეტებულად ხედაეს და ამჩნეეს. ხელოენება შეუპოეარ შრომას მოითხოეს; მიუხედაეად უკიდურესი გასაჭირისა, უნდა შრომობდე, ყეელაფერს უნდა აკეირდებოდე. შეუპოერობა მარტო ხანგრძლიეი შრომის უნარს არ გულისხმობს; შეუპოერობა ისიც არის, ეინც უნდა გედაეებოდეს, შენს რწმენაზე რომ ხელს არ აიღებ. რა ექნა, ძმაო, ძალიან დიდი იმედი მაქეს, რამდენიმე წელი რომ გაეა, – იქნებ ახლაც, – ჩემთან ისეთ სურათებს ნახაე, ყეელა მსხეერპლის სამაგიერო, ასე თუ ისე, მოგეზღომბა.

ამ ბოლო დროს მხატერებს ძალზე იშეიათად ეესაუბრები, მაგრამ ამით არაფერი დამკლებია. მხატერებს კი არა, ბუნების ხმას უნდა უსმინო, ბუნებას უნდა მიუგდო ყური. ახლა უფრო უკეთ მესმის, ამ ექსი თეის წინ მაუეე რატომ მეუბნებოდა: „დიუპრეზე კი ნუ ქაქანებთ, ქუჩის

თხრილზე მელაპარაკეთ ანდა რამე ამის მსგავსზეო". უხეში, მაგრამ სამართლიანი ნათქვამია. საქმე ის არის, საგნებს გრძნობდე, გრძნობდე თავად სინამდვილეს – სურათებს რომ გრძნობ, ეს იმდენად არაფერია; ერთი რამ მაინც უდაოა, სინამდვილის, საგნების გრძნობა – მხატვარს უფრო ნაყოფიერს ხდის, მაცოცხლებელი ძალით აესებს. სწორედ იმიტომ, ცხოერება და მისი არსის გამომხატველი ხელოვნება ახლა ჩემზე რომ ასე მრავალმხრივ და მძაფრად მოქმედებს, – როცა ვინმე შეეცდება, თავისი აზრი მომახვიოს, განსაკუთრებულ შეურაცხყოფას ვიგრძნობ ხოლმე. პირადად მე თანამედროვე ნამუშევრებში ხშირად ისეთ თავისებურ სილამაზეს დავინახავ, ძველ ოსტატთა სურათებს რომ არ გააჩნია.

ყველაზე მაღალ, კეთილშობილურ ხელოვნებად ჩემს თვალში რჩება ინგლისური ხელოვნება, კერძოდ, მილესი, ფრენკ პოლი და პერკომერი. ძველი დროის ოსტატებსა და თანამედროვე მხატვრებს შორის სხვაობაზე კი მხოლოდ ერთს ვიტყვი – შესაძლოა, უკანასკნელნი უფრო ღრმადაც აზროვნებენ. გრძნობის მხრივ დიდი სხვაობაა მილესის „ციე ოქტომბერსა" და, ვთქვათ, რეისდალის „ოერეენის სამთეთრებლოებს", პოლის „ირლანდიელ ემიგრანტებსა" და რემბრანდტის „ბიბლიის კითხვას" შორის.

რემბრანდტისა და რეისდალის ხელოვნება ჩვენ ისეთსაე დიდ ხელოვნებად მიგვაჩნია, როგორც მათსავე თანამედროვეთ. მაგრამ დღევანდელ ხელოვანთა ნამუშევრებში რაღაც არის, რაც ჩვენ პირადად უფრო მეტად და უშუალოდ შეგვეხება. შეიძლება, იგიეე გვეთქვა სუეინის ხეზე ნახატსა და ძველი გერმანელი ოსტატების გრაეიურებზედაც. მაშასადამე, არასწორად მიმაჩნია, თანამედროვე მხატვრები რომ ორიოდ წლის წინ მოდას აჰყენენ და ძველი ოსტატების მიბაძვა დაიწყეს. იმაეე მიზეზით საესებით სწორია მილეს ნათქვამი: „კაცი რომ ცდილობს, თავი იმად მოგაჩვენოს, რაც არ არის, სისულელეაო". ეს სიტყვები, შეიძლება, მხოლოდ ანბანურ ჭეშმარიტებად მოგვეჩვენოს, მაგრამ აქ ერთობ ღრმა აზრია დამარხული, უძირო, როგორც ოკეანე, და, ჩემი აზრით, საჭიროა, ამას ყველა დაუფიქრდეს.

219. *კვირა, დილა.* მიხარია, რომ „პარიზის სტომაქი" ამ დღეებში შენც წაგიკითხაეს. მე კი „ნანაც" წაეიკითხე. იცი, ზოლა მართლაც, მეორე ბალზაკია.

ბალზაკი აღწერს 1815-1848 წლების საზოგადოებას. ზოლა იქ იწყებს, სადაც ბალზაკი ამთაერებს და სედანამდე ან, უფრო სწორად, ჩვენს დრომდე მოდის. ჩემი აზრით, გრანდიოზული და მშეენიერი ჩანაფიქრია. მართლა, ქ-ნ ფრანსუაზე რა აზრის ხარ, საწყალი ფლორანი ურიკაზე რომ აიყვანა, როცა იგი შუა გზაზე უგონოდ ეგდო, იმ გზაზე, სადაც მემწეანილე დედაკაცების ურიკები მიმოდიოდა? ქ-ნმა ფრანსუამ იგი შინ წაიყვანა, თუმც სხვა ქალები უყვიროდნენ: „თაეი დაანებეთ მაგ ლოთს, მაგას! სად გეცალია, თხრილებიდან ხალხი ეკრიფოთო!" და ა.შ. პარიზული ბაზრის ფონზე ასე მშეიდად, კეთილშობილურად, ასეთი დიდი თანაგრძნობით დახატული ქ-ნ ფრანსუას სახე მთელ წიგნს მიაყვება და სხვა ქალების ერთობ უხეში ეგოიზმის კონტრასტულია.

იცი, თეო, ქ-ნი ფრანსუა ჭეშმარიტად ადამიანურ პიროვნებად მიმაჩნია. სინისთეის დღემდე სწორედ იმას ეაკეთებდი და მომავალშიც ისეე იმას გაეაკეთებ, ქალბატონი ფრანსუა რომ ფლორანისთეის გააკეთებდა, უკეთუ მას პოლიტიკა ამ ქალზე მეტად არ აეყვარებოდა. ეს მშეენებაა

ცხოვრებისა. ეს რომ არა, სიცოცხლე აღარ მენდომებოდა. კმარა... ადამიანურობაზე, ზოგიერთს რომ ახასიათებს, მაგალითად, ზოლას პერსონაჟს – ქ-ნ ფრანსუას – ორიოდ სიტყვა უკვე ეთქვი. კაცობრიობის დასახმარებლად ჯერჯერობით არაეითარი გეგმები და პროექტები არ გამაჩნია, მაგრამ იმის თქმის არ მრცხვენია (თუმცა, სიტყვა ადამიანურს ზოგიერთი ითვალწუნებს), რომ მუდამ მსურდა, ვიღაც მყვარებოდა; უმეტესად – არ ვიცი, რატომ – უბედური, ეული და მიტოვებული არსება უნდა შემიყვარდეს.

ერთხელ, თევე-ნახევრის თუ ორი თვის მანძილზე, ერთ უბედურ მეშახტეს ვუყვარდი, რომელსაც მძიმე სიდამწვრე ჰქონდა. მეორედ მთელ ზამთარს საწყალ ბერიკაცს ვუყოფდი ლუკმას; უფალმა უწყის, კიდევ რას არ ეჩადიოდი, ახლა კი, აი, სინი გამოჩნდა. მაგრამ დღესაც ამ საქციელში ცუდს ვერას ეხედავ; ეს ჩემი აზრით, ბუნებრივი, ჩვეულებრივი ამბავია და არც მესმის, ხალხი ერთმანეთს ასე გულცივად რად ეპყრობა... ზოლას წიგნები, რაც შეიძლება, ხშირად იკითხე – სასარგებლოა, ძალიან ბევრ რამეს გაგაგებინებს.

221. *31 ივლისი, 1882.* თუ არ ვცდები, შავ ფერზე ჩვენ ერთი აზრისა ვართ. საბოლოო ანგარიშით, აბსოლუტურად შავი ფერი ბუნებაში არ არსებობს. მაგრამ იგი, თეთრის არ იყოს, თითქოს ყველა ფერს ურევია და ამიტომ განსხვავებული ტონების და სიმძაფრის მქონე უსასრულოდ მრავალ ელფერს ქმნის რუხი ფერისას. ერთი სიტყვით, კაცმა რომ თქვას, ბუნებაში ამდაგვარი გრადაციის მეტს ვერაფერს ვხედავთ. ძირითადი ფერი მხოლოდ სამია – წითელი, ყვითელი, ლურჯი; „შედგენილი" ფერებია – ნარინჯისფერი, მწვანე, იისფერი. მათზე შავის და ცოტაოდენი თეთრის დამატებით რუხის უამრავ ვარიანტს ვიღებთ: რუხ-მოწითალოს, რუხ-მოყვითალოს, მოლურჯო რუხს, მომწვანო რუხს, მონარინჯისფრო და მოიისფრო რუხს. ვერავინ იტყვის, მაგალითად, რამდენნაირი მომწვანო-რუხი ფერი არსებობს – უსასრულოდ მრავალფერი და მრავალსახეირი. არსებითად ფერის ქიმია სულ ეს არის – ეს რამდენიმე უმარტივესი დებულება; და თუ იგი სწორად გესმის, სხვადასხვაგვარი საღებაეის სამოცდაათი ტუბის ქონას ეს გერჩიოს, რადგან სამი ძირითადი ფერისა და შავის და თეთრის დახმარებით სამოცდაათზე მეტ ტონსა და ელფერს მიიღებ. ჭეშმარიტი კოლორისტი სწორედ ის არის, ვინც ნატურის რაიმე ტონის დანახვაზე უმალვე ხედება, ანალიზი როგორ უნდა მოახდინოს და, ეთქვათ, იტყვის: „ეს არისო მომწვანო რუხ-მოყვითალო, რომელსაც შავი ურევია, ლურჯი კი თითქმის სრულიად არა" და ა.შ. სხვა სიტყვით რომ ეთქვათ, ნამდვილ კოლორისტს შეუძლია, პალიტრაზე ნატურის რუხი ტონები მიიღოს.

ნატურის მიხედვით ჩანახატების ან პატარა ეტიუდების გასაკეთებლად აუცილებლად საჭიროა ხაზის გრძნობა. თუ ხაზს ვერ გრძნობ, ისე, როგორც საჭიროა, სურათის შემდგომ დამუშავებას ვერ მოახერხებ. ჩემი აზრით, ადამიანს ეს თავისთავად არ ეძლევა, ამას შეიძენ ჯერ ერთი, დიდი დაკვირვებით, მეორეც – ძალზე დაძაბული ძიების და შრომის შედეგად; გარდა ამისა, პერსპექტივის და ანატომიის საგანგებო შესწავლის წყალობით. ჩემ გვერდით კიდია რულოფსის ერთი პეიზაჟის ეტიუდი – კალმით ნახატი; გადმოცემაც კი მიძნელდება, რა მეტყველია ამ ნახატის მარტივი ხაზი. ყველაფერი ნათქვამია, ნახატს ვერაფერს დაუწუნებ. სხვა უფრო ცხადი მაგალითი – მილეს დიდი, ხვნა ნახატი გრავიურა –

„მწვანემსი ქალი“, შარშან რომ მაჩვენე და მე აქამდე ვერ დავიწყე, ან თუნდ ოსტადეს და ბრეიგელ უფროსის კალმით ნაკეთები ჩანახატები. როცა ასეთ შედეგებს ეხედავ, კიდევ უფრო აშკარად ეგრძნობ კოსტურის უდიდეს მნიშვნელობას. პოდა, შენც ხედავ, – თუნდ „მწუხარების“ მაგალითზე, – რა უდიდეს ძალ-ღონეს ეხარჯავ, რათა ამ მხრიც წინ წაიწიო. მაგრამ როცა ჩემს სახელოსნოს მოინახულებ, დარწმუნდები, მხოლოდ კოსტურის ძიებას კი არ ეუნდები, როგორც, საერთოდ, ყველა მხატვარი, ეგრძნობ ფერის ძალას და ამიტომ აკვარელით ხატვაზედაც უარს არ ეამბობ. თუმცა, მაინც ამოსაყალი ჩემთვის მუდამ ნახატია; ფერწერის ყველა განშტოება და ყველა ფორმა, თვით აკვარელიც, სწორედ აქედან ეითარდება; ამ ფორმებამდე ოდესმე, ალბათ, მეც მივაღწევ – იმათ მსგავსად, ვინც თავის საქმეს სიყვარულით ეკიდება.

კელაე ბებერი გოლიათის – შეკაფული წნორის – ხატვას მიეუბრუნდი. ეფიქრობ, იგი ჩემს დანარჩენ აკვარელებს ემჯობინება. ნაღვლიანი პეიზაჟია: მკვდარი ხე ლელიან ტბორთან; სიღრმეში, სადაც რკინიგზის ხაზები ერთმანეთს კვეთს, გამურული შენობები ჩანს, ეს რეინის რკინიგზის დეპოა; შემდეგ – მწვანე მდელოები, წიდიანი ნაყარი გზა; ცაზე – ლეგა, თეთრარშიამოელებული სწრაფი ღრუბლები, ღრუბლებს შორის კი წამიერად გაელვებული მძაფრი სილურჯე. ერთი სიტყვით, მინდოდა, პეიზაჟი ისეთნაირად დამეხატა, ჩემი აზრით, კიტელიანი გზის გუშაგი რომ ხედავს და გრძნობს, როცა წითელი ალამი უჭირავს და თან ფიქრობს: „რა უხალისო დღე არისო“. ამ დღეებში უდიდესი სიამოვნებით ემუშაობდი, თუმც ხანდახან ავადმყოფობა თავს მახსენებდა. იმ ნახატებზე, ახლა რომ ნახავ, მხოლოდ, აი, ამას ეფიქრობ: იმედია, ეს ნახატები დაგარწმუნებს, რომ ერთ ადგილზე კი არა ვარ გაჩერებული, გონებრივი ზრდა მეტყობა. სურათების გაყიდვის მხრივ კი პრეტენზია არ გამაჩნია, გარდა ერთისა – გამიკვირდება, ეს სურათები რომ არ გაიყიდოს, როგორც სხვების სურათები იყიდება, ამჟამად თუ მოგეიანებით, ეს სხვა საკითხია. მთავარია, ნატურა ვხატო, ვხატო ჯიუტად, შეუპოვრად და სერიოზულად: ეს, ჩემი აზრით, ისეთი გზაა, უშედეგოდ რომ არ დასრულდება.

ბუნების გრძნობით, მისი სიყვარულით, ხელოვნების მოყვარულებს, როცა იქნება, უსათუოდ მივიზიდავთ. მხატვრის ვალია, ნატურას ჩასწვდეს, რაც შეიძლება, ღრმად ჩასწვდეს და ამოიცნოს, ხოლო შემდეგ ნამუშევარს გული, გრძნობა, მთელი თავისი შესაძლებლობა ჩააქსოვოს, რათა სხვისთვისაც გასაგები და ნათელი გახადოს. ხოლო გასაყიდ სურათებზე მუშაობა, ჩემი აზრით, არც ისეთი სწორი გზაა; იგი უფრო მოტყუებაა ხელოვნების მოყვარულებისა. ჭეშმარიტი მხატვრები კი ასე როდი იქცეოდნენ: შემფასებელთა სიმპათიებს ადრე თუ გვიან მაინც იხვეჭდნენ ხოლმე და ეს სწორედ გულწრფელობის შედეგი იყო. ამაზე სხვა არა ვიცი-რა, მაგრამ, ეგონებ, მეტის ცოდნა არც არის საჭირო. სულ სხვა საქმეა, შენი ნაშრომის დამფასებელთა გამოძებნა, იმის ცდა, რომ ამ ხალხს შენი ნამუშევრები შეაყვარო. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ, ცხადია, სპეციალიცად არც ეს უნდა გადაიქცეს. ვინაიდან, შესაძლოა, იგი ერთობ ცუდად დამთავრდეს და დრო, რომელიც, ჯობდა, შრომას მოხმარებოდა, სულ ამაოდ დაიკარგოს...

როცა ეხედავ, ზოგიერთი ჩემი ნაცნობი თავის აკვარელს ანდა სურათს რა გულმოდგინედ უკირკიტებს, ეერაფერს კი ვერ გამხდარა, ეი-

ფიქრებ ხოლმე: „მეგობარო, ნახატს, ნახატს მიხედე-მეთქი“. წუთით არ ეხანობ, მუშაობა აკეარელით და ფერწერით რომ არ დამიწყია. თუ შეეძლებ, რომ საქმეს მანამდე ეუკირკიტო, ეიდრე ხელს კარგად გაეიწაფავ, ეიდრე ნახატს და პერსპექტიეას რიგიანად დაეეუფლები, ეიცი, უთუოდ ჩემსას გაეიტან. მაგრამ როცა ეუცქერი ხოლმე, ახალგაზრდა მხატერები რომ კომპოზიციებს აკეთებენ და რაღაც გონებით შეთითხნილს ხატაენ, რაღაცას თხზაენ ალალბედზე, რაც მოხედებათ, იმას თხაპნიან, შემდეგ შორიდან შესცქერიან თაეიანთ ნათხაპნს, დაღერემილნი სახეს მრავალმნიშენელოენად დამანჭაენ, ცდილობენ, მიხედნენ – დალახეროს ეშმაკმა, რა შეიძლება, ეს იყოსო, და ბოლოს სურათს ამგუანებენ, – თანაც ყეელაფერს ისეე და ისეე გონებით თხზაენ, – გული მერეეა, ერწმუნდები, რომ ეს საშინლად მოსაწყენია, რომ არ ეარგა ასე ხატეა. მაგრამ, აი, ეს ეაჟბატონები, ცოტა არ იყოს, მოწყალედაც მეკითხებიან, ფერწერას კიდეე არ იწყებო?

რა თქმა უნდა, მოცლილობის ჟამს ქალალდის ნაგლეჯს, როგორც იტყეიან, ხანდახან მეც ეეთამაშები, მაგრამ ასეთი ნათხაპნებისთეის უეარგის ძონძზე, კომბოსტოს ხიკეზე მეტი აზრი და მნიშენელობა არასოდეს მიმიცია. იმედია, მიმიხედები, რომ ნახატზე მუშაობა ორი მიზეზით აეირჩიე: ჯერ ერთი, მინდა, რაც უნდა გამიჭირდეს, ნახატზე ხელი გაეიწაფო; ხოლო მეორე – ფერწერა და აკეარელზე მუშაობა ხარჯებს მოითხოვს; თაეიდანეე კი ამ ხარჯების ამოგება ეერ ხერხდება; და თუ ნახატს კარგად ეერ ფლობ, ორმაგდება და ოთხმაგდება. თუ მე ეალით აეიესები, ხოლო კედლები ტილოებით ამეესება, ნახატი კი ცუდი მექნება, მალე ჩემი სახელოსნო ნამდეილ ჯოჯოხეთს დაემსგაესება; ეს ერთს უკეე დაემართა და ენახე კიდეც მისი ასეთი სახელოსნო. ამ პერსპექტიამ, საეჭეოა, ეინმე მოხიბლოს. მე კი ჩემი სახელოსნოს კარს სიამოენებით შეეაღებ ხოლმე, ხალისიანად ემუშაობ და, არა მგონია, როდისმე იფიქრო, თითქოს შრომა მეზარებოდეს.

აქაურ მხატერებს ასე სჩეეიათ: იტყეიან, რომ „საჭიროა, ესა და ეს გაკეთდესო“. თუ არ კეთდება ან მთლიანად ისე არ კეთდება, ანდა რამე სხეა აზრი გაჩნდება, მაშინეე კითხეა ასე ისმის: „შენ რა, ჩემზე უკეთ იციო?“ ამგეარად, იქეე, ზოგჯერ ხუთ წუთში ხალხი ერთმანეთს აუმხედრდება და ისეთი ეითარება შეიქმნება, სიტყეის გადათქმა აღარაეის სურს. თუ ერთ-ერთ მხარეს მოთმინება ეყოფა. და გაჩუმდება, თაეს დაიძერენს, რამენაირად გაიპარება, – ამას კიდეე არა უჭირს რა. შენ კი იფიქრებ: „დაწყეელოს ღმერთმა, რაღა ეს და რაღა ოჯახი, ან სხეანაირად – საპირისპირო მისწრაფებების ადამიანთა სეედაესილი ერთიანობა, ყეელა თაეის აზრზე რომ დგას. ხოლო თუ ორი ან მეტი ერთ აზრს დაიცაეს, – მხოლოდ იმიტომ, მესამეს რომ უფრო ძლიერ აწყენინონ“.

222. *შაბათი.* რა კარგია, ჩემთან რომ იყაე! ნეტაე იცოდე, რა მადლობელი ეარ! მთელ წელიწადს შემიძლია წესიერად და დამშეიდებით ეიმუშაო – ის, რაც მომეცი, მე ხომ ფერწერის სრულიად ახალ პრინციპებს გადამიშლის... დამიჯერე, ბედნიერი ეარ. რაკი სხეებზე გეიან დაეიწყე, ორჯერ მეტი უნდა ეიშრომო, რათა შეეიცნო ის, რაც გამომრჩა. მაგრამ ჩემი გულმოდგინების მიუხედაეად, თუ არა შენი დახმარება, იძულებული გაეხდებოდი, ყეელაფერზე ხელი ამეღო.

ახლა გეტყეი, რა შეეიძინე. ჯერ ერთი, დიდი საეტიუდო ყუთი ეიყიდე, აკეარელის თორმეტი ტუბი რომ მოთაესდება და ისეთი ორმაგი სახურა-

ეი აქეს, როცა გახსნი, პალიტრადაც გამოგადგება. ერთდროულად შეგიძლია, ექვსი ფუნჯი იქონიო. გარეთ ხატეისთვის გამოსადეგი და ჩემთვის ძალზე საჭირო ნიეთია, თუმც, ძვირი ღირს. ამიტომ დიდხანს თავს ვიკავებდი, არ ვყიდულობდი – ლამბაქებს ეხმარობდი, ეს კი სატარებლად ძალიან ძნელია, მით უმეტეს, რომ სხვა ნიეთებიც უნდა ათრიო. ერთი სიტყვით, მშვენიერი რამ არის და დიდხანს მექნება. აკვარელის საღებაეებიც მოვიმარაგე, შევავსე და განვაახლე ფუნჯების კომპლექტი. გარდა ამისა, ზეთით ხატვას რაც სჭირდება, აბსოლუტურად ყველაფერი შევიძინე, მაი შორის, ზეთის საღებაეების დიდი ტუბები (პატარები ბევრად ძვირი ღირს). მაგრამ როგორც აკვარელის, ისევე ზეთის სულ უბრალო საღებაეებით დაკმაყოფილდი: ვიყიდე წითელი, ყვითელი და ყავისფერი ჟანგმიწები, პრუსიული ლურჯი და კობალტი, ნეაპოლური ყვითელი, შაეი, აგრეთვე, თეთრი, სიენის მიწა და დამატებით ცოტაოდენი კარმინის, სეპიის, სინგურის, ულტრამარინის და გუმიგუტის პატარა ტუბები.

ის საღებაეები, თავადაც რომ შემიძლია, შეეურიო, არ ვიყიდე. თუ არ ვცდები, ჩემი პალიტრა პრაქტიკულია, არც ფერებია თითქოს ურიგო. ულტრამარინს, კარმინსა და ა.შ. ვუმატებ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში. დაეიწყე პატარა სურათებით, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ზაფხულსვე შევუდგები უფრო მოზრდილი ეტიუდების ნახშირით ხატვას, რათა მერე ზეთით ეხატო ასეთი დიდი სურათები. ამიტომ ახალი და, ვფიქრობ, უკეთესი პერსპექტიული ჩარჩო* შევუკეთე, ორი სადგამის მეშვეობით დიუნების უსწორმასწორო ნიადაგზე რომ დაიდგმება.

იმედი არ დამიკარგავს, სვენინგენში ქვიშა, ზღვა და ცა რომ ენახეთ, ოდესმე ტილოზე გადაეიტან.

223. პეიზაჟური ფერწერის დახმარებით ტექნიკის ზოგი საკითხი მინდა გაეარკვიო, რაც, ჩემი აზრით, ფიგურების სახატავად არის საჭირო. კერძოდ, გაეიგო, როგორ გადმოვცე სხვადასხვა მასალის ხასიათი, ტონი და ფერი, ერთი სიტყვით, როგორ გადმოვცე საგნის მასა და მოცულობა.

224. ზეთით ფერწერა არცთუ ისე მეუცხოვება, როგორც, ალბათ, შენ გგონია. პირიქით, ძალიან მომწონს კიდეც; მომწონს, რადგან ეს არის მძლავრი საშუალება შენი სათქმელის გამოსახატავად. ზეთის ფერებით უსათუოდ რამ შეიძლება გადმოიცეს; შეიძლება მოხერხდეს, რომ რბილი რუხი ან რბილი მწვანე აჟღერდეს უხეშ ტონებს შორის... მაგრამ ნახატს მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდი და მომავალშიც ასე იქნება, ვინაიდან იგი ფერწერის მთავარი ღერძია, ხერხემალია; სხვა ყველაფერი ამას ეყრდნობა.

225. *15 აგვისტო, 1882.* წინა შაბათს, საღამოთი, ერთი სურათის ხატვა დაეიწყე, რაზედაც უკვე დიდი ხანია, ეოცნებობდი. ეს არის მწვანე მდელოები, სადაც თიეის ზვინები მოჩანს. მდელოებს კვეთს წიდიანი ნაყარი გზა, რომელსაც გვერდით სარუე ჩასდევეს. პორიზონტზე კი, შუა ნაწილში სურათისა, ეშვება ცეცხლიეით წითელი მზე. ამგვარი ეფექტის სახელდახელოდ გადმოცემა არ შემიძლია, მაგრამ, აი, კომპოზიცია ასეთია.

მთავარი იყო ფერი და ტონი, ცის ფერთა გამის ნიუანსები: ჯერ იისფერი თხელი ნისლი, ბოლო ნისლში – წითელი მზე; მზეს სანახევ-

როდ მოპფარებია წითლადკიდეანთებული მუქ-მეწამული სქელი ღრუბელი; მზის სიახლოვეს სინგურისფერი ათინათია, რომელსაც გასდევს ყვითელი ზოლი; ეს სიყვითლე პირველად მწვანედ, შემდეგ ცისფრად, ეგრეთ წოდებულ ღია ცისფრად გარდაიქმნება; ხოლო შემდეგ, ხან აქ, ხან იქ, იისფერ და ლეგა ღრუბლებს მზის ათინათი ეფინება. მიწა ხალიჩისმაგვარ ქსოვილსა პგავს – ერთმანეთ'ში გარდამავალი, მოლიელიევ ნაცრისფერი, ყავისფერი, მწვანე ტონებით დამშვენებულს. და, აი, ამ ნაცრისფერ ფონზე სარუეში წყალი ბრწყინავს. ასეთი რამ შეიძლება, ეთქვათ, ემილ ბრეტონს დაეხატა.

ზეთით დაეხატე დიუნების ერთი დიდი მონაკვეთიც – სქლად და მსუყედ. რაც შეეხება ორ დანარჩენ ნამუშევარს – კარტოფილის მინდორსა და მცირე მარინას, – უეჭველია, ეერ მიხედებიან, რომ ეს, საერთოდ, ჩემი პირველი ზეთით ნახატი ეტიუდია.

მართალი გითხრა, ცოტა არ იყოს, მიკვირს კიდეც – მეგონა, ჩემი პირველი სურათები არ იეარგებდა, თუმცა, ეფიქრობდი, მომაეალში უკეთესად დაეხატავ-მეთქი. რა თქმა უნდა, თავად ეერ განვსჯი, მაგრამ, ეფიქრობ, ეს სურათები კარგი გამოვიდა, რამაც ცოტა დამაფიქრა. ალბათ, ასე იმიტომ მოხდა, ვიდრე ზეთით მუშაობას დავიწყებდი, ნახატზე რომ ბევრს ემუშაობდი; პერსპექტივაც შევისწავლე, რათა იმის ორგანიზება შემძლებოდა, რასაც ეხედავდი. მას შემდეგ, რაც ფუნჯები და საღებავები შევიძინე, გადავაკვდი ამ შვიდ ეტიუდს, გავიტანჯე, იმდენი ეევნალე. ერთ ეტიუდზე ფიგურებია – ზაფხულის მზით განათებული დიუნის ფონზე მუქად მოჩანს დიდი ხის ჩრდილი და ამ ჩრდილში – ქალი და ბაეშვი. თითქმის იტალიური ეფექტია. ამ ეტიუდზე მუშაობისას სხვა არაფერზე მიფიქრია – შეჩერება და შესვენება არ შემეძლო.

გეცოდინება, რომ აქ ახლა „მხატვართა საზოგადოების" გამოფენაა. გამოფენაზე მაუვეს ერთი ნახატია – ქალი საფეიქრო დაზგასთან. როგორც ეტყობა, დრენტეშია დახატული. ჩემი აზრით, დიდებული სურათია. გამოფენილი სურათებიდან ზოგიერთს უთუოდ თერსტეხთან ნახავდი; იქ ისრაელსის საუცხოო სურათებია. მათ შორის არის ეეისენბრუხის ერთი პორტრეტიც – ჩიბუხს რომ ეწეეა და პალიტრა უჭირაეს. თეით ეეისენბრუხს ძალზე ლამაზი სურათები აქეს გამოფენილი – პეიზაჟები, ერთიც მარინა... როცა ასეთ ნამუშევრებს შეეხედავ ხოლმე, შრომის სურეილი მემატება: ეხედები, რამდენი სწაელა მჭირდება. მაგრამ ერთ რამეს მაინც გეტყვი – როცა ზეთით ეხატავ, ეგრძნობ, რომ ფერზე მუშაობა სრულიად ახალ თვისებებს მმატებს – ძალასა და თვალთახედვის სიფართოვეს, რაც მანამდე არ მქონია... ჩემს სურათებზე, აი, ასე რომ ელაპარაკობ, არ იფიქრო, საკუთარი თავითა და ნამუშევრით კმაყოფილი ვარ, პირიქით, მაგრამ ეიცი, ერთ რამეს მივაღწიე – ამის შემდეგ თუკი რამე განმაცეიფრებს, მის დასახატავად ადრინდელზე მეტი ხერხი მეცოდინება. მსიამოვნებს, როცა ეფიქრობ, რომ ჩემს სურათებს მიმზიდეელობა მოემატება.

თუმც ხანდახან ჯანმრთელობა მიმტყუნებს ხოლმე, ალბათ, ხელს ესეც ეერ შემიშლის. შემიმჩნეია, ის მხატვრები, ვისაც ზოგჯერ ერთ-ორ კეირას სამუშაოდ ძალა არ ყოფნით, დანარჩენებზე უხეირონი როდი არიან. შესაძლოა, ასეთი რამ იმიტომაც ემართებათ, რომ ისინი, ძია მილეს თქმისა არ იყოს, „საკუთარ ტყავს არ ზოგაეენ", ისე შრომობენ. ჩემი აზრით, ეს არასდროს არ არის ცუდი: როცა რამე მნიშვნელოვანი

უნდა შეიქმნას, თაეის დაზოგეა არ შეიძლება; ხოლო თუკი ამის შემდეგ ერთხანს ძალა გამოგელეეა, არაფერია, მერე უცებ დაგიბრუნდება ყველაფერი. ერთი სიტყვით, ეტიუდების მოსაეალს თუ ისე მოიმკი, გლეხები რომ პურის მოსაეალს იმკიან ხოლმე, წაგებული არ იქნები. ჯერჯერობით დასეენებას არ ეპირებ. თუმც, გუშინ, კვირას, ბეერი ეერაფერი გაეაკეთე – ყოეელ შემთხეევაში, გარეთ არ მიხატაეს. ამ ზამთარსაც რომ ჩამოხეიდე, სახელოსნოში ზეთით ნახატი ეტიუდები ბლომად დაგხედება – შეეეცდები, გაეაესო ჩემი სახელოსნო ეტიუდებით... მას შემდეგ, რაც ბორისაეში ხატეა დაეიწყე, დაახლოებით, ორი წელია.

226. *შაბათი, საღამო.* აქ მთელ კეირას ქარიშხალი და წეიმა იყო. სპეეენინგენში რამდენჯერმე გაეიარე, რათა აედრისთეის მეეურებინა. იქიდან კი ორი მარინა მოეიტანე. ერთ-ერთს საკმაოდ ბეერი ქეიშა აეწეება; მეორეს რომ ეხატაედი, მართლაც, ნამდეილი შტორმი მოეარდა, ზღეამ პირდაპირ დიუნებამდე მოაღწია. ამ სურათიდან ქეიშის ფენა ორჯერ აეფხიკე. ისეთი ძლიერი ქარი ქროდა, ფეხზე დგომა მიძნელდებოდა, ქეიშის მტეერში ეერაფერს ეხედაედი. მაგრამ ეეცადე, ლანდშაფტი ტილოზე გადამეტანა. დიუნებს იქით ერთ პატარა სამიკიტნოში შეეუხეიე, ტილო გაეფხიკე და ისეე თაეიდან შეეუდექი მუშაობას, თან დროდადრო ახალ-ახალი შთაბეჭდილების მისაღებად კელაე ნაპირზე გაედიოდი. ესე იგი, ეს სურათები ახლა იმ დღის სახსოვარია. კიდეე ერთი სახსოვარი ის არის, რომ გაეციედი და, ხომ იცი, ამას რაც მოსდეეს ხოლმე – ორისამი დღეა, ოთახში ეარ გამოკეტილი.

ამ ხნის მანძილზე ფიგურების ორიოდე ეტიუდი მაინც დაეხატე. ეტიუდების ორ ჩანახატს ახლა გიგზაენი. ფიგურის ხატეა მიტაცებს, მაგრამ ჯერ ამ საქმეს კარგად უნდა დაეეუფლო, უფრო ღრმად უნდა შეეისწაელო თეით პროცესი მუშაობისა, როგორც ამბობენ – „ხელოენების სამზარეულო". პირეელ ხანებში ხშირად მომიწეეს სურათების გადაფხეკა, თაეიდან ხატეა, მაგრამ ეგრძნობ, რომ ასე ბეერს ეს‌წაელობ და საგნებსაც სულ ახალი თეალით ეუყურებ. ახლა რომ ფულს გამომიგზაენი, ქრცეინის ფუნჯები უნდა ეიყიდო, რადგან, როგორც გამოეარკეიე, ეს ფუნჯები სახატაეი ფუნჯები ყოფილა, ეს იგი, ეთქეათ, პროფილის ანდა ხელის საღებაეით დასახატაედ განკუთენილი. როგორც ეატყობ, წერილი ტოტების დასახატაედაც ეს ფუნჯები ყოფილა საჭირო: ლიონურ ფუნჯებს, რაც უნდა წერილი იყოს, მაინც ფართო ზოლები და მონასმები აქეს...

პო, კიდეე რა – შენი წერილის ზოგიერთ ადგილს თაეიდან ბოლომდე ეეთანხმები. საესებით სწორი ხარ, როცა ამბობ, რომ ჩეენი მშობლები თაეიანთი ნაკლითა თუ ღირსებებით ისეთი ხალხია, დღეს რომ უკეე იშეიათია. რაც დრო გადის, ასეთი ხალხი ნაკლებად გეხედება, ახალი თაობაც უკეთესი არ უნდა იყოს; ამიტომ მათი დაფასება მით უფრო გემართებს. მე პირადად გულწრფელად ეაფასებ. მარტო იმისი მეშინია, ეაითუ იმან, რაზედაც ახლა შეხედულება შეაცელეინე, ისეე ისე შეაშფოთოს – განსაკუთრებით, თუ კელაე შეეხედებით. ჩეენი მშობლები ეერასოდეს მიხედებიან, ფერწერა რა არის, ეერ მიხედებიან, რომ ფიგურა მბარაეისა, ნახნაეის კელები, მიწის ნაჭერი, ზღეა და ზეცა ისეთი ძნელი, სერიოზული და, ამაეე დროს, ისეთი წარმტაცი სიუეეტებია, აქ დაფარული პოეზიის გადმოცემას, უთუოდ ღირს, ადამიანმა თაეი შესწიროს.

ჩვენი მშობლები თუ უფრო ხშირად დაინახავენ, ამ სურათებზე რო-გორ ვწვალობ, თაეს როგორ ეიმტერეე – გადაეფხეკ, გადაეაკეთებ, როცა ნატურას შევადარებ, დამაეჭვებს და ისეე შეეცელი, ისე რომ ბოლოს ეეღარც იმ ადგილს იცნობენ და ეეღარც ფიგურას, – გულს საბოლოოდ აიცრუებენ. ფერწერის იოლად დაუფლება არ შეიძლება – ისინი ამას ვერ მიხვდებიან და იფიქრებენ, რომ „არაფერი შემიძლია“, მხატვრები კი სულ სხვანაირად მუშაობენ. აბა, რა ექნა, ილუზიებს ხომ არ აეყეები. ჩვენი მშობლები ჩემს ხელოვნებას ვერასოდეს დააფასებენ. ეს არ არის გასაკეირი, არც მათი ბრალია. ისინი ისე არ ხედაეს, როგორც მე და შენ; ერთ და იმაეე საგანს რომ ეუყურებთ, ჩვენ საესებით სხვადასხვას ეხედაეთ, ამ საგანს სხვადასხვა თვალით შეეცქერით, მის დანახვაზე სხვადასხვაგვარი აზრი გეიჩნდება. იქნებ გვინდოდეს, სხვაგვარად იყოს ყეელაფერი, ამის იმედი კი არ უნდა გექონდეს.

ჩვენი მშობლები ჩემს განზრახვას და გულისწადილს ვერ მიხვდებიან, როცა ნახაეენ, რომ მე სწორედ იმას ვაკეთებ, რაც მათ ასე უცნაურად და მიუღებლად ეჩვენებათ. ამას ისინი ჩემს გულგრილობას მიაწერენ, უკმაყოფილებასა და დაუდეერობას, სინამდვილეში ამის მიზეზი სულ სხვა რამ არის – კერძოდ: რაც უნდა გამოძნელდეს, რაც უნდა გამიჭირდეს, როგორმე უნდა მოვიპოეო ის, რაც ჩემს საქმეს ასე სჭირდება. იქნებ იმათ ჩემი ზეთით ნამუშეერების იმედი აქეთ! აი, ბოლოს ამაზედაც მიდგა ჩვენი საქმე, მაგრამ, ვაი, რომ ეს იმედიც გაუცრუედებათ! ჩემს ფერწერაში საღებაეების ლაქების მეტს ისინი ეერაფერს დაინახაენ! ხატეას „მოსამზადებელ ვარჯიშად“ თელიან – ეს გამოთქმა კი, როგორც შენთვის ცნობილია, მე საესებით არასწორად მიმაჩნია. პოდა, როცა დაინახაენ, რომ ძეელებურად ნახატს ეუზიეარ, კელავ იფიქრებენ, ეს ჯერ ისეე მოსამზადებელ საეარჯიშოებს უზისო. კეთილი, იმედი ეიქონიოთ, რომ ყეელაფერი კარგად იქნება და ჩვენს მშობლებს როგორმე დაეამშეიდებთ.

რასაც მათ ახალ საცხოერებელზე იწერები, მეტისმეტად მაინტერესებს. რა თქმა უნდა, სიამოენებით შეეეცდებოდი, ასეთი პატარა ძეელი საყდარი, სასაფლაოს ქვიშის ბორცეები და ხის ძეელი ჯვრები დამეხატა. იმედია, ოდესმე მაინც მოვახერხებ ამის დახატვას. სახლის ახლოს თურმე ფიჭვის წარაფი და უკაცრიელი ადგილებია. მე კი სწორედ ასეთი რამ მენატრება, მით უმეტეს, იქაურობის შესაფერის ფიგურებსაც თუ ხშირად ენახავ: ქალს, რომელიც ფიჩხს აგროეებს, გლეხს, ქვიშას რომ ეზიდება, – ერთი სიტყეით, მენატრება უბრალოება, რასაც ერთგვარი დიდებულება – ისე როგორც ზღვას, მუდამ ახლავს. ფიქრი იმაზე, რომ სამუდამოდ სოფლად დაესახლდე, არ მასეენებს – თუ, ცხადია, შესაძლებლობა მომეცემა და გარემოება ხელს შემიწყობს. თუმც, სიუეტები არც აქ მაკლია – ტყე, სანაპირო, რეისეეიკის მდელოები ახლოსაა, ერთი სიტყეით, ყოეელ ნაბიჯზე ახალ-ახალი მოტიეებია.

ფერწერას უნდა ეუმადლოდე, რომ ეს დღეები გასაოცრად ბედნიერი ვარ! აქამდე კიდეე თაეს ეიკაებდი, მხოლოდ ნახატზე ემუშაობდი, რამეთუ ბეერი სამწუხარო ამბავი ეიცი, როცა, გარდა ფერწერისა, არ ახსოვდათ არაფერი, მის დაუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ფერწერული ტექნიკის გზით ცდილობდნენ ხოლმე და როცა ბოლოს ილუზია გაქრებოდა და წარმატებას ეერ მიაღწეედნენ, გონს კი მოეიდოდნენ, მაგრამ ძეირფასი, ტყუილუბრალოდ დახარჯული სახატაეი მასალების შესაძენად აღე-

ბულ ეალებს თაეს ეუღარ აღწეედნენ. თაეიდანეე მეშინოდა, ასეთი რამ არ დამმართოდა, ეუიქრობდი და ახლაც ეუიქრობ, რომ მხოლოდ ხატეით შეიძლება, ასეთი ხეედრი აიცდინო. ამიტომ ხატეა არათუ მიმძიმს, მიეეარს კიდეც. ახლა კი, თითქმის მოულოდნელად, ფერწერამ თეალწინ დიდი სიერცე გადამიშალა. მისი წეალობით შეშიძლია, ისეთ ეუექტებს მიეაღწიო, რასაც მანამდე ეერ ეაღწეედი, თან ყეელაზე მეტად მიზიდაეს, ყეელაზე მეტად მაინტერესებს; იგი სათელს პფენს ბეერ რთულ საკითხს და გამოხატეის ახალი ხერსებით მაიარაღებს. ყოეელდეე ამის გამო ჯეშმარიტად ბედნიერი ეარ... ფერწერას რაღაც უცნაური თეისება- აქეს, კერძოდ რა, ეერ აგიხსნი, მაგრამ ეს „რაღაც“ განწყობილებას ზედმიწეენით გამოხატაეს. ფერებს შორის თითქოს ფარული შეხმატკბილება, შეხამება და კონტრასტებია, ერთმანეთზე თაეისით მოქმედებს და ეს მხოლოდ განწყობილების გადმოსაცემად შეიძლება გამოიეყენო. ხეალ, იმედია, ისეე გარეთ ეიმუშაეებ.

ისეე ზოლას ეკითხულობდი: „აბატ მურეს შეცოდებას“ და „მის უდიდებულესობა ეჟენ რუგონს“. კარგი წიგნებია. პასკალ რუგონი – ექიმი, რომელიც ზოლას წიგნებში ხშირადაა, ოღონდ მუდამ – უკანა პლანზე, ჩემი აზრით, კეთილშობილი ფიგურაა. აი, დასტური იმისა, რომ კაცს როგორი მემკეიდრეობაც უნდა პქონდეს, თუ ნებისყოფა გააჩნია, თუკი მტკიცე პრინციპები აქეს, განგებასაც მოერეება. პროფესიამ მას ისეთი ძალა შეპმატა, ოჯახისგან მემკეიდრეობით მიღებული ბუნებაც კი გადაძლია; ამიტომაც საკუთარი ინსტინქტების მონა არ გახდა, წმინდა გზას გაპეყა და დანარჩენი რუგონებიეით დამპალ ჭაობში არ ჩაეფლო; ის და „პარიზის სტომაქის“ გმირი – ქალბატონი ფრანსუა, ჩემი აზრით, ზოლას გმირებში ყეელაზე უფრო მომხიბელელი სახეებია.

227. *კეირა, დღიბით.* ამ კეირაში რამდენიმე საკმაოდ დიდი ეტიუდი გაეამზადე. ჭალაში ეხატაედი. შეეცადე, წინანდელებთან შედარებით, გულმოდგინე და ენერგიული ნამუშეერები გამოსულიყო. იმ ეტიუდზე, რომელიც, ეუიქრობ, ყეელაზე უკეთ გამომიეიდა, მარტოოდენ ნაბარი მიწის ნაჭერია დახატული – ყაეისფერი, მოთეთრო და შაეი ქეიშა კოკისპირული წეიმის შემდეგ; მაგრამ ისეა დახატული, ირგელიე დაყრილი მიწის ბელტები უხეადაა განათებული და ფერების ჟღერადობაც უფრო მეტია.

ეიდრე ამ მიწის ნაჭერს ეხატაედი, უცებ გააედრდა, კოკისპირული წეიმა მოეარდა, რაც ერთ საათს მაინც გაგრძელდა; მაგრამ ხატეა ისე მინდოდა, თაეი დიდ ხეს შეეაფარე და ჩემს პოსტზე დაერჩი. როცა აედარმა, როგორც იქნა, გადაიარა და ყორნებიც ისეე აფრინდნენ, გამოდარებას რომ დაეუცადე, როდი ეინანე; ჭალაში მიწას წეიმის შემდეგ ღრმა და დიდებული ფერი დაედო. რაკი წეიმის წინ დაბალ პორიზონტს ეხატაედი და მუხლზე ეიყაეი დაჩოქილი, ახლაც ასე ტალახში დაჩოქილს მომიხდა ხატეა. ასეთი რამ საკმაოდ ხშირად მემართება, თანაც მუდამ სხეადასხეაგეარად; სწორედ ამიტომ საჭიროდ ეთეელი, მუდამ უბრალო სამოსი მეცეას, რომელიც მალე არ ზიანდება. ერთი სიტყეით, ისე მოხდა, რომ ასეთი აედრის მიუხედაეად, ეს პატარა მიწის ნაჭერი სახელოსნოში მიეიტანე; მაუეემაც ერთხელ, თაეის ეტიუდზე ლაპარაკის დროს, სწორედ შენიშნა, მიწის ასეთი ბელტების ხატეა, მისი მოცულობის შეგრძნება რომ არ დაკარგო, ერთობ ძნელი საქმეაო. ჭალაში ნახატ სხეა ეტიუდზე რამდენიმე დიდი, მწეანე წიფლის ტანი ჩანს, ჩინჩხეარით და-

ფარული მიწა და კიდევ თეორკაბიანი გოგონას ფიგურა. მთავარი იყო გამჭვირვალების შენარჩუნება, ერთმანეთისგან სხვადასხვა მანძილით დაშორებულ ხეებს შორის სივრცის გადმოცემა, ამ ხეების ადგილის და პირობითი სისქის განსაზღვრა, პერსპექტივის გამო რომ იცვლება; ერთი სიტყვით, იმის მიღწევა, რომ სურათისთვის შეგეხედა და ტყეში ხეტიალი მოგსურვებოდა, გენატრა, მისი სურნელება შეგეყნოსა.

ამ ორ პეიზაჟს განსაკუთრებული სიამოვნებით ეხატავდი, ისევე როგორც იმ პეიზაჟს, სკეესინგენში რომ შეეამჩნიე – ნაწვიმარი დილა დიუნებში, დიდი სივრცე, შედარებით მწვანე ბალახი, ამ ბალახზე კი – უშველებელ წრეებად გაშლილი შავი ბადეები, რის გამოც მიწაზე მოწითალო, შავი, მომწვანო-მონაცრისფრო ღრმა ტონები გაჩენილიყო. ამ დაღერეშილ დედამიწაზე რაღაც თალხი, უცნაური ლანდებიეით მიმოდიოდნენ, იდგნენ თუ ისხდნენ თეთრჩაჩიანი ქალები და მამაკაცები, ბადეებს რომ ჭიმავდნენ და აკერებდნენ. ყველაფერი ისეთივე გულში ჩამწვედომი, მოქუფრული და კუშტი ჩანდა, როგორც მილეს, ისრაელსის ან დე გრუს ყველაზე ლამაზ ტილოებზეა; პეიზაჟს თავს ადგა ნაცრისფერი უმანკო ზეცა, ხოლო პორიზონტს ნათელი ზოლი მიპყებოდა. კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ გაზეთილი ტორშონის ფურცელზე ეტიუდი მაინც დავხატე. მანამდე ბევრი წყალი ჩაიელის, ეიდრე ვისწავლი, აი, ასეთი სურათები, როგორც მე მინდა, ისე ვხატო. ბუნებაში კი ყველაზე მეტად სწორედ ასეთი პეიზაჟები მიზიდავს ხოლმე...

ორი კვირის განმავლობაში გათენებიდან შუადამემდე ემუშაობდი. თუ ასე გაეაგრძელებ, ძვირი დაჯდება, ეინაიდან ჩემს სურათებს ჯერჯერობით არ ყიდულობენ. ჩემს ეტიუდებს როცა ნახავ, შესაძლოა, ასე მითხრა: მარტოოდენ იმ წუთებში არ უნდა ხატო, როცა ხატავ განსაკუთრებით მოგესურვება. რეგულარულად უნდა ხატაედე, ხატვა ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობად უნდა მიგაჩნდეს; თუმცა იგი დიდ ხარჯებს იწვევსო. მე კი მაინც არ ეიცი, რა ექნა. რაკი ფერწერა იმაზე მეტად მიადვილდება, ეიდრე მეგონა, იქნებ მთელი ძალა და ღონე ამ საქმეს უნდა მოვახმარო და პირველ რიგში, ფუნჯით ეხატო, შეუპოვრად ეიმუშაო; თუმც, მერწმუნე, აღარ ეიცი, როგორ მოეიქცე... აი, ფერწერა ასე ძლიერ რატომ მიზიდავს: ისეთივე შრომის შედეგად, ნახატს რომ უნდა, შინ მომაქვს ხოლმე ნამუშევარი, რომელიც ჩემს შთაბეჭდილებას უკეთ გადმოსცემს, თვალსაც მეტად სიამოვნებს, ამავე დროს, სინამდვილესთან კიდევ უფრო ახლოსაა. ერთი სიტყვით, ფერწერა უფრო მადლიანი საქმე ყოფილა, ეიდრე ხატვა.

ამ დღეებში ნაღელიან წიგნს ეკითხულობდი – „გერარდ ბილდერსის წერილებსა და დღიურებს". ის, დაახლოებით, იმ ხნის მოკვდა, რა ხნისაც ეიყავი, ხატვა რომ დაეიწყე; როცა მის ამბავს ეკითხულობდი, არ მინანია, მუშაობას ასე გეიან რომ შეეუდეჭი. ბილდერსი უდაეოდ უბედური კაცი იყო, ეერაეინ გაუგო. მაგრამ სისუსტეც ბევრი სჭირდა, ავადმყოფური ბუნება პქონდა. მისი სიცოცხლე ყვაეილს მაგონებს, ძალზე ადრე რომ გაიშალა, სიცივეს კი ეეღარ გაუძლო: ერთ ღამეს ჩამოჭკნა და ფესვებიანად გაიყინა. თაეიდან ბილდერსი მშვენიერად იყო: მასწაელებელთან დადიოდა, ისე ცხოვრობდა, როგორც სათბურში, წარმატებაც დიდი პქონდა, თუმც, ამსტერდამში მოხედა თუ არა, თითქმის სრულიად მარტო დარჩა. განსწაელულობის მიუხედავად, მარტოობას ეერ გაუძლო და საბოლოოდ გზააბნეული, უკმაყოფილო, ყველაფრისადმი გულგრილი

და უხალისო, მაშასთან დაბრუნდა. მერე ერთხანს კიდევ ხატავდა, ოცდარვა წლისას ჰკლავდა თუ რაღაც სნეულებამ მოულოდნელად, აი, ბილდერსისა რა არ მოიმწყონს: ფერწერაში მუშაობდა და მაინც საშინელ მოწყენილობას, სიზარმაცეს უჩიოდა, თითქოს ასეთი გასწყობილების გადალახვა აღამიანს არ შეეძლოს; იგი რჩებოდა მეგობართა იმ ეიწრო წრეში, ისევ ისე ცხოვრობდა და ისევ იმით ერთობოდა, რაც უკვე მობეზრებოდა; საერთოდ, იგი მიმზიდველი ფიგურაა, მაგრამ მე ისევ ძია მილეს, ტ. რუსოს ანდა დობინის ყაიდაზე მომწონს ცხოვრება. მილეზე დაწერილი სასიეს წიგნი მხნეობას გმატებს, ბილდერსის წიგნი კი გუნებას წაგიხდენს.

მილეს წერილებში სიძნელეებზე ხშირადაა ლაპარაკი, მაგრამ ბოლოს მაინც იტყვის: „ყველაფერ ამის მიუხედავად, გაეკეთე ესა და ესო". შემდგომ ჩამოთვლის, რა არის საჭირო და რას გააკეთებს. ბილდერსი კი ძალზე ხშირად იმეორებს: „დღეს გუსებაზე ვერ ვიყავი, ვიჯექი და ვთხზანიდიო; კონცერტზე წაველი ანდა თეატრში, მაგრამ იქიდან კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე წამოველი, კიდევ უფრო უბედურიო". მილე ძალზე მიამიტად იტყვის ხოლმე: „ყველაფერ ამის მიუხედავად, საჭიროა, ესა და ეს გაკეთდესო", – მაგრამ საოცარი სწორედ ეს არის! ბილდერსი გონებამახვილი კაცია, წუწუნითაც კი შეუძლია კაცის გართობა, მანილური სიგარები მიყვარს, მაგრამ რით ვიყიდოო, ან – არ ვიცი, თერძის ვალი როგორ უნდა გაისტუმროო. უფულობას ისე აღწერს, ვერც თვითონ და ვერც მკითხველები სიცილს ვეღარ იკავებენ. მაგრამ რაც უნდა თავშესაქცევად გვიამბობდეს, მაინც არ მომწონს. მილე, თავისი ოჯახური საზრუნაობით, ბევრად უფრო იმსახურებს პატივისცემას. იგი ამბობს: „ყველაფერ ამის მიუხედავად, ბავშვებს წვნიანი სჭირდებათო" – და არ ახსოვს არც მანილური სიგარები, არც გართობანი. აი, რას ეიტყვი: გერარდ ბილდერსს ცხოვრებაზე რომანტიკული აზრები ჰქონდა, „ილუზიები ვერ მოიშორა", მე კი, პირიქით, ყოველგვარი ილუზია რომ უკან დამრჩა და მუშაობა მერე დავიწყე, ეს არის კარგი. დანაკლისი უნდა შეივსო, ამიტომ ბევრი შრომა მჭირდება; ახლა, როცა „ილუზიები დაკარგულია", შრომა ჩემთვის აუცილებლად საჭირო გახდა, თითქოს ერთადერთ სიამოვნებად გადამექცა – იგი უდიდეს სიმშვიდეს მგვრის, უდიდეს კმაყოფილებას მაგრძნობინებს.

228. *კვირა, დილა.* დიდი მადლობა მონმარტრზე ნანახი მუშათა სცენის აღწერისთვის; საინტერესოდ დაგიწერია. ხოლო რაკი ფერებსაც აღწერ, ყველაფერი თვალწინ დამიდგა. მიხარია, გაეარნიზე დაწერილი წიგნის კითხვა რომ დაგიწყია: ჩემი აზრით, კარგი წიგნია – მისი წყალობით, გაეარნი უფრო შემიყვარდა. პარიზი და მისი შემოგარენი, რა თქმა უნდა, ლამაზია, მაგრამ არც ჩვენ გვაქვს აქაურობის სასაყვედურო.

ამ კვირაში დაეხატე სურათი, რომელიც, თვალწინ იმ სპეეენინგენს დაგიყენებს, ჩვენ რომ ვნახეთ, როცა იქ ერთად ვსეირნობდით. ეს არის დიდი ეტიუდი – ზღვა, ქვიშა, მზე და ცეება, ნაზ-მონაცრისფრო, ადგილად-ადგილ კი თბილი, თეთრი ფერის ზეცა, სადაც გამოკრთის ერთადერთი ბაცი ლურჯი პაწია ლაქა. ქვიშა და ზღვა ღია ფერისაა, ისე რომ ყველაფერს ღია ფერი ეფინება, ხოლო ზოგან სურათს აცოცხლებს თვალში საცემი, თავისებური ფერებით ნახატი მეთევზეთა იალქნიანი გემები და ადამიანთა ფიგურები. სიუჟეტი ეტიუდისა მეთევზეთა ღუზაახსნილი აფრიანი პატარა გემია. ცხენები უკვე ზედ არიან. შეაბამენ და აფრიან

გემს ისისი წყალში შეათრევენ. აი, პატარა ჩასახატი: ბერი ეიწვალე, ეგონება, ჯობდა, ისევ ფიცარზე ან ტილოზე დამეხატა. მინდოდა, რომ ეტიუდი კიდევ უფრო მხიარული და ფერადოვანი გამოსულიყო, მსურდა, ფერის სიღრმისა და სიძლიერისთვის მიმეღწია. საკვირველია – ჩვენ ძალზე ხშირად ერთნაირი აზრები მოგვდის. მაგალითად, გუშინ საღამოს, როცა ხელში ეტიუდით ტყიდან შინისკენ მოვდიოდი, როგორც მთელი კვირის მანძილზე, ფერის სიღრმის პრობლემაზე ფიქრით ვიყავი გატაცებული, ხოლო იმ წუთში – განსაკუთრებით. საოცრად მსურდა, ამაზე შენთან მესაუბრა, უმთავრესად, აი, ამ ჩემი ეტიუდის მაგალითზე. და, პა, გეთაყვათ, ღღეევანდელ წერილში იწერები, რომ მეტისმეტად გაოცებულხარ, როცა მონმარტრზე მოულოდნელად დაგინახავს მეტისმეტად მსუყე ფერების ჰარმონიული შეხამება.

არ ვიცი, ორიენ ერომა მოელენამ გაგეაოცა თუ არა, მაგრამ ერთი რამ მჯერა: იმას, რამაც ასე ძალიან განმაცვიფრა, შენ უთუოდ იგრძნობდი და სწორედ ისე დაინახავდი, რანაირადაც მე დავინახე. მაშ, ჯერ ჩანახატს გამოგიგზავნი, მერე კი იმაზე გესაუბრები, რაც მაინტერესებს. ტყე თანდათან საშემოდგომოდ იმოსება – ისეთ ჩახჩახა ფერებს ეხედავ, ისეთ ეფექტებს, პოლანდიური სურათებისთვის იშვიათად რომ შემიმჩნეია. გუშინ საღამოს ტყეში ოდნავ შემაღლებული, ხმელი და ლპობაშეპარული წიფლის ფოთლებით მოფენილი მიწის ნაკვეთს ვეხატავდი. მიწას ღია, ზოგან კი მუქი მოწითალო ყავისფერი დასდებოდა, რასაც უფრო ამკვეთრებდა ხეთა ჩრდილები. ეს ჩრდილები ძირს ზოლ-ზოლად ეფინებოდა. ზოლები ზოგან მკრთალად ჩანდა, ზოგან მკვეთრად, თუმც სანახევროდ წაშლილიყო. საქმე ის იყო, ფერის სიღრმისთვის მიმეღწია, რათა მიწის სიმაგრე და ძლიერება გადმომეცა: როცა ეხატავდი, პირველად მაშინ შევამჩნიე, ყველაზე უფრო ბნელ ადგილებსაც როგორი შუქი შემორჩენოდა. ერთი სიტყვით, საქმე ის იყო, ეს სინათლე არ დამკარგოდა, ამავე დროს, არ დამკარგოდა ხასხასა ფერი, ფერის სიღრმე, ფერის სიმდიდრე. ეს მეტისმეტად ძნელი მეჩვენა.

იმაზე უფრო საუცხოო ხალიჩას ხომ ვერ წარმოიდგენ, ვიდრე ამ მიწას, მოყავისფრო-წითელი ტონით შეფერადებულს, ხშირი ფოთლებით შუქმოკლებული შემოდგომის ჩამავალი მზით განათებულს. ამ მიწიდან ამოზიდულა ნორჩი წიფლები. წიფლებს ცალ მხარეს შუქი ადგას და ამიტომ ღია მწვანე ფერისაა, ჩრდილის მხარეს კი ხეების ტანს თბილი მოშავო-მწვანე ფერი დაჰკრავს. ამ ნორჩი ხეების, ამ მოყავისფრო-მოწითალო მიწის მიღმა ნაზი, მოცისფრო-მონაცრისფრო ზეცა მოჩანს – ელვარე, თითქოს ნაპერწკლიანი, თითქოს თბილი, სილურჯე რომ არც კი აჩნია. ხოლო მის ფონზე – დანისლული სიმწვანეა, ტანეენარი ხეებისა და მოყვითალო ფოთლების არშია. ირგვლივ იდუმალი აჩრდილებივით ადამიანთა რამდენიმე ფიგურა დაძრწის – ფიჩხს აგროვებენ. ნიადაგის მუქმოწითალო-ყავისფერ ფონზე მოულოდნელ ბგერასავით ჟღერს ხმელი ტოტის ასაღებად დახრილი ქალის თეთრი ჩაჩი. აი, ქურთუკმა თითქოს სინათლე შეაკავა, – ჩრდილი დაეცა, – ტყის განაპირას მამაკაცის მუქი ფიგურა აღიმართა. პაერში მკვეთრად გამოიკვეთა თეთრი ჩაჩი, ქალის მუქი მოსასხამი, მხარი და მკერდი. ეს ვეება ფიგურები პოეზიით არის აღსავსე და ბინდბუნდში თითქოს ვიღაცის სახელოსნოში გამოფენილ უზარმაზარ დაუმთავრებელ ტრაკტებს მოგაგონებს.

მე ნატურა აგიწერე; ამ ეფექტის გადმოტანა ეტიუდზე როგორ შეეძე-

ლი, ეს არ ეიცი, მაგრამ ეიცი, რომ განმაცეიფრა მწვანე ფერის, წითლისა და შაეის, ყეითლისა და ლურჯის, ყაეისფერის, ნაცრისფერის პარმონიამ. სურათის ხატეა ნამდვილ წამებად გადამექცა. სიადაგის დასახატაეად ერთ-ნახეეარი დიდი ტუბი თეთრა დაეხარჯე, თუმც სიადაგი ძალზე მუქია. ამას გარდა, წითელი და ყეითელი დამჭირდა, დამჭირდა ბისტრი, ყაეისფერი ჟანგმიწა და მური, სიენა; ამის შედეგად მოწითალო ყაეისფერი ტონი მიეიღე, რომელიც ბისტრსა და ღრმა ღეინისფერ-წითელს შუა და ბისტრსა და ღია, უხალისო ეარდისფერს შუა ცეალებადობს. ძირს, მიწაზე, ხაესიც მოჩანს, მოჩანს ნორჩი ბალახის ზოლიც, რომელიც შუქს აირეკლაეს და ძალზე ბრწყინაეს; ძნელია ამის გადმოცემა, საოცრად ძნელი. ბოლოს ისეთი ეტიუდი გამომეიდა, ეისაც რა უნდა, ისა თქეას და, – რაღაცას მაინც გამოხატაეს. ხატეას რომ ეიწყებდი, გაეიფიქრე: ეიდრე ტილოზე რაიმეს ისეთს არ დაეინახაე, შემოდგომის საღამო რომ გამახსენოს – იდუმალს, ნამდეილად სერიოზულს, – აქედან ფეხს არ მოეიცელი-მეთქი. მაგრამ რადგან ზემოთ რომ ეთქეი, ისეთი რამ, საერთოდ, დიდხანს არ გრძელდება, სხეა რა გზა მქონდა, სწრაფად ეხატაედი; ფიგურები უხეში ფუნჯის რამდენიმე ძლიერი მოსმით ერობაშადაა გამოყეანილი. ეს ხეები მიწაზე ისე მტკიცედ დგანან, გაოცებული შეეურებდი. ფუნჯით მინდოდა დამეხატა, მაგრამ სურათის ზედაპირი საღებაეით უკეე სქლად იყო დაფარული, ამის გამო მოსასმი აღარ ჩერდებოდა. მაშინ ხეების ტანი და ფესეები პირდაპირ ტუბიდან გამოეიყეანე, ხოლო შემდეგ ფუნჯით ოდნაე დაეამუშაეე. და, აი, ახლა ჩემი ხეებიც მიწაზე უკეე მტკიცედ დგანან: ფესეი მიწაში ღრმად გაუდგამთ, დედამიწიდან ამოზრდილან.

ერთი მხრიე, კიდეც მიხარია, ფერწერა რომ არ მისწაელია, თორემ ასეთი ეფექტების გეერდის აელასაც ეისწაელიდი. ახლა კი ეამბობ: არა, მე სწორედ ეს მჭირდება; თუ ძნელია და შეუძლებელი – დაე, ასე იყოს; მე კი მაინც უნდა ეცადო და გაეაკეთო; თუმც არ ეიცი – როგორ. თაეად არ მესმის, როგორ ეხატაე. სუფთა ტილოსთან დაეჯდები ხოლმე – იმ ადგილას, რომელიც მხიბლაეს, – ეუცქერი, რაც ჩემ თეალწინაა, და გულ'ში ეფიქრობ: „ეს თეთრი ტილო რაღაცით უნდა შეეაესო-მეთქი". უკმაყოფილო ებრუნდები შინ, ნამუშეეარს განზე გადაედებ, ხოლო ცოტას რომ შეეისეენებ, ისეე და ისეე ეათეალიერებ, თანაც ოდნაე მეშინია; კმაყოფილი არც ბოლოს ერჩები, ეინაიდან გონების თეალით ჯერაც ისეე ცხადად ეხედაე წარმტაც ნატურას და რაც მისგან გაეაკეთე, არ შეიძლება, მომეწონოს. მაგრამ რამაც გამაოცა, იმის ერთგეარ გამოძახილს ჩემს ნამუშეარს მაინც ეამჩნეე. ეხედაე, ბუნება მესაუბრა, რაღაც მითხრა, მე კი თითქოს მისი ნათქეამის სტენოგრამა ჩაეიწერე. ჩემს ჩანაწერში ზოგიერთი სიტყეის გაშიფერა იქნებ ეერ შეეძლო, იქნებ სადმე შეცდომაც მქონდეს ანდა რამე გამოეტოეე: მაგრამ იქიდან, რაც ტყემ მითხრა ან სანაპირომ, ანდა ფიგურამ, ამ ჩანაწერს ცოტა რამ მაინც შერჩენია. ეს კი უფერული და პირობითი ენა როდია ზეპირად ნასწაელი, წინასწარ თაესმოხეეული წესებისა, ეს თეით ბუნების ძახილია, ბუნების ხმაა. დიუნებში გაეეთებულ ერთ ჩანახატს კიდეე გიგზაენი. პაწაწინა ბუჩქებია დახატული, ბუჩქებს ფოთლები – ცალ მხარეს რომ თეთრია და მეორე მხარეს მუქი მწვანე, – სულ უბრწყინაეს და უშრიალებს. უკანა პლანზე ჩამუქებული ხეები მოჩანს...

როგორც ხედაე, მთელი არსებით ფერწერას და ფერს ეულრმაედები,

რისგანაც დღემდე თავს ვიკავებდი და არც ესახსოვს: ამდენი რომ არ მეხატა, ფიგურას ასე ეერ ვიგრძნობდი, ფიგურას, დღეს რომ დაუმთავრებელ ტერაკოტას მოვაგონებს. მაგრამ ახლა ღია ზღვაში გამოვედი, ქარდა, ამიტომ ფერწერაში მუშაობა უნდა განვაგრძო, მთელი ჩემი ენერგია ფერწერას უნდა მოვახმარო... როცა ხეზე და ტილოზე ვხატავ, ხარჯები მატულობს. მასალა ძვირია, საღებაყებიც; დახარჯვით კი, საოცრად მალე იხარჯება. მაგრამ რას იზამ! ეს გასაჭირი ყოველი მხატვრის ხვედრი ყოფილა. ფერის გრძნობა, ვიცი, რომ მაქვს; ისიც ვიცი, თანდათან რომ მომემატება, რადგან ფერწერამ, ვატყობ, ძვალ-რბილში გამატანა. შენს ასეთ ერთგულ, ასეთ საშდეილ დახმარებას ახლა უფრო მეტად ვაფასებ. შენზე ძალიან ხშირად ვფიქრობ. მინდა, რომ ჩემს სამუშაოვარს კიდევ მეტი გულდაჯერება, კიდევ მეტი მხნეობა დაეტყოს, კიდევ უფრო სერიოზული შთაბეჭდილება მოახდინოს და სულ მალე სიამოვნება შენც მოგანიჭოს.

229. შეგატყობინე, ვილემინამ რომ წერილი მომწერა? ნიუენენის მიდამოებს კარგად აღწერს. როგორც ეტყობა, იქაურობა მეტისმეტად ლამაზია. ვილემინას ფეიქართა ნახელაკის ზოგ წერილმანზე შეეკითხე; ფეიქრები მე ხომ ერთობ მაინტერესებს – პა-დე-კალეში რომ ვიყავი, მაშინ ვნახე. იქაურობა განსაცვიფრებლად ლამაზია. თუმც, ფეიქრები ჯერჯერობით არ უნდა ვხატო, ოდესმე კი უთუოდ დავხატავ. ახლა ტყის მეტი არა მახსოვს რა – ტყეში უკვე შემოდგომაა. შემოდგომა ასე ძალიან ორი მიზეზით შემყვარებია: ფოთოლცვენა, მკრთალი სინათლე, ბუნდოვანი კონტურები, ტანწერილი ხეების მოხდენილობა ზოგჯერ ჩუმსა და უკიდეგანო სევდას მგვრის. მაგრამ მე მიყვარს შემოდგომის უფრო საღი და უხეში მხარეც – მძლავრი ეფექტები სინათლისა, რომელიც, ვთქვათ, კაცს ეფინება, როცა იგი, შუადღის მზეში ოფლად დაღვრილი, მიწას ბარავს.

ისევ მონმარტრზე ნანახ მუშებს ვიგონებდი, უკანასკნელ წერილში რომ ამიწერე. გამახსენდა ერთი მხატვარი, ასეთ ამბებს რომ კარგად ხატავდა. ეგულისხმობ ო. ლანსონს. ჩემს კოლექციას გადავხედე – მისი ხეზე ნაკეთები გრავიურები გავიხსენე. რა ოსტატია! აქ წავაწყდი „მეჯეელმანეთა შეხვედრას“ და „თოლიის ხვეტას“, აგრეთვე „წვნიანის დარიგებას“. მართლაც, საუცხოო სურათებია. ლანსონი საოცრად პროდუქტიული მხატვარია – გრავიურები პირდაპირ სცვივა ხელებიდან. რაკი სიტყვა ხეზე ნახატ გრავიურებზე ჩამოვარდა, იმასაც გეტყვი, რომ ამ კვირაში „ილუსტრასიონში“ ორიოდე ახალი, საუცხოო გრავიურა აღმოვაჩინე. პოლ რენუარის სერიაზე – „პარიზის სატუსაღოებზე“ გეუბნები. ოი, რარიგ შშვენიერია ზოგიერთი!

ღამღამობით, როცა ვერ ვიძინებ, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, მუდამ უცვლელი სიამოვნებით ვათვალიერებ ხეზე ნახატ გრავიურებს. არის ერთი ცნობილი მხატვარიც – ჯ. მაონი, რომელმაც დიკენსის საოჯახო გამოცემა დაასურათა. ვფიქრობ, ფერწერა სინათლის უკეთ გადმოცემას შემასწავლის, რაც ჩემს ნახატსაც მთლიანად შეცვლის. რამდენი უნდა გადაიტანო, ვიდრე რამის თქმას მოახერხებდე! თუმც, ყოველი დაბრკოლება, ამავე დროს, სტიმულიც არის. რაღაც ისეთი ძალა ვიგრძენი – შემოქმედებითს ძალაზე ვამბობ, – ნამდვილად ვიცი: დადგება დრო, როცა, ასე ვთქვათ, ყოველდღიურად გავაკეთებ რაიმე კარგს.

მართალია, რაიმე ახალს თითქმის ყოველდღე ახლაც ვაკეთებ, მაგ-

რამ ეს კიდევ ის არ არის, რაზედაც ვოცნებობ. თუმც, ჩემი აზრით, ძალიან შალე ბეერ ხატვას შეეძლებ და ამიტომ არ გავიოცებ, თუ ოდესმე ოცნება მაინც ამიხდება. ეგრძნობ, ფერწერა ჩემში უთუოდ სხვა რამესაც გამოაღვიძებს. თუნდ ამ პატარა ჩანახატს შეხედე – კარტოფილის ბაზარს ნორვალდზე. მუშებისა და დედაკაცების, აი, ასეთი ზედახორა საინტერესო სანახავია. ხელში უჭირავთ კარჭაპიდან სულ ახლახან გადმოტვირთული კალათები. აი, ასეთი ცოცხალი და დინამიკური სცენებისა და ადამიანთა სწორედ ასეთი ტიპების ხატვას ვისურვებდი როგორც ფანქრით, ისე ფერებით, ვისურვებდი ენერგიული ნამუშევრების გაკეთებას. მაგრამ არ მიკვირს, ამას უცებ რომ ვერ მივაღწიე. ჩემი ცდები დღემდე რომ მარცხით თავდებოდა. ახლა ფერწერის მეშვეობით, რა თქმა უნდა, ფერის უფრო მარჯვედ ხმარებას შევისწავლი და, ვეძოთ რომ აგიწერე, ისეთ სიუჟეტს უფრო იოლად მოვკიდებ ხელს. პოთმინება და ისევ შრომა – აი, რა არის უმთავრესი.

ეს პატარა ჩანახატი – ასეთებს ხელის ერთი მოსმით უამრავს ვხატავ, – მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მინდა გამოგიგზავნო, რომ დაგარწმუნო – მონმარტრზე მუშათა სცენის მსგავსი ყველაფერი მაინტერესებს. ეს რომ დახატო, საჭიროა ფიგურის ცოდნა და მეც ფიგურის შესასწავლად დიდ ეტიუდებს ვხატავ ხოლმე. ვიცი, თუ ასე ვიმუშაავებ, ბოლოს ვისწავლი, მინდერებში თუ ქუჩა-ქუჩა მოფუსფუსე მშრომელები როგორ დავხატო. კარტოფილის ბაზარი საინტერესო ადგილია: ამ ბაზრისკენ ეშურებიან გვესტელი, ლედიგერფელი ღარიბები, აქ მოდიან მეზობელი უბნებიდანაც. ისეთ სცენებს, ახლახან რომ აგიწერე, როცა გინდა, მაშინ ნახავ: კარჭაპს ზოგჯერ ტორფი მოაქვს, ზოგჯერ – თეფში, ზოგჯერ – ნახშირი, ხან – რა და ხან – რა. ინგლისელი მხატვრების მიერ ირლანდიაში დახატული უამრავი ჩანახატი. მაქვს შენახული. ჩემი აზრით, ის უბანი, რომელზედაც გწერ, ძალიან ჰგავს ირლანდიის პატარა ქალაქებს. ვცდილობ, საქმეს მთელი ენერგიით მოვეკიდო, ვინაიდან ჩემი დიდი სურვილია, შევქმნა ღამაზი სურათები. მაგრამ ეს საქმე დიდ, საკირკიტო შრომას გულისხმობს, გულისხმობს გულის გატეხასაც და, რაც მთავარია, შეუპოვრობას... კარტოფილის ბაზარზე კი დღეს ისევ წავალ, თუმც იქ ხატვა არ შეიძლება – მეტისმეტად ბევრი ხალხია, მე კი მათგან მოსვენება ისედაც არ მაქვს. იმაზე კარგი არაფერი იქნებოდა, სახლებში რომ თავისუფლად შესელა შემეძლოს, აი, ასე – შევიდე და ფანჯარასთან უსიტყვოდ ჩამოვჯდე.

230. ალბათ, გახსოვს, აქ რომ იყავი, დამიბარე: სცადე, იქნებ გასაყიდად გამოსადეგი რამე დახატო და გამოგზავნოო. უნდა მაპატიო: კარგად არ ვიცი, როდის ითვლება ნამუშევარი „გასაყიდად გამოსადეგად“ და როდის – არა. მეგონა, ვიცოდი, მაგრამ დღითიდღე ვრწმუნდები, რომ არ მცოდნია. იმედი მაქვს, ეს პატარა ნახატი – „სკამი“, – თუმცა, ალბათ, „გასაყიდად“ არც ეს ვარგა, – დაგარწმუნებს, ზოგჯერ ისეთ სიუჟეტებსაც შევარჩევ ხოლმე, ადამიანის თვალს რომ იზიდავს და ამის გამო უფრო იოლად გასაღდება, ვიდრე ნაღვლიანი სურათები.


„სკამთან“ ერთად ჩანახატს გიგზავნი, იმავე ყაიდისას, ისევ ტყეს. ახლა ერთ დიდ აკვარელს ვხატავ – „პატარა სკამი“ შესვენების დროს დავხატე – ამ აკვარელის დასახატავად შედარებით ღრმა ტონს ვიყენებ, თუმცა, ბოლოს რა გამოვა, ჯერ არ ვიცი. ნეტავ რას იტყვი, არის თუ არა ეს სურათი ოდნავ მაინც იმდაგვარად დახატული, მე და შენ რომ ვთქვით.

თუ გახსოვს, ბოლო წერილში გწერდი, კარტოფილის ბაზარზე კიდევ უსდა წავიდე-მეთქი. ამჯერად კარგად ჩაიარა ყველაფერმა შინ უამრავი ნანახატი მოვიტანე. მაგრამ ჩემი ბაზარში ყოფნა იმის ნაოელ ილუსტრაციას წარმოადგენს, პააგელები რა სრდილობითაც ექცევიან, საერთოდ, მხატვრებს: მოულოდნელად ვიღაც ჭაბუკმა უკანიდან თუ, შეიძლება, ფანჯრიდანაც, ჩემს ქაღალდზე ერთი ულუფა საღეჭი თამბაქო გადმოაფურთხა. აბა, რას იზამ, ჩვენი საქმე ისეთია, ასეთ ამბებს ვერ ასცდები. მაგრამ გულთან მიტანა არ ღირს: აქაური ხალხი ცუდი არ არის, ეგაა, რომ არაფერი გაეგებათ, და რაკი ხედავენ, როგორი მსხვილი შტრიხებით ეხატავ, როგორ ეკაწრი, – ეს კი მათ თვალში ყოველგვარ აზრს მოკლებულია, – ალბათ, ფიქრობენ, ეს კაცი უთუოდ გიჟიაო. ამ ბოლო დროს ქუჩაში ხშირად ეხატავდი ცხენებს. სხვათა შორის, ზოგჯერ მინდა, ცხენი მყავდეს, მოდელად რომ გამოვიყენო. გუშინ უცებ ყური მოეკარი, ჩემს ზურგს უკან რომ ვიღაცამ თქვა: „ესეც ციოთომ მხატვარია! დგას და ცხენის გაყას ხატავს, ნაცელად იმისა, რომ წინიდან დახატოსო“. სხვათა შორის, ეს შენიშვნა მომეწონა. მიყვარს ქუჩაში, აი, ასეთ ნანახატებზე მუშაობა და, როგორც ბოლო წერილში გწერდი, მინდა, სრულყოფას მივაღწიო.

ამერიკული ჟურნალი „ჯარპერზ მანთლი მეგეზინი“ გაგიგონია? ამ ჟურნალში შესანიშნავ ნანახატებს ბეჭდავენ ხოლმე. თვითონაც ქარგად არ მინახავს – მხოლოდ ექვსი ნომერი ენახე, თაეად კი სამის მეტი არა მაქვს. ისეთი სურათები აღმოვაჩინე, აღტაცებისგან სიტყვას ვერ ვამბობ. ეს არის სცენები ფაბრიკის ცხოვრებიდან, მაგალითად – „მინის ქარხანა“, „თუჯის სასხმელი ქარხანა“. სიამოვნებით ვათვალიერებ, რადგან გული იმედით მევსება, რომ ისეთ სურათებს, სული რომ უდგას, მეც დაეხატავ.

231. ბოლო დღეებში ჰაეენინგენში ძალზე ხშირად დაედიოდი. ერთ საღამოს კი პირდაპირ ბედმა გამიღიმა და საინტერესო სანახაობის მხილველი გავხდი – ეს იყო მეთევზეთა იალქნიანი გემის შემოსელა. იქ, ძეგლის ახლოს, ხის ჯიხური დგას მეთევალყურისთვის. როგორც კი იალქნიანი გემი გამოჩნდა, ჯიხურიდან ერთი ჭაბუკი გამოვიდა. დიდი ცისფერი ალამი ეჭირა. ჭაბუკს ბაეშვები აედევნენ – ბევრნი იყვნენ, მუხლებამდეც ძლივს სწვდებოდნენ. აშკარა იყო, უხაროდათ, იმ კაცს რომ მისდევდნენ, ვისაც ხელში ალამი ეჭირა: ალბათ, ეგონათ, იალქნიან გემს ნაესადგურში შემოსელას ეშველითო. რამდენიმე წუთის შემდეგ, მეთევალყურემ ალამი რომ დაიქნია, სანაპიროსთან სხვა ჭაბუკმა მოაჭენა ბებერი ცხენი. ამ ჭაბუკს ღუზას აბარებდნენ. მერე ამ ჯგუფს სხვა კაცები და დედაკაცებიც შეუერთდნენ, მათ შორის იყვნენ ბაეშვიანებიც: ყველანი ეკიპაჟის დასახვედრად მოსულიყვნენ. როცა გემი მოახლოვდა, ცხენოსანი ახალგაზრდა წყალში შეეიდა, ნაპირზე ღუზა გამოიტანა. ამის შემდეგ ისინი, ვისაც წყალგაუმტარი, მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, წყალში შეეიდნენ და მოსულები ნაპირზე ზურგით გამოიყვანეს. ყოველ მათგანს ხმამაღალი მისალმებით და შეძახილით ეგებებოდნენ. როცა ყველა გამოვიდა, ბრბო შინისკენ გაემართა, თითქოს ცხვრის ფარა მიდიოდა ან ქარავანი, რომელსაც აქლემზე – ესე იგი, ცხენზე – ამხედრებული ახალგაზრდის ვეება ჩრდილი ეფინებოდა.

რა თქმა უნდა, შეეცადე, ამ ამბის ყველა პერიპეტია, რაც შეიძლება, საგულდაგულოდ ჩამეხატა, ზოგი რამ კი საღებაეებით ჩავიხატე, მაგა-



ლითად, აი, ეს ჯგუფი, რომლის პატარა ჩანახატსაც ამ წერილს ეურთავ. დაეხატე მარინაც – მარტოოდენ ქეიშა და ცა, უდაბურება, უფერულობა. ზოგჯერ ძალზე მომწყურდება, აი, ასეთი უკიდეგანო სიჩუმე და სიმყუდროვე, სადაც ზღვაა მხოლოდ და მხოლოდ, ნაცრისფერი ზღვა და ეული ჩიტი – ზღვის ფრინველი; თანაც ტალღების ხმაურის მეტი არა ისმის რა. გეესტის ანდა კარტოფილის ბაზრის ხმაურს, გამაყრუებელ აურზაურს ასეთი რამ თუ დაგაეიწყებს და გამოგაცოცხლებს. სხვა დღეები ამ კეირაში აკვარელისთვის ჩანახატების გაკეთებას მოვანდომე. ჩანახატი, ამ წერილთან ერთად რომ ეგზავნი, მიგახვედრებს, რასაც ვაპირებ – ადამიანთა მოძრაობის ჯგუფის დახატვა მინდა.

მაგრამ ამ ჯგუფის გამოცოცხლება და ამოძრაობა რარიგ ძნელია! რარიგ ძნელია ფიგურების თავ-თავის ადგილზე განლაგება, ამავე დროს, ერთმანეთისგან განცალკევება! ამოძრაობა ურთულესი ამოცანაა. ჯგუფი მთლიანი უნდა იყოს, მაგრამ ერთის თავი თუ მხრები, საჭიროა, მეორის თავს თუ მხრებს ზემოთ ჩანდეს. წინა პლანზე ფეხები უფრო ძლიერ უნდა გამოიკვეთოს, მოშორებით კი შარვლების და ქვედა კაბების დომხალი უნდა დაიხატოს, სადაც, ყველაფრის მიუხედავად, ცალკეულ ხაზს მაინც ცხადად დავინახავთ. მარჯვენა მხრიდან ან მარცხნიდან – რაკურსის მიხედვით, – ეს ხაზები მეტ-ნაკლებად უნდა შემოკლდეს. რაც შეეხება ყოველგვარ სცენას – ფიგურიან კომპოზიციებს, ეს იქნება ბაზარი თუ იალქნიანი გემის შემოსვლა, ვაგზლის მოსაცდელი დარბაზი თუ საავადმყოფო, ლომბარდი თუ უფასო წვნიანის რიგი, ქუჩაში მდგარი უსაქმურნი თუ უაზროდ მოყიალეთა რაიმე ჯგუფი, ყოველივე მომდინარეობს ერთი პირველსახიდან – ცხვრის ფარიდან. აქაც მთავარი ისევე იგივე პირობებია – შუქი, ჩრდილი და პერსპექტივა.

აქ სულ მალე ფოთოლცვენა დაიწყება და იმედი მაქვს, ტყის ეტიუდებს ბლომად დაეხატავ, ისევე როგორც ზღვის ეტიუდებს: თუმცა ზღვაზე ფოთლები არ ცვივა, მაგრამ შუქი შემოდგომის დაისისა განსაკუთრებულ ეფექტებს ქმნის და ამის გამო აქაური სანაპირო შემოდგომობით მეტისმეტად ლამაზია, თუმც სხვაგანაც უთუოდ ასეა. საღებაეები და სახატავი მასალა კიდევ არ მეყო, მაგრამ როგორც მოგეხსენება, სამუშაოს ვარირება შემიძლია და დასახატავიც არასოდეს გამომელევა. მაგალითად, ჩანახატებზე, ახლა რომ ეგზავნი, ფიგურების ჯგუფი ცვალებადია, ისე საოცრად ცვალებადი, თითოეულს – ქუჩაში სწრაფად ჩახატულს, – უამრავი ეტიუდი და ჩანახატი დასჭირდება. ასე და ამგვარად, ხასიათი თანდათანობით იკვეთება და ნახატს სიცოცხლე ემატება. მომავალში, როცა კიდევ წავივარჯიშებ, ილუსტრირებაზე უნდა ვიფიქრო. იქნებ ეს იმის გაგრძელებაც გამოვიდეს, რაზედაც ახლა ამდენს ვმუშაობ. მთავარია დაუღალავი შრომა და შრომა.

232. აკვარელით ეხატავ ობლების ფარას თავიანთ სულიერ მწყემსებთან ერთად, მაგრამ, როგორც ჩანს, „გასაყიდად" არ ივარგებს. თუმცა, რათა დაგარწმუნო, რომ ფიგურით ხასიათის გამოკვეთა არცთუ ისე იოლია და მეც ძალ-ღონეს არ ვიშურებ, ოღონდ ეს შეეძლო, იმ ეტიუდთა ჩანახატებსაც გამოგიგზავნი, ახლახან რომ გავაკეთე. რა თქმა უნდა, ეტიუდები ჩანახატებზე გულმოდგინედაა ნამუშევარი. მაუეესთან რომ ისევე კარგად ეყოფილიყავი და ისეთი აკვარელები მენვენებინა, როგორიც არის პატარა სკამი ანდა ობლები, ებედავ, იმედი ვიქონიო, ცოტაოდენ რჩევას მომცემდა და იქნებ ისეთი სურათებიც დამეხატა, გასაყიდად

გამომდგარიყო. საყოველთაოდ ცნობილია, ერთი მხატვრის აკვარელი ან სურათი ზოგჯერ სრულიად შეიცვლება, როცა ბოლოს სხვა მხატვარი დაამუშავებს.

ახლა მეც სწორედ ეს მჭირდება. თუმცა იმას ვერ ვიტყვი, ცუდია-მეთქი, გამოცდილი მხატვრები რომ ახალგაზრდებს შენიშვნებს აძლევენ ან მათ სურათებს ამთავრებენ (ახალგაზრდების ხომ, პირველ რიგში, ფული სჭირდებათ; თუკი ფულს არ იშოვიან, მუშაობას ვერ შეძლებენ), უბედურებად მაინც არ ვთვლი, მარტო რომ ვწვალობ. რასაც პირადი გამოცდილებით შეისწავლი, გონებაში უფრო ღრმად გრჩება, თუმც ისე სწრაფად ვერ ითვისებ. გოტიკურ დარბაზში* გამოფენილი ნახატები ვინახულე! როპიუსენის ნამუშევრები, ჩემი აზრით, საუცხოოა. ნაპოლეონის დროინდელ თემებზე, იმდროინდელ სიუჟეტებზე დახატული სურათებია: ძველ რატუშაში ფრანგი ოფიცრები ბურგომისტრსა და ქალაქის საბჭოს, როგორც ჩანს, რაღაც ცნობებსა და საბუთებს სთხოვენ. ბებერი, ნია ბურგომისტრი და ეს სამხედრო მოხელეები ისე საოცრად ტიპურები მოგეჩვენება, თითქოს „ქინ ტერეზაში“ ერქმანს და შატრიანს აღეწეროთ. ამ ნახატებმა უჩვეულო სიამოვნება მომანიჭა.

ვან ალებეს რამდენიმე ძალზე ლამაზი სურათიც ვნახე – ზოოლოგიურ ბაღში შექმნილი ნახატები და პეიზაჟი: ზღვის სანაპირო, კლდეზე ფიჭვები, ფიჭვებს შორის კი ველზე მოჩანს მეთევზეთა პატარა სოფელი. ლამაზია პუტერინქსის ქალაქის ხედები, სანაპიროც – პატარ-პატარა ფიგურებით. მაგრამ რაც უნდა ძლიერ მიყვარდეს პუტერინქსის ახლანდელი ნახატები, მაინც საოცრად მენანება, პირველ სტილს რომ უღალატა, იმდროინდელს, როცა უბრალო ხალხს ხატავდა (გაიხსენე მისი „ლომბარდი“). ხატვაც ისეა, როგორც წერა. როცა ბაეშვი წერა-კითხვის შესწავლას იწყებს, თითქმის არ სჯერა, ოდესმე რომ ისიც დაწერს. მასწავლებელი სწრაფად რომ წერს, ასწავლად ეჩვენება. მაგრამ წერას მერე ყველა ბაეშვი სწავლობს. ჩემი ღრმა რწმენით, ხატვა ისე კარგად უნდა შეისწავლო, წერასავით გაგიადვილდეს, პროპორციებს უნდა გრძნობდე, ზუსტად ხედავდე და რასაც ხედავ, იმის დახატვა არ გაგიჭირდეს. აქ ახლა ცუდი ამინდებია, სილამაზით კი ლამაზია ყველაფერი – სულ წვიმს, ქარია, ჭექა-ქუხილი, ერთი სიტყვით, საუცხოო ეფექტებია; აი, აქ ყოფნა რატომ მომწონს; თუმც, საქმაოდ მომეწყინა. მალე გარეთ მუშაობას ვეღარ შევძლებ; ამიტომ, ახლა მთავარია, ეიდრე ზამთარი დადგებოდეს, მაქსიმალურად ვიმუშაო.

ზამთარში სახელოსნოს გავათავისუფლებ – ეტიუდებს ჩამოვხსნი და რაც ზედმეტია, გარეთ გავიტან, მოდელებთან რომ უფრო ადვილად ვიმუშაო. ეგრძნობ, ფიგურების ეტიუდები, მათ შორის კი სპეენინგელ მეთევზე ქალთა ეტიუდები ძალიან ხშირად უნდა ეხატო. კარგი იქნება, ზოგიერთი ეტიუდი, რომლის შენახვა შენ არც ისე გაინტერესებს, ისეც უკან გამომიგზავნო (თუ, რა თქმა უნდა, დროს იპოვი). ხოლო თუ რამე შენთვის გინდა დაიტოვო ანდა ჩემთან ისეთი რამ გეგულება, რაც გინდა, რომ შენთან იყოს, გამაგებინე. ხომ იცი, რომ რაც გამაჩნია, ყველაფერი შენ გეკუთვნის. თუ ზოგ რამეს ისეც უკან გთხოვ, მხოლოდ იმიტომ, რომ უშუალოდ მოდელიდან ჩახატული ეტიუდი ხშირად ძალიან საჭირო ხდება, მაგალითად, აკვარელის დასახატავად. თუმც, ეს საჩქარო სულ არ არის. ოღონდ ნურაფერს გადააგდებ, თუნდაც არც ისე კარგად იყოს დახატული, რადგან ყოველი ეტიუდი როდისმე მაინც გამომადგება. ეგო-

სებ, არ ეცდები, როცა ეფიქრობ, რომ მხატვარი სწორედ ასეთი ეტიუდების წყალობით ხდება პროდუქტიული. მრავალფეროვნება რაც მეტია, ეტიუდს რაც მეტს უკირკიტებ, შრომა მით უფრო იოლდება, როცა საქმე სამდეილი სურათის ან ნახატის შექმნაზე მიდგება. მოკლედ რომ გითხრა, ეტიუდები არის თესლი და რაც მეტს თესავ, მეტი მოსავლის იმედიც გაქვს. ახლახან ერქმან-შატრიანის „ორი ძმა“ წაეიკითხე და მომეწონა. ალბათ, ძალზე კარგი დრო იყო, როცა ელზასში ამდენი მხატვარი ერთად ცხოვრობდა – ბრიონი, მარშალი, იუნდტი, ეოტიე, კნაუსი, შულერი, საალი, ვან მეიდენი, სხვანი და სხვანი; სხვა ხელოვნებათა წარმომადგენლებს, რომლებიც იმაეე ქიმართულებით მუშაობდნენ, ისე, როგორც შატრიანი და აუერბახი, აღარ ჩამოეთვალი. მე პირადად, ისინი უფრო მეტად მომწონს, ეიდრე ტაპირო, კაპობიანკი ასდა მთელი ურდოები იტალიელთა, რომელთა რიცხეი, როგორც ეტყობა, ისეე მატულობს.

233. გარეთ ახლა მშეენიერია ყეელაფერი: ფოთოლნარში ბრისჯაოსფერის ყეელა ელფერი შეიმჩნეეა – მწეანე, ყეითელი, მოწითალო; ირგელიე სითბო და სიმდიდრეა გამეფებული. როგორ მინდა, ჩემი ყეელა ეტიუდი ერთად გაჩეენო! იმის შემდეგ, რაც აქ იყაეი, ჩემი სახელოსნო შეიცეალა. მართალია, ფული ბეერი დამეხარჯა, მაგრამ კედლები მთლად გაეაესე ზეთით ნახატი ეტიუდებით. პაწაწინა სამიკიტნო და ნახშირის გროეები ისეთი მშეენიერი სანახაეია, ეერ შეეძელი, არ დამეხატა; თუმც, მთელ კეირას მხოლოდ ფანქრით ეაპირებდი მუშაობას, რადგან ხარჯებს ეერიდებოდი. ძალიან მინდა, ამდაგეარი ნამუშეერები სახელოსნოში ბლომად მქონდეს – ეს ის არის, რისთეისაც ეშრომობ, რაც მე ყოეელ შეხედეაზე სოფელს მაგონებს. ასე უცებ ეხედები ხოლმე, დღის მანძილზე რა უნდა ეაკეთო, ეიცი, კერძოდ, დღეს რას დაეხატაე ან საით წაეალ სახატაეად. რაც შეეხება რომელიმე ზეთით ნახატი ეტიუდის გამოგზაენას, კეთილი, სადაეო არაფერი მაქეს, მაგრამ ეიდრე გამოგიგზაენი, ზოგ რამეზე უნდა შეეთანხმდეთ.

მაუეესსაირ ადამიანს, – საერთოდაც, ყეელა მხატვარს, ეინც უნდა იყოს, – უეჭეელად საკუთარი და თაეისებური ფერთა გამა აქეს; მაგრამ პირეელი ნაბიჯიდანეე ამას ეერაეინ შეიმუშაეებს. ჩემზე ბეერად გამოცდილი მხატერების მიერ გარეთ დახატული ეტიუდებიც თეალში მაშინეე არ მოგხედება. ეს მაუეეს ეტიუდებს უფრო ეხება, რომლებიც სწორედ თაედაჭერის, თაეშეკაეების, სინამდეილისადმი ერთგულების გამო მიჯაერს. მაგრამ მაუეეს ამ ეტიუდებს მომხიბელელობა მაინც აკლია, რაც უხეადა აქეს ეტიუდების საფუძეელზე გაკეთებულ მის სურათებს. ჩემს ნამუშეერებზე კი, აი, რას გეტყეი: ბოლო დროს მოტანილი ზღეის პეიზაჟი ფერით წინა ორისაგან უკეე საესებით განსხეაედება. ესე იგი, იმ ეტიუდებით, რომლებსაც ახლა გამოეგზაენი, ჩემს პალიტრაზე საბოლოო აზრს ნუ გამოიტან. მირჩეენია, ეტიუდები ჯერჯერობით არ გამოეგზაენო; ეს იმიტომ, რომ ეიცი, ჩემი კოლორიტიც და კომპოზიციაც კიდეე ძალიან შეიცელება. ამას გარდა, გარეთ დახატული ეტიუდები განსხეაედება ხალხის წინაშე გამოსატანი სურათებისგან... ჩემი აზრით, სურათები ეტიუდების საფუძეელზე იხატება, მაგრამ სურათი, შესაძლოა, – არსებითად კი, საჭიროა, – განსხეაედებოდეს ეტიუდისგან. სურათით მხატვარი თაეის იდეას გამოხატაეს, ეტიუდის მიზანი კი მხოლოდ ის არის – ნატურის ერთი მონაკეეთის ანალიზი გააკეთოს, რათა თაეისი იდეა თუ ჩანაფიქრი დააზუსტოს ანდა ახალ იდეას მიაგნოს. მაშ,

ეტიუდი სახელოსნოში უნდა ქაიდოს და არა სადმე ხალხის წინაშე და, რა თქმა უნდა, იმ თვალსაზრისით არ უნდა შეეხედოთ, რა თვალსაზრისითაც სურათს ეუყურებთ. ეფიქრობ, ჩემს აზრს საყურადღებოდ მიიჩნევ და გაიზიარებ. ყველაზე მეტად კი მაისც ის მინდა, ჩემი ყველა ეტიუდი ერთად გაჩეენო.

ჩემი აზრით, ჩანაფიქრი ჯანსაღია, როცა იგი უშუალოდ ნატურასთან შეხებისას იბადება და არა მაშინ, როცა ნატურას წინასწარი მიზნით უყურებ, რათა მასში ესა თუ ის დაინახო. ფერთა გამაზელაც იგივე ითქმის. არის ფერები, ერთმანეთს რომ საუცხოოდ ეხამება, და ეიდრე ხატეას შეეუდგებოდე, რათა, როგორც ეგრძნობ, ამ ფერების შეხამება ისე გადმოეცე, ყოველმხრივ ეცდილობ, ჯერ როგორც ეხედაე, ისე დაეხატო. მაგრამ გრძნობა მაისც სხვაა – უიმისოდ ეერაფერს გახდები. ზოგჯერ მინდა, მკის დრო მალე დამიდგებოდეს, – ის დრო, როცა ბუნება ისე მეცოდინება, რომ სურათში რაიმე საკუთარის შეტანას შეეძლებ. თუმც, საგანთა ანალიზიც მოსაწყენ და მძიმე საქმედ არ მეჩეენება. გეიანია. ეს ღამეები ცუდად მძინავს – ამის მიზეზი შემოდგომის სილამაზეა, გონებიდან რომ ეერ ეიცილებ; თანაც, სურეილი – ეისარგებლო ამ სილამაზით. თუმცაღა, არ მინდა, ძილი დაეიკლო და ეცდილობ, დროზე დაეიძინო, ეინაიდან უძილობა მანერეულებს. მაგრამ ჩემი მცდელობა უშედეგოა.

ეფიქრობ, ამდენ დროს პაერზე რომ არ ეატარებდე ან ფერწერაზე მუშაობა ამდენ სიამეს არ მანიჭებდეს, ნაღეელი ბოლოს მომიღებდა. საბედნიეროდ, სუფთა პაერი და საინტერესო სამუშაო ძალ-ღონეს გემატებს ადამიანებს; მეტისმეტად უბედური მარტო მაშინ ეარ, როცა გადაღლას ეიგრძნობ ხოლმე.

234. *ორშაბათი, დილა.* ბეერი ფული დამეხარჯა, ძალიან ბეერი. ეს, ნაწილობრიე, იმის ბრალია, დაწყებული სურათებიდან ბეერი რომ ისეთი არ გამომდის, როგორიც მინდა, ისეე თაეიდან ეიწყებ ხოლმე და მთელი შრომა წყალში მეყრება. თუმც, საბოლოოდ, ეს ის გზაა, რომელმაც წინ უნდა წამიყეანოს; ამიტომაც ამ გზით ეიელი... ეერ წარმოიდგენ, კაცი როგორ ღიზიანდება, როგორ იღლება, როცა ეიღაც უცხოები გეერდიდან არ შორდებიან. ზოგჯერ ეს ისე მანერეულებს, სამუშაოს თაეს ეანებებ. მაგალითად, გუშინ დილას, თუმც, ჯერ ძალზე ადრე იყო და იმედი მქონდა, ხელს არაეინ შემიშლიდა, სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო არაფერი გამომიეიდა – ბეზეიდენ-პაუტის წაბლები ეერ იქნა და ეერ დაეხატე. არადა, რა ლამაზებია! ეს არა მარტო მაღიზიანებს, საღებაეებსაც ტყუილუბრალოდ მახარჯეინებს. რა თქმა უნდა, ამის გამო ფარხმალს არ ეყრი, სხეებზე ნაკლებ არ ეუმკლაეედები ყოეელიეეს, მაგრამ ეიცი, ეს „წერილმანი საწუხარი" რომ ოდნაე ნაკლებ მაწუხებდეს, საწადელს მალე ეეწეოდი.

ორიოდ სიტყეა იმ ეტიუდზე, რომელსაც ეგზაენი. როცა ნახაე, თუ გაიხსენებ, ამის მსგაესი ეტიუდი სხეაც რომ ბეერი მაქეს, გაიხსენებ და არ ინანებ, შემწეობა რომ გამიწიე, მეც ამის მეტი არა მინდა რა, ახალი ძალით შეეუდგები მუშაობას. ხოლო თუ არ მოგეწონება, გაიხსენე, ფერწერას რომ სულ ახლახან მოეკიდე ხელი. თუ მოგეწონება, იმას რა სჯობს: ძალიან მინდოდა, ისეთი რამ გამომეგზაენა, გაგხარებოდა... არ დაგაეიწყდეს: მე მინდა, შენი კრიტიკული შენიშენები მოეისმინო, დაუფარაედ უნდა მითხრა ყველაფერი. ზოგჯერ მინდა, ეინმეს ეთხოეო,

რამე მირჩიოს. სჯეისი რჩება სემთეის უთუოდ საჭიროა, მაგრამ მაუეე მაგონდება და ცდუნებისგან თავს ვიკავებ, ჩემს სურათებზე მხატვრებთან უკვე არ ელაპარაკობ. იქნებ მათ შორის გასაოცარი ჭკუის პატრონი ბევრი ერიოს, მაგრამ რას შემძენს მათი ჭკუა, თუკი მე ერთს მირჩევენ და თვითონ სულ სხვას გააკეთებენ? ის მერჩივნა, მაუეეს ეთქვა, პირისფერი როგორ მეხმარა, იმის საცილად, რომ ჭკუის სწავლებას მოჰყოლოდა: „პირისფერი არ იხმაროო", მაშინ როცა, როგორც თვითონ, ისე სხვები, პირისფერს ხშირად იყენებენ და შედეგებიც მშვენიერი აქვთ. რა გაეწყობა, ბევრ რამეს თავად უნდა მიაგნო. მეც ამას ვცდილობ. რომ შემეძლოს, რაც გულით მინდა, ის ვაკეთო, ფერწერაში კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაებდი და, პირველ რიგში, უამრავ მოდელს ვიშოვიდი.

აი, კიდევ რა: ვიცი, გამიგებ. ცხადია, შემეძლო, ზოგიერთი რტო სულ სხვაგვარად დამეხატა, თუ თავიდან დავხატავდი; მაგრამ, ეფიქრობ, ეტიუდი, რომელსაც, ალბათ, მომავალში გამოიყენებ, ბევრად არ უნდა შეიცვალოს. ეტიუდი სახელოსნოში იმ სახით უნდა ინახებოდეს, რა სახითაც ტყიდან მოგაქვს: ზოგიერთს იქნებ ამის გამო არც ისეთი მშვენიერი მოეჩვენოს, მაგრამ თვით მხატვარს უფრო ცოცხლად გაახსენებს თავის პირველ შთაბეჭდილებას.

235. ბოლო დღეებში მხოლოდ და მხოლოდ აკვარელებზე ვმუშაობდი. წერილს ვურთავ ერთი დიდი აკვარელის პატარა ჩანახატს. სპუისტრაატის დასაწყისში რომ მოორშანის საქალაქო სალატარიო კანტორაა, შეიძლება, გახსოვდეს კიდეც. ერთხელ, წვიმიან დილით, როცა კარებთან ლატარიის ბილეთების მოლოდინში გრძელი რიგი დამდგარიყო, ამ კანტორასთან გავიარე. უმეტესად დედაბრები და ისეთი ხალხი შეგროვილიყო, საეროდ რომ ვერ შეატყობ, რას აკეთებენ და რით ცხოვრობენ, მაგრამ, ალბათ, საზრუნავი და საწუხარი არ აკლიათ. რა თქმა უნდა, ხალხი, რომელსაც „დღევანდელი გათამაშება" აშკარად და ასე ძლიერ აინტერესებს, გარეშე თვალს – ეთქვათ, მე ან შენ, – სასაცილოდ ეჩვე-



ნება, რადგანაც ჩვენ ლატარია სრულიად არ გვაინტერესებს. თუმც, ამ პატარა, მოულოდნელად ქცეულმა ჯგუფმა გამაოცა და ეიდრე ხატვას მოვრჩებოდი, ჩემს თავალში უფრო ღრმა აზრი და მნიშვნელობა შეიძინა.

ჰო, ასეთ სცენას აზრი ეძლევა, როცა, მისი შემხედვარე, სიღარიბის და ფულის პრობლემას ჩაუფიქრდები. ასე ერთად თავშეყრილ ხალხს რომ დაინახავ, უნდა დაფიქრდე, რამ შეყარა ეს ხალხი ერთად. მაშინ მიხვდები, რასაც ნიშნავს ეს ყოველივე. ლატარიით გამოწვეული ილუზია და ცნობისწადილი ჩვენ ბაეშვობად გვეჩვენება. მაგრამ ეს ბაეშვობა სერიოზულ პრობლემად იქცევა, თუ გაეიხსენებთ, რომ ეს ბაეშვი, ღატაკი ხალხი უკანასკნელი გროშით ნაყიდი ლატარიის ბილეთით ცდილობს სიღარიბიდან თავის დახსნას. ამ გროშებით ხომ მათ ლუკმაპური უნდა ეყიდათ. ასევ თუ ისე, ამ სიუჟეტზე დიდ სურათს ვხატავ აკვარელით. ემუშაობ მეორე აკვარელზედაც — ეს არის სკამი, რომელიც გვევსტზე ვნახე ერთ პატარა ეკლესიაში, სადაც მუშათა სახლის მცხოვრებნი შემოდიან. მათ აქ ობოლ-ქალებსა და ობოლ-კაცებს ეძახიან. აი, ფრაგმენტი ამ სკამისა. უკანა პლანზე მამაკაცთა თაეებიც უნდა დაიხატოს. მაგრამ ასეთი სურათები იოლად არ იხატება, უცებ ეერაფერს მოუხერხებ, მხოლოდ მრავალი უშედეგო ცდის შემდეგ თუ მიაღწევ რამეს.

როცა „ობოლ-კაცებზე" გწერდი, ჩემი მოდელი მეწვია და შებინდებამდე ეიმუშავე. ძეელისძეელ პალტოში ისეთი სქელი ჩანს, გაგეცინება. საკეირაო ან ყოველდღიურ ტანსაცმელში გამოწყობილ, აი, ასეთი ბერიკაცების თავყრილობას, ჩემი აზრით, მოიწონებდი. ეს ბერიკაცი დამჯდარიც დაეხატე — ჩიბუხს ეწევა, მელოტი თავი აქეს, მთლად ჭაღარა ქილეაშები, დიდი ყურები. ყურთ კი არ ესმის.

ჩანახატი შებინდებისას გაეაკეთე, თუმც, იმედი მაქვს, კომპოზიციის გარკეეას შეძლებ: მინდა; ფიგურებს, დაახლოებით, ერთი ფუტის სიმაღლე ჰქონდეს, ხოლო მთელი კომპოზიცია ცოტა უფრო ფართო იყოს. თუმც, ეს იქნებ ეერც გაებედო: ტილო ხომ დიდი დამჭირდება და თუ სურათიც არ გამომიეა, ხარჯები კიდეე გაიზრდება.

ძალიან მინდა, ასეთი დიდი ტილოები ახლაეე ეხატო, მაგრამ ეფიქრობ, თუ ასეთი თავისებური ფიგურების ხატვას განეაგრძობ, აქედან დიდი სურათები თავისთავად დაიხატება — როგორც ძალზე ბუნებრიეი გაგრძელება მოდელიდან დახატული ამა თუ იმ ეტიუდისა, — და თითოეული ეტიუდის განწყობაც შერჩება. ჯგუფი, რომლის შეთეთრ ჩანახატს ახლა გიგზავნი, ფერებით, მართლაც, მდიდარია: ლურჯი კოსტიუმები, ყაეისფერი პალტოები, თეთრი, შაეი, მოეეითალო სამუშაო შარვლები და გახუნებული მოსახეეები, სიძეელისაგან გაპრიალებული კაბები, თეთრი ჩაჩები, შაეი ცილინდრები, ჭუჭყიანი წაღები და ჭუჭყიანი ქუაფენილი, რაც ფერმკრთალი, ანდა, პირიქით, ქარისაგან შერუჯული სახეების კონტრასტულია. ეს ყველაფერი ზეთის ფერებით ან აკვარელით უნდა გადმოეცე. დამიჯერე, ყველაფერ ამას ცოტა შრომა როდი სჭირდება.

236. *კეირა.* ის სურათები, ახლა რომ ეხატავ, ეიცი, უთუოდ მოგეწონება. ჩემი არ იყოს, უმალ შეამჩნეე, რომ ფიგურათა უამრავი ეტიუდის ხატვა მჭირდება; ამიტომ ძალ-ღონეს არ ეიშურებ, ისე ემუშაობ; თითქმის ყოველდღე ექირაობ მოდელს. წარმოიდგინე, ჩემს გასაოცრად, ამ კეირაში შინიდან ამანათი გამომიგზავნეს: შიგ ორი ზამთრის პალტო იყო, ერთი — კაცისა, ერთი — ქალისა. აგრეთვე, ორი თბილი შარვალი. ამ

ყურადღებამ მეტისმეტად გამახარა. ხისჯერებიანი სასაუკლაო გოსებიდან არ მცილდება. ზამთარში, როცა თოელი იქნება, მაშინ დაეხატავ: თუნდაც გლეხებს, ეიდაცას რომ ასაფლავებენ, ანდა რაიმე ამისმაგვარს, ერთი სიტყვით, ისეთ ეფექტს, როგორიც მაღარიელთა ჩანახატზეა, ახლა რომ ეგზავნი. რა კარგია ახლა გარეთ! ეცდილობ, შემოდგომის ეფექტები ხელიდან არ წამეიდეს, უაღრესად სწრაფად ემუშაობ. დამიჯერე, ფიგურიან კომპოზიციებს იოლად ეერაფერს მოუხერხებ. ამიტომაც ხატეის მეტი აღარაფერი მაგონდება. თუნდ გიქსოეია, თუნდ ეს საქმე გიკეთებია: დაძაბული ყურადღებით უნდა იყო, თორემ ძაფები აგერევა, თან, ერთდროულად ბეერ რამეს უნდა ადეენო თეალი.

237. *კვირა, დღიბით.* ჩეენთან ნამდეილი შემოდგომის ამინდებია – წეიმიანი, ციეი, მაგრამ განწყობით საესე, ფიგურების სახატაედ კი – განსაკუთრებით ხელსაყრელი, ეინაიდან ქუჩებისა და გზების ფონზე, სადაც ახლა გუბეებში ცა ირეკლება, ფიგურის ტონი მკეეთრად მოჩანს. მოკლედ, ეს ის მოტიეებია, მაუეე რომ ასე ხშირად და ლამაზად ხატავს. ამგვარად, ახლა დიდ აკვარელზე მუშაობის შესაძლებლობა ისეე მომეცა. ეს არის რიგი სალატარიო კანტორის წინ. დაეიწყე ერთი სხვა აკვარელიც – მეჩეჩი. კომპოზიციის ჩანახატი ამ წერილს ერთეის. გეთანხმები, ჩეენს ცხოვრებაში არის ხოლმე პერიოდები, როცა თითქოს ბუნებისა არა გეესმის რა ანდა ბუნება თითქოს აღარას გეეუბნება.

ასეთი რამ მეც მემართება და ხანდახან სულ სხვა საქმის კეთებაში მეხმარება: როცა სინათლის ეფექტები და პეიზაჟები მომბეზრდება, ფიგურების ხატეას ეიწყებ ანდა პირიქით. ხოლო ზოგჯერ, უბრალოდ, ეიცდი, რომ ამ განწყობამ გადამიაროს, თუმც, ამდაგეარი ენებათდაცხრომა არაერთხელ გადამილახაეს მოტიეთა შეცელით, რაზედაც მთელი ყურადღებით ეყოფილეარ ხოლმე შეჩერებული. რაც დრო გადის, ფიგურა უფრო მაინტერესებს. მახსოეს, დრო იყო, პეიზაჟებს მეტისმეტად მძაფრად ეგრძნობდი: თუ სურათი ან ნახატი სინათლის ეფექტს ანდა ლანდშაფტის განწყობილებას მართლა კარგად გადმოსცემდა, შთაბეჭდილებას გაცილებით ძლიერს ახდენდა, ეიდრე ფიგურა. ერთი სიტყეით, ფიგურების მხატეართა მიმართ უფრო ციეი პატიეისცემით ეიმსჭეალებოდი, ეიდრე მხურეალე სიმპათიით.

თუმც, კარგად მახსოეს, დომიეს ნახატმა – ბერიკაცი წაბლების ქეეშ ელისეს მინდერებზე (ბალზაკის ნაწარმოების ილუსტრაცია) – მაშინეე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მიუხედაეად იმისა, რომ არც ისეთი მნიშენელოეანი ნახატი იყო. მაგრამ დომიეს ჩანაფიქრში იგრძნობოდა რაღაც ძლიერი, ეაჟკაცური; სწორედ ამან განმაცეიფრა და გაეიფიქრე: „ალბათ, კარგია, ისე გრძნობდე და აზროენებდე, ბეერ რამეს გეერდი აუარო, გულისყური კი მხოლოდ იმაზე შეაჩერო, რაც კაცის ფიქრს ასაზრდოებს, რაც მას უფრო გულზე მოხედება, უფრო პირადად შეეხება, ეიდრე მწეანე მდელოები და ღრუბლები-მეთქი". ინგლისელი მხატერები და მწერლები სწორედ ამიტომ მიზიდაეენ. ისინი მხიბლაეენ თაეიანთი განსაკუთრებული სიფხიზლით და კიდეე იმით, რომ მუდამ ორშაბათ დილასაეით საქმიანებს, უყეართ ყეელაფრის ანალიზი; მომწონს მათი პროზაულობა, მათ მიერ შექმნილი სახეები – რაღაც ერთგეარ სიმტკიცეს რომ გეაგრძნობინებს, რაღაც სიდინჯეს, რასაც შეიძლება, კაცი დაეყრდნოს, როცა საკუთარ სისუსტეს იგრძნობს. იგივე ითქმის ბალზაკისა და ზოლასებურ ფრანგ მწერლებზედაც. მიურეეს წიგნებს

რომ ახსენებდი, არ წამიკითხავს, მაგრამ, ეფიქრობ, ძალიან მალე წაიკითხავ.

მოგწერე, დოდეს „განდეგილ მეფეებს“ ეკითხულობ-მეთქი? ჩემი აზრით, კარგი წიგნია. იმ წიგნების სათაურებით, შენ რომ წერილში ჩამომიწერე, დაეინტერესდი. განსაკუთრებით „ბოემაა“ საინტერესო. რა შორს ვართ ახლა გაეარნის დროის ბოემისაგან! მაშინ, ალბათ, გულითადობაც მეტი იყო, ხალისიც და უფრო მეტსაც მხიარულობდნენ. თუმც, რა ვიცი. კარგი ახლაც ბევრი რამ არის, კიდევ მეტიც იქნებოდა, თუკი უფრო ერთსულოვანნი ვიქნებოდით. სწორედ ამ წუთში ჩემი ფანჯრიდან საუცხოო ეფექტებს ვხედავ. განათებულ პორიზონტზე, როგორც ბნელი, პირქუში ლანდი, წყვდიადიდან წამოიმართა მთელი ქალაქი – საკვამლე მილებით, კოშკებით და სახურავებით, თუმც, პორიზონტის მხოლოდ ერთი ფართო ზოლია განათებული, რომელსაც ისევ შავი ღრუბელი ჩამოსწოლია; ქვედა მხარეს ღრუბელი სქელია, ზემოდან კი შემოდგომის ქარს დიდ ნაფლეთებად დაუგლეჯია და აქეთ-იქით გაუფანტავს. განათებული ზოლის წყალობით, ჩაბნელებული ქალაქის მასივში აქა-იქ სველი სახურავი გაიბრწყინებს (ნახატზე იგი პირისფერი ზოლებით უნდა აღინიშნოს), ეს კი იძლევა შესაძლებლობას, წითელი კრამიტი შიფერისაგან გაარჩიო, თუმც, მთელი მასა ერთ ტონში მოჩანს. სულ წინ, მთელი ამ სისველის ფონზე, ელვარე ზოლად მიემართება ჩვენი სხვენეები. ალვის ხეებს ფოთლები მთლად გაჰყვითლებია, მდელოები და თხრილის პირები მუქმწვანედ მოჩანს, ფიგურები კი – ისევ შავად. ყველაფერ ამას დაეხატაედი, უფრო სწორად, შეეცდებოდი, დამეხატა, მაგრამ მთელ დილას ტორფის მზიდავთა ფიგურებზე ვიჯახირე: ჩემი გონება ჯერაც ისევ გადატვირთული ამაზე ფიქრით, საეჭვოა, რამე ახალზე ფიქრი შევძლო.

შენი ნახეა ძალიან მინდა, ძალიან ხშირად გიგონებ კიდეც. რასაც ზოგიერთ პარიზელ მხატვარზე იწერები, – ქალები რომ ჰყავთ, შედარებით თავს ნაკლებად იზღუდაენ და, ალბათ, ცდილობენ, უკვე მიმავალ სიჭაბუკეს ჩაებღაუჭონ, – ჩემი აზრით, ძალზე კარგად შეგიმჩნეია. ასეთი ხალხი არათუ მანდ, აქაც არის. სასოწარკვეთას პარიზში ძალზე ბევრი მიეცა; მათ იმედი ციევად, გულგრილად, ლოგიკური ფიქრის შედეგად გადაიწყვიტეს. რაღაც ასეთი ტასარიზედაც წავიკითხე. ტასარი მიყვარს და ამიტომ გული მტკივა, მას რომ ასე დაემართა. მაგრამ მით უფრო პატიესაცემად მიმაჩნია, ვინც ასეთი სასოწარკვეთის გამკლავებას შეეცდება. მე ისიც მწამს, რომ წარმატების მოპოვება ბოლოს მაინც შეიძლება და ამიტომ მაშინაც კი, როცა დროებით დამარცხდები, სასო არ უნდა წარიკვეთო; თუ იგრძნობ, რომ ძალა საესებით გამოგელია, იმედს მაინც ნუ გადაიწყვეტ. პირიქით, ძალა მოიკრიბე, ისევ მხნეობა გამოიჩინე – თუნდაც საქმე სულ სხვაგვარად წაგიეიდეს, ვიდრე გეგონა.

არა, ძმაო, ვისზედაც შენ მწერ, ის ხალხი სულაც არ მეჯავრება. იმის გამო, რომ მათი ცხოვრება სერიოზულ და რიგიანად მოფიქრებულ პრინციპებს არ ეყრდნობა, განა უნდა შეიჯავრო? ჩემი აზრი ასეთია: ჩვენი მიზანი მოქმედებაა, მოქმედება, და არა რაღაც განყენებული იდეები. პრინციპებს ფასი მაშინ ექნება, როცა საქმედ გადაიქცევა; თუ ცდილობ, რომ აზრიანად გაატარო ყველაფერი, ეს კარგია, მაგრამ კარგია იმის გამო, ძალასა და ენერგიას რომ გაგიორკეცებს, საქმიანობის სხვადასხვა მხარეს გაგიმთლიანებს. ისინი, ვისზედაც იწერები, ჩემი აზრით, უფრო მტკიცენი იქნებოდნენ, თუ იმაზე, რის გაკეთებაც მიზნად

პქონდათ, მეტს იფიქრებდნენ; მაგრამ სხვა მხრივ ესენი იმათ უეჭველად მირჩევნია, ვინც პრინციპებით თავს იტესის და სრულიად არ წუხს, არც აპირებს, ეს პრინციპები პრაქტიკულად გამოიყენოს. ულამაზესი პრინციპებიც კი მათ არაფერში გამოადგებათ, მაშინ როცა, იმ პირველთა – ფიქრით აღძრულთა, ენერგიას აყოლილთა – შეიძლება, რაღაც დიადს მიაღწიონ, ვინაიდან დიადი საქმე აღტყინებით როდი იქმნება – პატარა-პატარა საქმეების თანდათანობით შეკოწიწებულ ჯაჭვს წარმოადგენს.

რა არის ხატვა? როგორ სწავლობენ? ამ საქმეს როგორ ეუფლებიან? ეს უნარია იმ უხილავ რკინის კედელში გაღწევისა, რასაც გრძნობ და რაც შეგიძლია, იმას შუა რომ აღმართულა. მაინც როგორ, რა გზით უნდა გააღწიოს ასეთ კედელში ადამიანმა? ჩემი აზრით, ამ კედელზე თავის ხეთქებით არაფერი გამოგივა; უნდა ნელა, მოთმინებით გამოამტვრიო, ძირი თანდათან გამოუთხარო. მაგრამ გინა შეიძლება, ასეთ საქმეზე თავაუღებლად იმუშაო, თუ საკუთარ ცხოვრებაზე არ იფიქრე, შენი ცხოვრება გარკვეული პრინციპების შესაბამისად არ მოაწყვე? ასეა არათუ ხელოვნებაში, არამედ ყველგან, ყველა სფეროში. დიადი რამ უბრალოდ არ მოდის. იგი უნდა მოიპოო. რომელია თავი და თავი, რა რად იქცევა: ადამიანის პრინციპები მის მოქმედებად თუ პირიქით, მოქმედება – მის პრინციპად, – ეს, ჩემი აზრით, გადაუჭრელი პრობლემაა და მისი გადაჭრა ისევე არ ღირს, როგორც არ ღირს იმის გარკვევა, თუ რა გაჩნდა უფრო ადრე – კვერცხი თუ ქათამი. მაგრამ თუ ცდილობ, აზროვნება და ნებისყოფა განვითარო, ეს უთუოდ კარგი საქმეა.

მაინტერესებს, როცა ნახავ, ჩათელი თუ არა საყურადღებოდ იმ ფიგურებს, ახლა რომ ეხატავ. აი, კიდევ ერთი პრობლემა, კვერცხისა და ქათმის არ იყოს: ფიგურები მაშინ უნდა დაიხატოს, როცა უკვე კომპოზიცია ნაპოვნია, თუ პირიქით, კომპოზიცია ცალკეულ ფიგურათა შეერთებით უნდა შედგეს? ეფიქრობ, ორჯერვე ერთ და იმავე შედეგს მივიღებთ, ოღონდ იმ პირობით, რომ ერთგულად იმუშაევებ. წერილს რითაც ამთავრებდი, მეც იმით უნდა დავამთავრო. ჩვენ ორივეს კულისებში შეხედვა გვიყვარს, სხვანაირად, ანალიზი გვიყვარს ყველაფრის. ეფიქრობ, ეს სწორედ ის თვისებაა, ურომლისოდაც ფერწერაში მუშაობა არ მოხერხდება: თუ ფერწერა და ხატვა გინდა, ამ უნარის განვითარება დაგჭირდება; შესაძლოა, ჩვენ ეს ნიჭი, ცოტად თუ ბევრად, ბუნებით დაგვყვა (იგი ორივეს უთუოდ გვაქვს – ამას უნდა ეუმადლოდეთ, ალბათ, როგორც ბავშვობის წლებს, რომელიც ბრაბანტში გაგატარეთ, ისე გარემოს, რომლის წყალობით, ფიქრი ვისწავლეთ); თუმც, ჩემი აზრით, მხატვრული ალღო უფრო გვიან ვითარდება, უფრო გვიან ყალიბდება, თანაც მხოლოდ შრომის წყალობით. არ ვიცი როგორ, მაგრამ შენ უნდა კარგი მხატვარი გამხდარიყავი. ვიცი, ასეთი მონაცემები შენში არის და ამ მონაცემთა განვითარება შეიძლება.

238. ამ დღეებში როლის სურათის – „მეშახტეთა გაფიცვის“ – მიხედვით ხეზე ნახატ დიდ გრავიურას ვუყურებდი – ჩემს კოლექციაში ესეცა მაქვს. შენ ამ მხატვარს, ალბათ, იცნობ. თუ ასეა, გამაგებინე, რა იცი მისი ან რა გინახავს. გრავიურაზე დახატულია შახტის ეზო და მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების ბრბო, რომელსაც, ალბათ, ეს-ეს არის, შენობაზე იერიში მიუტანია. ზოგიერთი აყირავებულ ეკიპაჟთან ჩამომჯდარა, ზოგი ფეხზეა, ცხენოსანი ჟანდარმები ცდილობენ, ისინი შეაკავონ. აი, ჭაბუკი ქვას დასწვდომია, ქალი კი ხელზე ეჭიდება, სურს,

შეაჩეროს. ხასიათები დიდებულია, ნახატიც ერთობ უხეში და თამამია; ეიცი, უთუოდ სიუჟეტის შესატყვისი ფერებით იქნება დახატული. კნაუსისა და ეოტიეს სურათებს არ გაგახსენებს. დეტალები სულ არ არის, დახატულია, როგორც იტყვიან, დიდი ენებით, განზოგადებით, მარტივად, სადად; ყველაფერში იგრძნობა სტილი. სურათი ძალზე ღრმადმეტყველია; განწყობილება, გრძნობები და მოძრაობები, ფიგურათა მოქმედება ნაჩვენებია ოსტატურად. გრაეიურამ ჩემზედაც და რაპარლზედაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა – ერთი ცალი მე ხომ რაპარლსაც გაეუგზავნე. რეპროდუქცია „ილუსტრასიონში“ გამოქვეყნდა, ოღონდ საქმაოდ დიდი ხნის წინ.

ინგლისელი მხატვრის – ემზლის – კიდევ ერთი გრაეიურა აღმომაჩნდა. სიუჟეტი ასეთია: მაშველი რაზმი შახტში ჩადის, რათა, თუ უკვე გვიან არ არის, დაშავებულ ამხანაგებს მიეშველოს. ქალები კი დგანან და ელიან. ასეთ სიუჟეტს ხელს იშვიათად მოკიდებს ვინმე. რაც შეეხება როლის სურათს, ერთხელ თავად შეეცდებით ასეთ სცენას, ზუსტად ასეთს და, ჩემი აზრით, მისი სურათი ლამაზი სწორედ იმიტომაა, ამბავი რომ ზუსტადაა გადმოცემული, დეტალებითაც სულ არ არის გადატვირთული. კოროს ნათქვამი გამახსენდა: „არის სურათი, რომელშიც თითქოს არაფერია, ყველაფერი კი ნათქვამიაო“. მთლიანად, მთელ კომპოზიციას, ხაზებს როლის სურათისას, ისევე როგორც, საერთოდ, კარგ ისტორიულ სამუშაოებს, რაღაც დიადი, კლასიკური იერი აქვს. ეს თვისება კი ჩვენს დროშიც ისევე იშვიათია, როგორც უწინ იყო, როგორც, საერთოდ, მუდამ იქნება. სურათი ოდნავ ჟერიკოს „მედუზას ტიეს“ მომაგონებს, მუნაჩისაც პგაეს.

ამ კეირაში ადამიანის რამდენიმე თაეი დაეხატე, რამდენიმე ბაეშეის ფიგურა და დაერდომილთა თაეშესაფრის ბერიკაცები. სწორია შენი შენიშვნები ჩემს პატარა ნახატებზე, კერძოდ, რომ ამბობ, ერთ-ერთი სკამი მოძველებული მანერით არის დახატულიო, მაგრამ მე ეს შეგნებულად გაეაკეთე. ალბათ, როდისმე, აი, ასე კიდევ დაეხატაე. რაც უნდა მომწონდეს იმ აეტორთა სურათები და ნახატები, ვინც ხატვის დროს განგებ ცდილა ნაზ-მონაცრისფრო პარმონიული ტონისა და ლოკალური ფერის შექმნას, მაინც მგონია, ბევრი მხატვარი, ვინც ამაზე ნაკლებ ფიქრობდა და ვისაც ახლა დრომოჭმულ მხატვრებს უწოდებენ, სამარადჟამოდ ახალგაზრდები დარჩებიან, რამეთუ მათ ხატვის მანერას საკუთარი აზრი პქონდა და კელაეაც შეინარჩუნებს. მართალი გითხრა, მე ვერ უარეყოფ ვერც ძველ მანერას, ვერც ახალმოდურს. ამ ორივე მიმართულებამ იმდენი რამ გააკეთა, გადაჭრით ვერც ერთს ვერ ეამყობინებ. ცელილებები, ხელოვნებაში თანამედროვე მხატვრებმა რომ შეიტანეს, მუდამ უკეთესს როდი გვიქადის, ყველა სიახლე – ხელოვნების ნიმუშებსა თუ თავად მხატვრების პიროვნებაში პროგრესს არ ნიშნაეს. ხშირად მეჩვენება, რომ ბევრ ჩვენგანს მხედველობიდან ეკარგება არა მარტო საწყისი წერტილი, არამედ მიზანიც; სხეა სიტყვით რომ ეთქეა, არჩეულ გზას აეცდებით ხოლმე.

კვლაე ეიმეორებ – იმ საღამოს პეიზაჟი საუცხოოდ გაქეს აღწერილი. დღეს აქ ყველაფერი სხვანაირია, სულ სხვანაირი, მაგრამ ძალზე თაეისებური, ძალზე ლამაზი. აი, თუნდაც რეინის რკინიგზის მიდამოები. წინა პლანზე – ნაყარი გზა და ალეის ხეები. ფოთლები უკვე ცვენას იწყებს. შემდეგ ლემნაიოდებული არხი მოჩანს, რომლის მაღალი ნაპირები ხშელ

ბალახსა და ლელს დაუფარაეს. ამის იქით ნაცრისფერი თუ მოყავისფრო-ნაცრისფერი კარტოფილის გადათხრილი მინდერები და მოიისფრო-წითელი და მომწვანო ფერის კომბოსტოს დიდი ნაკეთებია; ალაგ-ალაგ შემოდგომაზე ხელახლა წამოზრდილ სარეველათა ნორჩ სიმწვანეს დაინახავ, საიდანაც ფოთლებდამჭკნარი ცერცვის ღეროები ამოშეერილა, მოწითალო, მწვანე ან შავი ჭოტები რომ შერჩენია. ნაკეთებს იქით, ყვითელ ქვიშაში მოწითალო-ჟანგისფერი თუ შავი რელსები და ძველი შპალების გროვები მოჩანს, ნახშირის ზვინები და უვარგისი ვაგონები; მარჯვნივ, მაღლა – რამდენიმე სახურავი და სატვირთო საწყობი; მარცხნივ – ხედი ნოტიო, შორეული მდელოებისკენ, პორიზონტთან რომ მონაცრისფრო ზოლით თაედება. იქ კი თვალი გაარჩევს ხეებს, წითელ სახურავებს, ფაბრიკის მილებს. ყველაფერ ამას ზეცა დაჰყურებს – მოყვითალო, საერთოდ კი – ნაცრისფერი, ძალზე დაბალი, ციცი და კუშტი, საიდანაც ზოგჯერ წვიმა წამოვა და გუნდ-გუნდად გადმოიფრენენ დამშეული ყვავები. მაგრამ, ამის მიუხედავად, ყველაფერს სინათლე ეფინება, რაც კიდევ უფრო შესამჩნევი სწორედ იქ არის, სადაც თეთრად ანდა ლურჯად შემოსილი ფიგურები მოძრაობენ, მხრებსა და თავზე კი შუქი ეფრქვევათ.

ალბათ, პარიზი ბევრად უფრო სუფთა იქნება, სიციცითაც, ალბათ, ბევრად ნაკლებ ცივა. აქ კი სიცივე სახლშიც ატანს. ჩიბუხს რომ ეწევი, ჭირხლისაგან დანებტილი გეჩვენება. მაგრამ ეს ძალზე ლამაზია. ისეთი დღეა, მეგობართან წასვლა გინდა ან გსურს, შენთან მოიპატიჟო; ისეთი დღეა, თუ არავინ გეგულება, ვისთანაც წახვალ, ანდა შენთან არავინ მოვა, სიცარიელე მოგიღებს ბოლოს. მაგრამ სწორედ ასეთ დღეებში ვიგრძნობ ხოლმე, რა კარგია, საქმე რომ მაქვს, საქმე, რომელიც აზრს ანიჭებს ჩემს არსებობას – სულ ერთია, მოსწონს ვინმეს, რასაც ვაკეთებ, თუ არ მოსწონს. კარგია, რომ ნებისყოფა გამაჩნია, თორემ სვედა გამათავებდა.

დღეს ცოტა ხნით მოდელი ვიშოვე – ნიჩბიანი პატარა ბიჭი. ხელობით იგი კალატოზის დამხმარეა; საინტერესო ტიპი გახლავს – ბრტყელცხვირაა, მსხვილი, სქელი ტუჩები აქვს, გაფშეკილი თმა; თუმც, რასაც უნდა აკეთებდეს, მის ფიგურას მოხდენილობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, სტილი და რაღაც თავისებური ხასიათი არ აკლია. ჩემი აზრით, ამ ზამთარს კარგი მოდელები მეყოლება: საწყობის პატრონმა სიტყვა მომცა, თუ სამუშაოს სათხოვნელად ვინმე მოვა, ყველას შენთან გამოეგზავნიო – როცა საქმე შეცოტავდება, იქ ბევრი მიდის. ასეთ მოდელებს ერთ საღამოს ან ერთ დილას რამდენიმე მონეტას ეუხდი: მოდელის ხატვა ერთადერთ გზად მიმაჩნია წინსვლისათვის, სწორედ ეს მჭირდება. წარმოსახვის ჩაკვლა და ჩახშობა, რა თქმა უნდა, არ იეარგებს, მაგრამ შენი წარმოსახვა მძაფრიც და ზუსტიც სწორედ ნატურის შესწავლამ და განუწყვეტლივ მასთან ბრძოლამ უნდა გახადოს. იმედი მაქვს, მომავალ კვირას ამ ბიჭს ისევ მოვიგდებ ხელში. შევეცდები, ისე დავხატო, თითქოს ქვით დატვირთულ ნავს ბაგირით მიათრევდეს, ასეთ სურათს კი ამ ჩვენს არხზე ხშირად ნახავ.

გარეთ ხატვა უკვე მოთავდა, ესე იგი, გარეთ მშვიდად დაჯდომა და მუშაობა არ შეიძლება – უკვე აციედა. ამიტომ საზამთრო ბინის ძებნა დამჭირდება. სიამოვნებით ველოდები ზამთრის დადგომას – რეგულარული მუშაობისთვის ზამთარი ყველაზე კარგი დროა. იმედია, ჩემი საქმე

კარგად იქნება. როგორც შენთვის ცნობილია, უერწერასა და აკვარელში გაცილებით წინ წაეწიე, ვიდრე მეგონა; სამაგიეროდ, გამიჭირდა. თუმც, ამის გამო მუშაობას არ შეეანელებ – რამენაირად ოაეს გაეიტანთ. სამუშაოს ხასიათი ოდნავ შეეცვალე, მოდელებთან ბევრს ემუშაობ და ესეც საკმაოდ ძვირი მიჯდება, მაგრამ თუ ქისას ეაცარიელებ, საქაღალდეებს ეაესებ და ეაესებ.

თუ ოცამდე მთელ თანხას ვერ მოაგროვებ, საწილი მაინც გამომიგზავნე, თანაც როგორმე ერთი დღით ადრე და არა გვიან, რადგან ამ დღეს ერთი კვირის ბინის ქირა უნდა მიეცე. სახლი კლაე მომწონს, თუმც ერთი კედელი მეტისმეტად ნესტიანია. მოდელების სახატაეად ეს ბინა უფრო მოხერხებული მეჩვენება, ვიდრე ჩემი წინანდელი სახელოსნო. ერთდროულად რამდენიმე მოდელის ხატვაც შემიძლია, მაგალითად, შემიძლია ორი ქოლგიანი ბაეშვის დახატვა ან ორი ქალისა – ერთად რომ დგანან და საუბრობენ, კაცის და ქალისა, ხელკაეით რომ მოსეირნობენ, და ა.შ. მაგრამ რა სწრაფად გაირბინა ამ გაზაფხულმა, ამ ზაფხულმა! ზოგჯერ მგონია, წლეულანდელი შემოდგომა პირდაპირ შარშანდელს მოკვეა-მეთქი; თუმც, ასეთი შთაბეჭდილება, შესაძლოა, ავადმყოფობის ბრალიც იყოს. ახლა საესებით ნორმალურად ვარ, თუ არ ჩათელით დაღლილობას. ზოგჯერ დილითვე ან შუადღიდან სისუსტეს ეგრძნობ, უხალისობას. ახლა კი ასე უფრო ხშირად მემართება, თუმც ყურადღებას აღარ ვაქცევ, თორემ მართლა ავად გავხდები; მე კი ჩემს თაეს ამის ნება არ უნდა მიეცე – ძალიან ბევრი სამუშაო მაქვს. ასეთ დღეებში სპევენინგენში ან სადმე სხვაგან დიდხანს ესეირნობ და ეს მშველის.

239. აი, კვირა ისევ მოვიდა და ისევ წვიმს, როგორც ყოველთვის. ამ კვირაში ქარიშხალი ამოვარდა, ხეებს ორიოდ ფოთოლიღა შეარჩინა. დამიჯერე, მსიამოვნებს, ცეცხლი რომ მინთია. როცა ამ დილას ჩემს ნახატებს ეაწესრიგებდი, – ეგულისხმობ შენი აქ ყოფნის დროს გაკეთებულ ეტიუდებს (იმ ძველებზე, ალბომში რომ ვიხატაედი, აღარას ვამბობ), დაეითეალე და კარგა ბლომად გამოვიდა – ასი ცალი. აი, ეს ციფრი რატომ გიხსენე: მაგონდება, აქ რომ იყაეი, შემეკითხე, გარდა იმისა, რაც ახლა ვნახე, სხვა ნახატებიც ხომ არა გაქვსო. არა მგონია, სხვა. მხატვრები ამაზე მეტს მუშაობდნენ, განსაკუთრებით, აი, ისინი, ვინც ჩემს სურათებს ქედმაღლურად უცქერიან და ყურადღების ღირსად არ თელიან. გარდა ამისა, არა მგონია, მოდელის ხატვაზე უკეთესი ხერხი იცოდნენ; ამ საქმეს კი, ჩემი აზრით, ნაკლებ მისდევენ; ადრეც გწერდი, ვერ გამიგია, მოდელებს უფრო ხშირად რატომ არ ხატაენ? რა თქმა უნდა, ისეთ მხატვრებს არ ეგულისხმობ, როგორიცაა მაუეე ანდა ისრაელსი, რამეთუ ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, მოდელებზე განუწყვეტელი მუშაობის საუცხოო მაგალითს გვაძლევს; ეგულისხმობ დე ბოკის და ბრეიტნერისმაგვარ მხატვრებს. ბრეიტნერი იმის შემდეგ, ავად რომ იყო და საავადმყოფოში ვინახულე, აღარ მინახაეს. შემთხვევით გაეიგე, უმაღლეს სკოლაში ხატვას ასწაელისო; თვითონ კი ამაზე სიტყვაც არ უთქვამს.

ამ კვირაში რაპარდისგან წერილი მიეიღე. ბევრი აქაური მხატვრის ქცევა მასაც აოცებს: „არტის" გამოფენაზე მისი სურათი არ მიიღეს. მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: ეს რას ნიშნავს, იქნებ იმას, რომ მე და რაპარდს არაფრად გვთელიან? დამიჯერე, რაპარდი ბევრს შრომობს.

ამ ზაფხულს დრენტეში გაემგზავრა, მერე კი დიდხანს მუშაობდა უტრეხტის უსინათლოთა საავადმყოფოში. მაინტერესებდა, რას განიცდიდა – თურმე სუ იტყვი, იმას, რასაც მე. ადრეც გწერდი, ზოგჯერ საოცრად მომენატრები. ჩვენ რომ ერთმანეთს ხშირად ვხედებოდეთ, ჩემს სურათებზე ლაპარაკი რომ ხშირად შეგეძლოს, რა თქმა უნდა, მეტს დავხატავდი. იმ ეტიუდების საფუძველზე, რაც ახლა მაქვს, ეიცი, მეტის გაკეთება შეიძლებოდა. ალბათ, გახსოვს, ამას წინათ კარტოფილის ბაზრის ფერადი ეტიუდი რომ გამოგიგზავნე, გწერდი კიდეც, ქუჩის რია-რია ხელახლა უნდა დავხატო-მეთქი. თორმეტი აკვარელი, ახლა რომ ვხატავ, სწორედ ამის შედეგია; ერთი სიტყვით, იმის თქმა როდი მინდა, თითქოს ჩემი ეტიუდებით არაფრის შექმნა არ შემეძლოს ანდა უმისნოდ ვაკეთებდე ამ ეტიუდებს. მარტოოდენ ის მინდა ვთქვა, რომ, ჩემი აზრით, უფრო მეტის გაკეთებას მოვახერხებდი, უფრო მისანდასახული ეტიუდებიც მექნებოდა, თუ ხანდახან შენს დარიგებას მოვისმენდი. ამ ხნის მანძილზე მაინც დიდი სიამოვნებით ვიმუშაე და, იმედი მაქვს, როცა ჩამოხვალ, ჩემს სურათებში ზოგი რამ ისეთიც მოიძებნება, რომელიც, ალბათ, მოგეწონება.

ჩემი აზრით, თუ ვინმეს ფიგურებზე მუშაობა განუზრახავს, სიყვარული უნდა ამოძრაებდეს, ისეთი კაცი უნდა იყოს, „პანჩი“ თაეის საშობაო ნომერში რომ „კეთილი ნების ადამიანად“ მოიხსენიებს; ესე იგი, ისეთი კაცი, ეისაც მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული შეუძლია. შეეცდები, ამ განწყობაზე, რაც შეიძლება, ხშირად ვიყო. ვნანობ, მხატვრებთან მისვლა-მოსვლა რომ არა მაქვს. როგორც გწერდი, არავინ მყავს, ვისთან ერთადაც, აი, ასეთ წვიმიან დღეს ნახატებისა და გრავიურების გადასახედად ცეცხლს გულმშვიდად მივუჯდებოდი. ასე ერთმანეთს სამუშაოდ წავაქეზებდით, მუშაობის სურვილს და ხალისს შევმატებდით.

ერთი რამ მინდა შეგეკითხო: არის თუ არა გასაყიდად დომიეს იაფფასიანი ლითოგრაფიები და თუ არის, რომლებია? იგი მუდამ დახელოვნებულ მხატვრად მიმაჩნდა, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხანია, რაც დაერწმუნდი, რომ ბევრად მნიშვნელოვანი მხატვარია, ვიდრე მეგონა. თუ დომიეზე დაწერილებით ოცი რამე ანდა შენთვის ცნობილია მისი რომელიმე მნიშვნელოვანი ნამუშევარი, გთხოვ, მომწერო. ადრე დომიეს მხოლოდ ზოგი კარიკატურა მქონდა ნანახი. იქნებ სწორედ ამან შემიქმნა ასეთი მცდარი წარმოდგენა. ფიგურები მუდამ უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლმე, მაგრამ, როგორც ჩანს, დომიეს ის სურათები, რომელთა შორის კარიკატურებს მნიშვნელოვანი ადგილი არ უკავია, ცოტა მინახავს.

მაგონდება, შარშან მე და შენ პრინსენგრაში რომ მიედიოდით, ამის შესახებ რას ვამბობდით: შენ თქვი, დომიე გაყარნიზე მეტად მიყვარსო. მე კი გაყარნის ეუჯერდი მხარს და გაყარნიზე დაწერილი წიგნის შესახებ მოგიყვები, რომელსაც მაშინ ვკითხულობდი. ეს წიგნი ახლა შენთანაა. გამოგიტყდები, იმის შემდეგ გაყარნიზე გული სულაც არ ამიყრია, მაგრამ დაეჯჭედი: ალბათ, დომიეს ნამუშევართა ძალზე მცირე ნაწილს ეიცნობ, ჩემთვის ყველაზე საინტერესო სურათები, ალბათ, მისი მემკვიდრეობის სწორედ იმ ნაწილს განეკუთვნება, რომელიც მე არ მინახავს და არ ვიცი-მეთქი (თუმცა, მისი სურათების ჩემთვის ცნობილ მცირე ნაწილსაც ფრიად ვაფასებ). ბუნდოვნად ისიც მაგონდება, თუმცა, იქნებ ვცდები კიდეც, რომ დომიეს დიდ ნახატებზე მიამბობდი – უბრალო ხალხი

რომ პყოლია დახატული; საინტერესო იქნებოდა, მენახა ეს ნახატები. თუ დღმიეს სხეა ისეთი სურათებიც აქეს, როგორიცაა გრაეიურა, ამას წინათ რომ შემთხვეეით ენახე, კერძოდ, „ლოთის ხუთი ასაკი“ ანდა თუნდაც წაბლის ქეეშ მჯდარი ბერიკაცი, რომელზედაც უკეე მოგწერე, მაშინ ყეელაზე დიდი მხატეარი ის ყოფილა. არ შეგიძლია, ამ მხრიე ცოტა გამანათლო? გახსოეს ჩემი „ულენშპიგელის“ სიუჟეტზე დახატული დე გრუს ფიგურები, რომელიც მერე, საშწუხაროდ, დამეკარგა? ზემოხსენები გრაეიურები იმ ფიგურებს პგაეს. თუ შეგიძლია, რამე ასეთი კიდეე მიშოვე (კარიკატურები ბეერად ნაკლებ მაინტერესებს). აბა, რა ექნა, ჩემო ბიჭუნა, ერთ რამეს მაინც დაგპირდები: როცა ჩამოხეალ, აკეარელებს და ზეთით ნახატ ეტიუდებს რომ გადმოგილაგებ, გთხოე, უთუოდ საკალალდესაც გადახედო, რომელშიც ასი ნახატი იქნება – სულ ფიგურები. ეს ასი ნახატი, თუ რამდენიმე ძეელ ნახატსაც ამას მიეათელით, ფაქტიურად უკეე მზად მაქეს. თუმცა, ეიდრე ჩამოხეიდოდე, რაც კიდეე არ მომწონს, შეეცდები, გამოეცეალო, შეეცდები, არჩეული ნახატები ერთფეროეანი არ მოგეჩეენოს.

240. *1 ნოემბერი, 1882.* ბოლო დღეებში შეპყრობილი ეარ ერთი ფიქრით, რაც შენთეისაც არ იქნება უინტერესო და, ალბათ, სწორად მოეიქცეეი, თუ დაწერილებით მოგწერ ყეელაფერს. რაპარდისგან, წერილთან ერთად, მიეიღე პუბერტ პერკომერის ერცელი სიტყეის რეზიუმე ხეზე ნახატ თანამედროეე გრაეიურაზე. ყეელაფერს დაწერილებით ეერ მოგიყეები, თუმც, შესაძლოა, ეს სტატია უკეე თაეადაც წაიკითხე (დაბეჭდილია რომელიღაც ინგლისურ ჟურნალში, იქნებ „არტ ჯორნალ“შიც“). სტატია ძირითადად „გრაფიკის“ ნახატებს შეეხება. აეტორი ყეება, რა უდიდესი გულმოდგინებით თანამშრომლობდა ამ ჟურნალში, რა აღმაფრენით აკეთებდა ყოეელიეეს; განსაკუთრებით თბილად იგონებს პირეელი ნომრების მშეენიერ გეერდებს. სიტყეა არ პყოფნის, ჟურნალის პირეელ თანამშრომელთა მუშაობის უდიდესი მნიშენელობის გამოსათქმელად; მიმოხილაეს წარმატებებს ტექნიკაში, ძიუთითებს, რა ასხეაეებს ერთმანეთისგან ხეზე ნახატ ძეელსა და ახალ გრაეიურებს და ა.შ.

ამის შემდეგ პერკომერი ჩეენს დღეებზე ლაპარაკობს და გადადის თაეისი სიტყეის ძირითად მუხლზე. მიუთითებს: „ხეზე მომუშაეე გრაეიორები დაოსტატდნენ, როგორც არასდროს, მაგრამ როცა დღეეანდელ დღეს „გრაფიკის“ დაარსების ხანას ეადარებ, დაკნინების ნიშნებს ეხედაეო“. შემდეგ განაგრძობს: „ჩემი აზრით, უბედურების მიზეზია მხოლოდ ორი რამ, პროტესტსაც სწორედ ამის გამო ეაცხადებ. ერთი ეხება გამომცემლებს, მეორე – მხატერებს. ერთნიცა და მეორენიც ცდებიან და თუ ეს შეცდომები არ გამოსწორდა, საქმე უარესად წახდებაო“. გამომცემლებიო, ამბობს პერკომერი, ეფექტებისთეის გამიზნულ სურათებს მოითხოეენ: „კეთილსინდისიერი ნახატი აღარ სჭირდებათ. სრულყოფილი ნახატები აღარ საღდება; მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ უნდათ: ნახატი იყოს თეალშისაცემი, ისეთი, რომ თაეისუფალ ადგილს აესებდეს. გამომცემლები აცხადებენ, ხალხი მოითხოეს მიმდინარე ამბების ასახეას, კმაყოფილია, თუ ეს ამბები სწორად და თანაც თაეშესაქცეედ აისახება, ხოლო სურათის მხატერული მხარე მისთეის სულაც არ არისო საინტერესო. მე არ მჯერა გამომცემელთა ამ განცხადების. ერთადერთი, რაც გამომცემლებს თითქოს ამართლებს, ის არის, რომ კარგი ხატეა დღეს ძალიან ცოტამ იცისო“.

შემდეგ პერკომერი მხატვრებზე გადადის. დასანანია, რომ ჩვენს დროში ანაბეჭდის სილამაზეს უფრო მეტად გრაფიორზეა დამოკიდებული, ვიდრე მხატვარზე, ამბობს იგი და მხატვრებს მოუწოდებს, ასეთი რამ არ დაუშვან, ხატონ მკაცრად და ენერგიულად, გრაფიორს კი თავისი ადგილი მიუჩინონ, დაე, იცოდეს, რომ ის მხატვრის აზრებსა და გრძნობებს უნდა გამოხატავდეს და არა საქმეს განაგებდეს. ამას უკვე დასკვნა მოჰყვება – დაჟინებული მოწოდება, რომ მხატვრებმა თავიანთ საქმეს სული და გული ჩააქსოვონ, საკუთარ თავს მცირე სისუსტის ნებაც არ მისცენ. აქ იგრძნობა საყვედურიც. ერთგვარი სევდით და მისთვის მიუღებელი საყოველთაო გულგრილობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტითაც ასკვნის: „საზოგადოებაც, ხელოვნება შენ უსაზღვრო ნეტარებას განიჭებს და ჭკუას გასწავლის. ხელოვნების ნაწარმოები შენთვის იქმნება, მაშ, მოითხოვე ნამდვილად კარგი ნამუშევრები და იცოდე, მიიღებ კიდეცო. პერკომერის ეს სტატია თავიდან ბოლომდე ჯანსაღი და ძლიერია, სინდისიერად დაწერილი. პერკომერის ორატორულ მანერას კი ისეთივე ზეგავლენა აქვს, ისეთივე ღრმა და ძლიერი შთაბეჭდილება შეუძლია მოახდინოს, როგორც მილეს ზოგიერთ წერილს: შთაგონებას და ძალას გმატებს, გულს უხარია, როცა ვინმე, აი, ასე ლაპარაკობს.

დასანანია, ამჟამად რომ ასე ნაკლებ აინტერესებთ ის ხელოვნება, რომელსაც ძალუძს, ფართო საზოგადოებას, საერთოდ, ყველა ხელოვნებაზე უკეთესად ემსახუროს. მხატვრები რომ გაერთიანებულიყვნენ, რათა მათი ნამუშევარი (ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ ხალხისთვის ხატავენ, ჩემი აზრით, ყოველი მხატვრის უმაღლესი და ყველაზე უფრო კეთილშობილური მოწოდება სწორედ ეს არის) ხალხის ხელში მოხვედრილიყო და ყველასათვის მისაწვდომი გამხდარიყო, იქნებ ამას ისეთივე შედეგები მოჰყოლოდა, როგორსაც „გრაფიკმა“ მიაღწია არსებობის პირველ წლებში. წელს ნეიპეისი, ვან დერ ველდენი და ორიოდე სხვა მხატვარი ნახატებს ყოველთვიურ ჟურნალ „დე ზუალუვისთვის“ აკეთებდნენ, 7,5 ცენტი რომ ღირს. ზოგი ნახატი კარგია, მაგრამ უმეტესობა უგემურად ნაკეთებია (არა ჩანაფიქრის, არამედ რეპროდუცირების მანერის მხრივ); პოდა, ასე თქვეს, წინამორბედ ჟურნალებზე უფრო დიდხანს ეს ჟურნალიც ვერ გაძლებსო. მერედა, რატომ? წიგნით მოვაჯრენი ამტკიცებენ, არ საღდებაო და იმის ნაცვლად, რომ რამენაირად გააერცელონ, გამოცემას ამცირებენ. ეფიქრობ, ეს ამბავი ჩვენს მხატვრებსაც არ ხედებათ გულზე. აქ, პოლანდიაში, ზოგ მხატვარს რომ შეეკითხო, ხეზე ნახატი გრაფიურა რა არისო, გიპასუხებს: ის, რაც „სამხრეთ პოლანდიის კაფეებში იშოვებაო“. ამგვარად, ისინი გრაფიურებს სასმელებთან აიგივებენ, ხოლო მათ, ვინც ამ გრაფიურებზე ამდენს მუშაობს, ლოთებად თელიან. მოვაჯრენი რაღას ამბობენ? ეთქვათ, რომელიმეს ჩემ მიერ ძლივს შეგროვებული, აი, ეს ასი ჩანახატი მიეუტანე. ეჰი, რომ, ალბათ, ასე მეტყვის: „ნუთუ გგონიათ, რომ ამ ნახატებს მართლა რაიმე ღირებულება გააჩნიაო?“ ჩემი სიყვარული და პატივისცემა გავარნის დროის – ისევე როგორც, ჩვენი დროის – ნახატის უდიდეს ოსტატთადმი მით უფრო იზრდება, რაც ამ მხატვართა ნამუშევრებს მეტად ვეცნობი, განსაკუთრებით, რაც მეტად ვცდილობ, ჩაეიხატო ზოგი რამ მაინც, რასაც ყოველდღე ქუჩაში ეხედავ.

იმის მიზეზი, რომ პერკომერს, ფილდზს, პოლსა და „გრაფიკის“ დანარჩენ დამაარსებლებს ასე ეფასება, იმის მიზეზი, რომ ისინი გაეარნისა და დომიეზე მეტად მომწონს და მომაეალშიც მათზე მეტად მომეწონება,.

შემდეგია: როგორც გაეარნი, ისე დომიე საზოგადოებას გესლით შესცქერიან, მაშინ როცა ჟურნალ „გრაფიკის“ ფუძემდებელსი – მილეს, ბრეტონის, ისრაელსის, დე გრუსი არ იყოს, თუმც ისეთსაეე ნაღდ სიუჟეტებს ეძებენ ხოლმე, როგორც გაეარნი ასდა დომიე, მაგრამ სურათებში კეთილშობილებას მეტს აქსოეენ, უფრო სერიოზული განწყობით ხატაეენ. ეფიქრობ, ამის შენარჩუნება განსაკუთრებით საჭიროა. მხატეარი როდია ეალდებული, მღედელი იყოს ანდა მნათე, მაგრამ ადამიანებს უსათუოდ გულთბილად უნდა ექცეოდეს; მე, მაგალითად, ჟურნალ „გრაფიკის“ პოზიცია მართლაც უმაღლეს კეთილშობილებად შიმაჩნია, რაკი რეგულარულად, ყოეელ ზამთარს რაიმე ნაბიჯს გადადგამს ხოლმე ღარიბთადმი თანაგრძნობის გასაღეიეებლად. აი, მე მაქეს ეუდეილის ერთი ანაბეჭდი – ირლანდიაში ტორფის ტალონების დარიგება; სტენილენდის ანაბეჭდი, „დაეხმარე დამხმარეებს“ – სცენები ღატაკი საეაღმყოფოს ცხოერებიდან, პერკომერის „შობის დღესასწაული ობოლთა სახლში“, ფილდზის „მშიერნი და უსახლკარონი“ და ა.შ. ეს სურათები ბერთოლის ანდა სხეა ასეთ მხატეართა „ეი ელეგანტისა“ და დანარჩენი ელეგანტური გამოცემებისთეის დახატულ სურათებს მირჩეენია. შესაძლოა, ჩემი წერილი მოსაწყენი მოგეჩეენოს, მაგრამ რას იზამ – ეს ყეელაფერი ჩემს ხსოენაში ისე გაცოცხლდა. შეეაგროეე და დაეახარისხე ჩემი ასი ეტიუდი და, საქმეს რომ მოერჩი, მწარე ნაღეელით ამეესო გული: „რა საჭირო იყო-მეთქი?“ მაგრამ, შემდეგ, პერკომერის ენერგიულმა მოწოდებამ – უკან არ უნდა დაეიხიოთ, ენერგიული მუშაობა სწორედ ახლაა საჭიროო, – მანუგეშა და გადაეწყეიტე, მისი სიტყეის შინაარსი შენთეის მოკლედ მომეწერა.

241. შენ რომ საკითხი წამოაყენე, ალბათ, თანდათან გამწეაედება. ადამიანები იძულებულნი გახდებიან, აღიარონ, ძალზე ბეერი რამ იმ სიახლიდან, რასაც პირეელად წინ გადადგმულ ნაბიჯად თელიდნენ, სინამდეილეში, ნაკლები ღირებულების მქონე ყოფილა, ეიდრე ძეელი ხელოენება; ესე იგი, საჭიროა ძლიერი ხალხი, ყეელაფერს რომ წონასწორობას დაუბრუნებს: მაგრამ რაკი ლაპარაკით საქმეს არა ეშეელება რა, სხეა რამის თქმა უკეე ზედმეტად შიმაჩნია. მაგრამ, ამის მიუხედაეად, ეერ ეიტყეი, თითქოს შენს აზრს ეიზიარებდე: ბუნებრიეია, სასურეელი ცელილებები უსათუოდ მოხდებაო. აბა, დაფიქრდი, რამდენი დიდი ადამიანი გარდაიცალა, რამდენიც მალე გაგეშორდება. მილე, ბრიონი, ტროიონი, რუსო, დობინი, კორო და სხეები აღარ არიან. უფრო ადრე რამდენი წაეიდა! – ლუისი, გაეარნი, დე გრუ (მხოლოდ ზოგიერთს ეასახელებ), მათზე წინ კი – ენგრი, ჟერიკო, დელაკრუა. თანამედროეე ხელოენებაც ხომ ახალგაზრდა აღარ არის. დასახელებულთ მრაეალი და კიდეე მრაეალი ხანდაზმული მხატეარი უნდა მიუმატო. ჩემი აზრით, მილესა და ჟიულ ბრეტონამდე წინსელა კიდეე შეიმჩნეოდა; მათ ჯობნაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. მათი გენიის შესადარნი წარსულში, ალბათ, იქნებიან, მათი ტოლი აწმყოსა და მომაეალშიც მოინახება, მაგრამ ჯობნა არ შეიძლება. ორი დიდი გენიოსის შედარება შეიძლება, მწეერეალს კი უკეე ეერარ ასცდები. ისრაელსი, მაგალითად, ალბათ, მილეს ტოლი იქნება, მაგრამ როცა გენიოსებზე ელაპარაკობთ, ჯასაცილოა თაეის მტერეეა, რომელი რომელზე მაღლა დგასო.

მაშასადამე, ხელოენებაში მწეერეალი უკეე აღებულია. უეჭეელია, მომაეალში საუცხოო სურათები კელაე შეიქმნება, იმაზე დიადს კი, რაც უკეე გეინახაეს, ნუღარ ეელით. მე, პირადად, მეშინია, ორიოდე წელი

რომ გაეა, ხელოვნებაში პანიკა არ ატყდეს. მილეს შემდეგ ძალზე დაეჭვისდით; სიტყვა დეკადანსი, ჯერაც რომ ჩურჩულით წარმოთქვამენ ანდა ჩქმალაენ (იხ. კერკომერი), ძალიან მალე საგანგაშო ზარიგით დარეკავს. ბევრი, – თვით მეც, – ამჟამად დუმს, რამეთუ უკეთური კაცის სახელი აქვს, აქ კი თაეს ვეღარ გაიმართლებ. ამით, უბრალოდ, ის მინდა ეთქეა, რომ საჭიროა არა ბევრი ლაპარაკი, არამედ შრომა; უნდა იშრომო, თუნდაც გული მწარედ გტკიოდეს. ვინც მომაეალში დეკადანსზე სხვებზე ხმამაღლა ილაპარაკებს, ყველაზე აშკარა დეკადენტი თვითონ იქნება. ამიტომაც ვიმეორებ: მხატვრებზე მათი ნამუშევრის მიხედვით უნდა ვილაპარაკოთ. ის, ვინც ყველაზე სწორს ლაპარაკობს, უსათუოდ დანარჩენებზე ენაწყლიანი როდია ხოლმე. აი, თუნდაც პერკომერი და მისი მსგაესნი – ორატორობის არა სცხიათ რა, თითქმის უგულოდ, უნდომლად ლაპარაკობენ. მოეათაოთ. დიდ ადამიანებს შენ კარგად იცნობ, მათზე საკმაოდ ბევრი რამ იცი, მეც ბედნიერი ვარ, თუ ხანდახან ისეთ რამეს გამაგებინებ, რაც მანამდე არ ვიცოდი, მაგალითად, დომიეზე რომ იწერები – „დეპუტატთა პორტრეტების“ და ა.შ. სერიაო, სურათებიო – „მესამე კლასის ვაგონი“ და „რეეოლუცია“ – მე ხომ ამაზე არაფერი გამეგონა. ეს სურათები არ მინახაეს, მაგრამ შენ ისე ამიწერე, დომიე ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვან პიროვნებად გადაიქცა. ამ ხალხის ამბებს გაცილებით სიამოვნებით ვისმენ ხოლმე, ვიდრე თუნდაც უკანასკნელი სალონისას.

ახლა კი იმაზე ვილაპარაკოთ, რასაც „ახალ ქაღალდზე“ იწერები ან, უფრო სწორად, იმ ხარისხის ქაღალდის შესახებ, რომელსაც ბიუგო დაგპირებია. ეს ძალზე მაინტერესებს. მართლა ასეა? ქაღალდი მთლად ისეთია, რომ რაც მასზეა დახატული (ალბათ, აეტოგრაფული მელნით), მეორე მხატერის, გრაეიორის თუ ლითოგრაფის დაუხმარებლად შეიძლება ქაზე უცელელად გადაიღო ანდა კლიშე დაამზადო და განუსაზღერელი რაოდენობის ანაბეჭდები გააკეთო? ანაბეჭდები ნუთუ მართლა ორიგინალის ზუსტ რეპროდუქციებს წარმოადგენს? თუ ასეა, სიკეთე ჰქენ და ამ ქაღალდზე მუშაობის წესის შესახებ რასაც გაიგებ, ყველაფერი შემატყობინე. შეეცადე, ქაღალდიც მიშოეო, რათა ორიოდ სინჯი აეიღო. თუკი ამას შენს ჩამოსელამდე მოეახერხებ, მერე გაეარკეეთ, რა შეიძლება ამ საქმიდან გამოეიდეს. ჩემი აზრით, შესაძლოა, შედარებით მოკლე ხანში, ილუსტრაციებზე მოთხოვნილება გაიზარდოს. ყველა მოღელს რომ დაეხატაე, რასაც ეიშოეი, საქაღალდეს მოდელების ეტიუდებით მთლად რომ გაეაესებ, იმედი მაქეს, უკეე ისე დაეოსტატდები, სამუშაოს შოენა აღარ გამიჭირდება. მუდმივად რომ ილუსტრირებაზე იმუშაო, ისე როგორც თაეის დროზე მორენი, ლანსონი, რენუარი, ქიულ ფერა ანდა ეორმი მუშაობდნენ, მასალა ბევრი უნდა გქონდეს – სხვადასხვაგვარ სიუეტზე დახატული უამრაეი ეტიუდი. როგორც იცი (ხოლო როცა აქ ჩამოხვალ, ყიდეე უფრო დარწმუნდები), მეც იმას ვცდილობ, რომ ასეთი ეტიუდები შეეაგროვო...

რაკი სიტყვამ მოიტანა, გამოიცანი, დილას ადრე ეის პორტრეტს ეხატაედი? ეისას და – ბლოკისა, წიგნით მოეაჭრე ებრაელისა – დავითის კი არა, ბინენპოფზე რომ მაღაზია აქეს, იმ ჩია კაცისა. ნეტაე შემძლებოდა, ამ ოჯახის სხეა წეერებიც დამეხატა – თაეისებური ტიპები არიან. ისეთი მოდელების ხელში მოგდება, რომლებიც მოგწონს, მეტად ძნელია; ჯერჯერობით, ჩემთეის ისიც საკმარისია, იმათ რომ ეხატაე,

ეისაც ეშოულობ. ამაეე დროს, მხედეელობიდან არც იმათ ეკარგავ, ეისი ხელში ჩაგდება და დახატეაც მინდა... რა თქმა უნდა, მუშაობის დროს რაღაც ერთგეარ უკმარისობას მუდამ განიცდი: ეს სწორედ ასეც უნდა იყოს; უნდა ცდილობდე, რასაც ხატავ, გაცილებით უკეთ დახატო; მაგრამ ათასგეარ ფიგურათა კოლექციის შეგროეება კარგი საქმეა: რაც მეტს ხატავ, მეტი და მეტი გისდა, ხატო. ცხადია, ყეელაფრის ერობაშიც კეთება არ შეიძლება, მაგრამ ცხენების ეტიუდებიც უნდა ეხატო, თანაც ქუჩაში გაკეთებული ჩანახატები როდი მისდა, საჭიროა მოდელიდან დახატული ეტიუდები. ერთი ბებერი თეთრი ცხენი შეეიგულე (გაზის ქარხანაში); ამაზე უფრო საცოდაე ჯაგლაგს ეერ წარმოიდგენ, მაგრამ პატრონმა, საწყალ პირუტყეს ათასგეარ მძიმე სამუშაოს რომ აკეთებინებს და სიქას აცლის, ერთობ ბეერი მოითხოეა – ყოეელ დილას სამი გულდენი, თუკი ჩემთან თეითონ იელის, ხოლო, სულ ცოტა, გულდენ-ნახეეარი, თუ მე ეიელი ქარხანაში; ეს კი მხოლოდ კეირაობით შეიძლება. თუ იმასაც გაეიხსენებდით, სასურეელი რაოდენობის ეტიუდებს, ეთქეათ, ოცდაათ დიდ ეტიუდს რომ ერთი დილა არ ეყოფა, ცხადი გახდება – ამ საქმეს ჩემი ღარიბი ჯიბე ეერ გასწედება. თუმც, მომაეალში იქნებ რამე გამოსაეალი გამოინახოს. ცხენი, შემიძლია, აქაც ეიშოეო, თანაც იოლად, მაგრამ ცოტა ხნით – ხალხს ზოგჯერ უჟეარს, ასეთ თაეაზს რომ გამოიჩენს. მაგრამ ასე მოკლე ხანში ეერ მოასწრებ, რაც საჭიროა. ჰოდა, აბა, მათი თაეაზი რაში მარგია. სხეა რა გზა მაქეს, ეცდილობ, სწრაფად ეიმუშაო; ხეირიან ეტიუდს კი ნახეეარი საათი მაინც უთუოდ უნდა, ამიტომ ისეე ნამდეილ მოდელებს ეხატაე ხოლმე. მაგალითად, სეეენინგენში, პლაჟზე ეხატაედი მამაკაცსა და ერთ ბიჭუნას; „ერთი წუთით გაეჩერდებითო", ასე მითხრეს. მაგრამ მე მინდა, ცოტა დიდხანს გამიჩერდნენ: აღარ მყოფნის, როცა კაცი ანდა ცხენი მხოლოდ „ერთ წუთს" გამიჩერდება.

თუ არ ეცდები, „გრაფიკის" მხატერებს, როცა რიგი მოუწეედათ, სახელოსნოსა თუ რედაქციაში მოდელის ხატეის შესაძლებლობა ყოეელთეის პქონდათ. დიკენსი საინტერესო ამბებს გეიყეება თაეისი დროის მხატერებსა და მათი მუშაობის მანკიერ მეთოდზე – მოდელის ასლს მონურად რომ იხატაედნენ, ხოლო ეს ასლი არც იყო ხოლმე ბოლომდე სწორი. იგი ამბობს: „მეგობრებო, სცადეთ, გაიგოთ, რომ მოდელი თქენი საბოლოო მიზანი როდია; ის არის მხოლოდ საშუალება, რის წყალობითაც თქენს ფიქრსა და შთაგონებას ფორმა და ძალა უნდა მისცეთ. შეხედეთ ფრანგებს (მაგალითად, არი შეფერს) და დარწმუნდებით, თქენზე რამდენად უკეთესად ხატაედნენ". როგორც ეტყობა, ინგლისელებმა დიკენსის ნათქეამი დაიჯერეს: მოდელზე მუშაობა განაგრძეს, მაგრამ თაეიანთ მოდელს დიკენსის დროის მხატერებზე უფრო ღრმად აღიქეამდნენ, უფრო ჯანსაღი, კეთილშობილური კომპოზიციების დასახატაედაც იყენებდნენ. ჩემი აზრით, არსებობს ორი ჭეშმარიტება, რაც სადაეო არასდროს ყოფილა: პირეელია – შთაგონებას და ფანტაზიას ნუ ჩაიხშობ, მოდელის მონად ნუ იქცეე; მეორე კი – მოდელი ნახე და შეისწაელე, უიმისოდ შენს შთაგონებას პლასტიკური საფუძეელი არ ექნება...

იცი, აქ ახლა დილაობით რა ეფექტებს წააწყდება ადამიანი? ბრიონის „წარღენის დასასრული" ხომ გაგონდება, რომელიც ახლა ლუქსემბურგის მუზეუმშია: პორიზონტზე სინათლის ზოლი წითლად რომ შოჩანს, ხოლო მაღლა – საეედრო ღრუბლები. ასეთი რამ ისეე და ისეე

პეიზაჟისტებზე მაფიქრებს ხოლმე. შეადარე ბრიონის დროის პეიზაჟისტებს დღევანდელები. განა ამათ ამჯობინებ? არა მგონია. ვალიარებ, ახლანდელები მეტს ხატავენ: მაგრამ თუმცა მათი სურათების დასახეაზე აღტაცებას ვერ ეფარავ ხოლმე, ძველ ყაიდაზე დახატული პეიზაჟები მაინც მომწონს. უწინ კი, როცა, ეთქვათ, სხელფპოუტის სურათებისთვის ჩამიელია, მიფიქრია, „ყურადღებად არ ღირს-მეთქი". შეიძლება, ზოგიერთი ამ ახალმა პეიზაჟებმაც მიიზიდოს, მაგრამ ისეთ ღრმასა და ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს; ვერც ხანგრძლივად დაიმახსოვრებ; ხოლო როცა ძალიან დიდხანს მხოლოდ ახლანდელ სურათებს უყურებ, სხელფპოუტის, სეჟეს ანდა ბაკპეიზენის გულუბრყვილო ნამუშევრები ბევრად უფრო სასიამოვნოდ მოგეჩვენება. თანამედროვე ხელოვნებაზე, მის ახლანდელ ეითარებაზე, ღმერთს გეფიცები, აკეიატებული აზრი არა მაქვს. პირიქით, ჩემდა უნებურად თითქმის გულიც ამიცრუვდა. რა უნდა ექნა, სიცარიელეს, რომელიც თანდათან ირგელიე დამკეიდრდა, თანამედროვე სურათები ვერ შეაესებს.

მაგალითისთვის გამახსენდა ჟაკის ხეზე ნახატი ზოგიერთი გრაეიურა. ეს ძველისძველი გრაეიურები ძია კორთან ჯერ კიდეე ათი წლის წინ მინახავს. იმდროინდელ ან უფრო ძველ ყოეელწლიურ გამოცემებში დაბეჭდილი გრაეიურების ყაიდაზე გაკეთებული სერია იყო და სახელად „თეეები" ერქვა. ლოკალურ ტონებს ამ სერიაში ნაკლებად ნახავ, ეიდრე ჟაკის უფრო გეიანდელ ნამუშევრებში, მაგრამ ნახატით, ამაეე დროს, რაღაც ძალით, მილეს მაგონებს. სხეათა შორის, თანამედროვე ჟურნალებში დაბეჭდილი ბეერი ნახატის დანახეაზე შთაბეჭდილება ისეთი მრჩება, რომ ეს ერთგვარი პირობითი მოხდენილობა იმ ჰეშმარიტ უბრალოებას, რომელიც ჟაკის ზემონახსენებ ჩანახატებს ახასიათებს, მოსპობითა და განადგურებით ემუქრება. რას ფიქრობ, ხომ არ არის ამის მიზეზი თაეად მხატვრის პიროენებაც? არ ეიცი, პირადი გამოცდილება რას გეუბნება, მაგრამ ამჟამად განა ბეერი გეგულება, ეინც, მაგალითად, ღრუბლიან დღეს გასეირნებას მოისურეებს და თანაც შორს? შენ, რა თქმა უნდა, ასეთ რამეზე უარს არ იტყეი, ჩემი არ იყოს, დატკბები კიდეც სიამოენებით, მაგრამ ბეერი ასე არ ფიქრობს. მე ისიც მიკეირს, დღეს რომ მხატეარი საუბრით ეელარ გეაინტერესებს. მაუეე, როცა მოისურეებს, საგანს სიტყეებით ისე აგიწერს, პირდაპირ თეალწინ წარმოგიდგება; მასზე ნაკლებ ამას არც სხეები ახერხებენ, თუ ისურეებენ; მაგრამ რას იტყეი, როცა მხატერებთან ელაპარაკობ, ის ძლიერი და უჩეეულო გრძნობა სიახლის, ადრე რომ გეახსოეს, ახლაც გეიჩნდება?

ამ დღეებში ფორსტერის წიგნს – „ჩარლზ დიკენსის ცხოერებას" – ეკითხულობდი. აქ დაწერილებით მოგეითხრობენ, თუ ჩარლზ დიკენსს რარიგ უყვარდა პემპსტედ ჰიტსა და ლონდონის ამგეარ გარეუბნებში სეირნობა, რათა სადმე, მოშორებით მყოფ საესებით სოფლურ სამიკიტნოში დამჯდარიყო ლორიანი ერბოკეერცხის საგემებლად. გასეირნება მხიარული და სასიამოენო გამოდიოდა და ასეთი სეირნობის დროს იბადებოდა ახალი წიგნის ჩანაფიქრიც, სწორედ ასეთ დროს მოიფიქრებდა, ამა თუ იმ გმირის სახე როგორ უნდა შეეცეალა. ახლა სულ ეჩქარობთ, ეფაციფუცობთ, ყეელგან რაღაც ფუსფუსია და ალიაქოთი, რაც არ მომწონს; ყეელაფერი თითქოს ჩაკედა. იმაზე კარგი რა იქნება, თუკი შენი მოლოდინი გამართლდება და „სასურეელი ცელილებები" მაინც მოხდება, თუმც ასეთი რამ მე „საესებით ბუნებრიეად" არ მეჩეენება.

ისეე იგიეე აკეარელზე ემუშაობდი – მეშახტეთა ცოლებს ეხატავდი, თოელ-თოელ რომ მიდიან, ნახშირის ტომრებს ეზიდებიან. წინასწარ თორმეტი ფიგურა და თაეის სამი ეტიუდი დაეხატე, მაგრამ რაც მჭირდებოდა, ყეელაფერი ეერ ჩაეიხატე. თუ არ ეცდები, ამ აკეარელში სწორ ეფექტს შაინც მიეაგენი, თუმც, ჩემი აზრით, თაეისებური ხასიათი ჯერჯერობით ეერ გამოეკეთე. ეს, არსებითად, მძიმე სურათია, მილეს „მომკალი ქალების" მსგაესი. მისი დაყენება მხოლოდ თოელის ეფექტამდე არ შეიძლება; ამ შემთხვეეაში იგი, უბრალოდ, წამიერი შთაბეჭდილების გადმოცემა გამოეიდოდა და აზრი მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუ აკეარელს ჩაეიფიქრებდი, როგორც პეიზაჟს. ალბათ, მისი გადახატეა დამჭირდება, თუმც, ჩემი აზრით, ეტიუდები, რომლებიც ახლა უკეე მზად მაქეს, მოგეწონება: ესენი ბეერად უკეთესები გამომიეიდა, ეიდრე სხეები.

242. ამ დღეებში დოდეს „ნაბობს" ეკითხულობდი. ჩემი აზრით, დოდეს ეს წიგნი შედეერია. რად ღირს თუნდაც ნაბობისა და ბანკირ ემერლენგის პერ-ლაშეზზე გასეირნება მიმწუხრის ჟამს, როცა ცის ფონზე ალანდული ბალზაკის ბიუსტი მათ ირონიით გადმოსცქერის. დომიეს ნახატი გაგახსენდება. იწერებოდი, „რეეოლუცია" დომიემ დენი დესუს უძღენაო. მაშინ ჯერ კიდეე არ ეიცოდი, ეინ იყო ეს დენი დესუ. ახლა კი ეიცი, რადგან ეიქტორ პიუგოს წიგნი – „ერთი დანაშაულის ამბაეი" – წაეიკითხე. კეთილშობილი კაცი ყოფილა. პოდა, ამიტომ დომიეს ნახატის ნახეაც მომინდა. პარიზზე რაც უნდა წაეიკითხო, ცხადია, მაშინეე მომაგონდები. პარიზზე დაწერილი ყოეელი წიგნი პააგასაც მომაგონებს; ეს ქალაქი თუმც პარიზზე ბეერად პატარაა, მაინც სატახტო ქალაქია, საკუთარი ადათ-წესებით, საკუთარი ჩეეულებებით... მრავალი წლის წინ ერქმან შატრიანის წიგნში – „მეგობარ ფრიცში" – ერთი მოხუცი რაბინის სიტყეები ამოეიკითხე, რაც არასოდეს დამაეიწყდება: „ბედნიერებისთეის არ ეცხოერობთ, მაგრამ საჭიროა, მაინც ეეცადოთ, ბედნიერება დაეიმსახუროთ". ეს აზრი, თუკი ცალკე ამოეიღებთ, პედანტური მოგეჩეენება; ყოეელ შემთხეევაში, შეიძლება, ასეც გაეიგოთ; კონტექსტში კი სიმპათიური მოხუცი რაბინის – დაეით სპეელის – სიტყეები გულზე მომხვდა და მას შემდეგ ხშირად მაგონდება.

ხატეაზედაც შეიძლება, ასე ითქეას: ნახატების გაყიდეის იმედი არ უნდა გექონდეს, მაგრამ მაინც მოეალენი ეართ, სურათები ისე დაეხატოთ, ფასი პქონდეს, სერიოზული გამოეიდეს; დაუდეერობის ან გულგრილობის უფლება კი თაეს მაშინაც არ უნდა მიეცეთ, როცა რაიმე გარემოება რწმენას და იმედს დაგეიკარგაეს... ეგრძნობ რაღაც ძალას, ძალას, რომელსაც გასაქანი უნდა მიეცეს, ცეცხლს, რომელიც არ უნდა ჩაქრეს, პირიქით, უნდა გაძლიერდეს. თუმცა, არ ეიცი, რით დამთაერდება ეს ყოეელიეე და, სხეათა შორის, ტრაგიკული დასასრულიც არ გამაოცებს. რა შეიძლება, ისურეოს კაცმა დღეანდელ დღეს? რა შეიძლება, მიიჩნიოს ბედნიერებად? ზოგ შემთხვეეაში, გამარჯეებულს ხომ სჯობია დამარცხებული? მაგალითად, უკეთესია, იყო პრომეთე, ეიდრე, თუნდაც, იუპიტერი. რა გაეწყობა, ჩეენც აედგეთ და, იგიეე ეთქეათ, რასაც ძეელად იტყოდნენ ხოლმე: „მოხდეს, რაიც მოსახდენია".

სხეა რამეზე ეილაპარაკოთ. ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თუ იცი, რამ? ეიულიენ დიუპრეს სურათების რეპროდუქციებმა (შეილია ეიულ დიუპრესი?). ერთ სურათზე მთიბაეები დახატული – ორი მთიბაეი, მეორეზე – გლეხის ქალი, ძროხა რომ მიჰყაეს საბალახოდ. ეს მეორე

დიდი, ლამაზი, ხეზე ნახატი გრაიეურაა „მონდ ილუსტრეში“ დაბეჭდილი. ჩემი აზრით, საუცხოო სურათია, ენერგიული, კეთილსინდისიერი სამუშაოვარი. ნაწილობრივ პიერ ბიიეს მომაგონებს, სხვათა შორის, ბიუტენსაც. ენახე დანიან-ბუვრეს ფიგურებიც: „მათხოვარი“, „ქორწილი“, „შემთხვევა“, „ტუილრის ბაღი“.

ჩემი აზრით, ეს ორი მხატვარი იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც ნატურას ერკინება, ვისაც სისუსტე არასოდეს შეპარვია და რკინისებური ნებისყოფით გამოირჩევა. ამ ცოტა ხნის წინ „შემთხვევაზე“ იწერებოდი. ამ ნაწარმოებს უკვე ვიცნობ და მომწონს კიდეც. ჩემი აზრით, ლამაზია.

შესაძლოა, ჟიულიენ დიუპრე და დანიან-ბუვრე მილესაიით ამაღლებული, მასაით ლამის რელიგიური განწყობილების მხატვრები არ იყვნენ; შესაძლოა, ადამიანთა ისე უზომო, ისე მხურვალე სიყვარულიც არ იცოდნენ, მაგრამ მაინც რა კარგები, რა მშვენიერი მხატვრები არიან! მართალია, მათი სურათების რეპროდუქციები მინახავს მხოლოდ, მაგრამ ეფიქრობ, აქ ისეთი არაფერია, ორიგინალებში რომ არ იქნებოდა. სხვათა შორის, საკმაოდ დიდხანს ვორჭოფობდი, ვიდრე თომას ფედის სურათებს შევიყვარებდი. ახლა კი დაერწმუნდი, ეს სურათები, მართლაც, ღირსია სიყვარულისა. ეგულისხმობ: „კვირა დღეს კანადის ტყეებში“, „სახლსა და უსახლკაროებს“, „გაწამებულებს“, „ღატაკებსა“ და „ღატაკის მეგობარს“, ერთი სიტყვით, გრეიესის მიერ გამოქვეყნებულ შენთვის კარგად ცნობილ სერიებს.

დღეს ეტენდან წამოღებულ ძველ ნახატებზე ვმუშაობდი, ვინაიდან ქალაქგარეთ ხეტიალისას ფოთლებდაცვენილი წნორები ვნახე; ამან კი ისევ ის ხეები გამახსენა, რომლებსაც შარშან ზეთით ვხატავდი. პეიზაჟებზე მუშაობა ხანდახან ისე მოგინდება, როგორც დიდხანს სეირნობა და პაერზე ყოფნა. ასეთ წუთებში ექსპრესიას ეგრძნობ, ეგრძნობ, რომ ბუნებას სული უდგას, აი, თუნდ ხეებს; წნორების მწკრივი დაერდომილთა თაეშესაფრის ბერიკაცთა პროცესიას მომაგონებს, ხოლო როცა ჯეჯილს ეუყურებ, ენით უთქმელ სისპეტაკეს, სინაზეს ეხედავ და იგი ჩემში ისეთსავე გრძნობას აღვიძებს, როგორსაც მძინარე ჩვილი.

სადმე, გზის პირას, ფეხით ნათელი ბალახი კი ისეთივე მტერიანი და დაქანცულია, როგორც ქალაქის ჯურღმულების ბინადარნი. ორიოდ დღის წინ ყინვისგან შემზრალი კომბოსტოები დავინახე და ის ქალები გამახსენდა, თხელი კაბებით, გაცვეთილი მოსასხამებით დილაადრიან იმ დუქნის წინ რომ გამოდიან, სადაც ნახშირი იყიდება, ნახშირი და მდუღარე წყალი.

ჩემო ბიჭუნა, „ნაბობის“ წაკითხვა არ დაგაეიწყდეს — საუცხოო, მართლაც რომ ძალზე კარგი წიგნია. მისი გმირისთვის შეიძლებოდა, უსათნოესი არამზადა გეეწოდებინა. არსებობს ნეტავ სინამდვილეში ასეთი ხალხი? უსათუოდ. დოდეს წიგნებში ბევრი რამ არის სიყვარულით დახატული — მაგალითად, რომან „განდევნილ მეფეებში“, „აკვამარინისფერთვალებიანი“ დედოფალი... როცა ნაღველი შემომაწვება, კარგია ხოლმე უკაცრიელ ნაპირზე გაელა, მონაცრისფრო-მომწვანო ზღვის, მისი ტალღების გრძელი, თეთრი ზოლების ცქერა. მაგრამ როცა რაღაც დიადი მომენატრება, ისეთი, ღმერთზე რომ ჩამაფიქრებს, შორს წასელა საჭირო აღარ არის. მგონია, ოკეანეზე ღრმას და უსაზღვროს, მარადიულს ეხედავ ხოლმე ჩვილის თვალებში, როცა დილით იღვიძებს და ღუღუნს ანდა სიცილს მოჰყვება, რადგან მზეს ხედავს, მზეს, რომელიც აკვანს

დაპსალმის. თუკი ზეგარდმო სხივი მართლა არსებობს, მისი ნაჩუქარი, ალბათ, სწორედ აქ შეიძლება.

243. ლითოგრაფიის ტექნიკაზე ვიდრე უფრო დაწვრილებით მაცნობებდი, სმულდერსის[1] ერთ-ერთი მბეჭდაობის დახმარებით საკუთარი ლითოგრაფია გაეაკეთე. პირველ ანაბეჭდს სიამოვნებით გიგზავნი... ეს ლითოგრაფია გამზადებული ქაღალდის ფურცელზე გაეაკეთე, ალბათ, ისეთზე, ბიუგომ რომ თქვა. როგორ ფიქრობ, ღირს კი წვალებად? კარგი იქნება, თუკი ასეთ ლითოგრაფიებს მეტს გაეაკეთებ. – მაგალითად, ოცდაათფიგურიან სერიას მაინც.

245. ვაითუ იფიქრო, პატიემოყვარე ყოფილაო, თუ ერთ ამბავს მოგიყვები, რამაც ნამდვილი სიამოვნება მაგრძნობინა! სმულდერსს ლაასზე კიდევ ერთი საწყობი აქვს. იქაური მუშებს ქვა რომ უსახავთ, რომელზედაც დაერდომილთა თავშესაფრის ბერიკაცია დახატული, ჩემი მბეჭდაობისთვის უთხოვიათ, ერთი ანაბეჭდი მოგუეცით: კედელზე უნდათ, დაიკიდონ. ვერავითარი წარმატება ვერ გამახარებდა, როგორც იმან გამახარა, ჩვეულებრივმა მუშებმა რომ მოისურვეს, ჩემი ლითოგრაფია თავიანთ ოთახში ან სახელოსნოში დაეკიდათ. „ხელოვნება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შენთვის იქმნება, შენთვის, ხალხო". პერკომერის ეს სიტყვები საუბებით სწორად მიმაჩნია. ცხადია, მხატვრულ ღირებულებას ნახატისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამან, ჩემი აზრით, ხელი არ უნდა შეუშალოს თუნდ ქუჩიდან მოსულ კაცსაც, რომ ამ ნახატში რაღაცა ნახოს. რა თქმა უნდა, ამ პირველ ფურცელს მნიშვნელოვან ნაწარმოებად ჯერ კიდევ არ ვთელი, თუმც იმედი მაქვს, რომ ეს ფურცელი რაიმე უფრო სერიოზულის დასაწყისად გადაიქცევა.

246. *თოხმაბათი, დილა.* წერილთან ერთად მიიღებ პირველ ანაბეჭდებს. ეს იქნება „მბარაები" და „კაცი, ყაეას რომ სვამს". კარგი იქნებოდა, შენი აზრი მალე გამეგო. კელაეინდებურად ლითოგრაფიებს ქვაზე ეუპირებ რეტუშირებას, მაგრამ მანამდე მსურს, ვიცოდე, მოგწონს თუ არა. ნახატები კარგი იყო, ანაბეჭდებზე უკეთესი, განსაკუთრებით „მბარაეზე" ვამბობ, რომელმაც ძალზე ბევრი მაწვალა. ქვაზე გადატანასა და ბეჭდვაში კი ზოგიერთი რამ დაიკარგა. თუმც, ჩემი აზრით, ანაბეჭდები ცოტა არ იყოს, უხეში და დაუხვეწავი, ოდნავ თამამიც გამოვიდა – ასეც მინდოდა. ამის გამო ნახატის ზოგი ღირსების დაკარგვას ნაწილობრივ ეურიგდები. როცა ეხატავდი, ლითოგრაფიული ფანქრის გარდა, ცოტაოდენი აეტოგრაფული მელანიც ეიხმარე. თუმც, ქვამ მელანი ნაწილობრივ მიიღო მხოლოდ; ჩვენ კი არ ვიცით, ეს რის ბრალია; ალბათ, იმისი, მელანი რომ ოდნავ წყალში გაეაზავე...

როგორც იქნა, ერთი მხატვარი მეც მეწვია – ვან დერ ვეელე, რომელმაც ქუჩაში გამაჩერა; მერე მასთან მეც შევედი. ლითოგრაფიების აღნიშნულ ხერხს, იმედი მაქვს, ისიც სინჯავს. მინდა, სცადოს ერთი ნახატის ლითოგრაფიის გაკეთება – ორი გუთნისა, რომელიც მას ზეთის ორი ეტიუდიდან გადმოუხატავს (დილისა და საღამოს ლანდშაფტი), მეორისაც – მინდერისა და უღელში შებმული ხარებისა. ამ ყმაწვილს სახელოსნოში ბევრი კარგი სურათი აქვს. მირჩია, ბერიკაცების რამდენიმე ეტიუდიდან კომპოზიცია გააკეთოს, მაგრამ ეგრძნობ, რომ საამი-

[1] საწერი ნივთების ფირმის და სტამბის მეპატრონე ჰაგაში.

სოდ ჯერ მზად არა ვარ. ალბათ, გახსოვს, „მბარაევების“ სერიაზე რასაც გწერდი. ამ „მბარაევების“ ანაბეჭდებსაც მალე ნახავ.

247. იმედია, „მბარაევები“ რომ გამოვეგზავნე, იმ ხეულს უკვე მიიღებდი. დღეს და გუშინ მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი, ხელებში თავჩარგული ბერიკაცის ორ ფიგურას ეუკირკიტებდი. ადრე, როცა ამ ფიგურაზე ვმუშაობდი, ჩემი მოდელი სპეიტემაკერი[1] იყო. ის სახატი შეეინახე, რადგან ეფიქრობდი, როდისმე უკეთესს დაეხატავ-მეთქი. ალბათ, ამის



ლითოგრაფიასაც გაეკეთებ. რა მშვენიერი სანახავია ასეთი მოხუცი, მელოტი მუშა, ბამბაზიის დაკონკილი ქურთუკი რომ შემოუცვამს.

ზოლას „ქაფი“ დაგამთავრე. წიგნის ყველაზე ძლიერ ადგილად ბნელ მანსარდაში მზარეულ ადელის — „ამ ტილიანი ბრეტანელი ღედაკაცის“ მშობიარობა მიმაჩნია. ჟოსერანიც, ისევე როგორც სხვა სახეები, საოცრად კარგად, გრძნობითაა გამოკვეთილი. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც ამ ორმა მძიმე სცენამ მოახდინა: მოსამსახურის მანსარდამ და ჟოსერანმა, როცა ღამით მისამართებს წერს. რა კარგადაა აგებული ნაწარმოები და რა მწარე სიტყვებით მთავრდება: დღეს ყველა სახლი ერთმანეთზე უარესია, ყველგან ერთი და იგივე დაგხვდება — ღორი და ქ°.

რას ფიქრობ, ხომ შეიძლება, ოქტავ მურე — რომანის მართლაცდა მთავარი გმირი იმ ხალხის ტიპურ წარმომადგენლად ჩაითვალოს, ვისზედაც, თუ გახსოვს, ახლახან მწერდი? ხშირ შემთხვევაში უმეტესობას იგი ბევრად სჯობს. მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ მას მთლიანად ვერ მოვიწონებთ: ზერელე

[1] ეტენელი მოჯამაგირე.





კაცი უნდა იყოს. შეეძლო კი სხეაგვარად მოქცეეა? ალბათ, არა. მაგრამ მე და შენ, ჩემი აზრით, შეგვეიძლია და გემართებს კიდეც სხეასაირი საქციელი. ჩვენ ხომ სრულიად განსხეავებული ოჯახური ცხოვრება გექონდა, ეიდრე მურეს, ჩვენ უესვები სულ სხეაგას გვეიდგას. გარდა ამისა, იმედია, სამარადჟამოდ შეეინარჩუნებთ, რაც ბრაბანტის მისდერებმა და უკაცრიელმა მიდამოებმა ჩვენში აღბეჭდა და ქალაქში წლობით ცხოვრება ეეღარ წაშლის, განსაკუთრებით თუკი ამას განაახლებს და გააძლიერებს ხელოენება. ოქტაე მურე კი კმაყოფილია, თუ შეუძლია, საკუთარი „სიახლეების" ბარდანები შეუფერხებლად გაასაღოს („პარიზის ტროტუარების საქონლის ბარდანებით გავსება"). როგორც ეტყობა, გარდა ქალების მოხიბელისა, სხეა არაფერი აინტერესებს, თუმცა, სამდეგილი სიყეარულით არაეინ უყეარს. ჩემი აზრით, ზოლას მისი კარგად ესმის, როცა ამბობს: „რაშიც ჩანდა მისი სიზღი ქალებისადმი". მართალი გითხრა, არ ეიცი, მასზე რა ეიფიქრო. მე მგონი, იგი თაეისი ეპოქის ნაყოფია – უფრო პასიური, ეიდრე აქტიური, მისი ასეთი ფხიანობის მიუხედაეად.

ზოლას რომანის წაკითხეის შემდეგ, როგორც იქნა, ეიქტორ პიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წელიც" წაეიკითხე. ეს უკეე სულ სხეა სამყაროა. აქ ყეელაფერი დახატულია – მინდოდა, მეთქეა, „ფერწერულად" დახატულია – დეკანის ანდა ჟიულ დიუპრეს სურათებიეით; მეტყეელია, ისეეე როგორც არი შეფერის ძეელისძეველი სურათები, მაგალითად, „ძის დატირება", „ნუგეშინის მცემელ ქრისტეს" უკანა პლანის სახეები. დაბეჯითებით უნდა გირჩიო, წაიკითხო, თუკი ჯერ არ წაგიკითხაეს, რადგან ეს წიგნი დაწერილია განწყობილებით, რომელიც სულ უფრო იშეიათია. დამერწმუნე, ახლანდელ წიგნებში ამაზე უფრო კეთილშობილურს ეერაფერს ენახაეთ. თქმა იოლია: „ეს მანერა დრომოჭმულია და ჩვენ აღარ გეჭირდებაო", – როგორც შენთვის მესდაგს უთქეამს, რემბრანდტისა თუ მურილიოს განწყობილებით დახატული პეიერდალის ცნობილი სურათი რომ უყიდია, – ხოლო შეცელა ამ მანერისა თუნდაც რაიმე ტოლფასოენით – „უკეთესზე" აღარას ეამბობ, – ძალიან ძნელი.

ეინაიდან დღეს ძალზე ბეერი თაეს არ იწუხებს და მესდაგიეით დაუფიქრებლად ლაპარაკობს, ზოგიერთს მაინც არ აწყენდა დაფიქრება – რისთეის ეცხოერობთ ამქეეყანაზე, ნგრეეისა თუ შენებისათეის? რა იოლად წამოისერიან – „ჩვენ ეს აღარ გეჭირდებაო", – მეტ სისულელეს, მეტ სიმახინჯეს კაცი ეეღარც კი წარმოიდგენს. თუ არ ეცდები, ანდერსენმა ერთ ზღაპარში ეს სიტყეები კაცს კი არა, ღორს ათქმეეინა, ერთ ბებერ ღორს. დიახ, თუკი ხუმრობა გიყეარს, მაშინ იგი სხეისგანაც უნდა აიტანო.

ამ კეირაში განსაკუთრებით მომეწონა გუპილისა და კ°-ს ეიტრინაში გამოფენილი ბოკის სურათი. ჩემი აზრით, ეს სურათი, გაზაფხულზე რომ სურათს ხატაედა, იმაზე ბეერად უკეთესია. ეს არის ქოხი დიუნებში. წინა პლანზე ხეეანი ჩანს, უკანა პლანზე უფრო მრუმე ტონებია, ხოლო მაღლა – ნათელი და ლამაზი ცა. სურათში იგრძნობ რაღაც დიადს, სიკეთით საესეს...

თეო, ეაითუ ძალიან ბეერმა, ეისაც ძეელი ახლის გამო გაუწირაეს – განსაკუთრებით, ხელოენებაში, – ბოლოს ინანოს? ოდესღაც იყო კორპორაცია ფერმწერებისა, მწერლებისა, ერთი სიტყეით, მხატერებისა. აზრთა სხეაობის მიუხედაეად, ეს ხალხი რომ გაერთიანდა, უკეე ძალზე მნიშ-

ესელოვან ძალად იქცა. წყვდიადში როდი დაფათურობდნენ, წინ სინათლე მიუძღოდათ, ცხადად იცოდნენ, რა უნდოდათ, ორჭოფობას არ მოყვებოდნენ. მე იმ დროზე მოგახსენებ, როცა კორო, მილე, დობინი, ჟაკი, ბრეტონი, პოლანდიაში — ისრაელსი, მაუვე, მარისი და ა.შ. ახალგაზრდა მხატვრები იყვნენ. ერთი მეორეს მხარში ედგა და ამაში იგრძნობოდა რაღაც ძალა, რაღაც ძლიერს, კეთილშობილურს გაგრძნობინებდა მათი ასეთი თანადგომა. სურათების გალერეები ცოტა იყო, სამაგიეროდ, თითოეულ სახელოსნოში მეტი სურათი გეგულებოდა — კარგ სურათს ხომ არაფერი დაუშავედება, დიდხანს დებით არ წახდება. სურათებით გავსებული უამრაეი სახელოსნო, ახლანდელზე მცირე ზომის ეიტრინები, რაც მთაეარია, თეით მხატვრების გულუბრყვილობა, მათი გზნება, მათი ცეცხლი, ენთუზიაზმი — რა კარგი იყო ეს ყველაფერი, რა დიადი და ამაღლებული! მე და შენ ამას არსებითად ეერ მოეესწრებით, მაგრამ სწორედ იმ ძველი დროის სიყვარული გეეხმარება, ეიცოდეთ ის, რაც დღეს ეიცით. ნურც დაეიეწყებთ — წარსული კიდეე გამოგეადგება, განსაკუთრებით ახლა, როცა ასე ხალისით აცხადებენ: „ეს უკეე აღარ გეჭირდებაო".

248. *კეთრა.* როგორც იქნა, გუშინ მიურჟეს „წყლის მსმელები" წაეიკითხე. ჩემთეის ეს წიგნი ისეთიეე მომხიბელელია, ცხადი, მახეილგონიერული და მშეენიერი, როგორიც ბარონის, ნანტეის, როკპლანისა და ტონი ჟოანოს ნახატები... წიგნში იგრძნობა ბოპემის ეპოქა (თუმც, მაშინდელი სინამდეილე, ცოტა არ იყოს, შენიღბულია), ამიტომაც მაინტერესებს, თუმც, ჩემი აზრით, გულწრფელობას და ორიგინალობას უსათუოდ მოკლებულია. შესაძლოა, რომანები, სადაც მიურჟეს მხატერები არ პყაეს გამოყეანილი, ამ რომანს სჯობდეს; ეტყობა, მწერლებს, საერთოდ, უჭირთ მხატვართა ტიპების გამოყეანა, კერძოდ, ბალზაკს (მისი მხატერები საინტერესონი არ არიან) და ზოლასაც კი. მართალია, მის კლოდ ლანტიეს დამაჯერებლობა არ აკლია — ამდაგეარი კლოდ ლანტიეები ცხოერებაში უეჭეელად არსებობენ — მაგრამ ზოლას თაეის წიგნში სხეა ხასიათის მხატვარი რომ გამოეყეანა, უკეთესი იქნებოდა. ლანტიე კი, ჩემი აზრით, იმ კაციდან პყაეს გადმოხატული, ეისაც მხატვართა ახალი სკოლა (როგორც ეიცი, იმპრესიონისტული სკოლა რომ პქეია) ყეელაზე უარეს მხატერად არ თელის. საერთოდ, მხატერები ასეთები არ არიან. კარგად დახატული მწერლის პორტრეტიც იშეიათად შემხეედრია: ამდაგეარი სიუჟეტის გააზრებისას მხატერები პირობითობას თაეს ეერ აღწეეენ; მათ მიერ დახატული ლიტერატორი მხოლოდ და მხოლოდ ის კაცია, ქაღალდებით საესე მაგიდას დიდკაცურად რომ მისჯდომია, ხანდახან კი — ასეთიც არა. ისე რომ, საბოლოოდ, მათი მწერალი გახამებულსაყელოიანი ეაჟბატონია, რომელსაც სახეზე არაფერი აწერია.

მეისონიეს ერთი კარგი სურათი აქეს: ეს წინ წახრილი ფიგურაა, რომელსაც ჩეენ ზურგიდან ეხედაეთ. ფეხები მოლბერტის კადონზე უწყეია: მხოლოდ ზეეით წამოწეული მუხლები და ზურგი, კისერი, კეფა მოჩანს, აგრეთეე, ხელი, ფანქარი თუ ფანქრის მსგაესი რაღაც რომ უჭირაეს. მაგრამ ყმაწეილი მშეენიერია: იგრძნობა, რომ ყურადღება დაუძაბაეს. ასეთიეა რემბრანდტის ერთი ცნობილი ფიგურაც: წიგნზე დახრილი ჩია კაცი, თაეი რომ ხელზე დაეყრდნია და მთლიანად წიგნს გაუტაცია — ამას იგრძნობ, როგორც დახედაე... აი, ბონის პიუგოს პორტრეტი კარგია, უთუოდ ძალზე კარგია, მაგრამ მე მაინც ის პიუგო მირჩეენია, რომელიც თეით ეიქტორ პიუგომ ორიოდე სიტყეით დახატა:

„და ედუმდი, როგორც მანანის ბუჩქში მამალი როჭო“.

რა მშვენიერია ამ უკაცრიელ არემარეში ეს არსება! ცოცხალი, როგორც მეისოსიეს პატარა – სანტიმეტრის სიმაღლის მქონე – 1793 წლის დროინდელი გენერალი.

მილეს აქვს ერთი, ჩემი აზრით, მშვენიერი ავტოპორტრეტი; მხოლოდ თავია, თითქოს მწყემსის ქუდი ხურავს, მაგრამ მხატვრის მოჯუტული თვალები და დაძაბული გამოხედვა (საკვირველია!) რაღაცით მამალს გაგახსენებს – თუკი გაებედავ ასეთ გამოთქმას.

დილას რვისკვეიკის გზაზე ვიყავი სასეირნოდ. მდელოები ნაწილობრივ დატბორილია, ისე რომ, იქ ვერცხლისფერის და მწვანე ტონების ეფექტი ვნახე: წინა პლანზე მწვანე, შავი, ნაცრისფერი, ბებერი და დაკოჟრილი ხეები ჩანდა, ქარს ტოტები გადაეღუნა; უკანა პლანზე პატარა სოფლის სილუეტი იკვეთებოდა, ცათაბროლზე – წვეტიანი, მაღალი შპილი. აქა-იქ, ჭიშკრებთან დაგროვილ ნაკელს ყვავები ქექავდნენ. რომ იცოდე, რა ძალიან მოიწონებდი და რა კარგადაც დახატავდი ყველაფერ ამას, თუ ისურვებდი. დილა უჩვეულოდ ლამაზი იყო, ამ ხანგრძლივმა გასეირნებამ მარგო კიდეც: ნახატების და ლითოგრაფიების გადამკიდე მთელ კვირას პაერზე არ გამოვსულვარ.

რაც შეეხება ლითოგრაფიებს, ბერიკაცის ანაბეჭდი, ალბათ, ხვალ უკვე მზად მექნება. იმედი მაქვს, კარგი გამოვა. განსაკუთრებული ცარცით ემუშაობდი, რომელიც სწორედ ამისთვისაა გამიზნული, მაგრამ, ამჯერად, ეგონებ, ისევ ჩვეულებრივი ლითოგრაფიული ფანქრით ვჯობდა მუშაობა და ეწუხვარ, ასე რომ არ მოვიქეცი. კარგი, ენახოთ, რა გამოვა.

ორშაბათი. ეფიქრობ, მხატვარზე იღბლიანი იშვიათად იქნება ვინმე: ყოველთვის, როცა ოდნავ მაინც მოახერხებს, რასაც ხედავს, გამოთქვას და გამოხატოს, პარმონიულად ერწყმის ბუნებას. ეს უკვე დიდი ამბავია, რადგან მას იცის, რა უნდა აკეთოს, და მასალაც ბევრი აქვს; კარლეილი ამაოდ როდი გვეუბნება: „ქურთხეულ არს, ვინც თავისი საქმე იპოვა“. ხოლო თუ მისი ნამუშევარი მილეს, დიუპრეს, ისრაელსის და სხვათა მსგავსად, ისეთია, რომ მიზნად ისახავს, ქვეყნიერებას რამე შესძინოს, ქვეყანას ამცნოს: „განადიდეთ მწუხარებანი გულისანიო!“, მაშინ ეს ორგზის სანუგეშოა, რამეთუ იგი სიმარტოვეს ნაკლებად გრძნობს, რაკიღა ფიქრობს: „თუმც მარტო ვარ, მაგრამ ვიდრე ჩემთვის ვხიბარ და ხმას არ ვიღებ, იქნებ ჩემი ნამუშევარი ჩემს მეგობარს ესაუბრება, ხოლო იგი, ვინც მას ხედავს, უსულგულობას არ დამწამებსო“.

მაგრამ ხანდახან შენი ცუდი ნამუშევრებით უმაყოფილოს, ან იმ მიზეზით, რომ სურათი არ გამოგივა, ან ტექნიკური სიძნელის გამო, საშინელი ნაღველი გიპყრობს. დამიჯერე, უსაშველო სასოწარკვეთამ ლამის ბოლო მომიღოს ხოლმე, როცა მილეზე, ისრაელსზე, ბრეტონსა და დე გრუზე ვფიქრობ ანდა სხვებზე, მაგალითად, პერკომერზე. თუ თვითონ არ ხატავ, ვერ მიხვდები, ეს ხალხი ვინ არის. მაშ, ნაღველი და სასოწარკვეთა უნდა დათრგუნო, საკუთარ თავს მოუთმინო – არა იმიტომ, ლხენასა და განსვენებას მივეცეო, არამედ რათა ისევ იბრძოლო, მიუხედავად ათასი მარცხისა, ათი ათასი შეცდომისა; მიუხედავად იმისა, რომ არც კი იცი, შეძლებ თუ არა ამ შეცდომების დაძლევას და გამოსწორებას. აი, მხატვრის ბედნიერება რატომ არის შეუძლებელი.

ამგვარად, საჭიროა ბრძოლა საკუთარ თავთან, საკუთარი თავის სრულყოფა, საკუთარი ენერგიის განახლებაზე მუდმივი ზრუნვა – ყველაფერ ამას ემატება ნიეთიერი გაჭირვებაც!

ალბათ, დომიეს ეგ სურათი მშვენიერია. მაინც არ მესმის, ნაწარმოები, რომელიც ასე ნათელი ესით გეესაუბრება, რად უნდა იყოს გაუგებარი; შენ მაინც რაღად გეეჭვება, რატომ გგონია, ფასიც რომ დაეუკლო, მაინც არაენ იყიდისო. მხატვარს უჭირს ამის ატანა. გინდა, პატიოსანი კაცი იყო, ხარ კიდეეაც პატიოსანი; კატორღელიეით მუშაობ, მაგრამ თაეი მაინც ეერ მოგიბამს ეერაფრისთეის; უნებურად შენს საქმეზე უარს ამბობ, რადგან მისი გაგრძელების ძალა არ შეგწეეს – ძეირი გიჯდება, შემოსაეალს კი ეერაფერს გაძლეეს. გგონია, რომ დამნაშაეე ხარ, გეჩეენება, თითქოს ეალი ეერ მოიხადე, დაპირება ეერ შეასრულე. პოდა, ის კაცი აღარა ხარ, ეინც იქნებოდი, შენი შრომის საფასური წესიერად რომ გადაეხადათ – სამართლიანად და ჭკეიანურად გეშინია, მეგობრები გაიჩინო, ზედმეტი ნაბიჯის გადადგმისა გეშინია, გინდა, რომ ხალხს შორიდანეე დაუძახო, როგორც ძეელად კეთროვნებმა იცოდნენ ხოლმე: „არ მომეკაროთ – ჩემი სიახლოეე მარტოოდენ ზიანსა და მწუხარებას მოგიტანთო!“ და, აი, ასე გულზე ნაღველშემოწოლილი უნდა დაჯდე და იმუშაო, ჩეულებრიეი, მშეიდი სახე შეინარჩუნო, ერთი კუნთიც არ შეგიტოკდეს, ყოეელდღიურ ცხოერებას მიყეე, ხან მოდელებს უნდა შეება, ხან ბინის პატრონს, ქირისთეის რომ მოგაკითხაეს, ერთი სიტყეით, გამელელსაც და გამომელელსაც. თუ გსურს, შრომა გააგრძელო, ცალი ხელი საჭეზე უნდა გულგრილად გეელოს, მეორით კი ირგელიე მყოფნი მისწი-მოსწიო, რომ არაფერი დაუშეო.

ახლა ქარიშხალიც ამოეარდება, კიდეე ათასი მოულოდნელი ამბაეი მოხდება; თაეგზა საბოლოოდ აგებნეეა, იფიქრებ, სადაცაა, ქარიშხალი კლდეს მიმანარცხებს და ყეელაფერი გათაედებაო. ცხოერებას იწყებ არა როგორც ადამიანი, სხეებისთეის რომ სარგებლობა სურს, ან ისეთი რამ განუზრახაეს, რაც უნდა მომაეალში ანაზღაურდეს, –·არა, შენ იცი, თაეიდანეე მშეენიერად იცი – შენი განზრახეა მხოლოდ ზარალით დამთაერდება, მაგრამ მაინც შენში დაფარულ ბობოქარ ძალას ემორჩილები: შენ გაქეს საქმე, რომელიც უთუოდ უნდა გაკეთდეს. როგორც ოთხმოცდაცამეტი წლის დროინდელი ხალხი იტყოდა, შეც სიამოენებით ისე ეიტყოდი: „საჭიროა, გაკეთდეს ესა და ეს – ჯერ ესენი უნდა დაეცნენ, მერე – ისინი, ხოლო ბოლოს – უკანასკნელნი: ეს ჩეენი ეალია, ეს ასეა, სხეა გზა და სხეა ხსნა არც გეაქეს-მეთქი“. დრო არ არის, გაეერთიანდეთ, დრო არ არის, ქეეყნიერებას თაეი ეამცნოთ? ანდა იქნებ უკეთესია, რაკი ბეერმა დაიძინა და გაღეიძებას არ აპირებს, ეცადოთ, იმით დაეკმაყოფილდეთ, რასაც მარტონი მოეერეეით, რაზედაც მხოლოდ მარტონი ეწეალობთ და პასუხისმგებელნიც მარტონი ეართ, რათა იმათ, ეისაც სძინაეს, მომაეალშიც მშეიდად ეძინოთ?..

ეიცი, ბრძოლაში დაღუპეაც არის შესაძლებელი: მხატეარი ხომ მიეწყებულ საგუშაგოზე მდგარ გუშაგსა ჰგაეს და, რა თქმა უნდა, არა მარტო გუშაგს. არ იფიქრო, ასე ადეილად შეეშინდები: ბორინაჟში ყოფნა და ხატეა ისეთი ძნელი და რთული საქმეა, გარკეეული მოსაზრებით კი, სახიფათოც, მარტო ეს ქმარა, სიმშეიდისა და სიხარულის იმედი რომ არსაით გქონდეს. მაგრამ უკან არ დაეიხეედი, ასე კარგად რომ არ მცოდნოდა, ხარჯები უფრო მეტი მექნება, ეიდრე ცხოერების სახსრებიმეთქი. ჩემი საქმით დაინტერესებულ ადამიანებს თუ ეიპოეიდი, გაბედულად მოეიქცეოდი. მაგრამ სწორედ იმის გამო, ჯერჯერობით რომ ერთადერთი ადამიანი მხოლოდ შენ ხარ, ეისაც ჩემი საქმეები აინტერესებს,

ეს განზრახვა საკმაო ხნით უნდა გადაედო; ამჟამად კი რამე სხვა საქმე გამოვნახო. თუმც, ეიმეორებ, უკან მაინც არ დავიხევდი, ლაპარაკი რომ მხოლოდ თავის გაფრთხილებაზე ყოფილიყო.

249. ხატვა, ლითოგრაფიული ქვა, ბეჭდვა და ქაღალდი, ბუნებრიეია, ხარჯებს მოითხოვს, თუმც შედარებით საკლებ ხარჯებს. ისეთი ფურცლები, ბოლო დროს რომ გამოგიგზავნე ან გუშინ რომ დაეამთავრე, ჩემი აზრით, იაფფასიანი გამოცემისთვის გამოდგება. ხოლო ასეთი გამოცემა არსად არ არის ისე საჭირო, როგორც ჩვენში, პოლანდიაში. ისეთი საქმე, როგორიცაა, მაგალითად, ოცდაათფურცლიანი სერიის დახატვა, მერე კი ბეჭდვა – მშრომელებისა: მთესველისა, მბარავისა, შეშის მჭრელისა, მხვნელისა, მრეცხავისა, აგრეთვე აკვნის ჩვილისა ან დაერდომილთა თავშესაფრის ბერიკაცისა – მოქმედების უსაზღვროდ ერცელ ასპარეზს გვიშლის. მშვენიერი სიუჟეტები საკმაოდაა. მაშ, შეიძლება, ასეთ საქმეს ხელი მოეკიდოთ? საკითხი უფრო მწვავედაც დგას: არის თუ არა ჩვენი ვალი, რომ ეს საქმე გავაკეთოთ, კარგია თუ ცუდია იგი? შეძლებული კაცი რომ ვიყო, პასუხს აღარ დავაყოვნებდი: წინ გავწიოთ და, რაც შეიძლება, მალე-მეთქი. მაგრამ სხვა კითხვაც იბადება: საჭიროა? ან შეიძლება, ამ საქმეში სხვების ჩაბმა, ვის გარეშეც იგი არასგზით არ გაკეთდება? მაქვს კი უფლება, ასე მოვიქცე, თუ არ ვიცი, საზღაურს ყველა მიიღებს-მეთქი? საკუთარ თავს არ დავეზოგავდი, რაკიღა ასე მეხმარები, თავს არც შენ ზოგავ. მაგრამ ხალხი ჩემს დახმარებას შეცდომად და სისულელედ გითვლის, ხოლო ჩემი საქციელი კიდევ უფრო დიდ სისულელედ მიაჩნიათ: ბევრი ძველი კეთილისმსურველი ახლა ჩემზე სხვაგვარად ფიქრობს, მათი გამბედაობა და ენთუზიაზმი ცეცხლმოდებულ ნამჯასავით ჩაიფერფლა.

ღმერთმანი, ცდებიან – ჩვენ სულელურად როდი ვიქცევით... სულ ეგონათ, პოლანდიაში ხალხისათვის ლითოგრაფიების გამოცემა არ შეიძლებაო. მე ვიცოდი, რომ შეიძლებოდა, ახლა კი ეს საბოლოოდ დავიჯერე. საჭიროა მხოლოდ მხნეობა, საჭიროა თავგანწირვა, რისკის გაწევა არა მოგების, არამედ კარგი და სასარგებლო საქმისათვის. საერთოდ, ხალხისა უნდა გჯეროდეს, თანამოძმეთ უნდა ენდო. ჩემი აზრით, ერთი რამ უნდა გავარკვიოთ: რაკი ასე საჭირო და სასარგებლოა, რომ ჩვენში მხატვრები ნახატებს ქმნიდნენ მუშათა და გლეხთა ბინებისთვის, ერთი სიტყვით, თითოეულიმშრომელისათვის, ხოლო შემდეგ ბეჭდავდნენ და აერცელებდნენ, ზოგი მხატვარი უთუოდ უნდა გაერთიანდეს და ძალღონე არ დაზოგოს ამ ამოცანის შესასრულებლად. ასეთი ერთობა მაქსიმალურად პრაქტიკულად, კეთილსინდისიერად უნდა განხორციელდეს და ეიდრე მიზანს არ მიაღწევს, არ დაიშალოს. ანაბეჭდი ათზე ანდა, ბევრი-ბევრი, თხუთმეტ სენტზე მეტი არაფრით არ უნდა ღირდეს. გაერცელება მხოლოდ მაშინ დაიწყება, ოცდაათფურცლიან სერიას რომ გამზადებენ, დაბეჭდავენ და ქვების, ქაღალდის, ხელფასის ხარჯსაც დაფარავენ. ოცდაათიე ერთად გამოვა, მაგრამ ცალ-ცალკეც გაიყიდება; ეს იქნება ტილოს ყდაში მოთავსებული გამოცემა, რომელსაც მოკლე ტექსტს დაურთავენ. აქ ნახატებზე ლაპარაკი არ იქნება – ამაზე თავად ნახატებმა უნდა გვითხრას ყველაფერი – მხოლოდ მოკლედ, ორიოდ სიტყვით უნდა ითქვას, ეს გამოცემა როგორ შეიქმნა, რისთვის შეიქმნა და ა.შ.

ამდაგვარი ერთობის აზრი ასეთია: თუ საქმეს ხელს მოკიდებენ მხო-

ლოდ მხატერები და ყველაფერს თეითონ იკისრებენ – როგორც შრომას, ისე ხარჯებს, საქმე, ალბათ, შუა გზაზეე ჩაიშლება; მაშასადამე, მთელი ტეირთი თანაბრად უნდა განაწილდეს, ისე რომ, ყველას იმდენი შეხედეს, რამდენის ზიდეაც შეუძლია. მაშინ საქმეც დაბოლოედება. მონაგებს კი ჯერ ის მიიღებს, ეინც ამ საქმისათეის ფული გაიღო, ხოლო შემდეგ – ყველა მხატეარი, იმის მიხედეით, თუ ეის რამდენი ნახატი აქონდა წარმოდგენილი. რაც დარჩება, შემდგომ საქმეს, ესე იგი, ახალ და ახალ გამოცემებს მოხმარდება.

გამომცემელნი ამ საქმის წინსელას საკუთარ მოეალეობად მიიჩნეეენ. რაკი მიზნად პირადი მოგება არ ექნებათ, თუ ამ საქმეს მოგება არ მოჰყეა, თუ მთელი თანხა დაიკარგა, არც ისინი, ფული რომ გაიღეს ან მხატერებთან ასე თუ ისე თანამშრომლობდნენ, და არც მხატერები თაეიანთ ფულს უკან აღარ მოითხოეენ. თუ ღმერთმა ინება და ყველაფერი კარგად დამთაერდა, მოგების პრეტენზია არაეის ექნება. ამ შემთხეეაში მოგება საქმის გაგრძელებას მოხმარდება. ხოლო პირეელ შემთხეეაში დამფუძნებლებს ლითოგრაფიული ქეები დარჩებათ; მაგრამ ასე მოხდება თუ ისე, ორიეეჯერ ყოეელი ქეის პირეელი შეიდასი ანაბეჭდი ხალხს დარჩება და არა ერთობას, და თუ საქმე ჩაიშალა, მაშინ უფასოდ გაერცელდება. პირეელი ოცდაათფურცლიანი სერია რომ დაიბეჭდება, დაუყოენებლიე უნდა გადაწყდეს, საქმე გაგრძელდეს თუ არა. შემდეგ კი, – ოღონდ მანამდე არა, – ეინც მოისურეებს, შეუძლია, გაერთიანებას ჩამოშორდეს. აი, როგორი იდეა მაქეს. როგორ აღეასრულო? მომეხმარები? ჯერ არაეისთეის სიტყეა არ მითქეამს, ეინაიდან ეს იდეა მუშაობის დროს დამებადა.

მინდა, რომ გაერთიანებაში ყველას თანაბარი უფლება ჰქონდეს, არ იყოს წესდება, არც თაემჯდომარე, არაეითარი ფორმალობანი, გარდა ერთობის დებულებისა; და როცა ეს დებულება საბოლოოდ შემუშაედება, როცა ყველა მონაწილე ხელს მოაწერს, რაიმეს შეცელა მარტოოდენ იმ პირობით უნდა მოხდეს, თუ ყოეელი მონაწილე ამ ცელილებას მოიწონებს (თუმც, ყველაფერი უნდა გაკეთდეს არა საჯაროდ, არამედ ისე, როგორც მხატეართა კერძო საქმე). მხატეართა ერთობა მოქმედი ორგანიზაცია უნდა იყოს, მსჯელობა არ არის მისი საქმე. გაუჭიანურებლად და სწრაფად, გადაჭრით მოქმედებდეს. საგამომცემლო წამოწყება ნუ ეგონებათ, იგი ხალხს უნდა ემსახუროს. და კიდეე ერთი. წინასწარ უნდა ეიანგარიშოთ, მბეჭდავთა ხელფასს, ქაღალდსა და ოცდაათ ქეას რამდენი ფული დასჭირდება. ზუსტად ეერ ეიტყეი, მაგრამ ეგონებ, 300 ფრანკი ხარჯების დიდ ნაწილს დაფარაეს კიდეც. ეისაც ფული არ ექნება, ნამუშეერს წარმოადგენს. თუ სხეა მსურეელი არ აღმოჩნდება, ამის გაკეთებას მე ეიკისრებ. თუმც, მერჩიენა, ჩემზე უკეთეს მხატერებს ეკისრათ. პირეელი ოცდაათი ფურცლის დაბეჭდეა, ჩემი აზრით, სასურეელია და თუნდ ამჟამად ნახატების გაკეთების სხეა მსურეელი არაეინ იყოს, მინდა, ამ წამოწყებას ხორცი შეეასხა. როცა ჩემზე კარგი მხატერები ამ სერიას ინახულებენ, შესაძლოა, მოისურეონ და შემოგეერთდნენ, შესაძლოა, თაეიანთი წელილიც გაიღონ. ზოგი ხომ ასეთ წამოწყებაში მანამდე არ გაერეეა, ეიდრე პირეელი ნაბიჯი არ გადაიდგმება, ეიდრე მართლა არ დარწმუნდება, ეს საქმე სერიოზული ყოფილაო.

250. ეან დერ ეელეს ბრეიტნერის ერთი კარგი ჩანახატი აქეს. დაუმთაერებელი ნახატია – დამთაერება იქნებ არც კი შეიძლებოდეს: ღია

სარკმელთან ოფიცრები რუკასა თუ საბრძოლო გეგმას უსხედან და თათბირობენ. ბრეიტნერს ხომ სამსახური აქვს – როტერდამის სამოქალაქო ინჟინრების სკოლაში მსახურობს. ბედი სწყალობსო, ამაზე ითქმის! მაგრამ თუ კაცს შეუძლია, მოითმინოს, სხვა საქმეს ხელი არ მოჰკიდოს და დრო მთლიანად თაეის ხელობას მოანდომოს, ჩემი აზრით, უკეთესია. ყოველგვარი თანამდებობა და რიგგარეშე საქმეები დამღუპველია; იქნებ სწორედ ეს ათასი საზრუნაე, ეს ჩრდილოეანი მხარეები ალამაზებდეს მხატერის ცხოერებას. ცხადია, ამის თქმა სარისკოა: არის მომენტი, როცა სულ სხვა უნდა ამტკიცო. ბეერი ეერ უძლებს ტეირთის სიმძიმეს და იღუპება; ეინც გაუძლებს კი, ეს ყოველიეე მომაეალში გამოადგება.

იწერები, მცირე ზომის ნახატები აკეთო; ჩემი აზრით, სიკეთეს იჩენ, ამას რომ ასე თაეშეკაებით მეუბნები და არა ისე, როგორც სხეებს; ბეერი იგიეეს მიმეორებდა, მაგრამ სრულიად სხვა სიტყეებით; თითქოს კიდეც მაშინებდა, მცირე ზომის სურათებზე თუ არ იმუშაეებ, ასე და ასე მოგიეარო. მე კი ასეთი ლაპარაკი უაზრობად მიმაჩნია. ეერ დაეიჯერებ, თითქოს ეს ხალხი მართალი იყოს; იცი, რას ეფიქრობ? აეი და ქარგი ყოეელგვარ ფორმატს გააჩნია. მე უთუოდ დიდი ზომის ფიგურა მჭირდება, ისე რომ, თაეი, ხელები, ფეხები არც ისეთი პატარა ჰქონდეს და შემეძლოს, ენერგიულად ეიმუშაო. ესე იგი, ბარგის „ნახშირით საეარჯიშოთა“ ზომებს ეიყენებ: აქ შეიძლება, ყეელაფერს თეალი ერთად შეაელო, არც დეტალებია მეტისმეტად მცირე ზომისა. თუმც, მხატეართა უმეტესობა მცირე ფორმატს ირჩეეს ხოლმე. თაეიდანეე თითქმის ასე ემუშაობდი და თუ ახლა ეტიუდების ფორმატს შეეცელი, ჩემს შეხედულებებს ეულალატებ. ახლა მთელი ყურადღება იმაზე მაქეს გადატანილი, ადამიანის დიდ ფიგურას რომ დაეუფლო, რაც მეტისმეტად ძნელი საქმეა; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნაეს, თითქოს სულ ასე ეაპირებდე მუშაობას...

ეს ყეელაფერი იმიტომ მოგწერე, რათა ამეხსნა, როგორ ეცდილობდი, თაეიდანეე მტკიცე სისტემით მემუშაეა. თუმც, ეს წესები იმისთეის როდი შეეიმუშაეე, რომ დაეემონო. მხოლოდ ის მინდა, უფრო ნათელ აზროენებას მიეეჩეიო... მაგრამ, ეფიქრობ, ძალიან ცდება, ეისაც ჯგონია, თითქოს ისეთი სურათები, როგორიცაა, მაგალითად, „ლოცეა სადილობის ჟამს“ (ტყის მჭრელების და გლეხების ოჯახი სუფრასთან), ერთი ხელის მოსმითაა დახატული. მცირე ზომის ნახატები საფუძელიანი და ენერგიული ეერ იქნება, თუ ბეერად უფრო სერიოზულ შრომას არ გაეწეთ, ეიდრე ის ფიქრობს, ილუსტრატორის ხელობას რომ იოლად უყურებს. ჩემო ბიჭუნა, ჩემთეის ნაცნობ სურათებით მოეაჭრეებში შენ ყეელაზე მეტი იცი. ბეერად უფრო სამართლიანად და გულიანად მსჯელობ, ეიდრე მათი უმეტესობა; თუმც, რომ იცოდე, რა დიდი და შეუპოეარი შრომა სჭირდება ისეთ პატარა სურათებსაც კი, როგორიცაა, მაგალითად, „ალბუმ დეს ეოიაჟის“ გრაეიურები ანდა „გრაფიკის“ სულ პირეელი სურათები, ეფიქრობ, შენც კი გაოცებული დარჩებოდი. მე მაინც ასე მემართება: რაც მეტს ეგებულობ შულერის, ლანსონის, რენუარის და მათთა მსგაესთა ცხოერებაზე, მათ სურათებზე, უფრო ერწმუნდები: ის, რასაც ჩეენ შორიდან ეხედაეთ, მარტოოდენ საკეამურიდან ამოსული მცირე კეამლია, მაშინ როცა, ამ მხატეართა სახელოსნოში, მათ გულებში ბობოქარი ცეცხლი ანთია.

ეკლესიის შპილს შორიდან რომ დაინახავ, პატარა და შეუმჩნეველი გეგონება, მაგრამ როცა ახლოს მიხვალ, იტყვი, ეება ყოფილაო. ასეეა ილუსტრაციაც. მე მინდა, ეთქვა, რომ ხალხი ხედავს ილუსტრატორის დიდი შრომის მცირე ნაწილს. არცთუ ისე იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ უზარმაზარ ჩარჩოში ჩასმული ზოგი სურათი ჯერ სენსაციას გამოიწვევს, ხოლო შემდეგ – გაოცებას: სიცარიელე რად მოგვყვება, უკმაყოფილო რადა ვართო. ხოლო უბრალო, ხეზე ნახატი გრაფიურა, ოფორტი ან ლითოგრაფია პირველად იქნებ ვერ შეამჩნიო, მაგრამ მერე მიუბრუნდები, უყურებ, უყურებ და თანდათანობით მოგეწონება, რადგან რაღაც დიადს იგრძნობ. მინახავს ტენელის ნახატი – ორი მღვდელი (რა თქმა უნდა, ეს ამ ნახატის ინგლისური სახელწოდება როდი გახლავს, სიუჟეტია ასეთი), აქედან ერთი ქალაქელია, პომპეზური, მსუქანი და წარმოსადეგი, ხოლო მეორე – ჩვეულებრივი სოფლის პასტორი, ცოტა არ იყოს, გაქუცული, ალბათ, დიდი და ერთობ ღარიბი ოჯახის მქონეც. ხშირად ვფიქრობ, მხატვრებს შორისაც შეიძლება შეგვხვდეს-მეთქი ამ ორი ტიპის ადამიანი. ძალზე ბევრი ილუსტრატორი სოფლის პასტორთა ტიპს მოგვაგონებს, მაშინ როცა, ბუგროს, მაკარტის და სხვათა მსგავსნი პირველ ტიპს უნდა მიეკუთვნოთ.

პირადად ჩემთვის სულ ერთია, დიდ ფორმატზე ვიმუშაებ თუ პატარაზე: ილუსტრირებას რომ მოეთხოვება, იმის გარდა, საკუთარ თავს ბევრ რამეს ეთხოვ! ისეთი ზომის ფიგურის ხატვა უნდა შემეძლოს, თავი იქნება, ხელი თუ ფეხი, არც ისეთი პატარა ჰქონდეს და ყველა დეტალი კარგად გამოჩნდეს. ჯერჯერობით, არ შემიძლია, გავაკეთო, საკუთარ თავს რასაც ვაკალებ, მაგრამ სწორედ ამ მიზეზით უკან არ უნდა დავიხიო. ხოლო ის, რომ დიდი ზომის ფიგურის ხატვას თავისი აზრი გააჩნია, აშკარად ეტყობა ბარგის „ნახშირით საკარჯიშოებს“ და „ოსტატთა ნიმუშებს“, გუპილმა და კ°-მ რომ გამოსცა. მეც ხომ სწორედ ამით დავიწყე და ჯერჯერობით ცოცხალი მოდელის სახატავად უკეთესი სახელმძღვანელო არ მეგულება. ამ გამოცემათა მიზანი იყო, სკოლაშიც და პირველ რიგში, სახელოსნოში, ყველასთვის კარგად განემარტა, ეტიუდებზე როგორ უნდა ემუშავათ. დაეუფიქრდი, ბარგი თავისი მაგალითებით რას გვეუბნება, და თუმც ჩემი ნამუშევრები ვერ არის ისეთი, როგორც მისი, ვგონებ, ბარგის მაგალითები გზას გვიკვალავს სწორედ იქით, საითკენაც მოგვიწოდებდნენ ძველი მხატვრები, ლეონარდო და ვინჩის ჩათვლით. ერთი რამ მაინც აშკარაა, ბარგის მეთოდმა ნახატზე ჩემი წარმოდგენა განაზოგადა, რაც ჩემს შრომას სისტემურს ხდის; ეს კი ასე არ იქნებოდა, თუ უმეთოდოდ ვიმუშაებდი. როგორც ხედავ, გარკვეულ ფორმატზე უარს ვერ ვამბობ, თუმც, ვიმეორებ, თუ უთუოდ საჭირო გახდა, ამა თუ იმ ფიგურის ზომას შევამცირებ.

251. არაერთხელ მიფიქრია, ნეტავ შემეძლოს, ცოტა მეტი დრო მოვანდომო პეიზაჟების ხატვას-მეთქი! ძალიან ხშირად, როცა ისეთი სურათებისთვის შემიხედავს, რომლებიც მართლა განსაცვიფრებელ სურათებად მიმაჩნია, უნებურად მითქვამს: „ეს რომ ვინმეს, აი, ასე დაეხატოს, არასოდეს მინახავს-მეთქი!“ მაგრამ რათა მეც ასევე დამეხატა, იძულებული გავმხდარვარ, რომ სხვა ყველაფერს შევშვებოდი. მაინტერესებს, მეთანხმები, როცა ვამბობ, პეიზაჟურ ფერწერაში ჯერ ყველაფერი გაკეთებული არ არის-მეთქი? მაგალითად, ემილ ბრეტონი ხატავდა და ახლაც ხატავს ისეთ ეფექტებს, რაც სათაეეა ერთგვარი სიახლისა. და ეს

სიახლე, ჩემი აზრით, ჯერ ისე ფართოდ ვერ გამჟღავნდა, ჯერ იშვიათად ესმის ეისმეს და პრაქტიკულადაც იშვიათად იყენებენ. ძალზე ბევრი პეიზაჟისტი ბუნებას ისე ღრმად არ იცნობს, როგორც, ეთქვათ, ის, ვინც ბავშვობიდან მინდორს გულგრილად ვერ უყურებს. ამათგან ზოგი ისე ხატავს, არც მე და არც შენ, არ შეიძლება, მოგვეწონოს (თუმც ისინი ჩვენ მხატვრებად მიგვაჩნია). ემილ ბრეტონის ნამუშევრებს ზოგჯერ ზერელეს უწოდებენ, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის: განწყობილება მას მეტი აქვს, ვიდრე სხვა მხატვრებს, მეტიც იცის და მისი ნაშრომი ყოველმხრივ დადებით შეფასებას იმსახურებს.

პეიზაჟურ ფერწერაში თანდათანობით სიცარიელე იკიდებს ფეხს. ამ ამბავთან დაკავშირებით პერკომერის სიტყვები მინდა გაეიხსენო: „ინტერპრეტატორის სიმარჯვე მისი პროფესიის ღირსებას არცხენს“. ეფიქრობ, ხალხი მალე მოგვეთხოვს: „ამდენი მხატვრული კომპოზიცია აღარ გვინდა, ისევ უბრალო, ჩვეულებრივი ველ-მინდვრები გვაჩვენეთო“. რა კარგია, როცა რუსოს რომელიმე ლამაზ სურათს თვალს შეავლებ, ამდენი რომ უწვალია, რათა როგორმე ალალ-მართალი და პატიოსანი დარჩენილიყო და სიმართლისთვის არ ელალატა. რა კარგია ფიქრი ისეთ ადამიანზე, როგორიცაა ვან გოიენი, ანკროუში, ანდა მიშელი! რა კარგია იზააკ ოსტადე, რეისდალი! მინდა, რომ იმათ დაუბრუნდეთ, იმათ ებაძაედეთ? არა, მინდა, პატიოსნება, გულწრფელობა და გულმართლობა შეეინარჩუნო...

მინახავს ჟიულ დიუპრეს ბევრი ძველი ლითოგრაფია – ან მის მიერვე, ანდა მისი ჩანახატებით გაკეთებული. რა ძალა და სიყვარულია ჩაქსოვილი! ამაღე დროს კი, რა თავისუფლად, რა იოლად ნაკეთებია! ნატურის იდეალური ასლის შექმნა კიდევ არ ნიშნავს სინამდვილის სწორად ასახვას, მაგრამ ნატურის ისე ცოდნა, რომ სურათი ცოცხალი და ნამდვილი გამოვიდეს, დღეს ძალიან ბევრს აკლია. რას ფიქრობ, იცის, ეთქვათ, ბოკმა ის, რაც შენ იცი? ცხადია, არა. მეტყვი, პეიზაჟსაც და ფიგურებსაც ბავშვობიდან ყველა ჩვენგანი უყურებსო. მაგრამ საქმე სხვაგვარადაა: განა ყველა საკმარისად დაკვირვებული იქნებოდა? განა ყველას ეყვარებოდა ბავშვობაში უკაცრიელი არემარე, მინდვრები, წყიმა ან ქარიშხალი, მდელოები, ტყეები, თოლები? არა; ამ მხრივ ყველა ჩვენ არა გვგავს. ჩვენში ბუნების სიყვარული გარემომ და თავისებურმა ეითარებამ გააღვივა. ხოლო რათა ეს სიყვარული ძვალსა და რბილში გაგვჯდომოდა, საჭირო იყო თავისებური ხასიათი და ტემპერამენტი.

მახსოვს, ჯერ კიდევ ბრიუსელიდან გამოგზავნილ წერილებში აღწერდი ხოლმე პეიზაჟებს ისე, როგორც უკანასკნელ წერილებშია აღწერილი. იცი, რას გეტყვი, ხელოვნებაში ჩვენ გვჭირდება პატიოსანი ადამიანი. იმას არ ვამბობ, თითქოს ასეთი არავინ იყოს, მაგრამ შენ იცი, რასაც ეგულისხმობ, ჩემზე უკეთაც მოგეხსენება, ფერმწერთა შორის აუტანელი მატყუარა რამდენიც არის.

ამბობენ, რომ „პატიოსნება სარწმუნოა უფროის სხვათა სათნოებათა“ და აქ ესეც სწორედ ისევე გამოგვადგება, როგორც კუსა და კურდღლის არაკი ანდა ზღაპარი ანდერსენისა მახინჯი იხვის ჭუკის შესახებ. მაგალითად, რატომ არის მშვენიერი გრაეიორ ედვინ ედვარდსის ნამუშევრები ან რად ითელება იგი ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე უკეთეს მხატვრად? იმიტომ რომ, მას სურს, იყოს პატიოსანი, იყოს მართალი. მე, პირადად, მერჩივნა, ისევ ჟიულ დიუპრე ეყოფილიყავი, ვიდრე ედვარდსი,

მაგრამ მაინც ვალდებულნი ვართ, გულწრფელობას დიდი პატივით მოვეკიდოთ; გულწრფელობა უტყუარია, მაშინ როცა, სხვა ყველაფერი მხოლოდ ჩვენია. ჩემი აზრით, ბურნიეს „მინდერები ზამთარში“, ლუკსემბურგის მუზეუმში რომ ინახება, იდეალურია. ასეთივეა ფერმწერისა და ქსილოგრაფის – ლაეიელის – ნამუშევრები, – სწორედ ახლა გამახსენდა საშობაო განწყობილებით დახატული მისი სურათი – „ზამთრის ღამე“. ქალბატონ კოლარსაც გაეიხსენებ – მაგონდება, მაგალითად, მისი სურათი – ვაშლის ბაღში რომ თეთრი ცხენი პყავს დახატული. არის შენტრეი, არის გეტალსიც (არაერთხელ მიფიქრია, თუ ვის სურათებს შეიძლება შეეადაროთ გეტალსის ეს მშვენიერი ნამუშევრები. მაგრამ, ეგონებ, ამ სურათებს მარტოოდენ შენტრეილის ნამუშევრები შეედრება), თუმცა, კარგად არც ერთს ვიცნობ და არც მეორეს. უბედურება ის არის, რომ პეიზაჟის დიდოსტატთა აზრებს და ზრახვებს ხშირად უკუღმა გაიგებენ ხოლმე. ეერაეინ ხედება, წარმატების მიზეზი რომ უმთავრესად გულწრფელობა და სიმართლეა.

ბევრი, საერთოდ, ეერაფერს გახდება, ვინაიდან სიღრმე აკლია, მიუხედავად იმისა, რომ პატიოსნად შრომობს და იღვწის, სადამდეც პყოფნის პატიოსნება. მაგრამ, ეგონებ, დამეთანხმები (მით უმეტეს, რომ ეს ამბავი შენ გეხება, თუმც უშუალოდ მაინც არა), რომელიმე პეიზაჟისტს, ვინც ამჟამად მოდაშია, შენი ცოდნის ნახევარი მაინც რომ ჰქონდეს და ბუნებაზე ისეთი საღი აზრი გააჩნდეს, რაც შენ თაეისით შეიძინე, უკეთეს და ბევრად ძლიერ სურათებს შექმნის. დაფიქრდი ამის თაობაზე, ბევრი სხვა რამეც გაიხსენე, ვიდრე შენს თავს შეაფასებდე, ვიდრე მტკიცებას დაიწყებდე. „საშუალო“ მხატვარზე მეტი ეერასოდეს ვიქნებოდიო, – თუკი სიტყვა „საშუალოში“ უკეთეს რამეს, ბევრად უფრო კეთილშობილურს არ გულისხმობ, ვიდრე, საერთოდ, იგულისხმება. ახლა სიტყვა „მოხერხებას“ ხშირად ხმარობენ, მაგრამ მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა მე არ ვიცი – გამიგონია მხოლოდ ძალზე უმნიშვნელო სურათებზე ლაპარაკის დროს. მაგრამ ნუთუ მოხერხებაა, ხელოვნება რამაც უნდა გადაარჩინოს? მეტი იმედი მექნებოდა, საქმე უკეთ იქნებოდა, თუკი მეტი გეეყოლებოდა ედ. ფრერის ან ემილ ბრეტონის მსგავსი მხატვრები და არა თუნდაც ბოლდინიეით ან ფორტუნიეით გაქნილები. ფრერსა და ბრეტონს ხალხი უთუოდ მოინაკლისებს, უთუოდ ყველა დაიტირებს. ბოლდინის და ფორტუნის კი, შესაძლოა, პატივი ეცეთ ისე, როგორც ადამიანებს, მაგრამ გაელენა, რომელიც მათ მოახდინეს, დამღუპეელია.

252. ჟურნალ „გრაფიკის“ 1882 წლის საშობაო ნომერს გიგზავნი. ყურადღებით წაიკითხე – ღირს წაკითხვად. ეს რა დიდი წამოწყებაა და რამდენს სურს, გახდეს მისი მონაწილე!.. სხვათა შორის, პერკომერი სხვას ამბობს და ჟურნალ „გრაფიკის“ გამომცემლები სულ სხვას წერენ. აი, ისინი რას ამტკიცებენ: „ჩანაწერებმა გეიჩეენა, რომ პროფესიონალ მხატვართა გარდა, მთელ მსოფლიოში მიმობნეულ ორი ათას შეიდას ოცდაათ კორესპონდენტს მაინც ეითელით, რომლებიც ან ჩანახატებს, ან ოსტატურად დახატულ სურათებს გეიგზავნიანო“. პერკომერი კი ამტკიცებს, „კარგი მხატვრები გეაკლიაო“. იგი, საერთოდ, სხვა აზრისაა, ვიდრე ზემოთნახსენები გამომცემელნი. საბოლოოდ, დაახლოებით, ასე გამოდის: „გრაფიკის“ გამომცემელნი გეუბნებიან: „ყველაფერი კარგადაა“; პერკომერი კი – „პირიქითო“.

აბა, ამ ნომრის მეოთხე გეერდს გადახედე – გაოცდები, ისეთ რამეს

წაიკითხავ: „გრაფიკი“ მომაგრდა, წელში გაიმართა, იჯარით ცალკე შენობა აიღო და ექცეს მასქანაზე იბეჭდებაო“. ასეთი რამ პატიებისცემას იმსახურებს. ჩემი აზრით, ეს დიდებული, კეთილი და წმინდა საქმეა. წარმოვიდგენ ამ მშვენიერი მხატერების ჯგუფს, ნისლიან ლონდონს, პატარა სტამბას, სადაც მუდამ ფუსფუსია; უფრო მეტიც, წარმოვიდგენ ამ მხატვართა სახელოსნოებს და ეხედავ, რარიგ ენთუზიაზმით, რა მონდომებით ეკიდებიან ეს მხატერები თავიანთ საქმეს. ეხედავ, მილესი ჟურნალ „გრაფიკის“ პირველ ნომერს დიკენსთან როგორ მიარბენინებს. მიწურულია სიცოცხლის დღენი დიკენსისა, ცალი ფეხი წართმეული, სიარულის დროს ყაეარჯენს ხმარობს. მილესი მას ლიუკ ფილდზის „მშიერებსა და უსახლკაროებს“ (უსახლკაროთა, ღატაკთა ბრბო ღამის სათევის შესასელელთან) უჩვენებს და ეუბნება: „თქვენი წიგნის — „ედვინ დრუდის“ — ილუსტრირება, გთხოვთ, ამ მხატვარს მიანდოთო“, და დიკენსიც უპასუხებს: კეთილი, ასე იყოსო.

„ედვინ დრუდი“ უკანასკნელი წიგნი იყო დიკენსისა. როცა ლიუკ ფილდზმა, — რომელიც დიკენსს თავისი პატარა ილუსტრაციების წყალობით გაეცნო, — დიდი მწერლის სიკვდილის დღეს მისი ოთახის კარი შეაღო, თვალში მისი ცარიელი სკამი მოხვდა. ასე შეიქმნა „გრაფიკის“ ერთ-ერთ ძველ ნომერში მოთავსებული ფილდზის ნახატი, „ცარიელი სკამი“ რომ პქვია. ცარიელი ძველი სკამი! ეს სკამები ახლაც ბევრია, თანდათან კი უფრო და უფრო გახშირდება. ადრე თუ გვიან პერკომერის, ლიუკ ფილდზის, ფრენკ პოლის და უილიამ სმოლის ნაცელად მხოლოდ მათი ცარიელი სკამებიღა შემოგვრჩება. ხოლო ჩვენი საქმოსნები და გამომცემლები აინუნშიც არ აგდებენ ისეთი კაცის წინასწარ ნათქვამს, როგორიცაა პერკომერი. ისინი, — როგორც ამ ჟურნალში, — გვარწმუნებენ, თითქოს საქმე კარგად იყოს და გამუდმებით წინ მიეიწევდეთ. მაგრამ ეს რა დახაესებული აზრები აქეთ! რარიგ ცდებიან, როცა პგონიათ, თითქოს ვინმეს დაარწმუნებენ, რომ ნიეთიერ კეთილდღეობას არაფერი შეედრება და გარეშე ზნეობრიეი სიკეთისა შეიძლება ადამიანმა შექმნას რამე დიადი და მნიშვნელოვანი.

„გრაფიკსაც“ ის სჭირს, რაც ბევრ სხვა რამეს ხელოვნებაში. ზნეობრიეი სიკეთე ქრება, ადგილს ნიეთიერ სიკეთეს უთმობს; მაშ, სასურველი ცვლილებები როგორ მოხდება? ეფიქრობ, ამ კითხვას თითოეულმა ჩვენგანმა თვითონვე უნდა უპასუხოს, მაგრამ იგავი ტყუილუბრალოდ როდი ამბობს: წარსაწყმედელად ფართო გზას მიჰყავს ადამიანი, მაშინ როცა ეიწრო არს გზა, რომელსაც ჩვენი გადარჩენა შეუძლიაო. „გრაფიკმა“ სელა ეიწრო გზით იწყო, ახლა კი უკვე ფართო გზებით დაიარება. ამ დილას ბოლო ნომერი ვნახე: შიგ კარგი, მართლაც, არა არის რა. ამ დილასვე ერთ ებრაელ ბუკინისტთან გადასაყრელ ხარახურაში ძველი, 1873 წლის ჭუჭყიანი, დაფლეთილი ნომერი შემხვდა: ყველაფერი, რაც იქ არის, შესანახია.

ორიოდ წლის წინ რაპპარდთან ერთად ბრიუსელის გარეუბნებში ეხეტიალობდი — იოსაფატის მდელოებს რომ ეძახიან, იმ ადგილებში, სადაც მაშინ, სხვათა შორის, რულოფსი ცხოვრობდა. იქ იყო ქვიშის კარიერიც — მიწისმთხრელები მუშაობდნენ. ქალებიც იყვნენ — ბაბუაწვერას აგროვებდნენ, მთესველი გლეხიც შეგხვდებოდა. ამის შემხედავს სასოწარკვეთა დამეუფლა: „შეეძლებ-მეთქი, ოდესმე მაინც იმის დახატვას, რაც ასეთ მშვენიერებად მიმაჩნია?“

ახლა ისე უიმედოდ აღარა ვარ: ვიცი, რომ უკვე შემიძლია, ეს გლეხები და გლეხის ქალები მაშინდელზე უკეთ დავხატო; ისევე ისე მოთმინებით ვიმუშაებ, ჩემსას-მივაღწევ, ვიტყვი, რის თქმაც მსურს; დიახ, დავხატავ, რის დახატვაც განმიზრახავს.

მაგრამ საქმე ისე მიდის, გული მიწუხს, უკვე აღარ შემიძლია, ეს ჟურნალები აღტაცებით და სიხარულით გავიხსენო. „გრაფიკი" მალაეს, ზემონახსენებ მხატვართაგან ძალიან ბევრი ნამუშევრებს რომ აღარ აძლევს და ცდილობს, ნელ-ნელა ჩამოშორდეს. რატომაო? იმიტომ, რომ მხატვარი შრომობს სიკეთისთვის და ვერაფითარ პომპეზურობას მისი სული ვერ ეგუება. კიდევ რა ეთქვა. შემიძლია ისევ და ისევ ვიმეორო: რას იზამ-მეთქი! რა თქმა უნდა, საჭიროა, კვლავ ვიმუშაოთ, მაგრამ უნდა ისიც ვიცოდეთ, რა დუხჭირია, რარიგ ბნელით მოცულია მომავალი.

სიამოვნებით ვაღიარებ, რომ პაიაგაში ჭკვიანი და ცნობილი ხალხი ბლომადაა. მაგრამ ზოგჯერ რა საწყლები არიან! რა ხრიკებს არ დაუგებენ ერთიმეორეს, რაღაზე არ წაიჩხუბებენ, ერთმანეთის შურით კედებიან! ხოლო ვისაც წარმატებისთვის მიუღწევია — გეზის მიმცემ მხატვრებად რომ ითვლებიან, მესდაგის ჩათვლით და მეთაურობით, — ნიეთიერ სიკეთეს უეჭველად ზნეობრივზე მაღლა აყენებს.

უკვე ეფიქრობ, სადმე წასვლა რომ შემძლებოდა, ეთქვათ, ინგლისში, რაიმე ადგილს ვიშოვიდი. ადგილის შოვნა მუდამ ჩემი სანუკვარი ოცნება იყო; როცა ხატვას ახლად ვიწყებდი, ამის იმედით უდიდესი გაჯირება ამიტანია; მაგრამ როგორც კი გავიხსენებ, საქმეები როგორ მიდის, გულზე დარდი შემომაწვება: ადგილის ძებნა ახლა ჩემთვის არც ისეთი იოლია. რა თქმა უნდა, ჩემს ნახატებს გულმოდგინებას როგორ მოვაკლებ, მაგრამ რა ექნა, რედაქციის კარს ვერაფის აეუტალახებ — ამაზე ფიქრიც არ შემიძლია... გული მიწუხს. აშკარაა, ბედი არ მწყალობს, ვინაიდან ძალას ეგრძნობ, მაგრამ გარემოება ხელ-ფეხს მიბოჭავს. სულ თავს ვებრძვი: არ ვიცი, ხელი რას მოვკიდო. ამ საკითხის მოგვარება კი ბევრად ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

ისეთი ადგილი მინდა, ჩემს საქმეში ხელი შემიწყოს. ზოგიერთი თანამდებობა, რომლის შოვნა შემიძლია, ისეთ ამბებს უკავშირდება, რაც სულ არ მაინტერესებს და ამიტომ არ არის ჩემი შესაფერი. სამსახურშიც რომ ჩამაყენონ, ცრტა ხნის შემდეგ აღარაფის მოვეწონები, ან დამითხოვენ, ან თავად წავალ, როგორც გუპილთან დამემართა. სამსახურში, ალბათ, მომთხოვენ მიმდინარე საკითხებზე რეაგირებას; რეაგირებას სადღეისო ჭირ-ვარამზე, ღმერთმა უწყის, კიდევ რაზე. ერთი სიტყვით, მომთხოვენ იმას, რაზედაც ხელი ზედმიწევნით გაიწაფა ისეთმა ხალხმა, როგორიცაა ადრიენ მარი ანდა გოტფრუა დიურანი. რაც დრო გადის, ცხადად ეხედავ, ილუსტრირებული ჟურნალები თანდათანობით ზერელე გახდა, დინებას მიჰყვა. ეგონებ, არც ერთი აღარ ცდილობს, რომ იმ დონეს მიაღწიოს, რაც ასეთ ჟურნალებს მოეთხოვება. არა, მათ სხვა საზრუნაი არ გააჩნიათ — გვერდები იმით უნდა შეავსონ, რაც არ მოითხოვს არც დროს, არც შრომას; ზოგჯერ კარგი რამ გამოაქვეყნონ, მაგრამ მხოლოდ მისი ცუდი და დაუდევარი, მექანიკური რეპროდუქცია; რაც მთავარია, მეტი ფული გააკეთონ. საქმის ასე დაყენება ჭკვიანური არ უნდა იყოს; ამას ჟურნალები მალე მწარედ ინანებენ; ეგონებ, კიდეც გაკოტრდებიან. ალბათ, ეს მალე არ მოხდება, ბოლოს კი მაინც ასე იქნება. ჟურნალების განახლება კი, საერთოდ, აზრად არავის მოსდის.

„გრაფიკა“, „ილუსტრასიონსმა“, „ეი მოდერნმა“ სომერი თუნდაც მოსაწყენი, ბანალური სურათებით ააჭრელონს, ჟურნალი მაინც ეაგონობით გაიყიდება, ხოლო მისი გამომცემელნი ხელების ფშვნეტას მოყვებიან: „ხომ ხედავთ, რომ საქმე ისედაც კარგად მიდის, ერთი ძაღლიც არ დაიწყნაღლებს: ხალხი ყველაფერს ჩაყლაპავსო“. ეს კი ასეა, მაგრამ ბატონმა გამომცემლებმა, რასაც ბეჭდავენ, იმას რომ თვალი მიადევნონ და ყურადღება მიაქციონ, ათასობით ადამიანი მათ ჟურნალს როგორ ხარბად იტაცებს, მაგრამ მერე, ნირწამხდარი და უმაყოფილო, განზე გულგრილად გადადებს ხოლმე, მათი აღტაცება ოდნავ მაინც განელდებოდა. სინამდვილეში ასე არ ხდება. როგორც „გრაფიკის“ გამომცემელთა განცხადება დაგარწმუნებდა, თავდაჯერება მათ ოდნავადაც არ აკლიათ.

ამასობაში თანამშრომლებად აქ თავს იყრის ისეთი ხალხი, ვინც წინანდელ უმძიმეს, მაგრამ ძვირფას წლებში, ალბათ, ვერაფერს გახდებოდა. ზოლას სიტყვით, ახლა „სიმდარის, უფერულობის ტრიუმფია“. მაშვრალთა და მოაზროვნეთა, მხატვართა ადგილს სნობები და უნიჭონი იკაებენ; თანაც ამას არაინ ამჩნევს. ცხადია, ხალხი თითქოს არ არის კმაყოფილი, მაგრამ ნიეთიერ სიკეთეს ხომ ისიც ტაშს უკრავს. მაინც გეახსოვდეს: ეს წარმატება მარტოოდენ წამიერია და ვინც ამას ტაშს დაუკრაეს, მხოლოდ მოდის ამყოლია. ნადიმს კი მუდამ ნაბახუსევის უგუნებობა მოყვება ხოლმე, ღრიანცელს ცელის სიცარიელე, სიჩუმე და გულგრილობა. როგორც პროსპექტი გვატყობინებს, „გრაფიკი“ ფიქრობს, „სილამაზის ტიპები“ (ქალის დიდი თაეები) ბეჭდოს; პერკომერის, სმოლის და რიდლის „ხალხურ ტიპებს“, ალბათ, ეს შეცელის. მაგრამ ზოგიერთს „სილამაზის“ ეს ტიპები არცთუ დიდად აღაფრთოვანებს, ისინი ისევ გულის ტკივილით გაიხსენებენ „ხალხურ ტიპებს“ (ამ სერიის ბეჭდვა კი შეწყდა).

ყური მიგდე, ჩემო თეო, ჩემო ბიჭუნა. სულის სიღრმემდე შეძრული ვარ საქმის ასე შეტრიალებით. შენ იცი, რომ დიდ პატივად მიეიჩნეედი, თუკი ჩემი სანუკვარი ოცნებები ახდებოდა და ძველ „გრაფიკში“ თანამშრომლობა მეღირსებოდა. პირველ ხანებში ეს წამოწყება დიადი იყო, ეით თეით დიკენსი, როგორც დიკენსის თხზულებების საოჯახო გამოცემა. ამჟამად კი ყველაფერი წარსულს ჩაბარდა – ნიეთიერმა ინტერესებმა ზნეობრივი პრინციპები კვლავ გადაძლია... მე რაღაც უფრო ნამდვილი მინდა, უფრო უბრალო, უფრო მყარი, მჭირდება მეტი გულთბილობა, გულითადობა, სიყვარული... ხანდახან გული, აი, რის გამო მიმძიმდება: ადრე როცა ხატვას ეიწყებდი, შეგონა, რომ საკმარისია, წინ წაეიწიო, მაშინვე სამუშაოს ეიშოეი და გზას გაეიკვლევ, ცხოვრებაში საკუთარ ადგილს ეიპოეი-მეთქი. მაგრამ ასე როდი მოხდა: ახლა ეშიშობ, რამე სხვა სახის სამუშაო სატუსაღოდ არ გადამექცეს. მაგალითად, ასეთ რეპლიკებს ვერ აეცდები: „თქვენს ზოგ სურათს არა უშავს (არა მგონია, ეს გულწრფელი ნათქვამი იყოს), მაგრამ, ხომ გესმით, ჩვენ ასეთი არაფერი გამოგვადგება – ჩვენ გვჭირდება მიმდინარე მოვლენების ასახვაო“ (ნახე, „გრაფიკი“: „პარასკევს ჩვენ იმას ველოდით, რაც ხუთშაბათს მოხდაო“). იცი, თეო, ჩემო ბიჭუნა: „სილამაზის ტიპებისთვის“ მუშაობა არ შემიძლია, მაგრამ ყველაფერს ვიღონებდი, რათა „ხალხური ტიპებისთვის“ შემექმნა რამე.

253. რა ეიცი, რომ მიზანს მიეალწეე? შემიძლია, წინასწარ ეთქვა, დაბრკოლებათა გადალახვას შეეძლებ-მეთქი? საჭირაოა, ჩუმად დაეჯდე და ჩემთვის ეიშრომო; ვის რად უნდა ლაპარაკი! რაც მოხდება, მერე ენახავთ. ერთ პერსპექტივას თუ დაეკარგავ, რა მოხდა მერე? შესაძლოა, მეორე გაჩნდეს, უნდა ხვალინდელ დღეზე ეიფიქროთ, უნდა ეიფიქროთ გამოსავალზე, თუნდ არ ეიცოდეთ, რომელ მხარეს ეძიოთ იგი. სინდისია ჩვენი კომპასი. და თუმც ისარი ზოგჯერ ტყუის, ჩვენ კი ნაჩვენებ მიმართულებას მუდამ არ მიედევეთ, მაინც რამე უნდა ეიღონოთ, რათა გეზი არ დაეკარგოთ.

254. ადამიანის ორ დიდ თავს ეხატავ: დაერდომილთა თავშესაფრის ბერიკაცია ჩემი მოდელი. ჭაღარა წვერი აქვს, ძველმოდური, გაცვეთილი ცილინდრი ხურავს. სასიამოვნო სანახავია, როცა ასეთი ბერიკაცი საშობაო ბუხარს უზის და, ეტყობა, მხიარულ გუნებაზეა.

255. ბოლო წერილში, ეგონებ, მოგწერე, თავებს რომ ეხატავ. ჯიუტად ეშრომობ, რადგან ეიგრძენი, უფრო მეტი ყურადღებით უნდა ეისწავლო თავის ქალის აღნაგობა და სხვადასხვა ტიპის სახეები; ეს სამუშაო მაინტერესებს და ამიტომ ეიპოვე კიდეც, რასაც უკვე დიდი ხანია, ეეძებდი, მაგრამ უშედეგოდ.

256. ის, რასაც „შაე-თეთრს" უწოდებენ, ნიშნავს ფერწერას შაეი ფერით, მხოლოდ შაეით; ესე იგი, ელფერების სიღრმისა და სიუხვის ეფექტს – მარტოოდენ ფერწერას რომ შეუძლია, – ნახატით უნდა მიაღწიო. ზოგიერთ მხატვარს მუშაობის ნერვული მანერა აქვს. ეს მათ ტექნიკას თაეისებურ იერს აძლევს – ეიოლინოს ხმას რომ დაჰკრავს, აი, ისეთს. ასეთია, მაგალითად, ლემიუდი, დომიე, ლანსონი. სხვათა მანერა, ეთქვათ, გაეარნის ან ბოდმერისა, ფორტეპიანოს მოგეგონებს, მილესი კი – დიდებულ ორგანს. ასე არ არის?!

2 თებერვ. მახსენდება, ერთი წლის წინ პააგაში რომ ჩამოეედი, ასე მეგონა, მხატვრებს წრე აქეთ ანდა რაღაც ერთობის მსგავსი, სადაც სითბო, გულითადობა, პარმონია სუფევს-მეთქი. ეს ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა, ეერ ეიფიქრებდი, სხვაგვარადაც თუ შეიძლებოდა ყოფილიყო. ის მაშინდელი წარმოდგენები არ მინდა გამიქრეს, მაგრამ ზღვარის გაელება კი სინამდვილესა და იმას შორის, რასაც ეფიქრობდი, საჭიროა. აქ ჩამოსელამდე ეერ ეიფიქრებდი, რომ ეს ციეი ურთიერთობა, ეს განდგომა ერთმანეთისგან მხატვრებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ასე რად არის? არ ეიცი და არც ვაპირებ ამის გარკვევას. ოღონდ ჩემთვის კი, პირადად ჩემთვის, საეალდებულოდ მიმაჩნია ეს ორი წესი: პირველი ის, რომ კი არ ეიჩხუბო, არამედ ეეცადო, მშვიდობიანი ურთიერთობა შეეინარჩუნო – როგორც ირგელიე მყოფთა გულისთვის, ისე თეით ჩემთვის; ხოლო მეორე: თუ მხატვარი ეარ, საზოგადოებაში სხვა ადგილის მოპოვებას აღარ ეეცადო. ეინაიდან მხატვარი გქვია, მაშ, ადექი და, სხვა სოციალურ პრეტენზიებზე უარი თქვი, ფოორპოუტელთ, ეილემსპარკელთ და ა.შ. ნუ ეტმასნები, მათ მეგობრობას ნუღარ იჩემებ. იმ ძველისძველ, თამბაქოთი გაბოლილ და ჩაბნელებულ სახელოსნოებს ხომ შეენოდა, მხატვრები რომ ჭეშმარიტად მეგობრობდნენ ერთიმეორეს! ეს კი ახლა, შესაძლოა, სულ სხვა რამით შეიცვალოს.


როცა ჩემთან ისეე ჩამოხვალ, თუ იტყეი, რომ წარმატებისთვის მიმიღწეეია, სხვა სურეილი არ მექნება, გარდა ერთისა: კელაე ისე მოეიქცე,

აქამდე რომ ეიქცეოდი – ჩემთვის ეიყო, მშვიდად ეიშრომო და არაფის გაეკარო. თუ შინ ლუკმა მეგულება, ხოლო ჯიბეში მოდელების საქირაოებლად ცოტა ფული, მეტი რა მინდა? ერთადერთი სიხარული ის იქნება, თუ უნახავ, რომ თანდათან უკეთ ეხატავ. ხატვის მეტი არა მინდა რა.

257. *3 იანვარი.* წერილში ჩემზე იმდენ სიკეთეს იწერები, ვალდებული ვარ, ეს ყველაფერი გავამართლო... რაც შეეხება ნახატების განწყობილებას, მე ვერ განვსჯი, ჩემს ნახატებში რა არის ანდა რა არ არის. უფრო სწორად, საქმე ასეა: სიუჟეტის მქონე ნახატებს, აი, ასეთი ეტიუდები მირჩევნია: თვით ნატურას ეს უფრო ცოცხლად მომაგონებს. კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ: ნამდვილ ეტიუდს რაღაცა აქვს თვითონ ცხოვრებისა; კაცი, რომელიც ეტიუდს ხატავს, მასში აფასებს ნატურისეულს და არა თავისას; მაშასადამე, მას ეტიუდი ურჩევნია და არა ის, რაც, შესაძლოა, ეტიუდიდან შემდეგ დახატოს, – თუ, რა თქმა უნდა, უამრავი ეტიუდისგან სხვა რამ არ შეიქმნა, სრულიად სხვა, კერძოდ, ტიპი მრავალ კერძო თვისებათაგან კრისტალად ქმნილი. ეს უდიდესი მიღწევაა და ზოგჯერ ნატურაზე მნიშვნელოვანიც. მაგალითად: მილეს „მთესველში“ მეტი სულია, სულისმიერი, იგი უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე მთესველი, მინდორში რომ შეგეხვედრია...

ჩემო ბიჭუნა, ეიმედოენებ, შეუპოვარი შრომის ფასად რაიმე ვკარგა ოდესმე მაინც გაეაკეთებ. ამას ჯერჯერობით ვერ მივაღწიე, მაგრამ ეიბრძვი და მიზნისკენ ეისწრაფი; სერიოზული რამე მინდა გაეაკეთო, მინდა, შეექმნა რამე ახალი, რამე ისეთი, სული რომ ედგას! მაშ, წინ! სულ წინ! როცა ჩამოხვალ, – დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, – ზოგიერთ ახალ რამეს გაჩვენებ, მერე შეეძლებთ, მომაყალბედაც ეილაპარაკოთ. კარგად იცი – სურათებით მოვაჯრებთან და ხელოვნების მოყვარულებთან ურთიერთობა არ მემარჯვება; ეს რომ არ ვარგა, ისიც იცი. ძალიან მინდა, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც ახლაა, მაგრამ ხშირად გულისტკივილით ეფიქრობ ხოლმე, რომ ისედაც დიდი ხანია, შენს კისერზე ვარ. თუმცა, ეინ იცის, იქნებ ოდესმე ეინმე მონახო, ეისაც ჩემი ნამუშევრები მოეწონება, და ის სიმძიმე, რომელიც ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს წამოიკიდე, შეგიმსუბუქოს. ეს, შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მოხდეს, როცა ცხადად დაეინახავთ, რომ სერიოზული შრომა გაეწიე, როცა ჩემი ნამუშევარი თაეის თაეზე კიდევ უფრო დამაჯერებლად ილაპარაკებს. უბრალო ცხოვრება იმდენად მიყვარს, ალბათ, მუდამ ასე ეიცხოვრებ, მაგრამ შემდეგ, როცა უფრო დიდ საქმეებს შეეჯიდები, ხარჯებიც უთუოდ გაიზრდება. ეფიქრობ, მოდელზე გამუდმებით ეიმუშაებ – ამიტომ ისე უნდა მოეწყო, ეს მძიმე ტვირთი ოდნავ მაინც შეგიმსუბუქო.

262. რაც მეტს ეფიქრობ, შენი წერილით მიღებული შთაბეჭდილება უფრო ღრმაედება. მოკლედ, ორიე ციე და უსულო ქვაფენილზე ნაღელიანსა და მწუხარე ქალებს გადაეეყარეთ (თუ დაეიეწყებთ განსხვაებას იმ პირებს შორის, ეისზედაც ახლა ელაპარაკობთ), არც ერთმა გეერდი არ აეუარეთ – შეეჩერდით და ჩვენი გულის ხმას მიეუგდეთ ყური. ასეთ შეხვედრას ზმანებაზე ფიქრები მოაქვს – როცა იხსენებ, მარტოოდენ მრუმე ფონს ხედავ, ხოლო ამ ფონზე ფერმკრთალ სახეს, თვალებს მწუხარეს. სხვა ყველაფერი თვალთაგან ქრება. სწორედ ეს არის „მწუხარების“ განწყობილება და ამჯერად იგი სრულია. ოღონდ მას ახლა ქალის სახე გამოხატავს. ცხადია, შემდეგ ყველაფერი შეიც-



ელება, მაგრამ ამ პირველ შთაბეჭდილებას ვერ დაეიეიწყებთ...

ერთ ინგლისურ ქალის ფიგურას (პიტერსონისა) აწერია „მწუხარე ქალი", სიტყვა, რომელიც რაღაც ამგვარს გამოხატავს. აი, ახლა იმ ორ ქალზე დაფიქრებულს უნებურად პინუელის ერთი სახატი გამახსენდა, „დები" რომ ჰქვია. ჩემი აზრით, ეს ისეთივე განწყობილების სურათია, როგორიცაა „მწუხარე ქალი". დახატულია შაეით მოსილი ორი ქალი ბნელ ოთახში: ერთი მათგანი, ეს-ესაა, შემოსულა და პალტოს კიდებს, მეორეს კი მაგიდიდან თეთრი საკერაეი აუღია და იქვე დადგმულ ყვაეილს ყნოსავს.


პინუელი, თითქოს, უწინდელ ფეიენ-პერენს მოგვაგონებს. იგი ტეის მარისსაც ჰგაეს, თუმც პინუელის სურათებში უფრო მეტი სიწმინდე და სიფაქიზეა. პინუელი პოეტი იყო, ჩეულებრივი, ყოველდღიური ამბებიც კი უჩეულოდ ეჩენებოდა. მისი სურათები იშეიათად შემხვედრია, ათი წელი მაინც იქნება, არ მინახაეს, მაგრამ ისეთი კარგებია, ცხადად ეხედავ.

მხატვართა კლუბზე ასე ამბობდნენ: „დიდხანს ვერ გაძლებს, რადგან კარგიაო. სამწუხაროდ, პერკომერი ადასტურებს, რომ ეს, მართლაც, ასე მოხდა. თუმც, ეს ერთობა არ მომკედარა, ეინაიდან მწერლობაშიც და ხელოვნებაშიც უფრო მაღალი იდეალების მჭონე ხალხი დიდხანს აღარ გამოჩნდება.

ინგლისში ბევრი რამ არ მომწონდა, მაგრამ მისი ყველა ნაკლი დიკენსმა და კალმით ნახატმა სურათებმა გამოისყიდა. ეს კი იმას სულაც არ ნიშნაეს, თითქოს დღევანდელი არაფერი მომწონებოდეს; ოღონდ ერთი რამ მეჩვენება – რაღაც დადებითი, რაც წარსულს ჰქონდა, რის შენახეა და შენარჩუნება საჭირო იყო, დღეს, უკვე ქრება, ქრება მით უფრო ხელოვნებაში, თუმც ასეა ცხოერებაშიც. იქნებ ნათლად ვერ ელაპარაკობ, მაგრამ რა ექნა, უკეთესად ვეღარ მითქამს, თაეადაც ხომ ზუსტად არ ეიცი, რა ხდება ირგელივ. ოღონდ კურსი, ჯანსაღი და კეთილშობილური მიმართულება მარტოოდენ კალმით ნახატებს არ შეუცელია. უბედურება ის არის, რომ თუმცა ირგელივ სულ ფუსფუსი და ფაციფუცია, ყველგან იგრძნობა სკეპტიციზმი, გულგრილობა და უსულგულობა...

„ეს დიდხანს ვერ გაძლებს, მეტისმეტად კარგიაო", – მთელი ქვეყანა





ასე ამბობს; მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ კარგი ასე იშვიათია, იგი დიდხანს ძლებს. მართალია, ყოველდღიურად ეერსად ეხედავთ (ფაბრიკაში ხომ არ მზადდება), მაგრამ იოლად არ ქრება ხოლმე, ჩვენთან რჩება... იმ ოფორტებზე რაღას იტყვიან, თაეის დროზე კაღარი რომ ამზადებდა? განა ისინიც „მეტისმეტად კარგები" იყო და ამის გამო ეერ გაძლო დიდხანს? ბეერი ლამაზი ოფორტი რომ ამჟამადაც იბეჭდება, ეს კარგად ეიცი. მაგრამ ეგულისხმობ „აკადემიკოსთა საზოგადოების" ძველ სერიებს, სადაც ფეიენ-პერენის „ორი ძმა", დობინის „ცხენის ბაკი", ბრაკმონის და სხვათა და სხვათა ნამუშევრები გამოქვეყნდა. შეინარჩუნა ამ სერიებმა რაიმე ძალა, თუ დასუსტდა და გაუფერულდა? ეთქვათ, დასუსტდა. მაგრამ განა ამ მხატვართა ნამუშევრები ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშები არ არის და სამუდამოდ არ იარსებებს? განა არ კარგაეს ყოველგვარ აზრს ეს სიტყვები – დიდხანს ეერ გაძლებს, მეტისმეტად კარგებიაო? საოფორტე ნემსს რა შეუძლია, ეს დაამტკიცეს დობინიმ, მილემ, ფეიენ-პერენმა, სხვებმა და სხვებმა. სწორედ ისე, როგორც „გრაფიკმა" და ა.შ. დაგეიმტკიცა, რის გაკეთება შეიძლება კალმით ნახატით. და ეს გახლაეთ ჭეშმარიტება, ენერგიას რომ მოუმატებს, თუ ეინმეს ძალა გამოლეეია.

ისიც ცხადია: როცა ერთი საქმისათეის თაეს დადებენ სხეადასხეანი, როცა ერთად იმუშაეებენ, ეს ერთობა ძალას შემატებთ, ერთად ბეერად მეტს შექმნიან, ეიდრე ცალ-ცალკე დაქსაქსულები. ერთად შრომით ადამიანები ერთმანეთს აესებენ, ერთ მთელს ქმნიან, თუმცა, ამ ერთად მუშაობამ თითოეულის თაეისებური ხასიათი არ უნდა ჩაკლას... ბოიდ პოუტონის ერთი ნახატი მაგონდება, რომლისთეისაც აეტორს „ჩემი მოდელები" დაურქმეეია: წინა ოთახში რამდენიმე ხეიბარი შეკრებილა – ერთი ყაეარჯნით არის მოსული, მეორე ბრმაა და ა.შ., ხოლო ერთიც ქუჩის ბიჭია. ისინი შობის დღესასწაულზე სწეეიან მხატვარს. მოდელებთან ურთიერთობა მხატერისათეის სასიამოენოა: მათგან ძალიან ბეერ რამეს სწაელობს. ამ ზამთარს ჩემთან რამდენიმე ადამიანი დადიოდა, რომელთაც ეერასდროს დაეიეიწეებ. ედუარდ ფრერი ლამაზად წერს, რა ხანგრძლიეად იმუშაეა თაეის მოდელებთან: „მას, ეინც ოდესღაც ბალღის ფიგურის დასახატაეად მჭირდებოდა, ახლა დედის დასახატაეად ეიყენებო".

265. *თებერვალი.* რასაც ლერმიტზე იწერები, კალმით ნახატთა გამოფენის მიმომხილეელიც იგიეეს ამბობს, იგიც გაბედულ შტრიხებს იხსენებს, რაც მარტოოდენ რემბრანდტის შტრიხებს შეიძლება, შეეადაროთ. საინტერესოა, როგორ ხატაეს იგი იუდას? შენ როგორც წერ, მას ასეთი ნახატი აქეს – „იუდა მწიგნობრებთან". ჩემი აზრით, ეიქტორ პიუგო იუდას აღწერას კარგად შეძლებდა; ისე აღწერდა, პირდაპირ თეალწინ დაგეიყენებდა; მწიგნობართა სახის დახატეა კი, ალბათ, ბეერად ძნელი იქნება. მიეაგენი დომიეს ფურცლებს – „დრამის შემდეგ" და „ეოდეეილის შემდეგ" რომ აქეია. რაც დრო გადის, მეტად მინდა, მის სურათებს ხშირად ეხედაედე. ეს არის რაღაც მყარი, „დამდგარი" შემოქმედება. დომიე გონებამახეილია, ამაეე დროს, გრძნობითა და ენებით აღსაესე. ზოგჯერ, ეთქეათ, „ლოთებში", – შესაძლოა, „ბარიკადაშიც", რომელიც მე არ მინახაეს, – ისეთ ენებას გამოამეღაენებს, გაეარეარებულ რკინასაც კი შეადარებ.

იგიეეს იგრძნობ, მაგალითად, ფრანს ჰალსის დახატულ თაეებს რომ

უკურებ: მას ყველაფერი უბრალოდ აქეს გაკეთებული, ისე უბრალოდ, ერთი შეხედვით, გულციელიც კი მოგეჩვენება, მაგრამ უფრო დაკვირვებით შეხედავ და, გაოცდები – ასეთი წყნარი, გოსიერი როგორ იყო ასდა ასეთი მშვიდი ხელი როგორ ჰქონდა, როცა აშკარად გაშმაგებული, გახელებული მუშაობდა და ნატურის მეტი არაფერი აგონდებოდა. დე გრუც თავისი ნახატებით და ეტიუდებით სწორედ იგივეს გვაგრძნობინებს. ალბათ, ლერმიტსაც ამდაგვარი მგზნებარება ახასიათებს, ეგონებ, მენცელსაც. ზოლას და ბალზაკს აქვთ ადგილები – მაგალითად, „მამა გორიოში", – სადაც სიტყვები ენებათაღელვის ისეთ გრადუსებს მიაღწევს ხოლმე, თითოეული, პირდაპირ, ვარვარებს, ალმური ასდის.

ზოგჯერ ეიფიქრებ, ხომ არ ეცადო და სულ სხვაგვარად დაეწყო მუშაობა – უფრო მეტი გაბედულებით, მეტი რისკით ეხატო-მეთქი. ოღონდ არ ეიცი, იქნებ ჯერჯერობით ფიგურა უნდა შეეისწავლო საფუძვლიანად, თანაც მხოლოდ მოდელების მეშვეობით... თანდათან ვრწმუნდები, მეც და სხვებსაც სრულყოფამდე ბევრი გვაკლია, შეცდომა ძალიან ბევრი მოგედის, მუშაობის დროს დაბრკოლებები გეეღობება და ილუზიები ამიტომ გევნგრევა, მაგრამ მხნეობას ვინც არ დაკარგავს, ხელს არ ჩაიქნევს, გული ეისაც არ გაუციედება, ეს დაბრკოლებები დაეაჭაცებს, დაბრკოლებებთან შებრძოლება სწორედ ამისთვის არის საჭირო.

თავი უკვე იმ ხნის მგონია, ხან არც კი მჯერა, ოცდაათზე მეტის რომ არ ვარ. განსაკუთრებით მაშინ მგონია, რომ უკვე დავბერდი, როცა ეფიქრობ, ნაცნობების უმეტესობა ხელმოცარულ კაცად მთელის-მეთქი. ეს იქნება ასეც მოხდეს, თუ ზოგი რამ არ გამოსწორდა. როცა ეიფიქრებ, რომ შეიძლება, ასე მოხდეს, ჩემს უიღბლობას ისე მწარედ ეიგრძნობ ხოლმე და ეს ისეთი მტკიენეულია, ისე ცხადი და ხელშესახები, ბოლო მეღება, სიცოცხლის ხალისი მეკარგება, თითქოს ასეთი უბედურება უკვე თავზე დამტეხოდეს. ხოლო როცა უფრო მშვიდად ვარ, უფრო წყნარად, შედარებით ჩვეულებრივ გუნებაზე, მიხარია, ოცდაათ წელს მთლად უქმად რომ არ ჩაუელია და მომაელისთვის ცოტა რამ მაინც შეეისწავლე; იმდენ ძალას და ენერგიას ეიგრძნობ ხოლმე, ოცდაათ წელს კიდევ მეყოფა – თუ, რა თქმა უნდა, ამდენ ხანს ეიცოცხლებ.

თვალწინ მიდგას სერიოზულ მუშაობაში გასაელელი მრავალი წელი, ბევრად უფრო ბედნიერი, ვიდრე განელილი ოცდაათი წელი იყო. სინამდვილეში რა იქნება, ცხადია, ამას მარტო მე არ ვწყვეტ: გარესამყარო, გარემოება, ალბათ, თავის როლს ითამაშებს. აქ ორიოდ დღეს გამოიდარა, გაზაფხულის დღეები დადგა. მაგალითად, წინა ორშაბათს ისეთი კარგი დარი იყო, გულს ნეტარებით აგიესებდა. წელიწადის დროების ცელას ხალხი ძალზე მძაფრად განიცდის. ეგრეთ წოდებულ საქველმოქმედო სახლებისა და ისეთი უბნების ბინადართათვის, როგორიც, ეთქვათ, გეესტია, ზამთარი დიდი სიმძიმილის, უგუნებობის, წუხილის დროა, გაზაფხული კი – პირდაპირ მხსნელი. თუ ღარიბებს დააკვირდები, იოლად შეამჩნევ, გაზაფხულის პირველი დღე მათთვის, პირდაპირ, ხარებაა... ჩემი აზრით, მხატვრები და ღარიბები ერთნაირად განიცდიან ამინდისა და წელიწადის დროთა ცელილებებს. რა თქმა უნდა, ამ ცელილებას ყველა გრძნობს, მაგრამ შეძლებული ბურჟუაზიული წოდების ხალხს გუნება და განწყობილება ამის გამო ნაკლებ ეცელება. ერთმა მბარავმა ასეთი რამ თქვა: „ზამთრის სიცივე მეც სწორედ ისეთ დღეში მაგდებს, როგორც შემოდგომაზე დათესილ თესლსო".

266. ზოგჯერ მგონია, საქმარისი გულთბილობა ვერ გაგრძნობინე, ვერ აგიხსენი, გულზე როგორ მომხვედა-მეთქი ის ამბავი, ამ ბოლო დროს რომ იწერები. იმაზე კი, რომ კითხულობ – სიყვარული და წმიდა ზრახვები სუთუ შეიძლება, „უკეალოდ გამქრალ ილუზიებად“ გადაგექცესო, – გიპასუხებ: ზოგჯერ ასეც ხდება-მეთქი. მაგრამ ერთობ გაეოცებლობდი, თუ ეს თეთრსაც შეემთხვეოდა; არც ის მჯერა, რომ მე შემემთხვევა. მიშლე ძალზე კარგად ამბობს, პირველ ხანებში სიყვარული სუსტია, როგორც აბლაბუდა, მაგრამ შემდეგ ბაგირივით გამძლე ხდებაო. რა თქმა უნდა, თუ ორივე ერთმანეთის ერთგულია.

ეს დღეები სულ გეესტზე ვარ, იმ ქუჩებსა და შესახვევებში დაეხეტიალობ, სადაც შარშან მე და კრისტინა ეხეტიალობდით. ერთ დღეს სოტიო ამინდი იყო, იქაურობა უცნაურად მშვენიერი მომეჩვენა; შინ რომ დაებრუნდი, სინს ეუთხარი: „ყველაფერი იხვე ისეა, როგორც შარშან იყო-მეთქი“. ამას იმაზე გეუბნები, შენ რომ რწმენის დაკარგვაზე მწერ. არა, სიყვარულს – ისევე როგორც მთელ ბუნებას, აქვს ჭკნობისა და ყვავილობის პერიოდები, მაგრამ მთლიანად არასდროს კვდება. ზღვა მაინც ზღვაა, მოიქცევა თუ უკუიქცევა. სიყვარულშიც – ეს იქნება ქალისა თუ ხელოვნების სიყვარული, – არის წუთები, როცა იგი მიიწევა, ძალა ეცლება, მაგრამ რწმენის სრული დაკარგვა, ალბათ, არ ხდება. სიყვარულს, როგორც მეგობრობას, მარტოოდენ გრძნობად როდი ეთვლი. სიყვარული, უპირველესად, მოქმედებაა, და როგორც ყოველ მოქმედებას, მასაც დიდი დაძაბულობა ახლავს ხოლმე. ამიტომაც ბუნებრივია, სიყვარულსაც აქვს შესუსტებისა და მილევის ჟამი. მტკიცე და წრფელი სიყვარული დიდი მადლია, თუმც, არც ის არის გამორიცხული, მძიმე წუთები სიყვარულმაც რომ განგვაცდევინოს...

როგორ მინდა ცოტა ხანს შენთან ლაპარაკი! საქმეზე გული არ ამიყრია, არც ხალისი დამიკარგავს, სულიერად არ დაცემულვარ, მაგრამ თითქოს ერთ წერტილზე გავიყინე და ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ ეინმესთან – ეინც მომწონს და ეისთანაც შეეძლებ, ჩემს საქმეზე ვილაპარაკო, – ურთიერთობა ჩემთვის უთუოდ საჭიროა; აქ კი ახლა ხმის გამცემი არავინ მყავს; არავინ მყავს, ეისაც ფიქრებს გავანდობდი. არა, იმას როდი ვამბობ, თითქოს ნდობა არავისი შეიძლებოდეს; საუბედუროდ, არავის ვიცნობ, ეინც ნდობის ღირსი იქნებოდა. იტყვიან ხოლმე: „საქმე რომ სულის ამოსვლაზეა, ცა სწორედ მაშინ გაიხსნებაო“. დიდებული ნათქვამია. ზოგჯერ გავიფიქრებ: „სულის ამოსვლას“ ნეტავ ბევრიღა გეიკლია-მეთქი?“ – რადგან უკვე ვეღარ ვითმენ, ისე მინდა, ბოლოს და ბოლოს, „ცა გაგვეხსნას“. მოიცა, ენახათ, რა იქნება...

ხანდახან გული მეთანაღრება, ქალს, რომელიც ჩემთან ცხოვრობს, წიგნისა და ხელოვნების რომ არაფერი გაეგება. მაგრამ ჩემი სიყვარული (მისი უმეცრების მიუხედავად) განა იმას არ ადასტურებს, რომ ჩვენ ნამდვილად წრფელი გრძნობა გვაკავშირებს? იქნებ მერე ცოტა რამ ისწავლოს და ამან ჩვენი ურთიერთობა განამტკიცოს, მაგრამ ამჟამად, როგორც თავადაც მოგეხსენება, ბავშვების მეტი არა ახსოვს რა. სინამდვილესთან სწორედ ბავშვები აკავშირებს, მაშასადამე, იგი ბავშვების მეშვეობით უნებურად სწავლობს კიდეც. წიგნი იქნება, ხელოვნება თუ სინამდვილე, ჩემთვის ერთია, თუკი რამეს შემასწავლის. მე იმ კაცთან მომწყინდებოდა, ეინც სინამდვილეს მოწყვეტილია, ეინაიდან, ეინც ცხოვრების გულში ტრიალებს, ბევრსაც გრძნობს და ბევრიც იცის.

ხელოვნებას ცხოვრებაში რომ არ ეძებდე, ამ ქალს სულელად მიიჩნევდი. რა თქმა უნდა, აჯობებდა, ყველაფერი სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაგრამ იყოს, როგორც არის, უკმაყოფილო არც ამითა ვარ. იმედია, ამ კვირაში კელაე ბეჯითი შრომას შეუდგება; თუ მსურს, შევიესო, რაც დამაკლდა, ორი კაცის საქმეს უნდა ეკეთებდე, – მე ხომ ძალზე გვიან დაეიწყე! იმის შეგნება, ჩემს ტოლებს რომ ასე ჩამოერჩი, მოსვენებას მაკარგვინებს.

268. როგორც იცი, ჩემს სახელოსნოს სამი მოზრდილი ფანჯარა აქვს. მაშინაც კი, როცა ფარდებს ვაფარებ, მეტისმეტი სინათლეა და ამიტომ, კარგა ხანია, ფიქრად მქონდა, რამე მეღონა. ეიდრე ფასს არ გადაეიხდიდი, სახლის პატრონს არაფრის შეცვლა არ უნდოდა. მაგრამ ახლა, როცა ისევ შეეუტიე, ექვსი დარაბა და ექვსი გრძელი ფიცარი მომცა. ეს დარაბები შუა-შუაა დახერხილი, ისე რომ, თუ მსურს, შემიძლია, გაეაღო ან დაეხურო თუნდა ზედა, თუნდა ქვედა ნახევარი და, შესაბამისად, სახელოსნოში მეტ-ნაკლები განათება შემოეუშვა ან ზემოდან, ან ქვემოდან. ეფიქრობ, ნახატი, წერილს რომ ერთვის, გაგაგებინებს, როგორ მოხერხდა ეს ყველაფერი. ფიცრებით წალოს დიდი კარადა გავაკეთე: აქ ნახატებს შევინახავ, გრავიურებს, წიგნებს, ტანსაცმელს – დაეკიდებ ჭრთუკებს, ძველ პალტოებს, თაეშლებს, ქუდებს და, რა თქმა უნდა, ზუიდეესტერებს, მოდელებისთვის უსათუოდ რომ მჭირდება ხოლმე...

როგორც შენთვის ცნობილია, ფანჯრებზე რაღაც ფარდების მსგავსი ადრეც მქონდა მიფარებული, კერძოდ, ეს იყო ქეჩარჩოებზე გადაჭიმული ტილოები. ახლა ესენი გათაეისუფლდა და შემიძლია, სხვა რამეში გამოეიყენო, – ეთქვათ, მიეაფარებ უფრო მუქ ქსოეილს ან უფრო ბაცს და თაეების სახატაედ მშვენიერი ფონი იქნება. იცი, ახლა შემიძლია, ერთი ან ორი ფანჯარა დავხურო ხოლმე, ამით სინათლეს მიმართულება მიეცემა, რაც ეფექტებს მნიშვნელოვნად გააძლიერებს; აქამდე კი რეფლექსების ან გაბნეული სინათლის გამო ეფექტები სუსტდებოდა...

მაინც რარიგ უბადრუკია თანამედროვე შენობები! რამდენად კარგი იქნებოდა, ეს სახლები უფრო მყუდრო ყოფილიყო! თანამედროვე სახლის ფანჯარა, აბა, რემბრანდტის ეპოქის ფანჯრებს შეადარე! ეფიქრობ, მაშინდელ ადამიანებს სხეიმოკლებული განათება უფრო ერჩიათ. ეტყობა, ახლა ასე არ არის. ახლა ხალხი, გეგონება, განგებ ცდილობს, სახლები ისე ააშენოს, რომ უსიცოცხლო, მკეეთრი და ციეი სინათლე ჰქონდეთ...

წინა კვირას პიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ერთხელ კიდევ გადაეიკითხე. ათი წელი მაინც გაეიდა, რაც პირველად წაეიკითხე, და ახლა, იცი, რა აღმოვაჩინე? – ეფიქრობ, რომ აღმოვაჩინე, რადგან პიუგო უსათუოდ ამასვე გულისხმობდა, – ქვაზიმოდოში ტეის მარისი შეეიცანი. ალბათ, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ მკითხველების უმეტესობას ქვაზიმოდო ჯკუანაკლებად მიაჩნია. შენ კი, ეიცი, ჩემი არ იყოს, ქვაზიმოდოზე არ გაიცინებ; შენც იგრძნობ, რომ ეიქტორ პიუგო მართალია, როცა ამბობს: მისთვის, ეინც იცის, რომ ოდესღაც ქვაზიმოდო არსებობდა, ღვთისმშობლის ტაძარი დაცარიელდა: იქ ის მხოლოდ კი არ ცხოვრობდა, იგი ტაძრის სული იყოო. თუ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“ ხელოვნებაში იმ მიმართულების სიმბოლოდ მიეიჩნევთ, რომელიც, ეთქვათ, ლეისის, დე გრუს (ზოგჯერ), ლაჟის, დეფრინდტის და პენრი პილის შემოქმედებით გამოიხატა, ტეის მარისზე შეიძლება, ასე

ითქვას: „მისთვის, ვისც იცის, რომ ის ოდესღაც არსებობდა, ხელოვნებაში გაჩნდა დიდი სიცარიელე. მას ხელოვნება ასულდგმულებდა, ხოლო თვით იგი ხელოვნების სული იყო“.

ბოლოს და ბოლოს, ტეის მარისი ჯერ არ მომკედარა, თუმცა იგი ახალგაზრდა, დიდი ხანია, აღარ არის, სნეულია და გულიც ისე გასტეხია, უარესის წარმოდგენა არ შეიძლება. ერთი ყველაზე დიდი სისულელე ამ მხატვრებისა ის არის, რომ ტეის მარისს ამჟამადაც დასცინიან. ეს დაცინვა თვითმკელელობად მიმაჩნია და, აი, რატომ: ტეის მარისი ჭეშმარიტად ამაღლებულის, ჭეშმარიტად კეთილშობილის ცოცხალი სახეა. ჩემი აზრით, მისი დაცინვით ყველა მხატვარი მხოლოდ და მხოლოდ თავს იმცირებს. და თუ ვისმეს ტეის მარისის არაფერი გაეგება, მით უარესი ისევე მისთვის, ხოლო ვისაც კარგად ესმის, დასტირის კიდეც, წუხს, რომ ცხოვრებამ ასეთი კაცი გაანადგურა. „კარგი ხმალი უარგის ქარქაშში“ – ეს სიტყვები ტეის მარისს და ქეაზიმოდოს ერთნაირად მიუდგება. „სულის სიღრმეში მშვენიერი ვარ“. •

268-ა. თუმც წერილი გუშინ მოგწერე, ორიოდ სიტყვა დღესაც მინდა, დაეუმატო, რათა, ყოველის უწინარეს, მადლობა გითხრა წერილისა და ფულისათვის, თანაც, შენი აეადმყოფის* „უგუნებობამ“ მეც შემაწუხა... ჩვენ ხომ მარტო ძმები კი არა, მეგობრებიც ვართ და შეგვიძლია, ერთმეორეს გულახდილად ველაპარაკოთ. ასე არ არის? ხოლო თუკი კადნიერებად მიგაჩნია, რასაც ვფიქრობ, ყველაფერს რომ გეუბნები, გთხოვ, მაპატიო...

ძვირფასო ძმაო, პაერზე როდი ვლაპარაკობ, ვიცი, რასაც გეუბნები, თანაც საკუთარ გამოცდილებას გიზიარებ. ანალოგიურ ამბავს გეტყვი, რაც თვით გადამხდა. კრისტინამ რომ იმშობიარა, მეტისმეტად უღონოდ იყო, სწორედ მაშინ მისი სიცოცხლე ერთმა ამბავმა გადაარჩინა – ბაეშვიც ამიტომ უვნებლად და მშვიდად არის. ბაეშვი რომ ეყოლა, თორმეტი საათის შემდეგ მიეედი. საესებით ღონეგამოცლილმა ჩემს დანახვაზე წამოიწია, მერე ისე გამოცოცხლდა და გამხიარულდა, ვითომც, საერთოდ, არაფერი მომხდარიყო. თვალებში სიხარული ჩასდგომოდა, მადლიერებით გაბრწყინებოდა. სურდა, კარგად ყოფილიყო, დამპირდა კიდეც, უთუოდ კარგად გაუხდებიო. (როგორც შენი ბოლო წერილი იტყობინება, უკვე თავადაც დარწმუნებულხარ, თუ რაოდენ საჭიროა, ავადმყოფი აიძულო, ამას შეგპირდეს, თუ რაოდენ საჭიროა, კარგად გახდომის სურვილი პქონდეს.)

მაგრამ, აი, ორიოდე დღე გავიდა და კრისტინასგან წერილი მიეიღე. კარგად ვერ მიეხვდი, რა ეწერა, იმედები მთლად გამიცრუვდა: რაღაც ასეთს იწერებოდა – ალბათ, სხვა ქალი იშოვეო, და ა.შ. ერთი სიტყვით, ძალზე უცნაურ ამბებს მწერდა; ეს ყველაფერი სისულელე იყო, ვინაიდან ჯერ მეც ისევ ცუდად ვიყავი – ის-ის იყო, საავადმყოფოდან გამოვეედი. მოკლედ, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ კრისტინა გონზე არ იყო, რაღაცა სჭირდა. მაშინვე მისკენ გავეშურე, უფრო სწორად, როგორც კი შევძელი, მივაკითხე: საქმის დღეებში მასთან არავინ შემიშვებდა, ისე რომ, კვირამდე ვერ ვინახულე. კრისტინა თითქოს ჩამომჭკნარიყო – იმ ნორჩსა და მწვანეყვლორტიან საბრალო ხეს დამსგავსებოდა, დაუნდობელი ქარისაგან კვირტები რომ დაცვენოდა, თან ბაეშვიც ავად გახდომოდა, სულ ერთიანად შობღუნძულიყო. ექიმის სიტყვით, საწყალ ბიჭუნას სიყვითლე სჭირდა, ამას გარდა, ეტყობა, თვალებიც ასტკივნოდა, გეგო-

სებოდა, დაბრმაებდაო. დედამისს კი, ეისაც სიყვეითლე არა სჭირდა, ყვითელი და საცრისფერი დასდებოდა, ეის იცის, რას დამსგავსებოდა. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი ერთ კვირაში მომხდარიყო. ეიმეორებ, კრისტინა ისე ჩამქრალიყო და ჩამომჭკნარიყო, ელდანაცემი შეეყურებოდი. რა სჭირს? რა მოხდა? როგორ მოხდა? რაღა ექსა-მეთქი? თავადვე გამოტყდა, რაღაც, სული მიწრიალებსო. ცხადი იყო, მელანქოლია დაუფლებოდა, თუმც საესებით უმიზეზოდ, ეინაიდან იმ ერთ კვირაში საიმისო არაფერი მომხდარიყო.

გადაეწყვიტე, რამე უნდა ეიღონო-მეთქი, და თუმც კარგად ვერ გაეერკვიე, რა ხდებოდა, რისკი გაეწიე. თავი ისე მოვაჩვენე, ეითომ გავბრაზდი: „სიტყვას ასე ასრულებ-მეთქი?“ – ეუსაყვედურე. ხოლო მერე ვაიძულე, სიტყვა მოეცა, რომ მალე კარგად გახდებოდა. პირდაპირ ეუთხარი, ბაეშვი რომ ავადაა, ეს მხოლოდ შენი ბრალია-მეთქი, მერე ვკითხე, რას ნიშნავდა მისი წერილი. ერთი სიტყვით, მიეხედი, გონზე არ იყო, და შეეცადე, ძალიან მკაცრად მელაპარაკა, თუმც, ძლიერი სიბრალულის მეტს არაფერს ეგრძნობდი. ყოველიეე ამის შემდეგ იგი თითქოს გამოეფხიზლდა, მთვარეული რომ გამოეფხიზლდება, აი, ისე. წამოსელის წინ კი, – რა თქმა უნდა, ეიდრე წამოსელის დრო დადგებოდა, ლაპარაკის კილო შეეცვალე, – ერთხელ კიდევე ვაიძულე, სიტყვა მოეცა, რომ უთუოდ მოკეთდებოდა, თანაც რაც შეიძლება, მალე! და, აი, ძმაო საყვარელო, იმ წუთიდან ნაღველი თითქოს ჩამოსცილდა, გამოკეთება სწრაფად დაეტყო. მალე ბაეშეიანად საავადმყოფოდანაც წამოეიყვანე. ბიჭუნა ერთხანს ვერ იყო კარგად, ალბათ, იმიტომ, პირველ ხანებში დედამისი ჩემზე უფრო მეტს რომ ფიქრობდა, ეიდრე თავის პატარაზე; მაგრამ ბაეშვი ახლა, ცხადია, ბოცვერიეით ჯანსაღია და ბოცვერიეით ნათელი თვალებით შესცქერის ქვეყანას. როცა კრისტინას საავადმყოფოს მისაღებში ველოდებოდი, რათა ჩემთან წამომეყვანა, და იგი უცებ ბაეშეიანად გამოშეცხადა, ამ სურათში რაღაც ისეთი პათეტიკური დაეინახე, კორეჯო და არი შეფერი გამახსენდა.

ეიმეორებ: თუ ახლა შენი ავადმყოფიც ასეთსაეე შინაგან ძრწოლას (რა თქმა უნდა, უსაფუძვლოს) არ შეუპყრია, ამას რა სჯობს; მაგრამ თუკი მელანქოლიამ არ გაუარა, აიძულე, კვლაე დაგპირდეს, რომ უთუოდ კარგად გახდება; დაარწმუნე, – ისე რომ, სიტყვაც ვერ შეგიბრუნოს, გთხოვ, კარგად გახდე, უშენოდ სიცოცხლე არ მინდა-თქო. მოგეხსენება, ძალიან ხშირად ასეთ ლაპარაკს ვერიდებით, ეინაიდან ეგოისტობად მიგეაჩნია; მაგრამ ამისი ნუ შეგრცხვება – ამ შემთხვევაში საქმე ეხება მის გადარჩენას და ეს სიტყვები ეგოიზმად არ ჩაგეთვლება. როდესაც ორ ადამიანს ისეთი ძლიერი სიყვარული აკავშირებს, რომ უერთმანეთოდ სიმშვიდე და მოსვენება დაკარგეიათ, ეგოიზმზე ლაპარაკი ზედმეტია, რამეთუ მათ ერთ არსებად გადაქცეეა აღარ სჭირდებათ – ისინი ისედაც ერთნი არიან. ოღონდ ეს უნდა სიტყვით ითქვას: შესაძლოა, შენს ავადმყოფს ისე უნდოდეს, სული და გული გადაუშალო, რომ იმისი კარგად ყოფნა მხოლოდ შენს სიტყვას საჭიროებდეს.

269. როცა კრისტინა ჩვენს ოთახში მოფუსფუსე დამინახავს, ძალზე ხშირად საგონებელში ჩაეყარდნილვარ: იმ წუთებში მისი ფიგურა რაღაც იდუმალს, თავისებურს მაგრძნობინებდა, რაც მთლიანად ქრებოდა ხოლმე, როგორც კი სახელოსნოში შემოეიდოდა. სწორედ ასეეე, დაერდომილთა თავშესაფრის ბერიკაცი ბნელ დერეფანში გაცილებით ლამა-

ზი ჩასდა, ეიდრე ჩემთან, სახელოსნოში. ეს ამბავი მეტისმეტად მაწუხებდა; თანაც ჩემი სამი ფანჯრიდან შემოსულ სინათლეს ეერც ფარდებით, ეერც მუყაოთი ეერ ეამცირებდი.

ახლა უკვე შემიძლია, სახელოსნოს განათებას ერთგვარი კოსტროლი გაეუწიო; რომელიმე შესობაში როცა რაიმე ფიგურას შევნიშავ, სახელოსნოში იმავე ეფექტის გამეორება შედარებით მიადვილდება: საჭიროა, ყურადღება მივაქციო, თუ სინათლე როგორ ეცემა, ხოლო შემდეგ სახელოსნოში განათების რეგულირება შესაბამისად მოეახდინო. ამ სათეის მხოლოდ იმის დამახსოვრება დამჭირდება, განათება რა ძალის იყო და ფიგურას რომელი მხრიდან ეცემოდა: წინიდან თუ უკანიდან, ზემოდან, ქვემოდან, მარჯვენა მხრიდან თუ მარცხნიდან. ალბათ, ამაღამ ზიუიდეესტიანი და ბრეზენტისქურთუქიანი ჭაბუკები დამესიზმრება, რომელთა ფიგურებს შუქი ისე მისდგომია, რომ მეეთორი კონტრასტები წარმოიქმნება და ფორმებიც ასეე მეეთრად მოჩანს.

346. ეგრძნობ, მშობლები ინსტინქტურად (არ ვიტყვი, შეგნებულად-მეთქი) რას ფიქრობენ: ჩემი ოჯახში შეშვებისა ისე ძალიან ეშინიათ, თითქოს შინ დიდი, აბურძგნილი ძაღლი შეპაჟდეთ – სველი თათებით იატაკს დასერის, თანაც ისეთი აბურძგნილია! ყველას ფეხებში მოედება, ხმამაღლა ყეფს. ერთი სიტყვით, საძაგელი ცხოველიაო. მართალია, ასეა, მაგრამ ამ ქოფაკს მაინც კაცის სული აქვს, კაცურად ცხოვრობს, თანაც ისე მგრძნობიარეა, ესმის, რასაც მასზე ფიქრობენ – ძაღლებს კი ეს, ჩვეულებრივ, არ შეუძლიათ. ძაღლი ხედავს, შინიდან მხოლოდ იმის გამო არ აგდებენ, რომ, უბრალოდ, ურიგდებიან, იტანენ მის „ამ სახლში“ ყოფნას; ამიტომაც ურჩევნია, სხვაგან ეძებოს თავშესაფარი. რაკი თაეისი მამის შვილია, ძაღლი, ცხადია, გარეთ აქამდეც არ უნდა ყოლოდათ; ბუნებრივია, ქუჩაში ის, ცოტა არ იყოს, გაუხეშდა. მაგრამ რაკი მამამისმა ეს ამბავი დიდი ხნის წინ დაივიწყა – იქნებ იმას არასდროს არც ჩაუფიქრებია, თუ რა არის მამაშვილური ურთიერთობა, – ჯობს, ამაზე ნურაფერს ვიტყვით. ამას გარდა, შეიძლება, ძაღლი გაცოფდეს, უკბინოს ვინმეს, მაშინ, ალბათ, მეველეს უნდა დაუძახონ და მოაკვლევინონ. დიახ, სწორია ეს ყველაფერი, ეს ყველაფერი მართალია. მაგრამ ძაღლებს ყარაულობაც შეუძლიათ. თუმც, ეს საესებით უსარგებლო ღირსებაა: შინაურები ასე ამბობენ – ჩვენთან ისეთი მშვიდობა სუფევს, რისა უნდა

გეუშისოდესო. მაშ, ამჯერადაც უნდა გაეჩუმდე. ძაღლი მხოლოდ იმას სანობს, აქ რომ მოეიდა, რადგან ეელზე ისე მარტო არ ყოფილა, როგორც ამ სახლში – მიუხედავად ბინადართა ასეთი დიდი გულთბილობისა. რა თქმა უნდა, სისუსტეა მისი აქ მოსელა, რასაც, ალბათ, ძალიან მალე დაიეიწყებენ. ის კი ეცდება, ასეთი რამ არასოდეს გაიმეორონ.

347. თუ წერილმანებს გამოეტოეებ და მარტოოდენ არსებითზე ეილაპარაკებ, ის აბურძგნილი ქოფაკი ძაღლი, გუშინ რომ ეცადე, ამეწერა, ჩემი ხასიათია, ამ ცხოეელის ცხოერება კი – ჩემი ცხოერება. ალბათ, იტყეი, აზეიადებო, მაგრამ ნათქეამს აღარ გადაეთქეამ... მე წარმოეიდგენ პააგაში მოსეირნე ძმებს (წარმოეიდგენ, როგორც უცხოებს, არც ჩემზე ეფიქრობ და არც შენზე). ერთი ამბობს: „საჭიროა გარკეეული მდგომარეობის შენარჩუნება; ფირმაში ერჩები სამუშაოდ, ეიცი, მხატეარი ეერ გაეხდებიო“. მეორე ამბობს: „ალბათ, ძაღლად გადაეიქცეეი; ეგრძნობ, მომაეალში უარესად დაემახინჯდები, კიდეე უფრო უხეში და ხეპრე გაეხდები; სიღარიბეა ჩემი ხეედრი, მაგრამ მხატეარი უსათუოდ უნდა გაეხდეო“. მაშ, ერთს ფირმაში გარკეეული მდგომარეობა აურჩეეია. მეორეს კი – ფერწერა და სიღარიბე... გეუბნები, ძაღლის ხეედრი შეგნებულად აეირჩიე. ძაღლად დაერჩები, ღატაკი ეიქნები, მაგრამ მინდა, მხატეარი ეიყო, კაცი ეიყო – ბუნების შეილი.



349. რამდენიმე სიტყეით მინდა, შეგატყობინო – ჩემი შეობლები დაეიყოლიე, ნება მოეცათ, ის სათაესო, აქამდე რომ საეუჯნაოდ ეიყენებდით, სახელოსნოდ გადამექცია, თანაც მთელი ბარგი-ბარხანა იქ შემეინახა; ამის გამო პააგაში გამოეემგზაერე, რათა ჩემი ეტიუდები, გრაეიურები და ა.შ. ჩამეწყო და შინ გამეგზაენა...

იმ ქალს კელაე შეეხედი, რაც ძალიან, ძალიან მსურდა. ეგრძნობ,

ყველაფრის თავიდან დაწყება მართლაც ძნელი იქნებოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სულაც არ მინდა, ისე მოვიქცე, თითქოს იგი დამაიწყდა. ურიგო რიდი იქნებოდა, თუ ჩვენები მიხვდებოდნენ, რომ საზღვრები სიბრალულისა აქ არ გადის, სადაც მაღალი საზოგადოება გააელებს ხოლმე. შენ შეძელი ამის გაგება. მას თავი ძალზე მხნედ უჭირავს: ეს ამბავი საფუძველს მაძლევს, დავიწყო ის სიძნელენი, რაც იმ ქალთან შემხვედრია. სწორედ იმიტომ, ამჟამად რომ მისთვის ვერაფერს გავაკეთებ, მოვალე ვარ, უკიდურეს შემთხვევაში, მივეხმარო და გავამხნევო. მე მას, როგორც ქალს, როგორც დედას, ისე ვუყურებ, და მიმაჩნია, რომ ყოველმა მამაკაცმა, ვისაც თუნდაც ერთი ბეწო ეაქკაცობა გააჩნია, უნდა დაიცვას ასეთი ქალი, ასეთი დედა. ამისი არასოდეს შემრცხვენია და არც შემრცხვება.

350. გუშინ საღამოს სიუენენში დავბრუნდი და რაც გულში მაქვს, ახლავე მინდა გაგი'ხიარო. მე და კრისტინამ ვილაპარაკეთ და ამჟამად უფრო მტკიცედ გადავწყვიტეთ – მან თავისთვის უნდა იცხოვროს, ხოლო მე – ჩემთვის, ისე მაინც, მითქმა-მოთქმის საბაბი რომ არავის მივცეთ. რაკი ერთმანეთს ჩამოვშორდით, შეყრა აღარ ღირს; გულში კი მაინც ორივე ვსანობთ, საშუალო გზა რომ ვერ მოვსახეთ. სიყვარული ხომ დღემდე შეგვრჩა და მას ისე ღრმად პქონია ფესვი გადგმული, ისე იოლად ვერ დავიცვიწყებთ... დამიჯერე, ეს ქალი ცუდად არ მოქცეულა. მრეცხაობა დაუწყია, რათა თავიც ერჩინა და თავისი ბავშვებიც გამოეკვება; მაშასადამე, მიუხედავად უკიდურესი ფიზიკური სისუსტისა, მოვალეობას არ ღალატობდა...

როგორც იცი, ჩემთან იმიტომ წაიყვანე, რომ მშობიარობა მძიმე პქონდა; ლვიდენის ექიმებმაც რჩევა მისცეს, ცოტა ხნით სადმე მშვიდად ეცხოვრა, სადაც თვითონაც მოკეთდებოდა და მისი ბავშვიც მოიკეთებდა. სიხსნაკლებობა აწუხებდა, იქნებ ჭლექიც ეწყებოდა. იმ ხნის მანძილზე, რაც ჩემთან იყო, უარესად არ გამხდარა: მომაგრდა კიდეც, ზოგი ცუდი სიმპტომიც გაქრა. თუმც, ამჟამად ყველაფერი ისევ ისე გაუარესდა. მისი სიცოცხლე, ეფიქრობ, ისევ საფრთხეშია; საწყალი ბავშვიც, საკუთარი შვილივით რომ ემზრუნველობდი, ისე ვერ არის, ადრე რომ იყო. ძმაო, ამ ქალს საშინლად უჭირს და ამის გამო ძალიან ვწუხვარ. ეს, ცხადია, ყველაზე მეტად ჩემი ბრალია, მაგრამ შეგეძლო, შენც სხვა სიტყვები მოგენახა. იმედი მაინც არ მიმიცია. მხოლოდ გამხნევებას შევეცადე. გავამხნევე იმ გზაზე მყოფი, რომელსაც მარტო შესდგომია საკუთარი თავისა და შვილების სარჩენად. გული მაინც ძველებურად მისკენ მიმიწევს. გული სავსე მაქვს ისეთივე ღრმა თანაგრძნობით, რომელიც ჩემში ამ ხნის მანძილზე არ მომკვდარა, მას შემდეგაც კი, რაც ჩვენ დავშორდით!

351. შენი აზრით, შესაძლოა, სულ მარტო დაერჩე; არ ვიტყვი, რომ ეს არ მოხდება – სხვას არაფერს არ მოველი. ისიც კარგია, ჩემი ცხოვრება ოდნავ თუ მაინც იქნებოდა ასატანი. მაგრამ იცოდე, ასეთი ხვედრი უსამართლოა, რადგან, ეფიქრობ, ისეთი რამ, რაც უფლებას წამართმევდა, კაცთაგანი კაცთა შორის ეყოფილიყავი, არასოდეს ჩამიდენია და არც ჩავიდენ. მარტოობა – ეს არის დიდი უბედურება, ეს ციხეში ჯდომას უდრის; და რას ვიმწვევს ეს მარტოობა, ახლა გარკვევით ვერაფინ იტყვის. კაცმა რომ თქვას, ეს შენც არ იცი. ხოლო ჩემთვის განათლებულ ხალხში ყოფნაზე ბევრად უფრო სასიამოვნო ისეთ ხალხში ცხოვ-


რებაა, ვისაც სიტყვა მარტოობა არასოდეს გაუგონია, მაგალითად, გლეხებსა და ფეიქრებში და ა.შ. ბედნიერებად მიმაჩნია ამ ხალხში ყოფნა. ამან მომცა შესაძლებლობა, ჩემს აქ ყოფნაში, ფეიქრებს კარგად ჩაეღრმაებოდი. ხშირად გინახავს ნახატები, ფეიქრებს რომ ეძღვნებოდა? პირადად მე – ცოტა მინახავს.

ჯერჯერობით ფეიქრები სამჯერ დაეხატე აკვარელით. მათი დახატვა ერთობ ძნელია. პატარა ოთახში ისეთ მანძილზე ვერ გარერდები, ფეიქრის დაზგის დახატვას რომ დასჭირდება. ეფიქრობ, სწორედ ამ მიზეზით ვერ ხერხდება მათი ჩახატვა. მაგრამ მე მაინც ვნახე ოთახი, სადაც ამის გაკეთება შეიძლება, რადგან იქ ორი დაზგა დგას. რაპარდმა ღრენტეში ფეიქართა ეტიუდი გააკეთა; თუმც მეტისმეტად დაღერემილი ეტიუდია, მე მაინც მომწონს. ფეიქრები არ არიან ბედნიერები...

ერთი ძველი ლეგენდა ვიცი. არ მახსოვს, რომელი ხალხის შექმნილია, მაგრამ მშვენიერი ლეგენდაა. შინაარსი სიტყვასიტყვით არ უნდა გაიგოთ, იგი ღრმაა და სიმბოლური. ლეგენდა ამბობს, კაცთა მოდგმა გაჩენილია ორი ძმისგანო. ამ ორ ძმას უთხრეს, აირჩიეთ, რაც გინდათო. ერთმა ოქრო აირჩია, მეორემ – წიგნი. პირველს, ვისც ოქრო აირჩია, საქმე კარგად წაუვიდა, მეორეს კი გაუჭირდა. ლეგენდა ზუსტად არ გვიხსნის, რატომ, მაგრამ გვიამბობს, წიგნის პატრონი ციესა და ღარიბ ქვეყანაში გააძევესო, სადაც იგი სულ მარტო დარჩა. მაგრამ ჟამსა შეჭირვებისა თავისი წიგნის კითხვა დაიწყო და ძალიან ბევრ რამეს მიხვდა. ამრიგად, ცხოვრება გაცილებით უკეთ მოიწყო; ისიც გაიგო, გასაჭირიდან თავი როგორ დაეღწია; ისე რომ, ბოლოს ძლიერებაც მოიპოვა, თუმც კი ამას მარტოოდენ შრომისა და ბრძოლის ფასად მიაღწია.

ამასობაში, ვიდრე წიგნის დახმარებით ძლიერებას მოიპოვებდა, მეორე ძმამ იგი დაკარგა, რის შემდეგაც კიდევ საკმაოდ დიდხანს იცოცხლა, რათა გაეგო, რომ ოქრო ის ღერძი არ ყოფილა, რის ირგვლივაც ქვეყანა ბრუნავს. ეს უბრალო ლეგენდაა, მაგრამ მასში, ჩემი აზრით, ღრმა და უდაო ჭეშმარიტება იგულისხმება. „წიგნი" არ არის მარტოოდენ ლიტერატურული ნაწარმოები; სინდისიცაა, გონებაც და ხელოვნებაც. „ოქრო" მარტო ფული როდია, სიმბოლოა სხვათა და სხვათა... ისე რომ, მინდა, ერთი იცოდე – მარტო დაერჩები თუ არ დაერჩები, ეცდები, ცხოვრება ისე მოვიწყო, შრომაში ხელი არაფერმა შემიშალოს.

355. ფეიქრების ეტიუდებს ყოველდღე ვხატავ. ეს ფერწერული ეტიუდები იმ ეტიუდებს, დრენტედან რომ გიგზავნიდი, ჩემი აზრით, ტექნიკურად ბევრად სჯობია. აი, ასეთი ეტიუდი – ფეიქრის დაზგა, მისი რთული მოწყობილობა, დაზგასთან მჯდომი ფეიქარი, – ეფიქრობ, კალმით სახატავადაც მშვენიერია; პოდა, რაკი შენც ისურვე, რამდენიმე ასეთ ნახატსაც გავაკეთებ... როცა ჩამოხვალ, ფეიქართა ქოხებში უნდა შეგიყვანო: ფეიქართა და მრთველი ქალების ფიგურები უსათუოდ გაგაოცებს. ჩემი ბოლო ეტიუდი ასეთია – დაზგასთან მჯდომი კაცის ფიგურა: ტორსი და ხელები. ეხატავ ძველებურ მუხის დაზგასაც, რომელსაც უკვე მოყვაისფრო-მწვანე ფერი მისცემია; ამ დაზგაზე თარიღია ამოტვიფრული: 1730. დაზგის ახლოს, ფანჯარასთან, საიდანაც მწვანე მინდერის კიდე მოჩანს, ბავშვის პაწია სკამი დაუდგამთ. ამ კუთხეში საათობით ჩამომჯდარი პატარა ბავშვი თვალს არ აშორებს, მაქო როგორ გადი-გამოდის. ეს მოტივი სინამდვილეში როგორც არის, სწორედ ისე გადმოვიხატე: ფეიქ-



რის დაზგა, თვით ფეიქარი, ფანჯარა და პაწია სკამი ბაგშვისათვის – ღარიბული, პატარა ოთახი, სადაც თიხის დატკეპნილი იატაკია.

თუ შეგიძლია, მანეს გამოფენის ამბავი უფრო დაწერილებით გამაგებინე, ის მაინც მომწერე, რა სურათებია გამოფენილი. მანე მუდამ თავისებურ მხატვრად მომაჩნდა. წაიკითხე ზოლას წერილი, მანეზე რომ დაუწერია? გული მწყდება, მანესი რომ ცოტა რამ მინახავს. პირველ რიგში, მისი შიშველი ქალების ნახვა მაინტერესებს. გადაჭარბებად არ მიმაჩნია, რომ ზოგიერთს, თუნდაც ზოლას, პირზე სულ მანე აკერია, თუმც, ჩემდათავად, არა მგონია, იგი ჩვენი საუკუნის დიდ მოელენას წარმოადგენდეს. ტალანტი კი მაინც არის, ტალანტი, რომელსაც უსათუოდ საკუთარი აზრი გააჩნია. ეს კი უკვე ძალზე ბევრს ნიშნავს. ზოლას სტატია დაბეჭდილია წიგნში – „რაც მპულს“. ზოლას დასკვნას, თითქოს მანე დღეანდელ ფერწერას ახალ გზებს უხსნის, პირადად მე, არ შემიძლია, დავეთანხმო; ჩემთვის ნამდვილად თანამედროვე დიდი მხატვარი, როგელმაც ბევრს, მართლაც, ახალი ჰორიზონტები გადაუშალა, არის მილე და არა მანე.

358. მეც გულახდილად უნდა გითხრა: სწორია, რომ მწერ, ბევრად უკეთ უნდა ხატოო; მაგრამ შენც უფრო ენერგიულად, გაბედულად უნდა მოიქცე, რათა ჩემი ნამუშევრები გაასაღო. შენ ხომ ჯერ ჩემი არც ერთი სურათი არ გაგიყიდია. კაცმა რომ თქვას, ამას არც ცდილხარ. რაკი ჩემი წარმატებები საქმარისად არ მიგაჩნია, დამეხმარე, გზა გამიკელიე; თუ მაუვე ჩამოგეშორდა, სხვა მხატვარი გამაცანი, რაღაც ქენი, რაღაც იღონე, რაღაცით მაინც დამარწმუნე, ჩემი რომ გჯერა და ჩემი საქმე გულ-

თან მიგაქვს! არა, ფულს მაძლევ, რა თქმა უნდა! თუმცა, სხვა მხრივ მარტოოდენ ჭკუის სწავლებით კმაყოფილდები: „შრომა განაგრძე“, „მოთმინება იქონიეო!“

ამდაგვარი ქადაგებანი მე ვერ მაცხოერებს. მრჩება მხოლოდ სიმარტოვე, სიცივე და სიცარიელე. ეჩლუნგდები და ვყეფენდები! სხვებს არ ვჯობივარ, მეცა მაქვს ჩემი გასაჭირი, სურვილები მეც მაბადია; ამიტომ, როცა თვალსათლივ ეხედავ, რომ სადაც დამიმოკლეს და არ მაფასებენ, როგორც ამას ვიმსახურებ, რა თქმა უნდა, აღშფოთდები. თუ მინდა, რომ ჩემმა ფუნჯმა მეტი ელვარება შეიძინოს, ჩემს ცხოვრებაში რაღაც ცვლილება უნდა მოხდეს, რაღაცამ უნდა გამახალისოს: მოთმინებაში ვარჯიში კი წინ ბიჯსაც ვერ წამადგმევინებს... ამჟამად ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ხუთი გულდენის სურათების გაყიდვაა, ვიდრე ის, რომ შემწეობა გამიწიონ და ათი გულდენით დამეხმარონ.

რაკი ეს საქმე ერთმანეთის პატივისცემით წამოვიწყეთ, წამოვიწყეთ ისე, როგორც მეგობრებმა, ველარ ავიტანე, ჩვენი ურთიერთობა რომ გადასხვაფერდეს, მფარველობად გადაიქცეს. შენი პროტექე არ გაეხდები, არა, თორო, ამისგან ღმერთმა დამიფაროს! რატომაო? არ მინდა და მხოლოდ იმიტომ. ეს საფრთხე კი თანდათან მეტად გვემუქრება. იმისთვის, რომ ოდნავ მაინც განვიმუხტო, შენ არაფრის გაკეთება არ მოისურვე. ხანდახან ხალხთან შეხვედრა მინდა, ვიღაცასთან ურთიერთობა, რაღაცის ნახვა! ცოლს შენ ვერ მომცემ, შვილს ვერ მომცემ, სამუშაოსაც ვერა და ვერა. ფულს კი მომცემ! მაგრამ ფული რაღად მინდა, თუ სხვა ყველაფერს მოკლებული ვარ? ეს შენი ფული იმიტომაა უსარგებლო, იმ საქმეში რომ არ გამოდგება, რაც მუდამ მსურდა, რასაც მუდამ ვესწრაფოდი – ჩვეულებრივი მუშის ცხოვრება მენატრებოდა. ხოლო როცა საკუთარ კერას ვერ მოიწყობ, არც ხელოვნების საქმეები აეწყობა...

სიყმაწვილეშივე გეუბნებოდი, გეუბნებოდი გარკვევით და გასაგებად: თუ კარგი ცოლი ვერ მიშოვია, ცუდს შევირთავ, სულ არ ყოლას, დავ, ცუდი ცოლი მყავდეს-მეთქი. საკმაოდ ვიცნობ ისეთ ხალხსაც, ვინც საკუთარ სხვაგვარად ფიქრობს, ვისაც ისევე ეშინია „ბავშვების ყოლის“, ვით მე – „არყოლის“. მაგრამ, თუმცა ცხოვრებაში ბევრი მარცხი გადამხდენია, პრინციპს იოლად არ გადავუხვევ. ამიტომ, ჩემი მომავლისაც არცთუ ისე მეშინია; ვიცი, რატომ ვიქცეოდი სწორედ ასე და არა სხვაგვარად; გარდა ამისა, ისიც ვიცი, ქვეყანაზე რომ ცოტა არ არის ისეთი ხალხი, ვისაც ჩემსავით უფიქრია.

368. მინდა, გაცნობო, რომ დღეს უკვე დავამთავრე ჩემ მიერ ახლად ნაქირაები დიდი და ფართო სახელოსნოს დალაგება. ორი ოთახია, ერთი – დიდი, ერთი – პატარა. ეფიქრობ, აქ უფრო მოხერხებულად ვიმუშაებ, ვიდრე ჩვენებთან, პაწია ოთახში; იმედი მაქვს, როცა ჩამოხვალ, იტყვი, რომ სწორად მოვიქეცი. ამას გარდა, უკანასკნელ ხანს ბევრი ვიშრომე „ფეიქარზე“, გვერდი კიდეც; კოშკის ხატვასაც შევუდექი – ესეც ხომ იცი. რასაც სალონზე იწერები, საყურადღებოა. პიუვი დე შავანიზე რასაც ამბობ, ისიც მახარებს და საესებით გეთანხმები მისი ტალანტის შეფასებაში.

რაც შეეხება კოლორისტებს, მეც იმავე აზრისა ვარ. პიუვი დე შავანის სურათმა, შესაძლოა, ღრმად ჩამაფიქროს, მაგრამ ამის მიუხედავად, როცა მაუვეს ძროხებს ვუყურებ, როცა მარისის, ისრაელსის სურათების წინაშე ვდგავარ, მეც იმას ვგრძნობ, რასაც შენ მწერ. ჩემს კოლორიტზე

კი, აი, რას გეტყვი: აქ დახატულ სურათებში უკეე ნახავ არა ეერცხლისფერ, არამედ უფრო ყავისფერ ტოსებს (მაგალითად, ბისტრსა და ბიტუმს), რასაც, ალბათ, ძალიან ბევრი არ მოიწონებს. ჩამოხვალ და თვითონვე ნახავ, რაც გამოდის. ამ ბოლო დროს საღებავებით იმდენი ეხარე, ფანქრით უკვე აღარაფერი დამიხატავს... ჯერჯერობით საქმე მყოფნის: მოდელების სახატავად აღგილი კელავ საკმაოდა მაქვს.

370. უ. ბლანის „ჩემი დროის მხატერებიდან“ ახლა ერთ ნაწყვეტს ამოგიწერ: „ეკენ დელაკრუას სიკვდილამდე, დაახლოებით, სამი თვის წინ, ასე, საღამოს ათ საათზე, იგი მე და პოლ შენაეარმა გალერეა პალე როიალში დაეინახეთ. ის იყო, დამთავრდა ერთ-ერთი დიდი სალილობა, რომლის დროსაც ხელოვნების საკითხებზე კამათობდნენ. მე და შენაეარი იგივე თემაზე ელაპარაკობდით, ელაპარაკობდით გაცხარებით, ისეთი გზნებით, ტყუილუბრალო დაეის დროს რომ იციან ხოლმე. საუბარი ფერს ეხებოდა და მე ვამბობდი: „ჩემს თვალში დიდი კოლორისტი მხოლოდ ის არის, ვინც ლოკალურ ფერს არ ხმარობს-მეთქი“.

ის კი იყო, ვაპირებდი ამ თემაზე ლაპარაკის გაგრძელებას, როცა გალერეა როტონდაში* დელაკრუას მოეკარით თვალი. დელაკრუა მოგეიახლოვდა. „ესენი უთუოდ ფერწერაზე საუბრობენო“, – შესძახა მან. „სწორია, – ეთქვი მე, – ახლა სწორედ იმ დებულების დაცვას ეიწყებდი, რაც პარადოქსად არ მიმაჩნია და რაზედაც თქვენ ყველაზე ავტორიტეტულ სიტყვას იტყვით. ვამტკიცებდი, რომ დიდი მხატერები ლოკალურ ფერს არ იყენებენ; მაგრამ რაკი თქვენ აქა ხართ, თავადვე თქვით“. დელაკრუამ ორი ნაბიჯი უკან გადადგა, როგორც სჩეეოდა ხოლმე, და, აი, რა თქვა: „თქვენ საესებით მართალი ხართ. მაგალითად, აი, ამას (მან ჭუჭყიან ქვაფენილზე მიგეითითა) გარკეეული ტონი ხომ აქვს. პოდა, პაოლო ეერონეზესთვის ვინმეს რომ ეთქვა: „დამიხატეთ მშვენიერი ქერა ქალი ისე, რომ მისი სხეულის ტონი, აი სწორედ ეს იყოსო“, ის დახატავდა და სურათზე თქვენ ქერა ქალის სხეულს ნახავდით“.

რაც შეეხება „ჟღეინტიან ფერებს“, ჩემი აზრით, სურათში ფერი ცალკე არ უნდა განეიხილოთ. თუ, მაგალითად, „ჟღეინტიან ფერს“ მძაფრ მოყავისფრო წითელს, მუქ ლურჯს ანდა წენგოსფერს შეეუხამებთ, ამ კონტრასტმა, შესაძლოა, ჯეჯილის თუ მდელოს ნაზი, ნორჩი სიმწვანე გეაგრძნობინოს. ეიცი, თავად დე ბოეიც კი – ვინც ფერების გარკეეულ ნაწილს – „ჟღეინტიანი ფერებით“, ასე უწოდა, – ამ თვალსაზრისს არ უარყოფდა. ჩემი ყურით გაეიგონე, ერთხელ როგორ თქვა: კოროს ტილოზე ზოგჯერ ისეთი ტონები გეხედება – მაგალითად, როცა იგი საღამოს ცას ხატავს ხოლმე, – სურათზე რომ ძალზე ღია ტონებად მოჩანს, თუმცა, ფაქტიურად ერთობ მუქია, მორუხო თუ მონაცრისფრო, თუკი ცალკე შეეხედათო. თუ კელავ იმ საკითხს დაეუბრუნდებით – შეიძლება თუ არ შეიძლება საღამოს ცა ან ქერა ქალი ისეთივე „ჭუჭყიანი ფერით“ დაეხატოთ, როგორიცაა ნაცრისფერი ქვაფენილი, – საღი მსჯელობა დაგვანახვებს, პრობლემა რომ ორმხრივეა გადასაწყვეტი.

პირველ რიგში: თუ მუქი ფერი შეიძლება, ღია ფერად მოგეეჩვენოს ან, უფრო სწორად, თუ მუქი ფერი შთაბეჭდილებას ისეთს ახდენს, როგორსაც ღია, არსებითად, საქმე უფრო ტონთან გვქონია. მაგრამ მაშინ საკუთრივ ფერის თვალსაზრისით, რუხ-მოწითალო – შედარებით ნაკლებ წითელი, იმის მიხედვით, თუ ვის გვერდით რა ფერებია მოთავსებული, მეტ-ნაკლებად წითელი ფერისა გამოჩნდება. სწორედ ასე დაეშართე-

ბა ლურჯსა თუ ყვითელს. თუ გესურს, რომ ფერმა მძაფრი ყვითელის შთაბეჭდილება მოახდინოს, უნდა სალებავს ყვითელი ოდნავ გაეურიოთ, მაგრამ ეს ფერი იისფერის ანდა სოსანის სიახლოვეს მოვათავსოთ.

მაგოსდება, ვიღაც ცდილობდა, კინოვარით, ქრომითა და ა.შ. წითელი ფერის სახურავი დაეხატა, რომელსაც შუქი ეფინებოდა. არაფერი გამოუვიდა. იან მარისი კი ბევრ აკვარელში აღწევდა ამას – მოწითალო ფერს ოდნავ წითელ ჭანგმიწას თუ გადაუსვამდა. ამ ხერხით იგი ჩინებულად გადმოსცემდა წითელი ფერის სახურავზე მზის ელვარებას. როგორც მოვიცალი, დელაკრუაზე დაწერილი ნაშრომიდან ზოგიერთ რამეს კიდევ ამოვწერ, განსაკუთრებით, ფერის კანონებს რაც ეხება, აი, იმას. ეს კანონები უტყუარია. ზოგჯერ მგონია, როცა ფერზე ლაპარაკობენ, არსებითად, ტონს გულისხმობენ. შესაძლოა, დღეს ტონისტები კოლორისტებზე მეტნი არიან. ეს ორი რამ ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა მათი შეთანხმებაც შეიძლება.

371. ფრომანტენის „ძველ ოცნებებს“ სიამოვნებით ეკითხულობდი. ზოგი ადგილი ამ წიგნისა იმ საკითხებს განიხილავს, რასაც ბოლო ხანს დიდ დროს ვუთმობდი, რაზედაც თითქმის მუდამ ეფიქრობ, განსაკუთრებით პააგაში უკანასკნელი მგზავრობის შემდეგ. იქ გადმომცეს ისრაელისის ზოგიერთი გამონათქვამი ამის შესახებ. იგი ამბობს, მუშაობა ღრმა ტონალობის სკალით უნდა დაიწყოო; ეს იმიტომ, რომ შედარებით მუქი ფერებიც ღიად გამოჩნდეს, ერთი სიტყვით, სინათლე უნდა გამოიკვეთოს სიბნელის პირისპირ. „მეტისმეტად შაგის“ შესახებ რასაც იტყვი, უკვე ვიცი, მაგრამ თანაც კიდევ არა ვარ დარწმუნებული, რომ მაგალითად, ნაცრისფერ ზეცას როცა ხატავ, უსათუოდ ლოკალური ტონი უნდა გამოიყენო. მართალია, მაუვე კი ასე იქცევა, მაგრამ ასე არ იქცევიან დიუპრე და რეისდალი. ხოლო კორო?' ანდა დობინი?

ლანდშაფტიც ისეა, როგორც ფიგურა, – მინდა, ეთქვა, რომ ისრაელისი თეთრ კედელს ხატავს სულ სხვანაირად, ვიდრე რენიო ანდა ფორტუნი. პოდა, ფიგურაც ასეთ ფონზე სულ სხვაგვარია. როცა შენგან უამრავი და სულ ახალი სახელი მესმის, ყველაფერს უკვე ეეღარ ეგებულობ, რადგან ნანახი არაფერი მაქვს. იქიდან, რაც „იმპრესიონიზმზე“ მომიყვეი, ნათელი გახდა – ეს თურმე სულ სხვა რამ ყოფილა და არა ის, რაც მე მეგონა, მაგრამ ჯერ მთლად ვერ გაევრკვიე, კერძოდ – რა უნდა იგულისხმო ამ სიტყვაში. აიღე თუნდაც ისრაელსის ხელოვნება. ჩემი აზრით, მასში იმდენი სიკეთეა, რაიმე სხვა, უფრო ახალი არც ისე დიდად მაინტერესებს. ფრომანტენი რეისდალზე ლაპარაკის დროს შენიშნავს, რომ ტექნიკაში ჩვენ დღეს ბევრად მეტს მივაღწიეთ, კაბასაც გაეასწარით, კაბას, რომელიც არცთუ ისე იშვიათად – მაგალითად, ლუქსემბურგის მუზეუმში რომ სურათია, ის გაეიხსენოთ – თაეისი დიდი უბრალოებით რეისდალს პგავს. მაგრამ განა, ამის გამო, არასწორია ან არ გეჭირდება, რაც კაბამ და რეისდალმა გააკეთეს? რა თქმა უნდა, ამას ვერ ეიტყვით! ასეეა ისრაელსი, ასეა დე გრუც (დე გრუ ხომ ძალზე უბრალო იყო).

როცა კაცი ნათლად გამოთქვამს, რის თქმაც უნდა, განა არ ქმარა? თუ შეუძლია, თაეისი აზრი ლამაზად თქვას, არ გედაეები, კიდევ უფრო სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ სიმართლის სილამაზეს ეს ამბაეი ვერაფერს მატებს, რადგან სიმართლე თაეისთაეადაც ლამაზია. ზომა მოტიეისა, წერილს რომ ეურთაე, არის 105x95, „მრთეელი ქალისა“ – 100x75.

ერთიც და მეორეც ბისტრისა და ბიტუმითაა დახატული, ხოლო ბისტრის და ბიტუმის ტონი, ჩემი აზრით, საკმაერია მტერიანი და დახუთული ოთახების თბილი შუქჩრდილის გადმოსაცემად...

თუო, უკეე დიდი ხანია, ხელს მიშლიდა ის ამბავი, ზოგიერთმა თანამედროვე ხელოვანმა რომ ბისტრი და ბიტუმი დაგვიკარგა, ბისტრი და ბიტუმი, რითაც მრავალი დიდებული ნაწარმოები დაუხატავთ და რაც, თუ მარჯვედ გამოიყენებ, კოლორიტს ძალზე ალამაზებს, სიმკვეთრეს და სიმდიდრეს ჰმატებს, სინატიფესაც, საოცარსა და განუმეორებელ თვისებებსაც. მაგრამ მისი გამოყენების შესასწავლად ცოტა მეტი გულმოდგინება დაგჭირდება – ბისტრსა და ბიტუმს სხვანაირი ხმარება უნდა, ისეთი არა, როგორიც სხვა საღებავებს. ბევრ მხატვარს, უთუოდ, თავგზას უბნევს ის ამბავი, რომ საჭიროა უამრავი ექსპერიმენტი, ვიდრე მათი ხმარებისას რაიმე შედეგს მიაღწევდე. დაახლოებით წელიწადმა გაიარა, რაც ბისტრს და ბიტუმს ხელი მოვკიდე – უმთავრესად ინტერიერთა სახატავად ვიყენებდი. პირველად მეც გული გამიტყდა, მაგრამ თვალიდან არ მშორდებოდა ამ მასალით დახატული მშვენიერი სურათები.

ხელოვნებაზე დაწერილი წიგნების ამბავს შენ ჩემზე უფრო მალე იგებ. თუ რაიმე საინტერესოს წააწყდები, როგორიცაა, თუნდაც, წიგნი ფრომანტენისა პოლანდიელ მხატვართა შესახებ ან გაიხსენებ ადრე წაკითხულ რომელიმე ნაწარმოებს, არ დაგავიწყდეს: მეტისმეტად გამიხარდება, თუკი ჩემთვის რამეს იყიდი, – თუ, რა თქმა უნდა, წიგნი ტექნიკას შეეხება, – და ფასს იქიდან გამომიქვითავ, რასაც ყოველთვის მიგზავნი ხოლმე. თეორიის საფუძვლიანად შესწავლა მინდა: არა მგონია, ეს უსარგებლო საქმე იყოს. ჩემი აზრით, როცა კაცი ძიების დროს ჯეშმარიტად კონკრეტული მითითებებით ხელმძღვანელობს, მის ინსტინქტურ ეარაუდებს ძალიან ხშირად ერთგვარი რწმენა, რაღაც ერთგვარი გარკვეულობა ემატება.

თუ წიგნში არის თუნდაც ერთი ან რამდენიმე შენიშვნა მაინც ტექნიკაზე, არათუ წაკითხვა, საჭიროა მისი ყიდვაც, მით უფრო – ახლა. ტორესა და ბლანის ხანაში იყო ხალხი, რომელიც ისეთ ამბებზე წერდა, სამწუხაროდ, ამჟამად რომ არავის ახსოვს. მაგალითად: შერეული ან სუფთა ტონი იცი, რა არის? სურათზე ამას, რა თქმა უნდა, დაინახავ; მაგრამ იცი, ეს ტერმინები რას აღნიშნავს? ან რას გულისხმობს სიტყვა შერევა? ეს ამბები ხელოვნების მცოდნეებმაც და პრაქტიკოსმა ფერმწერებმაც უნდა იცოდნენ, თუკი ფერის საკითხებზე მუშაობა სურთ. უმეტესობა ამ ტერმინებში რასაც უნდა, იმას გულისხმობს, თუმც ამ ტერმინებს მაინც თავისი გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

დიახ, ფერის კანონები მშვენიერია სწორედ იმიტომ, რომ შემთხვევითი ამ კანონებში არაფერია. მსგავსად იმისა, როგორც ჩვენს დროში ხალხს ღმერთისა და სასწაულებისა აღარ სჯერა – რომელთა რიცხვიც ჭირვეულად, თავის ნებაზე, ხუთიდან ათამდე ახტება ხოლმე, – და თანდათან მეტი და მეტი მოწონებით იმსჭვალება ბუნებისადმი, მეტი და მეტი გაოცებით და რწმენით შესცქერის ირგვლივ ბუნებას, სწორედ ასე და ამის გამო, ჩემი აზრით, მოძველებული წარმოდგენები თანდაყოლილი გენიალობის, შთაგონების შესახებ და ა.შ., არ ვიტყვი, რომ მთლად უკუაგდოთ, მაგრამ უნდა გულმოდგინედ გამოვიკვლიოთ, შევამოწმოთ, საფუძვლიანად გადავსინჯოთ. გენიოსების არსებობას არ უარვყოფ. გენიოსებად დაბადებული ხალხიც არსებობს, მაგრამ გადაჭრით უარს ვაც-

ხადებ ყველაფერზე, რასაც აქედან ასკენიან ხოლმე, კერძოდ, სწაელა და თეორია თითქოს არაფერს იძლეოდეს.

რაც „მრთველ ქალსა“ და „სარიოის ამხვევე ბერიკაცში“ გავაკეთე, იმედი მაქვს, ან უფრო სწორად, შეეცდები, მომავალში უკეთესად გავაკეთო. ნატურიდან დახატულ ამ ორ პატარა ეტიუდში იდნაე უფრო თავისთავადი, იდნაე უფრო ჩემებური ვარ, ვიდრე სხვაგან. გამონაკლისი იქნებ მხოლოდ სოგიეროი ნახატი იყოს. შაეი ფერი კი ამ პატარა ეტიუდებში სრულიად შემთხვეეით არ ვიხმარე: საჭირო იყო შაეზე ძლიერი ეფექტები; ინდიგო კი სიენის მიწით, პრუსიული ლურჯიც დამწვარი სიენით, ქაცმა რომ თქვას, კიდეე უფრო ღრმა ტონს იძლევა, ვიდრე შაეი თაეისთავად. ხომ ამბობენ, ბუნებაში შაეი ფერი არ არსებობსო. ზოგჯერ ეფიქრობ, სამდეილი შაეი არც საღებაეებს შორის არსებობს.

არ იფიქრო, კოლორისტები შაე ფერს არ იყენებდნენ. ეს ხომ იცი – შაეს რომ წითელს, ყეითელს ან ლურჯს მიაკარებ, იგი მაშინეე რუხი გახდება, უფრო ზუსტად – მუქ-მოწითალო-მოყეითალო, მოლურჯო რუხი. სხეათა შორის, რასაც უ. ბლანი „ჩემი დროის მხატერებში“ წერს ეელასკესის ტექნიკაზე, საინტერესოდ მიმაჩნია. ეელასკესის ჩრდილები და ნახეეარტონები უმეტესად უფერული, ციეი რუხი, ნაცრისფერი ტონებითაა შედგენილი და, უმთაერესად, შაესა და ცოტა თეთრ ფერს შეიცაეს. ამ უფერულ, ნეიტრალურ გარემოში წითელი ფერის სულ ერთი ციცქნა ღრუბელი, თუ რაიმე ჩრდილი, სხეაგეარად ჟღერს. ზოგჯერ მიკეირს, ქიულ დიუპრე ისე ღრმად რომ ეერ იგრძენი, როგორც მსურდა. შესაძლოა, დიუპრე უფრო კოლორისტია, ეიდრე კორო, ეიდრე დობინი, თუმცა, ეს ორიც კოლორისტია, თანაც, დობინი, უსათუოდ, გაბედული კოლორისტი. მაგრამ დიუპრეს კოლორიტი რაღაც საოცარ სიმფონიას მომაგონებს, რაღაც თითქოს დასრულებულს, დაგეირგეინებულს, რაღაც ეაქეაცურს. ბეთპოეენიც, ალბათ, სწორედ ასეთი იყო. ეს სიმფონია გასაოცარი სიზუსტითაა მოფიქრებული, ამაეე დროს, უბრალოა და უსაზღეროდ ღრმა, როგორც ბუნება. აი, რას ეფიქრობ დიუპრეზე.

372. კარგი მოდელი ეერ ენახე და იმის კეთება, რითაც ბუნებამ ბოლო დღეებში ყეელაზე მეტად გამიტაცა, ჯერ ეერ დაეიწყე. სანახეეროდ მწიფე ყანებს ახლა მუქი მოოქროსფერო-მოყეითალო ელფერი დაკრაეს – ჟანგისფერი თუ ბრინჯაოსფერ-ოქროსფერი – პაერის ჩამქრალი კობალტის ელფერთან კონტრასტის გამო მაქსიმალურ ეფექტს რომ აღწეეს. აი, ამ ფონზე ქალების მძლაერი, ენერგიული ფიგურები წარმოიდგინე – მზით გარუჯული, ბრინჯაოსფერი სახეები აქეთ, ხელ-ფეხზედაც მზე აქეთ მოკიდებული, ინდიგოსფერი, უხეში, მტერიანი ტანსაცმელი აცეიათ და ბერეტის ფორმის შაეი ჩაჩები მოკლედ შეკრეჭილ თმას უფარაეთ. სამუშაოდ მოწითალო-მოიისფრო მტერიან ბილიკს მიუეებიან, ალაგ-ალაგ სარეეელათი გადამწეანებულ ყანებში რომ მიემართება. მხრებზე თოხები გაუწყეიათ, იღლიაში ჰეაეის პურები ამოუჩრიათ, ხელში დოქები ან სპილენძის ყაეადნები დაუჭერიათ.

ბოლო დღეებში ამ სიუეტის სხეადასხეაგეარი ეარიანტი მრაეალჯერ ენახე. დამიჯერე, ამაზე ნაღდი იშეიათად მინახაეს რამე. სიუეტი მდიდრულია, თან დახეეწილი, თითქოს რაღაც დაოკებულის გამომხატეელი. მე ისე ეარ გატაცებული, სხეა არაფერი აღარ მახსოეს. საღებაეებზე გაწეული ხარჯების საქმე აი, ასეა: თუ ახალი დიდი ზომის სურათების ხატეას დაეიწყებ, უკიდურესი მომჭირნეობა უნდა გაეწიო, მით

უმეტეს, რომ მოდელებიც ძალზე ძვირი დაიჯდება – თუ, რა თქმა უნდა, შესაფერი მოდელების გამოხახვას მოვახერხებ, თუკი ეიშოვი ისეთ ტიპებს (უხეშებს და ბრტყელსახიანებს, დაბალი შუბლი რომ ექსებათ და სქელი ტუჩები, ფიგურა კი მილესებური, მრგვალი და არა კუთხოვანი) და ისე ჩაცმულებს, როგორც მე მისდა.

აქ საჭიროა დიდი სიზუსტე. ტანსაცმლის ფერს თაეისუფლად ვერ მოექცევი, ვერ დასცილდები, რადგან ეფექტი ყანების დაჟანგულ ბრინჯაოში შეფარული ნარინჯისფერი ელემენტებით გამძაფრებული ინდიგოსა და კობალტის მკრქალი ელფერების ანალოგიამ უნდა მოგცეს. ასეთი სურათი ზაფხულის დღის შთაბეჭდილებას, ალბათ, კარგად გადმოსცემდა. ზაფხული კი, ჩემი აზრით, საკმაოდ ძნელი დასახატია. ჩვეულებრივ, – ხშირად მაინც, – ზაფხულის ეფექტის გადმოცემა ან არ ხერხდება, ანდა ერთობ ცუდი გამოდის, – ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ბინდისა, პირიქით, ადვილია.

აი, რის თქმა მსურს: მზიანი ზაფხულის ეფექტის მიგნება, – ისეთივე მდიდარი, სადა, სასიამოვნო საყურებელი რომ იქნებოდა, როგორც წელიწადის დანარჩენ დროთა თაეისებური ეფექტები, – იოლი არ არის. გაზაფხული ჯეჯილის ნაზი სიმწვანე და ვაშლის ყვაეილის მკრთალი ფერია. შემოდგომა – იისფერი ტონებისა და ყვითელი ფოთლების მძაფრი კონტრასტი. ზამთარი – თოვლი, მკვეთრი, შაეი სილუეტებით. ზაფხული კი კონტრასტია ლურჯისა და ყანების ოქროსფერ ბრინჯაოში გარეული ნარინჯისფერი ელემენტებისა. მაშასადამე, დამატებით ფერთა ყოველი კონტრასტით (ვითელი და მწვანე, ლურჯი და ნარინჯისფერი, ყვითელი და იისფერი, თეთრი და შაეი) შეიძლება სურათის დახატვა, რომელიც კარგად გადმოსცემდა წელიწადის დროთა სხვადასხვა განწყობილებას.

374. ვიდრე ჯერ კიდევ ლონდონში ხარ, მინდა, უბრალოდ, რამდენიმე სიტყვა მოგწერო. ნეტავ ლონდონში შენთან ერთად მახეტიალა, თანაც ისე, რომ ლონდონური ამინდი იყოს, როცა ქალაქი, განსაკუთრებით – ზოგიერთი მდინარისპირა ძველი უბანი, განსაცეიფრებლად თაეისებური ეჩვენება ადამიანს და გულს სევდითა და მელანქოლიით აუვსებს ხოლმე. ახლა ინგლისელ მხატვართაგან ძალიან ბევრმა, ფრანგებისგან დანახვა და ფერწერა რომ შეისწავლა, ამ ხედების ხატვა დაიწყო. თუმც, სამწუხაროდ, ინგლისური ხელოვნების ეს ნიმუშები – ჩვენ რომ ასე გვაინტერესებს, ძალზე ძნელი სანახაეია. გამოფენილ სურათთაგან კი უმეტესობა სიმპათიას ვერ იმსახურებს.

იმედი მაქვს, რამე ისეთი მაინც შეგხვდება, რაც ასეთი პეიზაჟების გაგებაში დაგეხმარება; პირადად მე ზოგიერთი ინგლისური ნამუშევარი არ მაეიწყდება, მაგალითად, „ნაღელიანი ოქტომბერი“ მილესისა და პინუელის და ფრიდ უოკერის ნახატები. ლონდონის ეროვნულ გალერეაში გობემი ნახე, არ დაგაეიწყდეს კონსტებლის ლამაზი სურათებიც, მათ შორის – „ყანა“ და „ფერმა მინდორში“, რომელიც საუტ კენსინგტონში ინახება. მაინტერესებს, რა ნახე და რა მოგეწონა ყველაზე მეტად.

წინა კეირას მკის სანახავად მინდერად ყოველდღე დავდიოდი და კიდევ ერთი კომპოზიცია გაეაკეთე. ეს სურათი ეინდპოვენელ კაცს დაეუხატე, რომელსაც თაეისი სასადილოს დეკორირება განუზრახაეს. ის ამ ოთახის დამშვენებას წმინდანების რამდენიმე კომპოზიციით აპირებდა. მე კი ეურჩიე, აბა, დაფიქრდით, თქვენს დარბაისელ, ღირსეულ სტუმ-

რებს მადას რა უფრო გაუღეიძებს, გლეხთა ცხოვრებიდან აღებული ექსესი ლამაზი სიუჟეტი, წელიწადის ოთხივე დროის სიმბოლო რომ იქნება-მეთქი, თუ ის ზემონახსენები მისტიკური პერსონაჟები? როცა ჩემი სახელოსნო ინახულა, ჩემს აზრს დაადგა. მას უნდა, რომ ეს პანოები თეთრთან დახატოს, მაგრამ, რა ეიცი, გამოუვა? (მე კი მაინც გაეაქეთებ ჩანახატებს – შემცირებული ზომის სურათებს დაეუხატაე).

375. თეო, აქ ერთი ამბავი მოხდა, რაც აქაურთა უმეტესობას არ გაუგია, აზრად არ მოსდის და, რა თქმა უნდა, არც უნდა გაიგოს; ისე რომ, დადუმდი, როგორც სამარე. ეს რა ცუდი რამ დამემართა! ყველაფერი რომ კარგად გიამბო, წიგნის დაწერა დამჭირდება, რაც მე არ ძალმიძს. ფრეილეინ x-მა მძიმე წუთებში, მას შემდეგ, რაც თავისიანებს ელაპარაკა, მათ კი ჩვენზე – ჩემზედაც და მასზეც – ბევრი ცუდი თქვეს, თავი მოიწამლა. ვერ იყო კარგად და ჩემი აზრით, ეს უთუოდ ნერვული შეტევის დროს ჩაიდინა. ზოგ სიმპტომზე, ადრევე რომ შევამჩნიე, ექიმს მანამდეც ველაპარაკე. სამი დღის წინ კი მის ძმას ვუთხარი, ვშიშობ, ვაითუ ნერვული ციებ-ცხელება დაეწყოს-მეთქი. აბა, რა მექნა, ისიც ვუთხარი, მასთან ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება, შინაურები ცოტა უნდა გაფრთხილდეთ-მეთქი. მაგრამ ჩემი ლაპარაკით არაფერი გამოვიდა – მისიანებმა შემომთავაზეს, ორი წელი დაიცადეო; მე კი გადაჭრით ვუპასუხე, ქორწინებაზე თუ ამბობთ რამეს, ეს ან ძალიან მალე მოხდება, ან საერთოდ, არასდროს-მეთქი.

„მადამ ბოვარი" ხომ წაგიკითხავს. ალბათ, ქალბატონი ბოვარიც გახსოვს, ნერვული შეტევით რომ გარდაიცვალა. მაშ, იცოდე, აქაც იგივე ამბავი მოხდა, ოღონდ ამ ქალმა საწამლავი დალია და ამით საქმე უფრო გართულდა. ხშირად, როცა ჩვენთვის წყნარად ესვირნობდით, უცებ იტყოდა: „აჰ, ნეტავ ახლა მოვკედებოდეო!" – მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთ დილას კი უცებ წაიქცა. ეიფიქრე, სისუსტის ბრალია-მეთქი. მერე და მერე კიდევ უფრო ცუდად გახდა. კრუნჩხვები დაეწყო, ენა წაერთვა, გაუგებრად ალუღლუღდა, წრიალებდა, აქეთ-იქით აწყვეტდა თავს. ეს აღარ პგავდა ნერვულ შეტევას, თუმც მსგავსება მაინც იყო. უცებ გულში ეჭვმა გამკრა, შევეკითხე: „იქნებ რამე დალიე მეთქი?" მან იყვირა: „კო, დავლიეო!" აი, მაშინ კი ხელი დავაველე. მეუბნებოდა, შემომფიცე, რომ არავის ეტყვიო. ეუპასუხე: „რასაც გინდა, დაეიფიცებ, ოღონდ ახლა საწამლავისგან გათავისუფლდი, თითები პირში ჩაიყავი და შეეცადე, გაღებინოს, თორემ იცოდე, ქვეყანას შევყრი, ეიყვირებ-მეთქი".

დანარჩენს, ალბათ, თვითონ მიხვდები. თურმე სტრიქნინი დაულია, მაგრამ დოზა მცირე გამოდგა; ანდა იქნებ გასაბრუებლად ქლოროფორმი და ლაუდანუმიც მიაყოლა, ამას კი სტრიქნინის წინააღმდეგ იმოქმედა... ახლა უკეთაა. საიმედო ხელს ჩაეაბარეთ; ალბათ, მიხვდები, ამ ამბის გამო, როგორ ვიქნები. შემეშინდა, ჩემო ბიჭუნა: მინდორში ჩვენს მეტი არავინ იყო, როცა ეს მოხდა. საბედნიეროდ, შხამმა მოქმედება უკვე შეწყვიტა.

მაგრამ მაოცებს ამ ხალხის, ამ წესიერ ადამიანთა მსოფლმხედველობა! ეს რა უცნაურ რელიგიას ქადაგებენ! ეს ხომ, უბრალოდ, აბსურდია, რომელმაც ლამის მთელი ქვეყანა საგიქეთად გადააქციოს, თაედაყირა დააყენოს! აი, ესეც მისტიციზმი! ალბათ, მიხვდები – ამ დღეებში თავგზა მჭონდა აბნეული, ამ ამბის მეტი აღარაფერი მაგონდებოდა. ეფიქ-

რობ, ახლა, რაკი x თაეის მოწამელას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო, შეეშინდება და ამ საქციელს იოლად ვეღარ გაიმეორებს: თუ ეინმე თაეის მოკელას ეცდება, მაგრამ ვერ შეძლებს, ეს ყველაზე საუკეთესო წამალია – თეითმკელელობაზე არასოდეს აღარ იფიქრებს. მე იმას ეფიქრობ, ნერეული ციებ-ცხელება არ დაეწყოს ანდა, ეაითუ ტეინის ანთება დაემართოს... თუმც, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, მხოლოდ ცუდი შედეგების მეშინია. ჩემო თეო, ჩემო ბიჭუნა, ამ ამბაემა პირდაპირ მომკლა, ბოლო მომიღო.

377. ორიოდ სიტყეით შეგატყობინებ, რომ უტრეხტში გაეემგზაერე მის სანახაეად. იმ ექიმსაც ეელაპარაკე, ეის ბინაზედაც ამჟამად ცხოერობს. რჩეეა ეკითხე, როგორ მოეიქცე, მის ჯანმრთელობას რა მოუხდება, მომაეალისთეის როგორ აჯობებს, გაგრძელდეს ჩეენი ურთიერთობა თუ შეწყდეს-მეთქი. ექიმის გარდა არაეის რჩეევას არ მოეისმენ. მითხრა, მისი ჯანმრთელობა ძლიერაა შერყეული, თუმც ამჟამად უკეთესობა ეტყობაო. გარდა ამისა, ექიმის სიტყეით, რომელიც მას ბაეშეობიდან კარგად იცნობს და დედამისსაც მეურნალობდა, იგი სულ ასე სუსტი ყოფილა, მერეც ასე იქნებაო. ახლა კი საშიში ორი რამ არის: ისეა დასუსტებული, გათხოეება – ახლა მაინც, – არ შეიძლება, თუმც ჯერჯერობით დაშორებაც არ იეარგებსო. ამგეარად, ერთხანს მოცდა აჯობებს, მერე კი ექიმი გადაჭრით მეტყეის, მისთეის როგორ სჯობს – დაეშორდეთ თუ არ დაეშორდეთ. მეგობრობას კი მუდამ გაეუწეე: როგორც ჩანს, ძლიერ შეგეიყეარდა ერთმანეთი. თითქმის მთელ დღეს მასთან ეიყაეი... პირდაპირ, გული გეტკინებოდა, როცა ამ ქალმა (სუსტმა, უღონომ, ხუთმა თუ ექვსმა დედაკაცმა რომ თეითმკელელობამდე მიიყეანა), თითქოს თაეის თაეს აჯობა და ამით გული დაიმშეიდაო, ასეთი რამ თქეა: „აი, ხომ ხედაეთ, სიყეარული მეც შეეძელიო“. ნამდეილი სიყეარული ჯერ არასდროს განეცადა.

ამ დღეებში დარდმა პირდაპირ ბოლო მომიღო, დარდმა, რომელსაც ვერ გააყუჩებ, გულიდან ვერ გადაიგდებ. ლამის თაეადაც აეად გაეხდე. ბეერ რამეს ეგრძნობდი, თითქმის წინასწარ ეიცოდი კიდეც, რა მოხდებოდა. ამიტომ ეურთხილობდი, ხალხის თეალში ღირსება არ შელახოდა, თუმცა, თუკი ეისურეებდი, იგი ჩემი გახდებოდა; ამგეარად, ახლა ხალხის თეალში ავტორიტეტი შეინარჩუნა. ეს რომ ესმოდეს, შეეძლო, მათთეის, ეინც ეს გეგმები ჩაუფუშა, არათუ პასუხი მოეთხოეა, არამედ კიდეც დაესაჯა. მეც მხარს მიეცემდი. მაგრამ, რა ექნა, მუდამ არ ესმის ყველაფერი ანდა გეიან მიხედება ხოლმე. ნეტაეი ადრე შეეხეედროდი, ეთქეათ, ათი წლის წინ. ახლა იგი კრემონელი ოსტატის მიერ გაკეთებულ ეიოლინოს მომაგონებს, უხეირო რესტაერატორს რომ წაუხდენია... ოდესღაც კი ი'შეიათი, მართლაც, ძეირფასი ინსტრუმენტი იქნებოდა: ამჟამადაც, მიუხედაეად ყველაფრისა, ძალიან ბეერი ღირსება აქეს.

378. ეიმეორებ, თუ გსურს, რაიმე გააკეთო, იმის შიში სუ გექნება, ეაითუ სწორად არ ეაკეთებ, ეაითუ შეცდომა მომიეიდესო. ბეერს პგონია, თუ ცუდს არაფერს გაეაკეთებ, კარგი კაცი ეიქნებიო. ეს სიცრუეა; თაეად შენც ხომ ახე მიგაჩნდა. აი, ასეთი პოზიცია კაცს ერთ წერტილზე აჩერებს და სიმდარეს აჩეევს. ცარიელი ტილოს საგლეჯი როცა თეალში გეჩხირება, აღექი და, ზედ რაღაცა მაინც წათხაპნე. ვერ წარმოიდგენ, აი, ასეთი ცარიელი ტილოს საგლეჯის დანახეაზე მხატეარს რა მოსდის. ტილო თითქოს ეუბნება: არაფერი შეგიძლია, ეერაფერსაც ვერ აკეთებო;

თავალს უბრეცს, როგორც ჭკუანაკლებები, ზოგიერთს კი ისეთსაირად მოსუსხავს ხოლმე, თავად მასაც ჭკუანაკლებად გადააქცევს. ცარიელი ტილოს ნაგლეჯი ბევრს აშინებს, მაგრამ სამდუილი, ასთებული, მგზნებარე მხატვრისა თვით ამ ტილოს ეშინია; ეშინია მისი თამამი საქციელისა; ეშინია, ვისაიდან მომნუსხველი ზეგავლენა ამ სიტყვებისა „არაფერი შეგიძლიაო", – მას სამუდამოდ დაუთრგუნავს.

თვით ცხოვრებაც ისე ბრუნავს, რომ ადამიანს საქციელი წაუხდინოს, იმედი წააროვას, ცარიელი, არაფრისმთქმელი მხარე ანვენოს, რომელსაც, როგორც ცარიელ ტილოს, არაფერი აწერია, რომელზედაც არაფერია დახატული. მაგრამ ცხოვრება რაც უნდა ცარიელი, უმიზნო, მკედარი გეჩვენებოდეს, თუ ენერგია არ გაქლია, თუ გაქეს რწმენა, თუკი გულში ცეცხლი გინთია, ამაეე დროს, ცოტა რამ მაინც გაგეგება, არ მოტყუვდები. იშრომებ, საქმეს მოეკიდები, დაბრკოლებებს გადალახავ, თუნდ გზადაგზა რამეს ამსხვრეედე ან „აფუჭებდე". ამის გამო, უსათუოდ გაგიცხაენ, მაგრამ გულციემა თეოლოგებმა რაც უნდათ, ის თქვან! თეო, ეს ქალი მეცოდება: ჯერ ასაკი, მერე, ალბათ, ღეიძლისა თუ ნაღელის ბუშტის დაავადება კარგს არაფერს უნდა უქადდეს! ამას კი გრძნობებიც მიემატა!

379. იწერები, მალე დელაკრუას გამოფენა გაიხსნებაო. რა კარგია! მაშ, „ბარიკადას"* უთუოდ ნახავ. მე კი ამ სურათს მარტოოდენ დელაკრუას ბიოგრაფიით გაეეცანი. ეფიქრობ, იგი დახატულია 1848 წელს. ამას გარდა, ალბათ, იცი ლემიუდის ლიითოგრაფიაც, – თუ მისი არა, მაშ დომიეს, – რომელზედაც კელავ 1848 წლის ბარიკადაა დახატული. ერთი წუთით წარმოიდგინე, რომ ჩვენ ეცხოერობთ 1848 წელს ან რომელიმე ანალოგიურ პერიოდში, მაგალითად, ნაპოლეონის სახელმწიფო გადატრიალების დროს, როცა იგივე განმეორდა. გესლიანი სიტყვების თქმას არ ეაპირებ – ასეთი რამ მიზნად არასდროს დამისახაეს. უბრალოდ, ეცდილობ, განგიმარტო, თუ რამდენად უკაეშირდება მე და შენს შორის წამოჭრილი უთანხმოება საერთო-საზოგადოებრიე მიმდინარეობებს, პირადი წყენა აქ არაფერ შუაშია. მაშ, დაეუბრუნდეთ 1848 წელს.

ვინ უპირისპირდებოდა მაშინ ერთმანეთს, მებრძოლ ძალთა ტიპური წარმომადგენლები ვინ იყუნენ და ვინ შეგეიძლია, დაეასახელოთ? ერთი მხრივ, გიზო, ლუი-ფილიპეს მინისტრი და, მეორე მხრივ, – მიშლე, კინე და სტუდენტობა. დაეიწყოთ გიზოთი და ლუი-ფილიპეთი. ცუდები იყუნენ? ტირანები? ცხადია, არა. ჩემი აზრით, ეს ისეთიეე ხალხი იყო, როგორიცაა ჩვენი მამა, ჩვენი პაპა, მოხუცი გუეილი, ერთი სიტყვით, გარეგნულად ერთობ რესპექტაბელურნი, დაფიქრებულნი, სერიოზულნი; ცოტა უფრო ყურადღებით რომ შეხედაედი და ცოტა უფრო ახლოდან რომ დაინახაედი, ისეთ სიჩლუნგეს, უხალისობასა და უსიცოცხლობას შეაეჩნეედი, ალბათ, გული აგერეოდა.

განა მწარედ ელაპარაკობ? თუ მათ ერთობ განსხვაეებულ საზოგადოებრიე მდგომარეობას არ მიეიღებთ მხედველობაში, ეს საეხებით ერთი და იმაეე სულისკეთების, ერთი და იმაეე ხასიათის ხალხი იყო. მართალს არ ეამბობ? ახლა აეიღოთ, მაგალითად, კინე და მიშლე ან ეიქტორ პიუგო (გეიანდელი). მართლა დიდი სხვაობა იყო ამათსა და საწინააღმდეგო მხარეს შორის? დიახ, იყო, უსაზღეროდ დიდი სხვაობა იყო, მაგრამ ზერელედ თუ შეხედაედი, სხვანაირად იფიქრებდი: თაეის დროზე გიზოსა და მიშლეს წიგნები თვით მეც თანაბრად მეშეენიერი



შეჩვენებოდა, მაგრამ საქმეს ღრმად რომ ჩაეხედე, მათ შორის სხვაობა შეეამჩნიე, კიდეე მეტი – წინააღმდეგობა აღმოეაჩინე.

პირეელი მარცხდება, ხოლო შემდეგ უეალოდ ქრება; მეორე, პირიქით, სამარადჟამოდ იარსებებს. მას შემდეგ ხომ ბეერმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ეფიქრობ, მე და შენ რომ მაშინ გეეცხოერა, შენ გიზოს მხარეს იქნებოდი, მე კი მიშლეს მიეემხრობოდი და თუ ორიეე ჩენ-ჩეენს მხარეს საკმარისად ეუერთგულებდით, შესაძლოა, აი, ასეთ ბარიკადაზე არცთუ ისე მხიარულად შეეხეედროდით ერთიმეორეს, შეეხეედროდით, როგორც მტრები: შენ – მთავრობის ჯარისკაცი ბარიკადას იქით იქნებოდი, მე – მეამბოხე – ბარიკადას ექეთ.

ამჟამად, 1884-ში – სულ შემთხვეეით უკანასკნელი ორი ციფრი იგიეე დარჩა, ადგილებია მარტოოდენ შენაცელებული, – კელაე ერთმანეთის პირისპირ ედგაეართ. მართალია, ბარიკადები ახლა არ არის, მაგრამ საესებით განსხვაეებული მოსაზრებანი დღესაც ბეერია. წისქეილი აღარსად არის, ქარი კი კელაე ძეელებურად ქრის. ჩეენ, ჩემი აზრით, მტრულ ბანაკებში ეიმყოფებით; რა გაეწყობა. მინდა თუ არა, ჩემი საქმე უნდა განეაგრძო, ხოლო შენ – შენი. მაგრამ რაკი მაინც ძმები ეართ, მოდი, ერთმანეთს ნუ ვესერით მაინც. არ შეგეიძლია, ერთიმეორეს დაეეხმაროთ ისე, როგორც ერთ ბანაკში მებრძოლნი და ერთმანეთის მხარში მდგომნი მოახერხებდნენ. არა, ჩეენ რომ ერთიმეორეს მიეუახლოედეთ, სროლაში მოეხედებით.

მე რომ მწარე სიტყეებს ეამბობ, ეს ტყეიებია არა შენკენ – ჩემი ძმისკენ, არამედ შენი პარტიისკენ მიმართული. შენ რომ მწარედ ლაპარაკობ, ჩემი აზრით, პირადად მე არ მომმართაე, ბარიკადას კი ცეცხლს მაინც უშენ და ეს საკუთარ დამსახურებად მიგაჩნია, თუმც, ბარიკადაზე

მე გეგულები... თუ წარსულში მცირე იმედი კიღევ მქონდა, რომ შეიცელებოდი და ორიენი ერთ მხარეზე აღმოჩნდებოდით, ახლა აშკარად საწინააღმდეგო ბანაკებში ვართ. შენც, შენდაიაად, ალბათ, გეგონა, შეიცელებოდი და შენს ბანაკში მოიხედებოდი; მაგრამ, აი, როგორც ხედავ, ამას სულაც არ ეაპირებ. მე შენიანებს უნდა ეესროლო, თუმც ეეცდები, შენ აგაცდინო. შენ ჩემიანებს უნდა ესროლო, მაშ, შენც ეცადე, ამაცდინო.

იმედია, მიხედები, რომ ფიგურალურად ელაპარაკობ. პოლიტიკურ საქმიანობას ჩენ არ ეეწეეით, მაგრამ ხალხში გეიწეეს ცხოერება, ხალხი კი თაეისდა უნებურად ჯგუფებადაა დაყოფილი. რა ქნას პატარა ღრუბლის ნაულეთმა, თუ რომელიმე სააედრო ღრუბლის ნაწილი აქეია, თუ დადებითად დამუხტულია ანდა პირიქით, უარყოფითად? ეს მართალია: ქაცნი ეართ და არა ღრუბელნი. ქაცი, როგორც ინდიეიდუმი, ქაცობრიობის ნაწილია, ხოლო მთელი ქაცობრიობა დაყოფილია პარტიებად. ამა თუ იმ პარტიისანი საკუთარი სურეილითა ეართ, თუ ესა თუ ის გარემოება გვაიძულებს და იმიტომ? მაშინ 48 წელი იყო, ახლა 84 წელია. წისქეილი აღარსად არის, ქარი კი კელაე ძეელებურად ქრის.

მაშ, ეცადე, გაარკეიო, ეის ეკუთენი, რომელ პარტიას, და ჩემდათაეად მეც შეეეცდები.

380. *30 ხექტემბერი, 1884.* იმედი მაქეს, ძეელ კომპოზიციათა გამოყენებით ამ ზამთარს ნახატებს გაეაკეთებ და ზოგიერთ მათგანს, ეთქეათ, „ლონდონ ნიუსს“ გაეუგზაენი, რომელიც, როგორც შეამჩნეედი, ახლა ხშირად „გრაფიკს“ ჯობია. სხეათა შორის, ამას წინათ ფრენკ პოლის ლამაზი რეპროდუქცია გამოაქეეყნა, დაბეჭდა, აგრეთეე, მშეენიერი პეიზაჟი, ცხეარიც რომ ხატია.

ბოლო ხანებში ბეერს ეხატაედი და, ჩემი აზრით, გადაეიღალე. განცდებიც მქონდა... მადა დაეკარგე, უძილობამ შემაწუხა, უფრო სწორად, ცოტას ეჭამ და ცოტა მძინავს, ამიტომ დაესუსტდი. სულ იმას ენანობ, ჩემო თეო, მე და შენ რომ ბარიკადის სხეადასხეა მხარეს ეიმყოფებით. თუმც ბარიკადა – ქეაფენილის ქეებისაგან აშენებული კონკრეტული ნაგებობა – აღარსად ჩანს, სოციალურად უსათუოდ არსებობს და იარსებებს...

მისმინე, თეო, ჩემს ცხოერებაშიც იყო დრო, როცა გიზოსა და მისთა მსგაესთა გზას ეადექი. მაგრამ შენ იცი, რა მტკიცედ და ენერგიულად შემოებრუნდი, როცა მიეხედი ჩემ შეცდომას. დღეეანდელ თაობას არ ეუნდიეარ: პოდა, ჯანდაბას ამათი თაეი. ისეე 48 წლის თაობა მირჩეენია, ხალხიც და მხატერებიც – ის თაობა 84-ის თაობაზე მეტად მიყეარს, მაგრამ იმ ძეელ, 48 წლის თაობაში გიზო კი არ მომწონს, არამედ რეეოლუციონერები – მიშლე და ბარბიზონის გლეხთა მხატერები.

381. ჩინებული წიგნი ეიყიდე – ჯონ მარშალის „ანატომია მხატერებისათეის“. მართალია, ძეირი ღირს, მაგრამ მთელი სიცოცხლე გამომადგება, ეინაიდან კარგი წიგნია. ანტეერპენის ნატიფი ხელოენების სასწაელებელში სახელმძღეანელო წიგნებად რომ იყენებენ, ისინიც მაქეს... ადამიანის სხეულის ცოდნა ბეერი რამის გასაღებია, მაგრამ ასეთი ცოდნის მიღება ძეირი ჯდება. ფერს, შუქ-ჩრდილსა და პერსპექტიეას, ტონსა და ნახატს, – ერთი სიტყეით, თითქმის ყეელაფერს, – გარკეეული კანონები აქეს და იგი უნდა შეისწაელო, როგორც ქიმია ანდა ალგებრა. ეს არ არის იოლი გზა და ის, ეინც ამბობს: „ეს ყეელაფერი თანდაყოლილი

უნდა გქონდესო", საქმეს ძალიან აიოლებს. ნიჭი რომ კმაროდეს, რა გეიჭირდა! მაგრამ არ კმარა: სწორედ ის, ეიცც ისტუიციით აღწევს ბევრ რამეს, ჩემი აზრით, საჭიროა, ორგზის და სამგზის მეტს ეცადოს, რათა მისი ინტუიცია გონებას და აზროვნებას დაუკავშირდეს.

ბევრჯერ გითქვამს, მუდამ მარტო იქსებიო; არა მგონია! – ეტყობა, ჩემი ხასიათი ვერ გაგიგია. მე არ ვაპირებ, ეიცხოვრო და ეიაზროვნო ნაკლები გ'ხნებით ან გატაცებით. ძალზე ხშირად ემარცხდები ხოლმე, შეცდომები ხშირად მომდის, არასწორადაც ბევრჯერ ეიქცევი, მაგრამ ეს უბედურებად არ მიმაჩნია, ეინაიდან ძირითადად მართალი ვარ. საუკეთესო სურათებსაც, საუკეთესო ადამიანებსაც ნაკლიც ხშირად აქვთ და „აკეიატებული აზრიც". ეიმეორებ: ჩვენი დრო ყველას მშეიდობიანი ეჩვენება; სინამდვილეში ასე არ არის. არც ვაჭარბებ, როცა ვამბობ, რომ დღეს, ე.ი. 84 წელს, ზოგი პარტია ერთმანეთს ისევე უპირისპირდება, როგორც ძველად, 48-ში.

გარწმუნებ, „თხრილი" – როგორც შენ ამბობ, – აქ არაფერ შუაშია. კონკრეტულად ჩემზე და შენზე როდი ვამბობ, საზოგადოდ, პარტიებზე გეუბნები. მაგრამ ჩვენც ხომ რომელიღაც პარტიას ვართ მიკედლებული, სულ ერთია, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ან მარჯვენიე ედგაჟართ, ანდა მარცხნიე. თუ ფიქრობ, სადმე შუაში გაეჩერდები, არც მარჯვნიე და არც მარცხნიეო, გაებედავ, ჩემი ეჭვი გამოეთქვა, რომ ეს, ალბათ, ძნელი იქნება.

უტრეხტიდან კარგი წერილი მომიეიდა. X ისე გამოკეთდა, შეუძლია, რამდენიმე ხნით პაიგაში გადაეიდეს. მაგრამ მე მაინც ვერ დაემშეიდდი. კილო მისი წერილებისა შედარებით მტკიცეა და გონიერული, უფრო ნაკლებად აჩემებული, ეიდრე ჩვენი საცნობობის დასაწყისში, თუმც ისევ ჩიტის კენესას მაგონებს, რომელსაც ბუდე ჩამოუშალეს; ალბათ, ხალხზე ისე არ არის გააეებული, როგორც მე ვარ, მაგრამ ისიც ადამიანებს ისე უყურებს, როგორც ბიჭებს, სიანცითა და გართობის მიზნით, გასაცინებლად ფრინველს ბუდეს რომ ჩამოუნგრევენ...

კელაე ორი სიტყვა იმის შესახებ, შენ რომ თხრილს არქმევ, მე – ბარიკადას. არსებობს ძეული საზოგადოება, რომელიც, ეფიქრობ, მისიე მიზეზით იღუპება, არის ახალი, რომელიც უკვე დაიბადა, იზრდება და თანდათან უნდა განეითარდეს. ერთი სიტყვით, არსებობს რაღაც – რეეოლუციური პრინციპებიდან მომდინარე და კიდევ რაღაც – კონტრრეეოლუციური პრინციპებიდან მომდინარე.

ნუთუ არასდროს შეგიმჩნევია, სიძველესა და სიახლეს შორის მერყეობა რომ კარგი არ არის? როცა გეცლება, ამას უნდა დაუფიქრდე. ადრე თუ გეიან მერყეობა მაინც იმით თავდება, რომ უთუოდ ერთ-ერთს აირჩევს ადამიანი – ან მარჯვნიე და ან მარცხნიე დგომას. პოდა, ეს თხრილი არ გეგონოს. და კიდევ ერთი: მაშინ 48 წელი იყო, ამჟამად კი 84-ია. მაშინ იყო ქვაფენილის ქვებით ნაგები ბარიკადა – ახლა იგი ქვებით არაა აგებული, მაგრამ როცა საქმე ეხება ძველისა და ახლის შეურიგებელ უთანხმოებას, ბარიკადა ისევ არსებობს. დიახ, იგი ახლაც არის – 84-ში, ისევე როგორც, არსებობდა 48-ში.

383. *ოქტომბერი 1884.* რაპარდი ჩემთან ერთ კეირას კიდევ დარჩება. ხატაეს და ხატაეს, ხატეის მეტი არაფერი აგონდება. ხატაეს მრთეელ ქალებს, ხატაეს თაეების სხეადასხეაგეარ ეტიუდებსაც, მე რომ ძალზე ლამაზები მეჩეენება. იმპრესიონიზმზე უამრაეი ეისაუბრეთ. ალბათ, რა-

პარდის სამუშაურებს იმპრესიონისტულს უწოდებდი. მაგრამ ჩვენთან, ჰოლანდიაში, ძნელად მიხედები, სიტყვა „იმპრესიონიზმი“ რას უნდა ნიშნავდეს. მე და რაპარდს კი დღეანდელი მიმდინარეობანი მაინც ძალზე გვაინტერესებს. ფაქტია, რომ მოულოდნელად ხელოვნებაში სულ ახალი მიმდინარეობა გაჩნდება ხოლმე. სურათებს ახლა ისე სულაც აღარ ხატავენ, როგორც თუნდაც რამდენიმე წლის წინ ხატავდნენ.

386. გუშინ გენეპეს წყლის წისქვილის ეტიუდით დავბრუნდი შინ. ამ ეტიუდზე მუშაობამ უდიდესი სიამოვნება განმაცდევინა; მისი წყალობით ვინდჰოვენში ახალი ნაცნობი[1] გავიჩინე. ამ ადამიანს დაჟინებით სურს, ფერმწერი გახდეს, ამიტომ, როგორც კი მასთან შევედი, ორიოდე მუშაობას შევუდექით... მინდა, ხალხი თანდათანობით ყაიდულო, ცოტა რამ მაინც გადამეხადოს, თუმც ფულით არა. უბრალოდ, ვეტყვი: „საღებავების ტუბები უნდა მაძლიო-მეთქი. მინდა, ბევრს ეხატავდე. შეუწერებლივ ემუშაობდე; მაშ, საჭიროა, სანახევროდ კი არ ეხარჯო ჩემი ძალ-ღონე, გათვლებიდან დაღამებამდე ეიმუშაო...

იმედი მაქვს, მიმიხედები: თეოფილე და მაუვემ ხომ უარი მითხრეს, როცა კელაე ვთხოვე, დამხმარებოდნენ; სწორედ ამიტომ, ძალიან მალე როგორღაც უნდა დაეუმტკიცო, რომ ზოგი რამ მაინც შეეძელი. მაშ, საჭიროა, ენერგია მოიკრიბო და მთელი ძალ-ღონით ეიმუშაო, თუნდაც ეს ოდნავ ძვირიც დამიჯდეს... რაც შენ წახვედი, [illegible] პალიტრა შეიცვალა; ეს უკვე შენს აქ ყოფნაში ეიგრძენი. აი, ისაია — რამდენიმე თვე გაიელის და იმ ეტიუდებს დავამთავრებ, რაზედაც გწერდი; მაშინ ყვეელასათვის ცხადი გახდება, კოლორიტისა ზოგი რამ მეც რომ გამეგება. რა ვქნა, ამჯერად ფული არ მეყო, ეს იმის გამო, რომ თავს ნება მივეცი, იმაზე მეტი დამეხარჯა, ვიდრე ჩემი სახსრების პატრონს შეეფერება. მაგრამ ხარჯების შემცირება ახლა ნამდვილად არ ივარგებს: ვიდრე რკინა ვარვარებს და ნაპერწკლებს ისვრის, კვერევა მანამდე შეიძლება. თუ ასე არ მოვიქეცით, წინ სერიოზულ ნაბიჯს ვერ წავდგამთ.

386-ა. *9 დეკემბერი, 1884.* მხოლოდ მომაელის იმედიღა მაქვს — ამიტომ ისღა დამრჩენია, წინ გავწიო. თუ ქალს, მართლაც, არ ეუნდივარ, რა გაეწყობა, წყენის უფლება, ცხადია, არ მაქვს; მაგრამ იმას კი შევეცდები, სხვანაირად მაინც შევიესო ეს დანაკლისი. სხვა ურთიერთობის დროსაც ასეევა: ძალად სულაც არ გეტმასნები, შენს სიმპათიებს არ მოვითხოვ, მაგრამ როგორც მეგობარი, აღარ ვამბობ, როგორც ძმა-მეთქი, — ჩემდამი ძალზე გულგრილი ხარ. არ იფიქრო, ფულზე ვამბობდე, ჩემო ბიჭუნა. მაგრამ როგორც პიროვნებას, არაფერს მაძლევ; მე კი, როგორც ჩანს, შენ არ გაძლევ. თუმც შეგეეძლო, ერთმანეთისთვის მეტი მიგეეცა.

მაგრამ, მოდი, ნუ ეიჩხუბებთ — ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს: ჩხუბის დრომ უკვე გაიარა, ვფიქრობ, ახლა განშორების დრო დადგება... თავს ნებას მივცემ, ერთი რამ ვთქვა: ჩვენ დაშორდებით — თუმც ეს ამბავი ჩემთვის იოლი გადასატანი არ იქნება, ვინაიდან იგი ნივთიერ გაჭირვებას უკავშირდება, სერიოზულ გაჭირვებას. მე, რა თქმა უნდა, ვეცდები, თავი გავიტანო, მაგრამ შენგან მტკიცედ მოვითხოვ: ეს ჩემთვის ძალზე კრიტიკული მომენტია და, ამის გამო, უაღრესად გულახდილი უნდა იყო. ეიცი, განშორებაზე დათანხმდები — ტკბილად დაეშორდებით

[1] ეს ახალი ნაცნობი ანტონ კერსემაკერსი იყო, ვინც ვოუველვეირუულის — „ამსტერდამელის“ — 1912 წლის 14-21 აპრილის ნომერში ვინსენტზე „მოგონებები“ გამოაქვეყნა

და სწორედ იმიტომ... პრუდონმა თქვა: „ქალი რისხვაა წმისდანისათვის". მაგრამ გასა არ შეიძლება, ამას ასე ეუპასუხოთ: „წმისდანი რისხვაა ქალისათვის". რა თქმა უნდა, შეიძლება. ის კი არა, ეგონებ, ამის თქმაც შეიძლება: „მხატვარი რისხვაა ფისანსისტისათვის". და პირიქითაც: „ფისანსისტი რისხვაა მხატვრისათვის".

386-ბ. აბა, რა გითხრა? შენი წერილი მეტისმეტად ჭკვიანურია, ისეთი სტილით არის ნაწერი, ნატიფი ხელოვნების კარგი მინისტრისა გეგონება. მაგრამ ჩემთვის სახეირო ამ წერილში არაფერია და ამიტომ იგი ნაკლებ მაკმაყოფილებს; განსაკუთრებით, აი, ეს ფრაზა: „მოგვიანებით, როცა შენს სათქმელს უფრო ნათლად გამოხატავ, შენს ახლანდელ სამუშაოებშიც, შესაძლოა, რაიმე ენახოთ, და მაშინ უკვე სხვანაირად ეიმოქმედებთ, ისე არა, როგორც ამჟამად..." მხოლოდ ლამაზი დაპირებაა. ჩემნაირი კაცის აზრით (ვისაც უჯობს, სურათების გასაღება ბევრად უფრო პროზაული გზით მოახერხოს, ოღონდაც მალე გაიყიდოს), ასეთი ფრაზა მხოლოდ თეალში ნაცრის შეყრაა, იმასაც გეტყვი – ნაცრის შეყრა, მინისტრებს რომ სჩვევიათ-მეთქი.

თავაზიანობა გამოიჩინე და რაკი კარგი მინისტრი გიწოდე, დააფასე; მე ხომ საკმაოდ კარგად ვიცი, მაღალ წრეებში გასული ხალხი რომ უვარგისია. ჰოდა, ნათელი პიროვნება – თუნდაც მინისტრი – არ შეშინია, არ დავაფასო... მაგრამ საქმეზე გადავიდეთ: დაფიქრებულხარ, რომ ამჟამად ყოველდღიურად ორი გულდენის დახარჯვა მიწევს? აი, დათვალე: ერთი – მოდელის გასასტუმრებლად, ერთი – ტილოს და საღებავების შესაძენად; უფრო იაფად ვერ გამოვდივარ. ამას გარდა, საჭიროა ანგარიშის გასწორება და ანტვერპენში გამგზავრება.

ვითარება, ცოტა არ იყოს, დაძაბულია, არცთუ ისე კარგად ვცხოვრობ და სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაც საკმაოდ მიჭირს. ვერ ვიტყვი, რომ შინაურებთან ბევრს ვჩხუბობდე, მათ კი მაინც არ უხარიათ ჩემი ხანგრძლივად შინ დარჩენა, – ამას უკვე მშვენიერად ეხედავ. მაგრამ სულ წასვლა ანდა, თუნდაც, ნაწილობრივ (ამ სიტყვაში სახელოსნოს შენარჩუნება იგულისხმება), თუ ცოტაოდენ ეტიუდებს არ დაეხატავ, თუ არ ენახავ, რომ ანტვერპენში ჩემი გადასვლა თავისუფლად მოგვარდება, არ შემიძლია.

388. არავის ეუშლი, ვისაც რა უნდა, ის იფიქროს, ვისაც რა უნდა, ისა თქვას ჩემზე. მაგრამ, აი, რა: როცა რაიმე არ გამომდის, სულაც არ ვფიქრობ, თითქოს მისთვის ხელი არ უნდა მომეკიდა. პირიქით, მარცხი მაიძულებს, კიდევ შევეცადო და ვნახო, არ შეიძლება იმის გაკეთება, რაც მსურდა? ხელახლა, მაგრამ უთუოდ იმგვარადვე, იმავეს ვიმეორებ, რადგან ჩემი ჩანაფიქრი მუდამ აწონილ-დაწონილია და, თუ არ ვცდები, საკუთარი აზრობრივი საყრდენი აქვს. პირადად ჩემთვის, არსებითი განსხვავება რევოლუციამდელსა და რევოლუციის შემდგომ წლებში ის იქნება, რომ რევოლუცია ქალის სოციალურ მდგომარეობას სრულიად შეცვლის, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიან თანამშრომლობას შეუძლებელყოფს. მაგრამ მე არც სიტყვები მყოფნის, არც დრო მაქვს და არც სურვილი ამ თემაზე სალაპარაკოდ. ჩემი აზრით, თანამედროვე ზნეობრივი პრინციპები მცდარია და, იმედი მაქვს, მომავალში შეიცვლება.

რაც შეეხება „ეჭვებს", რომელიც გაგჩენია და, როგორც ეხედავ, გინდა, რომ მეც გამიზიარო, არ მსურს, ამაზე ჩემი აზრი თავს მოგახვიო, მაგრამ იცოდე, ეს არის ერთი იმ „სიმპტომთაგანი", რაზედაც ერთხელ

უკეე მოგწერე, რაც არცთუ ისე ლამაზია და ამიტომ ვერ მოგიწონებ. მაგრამ, თუ გნებავს, იყოს ეს აზრიც სუბიექტური. ერთი სიტყვით, რაც გინდა, ქენი, თუნდ მოიშალე ეგ ეჭვები, თუნდ სულ მოიშლი; ყველაფერი თქვი, რაც ენაზე მოგადგება; მე იმას მაინც შევეცდები, მისი შედეგი აგიცდინო; სხვა მხრივ კი უკვე ვეღარაფერს მოვიშველიებ, თუ არა იმას, ბარიკადის სხვადასხვა მხარეს დგომაზე რომ გეუბნებოდი... შენს პრინციპებს ნუ უღალატებ, მეც ასევე მოვიქცევი; მაგრამ, მოდი, თუ შეგვიძლია, ერთმანეთს მაინც ნუ დავუმიზნებთ: ჩვენ ხომ ძმები ვართ!.. რაკი მახსოვს, ერთმანეთს რომ ხელს არ შეუშლით, როგორც გწერდი, შევეცდები, ვინდსოვენში, ასტვერპენში, მოკლედ, სადაც მოვახერხებ, საცნობები გავიჩინო.

ამას კი უცებ ვერ მოვახერხებ; ჩემდათავად, ასე ვიქცევი მხოლოდ ერთი მიზეზის გამო: შენ გარკვევით მაგრძნობინე, რომ ტყუილად მგონია, თითქოს მეც და ჩემი მხატერობაც სხვანაირად გაინტერესებს და არა ისე, როგორც მფარველს. მაშ, იცოდე, მფარველობაზე მე გადაჭრით უარს ვაცხადებ... სულაც არ ეფიქრობ, ნიუთიერად მოგებული ვიქნები-მეთქი; მაგრამ როგორც კი სურათებით მოვაჯერეთაგან რომელიმე – თუნდ ყველაზე უარესი მეწერილმანე, – დამეთანხმება, უზრუნველმყოს საჭმელითა და თავშესაფრით – არ დაეკეძებ, თუნდ სხვენზედაც იყოს თავშესაფარი, – თან ცოტაოდენ საღებაეებსაც გამოიმეტებს, სურათებს სიხარულით მიეყიდი ხოლმე, – თუკი ამას გაყიდვას დაარქმევ.

საკითხავია, პოლანდიური სკოლის მხატვართა ნამუშევრებში გინახავს თუნდაც ერთი მბარაეი ანდა მთესველი? ცდილა ოდესმე რომელიმე მუშის დახატვას? ცდილა ამას ეელასკესი, როცა ხალხურ ტიპებს ხატავდა ანდა „წყლის მზიდავს“? ცხადია, არა. ძველ ოსტატთა სურათებზე ფიგურები არ შრომობენ. ახლა სწორედ ერთი ქალის ფიგურას ეხატავ, რომელიც შარშან ზამთარში ესახა: თოელიან მიწას ჩიჩქნიდა და თალგამს იღებდა. ჩვენს საუკუნეში ასეთ სურათებს ხატავენ მილე, ლერმიტი და, საერთოდ, სოფლის ცხოვრების მხატვრები, მაგალითად, ისრაელსი. მათ ასეთი სიუჟეტები ყოველგვარ სხვა სიუჟეტზე ულამაზესად მიაჩნიათ. ჩვენი საუკუნის უამრავ მხატვართაგან შედარებით ცოტაა ისეთი, ეინც ფიგურას, პირველ ყოელისა, თვით ფიგურის გამო ხატავს, ესე იგი, მოდელირების და ფორმის გამო, მაგრამ მოქმედების გარეშე ამ ფიგურებს ეერც ისინი წარმოიდგენენ და სწორედ იმას აკეთებენ, რასაც ძველი ოსტატები ერიდებოდნენ, კერძოდ, პოლანდიელი ოსტატები, რომლებიც ერთობ პირობითად ხატავდნენ მოქმედებას, – ეიმეორებ, მათ უნდათ, რომ მოქმედება თვით მოქმედების გამო ხატონ.

მხატვარი ისე უნდა ხატავდეს, მის სურათზე ანდა ნახატზე ფიგურა ფიგურის გამო იყოს დახატული, სხეულის ფორმის ენით უთქმელ პარმონიას გადმოსცემდეს და, ამავე დროს კი, გეეუბნებოდეს, თოელიან მიწას როგორ თხრიან, თალგამი რომ ამოიღონ. გარკეეით ეამბობ? ეიმედოენებ, აგიხსენი, რის თქმაც მინდოდა; სერეს გადაეცი, რასაც ახლა რამდენიმე სიტყეით გეტყეი: კაბანელის შიშეელი ნატურის, ქაქეს დახატული მანდილოსნისა და, ცხადია, არა ბასტიენ ლეპაჟის, არამედ ეინმე პარიზელი ხელოეანის (რომელსაც ხატვა აკადემიაში შეუსწაელია) გლეხის ქალის ფიგურები ერთნაირი, იქნებ ზოგჯერ მომხიბელელი მანერით იყოს დახატული, პროპორციის და ანატომიის თეალსაზრისით, თანაბრად სწორი, ერთნაირად გამართული, მაგრამ როცა ფიგურას ხატავს ისრაელსი, დომიე ანდა თუნდაც ლერმიტი, სხეულის ფორმა გაცილებით მეტად იგრძნობა, თუმც ისინი პროპორციებს (ხედავ, დომიე რად ეახსენე?) მიახლოებით თუ დაიცავენ, სტრუქტურა და ანატომიაც, „აკადემიკოსთა“ თეალსაზრისით, დარღეეული აქვთ. მაგრამ მთლიანად, თითოეულის ნაწარმოები, სიცოცხლის ფეთქვას გვაგრძნობინებს. ეს განსაკუთრებით დელაკრუას ნამუშევარზე უნდა ითქვას.

ჯერ მაინც ეერ ეთქვი გასაგებად. სერეს უთხარი, დარდი მომკლავდა, ჩემი დახატული ფიგურები რომ ყოველმხრივ გამართული ყოფილიყო თქო. მე არ მინდა, ჩემი ფიგურა აკადემიურად სწორი იყოს. აი, რას

ეგულისხმობ: იმ მომენტში, როცა მბარაეს სურათის ულებენ, რა თქმა უნდა, ის არ ბარაეს. მიქელანჯელოს ფიგურები საუცხოო ფიგურებად მიმაჩნია,' თუმც ფეხები ყოველ მათგანს მეტისმეტად გრძელი აქვს, ხოლო გაეა და თეძოები – მეტისმეტად განიერი. როგორც ლერმიტი, ისე მილე, ჭეშმარიტ მხატვრებად მიმაჩნია, რადგან ისინი საგნებს ისე არ ხატავენ, როგორც მშრალი ანალიზური კოპირების დროს იხატება, არამედ ისე, როგორც მილე, ლერმიტი და მიქელანჯელო გრძნობენ და ხედაენ. ჩემი ოცნება სწორედ ეს არის – აი, ასეთი შეცდომები მომდიოდეს, სინამდვილე ასე შეეცვალო, სინამდვილეს ამდაგვარადვე გადაეუხეიო; დაე, თუნდ ეს სიცრუე იყოს; სიცრუე, რომელიც ზედმიწევნითს სიმართლეზე მართალია.

უკვე დროა, დავამთავრო, მაგრამ მსურდა, ერთხელ კიდევ ხაზი გამესვა: ეისაც ამჟამად სახატავად გლეხთა ცხოვრება, ხალხის ცხოვრება აურჩევია, შესაძლოა, განცხრომაში მყოფ მხატვართა ჯგუფში არ შედიოდეს, მაგრამ პარიზელ ეგზოტიკური პარამხანის, კარდინალის დარბაზობათა მეხოტბე მხატვრებზე დიდხანს გაძლებენ. შემიძლია, თავი მხოლოდ იმით ვიმართლო, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სურათები ზოგჯერ რომ ყველაზე ძვირია და ყველაზე ძნელი დასახატავი. ძალიან ხშირად, რაც ხელთ მაქვს ხოლმე, მუშაობა იმაზე ბევრად მეტი მიჯდება. დამიჯერე, ქარსა და პაერს ეუმადლი, რომ გამაკაჟა როგორც ვინმე გლეხთაგანი, თორემ, ალბათ, გასაჭირს ვერ გაეუძლებდი, ვინაიდან ჩემთვის სრულიად არაფერს ვიტოვებ.

არც მჭირდება ჩემთვის რაიმე, ისევე როგორც გლეხს არ სჭირდება; გლეხს, რომელიც სულ არ ცდილობს, სხვაგვარად იცხოვროს. ის ფული კი, შენგან რომ ვითხოვ, საღებაების შესაძენად და, უმთავრესად, მოდელებისთვის არის საჭირო. იმის მიხედვით, რასაც ფიგურის ხატვაზე გწერ, ალბათ, შეძლებ, კარგად განსაჯო, ჩემი მიზნისკენ რა გატაცებით მივისწრაფი. ახლახან მწერდი, შენი სურათის – „კარტოფილის ჭამის" – ფიგურათა გამართულობის ზოგიერთ ნაკლზე სერე ძალზე „დამარწმუნებლად" მესაუბრაო. ალბათ, ჩემი პასუხიდან მიხედებოდი, რომ მეც სწორედ ის არ მომწონს, რაც იმას არ მოსწონებია...

ახლა, როცა თვით ფიგურებზე ვიწყებთ ლაპარაკს, სათქმელს როგორმე მეც გამოვნახავ. რაფაელის სიტყვებიდან აშკარაა, რას გულისხმობს, თავისებურ ხასიათზე რომ ლაპარაკობს. მისი აზრი ჭკვიანური და მართებულია, თანაც ამ აზრს ნახატებით განამტკიცებს. მაგრამ ისინი, პარიზში რომ ცხოვრობენ და მხატვართა და ლიტერატორთა წრეში ტრიალებენ, – ეთქვათ, ისე, როგორც რაფაელი, – განა ჩემებრ აზროვნებენ? მე ხომ გლეხებს შორის ვცხოვრობ. მათ თავიანთი იდეების გამოხატვა ერთი სიტყვით სურთ; კერძოდ, როცა რაფაელი იმ ფიგურებზე ლაპარაკობს, მომაფიქრებინა რომ დაიხატება, თავისებური ხასიათიო – ამ სიტყვას ხმარობს. მთავარში და არსებითში ვეთანხმები, მაგრამ თვით სიტყვის სისწორისა კი ნაკლებად მჯერა, ისევე როგორც სხვა სიტყვების სისწორისა, ისევე როგორც საკუთარი გამოთქმების სისწორისა და სიზუსტისა.

იმის თქმას, მბარაეი თავისებური ხასიათისა უნდა იყოს-მეთქი, ვამჯობინებ, ჩემი მოსაზრება ასე გამოვთქვა: გლეხი უნდა გლეხი იყოს, მბარაეი უნდა ბარაედეს და სწორედ მაშინ იქნება ეს ფიგურები ჭეშმარიტად თანამედროვე. მაგრამ ჩემი სათქვამიდან – წერილობითი განმარ-

ტებაც რომ დაეურთოო თან, ეგრძნობ, ისეთ დასკვნას გააკეთებენ, რაც არასდროს მიფიქრია. ჩემთვის ძალზე საჭირო და სასურველია, თუკი თანხას, მოდელებზე რომ მეხარჯება და საქმეს მიძნელებს, ცხადია, კი არ შეშიმცირებდნენ, პირიქით, ცოტას მომიმატებდნენ, – მე ხომ სულ სხვა მიზნები მაქვს და არა ის, რომ „ერთი ფიგურის დახატვა“ შეეძლო. ეიმეორებ, გლეხი შრომის დროს – თანამედროვე ხელოვნების სული და გული ეს უნდა იყოს. ჭეშმარიტად თანამედროვე მხოლოდ ასეთი ფიგურაა; ეს ის არის, აქამდე რომ ჯერ არავის დაუხატავს – არც ბერძნებს, არც რენესანსის დროინდელ მხატვრებს, არც პოლანდიის ძველი სკოლის წარმომადგენლებს.

აი, საკითხი, რაზედაც ყოველდღე ეფიქრობ. სტატიებში, მხატვრობაზე რომ იწერება, განსხვავება თანამედროვე დიდსა და მცირე ოსტატებსა (დიდოსტატებად მე მიმაჩნია მილე, ლერმიტი, ბრეტონი და პერკომერი; ხოლო მცირე ოსტატებად, ეთქვათ, რაფაელი ანდა რეგამე) და ძველ სკოლას შორის ვერ არის ხოლმე გამოკვეთილი. დაუფიქრდი ჩემს შენიშვნას და, შესაძლოა, დამეთანხმო. გლეხისა და მუშის ფიგურის ხატვას პირველად „ჟანრად“ მიიჩნევდნენ; ამჟამად კი, როცა იმათ, ვინც ამ საქმეს ემსახურება, ისეთი დიდი ბელადი პყავთ, მილე რომ არის, ეს დღევანდელი ხელოვნების არსად იქცა და მომავალშიც უთუოდ ასე გაგრძელდება.

დომიეს მსგავსი ხელოვანნი ყველაზე დიდ პატივისცემას იმსახურებენ, რამეთუ მათ ხელოვნებას ახალი გზები გაუკვალეს. ჩვეულებრივი შიშველი, მაგრამ თანამედროვე ფიგურები, მხატვრობაში ენემ და ლეფევრმა რომ აღადგინეს, ამჟამად ძალზე თვალსაჩინო ადგილს იკავებს. ბოდრიცა და, განსაკუთრებით, მერსიესა და დალუს მსგავსი მოქანდაკენიც მეტისმეტად დიდ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. თუმცა, შიშველად მოსვირნე მუშებს და გლეხებს ვერსად ნახავ; ესე იგი, საკვალდებულო სულაც არ არის, ისინი შიშველები დაიხატოს. მუშისა და გლეხის ფიგურას რაც უფრო მეტი მოკიდებს ხელს, მით უფრო მეტად გამიხარდება; მე, პირადად, ყველაზე მეტად სწორედ ეს თემა მიზიდავს და მაინტერესებს. გრძელი წერილი გამომივიდა; მაინც არ ვიცი, ეთქვი თუ ვერა ჩემი აზრი გასაგებად.

420. შენმა ვიზიტმა არცთუ ისე დამამშვიდა: ასე არასდროს დაერწმუნებულვარ, რომ უახლოეს მომავალში უფრო მეტი გასაჭირი გემუქრება, ვიდრე შენ ფიქრობ. ისევ ისე დარწმუნებით გეუბნები: ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ გსურს, მთელი ენერგია მოახმარო არა იმას, რაც საჭიროა – ე.ი. არა ფერწერას. შეგეძლო, ფერწერაში გემუშავა და ჩემთან ერთად წინ წახვიდოდი... ახლახან არ იწერებოდი, ღირსებას შენი სურათებისას ყველაზე მეტად ახლა ეგრძნობო?..

დაწერილებით გატყობინებ, წლის ბოლომდე რა ხარჯებია მოსალოდნელი. საჭიროა, სამ აბეზარ მომმარაგებელს ანგარიში გაეუსწორო: 45 გულდენი ხომ ერთისა მმართებს, 25 – მეორისა, 30 კი – მესამისა. ეს ნარჩენია იმ ვალისა, წლის მანძილზე, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მეტი რომ იყო, მაგრამ მე სულ იმას ვცდილობდი, თავად რაც უნდა გამჭირვებოდა, ცოტა მაინც ნაღდი ფულით დამეფარა. მაშ, დეფიციტი – 100 გულდენი, საიჯარო გადასახადი ნოემბრისა – 25: – სულ 125 გულდენი = 250 ფრანკი.

ახლა, ეთქვათ და, სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბრებსა და დეკემ-

ბერში შესგას 4 x 150 ფრ. 600 ფრ. მიეიღე. მაშ, ახალ წლამდე 350 ფრასკი დამრჩება, ისიც გახსოვდეს, რომ ამ თვეში აღარ მრჩება არაფერი, თვეს კი მაინც გაეყარა უნდა. ესე იგი, აგვისტოდან იანვრამდე მთელი ხუთი თვე – 350 ფრასკად უნდა ეიცხოვრო და ეიმუშაო. თვეში, სულ ცოტა, 150 ფრასკს როგორმე ეიმყოფისებდი, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ეიმყოფისებდი. მაგრამ რა ექსა, ამ ოთხ თვეში ბინასა და სალებაეებზე 250 ფრანკი კიდევ მჭირდება; გამოდის, რომ ჩემი საქმე, ალბათ, ისე შეფუჩრდება, არას დაგიდევ და ასე გეტყვი: „გაეიღეთ, თუ რამ გამაჩნია, ოღონდ ხატვის შესაძლებლობა მომეციო-მეთქი!"

მეეალეთა დაშოშმინება ისე ძალიან მჭირდებოდა, აედექი და, რაც ამ თვეში ფული მქონდა, უყოყმანოდ დაეარიგე. ამის გამო უფულოდ დაერჩი; უფულობა კი არცთუ ისე სასიამოენო ამბაეია. საბოლოოდ ამის შესახებ, აი, რის თქმაღა შემიძლია: „უსიცოცხლო და უსიამოენო რომ ყოფილიყო, რასაც ეხატავ და რასაც ეაკეთებ, ჩაეთელიდი, თეო მართალია, როცა ამბობს, ამჯერად აღარაფერი შემიძლიაო".

423. *სექტემბერი.* ბოლო ორი კეირის მანძილზე დარბაისელი ბატონი მღედლები არ მასეენებდნენ. მაუწყეს (ცხადია, მხოლოდ კარგი განზრახეით: ჩემზე ზრუნეა ხომ მათაც, სხეებივით, საკუთარ საქმედ მიაჩნიათ), რომ არ უნდა დაეიახლოეო ის, ეინც ჩემს წრეს არ ეკუთენის; ასე მითხრეს, მაგრამ იმათ, იმ „დაბალი წრის ადამიანებს", სულ სხეა ტონით ელაპარაკნენ; ემუქრებოდნენ, არ გაბედოთ ეინსენტთან მისელა, დახატეაზე არ დათანხმდეთო. ამჯერად პირდაპირ ბურგომისტრს მიემართე. აეუხსენი, ეს მღედლების საქმე სულაც არ არის, თაეიანთი საეკლესიო საქმეები მოაგუარონ, აჯობებს-მეთქი. ახლა კი ხელს არაეინ მიშლის; იმედია, შემდეგშიაც ასე იქნება. ქალიშეილი, ხშირად რომ ეხატაედი, თურმე ნუ იტყეი, ფეხმძიმედ იყო; ეჭეი ჩემზე მოიტანეს, მე კი არაფერ შუაში ეარ. საბედნიეროდ, თეით მან მითხრა, სინამდეილეში რაც მომხდარიყო, და რაკი ეს ულამაზო საქციელი ნიუენენის კათოლიკური კაპიტულის რომელიღაც წეერს ჩაუდენია, მის თანამოძმეთ არ შეუძლიათ, ხელი შემახონ.

როგორც ხედაე, ხალხის ხატეა მათსაეე სახლში ან შრომის დროს არც ისეთი ადეილია. მაგრამ მღედლები ამ საქმეში ასე იოლად ეერ მაჯობებენ და ეიმედოენებ, ჩემს მოდელებს – ტიპურ ძეელ ბრაბანტელებს – ამ ზამთრისთეისაც დაეიტოეებ. რამდენიმე ახალ ნახატს კიდევ ეამზადებ.

თუმც ამ დღეებში პოზირებაზე ყეელამ გადაჭრით უარი მითხრა – გარეთ არაეინ მოისურეა მუშაობა. ჩემს გასახარად, აქაური სოფლის მღედელი ყოეელმხრიე ცდილობს, თაეისი მრეელის სიძულეილი დაიმსახუროს. საქმე მაინც ცუდად წაეიდა და თუ ასე გაგრძელდებოდა, აქედან უნდა წაესულიყაე. შემეკითხები, რატომ ეცდილობ, უსიამოენო კაცის სახელი დაეიმსახურო. ზოგჯერ ესეც საჭიროა. მღედელთან ტაბილად რომ მელაპარაკა, რა თქმა უნდა, არ დამინდობდნენ. ხოლო როცა ჩემს საქმეში ხელს მიშლიან, სხეა გზა უკეე აღარ არსებობს – თეალი – თეალის წილ და კბილი – კბილის წილ, სხეანაირად ეერ მოეიქცეე.

ეს მღედელი ხალხს ფულსაც დაკპირდა, ოღონდ კი თაეი აღარაეინ დამახატეინოს; მაგრამ თამამად შეეპასუხნენ: თქეენს ღრეჯას, ისეე ის გეირჩეენია, ფული იმასთან ეაკეთოთო. თუმც, ხომ ხედაე, უფულოდ არაეინ მეხატეინება, მათთან უფულოდ ეერას გახდები.

425. როგორც უკვე გატყობინებდი, ბოლო დღეებში სატურმორტებზე ვმუშაობდი. ეს საოცრად, საოცრად მომწყონს. რამდენიმე ცალს უსათუოდ გამოვგზავნი. ნატურმორტის გაკეთდა რომ ძნელი საქმეა, ეს კარგად ვიცი. მისი ხატება კი უდიდესი სარგებლობის მომტანია. ამიტომაც მთელი ზამთარი უნდა ეხატო. მალე მიიღებ ერთ დიდ ნატურმორტს, რომელზედაც კარტოფილია დახატული. შეეცადე, ისეთნაირად დამეხატა, ფიზიკურად საგრძნობი ყოფილიყო; სხვა სიტყვით რომ ეთქვა, შეეცადე, მასალა ისე გადმომეცა, მასა, სიმკვრივე, წონა გეეგრძნო, ტკივილი გეეგრძნო, იგუ, მაგალითად, წარმოიდგენდით, რომ ასეთი კარტოფილი გეესროლა ვინმემ. მოკლედ, ნახავ, რაც გამოვა.

რაც მღვდელთან შემემთხვა, უკვე აღარ მესაღელება. ცხადია, სოფლად ღვთისმოშიში ადამიანი არ დაილევა და ასეთები ისევ ეჭვით დაიწყებენ ჩემკენ ყურებას; ერთი კი მაინც აშკარაა – მღვდელი დიდი სიამოვნებით ყველაფერს მე დამაბრალებდა. მაგრამ რაკი დანაშაული არ მიმიძღვის, ეს მითქმა-მოთქმა აინუნშიც არ ჩამიგდია: ვიდრე ხატვაში ხელს არ მიშლის, ყურადღებას არც კი ვაქცევ. იმ გლეხებთან, ეს ამბავი ვისაც შეემთხვა და სახატავად ვისთანაც ხშირად დავდიოდი, ისევ კარგად ვარ: მათ ისევ ისე სიამოვნებთ ჩემი სტუმრობა. ამჟამად ეხატავ ნატურმორტებს – ჩიტის ბუდეებს. ოთხი უკვე დავამთავრე; ვფიქრობ, იმათ, ვინც ბუნებას კარგად იცნობს, ხაზის, ხმელი ფოთლებისა და ბალახის ფერი მოეწონებათ.

426. *ოქტომბერი.* ამ კვირაში ამსტერდამს გავემგზავრე. მაგრამ გარდა მუზეუმისა, ვერაფრის ნახვა ვერ მოვასწარი. სამ დღეს დავრჩი: სამშაბათს წავედი, ხოლო ხუთშაბათს უკან დავბრუნდი. ახლა კი ვფიქრობ, კარგი ვქენი, რომ წავედი-მეთქი, მიუხედავად ყველაფრისა. გადავწყვიტე, ამიერიდან სურათების თვალიერების შესაძლებლობა ასე დიდი ხნით აღარ მოვიკლო. ამსტერდამში გამგზავრება, სხვა ათასი რამის არ იყოს, ბევრჯერ გადავდე, რადგან ხარჯებს ვერიდებოდი. ახლა ასეთი ეკონომია უაზრობად მეჩვენება და ეს გულწრფელად მიხარია. ჩემი საქმისთვის საჭიროა, ძველ სურათებს ხშირად ვხედავდე, ტექნიკაში ასე უკეთ გავერკვევი. გარდა ამისა, მუზეუმებში სიარული საკმარისია – სხვა გასართობი თითქმის არ მჭირდება.

იქნებ გახსოვს, „ღამის მზირთა“ მარცხენა მხარეს, მაშასადამე, „მეშაუდეთა ამქრის წარმოგზავნილთა“ სიმეტრიულად პკიდია ფრანს ჰალსის და პ.კოდეს ერთი სურათი (რომელიც ადრე არ მენახა) – მთელი ტანით დახატული ოციოდე ოფიცერი. შეგიხედავს ამ სურათისთვის ისე, როგორც საჭიროა? ამ ერთი სურათის სანახავადაც ნამდვილად ღირს ამსტერდამში გამგზავრება, განსაკუთრებით, კოლორისტისთვის. სურათზე არის ერთი ფიგურა – მედროშე მარცხენა კუთხის სიღრმეში, პირდაპირ ჩარჩოსთან, – თავით ფეხამდე ნაცრისფერით დახატული, უფრთ სწორად, თავისებური ნეიტრალური ტონის მქონე მარგალიტისფერ-ნაცრისფერით, რომელიც, ალბათ, ლურჯისა და ნარინჯისფერის ნარევია და ეს ფერები შერეულია ისეთნაირად, რომ ერთმანეთს ანეიტრალებს. ამ ძირითადი ტონის თუ ფერის ვარირებით, ხან გამუქებით, ხან გაბაცებით მხატვარი ახერხებს, მთელი ფიგურა ერთი და იმავე ნაცრისფერით დახატული მოგვაჩვენოს. მაგრამ ტყვიის ფეხსაცმლის მასალა სულ სხვაა და წინდებისა – სხვა, სურათზე წინდები სხვაგვარად მოჩანს, ვიდრე შარვლის ნაკეცები, ეს კი, თავის მხრივ, ქურთუკისგან განსხვავდება;

კოსტიუმის ყოველ დეტალში გასაკუთრებულ მასალას ეგრძნობით; ეს ყველაფერი ერთმანეთისგან ფერით ძალზე განსხვავდება, მაგრამ მაინც საცრისფერის ერთ ოჯახს ეკუთვნის, თუმცა, ამით როდი თავდება ყველაფერი!

ამ საცრისფერში მხატვარს შეაქვს ნარინჯისფერი, ლურჯი და თეთრი: ქურთუკზე რომ აბრეშუმის ლენტებია – ღეთაებრიები ღია ლურჯი ფერისაა, ყაწიმი და ბაირაღი – ნარინჯისფერი, საყელო თეთრი. ნარინჯისფერი, თეთრი და ლურჯი მაშინდელი ეროვნული ფერებია; ერთმანეთის საპირისპირო ლურჯი და ნარინჯი საუცხოო შეხამებაა ნაცრისფერ ფონზე, რომელიც სწორედ ამ ორი ფერის – მე ვიტყოდი, საწინააღმდეგო ელექტრული პოლუსების, – შერეეითაა მიღებული. თან ეს ფერები მხატვარს ისე ოსტატურად შეუპირისპირებია ერთმანეთისთვის, რომ თეთრსა და ნაცრისფერ ფონზე ერთიმეორეს ამკვეთრებს და აძლიერებს. შემდეგ სურათზე კელაე და კელაე ეხედებით ლურჯისა და ნარინჯისფერის, საუცხოო შაისა და თეთრის შეპირისპირებას; დახატულია ოცამდე თაყვი, სახეებზე სიცოცხლე და შემართებაა აღბეჭდილი. ახლა ტექნიკა! ახლა ფერი! როგორ არის ეს ფიგურები გამართული! თითოეული მთლიანობაში როგორ არის ნაქეთები!

მაგრამ ეს ლურჯ-მონარინჯისფრო-მოთეთრო ჰაბუკი მარცხენა კუთხეში უბადლოა! აგრერიგად ღეთაებრიულად მშვენიერ ფიგურას კაცის თვალი ხშირად ვერ ნახავს. დელაკრუა აღტაცებული დარჩებოდა, უსაზღვროდ, უსაზღვროდ აღტაცებული. გაეშვებდი, როცა შეხედავ. „მომღერალი“, ალბათ, გინახავს; ეს პორტრეტი წელამდეა დახატული – გაცინებული ახალგაზრდა, კარმინნარევი ომომწვანო-შაისტონით ნახატი, სხეულის ფერშიც კარმინი რომ ურევია. წელამდე ნახატი მეორე პორტრეტიც უსათუოდ გეცოდინება – მჭრქალი ყვითელი, ლიმონისფერი ტანისამოსით, ელფერების შეპირისპირება იისფერ სახეს ძალზე თამამ, საუცხოო ბრინჯაოსფერ იერს რომ აძლევს.

ბიურეე რემბრანდტის „ებრაელთა საპატარძლოზე“ ისეთე წერდა, როგორც ეერმეერ დელფტელზე და მილეს „მთესველზე“, როგორც ფრანს ჰალსზე; წერდა დიდი გატაცებით და თაყვანისწყებით. „მემაუდეთა ამქრის წარმოგზავნილნი“ რემბრანდტის ერთი საუკეთესო სურათია, იგი მისი უმშვენიერესი ქმნილებაა; მაგრამ მაინც რა ინტიმური, რა უსაზღვროდ სიმპათიური, ცეცხლის მკეცსაეი ხელით დახატული სურათია ეს „ებრაელთა საპატარძლო“, თუმც კი ისე არ აფასებენ, არც ისეთი ალერთოეანებით იხსენიებენ. ხომ ხედავ, რომ „მემაუდეთა ამქრის წარმოგზავნილნში“ რემბრანდტი ნატურის ერთგულია, თუმც, როგორც ყოველთვის, ლაქეარდებში დანავარდობს, უსასრულო ზეცის წიაღში დალიეღიეებს; მაგრამ როცა „ზედმიწეენით“ სიზუსტის დაცვა არ სჭირდებოდა, როგორც, ეთქვათ, პორტრეტზე მუშაობისას, რემბრანდტს შეეძლო რალაცა სხვაც, მას შეეძლო, პოეტი ანუ შემოქმედი ყოფილიყო. „ებრაელთა საპატარძლოში“ ის ასეთია.

როგორ კარგად გაიგებდა ამ ნაწარმოებს დელაკრუა! რა უსაზღვროდ კეთილშობილურ, რა უსაზღვროდ ღრმა განცდებს იტეეს ეს სურათი! ამაზე ითქმის: „რამდენჯერმე უნდა მოკედე, ასეთი რამ რომ დახატო“. ფრანს ჰალსი მუდამ მიწიერია, რემბრანდტი კი მოცულია ისეთი ღრმა იდუმალებით, იგი ისეთ ამბებს გეამცნობს, რის გამოთქმაც არც ერთ

ესაზე არ შეიძლება. რემბრანდტს, საუსებით სამართლიანად, გრძნეულს და ჯადოქარს უწოდებენ – ჯადოქრობა კი არც ისეთი იოლია.

რამდესიმე სატურმორტი უკვე შეეფუთა; ამ სატურმორტებს იმ კვირაში, ალბათ, მიიღებ. ამასთან ერთად, რამდესიმე სახატსა და ამსტერდამის ორ ხედსაც ეგზავნი, გზადაგზა რომ ჩაეიხატე. ამ დღეებში გოსკურის წიგნიც „შერიც" უნდა გამოგიგზავნო. გოსკური მუდამ საუცხოოა: გულმოდგინე მუშაობა და სინდისიერი წერა იცის.


ამსტერდამში ისრაელსის კიდევ ორი სურათი ენახე – „სანდვორტელი მეთევზე" და ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარი გარდაცვლილი ქმრის საწოლთან ძონძშანძის ტომარასავით მიგდებული დედაბერი. ორივე სურათს შედეერად ეთველი. დაე, ხალხმა ტექნიკაზე რამდენიც უნდა, ილაპარაკოს – თვალთმაქცური და ფუჭი სიტყვები ხარჯოს და ხარჯოს. ჭეშმარიტი მხატერისათვის მთავარია სინდისი, განცდა. მხატერის სული და მისწრაფება, მისი გონება ფუნჯის მორჩილი არ უნდა იყოს. პირიქით, ფუნჯი მუდამ გონებას ემორჩილება. გარდა ამისა, ჭეშმარიტ მხატვარს ტილოსი კი არ ეშინია, პირიქით, ტილოს ეშინია ჭეშმარიტი და კარგი მხატერისა.

ამსტერდამში ახლანდელების სურათებიც საკმაოდ ენახე – ეიტკამპის და სხვათა და სხვათა. ეიტკამპი, მართლაც, ყველას სჯობია: ქიულ ბრეტონს მომაგონებს. ხოლო სხვათა დასახელებას არ ვაპირებ. ეგულისხმობ ისეთ მხატერებს, სულ იმაზე რომ ლაპარაკობენ, რასაც ტექნიკას ეძახიან, და ეგონებ, სწორედ ტექნიკაში მოიკოჭლებენ. ეს უფერული, ციეი ტონები, დახეეწილს რომ უწოდებენ, თუმც უსახოა და უინტერესო, ბაეშეურად და უსუსურად შედგენილი, შენთვის კარგად არის ცნობილი. მხატერებისთვის – ეგრეთ წოდებული დახეეწილი და ღია ფერების გამო რომ ხატაენ – ბაზარზე ახლა თეთრაში გარეული საღებავი ხშირად გამოაქვთ.

„სანდვორტელი მეთევზის" ტექნიკა, კოლორიტი და მოდელირება სულ დელაკრუას მომაგონებს. თანამედროვე ციეი, ბრტყელი, უფერული ელფერები ტექნიკის მხრივ უვარგისია – საღებავია, სხვა არაფერი; ისრაელსს რომ უყურებ, საღებავი აღარ გახსოვს; რა თქმა. უნდა, იაპ მარისზე, ეილემ მარისზე, მაუვეზე, ნეიპეისზე არ ელაპარაკობ. ეს მხატერები ბლომერსიეით სხვა მანერით მუშაობენ და თითოეულს ფერთა გამაც საკუთარი აქვს. მაგრამ, თეო, არა მგონია, სკოლა ასეთი ოსტატებისა ანდა მათი მიმდევრები დიდად ფასობდნენ.

ეიყავი მუზეუმ ფოდორშიაც.* დეკანის „მწყემსი" შედეერია. მეისონიე თუ გაგონდება – ჩანახატი – „სიკედილის სარეცელთან"? ანდა დიაზი? იქ არის ბოსბოომი, ვალდორპი, ნეიენი, რომპიუსენი, ორიგინალური ხელოვანნი ორმოცი წლის წინ დასრულებული ეპოქისა. მე მათ სურათებს სიამოენებით ეუყურებ ხოლმე. რომპიუსენი, როგორც გაეარნი, ლაღი მანერით გამოირჩეეა. ნატურმორტები, ახლა რომ ეგზავნი, ფერის შესასწავლი ეტიუდებია.

მინდა, ეს საქმე მერეც განეაგრძო: ეს უსარგებლო არ იქნება. ამ ნატურმორტებს ფერი თანდათან წაერთმეეა, მაგრამ ასე, ერთი წლის შემდეგ, ალბათ, უფრო უკეთესიც მოგვეჩვენება, რადგან როცა კარგად გაშრება, უკვე ლაქიც გადაესმება. ეფიქრობ, თუკი შენს ოთახში ამ ეტიუდებს ჰიკარტებით ბლომად მიაკრავ – რიგრიგობით ძველებს და ახლებს, – მათ შორის კაეშირს დაინახავ. ეტიუდების სხვადასხვა ფერი



ერთმანეთს კარგად ეხამება. ჰო, შაე ფერზე რა უნდა მეთქვა: რაც მეტს ესახულობ ციეი, ბაეშეურად უსუსური ფერთა გამით შეკმნილ სურათებს, მით უფრო მეტად მიხარია, ჩემს დახატულ ეტიუდებზე როცა ამბობენ, მეტისმეტად შაეიაო.

აბა, „სანდეორტელი მეთევზე“ ნახე, რა ფერებით არის ნახატი წითლით, ლურჯით, ყეითლით, შაეით, შეჯუჯყული თეთრითა და ყაეისფერით (ყეელაფერი კარგადაა შერეული და ერთმანეთში ჩახლართული). ასე არ არის? ისრაელსი როცა ამბობს, შაეით არ უნდა ეხატაედეთო, ალბათ, იმას რომი გულისხმობს, რაც ჩეეულებრიე, შაეი ფერით იხატება, არამედ, უბრალოდ, იმის თქმა უნდა, ჩრდილსაც ფერი უნდა პქონდეს. ეს კი ფერთა არც ერთ გამას არ გამორიცხაეს, რაც უნდა მუქი იყოს, მეტადრე კი იმ ფერთა გამას, რომელიც შაეი, ყაეისფერი, მუქი ლურჯი ტონებისგან არის შემდგარი. თუმც, უსუსურ თხაპსაზე ბჭობას აზრი არა აქეს. არ სჯობია, ისეე რემბრანდტზე, ფრანს პალსსა და ისრაელსზე ეიფიქროთ და ეილაპარაკოთ?

წერილი ერთობ გრძელი გამოდის. მაგრამ – თუმც შენ არ დაიჯერებ, რასაც ფერზე ელაპარაკობ და, ალბათ, პესიმისტს დამიძახებ ანდა რამე უფრო უარესს, როცა ეამტკიცებ, საცრისფერი, რომელსაც ახლა დახეეწილ ფერად მიიჩნეეენ, ფრიად უშნო ფერია-მეთქი, ან არ მომწონს, როცა სახეს, ხელებს და თეალებს საგულდაგულოდ ამოხატაეენ, რადგან ყეელა დიდი ოსტატი სულ სხეაგეარად მუშაობდა, – გამორიცხული მაინც არ არის, რომ ხელოენების შესწაელის დროს (მოხარული ეარ, ამ საქმეს რომ კელაე გულდასმით შესდგომიხარ) ამ აზრებს თანდათან მაინც შეიცელი...

ამსტერდამში დახატული ის ორი დაფა ფაციფუცით საკეთებია. ერთი პირდაპირ ეაგზლის მოსაცდელ დარბაზშია დახატული, სადაც ძალზე ადრე მიეედი; მეორე კი – დილით დაეხატე, ეიდრე მუზეუმში წაეიდოდი,

ესე იგი, ათ საათამდე. მაინც გიგზავნი. ისე შეხედე, როგორც შორეს-ქუცს, რაზედაც ერთი-ორი მოსმით რაღაცაა მიხატული. რაც შეეხება თვის დასასრულს, ჩემო ბიჭუნა, გასაჭირში ვარ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. არ შეგიძლია, 20 ფრანკი ან უფრო ცოტა, როგორმე კიდევ გამომიგზავნო? მომავალ თვეში საღებაეების ანგარიშის გასწორება ისევ მომიწევს, ხოლო 1 ნოემბერს კი 25 გულდენი ბინის ქირა უნდა მიეცე. ჩემს სურათებზე ზოგიერთებს ამჟამადაც ველაპარაკე; სადაც წავალ, რამდენიმე სურათი მიმაქვს. რაღაც მიწყნარდა ყველაფერი, ამიტომაც ძნელი არ არის სურათების გამოფენა. მთავარია, მეტი ეხატო. თუ გეინდა, რომ წარმატება მოვიპოვოთ, ეს საჭიროა; რაკი ახლა სიწყნარეა, ბევრი უნდა ეიმუშაო.

427. ამსტერდამის ჩანახატები, სამწუხაროდ, დაზიანდა. გზაში ოდნავ დაინესტა, გაშრობისას კი დაიბრიცა, მტვერი აეკრა და ა.შ. მაინც გიგზავნი, რათა დაგარწმუნო: როცა ერთ საათში, ხელჩქარად, ეცდილობ შთაბეჭდილების გადმოცემას, ამას იმაზე ნაკლები განცდით არ ეკეთებ, ვინც შთაბეჭდილებებს აანალიზებს, ესე იგი, იცის კიდეც, რას აკეთებს. ანალიზი კი მარტო უბრალო განცდას არ ნიშნავს; სხვანაირად – ეს არ არის მარტოოდენ შთაბეჭდილება. შთაბეჭდილებასა და ანალიზს შორის, ანუ შთაბეჭდილების შემადგენელ ნაწილებად დაშლასა და კელავ შეერთების უნარს შორის, ალბათ, დიდი განსხვავებაა, მაგრამ ასე უცაბედად რამის ჩახატვა მაინც დიდი სიამოვნების მომგერელია.

როცა ისევ ძველ პოლანდიურ სურათებს ეუცქეროდი, განსაკუთრებით იმ ამბავმა გამაოცა, ამ სურათების უმეტესობა სწრაფად რომ არის დახატული და ისეთი უდიდესი ოსტატები, როგორიცაა ფრანს ჰალსი, რემბრანდტი, რეისდალი, სხვანი და სხვანი შეძლებისდაგვარად ყველაფერს ერთბაშად აკეთებდნენ. ისინი ცდილობდნენ, დახატულ სურათს გასასწორებლად იშვიათად მიბრუნებოდნენ. აი, კიდევ რას მიაქციე ყურადღება: თუ სურათი კარგი იყო, ასევე ტოვებდნენ. განსაკუთრებით აღმაფრთოვანებს რემბრანდტისა და ჰალსის ხელები, ცოცხალი ხელები; თუმც იმ გაგებით, რასაც ამჟამად მოითხოვენ, ეს ხელები დამთავრებული არც კი არის. ასეთია „მემაუდეთა“ და „ებრაელთა საჰატარძლოს“ ზოგი ხელი, ზოგი კიდევ ფრანს ჰალსის ხელი.

თავები, თვალები, ცხვირი და პირი დახატულია კელავ ერთი მოსმით, შეუსწორებლად. უნგერმა და ბრაკმონმა ეს ზედმიწევნით კარგად გადმოსცეს გრავიურებში, ისე რომ არის ნაკეთები, თვით ფერწერის მანერაზედაც შეიძლება ილაპარაკო. ჩვენს დროში, თვო, უსათუოდ საჭიროა ძველ პოლანდიელ ხელოვანთა ნამუშევრების ხშირად ყურება, ფრანგი მხატვრებისაც: კოროსი, მილესი და ა.შ. დანარჩენების გარეშე კი იოლას წასელა შეიძლება: ისინი ზოგიერთებს სწორ გზას აცდენენ. მთავარია, სწრაფად შეგეძლოს ყველაფრის ჩახატვა; რა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს კაცს ფრანს ჰალსის მიერ, აი, ასე დახატული სურათის ნახვა და ეს რარიგ განსხვავდება უამრავი სურათისაგან, სადაც ყველაფერი საგულდაგულოდ, ერთ ყაიდაზე არის შელამაზებულ-შესწორებული... ჩემი აზრით, სჯობს, სურათიდან უხერო ადგილები დანით აფხიკო და ყველაფერი თავიდან დაიწყო, ვიდრე ასე ბევრი ასწორო...

იმ ხასიათის თანამედროვე ნამუშევრებს, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობს, ერთხელ კიდევ მიეუბრუნდები. ასე, ათი-თხუთმეტი წლის წინ ლაპარაკი დაიწყო სინათლეზე, „განათებაზე“. საერთოდ, საკითხი

სწორად იღგა: ამ სისტემის მეშვეობით საუცხოო სურათები დაიხატა, მაგრამ ამ მეთოდს გადაგვარება მალე დაეტყო და ისეთი სურათების სიჭარბე მოჰყვა, მთელ ტილოზე, ოთხივ კუთხეში ლოკალური ფერი რომ არის გამეფებული, გასათება კი თანაბარია. ეგრესებ, ამას „დღის ტონს" უწოდებენ – განა ეს კარგია? ეფიქრობ, არა... პოლანდიელ მხატვართა მიერ მოცემული საუცხოო გაკვეთილი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ნახატს და ფერს მთლიანობაში უნდა აღექვამდეთ. ბრაქმონიც სწორედ ამას გვასწავლის. დღეს კი ამ წესს ძალიან ბევრი კიდეც არ იცავს. სახატაოდ, ვინ იცის, რას არ იყენებენ, ჯანსაღ ფერს კი აისუსხიც არ აგდებენ.

ეჰაი, თეო, რა ცუდია, რა საოცრად მოსაწყენია, პაერმანის მსგავსი ყმაწვილი ტექნიკაზე რომ ლაპარაკობს! კაცს პირდაპირ გულს გაუწერილებს! არ იფიქრო, რაპარდზე ვამბობდე, ამ თემაზე მასაც უყვარს ბევრი ლაქლაქი, მაგრამ რაპარდმა, საბედნიეროდ, ლაპარაკზე უკეთესად ხატვა იცის. არაეითარი სურვილი არ მაქვს, მხატვრებს შორის ბევრი ნაცნობი გაეიჩინო. ტექნიკის საკითხს ეუბრუნდები და, აი, რა მსურს, დაეუმატო: ისრაელსი თავის ძველ სურათში, თავის „ზანდეორტელ მეთევზეში", შუქსა და ჩრდილს საუცხოოდ რომ ანაწილებს, გაცილებით ჯანსაღსა და მძლავრ ტექნიკას გეაგრძნობინებს, ვიდრე ისინი, ვინც ციეი და ლითოსისებრი ფერის წყალობით, ყველაფერს ასე თანაბრად ბრტყლად, გატკეცილად და ფაქიზად ხატავს.

„ზანდეორტელი მეთევზე" გულდამშვიდებით შეგიძლია, ჩვენი ბებერი დელაკრუას „დანტეს ნავის" გვერდით დაიდო – მონათესავე სურათებია: აი, ეს მწამს. ის სურათები კი, განათება რომ ყოველ ნაწილში თანაბარი აქვს, დღითიდღე მეტად მძულს. როცა ჩემზე იტყვიან ხოლმე, ტექნიკა არა აქვსო, ცხადია, შეწყინს, მაგრამ სწორედ იმის წყალობით, მხატვრებთან რომ ნაცნობობას ვერიდები, შესაძლოა, ეს ყბედობა თანდათან მიწყდეს. ჩემდათავად, ძალიან ბევრი, ვინც ტექნიკაზე ზედმეტს ლაპარაკობს, სუსტი ტექნიკის მქონე მხატვრად მიმაჩნია! ამაზე ხომ უკვე გწერდი. როცა ჩემი რომელიმე ნამუშევრით პოლანდიაში ხალხის წინაშე გამოვდივარ, წინასწარ ვიცი, რა მოხდება, ან რა ჯურის „ტექნიცისტებთან" მექნება საქმე. პოდა, ამის მოლოდინში, ისევ მშვიდად შევეცქერი ხოლმე ძველ პოლანდიელ მხატვართა სურათებს, ისრაელსს და იმათ, ვინც მასთან ახლოსაა; თანამედროვე მხატვრები კი ასე როდი იქცევიან – თითქმის ისრაელსის საპირისპირო გზას ადგანან... ისინი რომ „განათებას" ეძახიან, უმეტესად, სახელოსნოს საზიზღარი ტონია და სხვა არაფერი; დიახ, ტონი ქალაქური, უსიცოცხლო, უსიხარულო სახელოსნოსი. გეგონება, განთიადის ან შებინდების დამნახავი აღარაინ დარჩენილიყოს, თითქოს საერთოდ არ არსებობდეს არც განთიადი, არც შეღამება; თითქოს დღე-ღამე მხოლოდ ეს იყოს – დრო 11-დან 3 საათამდე, დრო, მართლაც რომ, რესპექტაბელური, მაგრამ ხასიათს მოკლებული და უხალისო.

თეო, ყველაფერ ამასთან ერთად, მეტისმეტად გამიჭირდა. ვინც ბევრს ხატავს, ბევრსაც ხარჯავს. ეგრძნობ, გასაქანი აღარსაით მაქვს, თვის ბოლომდე კი უარესად გამიჭირდება. ეჰაი, რომ ანდაზა – ფული ომის ნერვიაო, ხატვაზედაც ითქმის. თუმცა, ომს მოაქვს მარტოოდენ მწუხარება, მხოლოდ ნგრევა; ფერწერა კი ზოგჯერ ნათესს პგავს, თუმც, მოსავალი მუდამ მხატვარს არა რჩება.

428. თაეიდან დაეიწყოთ: ეაშლით საესე კალათი რომ მაქვს დახატული, იმ ეტიუდზე რასაცა მწერ, ერთობ კარგად შეგიმჩნეყია. მაგრამ ეს მართალა შენ შეამჩნიე? რატომღაც მგონია, – წარმოიდგინე, მწერა კიდეც, – ასეთ წერილმანებს ვერ ამჩნევდი. ასეა თუ ისე, მე და შენ ახლა ფერის საკითხში თანდათანობით უკეთ ეუგებთ ერთიმეორეს. ასეთ ამბებს კიდევ უფრო ღრმად ჩაუკვირდი – უსათუოდ გამოგადგება; ამის საბუთი ბიურჟეა, აგრეთვე, მანეი ანდა სილვესტრი. ხელად აგიხსნი, ეს ეტიუდი როგორ დაეხატე. მოკლედ რომ გითხრა, აი, ასე: მწვანე და წითელი დამატებითი ფერებია. ეაშლებს წითელი ურევია – თაეისთაეად, საკმარისად ეულგარული; გვერდით მომწვანო ტონებია. კალათში ერთი თუ ორი ეაშლია სხეა ფერისა – თაეისებური ეარდისფერი, რაც მთელ სურათს აწესრიგებს. ეს ეარდისფერი, ზემოთ რომ ეთქვი, იმ წითლისა და მომწვანო ფერის შერევითაა მიღებული. აი, მიზეზი ამ ფერების ერთმანეთთან შეხამებისა. პირველ კონტრასტს სხეაც ემატება – უკანა პლანი წინა პლანის კონტრასტულია: ერთი ნეიტრალური ფერისაა – ლურჯისა და ნარინჯისფერის შერევითაა მიღებული; მეორეც იმაეე ფერისაა, ოღონდ, უბრალოდ, ყეითელი აქეს დამატებული...

იცი, ფრანს პალსიც სხეულისთეის მიწის ფერებს იყენებს ხოლმე – თუ ამ სიტყეას იმ აზრით ეიხმართ, რა აზრითაც ხშირად ხმარობენ. ზოგჯერ, – ებედაე, ისიც კი ეთქვა, მუდამ-მეთქი, – მის სურათებში სახისა და კოსტიუმის ფერთა კონტრასტი როგორღაც ამას უკავშირდება.

მწვანე და წითელი კონტრასტული ფერებია. „მომღერლის" (დიუპერის კოლექცია) სხეულის ფერში კარმინის ტონები ურევია; შაე სახელოზე მწვანე ტონებია, სამკლაეე ლენტებზე – კარმინისგან განსხვაეებული წითელი ტონები. იმ ნარინჯისფერ-ლურჯ-მოთეთრო ახალგაზრდას, ამას წინათ რომ გწერდი, შედარებით ნეიტრალური ფერის სახე აქეს – მოეარდისფრო-მიწისფერი, რაც ტყაეის კოსტიუმის ფრანს პალსისებურ ყეითელ ფერთან კონტრასტის გამო, იისფერი გეჩეენება. ყეითელი, მკრთალი ლიმონისფერი ჭაბუკის სახეს მკრთალი იისფერი ცხადად ემჩნეეა. ეხე იგი, ზოგჯერ კოსტიუმი რაც უფრო მუქია, სახე ღია ფერისა ჩანს; ეს კი შემთხვეეით როდი ხდება: მხატერისა და მისი ცოლის პორტრეტი ბაღში, სულ ცოტა, ორ მოშაეო-იისფერს (მოლურჯო-იისფერს და მოწითალო-იისფერს) და უბრალო შაეს (მოყეითალო შაეს?) მაინც შეიცაეს, ეიმეორებ: მოწითალო-იისფერი და მოლურჯო-იისფერი, შაეი და შაეი – სამიეე ფერი ძალზე მუქია; პოდა, ამიტომ სახეები ერთობ ღია ფერისა ჩანს, პალსისთეისაც კი უჩეეულოდ ღია ფერისა. ერთი სიტყეით, ფრანს პალსი არის კოლორიტის ოსტატებს შორის საუკეთესო კოლორისტი, ეერონეზეს, დელაკრუას, ეელასკესის, რუბენსის რანგის კოლორისტი. რემბრანდტზე, მილეზე, ისრაელსზე კი სამართლიანად იტყეიან ხოლმე, მათი ძალა კოლორიტზე უფრო მეტად პარმონიაში იგრძნობაო.

ახლა მითხარი: შეიძლება შაეისა და თეთრის ხმარება, თუ აკრძალულ ხილად ითელება? ეფიქრობ, არა: ფრანს პალსს, სულ ცოტა, ოცდაშეიდი ელფერის შაეი მაინც ექნება. ხოლო თეთრზე, აი, რას გეტყეი: თაეადაც კარგად მოგეხსენება, ზოგიერთი თანამედროეე კოლორისტი თეთრით თეთრზე რა გასაოცარ სურათებს ხატაეს. საერთოდ, რა არის ანდა რას ნიშნაეს – არ შეიძლება? დელაკრუა შაესა და

თეთრს შეიძლება უწოდებს, შესაბამისად იცვლება კიდეც. ან ერთი და ას მეორე რატომ უნდა ამოეჩემოთ? ყველა ტოსის გამოყენება შეიძლება, ოღონდ, ცხადია, თაეის ადგილზე, სხეა ტოსებთან ქარმოსიულად.

429. ფერის კანონთა ღრმად შესწავლა უდაეოდ გეშეელის, რომ უდიდესი ოსტატების მარტოოდენ ინსტინქტურად კი არ გეჯეროდეს, არამედ კარგად და გარკეეით ეიცოდეთ, ესა თუ ის საწარმოები რატომ მოგეწონს. ხოლო ჩეენს დროში როცა ოდნაეი დაფიქრებითაც დარწმუნდები, ხელოენების ნიმუშებზე რა ზერელედ და თაეის ნებაზე მსჯელობენ ხოლმე, – ეს ჭეშმარიტად საჭიროა.

რადგან სურათებით ეაჭრობის მიმართ და სურათებით ეაჭრობაში დღეს რაც ხდება, იმის მიმართ პესიმისტურად გასწყობილი ეარ, ნუ გამკიცხაე, ეინაიდან პესიმიზმი სულმოკლეობას სულაც არ ნიშნაეს. ეთქეათ, მართალი ეარ, როცა ეფიქრობ, რომ ეს საოცარი სპეკულაცია სურათებით, თანდათანობით ტიტებით ეაჭრობას ემსგაესება. ეიმეორებ: ეთქეათ, ისე როგორც იმ საუკუნის მიწურულში ტიტებით ეაჭრობა, ამ საუკუნის მიწურულში (მსგაესად სხეა საგნებით სპეკულაციისა) სურათებით ეაჭრობაც შეწყდა, შეწყდა, როგორც წარმოიშეა, ესე იგი, შედარებით მალე და სწრაფად. სპეკულაცია ტიტებით წყდება – მეცნიერება კი ისეე განაგრძობს არსებობას. პირადად მე, როგორი დროც უნდა დადგეს – კარგი თუ ცუდი, ჩეულებრიეი მებაღის ხეედრს დაეჯერდებოდი, მებაღისას, ყეელაფერს რომ მცნარეები ურჩეენია.

ამასობაში, ჩემს პალიტრაზე გამოიდარა, სიციეებმა, ჩემს პირეელ ცდებს თან რომ ახლდა, გაიარა. სურათს რომ ეიწყებ, მართალია, ისეე ებორძიკობ, მაგრამ ფერები ტილოზე უკეე თაეისთაად ლაგდება ხოლმე და როცა ერთ ფერს ამოსაეალ წერტილად ეიღებ, ცხადად ეხედაე, ამ ფერს რა უნდა მოეაყოლო, ყეელაფერ ამას სიცოცხლე და სილამაზე როგორ შთაებერო...

როგორც გწერდი, შენი წერილი (შაეი ფერის შესახებ) ჭკეიანურია. ლოკალური ფერით ხატეა რომ არ შეიძლება, ისიც საეებით მართალია. მაგრამ, ცხადია, ეს არ კმარა. ჩემი აზრით, ლოკალურ ფერზე უარის თქმა, ამას გარდა, ბეერ რამეს უნდა გულისხმობდეს. „ნამდეილი მხატეარი ლოკალურ ფერს არ იყენებს". – აი, რაზე საუბრობდნენ შარლ ბლანი და დელაკრუა. იქნებ ეს ასე უნდა გაეიგო: ჯობს, მხატეარი საკუთარ პალიტრას ემყარებოდეს, საკუთარ ფერებს, ეიდრე ფერებს ბუნებისას? აი, რის თქმა მსურს: როცა თაეის დახატეა გისდა და ნატურას ფხიზლად აკეირდები, იქნებ ჯობდეს, ასე იფიქრო: რაკი ეს თაეი მოწითალო-ყაეისფერის, ყეითლისა და იისფერის პარმონიას წარმოადგენს, ესე იგი, პარმონიას შერეული ფერებისას, მაშ, პალიტრაზე მეც იისფერს, მოწითალო-ყაეისფერს და ყეითელს აეიღებ და ერთმანეთში შეეურეეო.

ნატურის ელფერთა განლაგებაში გარკეეულ სიზუსტეს შეეინარჩუნებ; ნატურა უნდა შეეისწაელო იმიტომ, რომ რამე სისულელე არ ჩაეიდინო, მაგრამ ზუსტად ნატურის ფერი ძალიან ნაკლებ მაინტერესებს, – ჩემთეის ისიც საკმარისია, თუ ეს ფერი ჩემს ტილოზე ისეთიეე ლამაზი და კარგი იქნება, როგორიც არის სინამდეილეში. კურბეს მიერ თამამად და თაეისუფლად დახატულ პორტრეტს – დახატულს რაღაც ნაირ-ნაირი, ღრმა და ლამაზი მოწითალო-ყაეისფერით, ოქროსფერით, გაციებული იისფერით, წინა პლანის გამოსაყოფად შაეით რომ არის ჩრდილდაჯრული და თეალის საამოდ ტილოზედაც ტონირებული ადგილია დატო-

ებული, - ბევრად მეტი სილამაზე აქვს, ვიდრე პორტრეტს, რომელსაც სახის ფერი სანიზღარი, პედანტური სიზუსტითაა გადმოცემული, სულ ერთია, ვინ იქნება მისი ავტორი.

ხომ საოცრად მშვენიერია მამაკაცის და ქალის თვალი, როცა მას მშვიდად, ყურადღებით აკვირდები. ბუნებაში არსებული ეს საერთო პარმონია ელფერების რაღაც წერილმანი, ულაზათო კოპირებით ირღვევა და იკარგება. ხოლო მისი შესარჩუნება შეიძლება პარალელურ ფერთა გამით, რომელიც იქნებ ნატურასთან შედარებით ზუსტი არც იყოს. საჭიროა, ლამაზ ტონებს გონიერულად იყენებდე, ლამაზ ტონებს, პალიტრაზე რომ თვალისთვალად ფერებს იძლევა. ვიმეორებ, საჭიროა, ამოსაელად საკუთარი პალიტრა გქონდეს, პარმონია ფერებისა შენებურად უნდა გესმოდეს – ეს ბუნების მოსური და მექანიკური გადმოხატვა აღარ იქნება.

ავიღოთ ახლა სხვა მაგალითი: ვთქვათ, შემოდგომის პეიზაჟის დახატვა მინდა – ხეებს რომ ფოთლები გაყვითლებია. აბა, მითხარი, რა აზრი აქვს ჩემი პალიტრის ყვითლისა და ფოთლების ფერის აბსოლუტურ შესატყვისობას, თუ მთელ პეიზაჟს ისე აღვიქვამ, როგორც ყვითლის სიმფონიას? რა თქმა უნდა, ძალიან მცირე. ბევრი რამ, თითქმის ყველაფერი, განისაზღვრება მხოლოდ იმით, რანაირად და როგორ აღვიქვამ ერთ ოჯახში შემავალ ტონთა უსაზღვრო და უსასრულო მრავალგვარობას. მეტყვი, ეს ძალზე სახიფათო გადახრააო რომანტიზმისკენ, „რეალიზმის“ ღალატიაო, გონებით ხატვა, ფერმწერის პალიტრის სასარგებლოდ ბუნების ფერთა უგულებელყოფა. რა გაეწყობა, დავ, ასე იყოს.

დელაკრუას, მილეს, კოროს, დიუპრეს, ბრეტონს, დობინის და ოცდაათამდე სხვა მხატვარსაც განა ჩვენი საუკუნის ფერწერული ხელოვნების სულსა და გულს არ უწოდებენ? მერე, ყველა ხომ რომანტიზმიდან ამოიზარდა? თუმც, რომანტიზმს გაასწრეს კიდეც. რომანტიკა და რომანტიკული – ეს ჩვენი დროა და თუ გსურს, ხატო, საჭიროა, გქონდეს გრძნობა და წარმოსახვა. საბედნიეროდ, ეს თვისებები რეალიზმსა და ნატურალიზმსაც არ აკლია.

ზოლას სარეკ როდი უჭირავს საგნების წინ!.. ზოლა ქმნის, ქმნის გასაოცრად; პოდა, მისი ქმნილებანი აგრერიგად მშვენიერი ამიტომ არის. ამას ვამბობ რეალიზმსა და ნატურალიზმზე, რომანტიზმთან რომ უდავოდ ბევრი საერთო აქვს... „ლოკალური ფერით არ ხატო“. – ამ სიტყვების მნიშვნელობა ძალზე ფართოა. იგი ფერების ძიებაში მხატვარს უდიდეს გასაქანს აძლევს; ფერებისა, ერთმანეთს რომ უკავშირდება და თითქოს ერთგვარ მთლიანობას ქმნის, რაც კიდევ უფრო აშკარა ხდება ფერთა სხვა გამასთან კონტრასტის დროს.

ჩემთვის ერთია, მხატვრის სურათზე ზუსტად არის გადმოცემული დარბაისელი ბიურგერის სახე თუ არა; ზუსტია თუ არა ამ ღვთისმოშიში კაცის მოლურჯო, წყალწყალა ჩრდის თუ რაღაც ძნელად გამოსათქმელი სახის ფერი. მაგრამ მცხოვრებთ იმ ქალაქისა, სადაც ამ კაცმა სახელი ისე მოიხვეჭა, მოვალედაც ჩათვალა თვალი, საკუთარი ფიზიოსომია მომავალი თაობებისთვის სამახსოვროდ დაეტოვებინა, კმაყოფილებას ის სიზუსტე აგრძნობინებს, რაზედაც ზემოთ ელაპარაკობდი.

თვალისთვად ფერი რაღაცას გამოხატავს – ამას ვერ უარყოფ. პირიქით, ეს უნდა გამოიყენო. რაც ლამაზია – მართლა ლამაზი, სწორიც არის. ვერონეზე როცა ხატავდა „ქორწინებას ქალაქ კანში“, ამ სურათისთვის მისი დროის წარჩინებულთა პორტრეტებს რომ აკეთებდა, თა-

ეისი პალიტრის მთელ სიმდიდრეს შუქიისფერ, დიდმშვენიერ და მდიდრულ ოქროსფერ ტონებს სწირავდა. ამას გარდა, ღია-ლაქვარდის ფერებსა და მარგალიტისფერ-თეთრზე იფიქრა; ეს კი წინა პლანზე არ ჩანს. მხატვარმა იგი უკანა პლანზე გადაისროლა. სწორადაც მოიქცა: ეს ფერები იმწამშივე სეცად და მარმარილოს სასახლეებად გადაიქცა, რამაც ფიგურების ჯგუფი თავისებურად შეავსო კიდეც.

საოცრად ზუსტად გააზრებული კოლორიტიდან ეს საუცხოო უკანა პლანი თავისით ჩნდება. ნუთუ ეცდები? გასა „ქორწინება ქალაქ კანში“ სულ სხვაგვარად არ არის დახატული, ვიდრე ვინმეს ფიგურებზე და სახახლეებზე, როგორც რაიმე მთლიანობაზე, ისე რომ ეფიქრა და ეს სურათი ასეთსაირად დაეხატა? მთელი ეს ცა და არქიტექტურა პირობითია, მხოლოდ ფიგურებს ემორჩილება და ისეა გააზრებული, ფიგურები ლამაზად და კარგად ჩანდეს.

ნამდვილი ფერწერაც სწორედ ეს არის: ამ გზით იქმნება ბევრად დიდი მშვენიერება, ვიდრე საგნების ზუსტი მიბაძვით. საჭიროა, ყურადღება მუდამ რაღაც ერთისკენ გქონდეს მიმართული, გარემო კი ამას უნდა მიემატოს, ისე რომ იგი ამ ერთისგან მოდიოდეს. ბუნების შესწავლა სინამდვილესთან ორთაბრძოლაა – ყველაფერ ამას თავს, ცხადია, არ აეარიდებ, ვინაიდან წლების მანძილზე, თითქმის ამაოდ, ამაზე ეწვალობდი. ამ შეცდომის გეერდის აელასაც არ ვაპირებ; ვამბობ, რომ სისწელე და უაზრობაა სულ ერთი გზით სიარული და არა იმას, ჩემი შრომა სულ ამაო იყო-მეთქი.

„ჯერ კლაესე და მერე კურნაესე“, – ექიმები ასე ამბობენ. თავიდან ცდილობ, ბუნებას მიაყენე, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს აღწევ, ბოლოს ისევ შენს პალიტრას მიენდობი და მშვიდად ხატავ. ბუნებაც უკვე გემორჩილება, შენ მოგყვება. მაგრამ ეს ორი უკიდურესად სხვადასხვა ამბავი ერთმანეთისგან არ უნდა გათიშო.

მძიმე და ძალზე მოსაწყენი, ზოგჯერ თითქმის ამაო შრომა მხატვარს ბუნებასთან აახლოებს. საფუძვლიანად აცნობს ბუნებას. დორე ტყუილად როდი ამბობს (ზოგჯერ ხომ იგი მართლაც ბრძენია!) ასე ლამაზად: „მე ვიხსენებ“. თუმცა მჯერა, საუკეთესო სურათები დახატულია ასე თუ ისე თავისუფლად, მეხსიერებით; არ შემიძლია, არ დავძინო, ბუნების შესწავლა, თუნდაც ერთობ ჰედანტური, მხატვარს არაფერს ავნებს-მეთქი. უშრეტი და თავაწყვეტილი ფანტაზიის მქონე მხატვრები უშუალოდ ნატურის მიხედვითაც განსაცვიფრებელ სურათებს ქმნიდნენ.

430. *4 ნოემბერი, 1885.* ეს-ეს არის, შენი წერილი მომიტანეს; შიგ რაც იყო, იმის გამო დიდი მადლობა. მინდა, მალე გაგაგებინო: დიდროს და მის აფორიზმებს მეც საკმაოდ კარგად ვიცნობ, მეც ის თავისი საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ადამიანად მიმაჩნია. დიდროზედაც იგივე ითქმის, რაც ეოლტერზე: მათ წერილებში, თუნდაც ერთობ ჩვეულებრივ ამბებზე წერდნენ ანდა სულაც, არაფერზე, ერთგვარ სიცხადეს, მგზნებარებას, აზრის სიმკვირცხლეს ყოველთვის იგრძნობ, ეს კი უთუოდ მოგხიბლავს და მოგაჯადოებს. ნუ დაივიწყებთ, რეეოლუცია სწორედ იმათ მოახდინეს: მხოლოდ გენიოსს შეუძლია თავის დროსა და ეპოქაზე ასე ამაღლდეს, ადამიანთა უზრუნველი, პასიური ჰეუა-გონება ასე ერთ მხარეს, ერთი მიზნისკენ შემოაბრუნოს. მე მუხლს ვიყრი ამდაგვარი ხალხის წინაშე.

ძალიან მალე შემოდგომის ორ ეტიუდს გამოგიგზავნი: ალეის ხეები

დახატულია ყველაფერი გამით, მუხები კი სარისჯისფერით. ახლა ფერის კასოსთა მეტი არა მახსოვს რა: დასანანია, ეს კასოსები სიყმაწვილეში რომ არ გვასწავლეს! მაგრამ, რას იზამ, ჩვენი მხატვრების უმეტესობის ბედ-იღბალი, გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის გამო, ისეთსაირად წარიმართება, რომ ისინი ძალიან დიდხანს უნდებიან სინათლის ძებნას. ფერის კანონებიც (მთელი სისრულითა და ურთიერთკავშირით პირველად რომ დელაკრუამ დააფორმულა, ხოლო შემდეგ გამოაქვეყნა, რათა ყველას ესარგებლა – ისევე როგორც, ნიუტონმა – მიზიდულობის, სტეფენსონმა კი – ორთქლის კანონები) უსათუოდ სინათლეა, სინათლის სხივი.

431. საუკეთესო და, ტექნიკური თვალსაზრისით, დასრულებული სურათები, როცა ახლოდან ეუყურებთ ხოლმე, ერთმანეთის სიახლოვეს დადებული საღებავების ლაქები გვგონია, სხვა არაფერი; ეს სურათები შთაბეჭდილებას მარტოოდენ გარკვეული მანძილიდან ქმნის. რემბრანდტი მუდამ ასე ხატავდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო უამრავი უსიამოვნება შეხვედრია (პატიოსან ბიურგერებს რემბრანდტს ვან დერ პელსტი ერჩიენათ; ვან დერ პელსტის სურათების ყურება ხომ ახლოდანაც შეიძლება). ამ მხრივ შარდენიც რემბრანდტივით დიდი მხატვარია; მე, პირადად, ისრაელსიც აღტაცების ღირსი მგონია, განსაკუთრებით, ტექნიკა აქვს დიდებული.

ბონვენერი ასე იტყოდა: „ერთობ კარგი იქნებოდა, მე რაც ვიცი, ყველას სწორედ ის სცოდნოდა, ისე ეფიქრა, მე რომ ვფიქრობო". მაგრამ ასე რომ იმუშაო, ჯადოქარი უნდა იყო; ამის სწავლა კი არ შეიძლება: მიქელანჯელოს სარკაზმით სავსე, მწარე სიტყვები – „მუშაობის ჩემი მანერა სულელებს შობსო", – კოლორიტსაც ესადაგება. აქ მარტოოდენ გამბედაი მიაღწევს რამეს, ხოლო სუსტი და ხვეისი შემყურე ხელოვნების დიდ ნიმუშებს ვერ მიპბაძავს.

ეგონებ, რაღაც წარმატებას უკვე ვაღწევ.

გუშინ საღამოს ისეთი რამ მოხდა, თუკი შეეძლებ, დაწერილებით უნდა გიამბო. ხომ გახსოვს, ჩვენი ბაღის სიღრმეში სამი მუხა დგას, სამი კენწეროწაჭრილი მუხა. მეოთხეჯერ შევეცადე დამეხატა. გულმოდგინედ ვიმუშავე. სამ დღეს ვიჯექი. დაახლოებით იგივე ზომის ტილოზე ვხატავდი, ქოხი და გლეხთა სასაფლაო რომ დავხატე, რომლებიც ახლა უკვე შენ გაქვს. მთელი სიძნელე თამბაქოსფერი ფოთოლსარის დახატვა იყო – მოდელირება, ფორმის, ფერის, ტონის მოძებნა. გუშინ საღამოს ეს სურათი ეინდპოენელ ნაცნობს ვაჩვენე, რომელსაც ერთობ გემოვნებით მოწყობილი სასტუმრო აქვს (ნაცრისფერი შპალერი და მოოქრული შაავი აეეჯი). ჩემი მუხები იქ დაეკიდეთ.

კარგი სურათის დახატვა რომ შემძლებია, ასე აშკარად აქამდე ჯერ არ დაერწმუნებულვარ. არ ვიცოდი, ფერების ისეთ განლაგებას თუ ვისწავლიდი, რომ სასურველი ეფექტის შექმნას ჩემს ნებაზე მოვახერხებდი. ეტიუდი დახატულია თამბაქოსფერით, რბილი მწვანით, აგრეთვე, თეთრით (ნაცრისფერით), თვით ტუბიდან აღებული სუფთა თეთრითაც (როგორც ხედავ, თუმც შაე ფერზე ბევრს ელაპარაკობ, მისი მეორე უკიდურესობის უარყოფა არც მიფიქრია).

ამ კაცს ფული აქვს, ეს სურათიც მოეწონა; მაგრამ როცა დაერწმუნდი, რომ სურათი მართლაც კარგი იყო და ფერთა ლამაზი შეხამებით სასტუმროში მშვიდი, ნაღვლიანი განწყობა შექმნა, საკუთარი თავის

რწმენა მოიმატა და გაიოდეა უკეე აღარ ეისურეე. ოლოსდ, რაკი ჩემს საცნობას ასე მოეწონა, უბრალოდ, ეაჩუქე. საჩუქარი მანაც სწორედ ისე მიიღო, როგორც მინდოდა – ზეღმეტი არაფერი წამოსცდენია, მხოლოდ ეს თქვა: „საოცრად კარგი რამ არისო“.

433. გოსპურის წიგნში შენ მიერ გახაზულ ფრაზას წაეწყდი. შარდენზე დაწერილ სტატიაში, როცა იმაზე ლაპარაკობს, მხატვრებს ცოტას უხდიანო, იგი ამბობს: „რა უნდა ექნათ? სეტაე რა გეელის? საჭიროა, რამე სხეა საქმე გამოენახოთ ანდა შიმშილით დაეიხოცოთ. მეორეს კი პირეელი სჯობსო“. შემდეგ განაგრძობს: „გარდა ორიოდ წამებულისა, მხატვრები ახლა ფარიკაობის ოსტატები, ჯარისკაცები, მსახიობები ხდებიანო“. კაცმა რომ თქვას, დღესაც ასეა. „რაკი ეს ფრაზა გაუხაზავს, – ეიფიქრე მე, – მაშ, თეოს იმის გაგება უნდა, ამის შემდეგ რას ეაპირებ, მით უმეტეს, ისიც მიეწერე, ჩემს ახლანდელ სახელოსნოზე ხელის აღებას ეაპირებ-მეთქი“.

ჩეენი დრო ცოტა სხეანაირია, შარდენის დროისგან, ასე თუ ისე, განსხეაებული. ახლა ზოგიერთ გარემოებას თაეს ეერაფრით აარიდებ. ახლა მხატვრები ბეერად უფრო მეტნი არიან. გარდა ამისა, მხატვარს როცა სხეა ხელობა და სხეა საქმეც აქეს, ხალხის თეალში ეს არც ისე მოსაწონია. ჩემი თაეი სხეაზე მეტი როდი მგონია, ასეთ მხატვარს კი ამას ეეტყოდი: „ხატეა განაგრძე, დახატე ასი ეტიუდი, თუკი ასი არ იკმარებს, მაშინ – ორასი და მერე ნახე, ეს მეტს გარგებს თუ რაიმე სხეა საქმიანობა“.

თუ სიღარიბეს შეეჩეეი, უბრალო ხალხის საზრდოს იკმარებ და სადგომადაც უკეთეს ბინას არ ისურეებ – რაკი ხედაე, რომ ჯარისკაცი ანდა მტეირთაეი, ქარისა და უამინდობის მიუხედაეად, ჯანმრთელობას არ უჩიეის, – ეს ისეთიეე პრაქტიკული საქმე იქნება, როგორიც ის, ყოეელკეირა რომ ორიოდ გულდენით მეტს შოულობდე. ბოლოს და ბოლოს, კაცი ამქეეყნად სიამოენების საგემებლად არ გაჩენილა, საეალდებულო არც ის არის, დანარჩენებზე უკეთ იცხოერო. რას ეაქნეეთ ოდნაე მეტ ქონებას, თუ სიყმაწეილის შენარჩუნება მაინც არ ძალგეიძს? ეს რომ შეგეეძლოს! მაგრამ ეაი, რომ ერთადერთი და ჭეშმარიტი ბედნიერება მხოლოდ მუდმიეი სიჭაბუკეა. ხანგრძლიეი დროით სიყმაწეილისა და სიჭაბუკის შენარჩუნება ჩეენშიც ისეეა შეუძლებელი, როგორც არაბეთსა და იტალიაში, თუმც იქ უკეთესი პირობებია. მე, პირადად, ასე მგონია, ყეელაზე მეტი შესაძლებლობა განახლების, ძალის მოკრებისა და შენარჩუნებისა თანამედროეე მესამე წოდების* ადამიანს აქვს.

მაშასადამე, ბედნიერება ფერწერაში უნდა ეპოეო, სხეა რამეზე აღარა ეფიქრობ. მაგრამ სწორედ მოეიქცეეი, ფულის საშოენელად პორტრეტულ ფერწერას თუ გაეოეიყენებ. კარგად ეიცი, რარიგ ძნელია „მიმსგაესებით“ ეინმეს რაიმე მოაწონო და არც ებედაე, წინასწარ ეთქეა, რომ ეს შემიძლია, წარმატება კი შეუძლებლად არ მიმაჩნია, რადგან ხალხი აქაც სწორედ ისეთია, როგორც ყეელგან. აქაურები, მაშინაც კი, როცა მტკიცედ ეუმეორებ, ცდებით-მეთქი, შეუცდომლად იტყეიან ხოლმე: „ეს რენიერ დე გრეეფია, ეს – ტოონ დე გროოტი, ეს კი – დიენ ეან დე ბეეკიო, და ა.შ.“ ზოგჯერ ფიგურას ზურგიდანაც კი იცნობენ ხოლმე...

ანტეერპენს უნდა გაეემგზაერო – ეს მთაეარია; წერილმანზე კი, ცხადია, წინასწარ ეერაფერს ეიტყეი. სურათებით მოეაჯრეების ექესი მისამართი მოეაგროეე. ამიტომ ზოგიერთ სამუშეაროს თან წაეიღებ. ხოლო

ანტეერპენში ჩაეალ თუ არა, დიდი ფორმატის რამდენიმე ხედს დაეხატაე და იქეე გამოეფენ. მაშასადამე, ყოველი ღონე უნდა ეიხმაროო, რომ ანტეერპენში წარმატებას მიეაღწიო. ღატაკი მიედიეარ, მაშ, დაკარგეით ეერაფერს დაეკარგაე. ხოლო ეს მხარე, აქაურობა და აქაურები ისე მიეყეარს, ეერ ეიტყეი, აქედან სამუდამოდ მიედიეარ-მეთქი. აქ ერთ ოთახს ეიქირაეებ და ჩემს ბარგს დაეტოეებ. ამგეარად, თუკი ანტეერპენიდან დროებით წასეელა მომინდება ან აქაურობა მომენატრება, ჩამოსეელა ყოეელთეის შეიძლება.

434. მოთმინება უკეე დაეკარგე, ანტეერპენში ისე ძალიან მიმეჩქარება. პირეელ რიგში, თუ ხალხს უშეებენ, ალბათ, ლეისის სურათების სანახაეად გაეეშურები, სასადილო დარბაზში რომ აქეს გამოფენილი. მინდა, ენახო მისი „ციხის ნანგრეებზე გასეირნება“, ის ტილოებიც, ბრაბონმა რომ გრაეიურები გააეეთა: „მაგიდა“ და „მოახლე“. ანტეერპენში ლამაზი ზამთარი უნდა იცოდეს. განსაკუთრებით, დათოელილი დოეებია, ალბათ, კარგი სანახაეი. რა თქმა უნდა, სურათებიც უნდა წაეიღო, თანაც სწორედ ის სურათები, რომლებსაც, იქ რომ არ მიედიოდე, ხეალ თუ ზეგ შენთან გამოეგზაენიდი: ეს არის დიდი ქარის წისქეილი უკაცრიელ არემარეში – შეღამებისას, გაყეითლებული ალეების უკან სოფლის ხედი და ფიგურების რამდენიმე ჩანახატი. ჯერჯერობით მუშაობა შემიფერხდა. საშინელი ყინეებია, ადამიანი გარეთ ეერაფერს გააეეთებს. ეიდრე ისეე ამ სახლში ეარ, – მანამდე მაინც, ეიდრე უკან დაებრუნდებოდე, – ჯობს, მოდელები არ მოეიწეიო. თუ ასე ეიზამ, ანტეერპენისთეის ტილოცა და საღებაეებიც დამეზოგება. ერთი სიტყეით, რაც მალე წაეალ, უკეთესია.

ამდენი წლის განმაელობაში რაკი სულ მარტო ემუშაობდი, ეიცი, მუდამ ყოველიეეს საკუთარი თეალით შეეხედაე, ტილოზედაც, რა თქმა უნდა, ჩემებურად გადმოეიტან, თუმც, მინდა, – და ეს კიდეეაც შემიძლია, – სხეებისგან არათუ .ეისწაელო, ზოგიერთი ტექნიკური ხერხიც ეისესხო. უსაფუძოდ შეეეცდები ზოგიერთი რამის შესწაელას, პირეელ რიგში, ცხადია, შიშეელი ფიგურისას – თუკი ამის შესაძლებლობა მომეცემა. თუმც საეჭეოა: იმდენსა და ისეთ მოდელებს, როგორიც მინდა, სად ეიშოეი! საამისოდ ხომ ფულია საჭირო. ფულისთეის კი სულ სხეა საქმე უნდა ეაკეთო: ეხატო პეიზაჟები, ქალაქის ხედები, პორტრეტები – რაზედაც უკეე გელაპარაკე, – ალბათ, აბრებიც, დეკორაციებიც. ანდა ფერწერის გაკეეთილები უნდა ეაძლიო – ამას კი „გარეშე საქმიანობას“ ეერ ეუწოდებ და დასაშეებადაც მიმაჩნია. მე იმ მეთოდით არ ეასწაელი, ხატეის მასწაელებლები რომ ასწაელიან. სწაელებას ნატურმორტით დაეიწყებ. ეს მეთოდი ჩემს ეინდჰოეენელ ნაცნობებზე გამოეცადე, ამიტომაც მისი ხელახლა გამოყენების არ მეშინია.

435. ანტეერპენში უსათუოდ გამიჭირდება, სახელოსნო რომ არ მეჭნება, მაგრამ რა ექნა, ერთ-ერთი უნდა ეირჩიო: ან აქ ყოფნა, სახელოსნო და სამუშაოს უქონლობა, ან იქ ყოფნა, სამუშაო და სახელოსნოს უქონლობა. ისეე მეორე ეირჩიე და ეს ამბაეი ისე მახარებს, ანტეერპენში გამგზაერება გადასახლებიდან შინ დაბრუნებად მეჩეენება. ხელოენების სამყაროს ხომ დიდხანს ეიყაეი მოწყეეტილი! ამასობაში ძალ-ღონე ისე მომემატა, ინტრიგები, არასასურეელ ადამიანთა მოსაშორებლად ასე ხშირად რომ იყენებენ, ეერაფერს დამაელებს. აი, რის თქმა მსურს: პაა-

გაში ფუნჯით სხეებზე ცუდად ეხატაედი ნახატზე ამას ვერ ეიტყოდი, და რაკი იქ მხატვრებისგან, პირველ რიგში, ფერწერას და ფერს ითხოვდნენ, ჩემი გასრესა მაშინ უფრო იოლი იყო.

რუბენსისაკენ გული კი მიმიწევს, მაგრამ იქნებ არ შემეძაეო, თუკი ეიტყეი: რელიგიური სიუჟეტების გააზრება რუბენსის მიერ, საერთოდ, მისი კონცეფცია თეატრალური მეჩვენება, ხოლო ზოგჯერ თეატრალური, ამ სიტყეის ძალზე ცუდი გაგებით. გაიხსენე, თუნდაც, რემბრანდტი, მიქელანჯელო, ქერძოდ, მისი „Penseroso".* ამ ფიგურაში მოაზროენე იგულისხმება, ხომ ასეა? მაგრამ, ხომ ხედაე, ამ მოაზროენეს პატარა, მარდი ფეხები აქვს; ხელს რომ უყურებ, ლომის თაოის ელეისებურ სისწრაფეს გრძნობ. მაშ, იგი მხოლოდ მოაზროენე კი არ არის, მოქმედების ქაციცაა და როცა ფიქრობს, გულისყურს იკრებს, რათა ფეხზე წამოხტეს და ამოქმედდეს. რემბრანდტი ამას სხეაგეარად აკეთებს. მისი ქრისტე („მოწაფეები ემაუსში") უპირველესად, სულიერი საწყისია, რითაც საესებით განსხეაედება მიქელანჯელოს ტორსისაგან. მაგრამ მაინც რაოდენი ძალა იგრძნობა მისი ხელის დამარწმუნებელ მოძრაობაში!

ცადე და ამას შეადარე რუბენსის მრაეალ ფიგურათაგან ნებისმიერი – დაფიქრებას რომ გამოხატავს და საჭმლის მოსანელებლად განზე გასული ადამიანი გეგონება. ასეთია რუბენსის ყეელა რელიგიურ და ფილოსოფიურ სიუჟეტზე დახატული ნაწარმოები. მისი ასეთი სურათები უსახოა და ცარიელი. მაგრამ ქალების დახატეა კი შეუძლია – შეუძლია ბუშესაეით, უკეთესადაც. ამ სურათებში ერთობ ბეერი რამ დაგაფიქრებს. აქ იგი ღრმაა. საღებაეების კომბინირება, კარგი ანალიზის შემდგომ კი დედოფლის ხატეა, სახელმწიფო მოღუაწის ხატეა – ეს ნამდეილად შეუძლია.

ანტვერპენი

ნოემბერი, 1885 – თებერვალი, 1886

1885 წლის 28 ნოემბერს ვინსენტი ანტვერპენში ჩაეიდა. დიდი ქალაქის მხატვართა ცხოვრებას, კაცმა რომ თქვას, იგი მხოლოდ ახლა გაეცნო. დიდხანს რჩებოდა მუზეუმებში, ანტვერპენის აკადემიის სტუდენტადაც ჩაეწერა, სადამოობით შიშველი მოდელის სახატაოდ დიდი მაზრის ახლოს მდებარე კერძო სკოლასა და რინდერსის ქუჩაზე მყოფ ატელიეში დადიოდა. მაგრამ მალე დარწმუნდა — აკადემიაში რომ დარჩენილიყო წინ ვერ წაიწეედა. 1886 წლის 28 თებერვალს ანტვერპენი მიატოეა და პარიზს, თეოსთან გაემგზავრა.

სამი თვის მანძილზე ანტვერპენში ვინსენტმა შექმნა 12 სურათი (მათ შორის, ორი ავტოპორტრეტი, რაც ვან გოგის ავტოპორტრეტთა ვეება სერიის დასაწყისია) და 40 ნახატი (უმეტესად, შიშველი მოდელის ეტიუდები და პეიზაჟები).

437. *მაბათი, ხალამო.* ანტვერპენის შთაბეჭდილებებს გაგიზიარებ. დილას თაესხმაში შესანიშნაად ეისეირნე – ჩემი ბარგის მისაღებად საბაჟოში ფეხით წაეედი. სანაპიროზე საწყობები და პაკაუზები საუცხოო სანახაეია. დოკები და სანაპიროები რამდენჯერმე დაეიარე. იმ ქეიშიანი,

უკაცრიელი ადგილების, იმ წყსარი, ჩუმი სოფლების შემდეგ, სადაც ძალზე დიდხანს ეიყავი სიმშვიდით და მყუდროებით გარემოცული, კონტრასტი განსაკუთრებით საგრძნობია. ამ ორომტრიალს თაესა და ბოლოს ვერ გაუგებ! „იაპონია, უსასრულოდ და გაუთავებლად იაპონია“, – ეს გონკურის საყვარელი სიტყვები იყო. დოკებიც სწორედ ასეთია – იაპონია, გაუთავებლად იაპონია – საუცხოო, ფანტასტიკური, თავისებური, არნახული და გაუგონარი. სხვებს თუ არა, მე მაინც ასე მეჩვენება.

ნეტავ ამ ქუჩებში შენთან ერთად მახეტიალა, გაეიგებდი, ერთსაირი აზრები გვაქვს თუ განსხვავებული. აქ შეიძლება, ყველაფერი დახატოს კაცმა – ანტვერპენის ხედები და სხვადასხვაგვარი ხასიათის ფიგურები, გემები, წყალი, ზეცა – საოცრად ნაცრისფერი, უფაქიზესი ფერის მქონე, რაც მთავარია, ის, რაც ძალზე მოგვაგონებს იაპონიას. მინდა, გითხრა, რომ ჩემ ირგვლივ ფიგურები სულ მოძრაობენ, მოქმედებენ, თვალი ფიგურას სულ უცნაურ, ჯერ არნახულ გარემოცვაში აკვირდება; ფანტასტიკური, საოცარია ყველაფერი და ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე საინტერესო კონტრასტებს ხედავ.

აი, ერთი მაგალითი. ძველისძველი, შეჯვარტლული საწყობების წინ (ქუჩაბანდში დაყრილ საქონელს ბრეზენტი რომ აქვს გადახურული) ტალახში დგას თეთრი ცხენი. თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ რა ეფექტია თეთრი და შავი ფერებისა!

აი, მეორეც: ელეგანტური ინგლისური ბარის ფანჯრიდან გემს და საშინელ ტალახს ხედავ. ეგზოტიკურ მატროსებს თუ მტვირთავ-გიგანტებს გემიდან მოაქვთ მაცდუნებელი საქონელი – ტყავები და კამეჩის რქები. უანჯარასთან დგას მეტისმეტად მოხდენილი ქერა გოგონა – ინგლისელი. იგი გასცქერის ყველაფერ ამას ანდა იქნებ რაიმე სხვას. ინტერიერი ფიგურიანად ერთი ტონის და ფერისაა, სინათლე კი ეერცხლისფერი ციდან მოდის – ამ ტალახზე, კამეჩის რქებზე გადმომხობილი ეერცხლისფერი ნათელი ციდან, – ესეც მეეთერი კონტრასტების სერია გახლავს.

ანდა თუნდაც უჩვეულოდ ჯანსაღი სახის ფლამანდიელი მატროსები, მხარბეჭიანნი, ჯმუხები და ღონივრები, მართლაც, ნამდვილი ანტვერპენელნი. ისინი დგანან, ხამანწკებს ჭამენ, ლუდს აყოლებენ. ირგვლივ ხმაური და ფუსფუსია. აი, კიდევ ერთი კონტრასტი: შავებიან სუსტ ფიგურას ჰაწია ხელები ტანზე მიუკრაეს და ნაცრისფერი კედლის გასწერივ ჩუმად მისრიალებს. ლურჯდაკრული შავი თმის ჩარჩოს სახის ოვალი მოუხაზაეს – ყავისფერი თუ ნარინჯისფერ-ყავისფერი, ვერ გამიგია. ერთი წამით წამწამებს ასწევს და თვალს მოკრავ ლურჯდაკრული შავი თვალების უცაბედსა და ირიბ მზერას. ეს ჩინელი გოგონაა, უცნაური, თაგვივით ჩუმი, ბაღლინჯოსავით პატარა და შეუმჩნეველი. რა უცნაური კონტრასტია ფლამანდიელთა გვერდით, ხამანწკებს რომ შეექცევიან!

კიდევ ერთი მაგალითი – ეიწრო ქუჩას მიუყვები უჩვეულოდ მაღალ სახლებსა, საწყობებსა და ფარდულებს შორის. ქვემოთ, ქუჩის გაყოლებაზე, ყველა ეროვნების მატროსთათვის სამეძაო სახლებია ჩამწკრიეებული, სადაც ქალთა და ქამაკაცთა ასევე ყველა ეროვნების ტიპებს შეხვდები. იქვე თვალისმიმტაცებელი, ხალხით საესე დუქნებია, სადაც ყიდიან სანოვაგეს და მეზღვაურთა ტანისამოსს.

ქუჩა გრძელია; უცნაურს და თავისებურს ყოველ ნაბიჯზე წააწყდები.

ხოლო ზოგჯერ, როცა ქუჩაში ბევრი ხალხია, ალბათ, ისეთი აღვირახსნილი საქციელის მოწმეც გახდები, მსგავსი რამ არსად გინახავს. მაგალითად, ძიდიხარ შესთვის, აქეთ-იქით იყურები, გარემოს მშვიდად ათვალიერებ, მოულოდნელად უცნაური ღრიანცელი გააყრუებს იქაურობას. დღისით, მზისით, გოგოები სამეძაოდას მატროსს კარში გამოაგდებენ, მას კი უკან გაშმაგებული ყმაწვილი და მეძავების მთელი კუდი გამოჰყვება. მატროსი აშკარად დამფრთხალია – დაეცახა, ტომრებზე რომ გადაძვრა და საწყობის ერთ-ერთ ფანჯარაში გაუჩინარდა.

ხოლო თუ ყელში ამოგივიდა ეს ხმაური და აურზაური, საემისადგომებს გაუყევი, სადაც აბამენ გარეულსა და პაერის გემებს; ქალაქს გასცდი და მაშინვე თვალწინ გადაგეშლება უსაზღვრო სიერცე უკაცრიელი, სწორი, სახეერად დატბორილი, ნაცრისფერი, დაღრეჯილი მღელოებისა, გადამხმარი, მოქანაველ ლელიანი, საფლობები, მდინარე და მდინარეში ერთადერთი პაწაწინა შაეი ნაეი, წყალი, რომელიც წინა პლანზე ნაცრისფერად მოჩანს, ზეცა – ციეი, დაღრუბლული, უფერული, ჩუმი და ყრუ, როგორც უდაბნო.

ხანდახან გზაზე ჯან-ღონით საესე ქალიშეილი შემოგხვდება; ეს რა უბრალო, პატიოსანი, მხიარული გოგონააო, გაიფიქრებ; მერე ისეე ისეთ ცბიერ, ისეთ ყალბ სახეს წააწყდები, შეგეშინდება, თითქოს აფთარს შეჰფეთებოდე. ნაცვალარ, მოხარშული კრეეტისფერ უწარბებო სახეებზე აღარას ეამბობ, წყალწყალა ფერის თვალებისა და თხელი, ღორის ჯაგრის ფერი ან კიდეე უფრო ყვითელი ფერის გადაქლესილი თმის პატრონებზე – დანიელთა თუ შეედთა ტიპებზე. ურიგო სულაც არ იქნებოდა წამუშაეება, მაგრამ როგორ? ან, აბა, სად? აქ ხომ უცებ შეიძლება, ხათაბალაში გაეხვიოს ადამიანი.

მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი ქუჩა და შუკა მოვიარე ისე, რომ სულაც არაფერი გადამხდენია. ერთი-ორჯერ კი გოგოებსაც მიეუჯექი და მხიარულად ეემასლაათე. ალბათ, იფიქრეს, მეზღვაური იქნებაო. თუ პორტრეტების ხატვას დაეწყებ, იქნებ კარგი მოდელები ეიშოყო კიდეც...

სამუშაოდ საკმაოდ კარგი ოთახი მაქვს, განსაკუთრებით ახლაა კარგი, როცა კედლებზე უამრავი პაწაწინა იაპონური გრაეიურა ჩამოეკიდე; მათი ყურება ძალზე მართობს. ხომ გინახავს ბაღებსა თუ წყლის პირებზე ქალის პატარა ფიგურები, ცხენოსნები, ყეაეილები, დაკორძილი კერინჩხის ტოტები. მიხარია, შინიდან რომ წამოვედი. იმედი მაქვს, ზამთარს გულხელდაკრეფილი არ გაეატარებ.

438. *დეკემბერი.* წინა კეირას სამი ეტიუდი კიდეე დაეხატე: მათ შორის ერთი ძეელი სახლების უკანა მხრის ეზოებია, რომლებიც ჩემი ფანჯრიდან მოჩანს, ხოლო ორი დანარჩენი – პარკის ხედები. ამათგან ერთი სურათებით მოეაჭრესთან გამოეფინე. სხეა ორ მოეაჭრეს საკომისიოდ ის გადაეეცი, რაც სოფლიდან ჩამოეიტანე. მეოთხესთან, როგორც კი ამინდი მუშაობის გასაქანს მომცემს, სანაპიროს ხედს გამოეფენ. ამ მოეაჭრეს მიწაყრილის ერთი ხედი უკეე მიეეცი და ამის გეერდით არც მეორის გამოფენაზე ამბობს უარს. მანეე მომცა მაღაზიის მისამართი, სადაც, როგორც მეუბნება, ურიგოდ არ შემხედებიან... აქეთ-იქით სირბილმა და ჩემთეის საჭირო ხალხის ძებნამ, ამასთანაეე, როგორც ყოეელთეის, მოდელებზე ნადირობამ უამრაეი დრო წამართეა. მოდელის შოენა ძალიან მიჭირს, მაგრამ თუ სხეაგან ეშოულობდი, აქაც ეიშოეი. სახეალიოდ ერთი კარგი ბერიკაცი შეეიპირე, მაგრამ რა ეიცი, ეითომ

მოვა? დღეს მიეილე შეკეთილი საღებაეები – ეილდ.ხოეენიდან გამოშიგ-ნავსეს, – რაშიც თითქმის ორმოცდაათ ფრანკზე მეტი გადაეიხადე.

მიჭირს, საშისლად მიჭირს შრომა, როცა გაყიდეით ეერაფერს ეყიდი, ხოლო სახატაე მასალებში იმ თანხიდან მიწეეს გადახდა, უდიდესი ან-გარიშის მიუხედაეად, საჭმელ-სასმელზე, თაეშესაფარზე ძლიეს რომ მყოფნის. მოდელებიც ხომ საჭიროა! რა უნდა ექნა! მაგრამ შანსები მაინც არის, რადგან ამჟამად აქ მხატეართაგან შედარებით ცოტა მუშაობს. ჩემი აზრით, მათ ამის გამო მარტოოდენ სასახეეროდ შეიძლება ეუსაყეედუროთ (ნახეერად კი მაინც ტყუიან), რადგან ზოგჯერ მეტისმეტი სიცივეა.

აბა, დაფიქრდი! სახელმწიფო მუზეუმის და ა.შ. ასაშენებლად ასიათასობით გულდენს ხარჯაეენ, მხატერები კი, ამასობაში, ლამის შიმშილით დაიხოცნენ... როგორც ხედაე, გულხელდაკრეფით არა ეზიეარ, მაგრამ საკმაოდ დამარწმუნებლად ეერ ამიხსნია, გამუდმებით გაჭირეებაში ყოფნა რარიგ ძნელია. ძირითადად ფიგურაზე ეამყარებ იმედს: რაკი ფიგურებს შედარებით ცოტა ხატაეს, ამით უნდა ეისარგებლო.

კიდეე ერთი ჩანაფიქრი მაქეს, რასაც, ალბათ, ხორცსაც შეეასხამ – აბრებზე ეამბობ. მაგალითად, თეეზის ეაჭრისთეის თეეზები უნდა დაიხატოს, ასეთიეე ნატურმორტები დაიხატება მეყეაეილეთა და მემწეანილეთათეის, რესტორნებისთეის...

თუ დრო გქონდეს, ისეე მომწერე. ცოტა თუ არ დამეხმარე, ამ თეის ბოლოს, უსათუოდ, საშინელ დღეში ჩაეეარდები. ბეერ რამეს, ალბათ, ისიც გადაწყეეტს, შეეძლებ თუ ეერა საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას. თან მშიერი და ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი ეერ ეიქნები. პირიქით, საქმის წინ წასაწეედ საჭიროა, ძალ-ღონე და ენერგია მეტყობოდეს.

439. მარტო ის მინდა, შეგატყობინო, როგორც იქნა, მოდელი რომ ჩაეიგდე ხელში. ორი დიდი თაეი დაეხატე – სინჯი პორტრეტების შესაქმსელად: ჯერ ერთი, თაეი იმ მოხუცისა, ეისზედაც გწერდი – პიუგოს მსგაესი თაეი აქეს-მეთქი, მეორეც – ქალის ეტიუდი. ქალის პორტრეტში სახის ხატეისას უფრო ღია ტონებს ეხმარობდი – თეთრს, შეფერილს ჭიაფერით, სინგურით და ყეითელი ფერით; სურათის ფონი მონაცრისფერო-ყეითელია და სახე მისგან მხოლოდ თმით არის გამოყოფილი. ტანსაცმელში იისფერი ტონებია გარეული.

რუბენსმა ჩემზე უდაეოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ჩემი აზრით, იგი სახატის საუცხოო ოსტატია – უპირეელესად, იგულისხმება თაეებისა და ხელების ხატეა. მოხიბლული ეარ მისეული ხატეის მანერით: სახის ხაზებს იგი ხატაეს სუფთა წითელი მონასმებით, ხელის თითებსაც ასეთიეე მონასმებით ამუშაეებს... სწორედ რუბენსის გამო ეეძებ ქერა მოდელს. მაგრამ არ უნდა გამიჯაერდე, თუ გეტყეი, რომ ამ თეეში ძალზე გამიჭირდა თაეის გატანა. საღებაეები კიდეე ეიყიდე, ორი ახალი ყაიდის ფუნჯიც – სახატაეად. ეს ფუნჯები ჩემთეის ძალიან სახერხოც არის და ზუსტი ხატეისთეის გამოსადეგიც. გარდა ამისა, ორი ტილო, რომლებიც თან ჩამოეიტანე, თაეების დასახატაეად პატარა გამოდგა, ეინაიდან ამ ახალი საღებაეებით მუშაობისას გარემოს მეტი ადგილი სჭირდება. ყეელაფერ ამას მოდელებს რომ მიეუმატებ, რა თქმა უნდა, გაეკოტრდები. ამას ასე დაბეჯითებით იმიტომ გწერ, რომ შეგახსენო: ადამიანი დროის დაკარგეით ერთიორად ზარალდება... კიდეე რა გითხრა? ჰო, მართლა, თანამედროეე სურათების ორი კოლექცია ეინახულე...

ბეერი რამ ერთობ ლამაზია. პირველ რიგში, ეგულისხმობ კოლორისტთა სამუშაერებს ასდა ეისაც კოლორისტობა გასუ'სრახავს, ეინც ყველგან ეძებს სათელსა და სადაფისებურ შეხამებას. იუმც, ჩემი აზრით, ამას ხალასი ხელოენება ყოველთეის როდი დაერქმეევა – მეტისმეტად გადაჭრანჭული მერეენება. ამიტომაც უბრალო მონასმა ეამჯობინებ, საკლებ ეფექტურ, ნაკლებად რთულ ფერს, ერთი სიტყეით, ეამჯობინებ მეტ სისადაეეს, ბრძნულ სისადაეეს, გაბედულ, თამამ ტექნიკას რომ არ ერიდება. რუბენსი სწორედ იმიტომ მოიწონს, რომ ასეთი გულუბრყეილო მანერით ხატაეს, ასეთ მარტიე, უმარტიეეს ხერხებს იყენებს... სურათებს შორის კი ყველას ისეე რემბრანდტის „სასკიას“, ფრანს ჰალსის „მეთეზე ბიჭსა“ და რუბენსის ზოგიერთ მოღიმარ თუ მტირალ სახეებს ეამჯობინებ.

თუ სურათს ხატაე, არ სჯობია, უბრალოდ ხატო? როცა ცხოერებას ეაკეირდები, იგიეეს ეასკენი. გამელელებს რომ ეუყურებ ხოლმე, მოახლეები ქალბატონებზე ბეერად უფრო საინტერესონი და ლამაზები მერეენებიან, მუშები კი – ბატონებზე საინტერესონი; უბრალო ჭაბუკს ან გოგონას როცა შეეხედაე, ძალასა და სიცოცხლეს ეგრძნობ. ის, ეისაც სურს, ეს თეისებები შესაბამისად გამოხატოს, მტკიცე მონასმი უნდა ჰქონდეს, მარტიე ტექნიკას უნდა მიმართოს.

ეოტერსმა ეს კარგად იცოდა, წინათ მაინც უსათუოდ კარგად იცოდა; წინათ-მეთქი, იმიტომ ეამბობ, ჯერჯერობით აქ რომ ეოტერსის ერთი სურათიც არ მინახაეს. დელაკრუაც მშეენიერ მხატერად სწორედ იმიტომ მიმაჩნია, რომ საგანთა სიცოცხლესა და მოძრაობას გეაგრძნობინებს, თანაც სრული მფლობელია საკუთარი ფერებისა. მაგრამ კარგი სურათების უმრაელესობას – რაც ენახე და რამაც ჩემი აღტაცებაც კი დაიმსახურა, – ძალიან ხშირად საღებაეების მეტისმეტი სიჭარბე სჭირს.

ახლა კიდეე უფრო ეცდილობ, სეანსის დროს მოდელთან საუბარს მიეეჩეიო, ეს იმიტომ, რომ სახეს სულის მოძრაობა ემჩნეოდეს. ერთ ქალს შეეხედი, – ახლა ის უკეე ბებერია, – ერთ დროს პარიზში უცხოერია. იგი მოდელებს ურჩეედა მხატერებს: შეფერს, გიეუს, დელაკრუას და კიდეე ერთს, რომელსაც „ფრინა“ დაუხატაეს. ახლა ეს ქალი მრეცხაეია, ქალებს ბეერს იცნობს, მარწმუნებს კიდეც, მოდელს ყოველთეის შეგირჩეეო.


თოელი მოეიდა. ამ დილით თეთრად დათოელილი ქალაქიც და ის ხალხიც, ქუჩებს რომ ასუფთაეებდა, საუცხოო სანახაეი იყო.

რაც შეეხება სურათებით ეაჭრობის საქმეს, როგორც გწერდი, მოეაჭრენი აშკარა სიღარიბეს უჩიეიან; მე კი მაინც იმას ეფიქრობ, რომ ჯერ კიდეე შეიძლება ბეერი რამის გაკეთება. თუნდაც ასეთი მაგალითი: რატომ არ არის სურათები კაფეებსა და რესტორნებში ანდა კაფე-შანტანებში? თითქმის არ არის! თეალი კი ამას ეერ ეგუება! ხონდეკუტერის, ფეიტის და სხეათა მრაეალთა ეპოქისაგან განსხეაეებით, იქ ეერ ნახაე ისეთ, მართლაცდა, საუცხოო დეკორაციებს, როგორიცაა ნატურმორტი. რაკი ყველგან გოგონები სურთ, რატომ კედლებზე ქალის პორტრეტებს არ დაკიდებენ? მესმის, ასეთი მიზნებისთეის იაფად უნდა იმუშაო, მაგრამ სურათი ხომ შეიძლება, შედარებით იაფადაც იხატებოდეს? ფასების გაბერეა ხელოენების ნიმუშებით ეაჭრობისათეის დამღუპეელია და საბოლოოდ, რა თქმა უნდა, სახარბიელოს არაფერს გეიქადის...

თეალში მეცა ფოტოგრაფების დიდი სიმრაელე. ფოტოგრაფებს, რო-

გორც ქეელგან, ჩემი აზრით, საქმე აქაც არ უნდა აკლდეთ. მაგრამ ფოტო ხომ თვალებს თუ ცხვირ-პირს პირობითად გამოხატავს, უსიცოცხლოდ, გაციებულ-გადატკეცილად და მუდამ რატომღაც მკედარს გვახსენებს. ფერწერული პორტრეტები კი თავისთავადი სიცოცხლით სუნთქავს, მას უშუალოდ მხატერის სული შობს, რასაც ეერც ერთი მასქანა ეერ იქმს! ფოტოს რაც უფრო ხშირად ნახულობ, ეს მით უფრო ნათელი ხდება.

440. ჩემი საქმე რომ ცუდადაა, დღეს უფრო ეიგრძენი. სტეენის* ხედი დაეხატე და ერთ-ორ მოვაჭრეს მივუტანე. ორი არ დამხედა, მესამემ თქვა, არ მომწონსო, ხოლო მეოთხემ საწყალობლად წაიწუწუნა, ამ რამდენიმე კეირის მანძილზე მაღაზიაში ფეხი არაეის შემოუდგამსო. ერთი



სიტყეით, სანუგეშო არაფერია, განსაკუთრებით, როცა ასეთი ნესტიანი და ცრიატი დღეა, შენ კი ბოლო ხუთფრანკიანი დაახურდაეე და აღარ იცი, თეის ბოლომდე ორი კეირა თაეი როგორ გაიტანო.

კარგი, კმარა. რამდენიმე ფიგურის დახატეა კიდეე მინდა და შეეცადე, ამ ორ კეირასაც შემეშეელო. თუ სახატაეი მასალის ხარჯი მეტი იქნება, ეიდრე ეღებულობ, წინ, რა თქმა უნდა, ეერ წაეიწეე. მე კი იმაზე მეტს არ ეღებულობ, რასაც იმ ზამთარს – მრაეალი წლის წინ – ბრიუსელში ეღებულობდი; მაშინ თეეში ორმოცდაათი ფრანკით ნაკლები გამომდიოდა, მაგრამ ფერწერა ხომ ბეერად ძეირი მიჯდება, თანაც უთუოდ ნაღდი უნდა გადაეიხადო.

როცა ეხატაე, სისუსტეს არ ეგრძნობ. მაგრამ ასეთი იძულებითი შეჩერებები გულს თანდათან მეტად მიმძიმებს. როცა ეერაფერს ეაკეთებ და, ამის გამო, წინ ეერ მიეიწეე, ცუდად ეხდები, იძულებითი უმოქმედობა პირდაპირ მახრჩობს. რაც აქა ეარ, ცხელი საჭმელი სამჯერ მეტად არ მიჭამია. სულ ცარიელ პურზე ეიყაეი. ეს გადაჭარბებული ეეგეტარიანელობაც ადამიანს, ცხადია, არ რგებს, მით უმეტეს, თუ იმასაც გაეიხსენებთ, ნიუენენშიც ნახეეარ წელიწადს რომ ასე ეიყაეი, საღებაეების ხარჯები კი მაინც ეერ დაეფარე. ფერწერა ძალზე ძეირი ჯდება, მუშაო-

ბით კი ბეერი უსდა ქიმუშაო; ერთი მოდელი პორტრეტისთვის პოზირებას თითქოს დაპირდა. შეეცდები, ამ დაპირებით ესარგებლო. ვერ გამიგია, ისეთი ხალხი, როგორიც არის, ეთქვათ, პორტიე ანდა სერე, როცა ჩემი ერთი სურათის გაყიდვასაც ვერ ახერხებს, რატომ რამე სხვა საქმეს მაინც არ მიჰყოფს?

441. *19 დეკემბერი, 1885.* დღეს კელაე იმ ქალის თაეს ეხატაედი, გადახდით კი ვერაფერი გადაეუხადე; მაგრამ რაკი ხელში ჩაეიგდე, ვეღარ შეეშვი. მერე ერთ კაცს მოვურიგდი: მისი პორტრეტი უსდა დაეხატო, ამის ფასად კი უფლებას მომცემს, ჩემთვისაც ორი ეტიუდი გაეკეთო. თუმცა, უსდა გამოგიტყდე – უკვე გაეკოტრდი: ამ პორტრეტების დასახატაედ იმ ხუთი ფრანკის ნარჩენებით, აბა, რა მექნა, ტილო ვიყიდე. თან მრეცხაემაც, ეს-ეს არის, თეთრეული მომიტანა; ისე რომ, მხოლოდ ორიოდე სანტიმი დამრჩა. გემუდარები, პასუხს სულარ დამიგეიანებ. თუ ღმერთი გწამს, იმდენი მაინც გამომიგზაენე, რაც შეგიძლია, შენი ლუკმიდან მიწილადო. დამიჯერე, მართლა ეშიმშილობ.

ორმოცდაათი თაეის დახატეას თუ როგორმე მოვახერხებ, იქნებ რამე სამუშაო გამომიჩნდეს. კერძოდ, ალბათ, ფოტოგრაფთან მოვეწყობი რა თქმა უნდა, მუდმივად არა, – უკიდურესი გაჭირეების ჟამს ვაეიმუშაებ. აქაური ფოტოგრაფები, ჩანს, უსაქმოდ არ არიან; ატელიეში მათ ფერწერული პორტრეტებიც აქვთ; ეს აშკარად, გაფერადებული ფოტოებია. ვისაც ფერწერის ცოტა რამ მაინც გაეგება, მათი აზრით, ეს, რა თქმა უნდა, ბანალურია.

ეფიქრობ, უკეთეს შედეგს მიეიღებთ, თუ ფოტოების შეფერადებას უშუალოდ ნატურიდან დახატული ეტიუდების მიხედეით ეცდით. აბა, რა ექნა, იქნებ ცოტა ფული ეიშოეო...

სტეენის ხედი ერთ მოეაჭრეს ვიდეე ვაჩეენე. ტონი და ფერი მოეწონა. სამწუხაროდ, ინეენტარიზაციით იყო მეტისმეტად დაკაეებული, თან ბინაც ერთობ პატარა აქეს; მაინც მთხოეა, საახალწლეეს მინახულეო. უცხოელთათეის – ანტეერპენის სამახსოეროდ ეისაც რამის წაღება უნდა, – სწორედ ასეთი სურათებია ძალიან კარგი. მეც რამდენიმე ასეთ ეტიუდს კიდეე დაეხატაე. კერძოდ, გუშინ იქეე, ადგილზე, ტაძრის ხედები ჩაეიხატე... მაგრამ ასეთი ტაძრების ხატეას – რა დიდი და იმპოზანტური უნდა იყოს ეს ტაძრები, – ადამიანთა თეალების ხატეა მირჩენია, რადგან სული ადამიანისა, ქუჩის გოგო იქნება თუ საცოდაეი მათხოეარი, ბეერად საინტერესოდ მეჩეენება.

ერთი რამ მჯერა – წარმატებას ისე ეერაფერი შეუწყობს ხელს, როგორც მოდელზე მუშაობა. ცხადია, მისთეის ფულის მიცემა არ არის დიდად სასიამოენო, მაგრამ ჩეენ ხომ ისეთ დროს ეცხოერობთ, როცა კაცის ენერგია ბეერ რამეს წყეეტს; მაშასადამე, თუ გინდა, რომ სურათს მყიდეელი გამოუჩნდეს, სამუშეეარიც ენერგიული უნდა იყოს...

საუკეთესო ფუნჯებით ხატეა ნეტარებაა; ნეტარებაა, როცა საკმაოდ მოგეპოეება როგორც კობალტი, ისე კარმინი, კარგი ხარისხის სინგური თუ ჩაღი ყეითელი. უძეირფასესი საღებაეი ზოგჯერ ძალზე მომგებიანი და ხელსაყრელია. ასეთი რამ განსაკუთრებით კობალტზე ითქმის: იმ წარმტაც ტონებს, რის მიღებაც კობალტისაგან შეიძლება, ეერაეითარ სხვა ლურჯ საღებაეს ეერ შეადარებ. რა თქმა უნდა, კარგი ხარისხის საღებაეი მთელი სურათის წარმატებას ეერ უზრუნეელყოფს, მაგრამ სურათს სიცოცხლეს შთაბერაეს ხოლმე...

უცებ აზრად მომივიდა თუ ოდესმე გუპილისაგან განცალკევებით მოისურვებ შენი საქმის დაფუძნებას, თანაც კარგი ეიტრისები გექნება ხელთ, ანტვერპენში მომგებიანი საქმეების წამოწყება შეგეძლება: აქაურ ფირმებს ეიტრინების გაფორმებისა არაფერი გაეგებათ. გარდა ამისა, ანტვერპენიდან შედარებით იოლია ინგლისში წასვლა. სისტემა კი სურათებით ვაჭრობისა მოძველდა, ოში მოეკიდა... საჭიროა, განახლდეს: საქმოსნობის ძველისძველი მეთოდები აღარ ვარგა. ფასები თუ პუბლიკა – ყველაფერი განახლებას საჭიროებს. იაფფასიანი სამუშაოები ხალხისათვის – აი, ფერწერის მომავალი, ეინაიდან ხელოვნების მოყვარულებს, როგორც ჩანს, დღეს გასაქანი აღარა აქვთ, იფიტებიან. დიახ, ასეა. როცა ეინმეს ფული აქვს და საქმეს ისე წამოიწყებს, ძალიან ხშირად ყველაფერს კარგავს ენერგიის და მხნეობის ჩათელით; უკაპიკოდ როცა იწყებს, თითქოს ძალა და გამბედაობა ემატება.

442. *28 დეკემბერი, 1885.* როგორც კი შენგან ფული მიეიღე, ერთ ლამაზ მოდელს მოეურიგდი და ნატურალური ზომის თაეი გაეაკეთე. საესებით ღია ფერისაა, თუკი შაე თმას არ მიეიღებთ მხედველობაში. ეს თაეი ფონზე სულ უბრალოდ მოვათაესე, თან ეცადე, ფონის ოქროსფერი ციმციმისთვის მიმეღწია. აი, ჩემი ფერების გამა: პირისფერი, ყელთან ოდნაე ბრინჯაოსფერი, თმა – ლურჯ-მოშაეო (სხეა გზა არ მქონდა, შაეი ფერის მისაღებად პრუსიულ ლურჯს ჭიაფერი შეეურიე), ბლუზა – თეთრი, მქრალი თეთრი, ფონი – ძალზე ღია ყეითელი, თეთრზედაც კი ღია; ლურჯ-მოშაეო თმას სადღაც გადაკრაეს მეწამული; ასეთიეე მეწამულია პატარა ბაბთა მიმქრალ თეთრზე.

ეს გოგო კაფე-შანტანელია, გამოხედეა კი, მე რომ ეეძებდი, ისეთი აქეს – საქმაოდ მწუხარე. მაგრამ რაკი მსურს, გამოხედეა მაინცდამაინც ნაღდი იყოს, თაეად რა აზრიც უნდა მქონდეს, პორტრეტით, აი, რის თქმა მინდოდა: როცა ეს ქალი ჩემთან მოეიდა, ეტყობოდა, უკანასკნელი ღამეები მეტისმეტად დაკაეებული უნდა ეკონოდა. უცნაური რალაც მითხრა: „შამპანური გუნებას როდი მიმხიარულებს, ნაღველს მგერისო". ასე გაეიგე, რაც მინდოდა; მერე კი რალაც აეხორცულის და, ამაეე დროს, გულშემზარაეის დახატეა ეცადე...

ასეთ მოდელს ყველაფერში უნდა მიეყეე, მისას ეერაფერს უარყოფ, თუნდაც ყველაზე მაღალმხატერული თეალსაზრისით: ადამიანის დახატეა იყო ძეელ იტალიელ ხელოეანთა აზოცანა, მილეც ამას აკეთებდა, ახლა ბრეტონიც ამას აკეთებს. მთაეარია, საიდან იწყებ – სულიდან თუ სამოსლიდან; ფორმა ბაბთების საკიდად გაქეს მოხმარებული თუ გრძნობებისა და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად; მოდელირებას მართლა მხოლოდ მოდელირების მიზნით მიმართაე თუ იმიტომ, რომ თაეისთაეადაც ეს უსაშეელოდ ლამაზია. პირეელი, ცხადია, მთაეარი არ არის, ხოლო მეორე უთუოდ მაღალი ხელოენების საფუძველია. ჩემმა მოდელმა მოისურეა, თაეისი პორტრეტი თეითონაც პქონოდა – ისეთიეე, ჩემთეის რომ დაეხატე, – რამაც ძალიან გამახარა. დამპირდა, რომ როგორც კი შეძლებს, შეეცდება, მოცეკეაეის ტანსაცმლით დამეხატეინოს; თანაც შინ, მასთან ეიმუშაეებ. ამჯერად ამას ეერ ეახერხებთ, ეინაიდან კაფეს პატრონი, ეისთანაც იგი ახლა მუშაობს, პოზირების ნებას არ აძლეეს...

ეს დღეებია, ჩემი ფიქრები რემბრანდტსა და პალსს უტრიალებს, მაგრამ არა იმის გამო, მათ სურათებს რომ ხშირად ეუყურებ – აქაურებში ბეერი მხედება იმისთანა, ეინც იმ ეპოქას მომაგონებს, როცა ეს დიდი მხატერები ცხოერობდნენ.

სახალხო მეჯლისებს კელაე ხშირად ეესწრები, რათა ქალების, მატროსების, ჯარისკაცების თაეებს ეუყუროო. შესასელელად 20-30 სანტიმს იხდი; ერთი ლუდი შეუკეთე (სპირტიან სასმელს ნაკლებად სეამენ), დაჯექი და მთელი საღამო ასე გაერთე; მე, მაგალითად, ეერიობი ხოლმე, როცა ეუყურებ, ეს ხალხი როგორ მხიარულობს...

უჭმელობამ მადა წამართეა; ფული რომ მიეიღე, უკეე ჭამა აღარ შემეძლო – კუჭი აღარ მოქმედებდა; მაგრამ ეეცდები, კელაე ყეელაფერი მოწესრიგდეს; სხეათა შორის, ეს ხელს არ მიშლის, როცა ეზიეარ და საქმეს ეაკეთებ, ენერგიულად ეიმუშაო, აზრის სინათლე შეეინარჩუნო; მაგრამ გარეთ მუშაობის თაეი არა მაქეს, საამისოდ ძალა არ მყოფნის. რა გაეწყობა! ფერწერა კაცს სიქას აცლის...

უბრალო ქალთა ფიგურები, აქ რომ ეხედაე, შთაბეჭდილებას ძალზე დიდს ახდენს: უფრო დიდი სურეილი მაქეს მათი დახატეისა, ეიდრე მათი დაუფლებისა, თუმც, ურიგო არ იქნებოდა, შეიძლებოდეს ისიც და ისიც...

იქნებ არც კი დამიჯერო, მაგრამ მართალს გეუბნები: ფულს რომ მიეიღებ, ჯერ გაძღომას კი არ ეესწრაფეი – თუმც დიდი ხნის ნამარხულეეი ეარ ხოლმე. – ხატეას ეჩქარობ. მაშინათეე მოდელების დეენას ეიწყებ, რაც მანამდე გაგრძელდება, ეიდრე ფული საბოლოოდ შემომელეეა...

აქაური მოდელები მიმზიდეელნი იმის გამო მეჩეენებიან, ჩემი სოფლელი მოდელებისგან საესებით რომ განსხეაედებიან. ეს კოსტრასტი ახალ აზრს ბადებს, განსაკუთრებით, სხეულის ფერთან დაკაეშირებით. და ის, რასაც ბოლო თაეზე მუშაობისას მიეაღწიე – თუმც მთლიანად მაინც არ მომწონს, – ამ თაეს წინა თაეებისგან განასხეაებს.

ეიცი, საქმაოდ კარგად გესმის, თუ სიმართლეს რა უდიდესი მნიშენელობა აქეს მხატერობაში. ამიტომ შენთან გულახდილად შემიძლია ლაპარაკი. თუ გლეხის ქალს ეხატაე, მინდა, იგი, მართლაც, გლეხის ქალი იყოს. ხოლო როცა მეძაეს ეხატაე, ეცდილობ, სურათზე მას მეძაეის სახე პქონდეს. აი, რატომ მოახდინა უდიდესი შთაბეჭდილება რემბრანდტის მიერ დახატული მეძაეის თაემა. იგი ამ ქალის გამოუცნობ, უცნაურ ღიმილს რაღაც ისე ლამაზად ხატაეს, ისეთი სერიოზულობით, მხოლოდ ამ ჯადოქარს, ჯადოქართა შორის ჯადოქარს რომ შეუძლია.

ეს ყეელაფერი ჩემთეის ერთგეარი სიახლეა. მეც სწორედ აქეთ მიეისწრაფეი. ამას ხატაედა მანე, კურბე; მაგრამ, ამის ღმერთი არ იყოს, მეც ხომ მაქეს ჩემი ამბიცია! ამასთანაეე, ძეალსა და რბილში გამატანა ლიტერატურის დიდოსტატების – ზოლას, დოდეს, გონკურების, ბალზაკის – მიერ ჩატარებულმა ქალის სულის ანალიზის უსასრულო სილამაზემ...

საოცრად ჯიუტი ეარ და უკეე სულაც აღარ მაწუხებს, ჩემზე და ჩემს ნამუშეერებზე ხალხი რას ამბობს. შიშეელ მოდელს აქ, როგორც ჩანს, ასე იოლად ეერ ეიშოეი – იმ ქალიშეილმაც, მე რომ ეხატაედი, უარი მითხრა.

საქმე უკეე ისე მიდის, ერთის თქმაღა შემიძლია – ჩეენ მივადექით საუკუნის დასასრულს, როგორც ახლა იტყეიან ხოლმე. ქალებსაც სწორედ ისეთიეე მომხიბელელობა, ფაქტიურად, ისეთიეე ზემოქმედება აქეთ, როგორც მაშინ, რეეოლუციის ეპოქაში. და თუ მხატერის შემოქმედება მათ სათანადო ადგილს არ უთმობს, ცხოერებისაგან მოწყეეტილია.

443. *იანეარი, 1886.* კოლორიტი სურათისათეის იგიეეა, რაც კაცისათ-

ეის ესთუზიაზმი. და თუ ამის შესარჩუნებას შეეცდები, პატარა საქმე როდი იქნება. მისდა, ამ თეუში მოდელების თაობაზე აქაური აკადემიის დირექტორთან – ფერლატთან – მიეიდე. უსდა გაეიგო, აკადემიაში რა პირობებია, შიშეელ მოდელზე მუშაობის შესაძლებლობა არის თუ არა. პორტრეტსა და ორიოდ სახატს გაეიყოლებ. შიშეელი მოდელის უკეთ შესწაელა უსაზღეროდ მისდა.

444. რაც შეეხება მწუხარების გამოხატეას, ამ მხრიე რუბენსი გულს ყეელაზე ნაკლებად ხედება. ჩემი აზრის განსამარტავად ჯერ გეტყეი, რომ მისი ყეელაზე მშეენიერი ცრემლიანი მაგდალინელსი ანდა მწუხარე ღეთისმშობელსი მუდამ ლამაზ, მტირალ მეძაეებს მაგოსებენ, შანკრი რომ შეყრიაო ანდა რაიმე წერილმანი საწუხარი კაცთა ყოფისა აწუხებთ. თაეისებური ოსტატობა ამ ფიგურებს არ აკლია, უფრო მეტს კი ნუღარას ეეძებთ. ჩეულებრიე ლამაზ ქალებს რუბენსი მართლაც უნაკლოდ ხატაეს, მაგრამ როცა მეტყეელი სახის ანდა ფიგურის დახატეა უნდა, დრამატიზმი არ პყოფნის ხოლმე... მაგრამ რუბენსი ჩემს აღტაცებას მაინც იმსახურებს, რადგან ცდილობს – ძალუძს კიდეეც, – ფერთა ერთგეარი კომბინაციით მხიარულება, უდარდელობა თუ მწუხარება გამოხატოს, თუმც ზოგჯერ მისი ფიგურები ზერელე და ცარიელია...

დელაკრუაც შეეცადა, ხალხისთეის ფერთა სიმფონიის რწმენა ჩაენერგა. მაგრამ ამაოდ, დიახ, ამაოდ, ეინაიდან თითქმის ყეელა, როცა „კარგ ფერზე" ლაპარაკობს, ლოკალურ ფერს და მის პედანტურ სიზუსტეს გულისხმობს, რასაც არც რემბრანდტი, არც მილე და არც დელაკრუა, არც მანე, კურბე, ეერონეზე, არც რუბენსი რომ არ ესწრაფოდნენ, ერთი სიტყეით, არც ერთ მხატეარს მიზნად არასდროს დაუსახაეს...

კიდეე რა გითხრა? რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტად მისდა, ფიგურების ეტიუდები თაეიდან ეხატო, აუჩქარებლად ეიმუშაო, მშეიდად და არა ფაციფუცით, შიშეელ ნატურას, ფიგურათა აღნაგობას ისე კარგად დაეეფლო, ზეპირად ხატეა მოეახერხო... კელაე სოფელში დაბრუნებას კი არ ეაპირებ. ერთხანს ისეე ანტეერპენში დარჩენა მინდა. ასე აჯობებს – აქ მეტია შესაძლებლობა ისეთი ხალხის აღმოჩენისა, ეინც შეიძლება, ჩემი სურათებით დაინტერესდეს. რისკის გაწეეის უფლება მაქეს, რამეთუ ეგრძნობ, ზოგი რამ, მართლაც, შემიძლია; ეს ამბაეი კი უკეე საკმაოდ დიდხანს გრძელდება...

ამ დღეებში პირეელად ენახე ნაწყეეტი ზოლას ახალი წიგნიდან. ეს რომანი – „შემოქმედება" – როგორც იცი, „გილ ბლასში" გაგრძელებებით იბეჭდება. თუკი მხატერები წაიკითხაენ, ჩემი აზრით, მას შეუძლია, ძალზე კარგი ზეგაელენა მოახდინოს. ნაწყეეტი, რომელიც წაეიკითხე, დამაჯერებლად მომეჩეენა.

ჩემდათაეად კიდეე ერთ რამეს დაეუმატებ: საიმისოდ, რომ მარტოოდენ ნატურა ეხატო, ჯერ ზოგი რამ კიდეე მაკლია – სიმსუბუქე კომპოზიციის შედგენისას, ფიგურის ცოდნა; მაგრამ, ამის მიუხედაეად, მაინც მჯერა, მთელი ეს წლები ამაოდ სულაც არ მიწეალია. რაღაცა ძალა უთუოდ მაქეს, ეინაიდან ყეელგან, სადაც ეარ, ერთი შიზანი მამოძრაეებს – ადამიანები ისე ეხატო, როგორც ეხედაე და როგორც ეიცნობ.

ოქეა თუ არა „იმპრესიონიზმმა" საბოლოოდ, რაც უნდა ეთქეა – თუკი ამ ტერმინს მაინც ეიხმართ? მე იგიეე აზრისა ეარ: ფიგურულ ფერწერას მომაეალშიც ბეერი მხატეარი გამოუჩნდება და რაც მეტს ეფიქრობ, მით უფრო ეხედები: ისეთ მძიმე ეპოქაში, როგორიცაა ჩეენი

ეპოქა, მხატვრებს ისღა დარჩენიათ, მხოლოდ შაღალი ხელოვნების ერთგულნი დარჩნენ. ცხოვრებაში ხომ, მართლაც, არის როგორც სიმაღლე, ისე სიდაბლე, მაგრამ მთავარი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისევ კაცია, ადამიანი; მისი დახატვაც არსებითად ყველაზე ძნელია...

ძალიან გაეხდი, ტანსაცმელი შემოიმაცდა და ა.შ. მაგრამ რატომღაც მაინც მჯერა – თავს გავიტანო. იწერებოდი, ავად რომ გახდე, უარეს დღე'ში ჩაეცვეიედებითო. იმედია, ეს არ მოხდება, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ავადმყოფობა აგეცდინა, ურიგო სულაც არ იქნებოდა, ოდნავ მაინც უკეთ გეცხოვრა.

რამდენია ამ ქვეყანაზე, რომ არც კი იცის, დარდი რა არის, სწამს, ყველაფერი კარგად არის, და კიდევ უკეთ იქნებაო – თითქოს მის ირგელივ შიმშილისაგან სულს არაფინ დაფაედეს და დაღუპვა არაფის ემუქრებოდეს.

ეიცი, თეო, შენც გიჭირს, მაგრამ შენი ცხოვრება არ ყოფილა ისეთი მძიმე, როგორიც ჩემი ამ ათ თუ თორმეტ წელიწადში. მოდი, ცუდად ნუ გამიგებ, თუკი ეიტყვი, ეს ამბაიი ძალზე დიდხანს გაგრძელდა-მეთქი. ამ ხნის მანძილზე, მანამდე რომ არ ეიცოდი, ისეთი რამ ბეერი გაეიგე და ბეერი ეისწაელე; მერე ჩემ წინ უკვე ახალი შესაძლებლობა გადაიშალა და საესებით სამართლიანად ეაცხადებ პროტესტს, როცა ეხედაე, რომ არაფრად მთელიან. მაშ, თუ ისევ ერთხანს ქალაქად ცხოვრება და მერე, თუკი მოეახერხებ, პარიზში ეინმეს სახელოსნოში წამუშაეება მოეისურვე, ნუთუ ჩემს გეგმებს ხელს შეუშლი? მოდი, კარგად დაფიქრდი და ნება მომეცი, ჩემს გზას გაეყევე. ეიმეორებ, ჩხუბი არ მინდა, არც ეაპირებ ეინმეს ეეჩხუბო, მაგრამ ნებას არაეის მიეცემ, ჩემს მოწოდებას გადაეღობოს. თანაც, აბა, რას გაეაკეთებ, თუ სოფელში უფულოდ წაეალ? მოდელებს და საღებაეებს ფული ხომ უნდა? ჩემი ხელობით სოფლად ფულს ეერ ეიშოეი. ქალაქად კი იქნებ ეიშოეო.

445. *იანვარი.* მინდა, მალე შეგატყობინო, რომ ფერლატმა, როგორც იქნა, ნახა ჩემი ნამუშეერები. ნატურმორტსა და ორ პეიზაჟზე, რომლებიც სოფლიდან ჩამოეიტანე, ასე მითხრა: „კარგია, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არისო". როცა ორი პორტრეტიც ნახა, მაშინ კი თქეა: „აი, ეს უკვე სხეა საქმეა, რაკი ფიგურებს ასე ხატაეთ, შეგიძლიათ, იაროთო". მაშ, ხეალიდან აკადემიის ფერწერის კლასში ემეცადინეობ. გარდა ამისა, ფინჯსაც უკვე შეეუთანხმდი (იგი ლეიხის მოწაფეა, მასთან ყოფნის დროს ენახე კიდეც ლეიხის მანერით დახატული სურათები, – შუა საუკუნეებს რომ გაგახსენებს), ისე რომ, ახლა ყოველ საღამოს ანტიკური თაბაშირების სახატავად უნდა ეიარო...

პორტრეტებთან დაკაეშირებით ორი კაცი მყაეს სანახაეი. რა გამოეა, ამას ეერ გეტყეი... ერთი კი ეიცი: თუ გაჭირდა, აედგები და მათ პორტრეტებს უფასოდ დაეხატაე, უსასყიდლოდ, სულაც მხოლოდ პრაქტიკის მიზნით.

აკადემიაში ორ საღამოს უკვე ეხატე და ჩემი აზრით, მაგალითად, გლეხის ფიგურის დასახატაედ, ძალზე კარგია, თაბაშირების ხატეაში თუ წაეიარჯიშებ; მაგრამ, ცხადია, ისე არა, როგორც საერთოდ მიღებულია. იქ რომ ენახე, ის ნახატები საოცრად უეარგისი, თაეიდან ბოლომდე არასწორი და გაუმართაეი მომეჩეენა. ეიცი, ჩემი ნახატები სხეანაირია, იმათსას არ პგაეს. დრო გამოაჩენს, ეინ ტყუის და ეინ მართალია. აკადე-

მიის არც ერთ მოწაფეს ყველა ეშმაკს წაულია! – ანტიკური ქანდაკების არაფერი გაეგება.

წლების მანძილზე ანტიკური ქანდაკების ერთი კარგი თაბაშირიც არ შენახა (ხოლო აქაურ აკადემიას ძალზე კარგი თაბაშირები მოეპოვება), მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალ მოდელს ეუყურებდი; ახლა კი, როცა ხელოვნების ანტიკურ ნიმუშებს ეაკვირდები, ძველ ხელოვანთა ცოდნა მაოცებს, მათი აღქმის სიზუსტეა გასაოცარი. ალბათ, ბატონ აკადემიკოსთ ეწყინებათ და მწვალებლობას დამწამებენ. რა გაეწყობა!

446. ორიოდ დღეა, აკადემიაში დავდივარ და ფერწერაში ემეცადინეობ. გულახდილად უნდა გითხრა, კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ აქ მრავალი მხატვარი იღვწის და მე სხვადასხვა მანერით და სულ სხვადასხვა ყაიდაზე ხატვას ვეუყურებ. აქამდე კი არ მენახა, სხვები როგორ მუშაობენ. ორშაბათიდან უკვე ახალი მოდელები გვეყოლება, სერიოზულ მუშაობასაც მაშინ დავიწყებ. ორშაბათისთვის დიდი ტილო უნდა ვიშოვო, თან გამაფრთხილეს, სხვანაირი ფუნჯების ყიდვაც და ა.შ. უსათუოდ დაგჭირდებაო. მე კი ფული აღარა მაქვს.

მართლაც, დროს უნდა დავეშუროთ; ამიტომ გთხოვ, რასაც შეძლებ, გააკეთე, მეც ხომ ვაკეთებ, რაც შემიძლია; მაგრამ ხშირად საჭმელად თითქმის არა მრჩება რა.

აკადემიაში საღამოობით მეც დავდივარ სახატავად, მაგრამ, ეგონებ, ხატვის კლასში ყველა ძალიან ცუდად მუშაობს – ისინი სწორ გზას არ ადგანან. ფერწერის კლასი უკეთესია; თუ არ ვცდები, გწერდი კიდეც, რომ იქ თითქმის ყველა ასაკის, ერთმანეთისგან განსხვავებული ხალხი შეყრილა – ხუთი ჩემზე უფროსიცაა.

ამჟამად ბაღშეის თავზე ემუშაობ...

აქ კედლებზე დაუკიდიათ აკადემიის ადრინდელი მოწაფეების ეტიუდები. ზოგიერთი მართლა კარგია.

აკადემიაში სიარული და მეცადინეობა უმოკლესი გზაა წარმატების მისაღწევად. უნდა გადავწყვიტო, ისევ სოფლად დავბრუნდე თუ პარიზში წამოვიდე. იმის ყურება, სხვა მხატვრები როგორ ხატავენ, ჩემთვის მაინც სასარგებლოა, ხოლო მოდელის რაც შეიძლება ხშირად ხატვა და რეგულარული მუშაობა – მით უმეტეს.

447. მთელი კვირა მოცლა არ მქონდა, რადგან, ფერწერის კლასის გარდა, საღამოობით ხატვაზედაც დავდივარ, რის შემდეგაც – ათის ნახევრიდან თერთმეტის ნახევრამდე – კლუბში მოდელს ეხატავ ხოლმე. ორ ასეთ კლუბში ჩავეწერე...

აი, რა არის საინტერესო: როცა სხვების ეტიუდებს რომელიმე ჩემს ეტიუდს შევადარებ, მსგავსებას თითქმის ვერა ვხედავ. მათ ეტიუდებს, დაახლოებით, ის ფერი აქვს, რაც თეითონ სხეულს. ამრიგად, ახლოდან ძალზე სწორი ჩანს, მაგრამ ოდნავ რომ უკან დაიხევ, მომაბეზრებლად ერთფეროვანი მოგეჩვენება: ეს ვარდისფერი, ნაზი-ყვითელი და ა.შ. და ა.შ. თავისთავად რბილი ტონები ცოტა შორიდან უხეშად აჭყეტს. ხოლო რასაც მე ვაკეთებ, ახლოს რაღაც წითელ-მომწვანო, მოყვითალო-ნაცრისფერი, თეთრ-მოშაოა, ძალიან ხშირად – ნეიტრალურიც, ალბათ, გარკვეეით ფერსაც ვერ იტყვი; მაგრამ როგორც კი უკან დაიხევ, დაინახავ, რომ ეტიუდი უტყუარია, საღებავთაგან თავისუფალი, ჰაერსაც გრძნობ და რაღაც ერთგვარი მთრთოლარე შუქიც ეფინება. შთაბეჭდილების გა-

რეთ არ რჩება პაწაწისა მოსასმიც კი, რომელიც ზედაპირზე სულ შემთხვევით გადამისვამს.

პრაქტიკის გარდა ახლა, ალბათ, არაფერი მაკლია და ორმოცდაათ ასეთ ეტიუდს როცა დაეხატავ, იმედია, მიეადწევ რამეს. საღებაებს ახლა ჯერ კიდევ მოუქნელად და ტლასქად ეხმარობ, რადგან საკმაო ჩვევები არ მაქვს; მეტისმეტად დიდხანს ვეძებ, შედეგი კი უსიცოცხლო გამომდის ხოლმე. მაგრამ ეს არის დროისა და ვარჯიშის საქმე: მერე, თუ ცოტას დაეფიქრდები, მონასმი უკვე სწორი გამოვა.

ზოგიერთებს ეაჩვენე ჩემი ნახატები; ერთმა კაცმა, ჩემი გლეხის ფიგურების ზეგაელენით, შიშველი მოდელის გაკვეთილზე მოდელის ხატვა ენერგიული მონასმებით გადაწყვიტა, ჩრდილებიც უფრო თამამი აქოსდა. მერე ნახატი მაჩვენა. ეიმსჯელეთ და ავწონ-დავწონოთ ნამუშევარი. ჩემი აზრით, სიცოცხლით სავსე ნახატი იყო, სხვა მოწაფეთა ნახატებზე გაცილებით უკეთესი. არ იტყვი, როგორ შეაფასეს? მასწავლებელმა ზიბერტმა რომ ნახატი ნახა, მისი ავტორი საგანგებოდ გამოიძახა. გააფრთხილა, თუ ასე ხატვას კიდევ გაბედავთ, ჩაგეთელებათ, რომ ცდილობთ, თქვენი მასწავლებელი გაამასხროთო. მე კი გარწმუნებ, ეს ერთადერთი წესიერი ნახატი იყო – ტასარს ანდა გაეარნის რომ გაგახსენებდა. ერთი სიტყვით, ხედავ, რაც ხდება. თუმც, არა უშავს: მთავარია, არაფერი იწყინო და თავი ისე მოაჩვენო, თითქოს გინდა, ცუდი ჩვევა მოიშალო, მაგრამ ვერაფრით ვერ მოგიშლია. აქაური მოწაფეების ფიგურები, თითქმის მუდამ, ზემოდან არის უპროპორციოდ დამძიმებული, თითქოს უნდა აყირაედესო; ფეხზე არ დგას. მდგრადობა კი პირველსავე სტადიაში უსათუოდ საჭიროა.

რა შედეგიც უნდა მოპყვეს ყველაფერ ამას, მოვრიგდები ფერლატთან თუ ვერ მოვრიგდები, აქ ჩამოსულით. კმაყოფილი ვარ. აქ მოწმე ვარ ჩემთვის საჭირო, ფრიად საჭირო იდეათა შეჯახებისა. ფხიზლად ვუყურებ ჩემს ნამუშევრებს და შეცდომების უკეთ განსჯა შემიძლია, რაც უკვე მაძლევს ამ შეცდომათა გამოსწორების შესაძლებლობას.

448. *თებერვალი.* ახლა უკვე დღისითაც ეხატავ. აქაურმა მასწავლებელმა, ამჟამად რომ პორტრეტებს ხატავს და გასამრჯელოსაც კარგად იღებს, ბევრჯერ მკითხა, თაბაშირებს ადრეც ხომ არ ხატავდიო, ნუთუ ხატვა, მართლაც, შენით ისწავლეო. სულ იმას ამბობს: „გეტყობათ, ბევრი გიმუშაიათ", ანდა: „სულ მალე წარმატებას მიაღწევთ და ძალზე წინ წახვალთ, საამისოდ ერთი წელი დაგჭირდებათ, მაგრამ ერთი წელიწადი არც ისეთი დიდი დროაო". ჩემ გეერდით რომ ყმაწვილი ზის კი – ჩემიენ ხნისა, – იმას ასე არ ეუბნება; თუმცა იგი ფერწერაში კარგა ხანია მუშაობს და თაბაშირებსაც უკვე სამი წელია ხატავს... ისიც მითხრა, თითქოს ფერლატს მისთვის ეთქვას, რომ მოსაწონს ჩემს სურათებში ერთობ ბევრს ხედავს, რაც თვით ფერლატს ჩემთვის არ უთქვამს...

როცა ჩემს თავს სხვებს ვადარებ, ეგრძნობ, ისეთი უხეში ვარ, გეგონება, ათი წელი ციხის კედლებში ვყოფილიყავი გამომწყვდეული. ეს იმიტომ, დაახლოებით ათ წელიწადს რომ მძიმე და მშფოთვარე ცხოვრება მქონდა, უამრავი სადარდელი და საზრუნავი მაწუხებდა, მეგობარი კი არ გამაჩნდა. ახლა ჩემი ნამუშევრები თანდათანობით უმჯობესდება, ზოგ რამეს ესწავლობ, ზოგი რამ უკვე შემიძლია; ამიტომაც ყველაფერი შეიცვლება... მაგალითად, მსურს, კბილები მოვიწესრიგო. კბილები ხომ უკვე მაკლია, შესაძლოა, ათი კიდევ ჩამომვარდეს; ეს ბევრია და ზიანის

მომტანი; ასეც რომ არ იყოს, აქის გამო ორმოცი წლისაზე მეტისას ეგაეარ, რაც სულ არ არის სახარბიელო... მირჩიეს, კუჭსაც მიხედეო: კუჭის საქმე ყერა მაქეს ქარგად, თანაც, რაც აქ ვარ, უკეთესობა არ მეტყობა.

სამხიარულოს არაფერს ვამბობ, მაგრამ რას იზამ, რაც საჭიროა, უნდა ითქვას; ხოლო თუ ხატვა გასგიზრახავს, უნდა ეცადო, როგორმე თავი გადაირჩინო, ენერგია შეინარჩუნო... სხვებზე ჯანმრთელი რომ არა ვარ, ქარგად იცი; და თუ თავსაც არ მიეხედე, მეც იგივე დამემართება, რაც ბევრ მხატვარს დაემართა (თუ დაეფიქრდებით, ძალიან ბევრსაც): ძალღიეით სული ამომხდება ან – უარესი – იდიოტად ვიქცეევ და ეგ იქნება... რაც შეეხება იმ აზრს, ერთად ვიცხოვროთო, რომ იწერები, რიგიანი სახელოსნო ვიქირაოთ, სადაც ხალხის მიღებას შეეძლებთო, მოდი, ამაზე კიდევ დაფიქრდი; მეც დამაცადე, ცოტა ვიფიქრო...


პირველ რიგში, ერთ წელიწადს ხატვაში უნდა ვიმეცადინო – უამისოდ არ იქნება. ან სხვა რა გზაა. დელაკრუა, კორო და მილე განა მუდამ ანტიკური ხელოვნების შესწავლაზე არ ფიქრობდნენ? ის, ვინც ძველ მხატვრებს სახელდახელოდ და ზერელედ სწავლობს, ცხადია, ცდება. ძველ ხელოვანთ როცა მიემართავთ, უსათუოდ დიდი სიმშვიდე, ბუნების ცოდნა, ფაქიზი აღქმა, მოთმინება უნდა გაგეაჩნდეს, სხვანაირად არაფერი გამოგეცვა. სხვათა შორის, ჟერიკო და დელაკრუა ძველ მხატვრებს ბევრად უკეთ იცნობდნენ, მათი ბევრად უკეთ ესმოდათ, ვიდრე, ეთქვათ, დაეიდს; აკადემიური რუტინისა კი, რა თქმა უნდა, დაუნდობელი მტრები იყვნენ.

ტურგენევის ნაწარმოებებს ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ ახლახან წავიკითხე ტურგენევის ბიოგრაფია, რაც ძალიან საინტერესოდ მომეჩვენა. როგორ აახლობს მასა და დოდეს მოდელის მიხედვით მუშაობით გატაცება, სწრაფეა ხუთი და ექვსი მოდელის ერთ ტიპად ქცეევისა, შეერთებისა! ონეც ჯერ არ წამიკითხავს; როგორც გავიგე, ისიც ერთობ საინტერესო მწერალია.

449. არ მინდა, დედას აცნობო, აკად რომ ვარ; სერიოზული მიზეზიც მაქეს: იფიქრებს, თითქოს ყველაფერი მისი ბრალია, ყველაფერი იმიტომ მოხდა, შინიდან რომ გამომიშეა და იმ საფრთხეს არ ამარიდა, რაც ჩემს წამოსველას მოკყევოდა. მე არ ვახსენებ, აკად რომ ვარ, არც შენ ახსენო. მაგრამ როგორც შინ, ისევე აქაც სადილისთვის ფული არ მრჩება, რადგან ხატვა მეტისმეტად ძვირი მიჯდება; იმედიც ერთობ დიდი მქონდა საკუთარი ძალ-ღონისა, მეგონა, დიდხანს გაეუძლებდი ასე ცხოერებას. ექიმი ამბობს, თავს მეტად უნდა გაუფრთხილდე, ვიდრე ცოტა არ მომაგრდები, შრომას ერიდეო. ძალა საკმაებით გამომელია, თანაც ამდენს ვეწევი; ხოლო თუთუნს უფრო იმიტომ მიეეჩვიე, შიმშილი რომ ნაკლებად მეგრძნო. ასეთ ცხოერებას დიდ ჭირთათმენას ეძახიან. ჩემი წილი მეც ვიწვნიე. მარტო შიმშილზე როდი ვამბობ, განუწყვეტელი მღელვარებაც ასევე ძნელი ასატანია...

ხატვის ტექნიკას უკვე საკმაოდ დაეეუფლე. ნახატს ისე მიეუჯდები, გეგონება, წერილის წერას ვაპირებდე. მაგრამ სწორედ ამ სტადიაში გახდება ხოლმე მუშაობა საინტერესო – თანდათანობით შეძენილი ოსტატობა რომ უკვე აღარ გაკმაყოფილებს, ორიგინალურ ჩანაფიქრზე, ჩანაფიქრის სიღრმეზე ფიქრობ. არათუ მხოლოდ კონტურების, მასების ხატვა, საფუძელიანი მოდელირება მაინტერესებს...





ვაიმე, თეო, რა საწყენია, ამჟამად რომ კარგად არა ვარ! ლამის გაეცოფდე ამის გამო; თუმც, ეცდილობ, გული არ გაეტეხო. ყველაფერი მოგვარდება... არ იფიქრო, თითქოს ის, ვისი ჯანმრთელობაც მთლიანად თუ საწილობრივ შერყეულია, უერწერისთვის არ გამოდგება. სასურველია, ადამიანმა სამოცს ან თუნდაც ორმოცდაათ წელს მიაღწიოს, რაკი ხატვა ოცდაათი წლისამ დაიწყო... ავადმყოფობა მოულოდნელად დამატყდა თავს. სისუსტეს ეგრძნობდი, მაჟრჟოლებდა, მაგრამ ეხატაედი; მხოლოდ მაშინღა შემეშინდა, კბილები რომ ჩამომემტერა და მართლა სნეულს დაეემგვანე. არა უშავს, ეეცლები, ესეც გადაეიტანო.

450. ის ამბავი, რომ თანახმა ხარ, ჩამოვიდე, ძალზე მახარებს. პარიზში ყოფნა, ეიცი, ჩემს წინსვლას ხელს შეუწყობს. თუ აქ დაერჩები, იმაეე წრეში ეიტრიალებ და ისეთსაეე შეცდომებს ჩაეიდენ, შესაძლოა, გამოსაეალი ეეღარც კი ენახო. გარდა ამისა, არც შენ გაწყენს საღამოობით შინ, საკუთარ სახელოსნოში დაბრუნება; თუმც, ჩემს თაეზედაც სწორედ ის უნდა გაეიმეორო, საკუთარ თაეზე რომ იწერები. ალბათ, იმედებს გაგიცრუებ. მაგრამ, მაინც საჭიროა, გაეერთიანდეთ: ეს ხელს შეგეიწყობს, უკეთ გაეუგოთ ერთიმეორეს.

ზიბერტი, ხატვის მასწაელებელი, რომელმაც თაეიდან ისე დამიწყო ლაპარაკი, როგორც მოგწერე, ღღეს აშკარად შეეცადა, წამჩხუბებოდა – ჩემი თაეიდან მოშორება უნდოდა, ალბათ. თუმც არაფერი გამოუეიდა, რადგან ეუთხარი: „რად მეჩხუბებით? ჩხუბი არ მსურს, მცირეოდენი შეკამათებაც არ მინდა თქვენთან; თქვენ კი პირდაპირ განგებ ცდილობთ, მეჩხუბოთ-მეთქი". ალბათ, ჩემგან ასეთ დახეედრას არ მოელოდა, ამიტომაც ეერაფერი მიპასუხა. მაგრამ სხეა დროს, რა თქმა უნდა, ასე აღარ დაემართება.

ყოველიეე ამის მიზეზი, აი, რა არის: ჩეენთან, კლასში, ჩემს ნამუშეერებს იხილაეენ. ერთხელ, როცა მეცადინეობა დაეამთაერეთ, მეც ეთქეი, – ზიბერტს კი არა, სხეებს ეუთხარი, მოსწაელეებს, – თქეენი ნახატები სულაც არ არის სწორი-მეთქი... თუ გაჯერდა, ანტიკური თაბაშირების ხატვის კურსი შეიძლება უმასწაელებლოდ გაეიარო – ეთქეათ, სახატაედ ლუვრში ეიარო. თუ უთუოდ საჭირო გახდა, ასეც ეიზამ; თუმც, რა თქმა უნდა, მირჩეენია, ნამუშეერებს მისწორებდნენ, – თუკი ეინმე განგებ კრიჭაში არ ჩამიდგება, თუკი მისი შენიშენების საფუძეელი სხეა რამ იქნება და არა ჩემი, ცოტა არ იყოს, თაეისებური ხატვის მანერა. მე ხომ სხეებისგან სწორედ ამით გამოეირჩეე... თაბაშირებს იმიტომ ეხატაე, მინდა, „რომ ამოსაეალი იყოს არა კონტური, არამედ მასა". ჯერ ამ მეთოდს ეერ დაეეუფლე, მაგრამ თანდათან უკეე ეიგრძენი. უთუოდ ასეც გაგრძელდება, რადგან ძალზე დაეინტერესდი.

საინტერესო ჩეენს ეპოქაში ბეერი რამ არის. განსაკუთრებით, თუ იმასაც ეეცარაუდებთ, რომ დღეანდელი წყობის დაღუპეა ჩეენს დროშიეე დაიწყება და ამას, ცხადია, ჩეენც შეეესწრებით. ჩეენს ეპოქას ის უსაზღერო პოეტურობა ახასიათებს, რაც შემოდგომას ანდა მზის ჩასელას, როცა უკეე აშკარაა, რომ ბუნებაში იდუმალი გარდაქმნა ხდება. აი, თუნდაც ხელოენება – დელაკრუას, კოროს, მილეს, დიუპრეს და ტროიონის, ბრეტონის, რუსოს, დობინის შემდეგ დეკადანსი აქაც იგრძნობა. დაე, ასე იყოს! მაგრამ ეს დეკადანსი აღსაესეა ისეთი დიდი მომხიბელელობით, გასაოცრად მშეენიერი სურათები ჯერაც კიდეე დახატება, თუმცა ახლაც ყოეელდღიურად იხატება... როცა იმ აზრს მიეჩეე-

ეი, რომ ერთად უნდა ვიცხოვროთ, ალბათ, თანდათან მეტად და მეტად გაგიკეირდება: ათი წლის მანძილზე რა ი̃შვიათად, რა მცირე ხანს ვყოფილვართ ერთად. მაგრამ მორჩა, ახლა მჯერა – ასეთი რამ აღარ მოხდება.

451. გული უნდა გაეიმაგროთ, საკუთარი თავის მიმართ ყველა ეჭვი და უნდობლობა უკუაგდოთ. ხომ იცი, რასაც უნდა დაენდო, თუ გინდა, რომ სულიერი სიმშვიდე შეგრჩეს იმ წუთებშიც, როცა მარტო ხარ, შენი ეერაეის გაუგია და ნიეთიერი კეთილდღეობის იმედიც უკვე დაგიკარგაეს? ცხადია, რწმენას, რომელიც, რაც უნდა მოხდეს, არ გიმტყუნებს, ინსტინქტურ გრძნობას, რომ უდიდესი ცელილებები უკვე ხდება და სულ მალე ყველაფერი შეიცელება.

ჩვენ ეცხოვრობთ ბოლო მეოთხედში საუკუნისა და ის, ეით წინა საუკუნე, გრანდიოზული რეეოლუციით დასრულდება. მაგრამ, თუნდაც ეიეარაუდოთ, რომ მე და შენ ჩვენი სიცოცხლის მიწურულში მის დასაწყისს თვალით ეიხილაეთ, საუკეთესო ხანას, როცა ეს დიადი ქარტეხილი პაერს გაწმენდს და საზოგადოებას განაახლებს, ცხადია, მაინც ეერ მოეესწრებით. ისიც კარგია, ჩვენი დროის სიყალბემ რომ ეერ გაგეაბრუა და ამ მძიმე, არაჯანსაღ, სულისშემხუთაე ატმოსფეროში მოახლოებული ჭექა-ქუხილის ნიშნებს ეგრძნობდით. თაეს ასე უნდა ეინუგეშებდეთ: ჩვენ ჯერაც ხეატი გეიხუთაეს სულს, მომაეალ თაობებს კი შეეძლებათ, თაეისუფლად ისუნთქონო. ეს ამბაეი დიდი ბავშეების გულუბრყეილობით მტკიცედ სჯერათ ზოლასა და გონკურებსაც კი – ამ ძალზე მკაცრ ანალიტიკოსთ, ეისი დიაგნოზიც მუდამ ასე ზუსტია და ულმობელი.

ისინიც, ეისაც იხსენიებდი – ტურგენეეი და ალფონს დოდე, – უმიზნოდ როდი მუშაობენ, მომაელისკენ იყურებიან. თუმც, უტოპიას ერიდებიან და მომხდარ ამბებს, ცოტა არ იყოს, პესიმისტურად უყურებენ – ცხადია, საცსებით საფუძელიანად, რადგან ჩვენი საუკუნის ისტორიის ანალიზისას უთუოდ ბეერს შეაძრწუნებს ის ამბაეი, თუნდაც ყველაზე კეთილშობილურ რეეოლუციას ზოგჯერ რომ კარგი არაფერი მოჰყეება ხოლმე.

მაგრამ ნიადაგ შენს ფიქრებთან, შენს გრძნობებთან რომ არ გჯირდება განმარტოება და სხეებთან ერთად შრომობ და ფიქრობ, ეს უკეე დიდი ნუგეშია. ამის წყალობით თითქოს მეტიც შეგიძლია გააკეთო და ბედნიერიც ხარ. კარგა ხანია, გულით მინდა, ჩვენც ერთმანეთში ასე ეიყოთ. ეიცი, მარტო რომ ყოფილიყაეი, გაჭირეება უფრო იოლად დაგთრგუნაედა, რადგან ახლა ცუდი დროა და, მაშასადამე, ქმაყოფილებას მარტო შრომა თუ გაგრძნობინებს.

გონკურების რომანს გიგზაეი, რომელზედაც ადრეც მოგწერე, პირეელ რიგში, შესაეალი წაიკითხე, სადაც მათი შრომის მიზნებზე გეიამბობენ. ნახაე, რომ გონკურები ბედნიერები არ ყოფილან, ისეეე როგორც დელაკრუა, რომელმაც თქეა: „ბედნიერებად ადრე სულ სხეა რამ მიმაჩნდა და იმ გაგებით ბედნიერი არასოდეს ეყოფილეარო".

ტურგენეეიც არ ყოფილა სიბერეში ბედნიერი. მაშინ ის დოდეს ხშირად ხედებოდა. ამ ფაქიზ და ქალიეით დახეეწილ, შორსმჭერეტელ და საკუთარი ტკეილის მიმართ მართლაც ქალიეით მგრძნობიარე ადამიანებს ცხოერებისადმი სიყეარული ბოლომდე შერჩათ. გულგრილობა თუ სტოიციზმი, ან ცხოერების სიძულეილი მათთეის მუდამ უცხო იყო. ეიმეორებ: ისინი ისე დაიხოცნენ, როგორც ქალები იხოცებიან – არც ღმერ-

თის აკეთიატებული იდეა ჰქონდათ, არც აბსტრაქცია, მიწაზე ძალიან მტკიცედ იდგნენ და მხოლოდ ცხოვრების სიცარიელი ამოძრავებდათ. ეიმეოერებ, დაიხოცნენ როგორც ქალები, გულის დამსერი სიცარიელით, რომ პეკარებიათ – რაც ძალიან პგაეს სილვესტრის სათქვამს დელაკრუაზე: „ასე, თითქოს გაღიმებული მოკედა კიდეცო“.

ჩვენ ამაზე ჯერ ნუ ვიფიქრებთ, ჯერ ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ, ბედნიერებით ტკბობაზე კი, როგორც ეს სიტყვა ჩვეულებრივ ესმით ხოლმე, ნუ ვიოცნებებთ. მაგრამ მომავალში რაც უნდა მოხდეს, იცოდე, კორმონთან ერთ წელს მაინც სიამოვნებით ვიმუშაებდი – თუ სატიფი ხელოვნების სკოლაში ხატვის ან რომელიმე სახელოსნოში (რომელთა შესახებ აქ ასე ბევრს ლაპარაკობენ) მუშაობის შესაძლებლობა არ მომეცემა... ბოლოს და ბოლოს, ხელმეორედ გაჭაბუკება მხოლოდ შრომით შეიძლება...

კარლეილი თუ წაგიკითხავს?.. გამბედაი და სხვებზე ბევრად შორსმჭვრეტელი კაცი იყო. მაგრამ ასეთი ხალხის ცხოვრებას თუკი როდისმე გაეცნობიერა, სულ ეს მესმის – უფულობა, შერყეული ჯანმრთელობა, ირგელიე მყოფთაგან შეეიწროება, მარტოობა, ერთი სიტყვით, სატანჯველი და სულ სატანჯველი.

452. გულახდილად უნდა გითხრა, გამიხარდება, თუ მოიწონებ ჩემს განზრახვას – მინდა, პარიზში იესის-იელისზე ბევრად ადრე ჩამოვიდე. ისიც უნდა შეგატყობინო, რომ, მართალია, აკადემიაში ისევე დაედიეარ, იქაური მასწავლებლების შარიანობას ეეღარ ეუძლებ, მათი ქცევა კლავინდებურად შეურაცხმყოფს. მე ხომ ჩხუბს მუდამ ვერიდები, ჩემთვისა ვარ. რასაც ვეძებ, იმის კეალს უკვე მივაგენი; ეს უფრო ადრეც მოხდებოდა, ნება რომ მოეცათ, თაბაშირები მარტოს მეხატა, უმეთვალყუროდ. აკადემიაში რომ მოვედი, მაინც კარგია, რადგან ძალიან კარგად ვხედავ, თუ რა მოსდევს კონტურით გატაცებას.

იქ ხომ ამის მეტს სხვას არაფერს აკეთებენ, კრიჭაშიც ამის გამო მიდგანან, „ჯერ კონტური უნდა მოხაზოთ: თქვენი კონტური სწორი არ არის, ნახატს აღარ გაგისწორებთ, თუ მოდელირებას მანამდე დაიწყებთ, ვიდრე კონტურს ხვირიანად გამოკვეთავდეთ“. როგორც ხედავ, ყველაფერი ბოლოს მაინც ასე მთავრდება. მერედა, ნეტავ შეგახედა, რა უფერული, რა უსიცოცხლო, რა უფხო და უმარილოა ამ სისტემის შედეგები! ეიმეორებ: ძალზე კარგია, ეს ყველაფერი ახლოს რომ ვნახე... თუმც, ეს არც ისე მნიშვნელოვანი ამბავია. მთავარი სხვაა – მთავარია, შეეცადო, მუშაობის ბევრად უფრო ეფექტური მეთოდები გამოვნახო. აკადემიაში იმასაც კი ირწმუნებიან, რომ „ფერსა და მოდელირებას სულაც არა აქვს მნიშვნელობა – ეს შეიძლება, ძალზე სწრაფად ისწავლოს კაცმა, მთავარი და ყველაზე ძნელი კონტურიაო“.

როგორც ხედავ, აკადემიაშიც შეიძლება, რაღაც ისწავლო: თურმე ნუ იტყვი, ფერიცა და მოდელირებაც თავისით მოდის.

სწორედ გუშინ დავამთავრე ის ნახატი, საღამოს კლასის კონკურსისთვის რომ ვაკეთებდი. ეს არის შენთვის კარგად ცნობილი გერმანიკუსის ქანდაკება. ეიცი, ბოლო ადგილს დავიკავებ, რადგან სხვების ნახატები ერთმანეთს პგაეს, ჩემი კი საესებით სხვანაირია. ენახე, როგორ იქმნებოდა ის ნახატი, რომელსაც ისინი საუკეთესოდ მიიჩნევენ, რადგან იქვე, ახლოს ვიჯექი; საესებით სწორი ნახატია, არაფერი არ აკლია, მაგრამ მკედარია; ასეთია სხვა ნახატებიც, რომლებიც ენახე.

შიშველი ქალის მოდელით ხომ აქ იშვიათად სარგებლობენ – კლასში არასდროს ხატავენ და კერძოდაც ერთობ იშვიათად იყენებენ. თვით ასტიკოსთა კლასშიაც კი მაშაკაცის ათ ფიგურაზე ქალის ერთი ფიგურა მოდის. ამ მხრივ პარიზში, ალბათ, უკეთ იქნება საქმე. მართალი გითხრა, ჩემი აზრით, როცა კაცის და ქალის ფიგურებს – ყოველთვის და ყველაფერში რომ განსხვავდება ერთმანეთისგან, – ხშირად ადარებ ერთიმეორეს, ბევრ რამეს სწავლობ. ქალის ფიგურა, ალბათ, ყველაზე ძნელი რამაა, თუმც, უიმისოდ ხელოვნება ას თვით ცხოერება რად იქარგებოდა?

453. რა საწყენია, ადამიანი გამოცდილებას რაც უფრო იძენს, ახალგაზრდობა თანდათან რომ ხელიდან მისდის. ასე რომ არ იყოს, ცხოერება, მართლაც, მშვენიერი იქნებოდა... ერთად შრომა და ერთად ფიქრი, – ჯერჯერობით ბრწყინვალე აზრია. რაც დრო გადის, უფრო ერწყმუნდები, ყოველგვარი უბედურება, რაც მხატერებს სჭირთ, ერთმანეთში მტრობა რომ აქვთ, იმის ბრალია. მათ არ უნდათ, გაერთიანდნენ; დახმარების და მიმხრობის ნაცვლად, ატყუებენ ერთიმეორეს. ეჭვი სულაც არ მეპარება, თუ ჭკუას ოდნავ ძალას დაატანთ და ცოტა უფრო სხვანაირად მოეჭცეთ, ერთი წლის შემდეგ სწორ გზაზედაც გაეალთ და კარგადაც ეიქნებით.

დღეს კეირაა, თითქმის უკვე გაზაფხულდა. დილას დიდხანს ვისეირნე მარტოდმარტომ. მთელი ქალაქი გაეიარე, პარკს და ბულვარებს გაეუყვეი. ისეთი კარგი ამინდი იყო, სოფლად, ალბათ, ტოროლების პირველ გალობას გაიგონებდა ადამიანი. ერთი სიტყვით, ყველაფერში განახლება თუ აღორძინება იგრძნობოდა.

ირგვლივ კი ყველას უგუნებობა დაუფლებია, არც ერთი საქმე წინ არ მიიწევს! ჩემი აზრით, არ ეაჭარბებ, ეს უამრავი გაფიცეები და ა.შ. სერიოზულ სიმპტომად რომ მიმაჩნია. მომაეალ თაობებს, რა თქმა უნდა, ეს გაფიცეები არც ისე უსარგებლოდ მოეჩვენებათ, რადგან საქმე უკვე მოგებული იქნება. დღეს კი, ვინც ლუკმას შრომით შოულობს, გაფიცეა არცთუ ეადვილება. მით უმეტეს, რომ – ეს ადვილი მისახვედრია, – მდგომარეობა ყოველწლიურად კიდევ და კიდევ გართულდება. კოლიზია – მუშა ბურჟუას წინააღმდეგ – დღეს ნაკლებ როდია გამართლებული, ვიდრე წინა საუკუნეში კოლიზია – მესამე წოდება – დანარჩენი ორი წოდების წინააღმდეგ. გეორჩვენია, ჩუმად ვიყოთ: ბევრი ბურჟუას მხარეს როდია. ჯერ კიდევ ბევრს გადაეიტანთ, ვინაიდან დასასრული ახლოს არ არის. რამდენი ათასი განწირული ადამიანი ბორგაეს და შფოთაეს, გარეთ კი ასეთი გაზაფხულია!

ცხადია, ყველაზე მოურჯულებელ ოპტიმისტზე ნაკლებ არ ვხედავ, გაზაფხულის მშვენიერ დღეს უღრუბლო ცაში ტოროლა როგორ დალიეღლიებს. მაგრამ იმასაც კარგად ვხედავ, რომ გოგონა, რომელიც ოცი წლისაც ძლივს იქნება და ჯან-ღონით სავსე უნდა იყოს, უკვე ჭლექის მსხვერპლი გამხდარა. ალბათ, თავს წყალში დაიხრჩობს კიდეც, ვიდრე სენი მოერეოდეს. შეძლებულ ბურჟუებს შორის ყველაფერ ამას, ალბათ, არც ისე მტკივნეულად გრძნობ, მაგრამ როცა მრავალ წელს ჩემებრ გაჭირვებაში ხარ, ამას უკვე სიღატაკე ქვია. მდგომარეობის შველა თუ არ ძალგეიძს, თანაეუგრძნოთ მაინც ვიღაცას, ვიღაცისთვის გული მაინც შეგეტკიოდეს.

აი, თუნდ კორო – მეტისმეტად უშფოთველი ბუნების კაცი, რომლის-

თეისაც გაზაფხული გასაკუთრებულ საოცრებას წარმოადგენდა. განა უბრალო მუშასაით არ გაატარა მთელი სიცოცხლე? განა გული მუდამ მოყვასის თანაგრძნობით სავსე არ ჰქონდა? ერთმა ფაქტმა გამოაცხ: 1870–1871 წლებში ღრმად მოხუცი თუმც კრიალა ლაქვარდით ტკბობა ჯერაც შეეძლო, პოსპიტლებში დადიოდა, სადაც უამრავ სულიმობრძავე დაჭრილს უყურებდა. ილუზიები იმსხერეევა, მაგრამ რაც ჭეშმარიტად დიადია, მას ეერაფერი მიეკარება; დაეჭეება ყეელაფერში შეიძლება, ისეთ ხალხში კი, როგორიცაა კორო, მილე და დელაკრუა, ეჭეს ეერ შეიტან.

457. რაც აქ ეცხოერობ, სულ ერთ მოხუც ფრანგთან ემეგობრობ; მისი პორტრეტი დაეხატე კიდეც. ფერლატს მოეწონა და, რა თქმა უნდა, შენც გაჩეენებ. ამ საცოდავს, სიბერის გამო, ზამთრის გადატანა ჩემზე მეტად გაუჭირდა: ეერ არის ჯანმრთელად. დღეს იმ ექიმთან, ეისთანაც ადრე თეითონ ეიყაეი, ძალისძალად წაეიყეანე; საავადმყოფოში დაწოლა მოუწეევს, ოპერაცია დასჭირდება. ხეალ გადაწყდება ყეელაფერი. საწყალი ისე ნერეულობდა, ძლიეძლიეობით დაეიყოლიე, წამომყოლოდა საკუთარი განაჩენის მოსასმენად: იცოდა, რომ სერიოზულად იყო აეად, მაგრამ მაინც ეშინოდა, საავადმყოფოს ექიმის სდობა არ უნდოდა. არ ეიცი, როგორ დამთაერდება ეს ყეელაფერი. იქნებ მარტში ერთ-ორ დღეს კიდეე დაერჩე ამ ქალაქში, რათა მარტო არ დაეტოეო ეს საცოდაეი.

ბოლოს და ბოლოს, ცხოერებაში ადამიანზე საინტერესო არაფერია: რაც უნდა ბეერი ისწაელო, მაინც არ კმარა. ისეთი ოსტატები, როგორიცაა ტურგენეეი, დიდოსტატებად, აი, რატომ ითელებიან: ისინი დაეერეებას გეასწაელიან. თანამედროეე რომანები, დაწყებული, ეთქეათ, ბალზაკით, ყეელაფრისგან განსხეაედება, რაც მანამდე დაწერილა: დღეეანდელ რომანს მშეენიერებით არაფერი შეედრება. ტურგენეეი ახლა უფრო მაინტერესებს, როცა მასზე დოდეს სტატია წაეიკითხე; ამ სტატიაში კარგად არის ახსნილი და განმარტებული როგორც მისი შემოქმედება, ისე მისი ხასიათი. იგი იყო სანიმუშო ადამიანი: სიბერეშიც კი, თაეის საქმეში ჭაბუკი დარჩა; და ეს მხოლოდ იმის გამო, არასდროს რომ თეითკმაყოფილი არ ყოფილა და სულ იმის ცდაში იყო, უკეთესად ემუშაა.

458. ანტეერპენი, საერთოდ, ძალზე მომეწონა. რა თქმა უნდა, აჯობებდა, აქ იმ ცოდნით და გამოცდილებით აღჭურეილი მოესულიყაეი, რაც ამ ქალაქში შეეიძინე. მაშინ უთუოდ უკეთესად ეიქნებოდი, მაგრამ ეაი, რომ ახალ ადგილზე მუდამ იწყებ, როგორც ახალბედა. თუმც, იმედი მაქეს, ანტეერპენში კელაე დაებრუნდები: ყეელა, ეისაც კი თაეისუფალი შემოქმედებითი ცხოერება უნდა, თაეის სურეილს და მისწრაფებას ასე იოლად, ალბათ, ეერსად შეისრულებს. გარდა ამისა, ამ ქალაქში ათასგეარი ხალხი ირეება – ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები, ბელგიელები. ესე იგი, ნაირ-ნაირ ტიპებს ნახულობ. თუ ქეეყანაზე არის ქალაქი, ოდნაე მაინც პარიზს რომ ჰგაეს, ეს უთუოდ ანტეერპენია, არამც და არამც – ბრიუსელი. ჯერ ერთი, აქ თაეშეყრილია ყეელა ეროენების წარმომადგენელი; მეორეც – უამრავ საქმეთა ცენტრია; ხოლო მესამე – სიცოცხლით სავსე ქალაქია და გასართობი ადგილებიც ძალზე ბეერია.

ერთხელ კიდეე აწონ-დაწონე: ეერ მოეიფიქრებთ რაიმე ისეთ კომბინაციას, რომ პარიზში იენისამდე შეეძლო ჩამოსელა? ძალიან მინდა, ასე

მოხდეს: ეიცი, ძრაგალი მიზეზის გამო, რაც შესაძლოა უკვე საათქვამი მაქვს, ასე ავღობებს. მხოლოდ იმას დაეუმატებ, რომ უფრო გულდინჯად მოვიფიქრებთ, იესისისთვის სახელოსნო სად და როგორ ეიქირაოთ, თუ პარიზში ორიენსი ცოტა უფრო ადრე ეიქნებიო.

ანტონ ვან რაპარდს

1881 – 1885

პოლანდიელი ფერმწერი და გრაფიკოსი ანტონ ვან რაპარდი (1856–1892) 1880-1885 წლებში ვინსენტს მეგობრობდა. ის ერთადერთი კაცი იყო, თეოს გარდა, იმ წლებშივე რომ შეიცნო და სათანადოდ შეაფასა მისი ტალანტი. ბრიუსელში დაშეგობრდნენ 1880-81 წლების ზამთარში, როცა ვინსენტი ანტონ რაპარდის სასულოსნოში თითქმის ყოველდღე დადიოდა სამუშაოდ. რაპარდი პაიაის პერიოდშიც — „წესიერება" საზოგადოებამ ვან გოგს რომ ზურგი შეაქცია, — თავისი მეგობრის ერთგული დარჩა. მერე ვინსენტი რაპარდს თვითონვე ჩამოშორდა, რადგან მისმა შენიშვნებმა გააკვირვა, რაკი რაპარდი აკადემიზმის პრინციპებით აკრიტიკებდა მის ნამუშევრებს.

რ 1. *12 ოქტომბერი. 1881.* ეს-ეს არის, შესი გამოგზავნილი წიგნი მიეიღე – „გაეარსი – მხატვარი და პიროვნება". მადლობელი ვარ კარგია, რომ გაგახსენდა და დამიბრუნე. ჩემი აზრით, გაეარსი დიდი მხატვარია, რა თქმა უნდა, საინტერესო პიროვნებაც; ზოგჯერ ცდებიდა – ისე, როგორც თეკერეის და დიკენსის მიმართ, – მაგრამ ასეთი შეცდომები ყველას მოსდის. გარდა ამისა, როგორც ჩანს, სანობდა თავის შეცდომებს, რადგან შემდეგ მათ, ვისაც ადრე არც ისე კარგად ეპყრობოდა, თავის სურათებს უგზავნიდა. თეკერეიც ბალზაკს ასევე ექცეოდა, თუ არ ეცდები, უარესადაც, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ისინი მაინც მონათესავე სულის ხალხია. თუმც, ეს თვითონ არცთუ ისე კარგად იცოდნენ...



ეცადე, მალე შემატყობინო, ამ ზამთრისთვის რა გეგმები გაქვს. თუ ანტვერპენში, ბრიუსელში ანდა პარიზში გაემგზავრები, გზად უთუოდ შემოგეიარე; ხოლო თუ ისევ აქ დარჩები – ჰოლანდიაში, იმედი მაქვს, ხშირად შევხვდებით. ზამთარი აქაც ლამაზია და უსათუოდ ზოგ რამეს მაინც გაეაკეთებთ: თუ გარეთ ხატვას ვერ მოეახერხებთ, მაშინ მოდელზე ვიმუშაებთ: გლეხებთან შიხ ვიელით სახატავად.

ბოლო დროს მოდელს ხშირად ეხატები, რადგან ისეთი ხალხი მოეახე, პოზირებაზე უარს არასდროს მეუბნება. ათასნაირი ეტიუდი გაეამზადე მაქაცები, დედაკაცები, მბარაეები, მთესველები და ა.შ. ნახშირით და შავი ფასკრით ამჟამად ძალზე ბევრს ვმუშაობ; სეპიით და აკვარელით ხატვასაც ვცდილობ. ჩემს ნახატებს წინსვლა იქნებ ვერ შეამჩნიო, ცელილებას კი უთუოდ იგრძნობ...

გამიკვირდება, თუ ამ ზამთარს ეტენში მშვიდად მუშაობას არ მოისურვებ. მე პირადად ასე ვაპირებ – საზღვარგარეთ არაფრით არ გავემგზავრები. პოლანდიაში ჩამოსვლის შემდეგ მე ხომ საკმაო წარმატებას მივაღწიე, მარტო ხატვაში რომ ვამბობ, სხვა რამეშიც. პოდა, მინდა, ერთხანს ისევ აქ ვიმუშაო: ხაზღვარგარეთ – ინგლისში და საფრანგეთში, ბელგიაში – იმდენი წელი გავატარე, უკვე დროა, ცოტა ხანს ისევ ჩემს ქვეყანაში ვიცხოვრო და ვიმუშაო... ამ დღეებში, სანამ კიდევ ფოთოლცვენაა, თუ ჩემთან ჩამოხვალ, რაიმე კარგის გაკეთებას ერთ კვირაშიც მოახერხებ. თუ გადაწყვეტ და მართლა ჩამოხვალ, ყველანი ძალზე გაიხარებთ.

რ 2. *15 ოქტომბერი, 1881.* მაშ, უკვე სერიოზულად გადაწყვიტე შიშველი ნატურის სახატაოდ ბრიუსელში შობამდე ჩასვლა? რა გაწყობა, ყველაფერი გასაგებია, განსაკუთრებით, როცა ასეთ გუნებაზე ხარ. პოდა, წადი, ამას გულშეშვიდად გეუბნები. მოსახდენი მაინც მოხდება. თუ ორიოდ დღეს ეტენში დაყოფ, საკუთარი საქმის ღალატი არ იქნება, პირიქით, ამით მოეალეობას აღასრულებ: აქ ჩვენ უქმად არ ვისხდებით. თუ მოისურვებ, ფიგურაზე მუშაობასაც მოახერხებ. არ მაგონდება, ვგონებ, გითხარი: პრინსენკაგში ბიძაჩემმა როცა წერილში შენს პატარა ჩანახატებს თვალი შეაელო, მოიწონა და სიამოვნებით აღნიშნა კიდეც, ფიგურის ხატვაც უსწაელია და პეიზაჟის ხატვაშიაც წინ წასულაო...

ჩემი აზრით, ჯერჯერობით საჭიროა, ჩაცმულ მოდელზე იმუშაო. ეჭვი არ არის, შიშველ მოდელსაც შესწაელა უნდა, თანაც უთუოდ საფუძვლიანად თუმც ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ჩაცმულ ფიგურებს, – თუ აპირებ, ბოდრის, ლეფევრის, ვესნა და სხვათა მრავალთა გზას დაადგე, ვინაც თავის სპეციალობად შიშველი ნატურა გამოაცხადა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ შიშველი ნატურის შესწაელას უნდა ეცადო. თავს რაც უფრო შეეიღუდავ, გულისყურს და ყურადღებას მარტოოდენ ამ საქმეზე შეაჩერებ, უკეთესია. მაგრამ რაღაც არა მგონია, ასეთი გზა აირჩიო: ამის გარდა, ბევრ რამეს გრძნობ და ერთობ ღრმადაც. ქალი, რომელიც მინდორშია და კარტოფილს იღებს, მბარაეი, მთესველი, ქალიშვილი – შინ თუ გარეთ – ისე მოგწონს, არა მგონია, მოისურვო, ეს ყველაფერი სხვანაირად გაიაზრო და არა ისე, როგორც აქამდე. ფერს ერთობ ღრმად გრძნობ, ტონის აღქმა მეტისმეტად ფაქიზი გაქვს, პეიზაჟების ხატვაც გიყვარს; ესე იგი, საიმისო არაფერი გჭირს, რომ ბოდრის კვალს გაჰყვე. მაგრამ მაინც გამიხარდა, შიშველი ფიგურების ისეთი ლამაზი ეტიუდების დახატვა რომ შეგძლებია, როგორიცაა, მე რომ ვნახე, ის ორი დიდი ეტიუდი: მწოლარე ყაეისფერი ფიგურა და ერთიც მჯდომარე. ამდაგვარი ფიგურების დახატვაზე უარს თავადაც არ ეიტყოდი. რასაც ეფიქრობ, გულახდილად გეუბნები, შენც, შენდათავად, სწორედ ასე უნდა მოიქცე.

მთესველზე რომ შენიშვნას მაძლევ: „ეს კაცი არ თესავს, იგი მთესველის პოზაში დგასო“, მართალი ხარ. მაგრამ ჩემი ახლანდელი ნამუშევ-

რები მხოლოდ მოდელის ეტიუდებად მიმაჩნია და სხვა პრეტენზია, ცხადია, არ მაქვს. მთესველის ფიგურის ისე დახატვას, რომ ის თესავდეს, ალბათ, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოვახერხებ — ანდა იქნებ რამდენიმე წელიც დამჭირდეს, მართალი ხარ.

იწერები, ორი კეირაა, ვერაფერი გაგაკეთეო. მაგდაგვარი პერიოდები, რა თქმა უნდა, მეც მქონია: შარშან ზაფხულს, როცა ნახატზე უშუალოდ ვერ ემუშაობდი, ასეთი რამ მეც დამემართა. ამ დროს ერთგვარ მეტამორფოზას განიცდის კაცი.

ვნახე მესხგაგის „პანორამა“. მხატვარ დე ბოკთან ერთად ვიყავი; მათ ეს სურათი ერთად დახატეს. დე ბოკმა მითხრა, ამ სურათის დამთავრებას რა ინციდენტიც მოჰყოლია და ეს ძალზე სასაცილოდ მომეჩვენა.

მხატვარი დესტრე გაგიგონია? ჩვენში დარჩეს და, მისი მხატვრობა პირწავარდნილი დაშაქრული პედანტიზმის მაგალითია. პოდა, ერთხელ ეს ვაჟბატონი თურმე დე ბოკთან მივიდა და ქედმაღლურად, მოწყალედ და მაღალფარდოვნად განუცხადა: „იცით, დე ბოკო, ამ პანორამის დასახატავად მეც მიმიწვიეს, მაგრამ ეს ისეთ ანტიმხატვრობად მივიჩნიე, უარი ვთქვიო“, .რაზედაც დე ბოკს უპასუხია: „ბატონო დესტრე, რა უფრო ადვილია, პანორამის დახატვა, თუ უარის თქმა მის დახატვაზე? რა უფრო პგავს მხატვრის საქციელს — დახატვა თუ არდახატვა სურათისა?“ ეფიქრობ, კარგად უპასუხია.

ჩემი ძმისგან სასიამოვნო ამბები ისმის. თეო მხურვალე სალამს გითვლის. მისი ნაცნობობა დააფასე და ზოგჯერ მისწერე. ენერგიული და ჭკვიანი კაცია, დასანანია, რომ მხატვარი არ არის. თუმცა, თავად მხატვრებისთვის ასეთი ხალხი საჭიროა. კარგად რომ გაიცნობ, თავად დარწმუნდები.

ერთ ლექსს ვეძებ. თომას პუდისა უნდა იყოს: „სიმღერა პერანგზე“. შემთხვევით ყური ხომ არ მოგიკრავს? იქნებ მიშოვო...

ჩემო რაპარდო, გულით გირჩევ, არსად წახვიდე. თუმც, შესაძლოა, ჩემთვის უცნობი, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი გაქვს, შენს გეგმებზე ხელს რომ არ იღებ. მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებდით, ჩემი აზრით, შენ, ვითარცა პოლანდიელი, პოლანდიურ ინტელექტუალურ გარემოში გაცილებით შინაურულად, გაცილებით თავისუფლად იქნებოდი და ჩვენი ქვეყნის ხასიათის შესაბამისად მუშაობა (ფიგურის ხატვა თუ პეიზაჟის) მეტსა და ნამდვილ სიამოვნებას მოგანიჭებდა, ვიდრე მხოლოდ შიშველი ფიგურის ხატვაში დახელოვნება.

თუმც ბოდრი მიყვარს, მიყვარს სხვებიც, მაგალითად, ლეფევრი, ენე, — მათ უსათუოდ ჟიულ ბრეტონი, ფეიენ პერენი, მილე, ულის ბოუტენი, მაუვე, არცი, ისრაელსი და ა.შ. მირჩევნია. ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ კარგად ვიცი, შენც იგივე აზრისა ხარ. შენ, რა თქმა უნდა, ხელოვნების სხვადასხვა დარგში საკმაოდ ბევრი გაგეგება; მაგრამ, იცოდე, .არც მე მინახავს შენზე ნაკლები. მე, ასე ვთქვათ, ახალბედა ვარ მხოლოდ ხატვის, ფანქრით ხატვის ხელოვნებაში, მაგრამ ამის მიუხედავად, ხელოვნების საკითხების არც ისე ცუდი განმსჯელი ვარ. ამიტომ თავს იოლად ნუ აარიდებ იმ ორიოდ აზრს, რომელსაც გიზიარებ; ჩემი აზრით კი, ორიენტირის ყველაფერს სჯობს, ნატურა ეხატოთ პოლანდიაში (ფიგურაც და პეიზაჟიც). აქ ჩვენ თავისთავადნი ვართ, შინ ვართ, ჩვენსავე

სტოქჰოლმში. რაც მეტს გაეიგებთ, საზღვარგარეთ რას აკეთებენ, უკეთესია, მაგრამ სურასდროს დაეიეიწყებთ, რომ უნესები ამოლანდიის მიწაში გეიდგას.

რ 3. *2 ნოემბერი, 1881.* გამიხარდა, ბინა რომ მალე გიშოვია და აკადემიის გუერდით ცხოერობ. იმაზე კი, რასაც არ ამბობ, მაგრამ რაიც შენი ბარათის სტრიქონებს შუა ამოეიკითხე, აი, რას გეტყეი: „სისულელედ“ სულაც არ მიმაჩნია, ზემონახსენებ ტაძარში შენელა რომ განგიზრახაეს; პირიქით, ეს ბრძნული აზრია, იმდენად ბრძნული, მინდა, გითხრა – მეტისმეტად ბრძნული-მეთქი. ჩემი აზრით, ბეერად სჯობდა, აქედან არსად წასულიყაეი და ეგ შენი ექსპედიცია ჩაშლილიყო; მაგრამ რაკი გაემგზაერე, სულითა და გულით გისურეებ წარმატებას. მიუხედაად ყეელაფრისა, მჯერა კიდეეც წარმატებისა. აკადემიაში თუნდ გულმოდგინედ დადიოდეთ, არც შენ და არც სხეებს „აკადემიკოსებად“ არ მიგიჩნეეთ – ამ სიტყეის დამამცირებელი მნიშენელობით. ცხადია, პედანტი არ მგონიხარ – ხელოენების ფარისეელი, ისეთი კაცი, როგორიც „კეთილი“ სტალარტია.

შენი ჭირიმე, ფანატიკოსად ან ახირებულ ადამიანად არ ჩამთეალო. ცხადია, როგორც ყოეელ ჩეენგანს, ცოტაოდენი სიმამაცე მეც გამაჩნია, რათა ეისიმე მხარეზე დაედგე: ცხოერებაში, გინდა არ გინდა, ზოგჯერ მოგიწეეს, სწორედ ის თქეა, რასაც ფიქრობ; გულახდილად იტყეი შენს აზრს, ხოლო მერე დაიცაე კიდეც. მაგრამ რაკი ყოეელთეის ეცდილობ, ყეელაფერში უპირეელესად, რაც კარგია, ის დაეინახო და მხოლოდ შემდგ შეეამჩნეე ხოლმე ცუდ მხარეებსაც – თანაც ძალზე უწადინოდ, – გაებედავ, ეთქეა, რომ თანდათანობით თაეისუფალ აზრებსა და დიდსულოენ შეხედულებებს შეეიმუშაეებ, – თუ ეს უკეე ასე არ არის. ამიტომაც შეხეედრა ისეთ ადამიანთან, ეისაც ჰგონია, არასოდეს არ ეტყუიეარო, და მოითხოეს, ყეელაფერში გაამართლონ, „ქაცთა ყოფის წერილმანად“ მიმაჩნია; ამიტომეე ნაკლებად მწამს საკუთარი უცოდეელობა და, საერთოდ, უცდომლობა და უცოდეელობა ქაცთა მოდგმისა.

შენც, ჩემი აზრით, ცხოერებასა და, განსაკუთრებით, ხელოენებაზე დიდსულოენ, თაეისუფალ აზრებს ესწრაფეი. ამიტომაც, არც ზნეობრიეი, არც მხატერული თეალსაზრისით, ფარისეელად არ მიმაჩნიხარ. მაგრამ რაც უნდა უსპეტაკესი ზრახეები გექონდეს, საბოლოოდ სრულქმნილები არც ჩეენა ეართ და შეცდომებიც ხშირად მოგედის. ამას გარდა, ეითარებას და გარემოებას ჩეენზე დიდი ზეგაელენა აქეს. პოდა, თაეის მოტყუება იქნებოდა, თუ ეიფიქრებდით, საკუთარ ფეხზე მტკიცედ ედგაართ და წასაქცეეი არა გეჭირს რაო. ეფიქრობთ, რომ საკუთარ ფეხზე მტკიცედ ედგაართ, მაგრამ ეაი ჩეენდა, თუ უჭკუო სითამამეს გამოეიჩენთ და არ გაეფრთხილდებით, რაკი გეჯერა (ცოტაოდენი საფუძეელი კიდეეც გეაქეს ასეთი რწმენის), გარკეეული ღირსებები გაგეაჩნიაო. გადაჭარბებული შეფასება იმ სიკეთისა, რაც გაგეაჩნია (თუკი მართლა გაგეაჩნია), ფარისეელებად სულ იოლად გადაგეაქცეეს.

როცა აკადემიაში ან სადმე სხეაგან შიშეელი მოდელის ენერგიულ ეტიუდებს აკეთებ ხოლმე, აი, ისეთებს, მე რომ მაჩეენე, ან როცა მე ეხატაე ადამიანებს, რომლებიც მინდერად კარტოფილის ამოღებაზე მუშაობენ, მშეენიერ სურათებს ექმნით, რის წყალობითაც წარმატებას მოეიპოეებთ; მაგრამ ეფიქრობ, განსაკუთრებით უნდიბლად და ფხიზლად უნდა მოეეკიდოთ საკუთარ თაეს სწორედ მაშინ, როცა შეეამჩნეეთ, რომ

უკვე სწორ გზას დაადექით. ასეთ დროს შენს თავს ეს უსდა უთხრა: „ჩემთვის ახლა საჭიროა დიდი სიფრთხილე, ვინაიდან ის კაცი ვარ, ვისაც ძალუძს, საკუთარი დაუდევრობით ყველაფერი წაახდინოს სწორედ მაშინ, როცა საქმე კარგადაა"; როგორ გაერფიხილდეთ, ბუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ ვიცი, ბემოხახსენებულ შემთხვევაში უსათუოდ ფრთხილად უნდა მოიქცეს კაცი, ეს შევიცანი მწარეზე მწარე გამოცდილებით, საკუთარი ტანჯვისა და სირცხვილის ფასად...

ამგვარად, რაკი გადაწყვიტე, შიშველი მოდელის სახატავად აკადემიას მიაშურო, მხარს გიჭერ, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ კარგად ვიცი, თავს წმინდანად არ წარმოიდგენ, როგორც ვინმე ფარისეველი და იმას, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, არარაობად არ მიიჩნევ. ამ რწმენამდე კი მიმიყვანა არა შენმა ლაპარაკმა, არამედ შენმა ნამუშევრებმა, და რაც დრო გადის, მით უფრო მჯერა, ეს რომ ასეა... მაგრამ მაინც ვისურვებდი, ისევ ჩაცმული, ჩვეულებრივი ხალხი გეხატა. სრულიად არ გაგიოცებდი, თუ წარმატებას სწორედ ასეთი ხალხის ხატვით მოიპოვებდი: მე ის კლერკი ძალიან ხშირად მაგონდება, ვისი პორტრეტიც სწვალული და ღირსეული შამა კამას ქადაგების დროს ჩაიხატე, მაგრამ მას შემდეგ, ეგონებ, ასეთი აღარაფერი დაგიხატავს, რაც მეტისმეტად დასანანია. იქნებ შემთხვევით გამოსწორდი და იმის ნაცვლად, რომ მთელი გულისყურით მქადაგებელს და მის მსმენელებს აკვირდებოდე, ქადაგებას ისმენ ხოლმე?

რ 4. *12 ნოემბერი, 1881.* რაკი აქამდე შენი წერილი არ მოვიდა, გადავწყვიტე: ალბათ, რაპარდს არ ეამა, რასაც ბოლოს ეწერდი-მეთქი: როგორც ჩანს, რაღაც ისეთი მოგწერე, ცუდ გუნებაზე დაგაყენე. რას იზამ? მაგრამ თუნდ ასე ყოფილიყო, განა გიხდება ეს საქციელი? ყოველთვის, ალბათ, ვერ მიეხვდები, სწორია თუ არასწორი, დროულია თუ არადროული ჩემი შენიშვნა, მაგრამ ერთი კი სამდვილად ვიცი: წერილებში რაგინდ მკეახედ, რა უხეშადაც უნდა მოგმართო, ისე მომწონხარ, როცა ჩემს ბარათს წაიკითხავ და მერე მშვიდად გადაიკითხავ, უთუოდ იგრძნობ: იმ კაცს, შენთან აი, ასე რომ ლაპარაკობს, შენი მტრობა არ განუზრახავს. და თუ ეს იცი, არ შეიძლება, არ შეუნდო ან არ ჩაყლაპო ის ზოგიერთი, დაე, ოდნავ უხეში თუ მკეახე გამოთქმა, რომელიც მერე, შესაძლოა, ნაკლებად მკეახე, ნაკლებ უხეში მოგეჩვენოს.

როგორ გგონია, რატომ გწერ ასე ან შენთან ასე რად ელაპარაკობ? ნუთუ შენი მახვში გაბმა განმიზრახავს, მაცდური ვარ და მგლის ორმოში მოვინდომე შენი ჩაგდება? ანდა პირიქით, იქნებ ერთობ საფუძვლიანი მიზეზიც მაქვს, ასე ვიფიქრო: „რაპარდი ძალზე ლიპ ყინულზე ცდილობს-მეთქი გასვირნებას"? მშვენიერად ვიცი, ისეთი ხალხიც მოიძებნება, ლიპ ყინულზე არათუ მხოლოდ ყოჩაღად დგას, მალაყებსაც გადადის ხოლმე; შენ კი, თუნდ ფეხზე ყოჩაღად იდგე (არ ვამტკიცებ, არ დგახარ-მეთქი), ლიპ ყინულზე სვირნობას, პირველია, მოკირწყლულ გზაზე ანდა ბილიკზე დადიოდე.

გთხოვ, არ გაბრაზდე, ეს წერილი მაინც ბოლომდე წაიკითხე; ხოლო თუ მართლა გაბრაზდები, ვიდრე დახვედე, ჯერ ათამდე დაითვალე: ერთი, ორი, სამი, ოთხი და ა.შ. ეს ამშვიდებს ადამიანს, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, მართლაც, საშინელი რამ უნდა გითხრა, აბა, მისმინე: აკადემიის კედლებში კი ხარ, მაგრამ ვიცი, გულდაგულ ცდილობ, ნამდვილ რეალიზმს მიაღწიო; თუმც თავადაც არ იცი, რომ ეს



ასეა. აკადემიის კედლებშიც კი უხათუოდ რეალიზმის მხარეს იქნები. შეუმჩნეველად აკადემია შენთვის უკვე ახეზარ საყვარლად გადაიქცა, შენს გულში რომ წის ელობება უფრო მხურვალე, სერიოზული, საყოფიერი, ლამაზი გრძნობის გაღვივებას. მოდი, უშაკებს გაატანე ეს საყვარელი და თავდაყირაობით შეიყვარე შენი სატრფო, შენი სამდვილი სიყვარული ქალბატონი სატურა თუ რეალობა.

დამიჯერე, მეც ასეე თავდაყირაობით შემიყვარდა ეს მშვენიერი ქალბატონი და მას შემდეგ უაღრესად ბედნიერი ვარ; თუმც, ჯერაც ვერ დაეიმორჩილე, ჯერაც არ ეუნდივარ; თუ საღრეჯად ვეცდები ხოლმე მის დაუფლებას, ძალზე ხშირადაც ეიწიხლები. მაშასადამე, ვერ ეიტყვი, რომ მისი გული უკვე დიდი ხნით მოეიპოვე, მაგრამ ებედავ იმის მტკიცებას, ეეარშიყები და ეცდილობ-მეთქი მისი გულის გასაღების მოპოვებას, მიუხედავად ფრიად მკვახე პასუხებისა. არ იფიქრო, თითქოს მხოლოდ ერთი იყოს ქვეყანაზე ქალი, რომელსაც სახელად აქვია ქალბატონი სატურა თუ რეალობა. არა, ეს მხოლოდ გვარი გახლავს სხვადასხვა სახელის მქონე დების ოჯახისა. მაშ, მე და შენ მეტოქენი არ ვიქნებით.

გასაგებია, ჩემო კარგო? რა თქმა უნდა, ეს არის წმინდა ალეგორია, სხვა არაფერი. პოდა, ასე. ჩემი აზრით, საყვარელი შეიძლება ორგვარი გყავდეს. როცა პირველი სახის საყვარელი გყავს, ყოველ წუთს გრძნობ, რომ ან შენ ან მას – ანდა იქნებ ორივესაც, – სამდვილი გრძნობა არ გაგაჩნიათ და ამიტომ გატაცებას მთლიანად, უსიტყვოდ, დაუფიქრებლად ეეღარ ეძლევი. ასეთი საყვარელი კაცს აძაბუნებს: ტყუილუბრალოდ ეპირფერება და ამით იოლად წაახდენს ხოლმე. იგი ფრთებს აკეეცს ბეერ მამაკაცს. მეორენი მათ არ ჰგვანან. ისინი არიან ფარისეელები, იეზუიტნი! მარმარილოსგან გამოკეთილნი! სფინქსები! ციესისხლიანი ასპიტები! მათ ხომ კაცის სამუდამო დამონება, სამუდამოდ ხელფეხის შეკვრა განუზრახავთ! თავად კი სრული მორჩილებით არასოდეს გიპასუხებენ. ასეთი საყვარლები ეამპირთაგან აღარაფრით განსხვავდებიან: ისინი კაცს ქვად და ყინულად გადააქცეეენ.

უკვე გითხარი, არა, ძმობილო, რომ ყველაფერს ალეგორიული გაგებით ეამბობ? პოდა, აი, პირეელი სახის საყვარლები, მამაკაცებს ფრთებს რომ აკეეცენ, ხელოენებაში იმ მიმართულებას მაგონებენ, რომელიც მერე ბანალობად იქცეეა ხოლმე. მეორე სახის საყვარლები კი ფარისეელები, ქვად და ყინულად რომ აქცეეენ ადამიანს, აკადემიურ რეალობას

მაგოსებენ, ასდა, თუ გსურს, აბი დაეატკბო – აკადემიურ არარეალობას; თუმც, შაქარი აბს მაინც არ აეკერება და თხელ ფენაში ვაითუ მაინც შეამჩნიო. აბი, ცხადია, მწარეა, მაგრამ, საშაგიეროდ, მარგებელია ქინაქინაა. გესმის, ძმობილო?

მაგრამ, ღვთის მადლით, ამ ორ ქალს გარდა, სხვებიც არიან ქვეყანაზე – ქალბატონი ნატურისა და რეალობის ოჯახის წევრნი. თუმც ერთერთი იმათთაგანის მოპოვება უდიდეს სულიერ ბრძოლას საჭიროებს. ისინი ჩვენგან მოითხოვენ არც მეტს, არც ნაკლებს – მთელ სულსა და გულს, მთელ ჩვენს გონებას, სულითა და გულით სიყვარულს. მარტოოდენ ამ პირობით თუ გახდებიან ჩვენი მორჩილნი. „უმანკონი, ვითარცა მტრედნი და გონიერნი, ვითარცა გველნი" (მათე X,16), წრფელსა და ყალბს ერთმანეთისგან კარგად არჩევენ. ქალი ნატურა, ქალბატონი რეალობა კაცს განაახლებს, ხალისს ანიჭებს, აცოცხლებს და ასულდგმულებს!

არის ხალხი – და ჩვენც, ალბათ, მათ რიცხვს ვეკუთვნით, ჩემო რაჰარდო, – როცა ნამდვილად შეუყვარდებათ, მარტო მაშინღა მიხვდებიან: თურმე მანამდე პირველი და მეორე სახის საყვარლები პყოლიათ მხოლოდ; ამაევ დროს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ორიეე სახის წარმომადგენლებს კარგად იცნობენ. ერთი სიტყვით, თანახმად ჩემი ალეგორიისა, შენ ამჟამად ისეთ საყვარელს გადაჰკრიხარ, რომელიც გვინაეს, სისხლსა გწოვს და შენი ქვად ქცევა განუზრახაეს. ამიტომაც გეუბნები, მეგობარო, ამ მარმარილოს ქალის მკლაეებს (თაბაშირის რომ იყოს, მერე?) თაეი უნდა დააღწიო, თორემ უთუოდ გაიყინები.

გახსოვდეს ერთი ჭეშმარიტება: თუნდაც მართლა მაცდური ეიყო და ორმოს გითხრიდე, შესაძლოა, ეს ჩვენი ორმო ჭა გამოდგეს, სადაც მხოლოდ ჭეშმარიტება დაეანებულა. ასე, ძმობილო, შენი საყვარელი უსათუოდ მოგატყუებს, თუ მის მონად გადაიქცევი. მოდი, ეშმაკებს გაატანე მაგისი თაეი. ამას რაც უფრო მალე იზამ, უკეთესია. მაგრამ ისეე გიმეორებ, რაც გითხარი, ისე გაიგე, როგორც წმინდა ალეგორია...

ერთი ნახატი გაეაკეთე – „საუზმე" ქვეია: მუშა ისეენებს, ყაეას სეამს და ახლა პურის მოჭრა უნდა. გეერდით, მიწაზე, ბარი უდევს, მინდვრიდან რომ წამოუღია.

და მაინც, ჩემო მეგობარო, ქალი, რომელიც, როგორც შენი ნათქვამიდან ჩანს, შეგყვარებია და რომელიც ჯერჯერობით შენს იდეალს წარმოადგენს, ერთობ ციეია. იგი სწორედ ისეთია, მე რომ მეგონა: მარმარილო, თაბაშირი ანდა, სულ ცოტა, მთეარეული, ერთი სიტყვით, ყეელაფერი, გარდა ცოცხალი არსებისა. შენ ამტკიცებ: იგი ზეციდან მოგეეელინაო, ყეელგან არისო, სილამაზის და სიდიადისკენ, სიმაღლისკენ ისწრაფისო. მადლობა ღმერთს, გულწრფელი ხარ და უნებურად მეთანხმები: მე რომ ფარისეელებს ეძახი, შენი სატრფო სწორედ ერთი იმათგანია. დიახ, საეხებით სწორად აღწერე, მაგრამ რარიგ ფარისეელი, რა პირფერია ეს ლამაზი ქალბატონი და შენც რარიგ შეგყვარებია! დასანანია, დასანანი!

„ვინ ბრძანდებით, ქალბატონო"? – „სილამაზე და სიდიადე". – „გასაგებია, მშეენიერო და დიადო ქალო, ალბათ, მიგაჩნიათ, რომ ასეთი ხართ. ოღონდ მითხარით, ნუთუ მართლა ასეთი ხართ? სიამოენებით გეთანხმებით, რომ გარკეეულ მძიმე წუთებში, ეთქეათ, რამე დიდი მწუხარების ანდა დიდი სიხარულის ჟამს, კაცს შეუძლია თაეი ლამაზ, ამაღლებულ ადამიანად წარმოიდგინოს; იმედი მაქეს, მეც შემიძლია ამ

თეისებების დაფასება. მაშ, ყველაფრის მიუხედავად, რატომა ვარ თქვენ მიმართ ასე გულგრილი და უსომოდ ცივი? სქელკანიანი არ უნდა ვიყო, ეს კარგად ვიცი: ბევრი ქალი შემხვედრია, ხშირად, მართლაცდა, ულამაზო, არცთუ მაღალი სულის პატრონი, მაგრამ მაინც მოეხიბლულვარ. თქვენ კი სრულიად ვერ მომხიბლეთ. აღამიანს არ შეშვენის თავის ხელობად სილამაზე და სიდიადე აირჩიოს!

ქალბატონო, მე თქვენ სულაც არ მიყვარხართ; გარდა ამისა, არ მჯერა, რომ სიყვარული შეგიძლიათ, თუ ლაპარაკი აკადემიურ ლაქვარდებში სიყვარულზე კი არ იქნება, არამედ სამდვილ სიახლოვეზე საღმე ბუჩქებში ანდა საკუთარ კერიასთან. არა, ჩემო ქალბატონო სილამაზეც და სიდიადეც, თქვენ სამდვილი სიყვარულისა არაფერი გაგეგებათ. ხედავთ, მე მხოლოდ კაცი ვყოფილვარ, პოდა, ენებებიც მხოლოდ კაცისა გამაჩნია: ვიდრე „ამქვეყნად“ დავიარები, ვიდრე ფეხი მიწაზე მიდგას, ზეციური და მისტიკური სიყვარულისთვის არ მცალია, რამეთუ უფრო მიწიერი და წრფელი გრძნობებით სავსე გული მაქვს. გამოგიტყდებით, სილამაზე და სიდიადე მეც მჭირდება, მაგრამ ამაზე მეტად მჭირდება რაღაცა სხვა, ვთქვათ, სიკეთე, სინაზე და თანაგრძნობა. გაგაჩნიათ ეს ყოველივე, მშვენიერო ფარისეველო? რაღაც ეჭვი მეპარება. გარდა ამისა, გეთაყვა, თქვით, სული და ხორცი მართლა თუ გაქვთ? ღმერთმანი, ესეც საეჭვოა.

ყური მიგდეთ, მშვენიერო ქალბატონო, ვინც ამტკიცებთ, თითქოს თქვენი სანუკვარი მისწრაფებანი სილამაზე და სიდიადეა (თუმც, სილამაზე, ისევე როგორც სიდიადე, შეიძლება მარტოოდენ შედეგი იყოს მისწრაფებათა და არა თავად მისწრაფება), საიდანაც არ უნდა იყოთ მოელენილი, ცოცხალი ღმერთის წიაღში არ ჩასახულხართ, მით უმეტეს – ქალის მუცელში. სფინქსო, ახლავე წადი აქედან, ახლავე წადი, რამეთუ შენ ხარ მხოლოდ და მხოლოდ გამონაგონი, შენ არ არსებობ. მაგრამ თუ მართლა არსებობ, თუ მართლა ვინმემ გაგაჩინა, კარგად იცი, რომ ის შენი წინაპარი სიცრუის მამა – სატანა – არ იქნებოდა? გველს თუ იქედნეს იმაზე ნაკლებ როდი პგავხარ, ვიდრე ის პგავს, ჩემო ლამაზო, ჩემო დიადო ქალბატონო... შეეკითხე, კეთილია? არგია ვინმეს? უყვარს ვინმე? ან სჭირდება კი სიყვარული? ის შეცბუნდება და თუ – „დიახო“, – გიპასუხებს, მაშ, იცრუებს.

მაგრამ მეორე, ის, ვინც არ პგავს ზემოაღნიშნული მისწრაფებების მქონე ქალბატონს, საიდან გაჩნდა? მე ამ ქალის ღვთაებრივი ბუნებისა და უკდავების უარყოფა არც მიფიქრია. მწამს, ეს ასეა და, პირველ რიგში, სწორედ ეს მწამს. ამავე დროს კი, ის საესებით მიწიერი არსებაა, იგი ქალია, ქალად შობილი.

სადა აქეს ბინა, სად არის მისი სამკვიდრებელი? მშვენიერად ვიცი – თითოეული ჩვენგანის გვერდით. რა და როგორი მისწრაფების პატრონია? ვიცი რამე ამის შესახებ? ან როგორ აეხსნი მის მისწრაფებებს? გაჩუმება აჯობებდა, მაგრამ რაკი ეს არ იქნება, მაშ, ვიტყვი, რომ, ჩემი აზრით, ამ ქალბატონის მისწრაფებანი ასეთია: უყვარდეს ვინმე და თვითონაც ვინმეს უყვარდეს, ცოცხლობდეს და სიცოცხლეს სხვასაც ანიჭებდეს, შეეძლოს სხვისი განახლება, სხვისი აღდგენა, სხვისთვის ხელის შეშველება, გზნება, ანთება – გზნებისა და ანთების წილ, რაც მთავარია – სიკეთის ქმნა, რგება კაცისა, თუნდაც კერაში ცეცხლის

დასთება; შეეძლოს, იუსდაც სულ მცირედი რამ კარაქიანი პური მაინც მიაწოდოს პატარას და ავადმყოფს – წყალი!

მაგრამ ესეც ხომ ლამაზია და აძაღლებული! დიახ, ასეა, თუმც, ეს სიტყვები მან არ იცის; უფრო მეტიც, მიაჩნია, რომ ეს ბუნებრივი საქციელია, ამას განგებ არ აკეთებს, საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი არ განუზრახავს; ჰგონია, რომ ყურადღებას არავინ აქცევს. როგორც ხედავ, არც ისეთი ბრწყინვალე და დახვეწილია მისი „მსჯელობა“. სამაგიეროდ, გრძნობები აქვს მუდამ ნამდვილი. გონებას არა, გულს ეკითხება, რა არის მისი მოვალეობა.

დოგმების გამო შენთან კიდევ ბევრი მაქვს სადაო, მაგრამ ამჯერად რაკი ჩემი უმთავრესი, განსაკუთრებით საძულველი შენი ზემონახსენები საყვარელია, ამ დოგმებს უკეე თავს ვანებებ. ვფიქრობ, თუკი მაგ შენს ქალბატონ სილამაზეს და სიდიადეს მოიშორებ, იმ მეორეს კი შეიყვარებ, ახალი გრძნობა თავსა და გულში სულ სხვანაირ დოგმებს გაგიჩენს. ზოგი რამ კი მაფიქრებინებს, რომ ეგ შენი ქალბატონი სილამაზე და სიდიადე რაც უნდა გიყვარდეს, მასთან დიდხანს მაინც ვერ გაძლებ, თუ, რა თქმა უნდა, არ გაგყინა, ქვად არ გაქცია, არ დაგიმონა. მაგრამ რაღაც არა მგონია, ეს მოახერხოს, საამისოდ მეტისმეტად საღად აზროვნებ. აბა, გაფრთხილდი: არ დაგაყინწყდეს, გათბი ხოლმე (ცოტა არ იყოს, საშიშია მაგ გამყინავი ქალბატონის სიახლოვე), ეცადე, ხშირად ისვირინო (განსაკუთრებით, თუ იგრძნობ, რომ უკეე ქვაედები). ერთი სიტყვით, შეგახსენებ: სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. ჩემს ნათქვამზე ნუ გაბრაზდები – დაეუმატებდი, ისევ შენსავე სასიკეთოდ ასე სჯობს-მეთქი, მეტისმეტად აკადემიურ გამოთქმად რომ არ მიმაჩნდეს.

რ 5. 21 ნოემბერი, 1881. ამჯერად უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ: მწერდი, ტენ კატეც სწორედ იმაზე მელაპარაკა, რაზედაც შენო; ძალიან კარგი! მაგრამ თუ ეს ის კაცია, მე რომ ერთხელ ორიოდ წუთით შენთან ენახე სახელოსნოში, არა მგონია, ერთნაირი აზრები გექონდეს. ერთი ჩია კაცუნაა, შაეი თმა აქვს, შაეი თუ არა, მუქი მაინც, ტანსაცმელიც შაეი აცვია, ასე არ არის? მე ჩეეკად მაქვს, კაცს გულმოდგინედ ეაკეირდები, რათა მის სულს ბოლომდე ჩაეწვდე. მაგრამ მაგ შენს ბატონ ტენ კატეს სხვა დროს აღარსად შეეხვედრიეარ, ესე იგი, ერთხელ მეტად არ მინახავს – თუკი ამას შეიძლება, ნახვა დაერქვას, – და ისიც მხოლოდ ორიოდ წუთით. ამიტომ მასზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი. თუ ზოგი რამ ისეთი გითხრა, რასაც მეც ვამბობ, ამას რა სჯობს. შენი პასუხი, კაცმა რომ თქვას, სანახეერო პასუხია ჩემს წერილზე, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ. ვფიქრობ, ოდესმე პასუხს უთუოდ ბოლომდე გამცემ – მაგრამ ეს მალე არ მოხდება, – და ეს მეორე ნახევარი პასუხისა იმაზე უფრო გრძელი იქნება, ახლა რომ მწერ, ბევრად უფრო დამაკმაყოფილებელი.

ერთ მშვენიერ დღეს, ვთქვათ, მიატოვე აკადემია; ჩემი აზრით, თავისებურ სიძნელეებს უსათუოდ გადააწყდები, ასეთი რამ ნაწილობრივ შენთვის უკეე ნაცნობია. მას, ვინც შენსავით აკადემიაში რეგულარულად დაიარება, არ შეიძლება, არ მოეჩვენოს, კალაპოტიდან ამოვეარდიო, თუ ყოველდღე რაღაც ახალი ამოცანის დასახვა და გამოძებნა დასჭირდება (რაკი დიდხანს ყოველი დღის ამოცანა ძალიან კარგად იცოდა ხოლმე). საქმის ასე გამოძებნა არც ისეთი იოლია, მით უმეტეს, თუ თეეობით ასე გაგრძელდა. ერთი სიტყვით, არ გაეიოცებ, თუკი ზოგ-

ჯერ მოგეხერხებინა, ფეხბურთში მიწა მეცლებაო; თუმც, არა მგონია, ამ ამბავმა თავისი დაგცეს, როგორც ზოგიერთს ემართება – უხერხულო ხომ აქ სამდებილად არაფერია. ამიტომ სულიერ წონასწორობას ძალიან მალე დაიბრუნებ.

და, აი, როცა უსიტყვოდ და ულაპარაკოდ, როცა ერთხელ და სამუდამოდ სინამდებილეს დაუბრუნდები (ხოლო თუკი ასე მოხდა, უკან დახევას აღარასოდეს მოისურვებ), მათ, ვინც ისევ აკადემიას ეტმასნება, ლაპარაკს სწორედ ისე დაუწყებ, როგორც ტენ კატე ლაპარაკობს, როგორც ახლა მე ელაპარაკობ.

როგორც მწერ, ბატონი ტენ კატე საბოლოოდ ამას უნდა გეუბნებოდეს: საჭიროებანო არაფერია, რეალობა უნდა ირჩიო, გათავდაო.

შენი ჭეშმარიტი სტიქია ხომ გაშლილი ზღვაა; აკადემიის კედლებშიც კი ისე იქცევი, შენს ხასიათს და შენს ბუნებას რომ შეეფერება; ამიტომ ბატონ აკადემიკოსთ არასოდეს მოეწონები, შენს ნამუშევარს არასოდეს აღიარებენ და ეცდებიან, ცარიელი ლაპარაკით მოგიშორონ.

ბატონი ტენ კატე გამოუცდელი მეზღვაურია, მე – მით უმეტეს: ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია გემის ისე წაყვანა და მანევრირება, როგორც გვინდა; მაგრამ თუ არ ჩაეიძირეთ, მძიმეპარე ტალღამ თუ რიფებზე არ მიგვამსხვრია, ურიგო მეზღვაურები არც ჩვენ დაედგებით. რა გაეწყობა: ვინც გაშლილ ზღვაში გასელას ბედავს, ბევრი შიში და მღელვარება, აქეთ-იქით ალაბედზე თავის წყვეტებაც უთუოდ უნდა გამოცადოს. თევზის ჭერა ჯერ ძნელდება, იქნებ სულაც ვერ დაეჭიროთ, მაგრამ მარშრუტს მაინც ვეცნობით, ესწაელობთ კიდეც, ჩვენი გემი სწორი გზით როგორ წაეიყვანოთ – ჯერჯერობით ეს საჭიროა. მაგრამ გჯეროდეს, ცოტა ხანში აუარებელ თევზს დაეიჭერთ, თანაც – მსხვილ თევზს. თუმც, ჩემი აზრით, ბატონი ტენ კატე ბადეებს შლის სულ სხვაგვარი თევზის საჭერად: ჩვენ სხვადასხვა ტემპერამენტისა უნდა ვიყოთ. რა თქმა უნდა, ყველა მეთევზეს საკუთარი მანერა აქვს თევზაობისა, მაგრამ ზოგჯერ, ერთი ჯიშის თევზს მეორე ჯიშის თევზისთვის გაშლილ ბადეში ნახავ ანდა – პირიქით. ამგვარად, ზოგჯერ ჩვენ ერთნაირ თევზსაც დაეიჭერთ.

მაშ, ხანდახან მფრინველები, მკერავები და მბარაეები აღარ მოგწონს? რა მოხდა მერე? ასეთი რამ მეც მემართება, თუმც ამას ძალიან ხშირად ენთუზიაზმი გადასწონის. ხოლო შენთვის, როგორც ეტყობა, ამ ორ ფაქტორს ერთი ფასი აქვს.

ჩემს წერილებს თუ ინახავ? თუ ჯერჯერობით ეს წერილები ცეცხლს არ შთაუნთქავს, მოიცალე და ხელმეორედ გადაიკითხე; თუმცა, ჩემგან ასეთი რჩევა იქნებ ვინმეს პრეტენზიულიც მოეჩვენოს. მე ხომ მუდამ სერიოზული მიზნით გწერდი, თუმც ჩემს ფიქრებს გასაქანსაც ვაძლევდი ხოლმე და არც აზრების გულახდილად გამოთქმისა შემშინებია. შენ ამტკიცებ, ფანატიკოსი კაცი ხარო, რაღაც დოქტრინას ქადაგებო.

რა გაეწყობა, თუკი ასე მიგაჩნია, არ გედავები: საქმე საქმეზე როცა მიდგება, ჩემი გრძნობების როდი მრცხვენია, არ ეწითლდები, როცა ვამბობ, საკუთარი პრინციპების კაცი ვარ-მეთქი. მაგრამ საით მიაქანებს ადამიანებს ან თავად მე ეს ფანატიზმი? გაშლილი ზღვისკენ! ჩემი დოქტრინა? რას ექადაგებ? – მეგობრებო, ჩვენს საქმეს მთელი სულით და გულით ეემსახუროთ, ის, რაც გვიყვარს, თაეგანწირვით გყიეარდეს-მეთ-

ქი. თურმე რაც გეიყვარს, უსდა გეიყვარდეს, რა ხედმეტად გეჩვენება ეს მოწოდება, მაგრამ მაისც რარიგ გეჭირდება!


რამდენია იმისთანა, უკეთეს ძალებს იმას რომ ახმარს, რაც არ არის მისი ღირსი, რაც უყვარს, იმას კი ისე ეკიდება, როგორც ნამდვილი დედინაცვალი, იმის ნაცვლად, რომ თავის უსაზღვრო გულისწადილს სულითა და გულით მიეცეს. ჩვენ კი ვცდილობთ, ეს საქციელი „ხასიათის სიმტკიცეს“ და „გონების ძალას“ მივაწეროთ; ჩვენს ენერგიას ულირს პირუტყვებს შეევალეთ ხოლმე, ნამდვილ სატრფოს კი აბუჩად ვიგდებთ; ყოველივე ამას ეჩადიეართ „უწმინდესი ზრახვებით“ და გვგონია, რომ „ზნეობა“ და „მოვალეობა“ გვაკალდებულებს, ასე მოვიქცეთ.


რ 6. *23 ნოემბერი, 1881.* შენი წერილების გადაკითხვისას – განსაკუთრებით ბოლო წერილისა, – ისეთ მოსწრებულ სიტყვებს წავაწყდი, ისე კარგად ენამახვილობ, ვერ მოვითმინე, არ მომეწერა. ჩემი აზრით, მიმოწერა უნდა განვაგრძოთ.

მაშ, საბოლოოდ ფანატიკოსი გამოგყავარ! ცუდი არ არის, შენი სიტყვა გულში რომ მომხვდა. გამოგიტყდები, ტყვიასავითაც გამატანა! დაე, ასე იყოს! მადლობელი ვარ ასეთი დიდი აღმოჩენისთვის! აქამდე ამის დაჯერებას ვერ ვბედავდი, მაგრამ ახლა ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი შესანიშნავად ამიხსნეს: ფანატიკოსი რაკი ვყოფილვარ, ნებისყოფა და რწმენა მქონია, არჩეულ მხარეს მივემართები და თან ამასაც არ ვჯერდები, – მინდა, სხვებიც წავიყოლიო! ფანატიკოსი? ძალიან კარგი! ასე იყოს! მაგრამ მინდა, თანამგზავრად რაპარდი მყავდეს. იგი ჩემი მეგობარია და ამიტომ, მირჩევნია, ჩემთან იყოს. რა გგონია, მართალს არ ვამბობ?

ცხადია, ავჩქარდი, როცა გითხარი, მინდა, ხალხი ღია ზღვაში ჩაერეკო-მეთქი (იხილე ჩემი ბოლო წერილი). სხვას რომ არას ვაკეთებდე, უბადრუკი ბარბაროსი ვიქნებოდი. მაგრამ ერთი გარემოება ჩემს სურვილებს მოთოკავს ხოლმე. ადამიანს არ შეუძლია, ზღვაში დიდხანს იწოწიალოს – მას სჭირდება პაწია ქოხიც – სადმე ნაპირთან, სადაც ცეცხლის პირს ცოლი და შვილი დაელოდება. იცი, რაპარდო, ჩემს თავს საით მივაქროლებ და სხვებსაც საით მივერეკები? მინდა, ყველანი იმ დიდი ზღვის მეთევზეებად ვიწოდებოდეთ, სინამდვილის ოკეანეს რომ ეძახიან. მეორე მხრივ, მსურს, მეც და ჩემს თანამგზავრებსაც, რომელთაც ზოგჯერ თავს ვაბეზრებ, აი, ასეთი პაწაწინა ქოხები გვქონდეს. ძალიან მინდა! დაე, ამ ქოხებს ნურაფერი მოაკლდება, რაც ჩამოვთვალე! მაშ, ღია ზღვა და პაწაწინა თავშესაფარი სანაპიროზე ანდა პირიქით, პაწაწინა თავშესაფარი სანაპიროზე, ხოლო შემდეგ – გაშლილი ზღვა! დოქტრინა კი, მე რომ ექადაგებ: – მეგობრებო, მოდი, გეიყვარდეს რაც გეიყვარს-მეთქი, – აქსიომას ემყარება. ზედმეტად ეთვლიდი ამ აქსიომის შეხსენებას, მაგრამ რათა ყველაფერი ცხადი იყოს, შეგახსენებ: „მეგობრებო, ჩვენ ხომ გეიყვარს“.

რ 9. *ივნისი, 1882.* ჩემს ნახატებზე მომწერეს, მაგრამ ფული ნაკლები გამომიგზავნეს, ვიდრე მეგონა; თუმც, შვიდ ფურცელში მხოლოდ და მხოლოდ ოცდაათ გულდენს ველოდებოდი. ოცი გულდენი გამოგზავნეს, თან დატუქსვაც მოაყოლეს – „იფიქრე თუ არა იმაზე, ასეთ სურათებს არავითარი სყიდვითი ღირებულება რომ არა აქვსო!“ დამეთანხმები, ახლა ძალიან ცუდი დროა და ასეთი რამ (უარესიც ხშირად ხდება; ხოლო




Vincent

იმასთან შედარებით, რაც ძალიან ბევრს ემარათება, ოცი გულდენი ბევრიც არის) ადამიანს არცთუ ისე კარგ გუნებაზე აყენებს ხოლმე. ხელოვნება ეჭვსეულია, იგი მთელ ჩვენს ძალებს მოითხოვს; ხოლო როცა ხელოვნებას ყველაფერს სწირავ, არაპრაქტიკულ, მიამიტ კაცად ანდა, ვის იცის, რად არ ჩაგთვლიან. დიახ, პირში სიმწარე გრჩება ყოველივე ამის შემდეგ. კარგი, კმარა. მაინც წისქვილზე უნდა ვიფიქროთ.

ჩემს კორესპონდენტს ვუპასუხე, სურათების სყიდვითი ღირებულების ცოდნას როდი ეჩემულობ-მეთქი; რაკი იგი, როგორც მოვაჯერე, მეუბნება, რომ ჩემს ნახატებს სყიდვითი ღირებულება არ გააჩნია, არც კამათი მსურს, არც შედავება, ვინაიდან ჩემს თვალში მხატვრულ ღირებულებას მეტი ფასი აქვს – მირჩევნია ისევ ბუნებით დავინტერესდე, ვიდრე ფასები ვიანგარიშო, კომერციული მოგება ვთვალო. და თუ ფასებზე ხმა ამოვიღე, თუ ნახატები უფასოდ მაინც ვერ მიეცი, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ყველას, ადამიანური სურვილები მეც გამაჩნია: საჭმელსასმელი მეც მჭირდება, რა თქმა უნდა, თავშესაფარიც და ასე შემდეგ. საჭირო იყო, ეს უმნიშვნელო წერილმანები უთუოდ მეთქვა. შემდეგ ისიც დავუმატე, რომ არ ვაპირებ, ეს ნახატები, თუ თვითონ არ სურს, ძალით თავზე მოვახვიო. შემიძლია, სხვა ნახატები გაევგზავნო; თუმცა, იმასაც შეეურიგდები, თუ, საერთოდ, ყველაფერზე უარს მეტყვის.

ეიცი, ჩემი საქციელი უმადურობად, უხეშობად, თავხედობად ჩამეთვლება და როცა სიტყვა ამ თემაზე ჩამოვარდება, დაახლოებით, ასეთ საყვედურს გაეიგონებ: „შენს ამსტერდამელ ბიძას ხომ შენთვის სიკეთე სურდა! როგორ კარგად გექცეოდა, რამდენ რამეში დაგეხმარა! შენ კი, უზომო პრეტენზიების, სიჯიუტის და სიეერპის გამო, უმადურობა გამოიჩინე; ყველაფერში მარტო შენა ხარ დამნაშაეეო და ა.შ. და ა.შ.“

ჩემო რაპარდო, ყოველივე ამის შემდეგ, არც კი ეიცი, როგორ მოვიქცე – ეიცინო თუ ცრემლები ეღვარო. ეს ინციდენტი, ჩემი აზრით, დღევანდელ ყოფას მეტისმეტად ახასიათებს. რა თქმა უნდა, ეს მდიდარი მოვაჭრენი პატიოსანი, სამართლიანი, ლოიალური, მგრძნობიარე, წესიერი ხალხია და ჩვენ კი სულაც საცოდაე სულელები ვართ, ესხედვართ და ეხატავთ – სოფლად, ქუჩაში, სახელოსნოში გათენებიდან შუაღამემდე, ზოგჯერ მზის გულზე, ზოგჯერ თოელშიაც; თანაც ჩვენთვის მადლიერება, საღი აზრი, რაც მთაეარია, „რიგიანი მანერები“ უცხო ხილია. ასე იყოს, რა გაეწყობა!

რ 11. ***კვირა ხალამო, 1882 წლის 15 აგვისტომდე.*** ამ ცოტა ხნის წინ ჩვენთან მოაწყვეს ფრანგული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა კერძო პირთა კოლექციებიდან: დობინი, კორო, ჟიულ დიუპრე, ჟიულ ბრეტონი, კურბე, დიაზი, ჟაკი, ტ. რუსო; ამ სურათებმა შთამაგონებლად იმოქმედა, მაგრამ ხელი არც იმისთვის შეუშლია, ნაღველი მეგრძნო იმის გამო, ეს ერთგული ეეტერანები ერთმანეთის მიყოლებით რომ ჩვენგან მიდიან. კორო უკვე აღარ არის; ტ. რუსო, მილე, დობინი დამქანცველი შრომის შემდეგ ისვენებენ; ჟიულ ბრეტონი, ჟიულ დიუპრე, ჟაკი, ედ. ფრერი მწყობრიდან ჯერ არ გამოსულან, მაგრამ ვინ იცის, დიდხანს ეცმეეათ მხატვრის ხალათი? ღრმად მოხუცებულთ ცალი ფეხი საფლაეში უდგათ. რაც შეეხება მათ მემკეიდრეებს, არიან კი ამ პირეელ და ჭეშმარიტად თანამედროეე ოსტატთა ღირსნი? რა გაეწყობა, მით უფრო მეტი მიზეზი გვაქვს, ცხეირ-პირი არ ჩამოგეტიროდეს და ჩვენს საქმეს ენერგიულად შეეეჯიდოთ.

რ 12. *15 სექტემბერი, 1882.* მეშახტეებზე დახატული სურათების შეგროვებას დიდი ძალ-ღონე შეევალიე. მათ შორის ყველაზე საუკეთესო „ძალაროელთა გაფიცვა“ და შახტებში მომხდარი კატასტროფების თემაზე შექმნილი ისგლისური ნახატია; თუმც ასეთი სიუჟეტები ძალზე ხშირია. ნეტავ თავადაც დამახატვინა ასეთი რამ! რაპარდო, უთუოდ შემატყობინე, მართლა აპირებ ჩემთან ჩამოსვლას, თუ, ეთქვათ, ორი თვით მაღაროელთა მხარეში – ბორინაჟში – გაეემგზავრები?

ეს მხარე სამოთხე არ გეგონოს, იქ გამგზავრებაც, რა თქმა უნდა, სასიამოვნო გასეირნება არ იქნება; მაგრამ მაინც ბედნიერად ჩაეთელიდი თავს, თუ წაეიდოდი, როგორც კი ეიგრძნობდი, რომ საქმაო გამოცდილება შეეიძინე და შემიძლია, მშრომელი კაცი ელეისებური სისწრაფით ეხატო: ხომ ეიცი, იქ შეიძლება, ბეერი კარგი სიუჟეტი იპოეთ კაცმა, სხეა მხატერებს რომ, თითქმის კი არა, საერთოდ, ხელი არასოდეს მოუკიდიათ. მაგრამ რადგან ასეთ მხარეში ადამიანი შეიძლება ათას სიძნელეს გადაეყაროს, სჯობდა, ორნი წაესულიყავით. იქ გამგზავრების შესაძლებლობა ახლა არა მაქეს, ფიქრი კი მაინც არ მშორდება. ბოლო ხანებში სანაპიროზე ხშირად დაედიეარ სამუშაოდ – ფანქრითაც ეხატაე, ფერებითაც; ზღეა თანდათან მეტად მიზიდავს.

აქაურ მხატერებს შენც კარგად იცნობ; გამოცდილება, არ ეიცი, შენ რას გეუბნება, მე კი ხშირად შემიმჩნეეია, ყოეელიეე „ილუსტრაციულს“ რა გააფთრებით ესხმიან თავს. თანაც აშკარად ეტყობათ, რომ ილუსტრატორის ხელობას არ იცნობენ; მცირეოდენი წარმოდგენაც არ გააჩნიათ, ამ სფეროში რა ხდება და რა ამბაეია. უფრო მეტიც, ნაწარმოებთა სანახაეად არ სურთ თაეის შეწუხება და თუ მაინც ნახულობენ, ძალიან მალე იეიწყებენ. ხოლო შენთან ურთიერთობის გამოცდილება მეუბნება, რომ შენ საესებით სხეაგეარად ფიქრობ.

გუშინ ლანსონის ერთი-ორი ნამუშეეარი კიდეე ეიპოეე: „წენიანის დარიგება“, „მეძეელმანეთა შეხეედრა“ და „თოელის მხეტაეები“; ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ღამით აედექი, რათა ხელახლა დამეხედა.

რაკი თაეადაც ამ ჟანრში ემუშაობ, რაკი ისეთი სურათების ხატეას ეცდილობ, თანდათან რომ მეტად და მეტად მაინტერესებს – ეს იქნება ქუჩის სცენები, სცენები სადმე, სანაპიროზე, საეადმყოფოში თუ მესამე კლასის მოსაცდელ დარბაზში, – მხატერებს, ხალხის ცხოერებას რომ შაეითა და თეთრით ხატაეენ: პოლ რენუარს, ლანსონს, დორეს, მორენს, გაეარნის, დიუ მორიეს, ჩ. კინს, პაუარდ პილს, პოპკინზს, პერკომერს, ფრენკ პოლს და კიდეე მრაეალთა სხეათა – განსაკუთრებული პატიეისცემით ეეკიდები. თანაც ეს ჩემი განწყობილება თანდათანობით უფრო ღრმაედება. შენც, ალბათ, თითქმის იგიეეს გრძნობ. სხეა არა იყოს რა, ის მაინც ხომ მსიამოენებს, ჩემს საყეარელ სიუჟეტებს რომ ამუშაეებ; ზოგჯერ გულწრფელად ეწუხეარ კიდეც, ასე შორს რომ ეართ და შედარებით იშეიათად ეხედებით ერთმანეთს.

რ 13. *ხექტემბერ-ოქტომბერი, 1882.* შენი წერილი, აგრერიგად რომ ეელოდებოდი, ეს წუთია ჩამაბარეს. ახლაეე უნდა გიპასუხო, რადგან შენთან ლაპარაკი ისე მომინდა, მოთმინება აღარ მყოფნის. მეკითხები, გერმანელი მხატერებისა ბეერი რამ გაქესო? ამას წინათ, ფიგურების ჩემს ზოგიერთ ეტიუდთან დაკაეშირებით, ეოტიესა და კიდეე ერთ-ორ გერმანელზე თეოს სწორედ ის მიეწერე, რასაც ახლა შენ იწერები.

ეატყობისებდი, აკვარელის გამოფენაზე ვიყავი-მეთქი. იტალიელი მხატვრებისა ერთობ ბევრი რამ გამოეფინათ. მართლაც რომ დიდი ოსტატობით დახატული სურათებია, მე კი მაინც სიცარიელის განცდას მიტოვებს. ამას ამიტომაც ასე მივწერე: „რა საუცხოო დრო იყო-მეთქი, როცა ელზასში მხატვართა კლუბი ჩამოყალიბდა: ვიტიე, კსაუსი, იუსდტი და გეორგ საალი, ვან მეიდენი, განსაკუთრებით, ბრიოსი, ასკური, ტ. შულერი ძირითადად სახატებს რომ აკეთებდნენ, სახატებს, რომლებსაც განმარტავდნენ და მხარსაც უჭერდნენ სხვა ჯურის ხელოვანსი, კერძოდ, ერკმან-შატრიანისა და აუერბახის მსგავსი მწერლები. იტალიელებს, რა თქმა უნდა, ოსტატობა არ აკლიათ, მაგრამ სადაა განწყობილება ანდა გრძნობა მათ სურათებში? ლანსონის ერთი პატარა და უფერული ჩანახატი, მეძვალმანესი წენიასს გარეთ, წვიმასა და თოლიში მსხდარნი რომ შეეკცეევიან, გაცილებით მირჩევნია სირაქლემას უძეირფასეს ფრთებს, იტალიელი მხატვრები რომ გვიხატავენ, ის მხატვრები, რომელთა რიცხვი, როგორც ეტყობა, დღითიდღე მატულობს, მაშინ როცა, უფრო სადად მოაზროვნე ხელოვანი ახლაც ისევე იშვიათია, როგორც ყოველთვის“.

დამიჯერე, რესტორანში ლაქიად ყოფნა მირჩევნია ზოგიერთი იტალიელის ყაიდაზე აკვარელების დამზადებას. ამას ყველაზე როდი ვამბობ, მაგრამ ვიცი, რომ ამ სკოლის მიზნებისა და მიმართულების შეფასებაში დამეთანხმები. ჩემი ნათქვამი როდი ნიშნავს, თითქოს ზოგ მათგანს არ ვაფასებდე – ეგულისხმობ მხატვრებს, რაღაც რომ სცხიათ გოიასი, მაგალითად: ფორტუნის, მორელის, ტაპიროსაც კი, პეილბოუტს, ზიუსს და სხვებს.

ეს სურათები, სულ პირველად, ათი-თორმეტი წლის წინ ვნახე – როცა გუპილთან ემსახურობდი. მაშინ ისინი საუცხოოდ მეჩვენებოდა, წარმოიდგინე, გერმანელთა და ინგლისელთა საგულდაგულოდ დამუშავებულ სურათებზე, რომიუსენის, ანდა მაუვეს ნამუშევრებზე მეტად მხიბლაედა. მაგრამ აზრი კარგა ხანია შევიცვალე, ვინაიდან იტალიელი ხელოვანნი, ცოტა არ იყოს, ისეთ ფრინველებს მაგონებენ, ერთ ხმაზე რომ გაპკიეიან; მე კი ტოროლა ანდა ბულბული გაცილებით მეტად მომწონს, რადგან ნაკლები ხმაურით და მეტი გზნებით ბევრად მეტის თქმას ახერხებენ. მაგრამ, ამის მიუხედავად, გერმანელთა სურათები ძალზე ცოტა მაქვს – ბრიოსის დროის კარგ სურათებს ახლა ძნელად თუ იშოვის ვინმე.

კარგა ხნის წინ ხეზე ნახატი გრაფიურების კოლექცია შეეგროვე, უმეტესად ზემონახსენები ოსტატების ნამუშევრები. გუპილიდან რომ მოედიოდი, ეს კოლექცია ჩემს ინგლისელ ძმაკაცს ვაჩუქე, რასაც ახლა საოცრად ვნანობ. თუ ძალიან ღამაზი რამ გსურს, კანტორა „ილუსტრასიონში“ „ეოგუსური ალბომი“ უნდა შეუკვეთო ტ. შულერის, ბრიოსის და ვალენტინის, იუნდტის და სხვათა და სხვათა ნახატებით. თუ არ ეცდები, ხუთი ფრანკი ღირს, მაგრამ ვაითუ გაიყიდა. მაინც იკითხე. შესაძლოა, ახლა ფასი მოემატა; დასათვალიერებლად კი არ გზავნიან, ამიტომაც გამოწერა ვერ გამიბედავს.

ინგლისელ მხატვართა ცხოვრებაზე ცოტა რამ ვიცი, ესე იგი, ბიოგრაფიას ვერც ერთისას ვერ მოგიყვები. მაგრამ რაკი მთელ სამ წელიწადს ინგლისში ვცხოვრობდი, რაკი მათი სურათები ბლომად მინახავს, მაშ, მათზედაც და მათ სურათებზედაც ბევრი მცოდნია. თუ ინგლისში

კარგა ხანს არ გიცხოვრია, ისგლისელ მხატერებს, როგორც ჯერ არს, ვერ შეაფასებ.

თაეისებური გრძნობა, აღქმა, გამოხატვის თაეისებური მანერა აქვთ და ამას უნდა შეეჩვიო; მაგრამ მერწმუნე, მათი შესწავლა უთუოდ ღირს

ისინი დიდი მხატერები არიან. ყველაზე ახლოს მათთან დგანან ისრაელსი, მაუეე და როპიუსენი; მაგრამ, სიტყეაზე, ტომას ფედის ნამუშეეარი ისრაელსის ნამუშეეარს სრულიად არ ჰგაეს. პინუელის, მორისის ანდა სმოლის ნახატი სხეანაირია, ეიდრე მაუეეს ნახატები, პილბერტი კი ან დიუ მორიე, როპიუსენისგან განსხეავდება.

სხეათა შორის, როპიუსენზე, აი, რას გეტყეი: მისი ერთი შესანიშნაეი ნახატი ენახე – ძეელ პოლანდიურ რატუშაში ფრანგი გენერლები ბურგომისტრსა და ამ ქალაქის წარმომადგენლებს ცნობებსა და ქაღალდებს სთხოეენ. ეს სურათი, ჩემი აზრით, ისეთიეე მშენეიერია, როგორიც, ეთქეათ, სცენა დირექტორ ეაგნერთან ერქმან-შატრიანის „ქალბატონ ტერეზაში“. ეიცი, ერთ დროს როპიუსენს არცთუ ისე აფასებდი, მაგრამ მჯერა, როცა ამ მხატერის ყველაზე მნიშენელოეან ნახატებს ნახაე, სულით და გულით შეიყეარებ.

ინგლისურ ნახატს და მის აეტორებს, ჩემი აზრით, ისეთიეე მნიშენელობა აქვს ხელოენებაში, როგორც დიკენსს და დიკენსის წიგნებს – მწერლობაში. ისინიც ზუსტად ისეთსაეე კეთილშობილურ, ჯანსაღ განცდებს გეღეიძებენ. ამიტომაც არ გბეზრდება, რამდენჯერაც უნდა ნახო, ისეე თაეიდან მიუბრუნდები. ნეტაე როდისმე მოგეცალა და მოელი ჩემი კოლექციისთეის გადაგეხედა.

ინგლისელთა ნამუშეერებს ერთად რომ ხედაე, მათ მხატერობას განსაკუთრებით კარგად იგებ: მაშინ ისინი საკუთარ თაეზე თაეად ამბობენ ყოეელიეეს და ჩეენთეის უკეე ნათელი ხდება, მათი სკოლა რა საუცხოო მთლიანობას წარმოადგენს. დიკენსი, ბალზაკი ანდა ზოლა სწორედ ასე მთლიანად უნდა წაიკითხო, რათა მათი ყოეელი წიგნი კარგად გაიგო. მაგალითად, ჩემთან ახლა ირლანდიის თემებზე შექმნილი ორმოცდაათი ფურცელი მაინც მოიძებნება. ცალკე თითოეულს შეიძლება გულგრილად შეხედო, მაგრამ როცა ერთად ნახაე, არ შეიძლება, არ გაოცდე.

მენცელის მიერ დახატული შექსპირის პორტრეტი არ მინახაეს, მინდოდა, მენახა. – მაინტერესებს, ერთმა ლომმა მეორე ლომს როგორ გაუგო; მენცელი შექსპირის მონათესაეე ხელოეანია, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ნამუშეერები ასე სიცოცხლით აღსაესეა. ფრედის ერთი პატარა და მენცელის დიდი გამოცემა მაქეს. პააგაში რომ მოდიოდე, შენი ჭირიმე, შექსპირის პორტრეტი გამოიყოლე.

გრაეიურები, რომელზედაც მწერ, გარდა რეგამეს, პეილბუტის და მარკეტისა, არც ერთი არ მაქეს; არც ჟაკე მაქეს; არა მაქეს არც უისლერი, მაგრამ მისი ძალზე ლამაზი გრაეიურები, ფიგურები და პეიზაჟები კი ოდესღაც ენახე. „გრაფიკაში“ დაბეჭდილმა უილის მარინებმა, შენი არ იყოს, მეც გამაოცა.

ბიუტონის „ქერიეის ყანა“ ნანახი მაქეს. ძალზე ლამაზი სურათია. ჩემი გონება ისეა საესე ყოეელიეე ამაზე ფიქრით, ეცდილობ, ცხოერება იმგეარად მოეიწყო, ყოეელდღიური ყოფის ხატეა მოეახერხო – იმის ხატეა, რასაც ხატაეენ ჩარლზ დიკენსი და ის მხატერები, რომლებიც ზემოთ მოეიხსენიე. მილე ამბობს: „ხელოენებისთეის საკუთარი ტყაეი უნდა გასწიროო“. პო, ხელოენება ჩეენგან მოითხოეს სრულ თაეგანწირ-

ეას. რაკი ბრძოლაში უკვე ჩაეები, ეიცი, რაც მისდა, ესე იგი, „ილუსტრაციულის“ შესახებ ყველაფერი ვერ დამაბნევს. მხატვრებთან თითქმის სულ გაეწყვიტე ურთიერთობა, თუმც, ვერ ეიტყვი, ეს რატომ და როგორ მოხდა. ღმერთმა იცის, ჩემზე რას არ ლაპარაკობენ, უცსაურსა და ცუდ ხმებს მიყრიან; ამის გამო ზოგჯერ საშინელ მარტოობას ეგრძნობ, მეჩვენება, თითქოს ყველამ მიმატოვა; მაგრამ ახლა შემიძლია, ყურადღება მარადიულ და უცვლელ საგნებზე, სხვა სიტყვით რომ ვთქვა, ბუნების უცვლელ სილამაზეზე შევაჩერო.

ხშირად ეიხსენებ რობინზონ კრუზოს ძველისძველ ამბავს: მარტოობაში მას მხსნელობა არ დაუკარგავს, არ შემკრთალა. მოქმედების გარკვეული არე მოძებნა, ძიებამ, შრომამ მის ცხოვრებას აზრი მისცა, აქტიური ხასიათი შეუმუშავა.

ამ ბოლო დროს ბევრს ვხატავდი, აკვარელითაც ემუშაობდი. მერე მოდელის უამრავი ჩანახატი გავაკეთე, ჩანახატები გავაკეთე ქუჩაშიაც. გარდა ამისა, დაერდომილთა თავშესაფრიდან ერთი კაცი ხშირად მიწვევდა პოზირებას.

ეიცი, დროა, შარლ რობერტის „ნახშირით ხატვა“ დაგიბრუნო. რამდენჯერმე წავიკითხე, მაგრამ ნახშირით მუშაობა მიძნელდება; ამიტომ ისევ ხუროს ფანქრით ხატვას ვარჩევ. კარგი იქნებოდა, შემეხედა, ნახშირით როგორ მუშაობენ. ჩემი ნახშირით ნამუშევრები სიცოცხლეს თითქოს სწრაფად კარგავს. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, რაღაც ისეთია, ადვილად რომ ავიცილებდი, თუკი ესახვედი, სხვები ნახშირით როგორ ხატავენ. როცა ჩამოხვალ, ამის შესახებ, ალბათ, ბევრ რამეს გამოგკითხავ.

მაინც კარგია, რობერტის წიგნი რომ წავიკითხე, საესებითაც ვეთანხმები: ნახშირი, მართლაც, საუცხოო მასალაა სახატავად, ოღონდ ნეტავ გამაგებინა, უფრო უკეთ რანაირად გამოვიყენო. შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს ესეც გავიგო და, ამას გარდა, ბევრი სხვა რამეც, ჯერჯერობით რომ ჩემთვის ისევ ბუნდოვანია. ერთი სიტყვით, წიგნს გიბრუნებ და მადლობელი ვარ. გიგზავნი ხეზე ნამუშევარ რამდენიმე გრავიურასაც. მათ შორის ორი გერმანულია – მარშალისა. გრინის და ლანსონის გრავიურები საუცხოო გრავიურებად მიმაჩნია. დუბლიკატები თუ სადმე გქონდეს, შენი ჰირიმე, ნუ დაიეიწყებ, გამომიგზავნე.

თუ რაიმე საყურადღებოს წაიკითხავ, შემატყობინე: მე ხომ თითქმის სულ არ ეიცნობ, რასაც ახლა გამოსცემენ. წინა წლების ლიტერატურა ოდნავ უფრო კარგად ეიცი. ავად რომ ვიყავი, მაშინაც და მას შემდეგაც აღფრთოვანებით ეკითხულობდი ზოლას წიგნებს. ადრე ბალზაკს უნიკალურ მოელენად ვთელიდი, ახლა კი ეხედავ, მემკვიდრეები გასჩენია. და მაინც, ჩემო მეგობარო, ხედავ, როგორ შორს დაგურჩენია ბალზაკის, დიკენსის, გავარნისა და მილეს ეპოქა! რაც ამ ხალხმა სამუდამოდ განისვენა, არც ისე დიდ დროს გაუელია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი შრომას შეუდგნენ, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ერთობ ბევრი რამ შეიცვალა, თუმც, ვერ ეიტყოდი, ეს ცვლილებები სასიკეთო ყოფილიყოს. ელიოტის ერთ თხზულებაში ასეთი რამ წავიკითხე: „მოკვდა, მაგრამ მასზე მაინც ისე ეფიქროს, როგორც ცოცხალზე“. – ჩემი აზრით, იმ პერიოდზე, ახლა რომ გწერ, შეიძლება, იგიეე ითქვას. აი, რად მიყვარს როპიუსენი ასე ძალიან. ზღაპრების ილუსტრირების შესახებ მწერ. ხომ იცი, რომ როპიუსენმა რამდენიმე საუცხოო აკვარელი გააკეთა – სცენები გერმანული

ლეგესდებიდან. კარგად ეიცნობ „ლესორას“ სერიას, სადაც იგი გასწყობილებას, მარიალაც, ბრწყინვალედ, მართლაც, ძალზე კარგად გადმოსცემს. სამწუხაროდ, როპიუსების მსიშენელოვანი ნახატების ძალზე მცირე საწილია ყველასათვის მისაწვდომი: ამ ნახატებს უფრო ხშირად მდიდარ კოლექციონერთა საკაღალდეებში წააწყდები. როგორც კი ოდნავ ენერგიულად შეუდგები ხეზე ნახატი გრაეიურების შეგროეებას, ცხადია, მაშინვე ათას ყბედობას, ათასნაირ მეცნიერულ მიეთმოეთს გაიგონებ „ილუსტრაციულობაზე“. თუმცა, ისიც საეითხაეია, ხეზე ნახატი გრაეიურების საქმე როგორ არის. კარგ გრაეიურებს თანდათანობით ნაკლებად ეხედებით, შოენა ძნელდება; ეინც დაეძებს ამ გრაეიურებს, ეეღარ შოულობს. ამ დღეებში დორეს სერიის – „ლონდონის“ – სრული კომპლექტი ენახე. დამიჯერე, საუცხოო, კეთილშობილური განწყობილებით გაკეთებული სერიაა. გაიხსენე „ღატაკთა ღამის თაეშესაფარი“, რომელიც, ეგონებ, უნდა გქონდეს, თუ არადა, შოენა მაინც შეგიძლია...

წერილს ეურთაე რამდენიმე საუკეთესო მორენსა და ძეელ დორესაც – ფურცლებს, რომლებიც თანდათანობით ძნელად და ძნელად იშოეება... გიგზაენი და, ზედმეტად არ ეთელი, დაეუმატო, რომ ამ გაკონილ, ხეზე ნახატ გრაეიურებში იგრძნობა გაეარნის, ბალზაკისა და ეიქტორ პიუგოს დროის სურნელი, სურნელი უკეე მიეიწყებული „ბოჰემისა“, რის მიმართაც განმსჭეალული ეარ უღრმესი და უდიდესი პატიეისცემით. როცა ამ ფურცლებს დაეინახაე, მინდა, ჩემს საქმეს ენერგიულად მოეკიდო ხელი და ყეელაფერი გაეაკეთო, რაც შემიძლია.

რა თქმა უნდა, დორესა და მილეს ნახატს ერთმანეთისგან მეც ეასხეაეებ, მაგრამ ისინი ერთმანეთს როდი გამორიცხაენ. მათ შორის მარტო განსხეაეება კი არ არის, მსგაესებაცაა. დორეს ტორსის მოდელირება, შენაწეერების გადმოცემა ბეერად უკეთ შეუძლია, ეიდრე იმას, თაეი რომ მოაქეს, მას კი აძაგებს. აი, თუნდ „ზღეაში მობანაეეთა“ ანაბეჭდი, რომელსაც თეითონ მხოლოდ უხეშ ჩანახატად მიიჩნეედა.

აი, რას გეტყეი: დორეს ნახატებს მილეს მსგაესი მხატეარი რომ აკრიტიკებდეს (არა მგონია, მილე ასე მოქცეულიყო, მაგრამ ეთქეათ და, მოქცეულიყო), ამის უფლება ექნებოდა. მაგრამ როცა დორეს სურათებს ის აძაგებს, ათიეე თითით რომ ეერ შეძლებს მეათედი გააკეთოს იმ საქმისა, რასაც დორე ერთი თითით გააკეთებს, ამ ძაგებას აზრი არა აქეს; ბეერად უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუკი ენებს დაიმოკლებდნენ და უკეთ ხატეას ისწაელიდნენ. რა სისულელეა, რომ ნახატის უარყოფა საყოეელთაო მოელენა გახდა!

ბრიუსელში ლეინენის ნამუშეერებს, ალბათ, ნახაედი. რა გონებამახეილური, სასაცილო და ოსტატური ნახატებია! მაგრამ, აბა, ამ ნახატებზე ასეთ ხალხთან რაიმე თქეი. ქედმაღლურად და ცოტა არ იყოს, სიძულეილითაც გიპასუხებენ: „ჰო, საკმაოდ სასიამოენო სურათები გამოსელიაო“. თეით ლეინენი სიღატაკეს, ალბათ, ეერასდროს დაეღწეეა. თუმცა, იქნებ ერთობ გამრჯე კაციცაა, ბეერს შრომობს და თანდათანობით მეტსაც შექმნის. არაფერია, თანახმა ეარ, მთელი სიცოცხლე მეც ასეთი ღატაკი ეიყო, თუ გარჯას შეეძლებ, თუკი ბეერის შექმნას შეეძლებ და პურის ფული არ მომაკლდება.

რ 16. *ხექტემბერი-ოქტომბერი, 1882* „არტიზე“ კი, აი, რას გეტყეი: ამ ბატონებმა თაეიანთი ჩეულებრიეი ოინები გაითამაშეს – ეს ასეა და ასე იქნება. გილოცაე, რომ უარი გითხრეს. გამოცდილების გაზიარება არ

შემიძლია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სურათების გამოფენაზე ოცსებაითაც არასოდეს მიოცსებია. ეს სულ არ მაინტერესებს. ზოგჯერ სურეილი მომივლის ხოლმე, რომელიმე მეგობარი სახელოსნოში მეწვიოს და ჩემს ნამუშევრებს თვალი შეავლოს, რაც ძალიან იშვიათად მისრულდება; მაგრამ არასდროს მდომებია და, რა თქმა უნდა, არც ახლა მინდა სურათების სანახავად ხალხის მოწვევა. ჩემთვის სულ ერთი სულაც არ არის, ჩემს სურათებზე რას იტყვიან, მაგრამ ზედმეტი ხმაური კი ასეთ დროსაც მეჯავრება: სახელი და პოპულარობა ყველაზე ნაკლებ მაინტერესებს...

მეორე მხრივ, ჩემი აზრით, ყველას, ვისაც ფიგურის ხატვა განუზრახავს, უპირველესად, ის თვისება უნდა ჰქონდეს, საშობაო ნომერში „პანჩი“ რომ „საკუთარ ნება-სურვილად“ იხსენიებს. ადამიანი მხურვალე გულით უნდა გიყვარდეს, უნდა ცდილობდე, შეინარჩუნო ეს სიყვარული, თორემ შენი ნახატები უმარილო და ცივი იქნება. ამ მხრივ თავს ყველამ უნდა მიხედოს, არამც და არამც გული არ უნდა გაიტეხოს. ამიტომაც იმის აყოლა, მე რომ „მხატვართა ინსტრიგებს“ ეუწოდებ, და თუ არ თავდაცვის, სხვა პოზიციის დაკავება, სრულიად არ მაინტერესებს.

ზოგს იმედი აქვს, რომ შთაგონების უშრეტ წყაროდ სხვა მხატვრებთან ურთიერთობა გამოადგება. ამაზე მუდამ ძველი ნათქვამი მახსენდება: კერინჰზზე ლეღვი ჯერ არავის უკრეფიაო. როგორც მახსოვს, თომა კემპიელი ერთგან შენიშნავს: ხალხში რაც მეტს ეტრიალებდი, კაცურ ღირსებებს მეტად და მეტად ეკარგავედიო. მეც ასე მგონია (არცა ვცდები): მხატვრებთან რაც უფრო ხშირადა ხარ, თანდათან სუსტდები როგორც მხატვარი. რა თქმა უნდა, მხატვრები თუ შეერთდებიან ისეთი საქმის გასაკეთებლად, ერთი კაცი რომ ვერ მოერევა (მაგალითად, ერქმანი და შატრიანი – თავიანთი თხზულებების შესაქმნელად, „გრაფიკის“ მხატვრები – ამ ჟურნალის გამოსაცემად), ეს კარგ საქმედ მიმაჩნია. მაგრამ ვაი, რომ უფრო ხშირად ცარიელი ყაყანიღა შერჩებათ ხოლმე...

დამიჯერე, ყოველთვის, როცა უგუნებოდ ვარ, ხეზე ნახატი გრავიურების ჩემი პატარა კოლექცია სამუშაოდ მაქეზებს და მეც მთელი თავგამეტებით ვაგრძელებ შრომას: ამ მხატვრებში უდიდეს ენერგიას, გამბედაობას, თავისუფალ, მხნე და ჯანსაღ სულისკვეთებას ვეგრძნობ, რაც ძალას მმატებს. მათ სურათებში არის რაღაც ღირსეული და ამაღლებული მაშინაც კი, როცა ნაკლების გროვას ხატავენ. გავარნიზე დაწერილ წიგნში როცა კითხულობ, დღეში ექვს ნახატს აკეთებდაო, ანდა იხსენებს უზარმაზარ პროდუქციას მხატვრებისას, იმ პატარა „ილუსტრაციებს“, „იმ პატარა სურათებს“ რომ აკეთებენ, რომელთა ნახვაც „სამხრეთ პოლანდიის კაფეს“ მაგიდებზე შეიძლება, უნებურად გაიფიქრებ, ეს მხატვრები უჩვეულოდ მგზნებარე სულის, უჩვეულოდ თბილი გულის პატრონები იქნებიანო. ის, ვისაც გულში ასეთი დიდი ცეცხლი უნთია, იმასთან ერთად, ვინც მას ემხრობა, ბევრად მაღლა დგას იმ მხატვრებზე, ვისაც თავისი თავის მეტი არა ახსოვს რა და ასეთი სურათების შეხედვასაც არ კადრულობს.

რ 17. *1 ნოემბერი, 1882.* როცა სურათზე იტყვიან ხოლმე, „საამური“ რამ არისო ანდა მის „ფასზე“ ლაპარაკობენ, რა ექნა, ძალიან მეჯავრება. ეს ცნებები ჭირზე მეტად მძულს. სურათებით მოვაჯრე კი არასოდეს შემხვედრია, ამ ცნებებით დაბრმავებული არ ყოფილიყოს. ხელოვნებას სურათებით მოვაჯრებაზე დიდი მტერი არაფინა ჰყავს, მიუხედავად იმი-

სა, რომ მსხვილი სამხატვრო ფირმების მფლობელთ განუსომელ ქება-დიდებას ასხამენ ხოლმე, ხელოვან ხალხს მფარველობენო. ეს, რა თქმა უნდა, დამსახურებულ ქება-დიდებად ვერ ჩაითვლება; მაგრამ რაკი საზოგადოება მათ მიმართავს და არა მხატვრებს, მხატვრებსაც რა გზა დარჩენიათ – მათაც იმათ უნდა მიმართონ; თუმც, ისეთ მხატვარს ვერსად სახავ, აშკარად თუ დაფარულად არ წუხდეს და არ აშფოთებდეს ეს ამბავი. სურათებით მოვაჯრენი ხალხს პირფერულად ექცევიან, უმდაბლესსა და ბარბაროსულ მიდრეკილებებს, უმდაბლესსა და ბარბაროსულ გემოვნებას უწონებენ. მაგრამ კმარა, არ ღირს ამაზე ლაპარაკი!..

„პიქტურას" ბოლო, ჩინებულმა გამოფენამ გამაოცა და, აი, რატომ: თუმც ისრაელსი, მაუვე, მარისი, ნეიპეისი, ვეისენბრუხი, სხვანი და სხვანი ისევ ისეთ მხატვრებად დარჩნენ, მათ მიმდევრებს დაცემის ნიშნებს ცხადად შეამჩნევ; პროგრესისა კი არაფერი ჩანს – თუკი ცალ-ცალკე არ შეხედავ ამ მიმდევართა შემოქმედებას და მთლიანად შეადარებ „გარდასულ დროთა იმ გამოფენებს, როცა მხატვრები, ახლა რომ უკვე ყველა იცნობს, მაშინ ჯერ მხოლოდ ფრენას იწყებდნენ". ის მხატვრები, რომლებიც დღეს, „მხოლოდ ახლა იწყებენ ფრენას", სულ არ ჩამოვანან მხატვრებს წინა თაობისას, „როცა ისინიც ასევე ახლად იწყებდნენ ფრენას": ეფექტურობა დღეს მეტია, ღირსებები კი – ბევრად ნაკლები. ამაზე შენთვის არაერთხელ მომიწერია. ეს მხატვრები პიროვნულადაც შესაბამისად განსხვავდებიან.

თავადაც ხომ იტანჯები იმის გამო, მე და შენ რომ უსიამოვნო, ბუზღუნა და არაფრის მაქნის, რაც მთავარია, მძიმე, მოსაწყენ მხატვრებად გვთელიან.

დამიჯერე: ვინც დღევანდელ ცნობილ ფერმწერებს, როგორც მხატვრებს და ადამიანებს, ათი წლის წინაც კარგად იცნობდა – როცა ისინი ამაზე ბევრად ღარიბები იქნებოდნენ (ფული მათ ხომ სწორედ ამ უკანასკნელ ათ წელიწადში გააკეთეს), ის ძველი დრო დაენანება. ყოველივე ზემოთქმული მაიძულებს, კვლავ მოგილოცო, „არტიმ" შენი სურათები რომ დააბრუნა. თუ დღევანდელ პირობებში წარმატებას მოიპოვებდი, ბევრად ნაკლები სიმპათიით და პატივისცემით მოგეპყრობოდი. აშკარად ეხედავ, ორივენი ძალიან მალე უკეთესად დაიწყებთ ხატვას, თუმც ურიგო ნამუშევრები არც ახლა გვაქვს.

საკუთარი თავის მიმართ ისევ მკაცრნი უნდა ვიყოთ, კვლავ ძველებური ენერგიით ვიმუშაოთ; საიმისო კი არაფერი გვჭირს, ჩვენი თავი გზააბნეულ, ქალაქებიდან ამოცვივნულ ხალხად ჩავთვალოთ მარტოოდენ იმის გამო, რასაც ჩვენზე და ჩვენს სურათებზე ის ხალხი ამბობს, ვისაც პგონია, თითქოს უფრო სწორ გზას ადგას, რაკი ეცდილობთ, ის დავხატოთ, რაც გაგვაოცებს – შინ თუ გარეთ, საავადმყოფოში, სხვაგან და სხვაგან. რომ იცოდე, რა სიმწარე გამოიარა თუნდაც დე გრუმ კრიტიკოსთა და არაკეთილმოსურნეთაგან, განცვიფრდებოდი. ილუზიებს არ უნდა ავყვეთ; საჭიროა, მუდამ მზად ვიყოთ საიმისოდ, რომ ჩვენსას ვერას გაიგებენ, მოგვიძულებენ, მოგვაყიენებენ; მაგრამ ამის მიუხედავად, საჭიროა, მხნეობა და ენთუზიაზმი შევინარჩუნოთ, თუნდაც საქმე უარესად წაგვივიდეს.

ჩვენთვის ურიგო არ იქნება, თუ ყურადღებას წინა ეპოქის (ეთქვათ, იმ ეპოქისა, რომელიც ოცი-ოცდაათი წლის წინ დამთავრდა) მხატვრებსა და სურათებზე შევაჩერებთ, თორემ, ალბათ, დრო რომ გავა, ჩვენზე

იტყვიან (უსათუოდ სამართლიანად): რაპარდი და ვისსეტ ვან გოგი დეკადენტები არიანო. ერთიორ მკაცრად ელაპარაკობ, მაგრამ ჩემი ყოველი სიტყვა ურყევად მწამს. ამიტომაც დღევანდელ სკოლას ანგარიშს სულაც არ გაეუწევ და საკუთარი გზებით ვიელი.

რ 20. *თებერვლის დასაწყისი. 1893* დიდი მადლობა წერილისა და შენგან საპოვნი გრაფიურების სიის გამო. მოთმინება აღარ მყოფნის, ვიდრე ზოგიერთს თვალს შევაყლებდე, განსაკუთრებით – დე გრუს და ლანსონს.

მიხარია, ჯანმრთელობა ასე სწრაფად რომ გიბრუნდება.

დამიჯერე, „გრაფიკის“ ნომრები, რომლებიც ახლა ჩემთანაა, განსაცვიფრებლად საინტერესოდ მოგეჩვენება. თითქმის ათზე მეტი წლის წინ, როცა ლონდონში ემუშაობდი, „გრაფიკის“ და „ლონდონ სიუსის“ რედაქციების ვიტრინებთან ახალი ნომრების სანახავად ყოველკვირა დავდიოდი. მაშინდელი შთაბეჭდილება ისე დიდია, მიუხედავად იმისა, რომ იმის შემდეგ რა აღარ გადამხდა, ის ნახატები ჩემი ხსოვნიდან არ ამოშლილა. ზოგჯერ მგონია, ეს ყველაფერი გუშინ მოხდა. მაგრამ მაშინაც არ ეყოფილვარ ამ ჟურნალებით აგრერიგად აღტაცებული, როგორც ამჟამად. ისე რომ, თუკი ამ ნომრების სანახავად შემოვიელი, სანანებელი არ გაგიხდება.

ვიცი, კალმით ნახატებზე სულ სხვა აზრისა ხარ, ვიდრე ბევრი პოლანდიელი, და თუმც ის უკვე აღარ ვიცი, კალმით ხატვას აპირებ თუ არ აპირებ, მაინც მჯერა, კალმით ხატვაზე ცუდს წინდაწინ არაფერს ფიქრობ. მუშაობის ეს მანერა, რა თქმა უნდა, სხვა მანერით მუშაობას არ გამორიცხავს, მაგრამ ხშირად სწორედ ეს არის ის მეთოდი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, შედარებით მალე და სწრაფად ჩაეინიშნოთ ეფექტები, სხვა შემთხვევაში ეგრეთ წოდებულ უშუალობას ნაწილობრივ რომ უსათუოდ დაკარგავდა.

არა მგონია, მაგალითად, პერკომერის „წმ. ჯილბერტის ღამის სათევს“ ან „ლონდონურ ჩანახატებს“ ანდა ფილდზის „ღატაკთა სახლს“, ზეთის ფერებით რომ დაეხატათ, ამდენი გრძნობა ან ასეთი თავისებური ხასიათი შერჩენოდა, რაც ამჟამად ამ ხელში გრაფიკული მანერით ნახატ სურათებს აქვს.

კალმით ნახატებს რაღაცა აქვს ეაქვაცური, თითქოს ხანში, და ეს მიზიდავს. ერთი ამბავიც: როგორც ჩანს, არის კალმით ხატვის ერთი ოსტატი, ჩვენ რომ არ ვიცნობთ. ერთი სიტყვით, გამოფენების მიმოხილვაში წავაწყდი ვინმე ლერმიტის ნამუშევრების დასახელებას. ფრანგია, ხატავს სცენებს ბრეტანელი მეთევზეების ცხოვრებიდან. მასზე წერენ, გრაფიკაში მილე და ჟიულ ბრეტონიაო. მისი სახელი წარამარა იხსენიება, მე კი მისი ნამუშევარი არსად მინახავს. ამ დღეებში ამასვე ეწერდი ჩემს ძმა თეოსაც, რომელსაც ჩემთვის ზუსტი ცნობები არაერთხელ მოუწვდია (მაგალითად, დომიესა და მის სურათებზე)...

კვლავ მინდა შენთან საუბარი. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მოკლე ხანში ჩემთან ჩამოსულას მოახერხებდი და „გრაფიკის“ კოლექციას თვალს შეავლებდი. ჩემს შინაურ ცხოვრებაში მომხდარ ზოგიერთ ცვლილებაზე წინასწარ მინდა შეგატყობინო, რადგან არ ვიცი, ასეთ ამბებზე რა აზრის ხარ.

„ბოჰემის“ დროს ჩემნაირი ოჯახი და სახელოსნო მხატვარი კაცისთვის უჩვეულო არ იქნებოდა. ჩვენს დროში კი ძველ „ბოჰემას“ ძალზე

დაეშორდით, ხოლო მხატერები რესპექტაბელურ მოსაზრებებს უკვე გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რისაც ბევრი არაფერი გამოგება, თუმც განაწყენება არც მათი მინდა, ვინც ასეთი მოსაზრებების დამცველია. ვიმეორებ, „ბოჰემის“ დროს, ალბათ, ამაზე ლაპარაკსაც არ დაიწყებდი; მაგრამ ახლა, ჩემო რაპარდო, გულახდილად უნდა გითხრა: ქალს, რომელიც ჩემთან ცხოვრობს, ორი ბავშვი ჰყავს და ამის გამო ძალიან ბევრი გადამიდგა, არ სურთ ჩემთან ურთიერთობა. ეს ამბავი კი მაეალღებულებს, შენც წინასწარ ყველაფერი შეგატყობინო. მაშ, ჩამოხვალ ამ დღეებში „გრაფიკების“ სანახავად?..

ო, მეგობარო, რა იქნებოდა, დღევანდელ ხალხს, მხატერებს კი, ცხადია, განსაკუთრებით, ძველი „ბოჰემის“ ცოტა მეტი რამ შემორჩენოდათ.

არ გეგონოს, ხალხი ჩემთან მარტოოდენ ამ ქალის გამო არ დადიოდეს. ერთი მიზეზი ჩემი ასეთი მარტოობისა, რა თქმა უნდა, ესეც არის; მთავარი მიზეზი კი მაინც ჩემი ფერწერაა, თუმც, ამ ზაფხულს ეტიუდებს ყოველდღიურად ვაკეთებდი. ერთი სიტყვით, მხატერებზე გული ამიცრუედა, ურთიერთობა ვერავისთან დავამყარე. გამოსწორდება ნეტავ ოდესმე ეს ამბავი?

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ერთი აქაური მხატვარი – ბოკი (პეიზაჟისტი) – საგიჟეთში წაიყვანეს. ვიდრე ავად გახდებოდა, მცირეოდენი დახმარებაც გაუძნელდათ, თუმც, ავად რომ იყო, მაუვეს წყალობით, ცოტა რამ მაინც გაუკეთეს. ახლა კი, როცა გადაკარგეს, ყველა დიდი სიმპათიით იხსენიებს, ყველა გაწაფულ ოსტატს უწოდებს. ხოლო ერთმა ვაჟბატონმა, დახმარებაზე მუდამ უარს რომ ეუბნებოდა და მის ნახატებს არ ყიდულობდა, ამას წინათ განაცხადა, ეს ნახატები დიაზის ნახატებს სჯობიაო – რაც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებად მეჩვენება. ერთი წლის წინ საწყალი ბოკი მიამბობდა, ერთხელ ინგლისში ვერცხლის მედლით დამაჯილდოვეს, რომელიც მერე ჯართად გაეყიდეო...

მეორე მხატვარმა, ბრეიტნერმა, ვისთან ერთადაც ზოგჯერ ქუჩაში ჩანახატების საკეთებლად დაედიოდი, ხოლო შემდეგ საავადმყოფოშიც ერთად ვიწექით, ქალაქის სკოლაში ხატვის მასწავლებლის ადგილი იშოვა, თუმც, როგორც ვიცი, მისთვის ეს საქმე სულ არ იყო საინტერესო.

ვარგა ჩვენი დრო მხატერებისთვის? ამ ქალაქში პირველად რომ ჩამოვედი, თითქმის ყველა სახელოსნო ჩამოვიარე, რათა მხატერები გამეცნო და შეგობრები გამეჩინა. ახლა კი გული გამიციდა. ჩემი აზრით, ამისთანა ნაცნობობა ზოგჯერ არც ვარგა, რადგან მხატერები ძალიან ხშირად თაეს მეგობრად მოგაჩვენებენ, რათა შემდეგ სარმა გამოგდონ. ამაზე დიდი უბედურების წარმოდგენა, ალბათ, აღარც შეიძლება. ჩვენ ხომ უნდა ვეხმარებოდეთ ერთიმეორეს, ერთმანეთისა უნდა გვჯეროდეს, რადგან ირგელიე მტრობა ისედაც ძალზე ხშირია და ბევრად უკეთ ვიცხოვრებდით, ჩვენს საერთო ინტერესებს ენებას ჩვენვე რომ არ ვაყენებდეთ! ხშირად შური აიძულებთ, სხვებზე ცუდი ილაპარაკონ. შედეგი კი როგორია? ნაცელად იმისა, რომ მხატერებმა ერთი მთლიანი კორპორაცია შეადგინონ, რომლის ძალა ერთობაა, თითოეული ცალკეა და ცალკე შრომობს; მას კი, ვინც ახლა როგორღაც თაეში მოქცეულა, შურის გამო, თაეის ირგელიე ერცელი უდაბნო შეუქმნია, რაც, ჩემი აზრით, ისევ მასზე მოქმედებს ცუდად. ხატვასა და ფერწერაში გაცხარებული შეჯიბრება არ არის ცუდი, გამართლებული მაინც არის; მაგრამ მხატ-

ერები ერთმანეთის პირად მტრებად არ უნდა იქცნენ: ერთმანეთს სულ სხვა იარაღით უნდა ებრძოლონ. თუ, რა თქმა უნდა, ეს ამბები არ დაგაბრკოლებს, აბა, დაფიქრდი, ჩემო კარგო, იქნებ ჩემი „გრაფიკების" სანახავად ჩამოხვიდე? საუცხოო სიმრებია...

რასაც ახლა გწერ, ადრეც მოგწერდი, მაგრამ რაც მოხდა, თვით მეც ძალზე უცნაურად მეჩვენებოდა; გარდა ამისა, ზოგის მიზეზით ძალიან ბევრი უსიამოვნება გადავიტანე და ამას ერთობ გამაგულისა, ხოლო ამჟამად ყველაფერ ამას იმიტომ კი არ გატყობინებ, რომ ზოგიერთ ყოფითს საკითხში შეზღუდულ კაცად მიმაჩნიხარ, არც ის მაშინებს, ვაითუ რაპარდმა ჩემი ქცევა სისულელედ ჩათვალოს-მეთქი; არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ხეზე სახატი გრავიურების სანახავად შენი მოპატიჟება ჩემგან დიდი უსინდისობა იქნებოდა, თუ წინასწარ არ გეტყოდი, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში უდიდესი ცვლილება მოხდა და ამის გამო ბევრი გამირბის, ბევრს გადაჭრით აღარ უნდა, ჩემი სახლის ზღურბლს გადმოაბიჯოს.

სახელოსნო წინანდელზე ბევრად ფართო მაქვს, მაგრამ ერთთავად მეშინია, ვაითუ ჩემმა სახლის პატრონმა გადასახადი მომიმატოს ან ისეთი მდგმური იშოვოს, ჩემზე მეტს რომ გადაუხდის. ჯერჯერობით კი სახელოსნო მე მიკავია. ძალზე კარგი და მოხერხებული სახელოსნოა.

ცხადია, მყოლია სხვა ქალებიც, ილუზიები სხვაცა მქონია, სხვა იმედებიც გამცრუებია, მაგრამ არასდროს მიფიქრია, ასეთი რამ თუ მოხდებოდა! რაც შეეხება იმ ქალს, რომელიც ზემოთ ვახსენე, გული ისე ამიჩუყა ამ მარტოხელა, უმწეო დედის საცოდაობამ, ყოყმანი აღარ დამიწყია. ეფიქრობ, ცუდი არაფერი ჩამიდენია არც მაშინ და არც ამჟამად. შეიძლება, გეერდით გულგრილად ჩაუარო ყველასგან მიტოვებულ ქალსა და დედას, გაჭირვება დაღუპვით რომ ემუქრება? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. სხვები თუ არა, მე ხომ მაინც ასე ეფიქრობ! ეს ქალი კი, რომ იცოდე, რარიგ მაგონებს პოლისა თუ ფილდხის ფიგურას!

რ 25. *თებერვალი, 1883* ეს-ეს არის, ხეზე ნახატი გრავიურების ერთი გრაგნილი მომიტანეს, რისთვისაც გულითად მადლობას გიხდი. ყველა კარგია. პეილბუტი კი, რაც უკვე მაქვს, იმათში ყველაზე მშვენიერია. მაგონდება, ერთხელ აქებდი ამ უსუსურო სიფაქიზით გაკეთებულ გრავიურებს. რამ გამახსენა? სულაც იმან, რომ მეც გამაოცა ამ სიფაქიზემ: ბოლო წერილში ჩემი ძმაც სწორედ ამაზე მწერდა. როცა ჩამოხვალ, გაჩვენებ, ეს როგორ კეთდება და, იმედია, ჩემზე ნაკლებ არ გაოცდები. ეჭვი სულაც არ მეპარება, იოლად მიხვდები, ამ ნაცრისფერის, თეთრისა და შავის ეფექტებს როგორ აღწევენ...

ეფიქრობ, ასეთი ფურცლები თუ გაქვს და შეგიძლია, რამდენიც გინდა, ათვალიერო, თანდათან უფრო მოგეწონება. პერემარის ეს სამიეე გრავიურა, დღეს რომ გიგზავნი, ალბათ, გინახავს; მინდა, შენც გქონდეს. ასეთი ფურცლების კოლექცია მხატვრისათვის იგივეა, რაიც ბიბლია, რომელიც შეუძლია, ჟამიდან ჟამად გულისყურით იკითხოს ხოლმე ღვთისმოსაეის განწყობაზე დასადგომად. ჩემი აზრით, ეს ფურცლები არათუ კარგად უნდა იცოდე, არამედ მუდამ ხელთაც გქონდეს.

ეჭვი სულაც არ მეპარება, ამ გრავიურებს როგორც მიიღებ, — თუ უკვე არ გაქვს, — მაშინვე იგრძნობ, რა კარგია, ყოველთვის რომ ხელთ გექნება... ბუნებრივია, როცა ასეთი ფურცლები გაქვს და წარამარა ათვალიერებ, ცხადად და კარგად იმახსოვრებ. შენც, უთუოდ, ასე იქნები

და სულ მალე, არ შეიძლება, ამ ფურცლებმა უახლოესი მეგობრების მაგიეროპა არ გაგიწიოს.

მრავალი წლის წინ მეგონა, თითქოს უმეტესობა მხატვრებისა ხელოვნებაზე ისე ფიქრობდა, როგორც მე და შენ; თურმე ეცდებოდი...

პოლის „ირლანდიელ ემიგრანტებზე“ ორიოდ სიტყვას კიდევ გეტყვი. ქალი, რომელზედაც ახლახან გწერდი, დაახლოებით ამ სურათის მოთავარ ფიგურას მიემგვანება (ვგულისხმობ დედას, ბავშვი რომ უჭირავს) – თუკი მთლიან ფიგურას შეეხედავთ, ხოლო დეტალებს ყურადღებას არ მიაქცევთ. ამ ქალის აღწერას უკეთესად ვერ შეძლებდი.

რ 32. *მარტი-აპრილი, 1883.* ამ კვირაში ფიგურებსა და ურიკებს ეხატავდი. იქნებ ლითოგრაფიებისთვის გამომადგეს; თუმც, არ ვიცი, რა გამომივა. ჯერჯერობით ეხატავ, მეტი არაფერი. როგორც გწერდი, ამ კვირაში ვან დერ ველდემ შემომპირა: ის იყო, მოდელის ხატვას მოერჩი და ისიც მოვიდა. „გრაფიკის“ ფურცლები ურიკაზე გავშალეთ და ამ პატარა გამოფენის თვალიერებას შეუდექით. ურიკაც ხომ იმ მოდელის ატრიბუტია, რომელზედაც უდიდესი გულისყურით ვიმუშავე. აქ იყო ბოილ პოუტონის ერთი სურათიც – ამ სურათზე ადრეც გწერდი. დახატულია „გრაფიკის“ რედაქციის დერეფანი შობის დამდეგს. დღესასწაულის მოსალოცად, ალბათ, საჩუქრად ორიოდ გროშის მოლოდინითაც, მხატვრებთან მათი მოდელები შემოსულან. უმეტესობა ხვიბარია. წინ ყავარჯნიანი კაცი მოუძღვით, პალტოს კალთაზე უსინათლო ებღაუჭება, რომელსაც მხრებზე უფეხო უზის; მის კალთას მეორე უსინათლო ჩასჭიდებია, ხოლო უკან თავშეხვეული დაჭრილი მოჩანს; დაჭრილს მოსდევენ დანარჩენები. ვან დერ ველეს შევეკითხე: როგორ ფიქრობ, მოდელებს საკმაოდ ეხატავთ-მეთქი? მან მიპასუხა: ამ დღეებში, როცა ჩვენთან, სახელოსნოში ისრაელსი შემოვიდა და ჩემი დიდი სურათი ნახა – „ქვეშის საზიდი ურიკები“ – ასე მითხრა: პირველ რიგში უნდა გირჩიოთ, მოდელები, რაც შეიძლება, ხშირად ხატეთო.

დიახ, ვფიქრობ, ბევრი მხატვარი, ცოტა მეტი ფული რომ პქონდეს, მოდელებს უფრო ხშირად დახატავს, მაგრამ ყოველი მეათე პენსიც რომ მოდელის სახატავად გადაგვეხარჯა, არ გვეყოფოდა... მხატვრები რომ შეამხანაგდნენ და ისეთი ადგილიც გამოსახონ, სადაც მოდელები ყოველდღიურად თავს მოიყრიან – ესე იგი, ისე, როგორც უწინ იყო, „გრაფიკის“ დროს, – ძალიან კარგი იქნებოდა. მოდი, როგორმე ერთმანეთი წავახალისოთ, ერთმანეთი შთავაგონოთ და პატიოსნად, ალალ-მართლად, გატაცებით, მთელი რწმენით, მთელი ძალ-ღონით ეს ვაქეთოთ და არა ის, რასაც ჩვენგან სურათებით მოელოდნენ... ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, უშუალოდ მოდელის ხატვას უკავშირდება.

მხატვრებმა ამ ხერხით რაც უნდა დახატონ, გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის გამო „უსიამოვნოს“ უწოდებენ. ჩემი აზრით კი, ასეთ მოჩვენებითს მაგრამ ფესვგადგმულ წარმოდგენას შესაძლოა, მხატვრებმა ძლიონ, თუ შეთანხმდებიან, ერთიმეორეს შეეწევიან, მხარს დაუჭერენ, ზოგჯერ ხმასაც აიმაღლებენ; უფლება ხალხთან ლაპარაკისა ჩვენცა გვაქვს და სურათებით მოელაპრეებმა ეს კარგად უნდა იცოდნენო. თუმც ვაღიარებ, რასაც მხატვარი თავის სურათზე ილაპარაკებს, იქნებ ყოველთვის არც კი იყოს გასაგები; ჩემი ღრმა რწმენით, საზოგადოებრივი აზრის ხნულებში ამ გზით სწორედ ისეთი თესლი დაითესება, სურათების მოელაპრეთა და მათთა მსგავსთა (ვისი უცილელი დევიზიცაა „პი-

რობითობა") გაბსენულ მარცვალს ბეურად აღობებს. ეს ფიქრები, უსებუ-რად, კელაე გამოფუსის საკითხთან მაბრუნებს. შეს ხატაე, რაია გამო-ფინო შესი საქმეა. მე, ჩემდათაეად, გაღაჭრით ვამბობ, რომ გამოფუსა სრულიად არ მაინტერესებს.

არ ეიცი რატომ, სურათების გამოფუსა უწის უფრო მნიშვნელოეას საქმედ მიმაჩნდა, მაშის უფრო სხეაგეარად ეფიქრობდი, ეიდრე ამჟამად; ჩანს, მას შემდეგ ხშირად მომიხდა კულისებს მიღმა შეხედეა და გამო-ფუსებთან დაკაეშირებული ზოგიერთი გარემოების ახლოს დანახეა. ამი-ტომ, როცა ეიტყეი ხოლმე, სურაოების გამოფუსით ძალიან ხშირად მცდარი აზრიც იქმნება-მეთქი, მარტო იმის ბრალი როდია, გამოფუსა თაეად რომ ნაკლებ მაინტერესებს. ამჯერად არ მსურს, ამ თემაზე უფრო მეტი ეილა-პარაკო, ერთს კი ეიტყეი: მე, პირადად, მეტ სიკეთეს იმ მხატეართა ერთობისაგან უფრო მოველი, ერთმანეთის სიმპათია, მისწრაფებათა ერ-თიანობა, უმწიკელო სდობა, გულთბილი და გულითადი მეგობრობა რომ აკაეშირებთ, ეიდრე მათი ნამუშეერების ერთობისგან საგამოფენო დარ-ბაზებში.

ის ფაქტი, რომ ერთ დარბაზში ერთად, გეერდიგეერდ სხეადასხეა მხატერის სურათებს ეხედე, კიდეე არ მაძლეეს იმის საფუძეელს, დაეი-ჯერო, ამ სურათების აეტორთა შორის სულიერი ერთობა და პატივისცე-მა სუფეეს-მეთქი. აი, ასეთი ერთობა კი, ასეთი ჯანსაღი თანამშრომლო-ბა და ა.შ. ისეთ საჭირო, ისეთ ყეელაზე მნიშენელოეან გარემოებად მიმაჩნია, სხეა ყეელაფერი უკან იწეეს; თაეისთაეად, სხეა რამე – თუნ-დაც ძალიან საჭირო – ამ ერთობას მაინც ეერ შეცელის, ეინაიდან უამისობა ფეხქეეშ მიწის გამოცლას ნიშნაეს. ის როდი მინდა, გამოფენე-ბი და ა.შ. აღარ მოეწყოს, მაგრამ მსურს მხატერებს შორის თანამშრომ-ლობა, უფრო სწორად მხატერებს შორის ურთიერთობის განახლება და განმტკიცება მსურს. ეინაიდან ყეელაფერ ამას, ერთად აღებულს, მაშინ-ეე ისეთი დიდი მნიშენელობა მიეცემა, გამოფენაც კი სარგებლობის მომტანი და საჭირო გახდება.

რაც შეეხება შენს ნამუშეერს – „შორენკეცის მომხატაე ოსტატებს", – მეტისმეტად მაინტერესებს. მაინტერესებს, რა არის და რა გამოეა. კარგია, რომ ამ სურათზე მუშაობას დაბრუნებიხარ. მაინტერესებს ყეე-ლაფერი, რაც ამ სურათს ანდა შენს სხეა ნამუშეერებს უკაეშირდება; ყეელაფერი, რაც მინახაეს ან ამაზე რაც მსმენია, ჩემს სიმპათიებს იმსა-ხურებს; მაგრამ გაგხაეში თუ არ გაგხაეში ამ ნამუშეერებს გამოფენაზე, იმაზე მეტად არ მენაღელება, ეიდრე, ეთქეათ, ის, თუ რა ფერის ანდა რა ფორმის ჩარჩოებში მოათაესებ.

რ 34. ***მაისი, 1883*** არ გეგონოს, ჩემო კარგო, დეკორატიულ ნამუშეე-რებს ან ორნამენტებს რაიმეს ეერჩი, – ამჟამად ეარ წინააღმდეგი ამ საქმისა, ამ პირობებში; არ ეიდაეებდი, თუ ამაზე მეტ ძალ-ღონესაც დაეხარჯაედით აღმაელობის, აღორძინების, ენერგიის მოჯარბების ჟამს. მაგრამ ასეთი ხელგაშლილობა, როცა ირგელიე მართლაც დუნე ატმოს-ფეროა, – განსაკუთრებით უმცროსი თაობის მხატერებზე ეამბობ, – როცა ყეელამ, ეისაც ოდნაეი ენერგია გააჩნია, გულისყური უნდა დაძა-ბოს, ცხადია, არ მომწონებია. ყეელაფერს ხომ თაეისი დრო აქეს: ჯერ არს სიმკაცრე, როცა გეჭირდება, თეითდამშეიდებას ეერ მიეეცემით; ეს მარტოოდენ მათი საქმეა, ეინც ფიქრობს, ყეელაფერი რიგზეაო; ამ თეალ-საზრისს კი თანდათან ბეერი იზიარებს, ხოლო სხეები უკეე უსიტყეოდ

ეთანხმებიან... როცა აშკარად დაკისრებით და დაქვეითდით, ორსამსტები რაში გჭირდა! ორსამუნტების ხარჯი და არსებულ ეითარებასთან შერიგება კი არა, საჭიროა სწრაფად ყველა ძველი გჭირდის ეტერანთა სულიერი ერთიანობის მისაღწევად.

ჩემი აზრით, მეგობარო, ბეერი რამ არის პირად საქმეზე, ჩვენს საკუთარ გასაჭირზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ახლა მინდა, სწორედ ჩემს საქმეებზე გელაპარაკო. ესე იგი, გადაედიეარ საკუთარ თაეზე და არ დაეშალავ, რომ მომაეალი არცთუ ისე ნათლად მაქვს წარმოდგენილი და არც ის ეიცი, განზრახეთა შესრულებას შეეძლება თუ არა. ჰოდა, მინდა, რჩევა გკითხო იმ იმედით, რომ შენი რჩევა დამეხმარება და საიდანმე იმედის სხივს გამომიჩენს.

ჩემს სურათებზე სწორი აზრის ხარ და ეს ზოგჯერ გამომადგება; მაგალითად, შეგიძლია, დამეხმარო ერთ სიუჟეტზე დახატული ეტიუდების შეერთებაში. ახლა ბეერი ეტიუდი მაქვს; რაც მთავარია, თაეში ბუნდოენად მიტრიალებს ორი-სამი უფრო მოზრდილი კომპოზიცია, რომელთათეისაც სიუჟეტური მასალების უმეტესობას, ეტყობა, ჩემიე ეტიუდებში გამოენახავ. სწორედ იმიტომ, ჩემს თეალში რომ შენს აზრს დიდი მნიშვნელობა აქეს, ჩემს ჩანაფიქრებს უნდა იცნობდე – დაე, თუნდაც, მიახლოებით. ეფიქრობ, შენი ფანტაზია საკმარისი აღმოჩნდება ჩემი აზრების გასაგებად, თუნდაც ყველაფერში არ მეთანხმებოდე.

თუ მე უარეყოფ ახალ მიმართულებას, ეს, რა თქმა უნდა, ისრაელსის, მაუეს და მარისის სტილს არ ეხება; არა, ეს სტილი საუკეთესოდ მიმაჩნია. მაგრამ იმას, უკანასკნელ ხანს რაც ამ ოსტატთა სტილმა წარმოშეა და რაც, მსგაესების მიუხედაეად – ლაპარაკია მხოლოდ გარეგნულ მსგაესებაზე, – მათ სტილს აშკარად ემიჯნება, ეერ მოეიწონებ. ეან დერ ეველე, მაგალითად, ბეერად უფრო სერიოზული მხატეარია და გაცილებით სწორ გზასაც ადგას. მისი ეტიუდები ახლახან ენახე.

მიმაჩნია, რომ შენც სწორ გზას დასდგომიხარ, მაგრამ ზოგი შენი სურათი, იმ თეალსაზრისით, რაზედაც ახლა ელაპარაკობდი, ამ სწორი გზიდან გადახეეაა. კარგი, ჩემს სიტყეას სიამოენებით წაეიღებ უკან, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება მაინც შემექმნა. მეც ისეთი გზის არჩეეას ეცდილობ, უკეთეს გზად რომ მიმაჩნია, ეთქეათ, ისრაელსის, მაუეს და მარისის გზა. ჯერ არ ეიცი, ამ საქმეში რას მიეაღწიე, ნაკლებად ეიცი, მომაეალში რას მიეაღწეე, მაგრამ ის კი გაეაკეთე, რაც შემეძლო, და მომაეალშიც გაეაკეთებ, რაც შემიძლია. რაკი ასეა, ეითა სამხრეთია ჩრდილოეთიდან, მეც ისე შორს ეარ აზრისგან, რომ შენს ახალ დეკორატიულ ნამუშეერებზე, როგორც სკოლის მასწაელებელმა, ისე დაგიწყო ჩხუბი და დავა. გედაებები როგორც მხატეარი, რაღაც ჯანსაღს, მართალსა და სერიოზულს თეითონ რომ ეძებს; ესე იგი, არა იმიტომ, რომ უკეე ეიპოეე, არამედ ეეძებ, დიახ, ეეძებ და მხოლოდ იმიტომ.

ის, რაც შენზე მიფიქრია და, რა თქმა უნდა, არანაკლებ საკუთარ თაეზედაც, ბოლოს, აი, სადამდე მიდის: ყველაფერს არ უნდა წაეპოტინოთ, პირიქით, უნდა გულისყური მოეიკრიბოთ, ლაკონიურობას ეესწრაფოდეთ. ღმერთმანი, შენთან ფილოსოფიურ თეორიებზე სალაპარაკოდ როდი მინდა ჩამოეიდე, პრაქტიკული საკითხები უნდა განესაჯოთ, მხოლოდ ორშაბათ დილასაეით პროზაულ და ჩეეულებრიე პრაქტიკაზე ეილაპარაკებთ.

ჰაუარდ პილის „გრაფიკაში“ დაბეჭდილ სურათზე მწერ. თუ გულის-

ხმოპ კომპოზიციას „პესესა და კოლოსისტებს“, ტერბორხს თუ სიკოლას კეისერს რომ მოგეგონებას, მაშ, იცოდე, ამ სურათმა მეც გამაოცა, ეს გამოშეება ამიტომაც შეეუკეთე. მშეესიერი სურათია! ასეთივეა კისგის „მუშები მიწისქვეშა რკინიგზის ვაგონში“, მის გამო კი „ლოსდონ ნიუსის“ მორიგი სომერი შეეიძისე.

ხელი მოვაწერე დიუმას „1883 წლის სალოსზედაც“,* რომლის პირველი გამოშეება – სულ თორმეტი გამოშეება უნდა იყოს, – ერთი ფრანკი ღირს...

აქ, პარიზში, ნაწილობრივ იმის გამო, ბაეშეებიანი ქალი რომ ცოლად მოეიყვანე, ჩემი ნაცნობობა ბეერს სათაკილოდ მიაჩნია. მაგრამ, ეგონებ, შენი არ უნდა მეშინოდეს, ეინაიდან ჩემი ყურით გაეიგოსე, ასეთ ამბავზე ერთხელ რა თქეი. ეს კი საეზებით განსხვაეედება საყოველთაოდ მიღებული თეალსაზრისისგან.

ხოლო მე, აი, როგორ ეიქცევი: ზემოთ რომ ეთქვი, იმ ამბის გამო თუკი ეინმე თაეს მომარიდებს, მეც ეერიდები, მირჩევნია, განზე ეიყო. საერთოდაც ყურადღებას სულ არ ეაქცევ იმათ ცრურწმენას, ეინც სოციალურ პირობითობას ანგარიშს უწევს ანდა, ცდილობს, გაუწიოს. რაც უნდათ, ქნან და როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ. მათი ქცევა ისეთ სისუსტედ მიმაჩნია, უბრალოდ, არც მსურს, შეეებრძოლო; აქტიური თაედასხმა მაინც, ჩემი აზრით, ნამდეილად არ ღირს. იმედია, ამას რომ გწერ, პედანტობად არ ჩამითელი...

ეერ დაეიჯერებ, თითქოს მხატეარს სურათების ხატეის გარდა სხეა მიზანი და მოეალეობა არ გააჩნდეს. ამით, აი, რის თქმა მინდა: თუ ზოგიერთს წიგნის კითხეა და, ასე შემდეგ, დროის დაკარგეად მიაჩნია, მე – პირიქით, იმ აზრისა ეარ, რომ ეს მხატეარს არასოდეს ხელს არ შეუშლის, პირიქით, შრომის ხალისს შემატებს და უკეთ და მეტს იმუშაეებს; ხოლო იმ დარგში, მის ხელობას რომ უკაეშირდება, თეალთახედეასაც გაუფართოებს; კითხეა მაინც უაღრესად საჭიროა. კითხეას მხატეარზე უდიდესი ზეგაელენა აქეს, რა თეალსაზრისიც უნდა ჰქონდეს და ცხოერებას როგორც უნდა უყურებდეს.

ჩემი აზრით, ადამიანს რაც მეტად უყეარს, მოქმედება მეტად სწყურია; სიყეარული, თუ მხოლოდ გრძნობაა და სხეა არაფერი, ეერ ეიტყეი, რომ ნამდეილი და ჭეშმარიტი სიყეარულია.

რ 35. *მაისი, 1883.* გიმეორებ, შენი სურათი საუცხოოა, ჩანახატი კი – „ქალი ჯარასთან“ – განსაკუთრებით გამოირჩეეა, ეს უკეე ნამდეილი მხატერობაა. ძალიან კარგი იქნებოდა, თუკი ნახშირით „შორენკეცის მომხატაე ოსტატებსაც“ დახატაედი. დახატაე კიდეც. რატომაო? იმიტომ, რომ, აი, ასეთი კომპოზიცია, როცა ფერწერულ სურათს კი არა, ნახატს აკეთებ, ბეერად ძლიერია: მაშინ ის უფრო ახლოსაა სინამდეილესთან, აქცენტირებაც მკეეთრია და ენერგიული...

გრაფიკას მაინც თაეისებური ღირსება აქეს, თაეისებური მომხიბელელობა. თანაც მისი აღდგენა და გამრაელება იოლია. „ოსტატების“ ფოტოგრაფია კი არ გამოეა – რეპროდუქციაზე ლურჯი ფერი თეთრად გამოსჩნდება. ბრმების თაეები (ეტიუდები) საუცხოოა...

ქეემოთ მომყაეს ერთი ნაწყეტი ჩარლზ დიკენსის „პაწია დორითის“ შესაელიდან, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა ხდება ფიგურის ოსტატის გონებაში კომპოზიციაზე მუშაობისას: „ამ წიგნზე ორ წელს ემუშაობდი, დიდი დრო და დიდი შრომა შეეალიე. და თუ კითხეის დროს მისი ნაკლი

ასდა ღირსება თავისთავად არ იგრძნობა, ჩემი შრომა ფუჭი ყოფილა. მაგრამ რაკი საფუძველი მაქვს, ვიფარაუდო, რომ ამ წიგნის ყველა ძაფი უფრო დიდხანს ჩემს ხელში იყო და უფრო მეტი ყურადღებით ვაკვირდებოდი, ვიდრე წიგნის დაბეჭდვამდე ვინმეს შეეძლო, უფლება მაქვს, მოვითხოვო, რომ წიგნის ქსოვილი და ამ ქსოვილის მოხატულობა როგორც მთლიანი, ერთიანი და დასრულებული, ისე გაიაზრონ".

აი, ჩემო მეგობარო, როგორ კარგად ასაბუთებს ჩარლზ დიკენსი, ფიგურის ოსტატს უფლება რომ აქვს, მოითხოვოს, მისი ყოველი ნამუშევარი მთლიანობაში წარმოიდგინონ და ამის შემდეგ შეაფასონ. შენს ნამუშევარს მეც დღეს სწორედ ასე შევხედე და შენდამი სიმპათია კიდევ უფრო მომემატა.. მინდა, სხვებისგან განსხვავებით, ჩემი სურათები შენც, აი, ასე მთლიანობაში გაიაზრო.

ისიც მომწონს, შენს სახელოსნოს რომ ზოლას, პიუგოს, დიკენსის წიგნები – ფიგურის ფერმწერთა სამაგიდო წიგნები – შენის. ერკმან-შატრიანის „გლეხი კაცის ისტორიას" გამოგიგზავნი. საფრანგეთის რევოლუცია და 1789 წლის კონსტიტუცია თანამედროვე სახარებაა და ეს ჩვენი წელთაღრიცხვის იმ პირველი საუკუნის სახარებაზე ნაკლებ დიადი არაფის ეგონოს. არ მესმის, ფიგურას როგორ დახატავ, აზრსა და გრძნობას თუ არ ჩააქსოვ. სახელოსნოში თანამედროვე წიგნი თუ ეერსად დაეინახე, სიცარიელეს ვიგრძნობ ხოლმე. შენც, უთუოდ, ასე იქნები.

არ იკითხავ, რის წამოღება დამაეიწყდა? რობის „მეშახტეთა გაფიცვისა", დუბლიკატი შენც უნდა გქონდეს. მეც მაქვს, მაგრამ ვან დერ ეეელეს შეეპირდი და უნდა მიეცე. ჩვენში დარჩეს და, ზოგიერთ უცხოურ კომპოზიციას თუ ხანდახან თვალს შეაელებდა, მისთვის ურიგო არ იქნებოდა: ჩემი აზრით, იგი ცოტა მოწამლულია პოლანდიური ცრურწმენებით, თუმცა, თავის დიდ სურათში ამას თითქმის სძლია კიდეც...

ლერმიტის, პერეს, ბასტიენ ლეპაჟის რა საუცხოო ილუსტრაციები გიშოვია!

შენს ადგილზე ერთ-ორ ლამაზ თაეს უთუოდ კიდევ დაეხატაედი, უსინათლოთა თაეები რომ გაქეს, აი, ისეთებს.

რ 37. *მაისი-ივნისი, 1883.* ის იყო, წერილის წერა დავიწყე და ფოსტალიონმა დიდი ხნის ნანატრი შენი წერილი მომიტანა. მიხარია, ნახატში რომ წარმატებისთვეის შიგიდწვეია. ეჭვიც არასდროს შემპარვია, ეს ასე უნდა ყოფილიყო: შენ ხომ დიდი შემართებით შეუდექი საქმის კეთებას. დაეიწყებ იმით, რომ საესებით სამართლიანად, საესებით სწორად მიმანია, რასაც ინგლისელ მხატერებზე ამბობ. შენს სურათებშიც სწორედ ეს არის შესამჩნეეი; ყეელაფერში გეთანხმები. სწორია, რასაც თამამ კონტურზე იწერები.

აი, თუნდაც მილეს ოფორტი „მბარაეები", ალბრეხტ დიურერის რომელიც გსურს, ის გრაეიურა და, პირველ რიგში, თვითონ მილეს ხეზე ნახატი ერთი დიდი გრაეიურა, „მწყემსი" რომ პქვია. აშკარაა, ასეთი კონტურით რამდენის თქმა შეიძლება. ამ სურათებს როცა უყურებ, ისეთი გრძნობა გეუფლება, შეს რომ ასე კარგად გამოთქვი: როგორ მსურდა, მეხატა, თუკი მუდამ საკუთარი გზით ეიელიდიო, და ა.შ. კარგად არის, ძმაო, ნათქვამი. ამას მხოლოდ ეატკაცი იტყვის!

გაბედული, ენერგიული, თავისებური ხასიათის მქონე კონტურის კიდევ ერთი მაგალითი, ჩემი აზრით, ლეისის ზოგი სურათია, განსაკუთრებით, სასადილოსთვეის დახატული დეკორაციის მთელი სერია: „გასეირ-

სება ოთელზე", „სუფრა", „დარბაზობა", „მოახლე" და „მოცეკურაეესი". დე გრუ და დომიეც ასე ხატავენ. ისრაელსი, მაუეე და მარისიც კი ზოგჯერ თავს სებას აძლეევენ ხოლმე, ესერგიული კოსტურით ხატოს, თუმც, ლეისის ან პერკომერის ყაიდაზე მაინც არა. როგორც ჩანს, კოსტურის ხსენებაც არ სურთ, უფრო ხშირად „ტოხსა" და „ფერზე" ლაპარაკობენ.

მაგრამ, ამის მიუხედავად, ისრაელსმა ნახშირით ნახატ ზოგ სურათში ისეთი ხაზები გამოიყენა, მილეს გეგონებს. გადაჭრით ვამბობ, ზემოთ ჩამოთვლილ ოსტატთა მიმართ ჩემი უდრმესი აღტაცების და პატივისცემის მიუხედავად, საჭიროა, – განსაკუთრებით, მაუეესა და მარისზე ვამბობ, – სხვა მხატვრებთან საუბრის დროს უფრო მეტის დაჟინებით რომ არ ამბობენ, კოსტურის მეშეეობით რამდენი რამის მიღწეეაა შესაძლებელი და, ამის საცელად, ასეთ რჩევას იძლეევიან: ფრთხილად, რბილად უნდა ეხატოთო. ისე გამოდის, თითქოს ამჟამად ყურადღების ცენტრში მხოლოდ აკეარელია, გეგონება, აკეარელით ყეელაზე უკეთ შეიძლებოდეს ჩანაფიქრის გადმოცემა. გრაფიკას კი თითქმის სრულიად არ ექცეეა ყურადღება, უარესიც – ეგონებ, ერთგვარი ანტიპათიით უცქერიან. აკეარელში ხომ შაეი ფერი, როგორც იტეეიან, არ არსებობს. კოდა, რაკი ასეაო, ხალხიც ამას გაიძახის: ოჰ, ეს შაეი სურათები ვის რად უნდაო! მაგრამ არ ღირს, მთელი წერილი მხოლოდ ამას მოვანდომო.

მინდა, ისიც შეგატყობინო, რომ მოლბერტზე ახლა ოთხი ნახატი მაქვს: „ტორფის მჭრელები", „ქვიშის კარიერი", „ნაკელის გროეა" და „ნახშირის ტეირთვა". „ნაკელის გროეას" ორჯერ მიეუბრუნდი: პირეელი ეარიანტი იმდენი ეასწორე, დასრულება აღარ ღირდა.

შენთან რომ ვიყავი, იმის შემდეგ ძალიან ბეერი ვიმუშაე; ეტიუდები იმდენი ვხატე, კომპოზიციის ხატეისაგან თავს ისე დიდხანს ვიკავებდი, როცა საქმეს ხელი მოეკიდე, უკეე პირდაპირ ავიწეეიტე. ერთ-ორ დილას როდი ვეწვალე! ოთხ საათზე ედგებოდი ხოლმე სახატაოდ. საოცრად მისდა, ჩემს ნამუშევრებს თვალი შეაელო: გარდა ვან დერ ვეელესი, არავის უსახავს; მის ნათქვამში კი სხვის დაუხმარებლად ვერ გაერკეეულევარ. ეს სურათები ვან დერ ვეელემ საკმაოდ კარგად შეაფასა. „ქვიშის კარიერზე" კი ასე მითხრა: ბეერი ფიგურა დაგიხატავს, კომპოზიციას უბრალოება აკლიაო; „დამიჯერეთ, ადექით და მხოლოდ და მხოლოდ ეს ბიჭი დახატეთ, ჯებირზე რომ ურიეით. დგას ჩამაეალი მზის კაშკაშა ფონზე; მაშინ ლამაზი სურათი გამოეა. ახლა რაღაც არეულია ერთმანეთში ყეელაფერი, სიმშვიდეს მოკლებული სურათიაო".

მაშინ კოლდეკოტის ნახატი ვაჩვენე – „ბრაიტონის გზა" – და შევეკითხე: „თქვენ გინდათ, თქვათ, რომ კომპოზიციას ბეერი ფიგურა არ უხდება. ნახატს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, უბრალოდ თქვით, კომპოზიცია როგორია?"

„იცით, – მითხრა ვან დერ ვეელემ, – არც ეს მომწონს. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი აზრია. თუმც, ამისდა მიუხედავად, თქვენი სურათი ის არ არის, რის ყურებაც შეიძლება, მესიამოვნოს, რაც შეიძლება, მომწონოსო".

„რა გაეწყობა, – ვიფიქრე მე, – ერთი მხრივ, ცუდად არ ლაპარაკობს!" როგორც ხედავ, ვან დერ ვეელე ისე საღად არ უყურებს ყოველივეეს, მე რომ მჭირდება. მაგრამ, საერთოდ, იგი საესებით გონიერი და ჭკვიანი კაცია. ერთადაც გაეისეირნეთ და ეს ახლა სასიამოვნოდ მაგონდება. მან რამდენიმე საოცრად კარგი სიუეეტი დამანახვა.

ქეიშის კარიერის სწორედ მასთან სეირნობის დროს მიეპყრობა ყურადღება, თუმცა, მას არც კი შეუხედავს. მეორე დღეს კი მარტო წაეედი სახატაედ. ეს კარიერი ბევრი ფიგურიით იმიტომ დაეხატე, რომ იქ მაშინ, მარილაც, ბევრნი მუშაობდნენ; თურმე ქალაქის ხელისუფალნი ზამთარსა და შემოდგომაზე უმუშევრებს, აი, ასე ამუშაევებენ. თანაც ეს სცენა მეტისმეტად დინამიკური მოეჩვენა.

სულ ახლახან რამდენიმე მშვენიერი მოდელი მყაედა, მათ შორის ერთი საუცხოო მთიბავი იყო, შესანიშნავი სიფხლელი ბიჭი, სწორედ მილეს ფიგურას პგაედა; მეორე კი – ყმაწვილი ურიკით – თუ გაგონდება, ერთხელ მისი თაეიც დაეხატე. მაგრამ მაშინ საკეირაოდ ჩაცმული იყო, დაშვებულ თვალსედაც სუფთა სახეევი პქონდა. ახლა ჩემთან საყოველდღეო ტანსაცმლით დადის და, ალბათ, ძნელად დაიჯერებ, რომ ორიეე ეტიუდზე ერთი და იგიეე ყმაწვილია დახატული.

თითოეული ნახატის ზომა (ამ ოთხი დიდი ნახატიდან) 1 მ x 50 სმ-ია.

ყაეისფერი პასპარტუთი, შიდა ჩარჩო რომ ძალიან შაეი აქეს, კმაყოფილი ვარ. მისი წყალობით, შაეის ძალიან ბევრი ელფერი ნაცრისფრად მოჩანს, მაშინ როცა, თეთრ პასპარტუზე ძალიან შაედ გამოჩნდებოდა. ხოლო ასე, მთლიანობაში, ყეელაფერი ღია ფერის შთაბეჭდილებას უფრო ახდენს.

რომ იცოდე, როგორ მინდა, ჩემს ნახატებს თეალი შეაელო! რა თქმა უნდა, კმაყოფილი სულაც არა ვარ და სულ არ ეფიქრობ, ეს ნახატები კარგია-მეთქი. მაგრამ მაინც მეტისმეტად მაინტერესებს, შენ რას იტყეი. ჩემს ფიგურულ ჩანახატებს ჯერ მეტყეელი ეერ დაერქმეევა, თუმცა, შეიძლება, უკეე ფიგურულ ჩანახატებად ჩაითვალოს. მაგრამ მინდა, სტრუქტურასაც და მოქმედებასაც კიდეე უფრო მოუქნელად, უფრო უხეშად გამოეხატაედე.

მწერ, მოსაელელი ბილიეებით სიარული მიეატოვე და უკეე სწორ გზაზე გამოეედიო. ეგონებ, კარგად შეგიმჩნეევია. მეც ასე ვარ, რადგან მთელი შარშანდელი წელიწადი მხოლოდ ფიგურებს ეუკირკიტებდი, თანაც უფრო შეუპოვრად, ვიდრე უწინ. თუკი ჩემი თეალის გჯერა, ეჭვს ნუ შეიტან, რომ შენს ფიგურებს განწყობილება არ აკლია; შეგიძლია, მშეიდად იყო: რასაც აკეთებ, მხნეობისა და სიჯანსაღის დაღი ახნია; პოდა, რაკი მიზეზი არ გაქეს, საკუთარ თაეში რაიმე ეჭვი გეპარებოდეს, თამამად და გაბედულად იმუშაეე. ბრმების თაეები საუკეთესო ეტიუდებად მიმაჩნია.

არ უნდა გაგიკეირდეს, ზოგიერთი ჩემი ფიგურა ასე ძლიერ რომ განსხეაედება ფიგურებისგან, რომლებსაც ზოგჯერ მოდელებიდან ეიხატაე ხოლმე. ზეპირად ძალზე იშეიათად ეხატაე რაიმეს – ამ მეთოდს თითქმის არ ეიყენებ. უშუალოდ ნატურის წინ დგომას და ხატეას თანდათან ისე მიეჩეიე, რომ ეს ჩემს აღქმას გაცილებით ნაკლებად ბორკაეს, ეიდრე უწინ: როცა ნატურის პირისპირ ერჩები, იგი ისე ეელარ მჯაბნის. საკუთარ თაეს, საკუთარ აღქმებს ახლა მეტად ეინარჩუნებ. თუკი ბედი გამიღიმებს და შინაგანად აწყობილი, წყნარი, მშეიდი მოდელი შემხედება, მრავალგზის ეხატაე; პოდა, მაშინ ჩეეულებრიეი ეტიუდისგან განსხეაეებული ეტიუდი გამომდის ხოლმე, ესე იგი, ბევრად უფრო ღრმად ნაგრძნობი და ხასიათით დატეირთული.

ეს ეტიუდი მაინც იმაეე პირობებში დაიხატა, როგორშიც წინა, ნაკლებ მეტყეელი, ნაკლებ ნაგრძნობი ეტიუდები. მუშაობის ეს მანერა სხეა

რომელიმე მასერაზე უარესი სულაც არ არის. მაგალითად, „ზამთრის ბაღების“ მასერაზე (ამ სურათზე ყველაფერი დახატულია დაწერილებით). შესანე ამბობდი, ეს ეტიუდები გრძნობით არის შექმნილიო. ძალიან კარგი! მაგრამ იცოდე, ეს შემთხვევით არ მომხდარა: რომ იცოდე, რამდენი ეხატე, რადგან თავიდან არც ერთის გრძნობის ნატამალი არ გააჩნდა. ხოლო შემდეგ მოუქნელი და მოუხერხებელი, გახეშეშებულ-გაფშეკილი ვარიანტები ამ საბოლოო ვარიანტებით შეიცვალა. ახლა ყოველი ეტიუდი უკვე რაიმეს გამოხატავს, იმიტომ რომ, ვიდრე ხატავს შეეუდგებოდი, ეს სურათები ჯერ ჩემში მომწიფდა.

ის პირველი ეტიუდი გარეშე თვალისთვის ძალიან ცუდი საცქერია. ამას იმიტომ გეუბნები, რომ უნდა იცოდე: როცა ეტიუდი რაიმედ ვარგა, ეს შემთხვევითი სულაც არ არის, ყველაფერი წინასწარი მოფიქრებისა და გააზრების შედეგია...

ბედნიერი ვარ, რაკი ერთი გარემოებაც შეგიმჩნეია: ახლა უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ იმას (ეცდილობ, ამ მხრივ ყველაფერი გაიაკეთო), თუ როგორ შეეძლება მასებს შორის თანაფარდობის გამოხატვას და ბუნებაში გამეფებული თავბრუდამხვევი ოროტრიალის უცნაურ ფონზე ყოველი საგნის ცალკე ჩვენებას. უწინ შუა-ჩრდილი ჩემს სურათებში ი'შვიათად გამოჩნდებოდა, ამიტომაც ეს სურათები უფრო ცივი და ბრტყელი ჩანდა.

როცა სილუეტი კარგად ვიცი – სულ ერთია, ფიგურა თუ პეიზაჟი, – როცა მას ვგრძნობ ისე, როგორც საჭიროა, ჩვეულებრივ, სამჯერ ანდა მეტჯერაც ეხატავ; მაგრამ ყოველი ვარიანტის დასახატავად კვლავ ნატურას ვიყენებ ხოლმე. ამასთანავე, ეცდილობ, დეტალებს როგორმე გვერდი ავუარო, რამეთუ მაშინ წარმოსახვის ელემენტი იკარგება. ამიტომაც, როცა თერსტეხი ან ჩემი ძმა, ანდა სხვები მეკითხებიან: – ეს რა არის? კომბოსტოა თუ ბალახიო? – ასე ვპასუხობ: – კარგია, რომ ვერ არჩევთ მეთქი.

და მაინც, ჩემი ეტიუდები ნატურასთან, ალბათ, საკმაოდ ახლოსაა, რადგან აქაურ პატიოსან ადამიანებს არასოდეს გასჭირვებიათ ზოგი წერილმანის გამოცნობა, რისთვისაც მე ყურადღება თითქმის სულ არ მიმიქცევია; მაგალითად, იტყვიან ხოლმე: ეს ხომ ბიცოლა რენესეს ღობეა, ანდა: შეხედეთ, ვან დე ლოუვის ლობიოს სარებიო...

ჰო, კისელამ დამაკითწყდა: „პარპერზ მეგეზინის“ გამოშვებები იქნებ მათხოვო – ბოუტონის და ების მიერ ილუსტრირებული, პოლანდიაზე დაწერილი სტატიების წაკითხვა მინდა. ბანდეროლით გამოგიგზავნი ზოგ ძველ ნომრებს, სადაც ნახავ პაუარდ პილის, სხვათა და სხვათა ილუსტრაციებს. როცა მოიცლი, გადახედე. პაკეტში ჩაედება შულერის მიერ ილუსტრირებულ ერქმან-შატრიანის „გლეხი კაცის ისტორიასაც“, აგრეთვე, გრისნის რამდენიმე ილუსტრაციას – თუ გაგონდება, ერთხელ დაგპირდი. თუ რაიმე დუბლიკატები კიდევ გქონდეს, შენი ჭირიმე, „პარპერსთან“ ერთად გამოგზავნე. ერთი ოთხი დღით მაინც მათხოვე, თორემ წაკითხვას ვერ მოვასწრებ. მანუზე დაწერილი ზოლას წიგნიც ძალიან მინდა, თუ შენ უკვე დაამთავრე.

ძალიან მწყინს, აქამდე რომ ვერ გამოკეთდი; მაგრამ მაინც ასე ეგონია: ალბათ, ხატვაში წარმატება უფრო მალე დაგიბრუნებს სიცოცხლის ძალას, ვიდრე თუნდაც აბა'სანები და ა.შ., სოდენში რომ დაუსიშვიათ. ეგონება, გასვლასაც ვერ მოასწრებ სახელოსნოდან, ისევ უკან დაბრუნე-

ბა მოგისდება. კარგად მახსოვს, მაუცე როგორ მწარედ ნაღელობდა, როცა ასეთი ადგილების ჯეროვანი მოკრძალებით თუ ეიტყოდით, – მოსალოცავად იყო წასული.

ასეთი რამ საკლებად მწამს; მომწონს, რასაც ბრეზიგი ამბობს ფრიც რეიტერის „ხმელ ბალახებში“ (გამოეიცუნოთ აქ ნახსენები აეტორიტეტის ორი სიტყვა) „იდროპათიურ თვალთმაქცობაზე“.

მისდა, ისიც შეგატყობინო, რომ ამ დღეებში ქალის ძველი, საუცხოო, სპეციისგური მოხასხამი და ჩაჩი ეიშოეე. მაგრამ ჩაჩი ისე ლამაზი მაინც ვერ არის. მალე, ალბათ, გადასაკეცსაყელოიან, მოკლესახელოებიან მუთეეზის ქურთუკს მომიტანენ. შენი ნახშირით დახატული სურათის ნახვა საოცრად მინდა. ჩემი ძმა უნდა ჩამოეიდეს (ზუსტად არ ეიცი, როდის ჩამოეა), მერე, ალბათ, ბრაბანდტს წაეალთ. პოდა, თუკი მოეახერხებ, შემოგიელი, ვინაიდან უტრეხტზე უნდა გაეიაროთ; თუმც, შეეეცდები, მანამდე გნახო, რადგან შენი ნახატის ნახვა მეტისმეტად მაინტერესებს...

თუკი ბედმა გამიღიმა და მოდელებმა შემდეგშიაც არ მიმტყუნეს, ერთ-ორ დიდ ნახატს ამ ზაფხულს კიდეე გაეაკეთებ. ახლა რომ ვხატაე, იმ სურათებზედაც კიდეე უნდა წაეიმუშაო, რათა ჩემს ძმას რიგიანი ნამუშეერები დაეახვედრო.

„პარპერზ უიკლიში“ სმედლის მიხედეით დახატული თაეისებური სურათი ენახე: თეთრ, ქეიშიან გზაზე მოჩანს ადამიანის შაეი ფიგურა. მხატეარს მისთეის „წინა თაობა“ უწოდებია. ფიგურა მღედელს პგაეს და მე, ალბათ, შთაბეჭდილებას ზუსტად გადმოეცემდი, თუ ეიტყოდი, რომ პაპაჩემი სწორედ აი, ასეთი იყო. ამ სურათის აეტორობაზე უარს ნამდეილად არ ეიტყოდი. სწორედ ამაეე გამოშეებაში ების მიხედეით დახატული სურათიცაა: სარუეზე, წნორის ხეებთან, ორი გოგონა დგას და თეეზაობს: „პარპერზის“ ეს ორიეე სურათი გამოფენის კატალოგში მხოლოდ და მხოლოდ ჩანახატად იხსენიება.

რ 38. *ეელიხის დახაწყისი, 1883.* ეიდრე უკან დაბრუნდებოდე, ამ ერთ წერილს კიდეე მოგწერ. მადლობელი ეარ წიგნებისთეის. რასაც ზოლა თაეის წიგნში („რაც მძულს“) პიუგოზე წერს, „მსურს, დაეამტკიცო, რომ ასეთი აეტორის შრომას ამ თემაზე სწორედ ასეთი წიგნი უნდა მოპყოლოდაო“, თეით ზოლაზე გაეიმეორებ. გაეიმეორებ სხეა სიტყეებსაც: „ისეე და ისეე იმას ეიტყეი, რომ კრიტიკა, რაც ამ წიგნმა გამოიწეია, გაუგოსარ უსამართლობად მიმაჩნია“.

შემიძლია, თაეიდანეე განეაცხადო, იმათ რიცხეს არ ეეკუთენი, ამ წიგნის გამო ზოლას რომ კიცხაეს. ამ წიგნმა ზოლას სისუსტე შემაცნობინა – მას ფერწერის ხელოენებაზე საკმარისი წარმოდგენა არა აქონია, აჩემებული აზრები კი ხელს უშლის, რომ სალად იმსჯელოს. მაგრამ, ძმობილო, შეიძლება, მეგობარზე ნაწყენი ეიყო მის ნაკლთა გამო? ცხადია, არა. ამის გამო, პირიქით, უფრო მეყეარება. ესე იგი, ზოლას სტატიას, სალონზე რომ დაუწერია, უცნაური გრძნობით ეკითხულობ: ცდება, მცდარი წარმოდგენა აქეს ფერწერაზე; გამოსაკლისი, ალბათ, მანეს შეფასებაა – მეც ასე ეფიქრობ, მანე, მართლაც, ოსტატია. მაგრამ, ამის მიუხედაეად, ზოლას აზრებს ხელოენებაზე ისეთიეე ინტერესით ეეცნობი და ეუკეირდები, როგორც, ეთქეათ, პეიზაჟს, ფიგურის ხატეაში დაოსტატებულ ხელოეანს რომ დაუხატაეს. ეს არ არის მისი ჟანრი. მისი მსჯელობა ზერელეა, არასწორია. მაგრამ კონცეფცია? ნუ იქნება მთლად ნათელი და თანმიმდეერული, სამაგიეროდ, ორიგინალური აზროენებაა,

გოსეპას აყჩისლებს, სიცოცხლე შემოაქვს! თან კი მცდარია, უკიდურესად არაზუსტი, ყოველგვარ საბუთს მოკლებული. ისტერესს იწვევს სოლას აზრიც ერქმანსა და შატრიანზე. აქ ბეერად ზუსტია, ვიდრე სურაითზე მსჯელობისას, მისი კრიტიკაც ზოგჯერ მიზანს ზუსტად ხვდება. საოცარი სიამოვნების მომგვრელია ის ადგილი, ერქმან-შატრიანს ეგოიზმს რომ საყვედურობს. იგი სწორია, როცა ამტკიცებს, ერქმანი და შატრიანი როგორც კი პარიზული ცხოვრების აღწერას იწყებენ, მაოი თხრობა უკბილო ხდება, ვინაიდან აღსაწერ საგანს ვერ ფლობენო. თუმც, ამ შენიშვნას შეიძლება ასეთი კითხვით ეუპასუხოთ: ფლობს თუ არა აღსაწერ საგანს თავად ზოლა, როცა იგი ელზასს აღწერს? თუ ფლობს და, მაშინ რატომ მეტი ინტერესით არ ეკიდება ერქმან-შატრიანის ზოგიერთ სახეს, რომელიც ისევე მშვენიერია, როგორც კლაუსის ანდა ეოტიეს ფიგურები?

ბალზაკის არ იყოს, ფერწერაში ვერც ზოლა ერკევა. მის რომანებში გამოყენებული ორიენ მხატვარი – „პარიზის სტომაქის“ კლოდ ლანტიე და „ტერეზა რაკენის“ ერთ-ერთი გმირი, – მანეს ოდნავ თუ მოგვაგონებს; ალბათ, ზოლას იმპრესიონისტის დახატვა სურდა.ხოლო ბალზაკს უალრესად მოსაწყენი მხატვრები ჰყავს.

აი, ახლა კი შეიძლებოდა, საკუთარ თავზე რაიმე მეთქვა, თუმც კრიტიკოსი ხომ არა ვარ. ერთ რამეს მაინც დავუმატებ: ძალიან კარგი, ტენს რომ პირდაპირ თვალში მოარტყეს და არა წარბში. ტენი, მართლაც, ამის ღირსია – იგი თავისი მათემატიკური ანალიზით ზოგჯერ პირდაპირ გაგაცოფებს. თუმც ასეთი ანალიზის მეშვეობით იგი ზოგჯერ საოცრად ღრმა დასკვნებს აკეთებს. აი, მისი ერთი დასკვნა დიკენსსა და ქარლეილზე: ინგლისელის ხასიათში ძირითადი სწორედ ის არის, ბედნიერებით ტკბობის ნიჭი რომ არა აქვსო. ახლა იმის შეფასებას არ დაეწყებ, ეს დასკვნა რამდენად მართებულია, მაგრამ ხასს ვუსვამ – ძალზე ღრმა ფიქრის ნაყოფი კი უთუოდ არის. ვისაც ამის თქმის ძალა შესწევს, თავისი თავი სიბნელეში იმდენ ხანს ყურებას მიუჩვეულია, ვიდრე იქ რამეს დაინახავს. ჩემი აზრით, ეს მშვენიერი სიტყვებია, ჩემთვის კი ბევრად მეტსაც ნიშნავს, ვიდრე იმავე პრობლემაზე დაწერილი ათასი სხვა რამ. ესე იგი, ტენი ამჯერად ჩემს უდიდეს პატივისცემას იმსახურებს...

შეამჩნიე, ზოლა რომ მილეს სულ არ ახსენებს? თუმცა, მას ერთგან სოფლის პატარა სასაფლაო, ერთი საწყალი გლეხის სიკვდილი და დასაფლავება ისე კარგად აუწერია, თითქოს მილეს სურათი იყოს. მაშასადამე, ზოლას დუმილი, ალბათ, იმით აიხსნება, რომ იგი მილეს ნამუშევრებს არ იცნობდა.

უჩვეულოდ მომეწონა ტ. გრინის ერთი სურათიც – ეს, არ ვიცი, ჩ. გრინის ძმა არის თუ ნათესავი. დახატულია დღესასწაული ლონდონის ბავშვთა თავშესაფარში: სუფრას ობოლი ბავშვები უსხედან – გოგონები. გაშტერდები, ისეთი კარგი სურათია!..

თუ გაემგზავრე, შემატყობინე, ხატვის საქმე როგორ არის.

ახლა ეხატავ „კარტოფილის ამოღებას“, უკვე მზად მაქვს ბერიკაცის ფიგურა და კარტოფილის ამოღების დროს გაკეთებული ეტიუდები, რომლებიც ჯერ დამუშავებას საჭიროებს: კაცი – სარეველა ბალახს რომ წვავს. კაცი, რომელსაც ტომარა აქვს მოკიდებული. მეორე კაცი – ურიკით და ა.შ. ერთი „მთესველი“ კიდევ დავხატე – ეს ამ თემაზე დახატუ-

ლი, ალბათ, მეშვიდე ანდა მერვე ეტიუდია. ამჯერად იგი ეყება ცის ქვეშ გაშლილ სახსაში დაეყენე. ძალიან მისდა, ზოლას ეკითხა, თუმცა ამას სხვებსაც ეკითხებოდი: „ვირთევზით სავსე თიხის ჭითელ ბადიანა და, ეთქვათ, მბარაეის ანდა მთვსელელის ფიგურას შორის განსხვავება სუთუ მართლა არ არსებობს? არის თუ არა განსხვავება რემბრანდტსა და ვან ბეიერენს (ტექნიკურად თანაბარ ოსტატია), ვოლოსსა და მილეს შორის?“

რ 42. *მარტი, 1884.* ჟიულ ბრეტონის რამდენიმე ლექსს კიდევ გიგზავნი; ეიცი, ძალიან მოგეწონება – თუკი აქამდე არ წაგიკითხავს. დღეს, უფრო სწორად, ბოლო დღეებში ფეიქრის დაზგის ეტიუდებს ვაკეთებდი – შენ გაქვს ამ დაზგის ჩანახატი; ზამთრის ბადის კოლორიტის დახატვაც ეცადე, მაგრამ ამ ბაღში ახლა უკვე გაზაფხულია და ამიტომ მთლად შეიცვალა.

ახლა ცრტა გაიცოცხლები. ამ ზამთარს შენთან რომ შემოვიარე, „ენთუზიაზმის“ გაგონებაც არ გინდოდა. ეგულისხმობ იაპ მარისის ფრაზას (თითქოს ეთქვას, რომ ეს სიტყვა არც კი იცოდეს), რომელიც შენ გაიმეორე. მაგრამ იგი ხომ, ესე იგი, იაპ მარისი, მადლობა ღმერთს, სინამდვილეში სულ სხვაგვარად იქცეოდა. შესაძლოა, რაღაც კერძო შემთხვევის გამო, ასეთი რამ მართლაც ეთქვა, მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო, მაინც ხატავდა. ფრინველები გალობას თავს მიანებებდნენ, მხატვრებიც, ალბათ, აღარაფერს დახატავდნენ, თუ სულ იმაზე იფიქრებდნენ, მეტისმეტს ხომ არ ეირჯებითო. ახლა კი სხვას აღარას გეტყვი – ჯობს, „ჭრიჭინები“ წაიკითხო.

რ 43. *აპრილი, 1884.* შენმა წერილმა გამახარა, მადლობელი ვარ. ჩემს ნახატებში რაკი ცოტა რამ მაინც მოგწონს, ბედნიერი კაცი ვყოფილვარ. იმ ზოგადი ადგილების განსჯა-გარჩევას, სადაც ტექნიკაზე ლაპარაკობ, არ მოვყვები, მაგრამ გადაჭრით გეუბნები, შემდეგში ჩემი ნამუშევრები თუნდაც უფრო მეტყველი გახდეს, ხალხი ნაკლებ კი არა, მეტადაც ილაპარაკებს, ეინსენტს ტექნიკა არ უვარგაო.

როგორც ხედავ, გეთანხმები: ყველაფერი, რასაც ჩემი სურათებით გამოეხატავ, კიდევ უფრო ენერგიულად უნდა იყოს გამოხატული; ბევრსაც ეშრომობ, რათა ძალ-ღონე მოვიკრიბო და შეძლო ასე მუშაობა; მაგრამ როცა ამას მივაღწევ, განა ხალხი ჩემს ნამუშევრებს უკეთ გაიგებს? ცხადია, არა. იმ დარბაისელი კაცის ნათქვამი, რომელიც თურმე შენი სურათის ნახვის შემდეგ დაინტერესდა: „ფულს აიღებსო?“ მაინც სისულელედ მიმაჩნია, რამეთუ მას – ამ მაღალი ინტელექტის მქონე არსებას, – როგორც ეტყობა, აქსიომად მიაჩნია, რომ ადამიანს ორიგინალობა ფულის კეთებაში ხელს უნდა უშლიდეს. ასეთი ფრაზის აქსიომად გასაღება, იმის გამო, რომ ევრაფრით დაასაბუთებ, როგორც გწერდი, აი, ასეთი სულელების, ასეთი ზარმაცი, პაწაწინა იეზუიტების ჩეეულებრივი ოინია.

ნუთუ გგონია, ტექნიკაზე არ ეზრუნავ და არაფერს ეძებ? ცხადია, ეძებ, არა, არა, მათქმეინე, რის თქმაც მინდა, – მაგრამ თუ ამას ვერ ეახერხებ, ანდა მთლიანად ვერ ეახერხებ, ყოველმხრივ ეცდილობ, გამოვასწორო, უკეთესი მაინც გაეხადო. აი, დარდი, თუ ჩემი ენა „გრამატიკოსთა“ მოთხოვნების შესაბამისი არ იქნება! (გაიხსენე ისევ შენიეე შედარება: თუკი ეინმეს ძალა შესწევეს, ჭეშმარიტი, სასარგებლო, ყველას-

თუის საჭირო რაიმე თქვას, მაგრამ ისეთ გამოთქმებს ხმარობს, ეერაეის იგებს, მაშ, რით არის სასარგებლო ეს ლაპარაკი, ორატორის თუ მსმენელისთვის?).

მინდა, ამ პუნქტზე ერთხანს შევჩერდე – პირველ რიგში, იმის გამო, რომ ისტორია ანალოგიურ საინტერესო მაგალითებს საკმაოდ იცნობს. ყველასათვის ნათელია: აუდიტორიას მის მშობლიურ ენაზე უნდა ესაუბრო, უკეთუ მან სხვა ენა არ იცის; აბსურდია იმის მტკიცება, თითქოს ეს მართლაც ასე არ იყოს. მაგრამ პრობლემის მეორე ნაწილს გადავხედოთ: ეთქვათ, ადამიანს სათქმელი აქვს და იმ ენაზე ლაპარაკობს, მის მსმენელებს რომ ალღოთი ესმით. მაშინ მსმენელებს მოეჩვენებათ, ორატორი ჭეშმარიტებას ქადაგებს, მაგრამ ორატორის ხელოვნებას კარგად ვერ შეაფასებო. ამის გამო, რასაც ის ამბობს, მსმენელების უმეტესობა არ მოიწონებს, სიტყვაძლუნგს და ენამძიმეს შეარქმევს და შეიჯავრებს. მან უნდა თავი ბედნიერად მიიჩნიოს, ერთი ანდა რამდენიმე მსმენელი მაინც თუ გამოერნდება, ვინც მის საუბარს ყურს მიუგდებს, ვინაიდან ეს მსმენელები ტირადების მაძიებელნი არ იქნებიან; ისინი უთუოდ მართალსა და სასარგებლოს, საჭიროსა და აუცილებელს ეძიებენ, რაც მსმენელებს განანათლებს, მათ თვალთახედვას აფართოებს, ცოდნას მატებს და თავისუფალყოფს.

ახლა მხატვრებზე გადავიდეთ. ხელოვნების მიზანი და უმაღლესი ამოცანა განა მხოლოდ თავისებური ლაქებისა თუ უცნაური ნახატის შექმნა უნდა იყოს, განსაკუთრებულ ტექნიკას რომ უწოდებენ? ცხადია, არა. აი, კორო ანდა დობინი, დიუპრე, მილე, ისრაელსი – მართლაც, დიდი ბელადები... ამ მხატვრების შემოქმედება მარტო ფერით არ ისაზღვრება. ის ისევე განსხვავდება ბატონი ნატიფი მხატვრების მიერ დახატული სურათებისგან, როგორც ლოცვა ან კარგი ლექსი – ნუმ რუმესტანის ორატორული ტირადისგან. ტექნიკაზე მუშაობა მხოლოდ იმიტომ არის საჭირო, რომ უკეთესად, უფრო ზუსტად და სერიოზულად მოახერხო შენი სათქმელის გამოხატვა; და რაც უფრო ძუნწი იქნება შენი მანერა ამ სათქმელის გამოხატვისა, უკეთესია. სხვა დანარჩენი აღარც კი ღირს სალაპარაკოდ. ამას რად ვამბობ? იმიტომ, რომ შეეამჩნიე, ზოგჯერ რა ცუდად ეკიდები საკუთარი სამუშაოს ბევრ ისეთ მხარეს, რაც, ჩემი აზრით, მართლაც კარგია. შენი ტექნიკა პაეერმანის ტექნიკასაც მირჩევნია, ვინაიდან შენი მოსახსენებელი თითქმის ახლახან შენებულია, გამართლებული, ცნობიერი, გააზრებული; მაშინ, როცა პაეერმანის ნამუშევრები თავიდან ბოლომდე პირობითია, სახელოსნოს მოგეგონებს, ნატურას კი – არასოდეს.

აი, თუნდ შენი ჩანახატები: „საცოდავი პაწაწინა ფეიქარი" და „თერსპელინგელი დედაკაცები". საგანთა არსში წვდომის ნიშნები სწორედ ეს არის. პაეერმანი კი, ჩემი აზრით, უნიათო და მოსაწყენია.

ტექნიკაზე საუბედურებს მომავალში ბევრჯერ მოისმენ – სიუჟეტებზე, სხვაზე და სხვაზე აღარაფერს გეუბნები. ეშიშობ, მართლაც, ასე იქნება და, ამაღე დროს, გილოცავ კიდეც. პო, ბევრ საუბედურს გაიგონებ, თუნდ მომავალში კიდევ უფრო თავისებური მონახმი გქონდეს. სამწუხაროდ, ტორესა და თეოფილ გოტიეს ეპოქაში არა ცხოვრობთ. თუმც, ხელოვნების მოყვარულნი ახლაც არიან და გრძნობით შექმნილ ნამუშევრებს გულწრფელადაც აფასებენ. აბა, დაფიქრდი, დიდი სიბრძნეა

ღღეებსდელ ღღეს გაუთავებლად ტექნიკაზე ლაპარაკი? მიპასუხებ, ასე სწორედ შენ იქცეოდი. მართალია და, ამის გამო, ესასოსი კიდეც.

მაგრამ, აი, რას ეპირებ: მაშინაც კი, როცა ფუნჯს ბეერად უკეთესად დაეეუფლები, გადაჭრით ეიტყვი, ყეელას ეეტყვი, რომ ფერწერა არ შემიძლია. გასაგებია? მაშინაც კი, როცა ხატეის საკუთარ მანერას შეეიმუშაებ, უფრო ღრმას და კიდეე უფრო ზუსტს, ეიდრე ახლა მაქეს. პერკომერი როცა საკუთარ სკოლას ხსნიდა იმ ხალხისათეის, ხატეა რომ უკეე კარგად იცოდა, მოწაფეებს თურმე სულ იმას ეხეეწებოდა, პატიეი დამდეთ და ხატეთ არა ჩემნაირად, არამედ ისე, როგორც თქეენი ბუნება და საკუთარი ხასიათი გეუბნებათო. „ჩემი მიზანი ინდიეიდუალობისთეის გზის გახსნა და გასაქანის მიცემაა – თქეა პერკომერმა, – და არა ჩემი, პერკომერის მიმდეერთა შეკრებაო". ლომები ერთმანეთს როდი პბაძაეენ.

ბოლო ხანებში დიდხანს ეხატაედი ქალიშეილს, რომელიც ფეიქრებისთეის მასრაზე ძაფს ახეეეს; ეხატაე ცალკე ფეიქარსაც.

ძალიან მინდა, მოკლე ხანში ჩემს ფერწერულ ეტიუდებს თეალი შეაელო, არა იმიტომ, რომ საკუთარი ნამუშეერებით კმაყოფილი ეარ, არამედ, ეფიქრობ, დარწმუნდები, ხელი როგორ გაეიეარჯიშე. და თუ ეამბობ, ხატეის ტექნიკას არცთუ ისე დიდ მნიშენელობას ეანიჭებ-მეთქი, იმიტომ არა, რომ სიძნელეებს ანდა შრომას თაეს ეარიდებ – ჩემი მეთოდი სულ სხეაგეარია. გარდა ამისა, ძალიან მინდა, ბრაბანტის ეს კუთხე საკუთარი თეალით ნახო. ჩემი აზრით, იგი ბრედის რაიონზე ლამაზია; ახლა კი – პირდაპირ მშეენიერიც...

საზოგადოდ ტექნიკაზე წერა ანდა ლაპარაკი არ მიყეარს; თუმც, შენცა და სხეა მხატერებსაც სიამოენებით გეკამათებით ჩემი ყოეელი ჩანაფიქრის სურათად ქცეეის მანერაზე და ამ კამათის მნიშენელობას, მის პრაქტიკულ საჭიროებას არ უარეყოფ. მაგრამ ეს ბოლო გარემოება ჩემს პირეანდელ აზრს არ აბათილებს, აზრს, რომელიც, შესაძლოა, საკმაოდ ზუსტად ეერ გამოეთქეი. ხოლო ამ აზრის დასაბამი (საჭირო სიტყეა ეერ მომინახაეს) არა რაღაც ნეგატიური, არამედ, პირიქით, პოზიტიური საწყისია.

პოდა, აი, ეს პოზიტიური საწყისი თუ დასაბამი სწორედ იმის შეგნებაა, რომ ხელოენება ჩეენს ოსტატობაზე, ჩეენს ცოდნაზე, ნიჭზე, ტალანტზე მაღალი და დიადია და მხოლოდ კაცის ხელით არ იქმნება; მას ქმნის რაღაც სხეაც; ხოლო ეს სხეა ჩეენი სულის ნაპრალებში დაფარული წყაროდან მოჩქეფს. სიმარჯეე და ტექნიკური ოსტატობა კი, როცა საქმე ხელოენებას შეეხება, თითქოს რაღაცით, რელიგიაში ფარისეელობას რომ ეტყეიან, იმას მაგონებს.

ჩემს სიმპათიას მწერლობაშიც და ფერწერაშიც ყეელაზე მეტად ის მხატერები იმსახურებენ, ეინც, პირეელ რიგში, სულისკეეთებას, თაეიანთი სულის სწრაფეას უგდებენ ყურს. მაგალითად, ისრაელსი ტექნიკაში გაწაფულია, მაგრამ ეოლონიც ასეეა გაწაფული. მე კი ეოლონს ისრაელსი მირჩეენია, ეინაიდან მის სურათებში მარტო მასალის ოსტატურად გადმოცემას როდი ეხედაე; ეს რაღაც სხეაა, რაღაც მეტია, შუქჩრდილისგან, ფერისაგან რაღაც სრულიად განსხეაეებული. თუმც, ეს „რაღაც განსხეაეებული" ჩეენ თეალწინ მხოლოდ ფერითა და განათებით, მასალის ზუსტი გადმოცემით უნდა გაიხსნას. ეს თეისება, რასაც ისრაელსს უფრო ეამჩნეე, ეიდრე ეოლონს, ელიოტსაც აქეს. იგიეე ითქმის დიკენსზედაც.

იქნებ მიზეზი სიუჟეტია? არა, რადგან სიუჟეტიც შეიძლება და არა მიზეზი. სხვათა შორის, აი, კიდევ რას დაეუმატებ: ელიოტი ოსტატია, თუმც, ამას გარდა, გენიოსის სხვა თვისებაც აქვს, რასაც მე ასე განვმარტავდი: „მისი წიგნების წაკითხვის შემდეგ ადამიანი ცდილობს, უფრო კარგი იყოს; უფრო სწორად, მისი წიგნები გეუბნება, უკეთესები იყავითო, და ჩვენც ამ ხმას ვემორჩილებით“.

ჩემს უნებურად, გამოფენებზე ბევრს ელაპარაკობ, თუმც ჩემს თავალში გამოფენებს ძალზე მცირე მნიშვნელობა აქვს. ჩემს თავს ვამჩნევ, გამოფენა შემთხვევით თუ გამახსენდება, ამის გამო საკუთარ ფიქრებს, ცოტა არ იყოს, გაოცებით ვაკვირდები. ჩემი ნათქვამი საკმაოდ სრული არ იქნება, თუ იმასაც არ დაეუმატებ, რომ ზოგ სურათში არის რაღაც იმდენად სუფთა და კარგი, როგორი ბედიც უნდა ეწიოს და ვის ხელშიაც უნდა ჩავარდეს – კარგისა თუ ცუდი კაცისა, უსინდისო თუ პატიოსანი ადამიანისა, – ის მაინც სიკეთეს ემსახურება. „ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“, – აი, რას ეთელი ყოველი მხატვრის მოვალეობად, მარტო ერთხელ დაეუმატებ, ეს ნათელი უსათუოდ გამოფენის მეშვეობით როდი უნდა მოგვეფინოს! თავს ნებას მივცემ, ერთიც შევნიშნო: ხელოვნების ხალხთან მიტანის უფრო უკეთეს, უფრო მოქმედ ხერხზე ვოცნებობ; ჯერჯერობით კი სანთელი ჩემი მსურს, სასანთლეზე კი არ წამოედგა, არამედ საწოლს ამოეაფარო. მაგრამ მოვრჩეთ, ქმარა ამაზე ლაპარაკი...

გიგზავნი კოროზე დაწერილ წიგნს. თუ აქამდე არ წაგიკითხავს, ალბათ, ახლა სიამოვნებით წაიკითხავ: წიგნი პატარაა, მაგრამ კოროს ბიოგრაფიის რამდენიმე ზუსტ ცნობას გვაწვდის. გამოფენა, რომლის კატალოგიც ეს წიგნაია, ნანახი მაქვს.

რამდენი დრო დასჭირდებოდა ამ ადამიანს, საკუთარი თავის რწმენა რომ შეეძინა და სიმწიფეში შესულიყო. ყურადღება მიაქციე, რას აკეთებდა ანდა როგორ მუშაობდა სხვადასხვა დროს? მის პირველ ნამდვილ სურათებს შორის მინახავს ნამუშევრები, მრავალი წლის დიდი შრომის შედეგად რომ შეუქმნია. ეს არის წმინდა, ეითარცა ოქრო, ამ სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობით, საესებით ჯანსაღი სურათები, მაგრამ, ალბათ, ადამიანებს არ მოსწონდათ, შესაძლოა, სძაგდათ კიდეეც. კოროს ეტიუდებს იმთავითვე ისე ეუცქერი, როგორც გაკეთილს. კოროსა და ზოგიერთი პეიზაჟისტის ეტიუდებში განსხვავებამ თავიდანვე გამაოცა.

პატარა სურათში – „სოფლის სასაფლაო“ რომ დაგირქმევია, – ტექნიკა კოროს ეტიუდებზე მეტად იგრძნობა, თორემ, ალბათ, ამ ეტიუდებს გაუტოლებდი. განწყობილება ერთნაირია – ორივესთან მარტოოდენ არსებითის, გულწრფელი განცდის გადმოცემის სერიოზული სურვილია.

საბოლოოდ ამ წერილით, აი, რის თქმა მსურს: შეეცადოთ, ტექნიკას ისე დაეუფლოთ, ხალხი მოტყუედეს, ყველა წმინდანს იფიცავდეს, ამ მხატვრებს ტექნიკა არა აქვთო. დაე, ისე ბევრი ეცოდვოთ, ჩვენი სურათი გულუბრყვილო ნამუშევრად მოეჩვენოთ, ეიდრე მოჩვენებითი ოსტატობის სუნი დაკრავდეს.

როდი ეფიქრობ, თითქოს ჩემთვის სასურველი სიმაღლისთვის მიმეღწიოს, ცხადია, არც შენ მიგიღწევია, თუმც, ჩემზე ბევრად შორს წახვედი. იმედია, ამ წერილში მარტოოდენ ტრივიალურ საკლთა ძიებას არ დაინახავ. ბუნებასთან რაც ახლოს ვიქნებით, მით უკეთ შევიცნობთ. პოდა, მაშინ სახელოსნოში ოინბაზობა ისე აღარ გაგვიტაცებს; თუმც,

ამის ცოდნაც საჭიროა, ეაფასებ კიდეც და ხშირად ესატრობ სეტაე ხანდახან მაყურებისა, სხვა მხატვრები როგორ ხატაენ: ხშირად მიგრძნია, რომ უთუოდ საჭიროა სხვა მხატვრების სახელოსნოთია მონახულება.

ვაი, რომ ეს წიგნებში არ ამომიკითხავს,
„სწავლულთაგან“ ცოტა ვისწავლე, —

ამბობს, როგორც მოგეხსენება, დე ჟენესტე. ლექსი ცოტა შეეცვალოთ და, აი, ასე ეთქვათ:

სახელოსნოში როდი მინახავს ეს ეველაფერი
და მხატვართა „შემფასებლებმაც“ როდი მასწავლეს.

შესაძლოა, გაოცდე კიდეც, „შემფასებლებს“ და სახელოსნოს პატრონებს – მხატვრებს, ერთმანეთისგან რომ არ განავასხვაებ.

მაგრამ ქმარა, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. გამოეტეხილვარ, ძალზე ძნელია, გულგრილობა გამოიჩინო და წარბი არც კი შეიხარო, როცა ასეთ სულელურ კითხვას გაიგონებ: „ეს მხატვარი ფულზე ხატაესო?“ დღე არ გაიელის, მსგავს სისულელეს არ მოეკრა ყური, მერე კი ისევ ჩემს თავზე ებრაზობ, ამაზე როგორ აღეშფოთდი-მეთქი. აი, ასეა ჩემი საქმე; შენი საქმეც, ალბათ, თითქმის ასე იქნება. რა თქმა უნდა, მიაფურთხებ ყოველიეეს, მაგრამ მაინც გაღიზიანებს, როგორც ყალბი მელოდია ანდა არღანი (რომ დაიწყებს და აღარ ათავებს). სადაც წახვალ, ამ გაცვეთილ პანგს ეერა და ეეღარ მოიშორებ.

მე კი ახლა, აი, რას ვიზამ: როცა ლაპარაკს დამიწყებენ, ასე და ასეო, ვიდრე ფრაზას დაამთავრებენ, მათ მაგიერად მე დავამთავრებ, ესე იგი, სწორედ. ისე მოვიქცევი, როგორც ხანდახან ზოგიერთს ვექცევი: მოგეხსენება, ზოგს ჩვეეადა აქვს, ნაცვლად ხელის ჩამორთმეისა, მხოლოდ თითი გამოგიშვიროს (მამაჩემის ერთ კოლეგასაც, ფრიად ღირსეულ პიროვნებას, გუშინ ასეთი ოინი ეუყაეი). ჰოდა, ხელის ჩამოსართმევად მეც მხოლოდ ერთი თითი მიჭირავს, ძალზე ფრთხილად, უწყინარი, უმანკო სახით მოსაუბრის თითს მარტო ერთი თითით ვეხები და ერთმანეთს „ხელს ასე ვართმევთ“; ცხადია, იგი ვერაფერს იტყვის, თუმც, მშვენიერად გრძნობს, რომ მეც კარგად გაეასულელე. ამას წინათ ერთ სუბიექტს სწორედ ასე მოვექეცი; საძაგელ გუნებაზე დავაყენე. დამიშავდა ამით რამე? ღმერთს გეფიცები, არაფერი, ვინაიდან ასეთი ხალხი ხელს თუ შეგიშლის, თორემ არაფრად გამოგადგება. როცა შენს ზოგ ფრაზაზე გწერ, მხოლოდ ამის კითხვა მინდა: „მთლიანად გჯერა მათი კეთილი მიზნებისა, ვისაც ტექნიკის მნიშვნელობა ცამდე აჰყავს?“ „სახელოსნოში მიღწეული სინატიფე“ ვიცი, არ მოგწონს, ცდილობ კიდეც, როგორმე თავი აარიდო. ამას სწორედ ამის გამო გეკითხები.

რ 44. *აპრილი, 1884.* ნახატებზე რომ შენს აზრებს მწერ, იმ წერილმა აღმაფრთოვანა. ფეიქრის დაზგის ეტიუდი თავიდან ბოლომდე ადგილზეა დახატული; ეს ძალზე მძიმე შრომა იყო, რადგან დაზგასთან ახლოს ვიჯექი (სხვანაირად არ ხერხდებოდა) და ზომების დადგენა გამიძნელდა. ნახატში, ბოლოს, როგორც იქნა, ფიგურაც ჩაერთე. ახლა გეტყვი, ამ ნახატით რის თქმა მინდოდა: ეს ჭუჭყიანი, შუხისგან გათლილი უზარმაზარი შავი დაზგა თავისი ჯოხებით მოსაცრისურო გარემოსთან ისეთ კოსტრასტს ქმნის, გეგონება, შუაში შავი ცაიშუნი, მოსეესება თუ ჭინკა

ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, ჩემი სურათები იმ სიკეთის ფასი იყოს, რასაც შენ მიწევ, მაგრამ როგორც კი ჭეშმარიტად კარგ სურათებს გავაკეთებ, ნათელი გახდება, რომ შენ ჩემზე მცირე წვლილი არ მიგიძღვის და ყველაფერი ჩვენ ორიენტ ერთად შევქმენით. კმარა ამაზე ლაპარაკი – თუკი რამეს საყურადღებოს გავაკეთებ, მაშინ თავადაც დამეთანხმები, რომ ეს ასეა. ამჟამად ეხატავ კვადრატული ფორმის სურათს, რომლის ზომა 30-ია. ეს კვლავ ბაღია, უფრო კი – ჭადრების ხეივანი მწვანე ბალახით, შიგადაშიგ შავი ფიჭვებით. კარგი გიქნია, რომ ტილო და საღებავები შეგიკვეთია. საუცხოო ამინდებია. რა თქმა უნდა, მისტრალი ქრის, მაგრამ დროდადრო ჩადგება ხოლმე და, აი, მაშინ, მართლაც, წარმტაცია აქაურობა. მისტრალი რომ აქ ცოტა უფრო იშვიათი სტუმარი იყოს, აქაურობა ისეთივე ლამაზი და ხელოვნებისთვის ხელსაყრელი იქნებოდა, როგორც თავად იაპონია.

ვიდრე შენთან წერილის წერას მოვათავებდი, ბერნარის ძალზე კარგი წერილი მომიტანეს. ამ სამთარს არლში ჩამოსელას აპირებს. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილია. მაგრამ იქვე იმასაც ამბობს, ალბათ, გოგენი თავის მაგიერად მე გამომგზავნის, თვითონ კი ისევ ჩრდილოეთში დარჩებაო. მალე ყველაფერს ზუსტად გავიგებთ: ვიცი, გოგენი უთუოდ რამეს შეგატყობინებს. ბერნარი გოგენს უდიდესი სიმპათიით იხსენიებს. აშკარაა, საერთო ენა გამოუნახავთ. გოგენთან ასეთი ურთიერთობა ბერნარზე უთუოდ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს. ჩამოვა თუ არ ჩამოვა, გოგენი ჩვენი მეგობარია და შემდეგშიც ასე იქნება, ახლა თუ არა, სხვა დროს ჩამოვა.

გული რატომღაც მეუბნება, გოგენი ანგარიშის კაცი არისო. სოციალური კიბის ქვემო, უდაბლესი საფეხურიდან – რა თქმა უნდა, პატიოსანი, წესიერი გზით, მაგრამ დიდი ტაქტითა და მოხერხებით, – მას სურს, რაღაც მდგომარეობა მოიპოვოს. იგი, ეტყობა, ვერ მიმხვდარა, ეს ყველაფერი მე რომ ძალზე მშვენიერად მესმის, რომ ყოველი ჩვენგანისთვის შთაბარია, დრო მოვიგოთ. ჩვენთან კავშირით კი იგი სწორედ დროს მოიგებს, თუნდაც ამან სხვა სარგებლობა არც მოუტანოს...

არა მგონია, კეთილგონიერულ საქციელად ჩაგვეთვალოს, თუ ბერნარსაც ყოველ სურათში დაუყოვნებლივ 150 ფრანკს შევთავაზებთ, როგორც გოგენს შევთავაზეთ. იქნებ ბერნარს – რომელიც უკვე ყოველივეს გოგენთან ერთად დაწერილებით განსჯიდა და აწონიდა, – იმედი აქვს, რომ გოგენის მაგიერობა ოდნავ მაინც შეუძლია? მიმაჩნია, რომ საჭიროა, ამ საქმეში სიმტკიცე და პირდაპირობა გამოვიჩინოთ. ახსნასა და განმარტებას კი არ მოუყვეთ, ჩვენი პოზიცია პირდაპირ ეთქვათ. გოგენს სულაც არ ვამტყუნებ, თუ მას, როგორც ყოფილ მაკლერს, რისკის გაწევა და კომერციული ოპერაციის ჩატარება განუზრახავს; მაგრამ ამის

მოსაწილე მე არ გაეხდები. როგორც იცი, ახლანდელები ძველ ეაჭრებს სულაც არ მორჩეულია.

პრინციპულად და თეორიულად მხატვართა ასოციაციის მხარეზე ვარ, მხატვრებს რომ ცხოვრებას, აგრეთვე, შრომას შეუმსუბუქებს; ამაზე დროს, პრინციპულად და თეორიულად უარს ვამბობ უკვე არსებულ ფირმებთან ბრძოლაზე. მათი მოსპობა სულაც არ მინდა. დაე, იცხოვრონ თავისთავად და თავისთავად დასუსტდნენ და თავისთავად დაიღუპნენ. მხატვრების ცდა კი – სურათებით ეაჭრობა რომ საკუთარი ძალებით უნდათ გამოაცოცხლონ, მხოლოდ უაზრო თავდაჯერებად მიმაჩნია, – არ არის საჭირო. ურჩევნიათ, ისევ ერთმანეთს დაეხმარონ და ერთად იცხოვრონ, ერთ ოჯახად, როგორც ძმებსა და თანამებრძოლებს შეეფერებათ. მაშინ, თუნდაც ასეთმა ცდამ შედეგი არ გამოიღოს, მაინც არ ჩამოეშორდები, მათთან ვიქნები. სურათებით მოეაჭრეთა წინააღმდეგ მიმართული ხრიკებისა კი არა ვიცი რა, ამ საქმის მოსაწილე არ გავხდები.

539. დღეს ადრიანად უკვე მოგწერე. მეორე სურათის დასამთავრებლად გარეთ გავედი – მზით სავსე ბაღს ვამთავრებდი. სურათი შინ რომ მოვიტანე, ახალი ტილო ავიღე და ხელმეორედ გავედი გარეთ. ის ტილოც უკვე დავამთავრე. ახლა კი შენთან მეორე წერილის მოწერა მომინდა. ხატვის ასეთი პირობები არასდროს მქონია. აქ ხომ ბუნება უცნაურად ლამაზია! სადაც წახვალ, თავს დაგცქერის საკვირველი ლურჯი ცის თაღი, ყველგან მზეა, თავზე გეფრქვევა ღია მომწვანო-მოყვითალო სხივთა ჩანჩქერი. ეს სილამაზე, ეს სინაზე, ეს სირბილე ვერმევერ დელფტელს გაგახსენებს, მის სურათებზე ღია ლურჯის და ყვითელი ფერის შეხამებას. მე, რა თქმა უნდა, ასე ლამაზად ვერ დავხატავ, მაგრამ ისე ვარ გატაცებული, თავს. ნებაზე მივუშვებ ხოლმე – ისე ვხატავ, არც. წესი მახსოვს, არც კანონი. ამგვარად, ახლა დახატული მაქვს სამი ბაღი – ეს ის ბაღია, ჩემი სახლის მოპირდაპირე მხარეს რომ არის, ორი „კაფე" და „მზესუმზირები", ბოშის პორტრეტი, აეტოპორტრეტი, წითელი მზე ქარხნის თავზე, ქვიშის მზიდავი, ძველი წისქვილი.

როგორც ხედავ, თუნდ დანარჩენი ეტიუდები აღარც ჩაეთვალოთ, საქმაო შრომა გამიწევია. სამაგიეროდ, საღებავებიც, ტილოც და ფულიც მთლად გამითავდა. საღებავების ბოლო ტუბებით ტილოს უკანასკნელ ნაჭერზე დახატული ჩემი ბოლო სამუშაოა. – მწვანე ბაღი, რა თქმა უნდა, – მხოლოდ სუფთა მწვანითაა დახატული, ცოტაოდენი პრუსიული მწვანე და ყვითელი ქრომი მიეუმატე, ეს არის და ეს. რაც ჩამოვედი, ეგონებ, საესებით შეეიცვალე: ეჭვები უკვე აღარ მტანჯავს, ხატვას ვიწყებ გაბედულად და საკუთარი თავის რწმენა კიდევ უფრო მემატება. მაგრამ ეს რა ბუნებაა ჩემ გარშემო, რომ იცოდე!..

სულ ახლახან დანტესა და პეტრარკაზე, ბოკაჩოზე, ჯოტოსა და ბოტიჩელიზე დაწერილი ერთი სტატია წავიკითხე. ღმერთო, რა განცდით ვკითხულობდი მათ წერილებს! პეტრარკა ხომ აქვე ცხოვრობდა, ძალიან ახლოს, ავინიონში. მეც იმავე კეიპაროსებს და ოლეანდრებს შევცქერი ხოლმე, ის რომ უმზერდა. შევეცადე, ჩემს ერთ-ერთ ბაღში – ლიმონისფერ-ყვითელი და ლიმონისფერ-მწვანე სქელი მონასმებით რომ დავხატე, – ამგვარი განცდა ჩამექსოვა. ჯოტო, მართლაც, გულზე მომხვდა – სნეული, მაგრამ მუდამ სიკეთით, შთაგონებით აღსავსე ჯოტო, არა მიწაზე, არამედ სადღაც, თითქოს არაამქვეყნიურ სამყაროში დასახლებული.

ჯოტო საესებით განსხვავებული პიროვნებაა. მე მას უფრო ეგრძნობ, ვიდრე პოეტებს დანტეს, პეტრარკას ანდა პოკაჩოს.

სულ მეჩვენება, პოეზია ფერწერაზე საშინელი რამ არის-მეთქი, თუმც, ფერწერა კიდევ უფრო ჭუჭყიანი საქმეა და კიდევ უფრო მოსაწყენი. მაგრამ მხატვარს ლაპარაკი რადგან არ უწევს, რადგან იგი სულ ჩუმად არის, მაინც ფერწერა მირჩევნია. ჩემო ძვირფასო, როცა აქაურ მზეს, კეიპაროსებს, ოლეანდრებს დაინახავ – ეს დღე კი, იცოდე, მაინც მოვა, – უფრო ხშირად გაგახსენდება პიუვი დე შავანის მშვენიერი სურათები – „წყნარი მხარე" და სხვა მრავალი... მაგრამ როცა მისტრალი ქრის – ეს კი, ცხადია, სიამოვნებას ვერავის მოგვგერის, – ამ მხარეს წყნარს ვეღარ დაარქმევ. სამაგიეროდ, პირველივე უქარო დღე თითქმის ყველაფერს გადაგითავებს – და მერე როგორ! რა თავანკარა ფერებია, რა გამჭვირვალე ჰაერი და რა სინათლე! ანდა რარიგ თრთის ყველაფერი!

საღებავების მოლოდინში ხვალ ისევ ხატვას შევუდგები. დადგა დრო, როცა გადაწყვიტე, სურათის ხატვა ნახშირით აღარ დაიწყო. ასე ხატვით არაფერი გამოდის: ნახატი თავიდანვე საღებავით უნდა აკეთო. რაც შეეხება „რვეულ ინდეპენდანტეში" გამოუენას, თანახმა ვარ, ოღონდ, იცოდნენ, რომ ჩვენ ნამდვილი მწველები ვართ და სიგარას პირში უკულმა არ ჩავიდებთ...

კარგი იქნება, თუ სამხედრო ვალდებულების მოსახდელად ბერნარი, მართლაც, აფრიკაში გაემგზავრება – ის იქ ბევრ კარგ სურათს დახატავს... იწერება, ავტოპორტრეტის ეტიუდში ჩემს ავტოპორტრეტს გაგიცელიო. ამასთანავე, იტყობინება, გოგენის დახატვა ვერ გამიბედაეს, მისი ძალზე მეკრძალებაო. დიახ, ბერნარს ერთობ მძიმე ხასიათი აქვს! ზოგჯერ ფიცხობს, ჭირვეულობს. მე, ცხადია, უფლება არ მაქვს, ამის გამო ვუსაყვედურო, რადგან თვითონაც კარგად ვიცი, ნერვები რომ აგეშლება, ეს რას ნიშნავს. ისიც ვიცი, არც ის დამიწყებს ამის გამო დაყვედრებას. აფრიკაში მილიესთან ერთად წასვლას უთუოდ მათი დამეგობრება მოჰყვებოდა: მეგობრობაში მილიე ძალზე ერთგულია, სიყვარულს კი იმდენ დროს უთმობს, თითქმის სძულს ეს საქმიანობა.

რასა იქმს სერა? პირადად მე ვერ გაებედავდი, შენთან გამოგზავნილი ყველა ეტიუდი სერასთვის მეჩვენებინა. მზესუმზირების, კაფესა და ბაღების მეტს ნურას აჩვენებ. სერას სისტემაზე ბევრი ვიფიქრე, მის მიმდევრობას არამც და არამც არ ეპირება, მაგრამ იგი ორიგინალური კოლორისტია; სინიაზედაც იგივე ითქმის, ოღონდ ამდენი მაინც არა; პუანტილისტებმა რაღაც სიახლე შემოიტანეს და ამის გამო, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი მაინც მიყვარს.

გულახდილად უნდა გითხრა – ისევ იმას ეუბრუნდები, რასაც პარიზში ჩამოსვლამდე ვეძიებდი. არა მგონია, ჩემამდე ვინმეს სუგესტიურ ფერზე რაიმე ეთქვას. დელაკრუას და მონტიჩელის ფერით ბევრის თქმა შეეძლოთ, მაგრამ ამაზე ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ. ნიუენსში რაც ვიყავი, ისევ ის ვარ – მუსიკის შესწავლას ამაოდ რომ ეცდილობდი და ბევრსაც ეწვალობდი; მაგრამ კაეშირს ჩვენს ფერსა და რიტარდ ვაგნერის მუსიკას შორის მაშინვე ეგრძნობდი.

მართალია, იმპრესიონიზმს ამჟამად ისე ეუყურებ, როგორც ეჭვნ დელაკრუას მკვდრეთით აღდგომას, მაგრამ რაკი იმპრესიონისტებს მისი ანდერძი არათუ საესებით სხვადასხვაგვარად, ზოგჯერ სულაც მცდარად ესმით, ახალი ხელოვნების დოქტრინის ფორმულირებას, როგორც

ჩასს, ისისი არ მოახდენს. ჰათთან კაეშირს იმიტომ არ ეწყვეტ, რომ ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს და არც არაფრით მაეალდებულებს: რაკი მხოლოდ თანამგზავრი ვარ, ჩემი აზრები რაღას გამოეთქვა. ღმერთია მოწმე, ცხოვრებაში უმჯობესია, თუ ხალხს ცოტა შტერი პგონიხარ: მე ხომ დროის მოგება მინდა, რათა ეისწავლო. შესც, ალბათ, მეტი არა გინდა რა. ჩემი არ იყოს, ეიცი, მხოლოდ ერთი რამ გსურს – სიმშვიდე და მხოლოდ სიმშვიდე. უამისოდ ძნელია სწავლა. მე კი, ვაითუ, ფულის თხოვნით სიმშვიდეს გირღვევ.

მე ხომ ბევრს ვანგარიშობ! მაგალითად, დღეს შევამჩნიე, თურმე ზუსტად გაემთვალია, ათ კვადრატულ მეტრ ტილოზე ძირითადი ფერის – ყვითლის – გარდა, რა რაოდენობის საღებავი დამჭირდება. ყველა ფერი ერთდროულად მითავსება. ეს ხომ იმის საბუთია, ფერთა თანაფარდობას რომ ისევე ეგრძნობ, როგორც სიერცეს – მთვარეული? იგიეე ითქმის ნახატზეღაც. ისე ეხატავ, არაფერს ეზომავ, აშკარად კორმორანის საპირისპირო საქციელია: ის ამტკიცებს, თუ არ გაეზომე, ჩემი ნახატი ღორის ნაჩიჩქნს ემსგავსებაო...

ჩემი ახალი სურათებისთვის ხუთი ქვეჩარჩო (ზომით 30) შევუკვეთე. აბა, რა მექნა? უკვე მზადაა, წამოღებაა მხოლოდ საჭირო. ესე იგი, ალბათ, მიხვდები, ახლა, ასეთი გაცხარებული მუშაობის დროს, ჩემი ასე უფულოდ ყოფნა არ შეიძლება. მხოლოდ ერთია სასუგეშო: მიწაზე მტკიცედ ვდგავართ, ნაცვლად ამაო ტეინის ჭყლეტისა, ეცდილობთ, მეტი და მეტი ეხატოთ. ამიტომაც გზას არ აეცდებით. იმედია, მომავალშიც ასე იქნება. რა თქმა უნდა, საღებავებიც მეხარჯება, ტილოც და ფულიც, მაგრამ გწამდეს, ეს არ დაგეღუპაეს.

540. დედაჩემის ფოტოსურათმა გამახარა: ეტყობა, დედა კარგადაა – ძალზე ცოცხალი გამოხედვა აქვს. ფოტოგაფია მხოლოდ იმიტომ არ მომეწონა, რომ ორიგინალს მეტისმეტად პგაეს. ეს-ესაა აეტოპორტრეტი დაეამთაერე, ისიც თითქმის უფერებოა, აი, რას გეტყვი: კაცზე ნათელი წარმოდგენის გადმოცემას ვერ მოახერხებ, თუ ფერებით არ დახატე... ქერმინი ლასერტე უფერებოდ რომ დაეხატათ, ნამდვილი ქერმინი ლასერტე ხომ არ იქნებოდა! ნეტაე როგორმე ჩვენი ოჯახის წვერთა პორტრეტებს დაეხატაედე!

ეტიუდი – ქრისტე და ანგელოზი გეთსიმანიის ბაღში, – ხელმეორედ გადაეფხიკე. სწორედ იმიტომ, აქ რომ ნამდვილ ზეთისხილის ხეებს ეხედაე, არ შემიძლია, უფრო სწორად, აღარ მინდა უმოდელოდ მუშაობა. კოლორიტი მთლად ჩემით მაქვს გამოგონილი: ვარსკვლაებით სავსე ღამე, ქრისტეს ფიგურა ლურჯი იქნება – ინტენსიური ლურჯი ფერი, ამაზე ლურჯის წარმოდგენა რომ უკვე აღარ შეიძლება, ანგელოზი – მქრალი ყვითელი, ლიმონისფერი. პეიზაჟი იისფერის ყველა ელფერით დაიხატება – მეწამულიდან – ნაცრისფერამდე...

ხელოვნებას, რომელსაც ჩვენ ეემსახურებით, უსაზღვროდ დიდი მოთხოვნილება აქვს; მაშასადამე, საჭიროა, ისე მოვეწყოთ, დეკადენტთა მსგავსად კი არა, მშვიდად ეიცხოვროთ. მე აქ თანდათან იაპონელი მხატვარივით მემართება, ბუნების წიაღში წერილი ბურჟუას ცხოვრებას რომ ეწევა. დამერწმუნე, ასეთი ყოფა დეკადენტის ცხოვრებაზე უსუგეშო მაინც არ არის. ხანში რომ შევალ, ასე მგონია, ძია ტანგის დაეემსგავსები. რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს რა მოელის, ეს არ ეიცით, იმას კი ეგრძნობთ, რომ იმპრესიონიზმს გრძელი სიცოცხლე უწერია.


541. დღეს წერილი უკვე მოგწერე, მაგრამ რაკი ასეთი დღე იშვიათად გაიცსებულა, მომისმდა, შენთვის მეთქვა, როგორ ეწუხვარ, შენ რომ ვერ ხედავ, რასაც ახლა მე აქ ეუყურებ! შეიძ საათზე უკვე ფეხზე ვიყავი და მოლბერტს ვუჯექი. ბევრი არაფერი კვდარს ეხატავ თუ სფერულ კვიპაროსს და ბალახსაც, რა თქმა უნდა ეს სფერული კვიპაროსი უკვე გირახავს – მე ხომ ბაღის ეტიუდი გამოგიგზავნე, მაგრამ დღევანდელი სურათის ჩანახატს მაინც გიგზავნი. სურათი ჩვეულებრივ, კვადრატულია, ზომა 30.

ხე დაეხატე საირფერი მწვანითა და ბრინჯაოს ხვადასხვა ელფერით. ბალახი მწვანეა, ძალზე მწვანე, ლიმონისფერი ყვრისეხი, ცა – ღია ლურჯი. უკანა პლანზე სულ ოლეანდრის ბუჩქებია. ეს შეშლილი, ეშმაკის კერძი ოლეანდრები ერთ ადგილზე გაშენებულ, ატაქსიით დაავადებულ ავადმყოფებს მოგაგონებენ. ახლად გაშლილი ყვავილები უხვად აყრიათ, უამრავი მჭკნარი ყვავილიც შერჩენიათ, ნორჩი ყლორტები წამოსწრდიათ და ამის ხარჯზე ფოთლებიც ასე უახლდებათ ყველაფერ ამას თავს დასცქერის სასაფლაოს კვიპაროსი; ბილიკზე ნელა მიაბიჯებენ პატარა ფერადი ფიგურები.

ეს სურათი იმავე ხომის მეორე სურათის ჯუფთი იქნება. მეორეც სწორედ ასეთივე პეიზაჟია, ოღონდ სხვაგვარად გააწრებული; ბაღი დავხატე სხვადასხვაგვარი ელფერის მწვანით. ცა ბაცია, მოლიმონისფერ-მოყვითალო. ამ ბაღს თავისებური სტილი ემჩნევა, რის წყალობითაც, აქ შეიძლება, რენესანსის პოეტები წარმოვიდგინოთ დანტე, პეტრარკა ანდა ბოკაჩო. ხომ ასეა? გეგონება, აი, სადაცაა ბუჩქებს უნდა გამოსცდნენ და ხშირ ბალახზე ნელი ნაბიჯით გამოვიდნენო. ხეები სულ არ დამიხატავს, მაგრამ, სხვა მხრივ, კომპოზიცია მთლად სინამდვილის შესატყვისია. ოუმც, ზოგი ბუჩქიც გავადიდე. ამგვარად, რათა პეიზაჟის ხასიათი კარგად გადმოვცე, უკვე მესამედ ვხატავ.

ამ ბაღს სწორედ ჩემი ფანჯრები გადასცქერის. სურათი იმ აზრს აღასტურებს, ადრეც რომ გწერდი: აქ სხვაგვარად ვერ მოხერხდება – თუ გსურს, საგანთა ბუნებას ჩასწვდე, თვალი უნდა შეაჩვიო, დიდხანს ხატო... სხვა რა გზაა, ახლა ძალების მოზღვავებას ვგრძნობ და უნდა ვხატო, ბევრი ვხატო – 1889 წელს მეც ხომ უნდა მომზადებული შევეგებო, რაკი ყველა ჩვენიანი სენსაციის მოხდენას ცდილობს. სერას მზად აქვს რამდენიმე დიდი ტილო და შეუძლია, პერსონალური გამოფენის პრეტენზია განაცხადოს. სინიაკიც ბეჯითად შრომობს, სურათებიც საკმარისად მოაგროვა, ისევე როგორც, გოგენმა და გიიომენმა. ჰოდა, მეც მინდა, იმ დროისთვის – სულ ერთია, გამოფენაზე ვიქნებით თუ არ ვიქნებით, – ეტიუდების ერთი სერია – „დეკორაცია“ – დავამთავრო.

542. ბოლო დღეების კარგი ამინდი ტალახმა და წვიმამ შეცვალა, დაზამთრებამდე მზეები, ალბათ, კიდევ იქნება, მაგრამ, ეფიქრობ, იშვიათად. ამიტომაც, საჭიროა, ეს დარები გამოვიყენო, განსაკუთრებით – ფერწერისთვის. ზამთარში კი, მინდა, ცოტა მეტი ვხატო. თუ ფიგურების ზეპირად ხატვას ვისწავლიდი, ცოტა რამის გაკეთებას ყოველთვისაც მოვახერხებდი, მაგრამ ვიღე, მაგალითად, რომელიმე მხატვრის ფიგურა, თუნდაც ყველაზე გამოცდილისა – ვისაც ცოცხალი ჩანახატების გაკეთება შეუძლია, – ვთქვათ, პროკუსაის ან დომიესი. ჩემი აზრით, ასეთი ფიგურა იმავე ოსტატთა ან სხვა მხატვარ-პორტრეტისტთა ნატურიდან გაკეთებულ ფიგურებზე მუდამ რაღაცით ნაკლებია.



მაგრამ, ეთქვათ და, მოდელების ნაკლებობას არაფერი ეშველება, განსაკუთრებით, ისეთებისახ, რომელთაც ესმით, მისგან რა სურთ. ამის გამო გული არ უნდა გაიტეხოთ, მხრები არ უნდა ჩამოუყაროთ.

დელაკრუას, დომიეს, ჟერიკოს, იაპონელთა სურათები სახელოსნოს კედლებზე დაეკიდე თუ შენთან, პარიზში, დელაკრუას „საფლავად დადების“ ანდა ჟერიკოს რომელიმე სურათის მოსახავ, შენი ჭირიმე, რამდენსაც შეძლებ, უნდა იყიდო. მილეს „მინდვრის სამუშაოებს“, ლერას ოფორტს „მთესველის“ მიხედვით, რომელიც დიურან-რიუელთან ფრანკი და ერთი მეოთხედი ღირს, ჟაკემარის პატარა ოფორტს შეისთნიეს „მკითხველის მიხედვით – ვნატრობ ჩემი სახელოსნოსთვის. რა ვქნა, მიყვარს შეისთნიე.

„რეეიე დეს დიუ მოსდ'ში“ სტატია იყო ტოლსტოიზე და წაეკითხე. ტოლსტოი თავის ქვეყანაში, როგორც ეტყობა, რელიგიური საკითხებით იმაზე ნაკლებ არ ყოფილა გატაცებული, ვიდრე ინგლისში ჯორჯ ელიოტი. ტოლსტოის რაღაც წიგნი ჰქონია რელიგიაზე. თუ არ ეცდები, ასე რქმევია – „არსი ჩემი რწმენისა“, – როგორც ჩანს, ძალზე საინტერესო უნდა იყოს. რამდენადაც ამ სტატიამ მიმახვედრა, ტოლსტოი ცდილობს, ქრისტიანულ რელიგიაში გამოყოს ის, რაც მასში წარუვალია და რაც ყველა რელიგიას ახასიათებს. ეტყობა, არ სწამს გვამის მკვდრეთით აღდგომა – წარმოიდგინე, თვით სულისაც, – და მიაჩნია, ისევე როგორც ნიჰილისტებს, რომ საფლავს მიღმა არაფერი აღარ არის, მაგრამ კაცი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეს სხვებში განაგრძობს, კაცობრიობაში ცოცხლობს. თვით წიგნი არ წამიკითხავს და ამიტომ ზუსტად ვერ ვიტყვი ტოლსტოის აზრებს; მაგრამ მისი რელიგია, ჩემი აზრით, არ შეიძლე-

ბა, მკაცრი იყოს და სატანჯველს გეიმატებდეს. პირიქით, ალბათ, სუგეში და სიმშვიდე მოაქვს, ესერგიას და მხნეობას მატებს ადამიანებს და ა.შ.

ბინგის რეპროდუქციებში განსაკუთრებით „ბალახის ღერომ“, მიხაკებმა და პოკუსაიმ აღმაფრთოვანა.

რაც უნდა თქვან და, ყველაზე უფრო ეულგარული ხეზე ნახატი გრაეიურები, ბრტყელ ტონებიანად, რუბენსსა და ეერონეზეზე ნაკლებ არ მომწონს, და ამასაც ისევ იგივე მიზეზი აქვს. მშვენიერად ეიცი, რომ ეს არ არის პრიმიტიეი. პრიმიტიეები, რა თქმა უნდა, წარმტაცია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წარამარა იმეორო თითქმის ანდაზად ქცეული ფრაზა: „ლუერში რომ შეეალ, პრიმიტიეებს ეერ ეცილდებიო“.

იაპონური ხელოენების რომელიმე სერიოზულ მოყვარულსაც – თეით ლეეისაც, – ასე რომ ეუთხრა: „რა ექნა, ბატონო, ეს უბრალო, 5 სუიანი ანაბეჭდები აღმაფრთოვანებს-მეთქი“, იგი უთუოდ, ცოტა არ იყოს, შეცბუნდება და სინანულით გაიფიქრებს, რა უეიცი ყოფილა და როგორი გემოენება ჰქონიაო. იქნებ ოდესღაც სწორედ ასეეე ითელებოდა ცუდ გემოენებად რუბენსის, იორდანსის, ეერონეზეს სიყვარული?

იმედია, ჩემს ახალ სახლში მერე ასეთ მარტოობას აღარ ეიგრძნობ, აედრიანი დღეებისა და ზამთრის გრძელი ღამეების გასატარებლად რამე საქმეს გამოენახავ. მეგობრე ან ფეიქარი ხომ მთელი თეეები მარტოდმარტოა, ერთადერთი გასართობი მისთეის შრომაა.

ამ ადამიანებს ასეთ ცხოერებას იმის შეგნება ატანინებთ, რომ შინ არიან, საკუთარ სახლში, გარემო, რომელსაც შესჩეეიან, სიმშვიდეს პგერით. რა თქმა უნდა, თუ გეერდით ეინმე მეყოლებოდა, ამაზე უარს არ ეიტყოდი, მაგრამ რაკი არაეინ მყავს, ამის გამო თავს არ მოეიკლავ, მით უმეტეს, რომ როცა იქნება, ჩემთან უთუოდ ჩამოეა ეინმე – თითქმის ეჭეი არ მეპარება, ასე იქნება. შენსედაც სწორედ იგიეე ითქმის: თუ მოგინდება, ეინმემ შენი მარტოობა გაიზიაროს, იმ მხატერებს შორის, ეისთეისაც ბინა სერიოზული პრობლემაა, ამის მსურეელს ძალიან მალე გამონახავ. მე კი, ყველაფერ ამის გარდა, საკუთარი მოვალეობაც გამაჩნია – ბოლოს და ბოლოს, ჩემიეე ხელით ფულის შოენა ხომ უნდა შეეძლო; ამიტომ ჩემთეის ნათელია, რა უდიდესი შრომაც მომელის.

რა იქნებოდა, ცხოერებისა და შრომის სახსარი ყველას ჰქონოდა, ყოეელ მხატეარს! მაგრამ რაკი ეს არა გეაქვს, სურათების ხატეა მინდა, ბეერი ხატეა, გაცხარებული მუშაობა. მერე იქნებ ისეთი დღეც გაგეითენდეს, როცა შეეძლებთ და ჩეენს საქმეებს გავაფართოეებთ, მეტ გაელენას მოეიპოეებთ. მაგრამ მანამდე ჯერ ადრეა – ჯერ ბეერი უნდა ეიმუშაოთ.

ომიანობის დროს რომ გეეცხოერა, ალბათ, ომში წაეიდოდით; რა თქმა უნდა, ეიფიქრებდით, რატომ მშვიდობა არ არისო, მაგრამ მაინც ეიომებდით, რაკი საჭირო იქნებოდა. სწორედ ასეეე, უფლება გეაქვს, ეიოცნებოთ, ნეტაე უფულოდ შეიძლებოდეს ცხოერებაო. მაგრამ ჩეენს დროში რაკი უფულოდ ეერაფერი გაგეიწყეია და ფულის ხარჯეა მაინც გეიწეეს, იმაზედაც უნდა ეიფიქროთ, იგი რა გზით მოეიპოეოთ. პირადად ჩემთეის ფულის შოენა ფერწერით უფრო იოლია, ეიდრე სახატებით.

ჩეეულებრიე, ფანქრით ხატეა ბეერს ემარჯეება, ხოლო ბუნების სილამაზის, ფერადოენების ჩაწედომა და ზეთის ფერებით სწრაფად ტილოზე გადატანა ბეერად ძნელია. ამის უნარი იშეიათია და სურათის აღიარება რაც უნდა დაგეიანდეს, მყიდეელი ოდესმე მაინც გამოუჩნდება.

მაგრამ სქელი მოსასმებით დახატული სურათები, ჩემი აზრით, აქ, სამხრეთში, ცოტა უფრო დიდხანს უნდა შეეჯიბროსთ გასაშრობად.

წამიკითხავს, რუბენსის ის ნამუშევრები, ესპანეთში რომ იჩახება, ჩრდილოეთში მყოფ სურათებზე ბევრად მკვეთრი კოლორიტის მქონეა. ცის ქვეშ მდგარი ნანგრევებიც კი აქ ისეთ თეთრ ფერს ისარჩუნებს, მაშინ როცა, ჩრდილოეთში მუქდება, რაღაც ტალახისფერი, რუხი ხდება. აქაურ ქალთა სილამაზეს თანდათანობით უკეთესად ეგრძნობ. მათ რომ ეუყურებ, სულ მოსტიჩელი მაგონდება. მათ სილამაზეს ხელს უწყობს ფერი. ამით იმის თქმა როდი მინდა, თითქოს ამ ქალებს ულამაზო ფორმები ჰქონდეთ, მაგრამ მათი მომხიბლელობის მიზეზია არა ფორმები, არამედ მოხდენილად მორგებული ჭრელი სამოსის მსხვილი ხაზები, ამაღე დროს, კანის ფერი, სხეულის ტონები. კიდევ ბევრი წვალება მომიწევს, ვიდრე ვისწავლი და ამ ქალებს, როგორც ვხედავ, ისე დავხატავ. ერთი რამ მჯერა – თუ აქ დაერჩები, ამას მიეჩვევ. მაგრამ სამდღეში, ჭეშმარიტად სამხრეთული ნაწარმოების შესაქმნელად მარტო გარკვეულ ტექნიკურ ჩვევებს ვერ დასჯერდები. საჭიროა, საგნებს დიდხანს აკვირდებოდე, რათა ჩასწვდე და ჩანაფიქრიც კარგად მომწიფდეს. პარიზიდან რომ მოვდიოდი, დელაკრუა და მონტიჩელი თუ ასეთი მართალი მხატვრები გამოდგებოდნენ, ვერ ვიფიქრებდი. მხოლოდ ახლა, როცა უკვე მრავალი თვეა, სამხრეთში ვცხოვრობ, ვხედავ, ისინი თურმე არაფერს იგონებდნენ. პოდა, ვფიქრობ, ერთი წლის შემდეგ, ჩემს ჩვეულებრივ სიუჟეტებს – ბაღებს ან მკას, – თვალს რომ შეაელებ, საესებით სხვაგვარ კოლორიტს და, რაც მთავარია, სხვაგვარ ფაქტურას დაინახავ. თანაც ამით ცელილებებს და ვარიაციებს ბოლო როდი მოელება.

ეგრძნობ, საჭიროა, არ აეჩქარდე. ბოლოს და ბოლოს, არც ისე ძნელია ძველებური წესის მიყოლა: ჯერ ათ წელიწადს ისწავლე და ფიგურის ხატვა ამის შემდეგ მოინდომეო. მონტიჩელიც – თუ მის ბევრ სურათს მარტოოდენ ეტიუდად მივიჩნევდით, – სწორედ ასე იქცეოდა.

მონტიჩელის ფიგურები, მაგალითად, ყვითელი ქალი ანდა ქოლგიანი ქალი (პატარა ტილო, შენ რომ გეკუთვნის), შეყვარებულნი (რიდს რომ ეკუთვნის), დასრულებული სურათებია, ნახატის მხრივ არაფერი რომ არ აკლია და მარტოოდენ მოწონებას იმსახურებს. აქ მონტიჩელიმ დომიესა და დელაკრუას ნახატების ძარღვიანობას, მშვენიერებას მიაღწია. თუკი მისი სურათების ახლანდელ ფასებს გავიხსენებთ, მათი შეძენა ფულის დაბანდების საუკეთესო საშუალება იქნებოდა: დადგება დრო და მის მიერ დახატულ მშვენიერ ფიგურებს ხელოვნების საუკეთესო ქმნილებებს შორის მოიხსენიებენ.

ჩემი აზრით, ქალაქი არლი, ქალებისა თუ სამოსელის სილამაზის მხრივ, უწინ ბევრად საინტერესო იქნებოდა. ახლა კი თითქოს თავისებურება დაუკარგავს, თითქოს რაღაც სენი შეპყრია, ჭკნობა შეპარვია. მაგრამ თუკი დაკვირვებით დავაკვირდებით, ძველ მშვენებას მაინც ეიგრძნობთ. აი, რად ეფიქრობ, არაფერი დამაკლდება, თუ აქ დაერჩები და, უბრალოდ, ირგვლივ მყოფ საგნებს თვალთვალს დაეუწყებ იმ ობობასავით, ქსელში ბუზის გაბმას თოთმინებით რომ ელოდება. საჭიროც კი არაფერი მაქვს: უკვე მოვეწყვე, შემიძლია, გულმშვიდად ვიყო, კარგი ამინდით ანდა რამე მარჯვე შემთხვევით ვისარგებლო და ხანდახან ჭეშმარიტად კარგი სურათი დავხატო.

მილიე, მართლაც, იღბლიანია. არლელ ქალებს ვერ აუდის, იმდენი

.ყაეს; მაგრამ ის ხომ მათ არ ხატაეს. მხატვარი რომ ყოფილიყო, ცხადია, არ ეყოლებოდა. ეტყობა, უსდა მოთმინება მოეკრიბა და მოეცადო, ვიდრე ჩემი დროც დადგებოდეს.

ეკითხულობ ეაგნერზე დაწერილ სტატიას – „სიყვარული მუსიკაში". აეტორი, ეგონებ, ისევ ის არის, ვინც ეაგნერზე წიგნი დაწერა. რარიგ გეჭირდება ასეთი რამ ფერწერაში!

ტოლსტოი თაეის თხზულებაში – „არსი ჩემი რწმენისა" – ასეთ აზრს უსდა გამოთქვამდეს: ძალმომრეობითი, სოციალური რეეოლუციისგან დამოუკიდებლად უსდა მოხდეს შინაგანი, თვალით უხილაეი რეეოლუცია ჩვენს გულებში, რომელიც ახალი რელიგიის წარმოშობას გამოიწვეეს; ან უფრო სწორად, ეს იქნება საესებით ახალი, უსახელო რამ, მაგრამ ისეთი, ადამიანს ცხოერებას რომ გაუადვილებს, ანუგეშებს – როგორც ოდესღაც ქრისტიანობა ანუგეშებდა. ალბათ, ძალზე საინტერესო წიგნი იქნება. მოხდება ის, რომ ადამიანებს მობეზრდებათ ცინიზმი, სკეპსისი, ერომანეთის დაცინეა და უფრო ჰარმონიულ ცხოერებას ისურეებენ. ეს ყოეელიეე როგორ მოხდება ანდა ბოლოს რას იზამენ? სასაცილო იქნებოდა, თუ ამის გამოცნობას შეეეცდებოდით. ჯობს, ისეე ამის იმედი გექონდეს, ვიდრე მხოლოდ კატასტროფები გეწიეენებოდეს, რაც ისედაც არ აგეცდება – ციეილიზებულ ქეეყნიერებას რისხეად დაატყდება რეეოლუციის, ომებისა თუ ძირგამომპალი სახელმწიფოს გაკოტრების ფორმით და სახით. იაპონელთა ხელოენების შესწაელის დროს მათ სურათებში ყოეელ ნაბიჯზე ეხედაეთ და ეგრძნობთ გონიერ, ჭკეიან ფილოსოფოსს, ბრძენს, რომელიც, აბა, თუ იცი, დროს რაზე ხარჯაეს? განა ჩეენსა და მთაერეს შორის მანძილს ზომაეს ანდა ბისმარკის პოლიტიკის ანალიზს უნდება? არა, უბრალოდ, ბალახს უჭერეტს, ბალახის ღეროს და ბალახის ეს ერთი ღერო ათას მცენარეს, წელიწადის სხეადასხეა დროს, ლანდშაფტებს და ადამიანებს ახატვინებს. ასე მიდის მისი ცხოერება, მაგრამ იგი მაინც მოკლეა საიმისოდ, რომ ყეელაფერი მოასწროს და გააკეთოს.

და განა რასაც იაპონელნი გეასწაელიან – ბუნების უბეში გადაშლილი ყეაეილებიეით უბრალონი, – რელიგია არ დაერქმეეა? რელიგია – ამ სიტყეის სრული მნიშენელობით. ჩემი აზრით, იაპონური ხელოენების შესწაელის შემდეგ მხიარულება გეემატება; იაპონურ ხელოენებასთან სიახლოეე გეეხმარება, ბუნების კალთას დაეუბრუნდეთ – მიუხედაეად ჩეენი აღზრდისა, მიუხედაეად იმისა, რომ პირობითობას გეერდს ეერ აეუელით.

რა საწყენია, მონტიჩელის სურათების სიცოცხლით საესე ოფორტებსა და უმშეენიერეს ლითოგრაფიებს დღემდე რომ ეერსად ეერა ეხედაეთ! ნეტაე მხატერები რას იტყოდნენ, თუ ეთქეათ, ის, ვინც ეელასკესის გრაეიურები დაამზადა, მონტიჩელის კარგ ოფორტებსაც დაამზადებდა! თუმც, ეს არ არის დიდი ამბაეი. ჩეენს უპირეელეს მოვალეობად მიმაჩნია, მშეენიერების შეცნობა და მშეენიერებით აღტაცება თაეად შეგეეძლოს, საცელად იმისა, რომ სხეებს დაეუწყოთ ამის სწაელება. მაგრამ ორიეე ერთდროულადაც შეიძლება.

შესაშურია: იაპონელს ყეელაფერი განსაკუთრებით მკაფიო და გარკეეული აქეს, მოსაწყენი არასდროს არის, აჩქარებასაც ეერასდროს შეამჩნეე. ხატაეს ისე ბუნებრიეად, როგორც სუნთქაეს, და ფიგურას ორიოდ შტრიხით ისე დახატაეს, თუნდაც თაეისი ჟილეტი შეეკრას. მეც

უსდა შეეძლო, უსდა ეისწაელო ორიოდ შტრიხით ფიგურის ხატება. მთელი სამთარი ამას უსდა მოეანდომო. მერე კი უკვე შემიძლია ბულვარების, ქუჩებისა და სხვა ათასი სიუჟეტის ხატება დაეიწყო. წერილს რომ ეწერდი, თან ეხატაედი. ჩემთეის რაღაც სახატები გაეაკეთე. სწორ გზაზე ეღგაეარ, მაგრამ ეს გზა იოლი არ არის: მე ხომ ეცდილობ, ორიოდ შტრიხით დაეხატო კაცი, ქალი, ბიჭუნა, ცხენი, ძაღლი და თანაც ისე, რომ სხეული მკეიდრად შეკრული გამოეიდეს, სხეულს თაეი, ხელი და ფეხი კარგად მოერგოს...

ქალბატონმა დე ლაბრე ლაროკეტმა ერთხელ მითხრა: „ო, მონტიჩელი, მონტიჩელი! ეს კაცი სამხრეთში დიდი სახელოსნოს მეთაური უნდა ყოფილიყოო“. თუ გაგონდება, შენ და ჩვენს დას უკვე მოგწერეთ, აქ ზოგჯერ თაეი მონტიჩელის გამგრძელებელი მგონია-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, ზემონახსენები სახელოსნოს მოწყობას ხომ შეეუდექით. რასაც გოგენი გააკეთებს ანდა რასაც მე გაეაკეთებ, მონტიჩელის მშვენიერ ქმნილებებს გვერდში უნდა ამოუდგეს. ჩვენ შეეცდებით, ზოგიერთ ძეირფას ადამიანს დაეუმტკიცოთ, რომ მონტიჩელი კანებიერზე[1] კაფეში ჯდომას ლოთად სულაც არ უქცეეია; რომ ის საკმაოდ არ მომკედარა – ერთი სიტყვით, ცოცხალია. მაგრამ მის საქმეს ჩვენ ისეთ მყარ საფუძველს შეეუქმნით, ჩვენს მერეც იცოცხლებს.

543. *ხეტემბერი.* ფეხი რომ ისევ აგტკიენია, ეგ ვერ არის კარგი ამბავი. ღმერთო ჩემო, რარიგ გჯირდება მცირე ხნით მაინც სამხრეთში ყოფნა! მე ძველებურად იმაეეს ეფიქრობ: ჩვენისთანა ხალხისათეის ყველა წამალზე უებარი მზე, დარი და გამჭვირეალე ჰაერია. აქ ჯერ ისევ საუცხოო ამინდებია; სულ რომ ასეთი დარი იყოს, აქაურობა მხატერისათეის სამოთხე, კიდევ მეტი – მართლაც, ნამდეილი იაპონია იქნებოდა. მუდამ, სადაც ვარ, სულ გოგენზე; ბერნარზე და შენზე ეფიქრობ. რარიგ კარგი იქნებოდა, სამიენი აქ რომ მენახეთ!

წერილს ეურთაე კეადრატული ფორმის სურათის (ზომა – 30) მცირე ჩანახატს – ეარსკელაეიან ცას, დახატულს დამით, გაზის შუქზე. ცა მოლურჯო-მომწეანოა, წყალი – სამეფო ლურჯი ფერისა, დედამიწა – მოეარდისფრო-მოიისფრო, ქალაქი – მოლურჯო-მოიისფრო, გაზი – ყეითელი, ხოლო მისი ოქროსებრ ეღალი ანარეკლები მობრისჯაოსფრო-მომწეანო ფერს უახლოვდება. ცის მოლურჯო-მწეანე სიერცეში დიდი დათეის ეარსკელაეები მწეანედ და ეარდისფრად ციმციმებენ, მათი სიმკრთალე გაზის კაშკაშა ოქროსფერის კონტრასტულია. წინა პლანზე შეეეარებულთა ფიგურებია დახატული. ეს ფიგურები ფერადია.

ამას გარდა, ერთ ჩანახატს კიდევ გიგზაენი. ესეც ისევ კეადრატული ფორმის სურათის ჩანახატია (ზომა ისევ – 30). დახატულია გოგირდისფერ მზის სხივებში გახეეული ჩემი სახლი და მისი გარემო, რომელსაც წმინდა კობალტისფერი ზეცა დაჰყურებს. ერთობ ძნელი სიუჟეტია, მაგრამ სწორედ ამის გამო მაინტერესებს. ეზოში მდგარი ყეითელი სახლი, შეუდარებლად უმანკო და წმინდა სილურჯე – ჯოჯოხეთურად რთული საქმეა ამის დახატეა. დედამიწაც კი ყეითელია. ეს ზეპირი ჩანახატია, მერე უკეთესს გამოგიგზაენი. მარცხნიე ის შენობა, ხის ჩრდილი რომ მოჰფარებია, ეარდისფერია, ოღონდ მწეანე დარაბები აქეს. ეს სწორედ ის რესტორანია, სადაც ყოველდღე ესადილობ ხოლმე. ქუჩის ბოლოს,

[1] მარსელის მთაყარი ქუჩა

შარცხნივ, რკინიგზის ორ ხიდს შორის მოჩანს ჩემი მეგობარი ფოსტალიონი. ღამის კაფე, რომელიც ადრე დავხატე, სურათზე არ ჩანს, რესტორანის მარცხნივაა. ამ სურათზე მილიე ამბობს, არ ვარგაო. შენ კი, ეიცი, იოლად გამიგებ: როცა მილიე მეუბნება, ვერ გამიგია, რა სიხარულს და შვებას განიჭებს ამ ბანალური დუქნებისა და უშნო, რაღაც უსიცოცხლოდ ერთფეროვანი, გაქვავებული სახლების ხატვაო, მაშინვე ზოლას „მახეს“ დასაწყისის ბულვართა აღწერას ვიხსენებ ხოლმე ანდა ფლობერის „ბუვარისა და პეკიუშის“ იელისის მზით განათებულ დელა ვიღლეტის სანაპიროს – ღმერთმა ხომ იცის, ამ აღწერაში რაოდენი პოეზიაა.

ძნელ მასალაზე მუშაობა ჩემთვის დიდი სარგებლობის მომტანია. დროდადრო კი მაინც – როგორ ვთქვა, – რელიგიის უცნაურ მოთხოვნილებას ვიგრძნობ ხოლმე. მაშინ, როგორც კი დაღამდება, ვარსკვლავების სახატავად გამოვდივარ – ასეთ ფონზე მეგობართა ჯგუფის დახატვა თანდათან ხშირად მეოცნებება.

გოგენისგან წერილი მივიღე. ნაღელიანია. ირწმუნება, რამეს გავყიდი და მაშინვე შენკენ გამოვწევეო, მაგრამ გარკვევით ჯერაც არ ამბობს, გზის ხარჯი რომ გადაეუხადოთ, დაუყოვნებლივ წამოვა თუ კიდევ ასე გვალოდინებს. იწერება, ჩემი სახლის პატრონები ისე კარგად მექცეოდნენ, ასე უცებ მიტოვება დიდი სიმდაბლე იქნებოდაო. თან იმასაც იმეორებს, საშინლად მწყინს, რატომ არ გჯერა – როგორც ამის გასაქანი მომეცემა, მაშინვე მინდა წამოსველაო. სურათები ჩალის ფასად რომ გაუყიდო, მაინც ძალიან გაუხარდება. მის წერილსაც გიგზავნი და ჩემს პასუხსაც.

რა თქმა უნდა, გოგენის ჩამოსვლით ფასი ჩემი წამოწყებისა – აქ, სამხრეთში, ფერწერისა – 100 პროცენტით გაიზრდება, მაგრამ, ეგონებ, რაკი ჩამოვა, აქაურობას შეეჩვევა და უკან წასვლას აღარ ისურვებს...

პიუგო ამბობს: ღმერთი ციმციმა შუქურას ჰგავს, ხან რომ ინთება, ხან კი ქრებაო. ჩვენთვის ახლა უთუოდ ის მომენტია, როცა ის ჩაქრა.

როგორ მინდა, რამე ისეთი გამოჩნდებოდეს, რაც ოდნავ მაინც დაგვამშვიდებდა, გვანუგეშებდა. საიმისო ძალას მოგვცემდა, დამნაშავედ და უბედურად არ გვეგრძნო თავი და ისე გვეცლო ქვეყანაზე, მარტოობას არ გაეტანჯვეთ, გზას არაფერს აეცდინეთ, არაფრისა შეგეშინებოდა, ჩვენი მოსწრება კანკალით და ვაი-ვაგლახით სულ იმაზე არ გვეფიქრა, უნებლიეთ ჩვენს ახლობლებს ცუდი არაფერი შეევამთხვიოთო! მინდოდა, დიდებული ჯოტოსავით ეყოფილიყავი: როგორც მისი ბიოგრაფი გვეუბნება, იგი მუდამ ავადმყოფობდა, მაგრამ გზნება და ახალი აზრი არასოდეს შემოლეულა. შესაშურია, თავისი თავის ისე სჯეროდა. ხოლო როცა ადამიანი ასეთია, ყოველ დროსა და გარემოში ბედნიერი და მხიარულია. მის გულში სიცოცხლის ტრფიალს ვერაფერი გაანელებს. ეს კი სოფლად ან რომელიმე პატარა ქალაქში უფრო იოლი მისაღწევია, ვიდრე პარიზის ორომტრიალში.

თუ „ვარსკვლავებით სავსე ღამეს“ ან „მოხსნულ მინდვრებს“ მოიწონებ, ეს სულაც არ გამაოცებს – ჩემს დანარჩენ სურათებთან შედარებით, ესენი მშვიდი სურათებია. სულ რომ ასე ემუშაობდე, უფულობა ცოტა ნაკლებ შემაწუხებდა: ხატვის ტექნიკა რაც ახლოსაა პარმონიასთან, სურათს იოლად აღიქვამენ. მაგრამ რა ვქნა, ამ წყეულ მისტრალს ვერაფერი მოეუხერხე – სულ ხელს მიშლის, ვერ იქნა, ვეღარ მივაღწიე ისეთ მოსასმენს, ერთმანეთს რომ შეხამებოდა, მეტყველად და ლამაზად დაკ-

რულ მუსიკასაეით გრძნობით საესე ყოფილიყო. ახლა წყნარი ამისდია და აქიტომ შედარებით თაეისუფლად ეარ შეუძლებელთას შებრძოლება ნაკლებად მიწეეს...

კარგი სურათის დახატეა ხომ ისეთიეე ძნელი საქმეა, როგორც, თუნდაც, მარგალიტის და ალმასის პოეა – თუ ძალ-ღონე არ დაძაბე, არაფერი გამოგიეა; ამაეე დროს, შენც და შენი სურათების გამყიდეელმაც თაეი უნდა გაიმეტოთ. მაგრამ თუკი პატიოსანი თეალი იპოეე, საკუთარ თაეში მეტად ნუღარ დაეჭედები და სურათს ფასი შეუნარჩუნე..ცხადია, ეს აზრი მუშაობაში მეხმარება, მაგრამ დღემდე მხოლოდ ფულს ეხარჯაე, სხეა არაფერი, და ამის გამო ძალიან ეწუხეარ. მარგალიტთან შედარება ყეელაზე დიდი გასაჭირის დროს გამახსენდა. არ გამიკეირდება, ასეთიეე გაჭირეების ჟამს შენც რომ გიშეელოს. კარგი სურათიც ალმასიეით იშეიათია.

მზესუმზირები აღარ არის, თორემ კიდეე დაეხატაედი. შემოდგომაზე თორმეტიოდე კეადრატული სურათი მინდა გაეაკეთო (ხომა ისეე – 30), რაც საესებით შესაძლებლად მიმაჩნია. ამ დღეებში, როცა ბუნება აგრერიგად მშეენიერია, მეც ნათელმხილეელს ეემსგაესები: სურათები თაეისთაეად ჩნდებიან თეალწინ, თითქოს სიზმრად მეცხადებიან. მეშინია, ეაითუ, ამას რეაქცია მოჰყეეს-მეთქი და, აედრები რომ დაიწყება, მეელანქოლიამ შემომიტიოს; თუმც, ეიმედოენებ, ფიგურების ზეპირად ხატეას შეეუდგები – უგუნებობას ამით ეაჯობებ.

მოდელების ნაკლებობა ძალიან მზღუდაეს, მაგრამ ნაცელად იმისა, რომ დაენაღელიანდე, კოლორიტს და პეიზაჟებს ეულრმაედები, თანაც იმაზე აღარ ეფიქრობ, რით დამთაერდება ეს ყეელაფერი... ერთადერთი იმედი დამრჩა – დაძაბული შრომის ფასად ერთ წელიწადში, ეიღრე გამოფენა გაიხსნებოდეს, იმდენ სურათს გაეამზადებ, შეიძლებოდეს, ხალხს ეაჩეენო, – რა თქმა უნდა, თუ ჩეენ ორიეე ამას ეისურეებთ. პირადად ჩემთეის გამოფენა არაფერს ნიშნაეს, მაგრამ მინდა, დაგანახეო, რომ ზოგი რამ მეც შემიძლია.

დაე, ნურაფერს ნუ გამოეფენ, მაგრამ შინ მაინც თუ ისეთი სურათები დაგეიგროედება, ყეელა ნათლად დაინახაეს, რომ არც ზარმაცი ეარ, არც უსაქმური, მშეიდად ეიქნები. მთაეარია, მათზე ნაკლები არ ეიმუშაო, სურათებს რომ მარტოოდენ საგამოფენოდ ამზადებენ. გამოეფენ თუ არ გამოეფენ ნამუშეერებს, მუშაობა საჭიროა – კაცს უფლებას სწორედ ეს აძლეეს, დაჯდეს და მშეიდად გააბოლოს.

ამ წელიწადში ეეცდები, რამე გაეაკეთო, თანაც ისე, რომ ახალი სერია წინა ორზე უკეთესი გამოეიდეს. იმედია, ეტიუდებში ისეთებიც გამოერეეა, რომლებიც მერე სურათებად გადაიქცეეა. ეარსკელაეიანი ცის დახატეას კიდეე ეაპირებ, ერთ საღამოს კი, თუ სიბნელე არ იქნება, იმ ნახნაეებში უნდა წაეიდე.

ტოლსტოის წიგნი – „არსი ჩემი რწმენისა" – ფრანგულ ენაზე 1885 წელს გამოუციათ, მაგრამ საგამომცემლო პროსპექტებში არსად მინახაეს. როგორც ჩანს, ტოლსტოის სულისა და ხორცის აღდგომა არა სჯერა და, რაც ყეელაზე მნიშენელოეანია, არ სწამს ზეციური მისაგებელი, ესე იგი, ყოეელიეეს ნიჰილისტის თეალით უყურებს. თუმც, იმათგან მცირეოდენი განსხეაეებით, უაღრესად მნიშენელოენად ის მიაჩნია, რომ ყეელა უნდა შეეცადოს, რასაც აკეთებს, მხოლოდ კარგად გააკეთოს, რადგან, ალბათ, ამის მეტი აღარაფერი დარჩენიათ.

მას არა სწამს მკვდრეთით აღდგომა, მაგრამ ის სწამს, რაც აღდგომის ტოლფასია — სწამს სიცოცხლის უწყვეტელობა, კაცობრიობის პროგრესი სწამს, ადამიანი, ადამიანის საქმეები, რასაც შემდგომი თაობები თითქმის მუდამ თაყვანით საკუთრებად აქცევენ ხოლმე. მისი რჩევა-დარიგება მარტოოდენ სუგეშის მომცემი სიცრუე როდია. იგი, თაყვანიშეცემული, მუშად იქცა: ჩქმეების კერვა შეუძლია, ბარვა, ღუმელის აშენება, გუთნისდედობა. მე ვერც ჩექმას შევკერავ და ღუმელსაც ხომ ვერ ავაშენებ — არც ერთი არ შემიძლია; მაგრამ ის კი შემიძლია, პატივი ვცე სულით ძლიერ ადამიანს, აი, ასე რომ გარდაიქმნება. ღმერთს გეფიცები, საწუწუნო არაფერი გვაქვს, ვერ ვიტყვით, რომ ცხოერება ზარმაცების საუკუნეში მოგვიწია, რაკი ჩვენს დროში ადამიანთა სუსტი მოდგმა ისეთ შეილებს შობს, მაინცდამაინც ზეცაც რომ არ სწამთ. როგორც, ალბათ, უკვე მოგწერე, ძალმომრეობითს რეეოლუციას ტოლსტოი არ აღიარებს. მას სწამს სხვაგვარი რეეოლუცია, ისეთი, რომელსაც ეითარცა ერთგვარ რეაქციას სკეპტიციზმის, სასოწარკვეთის, უიმედობის, ტანჯვა-წამების წინააღმდეგ, სიყვარულისა და რელიგიის მოთხოვნილება გამოიწვევს.

544. ჩემს წერილს ეურთაე გოგენისასაც. მნიშვნელოვანი წერილია და ამიტომ გთხოე, შეინახო. ეგულისხმობ იმას, რასაც გოგენი საკუთარ თაეზე იწერება. წაეიკითხე და გული მომიკვდა. ბერნარის წერილიც ამასთან ერთად მომიტანეს. როგორც ჩანს, გოგენს ეს წერილი წაკითხული აქვს და მის ავტორს ყველაფერში ეთანხმება. ბერნარი ისეე ჩამოსელაზე იწერება და ლაეალის, მორეს, ვიღაც უცხო მხატერისა[1] და თაეისი სახელით სურათების გაცელას მთაეაზობს. გარდა ამისა, იტყობინება, ლაეალიც აპირებს ჩამოსელას, ხოლო ის ორი ლაეალის შემდეგ ჩამოეაო. ამაზე კარგს რაღას ეისურეებ, მაგრამ რაკი ლაპარაკი იმაზეა, რამდენიმე მხატვარი რომ ერთად ეიცხოერებთ, პირველ რიგში, ჩვენმა თემმა წესრიგისთვეის აბატი უნდა აირჩიოს. ბუნებრივია, გოგენს აეირჩეეთ. აი, რად მინდა, პირველ რიგში ის ჩამოვიდეს (სხვათა შორის, ვერც ბერსარი და ვერც ლაეალი თებერელამდე ვერ ჩამოველენ, რადგან ბერნარს ჯერ პარიზში არმიაში გასაწვეეი კომისიის გაელა მოუწვევს).

მე პირადად ორი რამ მინდა: რაც დამახარჯე, დაგიბრუნო, ხოლო გოგენს დაეხმარო, რომ წყნარად და მშვიდად ისუნთქოს და იმუშაოს, ისე როგორც, თაეისუფალ მხატვარს შეჰფერის. თუ იმ ფულს დაგიბრუნებ, რასაც შენ უკვე დიდი ხანია, ჩემზე ხარჯავ, ჩვენს საქმეს ფართო გასაქანს მივცემთ და შევქმნით არა დეკადანსის, არამედ ნამდვილი რენესანსის სახელოსნოს. შეგვიძლია, ვირწმუნოთ, რომ გოგენი უკვე სამუდამოდ ჩვენთან დარჩება — ეჭვიც აღარ მეპარება, ეს უსათუოდ ასე მოხდება. ამით, ცხადია, არც ჩვენ და არც მას არაფერი დაგვეშავება, პირიქით, როცა ერთად ვიქნებით, თითოეული ჩვენგანი კიდევ უფრო ჩაეღრმაეღება თაეის სათქმელს. ერთად ყოფნა ჩვენცა და მასაც ძალას შეგვმატებს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, გეტყვი, რომ ჩემს ავტოპორტრეტს გოგენს შისაში არ გაეუცელი, რადგან მისი ავტოპორტრეტი, ალბათ, მართლაც, ძალზე კარგია. მაგრამ აქ ყოფნის პირველი თვის ანდა გზის ფულის ანგარიშში იქნებ დაგვითმოს. აი, ხომ ხედავ, ასე გადაჭრით რომ არ

[1] ე. შვარცი

შეიხედა, ალბათ, დღეს ეს ავტოპორტრეტი არ იქნებოდა. ის კი არა, ავტოპორტრეტი პერსარმაც დახატა.

ეენახის ეტიუდი პირდაპირ სისხლის ფასად დამიჯდა! მაინც დაეხატე. როგორც ყოველთვის, კედლრატული ფორმის ტილოა, ზომით – 30, დეკორაციაა ჩვენი სახლისთვის. მაგრამ ტილო გამოიაფდა.

იცი, რას გეტყვი, გოგენი რომ ჩემთან ჩამოვა, საქმე უკვე სერიოზულად შეტრიალდება – ამით ჩვენთვის ახალი ერა დაიწყება.

სამხრეთის ვაგზალზე[1] მე და შენ რომ ერთიმეორეს დავეშვიდობეთ, უბედური და თითქმის უკვე სნეული ვიყავი; ლოთობას ბევრი არა მიკლდა რა. იმ ზამთარს რაღაც მოუსვენრობა შემეყარა, მეგონა, რომ მხატერებთან და ათასნაირ საინტერესო ხალხთან ქამათში, ეგ არის, უკვე დავიხარჯეთ, საიმედო აღარაფერი დაგერჩა-მეთქი. ახლა კი, როცა მეცა და შენც ამდენი რამ გავაკეთეთ, ამდენი ტანჯვა გადავიტანეთ, ჰორიზონტზე კელაე იმედის შუქი გამოკრთა.

იმსახურებ გუპილთან თუ არ იმსახურებ, სულ ერთია: ამიერიდან გოგენსა და მის მიმდევრებს უკავშირდები. ესე იგი, სურათებით მოვაჯრეებს შორის შენ იქნები ჩვენი საქმის ერთ-ერთი პირველი მოციქული. მე კი მხატერებთან ყოფნა მელის, ფერწერაში მათ სიახლოვეს მუშაობა. შენ შეეცდები, ფული გეიშოვო, სამაგიეროდ, მე ვეცდები, ვისთანაც ხელი მიმიწვდება, წავაქეზო, რაც შეიძლება მეტი იშრომოს და მაგალითს თვითონ მიეცემ. თუ გაეუძლებთ, დიდებულ საქმეს გავაკეთებთ.

სადილის შემდეგ გოგენს და ბერნარს წერილს მიწერ. აეუხსნი, რომ რაც უნდა მოხდეს, საჭიროა, ერთად ვიყოთ, ერთმანეთს მხარში ამოეუდგეთ; ჩემდათავად, ამ კაეშირის მწამს და მჯერა; უფულობას თუ ავაღმყოფობას მხოლოდ ასე თუ ვაჯობებთ. ვიდრე გოგენი ჩამოვიდოდეს, ზოგ რამეს კიდევ ვიყიდიდი, კერძოდ, აი, რას:

ტუალეტის უჯრებიან მაგიდას თეთრეულისთვის	– 40	ფრანკი
4 ზეწარს	– 40	"
3 სახაზაე დაფას	– 12	"
სამზარეულო ქურას	– 60	"
ტილოსა და საღებაეებს	– 200	
ჩარჩოებსა და ქვეჩარჩოებს	– 50	

ეს ყველაფერი ბევრიც არის და თანაც თითქმის არაფერია, უსათუოდ კი საჭიროა. რა თქმა უნდა, უამისოდაც გაძლებდა კაცი, მაგრამ თუ ჩვენი წამოწყების გაფართოება განგეზრახაეს, ხარჯის გაღება კიდევ მოგვიწევს. მაგალითად, თუ 4 ზეწარს კიდევ ვიყიდი – 4 უკვე მაქეს, – ბერნარს საწოლს, ალბათ, იოლად გაეუმართავ. იატაკზე ჩალის ლეიბს გაეშლით და სხეა აღარა დაგეჭირდება რა: ან მე დაეწევები ან ბერნარი, ვისაც მოგეეწონება. სახელოსნოსაც სამზარეულოს ქურა გაათბობს.

ალბათ, მეტყვი, საღებაეებიც ხომ გინდაო! ცხადია, მინდა! მაგრამ რა ექნა, სხვანაირად არ შემიძლია, თუმც გაკიცხეის ღირსი კი ვარ, ამდენს რომ გთხოვ. თაემოყვარეობა მაიძულებს, არაფერი დაეიშურო, ოღონდ ჩემმა ნამუშეერებმა, როცა გოგენი ჩემთან შემოვა, სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს. ამიტომაც, მის ჩამოსელამდე, რაც შეიძლება, მეტი უნდა ეიმუშაო. მისი ჩამოსელა, რა თქმა უნდა, ჩემი ხატეის მანერას

[1] პარიზში.

შეცველის. თაეს ხებას მიეცემ, ეიფიქრო, რომ ამით მხოლოდ მოეიგებ-მეოქი. მაგრამ ჩემი დეკორაცია მაინც არ მინდა, მიეატოეო – თუმცა იგი, შეიძლება, ნათხაპნია და სხეა არაფერი. თანაც ახლა საუცხოო ამისდებია. 10 სურათს ეხატაე. ზომა – 30.

ზემოთ ჩამოთელილ ხარჯებს გოგენის გზის ხარჯებიც დაემატება. იგი უნდა ჩამოეიდეს – თუნდ ჩეენს ჯიბეს ამან ზარალი მიაყენოს, უთუოდ უნდა ჩამოეიდეს. ჩეენ ამ ხარჯებს იმ მიზნით გაეიღებთ, რომ პირეელი წუთებიდანეე გოგენზე კარგი შთაბეჭდილება მოეახდინოთ. მინდა, რომ მაშინეე იგრძნოს – შენ ფულითა და მე კი შრომით, წეალებითა და ეაი-ეაგლახით, მართლაც, ისეთი სახელოსნოს შექმნა შეეძელით, რომელიც მისი მეთაურის – მხატეარ გოგენის საკადრისია.

კორო დომიეს გაჯირეების მოწმე რომ გახდა, დაეხმარა და ისეე ფეხზე წამოაყენა; ისიც ისეე წინ წაეიდა. ჩეენც ასეთსაეე კეთილ საქმეს გაეაკეთებთ. მთაეარია გოგენის ჩამოსელა. ჯერჯერობით სხეას ყეელაფერს მოითმენს კაცი, წარმოიდგინე, საღებაეების უქონლობასაც; თუმც, იმედი მაქეს, ერთ მშეენიერ დღეს საღებაეების მეოხებით იმაზე უფრო მეტს ეიშოეი, ეიდრე ოდესმე საღებაეებით მოეაჯრეთათეის გადაგეიხდია.

რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ მაეიწყდება, გოგენი რომ სურათების გაყიდეისა და გასაღების განსაკუთრებულ უფლებებს მოგცემს. ეს უთუოდ ასე მოხდება. ამ სურათებს კი ფასი უნდა მოეუმატოთ – საჭიროა, თითოეული 500 ფრანკად მაინც შეფასდეს. გოგენს უნდა სჯეროდეს შენი. ასეც იქნება. ეგონებ, ერთობ კარგი საქმე წამოეიწყეთ, რაც სურათებით მოეაჯრეთა საქმიანობას სრულიად არ ჰგავს. აი, ნახე, მე და გოგენი საღებაეებსაც თეითონ გაექნით: ტანგისთან ნაყიდი საღებაეებით მე ხომ ეენახი ისეე დაეხატე. ძალიან კარგიც გამოეიდა. საღებაეის უხეში სტრუქტურა ფერწერისთეის სრულიადაც არ არის ცუდი. თუ მომაეალშიც საქმეს ასე მიეუდგებით – ადამიანურ მხარეს გაეუწეეთ ანგარიშს და არა ნიეთიერს, ალბათ, ჩეენი სახსრების საქმეც ბოლოს როგორმე მოგეარდება: ქარიშხალში ეაქეაცდება ადამიანი. ეტიუდების ჩარჩოებში ჩასმას განეაგრძობ – აეეჯთან ერთად სურათებიც სახლს თაეისებურ იერს აძლეეს.

გოგენი რომ თაეის სურათებს გადმოგაბარებს – ოფიციალურად ისე, როგორც ფირმა გუპილის წარმომადგენელს, ისე კი, როგორც მეგობარს და ადამიანს, რომელსაც იგი ბეერ რამეს უნდა უმადლოდეს, – თეითონაც იგრძნობს, რომ უკეე სახელოსნოს მეთაურია, უფლება აქეს, ფული როგორც სურს, ისე ხარჯოს და ბერნარს, ლაეალს, სხეებსა და სხეებს, სურათებისა და ეტიუდების სამაგიეროდ, შეძლებისდაგეარად ნიეთიერად დაეხმაროს. ეს პირობა, ცხადია, ჩემზედაც გაერცელდება: 100 ფრანკის და შესაბამისი რაოდენობის ტილოსა და საღებაეების სამაგიეროდ ეტიუდებს მეც გაეიღებ. გოგენი რაც ცხადად შეიგნებს, რომ ჩეენ იგი სახელოსნოს მეთაურად ეაღიარეთ, მით უფრო სწრაფად მომჯობინდება, შრომასაც უფრო გულმოდგინედ შეუდგება. ხოლო ჩეენი სახელოსნო რაც უფრო უკეთ მოეწყობა, ჩეენთან რაც მეტი ხალხი ჩამოეა, გოგენსაც მეტი ჩანაფიქრი გაუჩნდება და ამ ჩანაფიქრთა შესრულებაც უფრო მეტად მოუნდება.

პონტ-აეენში ისინი მხოლოდ ამაზეღა ლაპარაკობენ: პარიზშიაც ახლა ამაზე დაიწყება ლაპარაკი. ეიმეორებ, რაც უფრო კარგად მოეაწყობთ ყეელაფერს, ჩეენს საქმეზე მით უკეთესი შთაბეჭდილება შეექმნე-

ბათ და ამიტომ წარმატების შანსიც მეტი გეექსება. მოკლედ, ვსახავთ, რაც მოხდება. ოღონდ, მერე საკამათო რომ არა იყოს რა, წისასწარ ეამბობ: ლაეალს და ბერნარს აქ ჩამოსელა თუ მართლა აქეთ გადაწყეეტილი, სახელოსნოს მეთაურად გოგენი უნდა აეირჩიოთ და არა მე. ხოლო თაეად სახელოსნო როგორ მოეაწყოთ, ამაზე, ცხადია, სულ ადეილად შეეთანხმდებით.

შენს პასუხს პარასკეეს ეელოდები. ბერნარი კელაე იმას იწერება, გოგენი დიდი ხელოეანი, უნეეულო გოხებისა და ხასიათის კაციაო...

ჩემს „ეენახ"ში" ეაზის ლერწები მწეანეც არის, ყეითელიც და მეწამულიც, ყურძნის მტეენები იისფერია, ეაზის ძირები სარისჯისფრად და შავადაა დახატული. პორიზონტზე რამდენიმე ღია მოცისფრო-მოსაცრისფრო ტირიფი მოჩანს; შორს – ყურძნის საწნეხის ძალზე წითელი სახურაეი, ხოლო კიდეე შორს – ქალაქის მუქი იისფერი სილუეტი. ეაზებს შორის წითელქოლგიან მანდილოსანთა და ყურძნის მკრეფაეთა ფიგურებს ეხედაეთ. მკრეფაეებთან ორთეალაც არის. ხოლო ყეელაფერს თაეს დასცქერის ლურჯი ზეცა. წინა პლანზე ნაცრისფერი ქეიშაც მოჩანს. ეს სურათი იმ „ბაღის" ჯუფთია, ოლეანდრები და სფეროსებური ბუჩქი რომ მაქეს დახატული.

ეფიქრობ, დღეს რომ ათი სურათი გამოგიგზაენე, ამას წინათ გამოგზაენილ ყეელა სურათზე მეტად უნდა მოგეწონოს; იმედი მაქეს, შემოდგომის დასასრულამდე ერთი ამდენის გაკეთებას კიდეე მოეასწრებ. ბუნებას დღითიდღე სიმდიდრე და სილამაზე ემატება. როცა ფოთლები მთლად გაყეითლდება – ფოთოლცეენა კი, როგორც ჩეენში, ეტყობა, აქაც ნოემბრის პირეელ რიცხეებამდე არ დაიწყება, – ლურჯი ცის ფონზე აქაურობა, ალბათ, თეალს მოსჭრის ადამიანს. ზიემმა უკეე ბეერჯერ შეძლო, ეს სილამაზე ტილოებზე გადაეტანა. მერე ხანმოკლე ზამთარი მოეა, ხოლო შემდეგ ისეე ბაღების ყეაეილობა უნდა ეიხილოთ.

545. ეს-ეს არის, გოგენისა და ბერნარის ატოპორტრეტები მომიტანეს. მეორე სურათის უკანა პლანზე კედელზე მოჩანს გოგენის პორტრეტი, პირეელზე – პირიქით. გოგენის პორტრეტი ერთობ თეალში მოსახეედრია, მაგრამ ბერნარის პორტრეტს ეამჯობინებ – ჩემი აზრით, ბერნარს სურდა ჭეშმარიტი მხატერის დახატეა, – ასეთია სურათის იდეა. რამდენიმე სადა ფერი, რამდენიმე მუქი ხაზი, სურათი კი ბრწყინეალეა – ნამდეილი მანე. თუმც, გოგენის ნამუშეეარს ოსტატის ხელი უფრო ეტყობა – უფრო გულდინჯად ნაკეთებია. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ატორს თაეი ტუსაღად ჰყაედეს წარმოდგენილი. მხატერის სახეს მხიარულების ნიშანწყალი არ ეტყობა. გეგონება, უხორცოაო – ჩანს, მხატეარი საგანგებოდ შეეცადა, რაღაც ძალზე ნაღელიანი დაეხატა: სახეს, იქ, სადაც ჩრდილები ადგას, თითქმის მრუმე სილურჯე დაჰკრაეს.

როგორც იქნა, იმას ეულირსე, რომ შემიძლია, საკუთარი სამუშეერები ამხანაგების სამუშეერებს შეეადარო. მჯერა, ჩემი ატოპორტრეტი – გოგენს რომ მისი ატოპორტრეტის სამაგიეროდ გაეუგზაენი, – გაუძლებს ასეთ შედარებას. წერილის პასუხად გოგენს მიეწერე, რომ ეინაიდან უფლება მეც მაქეს, პორტრეტზე ჩემი პიროენება გაეაზეიადო, შეეეცადე, საკუთარი თაეი კი არა, საზოგადოდ, იმპრესიონისტი დამეხატა. ეს სურათი ჩაეიფიქრე როგორც ბონზას[1] – მარადიული ბუდას თაყეანისმცემლის – სახე-მეთქი.

[1] ბუდისტთა მოძღეარი.

გოგესის ჩანაფიქრს ჩემსას რომ ვადარებ, ჩემი ასეთ ძსიშესელოვანი, მაგრამ საკლებ უიმედო მესენება. როცა გოგესის პორტრეტს ეუცქერი, პირველ რიგში, იმას ეფიქრობ, ასე არ უნდა გაგრძელდეს-მეთქი, – მას უთუოდ მხნეობა უნდა მოიკრიბოს, კელაე სიცოცხლის მოტრფიალე მხატერად დარჩეს, ისეთ მხატერად, მაშინ რომ იყო, როცა ზანგის ქალებს ხატავდა. მიხარია, რომ ახლა ორი ისეთი პორტრეტი მაქვს, რომელიც ჩემი ამხანაგების დღეანდელ სახეს ასე სწორად წარმოგეიდგენს. მაგრამ ისინი ასეთები არ დარჩებიან: მათში სიცოცხლის სიყვარული უნდა გაღვივდეს. აშკარად ეგრძნობ, რომ ჩვენი საერთო გაჭირვების შემსუბუქება მე მაკისრია და ამისათვის ბევრი რამ უნდა გაეაკეთო. ჩვენი ხელობის თვალსაზრისით, ეს უმნიშვნელო მსხვერპლი იქნება. ეგრძნობ, რომ მილეს ჩემზე მეტად გოგენი ჰგავს, სამაგიეროდ, მე დიახს ვგავარ გოგენზე მეტად და დიახვით შევეცდები, საზოგადოების გული მოვიგო, რათა საერთო საქმისათვის ცოტა მეტი ფული ეიშოვო. ფერწერაზე მე უფრო მეტი დამეხარჯა, ვიდრე იმათ, მაგრამ როცა მათ სურათებს ვათვალიერებ, ეს ჩემთვის უკვე სულ ერთი ხდება: ისინი ისეთ გაჭირვებაში მუშაობდნენ, ვეღარაფერში მოვდაევები.

აი, ნახავ, მე ამაზე უკეთესი და გასაყიდად გამოსადეგი სურათებიც მაქვს, ვიდრე შენთან გამოგზავნილი სურათებია; თანაც ვგრძნობ, რომ შემიძლია, მუშაობა ასე განვაგრძო, რადგან ვიცი: ისეთი მართლაც პოეტური სიუჟეტები, როგორიცაა – „ვარსკვლავიანი ცა“, „ვახები“, „ნახნავი“, „პოეტის ბაღი“ – ზოგიერთებს მოეწონებათ. ამგვარად, ვფიქრობ, ჩვენი ვალია, ცოტაოდენი სიმდიდრე ვიშოვოთ: ჩვენ ხომ ძალზე დიდ მხატერებს უნდა დაევხმაროთ. ახლა, როცა ამ საქმეში შენთან ერთად გოგენიც არის, სანსიესაით ბედნიერი კაცი იქნები. გოგენი ხომ მაინც ჩამოვა, ვიცი, ჩამოვა, დრო კიდევ არის. ჩვენი სახლი უეჭველად შეუფარდება, შეეჩვევა, უკვე საკუთარ სახელოსნოდ მიიჩნევს და მეთაურობაზედაც დაგეთანხმდება. ნახევარი წელიწადი მოვიცადოთ, აბა, ვნახოთ, რა მოხდება.

ბერნარმა კიდევ ათიოდე ნახატი და საკმაოდ თამამი ლექსები გამოგიგზავნა. ყველაფერ ამას ერთი საერთო სათაური აქვს – „სამეძაოში“. რაც მათ ჩემთან გამოგზავნეს, მალე ნახავ: პორტრეტების ცქერით ერთხანს კიდევ დაეტკბები და მერე შენთან გამოვეგზავნი. მოუთმენლად ველი შენს წერილს: ჩარჩოები და ქვეჩარჩოები შევუკვეთე და უფულოდ დავრჩი. იმ ამბავმა, ფრერზე რომ მწერ, გამახარა, მაგრამ ებედავ, ისიც ვიფიქრო, შენც და იმასაც უფრო მეტად რომ მოგეწონებათ, ისეთ სურათებს, ცხადია, კიდევ დავხატავ-მეთქი.

გუშინ საღამოს დაისს ვხატავდი. გოგენს პორტრეტზე დევნილისა და აკადმყოფის ნაწამები გამოხედვა აქვს! მაგრამ ქმარა, ასე დიდხანს არ გაგრძელდება. საინტერესოა ამ პორტრეტის შედარება იმ პორტრეტთან, ნახევარი წლის შემდეგ რომ გააკეთებს. ჩემს დახატულ ავტოპორტრეტსაც, ალბათ, ნახავ. გოგენს ეუგზავნი და, იმედია, შეინახავს. ნაცრისფერი ტონებითაა დახატული, ფონი ღია ეერონეზია (უყვითელფერად): ყავისფერი ქურთუკი მაცვია, ქურთუკის ცისფერ გადანაკეცებს დახედავ და მიხვდები, რომ სიგანე განგებ გავადიდე, გავამძაფრე ყავისფერიც, თითქმის მეწამულ ფერად ვაქციე. ღია ფერის მსხვილი მონასმებით მოდელირებულ თავს ფონი ღია ფერისავე აქვს – ჩრდილები თითქმის არ იგრძნობა. მხოლოდ თვალები დავიხატე იაპონელივით ოდნავ ირიბად.

546. ოქტომბერი. ამჯერად საქმე ეერა მაქვს კარგად ფული ხუთ-შაბათს გამითავდა, დღეს კი უკვე ოთხშაბათია. ამდენი ხანი უფულოდ ყოფნა ძნელი საქმეა. 4 დღეს მხოლოდ 23 ფინჯან ყავასა და პურზე ვიყავი, ისიც სიხიად გამოყართვი. ეს, რა თქმა უნდა, შენი კი არა, ჩემი ბრალია, თუკი ბრალი მიუძღვის ვისმეს: ეერ მოვითმინე, სურათები რომ ჩარჩოებში არ ჩამესვა, იმაზე მეტი ჩარჩოები შეეუკეთე, ვიდრე ჩემი ბიუჯეტის პატრონს შეეფერის; ბინის ქირაც გადავიხადე, მოსამსახურესაც მივეცი ფული. დღეს კი ახალი ხარჯები მელის დამატებით ცოტაოდენი ტილო მჭირდება, რომელსაც მერე თეთრად დავგრუნტავ. აჩქარებით გწერ – პორტრეტს ეხატავ და არ მცალია. ჩემთვის დედაჩემის პორტრეტს ვაკეთებ. მისი უფერული ფოტოგრაფიის დანახვაც კი არ შემიძლია, პოდა, ახლა ზეპირად ვცდილობ ამ პორტრეტის ჰარმონიული ფერებით ხატვას.

547. ამ წერილს ეურთავე გუშინდელსაც. არაფერი გავასწორე, ისე ვგზავნი. ჩემს აზრს გოგენის ავტოპორტრეტზე ეს წერილი გაგაგებინებს. რაღაც პირქუში, მუქი ფერებით დახატული სურათია. ამით იმის თქმა როდი მინდა, გოგენი რაკი ასეთია, არ მომწონს-მეთქი, მაგრამ ის უნდა გამოიცვალოს. პოდა, ჩამოვა. ცხადია, ბრეტანში ჩემზე ნაკლებ ფულს ხარჯავენ, მაგრამ აჯობებს, ოდნავ ძვირი დაგეიჯდეს და აქ ეიცხოვროთ სამივემ ერთად. ეიმეორებ, სხეულის ხატვა პრუსიული ლურჯი ფერით არ შეიძლება, თორემ ხორცი ხორცს კი აღარ ჰგავს, ხეს ემსგავსება. გოგენისთვის უკეთესია, ჩემთან დროზე ჩამოვიდეს. თუმც, ეიმედოვნებ, რომ ბრეტანში დახატული სხვა სურათები კოლორიტით ამ ავტოპორტრეტს ემჯობინება: ეს ხომ საჩქაროდ, სახელდახელოდ დახატული სურათია.

548. ფრთხილად ეიყოთ, არ დაეიეწყოთ, რომ ის ფული, რამდენიმე უნაყოფო წლის მანძილზე თეით ჩვენზე თუ, უპირველესად, სახელოსნოს აყვაეების საქმეზე რომ დაიხარჯა, როგორმე უნდა დაეიბრუნოთ. თუ სიმშეიდეს შეეინარჩუნებთ, ამას შეეძლებთ, მით უმეტეს, რომ უფლება გვაქვს: ჩვენ იგი სიმწრით მოვიპოვეთ...

დედაჩემის პორტრეტს ეხატავ: შავ-თეთრი ფოტო ნერეებს მიშლის. ფერწერისა და ფოტოგრაფიის მეშვეობით ნატურიდან ძალზე კარგი პორტრეტების გაკეთება შეიძლებოდა! იმედს არ ეკარგავ, რომ მოვესწრებით რეეოლუციას პორტრეტის დარგში. შინ მიეწერე, მამაჩემის პორტრეტიც გამომიგზავნეთ: ამ ფოტოდანაც პორტრეტს დავხატავ: ფოტოებს ჩემთან არ გაეაჩერებ. დედაჩემის პორტრეტი (ტილო – ზომით 8) მწვანე ფონზე უნდა დავხატო, კაბა ეცმება ჭიაფერისა. ორიგინალთან მსგავსებაზე ეერაფერს ეიტყეი, მაგრამ მინდა, შთაბეჭდილება ისეთი იყოს, რომ ის ქერაა. ალბათ, სახავ და თუ მოისურვებ, ასლს გაგიკეთებ. ეხატავ ისეე ძველებურად – სქელი მონასმით.

549. გოგენისგან წერილი მოვიდა. ქათინაურებს არ იშურებს. თანაც იმას იწერება, თეის ბოლომდე ეერ ჩამოვალო. ავად ყოფილა. მგზავრობისა ეშინია. რა გაეწყობა! მაგრამ ნუთუ აქ ჩამოსელა აგრერიგად დამქანცველია? აქ ხომ ფილტვებით ავადმყოფიც ბევრი ჩამოდის, ჭლექის ბოლო სტადიაში რომ არიან, ისეთებიც კი. თუმც, ჩამოვიდეს, როცა თეითონ გაუხარდება. და თუ საერთოდ არ ჩამოვა, რა გაეწყობა, მისი საქმეა. მაგრამ ხომ იცის, – არ შეიძლება, არ იცოდეს, რომ აქ ჩამოსელა

სარგებლობის მეტს არას მოუტანს!.. გიგზავნი ასლს მისი ხოტბით სავსე წერილის პასუხისას.* რაკი მალე ვერ ჩამოდის, ამით უნდა ვისარგებლო და აქაურობა მოვაწესრიგო, რათა მზად ვიყო მის დასახვედრად. ახალი, ზომით 30 ტილო დავხატე და ამ საღამოს, როცა გაზის სინათლეებს აანთებენ, ერთსაც დავიწყებ.

550. გონკურების „ძმებ ზემგანოებს" წაიკითხავდი. ეს წიგნი, ალბათ, ასე თუ ისე, თვით აეტორთა ბიოგრაფიას წარმოადგენს. თუკი მართლა წაიკითხე, მაშ, გაიგებ, როგორ ეწუხვარ: ფულის გამო ამდენმა წვალებამ ვაითუ მოგტეხოს, ვაითუ რამე დაგიშავოს. ამ მტანჯველ ფიქრებს თუ არ ჩაეთელით, არასდროს რომ არ მცილდება, ყველაფერი კარგადაა: უკეთ ემუშაობ, ჯანმრთელობის მხრივ უკეთა ვარ. პარიზში უფრო ცუდად ვიყავი. რაც დრო გადის, უფრო ერწმუნდები, როცა კარგად იკვებები, სახელოსნო კარგი გაქვს და საღებაეებიც არ გაკლია, უკეთ მუშაობ. განა ასე დიდად მიღირს, ჩემს ნამუშევარს უკეთესობა დაეტყობა თუ არ დაეტყობა? როგორმე უნდა შეგასმინო, მხატერებს ფულით რომ ამარაგებ, ამით მხატერის საქმეს თვითონვე აკეთებ, ამიტომ ჩემი სურვილია, სურათები ისე დაეხატო, რომ მოგეწონოს... იცოდე, რომ თუ ცუდად ხარ, თუ მეტისმეტად იქანცები ანდა ბეერი საწყენი გხედება, საქმეც ფერხდება. როცა კარგად ხარ, საქმე თავისით მიიწევს წინ. ვისც მაძღრისად ჭამს, ბეერად მეტი ახალი და მნიშვნელოვანი აზრები აქეს, ვიდრე იმას, ვინც ნახევრად მშიერია. თუ ეჯარბებ, თქვი, „გეყოფა-თქო!" თუ არადა, ამას რა სჯობს – მეც ხომ ბეერად უკეთ ვმუშაობ, როცა არ მიჭირს. ოღონდ იმას ნუ იფიქრებ, თითქოს ჩემი სამუშაო ჩვენს საერთო კეთილდღეობას, ჩვენს სულიერ სიმშვიდეს მერჩიოს. როგორც ჩამოვა, გოგენი მყისვე შვებას იგრძნობს, ძალზე სწრაფადაც მოკეთდება. მერე, ალბათ, ის დღეც დადგება, როცა ისევ მოისურვებს და შეძლებს კიდეც, ოჯახს მამობა გაუწიოს. ოჯახი კი აქვს. მეტისმეტად მაინტერესებს, ბრეტანში რა გააკეთა. ბერნარი მის ნამუშევრებს ძალიან აქებს. მაგრამ ჯანსაღი, ხალისიანი სურათები სიცივესა და სიღარიბეში არ იხატება. ეს ძნელი საქმეა, ერთობ ძნელი. ამიტომ, ალბათ, ჭეშმარიტ სამშობლოს, ბოლოს და ბოლოს, იგი უფრო თბილსა და ბედნიერ სამხრეთში პოვებს.

ნეტავ გაჩვენა ეს ვენახები! ზოგი მტევანი კილოგრამს იწონის: წელს საუცხოო ყურძენია, რადგან მთელი შემოდგომა დარები იდგა, თუმც ზაფხული არც ისეთი კარგი იყო... შემოდგომაზე, ალბათ, პარიზიც კარგი იქნება. თვით არლი ძალზე ჩვეულებრივი ქალაქია. ღამღამობით უკუნეთი სიბნელეა. ჩემი აზრით, ყვითლად და ნარინჯისფრად მოციმციმე გაზის სინათლე ღამის სილურჯეს უფრო აღრმავებს. სასაცილოა – მეჩვენება, რომ აქაური ცა უფრო შავია, ვიდრე პარიზის. თუ ოდესმე დაებრუნდები, შეეცდები, სადმე ბულვარში გაზის სინათლის ეფექტი დაეხატო. მარსელში კი ყველაფერი პირიქითაა: ჩვენი აზრით, კანებიერზე უფრო ღამაზი ღამეებია, ვიდრე პარიზში.

ხშირად ვფიქრობ მონტიჩელიზე. იქიდან, რასაც მონტიჩელის სიკვდილზე ყვებიან, დავასკვნი: ის ვერსია, თითქოს იგი ლოთობამ მოკლა ან ალკოჰოლით გამოთაყვანდა, უნდა უარვყოთ: გვახსოვდეს, რომ პარიზე ან კაფეებში ხალხი აქ უფრო დიდხანსაა, ვიდრე ჩვენში, ჩრდილოეთში. აი, ჩემი მეგობარი ფოსტალიონი – დილიდან საღამომდე კაფეშია, ცხადია, სვამს. სულ ასეა, მთელი სიცოცხლე. მაგრამ განა გამოთაყვანდა? სულაც არა. პირიქით, როცა ჰიქა უჭირავს, გულწრფელი და გონი-

ერია. პოლიტიკაზედაც გარიბალდიით ღრმააზროვნად ლაპარაკობს: ამიტომაც, ჩემი რწმენით, ლეგენდა თითქოს მოსტინელი აბსენტის მსხვერპლი გამხდარიყოს, საფუძველს ისეც მოკლებულია, როგორც, ეთქვათ, ასეთი რამ ჩემს შეგობარ ფოსტალიონზე მოუჩმახოთ.

551. ახალი – ზომით კელაე 30 – ტილო დაიწყეს. შემოდგომის ბაღი: ორი მწვანე პირამიდული კეიპაროსი, სარისჯისფერ-სიგარისკვამლისფერ-ფოთლიანი სამი წაბლის ხე, ბაცი ლიმონისფერი მომცრო ურთხელი – ტანი იისფრად რომ იკეთება, ორიც ალისფერ-მწვანული და ჰიაფერი, წითელი ბუჩქი. ცოტაოდენი ქვიშა და ბალახი, ლურჯი ცის საჭერი. დაეფიცე, რომ შეეისეენებდი, მაგრამ ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება: როგორც კი გარეთ ფეხს გამოვდგამ, ირგვლივ ისეთ სილამაზეს დავინახავ, არ შემიძლია, არ დავხატო. ფულს, შენ რომ გზავნი და მეც ამჟამად განსაკუთრებით ხშირად მოვითხოვ, ჩემივე შრომით დაგიბრუნებ – ახლა რომ გზავნი, იმასაც და წინანდელსაც. ოღონდ მაცადე, ვიმუშაო, ვიდრე კიდევ შეიძლება. ეს მომენტი რომ ხელიდან გაეუშვა, უარესია.

ძვირფასო ძმაო, ნეტავ შემეძლოს იმის დახატვა, რასაც აქ ეხედავ! ნეტავი ამას მე და გოგენი ერთად ეხატავდეთ! ნეტავ სერაც ჩვენთან იყოს! ჩემი აზრით, „მენატურე ქალებისა" და „გრანდ-ჟატის" მსგავსი მისი დიდი სურათების შეფასება, სამწუხაროდ, ალბათ, სულ ცოტა, ხუთი ათას ფრანკად მაინც მოგვიწევდა. მაშასადამე, მე და გოგენი სერასთან თუ ვიმუშავებდით, თითოეული ნომინალით ათი ათასი ფრანკის სურათებს გავიღებდით. ეს კი ზუსტად იმ თანხას ემთხვევა, რომელიც დაგისახელე, როცა ვამბობდი, სახლის ფასის ამოსაგებად უსათუოდ საჭიროა 10 ათასი ფრანკის სურათები დავხატო-მეთქი. არა, მაინც სასაცილოა – მამოქმედებს გრძნობა და არა ანგარიში; მაგრამ ბოლოს ხელთ იგივე ციფრი შევრჩება, რომელსაც მაშინ მივიღებდი, სულ სხვა აზრით რომ მემოქმედა. ერთი სიტყვით, სერასთან დაკავშირებულ კომბინაციაზე არათუ ლაპარაკს, ფიქრსაც ვერ ვბედავ. ჯერ გოგენს უნდა დავუახლოვდე, კარგად გავიცნო. ასე იქნება თუ ისე იქნება, მასთან არავინ დაიკარგება. კო, როგორც კი მოახერხო – რაც მალე იქნება, უკეთესია, – შეუკვეთე: 10 მეტრი 2.50 ფრანკიანი ტილო.

შემდეგ – ვერცხლისა და თუთიის თეთრას მსგავსი ტუბებით:

თუთიის თეთრა	– 20	ყველაზე დიდი ტუბი
ვერცხლის თეთრა	– 10	" " "
ყვითელი ქრომი №1	– 10	"
" " №2	– 5	
პრუსიული ლურჯი	– 5	
ნემსიწვერას ლაქი	– 10	საშუალო ტუბი
მწვანე ვერონეზი	– 10	ყველაზე დიდი ტუბი

ფოთოლცვენა უკვე დაიწყო. ხეები ჩემ თვალწინ იცვლიან ფერს. ყვითელი ფერი დღითი დღე ჭარბობს. ეს აყვავებულ ბაღებზე ნაკლებ მშვენიერი არ არის და მუშაობაში არათუ ხელს მიშლის, პირიქით, კიდეც მეხმარება.

552. ბევრი ფული დავხარჯე და ეს ამბავი ძალზე მაშფოთებს, ვინაიდან რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ ფერწერა მეტისმეტად ძვირი ჯდება: თუმც, ამ ხელობას, უმეტესად, ღარიბი ხალხი ეტანება.

მაგრამ ჯერაც უსაშველოდ ლამაზია ეს შემოდგომა! ტარტარენის მშობლიური მიწა-წყალიც მარილაც რომ რაღაც საოცარი ქეფაასაა! აქ ჩამოსულით კმაყოფილი ვარ: ეს დახეუწილი და ზებუნებრივი მხარე არ არის – დომიეს უფრო გაგახსენებს. „ტარტარენს“ ხომ კითხულობ ხოლმე? არ დაგაეიწყდეს, გადაიკითხე. გახსოვს? იქ არის საუცხოოდ დაწერილი ერთი გეერდი – აღწერილია, როგორ ჭრიალებს ტარასკონული დილიჟანსი; და მეც სწორედ ამ წითელი და მწვანე ეტლების დახატვა მინდა, სასტუმროს ეზოში სილამაზით რომ თაეს იწონებენ. ამ სურათებს მალე ნახავ, მანამდე კი, აი, ეს ერთი ჩანახატი – სახელდახელოდ გადმოხატული კომპოზიცია. წინა პლანი ძალზე სადაა – ნაცრისფერი ქეიშაა მხოლოდ; უკანა პლანიც კელავ სადაა – ყეითელი და ეარდისფერი კედლებია დახატული, ფანჯრებზე მწვანე, გისოსიანი დარაბებია, ლურჯი ცაც მოჩანს. ორიეე ეტლი ჭრელია, თეალისმომჭრელი წითელი და მწვანე ფერი; თელები – ყეითელია, ნარინჯისფერი, ცისფერი, შაეი. სურათის ზომა, ჩეეულებრივ, 30-ია. ეს ეტლები დახატულია სქელი მონასმით – მონტიჩელისებურად. ერთ დროს შენ გქონდა კლოდ მონეს ძალზე ლამაზი სურათი – სანაპიროსთან ოთხი ფერადი ნაეი მოჩანდა. პოდა, ჩემი კომპოზიციაც ისეთია, ოღონდ, ნაცელად ნაეებისა, აქ ეტლებია დახატული.

ახლა დიდი, ოდნაე მოლურჯო მწვანე ფიჭეი წარმოიდგინე – ტოტებგაშლილი, ხასხასა მწვანე მდელოსა და შუქჩრდილიან ქეიშაზე მდგარი. ხის ქეეშ შეეეარებულთა ფიგურებია დახატული. ტილოს ზომაა – 30. ერთი სიტყეით, ჩეეულებრივი ბაღის კუთხეა – უკანა პლანზე ფიჭეის შაეი ტოტების ქეეშ ფრანგული სურინჯით დახატული ნემსიწეერას ყეაეილსარით გაცოცხლებული. ამას გარდა, ორი ტილო მაქეს, ზომით ისეე 30: ტრინკეტაილის ხიდი და კიდეე მეორე ხიდი, რომლითაც რკინიგზა ჭუჩას კეეთს. ეს მეორე, კოლორიტით ოდნაე ბოსბოომს გაგახსენებს. ტრინკეტაილის ხიდი და ყეელა მისი მალა დილის უფერულ საათებშია ნაჩეენები: ქეები, ასფალტი, საეალი ნაწილი – ყეელაფერი ნაცრისფერია, ცა – მართალი ლურჯი, გაქუცული ხის ფოთლები ყეითელია, ფიგურები – ნარინჯისფერი. საბოლოოდ, ასე გამოდის: ორი სურათი გაეაკეთე ნაცრისფერი, მქრალი ტონებით, ხოლო ორი – ძალზე კაშკაშა, თეალისმომჭრელი საღებაეებით. უხეირო ჩანახატებს გიგზავნი და მაპატიე – ტარასკონულმა დილიჟანსმა არაქათი გამომაცალა, აღარაფრის თაეი აღარ მაქეს. ახლა წაეალ და ეისადილებ, საღამოს კი ისეე მოგწერ.

დეკორაცია იხატება: ამის შემდეგ, ალბათ, უფრო ღრმად დაეინახაე ყოეელიეეს, ხატეითაც, ალბათ, ასე დაეხატაე. დეკორაცია, ცხადია, კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ ჩემთეის მნიშენელოეანი ერთი რამ არის – სამუშეაერში აღმაფრენა იგრძნობოდეს. ჩეენი კეთილი ტარტარენის მიწა-წყალი დღითი დღე მომწონს – ეგრძნობ, ჩემს მეორე სამშობლოდ უნდა გადაიქცეს, მაგრამ, ცხადია, პოლანდიაც არ მაეიწყდება – სწორედ დიდი კონტრასტის გამო პოლანდიაზე ხშირად ეფიქრობ. წერილს მალე გაეაგრძელებ.

აი, ისეე დაეიწყე წერა. როგორ მინდა, ახლა რომ ეხატაე, იმ სურათისთეის თეალი შეგეეელო. მეტისმეტად დაეიღალე: წერაც კი მიჭირს. ჯობს, დაწერილებით მერე მოგწერო. გეტყეი მხოლოდ, რომ დეკორაციის ჩანაეიქრი ახლა უკეე თეალითაც არის სახილეელი. გუშინწინ გოგენს ისეე მიეწერე: გაეუმეორე, აქ უფრო სწრაფად მოქეთდები და ბეერ კარგ

სურათის დახატვა-შეთქი. გამოკეთებას, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო დასჭირდება. მაგრამ გარწმუნებ, თუ ამჟამად ასე ბევრი, ასე კარგი ჩანაფიქრი მაქვს, ნაწილობრივ იმის ბრალია, მშვენიერად რომ ვიკვებები. ასეთი კვება ყველას სჭირდება, ვისაც კი ხელი ფერწერისთვის მოუკიდია. ვიდრე მხატვარი მოახერხებდეს, ისე იცხოვროს, როგორც უბრალო მუშა ცხოვრობს, ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. დურგალი და მჭედელი ხომ გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე მხატვარი. საჭიროა, ფერმწერთათვის სახელოსნოები ეწყობოდეს, სადაც ყველას შეეძლებოდა რეგულარული მუშაობა. ისე ძალიან მეძინება, უკვე ვერაფერს ვეღარ ეხედავ, თვალები მელულება, ლამის წავიქცე... ამ კვირაში ხუთ სურათზე ვმუშაობდი, ისე რომ, სახლისთვის გასაუთნილი სურათების რაოდენობამ (ზომა — 30) ახლა თხუთმეტს მიაღწია.

2	სურათი	მზესუმზირები
3	"	პოეტის ბაღი
2	"	სხვა ბაღი
1		ღამის კაფე
1		ხიდი ტრინკეტაილში
1		რკინიგზის ხიდი
1		სახლი
1		ტარასკონული დილიჟანსი
1		ვარსკვლავიანი ღამე
1		მოხნული მინდორი
1		ვენახი


553. გოგენი მწერს, თვის ჩემი სურათები და ეტიუდები გაუგზავნეო. კარგი იქნება, თუ დროს როგორმე გამონახავ და დაწერილებით გამაგებინებ, რა გამოგზავნა. გოგენის წერილს დართული ჰქონდა ბერნარის წერილიც, სადაც მატყობინებს, შენგან შეიდი სურათი მივიღეთ და ყველას ჩვენთვის ეიტოვებთო. ბერნარი ხატავს ახალ ეტიუდს, რათა რამეში გამიცვალოს; დანარჩენი სამი მხატვარი — მორე, ლავალი და კიდევ ერთი ახალგაზრდა, იმედია, ავტოპორტრეტებს გამოგზავნიან. ჩემი უკვე გოგენთანაა. ბერნარი კი იწერება, ძალიან მინდა, ასეთივე მეც მქონდესო, — თუმცა, ჩემი ავტოპორტრეტი მას უკვე აქვს — ბებიაშისის პორტრეტში რომ გაუცვალე. იმაზე ვამბობ.

ფიგურის დარგში რაც გავაკეთე, მათ რომ მოსწონთ, ეს ამბავი ძალზე მახარებს. წინა კვირაში იმდენი რამ გადავიტანე, გონზე ჯერაც ვერ მოვსულვარ — მუშაობამ ისე დამქანცა, ძალა არ შემწევს, კიდევ რამეს მოვკიდო ხელი. თანაც მისტრალი დღეს კიდევ უფრო მეტად ბობოქრობს, მტვერი ღრუბლებად ჩამოგვაფარა — ხეები მთლად გადაათეორა. ამის გამო ვეღარაფერი გავაკეთე და 16 საათი გაბმით მეძინა, ამან ოდნავ დამამწყნარა. იმ გიჟური შრომის შემდეგ ხვალ საბოლოოდ გონზე მოვალ. კვირა კი მაინც კარგი იყო — ხუთი სურათი გავაკეთე! და თუ მერე ამომშხამდება, რა გაეწყობა, — ეს საკუთით ბუნებრივია. თანაც, თუ ნელა ვიმუშაებდი, ალბათ, მისტრალი მომისწრებდა და საქმეს ვეღარ მოვათავებდი. როცა კარგი ამინდია, საჭიროა, ისარგებლო — სხვანაირად აქ არაფერი გამოგივა.

ნეტავ, სერა რას აკეთებს? თუ სადმე ნახავ, გადაეცი, რომ ახლა ეხატავ დეკორაციას, რომელიც უკვე თხუთმეტ. ზომით — 30, ტილოს

შეიცავს და დამთავრებამდე კიდევ, სულ ცოტა, 15 ტილოს გაკეთება დაჭირდება. ისიც უთხარი, ამ დიდ შრომაში არცთუ ისე იშვიათად მეხმარება როგორც შენი, ისე იმ დღის გახსენება, სახელოსნოში რომ გაწვეთ და შენი საუცხოო, დიდი სურათები ეიხილე-თქო. მინდა, მქონდეს სურას ერთი რომელიმე აუტოპორტრეტი. გოგენს მიეწერე,* პირველ რიგში იმიტომ ეთქვი, პორტრეტები გაეცვალოთ-მეთქი, რომ მას და ბერნარს ერთმანეთი უკვე ბევრჯერ ჰყავთ დახატული. მაგრამ რაკი ვარაუდი შეშეშალა და გოგენმა აუტოპორტრეტი საგანგებოდ ჩემთვის დახატა, გაცვლა არ მინდა, ვინაიდან იგი ისეთ მნიშვნელოვან ნამუშევრად მიმაჩნია, გასაცვლელად მენანება. ის კი მაძალებს, გამიცვალეო, თანაც ჩემზე ისეთი ქება-დიდებით ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, არ ეიმსახურებ. ამიტომ ქშარა, ამაზე ნუღარას ეიტყვით. გიგზავნი პროვანსზე დაწერილ სტატიას. ჩემი აზრით, ურიგო არ არის. „ფელიბრები“* – კლოვის პიუგი, მისტრალი და კიდევ სხვები – მხატვრულ-ლიტერატურული საზოგადოებაა. პროვანსულად, ხანდახან კი ფრანგულადაც საკმაოდ კარგ, ხოლო ზოგჯერ თითქმის მშვენიერ სონეტებს წერენ. თუ ფელიბრები როდისმე შემამჩნევენ, ჩემთან მოვიწვევ. მირჩევნია, ეს მაშინ მოხდეს, როცა ჩემი დეკორაცია დამთავრდება, მაგრამ პროვანსი რაკი მათზე ნაკლებ არ მიყვარს, ჩემი აზრით, მათ ყურადღებას ეიმსახურებ. თუმც, ამაზე ხმას მხოლოდ მაშინ ამოვიღებ, თუ საკითხი დაისმება, სად ეიმუშაო – აქ თუ მარსელში, სადაც, როგორც უკვე იცი, სიამოვნებით გადავიდოდი, რადგან ეფიქრობ – მარსელელი მხატვრების ვალია, მონტიჩელის საქმე გააგრძონ. ამ მხატვრებთან ურთიერთობის დასამყარებლად ისიც კმარა, თუ რომელიმე აქაური გაზეთისათვის მე და გოგენი სტატიას დაეწერთ.

554. ერთ მომცრო ჩანახატს, როგორც იქნა, უკვე გიგზავნი. მუშაობის მსვლელობაზე მცირეოდენ წარმოდგენას მაინც შეგიქმნის. დღეს ხატვას კვლავ შევუდექი. თვალები ოდნავ ისევ მაწუხებს, მაგრამ ახალი



ჩასაფიქრი გამიჩნდა და, აი, მისი ჩასახატიც. ტილოს ზომა ისევ და ისევ 30-ია. ამჯერად, უბრალოდ, ჩემს საწოლს ეხატავ საწოლ ოთახს. აქ მთავარი კოლორიტია. კოლორიტის გამარტივებით საგნებს თავისებური იერი ეძლევა. ვისც შეხედავს, დასვენება და ძილი უნდა მოაგონდეს, სული უნდა დაუმშვიდდეს, უფრო სწორად, წარმოსახვა დაეწმინდოს.

კედლები ბაცი იისფერია, იატაკი – წითელი ფილაქნის. ჩის საწოლი და ხისავე სკამები – ახლად გამოხდილი ზეთისფით ყვითელი, სეწარი და ბალიშები ძალიან ღია მოლიმონისფრო-მომწვანო ფერისა. საბანი წითელი, უფრო სწორად – ალისფერი, ფანჯარა – მწვანე. პირსაბანი სარინჯისფერი, ტაშტი – ცისფერი. ქარი ლილისფერი.

ამ დარაბებმიხურულ ოთახში ამის მეტი არა არის რა. აეჟი დიდი ზომისაა და ადამიანს სიმშვიდეს აგერის. კედლებზე კიდია პორტრეტები, სარკე, პირსახოცი, ტანსაცმელი. რაკი სურათზე არაფერი თეთრი არ არის, ჩარჩო თეთრი უნდა იყოს.

იძულებითი დასვენება მოითავდა და ამ ტილოთი რეჟანშს აეიღებ. ხვალ მთელ დღეს ამაზე ვიმუშავებ, შენ კი ახლავე შეგიძლია დაინახო, რა მარტივია ჩანაფიქრი. ჩრდილები არ მაქვს, ფერი ბრტყელადაა დაღებული, როგორც იაპონურ გრავიურებზე. „ტარასკონული დილიჟანსისა“ და „ღამის კაფეს“ კონტრასტული სურათია. მოკლედ გწერ, რადგან როგორც ინათებს, უნდა დავჯდე და ეს სურათი დავამთავრო... ალბათ, როგორმე სხვა ოთახების ჩანახატებსაც გამოგიგზავნი.

555. *ოქტომბერი.* ძვირფასო ძმაო, თუ შენ იმას უჩივი, რომ ვერაფერს ეფიქრობ და უკვე ძალა აღარ შემწევს, სასიკეთო რამ გაეკეთოო, მაშ, მე რაღა ვთქვა, მელანქოლიის სულაც აღარ უნდა შემრცხვეს: მე ხომ უშენოდ არაფერი შემიძლია, ამიტომაც, მოდი, მშვიდად გავაბოლოთ, თავს ნუ მოვიკლავთ, სვედა-ნაღველს ნუ მივეცემით მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს საქმეს ძნელად ვერევით, ცალ-ცალკე ვერ დაგვიძლევია და თუ ერთად არ ვიმუშავეთ, ვერაფერს გავხდებით. ცხადია, დგება ისეთი წუთიც, როცა ეფიქრობ, მეც ვაჭრობას დავუბრუნდები, ცოტაოდენ ფულს ვიშოვი-მეთქი. მაგრამ რაკი ჯერჯერობით არაფრის შეცლა არ შეგვიძლია, გარდაუვალს შევურიგდეთ – შენ დღედაღამ მოსაწყენი ვაჭრობისთვის ხარ განწირული, მე კი – მტანჯველი შრომისათვის, მთელი ჩემი ჰკუა-გონება, ჩემი ფიქრი, ჩემი სიცოცხლე ამ საქმეს უნდა მოვახმარო. იმედია, მომაყალ წელს უკვე ცხადად დაინახავ, რომ ჩვენს ნაღვაწში ზოგიერთი რამ ჭეშმარიტად მხატერულია.

ჩემი საწოლი ოთახი თითქოს ნატურმორტია, ამოღებული პარიზული რომანებიდან, რომელთაც ყვითელი, ვარდისფერი და მწვანე ყდები აქვს, თუმც, ფაქტურა, ჩემი აზრით, შედარებით თამამია და უფრო სადა. აქ, გარდა ბრტყელი, პარმონიული ფერებისა, არაფერია – არც პუანტილიზმი, არც შტრიხები. ამის შემდეგ რას დაეხატავ, აღარ ვიცი: თვალები ისევ ისე მტკივა. ასეთ წუთებში, როცა მძიმე სამუშაოს მოვათავებ, მეჩვენება, რომ ეცარიელდები, გონება თითქმის აღარ მუშაობს და, რაც მძიმეა მოთავებული სამუშაო, მით უფრო მეტი სიცარიელე მეუფლება. საკუთარ თავს ნება რომ მივცე, ჯანდაბას იქით გზა ჰქონია, აღარაფერი აღარ მსურს-მეთქი, ვიტყოდი და ჩემს ნამუშევარს, ალბათ, ძია სეზანივით ფუხითაც კი შევდგებოდი. თუმც, რა აზრი აქეს ფუხით შედგომას. თუ არ ვარგა, განა არ ჯობს, უბრალოდ, თავი დავანებო? ხოლო თუ ვარგა – მით უმეტეს. ერთი სიტყვით, მოდი, იმაზე ნუ ვიფიქრებთ, რა

ვარგა და რა არ ვარგა ეს ყოველთვის პირობითია. პოლანდიელებს სწორედ ეს გვჭირს ერთი რამ უეჭველად კარგი გვგონია, მეორე ასევე უეჭველად უვარგისი. თუმც, ცხოვრებაში კარგი და ცუდი ასე მკვეთრად არ იმიჯნება.

ჰო, რიშპენის „სეზარინა" წაიკითხე. ზოგი რამ აქ კარგადაა აღწერილი, მაგალითად, უკან დახევა პირდაპირ იგრძნობ ჯარისკაცების დაღლილობას. ჯარისკაცები არა ვართ, მაგრამ ცხოვრების გზაზე ჩვენც ხომ ზოგჯერ სწორედ ასე მივათრევთ ფეხებს! მამისა და შვილის ჩხუბმა ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ წიგნი მთლიანობაში, ისევე როგორც რიშპენისავე „მახეები", მეტისმეტად უნუგეშოა: მოპასანიც არანაკლებ ნაღვლიან ამბებს, არანაკლებ სევდით საძვე სიუჟეტებს ეძებს ხოლმე, მაგრამ დასასრულს ბევრად უფრო ადამიანურს გამოუშვებნის. აი, იუნდაც „ბატონი პარანი" ან „პიერი და ჟანი". არც აქ არის ბედნიერი დასასრული, მაგრამ ხალხი საკუთარ ხვედრს ეგუება და ცხოვრებას განაგრძობს, სისხლითა და ულმობელი საქციელით არ ამთავრებს ყოველივეს, როგორც რიშპენის გმირები სჩადიან. რიშპენს, უთუოდ, მოპასანი მირჩენია – ის უფრო მეტად გვანუგეშებს. ახლა ვკითხულობ „ეკვნი გრანდეს" ბალზაკისას – ძუნწი გლეხის ამბავია აღწერილი.

პოლანდიელი მხატვრებიდან მოჩარჩოებულ სურათებს არ ეხატავთ, მაგრამ ჩვენს სამუშაოებს იაპონელთა მშვენიერ ფერად გრაფიურებს ხომ ამსგავსებენ. ჰოდა, მოდი, ეს ვიკმაროთ.

556. სამზარეულოსა და სახელოსნოში გაზი გავაყვანინე. 25 ფრანკი დამიჯდა. მაგრამ მე და გოგენი ხომ ამ ფულს ორ კვირაში ამოვიგებთ – თუ საღამოსაც ვიმუშაებთ, – ასე არ არის? თუმც, გოგენი დღეს თუ ხვალ უნდა ჩამოვიდეს, ჰოდა, ამიტომ, ამას გარდა, 50 ფრანკი მაინც უსათუოდ კიდევ მჭირდება.

ჯანმრთელად ვარ, მაგრამ, ალბათ, რაღაც მომიყვა, უკეთესად თუ არ ვიკვებე და ორიოდე დღით ხატვას თავი არ გავანებე. ამჟამად თითქმის სწორედ ისე ვარ, როგორც ემილ ზოტერსის სურათზე შეშლილი ქუგო ვან დერ გუსია დახატული. ორჭოფული ბუნება რომ არა მქონდეს – სანახევროდ მხატვრისა და სანახევროდ მონაზონის, – კარგა ხნის წინვე მეც სწორედ ის მომგიდოდა, ზემოთ ნახსენებ პიროვნებას რომ მოუგდა. ეს დეგენილობის მანია რომ არ იქნებოდა, კარგად ვიცი: აღგზნებული როცა ვარ, იმქვეყნიურ, საუკუნო ცხოვრებაზე უფრო ვფიქრობ. მაგრამ მაინც ჩემი ნერვების დიდი იმედი არ უნდა მქონდეს. ყველაფერ ამას იმიტომ გწერ, რომ არ იფიქრო, თითქოს იმ ორ პოლანდიელ მხატვარს არ ვენდობოდე.

საქმე ის არის, რომ მე მხოლოდ შენი მეორე წერილის შემდეგ თუ შევიძლებდი წარმომედგინა ამ მხატვრების სამუშაოები. კარგი იყო, ფოტოები მაინც მესახა. გულით მინდა, ერთი წერილი საგანგებოდ მათთვის მოგწერო – წაუკითხველი, ერთხელ კიდევ აუხსნიდი, თუ რატომ ვფიქრობ, რომ სამხრეთი თანამედროვეე, ამავე დროს, მომავლის მხატვრობის გასაღებია. იმასაც ეტყოდი, იმპრესიონიზმში მხოლოდ სკოლა კი არ არის, ოპტიკური გამოცდილებით რომ კმაყოფილდება, ეს არის მთელი მიმართულება ხელოვნებაში, რაღაც დიადის შექმნა რომ სურსო. და თუ ეს ორი პოლანდიელი ისტორიულ ფერწერას მისდევს ანდა მისდევდა, ხომ არსებობენ უკარგისი ისტორიული ფერმწერები, ეთქვათ, დელაროშში ასდა დელორი, მაგრამ არიას მართლა კარგებიც – დელაკრუა და

მეისონიე. რაკი მისდა, რომ დღეს მაისც არ ვიმუშაო, ალბათ, შენც და იმ ორ მხატვარსაც ერთად მოგწერთ დასკვნებაც გამომეა. ხომ იცი, როგორ მაინტერესებს იმპრესიონისტთა გაელერის საკითხი პოლანდიელ მხატვრებზე და, საერთოდ, ფერწერის მოცვარულებზე

აი, ჩემი ახალი სურათის მიახლოებითი ჩანახატი მწკრივი მწვანე კვიპაროსებისა, ვარდისფერი ცა, ბაცი ლიმონისფერი სამგალა მოკარე. წინა პლანზე ქვიშაა მხოლოდ, სარშაებიც. მოჩანს ორი შეყვარებული: ბაცი ცისფერით დახატულ კაცს თავზე ყვითელი ქუდი ხურავს, ქალს ვარდისფერი კორსაჟი და შავი ქვედა კაბა აცვია. ეს მეოთხე სურათია სერიიდან, რომელსაც „პოეტის ბაღი" ეწოდე და გოგენის ოთახს ამშვენებს...

რაც დავიწყე, ყველაფერი, როგორც შეეძელი, დავამთავრე საოცრად მინდა, გოგენს ახალი რამე ვაჩვენო და, ეიღრე ჩემზე ზეგავლენას მოახდენდეს (რადგან ვიცი, ცოტად თუ ბევრად ეს უთუოდ ასე მოხდება), დავარწმუნო, რომ ჩემი სახით საქმე აქვს თავისებურ და ორიგინალურ შემოქმედთან. იმედია, რომ ეს ჩემი დეკორაცია, იმ სახით, როგორიც ამჟამადაა, სწორედ ამას ადასტურებს.

557. *20 ოქტომბერი.* როგორც ჩემი დებეშიდანაც გაიგებდი, გოგენი საკმაოდ ჯანმრთელი და საღ-სალამათი ჩამოვიდა. ეგონებ, ჩემზე უკეთაცაა. რა თქმა უნდა, სურათები რომ გაუყიდე, ამით ძალზე კმაყოფილია. არც მე ვარ ნაკლებ კმაყოფილი: სახელოსნოს მოსაწყობი აუცილებელი ხარჯები მაინც ახლა მთლიანად შენს კისერზე არ იქნება. გოგენი უთუოდ დღესვე მოგწერს. მეტისმეტად საინტერესო აღმოჩენაა. ეიცი, მე და ის ათას რამეს გაეკეთებთ. აქ ის, ალბათ, ბევრ რამეს შექმნის, იმედია, ასევე – მეც. მაშინ ტეირთი ორსავ კი არა, ალბათ, ბევრად შეგიმცირდება.

შრომა მწადია. ვიდრე წელში გაეწყდებოდე, ვიდრე ძალა მთლიანად არ გამომცლებია, უნდა ეიშრომო. ჩვენი ხარჯები ხომ მხოლოდ შრომით უნდა ამოვიგო. რა ექნა, თუ ჩემი სურათები არ იყიდება?.. ერთხელ თითქოს მომესვენა, რომ ავად ვხდებოდი, მაგრამ გოგენი ჩამოვიდა და გამოვცოცხლდი. ახლა კი მჯერა, ყველაფერი მალე გამოვლის. ორთხან წვსიერი კრება მჭირდება, სხვა არაფერი. შერე კი მალე სურათებსაც გამოვიგზავნი.



გოგენმა, მართლაც, ქარგი ტილო ჩამოიტანა, რომელიც ბერნარს გაღაუცვალა – „ბრეტანელი ქალები მდელოზე": მომწვანო-თეთრი, მომწვანო-შავი – სადაც წითელი ფერიც იგრძნობა და სხვულების შქრალი ტონებიც. ერთი სიტყვით, ყველა

ჩვენსგანი მხოლოდ ერთ რამეს საჭიროებს – მეტ მხნეობას. დადგება დღე და ჩემს სურათებსაც უსათუოდ იყიდიან, მაგრამ ეს არის, ძალზე ჩამოგრჩი – მხოლოდ ეხარჯავ, ფულს კი ვერა და ვერ ეშოულობ. ამაზე ფიქრი ზოგჯერ გულზე ლოდივით მაწვება. წერას ვამთავრებ, რადგან ვჭკარობ: ახალი სურათის სახატავად უნდა წაველე (ზომა ისევ 30). დღეს უთუოდ გოგენსაც მოგწერს. მის წერილსაც ამასთან ერთად გამოგზავნი. ბუნებრივია, წინასწარ თქმა გამიჭირდება, ამ მხარესა და ჩვენს აქაურ ცხოვრებაზე რას იტყვის, მაგრამ სურათები რომ გაუყიდე, ამით ძალზე კმაყოფილია.

558. *22 ოქტომბერი.* გწერდი, ავადმყოფობას ჯერჯერობით არ ვაპირებ, კარგად ვარ-მეთქი, მაგრამ იცოდე, უთუოდ ავად გავხდებოდი, კვლავ ხარჯების გაღება რომ დამჭირვებოდა. საშინლად ვწუხდი, ვაითუ თეო მეტისმეტად წვალობს-მეთქი. ერთი მხრივ, ჩემს თავს ვეუბნებოდი, ახლა ისღა დამრჩენია, რაც დავიწყე, მალე ბოლომდე მივიყვანო, უამისოდ გოგენი ჩვენთან არ ისურვებს ყოფნას-მეთქი, მეორე მხრივ კი – საკუთარი გამოცდილებით გეცოდინება, – ახალ ადგილზე მოწყობას და ავეჯის ყიდვას იმაზე მეტი დაეიდარაბა სჭირდება, ვიდრე წინასწარ წარმოიდგენს ადამიანი. ახლა პირდაპირ ამოვისუნთქე – ბედი გვეწია, რაკი გოგენს სურათები გაუყიდე. ასე თუ ისე, ჩვენ – ესე იგი, გოგენს, შენ და მე, – შეგვიძლია, სული მოვითქვათ და დამშვიდებით მოვიფიქროთ, ამის შემდეგ რა უნდა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ.

ნუ გეშინია, ფულზე არც ისე ძალიან ვწუხვარ. გოგენი ხომ ჩამოვიდა – ესე იგი, დროებით მიზანს მივაღწიეთ. ახლა ორნი, ალბათ, იმდენსაც არ დავხარჯავთ, რის დახარჯვაც მარტოს მიწევდა. ენახოთ, მისი სურათები რა ფასებში გაიყიდება. ეფიქრობ, გოგენი მოახერხებს, ცოტა ფული გადაინახოს და მაშინ – ეთქვათ, ერთი წლის შემდეგ, – შესაძლებლობა მიეცემა, მარტინიკაზე გაემგზავროს. ამას კი, ალბათ, ვერ შეძლებდა, თუკი ჩვენთან ჩამოსვლაზე უარს იტყოდა. თვეში ერთ სურათს მისგან მიიღებ, ჩემგან კი – ყველას, რასაც დავხატავ. მე იმდენსვე ვიმუშავებ, რამდენსაც ადრე ემუშაობდი, ოღონდ ძალას ნაკლებს დავხარჯავ და ხარჯებიც ცოტა მექნება. ეფიქრობ, ჩვენი კომბინაცია მომავალშიც გაგვიმართლებს. სახლის საქმე კარგადაა – მალე არათუ მხოლოდ საცხოვრებლად იქნება კარგი, არამედ ნამდვილ მხატვრის სახლად გადაიქცევა. მაშ, ნუ შიშობ ნურც ჩემსა და ნურც შენ გამო...

გოგენი, მართლაც, საოცარია – რაც უნდა მოხდეს, მოთმინებას არ დაკარგავს, დაძაბულად, მაგრამ ძალზე მშვიდად მუშაობს და აქ უთუოდ მარჯვე შემთხვევაც მიეცემა, რათა უცებ საქმაოდ წინ წაიწიოს. დასვენებას ჩემზე ნაკლებ არ საჭიროებს. მართალია, ამ ფულით, რაც ახლა იშოვა, ბრეტანშიაც დაისვენებდა, მაგრამ ასეთ პირობებში შეუძლია, ისე იცხოვროს – არავის ვალში არ ჩაეარდეს, ამასობაში მისი დროც მოვა. ორიეულ ყოველთვიურად მხოლოდ და მხოლოდ 250 ფრანკი დაგვჭირდება. საღებაეებიც ბევრად იაფი დაგვიჯდება – თვითონვე გაჭკნით. მაშასადამე, ჩვენზე ნუ წუხხარ, გიჯობს, ისევ თავს მიხედო და დაისვენო, შენთვის ეს ძალზე საჭიროა...

ჯერაც არ ვიცი, გოგენი რას ფიქრობს, ჩემს დეკორაციას რა თვალით უყურებს, ვიცი მხოლოდ, რომ ზოგიერთი ეტიუდი – „მზესუმზირები", „მთესველი" და „საწოლი ოთახი" მაინც მოსწონს. თუმც, ჯერ თავადაც კარგად არ ვიცი, მთლიანად რა გამომივიდა – ადრე დახატული

ტილოები ხომ აქ არა მაქვს. გოგენმა არლში ქალი უკვე გამოსახა. შეხარებება, მაგრამ ნემთების პეიზაჟებიც საკმარისია. აქ იმდენი და იმდენსაირი პეიზაჟია! ერთი სიტყვით, საქმე წინ მიდის. იმედი მაქვს, ჩემს ახალ „მოესველს" მოიწონებ. ფაციფუცით გწერ მე და გოგენს ბევრი საქმე გვაქვს, თანაც ვაპირებთ, ეტიუდების სახატაოდ სამეძაოში ხშირად ვიაროთ.

559. *ნოემბერი.* გოგენი ერთობ მოხარულია, შენ რომ მისი ბრეტანიდან გამოგზავნილი სურათები მოგწონებია. ახლა ვენახს და ქალებს ხატავს – სულ სუპირად უნდა დახატოს, თუ შემთხვევით არ გააფუჭებს ანდა სურათს დაუმთავრებელს არ დატოვებს, ლამაზი და ორიგინალური რამ იქნება. ხატავს, აგრეთვე, ღამის კაფეს, მეც რომ დაეხატე, აი, იმას.

ორი ტილო მაქვს გაშხადებული – ფოთოლცვენა; ვფიქრობ, გოგენს მოეწონა; ახლა ვენახის დახატვა მინდა – სულ ყვითელი და მეწამული ფერებით ეხატავ. გარდა ამისა, როგორც იქნა, ჩემ სურათებს არლელი ქალიც მიემატა (ტილოს ზომა – 30) – ფიგურა, რომელიც სულ ერთ საათში მოვათავე: ფონი ბაცია – ლიმონისფერი, სახე თითქმის ნაცრისფერი, კაბა – შავი, მოლურჯო შავი, სუფთა პრუსიული ლურჯი ფერისა. მოდელი ზის ნარინჯისფერ ხის სავარძელში და მწვანე მაგიდას დაყრდნობია...

მე და გოგენი ბევრს ვმუშაობთ და წესარად ვცხოვრობთ. გაეიხარე, როცა გაეიგე, რომ შენც მარტო არ ყოფილხარ. დე ჰაანის ნახატები ძალზე კარგია, მეტყველი და ბევრის მთქმელი, ძალიან მომწონს. დალახვროს ეშმაკმა, მხოლოდ ფერით, უშუქრდილებოდ, მართალი გითხრა, არც ისეთი იოლია ამის მიღწევა! მაგრამ თუკი თავის განსრახვას შეასრულებს და იმპრესიონიზმის სკოლას გაივლის, ამავე დროს, ამ ფერწერულ ექსპერიმენტებს მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიშად ჩათვლის, აი, ნახავ, რას მიაღწევს, ნახატი როგორ შეეცვლება. ჩემი აზრით, შეუძლია, ფარმატების იმედი ჰქონდეს.

მართალია, არცთუ ისე იშვიათად შეგხვედებიან ეგრეთ წოდებული იმპრესიონისტები, ფიგურის ხატვა რომ არ შეუძლიათ, მაგრამ ოდესმე პირველ პლანზე ხომ კელავ ფიგურის ხატვის უნარი წამოიწევს? დე ჰაანი კი ამით, ალბათ, მხოლოდ მოიგებს. დე ჰაანთან და ისააკსონთან ნაცნობობას მოუთმენლად ველოდები. თუ აქ ჩამოველენ, გოგენი ურჩევს: „იავაზე გაემგზავრეთ და იმპრესიონიზმს მიჰყაითო ხელიო", – მას ხომ მუდამ ცხელ ქვეყნებში მიუწვეს გული, თუმც დაძაბული მუშაობა არც აქ აკლია. რა თქმა უნდა, ვინც იავაზე, ეთქვათ, კოლორიტზე სამუშაოდ გაემგზავრება, ახალს ძალიან ბევრ რამეს ნახავს. გარდა ამისა, ისეთ ქვეყნებში, სადაც მეტი სინათლეა, სადაც მზე უფრო ძლიერ აცხუნებს, თვით ჩრდილიც და საგანთა და ფიგურათა ჩრდილებიც ხომ სულ სხვაგვარია, ვიდრე ჩვენთან – ჩრდილოეთში: ისეა ფერით გაჯერებული, გამკრთალება მოგინდება. ასეთ ცდუნებას თვით არლშიც კი ვერ გაექცევი. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, დე ჰაანი და ისააკსონი უსათუოდ ტროპიკებში წაიდნენ და იქ ხატონ-მეთქი, მაგრამ მჯერა, ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას ისინი ხელად მიხვდებიან. აქ ჩამოსვლა კი არაფერს აუნებთ: საინტერესოს აქ ძალიან ბევრს ნახავენ.

მე და გოგენი დღეს შინ ვისადილობთ. სხვა დროსაც, როცა საჭიროდ ჩავთვლით, შეგვიძლია, ასე მოვიქცეთ. დღეისთვის კმარა, თორემ წერი-

ლებს დაეგდოთ. იმედი მაქვს, მალე მოგწერ. ფულის ამბავი ჩისებულად მოგიწყვია.

ეფიქრობ, ჩემი „ფოთოლცეცენა“ მოგეწონება. ალეის ხეების იისფერ ტანს ჩარჩო სწორედ იმ ადგილზე ქმნიდა, საიდანაც ფოთლები იწყებოდა. ეს ხეები სეტებიეით ჩასდგეს ხეივანს, ორიეე მხარეს რომაული მოცისფრო თუ მოიისფრო აკლდამები რომ წამოძართულა. ყეითელი და ნარინჯისფერი სქელი ხალიჩა მიწას უკვე დაჩენია, მაგრამ ფოთლები ფიფქებიეით ცეიეა და ცეიეა. ხეივანში შეეეარებულთა შაე ფიგურებს დაინახავ. ზედა საწილი სურათისა მუქ მწვანე მდელოს უკავია. ცა კი არ ჩანს, თითქმის არ ჩანს. მეორე სურათზედაც ისეე იგივე ხეივანია, მაგრამ ნაცელად შეეეარებულთა, ბერიკაცი და სქელი, ბურთიეით მრგეალი ქალია დახატული.

რატომ კეირას აქ არ იყავი! მთლად წითელი ეენახი ენახეთ მართლაც, წითელი, როგორც ღეინო. შორიდან იგი ყეითელი ჩანდა, მწვანე ზეცა დაჟეურებდა, ნაწეიმარზე ირგელეიე მიწა იისფერი გეგონებოდა, ხოლო აქა-იქ მზის ათინათი ყეითლად კრთოდა.

560. *ნოემბერი.* მთელ დღეებს გაბმით ეშრომობთ, შრომის მეტი არა გვახსოეს რა, საღამოობით ისე ეართ ხოლმე გატანჯულები, კაჟეში წაეალთ, ხოლო შემდეგ დასაძინებლად ადრე ეწეებით. სულ ეს არის ჩეენი ცხოერება. ახლა აქაც, რა თქმა უნდა, საშთარია, თუმც ხანდახან ისეე მზეა. ზეპირად ხატეა ცუდი სულაც არ ყოფილა – შეგიძლია, გარეთ არც კი გამოხეიდე, ისე ხატო. როცა სიცხეა, გარეთ ხატეა სულაც არ მიჭირს, აბანოსაეით სულისშემხუთაე სიცხესაც კი კარგად ეუძლებ, სიციეის ატანა კი, როგორც იცი, არ შემიძლია. მართალია, ნიუენენის ბაღი, რომელიც ზეპირად დაეხატე, ეერ არის კარგი – ასეთ ხატეასაც, როგორც ჩანს, უნდა შეეჩეიო, სამაგიეროდ, მთელი ოჯახის პორტრეტები გაეაკეთე – ადრე რომ ფოსტალიონის თაეი დაეხატე, სწორედ მისი ოჯახის წეერთა – ცოლის, ქმრის, ბიჭუნას, ბიჭის, უფროსი ეაჟის 16 წლის ემაწეილის – პორტრეტები. თაეისებური, ნამდეილი ურანგული გარეგნობა აქეთ, თუმც, სულ ოდნაე რუსებსაც ჰგეანან. ტილოების ზომა 15-ია.



როგორც ხედაე, ჩემს

სტიქიაში ეიმეოფეები და ეს ერთგვარად ჩემს სისასულს რატომ ექიმი არ გაეხდი-მეთქი, ითითქოს ასეულებს. იმედი მაქვს, ამ სამუშაოს მომავალშიც გაეაგრძელებს, თანაც უფრო სერიოზულ მოდელებს ვნახავ – ვისთანაც ანგარიშს პორტრეტებით გაეასწორებ. ხოლო თუ შეეძლებს, ეს ოჯახი კიდევ უფრო უკეთ დავხატო, მართლაც, ჩემი გემოვნების სურათები გამომიცა – ძალზე ჩემი, პირადული. ახლა ყველამდე ჩაფლული ვარ ეტიუდებში – სულ ერთთავად ეტიუდები, მეტი, საერთოდ, არა მახსოვს რა. ირგელიე კი გულის შემაღონებელ უწესრიგობას ბოლო არ უჩანს, სამაგიეროდ, ორმოცი წელი რომ მომიკაკუნებს, იმ მომენტისთვის ეტიუდების სახით, ალბათ, მთელი ქონება დამიგროვდება.

ზოგიერთი ჩემი ტილო ზოგჯერ, მართლაც, კარგ სურათად იქცევა ხოლმე – თუნდაც „მოესეული". ჩემი აზრით, იგი ახლა უკეთესი გამოვიდა, ვიდრე პირველად. თუ გაეუძლებთ, გამარჯვებას ჩვენც ველირსებით, თუმც ლაპარაკით ხალხი ჩვენზე მაშინაც არ ილაპარაკებს. მაგრამ რა ეუყოთ, შეგვიძლია, ეს ანდაზა გაეიხსენოთ: „რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო როდია". ერთი სიტყვით, რაკი ასეთი ბრძოლა მოგვიწევს, საჭიროა, ძალაც შეეიდად მოეიკრიბოთ...

გოგენი ძალზე ბევრს მუშაობს. განსაკუთრებით მისი ერთი ნატურმორტი მოგვწონება. ამ ნატურმორტის ორიეე პლანი – წინაც, უკანაც – ყვითელია. ამჟამად ჩემს პორტრეტს ხატავს, რომელიც, ალბათ, სხვა სურათებზე უარესი არ გამოუვა. ხატავს, აგრეთვე, პეიზაჟებსაც და ბოლოს, სურათს – „მრეცხავ ქალებს", რომელიც საუცხოო ნამუშევრად მიმაჩნია.



50 ფრანკის სანაცვლოდ, გოგენისთვის ბრეტანში რომ გაგიგზავნია, ბერნარის დედას კი უცერემონიოდ ჩაუჯიბავს, გოგენი ორ ნახატს გამოგიგზავნის. ბერნარის სახლში სულ ასეთი ამბები ხდება. თუმც, ჩემი აზრით, დედამისი ამ ფულს მაინც დააბრუნებს. ეფიქრობ, ბერნარს შეეენიერი სურათები აქვს და პარიზში დამსახურებულ წარმატებასაც მოიპოვებს. საინტერესოა, შატრიანს რომ შეხვედრიხარ. ქერაა თუ შავგვრემანი? მისი ორი პორტრეტი ესახე და ამიტომ გეკითხები. ყველაზე მეტად მისი „ქალბატონი ტერეზა" და „მეგობარი ფრიცი" მიყვარს. „სკოლის მასწავლებლის ამბავი" კი ამჟამად ბევრად სუსტი მგონია, ვიდრე ოდესმე.

ეფიქრობ, ბოლოს იქამდე მივალთ, საღამოებს სულ ხატვაში გავატარებთ: გასაკეთებელი ხომ ბევრად მეტია, ვიდრე საამისო ძალ-ღონე შეგვეეს. როგორც შენთვის ცნობილია, „ოცთა ჯგუფმა" გოგენს მისი სურათების გამოფენა შესთავაზა და ბრიუსელში გადასვლას ფიქრობს, რაც, ცხადია, თავის დანიელ ცოლთან შეხვედრას გაუადვილებს. თუმც, ჯერ-



ჯერობით არცერ ქალებს ძალიან მოსწონთ და ამას, ეგონებ, გარკვეული შედეგებიც უნდა მოჰყვეს. ცოლიანია, მაგრამ ცოლიანს სრულიად არ ჰგავს. გოგესი და მისი ცოლი, ჩემი აზრით, განსხვავებული ხასიათისანი უნდა იყვნენ. თუმც, მოიაქარი გოგესისთვის, რა თქმა უნდა, ცოლი კი არა, ბავშვები არიან. ხოლო პორტრეტებს თუ დაეუჯერებთ, მართლაც, ლამაზი ბავშვები ჰყავს. ამ საქმეებისა, აბა, მე და შენ რა გაგვეგება!

561. ბ-ნ ლიუჟარდენისგან წერილი მივიღე. სურს, თავის ბნელ სოროში ჩემი სურათები გამოფინოს. პირდაპირ სიზღს მგერის იმაზე ფიქრი, ამ გამოფენის საგაღეიხადო. ამის გამო შემიძლია, ამ სუბიექტს მხოლოდ ერთი რამ ეუპასუხო. დიახ, ერთი – და ეს პასუხიც ამ წერილს ერთვის. შენ გიგზავნი და არა მას, რათა ჩემი აზრი იცოდე. მას კი, უბრალოდ, გადაეცი, ეინსენტის გეგმები შეიცვალა და სურათების გამოფენის ოდნავი სურვილიც აღარა აქვს-თქო. მაგ რეგენთან ხსუბი არ ღირს, ამიტომ გეიჯობს, ზრდილობის წესები ისე დაეიცვათ, მისი ეალი არ დაეიდოთ. ესე იგი, „რეეიუ ინდეპენდანტე“ში“ სურათების გამოფენაზე უარს ვამბობ. ეგონებ, გოგენიც ამ აზრისაა.

ჩემი სურათები თითქმის არასდროს გამოფენილა, თუ იმ ორიოდ ტილოს არ ჩავთელით, ტანგის რომ აქეს და კიდევ ტომას და მარტენს. ასეთი გამოფენები უსარგებლოა. ჩემი აზრით, ბეერად უფრო ჭკეიანურად მოეიქცეეით, თუ ეტიუდებს, რომლებიც მოგწონს, სულაც შენთეის დაიტოვებ, დანარჩენებს კი აახლევ და ისევ უკან გამოიგზავნი: შენი ბინა პატარაა და ყველაფერი შენთან რომ დარჩეს, შინ ეელარც კი მოტრიალდები. მე კი ნელ-ნელა სურათებს უფრო სერიოზული გამოფენისთვის მოეამზადებ. ხოლო „რეეიუ ინდეპენდანტეს“, მოდი, თავი დაანებე – ხომ ხედავ, შემთხვევა მოგეცა კიდეც. მაგ ეაჟბატონებს, ალბათ, ჰგონიათ, რაკი მაგ ბნელ და ეიწრო სოროში, მაგ ინტრიგების საბუდარში ჩემს სურათებს გამოაფენენ, მეც რამეს მიეცემ.


იმ რამდენიმე სურათის ბედი ტანგისთან და ტომასთან რომ ინახება, სულ არ მაწუხებს; ღმერთმანი, ამაზე სიტყვის თქმაც არ ღირს. იცოდე, რომ იმ სურათებს არაფერად არ ეთელი. ნამუშეერები საკმაოდ რომ მომიგროვდება, უკვე ეიცი, რასაც ეიზამ. ჯერჯერობით კი ეხატავ და

ეხატაე. ეიცი, უთუოდ გაგიხარდება გოგესმა „ციურძსის მკრეუაეი ქალები" მოათაეა. არ გეგოსოს, ეს სურათი „სანგის ქალებზე" საკლები იყოს. თუ ამაშიც იმდენს მისცემ, რაც „სანგის ქალებში" გადაუხადე (თუ არ ეცდები 400 ფრანკი), კარგი იქნება: მაგრამ, ცხადია, რაც გოგენს აქეს, ყველაფერი უსდა სახო და რაც გისდა, ის აირჩიო. მე ხომ მისი ბრეტანული სურათები ჯერ არ მისახაეს. სოგიერთები ამიწერა და, ეგოსებ, კარგები უსდა იყოს.

სამეძაოს ჩანახატი გაეაკეთე და მთელი სურათის დახატეას ეაპირებ... ეენახის ხატეაც დაეამთაერე. მთლად წითელი და ეეითელია, ეიგურებია ცისფერი და იისფერი, მზეც ეეითელია. შეგიძლია, მოსტიჩელის პეიზაჟის გეერდით დაკიდო ახლა ნეპირად ხშირად უსდა ეხატო: ნეპირად ნახატი სურათები არც ისეთი ტლანქი გამოდის, თითქოს უფრო მხატერულიც არის, ეიღრე საერთოდ. ნატურიდან დახატული ეტიუდები, განსაკუთრებით თუ მაშინ ხატაე, როცა მისტრალი დათარეშობს.

მილიე რომ აფრიკაში გაემგზაერა, მგონი, არ მითქვამს; რაკი პარიზში სურათები წამოიღო, ერთი ეტიუდი ეუსახსოერე. გოგენსაც „ქალბატონ ქრიზანთემას" ილუსტრირებული გამოცემის სამაგიეროდ ერთი პატარა ჩანახატი გაატანა. ეტიუდების სამაგიეროდ პონტ-აევენიდან ჯერ არაფერი მიმიღია, მაგრამ გოგენი ირწმუნება, სურათები მზად არისო.

წეიმიანი დღეებია, ქარიცა ქრის და ძალზე მიხარია, მარტო რომ არ ეარ. ცუდ ამინდში ნეპირად მაინც ეახერხებ ხატეას. მარტო რომ ეიყო, ამასაც ეერ მოეახერხებდი. გოგენსაც თაეისი „ღამის კაფე" თითქმის უკეე დაამთაერა. იგი ერთობ საინტერესო კომპანიონად მეჩეენება. მარტო ის რად ღირს, საჭმელს რომ ასე კარგად ამზადებს. იმედია, მეც ეისწაელი – ეს კი ჩეენთეის ხელსაყრელია. ჩარჩოებსაც ჩეენეე ეაკეთებთ: ქეეჩარჩოებზე, უბრალოდ, თამასებს ეაჭედებთ და მერე ეღებაეთ. ეს პირეელად მე გაეაკეთე. თუ იცი, რომ თეთრი ჩარჩოები, შეიძლება ითქეას, გოგენის გამოგონებაა? ქეეჩარჩოებზე ოთხი თამასის მიჭედებით გაკეთებული ასეთი ჩარჩო სულ ხუთი სუ ღირს, ჩეენ კი ამ ჩარჩოს, რა თქმა უნდა, გავაუმჯობესებთ. ასეთი ჩარჩო კარგი რამაა – შეერილები არა აქეს და და ტილოს თითქმის მთლიანად ერწყმის.



562. რა თქმა უნდა, გაგიხარდება – იეტ მაუეესგან წერილი მიეიღე. სურათის გამო მადლობას გეიხდის. კარგ წერილსაც იწერება. ბეერ რაიეს იხსენებს. დაუყოენებლიე დაეწერ პასუხს და რამდენიმე ჩანახატსაც გაეუგზაენი. ეიცი, ისიც გაგიხარდება, რომ ჩეენს მხატეართა პორ-

ტრეტების კოლექციას ლაეალის ერთი შეტისმეტად კარგი პორტრეტი შეემატა.

ჩემი ტილოების სასაცილოდ კი ბერნარდის მარისა გამოგზავნა. ლაეალის პორტრეტი ძალზე თამამი, ამაყი დროს, ნატიფი და დახვეწილია, ეს ისეთი სურათია, შენი თქმის არ იყოს, მანამდე რომ იყიდება, ვიდრე აუტორის სიჭაბუკეს აღიარებენ. ეფიქრობ, ძალზე კარგი გიქნია, ლიუსის სურათი რომ შეგიძენია, აუტოპორტრეტიც ხომ არ გეყნება? განსაკუთრებით საინტერესო თუკი შეტი არაფერი გაქეს, იმ შემთხვევაში გეუბნები: აუტოპორტრეტები ხომ მუდამ კარგია.

გოგენი ფრიად ორიგინალურ სურათზე მუშაობს – შიშველ ქალს ხატავს თითის გროვაზე, ირგვლივ კი – ღორებს. სურათი, ეფიქრობ, ლამაზი და თავისებური სტილის უნდა გამოვიდეს. პარიზიდან ვერთხისთავეებიანი საუცხოო ქოთანი გამოიწერა. გოგენი დიდი მხატვარი და ჩინებული მეგობარია.

თუ ბერნარდისგან რაიმე კარგი სურათის ყიდვის შესაძლებლობა მოგეცემა, უთუოდ იყიდე. გოგენს მისი ერთი საუცხოო სურათი აქეს.

ახლა ორ სურათს ეუკირკიტებ. პირველი ეტენის გახსენებაა: ჩვენი ბაღი, კომბოსტოს თავები, კეიპაროსები, გეორგინები, ადამიანთა ფიგურები. მეორე კი – რომანების მოყვარული მწვანეკაბიანი მანდილოსანი. გოგენი მირჩევს, ფანტაზიას გასაქანი მივეცი: რაც ფანტაზიით იქმნება, კაცს ყოველთვის უფრო იდუმალი ეჩვენება...

მიხარია, იეტ მაუეემ წერილი რომ მოიწერა. თავს ნებას ვაძლევ, ვიფიქრო, რომ პოლანდიაში იმპრესიონიზმს თანდათანობით გაიგებენ.

563. *დეკემბერი.* გოგენის სურათი – „ბრეტანელი გოგონები" – ჩამოვიდა. გოგენმა იგი გადააკეთა, დაამუშავა. მშვენიერიც გამოვიდა. თუმც ეს სურათი ძალიან მიყვარს, მაგრამ მაინც მიხარია, რომ გაიყიდა: ორი სურათი, რომლებსაც ახლა გამოგიგზავნის, კიდევ უფრო უკეთესია. ეგულისხმობ „ყურძნის მკრეფავ ქალებს" და „ქალსა და ღორებს". ეს იმიტომ, რომ გოგენი თავის ავადმყოფობას – ღვიძლისა თუ კუჭის ტკივილს, რამაც ბოლო დროს ძალზე გატანჯა, – თანდათან უკვე მოერია.

ჩემი პატარა ვარდისფერი ატმის ხე რომ ჩარჩოში გინდა მოათავსო და, როგორც ეტყობა, იმ სუბიექტებს[1] გაუგზავნო, ამის გამო გწერ. მინდა, ჩემი პოზიცია შენთვის ცხადი და ნათელი იყოს: პირველ რიგში კი, აი, რას გეტყვი: თუ გსურს, ჩემი რომელიმე ნამუშევარი – კარგი თუ ცუდი, სულ ერთია, – მათ გაუგზავნო, ახლაც და მერეც შეგიძლია, როგორც გინდა, ისე მოიქეც. მაგრამ თუ ეს ჩემ სასარგებლოდ ანდა ჩემდა სასიამოვნოდ განგიზრახავს, იცოდე, ცდები. სიამოვნებას მხოლოდ ის მომანიჭებს – ჩემ სურათთაგან რომლებიც გიყვარს, თუ ჯერჯერობით არ გაყიდი და შენთვის დაიტოვებ. დანარჩენები, ბინა რომ მთლად არ გაგეჭედოს, ისევ უკან გამომიგზავნე, რადგან ყველაფერს, რაც ნატურიდან დამიხატავს, ჩემთვის ახლა მხოლოდ ცეცხლიდან გამოხრეკილი წაბლების ფასი აქვს.

როგორც თავის, ისე, ჩემდა შეუმჩნეველად, გოგენმა უკვე დაამტკიცა, რომ მართლაც დროა, ხატვის მასწრა ოდნავ შეეცვალო. კომპოზიციის ზეპირად შედგენას უკვე ეიწყებ, ამ საქმეში კი ეტიუდები უსათუოდ გამომადგება – შეეხედავ და აღრე ნახახს გაეიხსენებ. ამიტომაც, ჩემი აზრით, გაყიდვა არ ღირს, მით უმეტეს, რომ უკლი უკვე ისე არ გვი-

[1] ბუსო, ვალადონი და კ°.


ჭირს... გჯეროდეს, რომ იმპრესიონისტთა სურათებით მოეაჯრედ გათელი, გუპილთან რომ საქმე არა აქვს, ისეთ მოეაჯრედ, ვისაც მხატვრებს სია-მოვნებით შეეახვედრება. მაგრამ ბუსოს შესაძლებლობა არ უსდა ქვის-დეს, ჩემზე ასე თქვას: „აი, ამ სურათს დამწყები მხატვრის ქვალობაზე არა უშავსო!“ არა, მე მათთან არ დავბრუნდები. ხურჩულითა და ქარაგ-მებით მათთას ლაპარაკს მირჩევნია, ერთი სურათიც არ იყიდოს. რაკი მაგ ხალხთან პირდაპირობა არ შეიძლება, ურთიერთობის აღდგენა არ ღირს. რაც მეტ სიმტკიცეს გამოვიჩენთ, მით უფრო მალე გესტუმრებიან, რათა ჩემი სურათები ინახულონ... თუ გაეუძლებთ, მეც როგორმე გამი-თენდება. ჯერჯერობით კი მხოლოდ შრომა დამრჩენია.

ძალიან ეწუხვარ, ვერაფერს რომ ვერ გიგზავნი, როცა გოგენი უკვე გიგზავნის, ჩემი ოთახის კედლები კი სურათებით მოიფინა. გოგენმა მითხრა, საჭიროა ხანგამოშვებით სურათების ჩამორეცხვა, სედმეტი ცხიმი ტილოს უნდა მოშორდესო. ესე იგი, სურათების დამუშავება და შესწო-რება დამჭირდება. ახლაევე რომ გამოვგზავნო, კოლორიტი-ბევრად უფრო მკრქალი იქნება, ვიდრე მერე, დრო რომ გაიელის. რაც გამოვგზავნე, საერთო აზრით, ნაჩქარევია, მე ამაზე ვერაფერს ვიტყვი. სურათებში შესწორებებიც ამიტომ შემაქვს. ჩემთვის ბევრს ნიშნავს ასეთ ჭკვიან მეგობართან ერთად ყოფნა, იმის ყურება, როგორ ხატავს და როგორ მუშაობს.

აი, ნახავ, გოგენს, ალბათ, საყვედურებსაც დაუწყებენ, იმპრესიონის-ტი აღარა ხარო. მისი ორი ბოლო სურათი, როგორც თავადაც დარწმუნ-დები, დახატულია ძალზე სქელი მონასმებით, აღგილ-ადგილ ფითხსაც იყენებს. თანაც ესენი უფრო უხეში სურათებია მის ზოგიერთ ბრეტანულ ნამუშევრებთან შედარებით.

ჩვენ და გოგენი, ვიცი, მუდამ მეგობრები და ერთი საქმისთვის მებრ-ძოლნი ვიქნებით. ტროპიკებში რომ სახელოსნოს შექმნა შეძლოს, დიდე-ბული საქმე იქნება. მაგრამ ჩემი ვარაუდით საამისოდ მეტი ფული დას-ჭირდება, ვიდრე აქეს. გიიომენმა წერილი მოსწერა. როგორც ეტყობა, უფულოდ არის. ერთი-ორი კარგი ტილო კი დაუხატავს. ახლა ბაეშვიც შესძენია, მშობიარობის ამბებით კი ისეა შეშინებული, ირწმუნება, ის კოშმარი დღემდე ისევ თვალწინ მიდგასო...

ჩემი ახალი სურათების მიღებამდე თუკი ცოტას კიდევ მოიცდი, არა-ფერი დაგიშავდება. რაც შეეხება ახლანდელებს, ჩვენმა ძვირფასმა კო-ლეგებმა, დაე, რაც სურთ, ის იფიქრონ, მათი ნებაა. საბედნიეროდ, ვიცი, რაც მინდა; საყვედურებს კი – სახელდახელოდ მუშაობო, ყურს სულ არ ეუგდებ. მათ საპასუხოდ ამ დღეებში სურათები კიდევ უფრო სწრაფად დავხატე. გოგენმა მითხრა, კლოდ მონეს აქვს ერთი სურათი – მზესუმ-ზირები დიდ, ძალზე ლამაზ იაპონურ საყვავილეში, მაგრამ შენი მზე-სუმზირები ჭირჩევნიაო. მისი აზრის გაზიარება არ მიფიქრია, მაგრამ სატყუა, ჩემი აზრით, უკეთ დაეწყო. როგორც ყოველთვის, ერთობ მაწუ-ხებს, შენ იცი, რაც – უმოდელობა. მოდელის შოვნას მხოლოდ დიდი გაჭირვებით თუ მოეახერხებ. სხვანაირი კაცი რომ ვიყო, ამასთანავე, ცოტა მდიდარიც, ამ საქმეს იოლად მოვუვლიდი. ახლაც არაფერს ვეპუ-ები – მაინც ეცდილობ, მოეიფიქრო, როგორ მოვიქცე. ვიდრე ორმოცისა გავხდებოდე, თუ ფიგურულ კომპოზიციას იმ ყვავილების დონეზე და-ხატავ, გოგენს რომ ასე მოეწონა, თავს სხვაზე ნაკლებ ფერმწერად არ ჩაეთვლი. ამიტომაც საჭიროა დაჟინებული შრომა და შრომა.



ჯერჯერობით კი იმას ვიტყვი, რომ ბოლო ორი ეტიუდი, ცოტა არ იყოს, უცხაური გამოვიდა. ამ ტილოების ზომა ისევ 30-ია. პირველი სკამია, რომლის ნალის დასაჯდომი მთლად ქვითელია. დახატულია კედლისა და ფილაქნის ფონზე. ფილაქანი წითელია (დღის სინათლეზე). მეორე გოგუსის წითელ-მწვანე საბარძელია ღამის შუქზე; კედლები და იატაკიც წითელ-მწვანეა; საბარძელზე დევს სანთელი და ორი რომანი. ეტიუდი დახატულია ქერელის ტილოზე სქელი მონასმით. რაც შეეხება ეტიუდების ისევ უკან გამოზიდვას, შეგიძლია, არ იჩქარო: მარტოოდენ უხეირო ეტიუდები გამომიგზავნე მუშაობის დროს დოკუმენტებად რომ გამომადგება, ან ისეთები, რომლებიც შენთან არ ეტევა.

564. გუშინ მე და გოგენი მონპელიეს ვეწვიეთ და იქაური მუზეუმი მოვინახულეთ, პირველ რიგში კი ბრიიას დარბაზში შევიხედეთ. დარბაზში ბრიიას უამრავი პორტრეტია, დელაკრუას, რიკარის, კურბეს, კაბანელის, კუტიურის, ვერდიეს და სხვათა მიერ დახატული. იქ არის, აგრეთვე, დელაკრუას, კურბეს, ჯოტოს, პაულუს პოტერის, ბოტიჩელის, თეოდორ რუსოს მშვენიერი ტილოები. ბრიია მხატვართა კეთილისმყოფელი იყო – ამით ყველაფერი ნათქვამია. დელაკრუას პორტრეტზე იგი წეროსანი, წითური კაცია და მე და შენ საოცრად გვგავს. მიუსეს ცნობილი სტრიქონები გაგახსენდება:

საითაც წაველ, საითაც კი წავედგი ნაბიჯი,
ვიღაც უცნობი შაოსანი თან დაგვევებოდა.
გაწამებული, მწუხარე სახით
იდგა და მშურად შემოგვცქეროდა.

ეს პორტრეტი, ეიცი, შენზედაც სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა. თუ შეძლებ, იმ მაღაზიაში შეიარე, სადაც ძველი და დღევანდელი მხატვრების ლითოგრაფიები იყიდება და თუ მეტისმეტად ძვირი არ ღირს, დელაკრუას სურათის – „ტასო შეშლილთა საპყრობილეში“ – რეპროდუქცია შეიძინე. ეგონებ, ეს სახე როგორღაც ბრიიას მშვენიერ პორტრეტს უკავშირდება.

მოსპეელიეში დელაკრუას სახე სურათებიც ისახება ეკრანზე „შულარი ქალი" (გოგესმა ერთ დროს მისი ასლი გადაიღო, „არაჩვეულებრივ მხეცებში" და „დასიელი ლიმის ბუსაგში". არის კურაგე სურათებიც 1. საუცხოო „სოფელელი ქალიშვილები" პეიზაჟის ფონზე ერთი მათგანი ზურგით რომ მოსჩანს, მეორე კი მიწაზე ზის; 2. მშვენიერი „მრთველი ქალი" და ბევრიც სხვა. ერთი სიტყვით, ამ კოლექციის არსებობა უნდა იცოდე და უთუოდ გაესაუბრო, ვისაც უსახავს. მუზეუმზე ადრეს გეკრძი, მხოლოდ ბარის სახატებს და ერთ ბრისჯაის ქანდაკებას დაგასახელებ. მე და გოგესი ბევრს ვსაუბრობთ დელაკრუაზე, რემბრანდტზე და ა.შ. ისიც, ჩვენი დისკუსიები უკიდურესად დამუხტულია ქანდაკის შემდეგ ზოგჯერ განმუხტულ ბატარეებს ეემსგავსებით, ენერგიულებით და გვენერგება, თილისმით შეკრულნი ვიყავით ფრომანტენი ტექნიკურბრალოდ როდი ამბობს: „რემბრანდტი, ყოველის უწინარეს, რაღაც თილისმის პატრონია, ჯადოქარიო". ამას ჩვენი პოლანდიელი მეგობრების დე პაანისა და ისააკსონის წასაქეზებლად გეუბნები. მათ ხომ რემბრანდტი ძალიან უყვართ და კარგადაც შეისწავლეს. მინდა, რომ მომავალშიც გააგრძელონ მისი შესწავლა. ასეთ საქმეში, მთავარია, იმედი არასდროს გადაიწყვიტო.

შენ გახსოვს ლაკაზის კოლექციაში შენახული მამაკაცის უცნაური და კარგი პორტრეტი რემბრანდტისა. გოგენს ეუთხარი, ეს სურათი შენ და დელაკრუას რაღაცით გესაუბეთ-მეთქი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ პორტრეტს მე ეუწოდებ „მოგზაურს" ანდა „უცხო მხრის კაცს". ეს იგიეა, ადრე რომ გწერდი: როცა მოხუცი სიკის პორტრეტს შეხედო ხოლმე – საკვირველ პორტრეტს, სიკს ხელთათმანი რომ უჭირავს, – შენს მომავალზე იფიქრე და როცა რემბრანდტის ოფორტს შეხედავ – სიკსი წიგნით ხელში რომ დგას მზით განათებულ ფანჯარასთან, – შენი წარსული და აწმყო გაიხსენე-მეთქი. აი, ასე. როცა ამ დილით გოგენს ვკითხე, როგორ ხარ-მეთქი, მიპასუხა: „უწინ რომ ვიყავი, ეგონებ, ისევ ისეთი ვხდებიო", რამაც ძალზე გამახარა.



გასულ ზამთარს, როცა აქ ჩამოვედი – დაღლილი და გამოფიტული, – ვიდრე ცოტა გამოკეთება დამეტყობოდა, სულიერი აშლილობის გარკვეული პერიოდი მეც გავიარე.

როგორ მინდა, მოსპელიეს მუზეუმში შენც ინახულო! იქ საუცხოო სურათებია. დეგას უთხარი, მე და გოგენმა მოსპელიეში რომ დელაკრუას ბრიიას პორტრეტი ვნახეთ.

რაც მართალია, მართალია ეერაფერს იტყვი: ამ პორტრეტზე ბრიცა ჩვენ ძმასავით გვგავს.

რაც შეეხება მხატვართა ერთად ცხოვრების მოწყობას, იგი ერთობ უცნაურ ამბებს უკავშირდება; ამიტომ შენი საყვარელი გამოთქმით უნდა დაეამთაერო: „ენახოთ, რა იქნება“...

არ იფიქრო, მე და გოგენი ყველაფერს იოლად ვაკეთებდეთ – არა, მუდამ ასე არ ხდება. ამიტომ შენც და ჩვენს პოლანდიელ მეგობრებსაც გისურვებდით, ისევ ჩვენთვის მოგებაძოთ და გაჭირვებაში ფარ-ხმალი არასდროს დაგეყაროთ.

565. *23 დეკემბერი.* ეფიქრობ, გოგენს მშვენიერ არლზე, ჩვენს პატარა ქვითელ სახლსა და, რაც მთავარია, თვით ჩემზედაც ცოტა გული აუცრუედა. ჩემი არ იყოს, მას აქ, მართლაც, უამრავი სერიოზული გასაჭირის დაძლევა უწევს. თუმც ეს სიძნელე თვით ჩვენში უფრო ხშირად არის საძებარი, ვიდრე სხვაგან. მოკლედ, მე ასე მიმაჩნია: უნდა მტკიცედ გადაწყვიტოს – დარჩეს თუ წავიდეს. მაგრამ ვიდრე გადაწყვეტდეს, როგორ მოიქცეს, ეურჩიე, კარგად დაფიქრდეს და ყველაფერი აწონ-დაწონოს.

გოგენი, მართლაც, ძლიერი კაცია; მართლაც, ძლიერი შემოქმედია, მაგრამ სწორედ ამის გამო სიმშვიდეს საჭიროებს. პოეტებს კი სადმე სიმშვიდეს, თუ აქ ვერ პოვა?

ველი, რას გადაწყვეტს, როცა საესებით დამშვიდდება.

566. *1 იანვარი.* იმედია, გოგენი შიშს გაგიფანტავს, ალბათ, ზოგ რამეს ჩვენს საქმეებზედაც აგიხსნის და დაგამშვიდებს. ეფიქრობ, მალე კელაე მუშაობას შეუდგები. ჩემმა მეგობარმა რულენმა და მოსამსახურემ სახლს მიხედეს, ყველაფერი მოაწესრიგეს.

აქედან გამოვალ და ისევ ჩემს საქმეს გავაგრძელებ, გაზაფხული მალე დადგება და კელაე ბაღების ხატვას დავიწყებ. ძვირფასო ძმაო, შენი არლში ჩამოსვლის გამო საოცრად ვწუხვარ; რას არ მიეცემდი, ოღონდ ეს არ მომხდარიყო; ბოლოს და ბოლოს, სერიოზული არაფერი დაემართნია – არ ღირდა ასე შეწუხება. ვერ აგიწერ, რა ძალიან მიხარია, ბოსგერებს რომ შერიგებიხარ, თურმე კიდეც დაუმეგობრდი.

რასაც გწერ, ანდრიასს გადაეცი და ჩემ მაგიერად ხელი მაგრად ჩამოართვი. რა ბედნიერი ვიქნებოდი, არლი როგორმე დარში რომ გვესახა – შენ ხომ იგი მრუმე ტონებში დაგამახსოვრდა. აბა, ყოჩაღად! წერილებს პირდაპირ ჩემი მისამართი დააწერე – ლამარტინის მოედანი, 2. სურათებს – გოგენმა აქ რომ დატოვა, – როგორც კი მოგვთხოვს, გამოეუგზავნი. ჩვენ მას აეეჯის ხარჯი უნდა გადაეუხადოთ.

567. *2 იანვარი, 1889.* რათა შიში გაგიფანტო, ექიმ რეის კაბინეტიდან ორიოდე სიტყვას მოგწერ. რეის იცნობ. აქაურ საავადმყოფოში პრაქტიკას გადის. აქ ორსამ დღეს კიდევ დაერჩები, ხოლო მერე, იმედია, შინ გულმშვიდად დაებრუნდები. ერთ რამეს გთხოვ – ნურაფერს წუხხარ, თორემ მეც უფრო მეტს ვიწუხებ. მოდი, ისევ ჩვენს მეგობარ გოგენზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მართლა, ხომ არ შეეშინე? რატომ არაფერს მაგებინებს? ეგონებ, აქედან ერთად წასულხართ. თანაც, ალბათ, პარიზის სახეა მოესატრა – პარიზში თაეს ხომ უფრო შინაურად გრძნობს, ვიდრე არლში. უთხარი, რომ გამუდმებით მასზე ვფიქრობ, ვთხოვე, მომწეროს... წერილი, სადაც ბოსგერებთან შეხვედრაზე იწერები, ღმერთმა

უწყის, მერამდენედ გადაეიკითხე. ისინებულია! კარგია, რომ არაფერი შეიცვალა და როგორც ეიყავი, ამის შემდეგაც ისე ეიქნები.

568. დღეს ბეერს ეერაფერს მოეიწერები, მაგრამ, ალბათ, იმას მაინც გაგაგებინებ, რომ შინ დაებრუნდი. როგორ ესასობ, ამ უბრალო ამბის გამო რომ ჩამოხეედი! მაპატიე ალბათ, ყეელაფერი ჩემი ბრალია. არ მეგონა, თუ აგრერიგად შეშფოთდებოდი. მაგრამ კმარა. ბატონსმა რეიმ შემომიარა, ორი ექიმიც მოიყვანა – სურათების სახვა უსდოდათ. წარმოიდგინე, უცებ მიხედნენ, დაშატებითი ფერი რა არის. როგორც შეეძლებ და კეთილ ფერწერას მიეუბრუნდები, რეის პორტრეტს უთუოდ დაეხატავ, იქნება სხეებისაც დაეხატო. მადლობელი ვარ შენი ბოლო წერილის გამო. ეგრძნობ, რომ მუდამ ჩემ გეერდითა ხარ. მაგრამ მინდა, ესეც იცოდე: მეც იგივე საქმეს ვაკეთებ, რასაც შენ. ნეტავ როგორმე დელაკრუას ბრიიას პორტრეტს ინახულებდე. – საერთოდ, მოსპელიეს მთელ მუზეუმს, რომელიც გოგენმა მაჩუენა! რაკი სამხრეთში ჩეენამდე სხეებსაც უმუშავიათ, მიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩეენ ასე ავიბნეოდით...

შინდაბრუნებულს, აი, თავში რა ფიქრები მიტრიალებს... ოსტატობას რომ დაეეუფლო, საჭიროა, დელაკრუას სურათების რეპროდუქციებს ეუყურებდე; მაღაზიებში, სადაც ძველ და ახალ ოსტატთა ლითოგრაფიებს, თუ არ ეცდები, თითო ფრანკად ყიდიან ხოლმე, ამის შოენა ჯერჯერობით შეიძლება. მაგრამ თუკი უფრო ძვირი ღირს, გადაჭრით ვამბობ, ნუ იყიდი. ჩემს სურათებს, ჯობს, ცოტა ხანს დავაცადოთ. რა თქმა უნდა, თუ გსურს, ზოგიერთს გამოგიგზავნი, მაგრამ როცა დაეწყნარდები, სულ სხვა რამის გაკეთება მაქეს განზრახული. რაც შეეხება „დამოუკიდებლებს“, დანარჩენები რას იზამენ, ისიც ნახე და ყეელაფერი ამის შემდეგ გადაწყვიტე.

ეერ წარმოიდგენ, რარიგ მეწყინა, პოლანდიაში ჯერაც რომ არ გამგზავრებულხარ... გოგენი რას იქმს, როგორ არის? მისი ოჯახი ჩრდილოეთშია, ბრიუსელში გამოფენაზე მიიწვიეს, გარდა ამისა, პარიზშიც მოსწონთ. ამიტომ მინდა, დაეიჯერო, რომ თავისი გზა, როგორც იქნა, მონახა... მაინც გულწრფელად ბედნიერი ვარ, რაკი უკეე ყეელაფერმა გაიარა.

569. ერთ-ორ სიტყვას თუ კიდეე მოგწერ, იმედია, არ შეშინდები, თუმც ამ დილას წერილი უკეე გამოგიგზავნე. წერა კარგა ხანს არ შემეძლო, მაგრამ ახლა, როგორც ხედავ, ყეელაფერმა გაიარა. ორიოდ სიტყვა დედასა და ეილსაც მიეწერე, წერილს ეილის მისამართი დავაწერე; ერთადერთი მიზანი მქონდა – როგორმე მათი დამშეიდება, თუკი ჩემზე რამე წამოგცდა. შენც, შენდათავად, შეატყობინე, რომ ოდნავ შეუძლოდ გაეხდი; ერთი სიტყვით, ისეე ისე მოიქეცი, როგორც მაშინ, როცა პაიგის საავადმყოფოში წამიყვანეს. ისე კი, ეფიქრობ, უკეთესია, თუ, საერთოდ, არაფერს ეტყვი, რადგან ამჯერად იოლად გადაერჩი, საავადმყოფოდან ორიოდ დღეში გამომიშეეს. თუ ასე იზამ, შენს წერილში იმის გარდა არაფერი ეწერება, რაც ჩეენებს პოლანდიაში თავად მიეწერე. ერთი სიტყვით, მოდი, ზედმეტად ნუ შეეაწუხებთ, ჩეენებს ნურაფერს გაეაგებინებთ. ამით, ცხადია, არაფერი დაშაედება. შეგიძლია, დამიჯერო, ხუმრობა კიდეე შემიძლია.

ხეალიდან ისეე შრომას ეიწყებ ერთი-ორი სატურმორტი უნდა დაეიწყო, მუშაობას ხელი კელაე უნდა შეეაჩეიო. რულენი მართლა კარგად მომექცა. თავს ნებას ეაძლეე, ეიფიქრო, რომ მუდამ ჩემი ერთგული მეგო-

ბარი იქნება. დახმარებასაც, ალბათ, საკმაოდ ხშირადა ეთხოვ ამ მხარეს კარგად იცნობს. დღეს ერთად ვისადილეთ.

თუ გინდა, რომ ექიმ რეის ასიამოვნო, გასწავლი, როგორ მოიქცე რემბრანდტის სურათი – „ანატომიის გაკვეთილი" გაუგონია. შეეპირდი, კაბინეტისთვის ამ სურათის გრავიურას გიშოვით-მეთქი. იმედია, როგორც კი ვიგრძნობ, რომ ძალა შეკრთა, მისი პორტრეტის ხატვას დავიწყებ. წინა კვირას სხვა ექიმიც გავიცანი – მას ის მაინც გაუგონია, თუ ვინ არის დელაკრუა ანდა პიეტა დე შავანი, იმპრესიონიზმის გაცნობაც უნდა. დამიჯერე, ის დღეები, საავადმყოფოში რომ გავატარე, საინტერესო დღეები იყო: როგორც ჩანს, ცხოვრება სნეულთაგან უნდა ისწავლო. ეფიქრობ, ისეთი არაფერი დამშართვია – უბრალოდ, როგორც მხატვრებს მოსწონთ, ერთხანს გონება დამიბნელდა, რასაც მაღალი სიცხე მოჰყვა. არტერიის გადაჭრის გამო სისხლიც დაკარგე; მაგრამ მადა თითქმის მაშინვე დამიბრუნდა, კუჭ-ნაწლავიც კარგად ინელებს, დაკარგულ სისხლს უკვე ვიბრუნებ და აზროვნებაც თანდათანობით ნათელი ხდება. გთხოვ, სამუდამოდ დაივიწყო როგორც ჩემი ავადმყოფობა, ისე შენი ნაღელიანი მოგზაურობა.

570. *9 იანვარი.* ეს-ეს არის, შენი ალერსით სავსე წერილი მომიტანეს. მანამდე კი, ჯერ კიდევ დილით, შენმა საცოლემ თქვენი მომავალი ქორწინების ამბავი მამცნო. გულწრფელი მილოცვით ვუპასუხე. ახლა კი მინდა, შენ მოგილოცო. რაკი შიში საბოლოოდ გამეფანტა – ვაითუ ჩემი ავადმყოფობით თვის გამგზავრება (რასაც უკვე ამდენი ხანია ასე ენატრობ) შეფერხდეს-მეთქი, – მთლად კარგადა ვარ. დილას ჭრილობის შესახვევად კელავ საავადმყოფოს მივაკითხე, მერე კი, ასე, საათ-ნახევარს ბ-ნ რეისთან ერთად ვსეირნობდი. ცოტ-ცოტა ყველაფერზე ვილაპარაკეთ, თვით ბუნებისმეტყველების ისტორიაზედაც.

გამიხარდა, გოგენზე რომ იწერები, ტროპიკებში გამგზავრებას ისევ ფიქრობსო. ეს ნამდვილად მისი საქმეა. რაც მას უნდა, ჩემთვის სავსებით ნათელია და ამ განზრახვას სულითა და გულით ვუწონებ. ცხადია, მასთან დაშორება დასანანია, მაგრამ რაკი მისთვის ასე სჯობს, მეც უკვე მეტი არა მინდა რა. 89 წლის გამოფენაზე რა გადაწყვიტე, როგორ მოვიქცეთ?.. ჩემ ამხანაგს, ჩვენ ძვირფას გოგენს ანგარიში შევშალა: ისეთ ხარჯებზე თვალის დახუჭვას, როგორიცაა ბინის ქირა, მოსამსახურის ხელფასი და სხვა ამგვარი საყოფაცხოვრებო წერილმანები, იგი ძალიან მიეჩვია; მთელი ეს ტვირთი, რა თქმა უნდა, ჩვენს მხრებზეა, და რაკი ვუძლებთ, შეიძლებოდა, ჩვენთან სხვებსაც – სხვა მხატვრებსაც – ასე ეცხოვრათ.

ახლახან მითხრეს, თურმე ჩემი საავადმყოფოში ყოფნის დღეებში სახლის პატრონი ვიღაც თამბაქოს დუქნის პატრონს გარიგებია და ამის გამო ჩემი გაგდება განუზრახავს. უნდა, რომ სახლი მას გადასცეს. ამ ამბავმა არცთუ ისე შემაშინა, რადგან ისეთი კაცი როდი ვარ, ვინმემ სახლიდან გამომაგდოს, იმ სახლიდან, შიგნიდან და გარედან რომ შევაღებინე, გაზი გავიყვანე და ა.შ., ერთი სიტყვით, საცხოვრებელ სახლად ვაქციე – თუმც ყველაფერი საეალალო დღეში დამხვდა, დიდი ხანია, იქ აღარავის ეცხოვრა და უკვე აეფიცრათ. წინასწარ მინდა, გაგაფრთხილო: თუკი, ვთქვათ და, აღდგომის მერეც სახლის პატრონი განზრახვაზე ხელს არ აიღებს, აუცილებლად შენი რჩევა დამჭირდება, რადგან თავი,

ამ შემთხვევაში, ჩვენი მხატვრების წარმოსადგენლად მიმაჩნია და, ესე იგი, ეალდებული ვარ, მათ ისტერესებს ეიცავდე კიდეც...

ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ: ჭრილობა სწრაფად მიშუშდება. დაკარგულ სისხლს კი კარგი კვებით ვისაზღაურებ, კუჭ-ნაწლავის მდგომარეობაც არა მაქვს ცუდი. ყველაზე საშიში უძილობაა, თუმც ექიმი ამის შესახებ არაფერს ამბობს და მეც არაფერს ვეუბნები; ჩემს უძილობას თავადვე ვებრძვი. ქაფურის დიდ დოზას ავიღებ ხოლმე და ბალიშს ვქღენთავ; გირჩევ, როცა არ გეძინება, შენც ეს ხერხი გამოიყენო. საავადმყოფოდან რომ გამოვდიოდი, ძალზე ვწუხდი, ვინ მარტო ძილისა შემეშინდება, დაძინებას, ალბათ, დიდხანს ვერ შევძლებ-მეთქი. ახლა ამან გამიარა და ვბედავ, იმედი ვიქონიო, მეტად აღარ განმეორდება, თუმც საავადმყოფოში უძილობამ გამაწამა. საინტერესო, აი, რა არის: ცნობამიხდილიც დეგაზე ვფიქრობდი; სწორედ ავად გახდომის წინ გოგენს დეგაზე ვუამბობდი, დეგას ნათქვამს ვეუბნებოდი: „თავს არ ლელი ქალებისთვის ეუფრთხილდებიო“.

დეგამ როგორი დელიკატური მოქცევა იცის, მშვენიერად მოგეხსენება. როცა პარიზში დაბრუნდები, გადაეცი, რომ არ ლელი ქალები ბოლმის გარეშე ვერა და ვერ დაეხატე. ჩემი სურათები ჯერჯერობით ძალზე სუსტია, და თუ გოგენი ნაადრევი ქებით ამაყებს, ნუ დაუჯერებს. ამიტომ, როცა მოეკეთდები, ყველაფრის კეთებას თავიდან დაიწყებ. მაგრამ, ალბათ, იმ სიმაღლეებს ვეღარ მიეაღწევ, საიდანაც ავადმყოფობამ სანახევროდ ჩამომაგდო... ნახე ჩემი ავტოპორტრეტი, რომელიც ახლა გოგენთანაა? ანდა გოგენის ავტოპორტრეტი, უკანასკნელ დღეებში რომ გააკეთა, მანამდე, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა? თუ გოგენის უკანასკნელ ავტოპორტრეტს ბრეტანიდან გამოგზავნილ იმ ავტოპორტრეტს შეადარებ, რომელიც ჩემ სურათში გამიცვალა და რომელსაც დღემდე ვინახავ, დაინახავ, რომ გოგენი არლში ყოფნამ შესამჩნევად დაამშვიდა.

571. *17 იანვარი.* შენგან წერილს ათში ველოდი, მაგრამ დღემდე არ მოვიდა. დღეს 17 იანვარია. ამის გამო 7 დღეს სასტიკად ვიმარხულე; ეს კი ჩემთვის საკმარისად მძიმე იყო, ვინაიდან ამ პირობებში გამოკეთება, რა თქმა უნდა, მიძნელდება. მაგრამ, ამის მიუხედავად, მუშაობა განვაახლე. უკვე სამი ეტიუდი გავამზადე. ბ-ნ რეის პორტრეტიც დავხატე, რომელიც მასვე ეუსახსოვრე. ერთი სიტყვით, ალბათ, ისეთი არაფერი დამმართვია, ეგ არის, რომ ტკივილებმა და მოუსვენრობამ ოდნავ მიმატა. ძველებურად იმედს არ ვკარგავ, მაგრამ სისუსტე მაინც მაწუხებს, სულიც მიშფოთავს. როგორც კი ძალა დამიბრუნდება, ალბათ, გამიელის ყველაფერი.

რეი მარწმუნებს, რაც დაგემართა, მგრძნობიარე ადამიანებს სულ ადვილად ემართებათო, ახლა მხოლოდ სისხლნაკლებობა გაწუხებს და საჭიროა კარგი კვებაო. მე კი გაებედე ბატონ რეისთვის მეპასუხა: თუმც ამჟამად ყველაზე მეტად იმას უნდა ვცდილობდე, ძალ-ღონე როგორმე დავიბრუნო, მაგრამ, შესაძლოა, შემთხვევით ანდა რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო მარხულობა ერთ კვირას კიდევ მომიწიოს. გინახავთ განა ისეთი გიჟი, რომელიც ასეთ შემთხვევაში წყნარად ყოფილა და მუშაობის თავიც ჰქონია? თუ არ გინახავთ, მაშინ კეთილინებეთ და საბოლოოდ დაიჯერეთ, რომ ჯერ არ შევშლილვარ-მეთქი. იმ ამბავმა მთელი სახლი არიე-დარია, თეთრეული და ტანსაცმელი მთლად დამესვარა, მაგრამ ფული მოუფიქრებლად, ზედმეტად და უმართებულოდ არაფერში

დაპირპირდაეს. გასა ცუდად მოეიქეცი, როგორც დაებრუნდი, ჩემსაეით დარიბ ადამიანებს ეალი რომ იმწამს დაეუბრუნე? განა შემეძლო, ასეთ დროს რამე მომჭირნეობა გამეწია? ბოლოს კი, დღეს – 17 იანეარს, როგორც იქნა, 50 ფრანკი მიეიღე. პირეელ რიგში, კაფეს პატრონს დაეუბრუნე ნასესხები ხუთი ფრანკი, გასულ კეირას ნისიად აღებული ათი ულუფა საჭმლის ფასიც გადაეიხადე, რაც სულ 7,50 ფრანკი გამოდის. გარდა ამისა, საჭიროა საავადმყოფოს თეთრეულის ანგარიშის გასწორება, შარელისა და ფეხსაცმლის შეკეთება. ეს სულ ხუთი ფრანკი დაჯდება.

შეშას და ნახშირს – დეკემბერში რომ ეიყიდე და მერე საყიდლაც, რაც ამის შემდეგ უნდა ეიხმარო, – ოთხი ფრანკი მაინც უნდა. მოსამსახურეს იანერის მეორე დეკადისა ათი ფრანკი უნდა მიეცე. სულ 26,50 ფრანკი გამოდის. ხეალ, როცა ყეელას გაეუსწორდები, 23,50 ფრანკიღა მრჩება. დღეს 17-ია, 13 დღე ჯერ წინ არის. საკითხაეია, დღეში რამდენი უნდა ეხარჯო? პო, დამაეიწყდა – 30 ფრანკი ხომ რულენს გაეუგზაენე. ესეც უნდა მიეათეალოთ. ამ ფულიდან დეკემბრის თეის დარჩენილი ბინის ქირა 21,50 ფრანკი გაისტუმრა. აი, ამ თეის ჩემი ბალანსი, ძეირფასო ძმაო. მაგრამ ამას გოგენის დეპეშით გამოწეეული ხარჯებიც ხომ ემატება. ის ამის გამო კარგად შეეაჩეენე. ალბათ, 200 ფრანკი მაინც დაგეხარჯა. გოგენი მიმტკიცებს, ძალიან კარგად მოეიქეციო. მე კი მისი საქციელი უაზრობად მიმაჩნია. ეთქეათ და, მართლაც, შეეიშალე. ეს ჩემი დიდად სახელოეანი ამხანაგი ცოტა უფრო წინდახედულად ეერ მოიქცა? თუმც, გეეყოფა, კმარა ამაზე ლაპარაკი.

ანგარიშის გასწორების დროს გოგენს ასე გულუხეად რომ მოექეცი, საქებურზე საქებურია: ახლა ჩეენზე უკეე კარგის მეტს ეერას იტყეის. ამ მხრიე მაინც მშეიდად ეიქნებით, თუმც ეს სიმშეიდე ძეირი დაგეიჯდა. ახლა მიხედება (უნდა მიხედეს), რომ ჩეენ მისი ექსპლუატაცია არ გედომებია; გესურდა, მისი ჯანმრთელობა, შრომის უნარი, პატიოსანი კაცის სახელი შეგეენახა. ასე არ არის? თუ გოგენისთეის ყეელაფერ ამას იმ გრანდიოზულ პროჟექტებზე – მხატეართა ასოციაციებსა და სხეა ამგეარ ბროლის კოშკებზე, – უფრო ნაკლები მნიშენელობა აქეს (მოგეხსენება, იგი ისეე იმ კოშკების აგებაშია), ესე იგი, ეერ ხედება, რომ თაეისი სიბეცით უნებლიეთ ჩეენ აგრერიგად გეაწეენინა და გეაზარალა. მაშ, გონზე თაეადაც არ ყოფილა.

თუ მეტყეი, აჭარბებო, გაეჩუმდები, მაგრამ ნახაე, რაც მოხდება. ასეთი რამ გოგენს ადრეც დამართეია, როცა, როგორც თეითონ ამბობს, „პარიზის ბანკებში“ მოღეაწეობდა, სადაც, მისი სიტყეით რომ ეთქეათ, უდიდესი ჭკუა-გონება გამოიჩინა. ჩეენ ამ ამბაეს, ალბათ, უბრალოდ, ყურადღება არ მიეაქციეთ. მაგრამ ჩეენი მიმოწერის ზოგიერთ ადგილს ჩეენთეის ცოტა სიფრთხილე უნდა ესწაელებინა. პარიზში რომ თაეის თაეს თეითონეე კარგად დაკეირეებოდა ანდა ექიმ სპეციალისტს სჩეენებოდა, შეიძლება, ისეთი რამ გარკეეულიყო, რასაც არაეინ მოელოდა.

მე არაერთხელ ეყოფილეარ მოწმე მისი ისეთი საქციელისა, რის უფლებასაც მე და შენ თავს არ მიეცემდით – ჩეენ სხეა სინდისის მქონე ხალხი ეართ. მისი ასეთი ქცეეის შესახებ სხეებისგანაც გამიგონია. ახლა კი, როცა უფრო კარგად გაეიცანი, ჩემი აზრით, მისთეის თეალი აუხეეია მძაფრ ფანტაზიას, პატიემოყეარე, ამაყ ბუნებას, მაგრამ ცოტა გონზედაც არ არის.

ამას იმიტომ როდი ეამბობ, რომ ამის გამო შელაეათი გაუწიო. უბრა-

ლოდ, ძალზე მიხარია, ასგარიშის გასწორების დროს მასზე მეტი ღირსება რომ გამოიჩინე: შეგეძლია, მშვიდად ეთქვა ჩვენს ისე ყველარ მოგვექცეო, როგორც „პარიზის ბანკებს“ მოექცა. მან კი, ღმერთო, რაც უნდა, ის ქნას, დატკბეს თავისუფლებით (სეტაე ეიცოდე, რით არის ახლა თავისუფალი) და ყველაფერზე საკუთარი აზრი ჰქონდეს. ერთი სიტყვით, საკუთარი გზით იაროს, რაკი ჰგონია, რომ ჩვენზე უკეთ იცის, რა გზასაც ადგას.

უცნაურია, „მზესუმზირებს“ რომ მოითხოვს – ამ სერიის ერთ-ერთ სურათს. სამაგიეროდ, აქ დარჩენილ ეტიუდთაგან ზოგიერთის ჩუქება თუ „მზესუმზირებში“ გაცვლა უნდა. ამ ეტიუდებს გამოვეზავები – ალბათ, რამეში გამოადგება, მე ნამდვილად არ მჭირდება. ჩემ სურათებს კი უსათუოდ აქ დაეიტოვებ, განსაკუთრებით, ამ მზესუმზირებს. ორი ასეთი ნამუშევარი მას უკვე აქვს და, საკმარისია. თუ ის არ მოსწონს, რაც აქამდე გადაეცვალეთ, მარტინიკიდან ჩამოტანილი ის პატარა სურათი და ბრეტანიდან გამოგზავნილი აეტოპორტრეტი უკან წაიღოს. ოღონდ ჩემი აეტოპორტრეტი და ორიეე „მზესუმზირა“, პარიზში რომ გაიყოლია, ისევე უნდა გამომიგზავნოს. ასეთია ჩემი აზრი, თუ ამ საკითხს იგი ისევე დაუბრუნდება. იმას როგორ იმიზეზებს, ჩემი მისელა შეაწუხებდა და ამიტომ არ მიეედიო? კარგად იცის, რომ სულ ეეძახდი. უთხრეს კიდეც, ბევრჯერ უთხრეს, რომ ეიხეეწებოდი, დაუყოვნებლიე მოსულიყო. მსურდა, მეთხოეა, ყველაფერი საიდუმლოდ შეენახა, შენთვის არ ეთქვა. მან კი მოსმენაც არ ისურვა. დაეიღალე სულ ამაზე ლაპარაკით, ჩემი ფიქრი კელავ და კელავ იმას უბრუნდება, რაც მაშინ მოხდა...

ამის შემდეგ რა იქნება, ეს დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად დამიბრუნდება ძალა და ღონე, შეეძლებ თუ არა აქ დარჩენას. ცხოერების შეცელის ან სადმე წასელის მეშინია – ახალ ხარჯებს გამოიწვეეს. გონზე ეერა და ეერ მოეედი, საბოლოოდ ეერ გამოეკეთდი. შრომას კი თავს არ ვანებებ და რადგან ზოგჯერ საქმე მაინც წინ მიიწეეს, იმედი მაქვს, მოთმინებას მოეიკრებ და დასახულ მიზანს მაინც მიეალწეე – ჩემი სურათებით ხარჯებს უთუოდ ამოეგებ.

მე და რულენი ერთმანეთს ეშორდებით – 21-ში მიემგზავრება. ცოტა ხელფასს უმატებენ და მარსელში გადაყაეთ: სხეა რა გზა აქეს, ცოლს და ბაეშეებს ჯერჯერობით არლში ტოეებს – ისინი მასთან ცოტა უფრო გეიან გადაელენ, რადგან მარსელში ოჯახის რჩენა ბეერად ძნელია, ეიდრე არლში. მთაერობა რულენს, რა თქმა უნდა, აწინაურებს, მაგრამ განა ასეთი კაცი მრაეალი წლის შრომისათეის აგრერიგად ძუნწად უნდა დააჯილდოოს? რულენი და მისი ცოლი გულში ძალიან ნაწყენებიც იქნებიან. წინა კეირაში იგი ჩემთან ბეერჯერ მოეიდა.

დასანანია, მე და გოგენმა რემბრანდტი და შუქის პრობლემა ასე მალე რომ მიეატოეეთ. თუ დე პაანსა და ისააკსონს ეს ჯერ კიდეე აინტერესებთ, კელეეა განაგრძონ. აეადმყოფობამ, რა თქმა უნდა, ბეერ რამეზე იმოქმედა, სხეანაირი თეალი გამიხდა, აღქმის უნარი მომემატა. დე პაანის „მესაფლაეეს“ ძალიან დიდხანს ეაკეირდებოდი – მან ხომ თავისი ნამუშეერის ფოტოსურათი გამომიგზავნა. ჩემი აზრით, ეს რალაცით ჭეშმარიტად რემბრანდტისებური ფიგურაა – თითქოს ახლად გაჯრილი სამარიდან ამოსული ანარეკლი შუქით არის განათებული და ასე დგას, მთეარეულიეით გარინდებული. ძალზე ფაქიზად უმუშაეია. მე, მაგალითად, ჩანაფიქრს ნახშირით არ ეამუშაეებ, დე პაანს კი გამომხატ-

ეელ საშუალებად სწორედ ნახშირი აურჩევია, თანაც ნახშირს ხომ ფუ-
რები არ აქვს. დე პაანს ერთ ჩემს ნამუშევარს სიამოვნებით ეანყენებდი:
საეარძელზე (ეს გოგენის საეარძელია) დეეს სანთელი და ორი რომანი
(ერთი – ეეიოელი, მეორე კი – ეარდისფერი); სურათის ზომა 30-ია.
დახატულია წითელი და მწვანე ტონებით. ამ სურათის ჯუფთი იქნება,
დღეს რასაც ეხატავ, – შეუღებაე ხის სკამზე დეეს ქისა და ჩიბუხი.
ისეეე როგორც ბეერ სხეა სურათში, ამ ორიეე ეტიუდშიც შეეეცადე,
შუქის ეფექტი ღია ტონების ხარჯზე შემექმნა. რასაც ამის თაობაზე
გწერ, დე პაანს უნდა წააეითხო – ალბათ, მიხედება, რის მიღწეეა მქოს-
და მიზნად.

უნებურად გრძელი წერილი გამომიეიდა – ამ თეის ბალანსის ანალი-
ზი გაეაკეთე, თანაც გოგენის უცნაური ქცეეის გამო შემოგჩიელე – ასე
რომ გაქრა და არაფერს იტყობინება. მაგრამ მაინც არ შემიძლია, ორი-
ოდ სიტყეით არ შეეაქო. ყოეელდღიურ ხარჯებს ჩინებულად არეგული-
რებს. მე ეიბნეეი, მარტოოდენ იმას ეცდილობ, თეის ბიუჯეტში ჩაეეტიო,
მან ფულის ყადრი უკეთ იცის და შეუძლია, ყოეელდღიურ გაჭირეებას
თაეი გაართეას. უბედურება ის არის, რომ ღრეობათა და რაღაც ბინძური
თაეგადასაელების სიყეარული მთელ ანგარიშებს წყალში უყრის.

რა ჯობია – დაიცეა პოსტი, შენი ნებით რომ აირჩიე, თუ იდეზერტი-
რო? მე არაეის განკითხეა არ მსურს, იმ იმედით, რომ თუ ძალ-ღონემ
მიღალატა, მეც არაეინ განმიკითხაეს; მაგრამ გოგენი რაში იყენებს
თაეის ღირსებებს, თუ მას, მართლაც, ასეთი ბეერი ღირსება აქეს? მისი
ქცეეის აღარა გამეგება რა, გაოცებული, გაჩუმებული შეეცქერი ყეელა-
ფერს.

ჩეენ ზოგჯერ ფრანგულ ხელოენებაზე, იმპრესიონიზმზე ესაუბრობ-
დით და ერთმანეთს აზრებს ეუზიარებდით. ჩემი აზრით, იმპრესიონიზ-
მის საქმეების მოგეარება და მისი მშეიდი განეითარება ახლა თითქმის
არ შეიძლება. ჩეენში რატომ ეერ ხერხდება, რაც პრერაფაელიტების
დროს ინგლისში მოხდა? იმიტომ რომ, საზოგადოება დაცემის გზაზეა.

შესაძლოა, მე ყეელაფერი გულთან მიმაქეს და შაეი ფერებით მეხა-
ტება. ნეტაეი გოგენს „ტარტარენი ალპებში“ თუ წაეკითხაეს? თუ წაე-
კითხაეს, ახსოეს თუ არა ტარტარენის ამხანაგი, სახელოეანი ტარასკო-
სელი, უმდიდრესი ფანტაზიის მქონე კაცი, რომელსაც თეით შეეიცარია
ფანტაზიის ნაყოფი ეგონა? ნასკეებიანი თოკი თუ ახსოეს, რომელიც
ტარტარენმა ალპების მწეერეალზე იპოეა, მას შემდეგ, რაც ჩამოეიდა?
გინდა გაიგო, რა მოხდა, არა? მაშ, „ტარტარენი“ თაეიდან ბოლომდე
წაიკითხე. გოგენის შეცნობას ეს უთუოდ გაგიადეილებს. სერიოზულად
გეუბნები, დღეს წიგნში ეს ადგილი უსათუოდ წაიკითხე.

აქ ყოფნის დროს არ შეამჩნიე ჩემი ერთი ეტიუდი – „ლომებზე მონა-
დირე ტარტარენში“ მოხსენიებული ტარასკონული დილიჟანსი? არ გა-
გონდება ასეთიეე საოცარი ფანტაზიის მქონე სხეა გმირიც – „ნუმ რუ-
მესტანის“ ბომპარი? გოგენის საქმეც სწორედ ასეა, თუმცა იგი სულ
სხეა კაცია. ღმერთმა დააჯილდოეა ძლიერი, მძაფრი, ჭეშმარიტად სამ-
ხრეთული ფანტაზიით. ასეთმა კაცმა ჩრდილოეთში რა უნდა აკეთოს?
ღმერთმანი, იქაც რამეს ჩაიდენს. თუ თაეს თამამი შედარების უფლებას
მიეცემთ, ის შეიძლება, იმპრესიონიზმის პატარა მკაცრ ბონაპარტად
წარმოეიდგინოთ... არ ეიცი, შეიძლება თუ არა ასე ითქეას, მაგრამ მისი
არლიდან გაქცეეა კი შეიძლება, ზემოთ ნახსენები პატარა კაპრალის

ეგვიპტიდან დაბრუნებას შეუადარებთ ისიც ხომ პარიზს გაეშურა და, საერთოდაც, თავისი არმიის განსაცდელში მიტოვება არასოდეს გაუძნელებია.

საბედნიეროდ, არც გოგენს, არც მე, არც სხვა მხატვრებს მიტრალიეზებით[1] ან რომელიმე სასიკვდილო საომარი იარაღებით აღჭურვაზე ჯერჯერობით არ გეფიქრებათ. მე პირადად, ფუნჯისა და კალმის გარდა, არაფითარი იარაღის გამოყენებას არ ვაპირებ. თუმც ბოლო წერილში გოგენმა მკაცრად მოითხოვა, „საფარიკაო ნიღაბი და ხელთათმანები“ დაეუბრუნო, რომელიც ახლა ჩემი პატარა ყეთილი სახლის საკუჭნაოში ინახება. ცხადია, ამ ბაეშვურ სათამაშოებს დაუყოვნებლივ გამოეუგზავნი. იმედია, ამაზე უფრო სახიფათო ნივთებით თამაშს არ მოინდომებს.

ფიზიკურად იგი ჩვენზე ძლიერია, მაშ, ენებებიც ჩვენზე მძაფრი აქვს. მერე – ოჯახის მამაცაა: დანიაში ცოლ-შვილი ჰყავს. მაგრამ მაინც ქვეყნიერების დასასრულისკენ – მარტინიკისკენ მიუწევს გული. აი, სულში ერთმანეთის საპირისპირო სურვილებისა და მისწრაფებების რა დომხალი უტრიალებს. გავბედე და შევეცადე, მისთვის ამეხსნა: თუ არლში მშვიდად იცხოვრებდა, ჩვენთან ერთად იმუშაებდა, ფულს უბრალოდ არ გაფლანგავდა და, რაკი მისი ნამუშევრების გაყიდვაზე მზრუნველობა შენ იკისრე, ფულის შოვნაზე იფიქრებდა, მისი ცოლი უჭკნელად ასეთ საქციელს მოუწონებდა, წერილს მოსწერდა. ისიც ეუთხარი, ავად რომ არის და ამიტომ ავადმყოფობის მიზეზებზე დაფიქრებაც და მასთან ბრძოლის საშუალებათა გამონახვაც საჭიროა. არლში კი იგი თითქმის უკვე კარგად იყო.

დღეს რაც მოგწერე, საკმარისია. იცი ლავალის მისამართი? შეგიძლია, შეატყობინო: ძალიან მიკვირს, ვისმა ძვირფასმა მეგობარმა, აქედან რომ მოდიოდა, რატომ მისთვის, ესე იგი, ლავალისთვის, განკუთვნილი ჩემი ერთი ავტოპორტრეტიც არ წამოიღო? ამ ავტოპორტრეტს ახლა შენთან გამოეგზავნი და ვისაც ჯერ არს, გადაეცი. ავტოპორტრეტი შენც დაგიხატე.

572. *19 იანვარი.* ჯერ კიდევ ძალზე სუსტად ვარ. სიცივეები თუ არ მოთავდა, გამიჭირდება – ძალას იოლად ვერ დავიბრუნებ. რვი ვაპირებს, ქინაქინის ნაყენი მასვას. ალბათ, მარგებს. შენს წერილზე ბევრი რამ მსურს გიპასუხო, მაგრამ მოლბერტზე სურათი მიდგეს და ძალზე ვჩქარობ. ანდრის ბ. რომ დაქორწინდა, ჩემთვის ჯერ არ მოგიწერია. ჩემს მილოცვაზე იომ ორიოდ სიტყვა მომწერა და ძალიან მასიამოვნა. მე ხომ მუდამ ამას ვამბობდი – შენი აღგილი (შინაც და გარეთაც) გაევალებდა, უსათუოდ ცოლი შეგერთო, დედასაც ხომ ეს უნდოდა. რაკი ისე მოიქცი, როგორც ყველასთვის საჭირო იყო, მომავალ სიძნელეთა მიუხედავად, ალბათ, უფრო მშვიდად იქნები. არც მე მაქვს, ჩემო მეგობარო, ტკბილი ცხოვრება. ადრე, ვინ იცის, რას არ მიეცემდი, თუ შენთან ერთად ამ ქალაქში თუნდაც ერთ დღეს გავატარებდი, სახლსა და დაწყებულ ნამუშევრებს გაჩვენებდი და ა.შ. ახლა კი ეფიქრობ: იმას, რაც ნახე და როგორც ნახე, მერჩივნა, რომ სულ არ გენახა აქაურობა. მაგრამ რას იზამ, რაც არის, არის!

გიიომენს რა დაემართა? ხომ იცი, რომ ვაჟიშვილი შეეძინა. ბერნარს ახლა მამამთილი კიდევ უფრო ცუდ დღეში აგდებს, მათი სახლი ნამდვილ

[1] მრავალლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი.

ჯოჯოხეთს დაეშსგაეცა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეერაფერს შეელი. მათ საქმეში ეერ ჩაერეეი – კრაზანის ბუღეს ხელს ეერ წაატან. ახლა ცდილობენ, ის და გოგენი დაიყოლიონ, რომ სამხედრო სამსახურიდან ბერნარი როგორმე გათაეისუფლდეს – ეითომ ეიწრო(?) გულმკერდი აქვსო. აბა, ჩეენ რა გეესაქმება, მაგრამ მისთეის ათასჯერ ჯობდა, რომ ალჟირში წასულიყო და მილიესთან სამხედრო სამსახური ჰატიოსნად მოეხადა. მილიესთან თაეს, უბრალოდ, უხერხულად ეგრძნობ: ყოეელ წერილში შეკითხება, ბერნარის საქმე როგორ არისო.

რულენი სადაცაა, გაემგზაერება. აქ თეეში 135 ფრანკს იღებდა. მოდი, თაეიც შეინახე და ცოლს და სამ შეილსაც ამყოფინე! ალბათ, გესმის, რა დღეში იყო. მაგრამ ხელფასის მომატება ისეთი წამალია, რომელსაც ისეე ავად ყოფნა სჯობს... ეს როგორი მთაეროზა გეყაეს, ეს რა დროს ეცხოერობთ! რულენსაეით ნაწრთობი კაცი იშეიათად შემხეედრია. სოკრატეს ჰგაეს და მახინჯია, როგორც სატირი. ერთი სიტყეით, მიშლე რომ ამბობს: „ბოლო წუთამდე მასში ღმერთი სახლობდა, ღმერთი, რომლითაც ამაყობდა პართენონიო!“ – და ა.შ., სწორედ ისეა ამის საქმეც. ეს კაცი რომ შენს ახალ ნაცნობს – შატრიანს სადმე დაენახა!..

დამაეიწყდა, ეერ გითხარი – გუშინ გოგენის წერილი მიეიღე. ისეე და ისეე საფარიკაო ნიღაბსა და ხელთათმანებზე იწერება. ათას გეგმას და პროექტს ადგენს, თუმც, უკეე გრძნობს, რომ ფული მალე შემოელეება. ოღონდაც რომ ასე იქნება! სწორედ ამიტომ ეშინია, ბრიუსელში გამგზაერება ჩამეშლებაო. მაგრამ თუკი ბრიუსელში წასასელელი ფული არა აქეს, დანიამდე როგორ ჩააღწეეს, მით უმეტეს, ტროპიკებში როგორ წაეა? იმაზე კარგს ეერაფერს იზამს, ადგეს და ისეე აქ ჩამოეიდეს. მაგრამ ასე, რა თქმა უნდა, არ მოიქცეეა... თუმც, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა: ის ხომ პირდაპირ არ იწერება, უფულობა მომელისო, სტრიქონსა და სტრიქონს შუა კი ეს აშკარად საგრძნობია. ჯერჯერობით შუფენკერთან დაბინაედა. ოჯახის ყეელა წეერის პორტრეტის დახატეა უნდა. მაშასადამე, დაფიქრების დრო საკმაოდ აქეს. წერილზე ჯერ არ მიპასუხია. საბედნიეროდ, ჩემთეის ერთი რამ ნათელია – უცლება მაქეს, თამამად ეთქეა, რომ მე და გოგენს ისე გეიყეარს ერთმანეთი, თუ ოდესმე საჭირო გახდა, ისეე შეეძლებთ ერთად ცხოერებას. მესიამოენა, ბატონ რეისთეის „ანატომიის გაკეეთილი“ რომ გიშოეია. ამის შემდეგაც მომიწეეს ხოლმე ექიმთან მისელა და რაკი ახლა მე და რეი უკეე კარგი ნაცნობები ეართ, შემიძლია, მშეიდად ეიყო და აქედან არსად წაეიდე.

573. *23 იანვარი.* გუშინ რულენი გაემგზაერა... წასელის წინ მთელ დღეს ბაეშეებთან იყო. ისე ნაზად ექცეოდა – უფრო კი უმცროსს, – პირდაპირ გული აგიტირდებოდა. ცდილობდა, გაერთო, მუხლზე ისეამდა, არწეედა და უმღეროდა. იშეიათი ტემპრის ხმა აქეს, სუფთა და რაღაც გულში ჩამწედომი. ნაზს და ნაღელიან სანასაც ჰგაეს და ბუკის შორეულ, საფრანგეთის რეეოლუციის დროინდელ ხმასაც. მაგრამ რულენი ნაღელიანი სულაც არ იყო. პირიქით, სწორედ გამგზაერების წინ მიცემული ფორმის ახალი ტანსაცმელი ჩაეცეა და ცოტა არ იყოს, იპრანჭებოდა. დანარჩენები ულოცაედნენ.

ახალი სურათი დაეამთაერე. პატარა და ერთობ ლამაზი სურათია: წნულ კალათში ფორთოხლები და ლიმონები. ზემოდანაც – კეიპაროსის რტო, ორიც ცისფერი ხელთათმანი. შენ ხომ ჩემთან უკეე ნახე ხილის ასეთი კალათები... ასეა საქმე – სურათი ხან ცუდი გამოემდის, ხან –

კარგი, მუდამ ცუდად როდი ეხატაე. თუკი ჩვენი მოსტირელის თაიგული მოყვარულმა შეიძლება 500 ფრანკად შეიძინოს ეს სურათი კი ამდენი უდაეოდ ღირს, თაეს ნებას მივცემ, ეიფიქრო, რომ რომელიმე შოტლანდიელს ან ამერიკელს 500 ფრანკი ჩემს „მზესუმზირებშიც“ არ დაენანება. აბა, ეინ მისცა ყველა მხატვარს იმდენი ცეცხლი, ამ ყვაეილების ოქროსფერ ტონებს ასეთი სითბო მიანიჭოს? იგი მოითხოეს მთელ ენერგიას, მთელ გულისყურს, ყველაფერს, თუ რამ გაგაჩნია. უამისოდ, ღმერთს გუფიცები, არაფერი გამოგიეა. საეაღმყოფოდან გამოსელის შემდეგ ჩემ სურათებს გადაეხედე და მოემეჩეენა, რომ ყველაზე კარგი „საწოლი ოთახია“...

რულენის ცოლის პორტრეტს ეხატაე. ეიდრე აეად გაეხდებოდი, მაშინდელი დაწყებული მაქეს. ეცდილობ, ყეითლიდან ნარინჯისფრამდე ყველა ელფერი გამოეყენო – ნარინჯისფერი, თაეის მხრივ, რომ ისეე ყეითელში, ლიმონისფრამდე გაბაცებულ, ბაც და მუქმწვანე-შერეულ ყეითელში გადაინაცელებს. კარგი იქნება, თუ ამ სურათის დამთაერებას მოეახერხებ, მაგრამ ეფიქრობ, ქმრის წასელის შემდეგ ჩემი მოდელი პოზირებას აღარ ისურეებს.

შენ არ ცდები, გოგენის წასელა ჩეენთეის მარცხია: ამან ბეერად უკან დაგეწია, ჩეენ ხომ ეს პატარა სახლი იმიტომ მოეაწყეეთ, გაჭირეების ჟამს მეგობრებისთეის თაეშესაფარი გაგეეჩინა. აეეჯი და ა.შ. მაინც უნდა დაეიტოეოთ. თუმც ამჟამად ჩემი ყველას შეეშინდება, მაგრამ თანდათან, ალბათ, გაიელის ყველაფერი. ყველანი მოკედაეი ეართ. არაეის იცის, თითოეულ ჩეენგანს როდის რა სენი შეგეეყრება. ჩეენი ბრალია, რომ ამდენი უსიამოენო სენი არსებობს? ყველაფერს ის სჯობს, შეეცადო, რაც შეიძლება, მალე მოეჯობინდე. სინდისი მქენჯნის, როცა ეიგონებ, გოგენი როგორ შეეაშფოთე; თუმც მე ხომ ეს არ მინდოდა. მაგრამ ეიდრე ეს ამბაეი მოხდებოდა, ბოლო დღეებში ცხადად ეხედაედი: ხატაე და, მაგრამ სული მისი პარიზსა და არლს შორის იყო გაფლეთილი. ჩანაფიქრთა ხორცშესასხმელად გული ისეე პარიზისკენ მიუწეედა. რას იზამს ნეტაე, რით დამთაერდება ყველაფერი?

დამიჯერე, თუმც კარგი ხელფასი გაქეს, კაპიტალი – თუნდ სურათების სახით იყოს, – მაინც არ გეყოფნის. ჩეენი ნაცნობი მხატერების ცხოერებას ჯერ ეერ შეეცელით, რადგან ამის შესაძლებლობა არ გაგეაჩნია. ამას მათი უნდობლობა და ერთმანეთში კინკლაობაც ემატება – რაც ცარიელი ჯიბის ბრალია. გაეიგე, რომ პონტ-აეენში ხუთსა თუ ექეს ახალი ჯგუფი შეუქმნია, მაგრამ ეს ჯგუფიც, ალბათ, უკეე დაშალა. ცუდი ხალხი არ არის, მაგრამ უცნაურად თაექარიანი საქციელი ამ ჭირეეული დიდი ბაეშეების საერთო ნაკლია.

მთაეარია, ახლა ქორწილი არ გადადო. შენი ქორწინება დედას გაახარებს, გულს დაუმშეიდებს. გარდა ამისა, ეს შენთეის და შენი საეაჭრო საქმისთეისაც კარგი იქნება. როგორ ფიქრობ, ფირმა, სადაც ახლა მსახურობ, შენს ქორწინებას მოიწონებს? ალბათ, იმაზე მეტად არა, ზოგ მხატეარს რომ მე მოეწონეარ – ზოგჯერ ხომ მათაც ეერ დააჯერებ, რომ საერთო საქმისათეის ეშრომობდი და ეეწამებოდი...

სხეა არ ეიცი, ცოლქმრობა კი ჩეენს მშობლებს, მართლაც, კარგი აქოსდათ. არასოდეს დამაეიწყდება, დედას თაეი როგორ ეჭირა, როცა მამა გარდაიცეალა – ერთი სიტყეაც არ დასცდენია. ამიტომ იგი კიდეე უფრო შემიყეარდა. მოკლედ რომ გითხრა, ჩეენი მშობლები ისეთიეე

სამაგალითო ცოლ-ქმარსი იყვნეს, ეს მეორე წყვილი რომ არის — რულეტი და მისი ცოლი. ჰოდა, შენც ასეთი უნდა იყო. საავადმყოფოში სულ ზუნდერტი მაგონდებოდა. ეიხსენებდი ჩვენი სახლის ყოველ ოთახს, ჩვენი ბაღის ყველა ბუჩქს და ყოველ ბილიკს, იმ არემარეს, მინდვრებს, მეზობლებს, სასაფლაოს, ეკლესიას, ბოსტანს ჩვენი სახლის უკან. წარმოიდგინე, სასაფლაოსთან ერთ ტასმაღალ აკაციაზე კაჭკაჭის ბუდეც გამახსენდა. იმ დღეებში სულ ბაეშვობის ადრეულ ამბებს ეიხსენებდი, იმას, რაც ახლა მარტო მე და დედას გვახსოვს. მაგრამ ქმარა, უმჯობესია, არასოდეს გაეიხსენო, ჩემს გონებაში რა ხდებოდა.

იცოდე, შენი ქორწინებით მართლა ძალიან გამახარებ. აი, კიდეე რა: თუ-კი შენს ცოლს აინტერესებს, რომ გუპილებთან ზოგჯერ ჩემი სურათები გამოიფინოს, მათთან ძველ მტრობას დაეიეწყებ. გწერდი, გუპილებს ჩემს გულუბრყვილო ნამუშევრებს არასოდეს ეაჩვენებ-მეთქი. ჩემი ორიეე მზესუმზირა კი, თუ გინდა, მათთან გამოფინო, გამოფინე. ეიცი, გოგენს გაუხარდება, ამ სურათებიდან ერთ-ერთი რომ მისი იყოს. მე კი იგი მართლა მინდა, გაეახარო: აირჩიოს, რომელსაც ისურვებს, და ხელახლა დაეხატავ.

აი, ნახავ, თუ ამ სურათებს ყურადღება არ მიაქციონ: მაგრამ გირჩევ, მაინც შენთვის, ესე იგი, შენთვის და შენი ცოლისათვის დაიტოვო. ეს ისეთი სურათებია, სხვადასხვა მხრიდან სხვანაირი რომ გეჩვენება და რაც უფრო დიდხანს უყურებ, სილამაზე და ფერადოვნება ემატება. იცი, გოგენს ეს სურათები განსაკუთრებით მოეწონა; სხვათა შორის, მითხრა კიდეც: „ყვაეილები ამას პქვიაო!“ ყველამ თაეისი საქმე იცის: კეოსტი ბაღის ტუხტებს ხატავს, ჟანენი — პიონებს, მე — მზესუმზირებს. მოკლედ, გოგენს მომაეალშიც სიამოვნებით გადაეუცელი ნამუშევრებს, თუნდ ეს გაცელა ზოგჯერ ძვირი დამიჯდეს კიდეც. შენი მცირე ხნით სტუმრობის დროს ჯ-ნ ჟინუს[1] ყვითელი და შავი ფერებით დახატული პორტრეტი ხომ არ გინახავს? ეს პორტრეტი ორმოცდახუთ წუთში დაეხატე.

574. *28 იანვარი.* სულ ორიოდე სიტყვას მოგწერ, რათა უბრალოდ, შეგატყობინო: ჯანმრთელობის და ხატეის საქმე არც იქით არის და არც აქეთ. თუმც, პირდაპირ საკეირველია, ამ ერთ თეეში ისე მოეკეთდი. რა თქმა უნდა, ეიცი, რომ კაცმა შეიძლება, ხელი ან ფეხი მოიტეხოს, მერე კი ისეე კარგად გახდეს; მაგრამ ასეთი სულიერი შერყეეის შემდეგ გამოჯანმრთელებას არ ეელოდი. იმაზე ფიქრს, აბა, როგორ გაებედაედი, რომ ისეე კარგად გაეხდებოდი. ეს, მართლაც რომ, სასწაულია. თუმცა, ჩემს თაეს ეეკითხები: „კაცმა რომ თქეას, რა საჭიროა, რისთვის გაეხდი კარგად-მეთქი?“

იმედი მაქეს, არლში ყოფნისას გოგენის ოთახში ორ ნამუშევარს შეამჩნეედი — მზესუმზირებს (ზომა ისეე 30). ეს სურათები საეჭვით ზუსტად გაეიმეორე და ეს-ეს არის, დაეამთაერე. ახლანდელები, რა თქმა უნდა, იმ პირეელების ტოლფასია. ეგონებ, მოგწერე — ამას გარდა, მზადა მაქეს „ნანა“, რომელსაც სწორედ მაშინ ეხატაედი, აეად რომ გაეხდი. ამჟამად კი მისი მეორე ეგზემპლარი დაეამთაერე. ერთხელ გოგენს ამ სურათზე ეეუბნებოდი: რაკი მე და შენ ისლანდიელ მეთეეზეებზე, მათ ნაღეელსა და სიმარტოეზე, დღენიადაგ ზღეაში ყოფნაზე, უსიხარულო, ხიფათით საესე ცხოერებაზე ხშირად ესაუბრობთ, ამ გულთბილმა საუბ-

[1] არლის ეაგზლის კაფეს პატრონი.

რებმა ჩამაგონა, ისეთი რამ დამეხატა, ისლანდიის საპირებთან თაეთისათი სათევზაო გემის კუბრიკში მეზღვაურები წამებული, ჯვარცმული და, იმაედროულად, თითქმის ბაეშვური ხასიათის მქონე ხალხი, – როცა ამ სურათს შეხედაეს, გემის რწეეამ ის აკეთი მოაგონოთ, შიგ ოდესღაც რომ თაეადაც იწვნეს და ტკბილ სანას ისმესდნენ-მეთქი.

ახლა ორიეე ნამუშეეარი საბაზრო სურათს მომაგონებს. სარინჯისფერთმიანი ქალი მწვანე ქაბით მწვანე ფონზე ეარდისფერი ყვაეილებით გამოიყოფა. ყეელა არაპარმონიულ ფერს – მკეეთრ სარინჯისფერს, მკეეთრ მწვანეს და მკეეთრ ეარდისფერს – მწვანე და წითელი ბეემოლები უკარგაეს ძალას, აცხრობს, არბილებს. თეალწინ მიდგას: ეს სურათები მზესუმზირებს შორის კიდია და ყეელა ერთად, დაახლოებით, ერთი ზომის საკანდელეებს ანდა ჭაღებს ჰგაეს. სულ შეიდი თუ ცხრა სურათია. თუ მოდელი დაეითანხმე, ერთ ეგზემპლარს კიდეე დაეხატაე – პოლანდიისთეის.

აქ ჯერ ისეე ზამთარია. მაშ, მაცადე, ერთხანს მშეიდად ეიმუშაო. ხოლო თუ მერე დაერწმუნდებით, რომ ეს გიჟის ნახატებია, მით უარესი – ესე იგი, აღარ მოერჩები. თუმც, აუტანელ მოჩეენებებს ბოლო მოეღო, ახლა მხოლოდ კოშმარული სიზმრები მტანჯაეს. კალიუმის ბრომიდს ვსეამ და, როგორც ჩანს, ამან იმოქმედა.

ფულის თაობაზე ჯერ კიდეე მიჭირს მსჯელობა, მაგრამ ამას, როგორც ეტყობა, ეერ აეცდები, თანაც, ალბათ, დაწერილებით უნდა გითხრა ყეელაფერი. გათენებიდან დაღამებამდე სულმოუთქმელად ეშრომობ და ეშრომობ (თუკი ეს, მართლაც, შრომაა და არა გიჟის მოჩეენებები), რათა როგორმე დაგარწმუნო, რომ მე სწორედ მონტირელის კეალს მიეყვები და, რაც მთაეარია, ამ გზას გეინათებს ბრიიას მიერ მონპელიეში შექმნილი შუქურა – ეს გიგანტური, დიადი ქმნილება, – ბრიიას მიერ, ეინც სამხრეთში ფერწერის სკოლის დასაარსებლად ამდენი რამ გააკეთა. ამიტომაც ძალიან ნუ გაგიკეირდება, თუ შემდეგ თეეში, გარდა ჩემი ხელფასისა, დამატებით ცოტაოდენ ფულს კიდეე მოგთხოე. ბოლოს და ბოლოს, დაძაბული მუშაობის დროს, როცა მთელი სასიცოცხლო ენერგია მეხარჯება, უფლება მაქეს, ეიეარაუდო, რომ იმდენი მაინც მექნება, აუცილებელ შემთხეეაში წინასწარეე ეიღონო რამე. ეფიქრობ, ასეთ დროს დამატებითი ხარჯის გაწეეა შეიძლება. ამას გარდა, ერთხელ კიდეე გიმეორებ: ან გიჟის საკანში ჩამამწყედიონ, – თანახმა ვარ, დაემორჩილდე, თუ ეცდები და მართლა გიჟი ვარ, – ან მუშაობა დამაცადონ, ჩემებურად, მთელი ძალ-ღონის დაუშურებლად, – რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ზემონახსენებ ზომებს მეიღებ. თუ არ გაეგიედი, ერთ მშეენიერ დღეს, რასაც დაგპირდი, გამოგიგზავნი. რა თქმა უნდა, სურათები, ალბათ, ხელიდან ხელში გადავა; მაგრამ თუ შენ თუნდ ერთი წამით ყეელაფერს ერთად დაინახაე – ამ სურათების შენთეის ნეენება მე ხომ პირდაპირ ოცნებად მექცა, – თაეს ნებას მიეცემ, ეიფიქრო, რომ მოგეწონება.

გახსოეს, ლაფიტის ქუჩაზე რომ მეჩარჩოეის პაწაწინა ეიტრინაში ფორას კოლექციის სურათებს აკიდებდნენ? მაშინ თქეი – ოდესღაც აბუჩად აგდებული ეს მშეენიერი სურათები თურმე როგორი საინტერესო ყოფილაო. მაშ, ყური მიგდე, გულისხმადები უნდა გაგანდო: ჩემი დიდი სურეილია, როცა იქნება, შენთან ჩემი სურათების სერია დაგროედეს. ხოლო შემდეგ ეს სურათები, აი, სწორედ იმ ეიტრინაში რიგრიგობით

გამოიყვანოს. იუბერვალ-მარტში თუ მაროლა კარგად ვიმუშაკე, იმედი მაქვს, შარშანდელი ეტიუდების საქმაო ნაწილს გაეიმეორებ. ეს კი ზოგიერთ ნამუშევართან, ვთქვათ, „მკასა“ და „თეთრ ბაღთან“ ერთად, რომლებიც უკვე შესთავაზა, ჩვენს მომავალს საიმედო საძირკველს შეუქმნის. შენ ეს წლები სიღარიბეში გაატარე, რათა ჩემთვის ლუკმაპური არ მოგეკლო, მაგრამ იცოდე, ან ამ ფულს ნაგაბარებ, ან სულს უფალს მიეაბარებ...

შრომა მართობს და მეც სწორედ ეს მჭირდება. გუშინ აქაურ თეატრში ვიყავი, თეატრს „ფოლი არლეზიენს“ უწოდებენ – სულ ახალი გახსნილია. ეს იყო ჩემი პირველი ღამე, კოშმარები რომ არ მწვევია. პასტორალს (სპექტაკლი მოაწყო პროვანსული ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოებამ) თუ საშობაო წარმოდგენას უჩვენებდნენ – შუა საუკუნეების რელიგიური სანახაობის იმიტაციას. საგულდაგულოდ გაკეთებული დადგმა იყო, როგორც ჩანს, საკმაოდ ძვირიც დაჯდა. ბუნებრივია, ქრისტეს შობა წარმოადგინეს, სადაც ერთი პროვანსული გლეხის ოჯახის უწესო წევრთა კომიკური ამბავიც იყო ჩაქსოვილი. წარმოდგენაში ერთი რამ იყო მართლაც რემბრანდტის ოფორტებივით გასაოცარი – გლეხის ქალი, დედაბერი, ქალბატონ ტანგის რომ გაგახსენებდა, გრანიტივით, თოფის კაჟივით მაგარი გულის, ღვარძლიანი, ცრუ და ცბიერი. მთელი მისი შეცოდებანი გუშინდელი წარმოდგენის პირველ ნაწილში გადმოგვიშალეს. ამ ავსულმა დედაბერმა, ბაგასთან რომ მიიყვანეს, ჟღრიალა ხმით რაღაც სიმღერა წამოიწყო. თუმც, ეს ხმა მყისვე შეიცვალა – კუდიანის აკი ხროტინი ანგელოზის ნეტარ გალობად, ხოლო შემდეგ ბავშვის ტიტინად გადაიქცა, რასაც მალე კულისებიდან ქალის მთრთოლარე, მშვიდი, თბილი ხმა შეეპასუხა. ეს იყო საოცარი რამ, მაგრამ როგორც უკვე გითხარი, „ფელიბრებს“ იგი ძვირი დაუჯდათ.

აბა, აქედან ტროპიკებში რისთვის წავიდე. ხელოვნებისა, ტროპიკებში რომ შეიქმნება, ახლაც მჯერა და მომავალშიც მხარს დაუჭერ, ეიცი, ის, მართლაც, კარგი იქსება. პირადად მე კი იქ წასასელელად მეტისმეტად ბებერი ვარ. ხელოვნურიც ჩემში ერთობ ბევრი რამ არის (მით უმეტეს, პაპიემაშეს ყურს თუ მიეიბამ) და ტროპიკებში არ გამოვდგები. ნეტავ გოგენი წავა თუ არა? დამიჯერე, არ არის საჭირო. თუკი ასეთ ხელოვნებას დაბადება უწერია, თავისთავადაც დაიბადება. ჩვენ ყველანი მარტოოდენ ერთი ჯაჭვის რგოლები ვართ. ჩვენცა და ჩვენმა კეთილმა გოგენმაც ეს კარგად ვიცით. და თუ ოდნავ შეშლილები ვართ, დავ, ასე იყოს: ამას გარდა, ჩვენ ხომ იმდენი ხატვაც ვიცით, ფუნჯის შეოხებით, ჩვენს ნორმალურობაში დაეჭვებულთ, შიში საესებით გაეფანტოთ. ამას გარდა, ძალიან მალე ნერვული აშლილობა, კოშმარები, ფილენჯის ქარი ან რაიმე ამდაგვარი უკლებლივ ყველას დაემართება. მაგრამ განა ქვეყანაზე ამ შხამების წინააღმდეგ აღარაფერი გვეგულება? აბა, ვინ არის დელაკრუა, ბერლიოზი ანდა ვაგნერი? იმას არ ვამბობ, რომ მხატვრები სულიერად ჯანსაღნი ვართ, განსაკუთრებით ამას ჩემზე ვერ ვიფიქრებ – მე სიგიჟე ძალ-რბილში მატანს, მაგრამ იმას კი ვამტკიცებ, რომ ჩვენ ისეთი შხამსაწინააღმდეგო წამლები გვაქვს, საკმარისია, მოვინდომოთ და სნეულებას მართლა ვაჯობებთ.

ნახე პიუვი დე შავანის „იმედი“.

575. *30 იანვარი.* სათქმელი ისეთი არაფერი მაქვს. მაგრამ მინდა შეგატყობინო წინა ორშაბათს ჩემი მეგობარი რულენი ესახე. ამ დი-

ლას გოგენის მეგობრული წერილი მიეიღე. მაშინათვე ეუპასუხე. ის-ის იყო, „მზესუმზირების“ ხელმეორედ ხატვას მოვრჩი, რულენი რომ შემოვიდა. ორიეე „ნანა“ რულენს სწორედ ამ ყვავილების ითხი თაიგულის ფონზე ვაჩვენე... საშინელი დაღლილობის მიუხედავად, უოსტალიოხს მოთმინება აღარ ეყო და არლში ოჯახის სანახავად წამოვიდა. ჩემი კარი რომ შემოაღო, გაფითრებული მომჩერებია, ლამის ფეხზე მდგარს ეძინებოდა. თავისი ცოლის პორტრეტიც ვაჩვენე (ცხადია, ორიეე ეგზემპლარი), რითაც ნამდვილად გაეახარე.

მარწმუნებენ, ახლა ბევრად უკეთ ხარო. საოცრად ელელაე, გული საესეა იმედებით – ჩემი ასეთი გაჯანმრთელება თავადეე მიკვირს. ყველანი – ჩემი მეზობლები და ა.შ. – გულკეთილად და თავაზიანად მეჯვრობიან. ამის გამო სამშობლოში მგონია თავი. ეიცი, აქ ბევრი სიამოვნებით დამიკვეთდა თავის პორტრეტს, მაგრამ ვერ ბედავს: თუმც რულენი მხოლოდ წერილი მოხელე იყო, ღარიბი კაცი, მაგრამ აქ ძალზე პატივს სცემდნენ; პოდა, ხალხმა უკვე იცის, მისი ოჯახის ყველა წევრი დახატული რომ მყავს.

დღეს მესამე „ნანა“ დავიწყე. ცხადია, მესმის, რომ ეს სურათი ვერც ფერით და ვერც ნახატით ისე სწორი ვერ იქნება, როგორც ბუგროს ნამუშევრებია; ეს ამბავი თითქმის მწყინს კიდეც, რადგან ახლა მართლა მინდა, სწორად ეხატავდე. ცხადია, ჩემი ნამუშევარი ვერც ბუგროს და ვერც კაბანელს ვერასოდეს დაემსგავსება, მაგრამ იმის იმედი კი მაქვს, რომ ფრანგულ სულს აქ უთუოდ ყველა იგრძნობს.


დღეს საუცხოო, უქარო და მშვიდი დღე იყო. მუშაობა ისე მომწონდა, თავად გაეოცდი: მეგონა, ამის უნარი დაეკარგე-მეთქი. ამ წერილსაც იმით ვამთავრებ, რითაც გოგენთან გაგზავნილი წერილი დავამთავრე: ცხადია, ჩემს ნამუშევრებში აღვწერება და მეტისმეტი მღელვარება კვლავაც იგრძნობა, მაგრამ რა არის გასაკვირი – ამ მშვენიერ ტარასკონში სრულ ჭკუაზე არავინ არის.

576. *3 თებერვალი.* მუშაობის მხრივ, ეს თვე, საერთოდ, კარგი იყო. მე კი შრომა ნამდვილად მართობს, უფრო სწორად, გასაქანს არ მაძლევს, თავი მიეუშვა. ამიტომაც უნდა ეხატო, სხვა გზა არა მაქვს. „ნანა“ სამჯერ გავიმეორე. რაკი მოდელი ქალბატონი რულენი იყო, მას და მის ქმარს ნება დაერთე, იმ სამიდან რომელიც სურდათ, აერჩიათ, იმ პირობით, რომ იმ არჩეულს მერე ჩემთვისაც დაუხატავდი. ამჟამად სწორედ ამას ვაკეთებ.

მკითხები, მისტრალის „მირეი“ წაიკითხე? შენი არ იყოს, მეც თარგმნილი ნაწყვეტების მეტს სხვას ვერაფერს წავიკითხავდი. მაგრამ იქნებ ყური მოგიკრავს – ანდა იქნებ ზუსტადაც იცი, – თითქოს გუნოს ამ ნაწარმოებზე მუსიკა შეექმნას? მარწმუნებდნენ, ასეაო. გუნოს მუსიკას, რა თქმა უნდა, ვერ მოვისმენდი: ხომ იცი, რომ ყურს მაინც ვერ დავუგდებდი – მუსიკოსების თვალიერება გამიტაცებდა. დამიჯერე, აქაური კუთხური სიტყვები, როცა ამ სიტყვებს არლელი ქალები წარმოთქვამენ, უჩვეულოდ მუსიკალური მეჩვენება.

შესაძლოა, „ნანა“ ერთგვარი სუსტი ცდაც არის ფერებით მუსიკის გადმოცემისა; თუმც, სურათი ცუდადაა დახატული და ტექნიკის მხრივ ფერად საბაზრო სურათებზე დაბლაც კი დგას.

ეგრეთ წოდებული სახელოვანი ქალაქი არლი უცნაური ადგილია და ჩვენს მეგობარს, ჩვენს კარგ გოგენს საფუძველი აქვს, მას „სამხრეთის



ერთი ყველაზე მიგდებული და ჯუჯყიანი ქალაქი" უწოდოს. აქაურები რიეეს რომ ენახა, უეჭველად შეძრწუნდებოდა, მათზედაც სწორედ იმას იტყოდა, რასაც ჩვენზე: „თქვენ ყველანი აეად ხართო". თუმცა, ეისაც თუნდაც ერთხელ აქაური სენი შეპყრია, მეორედ ეღარ შეეყრება. ამით, ცხადია, იმის თქმა მინდა, რომ ილუზიებს არ აეყოლიეარ. ახლა თითქმის კარგად ვარ და ექიმების ყველა რჩევას უსათუოდ შეეასრულებ, მაგრამ... როცა კეთილმა რულენმა საავადმყოფოდან წამომიყვანა, მეგონა, არაფერი მომსელია-მეთქი; გეიანღა მიეხედი, აეად რომ ვარ. რა გაეწყობა!

ზოგჯერ, უბრალოდ, აღტყინება შემომიტევს, აღტყინება თუ რაღაც სიგიჟე. ანდა ბერძენ პითიასაეით თითქოს ქადაგის წინათგრძნობა მომეძალება, ლაპარაკის გუნებაზე დავდგები და არლელი ქალიეით უჩეეულოდ ბეერს ეჭაჭანებ, მაგრამ თანაც ძალზე ესუსტდები. იმედია, ძალღონეს მალე დაეიბრუნებ, მაგრამ რეი კი გაეაფრთხილე, როგორც შეეამჩნევ, სნეულებამ ისეე თაეი იჩინა-მეთქი, მასთან ან ეკსის ფსიქიატრებთან თეითოონეე მიეალ... თუ გოგენი, რომელსაც ჩემი „მზესუმზირები" აგრერიგად შეპყეარებია, ამ ორ სურათს გამომართმეეს, მაშინ ან შენ, ან შენს საცოლეს თაეისი ორი – თანაც არც ისე ცუდი სურათი, უნდა დაგითმოთ. და თუ „ნანას" რომელიმე ეგზემპლარს აიღებს, მაშინ, მით უფრო – რაიმე კარგი ნამუშეეარი უნდა მოგეცეს.

სხეანაირად მე ეერ შეეძლებ იმ სერიის დამთაერებას, რომელზედაც უკეე გწერდი და რომელიც ჩეენთეის ცნობილ იმ პატარა ეიტრინაში საწილ-ნაწილ უნდა გამოჩნდეს. რაც შეეხება „დამოუკიდებლებს", ჩემი აზრით, ექსი სურათი ძალზე ბეერია. ეგონებ, „მკა" და „თეთრი ბაღი" საესებით კმარა. თუ გსურს, ამას, შეიძლება, „პროეანსელი გოგონა" ანდა თუნდაც „მთესეელი" დაემატოს. თუმცა, ჩემთეის სულ ერთია. მე ხომ ძალზე ცოტა რამ მინდა – ერთ მშეენიერ დღეს ჩემი ფერწერით

იქნებ თეო გავახარო, იქნებ ასე, ოცდაათამდე სერიოზული ეტიუდი ვაჩვენო-მეთქი. ეს ჩვენს მეგობრებს გოგენს, ბერნარს, გიიომენს, სხვებსა და სხვებს დაუმტკიცებს, რომ ჩვენ, მართლაც, საკოფიერად ეიმუშაეეთ. ყეიოელ სახლზე კი, აბა, რა გითხრა. რაკი საიჯარო ქირა მიეცი, სახლის პატრონის მოურავი თავაზიან კაცად იქცა. ისე მექცეეა, როგორც ნამდვილ არტელს სჩვევია, ესე იგი, როგორც ტოლი ტოლს. ამიტომაც გავაფრთხილე – ხელშეკრულება არ მჭირდება, არც წერილობითი ვალდებულება, და თუ ისეე ავად გავხდები, საიჯარო ქირის საკითხი მეგობრულად მოგვარდეს-მეთქი. აქაურებს სიტყვის შესახეა შეუძლიათ. სიტყვიერი შეთანხმება წერილობითზე ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. მაშასადამე, სახლი ერთხანს ისეე მე მრჩება. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი ამბაეია: სულიერი წონასწორობის აღსადგენად ჩემთვის უთუოდ საჭიროა, ეგრძნობდე, რომ შის ეარ, საკუთარ სახლში...

როცა კაცი სერიოზულად აეადაა, იგიეე სენი ხელმეორედ ეერ შეეჯრება. ჯანმრთელობა და აეადმყოფობა ისეა, როგორც სიბერე და სიყმაწეილე – თუკი დასნეულდი, ეეღარაფერი გამოგაკეთებს, ისეეე როგორც, მოხუცებული ეეღარასოდეს გაჭაბუკდება. ოღონდ იცოდე, ეცდილობ, ექიმის ყეელა რჩეეა შეეასრულო, ესეც ჩემს ვალად მიმაჩნია, ესეც ჩემი სამუშაოს ნაწილს შეადგენს. მეზობლები ძალიან კარგად მექცეეიან: აქ ხომ ყეელას რაღაც აწუხებს – ზოგს – ციება, მოჩეენებები, ზოგს სიგიჟე. ამიტომაც ერთმანეთისა ისე ესმით, როგორც ერთი ოჯახის წეერებს. გუშინ სწორედ ის ქალიშეილი ეინახულე, ეისთანაც წაეედი, როცა სიგიჟემ მომიარა. მან თქვა, რაც შენ დაგემართა, აქ, საერთოდ, ჩეულებრიეი ამბაეია, მეც ასე ეიყავი, გონებაც კი მეკარგებოდა, მაგრამ მერე ყეელაფერმა გამიარაო. ახლა მას ყეელა ძალზე კარგად იხსენიებს. მაგრამ იმის თქმა, თითქოს საკვებით კარგად ეიყო, რა თქმა უნდა, არ შეიძლეება. იმაეე სენით შეპყრობილმა არტელებმა ყეელაფერი კარგად ამიხსნეს: ავადმყოფმა შეიძლება სიბერესაც მიაღწიოს, გონება კი დროდადრო მაინც წაერთმეეათ. მაშ, ნუ მეტყეი, რომ ავად არა ეარ ან ამის მეტად ცუდად აღარ გახდებიო.

577. *თებერვალი.* უმეტესად ისე ეარ, როგორც ჩეულებრიეი, ნორმალური ადამიანი. მართალი გითხრა, ასე მგონია, ავად მხოლოდ იმიტომ ეარ, აქ რომ ეიმყოფები, და ეიდრე ყეელაფერი გამიელიდეს – თუნდაც შეტეეა განმიახლდეს (რაც, ჩემი აზრით, არ მოხდება), უნდა მშეიდად ეიცადო-მეთქი. მაგრამ მინდა, შენც იცოდე და ბატონ რეისაც ასე ეუთხარი: თუ ოდესმე ჩემი ეკსში გადაყეანა საჭირო გახდა, გადამიყეანეთ, წინასწარეე გემორჩილებით. მაგრამ რაკი მხატეარი ეარ და რაკი ეშრომობ, ეერაეინ – თუნდაც შენ და ექიმი, – თუ წინასწარ არ გამაფრთხილებთ, თუ აზრს არ მკითხაეთ, ასეთ ნაბიჯს ეერ გადადგამთ: მუშაობის დროს სულიერი წონასწორობა, ჯერჯერობით, არ დამიკარგაეს, მაშასადამე, თაეადეე უნდა გადაეწყეიტო (ანდა ეთქეა მაინც), რა მირჩეენია – აქ დარჩენა, სადაც ჩემი სახელოსნოა, თუ ეკსში წასელა. ყეელაფერ ამას იმიტომ ეამბობ, გადასელისა და გადაბარგების ხარჯები მინდა აეიცდინო. გადასელაზე კი მხოლოდ მაშინ დაეთანხმდები, თუ სხეა ს'აეელი არ გამოჩნდება.

ეგონებ, აქ რაღაც ლეგენდა დადის, რომელიც ხალხს ფერწერის შიშს ჩააგონებს – ქალაქში ამას ყეელა აშკარად ლაპარაკობს. რა უჭირს მერე – როგორც ეიცი, ასეთი რწმენა არაბებსაც აქეთ, მაგრამ, ამის

მიუხედავად, აფრიკაში ბევრი მხატვარი მოღვაწეობს. მარილის არ ეამბობა? მაშ, თუ სიმტკიცეს შეინარჩუნებ, შეიძლება, ასეთ ცრურწმენას მოერიო, ანდა იქნებ ის მაინც შეძლო, ყურადღება არ მიაქციო და შენთვის ხატო. უბედურება მხოლოდ ის არის, პირადად ჩემზე ირგელიე მყოფი ხალხის რწმენა რომ მუდამ უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს და სიმართლის იმ მარცვალზე, რასაც შეიცავეს ყოველგვარი უაზრობა, არ შეშიძლია, გაეციცინო.

გოგენიც რომ ამ მხრივ მე მგავს, ალბათ, მალე დარწმუნდები. არლში ყოფნისას აუტანელმა მოუსვენრობამ ისიც შეიპყრო. მაგრამ მე ხომ ამ მხარეში წელიწადზე მეტხანს ვიცხოვრე და ყოველგვარი სისაძაგლე, რის თქმაც ჩემზე, გოგენზე და ფერწერაზე შეიძლებოდა, ჩემივე ყურით გაეგონე. მაშ, რად არ ძალმიძს, მშვიდად შევხედე ყოველივეს, რატომ ვერ მითქვამს, რაც იქნება, იქნება-მეთქი? გული უარესს ხომ არ მიგრძნობს? გიჟის საკანი ხომ არ მელის, სადაც ორჯერ უკვე მოვხედი?

არლში დარჩენა, პირველ რიგში, იმით არის სახარბიელო, რომ აქ, როგორც რიეე იტყოდა, თითქმის „ყველა სნეულია“ და ამის გამო მარტო არა ვარ. გარდა ამისა, კარგად იცი, რომ არლი ძალიან მიყვარს, თუმც, გოგენი მართალია, როცა ამბობს, მთელ სამხრეთში არლი ყველაზე ჭუჭყიანი ქალაქიაო. აი, კიდევ რა – მეზობლებმა, ბატონმა რეიმ, საავადმყოფოში გაცნობილებმა იმდენი სიკეთე მაგრძნობინეს, არ ვაჭარბებ, როცა ვამბობ, რომ სამუდამოდ აქ დარჩენა უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე სიკეთის დაეწყება, სწორედ იმ ხალხის გულში რომ არის დაფარული, რომელთაც ასეთი მცდარი აზრი აქვთ მხატვრებსა და ფერწერაზე, ანდა, თუნდაც ის ნათელი წარმოდგენა არ გააჩნიათ, რაიცა ჩვენ. დაბოლოს, აქაურ საავადმყოფოში უკვე მიცნობენ და ზნემ თუ ისევ მოშიარა, ყველაფერი უხმაუროდ მოგვარდება – საავადმყოფოს პერსონალმა უკვე იცის, როგორ მომექცეს. სხვა ექიმებთან მისვლა კი არ მსურს და არც მჭირდება.

რასაც ეხარჯავთ, ჩემივე ხელით მოვიპოვო – ამის მეტი არა მინდა რა. იმ ამბის შემდეგ, რაც აქ შემემთხვა, არლში ჩამოსვლას ვეღარავის ვაიძულებ: ვაითუ ისინიც, ჩემსავით შეიშალონ. ეს ეხება დე პაანსა და ისააკსონსაც. ჯობს, ისევ ანტიბში, ნიცაში ან მენტონში წავიდნენ, ალბათ, იქ უფრო ჯანსაღი პაჟაა.

578. *22 თებერვალი.* აქ ახლა მზიანი ამინდებია, მაგრამ ქარი ქრის. გარეთ ძალიან დიდხანსა ვარ, ღამით კი ჯერაც საავადმყოფოში ვიძინებ ხოლმე; სადილობითაც იქვე ვსადილობ. გუშინ და დღეს შეეცადე, მემუშავა. რულენის ცოლიც გაემგზავრა – იგი ერთხანს სოფლად, დედასთან აპირებს ყოფნას, – „სანაც“ თან წაიღო. ამ სურათის ჩანახატი და ორი ასლი გაეაქეთე. ქალბატონ რულენს მახეილი თვალი აქვს – საუკეთესო ეგზემპლარი ამოარჩია; მაგრამ ახლა ამ ეგზემპლარს ვიმეორებ, თანაც ეცდილობ, ორიგინალზე საკლები არ იყოს...

ბერნარმაც მომწერა, მაგრამ ჯერაც ვერ ვუპასუხე, რადგან ახსნა სიძნელეთა ხასიათისა, რომელთაც აქ წააწყდები, ერთობ ძნელია: ჩრდილოელი ან პარიზელი ჩვენნაირი ჩვეულებისა თუ აზროვნების ადამიანი ამ მხარეში რომ დასახლდება, მოულოდნელად არცთუ ისე სასიამოვნო ამბებს შეხედება. რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, ყოველ ქალაქს საკუთარი ფერწერის სკოლა აქვს და ფერწერის შემფასებელნიც საკმაოდ პყავს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებაა, რადგან მათი მეთაურები გონე-

ბაჩლუსგი, ხელოვნებაში ხელმოცარული და ბნელი ხალხია... აქაური ჩვეულებების უაზრობაზე, უცნაურ და ახირებულ ხასიათზე სხვა დროს, ალბათ, ბევრს ვიცინებდი, მაგრამ ახლა კომიკური შთაბეჭდილება როდი მექმნება. თანაც მე ხომ ყოველივეს მტკივნეულად და მწვაველ განვიცდი. საერთოდ კი, მეტ-ნაკლებად შეშლილ მხატვარს იმდენს ვიცნობ, ამაზე ფიქრი თანდათანობით გულს მიმშვიდებს. ცხადია, ახლა განსაკუთრებით კარგად მესმის, გოგენი როგორ იტანჯებოდა, ტროპიკებში რომ იგიეე სენი შეეყარა – შეგრძნებები რომ მეტისმეტად გაუმახვილდა. საავადმყოფოში ერთი სნეული ზანგის ქალია – დარჩენილა და დამლაგებლად დაუწყია მუშაობა. უამბე გოგენს ეს ამბავი. ჩემზე ბევრი არ იფიქრო, გთხოვ, ნურაფერს აიკვიატებ – მშვიდად თუ გიგულვებ, გონზე უფრო მალე მოვალ. ხელს მაგრად გართმევ, ისევ პარიზში გადმოსვლა რომ შემომთავაზე, მასიამოვნე, მაგრამ ამჟამად დიდი ქალაქის ალიაქოთმა, არა მგონია, ჩემზე კარგად იმოქმედოს.

579. *19 მარტი.* შენს თბილ წერილში იმდენი ძმური სიყვარულია, ჩემმა ამბავმა თურმე ისე შეგაშინა, სხვა გზა არ არის, დუმილი უნდა დაეარღვიო. გწერ სავსებით გონზე მყოფი, ისეთი, როგორსაც მიცნობ, და არა სულით ავადმყოფი. აი, რა მოხდა. ზოგიერთმა აქაურმა მაცხოვრებელმა ქალაქის მერთან (ეგონებ, გვარად ტარდიეა) განცხადება შეიტანა (განცხადებას ხელს აწერდა 80-ზე მეტი ადამიანი)*, რომ ასე თავისუფლად ცხოვრების ნება არ უნდა მომცენ, და სხვა ამგვარი. ამის შემდეგ, ვერ გაიგებ, აქაურმა თუ ოლქის პოლიციის კომისარმა, განკარგულება გასცა, ისევ პოსპიტალში წაიყვანეთო. ერთი სიტყვით, აი, უკვე მრავალი დღეა, გამოკეტილ საკანში ვზივარ და მსახურები თვალს მადევნებენ. თუმცა, ჩემი შეშლილობა დამტკიცებული არ არის და ვერც ვერაფინ დაამტკიცებს. რა თქმა უნდა, გულნატკენი და სულის სიღრმემდე შეძრული ვარ ასეთი მოპყრობით, მაგრამ ისიც გასაგებია, რომ თავს სხვების დასანახავად აღშფოთების ნებას არ მიეცემ: ასეთ დროს ჩხუბი და თავის მართლება დანაშაულის აღიარება იქნებოდა.

ოლონდ გაფრთხილებ: ჩემს გამოხსნას ნუ შეეცდები: ჯერ ერთი, არ მსურს, ასე მოიქცე, რადგან მჯერა, ბრალდებას თვითვე მომიხსნიან. გარდა ამისა, ჩემი აქედან გამოყვანა ძნელი საქმეა. თუ ჩემს ბოლმას გასაქანს მიეცემ, გიჟად შემრაცხვენ. ხოლო თუ მოვითმენ, მღელვარება ისედაც მძიმე სნეულებას კიდევ უფრო გამიმწვავებს. თუმც, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ასე არ მოხდება. აი, რად გთხოვ, არაფერში ჩაერიო – რაც მოსახდენია, თავისით მოხდეს. შენი ჩარევა საქმეს მხოლოდ არევ-დარევს, მით უმეტეს, რომ ახლა მშვიდად ვარ, მაგრამ ახალი განცდების გამო, შესაძლოა, შეტევა ისევ გამიმეორდეს. ცხადია, იოლად წარმოიდგენ, რა თავზარი დამეცემოდა, როცა გაიგე, რომ ჩემ ირგელიე თურმე ამდენი არამზადაა თავმოყრილი – შეუძლიათ, ყველანი ერთ კაცს წაესიონ და ისიც, სნეულს. მოკლედ, გახსოვდეს, მართალია, მძიმე შეტევა გადავიტანე, მაგრამ ვცდილობ, როგორმე თავი შევიმაგრო, ბრაზს არ ავყვე. გარდა ამისა, გადატანილმა შეტევებმა დამარწმუნა, რომ საჭიროა მორჩილება. ამიტომაც გადავწყვიტე, მოვითმინო. გიმეორებ, ჩვენთვის ყველაზე მთავარია, რომ შენ სიმშვიდე შეინარჩუნო, საქმეები არ მიატოვო. ყველაფერს შენი ქორწილის შემდეგ გამოვარკვევთ, ახლა კი თავი დამანებე, ასე ვჯობებს.

ბატონი მერიც და კომისარიც მხარს მიჭერენ. ვიცი, არაფერს დაიშუ-

რებეს, ოღონდ ყველაფერი კარგად დამთავრდეს. საერთოდ, აქ ცუდად არა ვარ, თუმც, რა თქმა უნდა, თავისუფლება შენატრება და, ამას გარდა, კიდევ ბევრი რამე მაკლია. სხვათა შორის, მათ ეუთხარი, რომ ჩვენ ხარჯების თავი არა გვაქვს, უფულოდ კი ვერსად წავალ. ისიც ეუთხარი, რომ აი, უკვე სამი თვეა, არ ვმუშაობ, თუმც, შემეძლო, მემუშავა, ხელს თუ არავინ შემიშლიდა, თუ ნერვებს არავინ დამაწყვეტდა.


დედა რასა იქმს? ან ჩვენი და როგორ არის? რაკი გასართობი არაფერი მაქვს – მოწვეის უფლებასაც კი არ მაძლევენ, თუმც ეს დანარჩენ პაციენტებს არ ეკრძალებათ, – რაკი საქმეც არაფერი მაქვს, თუკი ოდესმე ვინმე მცნობია, დღე და ღამე იმათზე ვფიქრობ. რა დარდში გამხვეულ! – ვერავინ კი ვერ მიპასუხებს, რატომ და რისთვის!


არ დაგიმალავ, მერჩიენა, სული ამომხდომოდა, ოღონდ ამდენი უსიამოვნო ამბის მიზეზი ნუ ვიქნებოდი – როგორც სხვებისთვის, ისევე ჩემთვის. აბა, რას იზამ! იტანჯე და არ დაიჩიენო – ამ ცხოვრებაში საჭიროა, ეს იცოდე, სხვა არაფერი.

აი, კიდევ რა: თუ ფერწერას დავუბრუნდი, ბუნებრივია, სახელოსნოც და მთელი მისი მოწყობილობაც კვლავ დამჭირდება. პოდა, ამიტომ სახელოსნოზე ხელის აღება არ შეიძლება – ჩვენ იმდენი ფული ვინ მოგვცა, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. კვლავ სასტუმროში ცხოვრება კი ჩემი საქმისთვის არ ივარგებს; ერთი სიტყვით, მუდმივი ბინა უნდა მქონდეს. თუ ძვირფასი არლეკინი კვლავ მიჩიენებენ, მეც ვუჩიენებ; მაშინ სხვა გზა არ ექნებათ, უნდა მოერიგდეთ – ესე იგი, ის ზარალი, რაც თავიანთი უმეცრებით მომაყენეს, უთუოდ უნდა ამინაზღაურონ. თუნდაც მარტლა შევშლილიყავი – რაც შეუძლებლად არ მიმაჩნია, – სხვაგვარად უნდა მომქცეოდნენ: სვირნობის, მუშაობის გასაქანი უნდა მოეცათ და ა.შ. ამ პირობებში მათი მორჩილი ვიქნებოდი.

მაგრამ საქმე ჯერ აქამდე არ მისულა, – რომ მომასვენებდნენ, კარგა ხნის წინ მოკვეთდებოდი. მსაყვედურობენ, სწვევი და სვამდიო, მაგრამ სწორედ არამსმელი ხალხისგან მჭირს ამდენი უბედურება. ძვირფასო ძმაო, სხვა გზა არა მაქვს, ამ ჩვენს პირად, პაწაწინა სადარდებლებზედაც, საკაცობრიო ტკივილებზედაც მხოლოდ და მხოლოდ უნდა ვიცინოთ. ყოველივეს ვაქაცურად შევურიგდეთ და საკუთარ გზაზე მტკიცედ ვიაროთ. თანამედროვე ცხოვრებაში ჩვენ, მხატვრები, დაღუპულნი ვართ. როგორ მინდა, სურათები გამოვიგზავნო, მაგრამ რა ექნა, ყველაფერი ჩაკეტილშია, ირგვლივ მხოლოდ ურდულებს ეხედავ, პოლიცია და მსახურები მახვევია. ხსნას ნუ ეცდები, ყველაფერი უშენოდაც მოგვარდება. ეს ამბავი სინიაკს აცნობე, მაგრამ უნდა გააფრთხილო, ვიდრე კიდევ რამეს არ მოგწერთ, ნურაფერში ჩაერევა – კრასნანის ბუდეს ხელი რომ წაატანო, ეს იმასა ჰგავს.

ეს წერილი ბატონ რეის მთლიანად უნდა წაეუკითხო. რეი არაფერ შუაშია, მაშინ ავად იყო. წერილს უთუოდ ისიც მოგწერს. ჩემი სახლი პოლიციას დაულუქავს. თუ ერთ თვეში ჩემი ამბავი უშუალოდ მე არ გაცნობე, მაშინ, როგორც გსურს, ისე მოიქეცი; ვიდრე გწერ კი, მოიცადე. ბუნდოვნად მახსოვს, დაზღვეული წერილი რომ მომიტანეს; შენი იყო, უნდოდათ, ხელი მომეწერა; არ მოვაწერე, ვინაიდან ხელმოწერაზე ერთი ამბავი ამიტეხეს, ხოლო მერე ამ წერილისა აღარაფერი გამიგია. ბერნარს უთხარი, რომ არ შემეძლო, მისთვის პასუხი მომეწერა: წერილის წერა ამ პირობებში პრობლემაა, ფორმალობას ასე ციხეშიც არავინ





დაიცავს. სოხოეე, გოგენს ჩემ შესახებ მოეთათბიროს და ჩემ მაგიერად ხელი მაგრად ჩამოართვი... ალბათ, არ უნდა მომეწერა ეაითუ სახელი გაგიტეხო და იმ საქმეში, რომელიც ახლა ჩვენთვის ყველაზე მთავარია, ხელი შეგიშალო. ნუ იღელვებ, ყველაფერი მოგვარდება ასეთ აშკარა უაზრობას, არ შეიძლება, ბოლო მალე არ მოეღოს.

იმედი მქონდა, რეი ჩემთან შემოიქცეოდა და წერილის გამოგზავნამდე მასთან საუბარს მოეასწრებდი, მაგრამ არ ჩანს, თუმც შეეუოვალე, გელით-მეიქი. ერთხელ კიდევ გთხოვ, ურთხილად იყავი: ხელისუფალთ რომ საჩიეარს წარუდგენ, ეს ხომ იცი, რასაც ნიშნავს! მოიცადე, თუნდაც ვიდრე პოლანდიიდან დაბრუნდებოდე. ცოტა არ იყოს, მეშინია: როცა გამოეალ, ვინმემ რომ შეურაცხყოფა მომაყენოს ან მაწყენინოს, თავშეკავებას, ალბათ, ვერ შევძლებ. ხალხი კი ამით დაუყოვნებლივ ისარგებლებს: მერთან გაგზავნილ განცხადებაზე თვალს ვერ დახუჭავ, ისეთი ფაქტია. ამის პასუხად გადაჭრით განეაცხადე, სიხარულით წაეალ და წყალში გადავეარდები, ჩემს სათნოებით საესე მომჩივანთ თუკი ამით სამუდამო ბედნიერებას მივანიჭებ, მაგრამ ჭრილობა საკუთარ თავს მივაყენე, სხვა ხომ არავინ დამიჭრია, სხვისთვის ხომ არაფერი მიქნიამეთქი, და ა.შ. ერთი სიტყვით, საჭიროა, ყოჩაღად ვიყოთ, თუმც ხანდახან სასოწარკვეთა ჩემს გულშიაც ისადგურებს. ღმერთმანი, ახლა შენი ჩამოსელა მდგომარეობას კიდევ უფრო გაამწვაებს. მე კი, როცა შესაძლებლობა მომეცემა, წაეალ აქედან.

ეს წერილი, ალბათ, შენამდე იმ სახით მოაღწევს, როგორც საჭიროა. ნუ იწუხებ – უკვე მშვიდად ვარ. დაე, ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის. ერთხელ მომწერე, მაგრამ მეტად ჯერჯერობით ნუღარ მომწერ. მოთმინება – აი, ძალას რა შემმატებს, მომაეალი შეტევისაგან რა დამიფარავს. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა თაეზარი დამცა: გულწრფელად, მთელი სულით და გულით ეცდილობდი ხალხთან დამეგობრებას და ამის მსგაესს არას ველოდი.

ნახეამდის, ეფიქრობ, მალე გნახავ, ძვირფასო ძმაო. ნუ იღელვებ. იქნებ დროებით სულაც მხოლოდ კარანტინში მომათაესეს და სხვა არაფერი.

580. შენს მოსაზრებას საესებით ვეთანხმები, თავადაც სწორედ ასე ვფიქრობ. ახალი ბევრი არაფერია. ბატონი სალი, როგორც ჩანს, ცდილობს, სადმე, ქალაქის სხვა ნაწილში მიშოეოს ბინა. კეთილი. მაშინ იძულებული აღარ ვიქნები, დაუყოვნებლივ გაეემგზაერო, თავშესაფარი მექნება და მარსელში ანდა მარსელს იქითაც შევძლებ წასელას, უკეთესი ადგილის ნახვას. ბატონი სალი განირჩევა არსლებისგან: კეთილი კაცია, გულითადი, თავდადებული. ჯერჯერობით, ახალი მეტი არაფერია. თუ აქ წერილს მოიწერები, ეცადე, იქნებ მოახერხო, ქალაქში მაინც გამიშვან ხოლმე. თუ არ ეცდები, გიჟი არა ვარ – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. აი, ნახავ, ცნობიერების დაბრუნების ჟამს დახატული სურათები მშვიდია და ადრე შექმნილ ნამუშევრებს არ ჩამორჩება. შრომა არ მღლის, პირიქით, მინდა, მეტი ეიშრომო.

თუ სინიაკი როგორმე აქეთ გამოიელის, მისი ნახეა, ცხადია, ძალზე გამიხარდება. მაშინ, ალბათ, საჭირო გახდება, მასთან ერთად ქალაქში გამიშვან – სურათები მინდა, ეარვენო. ურიგო არც ის იქნებოდა, თუ ქალაქში გაეიელიდით და ჩემთვის ახალ თაეშესაფარს მოეძებნიდით. მაგრამ რაკი ეს ყოველივე ნაკლებადაა მოსალოდნელი, მარტოოდენ ჩემს

სანახავად არ ღირს ჩამოსვლა. შენს წერილში ყველაზე მეტად ის აღგიწერია, სადაც ამბობ, საჭიროა, ილუზიებს შეეშვაო. შენი ხელიდან უნდა მიიღო, როგორც რამე წინასწარ გადაწყვეტილი. ეს არის და ეს. ეჭვიანობ, რადგან მინდა, წერილი პირველ მიიღო. თუმც, კეირამდე, ალბათ, მაინც ვერ მიიღებ და ესე იგი, სინიაკსაც ველარ მოუსწრებს. მაგრამ რა ექნა, ჩემი ბრალი არ იქნება.

ამის გარდა არაფერს ვითხოვ: ის ხალხი, ვისაც სულ არ ვიცნობ, ვისი გვარიც კი არ გამიგია (მათ ხომ ყველა ზომა იხმარეს, რომ არ მცოდნოდა, ვინ დაწერა ის განცხადება), ჩემს საქმეებში არ ერევიან, მუშაობაში ხელს არ მიშლიდნენ. დამაცადონ, მშვიდად ვიძინო, ესვა და ეჭამო, ხანდახან კი სამეძაოშიც შევიარო (მე ხომ უცოლო ვარ). მაგრამ ისინი ყველაფერში ერევიან. ასეთ ხალხზე მაინც მხოლოდ გაიცინებდი, რომ არ ვიცოდე, ჩემს უნებურად რა საწყენ საქმეს დაგმართებ ხოლმე – უფრო სწორად, მე კი არა, ისევ ისინი – რომ ეს ამბავი ჩემს საქმეებს არ აუერხებდეს და ა.შ. თუ ასეთი მღელვარება კიდევ შემხვედება, ის დროებითი სულიერი აშლილობა, შესაძლოა, ქრონიკულ სენად გადამექცეს.

ჩემი აზრით, მომკელის საქმეც კარგადაა. ძალზე სადა, ძალზე უბრალო სურათია. თეის ბოლოსთეის შეგიძლია, 12 – ზომით 30 – ნამუშეერის იმედი გქონდეს, მაგრამ იცოდე, ყოეელ სურათს ორ ვარიანტად ეაკეთებ, შენთან კი ერთ-ერთს გამოეგზაენი – ან ეტიუდს, ანდა უკვე დასრულებულ ნამუშევარს. იქნებ ჩემმა სამხრეთისკენ გამომგზაერებამ საყოფი მაინც გამოიღოს, – ეინაიდან კიდევ უფრო ლურჯი ცა და მეტი სინათლე საგნების სხვაგვარ დანახვას გვაჩეენებ – განსაკუთრებით, თუ ამ საგნებს ძალზე დიდხანს ეაკეირდებით. ჩრდილოეთი ახლა უკვე სხვანაირად მომეჩეენება, მაგრამ სამხრეთში ყოველიეეს ისე ხარბად ეაკეირდებოდი, აქაურობა შემიყვარდა და ჩრდილოეთში რომ დაებრუნდები, მისი უთუოდ დამენაღვლება.



ერთ უცნაურ ამბავზე ეფიქრობ: „მანეტ სალომონში“ როცა დღეგანდელ ხელოვნებაზე კამათობენ, ერი-ერთი მხატვარი კერძოდ, რომელი, ახლა უკვე არ მაგონდება, – ლაპარაკობს იმ საკითხზე, თუ ვინ შერჩება ხელოვნებას უფრო „ხანგრძლივად“ და აცხადებს, „პეიზაჟის მხატვართა გარდა, არაფინო“ ეს, ნაწილობრივ, მართალია: კოროს, დობინის, მილეს, დიუპრეს, აგრეთვე, რუსოს ხელოვნება დღეგრძელია. ისინი კი, უპირატესად, პეიზაჟის მხატვრები იყვნენ. სიკედილის წინ კოროს უთქვამს: „ვარდისფერციანი პეიზაჟები დამესიზმრა, თვალწარმტაცი რამ იყოო“. მაგრამ მონეს, პისაროს და რენუარის სურათებზე ცა ხომ სწორედ ვარდისფერია. ერთი სიტყვით, პეიზაჟისტთა ხელოვნება დღეგრძელია – ეს უდავოდ მართალი და სწორი აზრია. მილესა და დელაკრუას ფიგურებზე ახლა არაფერს ვლაპარაკობ.

თუ იცი, ამჟამად ხელოვნების რომელ დარგში ვიკიდებთ ფეხს? ორიგინალურ, ამავე დროს, ისეთ დარგში, რომელსაც დიდხანს უწერია არსებობა – პორტრეტის დარგში. შესაძლოა, შეგეედავონ, ეს დარგი ერთობ ძველია. მართალია, მაგრამ საესებით ახალიც არის. ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ, ჯერჯერობით კი პორტრეტები შევაგროვოთ, პირველ რიგში, თვით მხატვრების, მაგალითად – გიიომენის, აგრეთვე, მისი ქალიშვილის პორტრეტები. შვინახე რასელის მიერ დახატული ჩემი პორტრეტიც, მე რომ ასე ძალიან მიყვარს. ჩასვი ჩარჩოში ლავალის პორტრეტი? სხვათა შორის, ამ პორტრეტზე შენი აზრი ჯერაც არ გითქვამს. მე იგი მომწონს, ძალიან მომწონს. როგორი წრფელი გამოხედვა გამოსჭვივის პენსნეს შუშებში! ეს დღევანდელია, პორტრეტის ხატვის სურვილით ვარ შეპყრობილი. მე და გოგენი ამაზედაც და ანალოგიურ საკითხებზედაც უკიდურესი ნერვული დაძაბულობით ვკამათობდით, ვიდრე ოდნავი ძალა გაგვაჩნდა. მაგრამ გავბედავ, იმის იმედი ვიქონიო, რომ ასეთი კამათის შემდეგ ორიოდე კარგი სურათი დაიხატება. სურვილი მაინც ასეთი გვაქვს. ეგონებ, ჩემი ამხანაგები ბრეტანში არც ისე ცუდად ხატავენ. გოგენისგან წერილი მივიღე – თუ არ ეცდები, უკვე მოგწერე ამის შესახებ, – ნეტავი ერთი შემახედა, ახლა ბრეტანში რას ხატავენ...

უჰ! „მომკელი“ დავამთავრე. ვფიქრობ, ამასაც შენთან დაკიდებ. აქ სიკედილია დახატული, სიკედილი ისე, როგორც ბუნების დიადი წიგნი წარმოგვიდგენს, თუმც შვეცადე, სურათი მაინც „თითქმის მოღიმარი“ განწყობილებით დამეხატა. დახატულია ყვითელი ფერით – ბაცით და

შუქით, მარტო ბორცვების გრეხილია იისფერი. საოცარია მე ხომ ჰეიზაჭს ჩემი საქსის გისოსიანი სარკმლის მიღმა ეუცქეროდი. ჰოდა, იცი, რის იმედი მაქვს – რაკი იმედი ისევ გამიჩნდა? შენ ოჯახი ისე გიშველის, როგორც ბუნებამ მე მიშველა – მიწის ბელტებმა, ბალახმა და ყვითელმა ყანამ, გლეხკაცებმა; ესე იგი, იმედი მაქვს, რომ სიყვარული, ადამიანთა სიყვარული არათუ შრომას შეგაძლებინებს, არამედ დარდსაც გაგიქარვებს, ძალას და ღონეს დაგიბრუნებს, როცა ეს დაგჭირდება. ამიტომ გთხოვ, ძალიან ნუ გადაიღლები, გაუფრთხილდი თავსაც და ცოლსაც: მომავალში იქნებ რამე სიკეთე გელით და ლოდინიც იქნებ არც ისე დიდხანს დაგჭირდეთ. შინდა, „მომკელი" დედაჩემისთვის გაიმეორო. თუ არაფერი გამომივიდა, დაბადების დღეს რამე სხვა სურათს ეუსახსოვრებ – რას დაეხატავ, მერე გადაეწყვეტ. ამ სურათსაც სხვებთან ერთად ისევ შენთან გამოეგზავნი. ეიცი, დედა ამ სურათს გაიგებს: ეს ხომ ისეთივე უბრალო და მარტივია, როგორც სოფლის კალენდრებში მოთავსებული ხეზე ნახატი გრაფიურა.

როგორც კი შეძლო, ტილო კიდევ გამომიგზავნე. ჩვენი დისთვის ზოგ ნამუშევარს გავიმეორებ. ამას გარდა, თუ შემოდგომის სხვა მოტივებზედაც ვიმუშაობ, მთელ თვეს საქმე არ დამელევა. ჭამა-სმაზე მგელივითა ვარ. ექიმიც მოწყალე თვალით მიყურებს. დიახ, მჯერა, პოლანდიისთვის, ესე იგი, დედის და დისთვის, რამდენიმე სურათის დახატვა ურიგო საქმე არ იქნება. ეგულისხმობ სამ, არა, ოთხ სურათს: „მომკელსა" და „საწოლ ოთახს", „ზეთისხილებს", „ყანასა და კეიპაროსებს", ვინაიდან, არის კიდევ ერთი კაცი, ვისთვისაც, მსურდა, სურათები გამეგზავნა. ამ სურათების გამეორებას ნაკლები ხალისით როდი ვაპირებ, უფრო დიდი სიმშვიდითაც ვიმუშაობ, ვიდრე „ოცთა ჯგუფისათვის" ვმუშაობდი. ერთი სიტყვით, ყველაფერი გადაეწყვიტე. ეიცი, ძალ-ღონე არ მაკლია, ყველაფერს შევეძლებ. უკანასკნელი 12 ტილოდან საუკეთესო ნამუშევრებს ამოვარჩევ, ჰოდა, ჩვენი ახლობლები გულმოდგინედ მოფიქრებულ და დამუშავებულ კარგ სურათებს მიიღებენ. ურიგო როდია იმ ხალხისთვის მუშაობა, ვინც ისიც არ იცის, სურათი რა არის!

ერთი წელიც და, ალბათ, ჩემ თაეს მხატერად ჩავთვლი. ეს კი შრომად ნამდვილად ღირს. თუმც, მარტო შრომა როდი კმარა – საჭიროა, ბედსაც გწყალობდეს. არა ძლიერი ფერადოვანი ეფექტები, არამედ მხოლოდ ნახევარტონები – უკეთეს წუთებში ამაზე ეოცნებობ.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მონპელიეს მუზეუმმა ჩამაგონა. კურბეს საუცხოო სურათებზე – „სოფლელ ქალიშვილებსა" და „მძინარე მრთველ ქალზე" (თუმც, ისინი სასწაულებრივ სურათებად მიმაჩნია) – მეტად იქ რიკარის და დელაკრუას დახატულმა ბრიიას პორტრეტმა, დელაკრუას „პარამხანის მხელებში" და „დანიელმა" აღმაფრთოვანა, ესე იგი, ნახევარტონებით დახატულმა სურათებმა. იქაური „პარამხანის მხელები" ხომ ლუვრის „მხელებს" სრულიად არ ჰგავს – ეს, ძირითადად, იისფერია... მაგრამ რარიგ ნატიფი და მდიდარია ეს მშვენიერი ნახევარტონები! ახლა კი კმარა, დროა, მოვრჩე. რაც მოგწერე, ორი სიტყვითაც შემეძლო მეთქვა: არაფერია ახალი-მეთქი, მაგრამ წერილის გადაკეთებას დრო სჭირდება, მე კი ამისთვის არ მცალია.

605. ***10 სექტემბერი.*** გონიერი და ალერსიანი წერილი მოგიწერია. რა თქმა უნდა, გეთანხმები – კარგი იქნებოდა, კაცობრიობას ისეთი ხალხი შეადგენდეს, როგორიცაა რუსო, ბოდმერი და მათი მსგავსნი. ისიც სწო-

რია, რომ ი.გ. ეეისენბრუხს შეუძლია, ჭუჭყიანი სანაპირო თუ დაღრეცილი წნორის ხეები ისე დახატოს, არხები ისე უნეულოდ, თაესამტერეეი რაკურსებითა და პერსპექტიეებით დაგეანახეოს, როგორც დღმიე ეექილებს ხატავს. ოერსტეხი უთუოდ ჭკუით მოიქცა, როცა მისი სამუშეერები შეიძინა: ეეისენბრუხის მსგავსი მხატერების სურათები მხოლოდ იმიტომ არ იყიდება, რომ ქეეყანაზე ერთობ ბეერია ეაჭრუკანა, ხალხს რომ ათას ნაგაეს აძალებს, ატყუებს და თაეგზას უბნეეს. იცი? ახლაც კი, როცა შემთხეეეით რომელიმე ენერგიულ მრწეელსა და, განსაკუთრებით, გამომცემელზე, სადმე რამეს წაეიკითხაე, ისეთი ბრაზი ამიტანს ხოლმე, ისეთი ცოფი მომერეეა, როგორც მაშინ, გუპილთან რომ ეესახუროდი.

ცხოერება მიდის და მას უკან ეერ დააბრუნებ, მაგრამ მეც სწორედ ამიტომ ეშრომობ ასე ძალ-ღონის დაუზოგაეად: მუშაობის შესაძლებლობაც ყოეელთეის როდი მიეცემა ადამიანს. ხოლო მე კი – მით უმეტეს: ჩეეულებრიეზე ძლიერ შეტეეას ხომ შეუძლია, სამუდამოდ გამანადგუროს, როგორც მხატეარი. შეტეეის დროს ტანჯეა-წამებისა მეშინია, მეშინია იმაზე მეტად, ეიდრე უნდა მეშინოდეს. იქნებ სწორედ ეს სიმხდალე მაიძულებს, ორი კაცის ულუფა ეჭამო, ბეერი ეიშრომო, იმის შიშით, რომ შეტეეამ არ გამიმეოროს, სხეა პაციენტებს თითქმის არ შეეხედე; უფრო ადრე კი კარგად გახდომის არაეითარ სურეილს არ ეგრძნობდი; ერთი სიტყეით, ამჟამად ეცდილობ, გამოეჯანმრთელდე – იმ კაციეით, თაეის დახრჩობა რომ მოინდომა, მაგრამ წყალი მეტისმეტად ციეი ეჩეენა და ახლა ცდილობს, ისეე ნაპირზე გამოეიდეს.

შენ კარგად იცი, ძეირფასო ძმაო, რომ სამხრეთში ბეერი მიზეზით გამოეემგზაერე, ბეერი მიზეზით შეეუდექი თაეგამეტებულ მუშაობას: სხეა განათების ნახეა მინდოდა, ეფიქრობდი, რომ ბუნების ჭერეტა იქ, სადაც ზეცას მეტი სინათლე აცისკროენებს, უფრო მალე გეასწაელის-მეთქი იაპონელთა მსგავსად ხატეას, იაპონელთა მსგაესად განცდას; და ბოლოს, მსურდა, უფრო მხურეალე მზე მენახა, რადგან ეიცოდი, თუ მის სითბოს არ ეიგრძნობდი, ეერასოდეს გაეიგებდი დელაკრუას ხელოენებას – ტექნიკისა და შესრულების თეალსაზრისით, – ჩრდილოეთში ხომ სპექტრის ყეელა ფერს ნისლი ამქრქალებს. ეს ყოეელიეე ასეც არის. გარდა ამისა, ზემოჩამოთელილ მიზეზებს უნდა დაეუმატო ჩემი დიდი სიყეარული დოდეს მიერ „ტარტარენში" დახატული სამხრეთისადმი, აგრეთეე, ის, რომ აქ შეეიძინე მეგობრები და ბეერი სხეა რამ, რაც ახლა ჩემთეის ძეირფასია. ეიცი, ახლა უკეე გამიგებ – მიუხედაეად ჩემი ასეთი საშინელი სნეულებისა, ეს მხარე ძალზე შემიყეარდა და ჩრდილოეთში თუნდ სულ მალე ჩამოეიდე, დაბრუნება და კელაე სამხრეთში მუშაობა ოდესმე მაინც მომინდება. არ დაგიმალაე, ისეთიეე გაშმაგებული, ისეეე ხარბი სურეილი მაქეს მეგობრების, ჩეენებური, ჩრდილოეთის დაბლობების დანახეისა, რა სიხარბით და გაშმაგებითაც ამჟამად საჭმელს ეეძალები...

ცხადია, სულით აეადმყოფი ეარ, მაგრამ ჩემს თაეს მუდამ იმას ეუჩიჩინებ, სხეა მხატერებიც ყოფილან-მეთქი ასე ჭკუაშერყეულები, მაგრამ ფერწერას, თაეიანთ ხელობას მაინც ისე მსახურებდნენ, ეითომც, საერთოდ, არაფერი მომხდარიყოს. ხოლო როცა აშკარად ეხედაე, რომ შეტეეები რაღაც უაზრო რელიგიურ განწყობილებებს მიღეიძებენ, თითქმის ერწმუნდები – ჩრდილოეთში დაბრუნება ჩემთეის უთუოდ საჭიროა. ჩეენს ექიმთან შეხეედრისას ამ თემაზე ბეერს ნურას იტყეი, მაგრამ ასეთ განწყობილებას როგორც არლის სააეადმყოფოში, ისე აქაურ თაეშესა-

ფარ'ში ასე ხასგრძლივად ყოფნას ეაბრალება – ორიეე ხომ მონასტერია, მართლაც, სამდეილი მონასტერი. ერთი სიტყვით, ეს გარემო ხელს არ მაძლევს – ჯობს, საერთოდ, უსახლკაროდ და უჯეროდ დაერჩე; თუმც, რწმენის მიმართ გულგრილი არ ვარ, რელიგიური აზრები კი ხშირად შეუბასაც მაგრძნობინებს, შეტევების დროსაც კი მშველის. სხვათა შორის, უკანასკნელი შეტევის დროს ისეთი რამ დამემართა, მართლა მეწყინა – დელაკრუას „საფლავად დადების“ ლიითოგრაფია გამიფუჭდა: ესეცა და ზოგიერთი სხვა სურათიც საღებაეიან ტილოზე და ზეთზე დაცეიედა. ისე მეწყინა, დანაკარგის შესაესებად ავდექი და ასლი დაეხატე. ტილოს ზომა 5 თუ რ-ია; ეფიქრობ, განცდა არ უნდა აკლდეს, მოგეიანებით გამოგიგზავნი.

მონპელიეს შთაბეჭდილებებს ეერ ეიშორებ. „დანიელი“, ბრიიას პორტრეტი, „ალამხანის მხეელები“ და „მულატი ქალები“ სულ თვალწინ მიდგას. ეს სურათები შთაგონებით ისეეე მაესებს, როგორც კარგი ავტორების – ბიჩერ-სტოუს ანდა დიკენსის – წიგნების კითხეა. თუმც, წამდაუწუმ ამ კეთილი დიაცების დანახეაზე ბრაზი მიპყრობს – ეს ქალები თაყეანს სცემენ ლურდის ღეთისმშობელს, სხეა მსგაეს ზღაპრებსაც იგონებენ, მე კი გულზე ლოდიეით მაწეეს იმის შეგნება, რომ ტყეე ეარ ისეთი ხალხის, ეინც აეადმყოფურ რელიგიურ ცდომილებას კიდეე უფრო მეტად აღეიეებს, ნაცელად იმისა, რომ განგკურნოს ამდაგეარი ცდომილებისგან. აი, რად ეამბობ, ისეე სამხედრო სამსახურში ანდა თუნდაც კატორღაში მოხეედრა სჯობდა აქ ყოფნას-მეთქი.

დიდი სილაჩრე ჩაეიდინე: სახელოსნო არ უნდა დამეთმო; ჟანდარმებთან და მეზობლებთან მუშტი-კრიეიც რომ დამჭირეებოდა, უკან არ უნდა დამეხია. სხეა უჩემო, რეეოლეერზე ხელს იტაცებდა, ერთ ამბაეს ატეხდა; პოდა, ცხადია, თუ მე –. მხატეარი – რამდენიმე რეგეენს მოეკლაედი, არაეინ არ გამამტყუნებდა. სწორედ ასე უნდა მექნა, მაგრამ ლაჩარი გამოედექი, ლოთი, მშიშარა. რა თქმა უნდა, აეადა ეარ, მაგრამ მხდალიც ეარ. რაღაც საოცრად მეშინია ტანჯეა-წამებისა, შეტეეას რომ მოყეება ხოლმე. ჩემი ასეთი გულმოდგინე მუშაობაც სწორედ იმით უნდა აეხსნათ, რითაც იმ კაცის საქციელს ეხსნით, თაეის დახრჩობა რომ გადაწყეიტა, მაგრამ წყალი ციეი ეჩეენა და ახლა ისეე ნაპირზე სურს გამოფორთხება. გახსოეს? ამაზე უკეე მოგწერე. ერთი სიტყვით, მთელ სიცოცხლეს დაერდომილთა თაეშესაფარში ეერ გაეატარებ, როგორც ბრაატმა გაატარა – რომელიც, საბედნიეროდ, დიდი ხნის წინ სწორედ ასეთ დაწესებულებაში ეინახულე, – თაეშესაფარში ეერ მოეკედები, ეერა და ეერა. ძია პისარო რომ დამთანხმდებოდეს – ან ეინიონი, – და თაეისთან წამიყეანდეს, სხეა საქმეა. განა ამის გაკეთება არ შეიძლება? – მეც მხატეარი ეარ. დაე, ის თანხა, ჩემს შენახეაზე რომ იხარჯება, მხატერებს პქონდეთ და არა ეიღაც მონაზონ ქალებს!..

ზედამხედეელის პორტრეტს მოერჩი, ჩემთეისაც უკეე გაეიმეორე. სწორედ ჩემი აეტოპორტრეტის საპირისპირო სურათია. საინტერესო კონტრასტია: მე გამოხედეა დაბინდული და ორჭოფული მაქეს, ზედამხედეელს კი – მეომრული; წერილი, შაეი, ცოცხალი თეალები. ეს პორტრეტი მას ეაჩუქე, სამაგიეროდ, მისი ცოლიც უნდა დაეხატო. ერთი ბედკრული, ჩამომჭკნარი, თეინიერი დედაკაცია, რაღაც ისეთი საცოდაეი, შეუმჩნეეელი, რომ საოცარი სურეილი მაქეს, ეს მტეერწაყრილი ბალახის ღერი უთუოდ ტილოზე გადმოეიხატო. როცა მათი ფერმის უკან ზეთისხილის

ხეებს ეხატაედი, რამდესჯერმე ესაუბრე; მარწმუნებდა, არ მჯერა, თუ ავად ხართო. თუმც, როცა მხედაედე, აი, ახლა როგორ ემუშაობ, ალბათ, შენც სწორედ ამას იტყოდი: ჩემს აზრს სისათლე არ აკლია, ხელს კი სიმტკიცე. წარმოიდგინე, დელაკრუას „ხაფლავად დადების" გადმოხატვა მოვახერხე, თანაც ისე, რომ არაფერი გამიზომია, თუმც ამ სურათის ჰიზებისა და ჟესტების კარგად გადმოხატვა არცთუ ისე იოლი იყო წინა პლანზე ხომ სულ ხელები ჩანს...

მშვენიერად ეიცი – მამაცი კაცის განკურნება, როგორც იტყვიან, შიგნიდან ხდება: მხოლოდ ტანჯვასთან, მხოლოდ სიკედილთან შერიგებით, სიამაყის დათრგუნვით და სურვილთა ჩვენთა უარყოფით. მაგრამ ეს ხელს არ მაძლევს: მე უსაზღეროდ მიყვარს ფერწერა, მიყვარს, როცა ხალხს ეუყურებ, საგნებს ეუყურებ, ერთი სიტყვით, უსაზღეროდ მიყვარს ყველაფერი, რაიც შეადგენს ჩვენს ცხოვრებას – დაე, თუნდაც შეთითხნილს და ასე ხელოვნურს. დამიჯერე, სამდეილი ცხოვრება ეს არ არის და მეც, ეგონებ, იმათ არ უნდა ვეკუთვნოდე, ვინც მზადაა, კი არ იცხოვროს, არამედ მხოლოდ იტანჯებოდეს.

როგორ ამძაფრებს ჩვენს ცნობისწადილს მონასმი – ტილოზე ფუნჯის შეხება! როცა მხატვარი გარეთ მუშაობს, მზესა და ქარში, უსაქმურთა დასანახად, ცდილობს, ტილო როგორმე შეაესოს; მაგრამ იმის გადმოტანას, იმის ჩაწედომას, რაც ნატურაში ჭეშმარიტი და არსებითია, მაინც ახერხებს. მთავარი სიძნელეც სწორედ ეს არის. ხოლო როცა დრო გაიელის, როცა ეტიუდს მიუბრუნდება და მონასმებს საგანთა ხასიათს შეუფარდებს, მიუსადაგებს, თვალისათვის უფრო ხაამო, პარმონიული, მომხიბლავი, მშვიდი და წყნარი სურათი გამოსდის.

ო, მე ვერასდროს მოვახერხებ იმ შთაბეჭდილების გადმოცემას, ზოგიერთმა აქ ნანახმა ფიგურამ რომ მოახდინა! რა თქმა უნდა, ეს გზა რაღაც სიახლისკენ მიემართება, რაკიდა ახლა სამხრეთში ვარ; მაგრამ ჩრდილოელებს მისი წედომა ძალიან გეიჭირს. და მე უკვე წინასწარ ვიცი: როცა გარკვეულ წარმატებას მოვიპოვებ, სინანულით მოვიგონებ აქაურობას, მარტოობაში გატარებულ ნაღელიან დღეებს, როცა ჩემი საკნის ფანჯრიდან ყანას და მომკელს გავცქეროდი. ზოგი ჭირი, ალბათ, მართლაც, მარგებელია. წარმატების მიღწევა და კეთილდღეობით ხანგრძლიეი ტკბობა სულ სხვაგვარი ტემპერამენტის ადამიანებს შეუძლიათ: მე ხომ იმას ვერასდროს შევძლებ, რაც მსურდა და რისთვისაც, მართლაც, შეიძლებოდა მიმეღწია. ცნობიერება ისე ხშირად მებინდება, პრეტენზია მხოლოდ მესამე, არა, მეოთხეხარისხოვან ადგილზედა შეიძლება, განვაცხადო. როცა ვფიქრობ დელაკრუას ანდა, ვთქვათ, მილეს მნიშვნელობაზე, მათ ღირსებებზე, გულში ვამბობ: რაღაც უთუოდ მეც გამაჩნია, რაღაც უთუოდ მეც შემიძლია, მაგრამ მხოლოდ ამ მხატვრებზე დაყრდნობით თუ მოვახერხებ იმ მცირედის გაკეთებას, რაც, საერთოდ, ძალმიძს-მეთქი.

ესე იგი, ძია პისაროს ორი დიდი უბედურება ერთად სწეევია*. როგორც კი ეს წაეიკითხე, მყისვე ეიფიქრე, შეეკითხოთ – იქნებ მასთან ვიცხოვრო-მეთქი? თუ შენ მასაც იმავე თანხას გადაუხდი, რასაც აქ გზავნი, არ წააგებს: მხოლოდ ხატვის შესაძლებლობას მომცემდეს ვინმე, მე ხომ მეტი არა მინდა რა. პირდაპირ კითხე, თუ უარს იტყვის, ვინიონთან გადავიდოდი. პონტ-ავენში გადასვლისა კი მეშინია – იქ ძალიან ბევრი ხალხია, მაგრამ რასაც გოგენზე მწერ, მეტისმეტად მაინ-

ტერესებს. გულში სულ იმას ვიმეორებ, მე და გოგენი, ალბათ, კიდევ ვიმუშაებთ ერთად-მეთქი. ვიცი, გოგენს შეუძლია, რაც აქამდე გააკეთა, იმაზე უფრო უკეთესი სურათები გააკეთოს, მაგრამ ასეთ კაცს, რაც უნდა გულით ეცადო, შესაფერ პირობებს ვერ შეუქმნი! მე ჯერ იმედი არ დამიკარგავს, რომ მის პორტრეტს ოდესმე მაინც უთუოდ დავხატავ. ნახე მის მიერ დახატული ჩემი პორტრეტი? „მზესუმზირების" ხატვის დროს დამხატა. ჩემ სახეს მას შემდეგ ცოტა ბინდი გადაეყარა, მაგრამ მაშინ ასეთი ვიყავი – უკიდურესად ქანცგაწყვეტილი, უკიდურესად აღგზნებული.

თუ გინდა, რომ ქვეყანა გაიცნო, უბრალო ხალხში უნდა იცხოვრო, სამიკიტნოები მოიარო და ა.შ. რა ხდის ასე დამაჯერებელს დელაკრუას ისტორიულ და რელიგიურ ნაწარმოებებს – „ქრისტეს ნაცს" და „საფლავად დადებას" ანდა „ჯვაროსნებს"? რა და, ის, რომ ვიდრე თუნდაც „გეთსიმანიის ბაღის" ხატვას დაიწყებდა, დელაკრუა, ზეთისხილი სადაც ხარობს, ჯერ იმ ადგილებს ინახულებდა; თავისი თვალით პქონდა ნანახი მისტრალიც და ქაფმორეული, ბობოქარი ზღვაც. იგი, ალბათ, ამას ფიქრობდა: „ისტორია ვისზეც მოგვითხრობს – ვენეციელი დოჟები თუ ჯვაროსნები, მოციქულები, წმინდანი ქალები ისეთივე ხალხი იყო და ისევე ცხოვრობდნენ, როგორც მათი შთამომავალნი". გამოგიტყდები – ამას, ალბათ, „ნანასაც" ამჩნევ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სურათი ასეთი ცდის ერთობ სუსტი მაგალითია, – თუკი ძალა მეყოფოდა და ისევ ისე ვიმუშაებდი, ნატურით ვისარგებლებდი და წმინდან ქალებს და წმინდან კაცებს ისეთნაირად დავხატავდი, ერთდროულად სხვა ეპოქისაც ყოფილიყვნენ, ჩვენი დროის მოქალაქენიც და ადრინდელ ქრისტიანებსაც პგვანებოდნენ. რა თქმა უნდა, ახლა ასეთ დაძაბულობას, ამ საქმეს რომ ეჭირვება, ვერ გაუძლებ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩემს ჩანაფიქრს აღარასოდეს დაუბრუნდები.

რა დიდია ფრომანტენი! ვისაც სურს, რომ აღმოსაველეთი კარგად შეიცნოს, ფრომანტენი მეგზურად მუდამ გამოადგება. მან პირველმა აღმოაჩინა ერთგვარი კაეშირი რემბრანდტსა და სამხრეთს შორის, პოტერსა და იმას შორის, რაც თავად ნახა. ათიათასჯერ მართალი ხარ, როცა მარწმუნებ, ამ ამბებზე ნუ ფიქრობ და მხოლოდ ხატე – პირველად, თუნდაც, კომბოსტოს, სალათის ეტიუდები გააკეთე, რათა დამშვიდდე, ხოლო როცა დამშვიდდები, რაც შეგიძლია, იმის ხატვას შეუდექიო. ჩემ ნამუშევრებს როცა კელაე ენახავ, უსათუოდ გაიმეორებ „ტარასკონულ დილიჟანსს", „ვენახს", „მკას" და, ყოველის უწინარეს, „წითელ კაფეს", უფრო სწორად, „ღამის კაფეს" – კოლორიტის მხრივ, ჩემ სურათებში ყველაზე უფრო თავისებურს. მაგრამ, ფერის თვალსაზრისით, ცენტრალური თეთრი ფიგურა, საჭიროა, გადაკეთდეს, უკეთ აიგოს; თავს კი უფლებას მაინც მივცემ, აშკარად ვთქვა, რომ ამ სურათზე, მართლაც, ნამდვილი სამხრეთია დახატული და რომ აქ არის წითელი და მწვანე ტონების თავისებურად მოსაზრებული კომბინაცია.

ძალ-ღონე სწრაფად გამომელია, მაგრამ ვიცი, მომავალში იმავე გზით სხვები უფრო ბევრის შექმნას მოახერხებენ. ამიტომაც ამ მხარეში სახელოსნოს შექმნის იდეა იმ მიზნით, რომ მხატვრებს სამხრეთში გამომგზავრება გაუადვილდეთ, დღესაც სწორად მიმაჩნია. ჩრდილოეთიდან ასე ერთბაშად, ვთქვათ, ესპანეთში გამგზავრება არ უნდა იყოს გონიერული საქციელი: ასე იმას ვერ დაინახავ, რის დანახვაც საჭიროა. ჯერ დანახვა უნდა ისწავლო, სხვა განათებას თვალი თანდათან შეაჩვიო. მე,

მაგალითად, მუზეუმებში ტიციანისა და ველასკესის თვალიერება არ მჭირდება: მსგავსი ტიპები ცოცხლად ესახა და ისინი დამეხმარნენ, მიეხედარიყავი, სამხრეთში შექმნილი ნაწარმოები რა უნდა იყოს. არლში ჩამოსვლამდე კი ეს არ ვიცოდი. ღმერთო მაღალო, ხომ არიან ისეთი მხატვრებიც, სულ რომ იმას ამტკიცებენ, დელაკრუა არ არისო ჭეშმარიტი აღმოსაელეთი! ჭეშმარიტი აღმოსაელეთი, ჩანს, ის არის, ჟერომის მსგავს პარიზელებს რომ შეუთითხნიათ. ნუთუ ეისაც სატურის მიხედვით მზით განათებული კედლის ნაგლეჯი დაუხატავს, თანაც ისე, როგორც მისი ჩრდილოეთში გაწაფული თვალი ხედავს, ბედავს, იფიქროს, აღმოსაელეთის ხალხს ვიცნობო? – იმათ, ვისაც დელაკრუაც ხატაედა ხოლმე? თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია „პარამხანის მხეცებსა“ და „ებრაულ ქორწილში“ სწორედ კედლებიც დაეხატა.

მკურნალობის აქაური წესის დაცვა, თუნდაც სხვაგან გადაეიდე, სულ იოლია, რადგან სნეულთ აქ არაფერს უკეთებენ. მათ მხოლოდ ისღა დარჩენიათ, უსაქმობაში ამოხდეთ სული ანდა თავი უგემური, ზოგჯერ კი ძველი, უვარგისი საჭმელ-სასმელით ინუგეშონ. ახლა უკვე შემიძლია გამოგიტყდე, მოსელის დღიდან საერთო სუფრაზე უარი ვთქვი, უკანასკნელ შეტევამდე პურისა და წვნიანის მეტი არაფერი მიჭამია და არც შევჭამ, ვიდრე აქა ვარ.

607. პირველ რიგში, უნდა გითხრა, რომ მეტისმეტად მიხარია, რაკი ძია პისაროზე შენც იგივე გიფიქრია. აი, ხომ ხედავ, ჯერ შანსები კიდევაა გვაქვს – თუ მასთან არა, სადმე სხვაგან შეიძლება მოეწყოს კაცი. ეს ქველაუერი კარგი, მაგრამ სავსებით მართალი ხარ, როცა მოითხოვ, გადაწყვეტით მიპასუხე, დაზამთრებამდე პარიზის ერთ-ერთ სამკურნალო დაწესებულებაში თუ გადმოხვალო. მე იგივე სიმშვიდით და ისევე იმავე საფუძველზე, რამაც მაშინ აქ ჩამოსვლა მაიძულა,' გიპასუხებ: გადმოვალ-მეთქი, თუნდაც ეს იყოს უარესი გამოსავალი, რაც უთუოდ საფიქრალია, რადგან ხატვისთვის აქ ნორმალური პირობებია, ხატვა კი ჩემი ერთადერთი გასართობია. სხვათა შორის, წინა წერილში უკვე მოგწერე ის მიზეზი, რაც აქედან სხვაგან გადასვლას მაიძულებს.

აუცილებლად მიმაჩნია, იმ ამბავს ისევ დავუბრუნდე. საშინელია – მე, მოაზროვნე ადამიანს, თანამედროვე აზრების მქონეს, ზოლასა და გონკურების თაყვანისმცემელს, ხელოვნების თაყვანისმცემელს, რომელიც ასე ღრმად მიგრძნია და განმიცდია, ისეთივე შეტევები მემართება, ცრუმორწმუნეთ რომ ემართებათ; შეტევები, რომელსაც თან სდევს აეადმყოფური, ბუნდოვანი რელიგიური ჩვენებანი, რაც ჩრდილოეთში არა მჭონია. თუ გაეიხსენებთ ჩემს მეტისმეტ მგრძნობელობას გარემოსადმი, ეს შეტევები, ჩანს, უნდა აეხსნათ ამ ძველისძველ მონასტრებში – არლის საავადმყოფოსა და აქაურ თაეშესაფარში, – დიდხანს ყოფნით. ამიტომ ახლა ჩემთვის უთუოდ საჭიროა, რომელიმე საერო დაწესებულებას მიეაკითხო – თუნდაც ეს იყოს უარესი გამოსავალი...

ერთი რამ არის საინტერესო! დელაკრუას „საფლავად დადების“ ასლს რომ ეხატავდი, აი, სწორედ მაშინ გაეიგე, ეს სურათი ვისაც პქონია: ამჟამად იგი თურმე ეკუთვნის უნგრეთის თუ რომელიღაც ქვეყნის დედოფალს, რომელიც კარმენ სილვას სახელით ლექსებსაც წერს. სტატია მასზე და მის სურათზე პიერ ლოტის დაუწერია. გვარწმუნებს, რომ კარმენ სილვა კიდევ უფრო საინტერესო პიროვნებაა, ვიდრე მწერალი. ხოლო ამ მწერალს ღრმა აზრები მოეპოვება. მაგალითად: „უშვილო

ქალი უნდა ყარს ჩაგეს იქნებ, მართლაც, ლამაზი ხმა აქვს, მაგრამ ეს ხმა არაფის ესმის".

მილეს „მინდვრის სამუშაოებს" ისევ ეიხატავ. ათიდან უკვე შვიდი ასლი გადმოეიხატე. დამიჯერე, უსაშველოდ მაინტერესებს ასლების ხატვა: მოდელები რაკი არ მყავს, ამ ასლების დახმარებით ფიგურებზე მუშაობას ისევ განვაგრძობ. თანაც ჩემ მიერ დახატულ ასლებს იმ სახელოსნოს დეკორაციად გამოეიყენებს, სადაც ან მე ვიმუშაებე, ან ვისმე სხვა. „მთესველისა" და „მბარაებების" ასლებიც მინდა, გადმოვიღო. მაქვს „მბარაებების" ფოტოსურათი – გადაღებული ნახატიდან, „მთესველისა" კი – ლერას ოფორტი: დიურან რიუელთან რომ გვინახავს, ეს სწორედ ის „მთესველია". ლერას ერთი ოფორტი აქვს – დათოვლილი მინდორი, ფარცხი. აქვს „დღე-ღამის ოთხი დროც" – შესაბამისი ეგზემპლარები ინახება ხვსე ნაკეთი გრავიურების კოლექციაში. მინდა, მჭონდეს ეს ყველაფერი, ოფორტები და გრავიურები მაინც მჭონდეს. ეს არის ჩემთვის ძალზე საჭირო სახელმძღვანელო – სწავლა მინდა.

საერთოდ, ასლების გადმოღებას მოძველებულ მეთოდად თვლიან, მაგრამ ეს რა ჩემი საქმეა... ეაპირებ, დელაკრუას „კეთილი სამარიტელიც" გადმოეიღო. ქალის პორტრეტიც გავაკეთე – ზედამხედველის ცოლი დავხატე. ეგონებ, უნდა მოგეწონოს. ეს პორტრეტი გავიმეორე, მაგრამ დედანზე უარესი გამოვიდა. ვაითუ მოდელმა წაიღოს? მე კი მინდოდა, შენ დაგრჩენოდა. ვარდისფერით და შავითაა დახატული.

დღეს გიგზავნი ჩემს ავტოპორტრეტს. თუ საკმაოდ დიდხანს უყურებ, იმედია, შეამჩნევ, რომ შედარებით მშვიდი სახე მაქვს, თუმც გამოხედვა ახლა უფრო დაბინდული მოგეჩვენება, ვიდრე უწინ. კიდევ მაქვს ერთი ავტოპორტრეტი, მაგრამ ისეთი არაფერია – უბრალოდ, ვცადე, შეტევის დროს დამეხატა ჩემი თავი, პირველი კი, ეგონებ, უნდა მოგეწონოს – შეეცადე, სიმარტივისთვის მიმეღწია. აჩვენე მერე ძია პისაროს. „მინდვრის სამუშაოები" ფერში ისეთი შთამბეჭდავია, გაოცდები. ეს ძალზე წრფელი, გულში ჩამწვდომი სერიაა. შეეცადები, როგორმე აგიხსნა, რას ვეძიებ ამ სერიაში, სიკეთედ რატომ მიმაჩნია ამ სურათების გადმოხატვა. ჩვენგან, ფერმწერებისაგან, მოითხოვენ, კომპოზიციები ყოველთვის ჩვენ შევადგინოთ – პირველ რიგში, კომპოზიციის ოსტატები უნდა იყოთო. ეთქვათ, ეს სწორია. მუსიკაში რომ ასე არ არის? მუსიკოსი როცა უკრავს ბეთჰოვენის ნაწარმოებს, საკუთარ ინტერპრეტაციას ანიჭებს ხოლმე. მუსიკაში, განსაკუთრებით სიმღერის დროს, ინტერპრეტაცია ბევრ რამეს ნიშნავს, რამეთუ თვით კომპოზიტორი თავის ქმნილებებს იშვიათად თუ დაუკრავს.

ჰოდა, ახლა, სნეულების ჟამს, ვცდილობ, სწორედ ის გავაკეთო, რაც მანუგეშებს, რაც პირადად მე მომანიჭებს სიამოვნებას. დელაკრუას ანდა მილეს სურათების რეპროდუქციებს – შავ-თეთრ პირებს – სიუჟეტებად ეიყენებ ხოლმე. შემდეგ კი ფერის იმპროვიზაციას შევუდგები, თუმც, რა თქმა უნდა, მთლად ისე არა, როგორც თვითონ დავხატავდი, არამედ ვცდილობ, თვით სურათები გავიხსენო და ისე ვხატო. ჩემი ინტერპრეტაციაც, აი, ეს არის – ეს „გახსენება", მათი ფერების გაურკვეველი პარმონია, რაც არცთუ ისე ზუსტად, მაგრამ მაინც იგრძნობა. ზოგს არა სწამს ასლების ხატვა, ზოგს კი – პირიქით. მე ამ საქმეს სულ შემთხვევით მოვკიდე ხელი, მაგრამ ეხედავ – ასლების ხატვით ბევრის სწავლა შეიძლება და, რაც მთავარია, ზოგჯერ დარდსაც მიქარვებს. ასეთ დროს

უსუსური ისე მოძრაობს, როგორც ხემი ვიოლინოზე, და მე მხოლოდ ჩემთვის ვხატავ, მხოლოდ ჩემდა სასიამოვნოდ.

დღეს დავიწყე „ცხვრის პარსვის“ ხატვა. ფერთა გამა იისფერსა და ყვითელს შუაა. პატარა ტილოა, ზომა, ასე, 5 იქნება. ტილოსა და საღებავებზე დიდი მადლობა. მეც, ჩემდათავად, ავტოპორტრეტს და რამდენიმე სურათს გიგზავნი: „მთვარის ამოსვლას“ (ზეინები), მინდერების ეტიუდს, ზეთისხილების ეტიუდს, ღამის ეტიუდს, „მთას“, „ჯეჯილებს“, „ზეთისხილებს“, „აყვავებულ ბაღს“, „შესასვლელს ქვისსამტეხლოში“. პირველი ოთხი ეტიუდია, დანარჩენთაგან განსხვავებით, დასრულებული სურათების შთაბეჭდილებას არ მოახდენს. „შესასვლელი ქვისსამტეხლოში“ საკმაოდ მომწონს. ეს სურათი იმ მომენტშია დახატული, როცა ეიგრძენი, ისევ შეტევა მეწყებოდა. ჩემი აზრით, მუქი სიმწვანე ჟანგმიწებს კარგად ეხამება. მთელი სურათი თითქოს ნაღელიანად შემოგეცქერის, მაგრამ მაინც ჯანსაღია და ამიტომ მოსაწყენი სულაც არ არის. „მთაზედაც“, ალბათ, შეიძლება იგიეე ითქვას. ეიცი, მეტყვიან, ასეთი მთები არ გვინახავსო, სურათი როდის ნაწარმოების ერთ-ერთ ნაწყვეტს წარმოგეიდგენსო, – წიგნში ასეთი მოსაწონი ადგილები არც ისე ბევრია. აღწერილია მიყრუებული მთიანი მხარე – თხის მწყემსთა ჭოხები შავად რომ მოჩანს, ქოხების წინ კი მზესუმზირა აყვავებულა. სიერცის საერთო ორგანიზაციის თვალსაზრისით, „ზეთისხილები“, სადაც თეთრი ღრუბელი და უკანა პლანზე მთები მოჩანს, – ისევე როგორც მთვარის ამოსვლა და ღამის ეფექტი, – ბევრად უფრო ექსპრესიულია. ხაზები მრუდია, როგორც ძველებურ გრავიურებზე. ზეთისხილები აქ ხასიათს უფრო მეტად გამოხატავს, ვიდრე მეორე ეტიუდზე. ეცადე, სურათში პაპანება სიცხის ჟამი აღმებეჭდა, როცა ირგვლივ კუტკალიები დახტიან და მწვანე ხოჭოები დაფრინაენ. დანარჩენი სურათები – „მომკელი“ და ა.შ. ჯერ არ გამშრალა. ვიდრე აედრებია, ვეცდები, მეტი ასლები ეხატო. ჩემთვის, მართლაც, აუცილებლად საჭიროა ფიგურაზე, რაც შეიძლება, მეტი და მეტი ვიმუშაო. სწორედ ფიგურის ხატვა გვასწავლის ძირითადის ჩაწედომას და გამარტივებას.

იწერები, მთელი სიცოცხლე შრომის მეტი ხომ არაფერი იცოდიო. არ არის სწორი: პირადად მე ჩემი შრომით სულაც არა ვარ ქმაყოფილი; თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებ, რომ მცოდნე ხალხი ასე ამბობს: ათ წელიწადს უშედეგოდ რომ იმუშაეებ, ფერმწერი მერე გახდებიო. და მეც სწორედ ათი წელი გაეატარე უვარგისსა და უხვიერო ეტიუდების კეთებაში. ახლა ჩემთვის, ალბათ, უკვე საუკეთესო დრო უნდა დადგეს, მაგრამ მანამდე ფიგურების ხატვაში უნდა გაეიწაფო, დელაკრუას და მილეს უსწავლით ცოდნა უნდა გაეიღრმაეო. ამის შემდეგ კი ნახატში გარკვევას შეეცდები. პო, ზოგი ჭირი მარგებელია – უბედურება მეხმარება და სწავლისათვის მეტი დრო მაქვს.

გრაგნილს ერთი ეტიუდიც დაეუმატე – ყვაეილები. განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ აღარც მოსასპობად გაეიმეტე. იქიდან, რასაც ახლა გიგზავნი, ეფიქრობ, ოდნავ ასატანია „ყანები“, „მთა“, „ბაღი“, „ზეთისხილები და ცისფერი ბორცვები“, „ავტოპორტრეტი“, „შესასვლელი ქვისსამტეხლოში“. დანარჩენები თითქმის არაფერს მეუბნება – ამ სურათებში პირადული ერთობ მცირეა, ხაზებში განცდა ნაკლებ იგრძნობა, მთავარი კი სურათისთვის ხაზებია, დაე, თუნდაც უტრირებული, მაგრამ მოქნილი, მძლავრი ხაზები. გოგენი და ბერნარიც ხომ იმაეეს გრძნობენ.


ისისი სულაც არ მოითხოვენს, რომ, ეთქვათ, ხის ფორმა ზუსტი იყოს, მაგრამ ცდილობენ იმის განსაზღვრას, მრგვალია იგი თუ ოთხკუთხედი. ჰოდა, ღმერთმანი, მართლები არიან, რადგან მოსწყინდათ ზოგ-ზოგი მხატვრის სულელური ფოტოგრაფიული სრულყოფილება. მთის ფერის სიზუსტეს არ მოგთხოვენ, მაგრამ გეტყვიან: „დალახვროს ეშმაკმა, ეს მთა ლურჯია? ადექი და, ლურჯად დახატეთ. იმაზე ლაპარაკს ნუღარ გამიბამთ, რომ ეს ლურჯი ოდნავ ასეთი, ანდა ოდნავ ისეთი იყოო. ლურჯია, ხომ? საუცხოოა! ლურჯად დახატეთ, მორჩა და გათავდა!“ ასეთი ამბების განმარტების დროს გოგენი, მართლაც, გენიოსი გეგონება. მაგრამ არ უყვარს თავისი ნიჭით კოპწიაობა. ზოგჯერ ისე ხალისით აძლევს ახალგაზრდებს საჭირო რჩევას, გული აგიჩუყდება. მაინც ეს რა ორიგინალური, რა უცნაური კაცია გოგენი!..

მაშასადამე, მოდი, შეეთანხმდეთ: თუ საგანგებოდ მოკლე წერილით შეგატყობინებ, რომ პარიზში მინდა-მეთქი გამომგზავრება, მაშ, იცოდე, მიზეზი მქონია — ეს მიზეზები ზემოთ მოგწერე. ჯერ კი საჩქარო არაფერია და მჯერა, დაზამთრებამდე შეტევა აღარ წამომიელის; მაგრამ თუ თაეს რელიგიური განწყობილება კვლავ შეეპარნიე, მაშინ მორჩა — მიზეზების განმარტებას აღარ მოეყვები, დაუყოვნებლივ წამოეალ აქედან. არათუ მხოლოდ მონაზონთა საქმეში ჩარევა, მათი კრიტიკაც, რა თქმა უნდა, არ შეგეფერის. მათ საკუთარი მრწამსი აქვთ და მოყვასისთვის სიკეთის ქმნის საკუთარი ჩვეული და წესი — თანაც ზოგჯერ არც ისე ცუდი. გახსოვდეს, რომ სერიოზულად გაგაფრთხილე...

კარგი იქნება, სკოლებში კედლებზე მილეს რეპროდუქციებს რომ ჩამოკიდებდნენ: თუკი ბავშვებს მშვენიერება ექნებათ თვალწინ, მომავალში ზოგიერთი, შეუძლებელია, მხატვარი არ გამოვიდეს.

608. გადაეწყვიტე, ორიოდ სიტყვა კიდევ მოგწერო, რათა აგიხსნა: გრაგნილში, რომელიც გამოგიგზავნე, სამი ეტიუდი არ ჩამიდეია, — ამის გამო საფოსტო ხარჯები 3,50 ფრანკით შემცირდა. ამ ეტიუდებს, როგორც კი შეეძლებ, გამოეგზავნი, ესე იგი, ალბათ, დღესვე სხვა სურათებს გამოვაყოლებ. აი, ესენიც: „ყანები“, კეიპაროსების ეტიუდი, „ყანები და კეიპაროსი“, იგივე, „მომკელი“, იგივე, „სურო“, „ზეთისხილები“. გარდა ამისა, სამი ზემონახსენები ეტიუდი: „ყაყაჩოები“, „ღამის ეფექტი“, „მთვარის ამოსელა“. 4-5 ეტიუდს მალე კიდევ გამოგიგზავნი — პატარებია, მინდა, დედას და დას ვაჩუქო. ჯერ შრება. ის პატარა სურათები, რომელთა ზომაა 10 და 12, „ყანების და კეიპაროსის“, „ზეთისხილების“, „მომკელის“ და „საწოლი ოთახის“ შემცირებულ გამეორებას წარმოადგენს. გიგზავნი, ასევე, ერთ ავტოპორტრეტს. დარწმუნდები, რომ ავადმყოფობამ უფრო მომთმენი გამხადა და სიმტკიცეც უფრო მომემატა, თანაც ძალზე ბევრი რამისგან გაეთავისუფლდი...

სამწუხაროდ, ენებები აქ არსადაა, თორემ მთელი შემოდგომა სულ მათ ხატვაში ეიქნებოდი. გარეუბნებში, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ამ სიუჟეტზე სამუშაოდ სხვა სოფელში გამგზავრება დამჭირდებოდა. რაც შეეხება ზეთისხილებს, უკიდურესად თავისებური ხეებია და მეც ამის გადმოცემას ყოველმხრივ ვცდილობ. ეერცხლისფერი, ხან მოცისფრო, ხან მომწვანო-მობრინჯაოსფრო ლამაზი ხეები ყვითელ, ეარდისფერ, იისფერ თუ ნარინჯისფერ — ზოგჯერ თითქმის მკრქალი წითელი ჟანგმიწისფერიც რომ მოგეჩვენება, — დედამიწაზე თეთრად მოჩანს. ძნელზე ძნელი სიუჟეტია! მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც მიზიდავს. ბაჯაღლო ოქროს



ანდა ეერცხლის ფერებით მინდა მუშაობა. პოდა, ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს ამ ფერების დახმარებით, რაღაც ძალზე პირადულის გამოხატვას მოვახერხებ, ისეეე როგორც, ყვითელი ფერით „მზესუმზირებში“ მოვახერხე. ო, წლეულ შემოდგომაზე, რომ იცოდე, რარიგ მაკლია მზესუმზირები! ეს სანახეერო თაეისუფლება მეტისმეტად ხშირად მბორკაეს და უკეე ეეღარ ვაკეთებ, რის გაკეთებაც, ჩემი აზრით, შემიძლია. თუმც, ალბათ, მეტყეი: „მოთმინება იქონიეო!“ და უთუოდ სწორიც იქნები.

609. აქ ამჟამად შემოდგომის საუცხოო დღეებია. პოდა, ესარგებლობ: რამდენიმე ეტიუდი წამოეიწყე, მათ შორის ერთი მთლად ყვითელი თუთის ხეა, ქვაღორღიანი მიწისა და ღია ლურჯი ზეცის ფონზე. ეს ეტიუდი დაგიმტკიცებს, რომ მონტიჩელის კეალს დაეადექი. ორიოდ დღეში, წინა შაბათს რომ გამოგიგზაენე, იმ ტილოებს უკეე მიიღებ. მიკეირს, ბ-ნ ისააკსონს რომ ჩემს სურათებზე სტატიის დაწერა განუზრახაეს. გულწრფელად ეურჩეე, ჯერჯერობით მოიცადოს. ამით სტატია მხოლოდ მოიგებს, ეინაიდან, იმედი მაქეს, ერთი წლის შემდეგ შეეძლებ, უფრო თაეისებური რამე ეაჩეენო – ნახატიც რომ შედარებით ძლიერი იქნება და პროეანსული სამხრეთის ცოდნაც უკეთესად გამოჩნდება... კეთილი პრეეოსგან განსხეაეებით, სატრფო არ მყაეს, რომელიც სამხრეთს მიმაჯაჭეედა, მაგრამ აქაურობა და აქაურები უნებურად შემიყეარდა. პოდა, რაკი საფიქრალია, რომ მთელ ზამთარს აქ გაეატარებ, გაზაფხულზედაც – წელიწადის ამ უკეთეს დროს, – ალბათ, ისეე აქ დარჩენა მომინდება. მაგრამ ენახოთ, როგორ ეიქნები.

მიუხედაეად ყეელაფრისა, რასაც ოეერზე იწერები, ოვერი ერთობ

სასიამოვნო პერსპექტივად მეჩვენება. როცა იქნება, ალბათ, ძებნას თავს გაუანებებთ და ისევ მაგ საათდმყოფის ამოვირჩევთ. თუ ჩრდილოეთში დაებრუნდები და ეგ ექიმი[1] ჩემთვის ადგილს ვერ გამონახავს, მაშინ პისაროსა და შენი თხოვნით, სადმე კერძო სახლში მომაწყობს ასდა სულაც სასტუმროში დამაბინავებს. მითავარია, ექიმი მყავდეს, რათა შეტევის შემთხვევაში პოლიციის ხელში არ მოეხვედე და საგიჟეთში არ წამიყვანოს...

ეიმეორებ, ისააკსონს მინდა ეურჩიო, დაიცადოს. ეს საჭიროებით გონიერული იქნებოდა, რადგანაც ჩემ ნამუშევრებში ჯერ ის არ არის, რის იმედიც მაქვს, ჯანმრთელობამ თუ არ მიმტყუნა. ეფიქრობ, ჩემი სურათების მოხსენიება ამჟამად არ ღირს. პარიზში რომ დაებრუნდები, თავისთავად დამთავრებული ციკლი მექნება – „პროვანსული შთაბეჭდილებანი". ისააკსონმა კი ამ სურათებზე, აბა, ახლა რა უნდა თქვას, როცა წინ კიდევ საკმაოდ ბევრი შრომა მელის, რათა ლელეები, ზეთისხილები, კეიპაროსები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც სამხრეთს და მცირე ალპებს ახასიათებს, უფრო ძლაერად ავამეტყველო. ნეტავ მაჩვენა ის სურათები, გოგენმა და ბერნარმა რომ ჩამოიტანეს!

ამჟამად ორ შეყვითლებულ კეიპაროსს ეხატავ მთების ფონზე; დაწყებული მაქვს შემოდგომის სიუჟეტიც – აქაური ბაღის ხედი, სადაც ნახატი კიდევ უფრო უშუალოა და ბუნებრიობაც მეტად იგრძნობა. ერთი სიტყვით, ძნელია, მხარეს დაემშვიდობო, როცა იმის დამტკიცება ვერ მოასწარი, რარიგ ღრმად გრძნობ და რარიგ გიყვარს. თუ ჩრდილოეთში დაბრუნება მიწერია, მინდა, ბერძნულ ყაიდაზე საკმაოდ ბევრი ეტიუდი გავაკეთო – კარგად იცი, რასაც ეგულისხმობ: ეს იქნება თითქოსდა, მართლაც, ღია ცის ქვეშ მარტოდენ თეთრითა და ღია ლურჯით, საწილობრიე კი ნარინჯისფერად დახატული სურათები. ხშირად მჭირდება ფანქრით ხატვა, მჭირდება სტილის შემუშავება. აქაურ მნესთან გუშინ ერთი სურათი ესახე. შთაბეჭდილება მოახდინა: წარმოიდგინე პროვანსული მანდილოსანი – ჯიშიანი, გრძელსახიანი, წითელი კაბით. ერთი სიტყვით, ეს ისეთი ფიგურაა, რომელზედაც მონტიჩელი ოცნებობდა. სურათს სერიოზული ნაკლიც ბევრი აქვს, მაგრამ მისი სისადავე მიმზიდველია და სინანულით გაიხსენებ, როგორ დაშორდნენ ამ სისადავეს ფრანგი მხატვრები, ისევე როგორც, პოლანდიელნი.

610. ეს-ეს არის, ვინ შემოებრუნდი. „მომკელში" რომ მინდორია, დღესაც ისევ იმას ეხატავდი. ამჟამად ვიშველი მიწის ბელტებიღაა. უკანა პლანზე გადახრუკული ნიადაგი და მცირე ალპების განტოტება ჩანს, მაღლა – მოშწვანო-მტრედისფერი ცის ნაჭერი და მოიისფრო თეთრი ღრუბელი, წინა პლანზე – ნარშაი და ხმელი ბალახი. შუაში გლეხი, ნამჯის კონა რომ დაუთრევია. ეს ეტიუდი ისევე ძნელი დასახატავია, როგორც წინა, ოღონდ იგი თითქმის მთლიანად ყვითლით იყო დახატული, ეს კი მთლიანად იისფერია – ნეიტრალური და გამქრქალებული იისფერი ტონებია აღებული. დაწერილებით იმიტომ გიხსნი, რომ, ჩემი აზრით, ეს ახალი ეტიუდი „მომკელს" შეაცვებს და ჩანაფიქრს უკეთ გახსნის. „მომკელი" თითქმის სახელდახელოდ დახატული ბეგონება, ამის გვერდით კი შედარებით სერიოზული ნამუშევარი გამოჩნდება. როგორც გაშრება, ამასა და „საწოლი ოთახის" გამოფრებას ერთად შევეცდები და

[1] იგულისხმება ოერელი ექიმი გაშე.

გამოგიგზავნი. თუკი ჩემი ეტიუდების სანახავად ვინმე შემოვა, ძალიან გთხოვ, ეს ორიც ეტიუდი ერთად აჩვენო: საინტერესო სანახაობაა ამ სურათების დამატებითი ფერების კონტრასტი.

ამას გარდა, ამ კვირაში კიდევ ერთი სურათი დავხატე „შესასვლელი ქვისსამტეხლოში“. ძალიან ვგავს იაპონელთა ნაშუშევრებს. ცხადია, გახსოვს ეს სახატები – აქა-იქ პაწაწინა ხეები და ქუხ-ქუხად ბალახი – ხომ გაგოსდება? სოგჯერ ისეთი დღეებია, ბუნების ცქერით თვალი ვერ ძღება, კოლორიტის თვალსაზრისით კი შემოდგომის პეიზაჟები არნახული სილამაზით განგაცვიფრებს: მწვანე ზეცის და მწვანე, ყვითელ, ნარინჯისფერ მცენარეთა კონტრასტები; მიწას დაჰკრავს იისფერის ჩრდილა ელფერი; გადამწვარი ბალახი და უკანასკნელი წვიმებისგან აქა-იქ გაცოცხლებული მცენარეები, ხელახლა რომ აყვავებულან ვარდისფრად, ცისფრად, მწვანედ, იისფრად, – ერთი სიტყვით, გული ჩაგწყდება, რომ ვერ შეძლო და ტილოზე ვერ გადაიტანო ეს სილამაზე. აქაური ცა ახლა ჩვენებურ, ჩრდილოეთის ზეცას მაგონებს, ოღონდ როგორც განთიადი, ისე დაისი აქ კიდევ უფრო ფერმკრთალი და გამჭვირვალეა. ქიულ დიუპრეს ანდა ზიემის დახატული ცა რომ გინახავს, ისეთია.

კიდევ ორი პეიზაჟი მაქვს გამზადებული: ჩვენი თაეშესაფრის ბაღი, აგრეთვე, თვით თაეშესაფარი – სურათზე სასიამოვნო გამოვიდა. შეეცადე, პეიზაჟი სინამდვილეში როგორიც არის, სწორედ ისეთი დამეხატა; გაეამარტივე, ყურადღება გაეამახვილე იმაზე, რომ ფიჭვები და კედრის ვვერები მტრედისფერი ზეცის ფონზე მუდამ ასე ამაყად მოჩანს. მოკლედ, თუკი „ოცთა ჯგუფი“ გაიხსენებს, – თუმც ეს ამბავი არცთუ ისე ძალიან მისდა, – რამე ლამაზის გაგზავნას შევეძლებ. მაგრამ ჩემთვის სულ სხვა რამ არის მნიშვნელოვანი: ერთმა მხატვარმა, რომელიც ბევრად მჯობია, – ეგულისხმობ მენიეს, – დახატა ბორინაჟელი მზიდავი ქალებიც, შახტებისკენ მიმავალი ცელაც, მრუმე ცის ფონზე ქარხნის წითელი სახურავები და შავი მილებიც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რის დახატვაზედაც ვოცნებობდი, რაკი ვგრძნობდი, რომ ჯერჯერობით ეს არავის დაეხატა, თუმც, დიდი ხნის წინ უნდა დაეხატათ. მაგრამ, ამის მიუხედავად, მხატვრები იქ ამის შემდეგაც გამონახავენ ურიცხვ სიუჟეტს. სინათლის ეფექტთა გადმოსაცემად შახტში უნდა ჩავიდნენ...

გესმის, როგორი გრძელი სიცოცხლე უწერია ქიულ ბრეტონის, ბიიეს და სხვათა ფიგურებს? მათ გადალახეს სიძნელეები, მოდელების ხატვას რომ ახლავს: ეს კი უკვე ბევრ რამეს ნიშნავს. ასევე დიდხანს ემახსოვრებათ ოტო ვებერის ერთი სურათი, რომელიც მისი შემოქმედების საუკეთესო (არაინგლისურ) ხანას ეკუთვნის. გაზაფხულს ერთი მერცხლის ჭიკჭიკი ვერ მიგვაახლებს, ახალ იდეას არსებული შედევრების ხაზის გადასმა არ შეუძლია. იმპრესიონისტების საქმე იმიტომაა ასე ცუდად, რომ მრავალი წლის მანძილზე ამ მოძრაობას ამუხრუჭებდა ისეთი რამ, რასაც მშვენიერად გაართვა თავი წინა თაობამ – უფუსლობა და უმოდელობა. ამიტომაც ბრეტონს, ბიიეს, სხვათა და სხვათა, უფლება აქვთ, მათზე იცინონ და გაოცებით იკითხონ კიდეც: „როდისღა ენახათ თქვენს გლეხებს და გლეხის ქალებსო?“ პირადად მე, მრცხვენია და ვაღიარებ ჩემს დამარცხებას.

გადმოვიხატე ჟ-ნ დიუმონ-ბრეტონის იისფერი სურათი – „ბავშვიანი ქალი ბუხართან“. ასლების ხატვას კვლავაც ვაპირებ; ამრიგად, მთელი კოლექცია შემიგროვდება და როცა საქმარისად ვრცელსა და სრულ

კოლექციად გადაიქცევა, რომელიმე სკოლას ვაჩუქებ. გპირდები, რომ შემდეგსა ამასათის მიღების შემდეგ მცირე ალპებს, რომელიც კეთილი ტარტარესისთვის აგრერიგად ძვირფასი იყო, ადრინდელზე უკეთესად გაეცნობი. აქამდე ხომ მცირე ალპებს მხოლოდ სურათის უკანა პლანზე ხედავდი – თუ არ ჩავთვლით სურათს, რომელსაც „მთები“ ჰქვია. ახლა მთების შედარებით სერიოზული ეტიუდი მაქვს: ეელური ხეობა, ქვის კალაპოტში პაწაწინა ნაკადული რომ მიიკლაკნება. სურათი მთლიანად იისფერი ტონებითაა დახატული. უკვე შემიძლია, მცირე ალპებს ეტიუდების სერია ეუძღვნა, რადგან ძალზე დიდხანს ეუყურე და, მართლაც, კარგად შეეისწავლე. ალბათ, გახსოვს მონტიჩელის მშვენიერი პეიზაჟი, დელაპეირეტთან რომ ენახეთ – კლდეზე აღმართული ხე დაისის ფონზე. ამჟამად აქ უამრავი ამდაგვარი სიუჟეტია და უთუოდ დაეხატავდი, სადამოობით ჭიშკრის გარეთ რომ გამიშვებდნენ... ეს დღეებია, მშვენიერად ვარ. ჩემი აზრით, ბ-ნი პეირონი მართალია, როცა მიმტკიცებს, გიჟი არ ხარო, – ამ სიტყვაში თუკი იმას ვიგულისხმებთ, რასაც საერთოდ გულისხმობენ, – ეისაიდან შეტევიდან შეტევამდე აბსოლუტურად ნორმალურად ვაზროვნებ და ადრინდელზე ლოგიკურადაც. საშინელი შეტევები კი მემართება: რეალობას მთლად ვეთიშები. ეს ყველაფერი, ბუნებრიეია, მაიძულებს, შეუსვენებლად ვიმუშაო: მეშახტეც, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე საფრთხე ელის, ცდილობს, სწრაფად გააკეთოს, რაც შეუძლია. საღამოობით მოწყენილობამ ლამის სული ამომხადოს. ღმერთმანი, არ ვიცი, ამ ზამთარს რა მეშველება.

611. ძალიან ხშირად მძიმე ნაღველი შემიპყრობს ხოლმე. რაც უფრო მეტად მიბრუნდება ნორმალური მდგომარეობა და ჩემს ტვინსაც რაც უფრო მშვიდად შეუძლია ყველაფრის განსჯა, მით უფრო დიდ უგუნურებად მიმაჩნია, ფერწერა რომ ავიხირე, რაც ასე ძვირი გვიჯდება და, უბრალოდ, მასზე გაწეულ ხარჯებსაც ვერ გვინაზღაურებს. ეს წუთები განსაკუთრებით მწარეა ჩემთვის: უბედურება ის არის, რომ ჩემს ასაკში ხელობას ვეღარ გამოიცელი.

იმ პოლანდიურ გაზეთებში, რომლებიც მილეს რეპროდუქციებს გამოაყოლე, აღმოვაჩინე წერილები პარიზიდან, რაც ჩემი აზრით, ისააკსონს უნდა ეკუთვნოდეს. დახვეწილი ნაწერებია, მათი ავტორის აეადმყოფური მგრძნობელობა, უჩვეულო სინაზე და სინატიფე პაიანეს „მოგზაურობის სურათებს“ მაგონებს. რა თქმა უნდა, მეტისმეტად აზვიადებს, როცა ერთ შენიშვნაში ჩემ შესახებ წერს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საკვებით სწორი ვიყავი, როცა არ მსურდა, ჩემზე რაიმე დაეწერათ. გარდა ამისა, ამ ერთობ მარჯვე შენიშვნებით საკვე სტატიებს, ჩემი აზრით, ავადმყოფური ტონიც გასდევს. ისააკსონი პარიზში დიდხანს ცხოვრობდა და ეგონებ, ჩემზე გონიერულადაც იქცეოდა – არ სვამდა და ა.შ. მაგრამ მაინც მის წერილებში აშკარად ეგრძნობ იმ სულიერ მოქანცულობას, რაც პარიზში ცხოვრების შემდეგ ჩემთვის ასე ნაცნობია...

დილას „მბარაების“ ხატვა დაეიწყე. ტილოს ზომა 30-ია. იცი, რას გეტყვი, მილეს ნახატების ასე ფერებში გამეორება იქნებ ძალზე საინტერესო საქმეც გამოდგეს. ეს იქნება თავისებური კოლექცია ასლებისა, იმის მსგავსი, პრეეომ რომ ბატონ დორიასათვის გოიას და ეელასკესის ნაკლებ ცნობილი ნამუშევრების ასლები დახატა. შესაძლოა, ჩემ ფერწერაზე უფრო მეტი სარგებლობა ამ საქმეს მოჰყეეს. შეეუღლო არლის შეშლილთა საავადმყოფოს ბორგესეულთა პალატის ხატვას. მაგრამ ტი-

ლო გამოთავდა და ამიტომ ამ ბოლო დროს გარეუბანში რამდენჯერმე საკმაოდ დიდხანს ვისეირნე. ბუსებას, რომლის წიაღშიც ეცხოერობ, თანდათანობით კიდევ უფრო ეულრმავდები. პროეანსულ მოტიეებს, ალბათ, მერეც არაერთხელ დაეუბრუნდები. სწორია, რასაც გიიომენსზე იწერები: მას რაღაცას მიაგნო და ამ მიგნებით კმაყოფილდება; ყველაფერს აღარ ეპოტინება, უბრალო სიუჟეტების ერთგული რჩება და თანდათან უკეთ-სად ამუშავებს. ღმერთმანი, ეს ნაკლი არ არის და მე მხიბლავს მისი ასეთი გულწრფელობა.

613. მილეს რეპროდუქციების გამოგზავნით მეტისმეტად გამახარე. ხელი აღარ გამიშვია, თავაუღებლივ ემუშაობ და ასეთი შრომა მხნეობას მმატებს: ხელოენების ნიმუშებს რომ ეელარ ეხედავდი, თითქოს მოეეშეი. დავამთავრე „საღამო ხანი", ახლა ვიხატავ „მბარაეებს" და „კაცს, რომელიც ქურთუკს იცვამს". ტილოთა ზომა 30-ია. უცრო პატარა ტილოზე კი „მთესველს" ვიხატავ. „საღამო ხანის" ფერთა გამა მოქცეულია იისფერსა და ბაც სოსანს შორის, ლამპის შუქი დახატულია ძალზე ბაცი ლიმონის-ფერით, ცეცხლი – ნარინჯით, ხოლო კაცი – წითელი ჟანგმიწით. მალე ყველაფერს გამოვიგზავნი. ეგონებ, მილეს ნახატებიდან სურათების ასე ხატვა მის სხვა ენაზე თარგმნას უფრო ჰგავს, ვიდრე ასლების გადაღებას. ამას გარდა, ვხატავ კიდევ ორ სიუჟეტს – წეიმასა და დიდი ფიჭვებით დამშვენებულ საღამოს ლანდშაფტს. ვხატავ ფოთოლცეენასაც.

ჯანმრთელობის მხრივ მშვენიერად ვარ, ეს არის, რომ ხშირად ენაღლობ, მაგრამ, საერთოდ, ბევრად უკეთ ვარ, ვიდრე ამ ზაფხულს ან აქ ჩამოსელის პირველ დღეებში. პარიზშიც კი არ ეყოფილვარ ისე, რო-გორც ახლა ვარ. ეგონებ, ჩემი ჩანაფიქრები უშჯობესდება. რა თქმა უნდა, არ ვიცი, მომიწონებ თუ არ მომიწონებ იმას, რასაც ახლა ვაკე-თებ. წინა წერილში ამტკიცებდი, სტილის ძიება ზოგჯერ მხატერის სხვა ღირსებებს ამცირებსო. მე კი, მართლაც, საკუთარი სტილი მინდა შეეი-მუშაო. ესე იგი, მინდა, უფრო ვაკაცური ნახატი მქონდეს. დაე, ასეთი ძიების შემდეგ გოგენს და ბერნარს დაეემსგავსო, რა გაეწყობა! მაგრამ ეფიქრობ, თანდათანობით ჩემ სიმართლეში დარწმუნდები. პო, ქეეენის ლანდშაფტს მხატერი უნდა მთლიანად გრძნობდეს. განა სწორედ ეს ღირსება არ განასხეაეებს სეზანის სურათებს სხვა მხატერების სურათე-ბისგან? რამდენი რამ აქეს პიროენული გიიომენის ნახატს და სტილსაც – მაგალითისთეის რომ ასახელებ!

ერთი სიტყეით, ემუშაობ, როგორც შემიძლია. ახლა, როცა ფოთლები თითქმის ჩამოცეივდა, აქაური პეიზაჟი უფრო მეტად დაემსგავსა ჩრდი-ლოეთისას. ეგრძნობ, ჩრდილოეთში როცა ჩამოეალ, ყოეელიეეს უკეთ-სად დაეინახავ. ჯანმრთელობა დიდი რამ არის: მუშაობისთეის უდიდესი მნიშენელობა აქეს. საბედნიეროდ, აუტანელი კოშმარები ახლა ისე აღარ მტანჯავს. ამ დღეებში არლში ეაპირებ გამგზავრებას... ეცდილობ, რო-გორმე გაეამარტიეო ჩემი პალიტრა. ამის გამო წინასწარ ჟანგმიწე-ბით ვხატავ ხოლმე. მშვენიერად ვიცი, უკანასკნელი ამანათით გამოგ-ზავნილი მსხვილი, კლაკნილი ხაზებით ნახატი ეტიუდები ის არ არის, რაც უნდა იყოს; მაგრამ, ამის მიუხედავად, ებედავ, აღგითქვა, პეიზაჟზე მუშაობისას კვლავ შეეცდები საგნების ნახატით ორგანიზებას, ისეთი ნახატით, მასების გროეა რომ კარგად გადმოსცეს. დელაკრუას პეიზაჟი – „იაკობის ‘შერკინება ანგელოზთან" – ხომ გაგონდება? განა მარტო ეს? კლდეები და ყვაეილებიც, შენ რომ ხანდახან იხსენებ ხოლმე. ეს ყოეე-

ლიეკ პერსარმა სამდეილ სრულყოფილებად მიიჩნია. ერთი სიტყვით, ჩემს ძიებებს ასე იოლად ნუ უარყოფ. აი, სახავ, ჩემი დიდი პეიზაჟი ფიჭვების ტანი (წითელი ქანგმიწა) შაეით რომ არის მოხაზული, უკვე ბევრად თავისებური, თავისთავადი სურათია, ვიდრე წინა ლანდშაფტები.

614. სოემბერი. დიახ, ცხოვრება მარტოოდეს სურათები არ ყოფილა; ჰოდა, როცა სხვა ყველაფერს უგულებელვყოფთ, ბუნება ჩვენზე შურს იძიებს, ბედიც ამიტომ ყველაფერში წინ გვეღობება. ჩემი აზრით, ამჟამად, ასეთ ეითარებაში, საჭიროა, სურათებს სწორედ ის მნიშვნელობა მიეანიჭოთ, რაც ეკუთვნის, არც მეტი და არც ნაკლები. „ოცთა ჯგუფის" გამოფენაზე ეისურეებდი, გამომეფინა: 1-2 – „მზესუმზირების" ერთი ჩქერი. 3 – ვერტიკალური ფორმატის „სურო". 4 – „აყვავებული ბაღი" (ტანგის გამოფენილი) მთელ ტილოზე ჩამწკრიეებული ალეის ხეებით. 5 – „წითელი ვენახი". 6 – ამომაეალი მზე და ყანები, ახლა რომ ვხატავ.

გოგენმა გულთბილი წერილი მომწერა, აღტაცებით ლაპარაკობს ღე ჰაანზე, იმაზედაც, თუ ზღვის პირად მასთან ერთად რა კარგად ცხოვრობს. ბერნარმაც მომწერა. სულ წუხს, ათას რამეს უჩივის. მართლაც რომ, კარგი ყმაწვილია – მზად ვარ, ჩემს ხვედრს შევურიგდეო, იწერება. მაგრამ თუმცა სიხვიერია, შრომისმოყვარეც, თავდაჭერილიც, ბედნიერი მაინც არ არის: ეტყობა, შინ ჯოჯოხეთი აქვს. ი-ს წერილმა მეტისმეტად გამახარა. პასუხს ამაეე წერილს ვურთავ*. თანდათანობით დალაგებულად, მშვიდად ვაზროვნებ, მაგრამ არ ვიცი, კიდევ არ ვიცი, უნდა განვაგრძო ფერწერაში მუშაობა თუ მივატოვო. რა თქმა უნდა, გეთანხმები, თუ მუშაობას გავაგრძელებ, საჭიროა, აბსტრაქციას ვერიდო და ყოველივეს უფრო უბრალოდ შევხედო.



გოგენის „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში“ სულაც არ აღმაფრთოვანებს მას ამ სურათის ჩასახატი გამოძიგზავსა. საეჭვოა, მომეწონოს ბერნარის ანალოგიური სამუშაოც. ჯერ არ ვიცი, ეს სურათი რას წარმოადგენს – დამპირდა, ფოტოსურათს გამოგიგზავნიო, მაგრამ ეშიშროს, ამ ბიბლიურ კომპოზიციებს სულ სხვა რამ მირჩევნია, რაღაც სულ სხვა მსურს. ამას წინათ ზეთისხილის მკრეფავ ქალებს ვუყურებდი, მაგრამ რადგან მოდელებისათვის ფული არ მქონდა, ვერ დავხატე. რა თქმა უნდა, არ შეიძლება, ვინმემ მომთხოვოს, შენი მეგობრის – გოგენის ეს კომპოზიცია, გინდა თუ არა, მოგეწონოსო, ბერნარისა კი მით უმეტეს: მას ხომ სამდვილი ზეთისხილის ხე თავის დღეში არ უნახავს. მაშასადამე, შორსაა სინამდვილისგან, საგანთა რეალური გადმოცემისგან; ასეთ დროს კი სინთეზზე აღარც ლაპარაკობენ. ბიბლიურ თემათა ვარიაციები არ არის ჩემი საქმე. რემბრანდტი და ველაკრუა ასეთ სურათებს დიდებულად ხატავდნენ. ეს სურათები პრიმიტიულებზე მეტადაც მომწონს, მაგრამ ამ თემას აღარ დაეუბრუნდები. თუ აქ დავრჩი, შევეცდები, ზეთისხილის კრეფა დავხატო – დღეს, ამჟამად, – და არა ქრისტე გეთსიმანიის ზეთისხილის ხეებს შორის. ხოლო თუ ეს შემაძლებინებს ჭეშმარიტი შეფარდების აღმოჩენას ხეებსა და ადამიანის ფიგურას შორის, ზემოსახსენებ თემაზედაც ვიფიქრებ. მანამდე კი, ვიდრე სერიოზულად, უფრო ღრმად არ შემისწავლია, უფლება არ მაქვს, ასეთ თემას ხელი მოვკიდო.

პრერაფაელიტებს ეს ძალიან კარგად ესმოდათ. მილესი რომ „ქეჟნიერების ლამპარს“ ხატავდა, სამდვილად სერიოზული საქმე იყო. ისე რომ, შედარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. აღარას ვამბობ პოულმენ პანტზე, სხვებზე და სხვებზე – პინუელსა და როსეტიზე. ამათ გარდა, პიეტი დე შავანიც არის...

ეშიქრობ, კარგს ვიზამთ, თუ ჩემს წამოსელას არ დავაჩქარებთ. იქნებ ცოტა რომ დავიცადოთ, არც ოვერელი ექიმი დაგეჭირდეს და არც პისარო. თუკი მართლა კარგად გაეხდები და შევეცდები, არა მარტო ვიმუშაო, არამედ ჩემი სურათები გაეყიდო კიდეც, გამოვფინო ან გადავცვალო, ჯერ ერთი, იქნებ ის ხარჯები შეგიმცირო, რაც ჩემთვის გაქვს განკუთვნილი, და, ამას გარდა, ცოტა მხნეობაც მომემატოს. ხომ არ ვმალავ: აქაური ერთფეროვანი, მონოტონური ცხოვრება მღლის, მთლად უქმად მყოფ უბედურებთან სიახლოვე კი ნერვებს საოცრად მიძაბუნებს.

615. ეს თვე ზეთისხილის წარაფებში ვმუშაობდი, იმიტომ, რომ ყველა „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში“ მართლა მაცოფებს, რადგან ოდნავი დაკვირვების ნატამალსაც ვერ შეამჩნევ. რა თქმა უნდა, ბიბლიური ამბების ხატვას არ ვეპირებ. გოგენს და ბერნარს ეწერდი კიდეც, რომ ჩვენი ვალი ფიქრია და არა ოცნება, და მიკვირს, ამას რომ ხატავთ-მეთქი: ბერნარმა ხომ სურათების ფოტოები გამომიგზავნა, – ეს არის რაღაც კოშმარები, ფანტაზიები. გარკვეული ერუდიცია, აქ, ცხადია, მართლაც იგრძნობა. იგრძნობა, რომ პრიმიტიულებით გატაცებულ ადამიანს უმუშავია, მაგრამ თუკი გულახდილად ვილაპარაკებთ, ინგლისელი პრერაფაელიტები ამას ბევრად უკეთესად აკეთებდნენ. გარდა ამისა, პიეტი დე შავანსა და ველაკრუასაც ნუ დავიწყებთ, ისინი ხომ პრერაფაელიტებს ბევრად სჯობიან.

არ ვიტყვი, თითქოს ეს ამბავი გულს არ ხედებოდეს, მაგრამ პროგრესის შეგრძნების ნაცვლად, გაოტრების ავადმყოფური განცდა მრჩება. ჰოდა, მძიმე შთაბეჭდილების მოსაშორებლად დილა-საღამო – აქ ამჟა-

მად ციცი, მაგრამ გამჭვირვალე ღრუებია, ცხრათვალა შუა, საუცხოო, დიდებული შუა. ბაღებისკენ ეკუთვნოდი სამუშაოდ; ამის შედეგი ხუთი, ნომით 30 სურათია, რაც, უკვე შესთვის გამოგზავნილ ზეთისხილების სამ ეტიუდსაც თუ დაეუმატებთ, სიძნელეთა გადალახვის პირველ ცდას მაინც წარმოადგენს. ზეთისხილის ხეც ცვალებადია, როგორც ჩვენი ირღილოეთის წსიორები და ტირიფები: ხომ იცი, რომ ტირიფი კარგი დასახატავია, თუმც შეიძლება, ერთფეროვანი მოგეჩვენოს: ეს ხე ჩვენი მხრის საერთო იერს პარმონიულად ეხამება. პოდა, ზეთისხილს, ამასთანავე, კეიპაროსსაც, აქ ის როლი აკისრია, რაც ჩვენში – ტირიფს. რაც დაეხატე, ერთობ აშკარა, ერთობ უხეში რეალიზმია მათ აბსტრაქციებთან შედარებით, მაგრამ სოფლურ ხასიათსა და ადგილობრიე კოლორიტს კი – პროვანსის ფერებს – მაინც გადმოსცემს. მაინტერესებს გოგენისა და ბერნარის მიერ ნატურის მიხედვით დახატული ეტიუდების თვალის შეელება! ბერნარი მწერს პორტრეტებზე. ეიცი, ეს პორტრეტები უფრო მეტად მომეწონება, ეიდრე მათი ბიბლიური სიუჟეტები.

იმედი მაქვს, სიციეში მუშაობას მიეჩვევი: დილაობით შეიძლება, ჭირხლის და ნისლის საინტერესო ეფექტები ნახოს კაცმა. გარდა ამისა, კიდევ ერთი სიუჟეტის დაწყება მინდა – მთებისა და კეიპაროსების. საოცრად მინდა, ზეთისხილებით რასაც ვამბობ, ამითაც ის ვთქვა. ზეთისხილებს და კეიპაროსებს მხატერები ძალზე იშვიათად ირჩევენ ხოლმე დასახატავად. რაც შეეხება გასაღებას, ამდაგვარი სურათები ინგლისში უნდა გაიგზავნოს – ხომ ეიცი, იქ რაც მოსწონთ. ერთი სიტყვით, თითქმის მჯერა, ამ სიუჟეტს რომ მოეკიდებ ხელს, ზოგჯერ შეეძლებ რიგიანი სურათების გაკეთებას. თანდათან უფრო მეტად ერწმუნდები – ისაკსონსაც ხომ ამას ეწერდი, – რომ ნატურაზე ჯიუტად უნდა ეიმუშაო, მეწაღე რომ ფეხსაცმელზე გეირისტს აელებს, აი, ისე; წინასწარ მიზნად არ უნდა მქონდეს, ამას და ამას დაეხატავ-მეთქი, ყოველგვარ მხატერულ ამოცანას უნდა ეერიდო. რა თქმა უნდა, ყველაფერს კარგად ვერ გაეაკეთებ, მაგრამ მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, ისეთ სიუჟეტსაც წაეწყდები, წინამორბედთა წამოწყებულ საქმეებს რომ გააგრძელებს. აი, სწორედ მაშინ ჩაწვდები არსს ამ მხარისას, სინამდვილეში საესებით რომ სხვანაირია, ეიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

როცა ეიტყვი: „საჭიროა, ჩემ სურათებს დასრულებული სახე მიეცე, გულმოდგინედ დავამუშაო, დავხვეწო-მეთქი", ჩემ განზრახვას ცვალებადი განათების თუ აედრის მიზეზით ეერასოდეს ეახორციელებ, ისე რომ, ბოლოს ყველაფერზე ხელს ვიღებ და, აი, რას ეფიქრობ: მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილების, შეუმჩნეველი, ყოველდღიური შრომის შედეგად შეიძლება, დასრულებული მხატვარი გახდე, მართალი და დასრულებული სურათების შექმნა შეძლო. ერთი სიტყვით, სრულყოფისათვის ერთადერთი გზა ხანგრძლივი და მძიმე შრომაა; პატივმოყვარული ზრახვებით კი მარტოოდენ თავს მოვიტყუებთ. საჭიროა, ყოველ ცისმარე იერიშზე გადადიოდე, ხოლო ამისთვის მარტო კარგი სურათების შექმნა კი არა, ტილოს დაოხრებაც ხშირად მოგიწევს. ფერწერაში მუშაობას მშვიდი და დინჯი ცხოვრება უნდა. ჩვენს დროში კი, აბა, ამას ვინ მოახერხებს? გაიხსენე თუნდაც ბერნარი – სულ ეჩქარება, ნათესავები სულ აჩქარებენ. ამიტომაც, როგორც სურს, ისე ვერ მუშაობს. ასევე არიან სხვებიც.

ეთქვათ და, ეიფიქრეთ: „მოდი, ფერწერას შევეშვათო!" მაშინ რა ექნათ,

რა ქაქუთოთ? არა, ფერწერის სულ ახალი ტექნიკა უნდა შეეიმუშაოთ უფრო სწრაფი, უფრო იაფი, ამასთანავე, ისეთი გამძლე, როგორიც ზეთია, თორემ ბოლოს სურათები ქადაგებასაეით შემოგეაცვდება, მხატერები კი დღეეასდეელ დღეს საუკუნით ჩამორჩებიან. დასანანია, ეს რომ ასეა: ჯობდა, მხატერებს როლისა და ლერმიტისთვის მიებაძათ და, მათი არ იყოს, მილესათვის მიეგდოთ ყური. ეისაც სურს, რომ ხელოვნებას დიდხანს შერჩეს, გლეხი რომ შრომობს, იმდენიე შრომა მართებს, თანაც ყოველგვარ პრეტენზიას მოკლებული შრომა. ჩვენთვის ბეერად სასარგებლო იქნებოდა, ნაცელად დიდი და გრანდიოზული გამოფენების მოწყობისა, ისეე ხალხისთვის მიგეემართა, გეეშრომა, რათა ყოველ სახლ'ში სურათები და რეპროდუქციები კიდებულიყო, ისეთიე ჭკუისსასწაელი, მილე რომ ქმნიდა.

მიხარია, გოგენი რომ დე ჰაანთან ერთად წასულა. მადაგასკარის შესახებ კი მისი პროექტი, არა მგონია, განხორციელდეს. ჯობდა, ტონკინში წასულიყო. მაგრამ თუკი მადაგასკარზე გაემგზავრება, შეიძლება, მეც წავიდე, ვინაიდან იქ ან ორი უნდა წავიდეს, ანდა – სამი. მაგრამ ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ცხადია, ფერწერის მომავალი აქ კი არა, ტროპიკებშია: იავაზე, მარტინიკაზე, ბრაზილიასა და ავსტრალიაში. მაგრამ, ხომ იცი, არა მგონია, ჩვენ მომაელის ხალხი ვიყოთ. ვიმეორებ, იმპრესიონისტები, როცა იქნება, მილესა და პისაროს კვალს რომ გაჰყვებიან, აქ კი არა, ტროპიკებში დაიწყებენ მუშაობას. ეს საუსებით ბუნებრივეა. მაგრამ იქ წასელა სახსრების გარეშე, წასელა ისე, პარიზთან რომ მჭიდრო კაეშირი არა გქონდეს, უგუნურებად მიმაჩნია.

644. *24 ივნისი.* სენ-რემიდან ტილოები ჩამომივიდა. „ზამბახები" უკვე გამშრალა, იმედია, მოგეწონება. ამას გარდა, მივიღე „ვარდები", „ქანები", მთების პატარა პეიზაჟი, „ვარსკვლავი და კვიპაროსი". ამ კვირაში 16 წლის ქალიშვილის პორტრეტი დავხატე – ცისფერი სამოსით, ცისფერ ფონზე. იგი ჩემი სახლის პატრონის ქალიშვილია. პორტრეტი მას ვაჩუქე, ხოლო შენთვის სხვა დავხატე, რომლის ზომა 15-ია. დავხატე „ყანებიც" – ერთი მეტრი სიგანისა და ნახევარი მეტრის სიმაღლისა; მისი ჯუფთიც გავაკეთე – ეს წარაფია: ალვის ხეთა სოსანი ტანი, ქვეშ – ყვავილებით საესე ბალახი – ვარდისფერი, ყვითელი, თეთრი, ერთმანეთისგან განსხვავებული მწვანე ტონები. და ბოლოს, მზად მაქვს საღამოს ლანდშაფტიც – ორი სავსებით შავი მსხლის ხე ყვითელ ცაზე, მოიისფრო უკანა პლანზე მუქ სიმწვანეში ჩაძირული კოშკი მოჩანს...

645. გუშინ და გუშინწინ მ-ზელ გაშეს პორტრეტს ვხატავდი: მ-ზელ გაშე პიანინოს უზის და უკრავს. ამ სურათს, ალბათ, მალე ნახავ: ვარდისფერი კაბა აცვია. კედელი სიღრმეში ნარინჯისფრად დაწინწკლული მწვანე ფერია, ხალიჩა – წითელი, მწვანესარევი, ინსტრუმენტი – მუქი იისფერი. სურათის სიმაღლე ერთი მეტრია, სიგანე კი – ორმოცდაათი სანტიმეტრი. ამ ფიგურაზე უდიდესი სიამოვნებით ემუშაობდი, მაგრამ ძალიან გამიძნელდა. ექიმი გაშე დამპირდა, რომ თავის ქალიშვილს პოზირებაზე კვლავ დაითანხმებს – ახლა იგი ფისპარმონიასთან შინდა დავხატო. პირველ პორტრეტს შენთვის დავხატავ. ეს სურათი დიდებულად ეხამება მეორე, უფრო დიდი ფორმატის ნამუშევარს – ეგულისხმობ „ყანებს". ერთი მათგანი ვერტიკალური ფორმატისაა და ვარდისფერი ტონებითაა დახატული, ხოლო მეორე – ბაცი-მწვანე და ყვითელ-მწვანე, ესე იგი, ვარდისფერის დამატებითი ფერებით.

მართალია, ადამიანებს ჯერჯერობით კიდევ არ ესმით ორ საგანს შორის არსებული საინტერესო თანაფარდობა და თითოეულს ცალ-ცალკე ხსნიან, თითოეულზე ცალკე უნდათ, გაამახვილონ ყურადღება, მაგრამ ამას სოციეტები მაინც გრძნობენ და ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს. კარგია ისიც, თანამედროვე ჩაცმა-დახურვა ხშირად ფერთა სასიამოვნო კომბინაციას რომ ითვალისწინებს. შანდილოსნები, რომელთაც ქუჩებში ეხვლავთ, პოზირებაზე რომ თანხმდებოდნენ, ხელოვნებას ბევრი რამ

დაუდგებოდა, ისეთიეე, როგორიც მას წარსულში ჰქონდა. ეგოსებ, ნატურას ახლა სწორედ ისეთიეე მოხდენილობა ახასიათებს, როგორიც პიუეი დე შაეანის სურათებს. მაგალითად, გუშინ ორი ფიგურა ესახე: ქალიშეილი და დედამისი. დედას მუქი ჭიაფერი კაბა ეცვა, ქალიშეილს – ბაცი ვარდისფერი, თავზე კი ყეითელი ქუდი ეხურა. ქუდს მორიულობა სულ არ ჰქონდა. მართლაც, ჯანსაღი ქალები იყენენ; მართლაც, სამდეილი სოფლის შეილები, მზეზე დამწვარნი, გარუჯულნი; ეს ყოეელიეე გასაკუთრებით დედაზე ითქმის: სახე – წითელი, თმა კი – შაეი, ბრილიანტის საყურეები ეკეთა და დელაკრუას „ღეთისმშობლის აღზრდა" გამახსენდა. გამოხედეით, ცოტა არ იყოს, ჟორჟ სანდს ჰგაედა. ხომ იცი, რომ დელაკრუას ჟორჟ სანდის ერთი პორტრეტი აქეს – ჟორჟ სანდი აქ წელამდეა დახატული და თმა მოკლედ აქეს შეკრეჭილი – „ილუსტრაციონში" ამ სურათის გრაეიურაც გამოაქეეყნეს.

646. ***30 ივნისი.*** ძეირფასო თეო და იო. ეს-ეს არის, მიეიღე წერილი, სადაც ბაეშეის ავადმყოფობას იტყობინებით. რომ მენახეთ, ბედნიერი ეიქნებოდი, მაგრამ, რა ექნა, თავს ეიკაეებ – ეიცი, ასეთ მძიმე წუთებში თქეენზე უმწეო მე ეიქნები, თუმც, ისიც ეიცი, რა საშინლად იტანჯებით და ამიტომ ძალიან მინდა, ოდნავ მაინც დაგეხმაროთ. მაგრამ უცებ რომ ჩამოეიდე, ალბათ, მხოლოდ შეგაწუხებთ. სულით და გულით ეისაწილებ



თქეენს მღელეარებას. ცუდია, რომ გაშეს სახლი ხარახურით არის საესე, თორემ, ბაეშეის ჩამოყეანა შეიძლებოდა – ერთ თეეს მაინც დარჩებოდით. ეს ჰაერი უსათუოდ მოუხდებოდა. აქ, ქუჩებში, პარიზელ ბაეშეებს ხშირად ეხედაე; მიუხედაეად იმისა, რომ ერთი შეხედეით, სუსტებს ჰგეანან, მშეენიერად არიან. რა თქმა უნდა, სასტუმროშიც შეიძლება გაჩერება. თუ იოს და ბიჭის გარეშე თეოს პარიზში მარტო დარჩენა გაუჭირდება, ერთ-ორ კეირას შემიძლია, მასთან ჩაეიდე. ეს ზედმეტ ხარჯებს არ გამოიწეეეს. ეფიქრობ, ბაეშეისთეის ჰაერზე ყოფნა, რაც მთავარია, სოფლის ბაეშეებთან ერთად სირბილი უსათუოდ საჭიროა. და რაკი იო ჩეენი ცხოერების ქეელა სიმძიმეს, წუხილსა და პერიპეტიას ისაწილებს, სოფლად წასელა და ცოტა გულის გაღაყოლება მასაც არ აენებს.

გოგუსი ერთობ საღელიას წერილს იწერება. მიმანიშნებს, რომ უკვე მტკიცედ გადაწყვიტა, მადაგასკარზე გაემგზავროს. მაგრამ ამაზე ისე ბუნდოვნად ლაპარაკობს, მაშინვე ჩანს საფიქრალი აღარაფერი დარჩენია და ამაზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ფიქრობს. ეეჭვობ, მისი გეგმის ხორცშესხმა შეიძლებოდეს.

აი, ჩემი სამი ნახატი: პირველია გლეხის ქალი. ცისფერბაბოიანი დიდი ყვითელი ქუდი ახურავს. სახე ძალზე წითელი აქვს; ღია ლურჯი, სარისჯისფრად დაწინწკლული კოფთა აცვია. უკანა პლანზე თავთავებია. ამ ტილოს ზომა 30-ია, მაგრამ ვაითუ ოდნავ უხეში ნამუშევარი მოგეჩვენოს! მეორეა პეიზაჟი – პორიზისტალური ფორმატისა: მიშველს რომ აქვს, ისეთი მინდერები, მაგრამ მწვანე, ყვითელი და მომწვანო-მოცისფრო ტოსებით ნახატი. ხოლო მესამე – წარაფია: ვერტიკალურად, სვეტებივით ამართული ალვის ხეთა მაღალი ტანი – პეიზაჟს რომ მთლიანად კეეთს: სიღრმეში, ხვებქვეშ, მოჩანს მდელო, გახუსებული მაღალი ბალახი, თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი ყვავილებით.

648. ჩემ ძმისშვილზე ხშირად, ძალიან ხშირად ვფიქრობ. როგორ არის? ჩემო იო, იმედია, ბავშვები კიდევ გვყოლებათ, ჰოდა, უნდა დამიჯეროთ, ქალაქში აღარ გააჩინოთ, სოფლად წადით და ვიდრე ბავშვი 3-4 თვისა არ გახდება, იქ იყავით. ჯერ ხომ ბიჭი ექვსი თვისაც არ გამხდარა, თქვენ კი, ეგონებ, რძე გიშრებათ და თვოსაეით მეტისმეტად გადაიღალეთ. იმის თქმა არ მსურს, რომ ძალ-ღონე უკვე საესებით გამოგეცალათ, მაგრამ ათასი საზრუნავი გაწუხებთ და უკვე უმადლო შრომას ეწევით. აი, რად გირჩევთ, წელს პოლანდიას ნუ წახვალთ-მეთქი: გზა ძალზე ძვირი დაგიჯდებათ, არაფის კი არაფერს არგებს; მხოლოდ დედაჩემს გაუხარდება, ბიჭს რომ ნახაეს. თუმც, ოღონდ ბიჭი კარგად იყოს და, ირჩევს, არ ნახოს. მერეც ნახაეს. ყველაფერს კი ის აჯობებს, თუ ყველანი – ბავშვიც, დედ-მამაც – სოფლად ერთ თვეს მაინდამაინც იცხოვრებთ. ჩემი აზრით, ეს დრო არც არის საკმარისი...

ახლა გაშეზე ვილაპარაკოთ. გუშინწინ მიეედი, მაგრამ ვერ ენახე – შინ არ დამხვდა. ამ დღეებში გამალებული ემუშაობდი. ოთხი ეტიუდი გაეამზადე, ორიც – ნახატი. ერთ-ერთს – ვენახს – გლეხის ქალის ფიგურა რომ ჩანს, ძალიან მალე გამოეგზავნი. ამის მიხედვით დიდი სურათის დახატვა მსურს. ჩემი აზრით, გაშეს იმედი არასგზით არ უნდა გვქონდეს. ჯერ ერთი, იგი ჩემზე უფრო ავადაა, ჩემსავით მაინც. ხოლო როცა ბრმას ბრმა მიუძღვის, ორივენი, ალბათ, ორმოში ჩაცვივდებიან. არ ვიცი, რა ეთქვა. ჩემი ბოლო მძიმე შეტევა უფრო მეტად სხვა სნეულთა სიახლოვემ გამოიწვია. პატიმრობამ პირდაპირ მომსპო, ხოლო მოხუცმა პეირონმა ამას ოდნავი ყურადღებაც არ მიაქცია – უსუგეშო ავადმყოფებს შორის დამტოვა.

649. ძვირფასო ძმაო და დაო. იოს წერილი ჩემთვის, მართლაც, ხარება იყო: მან დამიხსნა იმ შიშისა და სიმძიმილისგან, რაც ამ დღეებში თქვენთან ერთად გადავიტანე. განა ცოტაა, რაც ლუმაპურის დაკარგვის შიშმა განგვაცდევინა? განა ცოტაა, რომ ათასმა სხვა მიზეზმა დაგვანახვა, თურმე რარიგ ბეწვზე ჰკიდია ჩვენი სიცოცხლე? ჩამოსელის შემდეგ გულზე თითქოს ლოდი მაწვა, იმაზე ფიქრი ვერ მოვიშორე, რომ თქვენც და მეც უბედურება გვემუქრებოდა. რა გაწყობა! როგორც ხედავთ, ეცდილობ, კარგი განწყობილება შევინარჩუნო, მაგრამ, რა ექნა, ჩემი ცხოვრება ძირშივეა გამოხრული – უაზროდ და უგზო-უკვლოდ

დაეუხეტები. ძალიან არა, მაგრამ მაინც მეშინია, ჯაითუ ტეირთად გაწევო-მეთქი ჩემი სიცოცხლე; თუმც, იოს წერილმა დამარწმუნა, რომ გესმით, როგორ ეცდილობ, შრომა და ზრუნვა ოდსაე მაინც შეგიმსუბუქოთ.

დაებრუნდი და ისევ შრომას შეეუღლე, თუმცა ფუნჯი ლამის ხელიდან მიეარდებოდა. მაგრამ რაკი ეიცი, რა მინდა, უკვე სამი დიდი სურათი დაეამთაერე. აქედან ორი უსასრულოდ ყანებია, ღრუბლიანი ცა რომ დასცქერის. არ მოეერიდე, უკიდურესი მარტოობა და უსაზღვრო სევდა გამომეხატა. იმედია, ამ სურათებს მალე გაჩვენებთ – მოკლე ხანში მინდა, პარიზში ჩამოგიტანოთ, ვინაიდან თითქმის მჯერა: ეს სურათები გადმოგცემთ იმას, რაც სიტყვით ვერ გამომითქვამს, კერძოდ – სოფლად თუკი რამ არის ჯანსაღი და სულის და გულის გამაკეებელი. მესამე სურათი დობინის ბაღია – მისი დახატვა ჩამოსელის დღიდან ოცნებად მქონდა.

გულწრფელად მჯერა, აქ ჩამოსელა ცოტას გაგართობთ. ბიჭუნაზე ხშირად ვფიქრობ. ეიცი, სჯობს, ისევ ბავშვებს ზრდიდე, ვიდრე ნერვებს და ენერგიას ხატვას ალევდე. მაგრამ რას იზამ! საიმისოდ უკვე საქმაოდ ბებერი ვარ, რომ ყველაფერი თავიდან დაეიწყო ანდა სხვა საქმეს მოვეკიდო – რა ვქნა, ასე მეჩვენება. ამ სურვილმა გამოიარა, მაგრამ გულში საღებელი ჩამრჩა. გიიომენი რომ ვერ ვნახე, დასანანია, მაგრამ ჩემი სურათები რაკი უნახავს, მიხარია. რომ მომეცადა, ალბათ, ლაპარაკს შევეყვებოდით და მატარებელს ვერ მიეუსწრებდი.

651. ***23 ივლისი.*** მთელი ყურადღება სურათებზე გადავიტანე – ეცდილობ, იმათზე ნაკლებ არ ვხატო, ვინც მიყვარს და ვისი მხატვრობაც აღმაფრთოვანებს... პარიზში თითქმის მომეჩვენა, რომ მხატვრები უკანასკნელ ზღვართან მისულან. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ იქნებ უკვე გვიანაა, იქნებ აღარც ღირს, ერთად ყოფნისა და მუშაობის სარგებლობა ვინმეს ეუთქვიცოთ? ეს ერთობა თუნდაც შეიქმნას, განა კრახით არ დამთავრდება, რაკი ყველაფერს კრახი ელის? იქნებ მითხრა, შესაძლოა, ზოგი მოვაჭრე გაერთიანდეს იმპრესიონისტთა საშეველადო. მაგრამ ეს ხომ დროებითი ღონისძიება იქნება და სხვა არაფერი. ჩემი აზრით, პირადი ინიციატივა მაინც არ კმარა. და რაკი ცდამ არ გაგვიმართლა, ღირს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ? დაერწმუნდი, რომ გოგენის ახალი ბრეტანული ნამუშევარი მართლა კარგია. გამიხარდა. ალბათ, იქვე დახატული სხვა სურათებიც კარგი იქნება.

დობინის ბაღის ჩანახატი იქნებ გესახა? ეს ჩემთვის ერთი უძვირფასესი სურათია. ეგზავნი მეორე ჩანახატსაც – ჩალით დახურული ქოხებისას, და კიდევ ორს – ჩანახატებს სურათებისას, რომელთა ზომა 30-ია, – ეს უსასრულო ყანებია წვიმის შემდეგ... დობინის ბაღის წინა პლანზე დახატულია მოვარდისფრო-მწვანე ბალახი, მარცხნივ – იისფერ-მწვანე ბუჩქი და ჯირკი – მოთეთროყვითრტებიანი; შუაში – ვარდის ბუჩქების მწკრივი; მარჯვნივ – მუსერი, კედლის ძირას – თხილის ბუჩქების იისფერი ფოთოლსარი. ამის შემდეგ – ცოცხალი ღობე იასამნის ბუჩქებისა, გადაკრეჭილი ყვითელი ცაცხვების ხეივანი, სიღრმეში კი – თავად სახლი, ვარდისფერი, მოცისფრო კრამიტით დახურული. სკამი და სამი სავარძელი, ყვითელქუდიანი შვილი ფიგურა, წინა პლანზე შვილი კატა, ცა – ბაცი მწვანე.

652. (ეს წერილი 29 ივლისს ჯიბეში ედო[1]) ბევრი რამის მოწერა მსურდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ აზრი არა აქვს. იმედია, უფროსები ძვე-

[1] თეო ვან გოგის მინაწერია.


ლებურად მადლიერი გავხარ. მარწმუნებ, შე და ჩემი ცოლი მშვიდად ეცხოვრობითო. ტყუილად ირჯები: თქვენი ცხოვრების ამიც და კარგიც მე ხომ ვნახე. გეთანხმები, ბავშვის გაზრდა შეხუთე სართულზე შესთვისაც და იოსთვისაც ძნელი საქმეა. რაკი ოჯახში ყველაფერი რიგზე გქონია მთავარი კი სწორედ ეს არის, – სხვა რამე'ზე აღარა ღირს ლაპარაკი. ალბათ, კიდევ დიდი დრო გავა, ვიდრე შეეძლებათ, ჩვენს საქმეებზე წუხარად და მშვიდად ვილაპარაკოთ. მეტს უკვე ვეღარას გეტყვი. ამას უშიშრად ვერ გეუბნები, ადრეც ხომ გწერდი. მაგრამ სათქმელი მაინც მეტი აღარა მაქვს რა. ფიქრით რასაც უნდა ფიქრობდნენ, მხატვრები უკვე ინსტინქტურად თავს იკავებენ სურათებით ვაჭრობაზე, ამ ვაჭრობის თანამედროვე ვითარებაზე კამათისგან. კაცმა რომ თქვას, ჩვენ შესახებ უნდა ჩვენმა სურათებმა ილაპარაკონ.

დიახ, ჩემო ძვირფასო ძმაო, ათასჯერ მითქვამს და ერთხელ კიდევ გიმეორებ ჩემ სერიოზულ, დიდხანს საფიქრ მოსაზრებას; ერთხელ კიდევ გიმეორებ, რომ შენ არა ხარ ჩვეულებრივი, კორიოს სურათებით მოვაჯრე კაცი. ჩემი მეშვეობით შენ ზოგი ისეთი სურათის შექმნის მონაწილე ხარ, ქარიშხალშიც რომ სიმშვიდეს მოგვერის ადამიანს. ჩვენ შევქმენით ეს სურათები, ეს სურათები დღეს არსებობს, ყველაზე მეტად, აი, რა მსურდა, შენთვის მეთქვა ამ საოცარი კრიზისის დროს, როცა გარდაცვლილ და ცოცხალ მხატვართა სურათებით მოვაჯრეთ შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია. რა გაეწყობა, ჩემ საქმეს სიცოცხლე შევალიე, ჩემი გონების ნახევარიც ამას დასჭირდა. მაგრამ შენ ხომ ადამიანით მოვაჯრეთა რიცხვს არ ეკუთვნი და შეგიძლია, მართალ კაცს მხარში ამოუდგე. რაკი, მართლაც, ისე იქცევი, ადამიანს რომ შეეფერება. თუმც, რას იზამ?!

ემილ ბერნარს
1887 – 1889

ფრანგი ფერმწერი, გრაფიკოსი, პოეტი, მხატვრობის კრიტიკოსი და თეორეტიკოსი ემილ ბერნარი (1868–1941) ვინსენტის ერთი უახლოესი მეგობარი იყო. ისინი ერთმანეთს ძია ტანგის დუქანში შეხვდნენ და დამეგობრდნენ. ხშირად ერთად მუშაობდნენ მდინარე სენის სანაპიროზე, ანიერში — თვით ბერნარის სახელოსნოში. ვან გოგის არლში წასვლის შემდეგ მათ შორის მიწერ-მოწერა გაიმართა. ბერნართან მინაწერი წერილები არსებითად ავსებს ვინსენტის ძმასთან მინაწერ წერილებს, ვინაიდან ეს ბარათები ნათლად გვიჩვენებს, მხატვრობის რარიგ დიდებული კრიტიკოსი იყო ვინსენტი.

ბ 1. *პარიზი, 1887 წლის ზაფხული.* ბოდიში უნდა მოგიხადო, ამას წინათ ისე უცებ რომ მიგატოვე. ამ წერილსაც, უპირველესად, ამიტომ გწერ. გირჩევ, ტოლსტოის რუსული ზღაპრები წაიკითხო. დელაკრუაზე დაწერილ წერილსაც უთუოდ გიშოვი. გიიომენთან მაინც შეევედი, მაგრამ საღამოს. იქნებ არ იცი, გიიომენის მისამართი ასეთია – ანჟუს სანაპირო, 13. ჩემი აზრით, გიიომენი, როგორც კაცი, სხვებზე ბევრად საღად მსჯელობს: ყველანი რომ ასეთები ყოფილიყვნენ, მეტი კარგი ნაწარმოები შეიქმნებოდა, ერთმანეთის დასაჯშელადაც ამდენი დრო აღარაების



გაეცნობოდა, რა თქმა უნდა, აღარც სურვილი. ისევე მჯერა, არა იმიტომ, შაჲი ღღე რომ დაგაწიე, მერე თაყალაც დარწმუნდები: სახელოსნოში არა მხოლოდ ფერწერაზე, საერთოდ, ცხოვრების მექანიკაზე ადამიანი ბევრს ვერაფერს ისწაელის. ამიტომ ცხოვრების ხელოვნება ისევე უნდა შეისწაელოთ, როგორც ფერწერის ხელოვნება ძველ ოისებს და ვიღაც ჰკუის კოლოფების ოპტიკურ ილუზიებს უნდა შეეწევათ. არა მგონია, რომ შენი ავტოპორტრეტი შენს სურათებში ყველას სჯობდეს ან ამის მეტად ავტოპორტრეტს აღარ დახატავ. საოცრად კი გგავს!

ყური მიგდე: ამას წინათ ძირითადად, აი, რა მსურდა, შენთვის ამეხსნა (რათა გაცეყოთილ ჭეშმარიტებებს როგორმე თავი ავარიდო, ნება მომეცი, მაგალითი სინამდეილიდან მოეიტანო): ეთქვათ, რომელიმე მხატვარს ეჩხუბე და ამის გამო ასე ამბობ: „თუ სინიაკი იქ გამოფენს თავის სურათებს, სადაც მე ეფენ, სურათები უკან მიმაქვსო“. ჩემი აზრით, მას რომ აძაგებ, ცუდად იქცევი: არა ჯობია, ცოტა მეტი დაეიერეება გამოიჩინო, ცოტა დაფიქრდე, ეიდრე მაშინეე ასე გადაჭრით გადაწყეიტო ყეელაფერი? თუ ჩხუბის დროს დაეფიქრდებით, მიეხედებით, რომ ჩეენ ნაკლები ცოდვა არ გეაწეევს, ეიდრე მეტოქეს, და რომ მასაც ჩეენნაირი საფუძეელი აქვს, თაეის სიტყეას არ გადაეიდეს. თუკი დაფიქრებულხარ, სინიაკს და სხეებს – პუანტილიზმის ტექნიკას რომ იყენებენ, – ხშირად როგორი მშეენიერი სურათები შეუქმნიათ, კი არ უნდა ლანძღო და აგინო, – განსაკუთრებით თუ თქვენ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა, – არამედ უნდა კეთილად და პატიეისცემით მოიხსენიო, თორემ სექტანტს დაემსგაესები, ისეთ შეზღუდულ ადამიანს, არაეის რომ არაფრად აგდებს და წმინდანი მარტოოდენ საკუთარი თაეი ჰგონია. არ იფიქრო, რასაც ეამბობ, აკადემისტებს არ ეხებოდეს. მაგალითისთვის გაიხსენე ფანტენ ლატურის რომელიმე ნაწარმოები ან, თუნდაც, მთელი მისი შემოქმედება. სხეებისა რა მოგახსენო და, ის კი არასდროს არ ყოფილა მეამბოხე. მაგრამ განა ეს ხელს უშლის, შექმნას მშეიდი, მართალი და ისეთნაირი სურათები, მას რომ ერთ-ერთ ყეელაზე უფრო თაეისთაეად თანამედროეე მხატერად აქცეეს?

ორიოდ სიტყეა მომაეალ სამხედრო სამსახურზედაც. უსათუოდ ახლაეე უნდა მოემზადო, კარგად გაიგო, რის გაკეთება შეიძლება, მუშაობის უფლება რომ შეგინარჩუნონ, გარისზისი თეითონეე რომ აირჩიო და ასე შემდეგ; ჯანმრთელობაზედაც უნდა იფიქრო. თუ გინდა, რომ არმიაში ცოტა მომაგრდე, როცა წახეალ, არ უნდა იყო არც მეტისმეტად

უხალისო, არც მეტისმეტად სერიული. განსაკუთრებულ უბედურებად არ მიმაჩნია შენი იქ წასვლა, მაგრამ ძალზე სერიოზული გამოცდა კი უთუოდ გელის. თუ გაუძლებ, მხატვარი გახდები, დიდი მხატვარი. ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის ახლაღე უნდა იწრუნო და ყველაფერი გააკეთო: ნერვები კიდევ დაგჭირდება. თუ წელს ბევრი იმუშაე, ალბათ, სურათებს დააგროვებ. შეეცადებით, ერთი საწილი გაგიყიდოთ, ვიცით, რომ მოდელების საქირაოებლად ჯიბის ფული დაგჭირდება. მე უდიდესი სიამოვნებით, ძალ-ღონის დაუზოგაოდ გავაგრძელებ იმის კეთებას, რაც დარბაზში წამოვიწყე,* თუმც, ჩემი აზრით, წარმატების საწინდარია მხოლოდ წერილმანი შურისაგან თავის დაღწევა: ძალა, პართლაც, ერთობაშია. ჩვენი საეროთო საქმისათვის ეგოისტური „ყველამ თავისთავს მიეხედოთო“, – როგორმე უნდა დავიწყოთ.

ბ 2. *მარტი, 1888* დაპირებას ვასრულებ და წერილს გიგზავნი. დავიწყებ იმით, რომ ეს მხარე გამჭვირვალე პაერით და მხიარულ ფერთა შეხამებით ისეთივე მშვენიერი მენჩენება, როგორიცაა იაპონია. წყალი აქ თითქოს იაპონური პეიზაჟების მდიდრული ლურჯი ან საკვირველი ზურმუხტისფერი ლაქებია. დაისები კი – ძალზე ბაცი ნარინჯისფერი, მიწაც ამიტომ ლურჯად მოჩანს. მზე ყვითელია, თვალისმომჭრელი ყვითელი ფერი! სხვათა შორის, ჯერ კიდევ არ მინახავს აქაური საფხულები და ამ ადგილების ჩვეულებრივი დიდმშვენიერი სილამაზე ზაფხულობით. მანდილოსნებს თვალწარმტაცი სილამაზის კაბები აცვიათ. ბულვარებში, განსაკუთრებით კვირაობით, ფერთა ძალზე ბუნებრივ, მაგრამ მეტისმეტად პარმონიულ კომბინაციებს წააწყდები. ცხადია, საფხულში ყველაფერ ამას კიდევ უფრო მხიარული იერი ექნება.

დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ცხოვრება აქ იმაზე ძვირი ჯდება, ვიდრე მეგონა, და ჯერ კიდევ უფრო იაფად ვერსად მოვეწყვე. პონტავენი კი არ გეგონოს! პირველად დღეში ხუთ ფრანკს ვიხდიდი, ახლა ოთხს ვიხდი. აქაურ კოლოზე ლაპარაკს, ბუიაბესისა და აიოლის ჭამას რომ შევეჩვიოდე, მაშინ, ალბათ, ოთახის შოვნა უფრო იაფად მოხერხდებოდა, თან – პანსიონით. პოდა, მგონი, რამდენიმე რომ ვყოფილიყავით, უფრო ხელსაყრელ პირობებში მოვეწყობოდით. სამხრეთში გადმოსელა მზესა და ფერებზე შეყვარებულ მრავალ მხატვარს, ალბათ, საგრძნობ სარგებლობას მოუტანდა. იაპონელთა ხელოვნება სამშობლოში ერთ ადგილზე გაიყინა, ფრანგებმა კი აიტაცეს და შეითვისეს. წერილს მცირე ჩანახატიც წაეუმძღვარე. იმ ეტიუდის ჩანახატია, რომელშაც ერთობ შემიქცია. იქნებ რამე გამოვიდეს: მატროსები ქალებთან ერთად ისევ ქალაქში ბრუნდებიან. ეეებერთელა ყვითელი მზე, ამ მზის ფონზე ასაწვეი ხიდის უცნაური სილუეტი აღმართულა. ამ ადგილის სხვა ეტიუდიც გავაკეთე, აქ კი მრეცხავი ქალები დავხატე. შენს ამბავს თუ შემატყობინებ, გამახარებ. მინდა, ვიცოდე, რას აკეთებ და სად იქნები.

ბ 3. *აპრილი, 1888* გმადლობ, გულთბილი წერილისა და შენი ძალზე საინტერესო დეკორაციის ესკიზებისთვის. ზოგჯერ ვნანობ, წარმოსახვით ხატვა რომ ვეღარ გამიბედავს, შინ აღარ ვხატავ. რა თქმა უნდა, წარმოსახვა არის ნიჭი, რომელიც უნდა განვითარო: მხოლოდ მისი მეოხებით შეიქმნება გულში ჩამწვდომი, სიმშვიდის მომგვრელი ბუნების ხატი და არა უნდო, სინამდვილის ელვასავით წამიერი თვალის შეველებით. აი, იუნდ ცა – ჟარსკვლავებით მოჭედილი. მინდა, ვცადო ამის დახატვა, ისევე როგორც, დღისით ვეცდები ბაბუაწვერას ჟარსკვლავე-

ბით მოუკვესილი ძღელოს დახატვას. მაგრამ ამას როგორ შეეძლება, თუ შინ ხატვას, წარმოსახვით მუშაობას ვერა ებედავ? ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემდა გასამტყუნებლად ლაპარაკობს და შენს სასარგებლოდ.

ამჟამად მოხიბლული ვარ ყვავილოვანი ხეების მშვენებით — ყარდისფერი ატმის ხეებით, ბაცი, ბაცი-ყვითელი მსხლებით. არავითარ სისტემაზე აღარ ეფიქრობ, როგორც მომხვდება, ფუსკს ისე ეუსვამ და ასე ეტოლეებ. სქელი მოსასმი, აქა-იქა საღებაყით დაუფარაყი ადგილები, დაუმთავრებელი ნაწილები, შესწორებანი, ძალიან ხშირად უხეშობაც — შედეგი კი, ჩემი აზრით, აღბეჭდილია ისეთი მოუსვენრობით, რაღაც ისე უცნაურად გამომწვეეია ეს ყოველივე, ადამიანებს, ტექნიკაზე გარკვეული წარმოდგენა რომ შეიმუშაეს, სიამოვნებას ვერ მოუტანს. აი, ერთი ჩანახატი — პროეანსული ხეხილის ბაღის შესახელელი: ყვითელი ღობე, ღობესთან — შავად აღმართული კეპაროსები (მისტრალისგან დასაცავად), ბოსტნეულის თაეისებური მრავალნაირი მწვანე ფერი — ყვითელი სალათი, ხახვი, ნიორი, ზურმუხტისფერი ნორჩი პრასი.

რაკი მუდამ უშუალოდ იქ ემუშაობ, რასაც ეხედავ, ეცდილობ, ნახატით არსებითს ჩაეწედე. მერე მკვეთრი ანდა საგრძნობი კონტურით მაინც შემოხაზულ სიბრტყეებზე გადაედიეარ და ფერით ეავსებ. ფერს ერთიან ეამარტიეებ იმ ეარაუდით, რომ ყველაფერი, რაიც შემდეგ მიწა იქნება, სულ ერთნაირი იისფერი ტონით დაეფარო, ხოლო ცა ლურჯით, რომ სიმწვანე ან მომწვანო ლურჯი იყოს, ან მომწვანო-მოყვითალო და განზრახ იყოს ხაზგასმული ყვითლისა თუ ლურჯის სიჭარბე. რაც უნდა იყოს, მეგობარო, ოპტიკური ილუზიები ჩემგან შორს არის!

ეკსში, მარსელში, ტანჯერში წასელა არ მელის. თუ მაინც წაეალ, მხოლოდ იაფი ბინის საშოვნელად. სხეა მოსაზრებით ეს არ მოხდება, რადგან ეიცი, მთელი სიცოცხლე მუშაობას რომ მოეანდომო, იმის ნახეერის დახატვასაც ვერ მოეასწრებ, რაც, თუნდაც, მარტო ამ ერთ ქალაქს ახასიათებს. სხეათა შორის, ამას წინათ არენაზე ხარების ჭიდილს ეუყურებდი, უფრო სწორად, რაღაც ამის მსგაესს, რადგან ხარები ბეერნი იყვნენ, მათ კი არაეინ შებმია. სამაგიეროდ, მაყურებელი, ხალხი იყო საუცხოო — უშველებელი ჭრელაჭრელა ბრბო — ორსართულიან, სამსართულიან ამფითეატრში წყება-წყებად განლაგებული, ბაღები და ამ ბაღებში მზისა და ჩრდილის ეფექტები, კოლოსალური წრის ჩრდილიც.

ბ 4. *დაახლოებით 20 აპრილი, 1888.* სონეტები რომ გამომიგზაენე, დიდი მადლობა. ფორმითა და ღერადობით პირეელი მომწონს:

გიგანტურ ხეთა მთვლემარე გუმბათქეშ...

აზრით და გრძნობით უკანასკნელი მირჩევნია:

ეს იმიტომ, რომ გულს ჩამიშუქე ნეეროზი იმედის.

მაგრამ, ეფიქრობ, რის თქმაც გინდა, ნათლად ვერ გამოგითქეამს: რწმენა მშვენიერ, სასურველ ანდა ლამაზ საგანთა უაზრობის, წარმაელობის, უბადრუკობისა; რწმენა, რომელიც ჩვენში სახლობს და, შესაძლოა, ყოველ წუთში გამომჭდაეხდეს; ამის მიუხედაეად, ჩვენი ექსიეე გრძნობის სწრაფეა ცხოერებით ტკბობის, ჩვენ გარეშე არსებული საგნებისკენ — გეგონება, არ ეიცოდეთ, თითქოს არ ეგრძნობდეთ, სუბიექტურს და ობიექტურს რა ზღვარიც ჰყოფს. საბედნიეროდ, მუდამ ასეთი სულე-

ლები ვარო და არახდროს იმედს არ უკარგავთ. მომწყოსა ეს ორი სონეტიც: „სამთარი, არც ფული, არც ყვავილები“... და „ზიზღი“.

„სამლოცველოს კუთხეში“ და „ალბრეხტ დიურერის ნახატი“ კი ისეთი კარგი ვერ გამოგვსელია, კერძოდ, ვერ ვხედავ, რომელი ნახატი იგულისხმება. საუცხოო სტრიქონები კი ამ სონეტებში მაინც არის:

ცისფერი ველების ვენერები,
ფერმკრთალნი დიდი ხნის ხეტიალით... —

ვან ეიკისა და კრანახის ფონზე მშვენიერად ხატავს მაღლა აწვდილ ცისფერ კლდეთა შეჯგუფებას და მათ შორის დაკლაკნილ გზებს.

ჯვარს სპირალურად მიხვეული... —

ქრისტეს მისტიკურ გამოხატულებათა უტრირებულ სიგამხდრეს კარგად გადმოგვცემს. რატომ ისიც არ უნდა თქვა, რომ წამებულის ნაღვლიანი გამოხედვა ეტლის ცხენის სეედიან თვალებს მოგვაგონებს? ეს კიდევ უფრო პარიზულად აჟღერდებოდა: პარიზში ხომ უბადრუკი ცხიაკრების პატრონებს შორის ასეთ თვალებს ძალიან ხშირად წააწყდები, ხოლო ზოგჯერ — პოეტებსა და მხატვრებს შორისაც. ერთი სიტყვით, შენი ლექსები ჯერ ისეთი კარგი ვერ არის, როგორიც შენი ფურნერაა, მაგრამ რა უშავს — ყველაფერი მოგვარდება. სონეტებზე კიდევ უნდა იმუშაო. ბევრს — მით უმეტეს, ჩვენს თანამოძმეთ — მიაჩნია, თითქოს სიტყვა არაფერია. არ არის სწორი! განა აზრის სიტყვით გამოთქმა ისეთივე საინტერესო, ისეთივე ძნელი არ არის, როგორც ფერებით გადმოცემა? არსებობს ფერის, არსებობს ხაზის ხელოვნება, მაგრამ სიტყვის ხელოვნება მასზე ნაკლები არასოდეს ყოფილა და არც იქნება.

აი, ახალი ხეხილის ბაღი. კომპოზიცია მარტივი და უბრალოა: ერთი თეთრი და ერთიც მწვანე ხე, მწვანილის ქვალი, იისფერი დედამიწა, ნარინჯისფერი სახურაები და ლურჯი, ლურჯი უსაზღვრო ცა. ახლა ერთად ცხრა ბაღს ეხატავ: თეთრს, ვარდისფერს (თითქმის წითელს), მოთეთრო ლურჯს, მოვარდისფრო-მონაცრისფროს, მწვანესა და კელაპ ვარდისფერს. გუშინ ერთ-ერთს ლამის შეეკედი: ლურჯი ცის ფონზე ალუბალს ეხატავდი — ნორჩი ფოთლების ოქროსფერ და ნარინჯისფერ ამონაყარს, თეთრ ყვავილებს; მოლურჯო-მწვანე ზეცის ფონზე ეს ყოველივე გასაოცრად ლამაზი იყო. ბედზე, დღეს წვიმს და ვერ ემუშაობ.

ერთ კვირა დღეს აქაური სამეცაო მოვინახულე (თუმცა არა, სხვა დღეებშიც დავდივარ ხოლმე); დიდი დარბაზი შელურჯებული კირით არის შეფუთქილი, — არც მეტი და არც ნაკლები, სოფლის სკოლა გეგონება; ორმოცდაათი წითლით მოსილი სამხედრო პირი და შავად ჩაცმული აქაური ბინადარი; საუცხოო ყვითელი და ნარინჯისფერი სახეები (აქაურებს სწორედ ასეთი ფერი ადევთ); ქალებს აცვიათ ლაჟვარდისფერი ან არადა სინგურისფერი ტანსაცმელი — რაც შეიძლება ინტენსიური, მყვირალა ფერის. ყველაფერი ყვითლადაა განათებული. მოწყენილობა აქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პარიზის ამგვარსავე დაწესებულებებში: ეს პაერი სპლინით არ არის გაჟღენთილი. ჯერჯერობით ერთობ წყნარად, მშვიდად ეცხოერობ, ვინაიდან ჯერ უნდა კუჭის დაავადება მოვიხრინო — მოგეხსენება, ეს უდიდესი ბედნიერება არ მაკლია; მერე კი, ალბათ, ერთ ამბავს აეტეხ, რადგან უკვდავი ტარტარენ ტარასკონელის სახელი და დიდება მინდა, გაგიზიარო.

მეტისმეტად მაინტერესებს, ალჟირში სამხედრო ვალდებულების პერიოდის გატარებას როგორ აპირებ. თუ წასვლა გიწევს, რა უშავს მერე, ეს, პირიქით, ძალზე კარგია. სამდვილად უნდა მოგილოცო. მოდი, მარსელში მაინც შეხვედეთ. აღფრთოვანდები, აქაური მზის სიმპატიის რომ შეიგრძნობ და ამ სილურჯეს დაინახავ. ახლა ჩემი სახელოსნო ტერასაზეა. მარინების სახატავად მარსელში წასვლა მეც გულით მინდა. ჩრდილოეთის ნაცრისფერ ზღვას კი არც ესატრობ და არც მაგონდება. თუ გოგენს ნახავ, მომიკითხე.

ჟირფასო პერნარო, ჩემო კარგო მეგობარო, არ იდარდო, იმედი არ გადაიწყვიტო. შენ ისეთი სიჭიერი ხარ, ერთხანს ალჟირში ცხოვრების შემდეგ დიდი მხატვარი უნდა დადგე, ჭეშმარიტი სამხრეთელი. გაიგონე, რასაც გირჩევ: ძალა და ღონე მოიკრიბე, ამ ერთ წელიწადს კარგ ჭაპასმას ნუ მოიკლებ, დიახ, დიახ, კარგად ჭამე! ამ საქმეს ახლავე შეუდექი: მტკიცედ კუჭით და წამხდარი სისხლით აქ ჩამოხვედას აზრი არა აქვს. მეც ასე ვიყავი. ამჟამად კი ჯანმრთელობა თანდათანობით მიბრუნდება და ჩემს ადრინდელ დაუდეგრობას ძალიან ვნანობ. მაგრამ, აბა, ასეთ ზამთარში რას უნდა გახდე – გაუგონარი ზამთარია. ტყუილუბრალოდ გულს ნუ გაიხეთქ, ეს მთავარია. აქ თუ კარგად არ იკეცებე, ჯანმრთელობას ვერ აღიდგენ. ხოლო მისი შენარჩუნება აქ უფრო ადვილია, ვიდრე პარიზში. მალე მომწერე. მისამართი არ შემიცვლია: არლი, რესტორანი „კარელი“.

ბ 5. ***მაისის მეორე ნახევარი, 1888.*** ბოლო წერილი შენგან, აი, ახლა მივიღე. საუსებით სწორად შეგინიშნავს, ეს ზანგის ქალები პირდაპირ გულს გაგიხეთქენ. მართალიც ხარ – ეს არ არის უბიწო გრძნობა. ახლახან ერთი წიგნი წავიკითხე. მარკიზის კუნძულებია აღწერილი. არც ისეთი კარგი წიგნია – დაწერილია უხეიროდ, მაგრამ გულს კი გადაუბრუნებს ადამიანს: აღწერილია, როგორ გაჟლიტეს მთელი ტომი, – ანთროპოფაგთა ტომი იყო, – რაკი ასე, თვეში ერთხელ (დიდი ამბავი!) კაცი უნდა შეეჯამათ. თეთრკანიანებმა, როგორც კეთილმა ქრისტიანებმა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, გადაწყვიტეს, ველური ტომის ბარბაროსული (?) (სინამდვილეში არცთუ ისე დაუნდობელი) საქციელისთვის ბოლო მოეღოთ და ამის მეტი ვერაფერი მოიფიქრეს – კაციჭამია ველურების ეს



ტოშიც და ისიც, ვისაც ვიმებოდნენ (შესაჭმელად ტკბილები რომ წაერიმშიათ), მთლად გაჭლიტეს. ამის შემდეგ ეს კუნძულები კოლოსიად გადააქციეს. და, აი, ახლა როგორც ერთი, ისე მეორე, მწუხარების კუნძულებია! ტატუირებული რასები ხომ ... სასგები თუ ისდიელები, ქველა, ქველა, – ან ქრება და ან ირყვნება.

ო, ეს მყრალი თეთრკანიანი ... გაწყდა მისი სახსენებელი! ეს სახიზღარი ფარისეველი, ხარბი და ბერწი! მტრისას მისი სპირტის ბოთლი, ფულის ქისა და ათაშანგი! ველურები კი, ო, როგორი კარგები იყვნენ, ტრფიალისა და სიყვარულისთვის გაჩენილები!

გოგენზე კი რა დიდებული რამ გიფიქრია! ზანგის ქალები, მართლაც, ძალზე პოეტურები გამოუვიდა. ყველაფერში, რასაც ხატავს, არის სიკეთე, გულითადობა, საოცარი აქვს ქველაფერი. ხალხს ჯერ არ ესმის მისი მხატვრობა, პოდა, ისიც წუხს, სურათები რომ არ იყიდება – სამდვილ პოეტებს მუდამ ასე ემართებათ, – ამის გამო ცუდ დღეშია, ძალზე ცუდ დღეში.

ადრეც მოგწერდი, მეგობარო, მაგრამ რა ექნა, ათასი საქმე გამომიჩნდა. ჯერ ერთი, ჩემ ძმას ეტიუდების პირველი პარტია გაუგზავნე. გარდა ამისა, ავად გავხდი. თანაც სახლი ვიქირაე (ოთხი ოთახი), გარედან ყვითლად შეღებილი, შიგნიდან კირით შეფთქილი, მზის გულზე დგას, თაკარა მზეში. ახლა ახალი ეტიუდები! საღამომდე უკვე ისე ვთაყვანდები, წერა აღარ შემიძლია. პასუხიც სწორედ ამის გამო დაგიგვიანე. ყური მიგდე, ბულვარის ქალებზე დაწერილ სონეტში ზოგი რამ კარგია, მთლიანად კი, ცხადია, არა – დასასრული ბანალურია... „ამაღლებული სულის ქალი“... – ეერ გამიგია, რის თქმა გინდა: ეგონებ, კარგად არც შენ გესმის. და კიდევ ეს:

მწყოვანთა და ჯაბუკთა შორის დაეძებს იმას,
შუაღამის ჟამს ვინც მის ხაწოლს გაიზიარებს.

ეს არ არის ზუსტი დეტალი. ჩვენი (მცირე) ბულვარის ქალი ღღეში ხუთ-ექვს კლიენტს იღებს, საღამოს კი, გვიან ღამით, მის წასაყვანად მობრძანდება დარბაისელი მხეცი, პირუტყვი – მისი „ხვადი“: გააცილებს, მაგრამ მასთან როდი წვება (თუ წვება, ძალზე იშვიათად). პოდა, ეს ქალი – დაქანცული, ღონემიხდილი, – ჩვეულებრივ, მარტო რჩება და მკვდარივით სძინავს.

თუმც, ორ-სამ სტრიქონს შეასწორებ და, ლექსი გამოვა. რას წერ ამჟამად? მე პატარა ნატურმორტი გავაკეთე – ლურჯი, მომინანქრული ყავადანი, ღია ლურჯი ფინჯანი თეფშით, ღია ცისფერუჯრედებიანი თეთრი სარძევე, ნარინჯისფრად და ლურჯად მოხატული თეთრი ფინჯანი და ლურჯი მაიოლიკის სურა მწვანე, ყავისფერი, ვარდისფერი ფოთლებით და ყვავილებით მოხატული. ეს ყველაფერი ალაგია ლურჯ სუფრაზე, ხოლო ფონი ყვითელია; ჭურჭელთან დევს ფორთოხლები და სამი ლიმონი. აქ უყურებ ნარინჯისფერში გარდამავალი ყვითელი ფერის მთელი სერიით გაცოცხლებულ ლურჯი ტონების ვარიაციებს. მაქვს კიდევ ერთი ნატურმორტი – ლიმონები ქალათში, ფონი ისევ ყვითელია. დავხატე, აგრეთვე, არლის ხედი. ქალაქი მხოლოდ ორიოდ წითელი სახურავით და კოშკითაა ნაჩვენები, სხვა ყველაფერი ლელეის ხეების სიმწვანეშია ჩამალული: ეს სიღრმეშია, მაღლა ლურჯი ცის ვიწრო ზოლი ჩანს. ქალაქის ირგვლივ ბაიებით მოფენილი უსასრულო მდელოებია ყვითელი ზღვა


გეგონება. წინა პლასზე ეს მდელოები თხრილითაა გადაკეთილი, ხოლო თხრილში იისფერი ზამბახები წამოზრდილა. ეიდრე ეხატაღი, ბალახი გათიბეს. პოდა, საცელად ჩაფიქრებული სურათისა, ეტიუდიღა გამოშიეიდა. მაგრამ რა მოტიეია, რომ იცოდე! ყეითელი ზღეა, იქვე იისფერ ზამბახთა მწკრიეი, ხოლო სიღრმეში – კოხტა ქალაქი მშვენიერი მასდილოსნებით! ჩემს წერილს რომ მოუთმენლად არ ელოდე, შენთეის ჩანახატს გაეაკეთებდი. წარმატება და ბედნიერება უნდა გისურეო. ხელს მაგრად გართმევ. ამ სადამოს ძალა საესებით გამომელია. ორიოდ დღეში, როცა ოდნაე დაეისვენებ, ისეე მოგწერ.

P.S. წინა წერილში ქალის პორტრეტი კარგი იყო. ჩემი მისამართი ასეთია: არლი, ლამარტინის მოედანი, 2.

ბ 6. *ივნისის მეორე ნახევარი, 1888* სულ უფრო და უფრო ერწმუნდები, რომ ცალკეულ ადამიანს, ცალკე ინდივიდს – იზოლირებულს ძალა არ შესწევს იმდაგვარი სურათების შესაქმნელად, თანამედროვე ფერწერას ისე რომ აამაღლებს, რომ იგი წმინდა მწერეალებს გაუთანაბრდეს, იმ მწერეალებს, რომლებსაც მისწედნენ ძველი ბერძენი მოქანდაკენი, გერმანელი მუსიკოსები, ფრანგი რომანისტები. ასეთ სურათებს, როგორც ეტყობა, საერთო იდეის ხორცშესასხმელად დარაზმული ჯგუფები შექმნის. ერთი სადებაეს ხმარობს კარგად, სამაგიეროდ, აზრი არ პყოფნის. მეორეს ბეერი მშვენიერი ჩანაფიქრი აქეს, რომელიც ყეელას მიიზიდაეს, მაგრამ პალიტრის სიღარიბე მორიდებულს ხდის და ამიტომ არ შეუძლია, უფრო მეტი ჟღერადობა მიანიჭოს თაეის სათქმელს. ამის გამო დასანანია, ჩეენს მხატერებს რომ კორპორაციული სულისკეეთება არ გააჩნიათ, ერთიმეორეს აკრიტიკებენ, სიცოცხლეს უსპობენ, უმწარებენ; თუმც, ჯერჯერობით ერთმანეთის გაჟლეტამდე არ მიდის საქმე. შენ იტყეი, რომ ბანალურად ელაპარაკობ. დაე, ასე იყოს! მაგრამ არსი ამ ლაპარაკისა ახალი აღორძინების შესაძლებლობაა. ამას კი უკეე ბანალობას ვეღარ დაარქმევ.

ერთი ასეთი ტექნიკური საკითხი მინდა შემდეგ წერილში განმიმარტო. რას იტყეი, თუ თეთრსა და შაე საღებაეებს პირდაპირ ეიხმარ – ისეე, როგორც იყიდება? ეთქეათ, ეარდისფერი ბილიკებით დამშვენებულ მწეანე პარკში (დაიმახსოვრე, ეგულისხმობ ფერის გამარტიეებას იაპონელთა ყაიდაზე) შაეოსან ბატონს ეხედაე – რომელიმე მომრიგებელ მოსამართლეს (დოდეს „ტარტარენში“ არაბი ებრაელი ამ დარბაისელ ჩინოენიკზე – „მომრიგებელი მოზამართლეო“, – ასე ამბობს), რომელიც „ინტრასიჟანტს“ კითხულობს. პარკსაც და მასაც კობალტისფერი ცა დაჰყურებს. რატომ არ დაეხატო ეს „მომრიგებელი მოზამართლე“ ჩეეულებრიეი შაეი სპილოს ძვლით, ხოლო „ინტრასიჟანტი“ ჩეეულებრიეი სუფთა თეთრათი? იაპონელები რეფლექსებს ხომ უარყოფენ, როცა ბრტყელ ლაქებს ერთმანეთის სიახლოეეს განალაგებენ, მოძრაობას ანდა ფორმებს კი თაეისებური ხასიათის მქონე შტრიხებით გადმოსცემენ.

მოეიყეანოთ მაგალითი ცნებათა სხეა კატეგორიიდან: როცა ასეთ კოლორიტულ მოტიეს ხატაე – ეთქეათ, სადამოს ყეითელ ზეცას, – ამ ცის ფონზე კედლის ქათქათა, მკეეთრი სითეთრე თაეისუფლად შეიძლება, სუფთა თეთრათი გადმოიცეს, ოღონდ იგი ნეიტრალური ტონით იქნება შესრულებული, რაკი თეით ზეცა ამ სითეთრეს ნაზი იისფერი ტონით ფერაეს. ახეე იქნება ჩეეულებრივ პეისაჟშიც, რომლის მიზანი ნარინჯისფერ მიწაზე მდგარი (რადგან ლურჯი ხმელთაშუა ზღეა და სამხრე-



თის ზეცა მით უფრო მეტად ინტენსიურს ხდის ნარინჯისფერს, რაც უფრო მაძღარია ეს ლურჯი გამა) მთლიანად (სახურავიანად) თეთრად შეფუთქილი ქოხის ჩენებაა; კარის, ფანჯრების, სახურაეზე პატარა ჯვრის შაეი ფერით თეთრის და შაეის კონტრასტი იქმნება, რაც თვალს ისეეე ეამება, როგორც კონტრასტი ლურჯისა და ნარინჯისფერისა. აი, უფრო საინტერესო მაგალითი: კელაე იმ უბრალო პეიზაჟის – ლურჯი ცის და ნარინჯისფერი მიწის ფონზე, – წარმოვიდგინოთ ქალი, რომელსაც შაე-თეთრი ფერის კუბოკრული კაბა აცეია. ალბათ, საკმაოდ საინტერესო სანახაეი უნდა იყოს. სხეათა შორის, არლში შაე-თეთრი კუბოკრული ტანსაცმელი ბეერს აცეია.

შაეიც და თეთრიც, ეთქეათ, ფერია, ეინაიდან ბეერ შემთხეევაში შეიძლება, ფერებად ჩაეთეალოთ; მაშინ თეთრისა და შაეის კონტრასტმა იქნებ ისეც გაგეაოცოს, როგორც მწეანე და წითელი ფერის კარგი კონტრასტი გეაოცებს ხოლმე. სხეათა შორის, ასეთ კონტრასტს იაპონელებიც იყენებენ. კალმით ერთ-ორ შტრიხს გააელებენ და ყმაწეილი ქალის სიფერმკრთალეს, შაეი თმისა და თეთრი ქაღალდის ძლიერ კონტრასტს ჩისებულად გადმოსცემენ. შაეი კერინჩხის ბუჩქებზე ხომ აღარას ეამბობ, ქათქათა თეთრი ყეაეილებით ისე რომ არის გადაფიფქული, თითქოს ტოტებზე ურიცხეი ეარსკელაეი მოუსხამსო!

როგორც იქნა, მეღირსა და ხმელთაშუა ზღეა საკუთარი თეალით ეიხილე. მას შენ, ალბათ, ჩემზე ადრე გადაცურაე. ერთი კეირა სენმარიში გაეატარე. იქაურმა ქალიშეილებმა – ტანკენარმა, ნაზმა, წერწეტა გოგონებმა – ჯოტოსა და ჩიმაბუეს სურათები გამახსენეს. თითქოს ნაღელიანი, გამოუცნობი სახეები აქეთ. სავსებით ბრტყელ, ქეიშიან ნაპირს ულამაზესი ფერისა და ფორმის პაწაწინა ნაეები შეენის – მწეანე, წითელი, ლურჯი ნაეები ყეაეილებს ჰგაეს. მხოლოდ თითო კაცი ეტეეა. ღია ზღეაში არ გადიან, ხმელეთის გასწერიე დაცურაეენ, როგორც კი ქარი დაუბერაეს, ისეე ნაპირთან ბრუნდებიან.

როგორც ტყუილა, გოგენი ისევ ავადმყოფობს. მოუთმენლად ველოდები იმის გაგებას, ბოლო ხანებში რა გააკეთე. მე კი ისევ პეიზაჟების ხატვას განაგრძობ თავიისიევე ჩანახატებით (იხილე ნაწების ჩანახატი). აფრიკაში სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ მომავლის რაიმე გეგმა არ გამაჩნია – გარემოება მიკარნახებს, როგორ მოვიქცე. განსაკუთრებით ცის კიდეე უფრო ისტესსიური სილურჯის ნახვა, ამ სილურჯის ეფექტების ნახვა მწადია. ქეროში და ფრომანტენი, მთელი რიგი სხვა მხატვრებიც, სამხრეთის მიწას ისე ხედაენ, როგორც უფერულს. ღმერთო ჩემო, გამომშრალ ქვიშას თუ თვალებთან მუჯით მიიტან, რა თქმა უნდა, უფერული მოგეჩვენება. წყალს და ჰაერსაც თუ ასე შეხედავ, ისევ იგივე ამბავი მოხდება. ყვითლისა და ნარინჯისფერის გარეშე ლურჯი ფერი არ არსებობს. ესე იგი, თუ ლურჯს ხატავ, მოდი, იქვე ყვითელი და ნარინჯისფერიც გამოიყენე, ასე არ არის? მაგრამ კმარა: სადაცაა იტყვი, მხოლოდ ანბანურ ჭეშმარიტებებს მიმტკიცებო.

ბ 7. *ივნისის მეორე ნახევარი, 1888.* ფაციფუცით გწერ და ეს უნდა მაპატიო. იქნებ ნაწერიც ვერ გაარჩიო, მაგრამ მინდა, პასუხი სწრაფად გამოგიგზავნო. იცი, სისულელე ჩავიდინეთ, სამივე რომ არ წამოვედით – საჭირო იყო ერთად წამოსვლა. მაგრამ, აბა, გოგენი რომ მიდიოდა, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, წამოსვლას თუ მოვახერხებდი. ხოლო შენ რომ მიდიოდი, დაწყვეტილი ფულის საკითხი წამოიჭრა და რაკი მოგწერე, აქ ყველაფერი ძვირია-მეთქი, შენც შეფერხდი. ჩვენ ძალზე ბრძნულად მოვიქცეოდით, თუ არლში ერთად ჩამოვიდოდით, რადგან თუ სამნი ვიქნებოდით, მეურნეობას ჩვენ თვითონვე გავუძღვებოდით. ახლა, როცა აქაურობას უკეთესად გავეცანი, მიეხვდი, რომ ასე აჯობებდა. მე აქ უკეთ ვარ, ჩრდილოეთში, ცხადია, ასე ვერ ვიყავი. შუადღისას მზის გულზედაც კი ვდგავარ და ეხატავ – შუა ყანაში, ჩრდილის ნასახსაც თვალს რომ ვერ მოკრავ. დამიჯერებ? ამ შუადღის პაპანაქებით ეტკებები, როგორც ჭრიჭინობელა! ღმერთო ჩემო, ეს მხარე მაშინ უნდა მენახა, ოცდახუთი წლისა რომ ვიყავი! რა გამოვიდა, ოცდაოხუთმეტისა ჩამოვედი! იმ ხანებში საცრისფერი, უფრო სწორად, უფერული პალიტრით ვიყავი გატაცებული, ენაზე სულ მილე მეკერა და ნაცნობობა პოლანდიელ მხატვრებთან მქონდა, ისეთ მხატვრებთან, როგორიცაა ანტონ მაუვე, ისრაელსი, სხვანი და სხვანი.

აი, „მთესველის“ ჩანახატი: ეება სივრცე; გადახნული მიწის ბელტები – ძირითადად იისფერი. მწიფე ყანა – ყვითელი ვანგმიწა, ოდნავ ჭიაფერშერეული. ზეცა (ყვითელი ქრომი) – თითქმის ისეთივე ღია ფერისა, როგორც თვით მზე: მზე კი – ოდნავ თეთრნარევი ყვითელი ქრომი 1, მაშინ, როცა დანარჩენი ცა ნარევია ქრომ 1-ის და 2-ისა, ესე იგი, ყვითელია, ძალზე ყვითელი. მთესველს აცვია ლურჯი ხალათი და თეთრი შარვალი. ტილოს ზომა 25-ია.

მიწაზე ხშირად შეიმჩნევა გამოძახილი იისფერის და ყვითლის შერევით მიღებული ნეიტრალური ტონებისა. მაგრამ მე ახლა დამაჯერებელ ფერს ეუყურებდი? ეს უფრო მეტად იმ გულუბრყვილო სურათებს ჰგავს, ძველებურ სოფლურ კალენდრებში რომ ხშირად გეინახავს, სურათებს, სადაც ყინვა და თოელი, დარი, აედარი, მართლაც, სავსებით პრიმიტიული მანერით არის დახატული, იმ მანერით, ანეკდოტმა „მკაში“ ასე კარგად რომ გამოიყენა. არ გიშალავ, სოფელი სულაც არ მეჯავრება – მე ხომ სოფლად გავიზარდე. წარსული მოგონებების გამოძახილი, სწრაფვა

უსაზღვრო, უსასრულო სიერცისაკენ, რის სიმბოლოც მთესველი და ჯერ ჯილებია, ხემში კელავ ცოცხლობს, ძველებურად ისევ ამით ეარ შეპყრობილი, მაგრამ სერაე ეარსკვლავიან ცას როდის დაეხატავ, სურათს, რომელიც დღესიადაგ თვალწინ მიდგას?

ეაი რომ, ჭაბუკი სიპრიენი, ეს მშვენიერი ახალგაზრდა, ი.კ. პიუსმანსის წიგნში – „შინ“ – მართალს ამბობს: ყველაზე კარგი სურათი ის არის, რომელზედაც ოცნებობ ხოლმე, როცა წვეხარ და ჩიბუხს აბოლებ, არასდროს კი არ დახატავო. თუმც, ბუნების დიდმშვენიერმა სილამაზემ, ენით უთქმელმა სრულყოფილებამ ვერ უნდა გძლიოს, ვერ შეგაკრთოს, შენს საქმეზე ხელი ვერ უნდა აგაღებინოს. როგორ მინდა, სამეძაოში რომ დაგიხატავს, იმ ეტიუდს თვალი შევაელო! ეაშაეებ, რომ აქაურებს ჯერაც არ ეხატავ!

აი, ერთი ჰეიზაჟიც: მზის ჩასელაა ან მთვარის ამოსელა. თუ მზეა, მაშინ ზაფხულის მზე უნდა იყოს. ქალაქი მთლად იისფერია, ხოლო მნათობი – ყვითელი ფერისა, ცა მომწვანო-მოცისფროდ მოჩანს. პურის ყანებს ძველი ოქროს, სპილენძისა და წითელი თუ მწვანე ოქროს, ყვითელი ოქროს, ბრინჯაოსფერი ყვითლისა და მომწვანო-წითლის ყველა ელფერი ერთად გადაპკრაეს. ტილო კეადრატის ფორმისაა, ზომა 30-ია. მისტრალის დროს ეხატავდი და მოლბერტი მიწას რკინის მანჭვლებით მიეამაგრე. გირჩევ, შენც ასე მოიქცე ხოლმე. მოლბერტის ფეხებს მიწაში ჩაარჭობ, გეერდით რკინის მანჭვლებს ჩაასობ, სიგრძე, ასე, ორმოცდაათი სანტიმეტრი რომ ექნება, ხოლო მერე ყველაფერ ამას თოკით შეკრაე. ასე ქარშიც შეიძლება მუშაობა. თეთრსა და შაეზე, აი, შენთვის რის თქმა მინდოდა: თუნდაც „მთესველზე“ ვილაპარაკოთ. სურათი იყოფა ორ ნაწილად: ზედა ყვითელი ფერისაა, ხოლო ქვედა – იისფერი. მერე? მთესველის თეთრი შარვალი ყურადღებას მაშინ იპყრობს და თვალსაც სწორედ მაშინ ამშვიდებს, როცა ყვითლისა და იისფერის მკვეთრმა კონტრასტმა, ლამის არის, გაახელოს. აი, ეს მსურდა, შენთვის მეთქვა.

აქ ზაეთია ეროი უმცროსი ლეიტენანტი გაეიცანი, გვარად მილიე. პერსპექტიული ჩარჩოს დახმარებით ხატვის გაკვეთილებს ვუტარებ ხოლმე. უკვე ისეთი ნახატები აქვს, ღმერთს გეფიცები, უარესი ბევრჯერ მინახავს. სწავლა უნდა, ტონკინში იყო და ა.შ. ოქტომბერში აფრიკაში მიემგზავრება. თუ ზუავობას მოისურვებ, თაეისთან წაგიყვანს, იზრუნებს კიდეც, ფერწერისთვის რომ დიდი დრო გქონდეს, თუ მას, ასე ეთქვათ, შემოქმედებითს განზრახვათა აღსრულებაში დახმარებაზე უარს არ ეტყვი. ისარგებლებ ამ შემთხვევით? თუ გადაწყვეტ, ძალიან მალე გამაგებინე. სამუშაოდ ის გვაქვზებს, სურათებში რომ ფულს იძლევიან. ცხადია, მეტყვი, მეტისმეტად პროზაული მიზეზიაო, რადგან ხედები, მართალი რომ ეარ. პო, ეს ასეა, სწორედ ასე. ხოლო მიზეზი იმისა, რომ არ ეიმუშაოთ, შემდეგია: ჯერჯერობით ტილოცა და საღებაეიც ფული გეიღირს – ეს არის და ეს. თუმც ჩანახატები ძვირი არ ჯდება.

პონტ-აევენში გოგენიც შენებრ მოწყენილია, შენი არ იყოს, მარტოობას უჩივის და სულ ამაზე ლაპარაკობს. კარგს იზამდი, რომ ჩასულიეაეი! ოღონდ, არ ეიცი, აპირებს თუ არა დარჩენას: ეგონებ, ისევ პარიზში უნდა დაბრუნება. თურმე ეგონა, პონტ-აევენში ჩახეიდოდი. ღმერთო ჩემო, სამიეს რომ აქ გეეცხოერა! იტყვი, ძალზე შორიაო. იყოს შორი, მერე რა მოხდა, ოღონდ როგორმე ერთად შეგეყარა, თუნდაც ზამთარში – აქ ხომ ზამთარშიც შეიძლება მუშაობა! ეს მხარე სწორედ ამიტომ მიყვარს. აქ

კაცს სიცივისა არ ეშინია. სიცივეში პირდაპირ სისხლი შეეყინება და ვეღარას ეფიქრობ, ვეღარაფერს ვაკეთებ. ჯარისკაცი რომ გახდები და მელანქოლია გადაგეყრება, ყველაფერ ამას მაშინ მიხვდები. მელანქოლიის მიზეზი კი სისხლნაკლებობა თუ იქნება ანდა სისხლის რაიმე სხვა დაავადება, თუმცა, ეჭვი მეპარება, მსგავსი რამ გჭირდეს.

აი, წყეული პარიზული მღვრიე ღვინო და საზიზღარი ცხიმიანი ბიფშტექსები რას გეიშერება. ღმერთო ჩემო, წარმოიდგინე, ძარღვებში სისხლის მიმოქცევა შემიჩერდა – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; აქ ჩამოსელიდან ერთი თვის შემდეგღა ვიგრძენი, რომ სისხლი ისევ ამიშოძრაედა, მაგრამ მაშინვე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, შენი არ იყოს, მელანქოლიამ შემომიტია და მეც შენსაით შეეწუხდებოდი, რომ არ მეფიქრა, გამოკეთების ნიშანია, ახლა კარგად გავხდები-მეთქი. ჰოდა, სწორედ ასეც მოხდა. პარიზში, აბა, რა დაგრჩენია. ჯობს, სიფრთხილით დარჩე: ძალა უნდა მოიკრიბო, რათა გამოცდას ღირსეულად და ყოჩაღად შეხვდე – აფრიკაში ხომ უნდა წახვიდე. რაც ბევრსა და, თანაც, ჯანსაღ სისხლს მოიმარაგებ, უკეთესია, ვინაიდან იქ, სიცხეში, სისხლს არაფერი მოგიმატებს.

თავაშეებული ცხოვრება და ფერწერაში მუშაობა ერთდროულად არ ხერხდება – აი, რა არის საზიზღარი. მოგეხსენება, ხელოვანთა მფარველის – წმინდა ლუკას – სიმბოლო ხარია. ესე იგი, თუ გინდა, რომ ხელოვნებას ემსახურო, უნდა ხარივით მომთმენი იყო. ხარს რა უჭირს – ამ უხამსი ფერწერისთვის ხომ არ ირჯება! თუმცა, აი, რა უნდა გითხრა: მელანქოლიის გაელის შემდეგ იგრძნობ, რომ ძალა მოგემატა, გაჯანსაღდები და ირგელიე ბუნება ისე მშვენიერი მოგეჩვენება, ფერწერის მეტი არაფერი მოგინდება. ეფიქრობ, შენი პოეზიაც სწორედ ისე გარდაიქმნება, როგორც ფერწერა: ექსცენტრული ლექსების შემდეგ ეგვიპტური სიმშვიდე და დიდი სისადაეე აგირჩევია.

სიყვარულისთვის ბედმა მხოლოდ წამი გვარგუნა:
ზოგჯერ სიზმარიც გულისთქმაზე დიდხანს გრძელდება.
ეოველგვარ ვნებას მოერევა დრო–ჟამის ხავსი...

ეს ბოდლერი არ გეგონოს; ხოლო ვისია – თავად არ ვიცი. დოდეს „ნაბობში" სიმღერაა და იმ სიმღერის სიტყვებია; თუმც, ჩემი აზრით, ისეთიეე სახოვანი და მეტყველია, როგორც ნამდვილი ქალბატონის მხრების შერხევა. ეს დღეებია, ლოტის „ქალბატონ ქრიზანთემას" ვკითხულობდი. იგი ერთობ საინტერესო ცნობებს შეიცავეს იაპონიაზე. ჩემ ძმას ამჯერად კლოდ მოსეს სურათების გამოფენა მოუწყვია. ნეტავ მაჩვენა! სხვათა შორის, გი დე მოპასანს უსახავს და ასე უთქვამს, ამის შემდეგ მონმარტრის ბულვარზე ხშირად ვიელიო.

წერას ვამთავრებ – დროა, ისევ ვიმუშაო. იმედია, კვლავ მალე მოგწერ. ბოდიშს გიხდი, ათას ბოდიშს, ბოლო წერილზე ძალზე ცოტა მარკები რომ დავაკარი. სხვათა შორის, ფოსტიდან კი გამოეგზავნე; ასეთი რამ პირველად როდი მემართება. ასე ხდება მაშინაც კი, როცა რამეში დაეეჭვდები და ეიკითხავ ხოლმე, რამდენი მარკა დავაკრა-მეთქი. ვერ წარმოიდგენ, აქ როგორი უდარდელი და დაუდეგარი ხალხი ცხოვრობს. თუმც, სულ მალე აფრიკაში ყველაფერ ამას თვითონვე ნახავ. წერილისთვის დიდი მადლობა. იმედია, მალე ცოტას მოვიცლი და ისევ მოგწერ.

ბ 8. *იენისის პოლო რიცხვები. 1888* კარგად იქცევი, ბიბლიას რომ ასე კითხულობ. წერილის წერას ამით ეიწყებ, ეისაიდან ძალიან დიდხანს ეიჯოჯმანე, ეიღრე ამ წიგნის კითხვას გირჩევდი. თუმც, წერილებში მოსედან და წმინდა ლუკადან ციტატებს რომ ენახულობდი, უნებურად ეფიქრობდი ხოლმე: „ესღა აკლდა! ახლა კი, მართლაც, არტისტული ნეეროზი აქეს შეყრილი-მეთქი!“ დიახ, ნეეროზი, ეისაიდან ქრისტეს შესწაელა უსათუოდ ნეეროზს იწვევს, განსაკუთრებით, თუ ჩემსაეით ბეერსაც ეწუეა ადამიანი. ბიბლია ქრისტეა, რამეთუ მთელი ძეელი აღთქმა მისკენ ისე მიემართება, როგორც თაეისი მწვერეალისკენ. ამ წმინდა მთის მეორე კალთას წმინდა პაელე და მახარებლები ამშენებენ.

ღმერთო ჩემო, რა ღარიბია კაცობრიობის ისტორია! გამოდის, რომ ქეეყანაზე არაეინ ყოფილა, გარდა ებრაელთა – ყეელაფერი რომ არაწმინდად გამოაცხადეს, რაც კი თეითონ არ შეუქმნიათ. რად არ დატოეეს ასე გულდასმით დაწერილი მატიანენი აღმოსაელეთის მძლაერი მზის ქეეშ მობინადრე სხეა ხალხებმაც – ეგეიტელებმა, ინდუსებმა, ეთიოპებმა, ბაბილონელებმა, ნინეეიელებმა? ასეა თუ ისე, ბიბლიის შესწაელა კარგი საქმეა. თანაც, ხომ იცი, როცა, საერთოდ, ყეელაფრის კითხეა შეგიძლია, ეს იმას ნიშნაეს, რომ არც იცი, კითხეა რა არის. მაგრამ ნუგეში – ბიბლიისგან მონიჭებული – ისეთი მწარე და მტკიენეულია, სიმშეიდეს გეირღეეეს, სასოწარკეეთის მსხეერპლად გეაქცეეს: გადამდები სიშმაგით და რაღაც უსაზღერო წერილმანობით გულებს გეიხეთქს, ნუგეში, რომელიც ბიბლიაშია შეფარული ეითარცა გული მკერიე ნაჭუჭში, ეითა ხაშხაშის მწარე ნაყოფი, ეს არის ქრისტე, დიახ, ქრისტე.

ხატეა ქრისტეს ფიგურისა, ისე, როგორც მე მაქეს იგი წარმოდგენილი, შეეძლოთ მხოლოდ რემბრანდტსა და დელაკრუას; ამის შემდეგ მოეიდა მილე და დახატა... ქრისტეს დოქტრინა. დანარჩენები მარტოოდენ ღიმილს მგერიან, რა თქმა უნდა, არა ფერწერის, არამედ მხოლოდ რელიგიის თეალსაზრისით. პრიმიტიეები: იტალიელნი – ეთქეათ, ბოტიჩელი, ფლამანდიელნი – ეან ეიკი, გერმანელები – ლუკას კრანახი – მხოლოდ და მხოლოდ წარმართებად მიიჩნია, რომლებიც იმაე თეალსაზრისით მაინტერესებს, რითაც ბერძნები, ეელასკესი და კიდეე ბეერი ნატურალისტი.

ქრისტე არის ერთადერთი ფილოსოფოსი, მოგეი და სხე., ეისაც მთაეარ ჭეშმარიტებად, არსებობის აუცილებელ პირობად და გამართლებად მიაჩნია მარადიულობა სიცოცხლისა, უსასრულობა დროისა და არარსებობა სიკედილისა, თაედადება, თაეგანწირეა და სულის სინათლე. მან უწმინდესი ცხოერება განელო და მხატერებს შორის უდიდესი მხატეარი იყო, რადგან უარყო მარმარილოც, თიხაცა და საღებაეიც და ქმნიდა სულიერ, ხორციელ არსებებს. სხეაგეარად რომ ეთქეათ, ეს საოცარი, ეს არსახული ხელოეანი, თითქმის საესებით მიუწედომელი, გაუგებარი ისეთი ტლანქი ხელსაწყოსათეის, როგორიც ჩეენი დღეეანდელი ნერეული და ჩლუნგი ტეინია, არც წიგნებს ქმნიდა, არც სურათებს, არც ქანდაკებებს: იგი ყეელას გასაგონად აცხადებდა, რომ ქმნიდა ცოცხალ, უკედაე ადამიანებს. ამას დიდი მნიშენელობა აქეს, უპირეელესად, იმის გამო, რომ ეს ჭეშმარიტებაა.

ეს დიდი მხატეარი წიგნებს არ წერდა; მთელი ქრისტიანული ლიტერატურა უსათუოდ მის გულისწყრომას გამოიწეედა და ეს გულისწყრომა მხოლოდ ზოგიერთ ნაწარმოებს თუ ასცდებოდა – თუნდაც, ლუკას

სახარებას ასდა პაელე მოციქულის ეპისტოლეებს, სადა, უხეში მებრძოლი ფორმის მქონეა. ქრისტე, ეს დიდი ხელოვანი, იდეებზე ("შეგრძნებებზე") წიგნების წერას თაკილობდა, ცოცხალ სიტყვას კი არ უარყოფდა, ხოლო იგავებს მით უმეტეს („რაც მოესმარი, ის მისი ყანა, რაც ლეღესულელი"... და ა.შ.). აბა, იმის თქმას ვის გაბედავს, თითქოს იცრუა, როცა რომის ქმნილებათა განადგურება წინასწარ აუწყა ადამიანებს და საქვეყნოდ განაცხადა: „ცანი და ქუეყანა წარხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარხდენ". ეს უბრალო, წრფელი ნათქვამი, რომლის ჩაწერა, თითქოს ვინმე ხელგაშლილი დიდებული ყოფილიყოს, არც კი ინება, – ერთ-ერთი ყველაზე უმაღლესი, არა, ყველაზე უმაღლესი მწვერვალია ხელოვნებისა, მისი სახით ჭეშმარიტ, ნამდვილ შემოქმედებითს ძალად რომ იქცა, წმინდა შემოქმედებითს ძალმოსილებად.

ეს ფიქრები, ჩემო ბერნარო, შორს, ძალზე შორს წაგვიყვანს ხოლმე, ხელოვნებაზედაც აღგვამაღლებს და გვასწავლის თვით ცხოერების ხელოვნებას, თვით ცხოერების ხელოვნების საიდუმლოს გვაზიარებს – მარადიული ცხოერებისას, უკუდაუებისას. ეს ყველაფერი ფერწერასაც უკავშირდება. ხელოვანთა მფარველი წმინდა ლუკა – თავადაც ხელოვანი, მკურნალი და მახარებელი, ვისი სიმბოლოც ჩვეულებრივი ხარია მხოლოდ, – არსებობს სწორედ ჩვენს სანუგეშოდ, ჩვენდა იმედად. და მაინც, რარიგ უბადრუკია ჩვენი ცხოერება – მხატერის ცხოერება; როგორ მიეათრეთ საცოდაე დღეებს და როგორ გეტანჯაეს ჩვენი ხელობის მძიმე ტვირთი. ამ ხელობის მიყოლა ხომ ამ უმადურ პლანეტაზე, სადაც „თუკი ხელოვნება შეგვყვარებია, სიყვარულზე ეეღარ ვიფიქრებთ", – თითქმის არც კი შეიძლება.

მაგრამ რაკი გამორიცხული არ არის, რომ ხაზები, ფორმები, ფერები სხვა უთვალაე პლანეტაზე, სხვა მზეებზედაც არსებობდეს, უფლება გვაქეს, ისიც ვიფიქროთ, საიქიოს ფერწერისთვის უკეთესი პირობები გეექნებაო – რაც, ჩემი აზრით, უფრო რთული მოელენა და უფრო მეტი საკეირველება არც კი არის, ვიდრე მუხლუხის ფარვანად და თეთრი ჭუპრის მაისის ხოჭოდ გადაქცევა. ამ ფარვანა-მხატერის სიცოცხლემ, შესაძლოა, გაიაროს ერთ-ერთ მნათობზე იმ უთვალაე მნათობთაგან, სიკედილის შემდეგ ჩვენთვის უფრო მძიმე და ძნელი მისაღწევი რომ არ იქნება, ვიდრე ამჟამად, სიცოცხლეში, ის ფერტილები, გეოგრაფიულ რუკაზე რომ სიმბოლურად ქალაქებს და სოფლებს აღნიშნავს.

მეცნიერება, მეცნიერული კელეევა-ძიება, ჩემი ფიქრით, ის ხელსაწყოა, რომელსაც დიდი მომაეალი აქვს. ღედამიწა ხომ ერთ დროს ყველას ბრტყელი ეგონა. ასეც იყო: მაგალითად, პარიზიდან ანიერამდე იგი დღესაც ასეთია. მაგრამ ამის მიუხედაეად, მეცნიერებამ დაამტკიცა, დედამიწა მრგვალიაო, და ამჟამად ეს ამბაეი საკამათო არაეისთვის აღარ არის.

ეს კი ასეა, მაგრამ დღესაც ისეე სჯერათ, თითქოს სიცოცხლე მარტიეი და ბრტყელი იყოს – დაბადებით და გარდაცვალებით შემოფარგლული. მაგრამ სიცოცხლეც, ალბათ, მრგვალია; პოდა, თავისი მოცულობით და განფენილობით იმ სფეროს ბეერად აღემატება, რომელიც ჩვენთვის ჯერჯერობით არის ცნობილი. გამორიცხული არ არის, რომ მომაეალი თაობები ამ უაღრესად საინტერესო საკითხს ახსნიან; და, აი, მაშინ, ნუ შემრისხაენ მეცნიერნი და, მეცნიერება თავადვე მიეა იმ დასკვნამდე, ასე თუ ისე, იმის მსგავსი და შესატყვისი რომ იქნება, რასაც ქრისტე ჩვენი ყოფნის, არსებობის იმ მეორე ნახეევარზე ლაპარა-

კობს. ერთი კი ცხადია: სეენ ამ ცხოვრების მხატვრები ვართ, რეალურ, სამდეით ცხოვრებას ვხატავთ და ამიტომ, ეიდრე სუსოქვა შეგვიძლია, უნდა ვისუსოქოთ.

დელაკრუას „ქრისტეს ნაკი ზღვასა (sic!) გენისარეთისასა“ საოცარი სურათია. მძინარე ქრისტეს მკრთალ ლიმონისფრად მოკიაფე შარავანდედი დასდგომია. წარმოიდგინე ეს ფიგურა შიშისაგან გაქვავებულ მოწაფეთა ჯგუფის ფონზე, რომელიც შემზარავ, ნარინჯისფერ ატყორცნილ ზურმუხტისფერ ზღვის ტალღებში ტრაგიკულად-იისფერ თუ მუქ ლურჯ, ჭიაფერ ღრუბელ მოჩანს. ჰოი, რარიგ გენიალური ესკიზია! დაღლილი ვარ, თორემ უთუოდ ჩანახატებს გაგიკეთებდი: სამ-ოთხ დღეს ერთ მოდელზე ვიმუშაე, არაქათი გამომელია – ზუავს ეხატაველი. ხოლო შენთან წერილის წერა, პირიქით, მართობს, თითქოს მამშვიდებს. რაც ეთხპნე, ყველაფერი ძალიან ცუდია: მჯდომარე ზუავი ფანქრით დაეხატე; საესებით თეთრი კედლის ფონზე ზუავის ესკიზი – ზეთის ფერებით; გაეკეთე მისი პორტრეტიც, რომლის უკან ნარინჯისფერი კედლის ორიოდ აგური და მწვანე კარია. ეს ყველაფერი ძალზე უხეშად, ერთი სიტყვით, საძაგლადაა დახატული. მაგრამ რაკი მართლა ძნელ საქმეს ეჭიდები, იქნებ ამან მომაეალი ჩემი შრომა შეამსუბუქოს.

საკუთარი ფიგურები თითქმის მუდამ საზიზღარი მერჩენება, სხვებს – მით უმეტეს; და მაინც ისეე ფიგურებზე მუშაობით ემატება მხატვარს ძალა, განსაკუთრებით, თუ სხვაგვარი ხერხით მუშაობს და არა ისე, როგორც ეთქვათ, ბატონ ბენჟამენ კონსტანთან გეასწავლეს. შენმა წერილმა მახიამოენა, ჩანახატები საინტერესოდ, მეტისმეტად საინტერესოდ მეჩენა, დიდი მადლობა. ამ დღეებში ნახატს უთუოდ მეც გამოეგზავნი; ამ საღამოს კი დაეიქანცე: გონება არა, მაგრამ თვალები რაღაც საშინლად გადამეღალა. გახსოეს პიუვის „იოანე ნათლისმცემელი“? ჩემი აზრით, ის ისეთიეე შესანიშნავი, ისეთიეე ჯადოქარი მხატვარია, როგორიც ეეენ დელაკრუაა. იოანე ნათლისმცემელზე სახარების ის სტრიქონები, შენ რომ ამოგიკითხავს, საკუთარი თვალით რაც ნახე, სწორედ იმას ხგავს... ხალხი ეიღაცას შემოხეეია: „ვინ ხარ? ქრისტე ხარ? ილია ხარ?“ ეს იგივეა, ამჟამად რომ იმპრესიონისტ ანდა სიახლის მაძიებელ სხვა მხატვრებს კკითხო: „იპოეეთო“?

ჩემ ძმასთან ახლა მონეს სურათები გამოფინა – თებერვლიდან ივნისამდე ანტიბში შექმნილი ათი სურათი. როგორც ჩანს, ძალზე კარგებია. ლუთერის ბიოგრაფია ოდესმე თუ წაგიკითხავს? კრანახი, დიურერი, პოლბაინი მისგან მოდიან. იგი, მისი პიროვნება – შუა საუკუნეთა მწერეალი და ჩირაღდანია. შენი არ იყოს, ლუი XIV არც მე მიყვარს. ეს მზე-მეფე სინათლის მტერი უფრო მგონია. ღმერთო, რა აბეზარი კაცი იყო, მეთოდისტური სოლომონი. სოლომონი და მეთოდისტებიც გულზე როდი მახატია. სოლომონი, ჩემი აზრით, ფარისეველი წარმართი იყო და არც მისი არქიტექტურა მაგრძნობინებს მოწიწებას – სხვა სტილთა მიბაძეაა, – არც ნაწერები. წარმართები მას ამაში უთუოდ სჯობდნენ.


შემატყობინე, შენი სამხედრო სამსახურის საქმეები როგორ არის. ეუთხრა რამე ჩემს ზუავთა ლეიტენანტს? მიემგზავრები აფრიკაში? განსაკუთრებით შეეცადე, სისხლს უმკურნალო. სისხლნაკლებობა ყველაფერში ხელს შეგიშლის, ფერწერის საქმე ცუდად წაგიეა. შეეცადე, ხასიათი გამოიმუშაო, უნდა ისწაელო ტემპერამენტის ალაგმეა და ისე ცხოვრება, თითქოს უკეე მოხუცი იყო. შენ ხომ ბერს დაემსგაესები, სამყაროს

ორ კეირაში ერთხელ რომ აკითხავს. მეც ასე ვიქცევი ეს საკლებად პოეტურია, მაგრამ ეგრძნობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ვალია, მხატერის ცხოერება რასაც მოითხოვს, სწორედ იმის მორჩილი ვიყო. ჩვენ რომ ახლა ლუერში ვიყოთ, შენთან ერთად სიამოვნებით დაეტკბებოდი პრიმიტივების ოვალიერებით.

ლუერში მუდამ პოლანდიელთა, განსაკუთრებით, რემბრანდტის დიდი სიყვარულით მივდივარ ხოლმე. ო, რა დიდხანს ესწაელობდი რემბრანდტს! ახლა პოტერი? მას შეუძლია, ტილოზე (ზომა – 4 ან 6) დახატოს ულაყი, თეთრი ულაყი, ყალყზე რომ დგება, ჭიხვინით იკლებს იქაურობას, რადგან საავდრო ღრუბლების ქვეშ ღია მწვანე, თვალუწვდენ და სოტით ველზე მარტოდმარტოა, მოწყენილი. დიახ, ამ ძველ პოლანდიელებს აქვთ ისეთი საოცრებანი, ვერაფერსთან რომ ვერ ნახავ. ხელს გართმევ და კიდევ და კიდევ მადლობას გიხდი წერილისა და ჩანახატის გამოგზავნისთვის. სონეტების წერას ახერხებ: კოლორიტი მშვენიერია, მაგრამ ნახატი არცთუ ისე ძლიერია, უფრო სწორად, სიმტკიცეს არის მოკლებული, თითქოს ოდნავ ბუნდოვანიცაა, – აღარ ვიცი, როგორ გითხრა, – ზნეობრივი მიზანია გაუგებარი.

ბ 9. არლი. იენისის ბოლო. გუშინ წერილში ნაცნობად, აი, ამ ქალალდისა – სადაც შენ მიერ გამოგზავნილ ბოლო სონეტზე ჩემს აზრებს გწერ, – არც კი ვიცი, რა ჩამიდვია. ვერ წარმოიდგენ, მუშაობით როგორ ვიღლები. საღამოობით, წერილს რომ გწერ, თუმცა ვისვენებ, მაგრამ მოშლილ მანქანას ვგავარ, ისე მქანცავს მთელ დღეს სიცხეში, შხის გულზე დგომა. აი, წერილში ამ ფურცლის ნაცნობად სხვა ქალალდი რად ჩამიდვია. გადავიკითხე, გასაგები მომეჩვენა და ამიტომაც გადავწყვიტე, უცვლელადვე გამომეგზავნა. მძიმე შრომაში კიდევ ერთმა დღემ გაიარა. ნეტავ ვიცოდე, ჩემ სურათებზე რას იტყოდი. საეჭვოა, აქ სეზანის კეთილსინდისიერი და თითქმის ფრთხილი, გაუბედავი მონასმები გაგახსენდეს. მაგრამ ამჟამად მეც ხომ იმავე ადგილებს ეხატავ – კროსა და კამარგს, თუმცა ოდნავ სხვა კუთხით და სხვანაირად, ამიტომაც, შესაძლოა, ფერებით ერთმანეთს დავემსგავსოთ. აბა, რა ვიცი! ზოგჯერ ჩემდა უნებურად სეზანზე, მართლაც, მიფიქრია. ეს მაშინ, როცა ზოგ ეტიუდზე უხერხული მონასმები შემინიშნავს. მაპატიე, ასე რომ ვამბობ, მაგრამ, ალბათ, ამ ეტიუდებს, მისტრალი რომ ქროდა ხოლმე, მაშინ ხატავდა. ნახევარი დრო მეც იგივე სიძნელეების გადალახვაზე მეხარჯება და ამიტომ ადვილად ეხედები, რატომ არის მისი მონასმი ზოგჯერ მტკიცე, ხოლო ზოგჯერ, აი, ასე მოუქნელი და მოუხეშავი: რა თქმა უნდა, როცა ხატავდა, მისი მოლბერტი ქანაობდა.

ზოგჯერ ძალიან სწრაფად ემუშაობ. თუ ეს საკლია, რა ექნა, იყოს. მაგალითად, სურათი ზომით 30 – „საფხულის საღამო" – სულ ერთ სეანსზე დავამთავრე. თუ მივუბრუნდები – გავაფუჭებ. მაშ, რად მინდა, რომ მივუბრუნდე? მის დასახატავად მე ხომ განგებ ქარაშოტში გავედი გარეთ, სწორედ მაშინ, როცა მისტრალი ყველაზე ძლიერ უბერავდა? ჩვენ ხომ უფრო დაძაბული აზრის ძიება გვაინტერესებს, ვიდრე მონასმის ზომიერება! განა შეიძლება, თანაბარი და მშვიდი მონასმით მუშაობდე, თუ ნატურიდან მიღებული შენი პირველი შთაბეჭდილების დახატვა გსურს? ღმერთს გეფიცები, ეს ისევე არ შეიძლება, როგორც ეთქვათ, ყველა წესის ზუსტად დაცვით ფარიკაობა იერიშის დროს. შენი ნახატი ძმას



გაეუგზაენეთ. ეთხოვეთ, იქნებ გაიცდოთ-მეთქი. თუ შეძლებს, უთუოდ გაგიცდის, რადგან იცის, რარიგ მისდა, რომელიმე შენი სურათი გაიყიდოს.

თუ ისურვებ, ჩემ დახატულ ზუაენის თაეს დაეიტოეებ, რათა რამეში გაგიცვალო, მაგრამ ამაზე მხოლოდ მაშინ ეიღაპარაკებთ, თუ მანამდე რომელიმე შენი სურათის გაყიდვაში დაგეხმარები. ეს იქნება შენი ერთი ეტიუდის – სამეძაოს საპასუხო სამუშაეარი. თუ მე და შენ სამეძაოს ერთად დახატეას შეეეცდებით, ამ ზუაენის თაენის ეტიუდს ტიპაენისთენის უსათუოდ მოეიხმარებთ. კარგი იქნება, რამდენიმე მხატვარი რომ დიდ სურათებზე სამუშაოდ გაერთიანდეს. აი, ნახავ, მომაელის მხატერობა ამ ხერხს რა ხშირად გამოიყენებს. იმ სურათებზე, დღეენდელობას უთუოდ რომ სჭირდება, რამდენიმე მხატვარმა ერთდროულად უნდა იმუშაოს, თორემ ნიეთიერ სიძნელეებს ერთი კაცი თაეს ეერ გაართმეეს. მაგრამ, ეაი რომ, ჯერ აქამდე ბეერი გეაკლია: ფერწერა ხომ ისე სწრაფად არ მიდის წინ, როგორც მწერლობა.

გუშინდელიეით ახლაც ისეე ნაჩქარეად გწერ, ახლაც საეს ებით უღონოდ ეარ, ხატეაც კი აღარ შემიძლია – მთელ დილას მინდორში ყოფნამ არაქათი გამომაცალა. რარიგ ქანცაეს ადამიანს აქაური მზე! საკუთარი სამუშეერის შეფასებაც კი აღარ ძალმიძს, ჩემს ეტიუდებს ეეღარც ავი შეეამჩნიე, ეეღარც კარგი. ყანის შეიდი ეტიუდი მაქეს დახატული. საუბედუროდ, შეიდიეე მხოლოდ პეიზაჟია – ძეელი ყეითეელი ოქროსფერი პეიზაჟები. სწრაფად, სწრაფად, სწრაფად ეხატაედი, ისე სწრაფად, როგორც მოჩქარე ყანის მომკეელი თაკარა მზეში ჩუმად მკის და ცდილობს, როგორმე მეტი მომკას.

გულში ხშირად გამიელია, ალბათ, გიკეირს, როცა ხედაე, ბიბლია რომ არც ისე მიყეარს, მიუხედაად იმისა, რომ მისი შესწაელა ხშირად მიცდია. ჩემი აზრით, ძეელი ბერძნების, ინდუსების, ეგეიპტელთა ანდა სპარსელთა ნაწარმოებებს, ხელოენების თეალსაზრისით, ეს წიგნი მხოლოდ ერთი რამით აღემატება – ან განსხეაედება – იმით, რაც ქრისტეს შეეხება. ეიმეორებ, ქრისტე ყეელა ნამდეილ მხატვარზე უფრო მეტად

არის მხატვარი: მის ხელთაა სული და ხორცი, იგი ქმნის არა ქანდაკებებს, არამედ ადამიანებს. მაშ ასე, როგორც მხატვარი, ეგრძნობ, რომ ხარი ვარ, მუშა ხარი; მაგრამ უდიდეს მოწიწებას მაგრძნობინებს და აღმაფრთოვანებს ბუღა, – უღელში რომ არ აბამენ, – არწივი და აღმაფრენი. პოდა, ასეთი მოწიწება პატიემოყვარეობას გაშორიცხავს.

შენი ეინსენტი

P.S. შენს სონეტებზე ორიოდ სიტყვას კიდევ გეტყვი და აგიხსნი კიდეც, რას ეგულისხმობ, როცა „გაბედულ ნახატზე" გწერ. სონეტებს ამთავრებ ასეთი დასკვნით: საზოგადოებას უცხადებ, რომ საზიზღარი ხარ და მძულხარო, რაკი მეძაობ დედაკაცი ბაზარს გაგონებს, სადაც ხორცით ვაჭრობაა გაჩაღებული. მეძაობ ქალი და დახლზე – ხორცი მშვენიერი შედარებაა. ჩემთვის, ტლანქი ცხოველისთვის, გასაგებია ეს შედარება, მე მას შევიგრძნობ, იგი ჩემიეე სიცოცხლის ფეთქვას მაგრძნობინებს და ეამბობ, „კარგად არის ნათქვამი-მეთქი", რადგან ხატოვანი სიტყვების მჟღერი რიტმი გარყვნილების ბუდეს ცოცხლად მიხატავს. მაგრამ შენი ბოლო სიტყვები – საზოგადოებას საყვედურს რომ ეუბნები, ჩემთვის, ტლანქი ცხოველისათვის, ისეთივე ფუჭი, არაფრისმთქმელი სიტყვებია, როგორიც, თუნდაც, „უფალი ღმერთი". პოდა, ამიტომ ლექსიც ჩემზე აღარ მოქმედებს. „აქ რაღაც ისე ვერ ჯრის საქმე", – გაიელებ გულში, მაგრამ იწყდება პოეზია და ისევ იგივე ცხოველური სიყვარულე მეუფლება, რომლისგანაც პოეზიამ დროებით თავი დამაღწევინა. სწორი ვარ თუ რამე მეშლება?

იმ ფაქტების კონსტატაცია, რითაც შენ იწყებ – ქირურგის სკალპელის განასერს მაგონებს, ანატომიის გაკვეთილზე გაკეთებულს. ინტერესით და ყურადღებით ვისმენ, მაგრამ ამის შემდეგ ანატომი, შენი არ იყოს, თუ მორალის კითხვას მოჰყვება, აი, ეს მისი ბოლო ტირადა ბევრად ნაკლები ღირსებისა მომეჩვენება, ვიდრე მისივე თვალსაჩინო გაკვეთილი. საზოგადოების შესწავლა და მისი კარგი ანალიზი მეტი საქმეა, ვიდრე მისთვის მორალის კითხვა. უდიდესი ინტერესით მოგისმენდი, ასე რომ გეთქვა: „ხედავთ? ეს არის გასაყიდი ხორცის ნაჭერი: აბა, უყურეთ, მიუხედავად ყველაფრისა, მას შეუძლია, ერთი წამით უცაბედი და წმინდა ენებით კელავ წამოენთოს. მსგავსად მაძღარი მუხლუხისა – კომბოსტოს ფოთლის მაგიერად რომ შიშველ კედელს შეაცოცდება, ამ სიყვარულით მოყირჭებულ დედაკაცსაც სიყვარული მაშინაც კი აღარ ძალუძს, როცა ტრფიალს ეძლევა ხოლმე. და ის ეძებს, ეძებს და ეძებს, მაგრამ თავადაც არ იცის, რას. შეგნებული აქვს, რას აკეთებს, ცოცხლობს, გრძნობს კიდეც, ერთი წამით გალვანიზდება, ახალგაზრდობაც უბრუნდება, მაგრამ მაინც უძლურია. რაც უნდა იყოს, ისევ უყვარს, ესე იგი, პირდაპირ ეთქვათ – ისევ ცოცხლობს, თუმცა, როგორც შიშველი და აძქეყნიური, უკვე მიწასთან არის გასწორებული. ამ გამაძღარი მუხლუხისგან ნეტავ ფარვანა სად უნდა გაჩნდეს, ეს თეთრი ჭუპრი მაისის ხოჭოდ სად უნდა იქცეს? ძველ მეძაველზე დაკვირვებამ ჯერჯერობით, აი, ასეთ დასკვნებამდე მიმიყვანა. ნეტავ ისიც გამაგებინა – დაე, თუნდაც დაახლოებით, – რა გამოვა ისეთი ჭუპრისგან, როგორიც მე ვარ.

ბ 10. *ივლისის შუა რიცხვები, 1888* წერილზე დართულ ამ ორიოდ ჩანახატს რომ დაინახავ, იქნებ მაშინ მაპატიო, პასუხი რომ დაგიგვიანე. ჩანახატები, „ბაღი" რომ პქვია, ალბათ, არის მსგავსი „... ხაევრდოვანი

ლაქვარდის, ყვაველთა და ჩრდილოეთ ხეთა გუმბათებისა." კრიველია ეს თუ ყირელი, სულ ერთია. გადაწყვიტე, შენს ციტატებზე ისევ კალმით მეპასუხა, ოღონდ უსიტყვოდ. დღეს კამათი არც მე მწადია, მუშაობის გუნებაზე ვარ, სხვა არაფერი აღარ მახსოვს.

კალმით მოხრდილი ნახატები გავაკეთე. მათ შორის, ორი ასეთია: თვალუწვდენი, ერცელი დაბლობი – ბორცების წვერიდან დახატული ვენახები და მომკილი ყანები. თითქოს სიტის თვალსაწიერზე შენერებულხარ და გარემოს გადასცქერი: ყოველივე უსასრულოდ მეორდება და როგორც ზღვის წყნარი ზედაპირი, კროს ბორცეებით დამთავრებული პორიზონტისკენ მიექანება. იაპონელთა სურათებს არ ჰგავს, თანაც ყველაზე იაპონური სურათია, რაც კი ოდესმე დამიხატავს. მხვნელის პაწია ფიგურა და ყანებში გაჭრილი ერთი ბეწო მატარებელი – ეს არის და ეს – სხვა ცოცხალ არსებას ამ სურათზე ვერ დაინახავ.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ახლად ჩამოსული, ამ ადგილებში ერთ ჩემს ნაცნობ მხატვარს შევხედი. „აი, რის ხატვა იქნებოდა მოსაწყენიო!" – მითხრა იმ კაცმა. არაფერი ვუპასუხე – ისე გაეშორი, იმ იდიოტს ვერც კი ვუყვირე. წავალ, მოვალ და კვლავ აქ ვბრუნდები. პოდა, ეს ბრტყელი პეიზაჟი, სადაც მხოლოდ უსასრულობას თუ იგრძნობ და დაინახავ, ორჯერ დავხატე. უსასრულო კი იგივეა, რაც შარადიული. ერთხელ, როცა ჩემთვის ეხატავდი, ერთი ტიპი დამადგა თავზე – მხატვარი არა, – ჯარისკაცი! ეკითხები: „ამ ადგილების მშვენიერებას ზღვას თუ შეადარი, რა გგონია, გასაკვირი იქნება-მეთქი?" ამ ბიჭმა კი კარგად იცოდა, ზღვა რა არის. „არაო, – თქვა, – ამ ადგილების სილამაზეშ რომ ზღვა მოგაგონოს, აქ საკვირველი არა არის რა: მე ეს მხარე ოკეანეზე ლამაზიც კი მეჩვენება, რადგან ხალხით არის დასახლებული, უკაცრიელი ოკეანისგან განსხვავებითო". აბა, მაშ, თქვი, მხატვარს ვის უფრო დაარქმევდი – იმ ფერმწერს თუ ამ ჯარისკაცს? ჩემი აზრით, მხატვრის თვალი ჯარისკაცს უფრო მეტად ჰქონია. ასე არ არის?

ახლა კი, აი, რა მინდა, გითხრა – ამაზე სწრაფად მიპასუხე, შემდეგი ფოსტით უკვე უნდა შემატყობინო შენი აზრი, – ბრეტანული ეტიუდების ჩანახატებს თუ გამიკეთებ? ამანათი უკვე მზად მაქვს, მაგრამ ვიდრე გამოვგზავნიდე, ექსიოდე კალმით ნახატი კიდევ მინდა, დაუმატო. ვიცი, ყველაფერს გააკეთებ, რაც შეგიძლია. მეც, ჩემდათავად, ხატვას ვიწყებ, თუმც ჯერ ისიც ვერ გავიგე, ჩემს თხოვნაზე რა აზრისა ხარ. მაშასადამე, ამ ჩანახატებს ძმას გაუგზავნი – დაე, ჩვენი კოლექციისთვის ზოგიერთი რამ შეარჩიოს. თუმც, ამაზე უკვე მივწერე, მაგრამ ჩვენ ერთი საქმე მოგველის, რის გამოც კაპიკიც აღარ გვრჩება. საქმე ის არის, რომ ამ ზამთარს გოგენი, ალბათ, აქ გაატარებს – იგი ძალიან ავად იყო. ამჟამად მხოლოდ გზის ხარჯი აფერხებს; თუ ჩამოვა, ერთად ცხოვრება, ვიცი, იაფი დაგვიჯდება, ვიდრე ცალ-ცალკე. აი, კიდევ რატომ მინდა, შენი ზოგი ნამუშევარი ჩემთან იყოს. როგორც ჩამოვა, შევეცდებით, მარსელში რამე მოვახერხოთ. გამოფენას, ალბათ, მოვაწყობთ. ამიტომ მინდა, შენი ზოგი სურათიც მქონდეს, თუმც ისე, რომ პარიზში მათი გაყიდვის შანსი არ დაკარგო. ეტიუდების ჩანახატების გაცვლას რომ გთავაზობ, რა თქმა უნდა, სულაც არ მინდა, იზარალო. როგორც კი შევძლებ, ჩვენ ერთ საქმესაც მოვაგვარებთ, მაგრამ ამჟამად ძალიან მიჭირს. თუ ოდესმე მე და გოგენი მარსელში ჩვენი სურათების გამოფენას მოვახერხებთ, უსათუოდ შენც მოგიწვევთ. როგორც იქნა,

ტომამ იყიდა ანკეტების ეტიუდი, „გლეხი“ რომ ჰქვია. კარგად იყავი. მალე მენახე.

ბ 11. *ივლისის მეორე ნახევარი, 1882* ზეთით ნახატი ეტიუდების ცხრა ჩასახატს დღეს კიდევ ეგზავნი. ესე იგი, ახლა ნახავ იმ მოტივებს, ძია სეზანს რომ ჩააგონებდა: ეკასთან ქრო თითქმის იხეთიქუა, როგორიც აქ, ან ტარასკონის შემოგარენს მოგაგონებს. კამარგი კი უფრო სადა და უბრალოა, რადგან მწირი მიწისა და ხისტი ბალახის ან იალღუნის ბუჩქების მეტს იქ ვერაფერს დაინახავ. იმ უბადრუკ საძოვრებზე ესეც ისე ჩანს, როგორც ალოე უდაბნოში. ვიცი, სეზანი როგორ გიყვარს, და ვიფიქრე, ბერნარს პროვანსის ეს ჩანახატები სიამოვნებას მოჰგერის-მეთქი. არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ ჩემი ნახატი სეზანისას მოგაგონებს – მე და სეზანი ისევე ვგავართ ერთიმეორეს, როგორც მე და მონტიჩელი! – არამედ იმიტომ, რომ ეს მხარე, მათ რომ ასე ძლიერ უყვარდათ, მეც შემიყვარდა; ამაღე დროს, კელაე კოლორიტისა და ნახატის ლოგიკის გამო.

მეგობარო, „თანამშრომლობას“ რომ გიხსენებდი, იმას როდი ეგულისხმობდი, რომელიმე ერთი სურათი ორმა ან მეტმა მხატვარმა უნდა დახატოს-მეთქი. რა თქმა უნდა, ეგულისხმობდი სხვადასხვა სურათს, თუმც ისეთებს, ერთმანეთს რომ შეაესებდა, ერთმანეთს ძალას შემატებდა. მაგალითად, იტალიელი პრიმიტიეების, გერმანელი პრიმიტიეების – პოლანდიური სკოლის მხატვართა ნამუშევრებს, თუნდ, საერთოდ, იტალიელებს, ერთი სიტყვით, მთელ ფერწერას! იმპრესიონისტებსაც ხომ სწორედ ასეთი ერთი ჯგუფი აქვთ – მიუხედავად ერთმანეთის დამღუპველი შინაომისა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი წევრი ამ ჯგუფისა მეორე წევრს ყელში ისეთი გააფთრებით სწვდება ხოლმე, აჯობებდა, ასე სასტიკი სხვა რამეში ყოფილიყო.

ჩრდილოეთის მხატვართა სკოლას პყავს თავისი მეთაური, ეს მეთაური რემბრანდტია, ვინაიდან ვინც კი ოდნავ მიუახლოვდა, მისი გაელენა ყველას დაეტყო. მაგალითად, ჩვენ ხომ ვიცით, პაულუს პოტერი ამძუნებულ, ჟინით და ენებით აღვსილ ცხოველებს ჟინიანიე პეიზაჟის – აედრისა თუ მზის, შემოდგომის მელანქოლიით სავსე დღის ფონზე როგორ ხატავს; მაგრამ იგივე პაულუს პოტერი ვიდრე რემბრანდტს გაეცნობოდა, საკმაოდ მშრალი მხატვარი იყო. რემბრანდტი და პაულუს პოტერი – აი, ძმებივით ახლობელი ორი მხატვარი. პაულუს პოტერის არც ერთ ტილოს რემბრანდტის ფუნჯი, ალბათ, არასდროს შეხებია, მაგრამ, ამის მიუხედავად, პოტერი და რეისდალი რემბრანდტს უნდა უმადლოდნენ, თუკი რამე საუკეთესო გააჩნიათ, თუკი მათი ხელოვნება გულზე ხედება ადამიანებს, ვისაც ძალუძს ამ მხატვართა ტემპერამენტში ძველისძველი პოლანდია ამოიცნოს.

შემდეგ – მხატვართა თანამშრომლობა, მაიი ერთობა (ისევე როგორც, წმ.ლუკას კორპორაციის დროს ხდებოდა), სასურველია ნივთიერი გაჭირეების თვალსაზრისითაც, მხატერის ცხოერებას აგრერიგად მძიმეს რომ ხდის. მხატერები ბევრად ბედნიერნი იქნებოდნენ, ანდა ნაკლებ სულელნი მაინც, ბევრად ნაკლებ დამნაშავენი, ბევრად ნაკლებ სასაცილონი, თუ საკრთო ინტერესებს დაიცავდნენ და სულ ერთმანეთის ჭამაში კი არ იქნებოდნენ, – როგორც კეთილ მეგობრებს და ამხანაგებს, ერთიმეორე ეყვარებოდათ. თუმცა, ძალის დატანება არც მიფიქრია: ხომ ვიცი, რომ წუთისოფელი ისე მოკლეა, ჩხუბისთვისაც და შრომისთვისაც

დრო არ გეყოფნის. ხოლო რაკი ჩვენი ერთობა ჯერჯერობით, აი, ასე ძლივს იქმნება, უეარგისი, ძველი გემები თითოეულ ჩვენგანს შუა ზღვისკენ მიაქანებს და, მარტო შთენილებს, ჩვენი დროის ბობოქარი ტალღებისაგან ვერაფერი ეშველა გვიფარაეს. რა არის ეს? დაკნინება თუ აღორძინება? ამას, ცხადია, ჩვენ ყერ განვსჯით, ვისაიდან თანამედროვე მოვლენებთან შეტისმეტად ახლოს ვდგავართ, ეს კი პერსპექტივას ამახინჯებს. ეს მოვლენები ჩვენს თვალს, ალბათ, გადიდებულად ეჩვენება, სულ ერთია, რას ეხება – ჩვენს ნაკლსა თუ დამსახურებას.

ბ 12. *იელისის ბოლო რიცხვები, 1888.* ნახატები რომ გამოშიგზავნე, უსაზღვროდ გმადლობ. ზღვის პირას ჭადრების ხეივანი – წინა პლანზე ორი ქალი რომ ესაუბრება ერთიმეორეს, ხოლო იქვე მოსეირნე ხალხი მოჩანს, – ძალიან მომწონს. მომწონა ქალი ეაშლის ხის ქვეშ. ქოლგიანი ქალიც მომწონს, შიშველი ქალების ჩანახატებიც – ამ ოთხიდან, განსაკუთრებით ის ნახატია მოსაწონი, სადაც ისრისფერს რომ თეთრი, ყვითელი, ყავისფერი და შაეი ამკეეთრებს. საუცხოოა! ისევ რემბრანდტი!.. მიუხედავად იმისა, რომ ბოდლერი ასე აღმაფრთოვანებს, ებედავ, ვიფიქრო, რემბრანდტს თითქმის არ იცნობს-მეთქი. ამას, ყოველის უწინარეს, მისი ლექსები მაფიქრებინებს. მე აქ რემბრანდტის ერთი პატარა ოფორტი ვნახე, ვიყიდე კიდეც – შიშველი ქაცის უბრალო და რეალისტური ეტიუდი. ჩაბნელებულ ინტერიერში ქაცი ქარსა თუ სეეტზეა მიყრდნობილი. გრძელ, ჟღალ თმას და დახრილ სახეს სხივი ზემოდან ეფინება. პირდაპირ, დეგა გეგონება, ისე ნამდვილი, ხელშესახებად ნაგრძნობია ეს სხეული.

მითხარი, ლუერში „ხარი" თუ „საყასბო" კარგად ნახე? არა, კარგად არ გინახაეს, ბოდლერი მით უფრო არ ნახაედა. ბედნიერება იქნებოდა, თუ შენთან ერთად პოლანდიელთა გალერეაში ერთ დილას მაინც გაეატარებდი. სიტყვით ძნელია ამის აღწერა. სურათების წინაშე რომ ვიდგებოდით კი, სასწაულებს გაჩვენებდი, ისეთ განძეულს შეგახედებდი, რის ნახვის შემდეგ პრიმიტიეები – პირველ რიგში, სწორედ ისინი, – ეელარ მხიბლაეს.

რა გაეწყობა! ექსცენტრული არ გახლაეარ: ძველბერძნული ქანდაკება, მილეს გლეხი, პოლანდიური პორტრეტი თუ კურბეს ან დეგას შიშველი ქალი – ეს სრულყოფილი ქმნილებანი, მათი მშვიდი მოდელირება ჩემზე ისეთ გაელენას ახდენს, ამათ შემდეგ უამრაეი რამ – პრიმიტიეებიც, იაპონელნიც – მხოლოდ „ქალმის ცდად" მეჩვენება. ესეც ძალიან მაინტერესებს, მაგრამ მხოლოდ დასრულებული ნაწარმოები, მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფილი ქმნილება თუ გეაგრძნობინებს უსასრულობას, უსასრულობის ერთი წამი კი, როგორც ქალის დაუფლება, სწორედ ეს არის: მშეენიერი საგნით ტკბობა.

მხატეარ ვერმეერს, ალბათ, იცნობ – დახატული პყაეს ძალზე ლამაზი პოლანდიელი ფეხმძიმე ქალი. ამ უცნაური მხატერის პალიტრა მოლიმონისფრო-ყვითელია, მონაცრისფრო-სადაფისფერი, შაეი და თეთრი. რა თქმა უნდა, ვერმეერის იშვიათი სილამაზის სურათებში, თუ მოისურვებ, უმდიდრესი პალიტრის ფერებს აღმოაჩენ, მაგრამ ღია-ცისფერისა, მარგალიტისფერისა და მოლიმონისფრო-ყვითელი ფერის შეხამება ამ მხატერისთვის ისეთივე ძირითადი თვისებაა, როგორც შაეის, თეთრისა და ნაცრისფერის, ვარდისფერის შეხამება ველასკესისთვის.

თუმც, რემბრანდტი და, საერთოდ, პოლანდიელთა სურათები, გაბნეულია სულ სხვადასხვა მუზეუმებში, სულ სხვადასხვა კოლექციებში და

მხოლოდ ლუერის კოლექციით ძნელია, მაინც დასრულებული წარმოდგენა იქონიოს ადამიანმა, მაგრამ მათზე, მათ მხატვრობაზე ყველაზე უკეთ პოლანდიელები კი არ წერდნენ, წერდნენ ფრანგები – შარლ ბლანი, ტორე, ფრომანტენი, ორიოდ სხვაც.

პოლანდიელებს წარმოსახვა ღარიბი ჰქონდათ, გამოგონებაც არცთუ ისე ეხერხებოდათ, საშაგიეროდ, მათ გემოვნებას, კომპოზიციის კანონთა ცოდნას ზღვარი არ ჰქონდა. ისინი ქრისტეს ანდა მამა-ღმერთს და ა.შ. არ ხატაედნენ. თუმც, ეს რემბრანდტს არ ეხება, მაგრამ მისი შემოქმედებაც ბიბლიური სიუჟეტებით, შედარებით, ღარიბია: ის ერთადერთი პოლანდიელი მხატვარია, ვინც ხატაედა ქრისტესა და სხვათა და სხვათა. თანაც, რემბრანდტის ასეთ სურათებს დანარჩენი რელიგიური ფერმწერების ნამუშევრებს ვერ შეადარებ, ეს, ჯერმარიტად, მეტაფიზიკურ მაგიას პგავს.

ანგელოზებსაც რემბრანდტი სწორედ ასე ხატაეს. იგი თაეის პორტრეტს აკეთებს – უკბილო, სახენაოჭიანი ბერიკაცისას, თაეზე ღამის ჩაჩი რომ ხურავს, ნატურას უყურებს, სარკის წინ დგას და ისე მუშაობს. ოცნებაში რომ გაებმება, მისი ფუნჯი თუმც მისსაეე პორტრეტსა ქმნის, მაგრამ არა ნატურისეულს, – გონებისმიერს. თანდათან მისი გამოხედვა მწუხარე ხდება და სხვებსაც ასეთ მწუხარებას პგერის. ისეე ფიქრშია, კელაე ოცნებაში იძირება და შემდეგ, არ ეიცი, როგორ და რატომ – სოკრატეს და მაშმადს, მონათესაეე გენიოსებსაც იქნებ ასე ემართებოდათ, – ამ მისი მსგაესი მოხუცის მიღმა რემბრანდტი უკეე ხებუნებრიე, და ეინჩისებურად მოღიმარი ანგელოზის სახეს ხატაეს. აი, მხატვარი, რომელიც ფიქრობს და, ამაეე დროს, წარმოსახვის მიხედეით ხატაეს. მე კი თაეიდან იმით დაეიწყე, რომ პოლანდიელთ არაფრის შეთხზეა არ შეუძლიათ, არც წარმოსახვის უნარი აქეთ და არც რაიმეს გამოგონებისა. ულოგიკოდ ელაპარაკობ? სულაც არა. რემბრანდტი არაფერს არ იგონებდა – იგი, უბრალოდ, თაეის გეერდით ამ ანგელოზსაც და ამ უცნაურ ქრისტესაც გრძნობდა.

დელაკრუა ქრისტეს რომ ხატაეს, უცაბედი, ძალიან ბაცი ლიმონისფერი ბგერა შემოაქეს და სურათზე ეს ლამაზი ფერადი ბგერა ციასიდურზე ანთებული ერთადერთი ეარსკელაეიეით უცნაური, ენით უთქმელი მომხიბელელობით კრთის და ციმციმებს. რემბრანდტი ეალიორებს ისე იყენებს, როგორც ეჭენ დელაკრუა იყენებს ფერს. მაშასადამე, დელაკრუას ან რემბრანდტის ხერხებსა და დანარჩენი რელიგიური ფერმწერების ტექნიკას შორის უდიდესი განსხეაეებაა.

მალე კელაე მოგწერ, რათა მადლობა გადაგიხადო ნახატებისთეის, აგრერიგად რომ მასიამოენა. ეს-ეს არის, თორმეტი წლის გოგონას პორტრეტი დაეამთაერე. თაფლისფერი თეალები აქეს, შაეი თმა და შაეი წარბები, კანი – ყეითელ-მონაცრისფრო, ფონი თეთრია, ოდნაე ეერონეზგარეული, გოგონას იისფერზოლიანი ჭიაფერი კოფთა აცეია, მუქი ლურჯი, ნარინჯისფრად დაწინწკლული ქეედა კაბა. პაწია ხელში ოლეანდრის ყეაეილი უჭირაეს. გონება ისე დამეღალა, თაეს ძალას ეატან, რათა წერილი დაეამთაერო.

ბ 13. *ეელიხის პოლო რიცხეები, 1888* ეჯეი ოდნაეაც არ მეპარება, დამეთანხმები – ეერც შენ და ეერც მე ეელასკესსა და გოიაზე დასრულებული წარმოდგენა ეერ გეექნება. არც შენ, არც მე მათი სამშობლო – ესპანეთი არ გეინახაეს; არ გეინახაეს უამრაეი სილამაზე, რაც სამ-

ხრეთის ღღემდე შემორჩენია. მაგრამ, ამის მიუხედაეად, რაც მათზე ეიცით, ისიც ბეერს ნიშნაეს. რა ოქმა უნდა, ჩრდილოეთის მხატერებზე რომ ილაპარაკო – ეს, პირეელ რიგში, რემბრანდტს ეხება, – ამასაც მათი შემოქმედების ძირეესეიანი ცოდნა სჭირდება, დაე, თუნდ მოკლედ, შეკუმშულად – მათი ქეეყნის ისტორია, მათი ეპოქა, მათი სამშობლოს ძეელისძეელი ადათ-წესები უნდა იცოდე. კელაე გიმეორებ, არც ბოდლერს, არც შენ რემბრანდტზე არ გაქეთ საკმაოდ სრული წარმოდგენა. დაჟინებით გიმეორებ, დიდი თუ მცირე პოლანდიელნი ჯერ გულმოდგინედ შეისწაელე და მათი მხატერობა მერე განსაჯე. პატიოსან თელებზე ხომ არ ელაპარაკობთ, ელაპარაკობთ საოცრებებზე, სასწაულებზე. თანაც განა ბრილიანტებში ყალბი ქეა ცოტა ურეეია?

მაგალითად, მე, ეინც ჩემი ქეეყნის სკოლას 20 წელია უკეე ესწაელობ, როცა მასზე ლაპარაკობენ, უმეტესად ხმას არ ეიღებ – ისე საოცრად ბუნდოეანი და გაურკეეეელი აზრები აქეთ ადამიანებს, ჩრდილოეთის სკოლაზე რომ კამათობენ. ერთი რამ დაიმახსოერე: „ამ მხატერებს კარგად დააკეირდი, მერწმუნე, ისინი დაკეირეების ღირსნი არიან". ეთქეათ, მე ეამტკიცებ, რომ ლუერში დაცულ ოსტადეს სურათს – „მხატერის ოჯახს" (კაცი, ქალი და ათიოდე გოგო-ბიჭი) – დაუსრულებლად უნდა ესწაელობდეთ, იგი ბეერ ფიქრს იმსახურებს, ისეეე როგორც, ტერბორხის „მიუნსტერის სამყარო". მაგრამ თუ მხატერებს – იმათაც კი, პოლანდიელთა გასაცნობად და შესასწაელად ლუერში რომ დადიან, – არ მოსწონთ და, ჩეეულებრიე, ეერც კი ამჩნეეენ იმ სურათებს, რომლებიც მე სხეა სურათებს მირჩეენია და გალერეაში ყეელაზე უფრო განსაცეიფრებელ სურათებად შიმაჩნია, სულაც არ მიკეირს, რადგან ეიცი, ჩემ არჩეევას ისეთი ცოდნა განაპირობებს, რაც ფრანგების უმეტესობას არ გააჩნია. თუნდ შენ სულ სხეა აზრისა იყო, მაინც ძჯერა, რომ მომაეალში ჩემ სიმართლეს აღიარებ.

სასოწარკეეთა შემიპყრობს ხოლმე, როცა ეიხსენებ, ლუერში რემბრანდტის სურათები რარიგ ფუჭდება, ადმინისტრაციის იდიოტი მუშაკები როგორ ღუპაეენ მრაეალ დიდებულ ნამუშეეარს. რემბრანდტის ზოგი ნამუშეერის უხალისო ყეითელი ტონი დაზიანების ნიშანია, რაც სინესტის ანდა ათასი მიზეზით არის გამოწეეული, რომელთაგან ზოგს ადეილად ჩამოგითელიდი. კოლორიტი რემბრანდტისა ისეეე ძნელი განსასაზღერია, როგორც ის, თუ რას წარმოადგენს „ნაცრისფერი" ეელასკესის სურათებზე. რაკი უკეთ ეერ გამოითქმის, რემბრანდტისთეის, შეიძლებოდა, „ოქროსებური" გეეწოდებინა. სწორედ ასეც უწოდებენ, მაგრამ ეს ერთობ ბუნდოეანი იქნებოდა.

საფრანგეთში ჩამოსელის შემდეგ, შესაძლოა, თეით ფრანგებზე უკეთ ეიგრძენი დელაკრუა და ემილ ზოლა, აშკარადაც ეარ აღტაცებული, უსაზღეროდ და მართლა გულწრფელად. ეს იმიტომ, რომ საკმაოდ კარგად ეიცნობდი რემბრანდტს: ერთი მათგანი – დელაკრუა – ფერით ახდენს ზემოქმედებას, ხოლო მეორე – რემბრანდტზე ეამბობ, – ეალიორებით, მაგრამ ორიეე თანაბარი ღირსებისაა.

ზოლას და ბალზაკის – საზოგადოებისა და ბუნების მხატერების წიგნები მოყეარულთა ღრმა ესთეტიკურ მღელეარებას სწორედ იმით იმსახურებენ, რომ მთლიანად მოიცაეენ მათ მიერ ასახულ ეპოქას. დელაკრუა რომელიმე ეპოქას კი არ გეიხატაეს, არამედ, საერთოდ, კაცობრიობას, ცხოერებას, მაგრამ ის მაინც იმ გენიოსთა შოდგმას უნდა მიეა-

კაცისთვის, ყოველისმომცველ ქმნილებებს რომ გეიტოეებულ. ძალიან მომწონს ბოლო სიტყვები ერთი დიდი სტატიისა, რომლის ავტორი, ეგონებს, სილვესტრი უნდა იყოს: „ასე, ითქმის პირზე ღიმილით გარდაიცვალა დელაკრუა; ის ეკუთვნოდა უდიდესი მხატვრების მოდგმას, მზე ედგა, მართლაც, გონებაში, ხოლო გულში – ქარიშხალი. მხედართა შემდგომ წმინდანების ხატეას იწყებდა, წმინდანთა შემდგომ – მიჯნურებისას, მიჯნურთა შემდგომ – ეეფხვეებისას, ეეფხვთა შემდგომ კი – ყვაეილებისას“.

დომიეც დიდი გენიოსია. მილე – აი, კიდეე თაეისი ერისა და იმ წრის მხატვარი, ვისაც ეკუთვნის. იქნებ ეს დიდი გენიოსები შეშლილები არიან და სხეა არაფერი. და თუ არ შეშლილს, სხეას არ ძალუძს, ასე უსაზღეროდ სჯეროდეს და ასე უსაზღეროდ აღფრთოეანდეს მათი მხატერობით. თუ ასეა, სხეათა კეთილგონიერებას, მიჯობს, ისეე შეშლილი ეიყო.

რემბრანდტთან შემოელით უნდა მიხეიდე – ამაზე უფრო პირდაპირ გზას ეერ გამონახავ. ახლა ფრანს პალსზე ეილაპარაკოთ. ქრისტეს, ხარებას მწყემსებითურთ, ანგელოზებს, ჯეარცმას, აღდგომას ის არ ხატაედა, არ ხატაედა შიშეელსა და აეხორც ქალებს. ხატაედა პორტრეტებს, მხოლოდ პორტრეტებს: ჯარისკაცების, ოფიცერთა ჯგუფურ პორტრეტებს, თანამდებობის პირთა პორტრეტებს, მათ, ეინც საქეეყნო საქმეებს წყეეტს, ყეითელი ან ეარდისფერი კანის მქონე, თეთრჩანიან, აბრეშუმის ანდა შალის შაე კაბებში გამოწყობილ ოჯახის ქალებს, დაერდომილთა თაეშესაფრის ბიუჯეტზე რომ ლაპარაკობენ; ხატაედა საპატიო მოქალაქეებს ოჯახურ გარემოში – ცოლ-ქმარს და ბაეშეებს. ხატაედა ლოთებს, კუდიანიეით პირმოღიმარ თეეზით მოეაჯრე დედაბერს თუ ლამაზ მეძაეს – ლამაზ ბოშა ქალს, ჩერებში გახეეულ ძუძუთა ბაეშეებს, ულეაშიან, ბოტფორტ-დენებიან ქეიფის მოყეარულ ჩაუქ აზნაურს, ცოლს, საკუთარ თაეს, ახალგაზრდებს, შეყეარებულებს – ქორწინების მეორე დღეს ბაღში, ხის სკამზე მიყუჟულებს. ხატაედა სქელ მზარეულ ქალს, ახარხარებულ ბიჭუნებსა თუ მაწანწალებს და მუსიკოსებს. ეს არის და ეს. მაგრამ იგი ნამდეილად ღირს დანტეს „სამოთხედ“, რაფაელისა და მიქელანჯელოს ნამუშეერებად, თეით ბერძენთა ქმნილებებად. ეს ყეელაფერი მშეენიერია, ეითარცა ზოლა, მაგრამ უფრო სისხლსაესეა, მხიარული და სიცოცხლით საესე, რადგან მის ეპოქაში ცხოერება უფრო ჯანსაღი იყო, მელანქოლია გულს ნაკლებად ეკარებოდა.

მაშ, რემბრანდტი რას წარმოადგენს? ზუსტად იგიეეს. ისიც ასეე პორტრეტისტია. აი, მთაეარი ჯანსაღი და ნათელი აზრი, რასაც უნდა ეეყრდნობოდეთ, როცა ამ ორ, თანაბარი ღირებულების სახელოეან პოლანდიელზე ელაპარაკობთ. გაეერკეიოთ ამაში კარგად და ზოგადად წარმოეიდგინოთ დიდებული რესპუბლიკა, ასახული ორი დიდი და საყოფიერი პორტრეტისტის და მხატერის მიერ. ამის შემდეგ არც ისე ძნელი მოგეეჩეენება პეიზაჟების, ცხოეელების, ინტერიერთა, ფილოსოფიურ სიუჟეტთა დამუშაეება.

გთხოე, ჩემ მსჯელობას გულისყური მიადეენო – მე ხომ ეცდილობ, ყეელაფერზე, რაც შეიძლება, მარტიეად ეთქეა. გონებაში ღრმად ჩაიბეჭდე მრაეალნაირი პორტრეტის შემქმნელის, მთელი რესპუბლიკის – ცოცხალი, უცდაეი რესპუბლიკის დამხატაეის – ფრანს პალსის სახელი. ასეე კარგად დაიმახსოერე პოლანდიის რესპუბლიკის არანაკლებ ყოელისმომცველი შემოქმედის, უდიდესი პატრიოტის, ნატურისმოყეარე, მრაეალმხრიეი, თეითონ პალსიეით ჯანსაღი კაცის – რემბრანდტ ეან რეი-

ნის სახელი. შემდეგ სახავ, რომ ამ სათაეიდას – რემბრანდტიდას გამოდიას მისი უშუალო მოწაფეებიც: ვერმეერ დელფტელი, ფაბრიციუსი, ნიკოლას მაასი, პიტერ დე ჰოხი, ბოლი და ყველა ის მხატვარი, რომელიც რემბრანდტის გაელენას განიცდის: პოტერი, რეისდალი, ოსტადე, ტერბორხი. ფაბრიციუსი დავასახელე, თუმცა ჩვენთვის ცნობილია მისი მხოლოდ ორი ტილო, მაგრამ გვერდს ეუელი მთელ რიგ კარგ მხატვრებს, მით უმეტეს, ყალბ ქეებს ამ მრავალ მარგალიტს შორის. ისიც გვეუოფა, ამ საყალბეეში ფეხი რომ ასე მოიკიდა ზოგი ფრანგის ეულგარულ თაეში.

ახირებული ლაპარაკი ხომ არ გამომდის, ჩემო ბერნარო? ამჯერად ეცდილობ, ერთობ დიდი და უბრალო რამ განგიმარტო: უბრალო პორტრეტით კაცობრიობის, უფრო ზუსტად, რესპუბლიკის მთელი ფერწერა მინდა, აგიხსნა. მთავარი ეს არის. სხეა დანარჩენი – მაგია, ქრისტე, შიშეელი ქალები, რემბრანდტი რომ ხატავდა, ზოგჯერ ერთობ კარგია, მაგრამ არც ისე მნიშნელოეანი. მაშ, ბოდლერი, მოდი, აქ ცხეირს ნუ შემოყოფს: რასაც ამბობს, ლამაზად ამბობს, მაგრამ, ეს ხომ ცარიელი სიტყეებია*. ბოდლერი რაც არის, იმაზე მეტს ნურას მიეაწერთ – მიუსეს მსგავსი თანამედროეე პოეტია. მოგეეშეას, როცა ფერწერაზეა ლაპარაკი. შენი ნახატი – „აეხორცობა" – სხეა ნახატებზე ნაკლებად მომწონს. „ხე" კი, პირიქით, მომეწონა: მოძრაობა ჩანს ამ ნახატში.

ბ 14. *აგვისტოს პირეელი რიცხეები. 1888.* შენ შეკითხეაზე – გოგენი ისეე პონტ-აეენშია თუ არაო, – ეგონებ, არც კი მიპასუხია. დიახ, ისეე პონტ-აეენშია და თუ მისწერ, ჩემი აზრით, მეტისმეტად გაიხარებს. ჯერ იქ ცხოერობს და როგორც კი ან მე ან ის გზის ფულს ეიშოვით, ალბათ, მაშინეე ჩემთან ჩამოეა.

მე და შენ რომ ამ ბოლო დროს პოლანდიელთა საკითხს ეარჩეედით, არც ისეთი უინტერესო საკითხია. როცა სიტყეა ეაჟკაცობას, ორიგინალობას, ბუნებასთან რაიმე კაეშირს შეეხება, ფიქრს მყისეე მათზე გადაეიტან. მაგრამ ჯერ შენზე, შენ სურათებზე – დიდედაშენის ორ პორტრეტსა და ორ სატურმორტზე – ეილაპარაკოთ. შენ სიცოცხლეში დაგიხატაეს უკეთესი რამ ანდა ოდესმე ყოფილხარ კი ამაზე ახლოს საკუთარ თაეთან? ეგონებ, არა. რათა ნამდეილად შექმნა რაიმე, ზოგჯერ კმარა პირეელ შემხეედრს, ხელში მოხეედრილ პირეელ საგანს ღრმად ჩაუკეირდე. იცი, ეს შენი სამი-ოთხი ნამუშეარი რატომ მომწონს? იმიტომ რომ, აქ იგრძნობა რაღაც მყარი, ბრძნული და საფუძელიანი, იგრძნობა თაედაჯერებულობა. რემბრანდტთან შენ ასე ახლოს არასოდეს არ ყოფილხარ, ჩემო კარგო.

რემბრანდტის, ამ უბადლო სფინქსის, სახელოსნოში ეერმეერი დაეუფლა იმ ტექნიკას, რომელსაც მერე ეერაეინ გასცდა და ამჟამად ხელახლა სურთ, აღმოაჩინონ. დღეანდელი ჩეენი მოძმე აზროენებს ფერით, მუშაობს ფერით, ხოლო ბებერი პოლანდიელნი შუქ-ჩრდილით და ეალიორებით აზროესებდნენ, შუქ-ჩრდილითა და ეალიორებით მუშაობდნენ. თუმც, რა აზრი აქეს ამ სხეაობას. მთავარია, ჩეენი სათქმელი, რაც შეიძლება, ცხადად და ნათლად გამოეხატოთ. თურმე ახლა გერმანელი და იტალიელი პრიმიტიეების ხერხები გსურს, შეისწაელო, შეისწაელო სიმბოლური მნიშნელობა იტალიელთა აბსტრაქტული და მისტიკური ნახატისა. შეისწაელე!

ძალიან მომწონს ანეგდოტი, ჯოტოზე რომ ყეებიან ხოლმე: თურმე

ღუთისმშობლის სურათზე კოსკურსი მოეწყო. მაშინდელი აკადემიის გამგეობას ბევრი პროექტი წარუდგინეს. ერთი მათგანი, რომელზედაც ჯოტო ეწერა, მხოლოდ ოვალს, რაღაც კვერცხის მსგავსს წარმოადგენდა. პოდა, ჯოტოზე დახარბებულმა, მისდამი ნდობით განმსჭვალულმა გამგეობამ მადონას დახატვა მას მიანდო. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ამბავი, ანეგდოტი კი ძალიან მომწონს.

თუმც, დომიეს და შენს დიდებას მიეუბრუნდეთ. ასეთიე სერიოზულ ეტიუდებს როდის გეაჩუენებ? დროა, შეუდგე მუშაობას. თუმც, შენებური, საპირისპირო მოძრაობაში მყოფი ხაზების ძიებაც უნდა გააგრძელო – გულგრილად ხომ მეც არა ვარ განწყობილი ხაზისა და ფორმის ერთდროული კონტრასტისადმი.

ხედავ, ძმაო, უბედურება ის არის, რომ ჯოტოცა და ჩიმაბუეც, პოლბაინიც და ეან დეიკიც ისეთი საზოგადოების წევრები იყვნენ, როგორ გითხრა, ობელისკს რომ წააგავდა; ისე აგებულს, გათვლილსა და გააზრებულს, თითოეული ინდივიდი ცალკეულ ქვას რომ წარმოადგენდა, ყველა ერთად კი ერთიმეორეს აკავებდა და ერთ მონუმენტურ მთლიანობას შეადგენდა. სოციალისტები თავიანთ ლოგიკურ შენობას რომ ააგებენ, ასეთი წყობა, აი, ასეთი საზოგადოება შეიქმნება – მე ეს მჯერა, მაგრამ მანამდე ჯერ დიდი დროა. ჩვენ კი ახლა, როგორც იცი, სულ ქაოსსა და ანარქიაში გვეხდება ყოფნა.

ჩვენ, მხატვრები, წესრიგსა და სიმეტრიაზე შეყვარებულნი, ერთიმეორეს ვეთიშებით და თითოეული ცალკე ვშრომობთ საკუთარი და ერთადერთი ამოცანის გადასაწყვეტად. პიუიმ ეს მშვენიერად იცის და როცა მან, აგრერიგად სამართლიანმა, აგრერიგად ბრძენმა მხატვარმა, ელისეს მინდვრებთან განშორება და ჩვენი ეპოქის შეწუხარება გადაწყვიტა, შესანიშნავი პორტრეტიც დახატა: მოხუცი მშვიდად დამჯდარა და ყვითელყდიან რომანს კითხულობს, იქვე უდგას წყლიანი ჭიქა აკვარელის ფუნჯით და ვარდით. მაღალი წრის მანდილოსნის პორტრეტიც შექმნა, გონკურების მანდილოსანს რომ გაგახსენებს. პოლანდიელი მხატვრები კი, როგორც ეხედავთ, ტეინს არ იჯყლეტენ. ისინი საგანს ისეთს ხატავენ, როგორიც არის, ისე, როგორც კურბე ხატავდა მშვენიერ შიშველ ქალებს. ხატავენ პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს. ღმერთმანი, ეს ყველაზე დიდ სისულელედ არ ჩაითვლება! უარესი სიგიჟეებიც ჩაუდენიათ! რომ არ ვიცოდეთ, რა ვაკეთოთ, მათ მიებაძავდით, ჩემო კარგო, თუნდაც იმიტომ, უძველესი ძალა ჩვენი გონებისა უნაყოფო მეტაფიზიკურ ტეინის ჭყლეტას რომ არ შელეოდა, რის წყალობითაც, ქაოსს ქილაში მაინც ვერაფრით მოვაქცევდით, რადგან ქაოსი ქაოტური იმიტომ არის, ჩვენი ყალიბის არც ერთ ჭურჭელში რომ არ თავსდება. ჩვენ დავხატავთ ამ ქაოსის რაიმე ნაწილს, ეს არის და ეს: ცხენს, პორტრეტს და დიდედაშენს, ვაშლებს, პეიზაჟს. პოლანდიელნიც სწორედ ასე იქცეოდნენ – წინასწარ შექმნილ სისტემათა მომხრეებს შორის უეშმაკესი პოლანდიელნი.

რად ამბობ, თითქოს დეგა ბილწი კაცი იყოს? დეგა ისე წყნარად ცხოვრობს, როგორც ვინმე პროვინციელი ნოტარიუსი, არც ქალების სიყვარულს ასდევს, რადგან იცის, რომ შეიყვაროს, მათ რომ აჰყვეს, ჭკუას დაკარგავს და ფერწერასაც ვეღარ შეძლებს. დეგას ფერწერა ვაჟკაცური და უსახოა სწორედ იმიტომ, რომ მას უნდა, ასეთი იყოს, უპიროვნო, როგორც პროვინციელი ნოტარიუსი, თავაშეებული ცხოვრე-

ბის რომ ეშინია. იგი ჩუდაეს, მასზე ძლიერი ორფეხანი ერთმანეთს რიგორ აჩეხლიან და მათ სწორედ იმიტომ ხატაეს ასე მშვენიერად, მათებურად რომ არ იქცეოდა.

რუბენსი – აი, ვინ იყო ლამაზი და ჭეშმარიტი მამაკაცი. ასეთი – კურბე. მათ ჯანმრთელობა იმის გასაქანს აძლევდა, რომ როგორც სურდათ, ისე ესვათ, ისე ეჭამათ და ქალებსაც ასყოლოდნენ. შენ კი, ჩემო საწყალო და საცოდაო მეგობარო, გაზაფხულზე უკეე გირჩიე: უკეთ ჭამე, წესიერად მოიხადე სამხედრო მოვალეობა და შეეცადე, ქალების დეენას არ გადაყოლოდე – თუ ასე იზამ, არაფერი დაშავდება, შენს ფერწერას მხნეობა და ეაქკაცობა მოემატება. ბალზაკმა – დიდმა, უდიდესი ძალის ოსტატმა, – ტყუილად როდი თქვა ასე კარგად: უბიწოება დღეეანდელ მხატერებს სიმტკიცეს და ძალას მატებსო. პოლანდიელებს ცოლები ჰყაედათ, ბაეშეებს აჩენდნენ – კარგი საქმეა, ძალზე კარგი, ბუნებრიეი, ბუნებასთან ხმაშეწყობილ კაცს რომ შეეფერის.

ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ეერ მოიყეანსო, ნათქეამია. არ ეამბობ, თითქოს შენს ახალ ნამუშეერებში, შენს ბრეტანულ ეტიუდებში ძლიერი და ეაქკაცური არა იყოს რა. შენი ეტიუდები ჯერ არ მინახაეს, ესე იგი, არაფრის თქმა არ შემიძლია. მაგრამ შენი მხნეობით საესე ნამუშეერები – დიდედაშენის პორტრეტი და ნატურმორტები, – უკეე ენახე. ნახატების მიხედეით თუ ეილაპარაკებთ, ცოტა ეჭეი მეპარება, რომ ახალი ეტიუდები, მხნეობისა და ეაქკაცობის თეალსაზრისით, შენი წინა ეტიუდების დარი იყოს. როგორც ხედაე, ეტიუდები, რომლებზედაც ელაპარაკობ, შენი მხატერობის გაზაფხულის მხოლოდ პირეელი მერცხლებია. თუ გეინდა, რომ მართლა მიეცეთ შემოქმედებას, საჭიროა, ზოგჯერ ქალებზე უარი ეთქეათ და, რამდენადაც ტემპერამენტი გასაქანს მოგეცემს, ჯარისკაცების ან ბერების მსგაესად ეიცხოერო. პოლანდიელნი დიდი ზნეობის ხალხი იყო, მშეიდობიანად, გამოზომილად, წყნარად ცხოერობდნენ.

მართალია, დელაკრუამ ასეთი რამ თქეა: „ფერწერას მაშინ დაეეუფლე, კბილები რომ დამცეიდა და გულის ქოშინი დამეწყოო!" მაგრამ ეინც ნახა, როგორ ხატაედა ეს დიდი და სახელგანთქმული ხელოეანი, ამბობდა: „დელაკრუა ისე ხატაეს, თითქოს ლომი ხორცს სანსლაესო". ქალებში ნაკლებ დადიოდა, მხოლოდ ხანმოკლე ურთიერთობას სჯერდებოდა, რათა თაეის შემოქმედებას ხანგრძლიეად არ მოსწყეეტოდა.

თუ ამ გულწრფელი მეგობრობით ნაკარნახეე და, ერთი შეხედეით, უთაებოლო, მცირე ბარათში – ეს ხომ მხოლოდ შენი წერილის პასუხია, – იგრძნობ ერთგეარ შეშფოთებას ან ზრუნეას მაინც იმის გამო, რომ ჯანმრთელად იყო უმძიმესი გამოცდის წინ, რაც სამხედრო სამსახურში გელოდება, არ შეცდები. ეიცი, რომ პოლანდიელი მხატერების შესწაელა მხოლოდ გარგებს, რადგან მათი სურათები ეაქკაცურია, ჯანსაღია, ჯანღონით საესე. პირადად მე, თაეშეკეება არაფერს მენებს: მხატერის ნაზსა და შთაბეჭდილებიან, მგრძნობიარე ტეინს ეს ეხმარება, მთელი ძალა სურათების შექმნაზე ხარჯოს. როცა ეფიქრობთ, სამუშაოს თაეს რომ ეკლავთ, ჩეენს ტეინს დიდი ენერგიის ხარჯეა უწეევს. მაშ, რად ეხარჯოთ ეს ენერგია სხეა საქმეში, თუ პროფესიულ სუტენიორს და ჩეეულებრიე კლიენტსაც კი – უკეთუ კარგად იკეებება, – შეუძლია, უფრო დიდი კმაყოფილება მიანიჭოს მეძავს, რომელიც ჩეენზე მეტად გატანჯულია. მე არათუ თანაეუგრძნობ ასეთ, ჩეენსაეით გატანჯულ

მეძავს, მისდამი დიდი სიმპათიაც მაქვს. ის დაა ჩვენი და შეგობარი, რადგან ჩვენსავით – მხატერებიეით – სასოგადოებისაგან გასდეუნილი და განწირულია. გასდგომილება მასაც ჩვენსავით დამოუკიდებელს ხდის, რასაც, თუ კარგად აეწონ-დაეწონით, თავისებური უპირატესობა უთუოდ აქვს. ნუ ეიფიქრებთ, თითქოს ჩვენ მას სამსახურს ეუწვეთ, როცა ეცდილობთ, სოციალური თვალსაზრისით მისი რეაბილიტირება მოეახდინოთ: ჯერ ერთი, ეს პრაქტიკულად არ შეიძლება და მეორეც – იქსეპ ის ამას დაღუპოს კიდეც.

ეს-ეს არის, ფოსტალიონის პორტრეტი დაეხატე, უფრო სწორად, ორი პორტრეტი. სოკრატეს ტიპია, მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრიე ლოთის სახე აქვს და, ესე იგი, ფერის მხრიე, ერთობ დაძაბულია. მისმა ცოლმა ახლახან იმშობიარა, ამის გამო ეს ყმაწვილი კმაყოფილი და გაბრწყინებული სახით დადის. ტანგის არ იყოს, თავგამოდებულ რესპუბლიკელად მოაქვს თავი. დასწყეელოს ღმერთმა, რომ იცოდე, რა დომიესებური მოტიეით! როცა ეხატაედი, დაძაბულობა ეტყობოდა, ამიტომაც ორჯერ დაეხატე, მეორეჯერ ერთ სეანსზე. თეთრ ტილოზე ფონი მკრთალი ცისფერია, თითქმის თეთრი, სახეზე კი ყეელა ტონი – ყეითელიც, მწვანეც, წითელიც და იისფერიც, ეარდისფერიც – ჩამქრალია. ფორმის ქურთუკი პრუსიული ლურჯი ფერისაა, მინაკერები კი – ყეითელი.


თუ გსურს, წერილი მალე მომწერე. სამუშაო იმდენი მაქვს, ფიგურების ჩანახატების გასაკეთებლად ეერ მოეიცალე.

P.S. სეზანს სწორედ ბურჟუაზიული ქორწინების წესით შექმნილი ოჯახი აქვს, ისეე როგორც, ძველ პოლანდიელთ, და თუ საქმეში წარმატებისთეის მიუღწეია, მხოლოდ იმიტომ, გარეგნილებას რომ მეტისმეტად არ გაუძარცვავს.

ბ 15. *აგვისტოს პირველი ნახევარი, 1888.* სულ ფიგურების ხატეა მინდა, ფიგურებისა, კიდეე და კიდეე ფიგურებისა. ორფეხათა მთელი სერიის გაკეთება მსურს – ძუძუთა ბალღით დაწყებული და სოკრატეთი გათავებული; შაეთმიანი, თეთრი ქალებით დაწყებული და ყეითელთმიანი, მზით გარუჯული, აგურისფერსახიანი დედაკაცებით გათავებული. ეს სურეილი ჩემში უკეე ყეელაფერს ჭარბობს. ჯერჯერობით კი სხეა რამეს ეხატაე, საესებით სხეას.

მადლობელი ეარ წერილისთეის. ამას წინათ რომ გამოგიგზავნე, სახელდახელო წერილი იყო, დაღლილი გწერდი, გაწამებული. მიხარია, გოგენთან რომ ხარ.

ახალი ფიგურა მაინც დაეხატე – პოლანდიაში რომ თაეებს ეხატაედი, იმ ზოგიერთი ეტიუდის გაგრძელებაა – ამ სიტყეის სრული მნიშვნელობით. ეს თაეები იმ პერიოდის ერთ-ერთ სურათთან – „კარტოფილის ჭამასთან" – ერთად ერთხელ გაჩეენე კიდეც. ნეტაე შემეძლოს, ესეც გაჩეენო. ამ ეტიუდში ფერს ისეთი რამ აკისრია, შაე-თეთრი ნახატით ეერ გადმოსცემ. მინდოდა, შენთეის ერთი ნახატი გამომეგზავნა – ძალზე დიდი, გულმოდგინე ნამუშეარი. მიუხედავად იმისა, რომ ყეელაფერი საესებით სწორად გადმოეიტანე, ეტიუდი მაინც სხვაგეარი გამოეიდა, ეინაიდან, კელაე ეიმეორებ, მკის დროს თაკარა შუადღის პაერს ფერის მეტი ეერაფერი გაგრძნობინებს. უამისოდ სულ სხეა გამოდის. იმედია, შენ და გოგენი ამას მიხედებით, მაგრამ სხეებს კი რა საშინელ სიმახინჯედ მოეჩეენებათ! თქეენმა ძმაკაცმა კარგად იცის, ნამდეილი გლეხი რა კაცია და რამდენი აქვს მხეცთან საერთო. დაეხატე „კარჭაპის გადმოტ-



ერთადაც“: მოვარდისფრო-იისფერი ორი კარჭაპი, წყალი – მწვანე ეროსნეზი, მრუმე ქედშა, ფიცრები და ორთვალები, კიდეე – ბიჭუნა – ლურჯით და ყეითლით. ყველაფერ ამას ზემოდან დაეცქერით, გადმოკიდული სანაპიროს სიმაღლიდან. ცა სულ არ ჩანს. ეს მარტოოდენ ესკიზია, უფრო სწორად, მისტრალის დროს გაკეთებული ჩანახატი. ეხატაე ნარშაესაც, პეპლების გუნდი რომ დასტრიალებს.

რა წარმტაცია აქაური მზე შუა ზაფხულში! იგი, პირდაპირ, თაეში გირტყამს და ეჭვიც არ მეპარება, რომ სულ ადვილად შეიძლება, შეირყე კიდეც. მაგრამ მე უკვე შერყეული ვარ და ამიტომ შემიძლია, როგორც მინდა, ისე დაეტაკე მისი სხივებით. ეოცნებობ, ჩემი სახელოსნო ექსიო-დე „მზესუმზირათი“ დაეამშვენო – ეს იქნება ფრანგული სურინჯით შელებილი, წერილ ჩარჩოებში მოთავსებული დეკორაცია, სადაც ჩაღი თუ მქრქალი ქრომები სხვადასხვაგვარი სილურჯის ფონზე აელვარდება – ყველაზე ბაცი ეროსნეზით დაწყებული და სამეფო ლურჯით გათავებული, როგორც გოტიკური ეკლესიის ეიტრაჟები. ო, ძვირფასო მეგობრებო, მართალია, შეშლილები ვართ, მაგრამ დანახვა შეგვიძლია, ხომ მართალია? ვაი, რომ ბუნება ეთამაშება ცოცხალ არსებას: ჩვენი სხვული ზოგჯერ მძიმე, საძულველ ტვირთად გვეჩვენება. მაგრამ მუდამ ასე არ იყო? სნეული ჯოტოდან დაწყებული. და მაინც, როგორი სანახაევია, ეს ბებერი ლომი რემბრანდტი უკბილო პირით რომ იცინის, თაეზე რომ ღამის ჩაჩი ხურაეს, პალიტრა რომ უჭირაეს ხელში! რა სიცილია! როგორ მინდოდა, ამ დღეებში მეც პონტ-აევენში ეყოფილიყაეი. სანუგეშოდ მზესუმზირების თვალიერებაღა დამრჩენია, ეს არის და ეს.

ბ 16. *სექტემბრის მეორე ნახევარი, 1888* წერილის გამო მადლობელი ვარ, მაგრამ შესმა სიტყვებმა კი, ცოტა არ იყოს, გამაოცა: „ყოველად შეუძლებელია გოგენის პორტრეტს ვერ დაეხატაო!“ რატომ არის შეუძლებელი? რა სისულელეა! მაგრამ ძალას მაინც არ გატან: ისე რომ, გაცელაზე ნულარას ვიტყვით: მაშ, გოგენსაც არ უფიქრია შენი დახატვა? რა ხალხია ეს პორტრეტისტები! ამდენი ხანი ერთად ცხოვრობენ, პოზირებას კი არ უწევენ ერთიმეორეს, მერე ისე დაშორდებიან, ერთმანეთის პორტრეტების დახატვაზე არც იფიქრებენ. კეთილი, ძალას არ დაგატანთ... ვიმეორებ, გაცელაზე აღარ ვილაპარაკებთ. ვიმედოვნებ, თქვენს პორტრეტებს მე დაეხატავ: პირველსავე დღეს, როგორც კი ერთად შევიკრებით, ეს კი უთუოდ უნდა მოხდეს. ამ დღეებში ზუავების იმ უმცროსი ლეიტენანტის პორტრეტს დაეხატავ, ვისზედაც უკვე მოგწერე. იგი ახლა აფრიკაში მიემგზავრება.

შენს სამხედრო სამსახურზე რატომ არაფერი შემატყობინე? თურმე ზამთრის გატარებას არლში აპირებ. მე აქ განგება ისე მოვაწყვე ყველაფერი, რომ თუ ვინმეს დასჭირდება, შევიფარო. იქნებ გოგენი როგორმე მაინც ჩამოვიდეს!.. ჯერ გადაჭრით არ უთქვამს უარი. მაგრამ თუნდაც მოვახერხო და ჩემთან მოგაწყო, სულ ერთია, არა მგონია, კვება დღეში სამ-ოთხ ფრანკზე ნაკლები დაგიჯდეს. რა თქმა უნდა, როცა ფული არ გვექნებოდა, შეგვეძლო იაფი საჭმლის სახელოსნოში მომზადებაც. ასე ცოტას დაზოგავს კაცი. ვიმეორებ, აქ ცხოვრება ოდნავ ძვირია, ვიდრე თქვენთან – პონტ-ავენში, ეგონებ, მანდ ყოველდღიურად ყველაფერი, ბინის ჩათვლით, ორ-ნახევარ ფრანკზე მეტი არ გიჯდება.

ხოლო თუ შენ ყველაზე მეტად სამეძაოს ხატვა გხიბლავს, რაც თავისთავად ძალზე კარგია, სხვათა შორის, უფასოდ არც ეს შეიძლება! მოითმინე, ვიდრე მუნდირს ჩაიცვამდე: ჯარისკაცისთვის აქაცა და, საერთოდ, ყველგან, ძალზე ბევრი რამ უფასოდაა. მართალია, მე გავაკეთე ეტიუდი – „ღამის კაფე“, – მაგრამ თუმც იგი საპაემანო ადგილიც არის, სადაც ხანდახან მაგიდასთან მეძავსა და მის კლიენტსაც დაინახავ, სამეძაო ჯერჯერობით ვერ დაეხატე, ვინაიდან მოსაწონად და სერიოზულად ამის დახატვას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შევძლებ, თუ იმაზე მეტ ფულს დავხარჯავ, ვიდრე ამჟამად გამაჩნია. დავიცდი და ასეთ სურათს მაშინ დავხატავ, როცა ჩემ ქისას ცოტა სიმძიმე მოემატება, თორემ ახლა რიგიანი არაფერი გამომივა. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ მე და შენ სამეძაოში არ შევიარ ლით, რათა ლუდი დავლიოთ და ნაცნობები გავიჩინოთ. ნაწილობრივ, წარმოსახვით დავხატავთ და, ნაწი-



Mon cher Bernard, aujourd'hui je vous ferai un croquis rapide de la lingerie dont je vous parlais hier. Le fond violet, le plancher rouge, la fenêtre verte, le rideau jaune, le bonnet de la femme blanc, le corsage bleu, la jupe orange pâle, les souliers jaunes. Cependant je n'ai encore guère vu le pays dans sa splendeur habituelle. Le costume des femmes est joli et le dimanche surtout on voit sur le boulevard des arrangements de couleurs très naïfs et bien heureux. Et cela aussi, sans doute n'aura qu'un temps.

ლობრიე, მოდელებზე ვიმუშაებთ, და თუ ვისურვებთ, ალბათ, სურათის დახატვასაც მოვახერხებთ, მაგრამ ახლა, როცა მარტო ვარ, ეს სრულიად არ მენებარება. გეგმები და ეარაუდები ძალიან ხშირად გვეშუშება, ხოლო რაიმე შემთხვევით თუ ვისარგებლებთ და დღე და ღამე ვიმუშაებთ როგორც მოგეხსენება ყოველგვარი გეგმის გარეშე, ისეთ რამეს გაეაკეთებთ, სრულიად რომ არ მოველით.

მაშასადამე, არ შემიძლია, საგანგებოდ სამეძაოთა სახატავად ჩამოგიყვანო, თუმც ეს საქმე უსათუოდ საქებარია. ვიმეორებ: ამისი შესაძლებლობა მოგეცემა, ჯარში რომ წახვალ, და გირჩევნია, მოიცადო, ვიდრე უსდირს ჩაიცვამდე. მაგრამ, ჩემო მეგობარო, მინდა, ცხადად და გადაჭრით გითხრა: გაემგზავრე აფრიკაში სამხედრო მოვალეობის მოსახდელად. სამხრეთი მოგხიბლავს და მხატერად გაქცევს. თვით გოგენი სამხრეთს უნდა უმადლოდეს, სხვებს რომ სჯობია. აი, უკვე მრავალი თვეა, შედარებით კაშკაშა მზეს შეეყურება და ისე გამოდის, რომ, ფერის მხრივ, ჩემს თვალში მხოლოდ დეკადრება და მონტიჩელი დარჩენს უცნაურები – მხატერები, დღეს რომ უსამართლოდ უწოდებენ სამდვილ, წმინდა წყლის რომანტიკოსებს, უსაზღვროდ დიდი წარმოსახვის ადამიანებს. აი, ხომ ხედავ, ჩვენი სამხრეთი, ჟერომმა და ფრომანტენმა ასე მშრალად რომ დაგვიხატეს, პირველ რიგში, არის მხარე, რომლის უსაზღვრო მომხიბვლელობის გადმოცემა მარტოოდენ სამდვილ კოლორისტსა და ისიც მხოლოდ ფერით შეუძლია.

იმედია, კვლავ მალე ვიმწერ. გაბედულად ვერ გეუბნები, ჩამოდი-მეთქი, საკუთარი სურვილით თუ ჩამოვა ვინმე, ღმერთმანი, მისი საქმეა, მაგრამ რჩევით, ვერავის ეურჩევ. მე კი აქ ერჩები, და, ცხადია, გამიხარდება, თუ ზამთარს ჩემთან გაატარებ.


ბ 17. *სექტემბრის მეორე ნახევარი, 1888* გადავწყვიტე, ორი სიტყვა მოგწერო და, ნახატები რომ გამომიგზავნე, იმის გამო მადლობა გითხრა. ჩემი აზრით, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევი ნახატებია. ყველაზე მეტად ის ორი ვიმწონს – მეძავები რომ დაგიხატავს. თუმცა, სხვებიც აზრიანი ნახატებია. ბოლო ხანებში დატვირთული ვარ: საოცარი დღეებია და ამით უნდა ვისარგებლო – ეს ამინდები დიდხანს არ გასტანს. რაც აქაურ ფასებზე მოგწერე, კვლავ გიმეორებ: სამი ფრანკი მხოლოდ ჭამა დაგიჯდება – დანარჩენზე აღარას ვამბობ... მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რაც ამაზე გოგენმა გითხრა, ისიც სწორია. ვიცი, რომ მალე არმიაში მოგიწევს წასვლა, ჰოდა, ურიგო არ იქნებოდა მამაშვინის დაყოლიება, ფული მოეცა – ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნო, ოღონდ ისე, რომ საჭმეს არ აენო. გაიჯირეოს და, იმ ხნის მანძილზე, არმიაში წასვლამდე რომ დაგრჩენია, რაც საჭიროა, გაგიკეთოს. ისევ გიმეორებ: თუ აფრიკაში გაემგზავრები, სწორედ ისეთ ნატურას ნახავ, შენში მხატერისა და ფერმწერის ტალანტს საესებით რომ განავითარებს. მაგრამ შრომა ამ ნატურაზე შენს ცოდვილ სხეულს ძალიან ძვირი დაუჯდება, თუ მამაშვინი შენს აფრიკაში გამგზავრებამდე – სადაც დიდი გამოცდა გელის, – რაიმე ზომებს არ მიიღებს, რომ აგარიდოს სისხლნაკლებობა, აგარიდოს დიზენტერია, რასაც კარგი და საღი საკვების ნაკლებობა იწვევს ხოლმე. აფრიკაში ძალის მოკრებას ვერ მოახერხებ: ჰოდა, როცა ცხელ ქვეყანაში მიემგზავრები, არ გეტყვი, წინდაწინ ქონი მოიკარ-მეთქი, მაგრამ ერთხანს კვებას უნდა ყურადღება მიაქციო.

პირადად მე, კარგმა კვებამ უკვე მარგო და აქედან არსად წასვლას

არ ეპირება თეთი არლის სიცხეც აფრიკის მზესთან, აბა, რას მოვა! გამოცდა, სამხედრო სამსახურის სახით რომ გელის, ას იმდენ ძალას შეგმატებს, მთელი სიცოცხლე იმუშაო, ანდა მოგტეხს. ერთი სიტყვით, ჭკუას ეკარგავ, ისე მისდა შენი ჩამოსულა, გოგუსიასაც. თუ ჩამოხვალთ, დასანანი ისღა გექნება, ზაფხული რომ არ არის და სამთარია. თანდათანობით უფრო ერწმუნდები, საჭმლის ხარისხი აზროვნების და სურათების შექმნის ხარისხზე სეგაელესას უთუოდ ახდენს. პირადად მე, როცა კუჭი აშლილი მაქვს, წარმატებით ვერ ემუშაობ. მოკლედ, ეუიქროთ, მამაშენი იმაზე კარგს ვერაფერს იზამს, სურათებს რომ გამოგართმევდეს, სანაცვლოდ კი, ასე თუ ისე, მოზრდილ კრედიტს გაგიხსნიდეს. ასე ყველაზე ნაკლებს წააგებს. სამხრეთში გრძნობა გეიფაქიზდება, ხელი უფრო მოქნილი ხდება, თვალი – მახვილი, გონება კი – გამჭრიახი, თუ, რა თქმა უნდა, დიზენტერია ან სხვა სენი ძალ-ღონეს მთლად არ გამოგეაცლის და ყველაფერი, საეროდ, ფუჭად არ ნაგეიელის.

ესე იგი, ჩემი აზრით, ყველას, ვისაც კი ხელოვნება შეჰყვარებია, თუ სამხრეთში გაემგზავრება, შეუძლია, თავისი ნიჭი განავითაროს, მაგრამ სისხლი, ჯანმრთელობა და სხვა და სხვა უნდა ახსოვდეს. ალბათ, იტყვი, რომ ამდენი დარიგებით თავს გაბეზრებ; რომ ყველაფერს შეაფურთხებ და საითაც გსურს, იქით წახვალ. რა თქმა უნდა, შენი საქმეა, რასაც იზამ, მე კი სხვაგვარად არ შემიძლია. ხელოვნება დღეგრძელია, ცხოვრება – მოკლე. ამიტომაც ნაჭირდა, მოთმინება მოვიკრიბოთ, საკუთარ ტყავს მაშინ იაფად არ წავაგებთ. ნეტავ ახლა შენი ხნის ვიყო და ახლანდელი გამოცდილებით აფრიკაში მივდიოდე სამხედრო ვალის მოსახდელად. ოდნავ ჯანმრთელად ყოფნას მაინც უთუოდ ვეცდებოდი. მე და გოგენი თუ აქ ერთად დავსახლდებით – და ეს, ალბათ, ასე იქნება, – რა თქმა უნდა, ყოველმხრივ ვეცდებით, ზედმეტი ხარჯი აგარიდოთ, მაგრამ, დავ, მაშაშენმაც გააკეთოს, რაც შეუძლია, გეესდოს და იმას ნუ იფიქრებს, თითქოს გეინდა, ფული დაეტყუოთ. კარგად რომ ხატო, უნდა კარგად იკეებო კიდეც. კარგ ბინაში იცხოვრო და ზოგჯერ ცოტა დაისვენო – ჩიბუხს რომ მოსწევ, ერთი ჭიქა კარგი ყავაც დააყოლო. არ ვამბობ, თითქოს სხვას არაფერს მნიშვნელობა არა პქონდეს – დავ, ყველამ ისე იცხოვროს, როგორც თვითონ მოესებება, მარტოოდეს იმას ვამტკიცებ, ასე ცხოვრება ყველაზე უფრო მომწონს-მეთქი.

ბ 18. *ნოემბრის ბოლო, 1888* ამჯერად პატარა ჩანახატი – ბრეტანელი გოგონები, წერილთან ერთად რომ გამომიგზავნე, ბევრად მეტი ქების ღირსია, ვიდრე ექსი დანარჩენი, ვინაიდან ეს პატარა ჩანახატი საოცარი სტილუროობით გამოირჩევა. ჩანახატები დაგიგეიანე, საუცხოო დღეებია და სხვა არაფერი აღარ მახსოვს – კვადრატული ფორმის სურათებს ჩავუჯექი, რომელთა ზომა 30-ია. ამ სურათებით სახლი უნდა გაეალამაზო. სამუშაო ისე მქანცავს, სული მხდება. წერილს, სადაც გისაბუთებდი, რატომ უნდა შეეცადო მამაშენის დარწმუნებას (თუკი არლში წამოსასელელ თანხას გაიღებს), შენს კისაზე ცოტა მეტი ზრუნვა გასწიოს, ალბათ, უკვე მიიღებდი. ეფიქრობ, მის მიერ გაწეულ ხარჯებს შენი შრომით გაანაღდებ, ესე იგი, შესაძლებლობა მოგეცემა, გოგენთან უფრო მეტხანს იყო, ხოლო სამხედრო სამსახურსა და აფრიკაში შენს გამგზავრებას მე უდიდეს შემოქმედებითს ლაშქრობად ვთელი. მამაშენს რომ ისეთი ეაჟი გასჩენოდა, ქეაფენილებსა და ტროტუარებზე თვითსაბად ოქროს პოულობდეს, რა თქმა უნდა, ასეთ ტალანტს უკუ-



რადღებოდ არ დატოვებდა... მაგრამ შენ ხომ, ჩემი აზრით, სწორედ ასეთი ტალანტი გაქვს.

ალბათ, გული დასწყდებოდა, ეს ოქროები რატომ პრჭყვიალა ლუიდორები არ არისო, მაგრამ შეეძლო, აი, ასეთი თეითნაბადი ოქროების კოლექცია შეედგინა და მაინც დიდ ფასად გაეყიდა. ქოდა, ახლაც ასე მოიქცეს – შეაგროვოს შენი კარგი სურათები და ნახატები, რაც ისეე ძვირფასია და რაც ისეე იშვიათად იშოვება, როგორც ძვირფასი ლითონები ანდა თვლები. დიახ, დიახ, სწორედ ასეა. სურათის შექმნა ისეთივე ძნელი საქმეა, როგორც პოესა დიდი თუ მცირე ბრილიანტისა. მართალია, ოქროს ლუიდორს ან მარგალიტს რა ფასიც აქვს, ყველამ იცის, ხოლო სურათის ღირებულებას იშვიათად მიხვდება ეინმე, – ასეთი ხალხი მაინც არსებობს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ეითმინოთ და ჩუმად ეიცადოთ, თუნდ ლოდინმა ერთობ დიდხანსაც მოგვეწიოს. შენც, შენდათავად, კარგად დაფიქრდი, აწონ-დაწონე, რასაც აქაურ ფასებზე გწერ, და გადაწყეიტე – ძალიან გინდა გოგუსთან და ჩემთან ერთად არლში ცხოერება? დაარწმუნე მამაშენი, რომ თუკი ცოტა მეტ ფულს მოგცემს, ბეერად უკეთეს სურათებს შექმნი.

ფრანკმასონური ძმობის მსგავსი ერთიანობა მხატერებისა ჰკუაში არ მომდის. ყოველგვარი წესდებები და რეგლამენტები მეზიზღება, თანაც დოგმების მაძიებელი სულაც არა ვარ, ეერაფერს რომ ეერ აწესრიგებს და მხოლოდ ჩხუბს და დაეას იწეეს, რაც დაკნინების ნიშანია. ესე იგი, თუკი მხატვართა ერთობაზე ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ მაღალი, მაგრამ ბუნდოვანი აზრი არსებობს, შეეცადოთ, ესახოთ, აქედან რა გამოდგა. ჯობს, ყველაფერი თავისით მოხდეს: რაც მეტია ლაპარაკი, მით უფრო მცირე საქმე კეთდება. თუ გინდა, რომ საერთო საქმეს მიეშეელი,

გოგენთან და ჩემთან უსდა იმუშაო, სხვა არაფერი. საქმე უკვე გაარჩუ-ლია, თუ რამე გამოვა, მოფიქრებული მოქმედების შედეგად უსდა გამო-ვიდეს, ბევრი თამბირი ამ საქმეს უკვე აღარ სჭირდება. სურათების გაცვლაზე კი, აი, რას გეტყვი: სწორედ იმიტომ, შენს წერილში ლავა-ლის, მორეს, სხვათა და სხვათა სახელები რომ ხშირად მხვდება, კარგი იქნება, თუ მათ უფრო ახლოს გაეცნობ. მაგრამ ხუთი უკვე გამშრალი ეტიუდი მე არა მაქვს. ამის გამო მომიწევს ბევრად სერიოზული სურათე-ბის ორი კარგი ჩანახატის დამატება: ავტოპორტრეტის და პეიზაჟისა, რომელზედაც დახატულია გაავებული მისტრალის ქროლა.

მალე მექნება საირფერი ყვავილნარისა და მტვერწაყრილი, მრუმე ნარშაუის ეტიუდები, ნატურმორტი – ძველი გლეხური ფეხსაცმელი, და ბოლოს, მცირე პეიზაჟი – სულ უბრალო რამ, სივრცის ნაწილი, სხვა არაფერი. თუ რომელიმე მხატვართაგანი ამ პეიზაჟებს არ მოიწონებს და არ ისურვებს, რაიმეში გამიცვალოს, რომელიც მოსწონს, დაიტოვოს, და-ნარჩენები ისევ უკან გამომიგზავნოს – გასაცვლელად ამორჩეულ თავის სურათებს გამოაყოლოს, საჩქარო სულაც არაფერი გვაქვს, გაცვლით კი, გვეჯობს, უკეთესი სურათები გაეუცვალოთ ერთიმეორეს. მიეუმატებ პეი-ზაჟსაც – „კარჭაპის გადმოტვირთვას“, – თუ ხვალ მოასწრებს მზეზე გაშრობას და ახვევა არ გაჭირდება. ეს, ერთდროულად, პროექტიც არის, ეტიუდიც – უფრო სრული, დასრულებული აზრის მქონე სურათისა. „ღა-მის კაფეს“ გამეორებას ჯერჯერობით ვერ გამოვეზავნი, რადგან ხელიც არ მიხლია, თუმც, შენთვის ამ სურათს სიამოვნებით გაეიმეორებ. ისევ და ისევ გეუბნები: გასაცვლელად ნაჩქარევი ნამუშევრების შეკოწიწებას, გვე-ჯობს, კარგი სურათები გაეუცვალოთ ერთიმეორეს.


ვინ არის შენ წერილში დახატული ბატონი მხატვარი, მე რომ ასე მგავს![1] მე ვარ თუ სხვა? სახით თითქოს მე უნდა მგავდეს, მაგრამ, ჯერ ერთი, პირში სულ ჩიბუხი მაქვს, ამას გარდა, ზღვის ნაპირას ციცაბო კლდეზე ჯდომა კი არა, ამის ერთი გაფიქრებაც შიშისზარს მცემს, ვინაიდან თავბრუსხვევა მჭირს. მაშ, თუ ჩემი პორტრეტია, პროტესტს ვაცხადებ – ზემონახსენებ მიზეზთა გამო, ეს პორტრეტი დამაჯერებლო-ბას მოკლებულია.

მე სულ სახლის მოწყობაში ვარ, იმედი მაქვს, მოგეწონება, თუმცა, რასაც შენ აკეთებ, იმისგან ძალზე განსხვავდება. მაგრამ ერთ დროს შენც სწორედ ასეთ სურათებზე ლაპარაკობდი: ერთზე ხეები იქნებოდა დახატული, მეორეზე – ყვავილები, მესამეზე – ერცელი მინდვრები. ჰო-და, აი, „პოეტის ბაღი“ მეც დავხატე (ორი ტილო). პატარა ზეთის ეტიუ-დის ჩანახატზე, რომელიც უკვე ჩემ ძმასთანაა, იხილავ პირველ ჩანა-ფიქრს. მერე მექნება „ვარსკვლავიანი ღამე“, „ვენახი“, „ყანები“ და სახ-ლის ხედი, რომელსაც „ქუჩას“ დავარქმევდი. ამგვარად, ჩემდა უნებუ-რად, მთელი სერია გამომივიდა. შენი პონტ-ავენური ეტიუდები მაინტე-რესებს. მაგრამ რაკი შენზეა საქმე, ჯობს, თუ ისევ უკეთესად დამუშავე-ბულ ნამუშევრებს გამომიგზავნი. თუმც, ყველაფერი მოგვარდება: ისე მიყვარს შენი ტალანტი, ერთ პატარა კოლექციას შევაგროვებდი. სურა-თების გაცვლა-გამოცვლა, იაპონელი მხატვრები რომ ასე ხშირად იყვნე-ბენ, დიდი ხანია, მაინტერესებს. რაკი ერთმანეთს სურათებს უცვლიდ-ნენ, მაშ, ამ მხატვრებს უყვარდათ კიდეც ერთმანეთი, მხარს უჭერდნენ

[1] იგულისხმება გოგენის კარიკატურა – ვინსენტი კლდის ქიმზე ზის და მზის დახატ-ვას ამირებს (ტბერნარის შენიშვნა).

ერთიმეორეს, ერიმანელებში თანხმობა ჰქონდათ, ერიმანეთს ძმურად ექცეოდნენ, რაც საესებით ბუნებრიეია; ინტრიგებზე როდი ფიქრობდნენ. ამ საქმეში მაი რაც უფრო მეტად მიებაძეთ, ჩვენთვის ამჯობებს. ეტყობა, ფულსაც ძალიან ცოტას შოულობდნენ, ისე ცხოვრობდნენ, როგორც უბრალო მუშა ხალხი. მე მაქვს ერთი რეპროდუქცია – ბინგის მიერ გაკოცებული, – „ბალახის ღერი". კეთილსინდისიერების ნიმუშია. როდისმე სახავ.

ბ 19. *ოქტომბრის პირველი ნახევარი, 1888.* თითქმის მაშინვე, როგორც კი ჩემი ეტიუდები გამოგიგზავნეთ, შენი და გოგენის ამასათი მომიტანეს. იცი, როგორ გამამხნეეთ! თქვენმა სახეებმა გული გამითბო. ძალიან მიყვარს შენი პორტრეტი. თუმც, როგორც იცი, რასაც შენ ხატავ, ყველაფერი ძალიან მიყვარს და იქნებ ასე ჯერ არაეის არც ჰყვარე-



ბია. დაბეჯითებით უნდა გირჩიო, პორტრეტებზე იმუშაე, რაც შეიძლება ბევრი ხატე, ბევრი პორტრეტი გააკეთე და არ შეშინდე, ჩვენ ხალხის გულს პორტრეტებით მოეინადირებთ: ჩემი აზრით, მომავალი პორტრეტს ეკუთვნის. ჯერჯერობით კი პიპოთეზებს უნდა ეერიდოთ, თორემ ვაითუ სწორ გზას აეცდეთ. თუ მადლობაა, ბარემ მადლობას გადაგიხდი ნახატებისთვის, რომლის საერთო სათაურია „სამეძაოში". ბარაჭალა! ჩემი აზრით, ყველას სჯობია, რომ იბანს, ის ქალი, და კიდეე ის, რომელიც ამბობს, „ჩემზე უკეთ კაცს ეერაეინ გაახელებსო". დანარჩენები მეტისმეტად იმანჭებიან, რაც მთავარია, მეტისმეტად გაურკეეელი, ნაკლოვანი, შეუკრაეი სხეულებია. მაგრამ რა უშაეს – ეს უკეე, მართლაც, საინტერე-

სო სიახლეა. „სამეძაოში"! დიახ, სწორედ ეს უნდა ეხატოთ. დამიჯერეთ, თითქოს მშურს კიდეც – სამეძაოში შენ ხომ სამხედრო უორმით შეიდიხარ, სამხედრო ფორმის დასახეზე კი ეს ლამაზი დედაკაცები ჭკუას კარგავენ. ბოლოში, მართლაც, მშვენიერი ლექსებია, უფრო ძლიერი, გამართული, ეიდრე შენი სოგი ფიგურა. რის თქმაც გსურდა და, შენი აზრით, რაც თქვი კიდეც, ხმამაღლა და კარგად ამბობ.

მომწერე, პარიზში როდის იქნები. უკვე ათასჯერ მაინც გწერდი, „ღამის კაფე" სამეძაო არ არის-მეთქი, ეს ის კაფეა, სადაც ღამის მაწანწალებს მაწანწალები აღარ ეთქმით, ვინაიდან მაგიდებთან რომ დაეყრებიან, ღამეს ასე ათენებენ. მხოლოდ ხანდახან შეძაეი ქალი თაეის კლიენტს შემოიყვანს. თუმც ერთ ღამეს ამ კაფეში საინტერესო წყვილი ენახე – შეძაეი და სუტენიორი. ეჩხუბათ და, ის-ის იყო, რიგდებოდნენ. ქალი ცდილობდა, თაეი ისე ეჩვენებინა, ეითომ ჩემთვის ყველაფერი სულ ერთიაო, მედიდურობდა. კაცი კი ალერსს არ იშურებდა. პატარა ტილოზე, რომლის ზომა 4 ანდა 6 იქნება, შენთვის მათი ხატვა დაეიწყე. ზეპირად ეხატავ. თუ პარიზში მალე წახვალ, იქ გამოეგზავნი. თუ დარჩები, შეამატყობინე, პოდა, მაშინ პოსტ-აეენში გამოგიგზავნი: ჯერ არ არის კარგად გამშრალი და ამიტომ ამ ამანათში ვერ მოეათავსე. არ მინდა, გვარი მოეაწერო, რადგან ზეპირად მე ხომ, საერთოდ, არა ეხატავ. აქ ისეთი ფერებია, უსათუოდ მოგეწონება, მაგრამ ისევ ვიმეორებ, შენთვის ერთი ეტიუდი დაეხატე და, ჯობდა, სულაც არ დამეხატა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლორიტი სულ არ იყო დარღვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ტილო მოესპე: „ქრისტე და ანგელოზი გეთსიმანიის ბაღში" და სურათი, რომელზედაც პოეტი და ეარსკვლაეებით მოჭედილი ცა ეხატა. ეს იმიტომ ჩაეიდინე, რომ მოდელის მიხედვით, რაც ამ სურათს სჭირდებოდა, ფორმა წინასწარ კარგად არ მქონდა შესწაელილი. გასაცელელად რომ ეტიუდს ეგზაენი, თუკი შენც არ გამოგადგება, მაინც კარგად დააკვირდი. გაეიტანჯე მისი ხატვისას – მისტრალმა გული შემიღონა (როგორც მაშინ, წითელი და მწვანე ფერებით გაკეთებულ ეტიუდზე რომ ემუშაობდი). მერე რა მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ისე არ არის დახატული, როგორც, ეთქვათ, „ძველი წისქვილი", ბევრად უფრო ინტენსიური და ნატიფია. ხომ ხედავ, რომ ეს ყველაფერი იმპრესიონიზმს საესებით არ პგაეს – მით უარესი იმპრესიონიზმისათვის. მე იმას ეაკეთებ, რაც შეიძლება, გაეაკეთო მხოლოდ მაშინ, როცა ნატურას თავდაეიწყებით ეეძლეეი და სხვა არაფერზე აღარ ეფიქრობ. რა თქმა უნდა, თუ „ქარჭაპის გადმოტეირთეას" რომელიმე სხვა ეტიუდს ამჯობინებ, ის აიღე. ხოლო თუ ამას სხვა აიღებს, მიძღვნითს წარწერას, ცხადია, წაშლი. მაგრამ, ეფიქრობ, თუკი კარგად დააკვირდები, ეს სურათი მოგეწონება. თუ ლაეალი, მორე ანდა სხვა[1] მხატვარი მოისურვებს, სურათები გამიცვალოს, ამას რა სჯობს. მე კი ყველაზე კმაყოფილი მაშინ ეიქნები, თუ აეტოპორტრეტს დამიხატაეენ.

იცი, ბერნარო, ჩემი აზრით, სამეძაოში ეტიუდების სახატაად, რაც მაქეს, ეს ფული არ მეყოფა. ახალგაზრდა აღარა ვარ, ამიტომ ქალებს ისე აღარ ეაინტერესებ – მაშ, უფასოდ პოზირებას არ გამიწეენ. უმოდელოდ მუშაობა კი არ შემიძლია. მართალია, როცა ეტიუდს უკვე სურათად ვამუშაეებ, როცა ფერების ორგანიზება მაინტერესებს, როცა ამ

1 ერნესტ შამპიარი (ემილ ბერნარის შენიშვნა).

ფერებს ეამარტიეებ ასდა, პირიქით, ეაზეიადებ ნატურას გადაჭრით უგულებელყოფ. მაგრამ საქმე ფორმატზე რომ მიდგება, მეშინია, სინამდვილეს არ დაეშორდე, ეცდილობ, სიზუსტე შეეინარჩუნო. იქნებ მერე, ათიოდე წელი რომ გავა, სხვაგვარად იყოს ყველაფერი, მაგრამ, რა ექნა, გულახდილად უნდა გითხრა, ნამდვილი და რეალური, არსებული ისე ძლიერ მაინტერესებს, სურვილი და გამბედაობა აღარ მყოფნის იდეალის საძიებლად, რაც უკვე ჩემი აბსტრაქტული კელეების შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს, სხვებს ჩემზე მეტად ეხერხებათ აბსტრაქტული კელეების. კაცმა რომ თქვას, შეიძლება, შენ ასეთ მხატერებს მიგაკუთვნონ, შენც და გოგენიც, იქნება მეც, ოღონდ – როცა დაებერდები. ჯერჯერობით კი ნატურის მეტი არა მახსოვს რა. ეაზეიადებ, ზოგჯერ მოტივიც შემიცელია, მაგრამ მთელი სურათი კი არასოდეს მომიგონია. პირიქით, უკვე გამზადებულს ბუნებაში ეპოულობ და მერე იმასღა ეფიქრობ, იქიდან როგორ გამოეიტყუო.

ეტიუდები იქნებ უშნო მოგეჩვენოს. აბა, რა ეიცი. რა თქმა უნდა, არც მე, არც შენ, არც ეინმე სხვა, რაც არ მოგეწონს, იმაში სურათს არ გადაეცელით. ჩემი ძმა მწერს, ანკეტენი პარიზში აპირებს დაბრუნებასო. მაინტერესებს, რა გააკეთა. ალბათ, ნახავ – მოკითხავ და საუკეთესო სურვილები გადაეცი. თქვენ პორტრეტებს რაკი ეუყურებ, სახლი ისე ცარიელი არ მეჩვენება. რა საოცრად გაეიხარებდი, ამ ზამთარს შენი ბრწყინვალება აქ რომ მენახა! მართალია, გზა იაფი არ დაგიჯდება, მაგრამ იქნებ ღირდეს კიდეც რისკის გაწევა, ხარჯის გაღება და მერე შრომით ამ ხარჯების კილაე გადაფარეა? ჩრდილოეთში ზამთრობით ხომ ძალზე ძნელია მუშაობა! თაეისებური სიძნელეები, რა თქმა უნდა, აქაც იქნება, ჯერჯერობით ამაზე ეერაფერს ეიტყვი, სამხრეთის ნახეა კი, სადაც უმთაერესად გარეთ ყოფნა გიწეეს, მეტისმეტად სასარგებლოა. ამის წყალობით, იაპონელთა ხელოენებას უკეთ შეეიცნობთ. გარდა ამისა, აქ ხანდახან წააწყდები რაღაც ამაყს და კეთილშობილურს, რაც შენ უთუოდ გულზე მოგხედება.

„წითელ დაისში" მზე სადღაც მაღლა, სურათის მაღლა, ეთქვათ, ასე – ჩარჩოს სიმაღლეზე იგულისხმება. მზის ჩასელამდე საათნახეერით, საათით ადრე დედამიწაზე საგნები ფერებს ინარჩუნებენ. მოგეიანებით, როცა სხიეები უფრო ირიბად ეცემიან, ლურჯიცა და იისფერიც ამ საგნებს უკვე შაად ფერაეს. ამანათისთეის, რომელმაც ამდენი სითბო მოგიტანა, ისეე და ისეე მადლობას გიხდი, ხელს მაგრად გართმეე. გამგზაერების დღე შემატყობინე – ეიცოდე, პარიზში როდის იქნები. პარიზში შენი მისამართი იგიეა – აეენიუ ბოლიე, 5 – ხომ ასეა?

ბ 19-ა. *ოქტომბრის დასასრული, 1888* ამ დღეებში სულ ემუშაობდით. ზოლას „ოცნებასაც" ეკითხულობდი. პოდა, შენთან წერილი რომ დამეწერა, დრო ამიტომ ეერ გამოენახე. გოგენი, როგორც ადამიანი, მართლაც, საოცრად მაინტერესებს. დიდი ხანია, კარგად ეიცი, ამ დაწყეელილ ჩეენ ხელობას რომ ყეელაზე მეტად იმდაგეარი ხალხი სჭირდება, ეისაც მუშის ხელები და მუშის კუჭი აქეს. ხელოენებას უფრო ნამდვილი გემოენების, უფრო მგზნებარე, უფრო სულგრძელი ხასიათის ხალხი უნდა ემსახუროს, ეიდრე პარიზის ბულეარების ბინადარი, გადამღრძალი დეკადენტი. პოდა, ეჭეიც არ მეპარება, რომ ამჟამად ჩემ გეერდით ცხოერობს უბიწო ნატურა, რომელსაც ეელურის ინსტინქტები აქეს. გოგენი ჯერ სისხლისა და სქესის ძახილს ემორჩილება – პატიემოყვარე ხასია-


თი ასეთ დროს უკან გადაისაცელებს. თუმცა, კმარა! შეს მას ჩემზე უკეთ იცნობ. უბრალოდ, მსურდა, ორიოდ სიტყვით ჩემი პირველი შთაბეჭდილება გადმომეცა. ვფიქრობ, შენთვის არც ის იქნება საწყენი და საოცარი, თუ გეტყვი, რომ ჩვენ სულ ისეთ გრანდიოზულ თემაზე ვმსჯელობთ, როგორიცაა ხოგიერთი მხატვრის შეკავშირება. ეს ერთობ კომერციული ხასიათისა უნდა იყოს. თუ არც შეიძლება, ამაზე ფიქრი? ჯერ არ ეიცით, არაფერი დაგეისკენია, ჩვენთვის უცხო კონტინენტზე ფეხი თითქმის არ დაგვიდგამს. მე პირადად ინსტინქტით ვგრძნობ, რომ ეს ახალი კონტინენტი ეს ამერიკა, – არსებობს და, მაშასადამე, ხელოვნების კოლოსალური აღორძინებაც შესაძლებლად მიმაჩნია. ცხადია, მჯერა, რომ სამშობლო ამ ახალი ხელოვნებისა ტროპიკები უნდა იყოს. ჩვენ, ჩემი აზრით, მარტოოდენ შემაერთებელ რგოლს წარმოეადგენთ, მშვიდობიან ცხოვრებას კი მხოლოდ შემდეგი თაობა შეძლებს. ასე იქნება თუ ისე იქნება, ჩვენი თაობის მოვალეობის, შესაძლებლობის გარკვევაში მარტო ერთი რამ დაგვეხმარება – გამოცდილება.

ცოტა მიკვირს, დაპირებული, ჩემების სანაცელო ეტიუდები აქამდე რომ არ მიმიღია. ახლა შენთვის საინტერესო ამბავს გეტყვი: მე და გოგენს მხიარულ სახლში რამდენიმე გასელა გვქონდა და ყველაფერი, ალბათ, იმით დამთავრდება, რომ იქ ხატვას მივეჩვეეით. გოგენი ახლა იმ ღამის კაფეს ხატვით არის გატაცებული, მეც რომ დაეხატე, მაგრამ სურათში ის ფიგურები შეიტანა, რომლებიც ნახა სამეძაოში. ძალზე ლამაზი სურათი გამოდის. დაეხატე ორი ეტიუდი – ფოთოლცვენა ალეის ხეების ხვეიანში და კიდევ ერთი, ყვითელი ტონებით – იმაყე ხვეინის საერთო ხედი. გამოგიტყდები, თავად არ ვიცი, ფიგურების ეტიუდებს რატომ არ ეხატავ, თუმცა, ჩემი აზრით, მომაელის მხატვრები სწორედ ძლიერი, უბრალო და ყველასათვის გასაგები პორტრეტისტები იქნებიან. სამეძაო სახლის ხატვას, ალბათ, მეც მალე შევუდგები. თავისუფალ გვერდს გოგენს ვუტოვებ – როგორც ეტყობა, ისიც მოგწერს, – ჯერჯერობით კი გემშვიდობები.

შენი ვინსენტი

ზუავი მილიე აფრიკაში გაემგზავრა. გაუხარდება, თუ როგორმე წერილს მისწერ.

ბ 20. *სენ-რემი. ოქტომბრის პირველი ნახევარი, 1889.* ამ დღეებში ძმამ მაცნობა, თურმე ჩემი სურათების სანახავად მისელას აპირებთ. მაშ, პარიზში დაბრუნებულხარ. მოხარული ვარ, რომ ისურვე იმის გაგება, თუ რა დაეხატე და რა გაეაკეთე. მეც, ჩემდათავად, მაინტერესებს, პონტ-აევენიდან რა სურათები ჩამოიტანე. ჩემი გონება ახლა ვერ არის მიმოწერისთვის მომარჯვებული, მაგრამ ჩემ ირგელივ სიცარიელეს ვიგრძნობ ხოლმე, როცა არ ეიცი, რას აკეთებთ გოგენი, შენ, სხვები და სხვები. თუმც, სხვა რა გზა მაქეს, უნდა ყითმინო. აქ კიდევ თორმეტამდე ეტიუდი მაქეს, რომლებიც ჩემ ამზაფხულინდელ ნამუშევრებზე – თეოს რომ შენთვის უჩვენებია, უფრო მეტად მოგეწონება. მათ შორის არის „უსასელელი ქვისსამტეხლოში“ – ბაცი იისუერი კლდეები და მოწითალო ნიადაგი, როგორც ზოგიერთ იაპონურ ნახატზეა. ნახატითა და ფერადი პლანების გამოყენებით იგი ერთობ ჰგაეს იმას, რასაც პონტ-აევენში თქვენ აკეთებთ. ამ უკანასკნელ ეტიუდს უფრო მეტი დაჯერებით ეაკეთებდი, რადგან ჩემი ჯანმრთელობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. მაქეს სხვა ტი-



ლოც, რომლის ზომა 30-ია: სურათის ზემო ნაწილისკენ მიმავალი მთების ფონზე რბილი-იასამნისფერი ნახნავ-ნათესი, სულ ერთთავად კლდეები, მიწის კოლბოხები, ერთ კუთხეში ნარშავი და ხმელი ბალახი, პაწაწინა მოიისფრო-ყვითელი კაციც. იმედია, ეს სურათი დაგარწმუნებს, რომ რაღაც კიდევ შემიძლია.

ღმერთო ჩემო, ეს რა მხარეა – რა რთული და რა თავსატეხი! ყველაფერი გაგიძნელდება, თუკი გსურს, რომ საგანთა არსს ბოლომდე ჩასწვდე, ისე ჩასწვდე, რომ პროვანსის ნამდვილი ხასიათი ამოიცნო და არა ზერელედ, გაურკვეველად გადმოიტანო. ეს რომ შეძლო, მუყაითად უნდა იშრომო. შედეგი, ცხადია, ცოტა არ იყოს, აბსტრაქტულია: აქ ხომ მთავარი სწორედ ის არის, მზესა და ცას ეს ძალა და ელვარება, ეს სიკაშკაშე შეუნარჩუნო, შეამჩნიო კელიაის სურნელი, გადამწვარ და უსიცოცხლო მიწას რომ უდის. ზეთისხილის ხეები კი ნამდვილად საშუსოა. წელს მთლად კარგად ვერ დაეხატე, მაგრამ ისევ მიეუბრუნდები; დიახ, ეაპირებ მიბრუნებას. ეს ხეები უშველებელი თეთრი მზის ქვეშ ნარინჯისფერ თუ იისფერ მიწაზე მიმოფანტულ ვერცხლს მოგაგონებს. ბევრი მხატვარი გამიგონია (მეც მათ შორის ვარ), ასეთი რამ ვერასგზით რომ ვერ დაუხატავს. ჯერ ერთი, ეს მოვერცხლისფრო საცრისფერია – კორო რომ ხატავს, აი, ისეთი, – და, რაც მთავარია, აქამდე არავის დაუხატავს, თუმც ბევრ მხატვარს ტირიფები თუ ვაშლის ხეები კარგად გამოსდის. სწორედ ასევე, ჩვენი მხატვრები ნაკლებ ხატავენ ვენახებსაც. ვენახები კი, სხვათა შორის, ლამაზია! თანაც რარიგ ცვალებადია ეს სილამაზე! როგორც ხედავ, აქ ჯერ კიდევ ბევრი საქმე მაქვს.

გული მწყდება, რომ გამოფენაზე არ ვიყავი და ვერა ვნახე სხვადასხვა ქვეყნის ბინადართა საცხოვრებლების ექსპოზიცია. ალბათ, გარნიე ანდა ვიოლე დიუკი თუ მოაწყობდა. ვინც ეს ნახეთ, არ შეგიძლიათ,

ამიწერიო? ჯობს, ფერადი ჩასახატების მეშვეობით. კერძოდ, იქნებ ძველებურიც საცხოვრებელი ამიწეროთ? ეფიქრობ, უბრალო იქნებოდა, ძალიან სადა. მე ის პატარა მოედანზე კედლებული ბლოკის სახით წარმოვიდგინე. მაგრამ ფერი მაინტერესებს. ერთ სტატიაში წავიკითხე – ლურჯი, წითელი და ყვითელი ყოფილა. ამ ამბავს თუ მიაქციეთ ყურადღება? გთხოვთ, ყველაფერი ზუსტად მაცნობოთ. სპარსულ ანდა მაროკოულ სახლებში არ აგერიოთ! ალბათ, ერთმანეთს ძალიან ჰგავს, ნამდვილად კი სხვადასხვაგვარია. ეფიქრობ, ყველაზე საუცხოო, რაც, საერთოდ, არქიტექტურის სფეროდან ეიცი, ესაა ქოხი, ჩალის ძველი, ხავსმოდებული სახურავით და გამურული კერით რომ გეხიბლავს. ხედავ, რამდენი რამე მცოდნია? რომელიღაც ილუსტრირებულ გამოცემაში ძველი მექსიკური საცხოვრებლის ჩანახატს წავაწყდი. ისიც ასევე პრიმიტიული, მეტისმეტად მარტივი და ლამაზია. წარმოვიდგინე, ჩვენ რომ მაშინდელ ყოფას ეიცნობდეთ და იმ ხალხის ხატება შეგეძლოს, ეინც იმ სახლებში ბინადრობდა! ეს ისეთი მშვენიერი რამ იქნებოდა, როგორც მილეს სურათებია. ლაპარაკია არა ფერზე, არამედ საერთო ხასიათზე, როგორც რაღაც მნიშვნელოვანზე, რომლის რწმენა და დაჯერება შეიძლება.

ორიოდ სიტყვა შენ სამსახურზედაც. გგზავნიან თუ კიდევ არა? იმედია, ნოემბერში, შემოდგომის ეტიუდებს რომ გამოეგზავნი, ჩემი ტილოების სანახავად კიდევ შეიელით. თუ შეგიძლიათ, გამაგებინეთ, ბრეტანიდან რა სურათები ჩამოიტანეთ: მინდა, ეიცოდე, საუკეთესო სურათებად თავად რომლები მიგაჩნიათ. მალე კელე მოგწერ. ეხატე დიდ ტილოს – „ხრამი" ქქვია. ჩემთან რომ თქვენი ეტიუდია – ყვითელი ხე, – იმ ტილოზედაც სწორედ იგივე მოტივია: ორი ეიება კლდის მასიეი, მათ შორის – ეიწრო ნაკადული, ხრამის ბოლოს კი – მესამე კლდე, რომელსაც ხრამი ჩაუეტავს. აი, ასეთ სიუეტებს რაღაც საამო სეედა ახლავს. თანაც ერთობ სასაცილოა ასეთ ყრუ და უკაცრიელ ადგილზე ხატეა, სადაც მოლბერტთან ქვები თუ არ მიაგორე, ქარი ყველაფერს მიწაზე დასცემს.

ბ 21. *დეკემბრის დასაწყისი, 1889.* მადლობელი ვარ წერილისა და, განსაკუთრებით, ფოტოების გამოგზავნისთვის. ამ ფოტოებმა თქვენ სურათებზე წარმოდგენა და აზრი შემიქმნა. თანაც ჩემი ძმა იწერება, რომ მოუხიბლავს ცალკეული ფიგურის კეთილშობილებასა და, საერთოდ, სურათების ფერთა ჰარმონიას.

იცი, რას გეტყვი, „მოგეთა თაყვანისცემის" პეიზაჟი ისე მომწონს, კრიტიკა ეელარც გამიბედავს, მაგრამ, ამის მიუხედავად, შუაგზაზე მშობიარობა უცნაურად მეჩვენება. თანაც, აბა, ეის უნახავს, ნაცელად იმისა, დედამ ჩვილს ძუძუ მიაწოდოს, ლოცვას მოჰყვეს. ღმერთმა უწყის, რა უნდა აქ ამ ეეება, ეკლესიასტურ ბაყაყებსაც, დაკრუნჩხულებს, თითქოს ბნედა დასცემოდეთ. ჩემი აზრით, ეს ნამუშევარს ავადმყოფურ იერს აძლევს. მე პირადად, ყველაფერი ნამდვილი მიყვარს, ნამდვილი და შესაძლებელი. თუკი, საერთოდ, აღფრთოვანება შემიძლია, მაშ, მუხლს ეიყრი მილეს ერთი უძლიერესი ეტიუდის წინ, რომლის შეხედვა გულს შეუთრთოლებს ადამიანს: გლეხებს მინდვრიდან ახლად შობილი ხბო რომ მოჰყავთ. ეს, ჩემო ძმაო, საფრანგეთიდან ამერიკამდე, ალბათ, ყველას უგრძნია და განუცდია. თქვენ კი გინდათ, ამის შემდეგ შუა საუკუნეების დროინდელი შპალერები აღადგინოთ? ნუთუ გულწრფელად ასე ფიქრობთ? ნუთუ მართლა ასეთია თქვენი მრწამსი? ცხადია, არა! შენ, რა თქმა უნდა, შეგიძლია და უკეთესი სურათები უნდა ხატო; იცი, რომ

უსდა შესაძლებლის, ლოგიკურის, სამყეილისკენ ისწრაფოდე, ბოდლერის დასის პარიზული ოინების უარყოფაც რომ მოგიწიოს. რომ იცოდე, ამ ეაჭბატონს დღემე რარიგ მირჩევნია! „ხარება“ – მაგრამ რის ხარება? ანგელოზების ფიგურებს ეხედავ, საკმარისად ელეგანტურებს, ტერასას და ორ კეიპაროსს, რომლებიც ძალიან მომწონს. არის სინათლე, არის პაერი. თუმც, პირველი შთაბეჭდილება გაიელის და ყველაფერი მისტიფიკაციად მესევნება, ეს სტატისტები უკვე აღარ მაინტერესებს.

მაგრამ კმარა! იმედია, გაიგე, რაც მსურს: მე მსურს, ისეთ სურათებს ხატაედე, როგორიც შენი „ბრეტანელი ქალებია“ – „ბრეტანელი ქალები მდელოზე“, ამჟამად რომ გოგენთან არის. რა საოცრად შედგენილი სურათია, რა მიამიტი, რა ნატიფი კოლორიტია! შენ კი გისდა – პირდაპირ გეტყვი, – თეალთმაქცობაზე გადაცვალო! შარშან ერთი სურათი გქონდა, რომელიც გოგენის სიტყვების შემდეგ, აი, ასე წარმოეიდგინე: წინა პლანის ბალახის ფონზე თეთრკაბიანი ანდა ცისფერკაბიანი გოგონა დგას, უკან ეხედათ წიფლის ტყის პირს: მიწაზე წითელი ფოთლები ყრია. მთელი სურათი ეერტიკალურად იკეეთება ხეების რაღაც მონაცრისფრო-მომწვანო ტონით. თმა, როგორც წარმოეიდგინე, ფერადი ლაქა უნდა იყოს – რაც თეთრი კაბის დამატებად არის საჭირო: თუ კაბა თეთრია, თმა შავი იქნება, თუ ცისფერია – ფორთოხლისფერი. რა უბრალო მოტიეია, გაეიელე გულში, და რა კარგად შეუძლია არაფრისგან, აი, ასეთი სინატიფის შექმნა-მეთქი! გოგენი მაშინ სხეა მოტიეზედაც მიყეებოდა: მარტოოდენ სამი ხეაო, სხეა არაფერი – ნარინჯისფერი ფოთლების ეფექტი ლურჯი ცის ფონზე, მაგრამ სურათზე ყველაფერი მკეეთრადაო ხაზგასმული, აშკარად და გაბედულად დაყოფილია საპირისპირო ფერთა პლანებად. გიშეელა ღმერთმა! როცა ამას შენს კოშმარულ „გეთსიმანიის ქრისტეს“ ეადარებ, ღმერთმანი, გული სეედით მეესება. პოდა, აი, ამ წერილით მოურიდებლად, მთელი ხმით მინდა, გიყეირო და გაგახსენო: საკუთარ თაეს ნუ ღალატობ, კელაე ის იყაეი, რაც ხარ-მეთქი!

„ჯერის ტეირთეა“ საზარელია. შეიძლება, ამ სურათზე ფერად ლაქებს პარმონიული უწოდოს ეინმემ? ბანალურობას არ გაპატიებ – დიახ, სწორედ კომპოზიციის ბანალურობას. როცა გოგენი არლში იყო, როგორც შენთეის ცნობილია, თაეს ერთი-ორჯერ აბსტრაქციით გატაცების ნება მიეეცი – „ნანასა“ და „რომანების მეითხეელ ქალში“ (შაეი ფიგურა წიგნების ყეითელი თაროს ფონზე). აბსტრაქცია მაცდუნებელ გზად მეჩეენებოდა, მაგრამ ეს გზა თურმე თილისმით არის შეკრული, ჩემო კარგო: როგორც კი ამ გზას დაადგები, შენ წინ კედელი აღიმართება. არ გედაეები: გაბედული ძიებებისა და ბუნებასთან ხელხართული ბრძოლის შემდეგ შეიძლება, ესეც გარისკო; მაგრამ მე არ მსურს, ასეთ ამბებზე თაეი ეიმტერიო. მთელ წელიწადს ნატურაზე ეიმუშაეე, იმპრესიონისტებზე თუ სხეებზე და სხეებზე არც მიფიქრია. მაგრამ, ამის მიუხედაეად, თაეს ერთხელ კიდეე მიეეცი ნება, ისეე ეარსკელაეებს გაეკიდებოდი. ერთობ დიდი ეარსკელაეები გამომიეიდა და ხომ ხედაე, ისეე დაეშარცხდი. პოდა, კმარა, მოეათაეე ყეელაფერი! ამჟამად ზეთისხილის ხეებს ეხატაე, ყეითელი მიწის, ფოთოლნარის მუქი სიმწეანის საპირისპირო ნაცრისფერი ცის სხეადასხეაგეარ ეფექტებს ეეძებ. სხეა სურათში მიწა და ფოთლები იისფერია, ცა კი – ყეითელი. კიდეე სხეაში მიწა – წითელი ჟანგმიწის ფერი, ხოლო ზეცა – მომწეანო-მოეარდისფრო. რა გაეწყობა, მე ეს უფრო მაინტერესებს, ეიდრე ზემონახსენები აბსტრაქციები.

თუ ამდეს ხასს არ მოგწერე, მარტოოდეს იმის გამო, რაკი აეად ვიყავი და მსურდა, კარგად გავმხდარიყავი, მშეიდად ყოფნა მჭირდებოდა. ამიტომ კამათს მოვერიდე, აბსტრაქციებიც სახიფათო მერჩენებოდა. როცა ზიხარ და მშეიდად მუშაობ, კარგ სიუჟეტებს რა გამოლევს, თავისით მოდის. პირველ რიგში, საჭიროა, კელავ სინამდვილეს ჩავუღრმავდე, წინასწარი გეგმები და პარიზული ცრურწმენანი მოვიშორო. თუმც, რა თქმა უნდა, წლეულდელი წლიო სულ არა ვარ კმაყოფილი – მომაელის შეიდრ საძირკელად თუ გამოდგება, სხვა არაფერი. როგორც შეძელი, დაბალი მოების, ზეთისხილის ხეივნებით დამშვენებულ გარემოს ჩავწვდი; ენახოთ, აქედან რა გამოვა. ძალიან ცოტა რამ მინდა – რამდენიმე მტკაველი მიწა, მწიფობაში შესული ყანა, ზეთისხილის ხეივანი და კეიპარისი – სხვათა შორის, მისი დახატვა არცთუ ისე იოლია.

შენ პრიმიტივთა მცოდნე ხარ და მოყვარული, ჯოტოს კი, ეგონებ, არცთუ ისე კარგად იცნობ. რა მიზეზია? მე და გოგენმა მონპელიეში მისი ერთი ნამუშევარი კიდევ ვნახეთ – რომელიღაც წმინდანის სიკვდილი. ამ პატარა ნამუშევარში გადმოცემული ტანჯვა და ექსტაზი ჭეშმარიტად ადამიანის ტანჯვაა და ადამიანის ექსტაზია. ამიტომაც მნახველი ისე იზიარებს ამ ემოციებს, თითქოს სურათში XIX საუკუნეს გრძნობდეს და ხედავდეს. მიუხედავად ყველაფრისა, შენი სურათები ჩემი თვალით რომ დამენახა, კოლორიტით, ალბათ, მაინც აღტაცებული დავრჩებოდი. მაგრამ ეს მხოლოდ პორტრეტებს ეხება, თანაც ისეთებს, რომლებზედაც გულმოდგინედ გიმუშაია. პორტრეტები – იცოდე, ეს გჭირდება, აქ საკუთარ თავს არ ღალატობ!

აგიწერ ერთ ნამუშევარს, ჩემ წინ რომ დევს: საავადმყოფოს პარკის ხედი, საავადმყოფოსი, სადაც ამჟამად ვიმყოფები. მარჯვენივ ნაცრისფერ ტერასას ეხედაეთ – შენობის ნაწილს; მარცხნივ – ორიოდ დაყვავილებულ ეარდის ბუჩქს და ჩამოცვენილი ფიჩვებით მოფენილ მზით დამწვარ მიწას – წითელს, წითელი ქანგმიწის ფერს. პარკის ამ ნაპირს ტანმაღალი ფიჭვები ჩრდილავს. ტანი და ტოტები ფიჭვებისა კელავ წითელი ქანგმიწის ფერია, წიწვები მწვანე, შავის შერევით ჩამუქებული. ეს მაღალი ფიჭვის ხეები იისფრად დაძარღვულ მოყვითალო საღამოს ცაზე იხატება. ზემოთ ყვითელი ეარდისფერში გადადის და შემდეგ – მწვანეში. ხედს კედელი გადაკეტავს (კელავ წითელი ქანგმიწის ფერი), მის ზემოთ კი იისფერი და მოყვითალო ცვილისფერი ბორცვი მოჩანს. პირველი დიდი გიგანტური ხე შეხს გაუჩნდავს. გადაუხერხავთ, მაგრამ ერთი გვერდითი ტოტი ზემოთ არის აშვერილი, თუმც მუქ-მწვანე რტოების სიმძიმეს ისვე დაბლა დაუღუნავს. ეს ბუმბერაზი, პირქუში, როგორც დედამიწაზე დანარცხებული გოლიათი (თუ მას, როგორც ცოცხალ არსებას, ისე შევხედავთ) დაყვავილებულ ეარდის ბუჩქზე უკანასკნელი ნაზი ყვავილის ფერმიხდილი ღიმილის გვერდით კონტრასტულად ჩანს. ხეების ქვეშ ყარიელი ქვის სკამებია, მუქი ფერის ბზა, გუბეში მოჩანს ყვითელი ზეცა: ახლახან წვიმდა. ჩამავალი მზის უკანასკნელი ათინათი მუქ ქანგმიწას ამძაფრებს და ნარინჯისფერს ხდის. ხეებს შორის ალაგ-ალაგ შავი ფიგურები დაფათურობენ. როგორც ხედავ, წითელი ქანგმიწის, რუხი ფერით ჩამუქებული მწვანისა და კონტურების აღმნიშნველი შავი შტრიხების კომბინაცია იმ ნაღველის შეგრძნებას იწვევს, ჩემებრ უბედურ ჩემს ამხანაგებს გულს რომ აწვეთ ასე ხშირად და „შავ-წითელ“ სენედას უწოდებენ. ხოლო დიდი, მუხისაგან ჩამოჩეხილი ხის მოტივი და

ავადმყოფური, მომწუანო და მოუარდისფრო გაღიმება შემოდგომის უკანასკნელი ყვაილისა ამ განწყობას უფრო ამძაფრებს.

მეორე ტილოზე ჯეჯილებში ამოშვაული მზე დაეხატე. კელები სურათის სემოთა მხარეს, იისფერი ბორცვებისკენ მიემართება. ცისფერი ალაგ იისფერია, ხოლო ალაგ – წითელ-ყვითელი. თეთრ მზეს ყვითელი შარავანდედი შემოვლებია. წინა ტილოსგან განსხვავებით, შეეცადე, ამ სურათში დიდი სიმშვიდე გადმომეცა. ამ ორ სურათზე იმიტომ გწერ – განსაკუთრებით, პირველ სურათზე, რომ შეგახსენო, გეთსიმანიის ბაღის გარეშეც შეიძლება, შენი სევდა გამოხატო, ხოლო მშვიდი, დიდი სიმშვიდის მომნიჭებელი ნაწარმოების შესაქმნელად ქადაგებათა პერსონაჟების გამოყენება საჭიროებულო სულაც არ არის.

ვინც ბიბლიას ბევრს კითხულობს, რა თქმა უნდა, ბრძნულად იქცევა, მაგრამ ჩვენი დღევანდელობა ისე მძაფრად იჭრება ჩვენში, მაშინაც კი, როცა ეცდილობთ, გონების თვალით შეეხედოთ წარსულს, წერილმანი ამბები ჩვენი ყოფისა, ყოველდღიური ცხოვრების ფიქრს გვირევს და უნებურად ისევ პირადი განცდებისკენ შემოგვაბრუნებს – საკუთარი სიხარულისკენ, მოწყენისკენ, ტანჯვისაკენ, ბრაზისა და ირონიისკენ! ბიბლია, დიახ, ისევ ბიბლია! სიყმაწვილიდან მილე ამ წიგნზე იზრდებოდა, კითხვა სწორედ იმას ერქვა, ის რომ ბიბლიას კითხულობდა! ბიბლიური სურათები კი თითქმის არასდროს არ უხატავს. კორომ დახატა „გეთსიმანიის ბაღი" – ქრისტე და მწყემსთა ვარსკვლავი, დახატა და მერე როგორ, რა საოცარი სიდიადით! მის მხატვრობაში ეგრძნობთ პომეროსს, ეგრძნობთ ესქილეს, სოფოკლეს და სახარებასაც, მაგრამ იმდენად შეუმჩნეველად, რამდენადაც იქ მაინც ყველაფერს თანამედროვე, ჩვენთვის საერთო გრძნობები ჭარბობს. ალბათ, მეტყვი, დელაკრუაო? მართალია, მაგრამ მაშინ ისტორია სულ სხვაგვარად უნდა ისწავლო, დიახ, ისწავლო – ყოველივეს საკუთარი ადგილი რომ მიუჩინო.

მაშ ასე, ჩემო მეგობარო, ბიბლიურ სურათებში ჩაიჭერი, შეცდი, თუმცა, ყველას არ ძალუძს, ასეთი შეცდომა ჩაიდინოს. რა გაეწყობა, შეიგნებ ამ შეცდომას და ებედავ, აღგითქვა, რომ ეს საოცრად კარგი იქნება. ცოტა თუ არ იხეტიალე, საკუთარ გზას ვერ მონახავ. რეჟანში იმით უნდა აიღო, რომ შენი ბაღი ანდა სხვა რამ ისე დახატო, როგორიც არის. რაც უნდა იყოს, ფიგურაში ამაღლებულს და კეთილშობილურს რომ დაუწყებ ძებნას, კარგი საქმეა. შენს ეტიუდებს ეტყობა, რომ დაძაბულად გიმუშავია, ესე იგი, დრო ტყუილად არ დაგიკარგავს. ტილოს დიდ და რთულ პლანებად დანაწილება, ხაზებისა და ფორმების კონტრასტთა პოვნა – ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, ტექნიკაა, ფანდებია, ხრიკებია, საბოლოოდ კი მხოლოდ იმის ნიშანია, რომ შენს ხელობას ეუფლები. ეს კი ყველაზე კარგი საქმეა.

რა მძიმე და საზიზღარიც უნდა იყოს დღევანდელ დღეს ფერმწერის ხელობა, ვინც ეს საქმე აირჩია და გულისყურით ეკიდება, იცის თავისი მოვალეობა, საიმედო და სანდო კაცია. საზოგადოება ძალიან ხშირად ცუდ დღეში გეაგდებს, ხშირად მძიმე ცხოვრებისთვის გაგეწირაეს ხოლმე; ამის ბრალია, თუკი ჩვენი ხელოვნება უფრთოა და სრულყოფილებას მოკლებული. ეფიქრობ, თავად გოგენიც კი ამ დღეშია – რის უნარიც აქვს, იმის მიღწევას, ცხადია, ისიც ვერ ახერხებს. მე, მაგალითად, ეიტანჯები, მოდელებს რომ ვერ ეშოულობ. სამაგიეროდ, აქ მშვენიერი ხედებია. ხუთი – ზომით 30 ნამუშევარი – უკვე მზად მაქვს. სულ ზეთის-

ხილის ხეებია და თუ ჯერ კიდევ აქ მსურს დარჩენა, ჯანმრთელობა რომ ძალიან სწრაფად მიბრუნდება, მხოლოდ იმიტომ. რასაც ვაკეთებ, უფერულობის, უხეშობის ბეჭედი ასის, მაგრამ ეცდილობ, უხეშმა საქმემ გამომაწრთოს და ყოველგვარ აბსტრაქციას ვერიდები, რადგან ეშიშობ, ამან ძალა არ წამართვას.

ჩემი მომკელის ეტიუდი ხომ არ გინახავს? – მინდორი, ყვითელი ყანები და ყვითელი მზე. ეს ის არ არის, რაც მინდოდა, ამ დაწყეველილ ყვითელ ფერს კი, როგორც იქნა, მივუახლოვდი. ეგულისხმობ იმას, სქლად რომ არის დახატული, თითქოს ერთი ამოსუნთქვით. შენთან კიდევ ბევრ რამეზე ვისაუბრებდი, მაგრამ დღესაც იმის წყალობით დავიწყე წერა, რომ თავი ოდნავ დამიმადა: ადრე, სანამ საბოლოოდ მოვკეთდებოდი, დაძაბულობის მეშინოდა. შორიდან ვაგრად გართმევ ხელს და მოგიკითხავ. ჩემი სალამი ანკეტენს და ყველა მეგობარს, ვისაც ნახავ.

P.S. ალბათ, მიხვდები, რა ძალიან მებრალებით როგორც შენ, ისე მამაშენი, საჭიროდ რომ არ ჩათვალა, შენთვის როგორმე ხელი შეეწყო, ერთი სეზონი გოგენთან ერთად ყოფილიყავი. გოგენი მწერს, ბერნარს სამხედრო სამსახური ერთი წლის ვადით გადაუდეს ავადმყოფობის მიზეზითო. მადლობელი ვარ, ეგვიპტური სახლი რომ ასე ამიწერე. მარტო იმის გაგება მინდა, ჩვენს ქოხებზე დიდია თუ პატარაა. გარდა ამისა, პროპორციები მაინტერესებს – ადამიანის ფიგურასთან შედარებით. განსაკუთრებით შეფერილობის შესახებ მინდა, მომწერო რამე.

პოლ გოგენს

ივნისი, 1888 – ივნისი, 1890

ვინსენტის და პოსტ-იმპრესიონიზმის პერიოდის უდიდესი ფრანგი მხატვრის — პოლ გოგენის (1848-1903) — ურთიერთობა რთული იყო. მათ ერთმანეთი პარიზში გაიცნეს 1886 წლის ნოემბერში. ამის შემდეგ ვან გოგი მუდამ სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით იყო განმსჭვალული გოგენის მიმართ. გოგენი კი ხან მხურვალე სიყვარულითვე უპასუხებდა, ხან სიძულვილს და ფარულ მტრობას ამჟღავნებდა. ამ ორი მხატვრის ურთიერთობის კულმინაციად არლში, ვინსენტის „ყვითელ სახლში“, მათი ერთად მუშაობა გადაიქცა, რაც ვან გოგისთვის ტრაგიკულად დაბოლოდა. სწორედ ამ ამბავს უკავშირდება პოლ გოგენთან მინაწერი წერილებიც: პირველი ოთხი — 1888 წლის ივნის-ოქტომბრით თარიღდება. აქ ვინსენტი დაუნებით უხმობს გოგენს არლისაკენ; ხოლო ბოლო ორი წერილი — 1889 წლის იანვრითა და 1890 წლის ივნისით რომ თარიღდება, ეძღვნება არლის მოგონებას და ერთად შრომის ახალ გეგმებს, რასაც ხორცშესხმა არ ეწერა.

494-ა. გოგენო, ჩემო მეგობარო, შენზე ძალიან ხშირად ვფიქრობ და თუ აქამდე არ მოგწერე, მხოლოდ იმიტომ, ცარიელ ფრაზებს რომ ვერიდებოდი. ახლა კი მინდა, შეგატყობინო, რომ აქ, არლში, ოთხოთახიანი პატარა სახლი ვიქირავე. თუ ერთ მხატვარს კიდევ იშოვი, ვინც ჩემსავით სამხრეთის თემის დამუშავებას მოისურვებს და ხატვა ისე გაიტაცებს, უარს არ იტყვის, ბერიეით იცხოვროს – სამეძაოში კეირაში ორჯერ შეიარაოს, დანარჩენ დროს კი იმუშაოს და დრო უბრალოდ არ დაკარგოს,

ეფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება. მე აქ მარტო ვარ, ცოტა არ იყოს, მომაწყინა და ამის გამო, დიდი ხანია, ვაპირებდი, შენთან ასე გულახდილად მესაუბრა.

კარგად იცი, რომ მე და ჩემი ძმა შენს ფერწერას დიდად ვაფასებთ. ამიტომ გვინდა, ცოტა უფრო მშვიდად ცხოვრობდე. მაგრამ ჩემ ძმას ძალა არ შესწევს, ბრეტანში ფული შენც გიგზავნოს და აქ, პროვანსში, მეც შემინახოს. ხომ არ ისურვებ ჩემთან ცხოვრებას? თუ ჩვენ ერთად დაგესახლდებით, იქნებ იოლას წაესულიყავით. წარმოიდგინე, მჯერა კიდეც, უთუოდ ასე რომ იქნებოდა. მე პირადად, რაკი სამხრეთის ხატება დაიწყე, ამ საქმეზე ხელის აღებას აღარ ვაპირებ. აეაღმყოფი ჩამოვედი, გამოვჯანმრთელდი, მაშ, აქედან რაღად წავიდე – აქ ხომ გარეთ მუშაობა მთელ წელიწადს შეიძლება. თუმც ცხოვრება ცოტა უფრო ძვირი ჯდება, სამაგიეროდ, კარგად ხატების მეტი შანსია; თუ ჩემი ძმა თვეში 250 ფრანკს გამოგვიგზავნის, შეგიძლია, ჩამოხვიდე, რადგან მაშინ ჩვენი საქმისთვის თავის გართმევა უკვე აღარ გაგვიჭირდება. ოღონდ საჭმელი უფრო ხშირად ჩვენი ხელით უნდა ვაკეთოთ. თან მსახურიც ისეთი ვიშოვოთ, ყოველდღიურად ორიოდე საათით რომ შემოიაროს, რაც აგვაშორებს სასტუმროს ხარჯებს. თვეს თვეში ერთ ნამუშევარს გაუგზავნი, დანარჩენებს კი, რასაც გინდა, იმას უზამ. მარსელში სურათების გამოფენას მალე დაიწყებენ, რითაც, როგორც საკუთარ თავს, ისე სხვა მხატვრებს, გზას გაუკაფავთ. ჩემი აზრით, თუ გინდა, რომ გამოჯანმრთელდე, პირველ რიგში, სიმშვიდეზე უნდა იზრუნო. თუ ეცდები და აქაურ სიცხეს ვერ აიტან, მაშინ სხვა რამეს მოვიფიქრებთ.

549-ა. ძვირფასო გოგენო. მადლობელი ვარ წერილისთვის. ამდენი ქნება, გეფიცებით, მეტისმეტია. მაშ, თვის ბოლომდე ვერ ჩამოდიხართ. თუ ფიქრობთ, რომ ბრეტანში მალე მოიკეთებთ, ვიდრე არლში, არ გედაევებით, ასე იფიქრეთ. რა თქმა უნდა, ძალას არ გატანთ. ოღონდ გახსოვდეთ, თუ მანდ მალე ვერ მოიკეთოთ, იმედი გვაქვს, აქ ბევრად უფრო სწრაფად მოგარჩენთ.

ბოლოს და ბოლოს, ამქვეყნად, ალბათ, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჯობია – ჩვენც ხომ, ისევ გულკეთილი პანგლოსის სიტყვით, სწორედ ამქვეყნად გვერგო გაჩენა, რომელიც ყველა მიღმა მხარეზე უმჯობესია. ამიტომ თქვენი საქმეებიც, მჯერა, კეთილად დაგვირგვინდება. მაგრამ არლში გამომგზავრება ნუთუ ისე დამქანცველია, როგორც თქვენ ამბობთ? კარგი ერთი – ასეთ მგზავრობას ჭლექის ბოლო სტადიაშიც კი კარგად იტანენ. P-L-M-ის[1] არსებობა ხომ თქვენთვის უთუოდ ცნობილია. ანდა, იქნებ სერიოზულად აეადა ხართ, იმაზე აეად, ვიდრე წერილში იწერებით? ვაითუ ასეა? როგორც კი შეძლოთ, გამაგებინეთ, ან დამამშვიდეთ, ან გულახდილად აღიარეთ, რომ რაღაცა გჭირთ, აეადა ხართ. ლითოგრაფიებს ახსენებდით. ჩემი აზრი ასეთია; რაც შეეხება საღამოობით ლითოგრაფიებზე მუშაობას, თუ ამ საქმეს თქვენ, ბერნარი, მე და ლავალი ხელს მოეკიდებთ, კარგი იქნება. რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, შემოგიერთდეთ; აზრი ლითოგრაფიების პერიოდული პუბლიკაციის შესახებ კი არ მომწონს. ცხადია, ვიდრე არ გაემდიდრდები, ამ საქმეში მონაწილეობას ვერ მიიღებ.

მე ფერწერასაც ძლივს ვუდივარ. ლითოგრაფიების კეთებას კი ფუ-

1 პარიზი-ლიონი-ხმელთაშუა ზღვის რკინიგზა

ლი უსდა ლითოგრაფიული ქეების ყიდეაც რომ არ გეჭირდებოდეს. არ გედაეებით, ეს არც ისე ძვირი ჯდება, მაგრამ მაინც სულ უბრალო პუბლიკაციას თითოეული ჩვენგასისაგან 50 ფრანკი მაინც დასჭირდება. გარდა ამისა... ალბათ, არ დამეთანხმებით: რა გაეწყობა, არც ამაზე გედაეებით, უბრალოდ ვამბობ, რომ ამ საქმეში ცოტაოდენი გამოცდილება მე უკეე მაქეს. „გარდა ამისა“ კი იმას ნიშნავს, რომ აქედან არაფერი გამოვა, საზოგადოებაც მხარს არ დაგეიჭერს და, ერთი სიტყვით, ზარალის მეტს ვერაფერს ენახავთ. ლითოგრაფიების კეთებაზე – თუკი ჩვენთვის ეიმუშაებთ და სხვა არაფერი, თუნდ ეიზარალოთ, თანახმა ვარ. მაგრამ თუკი პუბლიკაცია განგიზრახავთ, სრულიადაც რომ არ ეიზარალოთ, კატეგორიულ უარს ეაცხადებ. ეიმეორებ, ამ საქმეში მხოლოდ მაშინ ეიქნები თქვენთან, თუ ჩვენს ხარჯზე გაკეთდება, ჩვენთვის, ჩვენსაეე სასარგებლოდ. მაგრამ იქნებ სხვა გეგმები გაქვთ? თუ ასეა, ჩემი იმედი ნუ გექნებათ, და თუ მაინც პუბლიკაციას დააპირებთ, იმის მტკიცებას ნუ დამიწყებთ, თითქოს ეს ძვირი არ დაჯდება.

553-ა. ძვირფასო გოგენო, დილას თქვენი კარგი წერილი მომიტანეს, რომელიც ჩემ ძმას გაეუგზავნე. თქვენი ზოგადი კონცეფცია იმპრესიონიზმზე – რასაც თქვენიეე აეტოპორტრეტი ჩინებულად გამოხატავს, – საოცარია. მოუთმენლად ეელოდები, როდის ენახავ ამ აეტოპორტრეტს, მაგრამ წინასწარ უკეე ეიცი, ერთობ მნიშვნელოვანი სურათია და ჩემი სურათის სამაგიეროდ არ აეიღებ. თუმც, თუკი დაგეთანხმებით და აეტოპორტრეტს დაგეითმობთ, თეოს ეთხოე და, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემა, უთუოდ იყიდის, – ეს კი, ალბათ, მალე მოხდება. საქმე ის არის, რომ კელაე ვაპირებთ, დაგაჩაროთ – იქნებ მალე ჩამოხეიდეთ. გამოგიტყდებით, ხატეის დროსაც კი ეერ ეიშორებ იმ სახელოსნოს შექმნაზე ფიქრს, რომლის მუდმივი ბინადარნიც ჩვენ ვიქნებით და სადაც თაეი უნდა შემოაფაროს ყეელა ჩვენმა ამხანაგმა, ეისაც ცხოვრებასთან შებრძოლება მეტისმეტად გაუჭირდება. თქვენი პარიზიდან წასელის შემდეგ იქ მე და თეო ორიოდ დღეს კიდეე დაერჩით და ის დღეები არასოდეს დამაეიწყდება; ეს იყო უფრო გრძელი და ერცელი დისკუსიები გიიომენთან და ორიეე პისაროსთან – როგორც მამასთან, ისე შეილთან, სერასთან, რომელსაც მაშინ არ ეიცნობდი (წამოსელამდე ერთი საათით ადრე ეიყაეი მის სახელოსნოში). ამ დისკუსიებზე ხშირად იმაზე ელაპარაკობდით, რაც მე და ჩემ ძმას ასე გეაღელეებს – რა ზომები უნდა მიეიღოთ, რათა მხატერების ნორმალური არსებობა უზრუნველეყოთ, ტილოთი და საღებაეებით მოეამარაგოთ, იმ მოგების მონაწილენი მაინც გაეხადოთ, სურათს რომ მოაქეს მხოლოდ ძალიან დიდი ხნის შემდეგ, როცა ფერმწერს აღარ ეკუთენის. ჩამოხეალთ და ამ კამათს ისეე დაეუბრუნდებით.

პარიზიდან წამოსელისას მართლა ძალიან ცუდად ეიყაეი – სნეული და გალოთებული, გადაღლილი. გულჩათხრობილი დაედიოდი, აღარაფერი მაიმედებდა. ამჟამად კი პორიზონტზე იმედი ისეე აკიაფდა, რომელიც ადრე, მარტოობის ჟამს, შუქურასაეით ინთებოდა და ქრებოდა ხოლმე, მამხნეებდა და მანუგეშებდა. მსურს, გადაგდოთ ჩემი რწმენა – ჩვენ შეეძლებთ რაღაც ისეთის შექმნას, დროს რომ გაუძლებს. როცა მე და თქვენ მცირე ბულეარის კაფეებისა და უღარიბეს სახელოსნოთა იმ გაცხარებულ დისკუსიებს თეალს გადაეაელებთ, თქვენთეის ცხადზე ცხადი გახდება ჩემი და თეოს ჩანაფიქრი მხატეართა საზოგადოების შექმნის

შესახებ, რომელსაც ხორცი ჯერ არ შეუსხამს. მაგრამ ამის მიუხედავად, როგორც თავადვე დარწმუნდებით, ეს ჩასაფიქრი ისეთია, რომ ყველა ნაბიჯმა, რაც ბოლო წლების ხელოვნებაში გამეფებული საშინელი ეთიარების გამოსწორებას ითვალისწინებს, იგი ან უნდა წინ წასწიოს, ანდა გაიმეოროს. როცა დაწერილებით და კარგად გაგაცნობთ, დაინახავთ, რომ ჩვენ გეგმებს საფუძველი არ აკლია. ამავე დროს, დარწმუნდებით, რომ საქმე ბევრად წინ არის წასული, ვიდრე თქვენ გითხრეს და ეს საესებით ბუნებრივია – ესაა ჩვენი მოვალეობა, სურათებით მოვაჯრთა მოვალეობა. ალბათ, იცით, წლების მანძილზე მეც სურათებით ვაჯრობაში ემსახურობდი და იმ ხელობის სიძულვილი, რაც ლუკმას მაჭმევს, ჩვეულად არა მაქვს.

ჯერჯერობით ისიც კმარა, თუკი გეტყვით, რომ პარიზიდან შორს კი იქნებით, მაგრამ კაშირი ამ ქალაქთან მუდამ გექნებათ. ბოლო დღეებში მომეტებული გაცხარებით და გზნებით ემუშაობ – პეიზაჟს ეხატავ: ღია ლურჯ ცას და წითლად და ყვითლად აფერადებულ, მწვანეშერეულ თვალუწვდენ ველახს, ვაზის ლერწები ნარინჯისფრად და შავად რომ მოჩანს. პეიზაჟს აცოცხლებს წითელქუდიან მანდილოსანთა და ყურძნის მკრეფავთა ფიგურები. მკრეფავებთან ორთვალა დგას. წინა პლანზე ნაცრისფერი ქვიშა მოჩანს. ტილოს ზომა, როგორც ყოველთვის, 30-ია და გამიზნულია ჩვენი სახლის დასამშვენებელ დეკორაციად.

ნაცრისფერი ტონების გამოყენებით დაეხატე, აგრეთვე, ავტოპორტრეტი. ეს ნაცრისფერი ეერონეზისა და ფრანგული სურინჯის შერევითაა მიღებული, ფონი ბაცი ეერონეზია. მოყავისფრო-წითელ სამოსთან ყოველივე ერთგვარ მთლიანობას ქმნის. საკუთარი პიროვნების უტრირებით მარადიულ ბუდას უბრალო თაყვანისმცემელს – ბონზას – მსურდა, დავმსგავსებოდი. პორტრეტი საკმაოდ გამიძნელდა და თუ მინდა, ჩანაფიქრს მართლა ხორცი შეეასხა, გადაკეთება კიდევ მომიწევს. ვიდრე უფრო უკეთესი სურათისთვის უკეთეს მოდელს ვიშოვიდე, კიდევ დიდხანს მომიწევს ბრძოლა, რათა თავი დავაღწიო ტვინის გამომცლელ პირობითობას, ჩვენ ცივილიზებულ სამყაროს რომ ახასიათებს... ჩემი აზრები ხელოვნებაზე თქვენ აზრებთან შედარებით ბანალური მეჩვენება: უხეში და პირუტყვეული მისწრაფებები ჯერჯერობით ვერ მოვიცილე. გარეგნული სილამაზე საგნებისა ყოველივეს მაინც ხოლმე, დახატვა კი არ შემიძლია: სრულყოფილებას ბუნებისას კარგად ვხედავ, სურათზე კი ულაზათო და უხეში გამომდის. მაგრამ, ამის მიუხედავად, რაღაც ისეთი ქანი აქვს, მთლად ძველ-ტყავად გადაქცეული ჩემი სხეული პირდაპირ მიზნისკენ მიისწრაფის. სწორედ ამით აიხსნება ჩემი აღქმის გულწრფელობა, ხანდახან კი ორიგინალური ხასიათიც, თუ, რა თქმა უნდა, ისეთ სიუჟეტს გადაეყრები, რომელსაც ჩემი მოუქნელი და გაუწაფავი, უხეში ხელი მოერევა.

ეფიქრობ, თუკი ახლავე იგრძნობთ, რომ იმ სახელოსნოს მეთაური ხართ, რომელიც ჩვენ ბევრი ჩვენი ამხანაგის თავშესაფრად უნდა ვაქციოთ და რომელიც თავგანწირული შრომისა და ცდის მეშვეობით თანდათანობით უნდა მოვაწყოთ, როცა თქვენი ავადმყოფობაც გაიელის და უფულობით გამოწვეული სიძნელეებიც უკან დარჩება, ის აზრი, რომ სიცოცხლეს სწირავთ ხელოვანთა შემდგომი თაობის კეთილდღეობას, შედარებით გაგამხნევებთ. ამ თაობას კი დიდი დღე აქვს. ამ მხარეს ახსოვს ეენერას კულტი, საბერძნეთში რომ უმეტესად მხატერული ფორმით ჩამო-

ყალიბდა. ახსოვს, აგრეთვე, აღორძინების ხანის მხატვრები, პოეტები. ხოლო სადაც ყოველივე ამან იხარა, იმპრესიონიზმმაც უნდა იხაროს. მე მინდა, რომ, აი, ეს ბაღი ისე დაეხატო, ეინც შეხედავს, აქაურობის (უფრო სწორად, ავინიონის) უწინდელი მომღერალი პეტრარკა და დღევანდელი მომღერალი პოლ გოგენი მოაგონდეს. ეს ჩანახატი რა უსუსურიც უნდა იყოს, მის დანახვაზე მაინც იგრძნობთ, რომ სახელოსნოს მოწყობის დროს უცნაურად ელელაედი და თქვენზე ეფიქრობდი...

იმასღა ეშიშობ, ეაითუ ბრეტანი უფრო ლამაზად მიიჩნიოთ, თუმც, ეს მხარე ისეევ კარგია, როგორც დომიეს სურათები, – აქაური ფიგურების დანახვაზე ეს მხატვარი ძალიან ხშირად გაგახსენდებათ. თუმც, სულ მალე თანამედროეეობის საბურეელქეეშ აქ უთუოდ აღმოაჩენთ მთელეშარე წარსულს – უძეელეს წარსულს, ამაეე დროს, აღორძინების ეპოქასაც. ხოლო მისი განახლება და გამოცოცხლება თქეენი საქმეა. ბერნარი მწერს, რომ იგი, მორე, ლაეალი და რომელიღაც სხეა მხატვარი აპირებენ, სურათები გამიცეალონ. მე, საერთოდ, ფერმწერთა შორის სურათების გაცეელა-გამოცელის დიდი მომხრე ეარ, რადგან დაერწმუნდი, ასეთი გაცეელა უდიდეს როლს თამაშობდა იაპონელ მხატვრებს შორის. ამიტომაც ყეელა გამშრალ ნამუშეევარს ამ დღეებშიეე გამოგიგზაენით, რათა პირეელმა აირჩიოთ, რასაც ისურეებთ. მაგრამ გაცეელას არ მოეინდომებ, თუ იგი ისეთ ნაწარმოებს დაგაკარგეინებთ, როგორიც არის თქეენი კარგი აეტოპორტრეტი. არა, ცხადია, ამ სურათში ეერაფრის გაცეელას ეერ გაებედაე, რადგან ჩემი ძმა პირეელი თეის საფასურად სიამოენებით გამოგართმეეთ.

ბ 22. ძეირფასო გოგენო! მადლობელი ეარ წერილისათეის, განსაკუთრებით, რაკი მპირდებით, ოცისთეის უკეე მანდ ეიქნებიო. ცხადია, იმ პირობებში, რასაც წერილში იწერებით, რკინიგზით მგზავრობა მხიარული და სასიამოენო გასეირნება არ იქნება. ამიტომაც სწორედ იქცეეით, როცა ფიქრობთ, წამოსელის დღე იმ დროისთეის გადაიტანოთ, როცა შეძლებთ, ცოტა უკეთეს პირობებში იმოგზაუროთ. მაგრამ თუ ამას ყურადღებას არ მიეაქცეეთ, თქეენი თითქმის მშურს: გზაში მრავალი მილის მანძილზე იხილაეთ სხეადასხეა მხარეს, დიდმშეენიერ შემოდგომას. მე ისეე მახსოეს, შარშან ზამთარში პარიზიდან არლისკენ რომ მოედიოდი, რა განეიცადე. როგორ ეელოდი, აბა, როდის დაეინახაე იაპონიის მსგაეს მხარეს-მეთქი! ბაეშეობაა ეს ყეელაფერი.

ამას წინათ წერილს რომ გწერდით, დაღლილობისგან თეალებმა რაღაც უცნაურად შემაწუხა. ორდღენახეარს არაფერი მიკეთებია და, აი, ახლა ისეე ხატეას შეეუდეკი, თუმცა, გარეთ მუშაობას ჯერაც ეერ ებედაე. ჩემ დეკორაციას კიდეე ერთი ახალი ტილო მიეუმატე, რომლის ზომა 30-ია. ეს თქეენთეის უკეე კარგად ცნობილი ჩემი საწოლი ოთახია, შეუღებაეი ხის უბრალო აეეჯი რომ დგას. უსაზღეროდ მსიამოენებდა ამ ინტერიერზე მუშაობა. არაეითარი ეშმაკობა არ მიხმარია, სერას უბრალოებით ემუშაობდი, ბრტყელი, უხეში, პასტოზური მონასმებით: კედლები ბაცი იისფერია, ფერწასული, მკრკალი წითელი ფერის იატაკი; საწოლი და საეარძლები – ყეითელი ქრომი; ზეწარი და ბალიშები – ძალზე ბაცი ლიმონისფერი, საბანი – წითელი, ჭიაფერი; პირსაბანი – ნარინჯისფერი, ტაშტი – ცისფერი; ფანჯარა – მწეანე. როგორც ხედაეთ, ამ საესებით განსხეაეებული ფერების და ტონების წყალობით ეცდილობდი, სრული სიმშეიდე გადმომეცა. სურათში თეთრი მხოლოდ ერთგან გაიელ-

ეებს ეს შაე ჩარჩოში ჩასმული სარკეა (უბრალოდ, მომისდა, დამატებით ფერთა მეოთხე წყვილი შემომეტანა). ერთი სიტყვით, ეს სურათი თქვენც სახეთ და სხვებსაც აჩვენეთ და მერე კიდევ ვილაპარაკოთ: მე ხომ ხოგჯერ თვითონ არ ვიცი, რა გამომდის – როგორც სიზმარში, ისე ეხატავ.

ერთობ აციდა. განსაკუთრებით, მისტრალი რომ ქრის, მაშინ ციცა. სახელოსნოში გაზი უნდა გაეიყვანო, რათა ზამთარში სინათლე გექონდეს. თუ მაშინ ჩამოხვალთ, როცა მისტრალი დათარეშობს, არლი იქნებ არც მოგეწონოთ. მაგრამ უნდა მოითმინოთ – აქაური პეიზაჟის პოეზიას უცებ ვერ იგრძნობთ... სახლიც თავიდან, არა მგონია, მყუდრო და წყნარი მოგეჩვენოთ, მაგრამ თანდათან მოეამყუდროებეთ. ხარჯები ბევრია. ამიტომ ყველაფერს ერთბაშად ვერ მოვაწესრიგებთ. ერთი კი მჯერა: როგორც კი ჩამოხვალთ, ჩემი არ იყოს, საკმარისია, მისტრალმა ქროლა შეწყვიტოს და, გაშმაგებით შეუდგებით შემოდგომის პეიზაჟებზე მუშაობას. აი, მაშინ კი–მიმიხვდებით, ასე რატომ დაგიჟინეთ, ვიდრე ასეთი ამინდია, ჩამოდით-მეთქი. მაშ ასე, გელით. *თქვენი ვინსენტი*

566-ა. *1 იანვარი, 1889.* ჩემო ძვირფასო მეგობარო, ეს-ეს არის, საავადმყოფოდან გამოვედი და ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ორიოდ სიტყვა მოგწეროთ, რასაც თქვენდამი გულწრფელი და ღრმა სიყვარული მიკარნახებს. საავადმყოფოში გამუდმებით თქვენზე ვფიქრობდი, სიცხიანს და მისუსტებულსაც თქვენზე ფიქრი არ მშორდებოდა. მითხარით, ჩემო მეგობარო, თვოს ჩამოსელა მართლა ასე საჭირო იყო? თქვენი ჭირიმე, შიში მაინც გაუფანტეთ და თქვენც გჯეროდეთ, რომ ამქვეყანაზე, რომელიც ყველა სხვა სამყაროზე უმჯობესია, ყოველივე ისე ხდება, როგორც ჯერ არს. გთხოვთ, შუფუნეკერს საუკეთესო სურვილები გადასცეთ ჩემგან და შეიცადოთ, ვიდრე ჩვენი საცოდაი ყვითელი სახლის ლანძღვა-გინებას მოყვებოდეთ – ჩვენ ორივემ ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქროთ და ავწონ-დავწონოთ. სხვა მხატვრებიც მომიკითხეთ, ყველა – პარიზში ვისაც ვიცნობდი. რულენმა, მართლაც, დიდი სიკეთე გამიწია: გაბედა და საავადმყოფოდან გამომიყვანა, დანარჩენებს კი არ სჯეროდათ, რომ უკვე კარგად ვიყავი.

643-ა. ძვირფასო გოგენო, გმადლობთ ახალი წერილისათვის. გწამდეთ, ჩემო მეგობარო, რომ ჩრდილოეთში ჩამოსელის შემდეგ დღე არ გავა, არ გამახსენდეთ. პარიზში სულ სამ დღეს დაერჩი: მანდაური რიარია და ალიაქოთი ჩემს გონებაზე ცუდად მოქმედებს; ისევ სოფლად გამოქცევა ვამჯობინე. ეს იყო მიზეზი, ამიტომ ვეღარ შემოგიერთდით. მიხარია, ზუსტად თქვენი ნახატის მიხედვით გაკეთებული არლელი ქალის პორტრეტი რომ მოგწონებიათ. გულმოდგინედ და თქვენდამი დიდი პატივისცემით ემუშაობდი, შეეცადე, თქვენი ნახატი არ დამერღვია, თუმც, თავს ფერების მეშვეობით სიუჟეტის ჩემებური ინტერპრეტაციის ნება მივეცი; აზრი და სტილი კი, რა თქმა უნდა, ისევ ზემონახსენები ნახატისაა. ეს პორტრეტი არლელი ქალის განზოგადებას წარმოადგენს: ამდაგვარი განზოგადება იშვიათია. გთხოვთ, ამ სურათს ისე შეხედოთ, როგორც ერთობლივ ნამუშევარს, როგორც ნაყოფს არლში ჩვენი მრავალი თვის ერთად შრომისა. ეს სურათი კიდევ ერთი თვის ავადმყოფობად დამიჯდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა ვიცი, რომ იგი ისეთი სურათია, რომელსაც თქვენც, მეცა და კიდევ ზოგიერთიც ისე გაიგებს, როგორც ჩვენ

გესურს. ჩემმა აქაურმა მეგობარმა, ექიმმა გაუშვა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მოიწონა და, აი, რა თქვა: „უბრალოება ერთობ ძნელი რამ არისო!“ პოდა, ასე, ამ სურათის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ იმით ალვნიშნავ, რომ ოფორტსაც გაეაკეთებ და მერე, ვისაც სურს, იმას წაიღოს.

არლში ყოფნისას ცურადღება მიაქციეთ ზეთისხილებს? სწორედ ახლახან ექიმ გაუშეს პორტრეტი დაუხატე. ნაღელიანი გამოხედვა აქვს, რაც ჩვენი დროის ადამიანებს აგრერიგად ახასიათებთ. ეს, იცით, რას მაგონებს? თქვენიენე ნათქვამს თქვენს „ქრისტეზე გეთსიმანიის ბაღში“ – „ამ სურათს ვერაფინ გაიგებსო“. ერთი სიტყვით, როგორც ჩემმა ძმამ მშვენიერად თქვა, თქვენ კვალს მიეყვები.

სენ-რემიდან იქაური უკანასკნელი ჩანახატი ჩამოვიტანე – „ვარსკვლავი და კვიპაროსი“: ღამეა, ცაზე მიმქრალი მთვარე, უფრო სწორად, მილეული ნამგალა მთვარე დედამიწის მუქი ჩრდილიდან ძლივსღა გამოკრთის. ცა არის ულტრამარინისფერი. ღრუბლები მოჩანს, მოჩანს ერთობ მომეტებული ბრწყინვალების ნაზი, ნაზი ვარდისფერი და მწვანე ვარსკვლავიც. ქვემოთ გზაა, გზის პირზე – ყვითელი ლელიანი. ლელიანს იქით – მცირე ალპების ცისფერი გრეხილი, ძველი ფუნდუკი ნარინჯისფრად განათებული ფანჯრებით და მაღალი, სწორად შემართული დაღერემილი კვიპაროსი. გზაზე მოჩანს ორი დაგვიანებული გამვლელი და თეთრცხენიანი ყვითელი საზიდარი. მთლიანობაში რომანტიკული სურათია, პროვანსი იგრძნობა.

ამ სურათიდან, ალბათ, ოფორტს გაეაკეთებ. ოფორტების გაკეთება მსურს სხვა სიუჟეტების მიხედვითაც, რომლებიც პროვანსის მოგონებას წარმოადგენს. ერთ-ერთ მათგანს სიხარულით გაჩუქებთ კიდეც, როგორც იმის რეზიუმეს, რაც ვისწავლე და რის მიღწევასაც ასე სულით და გულით ვცდილობდი. ჩემი ძმა მწერს, რომ ჩემი არლელი ქალის პორტრეტი თურმე ლოზემაც მოიწონა. ეს ის ლოზეა – მონტიჩელის ლითოგრაფიების გამომცემელი. წარმოიდგინეთ, პარიზში რომ ჩამოვედი, ცოტა არ იყოს, დავიბენი და თქვენი სურათები ვეღარ ვნახე – ვერ მოვასწარი. მაგრამ, ვფიქრობ, ერთი-ორი დღით დაებრუნდები და მაშინ ვნახავ. თქვენ წერილში წაიკითხე, თქვენ და დე პაანი კელაე ბრეტანში რომ გამგზავრებულხართ. ამან ერთობ გამახარა: თუ ნებას მომცემთ, ალბათ, ჩამოვალ, რათა ერთ თვეს თქვენთან დაყყო და რამდენიმე მარინა დაეხატო, უფრო კი, ისევ თქვენი ნახვა და დე პაანის გაცნობა მინდა. ხოლო მერე შეგვიძლია, შვეცადოთ, ცოტა უფრო აუჩქარებლად სერიოზული რაიმე შეექმნათ, ისეთი, რასაც მაშინ შეექმნიდით, თუ სამხრეთში გაეაგრძელებდით მუშაობას.

სხვათა შორის, აი, იდეა, რომელიც იქნებ გამოიყენოთ. ვცდილობ, ყანების ეტიუდები ასე დავხატო (სამწუხაროდ, ვერ დაგიხატავთ): მარტოოდენ მწვანე და ცისფერი თაუთაუები – ზოგი ჯერ კიდევ საესებით მწვანე, ლენტიეით გრძელი და მზისგან თითქოს ვარდისფერდაკრული, ზოგი უკვე შეყვითლებული და ბაცი ვარდისფერი მტერიანი ყვავილებით შემოსილებული – როცა ღეროს ვარდისფერი ხვართქლა შემოხვევია. აი, სწორედ ამ სიცოცხლით საესე და, ამავე დროს, სიმშვიდის მომგვრელ, ლამაზ ფონზე მინდოდა, პორტრეტები დამეხატა. ესე იგი, თანაბარი სიძლიერის სხვადასხვაგვარი მწვანე ტონი შექმნის მთლიან მწვანე გამას, რომლის თრთოლა კაცს მოაგონებს ქარისაგან შერხეული ყანის ჩუმ შრიალს. ფერის თვალსაზრისით ამის მიღწევა ძალზე ძნელია.

პოლ სინიაკს, იოჰანა ვან გოგ-ბოსბერს, იოზეფ იაკობ ისააკსონს, ალბერ ორიეს

აარილი, 1889 თებერვალი, 1890

ვან გოგის მიმოწერის ამ ბოლო ნაწილში თეოს, რასპარდის, ბერნარისა და გოგენის შემდეგ ყველაზე საინტერესო ადრესატებთან მინაწერი წერილებია მოქცეული.

ვან გოგი და პოლ სინიაკი (1863-1935) — ფრანგი მხატვარი, ნეოიმპრესიონისტი, — პირველივე შეხვედრის შემდეგ დამეგობრდნენ. იგი ვან გოგს, ბერნარის არ იყოს, ძია ტანგის დუქანში შეხვდა 1887 წლის დასაწყისში. სინიაკმა, თეოს თხოუნით, 1889 წლის მარტის ბოლოს ვინსენტი არლის საავადმყოფოში მოინახულა, სხვა მხატვრის სიკვდილის შემდეგ პარიზსა და ბრიუსელში მისი გამოფენების მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდა. სინიაკთან მინაწერი ვინსენტის წერილი 1889 წლის აპრილის პირველ რიცხვებშია დაწერილი.

ალბერ ორიე (1865-1892) — ფრანგი კრიტიკოსი, იმ დროისთვის მოდაში შემოსული სიმბოლისტური მიმართულების მიმდევარი, 1890 წლის იანვარში „მერკურ დე ფრანსში“ ვინსენტ ვან გოგ ზე დაბეჭდილი პირველი სტატიის ავტორი იყო. სტატიას ერქვა „მარტოსული. ვინსენტ ვან გოგი“. იგი ვინსენტის ტალანტსა და მის ნაშუშუერებს ერთობ მაღალ შეფასებას აძლევდა, მაგრამ მხატვრის მოულიან შემოქმედებას სწორი ახსნა ვერ მოუძებნა — საზოგადოებას წარუდგინა რაგორც მხატვარი-სიმბოლისტი. ვან გოგის წერილი ორიესთან 1890 წლის თებერვალშია დაწერილი. მათ ერთმანეთი იმავე წლის ივლისში, მხატვრის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გაიცნეს.

იოზეფ იაკობ ისააკსონს (დაიბადა 1859 წელს, გარდაიცვალა 1939 წლის შემდეგ), ნაკლებადცნობილ ჰოლანდიელ ფერმწერსა და თეოს მეგობარს, ვინსენტი პირადად არ იცნობდა. 1890 წლის მაისში ისააკსონისადმი მინაწერი წერილით სარდა, ისააკსონის მიერ მასზე დაწერილი სტატიის დაბეჭდვის შეხერება.

იოჰანა ვან გოგ-ბონგერი (1862-1925) — ცოლი თეო ვან გოგისა, ორივე ძმის ერთგული და თავდადებული მეგობარი იყო. მას ვინსენტი წერილებში „ძვირფას დას“ უწოდებს. ექვსი თვის შემდეგ, ვინსენტი რომ გარდაიცვალა, მან ქმარიც დაკარგა, მერე კი ვინსენტის მხატვრული და ეპისტოლარული მემკვიდრეობის დაცვისა და პუბლიკაციის ძნიმე შრომა თვითონ იტვირთა. მის მიერ მომზადებული თეოსთან მინაწერი წერილების პირველი გამოცემა 1914 წელს გამოვიდა. რაკი ინგლისური ზედმიწევნით იცოდა, წერილების უმეტესობა ინგლისურად თავადვე თარგმნა. სიკვდილმა სწორედ ამ წიგნზე რომ მუშაობდა, მაშინ მოუსწრო დევიზად მისი ცხოვრებისა შეიძლებოდა მიგვეჩნია მის სამლავზე მიტანილი ერთი გვირგვინის ასეთი წარწერა — „ერთგულება, თავგანწირვა და სიყვარული“.

583-ბ. ძეირფასო მეგობარო სინიაკო, მადლობელი ვარ, დია ბარათი რომ გამომიგზავნეთ. ჩემ ძმას თქვენთვის აქამდე არ უპასუხია, მაგრამ ეფიქრობ, მისი ბრალი არ უნდა იყოს. აი, უკვე ორი კვირაა, ჩემთვისაც არ მოუწერია. საქმე ის არის, რომ თეო ახლა პოლანდიაშია — ცოლს

ირთაულ. მე სრულიადაც არ ვაპირებ, უარეყო სიკეთე ქორწინებისა, განსაკუთრებით, როცა საქმე უკვე მოთავდა და კაცი მშვიდად ცხოვრებას იწყებს, მაგრამ ამ ჩვენს ცივილიზებულ სამყაროში ქორწინება ისეთ მოსაწყენ მილოცვებსა და ცერემონიებს უკავშირდება – ნეფე-დედოფლის ოჯახები უამისობას, აბა, როგორ მოითმენენ (აფთიაქიით უსიხარულო ადგილების შემოვლა რომ აუცილებლად საჭიროა, სადაც ადამისჟამინდელი სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფალნი ვამომსხდარან, ამაზე უკვე აღარას ვამბობ), – დამკრძალავი პროცესიები გაგახსენდება და უნებლიეთ შეგეცოდება საწყალი სიძე: სზვა გზა არა აქვს, უნდა საჭირო ქაღალდებით აღიჭურვოს და იმ ადგილების შემოსავლელად გაემართოს, სადაც კაციჭამიების დაუნდობლობით შეუდგებიან მის შებრაწვას ზემონახსენები მოსაწყენი ცერემონიების ნელ ცეცხლზე, ვიდრე საცოდავს ცოლიან კაცად არ აქცევენ.

არ ვიცი, როგორ გადაგიხდით იმ სიკეთეს, თქვენი ჩამოსვლით რომ გამიწიეთ. მას შემდეგ, რაც მინახულეთ, უკეთ გავხდი, გავმხნეველი, ძალა მომემატა. ახლა კარგად ვარ, უკვე ემუშაობ – ან საავადმყოფოში ვხატავ ხოლმე, ანდა აქვე, სადმე ახლოს. მაგალითად, ეს-ეს არის, ბაღის ორი ეტიუდი მოვიტანე. აი, ესეც ნაჩქარევი ჩანახატები – უფრო დიდზე უბადრუკი, სოფლელივით ადგილია დახატული, ფერმები და მცირე ალპების ცისფერი ზოლი, ალაგ – თეთრი და ალაგ-ალაგ – ღია ლურჯი ცა, წინა პლანზე – ლერწმის ღობე და პაწაწინა ყვავილოვანი ატმის ხეები. ბაღებიც, მინდვრებიც, ხეებიცა და თვით მთებიც კი ძალზე პატარა ზომისაა, ზოგ იაპონურ პეიზაჟზე რომ გვინახავს ხოლმე, აი, ისეთი. იგივე ბაღი წვიმიან დღეს მთლად მწვანეა, ოღონდ ოდნავ სოსანი და ნაცრისფერი ურევია.

გამიხარდა, რომ მოწყობილხართ; ძალიან მინდა, თქვენი ამბავი ვალე გავიგო. მომწერეთ, საქმე როგორ მიდის, როგორია მანდაურობა. ახლა საესებით ნორმალურად ვარ. ჯერჯერობით ამაზე მეტის იმედი არც მაქვს – უარესად ნუ ვიქნები და, რას დავეძებ. მთავარია, რეჟიმი დავიცვა. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, ალბათ, აქ ერთხანს კიდევ დაერჩები – რამდენიმე თვეს ისევ აქ მინდა, ვიმუშაო. პოდა, ამ მიზნით ორი პატარა ოთახიც კი ვიქირავე. ხანდახან ძალზე უგუნებოდ ვარ, განსაკუთრებით, როცა ეფიქრობ, რომ ცხოვრების დაწყება თავიდან მომიწევს. მე ხომ გული გატეხილი მაქვს. მაგრამ ამდენი მღელვარება... ღმერთო ჩემო, უამისოდ განა ახლა ცხოვრობს კი ვინმე? ნუგეშს მხოლოდ ვიღაცის გულწრფელ მეგობრობაში თუ პოვებს კაცი, ეს მეგობრობა თუნდ ცხოვრებასთან იმაზე მეტად გვაკავშირებდეს, ვიდრე ჩვენ გვსურს ასეთი მძიმე სატანჯველის ქამს.

591. *9 მაისი.* ძვირფასო დაო, წერილისათვის, მინდა, დიდი მადლობა გითხრათ; განსაკუთრებით იმის გამო, ჩემ ძმაზე რომ ამდენ სიკეთეს იწერებით. როგორც ეხედავ, შეგინიშნავთ, პარიზი რომ ძალიან უყვარს და ეს გაოცებთ, რადგან მთლიანად ეს ქალაქი თქვენ არ გიყვართ; მოგწონთ მხოლოდ პარიზული ყვავილები – მაგალითად, გლიცინიები, რომლებიც უკვე ავყავედებოდა. მაგრამ როცა რაიმე გვიყვარს, განა უფრო კარგად არ ძალგვიძს მისი გაგება, ვიდრე მაშინ, როცა არ გვიყვარს?

მე და ჩემ ძმას პარიზი ერთგვარ სასაფლაოს მოგვაგონებს, სადაც უკვე ჩვენთვის ნაცნობი ბევრი მხატვარი დაიმარხა. ცხადია, მილე – ვის სიყვარულსაც თქვენ უთუოდ კიდევ მოასწრებთ, – აგრეთვე, ბევრი სხვა

მხატვარიც, ცდილობდა, პარიზს გასცლოდა, მაგრამ დელაკრუას, მაგალითად, სხვანაირად ვერ წარმოიდგენ, თუ არა პარიზელს. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ დაგარწმუნოთ, შეიძლება, პარიზში ისე იცხოვროთ, როგორც თქვენ სახლში და არა, ეოქეათ, საქირაოებში. საბედნიეროდ, თქვენთვის თვით თქვენ ხართ თქვენი სახლი...

ერთი სიტყვით, ჩემო დაო, თუ შეგიძლიათ, ირწმუნოთ, რომ ამქვეყანაზე, რომელიც ყველა სხვა სამყაროზე უკეთესია, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჯობია, როცა იქსება, ალბათ, ამასაც დაიჯერებთ – პარიზს ამქვეყნად არა ქალაქი არ შეედრება. შეგიმჩნეეიათ, პარიზში ეტლის ბებერ ცხენებს სწორედ ისეთი ნაღელიანი, დიდი, ლამაზი თვალები რომ აქეთ, როგორც ზოგჯერ ქრისტიანებს? ჩვენ არა ვართ არც ეელსურები, არც გლეხები. ალბათ, უბრალოდ, მოვალენი ვართ, გეიყვარდეს ეს ეგრეთ წოდებული ციეილიზაცია. გარდა ამისა, თუ ეამტკიცეთ ან ეიფიქრეთ, რომ პარიზი არ ეარგაო, და თან ისევ იქ ეიცხოვრეთ, ფარისეელობა გამოგეიეა. რა თქმა უნდა, ამ ქალაქში პირეელად რომ მოხედება კაცი, ყეელაფერი, მართლაც, თითქოს ხელოენური, ჭუჭყიანი და მოსაწყენი მოეჩეენება. მაგრამ თუკი თქვენ ეს ქალაქი მაინც არ გიყვართ, მაშ, პირეელ რიგში, ფერწერა არ გყვარებიათ, ფერწერა და კიდეე ის ხალხი, ეისი ხელობაც, ასე თუ ისე, ფერწერაა, ხელობა, რომლის სილამაზე და სარგებლიანობა საეჭეოა. თუმც, დამიჯერეთ, გიყვებს და სნეულებს ბუნება მაინც უყვართ ხოლმე. მხატვრები სწორედ ასეთი ხალხია. ხომ არიან ისეთებიც, ყეელაფერი რომ შეუყვარდებათ, რაც კაცის ხელს შეუქმნია, ესე იგი, სურათებიც კი.

